უთვისებო კაცი

პირველი ნაწილი. შესავლის მსგავსი

1. საიდანაც, უნდა აღინიშნოს, რომ არაფერი გამომდინარეობს

ატლანტის ოკეანის თავზე დაბალი ატმოსფერული წნევა შეინიშნებოდა, რომელიც აღმოსავლეთით, რუსეთის თავზე მაღალი ატმოსფერული წნევისკენ მიიწევდა და მისთვის ჩრდილოეთიდან შემოვლის არავითარ ტენდენციას არ ავლენდა. იზოთერმები და იზოთერები იმას ასრულებდნენ, რაც ევალებოდათ. ჰაერის ტემპერატურა საშუალო წლიურ ტემპერატურასთან, თვის ყველაზე ცივ და თბილ ტემპერატურასთან, ასევე ტემპერატურის არაპერიოდულ თვიურ მონაცვლეობასთან სათანადო შესაბამისობაში იყო. მზისა და მთვარის ამოსვლა და ჩასვლა, მთვარის, ვენერას და სატურნის რგოლების ფაზები და დანარჩენი მნიშვნელოვანი მოვლენები ასტრონომიული კალენდრის პროგნოზებს შეესატყვისებოდა. ჰაერში წყლის ორთქლი გაიფანტა და დაბალი ტენიანობა აღინიშნებოდა. მოკლედ – ამგვარი აღწერილობა ძველმოდურია, თუმცა ფაქტს საუცხოოდ გადმოსცემს – 1913 წლის აგვისტოს მშვენიერი დღე იდგა.

მანქანები ვიწრო ქუჩების სიღრმიდან მეჩხერი მოედნების სინათლისკენ მოქროდნენ. ფეხით მოსიარულეები ნისლში გახვეული თოკივით გაჭიმულიყვნენ. იქ, სადაც ამ თოკს სისწრაფე კვეთდა, ის მსხვილდებოდა, დინებას უფრო სწრაფად იწყებდა, ერთხანს ვიბრირებდა და შემდეგ კვლავ თანაბარზომიერად იწყებდა პულსირებას. ასობით ხმა ძლიერ გუგუნად ქცეულიყო, საიდანაც ცალკეული წვეტები ამოშვერილიყო; მის მჭრელ ნაწიბურებს მჟღერი ბგერები ნატეხებად სცვიოდა და ჰაერში აფრენილი იფანტებოდა. ძნელია ამ ხმაურის თავისებურებების აღწერა, მაგრამ დიდი ხნის არყოფნის შემდეგ დაბრუნებული ადამიანი თვალდახუჭული მიხვდებოდა, რომ საიმპერატორო დედაქალაქში, ვენაში, იმყოფებოდა. ქალაქს, ადამიანებივით, სიარულის მანერით იოლად იცნობ. თვალს თუ გაახელდა, ქუჩის მოძრაობის ხასიათით ქალაქს მანამდე იცნობდა, სანამ მას რომელიმე დამახასიათებელი დეტალი უკარნახებდა, თუმცა დიდი უბედურება არც ის იქნებოდა, ასე რომ არ ჰგონებოდა. ადგილმდებარეობას განსაკუთრებული

მნიშვნელობა ჯერ კიდევ მომთაბარეობის პერიოდიდან ენიჭებოდა, იმ დროიდან, როცა საძოვრების დადგენა იყო საჭირო. საინტერესოა, რატომ კმაყოფილდება ადამიანი არაზუსტი განსაზღვრებით, როცა დავუშვათ, წითელ ცხვირზეა ლაპარაკი. არავის მოსდის აზრად, იკითხოს, მაინც რა ტონალობის წითელი იგულისხმება, იმ დროს, როცა ტალღების სიგრძის მიხედვით მისი გამოთვლა მიკრომილიმეტრული სიზუსტით აბსოლუტურად შესაძლებელია; შედარებით რთული მოვლენის დროს კი, როგორიცაა ქალაქი, სადაც ადამიანი იმყოფება, ყოველთვის ზუსტ განსაზღვრას ითხოვენ, რომელი ან როგორი ქალაქია. არადა, ეს ხომ მნიშვნელოვანიდან უმნიშვნელოსკენ ყურადღების გადატანას ნიშნავს.

მოდით, ნუ მივანიჭებთ ქალაქის სახელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ყველა დიდი ქალაქის მსგავსად, ისიც მოვლენათა და საგანთა უსისტემობისგან, ცვლილებებისგან შედგებოდა. საგნები და მოვლენები ერთმანეთს შორის სიჩუმის უძირო წერტილებით ხან წინ ისწრაფოდნენ და ხანაც ერთმანეთს ჩამორჩებოდნენ. სხვა დანარჩენი ქალაქების მსგავსად, ისიც გათელილი გზებით და უგზოობით, რიტმული ხმაურით და მარადიული უთანხმოებით იყო სავსე და საბოლოო ჯამში, იმ ჭურჭელში მოთუხთუხე წყლის ბუშტუკებს ჰგავდა, შენობების, კანონების, დადგენილებებისა და ტრადიციების გამძლე მასალისგან რომ არის შექმნილი. იმ ორს, ამ ქალაქის ფართო და ხმაურიან ქუჩას რომ მიუყვებოდა, ცხადია, ასეთი შთაბეჭდილება არ ჰქონია. ისინი, უდავოდ, საზოგადოების პრივილეგირებულ ფენას ეკუთვნოდნენ. მათ ტანსაცმელს, თავის დაჭერისა და ერთმანეთთან ურთიერთობის მანერას არისტოკრატიზმი ეტყობოდა, საცვლებზე ამოქარგულ ინიციალებს საკუთარი ღირსების სრული შეგნებით ატარებდნენ და ზუსტად ასევე, სხვის დასანახად კი არა, არამედ ცნობიერების ნატიფ საცვლებზე იმასაც შეატყობდით, რომ კარგად იცოდნენ, ვინც იყვნენ და რომ მათი ადგილი იმპერიის დედაქალაქში გახლდათ. თუ დავუშვებთ, რომ კაცს არნჰაიმი ერქვა, ქალს კი ერმელინდა ტუცი – რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან ქ-ნი ტუცი აგვისტოში ქმართან ერთად ბად აუსზეეში იმყოფებოდა, დოქტორი არნჰაიმი კი ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში იყო – მაშინ თავსატეხის წინაშე აღმოვჩნდებით და ბუნებრივად დაიბადება კითხვა, მაინც ვინ არიან ისინი. აქტიური ადამიანი

ასეთ კითხვებს ქუჩაში ხშირად ხვდება, და თუ მომდევნო ორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზე ვერ გაიხსენა, ეს ორი ადამიანი სად უნახავს, მათ უბრალოდ ივიწყებს და, ამგვარად, საკითხიც გადაწყვეტილია. მოულოდნელად წყვილი შეჩერდა, რადგან წინ შეკრებილი ხალხის ჩოჩქოლი შეამჩნია. მანამდე ერთი წუთით ადრე კი ხალხის რიგებიდან ირიბი მოძრაობით რაღაც გადმოხტა. ეს რაღაც, როგორც გაირკვა, სატვირთო მანქანა იყო, რომელმაც მკვეთრად დაამუხრუჭა, დატრიალდა, გვერდზე მოსრიალდა და ცალი ბორბლით ტროტუარის კიდეზე ახტა. თვალის დახამხამებაში ხალხი ერთი ბეწო ადგილის გარშემო შემოიკრიბა ისე, როგორც ფუტკარი დაეხვევა ხოლმე სკის საფრენს. იქ კი სატვირთო მანქანიდან გადმოსული მძღოლი იდგა, რომელსაც სახეზე ნაცრისფერი ედო და უხეში ჟესტიკულაციით ავარიის მიზეზის ახსნას ცდილობდა. ყველა მას უყურებდა, შემდეგ კი ფრთხილად ქვემოთ, სიღრმეში, იყურებოდნენ, სადაც ვიღაც, მკვდარივით, ტროტუარის კიდეზე დაესვენებინათ. თავისი დაუდევრობით მოუვიდა – ირწმუნებოდა ხალხი. ყველა რიგრიგობით იხრებოდა, პიჯაკს უხსნიდა ან უკრავდა, ცდილობდა, წამოეყენებინა ან დაეწვინა. კაცმა რომ თქვას, ყველას ერთი მიზანი ჰქონდა – შეევსო დრო, სანამ საქმის მცოდნე მაშველთა რაზმი მოვიდოდა.

ჯგუფად შეგროვილ ხალხს ქალბატონი და მისი თანმხლებიც მიუახლოვდნენ და მოხრილი ზურგებისა და თავების ზემოდან მსხვერპლის დანახვას შეეცადნენ, შემდეგ უკან დაიხიეს და შეყოვნდნენ. გულის კოვზთან ქალმა რაღაც უსიამოვნო იგრძნო, რაც, სრულიად სამართლიანად, თანაგრძნობად შეეძლო მიეღო. ეს იყო რაღაც გაუბედავი, ხელ-ფეხის შემბორკავი გრძნობა. კაცი ერთხანს დუმდა, შემდეგ კი ქალს მიმართა: – ამ მძიმე სატვირთო მანქანებს, რითაც აქ სარგებლობენ, მეტისმეტად გრძელი სამუხრუჭო გზა აქვთ.

ამ სიტყვებმა ქალს შვება მოჰგვარა და ყურადღებიანი მზერით მადლობა გადაუხადა. ეს გამოთქმა მანამდეც რამდენჯერმე გაეგო, მაგრამ სამუხრუჭო გზა რას ნიშნავდა, არ იცოდა და არც აინტერესებდა. მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ ნათქვამი ამ შემზარავ შემთხვევას რაღაც ჩარჩოში სვამდა, ტექნიკურ მოვლენად აქცევდა და მას უშუალოდ აღარ ეხებოდა. გაისმა სასწრაფო დახმარების მანქანის ყურისწამღები ხმა და მისმა გამოჩენამ მომლოდინეთ კმაყოფილება მოჰგვარა. დიდებული რამაა სოციალური მომსახურების დაწესებულებები!

დაზარალებული საკაცეზე დააწვინეს და მანქანისკენ წაიყვანეს. მის ირგვლივ ფორმის მსგავს ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი დაფუსფსებდა, მანქანა კი შიგნიდან, რამდენადაც მზერა სწვდებოდა, საავადმყოფოს პალატის მსგავსად მოწესრიგებული და სუფთა იყო. ეს ადგილი შეგეძლოთ სრულიად სამართლიანი გრძნობით დაგეტოვებინათ, რადგან ის, რაც მოხდა, კანონიერი და კანონზომიერი მოვლენა გახლდათ.

– ამერიკული სტატისტიკის თანახმად, – შენიშნა კაცმა, – ყოველწლიურად ავტოავარიის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 190 000-ია, დაზარალებულთა რიცხვი კი – 450 000.

– ფიქრობთ, რომ მკვდარია? – ჰკითხა ქალმა, რომელსაც გაუმართლებლად ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ რაღაც განსაკუთრებული მოვლენის მოწმე გახდა.

– იმედია, ცოცხალია, – უპასუხა კაცმა. – მანქანისკენ რომ მიჰყავდათ, ეტყობოდა, რომ ცოცხალი იყო.

2. უთვისებო კაცის სახლი და ბინა

ქუჩა, სადაც ეს პატარა უბედური შემთხვევა მოხდა, ერთი იმ გრძელი, მიხვეულ-მოხვეული სატრანსპორტო დინებათაგანი იყო, ქალაქის ცენტრიდან სხივისებურად რომ გამოედინება, გარეუბნებს გადაკვეთს და შემოგარენში ჩაედინება. ელეგანტური წყვილი ამ გზას ცოტათი რომ გაჰყოლოდა, რაღაც ისეთს იხილავდა, რაც მათ, უდავოდ, მოეწონებოდათ. ეს იყო მეთვრამეტე ან სულაც მეჩვიდმეტე საუკუნიდან ნაწილობრივ შემორჩენილი ბაღი და თუ მის რკინის გისოსებსაც ჩაუვლიდით, ხეებს შორის, საგულდაგულოდ გაკრეჭილი გაზონების ზემოთ, გარდასულ დროთა მოკლეფლიგელიან, ნადირობისთვის თუ სასიყვარულო თავგადასავლებისთვის აგებულ პატარა სასახლესაც დაინახავდით. უფრო სწორად, საყრდენი თაღები მეჩვიდმეტე საუკუნის იყო, პარკს და ზედა სართულს მეთვრამეტე საუკუნის იერი ჰქონდა, ფასადი კი მეცხრამეტე საუკუნეში განეახლებინათ და ცოტა გაეფუჭებინათ. საბოლოო ჯამში, სასახლეს ბუნდოვანი სახე ჰქონდა, იმ ფოტოებივით, გადაღების დროს აპარატი უცებ რომ გაინძრევა და გამოსახულება სიმკვეთრეს კარგავს. და მაინც მისი დანახვისას, არ შეიძლება, არ შემდგარიყავით და მოწონების შეძახილი არ აღმოგხდენოდათ. როცა ამ თეთრ

მომხიბვლელ შენობაში ფანჯრებს აღებდნენ, კეთილშობილურ სიჩუმეში სწავლულის ბინის წიგნებით დაფარულ კედლებსაც მოჰკრავდით თვალს.

ეს სახლი უთვისებო კაცს ეკუთვნოდა.

ის ერთ-ერთ ფანჯარასთან იდგა, ბაღის ნაზი სიმწვანიდან მოყავისფრო ქუჩას გაჰყურებდა და საათით ხელში, აგერ უკვე ათი წუთი იყო, მანქანებს, ეკიპაჟებს, ტრამვაებს და სიშორით გადადღაბნილ გამვლელთა სახეებს ითვლიდა, რომელთა თავბრუდამხვევი სისწრაფე მისი თვალის ბადურას ავსებდა. ცდილობდა, გამოეთვალა სიჩქარე, კუთხეები, მოძრავი მასის მამოძრავებელი ძალები, მზერას ელვისებური სისწრაფით რომ იტაცებდა, აყოვნებდა, ათავისუფლებდა, აიძულებდა, ყურადღება მიექცია, შემდეგ ისევ მოეწყვიტა და მომდევნო საგნისკენ მიემართა. მოკლედ, ზეპირად ანგარიშის შემდეგ მან ღიმილით ჩაიდო საათი ჯიბეში და მიხვდა, რომ თავს სისულელით ირთობდა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო ყურადღების აქეთ-იქით გადატანის, თვალის კუნთების მუშაობის, სულის რხევითი მოძრაობების და ყველა იმ მცდელობის გამოანგარიშება, რომელსაც ადამიანი ქუჩაში ხარჯავს, რათა ფეხზე დგომა შეძლოს, ალბათ, – ფიქრობდა იგი და თავშესაქცევად ამ წარმოუდგენელი ციფრის გამოანგარიშებას ცდილობდა, – ისეთ სიდიდეს მივიღებდით, რომელთან შედარებითაც ატლანტის ძალა, სამყაროს მხრებით საზიდად რომ სჭირდება, უმნიშვნელო გამოჩნდებოდა. ასე რომ, შეიძლება გამოვითვალოთ, რა დიდია ის სამუშაო, რომელსაც თუნდაც უსაქმური ადამიანი ასრულებს.

რადგან უთვისებო კაცი იმწუთას სწორედ ასეთი იყო.

და ის, ვინც საქმეს აკეთებს?

აქედან შეგვიძლია ორი დასკვნა გამოვიტანოთ.

მთელი დღე საქმით დაკავებული ობივატელის კუნთების მუშაობა საგრძნობლად აღემატება ათლეტის კუნთების მუშაობას, რომელიც დღეში ერთხელ უზარმაზარ წონას ეწევა. ეს ფიზიოლოგიურად დამტკიცებული ფაქტი გახლავთ; ასე რომ, პატარა ყოველდღიურ მცდელობათა საზოგადოებრივი ჯამი – იმის წყალობით, რომ ეს მონაცემები შეჯამებას ექვემდებარება – სამყაროს მეტ ენერგიას მატებს, ვიდრე საგმირო საქმეები, რომლებიც მასთან შედარებით მთაზე დიდი

რიხით შემოდებულ ქვიშის პაწაწინა მარცვალს ჰგავს. ეს აზრი მას დიდად მოეწონა. ისიც უნდა დავამატოთ, რომ ეს აზრი მას იმიტომ კი არ მოეწონა, რომ ობივატელური ყოფა უყვარდა. პირიქით: საკუთარი მიდრეკილებებისთვის, ოდესღაც სულ სხვაგვარი სახე რომ ჰქონდა, მას პრობლემების შექმნა მოსწონდა. იქნებ სწორედ ობივატელია ის, ვინც უჩვეულოდ ახლის, კოლექტიურის, ჭიანჭველისებური ჰეროიზმის დასაწყისს ჭვრეტს წინასწარ? ამას რაციონალიზებულ გმირობას უწოდებენ და ერთობ მოიწონებენ. ვის შეუძლია დღეს ამის ცოდნა?! 3 . უთვისებო კაცსაც ჰყავს თვისებების მქონე მამა

თავმომწონეობისა თუ იმის გამო, რომ ჩვეულებრივი სახლები სძულდა, უცხოეთიდან ახლად დაბრუნებულმა უთვისებო კაცმა ოდესღაც ქალაქის კარიბჭესთან მდებარე პატარა სასახლე დაიქირავა. სასახლე საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა, თუმცა ქალაქის ზრდასთან ერთად თავისი მნიშვნელობა დაეკარგა და გაძვირების მოლოდინში დღეს უკვე გამოუყენებელ, მიტოვებულ მიწის ნაკვეთად ქცეულიყო. შესაბამისად, იჯარაც დაბალი იყო, მაგრამ თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მისმა შეკეთებამ მოულოდნელად დიდი თანხა მოითხოვა. წამოწყებული ავანტიურა რომ დაესრულებინა, ულრიხი იძულებული გახდა, დახმარება მამისთვის ეთხოვა, რაც დიდად არ სიამოვნებდა, რადგან საკუთარი დამოუკიდებლობა ძალზე ძვირად უღირდა. ის ოცდათორმეტი წლის იყო, მამამისი კი – სამოცდაცხრისა.

მოხუცი შვილის უეცარ თავდასხმას არ აღუშფოთებია, თუმცა მიზეზად, შესაძლოა, ესეც დაესახელებინა კაცს, რადგან მას სძულდა წინდაუხედაობა; მიზეზი არც ის ხარჯი გახლდათ, რომელიც მას უნდა გაეღო; გულის სიღრმეში იწონებდა კიდეც შვილის გადაწყვეტილებას, რომელსაც საკუთარი ოჯახური მყუდროების შეძენისა და წესრიგის დამყარების მოთხოვნილება გასჩენოდა. მაგრამ სასახლე, დიდია თუ პატარა, მაინც სასახლეა და ამგვარი შენობის შეძენა მის გრძნობებს შეურაცხყოფდა, თანაც შვილის საქციელში იმგვარ თავხედობას ხედავდა, კარგს რომ არაფერს მოასწავებს.

თვითონ ჯერ კიდევ სტუდენტობისას დიდგვაროვანთა ოჯახებში მასწავლებლობით დაიწყო, რისთვისაც თავი არც მერე მიუნებებია, როცა უკვე ადვოკატის თანაშემწედ

დაინიშნა. მამამისი შეძლებული კაცი იყო და ამ საქმიანობისთვის გაჭირვების გამო არ მიუყვია ხელი.

ამ ურთიერთობებმა, რომელსაც ის ასე საგულდაგულოდ ინარჩუნებდა, კეთილი ნაყოფი მოგვიანებით გამოიღო, როცა ის უნივერსიტეტის დოცენტი და პროფესორი გახდა და თავისი ქვეყნის ფეოდალური არისტოკრატიის იურიდიულ კონსულტანტად დაინიშნა. ცხადია, კერძო გაკვეთილები აღარ სჭირდებოდა. ყმაწვილკაცობაში ამ გზით შეძენილ და მოწიფულობის ასაკში გაღრმავებულ ურთიერთობებს მაშინაც ინარჩუნებდა, როცა მისი ქონება რაინისპირელი მეწარმის საჩუქარს გაუტოლდა, რომელიც თავისი ვაჟიშვილის ნაადრევად გარდაცვლილ დედაზე ქორწინებამ მოუტანა. სახელოვანი მეცნიერი იურიდიულ საქმიანობას ჩამოსცილდა, მაგრამ დროდადრო მაღალანაზღაურებადი არბიტრის მოვალეობას მაინც ასრულებდა; თავის ყოფილ მფარველთა ცხოვრებაში მომხდარ ყველა მოვლენას საგულდაგულოდ ინიშნავდა და დაბადების დღეებს, ქორწილებსა თუ საგანგებო თარიღებს საერთო მოგონებებითა და ღრმა მოწიწებით გამსჭვალული წერილებით ულოცავდა. ასეთივე ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მათი შვილებისა და შვილიშვილების ცხოვრებას. მოკლე საპასუხო წერილებსაც პუნქტუალურად იღებდა, რითაც მისი კეთილისმყოფელები ძვირფასი მეგობრისა და სახელოვანი მეცნიერისადმი მადლიერებას გამოხატავდნენ. შვილი ახალგაზრდობიდანვე კარგად იცნობდა არისტოკრატულ ტალანტს, რომელსაც თითქმის არაცნობიერი, გამოზომილი ამპარტავნობა ახასიათებს, თავაზიანობის საზღვარს შეუმცდარი სიზუსტით ადგენს, და ყოველთვის აღიზიანებდა ცხენების, მამულებისა და ტრადიციების მფლობელთა წინაშე იმ კაცის მონური მორჩილება, რომელიც, რაც უნდა იყოს, სულიერი არისტოკრატიის წარმომადგენელია. მამამისი კი კარიერის გზაზე გულის კარნახით მოქმედებდა და არა ანგარებით და ბევრსაც მიაღწია. ის არა მარტო პროფესორი, მრავალი აკადემიის, სამეცნიერო თუ სახელმწიფო კომისიის წევრი გახდა, არამედ მისმა უდიდებულესობამ რაინდის ტიტულთან და უმაღლესი კავალერიის ორდენთან ერთად თავადობაც უბოძა, მანამდე კი ზედა პალატის წევრად დანიშნა. აქ იგი ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ფრთას მიემხრო, რომელიც ხანდახან არისტოკრატიას ოპოზიციაში უდგებოდა. საინტერესო ის გახლდათ, რომ მის დიდგვაროვან მფარველებს

ეს ფაქტი არც სწყინდათ და არც უკვირდათ, რადგან მასში მეამბოხე ბურჟუაზიის სულს ხედავდნენ. მოხუცი ენერგიულად მონაწილეობდა საკანონმდებლო კომისიათა საქმიანობაში და ყველაზე ხმაურიანი კენჭისყრის დროსაც კი, როცა ბურჟუაზიის მხარეს აღმოჩნდებოდა ხოლმე, მოწინააღმდეგე მხარე კი არ ბრაზობდა, არამედ ისე ეჭირა თავი, თითქოს უბრალოდ მისი მიწვევა დაავიწყდათო. პოლიტიკაშიც ზუსტად ისევე მოქმედებდა, როგორც თავის დროზე – საქმეში. ბრწყინვალე ცოდნისა და ტაქტიანი კრიტიკის უნარის შერწყმით იგი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მის ერთგულებაში ეჭვი არავის შეჰქონდა. შვილის მტკიცებით, კერძო მასწავლებლობიდან ზედა პალატის მასწავლებლობას ისე მიაღწია, რომ არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

სასახლის ამბავი რომ შეიტყო, იმ საზღვრის დარღვევად მიიჩნია, კანონით რომ არ არის დადგენილი, მაგრამ მით უფრო საგანგებო დაცვას იმსახურებს. ამის გამო შვილი ისეთი მწარე საყვედურებით აავსო, რომელმაც იმ უკმაყოფილებას გადააჭარბა, რაც მის მიმართ წინათაც არაერთხელ გამოუვლენია. მის საყვედურებში ყოველთვის იგრძნობოდა ავი დასასრულის წინასწარმეტყველება და თითქოს ახლა მისი წინასწარმეტყველება მართლდებოდა. მამამისი ამ ფაქტში საკუთარი ცხოვრების ძირითადი პრინციპის შელახვას ხედავდა. მისი პრინციპებისთვის უცხო იყო ანგარება და მრავალთა მსგავსად, ვისაც ცხოვრების გზაზე ბევრისთვის მიუღწევია, განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებოდა საზოგადო, ასე ვთქვათ, ზოგადსაკაცობრიო სიკეთეს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, გულწრფელი მოწიწებით ეპყრობოდა იმას, რაზეც ადამიანი საკუთარ უპირატესობას ამყარებს, ოღონდ საზოგადო საფუძვლებთან ჰარმონიაში. გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ამას ენიჭება. თვით წმინდა ჯიშის ძაღლიც კი ეძებს ადგილს სასადილო მაგიდის ქვეშ და წიხლებს ძაღლური მორჩილების გამო კი არა, ერთგულებისა და სიყვარულის გამო ითმენს. ცივი გონების ადამიანი იმის ნახევარსაც ვერ აღწევს, რასაც ის, ვისაც ადამიანთა და მათთვის სიკეთის მომტან გარემოებათა გულწრფელი სიყვარულის უნარი შესწევს.

ადამიანები, ჯერ რომ არ გაჩენილიყვნენ, არ მოინდომებდნენ

იმის დაჯერებას, რომ დრო მარტო დღეს კი არა, მაშინაც აქლემივით წინ მიიწევდა; უბრალოდ, არავინ იცოდა – საით. ისედაც ძნელი იყო იმის გარკვევა, რა იყო ზემოთ, ქვემოთ, წინ ან უკან... „როგორც გინდა, ისე მოიქეცი, – გაიფიქრა უთვისებო კაცმა და მხრები აიჩეჩა, – ძალთა ამ ორომტრიალში მნიშვნელობა აღარაფერს აქვს!“. შემდეგ იმ ადამიანივით მოტრიალდა, რომელმაც კარგად იცის, უარი როგორ თქვას – დიახ, ავადმყოფივით – საგარდერობო ოთახი გაიარა და იქ დაკიდებულ მოკრივის მსხალს ისე სწრაფად და ძლიერად დაარტყა, როგორც მორჩილი ან სუსტი ადამიანი ვერ შეძლებდა.

4. თუ რეალობის გრძნობა არსებობს, მაშასადამე, შესაძლებლობის გრძნობაც უნდა არსებობდეს

ვისაც ღია კარში იოლად გასვლა სურს, ის ფაქტიც უნდა გაითვალისწინოს, რომ კარს მყარი ჩარჩო აქვს. პრინციპი, რომლითაც მოხუცი პროფესორი ხელმძღვანელობდა, უბრალოდ რეალობის გრძნობით იყო ნაკარნახევი. თუკი რეალობის გრძნობა არსებობს და მისი არსებობის უფლებაში ეჭვს ვერავინ შეიტანს, მაშინ რაღაც ისეთიც უნდა არსებობდეს, რასაც შესაძლებლობის გრძნობას დავარქმევდით. ვისაც ეს გრძნობა აქვს, არ იტყვის, მაგალითად, აქ ეს და ეს მოხდა, მოხდება ან უნდა მოხდესო; პირიქით, ის ფანტაზიორობას დაიწყებს და იტყვის: აქ შეიძლებოდა, კარგი იქნებოდა ან უნდა მომხდარიყო. როცა მას რამეს უხსნიან და ეუბნებიან: ეს ასე და ასე არისო, მაშინ ის ფიქრობს: კი მაგრამ, ხომ შეიძლებოდა სხვაგვარადაც ყოფილიყო. ამგვარად, შესაძლებლობის გრძნობას ასე განვმარტავდით: ეს არის უნარი, იფიქრო ყველაფერზე, რაც შეიძლება მომხდარიყო და იმაზე მეტი მნიშვნელობა არ მიანიჭო იმას, რაც არის, ვიდრე იმას, რაც არ არის. ცხადია, ამგვარ შემოქმედებით უნარს, შესაძლოა, საგულისხმო შედეგები მოჰყვეს. არცთუ იშვიათად ეს შედეგები იმის სიყალბეს ავლენს, რაც ადამიანებს ასე აღაფრთოვანებს, აკრძალულს ნებადართულს ხდის, ან მათ არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ასეთი ადამიანები, როგორც იტყვიან, მიწას მოწყვეტილნი ოცნებათა ღრუბლებში ფრენენ. როცა ბავშვი ამგვარ მიდრეკილებებს ავლენს, მის ძირფესვიან აღმოფხვრას ცდილობენ და მისი თანდასწრებით ასეთ ადამიანებს ფანტაზიორებს, მეოცნებეებს, უნიათოებს, ჭკუისკოლოფებს და შარიანებს ეძახიან. თუ მათი შექება

განიზრახეს, ასეთ სულელებს იდეალისტებსაც უწოდებენ, თუმცა ეს თვისებები აშკარად მათ იმგვარ ნაირსახეობას გულისხმობენ, რომელსაც რეალობის წვდომის უნარი არ შესწევს და უსუსურობის გამო მას გვერდს უვლის. ასეთ შემთხვევაში რეალობის გრძნობის არქონა მართლაც რომ ნაკლია. შესაძლებელი თავის თავში მოიცავს არა მარტო სუსტი ნებისყოფის ადამიანთა ოცნებებს, არამედ მთვლემარე ღვთიურ ზრახვასაც. შესაძლებელი განცდა ან შესაძლებელი რეალობა თავისი ღირებულებით რეალურ განცდას და რეალობას არათუ არაფრით ჩამორჩება, არამედ თავის თავში ღვთაებრივ ცეცხლს, აღმაფრენას, აღმშენებლობით ნებასა და ცნობიერ უტოპიასაც ატარებს. ის არ უფრთხის რეალობას და მას, როგორც მიზანსა და გამოგონებას, ისე უდგება – ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიან მისი მიმდევრები. ბოლოს და ბოლოს არც დედამიწაა ისეთი ძველი და ნეტარ მდგომარეობაშიც ჯერ არასდროს ყოფილა. რეალობისა და შესაძლებლობის გრძნობების მქონე ადამიანების ერთმანეთისგან განსასხვავებლად, საკმარისია, რაღაც კონკრეტული რაოდენობის თანხა წარმოვიდგინოთ. ათასი მარკის შესაძლებლობა არ იცვლება იმის მიხედვით, ვართ თუ არა ამ თანხის მფლობელი. ის ფაქტი, ეს თანხა მე მაქვს თუ შენ, ისევე არაფერს მატებს მას, როგორც არაფერს შემატებდა რომელიმე ვარდს ან ქალს. სულელი ფულს ზანდუკში ინახავს, – ამბობენ რეალობის გრძნობის მქონე ადამიანები, – საქმიანი ადამიანი კი ამ ფულით რაღაცას ახერხებს. ანდა განა სადავოა ის, რომ ქალსაც შეუძლია საკუთარ სილამაზეს შემატოს ან დააკლოს რამე. საბოლოოდ კი მაინც ერთი და იგივე შესაძლებლობები რჩება, რომლებიც მანამ მეორდება, სანამ ვინმე ისეთი არ გამოჩნდება, ვისთვისაც რეალურ მოვლენას იმაზე მეტი მნიშვნელობა არ ექნება, ვიდრე შესაძლებელს. იგი ახალ შესაძლებლობას ახლებურ აზრს და მნიშვნელობას მიანიჭებს და გამოაფხიზლებს.

ასეთი ადამიანი, ცხადია, მარტივი მოვლენა არ გახლავთ. რადგან მისი იდეები ფუჭი ფანტომები კი არა, ჯერაც მთვლემარე რეალობაა, ცხადია, მას რეალობის გრძნობაც გააჩნია, თუმცა ეს მაინც შესაძლებელ რეალობათა გრძნობაა. ასეთი ადამიანი მიზანს გაცილებით გვიან აღწევს, ვიდრე ის, ვისაც რეალურ შესაძლებლობათა გრძნობა აქვს. ის, ასე ვთქვათ, ერთბაშად ითხოვს ტყეს იმ დროს, როცა სხვები ხეებს

სჯერდებიან; ტყე რაღაც ისეთია, რასაც ადვილად ვერ გამოხატავ, ხეები კი, მისგან განსხვავებით, გარკვეული ხარისხის ამდენ და ამდენ კუბურ მეტრ ხეტყეს წარმოადგენს. ეს აზრი, შესაძლოა, უკეთ ასეც გამოგვეხატა: ჩვეულებრივი რეალობის გრძნობის მქონე ადამიანი იმ თევზს ჰგავს, ანკესისკენ რომ მიიწევს და ძუას კი ვერ ამჩნევს, ხოლო იმ რეალობის გრძნობის მქონე ადამიანი, რომლისთვისაც შესაძლებლობათა გრძნობაც შეგვეძლო დაგვერქმია, ანკესს ექაჩება და თან წარმოდგენა არა აქვს, ჩამოცმულია თუ არა მასზე სატყუარა. ანკესზე წამოგებული სიცოცხლის მიმართ ამგვარი გასაოცარი გულგრილობა ახირებული ქცევის საფრთხეს ქმნის. არაპრაქტიკული ადამიანი – ის ასეთად კი არ გვეჩვენება, არამედ მართლაც ასეთია – საიმედო არ არის და მისგან ყველაფერს უნდა ელოდეთ. იგი ისეთ საქციელს ჩაიდენს, რასაც თავად სხვებისგან განსხვავებულ მნიშვნელობას მიანიჭებს და თავს იმით დაიმშვიდებს, რომ მისი იდეები განსაკუთრებულია. თანმიმდევრულობა დღეს მისთვის უცხოა. იოლად დასაშვებია, რომ მან სხვათათვის ზიანის მომტანი დანაშაული მარცხად მიიჩნიოს და დამნაშავედ სოციალური სტრუქტურა გამოაცხადოს. საინტერესოა, მისთვის გაწნულ სილასაც საზოგადოების სირცხვილად ან ძაღლის ნაკბენის უპიროვნო დანაშაულად ჩათვლიდა? ალბათ, ჯერ სილას სილითვე უპასუხებდა და შემდეგ დაასკვნიდა, ასე არ უნდა მოვქცეულიყავიო. მით უმეტეს, მისთვის შეყვარებული რომ წაერთმიათ, მოვლენათა ამგვარ განვითარებას დღეს თვალს ვერ მოუხუჭავდა და დანაკლისს ახალი, უეცარი გრძნობით ვერ აინაზღაურებდა. ჯერჯერობით განვითარება ამ გზით მიედინება და ცალკეული ადამიანისთვის ეს სისუსტის ნიშანიც არის და ძლიერებისაც.

თვისებების ფლობა იმ სიხარულსაც გულისხმობს, რასაც მისი რეალურად არსებობა იწვევს. ეს კი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ, რომ ის, ვისაც საკუთარი თავის მიმართ რეალობის გრძნობა არ გააჩნია, ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, უთვისებო კაცად მოგვევლინოს.

5. ულრიხი

უთვისებო კაცს, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ, ულრიხი ერქვა. ულრიხმა – არ არის სასიამოვნო, მუდამ სახელით მოიხსენიო ადამიანი, რომელსაც ხეირიანად არც კი

იცნობ, მაგრამ მამამისის გამო გვარს არ გავამხელთ – საკუთარი აზროვნების წესი პირველად სიყრმეში, პატრიოტიზმის თემაზე დავალებად მიცემულ სასკოლო თხზულებაში გამოავლინა. პატრიოტიზმი ავსტრიაში განსაკუთრებულ საკითხს წარმოადგენდა. გერმანელ ბავშვებს ასწავლიდნენ, სძულებოდათ ავსტრიელი ბავშვების ომები, იმასაც ეუბნებოდნენ, ფრანგი ბავშვები გამოფიტული, გადაგვარებული, გარყვნილი ადამიანების შვილიშვილები არიან და დიდწვერა გერმანელი ჯარისკაცების დანახვისას შეშინებულები მოკურცხლავდნენ ხოლმეო. იმავეს ასწავლიდნენ გამარჯვებულ ფრანგ, რუს და ინგლისელ ბავშვებს, ოღონდ შეცვლილი როლებით და სასურველი ცვლილებებით. ბავშვები ტრაბახები არიან, ომობანას თამაში უყვართ და მუდამ მზად არიან, X ქუჩაზე მცხოვრები Y ოჯახი – თანაც თუ ეს მათი ოჯახია – მსოფლიოში ყველაზე დიდ ოჯახად ჩათვალონ. ასე რომ, მათში პატრიოტული გრძნობების გაღვივება ადვილია. ავსტრიელებისთვის კი ეს ცოტა არ იყოს ჩახლართული თემაა: ისინი მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე ომებში კი იმარჯვებდნენ, მაგრამ ამ ომების შემდეგ ხშირად რამის დათმობა მაინც უხდებოდათ. ეს კი უამრავ ფიქრს აღძრავს და ულრიხმა ამის თაობაზე სასკოლო თხზულებაში შემდეგი აზრი გამოთქვა: ჭეშმარიტ პატრიოტს უფლება არა აქვს, თავისი სამშობლო ყველაზე უკეთესი ეგონოსო. საკუთარი გონების სიკაშკაშემ თვალი ისე მოსჭრა, რომ ვერც კი მიხვდა, რა შეიძლებოდა ამ ნათქვამს მოჰყოლოდა და ამ საეჭვო წინადადებას მეორეც მიაყოლა: ღმერთს თავისივე შექმნილი სამყაროს შესახებ, ალბათ, Conjunctivus potentialis ლაპარაკი ურჩევნია (hic dixerit quispiam – ეს კი საკამათო მოსაზრებაა), რადგან ღმერთი ქმნის სამყაროს და თან ფიქრობს, ხომ შეიძლებოდა ეს ყოველივე სხვაგვარადაც მომეწყოო. ეს წინადადება ულრიხს ძალზე ეამაყებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, აზრი საკმარისი სიცხადით ვერ გამოხატა, რადგან სკოლაში დიდი აურზაური ატყდა და ულრიხი კინაღამ სკოლიდან გარიცხეს კიდეც, თუმცა ვერანაირი დადგენილება ვერ მიიღეს, რადგან ვერ გადაეწყვიტათ, მისი ეს თავხედური განაცხადი ღვთის გმობად მიეჩნიათ თუ სამშობლოს შეურაცხყოფად. ამ პერიოდში იგი ტერეზიანული სათავადაზნაურო ლიცეუმის არისტოკრატიულ გიმნაზიაში სწავლობდა, სადაც ახალგაზრდებს სახელმწიფოს ძლიერების კეთილშობილ ბურჯებად ზრდიდნენ. მამის წინ მეტისმეტად

შორს მორბენალი კვიცის საქციელით აღშფოთებულმა მოხუცმა ულრიხი სამშობლოდან შორს, ბელგიის ერთ პატარა ინტერნატში გაამწესა. ინტერნატი მიყრუებულ ქალაქში მდებარეობდა, ჭკვიანური კომერციული ალღოთი იმართებოდა და გზასაცდენილი მოწაფეებისთვის დაკისრებული დიდი გადასახადების ხარჯზე სოლიდური კაპიტალიც დაეგროვებინა. სხვათა იდეალების სიძულვილი კიდევ უფრო ფართო, საერთაშორისო მასშტაბებით ულრიხმა სწორედ აქ ისწავლა.

მას შემდეგ თექვსმეტმა თუ ჩვიდმეტმა წელმა ცაზე გადავლილი ღრუბლებივით ჩაიარა. განვლილი ცხოვრება ულრიხს არც ენანებოდა და არც ეამაყებოდა, უბრალოდ 32 წლის გადასახედიდან გაკვირვებული გაჰყურებდა მას. ამასობაში სად აღარ იყო და რა აღარ ნახა, ხანდახან მოკლე ხნით სამშობლოშიც ბრუნდებოდა და ყველგან სასარგებლო და საჭირო საქმეს აკეთებდა. ერთხელ უკვე ვახსენეთ გაკვრით, რომ ის მათემატიკოსი იყო და ამაზე დიდხანს აღარ შევჩერდებით. ნებისმიერი სარბიელი, სადაც ადამიანი სიყვარულით მოღვაწეობს და არა ანგარებით, ბადებს ეჭვნარევ წუთს, როცა ის გრძნობს, რომ წლები არაფერს მატებს. ეს წუთი ულრიხის ცხოვრებაში დიდი ხნის წინ დამდგარიყო. მას გაახსენდა ის იდუმალი უნარი, რომელსაც სამშობლოს მიაწერდნენ, უნარი, რომელიც აზრებს მტკიცეს და ნოყიერს ხდის, და სამშობლოში საბოლოოდ დაბრუნებული იმ მგზავრს ჰგავდა, დიდი ხნით რომ ჯდება სკამზე, თუმცა გრძნობს, რომ მაშინვე უნდა წამოდგეს.

სახლის მოწყობამ მას ის გამოცდილება შესძინა, რაც ასე ეწადა. გაპარტახებული, არცთუ ისე დიდი სახლი მას თავისი ნება-სურვილისამებრ უნდა მოეწყო და ეს სიამოვნებას ჰგვრიდა. მის ხელთ არსებული ყველა პრინციპი თუ სტილი, დაწყებული ასირიულით და დამთავრებული კუბიზმით, გონების თვალით უნდა გადაესინჯა და რომელიმე მათგანი ამოერჩია. მაინც რომელზე უნდა შეეჩერებინა ყურადღება? თანამედროვე ადამიანი საავადმყოფოში იბადება და მის კედლებშივე კვდება. ასე რომ, მისი საცხოვრებელიც საავადმყოფოს უნდა ჰგავდეს! – სწორედ ასეთი იყო ერთ-ერთი მოწინავე არქიტექტორის მოწოდება. ინტერიერის მეორე რეფორმატორმა კი გასაწევი კედლების იდეა წამოაყენა და თავის მოსაზრებას იმით ასაბუთებდა, ადამიანებმა ურთიერთნდობაზე დამყარებული თანაცხოვრება უნდა ისწავლონ და არა სეპარატიულად

გამოიკეტონო. დგებოდა ახალი ეპოქა (თუმცა ყოველი ეპოქა ახალია), ახალი ეპოქა კი ახალ სტილს საჭიროებს. ულრიხის ბედად, სასახლეს სამნაირი სტილის კვალი ეტყობოდა, ასე რომ მართლაც შეუძლებელი იყო დროის ყველა მოთხოვნის გათვალისწინება. თუმცაღა ვერც ეს გარემოება უმსუბუქებდა იმ პასუხისმგებლობას, რაც მას ასე ძლიერ აფორიაქებდა და ხელოვნების ერთ-ერთ ჟურნალში ამოკითხული მუქარა: „მითხარი, როგორია შენი სახლი და გეტყვი, ვინ ხარ შენ“ თავიდან არ სცილდებოდა. ამგვარი ჟურნალების საგულდაგულო შესწავლის შემდეგ კი იმ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ საკუთარი სახლის მოწყობისთვის – რასაც იგი პიროვნულ პრობლემას უტოლებდა – თავადვე მოეკიდა ხელი და დასამზადებელი ავეჯის ესკიზები საკუთარი ხელით შექმნა. საკმარისი იყო, რამე შთამბეჭდავი, ვეებერთელა ფორმა მოეფიქრებინა და იქვე ახსენდებოდა, რომ მისი შეცვლა სულ იოლი იყო ტექნიკურად ძუნწი და ფუნქციურად გამართლებული ხერხებით; ხოლო როგორც კი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ფორმას გადაიტანდა ნახაზზე, რაც მის ენერგიას ასე ფიტავდა, მაშინვე ცამეტი წლის გოგონას ჰაეროვანი, გაზაფხულის ფორმები ახსენდებოდა და გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად მაშინვე ოცნებას მიეცემოდა ხოლმე.

ეს, ასე ვთქვათ, თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი იდეათა უთავბოლობა, მათი ცენტრის გარეშე გაფართოების ტენდენცია, რაც ამ ეპოქის უცნაური არითმეტიკის არსია – ასიდან ათასებში გადაზრდა, როცა მთლიანობა დარღვეულია – ულრიხს დიდად არ ადარდებდა. თანდათან ისეთი ინტერიერის შექმნა დაიწყო, განხორციელება რომ არ ეწერა: მბრუნავი ოთახები, კალეიდოსკოპური ავეჯი, სულის მაამებელი ტრანსფორმირებადი მოწყობილობები. მისი იდეები სულ უფრო და უფრო იცლებოდა შინაარსისგან. საბოლოოდ კი იმ წერტილამდე მივიდა, საითაც ასე ისწრაფოდა. მამამისი ასეთ შემთხვევაში, ალბათ, იტყოდა, კაცი რომ იმას აკეთებს, რაც მოეხასიათება, მალე კისერსაც წაიტეხს და ვეღარც მიხვდება, საერთოდ რა უნდაო. წინაპართა ამ სიბრძნეს ულრიხი განსაკუთრებული სიამოვნებით იმეორებდა, რადგან ამ გამონათქვამს მისთვის ახლებური შინაარსი შეეძინა. ადამიანის შესაძლებლობები, მისი გეგმები და გრძნობები ისე უნდა შეზღუდო ცრურწმენებით, ტრადიციებითა და

დაბრკოლებებით, როგორც გიჟი დამამშვიდებელი პერანგით, და მაშინღა შეიძენს მისი საქმე სიმტკიცეს, სიმწიფესა და ღირებულებას. ძნელია, ჩასწვდე ამგვარი მოსაზრების არსს. ასე რომ, სამშობლოში დაბრუნებულმა უთვისებო კაცმა მეორე ნაბიჯიც გადადგა, გარედან ნაკარნახებ გარემოებას დაემორჩილა და სახლის მოწყობის გეგმა მთლიანად მომწოდებელთა გენიას გადააბარა, ღრმად დარწმუნებულმა, რომ ტრადიციებზე, ცრურწმენებსა და შეზღუდვებზე ისინი იზრუნებდნენ. თავად კი მხოლოდ უწინდელი შტრიხები განაახლა, იქნებოდა ეს პატარა დარბაზის თეთრ თაღებქვეშ დაკიდებული ირმის ჩამუქებული რქები თუ სალონის ბრტყელი სახურავი. საერთო ჯამში კი სახლს ის დაამატა, რაც მიზანშეწონილად და კომფორტულად მიიჩნია.

როცა ყველაფერი დასრულდა, სრულიად სამართლიანად შეეძლო საკუთარი თავისთვის ეკითხა: მაშასადამე, ეს არის ის ცხოვრება, რასაც ჩემი სახელი უნდა დაერქვას? ულრიხი პატარა, თვალწარმტაცი სასახლის მფლობელი გახდა. სწორედაც რომ სასახლე შეგეძლოთ გეწოდებინათ მისი საცხოვრებლისთვის, რადგან დახვეწილი და გემოვნებიანი რეზიდენცია ისეთი გახლდათ, როგორსაც ავეჯის, ხალიჩებისა და ტექნიკური მომსახურების ფირმები ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლისთვის წარმოიდგენდნენ. სასახლეს საათის დაქოქვაღა აკლდა და მის შესასვლელთან სამეფო კარის წარჩინებულთა და კეთილშობილ ქალბატონთა კარეტები გაჩერდებოდნენ, კარეტის უკან სატერფულზე მდგომი ლაქიები ჩამოხტებოდნენ და ულრიხს უნდობელი მზერით ჰკითხავდნენ: „შენი ბატონი სად არის?“.

ზმანებათა სამყაროდან ძირს დაშვებული ულრიხი მალე იმავე სამყაროს ბინადარი გახდა.

6. ლეონა, ანუ პერსპექტივათა აღრევა

კაცი რომ სახლს მოიწყობს, უნდა იქორწინოს კიდეც. ულრიხის იმჟამინდელ მეგობარს, პატარა ვარიეტეს მომღერალს, ლეონტინა ერქვა. მაღალ, მოხდენილ და ჩასუქებულ ლეონტინას რაღაც გამაღიზიანებელი სიზანტე ჰქონდა. ულრიხი მას ლეონას ეძახდა.

ულრიხის ყურადღება მისმა წყლიანმა თვალებმა, მოგრძო პირისახისა და სწორი ნაკვთების ავადმყოფურად ვნებიანმა

გამომეტყველებამ მიიპყრო. მგრძნობიარე, ძველმოდური სიმღერებით იგი სიყვარულს, ერთგულებას, მიტოვებული ადამიანის მარტოობას, ტყეთა შრიალსა და მდინარეში კალმახის ელვარებას უმღეროდა. იდგა სცენაზე სულით ხორცამდე მარტოსული ლეონა და დიასახლისის ხმით მსმენელს მოთმინებით უმღეროდა. სასიმღერო ტექსტში შეპარული სულ მცირე უხამსობაც კი უსიცოცხლო ჟღერადობას იძენდა, რადგან ტრაგიკულსაც და ურცხვ გრძნობებსაც ეს გოგო ერთნაირი, საგულდაგულოდ დასწავლილი მოძრაობებით გამოხატავდა. მისმა სახემ ულრიხს ძველი ფოტოები თუ გარდასულ დროთა გერმანულ საოჯახო ჟურნალებში დაბეჭდილი ლამაზმანები გაახსენა. მის სახეს უფრო დაკვირვებით რომ შეხედა, ისეთი პატარ-პატარა ხაზებიც აღმოაჩინა, რომლებიც თითქოს ამ სახისთვის უცხო უნდა ყოფილიყო, თუმცა კი მაინც მის განუყრელ ნაწილად ქცეულიყო. ცხადია, ყველა ეპოქაში გვხვდება ყველანაირი სახე. ეპოქის გემოვნება რომელიმე მათგანს გამოარჩევს და მას ბედნიერებისა თუ სილამაზის სიმბოლოდ აქცევს, სხვა ყველა დანარჩენი სახე კი ცდილობს, მას დაემსგავსოს. თვით ყველაზე უშნოც კი ახერხებს, მოდისა და ვარცხნილობის წყალობით ამ სახის სილამაზეს მიუახლოვდეს, გარდა იმ უცნაური, წარმატებისთვის დაბადებული სახეებისა, წინა ეპოქის ყავლგასული სილამაზის იდეალს და დიდებულებას რომ ასხივებენ. სასიყვარულო გრიგალების დაუსაბამო სიცარიელეში ისინი წარსული ვნებისა თუ ჟინის გვამებივით დარიალებენ, და ლეონტინას სიმღერით გათანგული, მოწყენილობის უსასრულობაში ჩაძირული მამაკაცები ვერც კი მიმხვდარიყვნენ, რა ემართებოდათ – ნესტოები სულ სხვა გრძნობებით უთრთოდათ, ვიდრე „ტანგოს“ ვარცხნილობით დამშვენებული შანსონიეების მოსმენისას. ულრიხმა გადაწყვიტა, მისთვის ლეონა დაერქმია, რადგან მისი დაუფლების ისეთმა ჟინმა აიტანა, ჭონის მიერ დამუშავებული ლომის დიდი ტყავის ხელში ჩაგდების სურვილი რომ უჩენს კაცს. მათი ნაცნობობის შემდეგ ლეონამ ეპოქისთვის შეუსაბამო, დიდი ხნის წინ მოდიდან გადასული მანკიერი თვისება გამოავლინა: ის წარმოუდგენლად ბევრს ჭამდა. მისი ამ გაუმაძღრობის მიზეზი კი ღარიბი ბავშვის ნუგბარისადმი ლტოლვის გამოთავისუფლებული ჟინი გახლდათ, რომელსაც ბოლოს და ბოლოს გალიისთვის თავი დაეღწია და ახლა გამარჯვებას ზეიმობდა. მამამისი, როგორც ჩანს, პატიოსანი,

წვრილი ბურჟუა იყო და შვილს ცემით სჯიდა, თუკი თაყვანისმცემელთან დაინახავდა. თაყვანისმცემლები კი მას ერთადერთი მიზეზით აინტერესებდა: რომელიმე პატარა საკონდიტროს ბაღში მჯდარიყო, ნაყინით დამტკბარიყო და გამვლელები დინჯად ეთვალიერებინა. ვერ იტყოდი, რომ მგრძნობიარობა აკლდა, მაგრამ ამ საკითხში ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენში, სიზარმაცეს იჩენდა. მაინცდამაინც არც თავის შეწუხება ეხალისებოდა და წარმოუდგენლად დიდი დრო იყო საჭირო, რომ აღმგზნებ ფაქტორს მისი ვეებერთელა სხეულიდან ტვინამდე მიეღწია. ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ შუადღისას თვალები სრულიად უმიზეზოდ ვნებიანად ენამებოდა, ღამით კი უმოძრაოდ იწვა და თვალი ჭერზე რაღაც წერტილისთვის მიეშტერებინა, თითქოს ბუზს აკვირდებაო, ანდა უცებ რამდენიმე დღის წინ გაგონილი ანეკდოტი ახსენდებოდა, მის აზრს მაშინღა ხვდებოდა და სიჩუმეში სიცილს ატეხდა ხოლმე. თუ საპირისპირო სქესი რამე განსაკუთრებულ მიზეზს არ მისცემდა, წესიერადაც ეჭირა თავი. ტყუილად ეცდებოდით იმის გარკვევას, როგორ მოხვდა ვარიეტეში. ეტყობა, თვითონაც აღარ ახსოვდა. ჩანდა, რომ მომღერლობას თავისი ცხოვრების განუყრელ ნაწილად მიიჩნევდა და ყოველივე ამაღლებულს, რაც ხელოვნებისა და ხელოვანთა შესახებ სმენოდა, მას უკავშირებდა. ამგვარად, ყოველ საღამოს სიგარეტის კვამლით გაბოლილ პატარა სცენაზე სიმღერა აღმზრდელობითი თვალსაზრისითაც გამართლებულად მიაჩნდა, კეთილშობილურ საქმიანობადაც და ვერც ამ სიმღერების გულისგამგმირავ ზემოქმედებაში შეიტანდა კაცი ეჭვს. დროდადრო სასიმღერო ტექსტებში შეპარული უხამსობა, ბუნებრივია, არ აფრთხობდა, წესიერების გამოსაცოცხლებლად მათ აუცილებლობადაც კი მიიჩნევდა და გულწრფელად სჯეროდა, რომ სამეფო ოპერის პრიმა მომღერალიც ზუსტად მასავით იქცეოდა.

თუ პროსტიტუციად იმას ჩავთვლით, რომ ადამიანი სხეულს ყიდის და არა სულს, მაშინ ლეონა ზოგჯერ მეძავობდა კიდეც. როცა თექვსმეტი წლის ასაკიდან მოყოლებული ცხრა წლის მანძილზე ყველაზე იაფფასიანი კლუბის სცენაზე შოულობ ყოველდღიური ლუკმაპურის ფულს, თავში სულ თეთრეულისა და ტანსაცმლის შესაძენი ფული გიტრიალებს, სახლის ძუნწ და თავნება მეპატრონესთან გაქვს საქმე, როცა მეზობელ სასტუმროში შეზარხოშებულ სტუმრებთან

გატარებული ღამისა და სასმელ-საჭმლის პროცენტიც შენი გადასახადია, ამაზე ჩხუბიც გიწევს და კომერციული გამჭრიახობაც არ უნდა გღალატობდეს, მაშინ ის, რაც პროფანებისთვის თავაშვებული ღრეობაა, შენთვის უკვე პროფესიად იქცევა და ეს სავსებით ლოგიკური და მიზანშეწონილია. პროსტიტუცია ხომ ისეთი რამ არის, რასაც შეიძლება სხვადასხვა სახელი დაერქვას, გააჩნია, საიდან შეხედავ – ზემოდან თუ ქვემოდან.

სექსუალურ საკითხებზე ლეონას სავსებით ობიექტური მოსაზრება ჰქონდა, თუმცა თავისებური რომანტიკაც არ აკლდა. ერთი ეს არის, ეგზალტაციას, პატივმოყვარეობას, უთავბოლო მხარჯველობას, სიამაყეს, შურს, ავხორცობას, ავყიობას, თავდადების სურვილს, მოკლედ, პიროვნებისა და საზოგადოების წარმატების მამოძრავებელ იმპულსებს გულს კი არ უკავშირებდა, არამედ tractus abdominalis-ს – საჭმლის მონელების პროცესებს. სხვათა შორის, როგორც წესი, ამ გრძნობებს ძველ დროშიც ამასვე უკავშირებდნენ, დღეს კი ეს კავშირი პრიმიტიულ ტომებსა და მდაბიოებში შეიმჩნევა, როცა ისინი თავაშვებულ ღრეობას მიეცემიან ხოლმე მთელი თავისი თანმხლები მოვლენებით. სუფრასთან მოლხენისას საზეიმოდ გამომძღარ ადამიანს კეთილშობილურ და არა მარტო კეთილშობილურ გრძნობათა გამოვლენა სჩვევია. კაფეშანტანის მაგიდებთან ლეონა თავის მოვალეობას ასრულებდა და თან ისეთ თაყვანისმცემელზე ოცნებობდა, ამ მოვალეობისგან რომ გაათავისუფლებდა და მაღალი წრის ქალბატონის შთამბეჭდავ პოზაში შთამბეჭდავი რესტორნის შთამბეჭდავ მაგიდას მიუსვამდა; ისიც ყველა კერძს ერთბაშად გასინჯავდა და რაღაც ავადმყოფური კმაყოფილებით, ყველას დასანახად, დახვეწილი მენიუს შერჩევით მოიწონებდა თავს. მისი ფანტაზია მხოლოდ დესერტის მირთმევისასღა პოულობდა გასაქანს და როგორც წესი, დესერტი მეორე, ოღონდ პირუკუ თანმიმდევრობით, ბარაქიან ვახშმად გადაიქცეოდა ხოლმე. უშაქრო ყავითა და სასმელების მასტიმულირებელი რაოდენობით ტევადობას კვლავ აღიდგენდა და სიურპრიზებით თავს იქამდე იღიზიანებდა, სანამ ვნებას არ დაიცხრობდა. ნუგბარებით გამოტენილი მისი სხეული გასკდომის პირას იყო. მერე კი სახეგაბადრული ზანტად მიმოიხედავდა და ახლახან მირთმეული დელიკატესების რეტროსპექტიული ჭვრეტით აღძრულ

მოსაზრებებს გამოთქვამდა. ისე კი სხვა დროს დიდი ენაწყლიანობით არ გამოირჩეოდა, „Polmone à la Torlogna“ -ს და „ვაშლებს à la Melville“-ს იმ ადამიანივით წარმოთქვამდა, სასხვათაშორისო დაუდევრობით რომ მოიხსენიებს ხოლმე თავადთან ან ლორდთან საუბარს.

საზოგადოებაში მასთან ერთად გამოჩენა ულრიხის გემოვნებას ვერ აკმაყოფილებდა და ამიტომ, როგორც წესი, მის გამოკვებას სახლში ამჯობინებდა. ლეონას კი ირმის რქებისა და დახვეწილი ავეჯის გარემოცვაში ნადიმის მოწყობა ძლიერ უყვარდა, თუმცა სოციალურ ამბიციებს ამ გზით ვერ იკმაყოფილებდა. როცა უთვისებო კაცი მის მარტოსულ წრეგადასულობას გაუგონარი რაოდენობის ხორაგით აღაგზნებდა, ლეონა იმ ქალივით შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, რომელიც გრძნობს, რომ სხეულის გამო უყვართ. ის ლამაზი იყო, თანაც მომღერალი და დასამალი არაფერი ჰქონდა, რასაც ყოველ საღამოს ათეულობით მამაკაცში აღძრული მისი დაუფლების ჟინი ადასტურებდა. ეს კაცი კი, თუმცა მასთან განმარტოების სურვილი გასჩენოდა, იმის თქმასაც კი ვერ ახერხებდა: „ღმერთო ჩემო, ლეონა, შენი ტ...ი ნამდვილი ნეტარებაა!“ და არც ტუჩებს ილოკავდა ვნებამორეული, რასაც ლეონა ასე დასჩვეოდა თაყვანისმცემლებისგან. ლეონას, ცოტა არ იყოს, სძულდა კიდეც ულრიხი, მაგრამ მისდამი ერთგულებას მაინც ინარჩუნებდა და ულრიხმა ეს იცოდა. ისიც მშვენივრად იცოდა, რა უნდა ეთქვა ლეონასთვის, მაგრამ ის დრო, როცა ჯერ კიდევ ულვაშდამშვენებულ მის პირს შეეძლო მსგავსი რამ წარმოეთქვა, დიდი ხანია, უკვე წარსულს ჩაბარებოდა. როცა იმასაც ვეღარ ახერხებ, რაც უწინ ასე იოლად შეგეძლო – თუნდაც სისულელეს – დამბლადაცემულივით გრძნობ თავს. გაშტერებული შეჰყურებდა თავის მეგობარს, რომელიც ამდენ ჭამა-სმას გაებრუებინა. შეგეძლოთ, მისი სილამაზე განყენებულად წარმოგედგინათ და ეს მაშინ იმ ჰერცოგინიას სილამაზე იქნებოდა, შეფელის ეკეჰარდმა მონასტრიდან რომ გამოიყვანა, ან იმ მხედარი ქალისა, ხელთათმნიან ხელზე შევარდენი რომ უზის, ან თმის მძიმე ტევრით დამშვენებული, აწ უკვე გარდაცვლილთა მომნუსხველი ლეგენდარული დედოფლის ელიზაბეტისა. უფრო ზუსტად: მისი სილამაზე ღვთაებრივ იუნონას გაგახსენებდათ, მაგრამ არა მარადიულსა და წარუხოცელს, არამედ იმას, რასაც გარდასული თუ წარმავალი ეპოქა ამ

ღვთაების სახელს უკავშირებს. ასე რომ, ყოფიერების ოცნება მისსავე სხეულს ფომფლოდ შემოხვეოდა. ლეონამ იცოდა, როცა მაღალი წრისგან მოწვევას მიიღებ, ვალში არ უნდა დარჩე, თუნდაც მასპინძელი საზღაურს არ ითხოვდეს, და მხოლოდ შენი ცქერით არ უნდა დაატკბო. როგორც კი ფეხზე წამოდგომის უნარი უბრუნდებოდა, დუნედ, მაგრამ ხმამაღლა იწყებდა სიმღერას. ასეთი საღამოები კი მის მეგობარს იდეებითა და აზრებით გაცოცხლებულ, მაგრამ მაინც ამოხეულ ფურცელს აგონებდა, უსიცოცხლოს, როგორც ყოველივეს, კონტექსტიდან ამოგლეჯილს, მუმიად ქცეულს, სამარადჟამოდ გახევებულს, ცოცხალი სურათ-ხატების საზარელი ხიბლით სავსეს, თითქოს მასზე ბანგით გაბრუებული სიცოცხლე ასვენიაო, სიცოცხლე მკვეთრი კონტურებითა და შინაგანი აზრით, თუმცა საბოლოოდ მაინც შემზარავ უაზრობად ქცეული.

7. სისუსტის გამოვლენის დროს ულრიხი ახალ საყვარელს იჩენს

ერთ დილას ულრიხი სახლში ნაცემი დაბრუნდა. ტანსაცმელშემოხეულმა გატეხილ თავზე ცივი საფენები დაიდო და ლოგინში ჩაწვა. ჯიბეში აღარც ფული ედო და აღარც საათი. ვერ იხსენებდა, იმ სამმა კაცმა წაართვა, ვისთანაც იჩხუბა, თუ რომელიმე ჩუმმა თანამოძმემ, სანამ უგონოდ ეგდო ქვაფენილზე. როგორც კი შვება იგრძნო და თავი სამშვიდობოს დაიგულა, ეცადა, მომხდარი გაეხსენებინა.

თვალწინ მაშინვე ის სამი სახე ამოუტივტივდა. ეტყობა, ფიქრებში გართული გვიან ღამით რომელიღაც უკაცრიელ ქუჩაზე ამ სამ კაცს გადაეყარა და სანამ რამეს მიხვდებოდა, ლამპიონების შუქზე უკვე მათი ბოღმით არეული სახეებიც დაინახა. შეცდომაც სწორედ აქ დაუშვა. იმის მაგივრად, რომ ვითომ შეშინებული განზე გამხტარიყო, უკან მდგარ კაცს ზურგით დასჯახებოდა ან მუცელში იდაყვი ჩაერტყა და ხელიდან დასხლტომოდა – აბა, სამ ღონიერ კაცთან ჩხუბს რა აზრი ჰქონდა – შეყოვნდა. ეს უკვე მისი ასაკის ბრალი იყო. ამ ასაკში მტრობასაც და სიყვარულსაც მეტი დრო სჭირდება. ვერ დაიჯერა, რომ ამ ბოღმიან და სიძულვილით სავსე სახეებს მისი ფული ამოეღოთ ნიშანში. როცა ეს გარეწრები უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ, რატომღაც იფიქრა, იქნებ გარეწრები კი არა, ჩემსავით ჩვეულებრივი, ოღონდ შექეიფიანებული

მოქალაქეები არიან, გამვლელებს რომ ეტორღიალებიან და ჭექა-ქუხილის მსგავსად მზად არიან, ბრაზი ნებისმიერს დაატეხონ თავსო. რა მოხდა მერე, ასეთი სურვილი ხანდახან თვითონაც ხომ გასჩენია. უამრავი ადამიანი უპირისპირდება დღეს ერთმანეთს ან ერთად – სხვა დანარჩენთ. განსხვავებული წრის ადამიანისადმი მტრობა კულტურის ძირითადი ნიშანია. არასრულფასოვან არსებად მარტო გერმანელი კი არ მიიჩნევს ებრაელს, არამედ, მაგალითად, ფეხბურთელი – პიანისტს და ა. შ. ბოლოს და ბოლოს, ყველა საგანს ხომ საკუთარი საზღვრები და, ამდენად, გარემოსადმი გაწეული მეტ-ნაკლებად მტრული წინააღმდეგობა იცავს. პაპი რომ არა, ლუთერი ხომ არ იარსებებდა, ან წარმართი რომ არა – პაპი. ამიტომაც ძნელია, უარყო ის მოსაზრება, რომ მოყვასისადმი ადამიანის ერთგულების არსი მისდამი მტრობაშივეა. იმწუთას ქუჩაში დაახლოებით ასე ფიქრობდა. ის კარგად იცნობდა ჩვენი ეპოქისათვის ასე დამახასიათებელ ატმოსფეროში მოდებულ მტრობას, და თუ ეს მტრობა უცებ სამ უცნობში შესქელდა, თავს ჭექა-ქუხილივით დაგატყდა და შემდეგ სამუდამოდ გაუჩინარდა, დიდი შვებაა.

როგორც ჩანს, სამი გარეწრის პირისპირ მდგარი ულრიხი უფრო დიდხანს ფიქრობდა, ვიდრე საჭირო იყო. პირველ თავდამსხმელს მუშტი ნიკაპში ამოარტყა და გვერდზე მოისროლა. იმ მეორესაც მაშინვე უნდა გასწორებოდა, მაგრამ უკნიდან თავში რაღაც მძიმე საგანი ჩაარტყეს და კინაღამ თავი გაუსკდა. უცებ მუხლები მოეკვეთა, მაგრამ უცბადვე სხეულის არაბუნებრივად მსუბუქი მოძრაობით წელში გაიმართა და უცხო სხეულებს მუშტები გამეტებით დაუშინა. ბოლოს კი ძირს დაენარცხა. როცა დაშვებული შეცდომის მიზეზი დაადგინა და მიხვდა, რომ ეს მისი სპორტული უნიათობის ბრალი იყო, მშვიდად ჩაეძინა. მას ჯერ კიდევ საღი ნერვული სისტემა ჰქონდა და დავიწყების მორევში სიხარულით გადაეშვა.

გამოღვიძების შემდეგ დარწმუნდა, რომ უმნიშვნელოდ დაშავებულიყო და მომხდარი კიდევ ერთხელ გაიხსენა. ჩხუბი ყოველთვის უსიამოვნო გრძნობას ტოვებს, რომელსაც, ასე ვთქვათ, წინდაუხედავი ინტიმურობის გემო დაჰკრავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩხუბი თავად არ წამოუწყია, მაინც ისეთი გრძნობა დარჩა, რომ შეუფერებლად მოიქცა. რასთან შედარებით შეუფერებლად? ზედ იმ ქუჩასთან, სადაც ყოველ ას

ნაბიჯზე კანონის უმნიშვნელო დარღვევაც კი პოლიციელის მიერ მკაცრად ისჯება, ვიღაც ჯუნგლის კანონით მოქმედებს. კაცთა მოდგმამ შექმნა ბიბლია და იარაღი, ტუბერკულოზი და ტუბერკულინი. ის დემოკრატიულიცაა, ჰყავს მეფეები და არისტოკრატია, აშენებს ეკლესიებს და ეკლესიასთან დაპირისპირებულ უნივერსიტეტებს, მონასტრებს ყაზარმებად აქცევს და იქ სასულიერო პირებს გზავნის. რა თქმა უნდა, მოყვასის სხეულის დასასახიჩრებლად ხულიგნებს ტყვიანარევ რეზინის ხელჯოხებსაც აჭერინებს და იქვე მარტოსულ და ნაგვემ სხეულებს ბუმბულს უმზადებს, სწორედ ისე, როგორც ახლა ულრიხი იყო გარემოცული თითქოს მოკრძალებული პატივისცემითა და ყურადღებით. ცხოვრება ხომ ასეთია – წინააღმდეგობრივი, არათანმიმდევრული და არასრულფასოვანი, რაზეც ზოგს ეღიმება, ზოგს კი – არა. ულრიხი ასეთი არ იყო. მას სძულდა, როცა ბრმა სიყვარულსა და მორჩილებას ავლენდნენ და ცხოვრების წინააღმდეგობრივ, ნაკლულ ბუნებას ისევე ეგუებოდნენ, როგორც მოხუცი შინაბერა ახალგაზრდა ხეპრე ნათესავს.

საწოლიდან მაშინვე არ წამომხტარა. კაცთა მოუწესრიგებელი საქმეების წყალობით საწოლში ყოფნით ხეირი ნახა. როცა დეზერტირობ და პირად ცხოვრებაში გაქცევით შველი თავს, ბოროტებას თავს არიდებ და სიკეთეს სჩადიხარ იმის ნაცვლად, რომ საერთო წესრიგისთვის იზრუნო, რაღაც თვალსაზრისით ეს სინდისთან ნაჩქარევ გარიგებას ჰგავს. უნებლიეთ შეძენილი გამოცდილების შემდეგ ულრიხი მიხვდა, რომ იარაღის მოსპობით, მეფეთა ჩამოგდებით, დიდი თუ პატარა პროგრესით სიბრიყვისა და ბოროტების შემცირებას დიდი არაფერი აზრი აქვს, რადგან მათ ადგილს იმწამსვე ახალი სისაძაგლე და უკეთურება დაისაკუთრებს, თითქოს სამყაროს ცალი ფეხი სულ უკან რჩება, როცა მეორე ფეხით წინ ადგამს ნაბიჯს. ამიტომ მიზეზისა და საიდუმლო მექანიზმის შეცნობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე მოძველებული პრინციპებით სიკეთის ქმნას და მორალურადაც ამ გზაზე ყოველდღიურ გმირობას გენერალურ შტაბში სამსახურს ამჯობინებდა.

ულრიხი შეეცადა, ღამის თავგადასავალი და მისი გაგრძელება კიდევ ერთხელ წარმოედგინა. ჩავლილი მარცხის შემდეგ გონს რომ მოეგო, ტროტუართან გაჩერებული მანქანა შეამჩნია. მძღოლი დაშავებულის ფეხზე წამოყენებას ცდილობდა,

უცნობი ქალბატონი კი მისკენ დახრილიყო და ანგელოზის გამომეტყველებით დასცქეროდა. დავიწყების ბურუსიდან გამოფხიზლებული ცნობიერება გარემოს საბავშვო წიგნებში აღწერილ სამყაროსავით აღიქვამს. შემდეგ კი მალევე მის ადგილს რეალობა იკავებს. უცნობი ქალის მზრუნველი სახის დანახვამ პირზე შეშხეფებული ოდეკოლონივით გამოაფხიზლა. მიხვდა, რომ სერიოზულად არ დაშავებულიყო. შეეცადა, ფეხზე მოხდენილად წამომდგარიყო, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. ქალმა პირველადი დახმარების აღმოჩენა შესთავაზა. ულრიხმა სახლში წაყვანა ითხოვა, თან ისეთი დაბნეული და უმწეო ჩანდა, რომ ქალი დათანხმდა. როგორც კი მანქანაში ჩაჯდა, მაშინვე ძალა მოიკრიბა. დედობრივი მზრუნველობის გვერდით ახლა, როცა ისევ მამაკაცად იგრძნო თავი, იდეალიზმის ფაფუკ ღრუბლებში ყინულის კრისტალებად ქცეული ეჭვი და წინდაუხედავი საქციელის შიში გაუჩნდა, რომელიც ფაფუკი ფანტელებივით ავსებდა ჰაერს. ქალი მასზე ოდნავ ახალგაზრდა იყო, ალბათ, 30 წლისა. ულრიხი მომხდარის შესახებ უყვებოდა, რამაც ქალი აღაშფოთა და ადამიანთა სისასტიკის გამო გულის წუხილი გამოხატა.

ულრიხი ენერგიულად იცავდა მომხდარს და გაოცებულ ქალს უხსნიდა, ბრძოლა შედეგების მიხედვით არ უნდა შეფასდესო. ბრძოლის მომხიბვლელობა იმაში მდგომარეობს, რომ უმოკლეს დროში გასაოცარი სისწრაფით უამრავი განსხვავებული, თუმცა მაინც ერთმანეთთან შეთანხმებული მოძრაობის ენერგიული შესრულება გიწევს და შეუძლებელია გონებით მათი კონტროლიო. ყველა სპორტსმენმა იცის, შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე ვარჯიში იმ ერთადერთი მიზეზით უნდა შეწყვიტოს, რომ კუნთებმა და ნერვებმა ნებელობის, განზრახვისა და გონების ჩაურევლად ერთმანეთთან სრული თანხმობა დაამყარონო. მოქმედების დრო რომ დგება, – აგრძელებდა ულრიხი, – კუნთები და ნერვები იძაბება და ხარზე შემომჯდარ ევროპასავით ადამიანზე იერიში მიაქვს. სხეულს, სულს და ნებელობას, გარე სამყაროსგან იურიდიულად გამიჯნულ მთლიანობას, იგი მხოლოდ ზედაპირულად იპყრობს და თუ, საუბედუროდ, წყვდიადში განსჯის სულ მცირედმა სხივმაც კი შეაღწია, მაშინ, როგორც წესი, ყველა ქმედება მარცხით მთავრდებაო. ულრიხი გატაცებით ლაპარაკობდა. არსებითად, – ამტკიცებდა იგი, – ეს ფენომენი ყველა რელიგიის მისტიკოსთათვის კარგად ნაცნობი,

თუმცა უკვე დაკარგული ფენომენია, მარადიულ მოთხოვნილებათა გარკვეულწილად თანამედროვე ჩანაცვლება, ცუდი, მაგრამ მაინც ჩანაცვლებაო. კრივი და სპორტის ამგვარი სახეობები ამ ფენომენს რაციონალურ სისტემად აყალიბებს. ეს ერთგვარი თეოლოგიაა და ამის აღიარებას ყველას ვერ მოსთხოვო.

თანამგზავრს ასე გატაცებით იმიტომ ელაპარაკებოდა, რომ პატივმოყვარე სურვილი არ ასვენებდა, როგორმე ქალისთვის გადაევიწყებინა, რა საბრალო მდგომარეობაშიც ნახა. მას კი ვერ გაერკვია, ულრიხის ლაპარაკი სერიოზულად მიეღო თუ ხუმრობად. ყოველ შემთხვევაში, თეოლოგიის სპორტის მეშვეობით ახსნა აბსოლუტურად ბუნებრივად მიიჩნია. ეს მისთვის საინტერესოც იყო, რადგან სპორტი ხომ თანამედროვე ფენომენია, თეოლოგია კი, მისგან განსხვავებით, რაღაც ისეთი, რისაც, ეკლესიების სიმრავლის მიუხედავად, არავის არაფერი გაეგება. ასე იყო თუ ისე, ქალი თვლიდა, რომ ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით შესანიშნავი ადამიანის გადარჩენა შეძლო და თავისთვის ფიქრობდა, ნეტავი ტვინის შერყევა ხომ არ დაემართაო. ულრიხს უნდოდა, საუბარი უფრო გასაგები გაეხადა, ამიტომ შემთხვევით ისარგებლა და ნათქვამს მიაყოლა, სიყვარული თავისი ბუნებით რელიგიური და საშიში ფენომენია, რადგან ადამიანს გონებას უმღვრევს და ფეხქვეშ საყრდენს აცლისო.

– სწორია, – მიუგო ქალმა, – მაგრამ სპორტი ისეთი უხეშია...

– ცხადია, – ნაჩქარევად დაეთანხმა ულრიხი, – სპორტი უხეშია, შეიძლება ითქვას, შეჯიბრების ყველა მონაწილეზე თანაბრად გადანაწილებული საყოველთაო სიძულვილის ნალექია. ისე კი, ცხადია, სულ სხვა რამეს ირწმუნებიან: სპორტი ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს, ამეგობრებს და ასე შემდეგო. სინამდვილეში კი ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სიყვარული და უხეშობა იმაზე შორს როდია ერთმანეთისგან, ვიდრე დიდი, ჭრელი, მუნჯი ფრინველის ფრთები.

ულრიხმა აქცენტი ფრთებზე, ჭრელ და მუნჯ ფრინველზე გააკეთა. ეს იყო აზრი მნიშვნელობის გარეშე, მაგრამ უჩვეულოდ მგრძნობიარე, სწორედ ისეთი, როგორითაც ცხოვრება თავის ვეებერთელა სხეულში ურთიერთმოქიშპე დაპირისპირებულ ვნებებს აცხრობს. შეამჩნია, რომ მისი ნათქვამიდან ქალმა ვერაფერი გაიგო და მაინც ულრიხმა კიდევ

უფრო ცხადად იგრძნო ფაფუკი ფანტელების სინაზე. შემდეგ მთელი ტანით მისკენ მიბრუნდა და ჰკითხა, სხეულზე ლაპარაკი უსიამოვნო გრძნობას ხომ არ გიჩენთო. თუმცა ამგვარი საკითხები ახლა მოდაშია, და ეს საშინელებაა, რადგან სხეული, თუ ის კარგად ნავარჯიშევია, უპირატესობას იგდებს ხელში და ავტომატური მოძრაობით ყველა სახის გამღიზიანებელზე ისეთი ურყევი თავდაჯერებით პასუხობს, რომ პატრონს სიცარიელის უცნაური გრძნობა უჩნდება და ეჩვენება, რომ ხასიათი სხეულის რომელიღაც ნაწილთან ერთად ეკარგებაო.

ამ საკითხმა ახალგაზრდა ქალი, როგორც ჩანს, დიდად დააინტერესა, აფორიაქდა, სუნთქვა გაუხშირდა და ფრთხილად გაიწია. როგორც ჩანს, მის სხეულში ზემოთ აღწერილი მექანიზმი ამოქმედდა: გაწითლდა, გულისცემამ მოუმატა და სუნთქვა გაუხშირდა. სწორედ ამ დროს მანქანა ულრიხის სახლის წინ შეჩერდა. ულრიხმა თავის მხსნელს მისამართი ღიმილით ჰკითხა, რათა ჯეროვანი მადლობის გადახდის შესაძლებლობა მისცემოდა, მაგრამ თავისდა გასაოცრად, ეს წყალობა ვერ მიიღო. შემდეგ შავი რკინის გისოსებიანი ჭიშკარი გაოცებული ულრიხის ზურგს უკან მიიკეტა. ლამპიონების შუქზე ძველი ბაღის მაღალი და ჩამუქებული ხეები გამოიკვეთა, ფანჯრებში შუქი აინთო და ბუდუარივით პატარა სასახლის ჩრდილი ზურმუხტისფერ, გაკრეჭილ გაზონებს დაეფინა. ფანჯრებში წიგნის თაროებითა და სურათებით დამშვენებული კედლის ნაწილი გამოჩნდა და მგზავრიც თავის მომხიბვლელ ცხოვრებას დაუბრუნდა.

ეს ამბავი ასე მოხდა. და სანამ ულრიხი ფიქრობდა, რა უსიამოვნო იქნებოდა ახალ სასიყვარულო ინტრიგაში დროის კარგვაო, როცა უკვე ძველიც დიდი ხანია მოყირჭებოდა, უცნობი ქალბატონის ვიზიტის შესახებ მოახსენეს. პირბადეჩამოფარებულმა სტუმარმა ვინაობის დასახელება არ ისურვა და ოთახში შევიდა. ეს თავად ის ქალბატონი იყო, ვინც ულრიხს თავისი სახელი და მისამართი არ გაუმხილა და მისი ჯანმრთელობის გაგების მიზეზით რომანტიკულ-საქველმოქმედო ხერხებით თავნებურად განეზრახა თავგადასავლის გაგრძელება.

ორი კვირის შემდეგ ბონადეას ულრიხთან სასიყვარულო კავშირი უკვე თოთხმეტი დღის გაბმული ჰქონდა.

8. კაკანია

იმ ასაკში, როცა მკერავისა და დალაქის საქმეს ჯერ კიდევ სერიოზულად ეკიდება და სარკეში ყურებაც უყვარს, კაცი ხშირად წარმოიდგენს ხოლმე სანატრელ ადგილს, სადაც სიცოცხლის გატარებას ისურვებდა, ან ისეთ გარემოს მაინც, რომელსაც თავისი სტილი აქვს, თუნდაც გრძნობდეს, რომ იქაურობა პირადად მას დიდად არ იზიდავს. სოციალურად თავს მოხვეული ამგვარი იდეები უკვე დიდი ხანია ჰიპერამერიკული ტიპის ქალაქებად იქცა, სადაც ყველა წამმზომით ხელში სადმე მიიჩქარის ან დგას. ჰაერი და მიწა სართულებითა და მაგისტრალებითაა დასერილი. შენობები ჭიანჭველას ნაგებობებს ჰგავს: მიწისზედა და მიწისქვეშა ტრანსპორტი, საფოსტო გზავნილებივით გადაზიდული ხალხი, მანქანების ჰორიზონტალურად მქროლავი უწყვეტი ჯაჭვი, ერთი სატრანსპორტო დონიდან მეორეზე სწრაფი ლიფტებით ამოტუმბული ხალხის მასები, საკვანძო პუნქტებში გადაადგილების ერთი საშუალებიდან მეორეში გადამსხდარი ხალხი, საყოველთაო რიტმში ოცწამიანი პაუზის დროს გაჩენილი უფსკრული, რომელიც ხალხს შეიწოვს, შეისრუტავს; ინტერვალებში ერთმანეთისთვის ნაჩქარევად ნათქვამი ორიოდ სიტყვა, მანქანის ნაწილებივით ერთმანეთს მორგებული კითხვა-პასუხი, თითოეული ადამიანი კონკრეტული ამოცანებით, ერთ კონკრეტულ ადგილზე ჯგუფურად თავმოყრილი პროფესიები, ადამიანები, რომლებიც სიარულის დროს ჭამენ, ქალაქის მეორე ნაწილში თავმოყრილი გართობის საშუალებები და კიდევ ციხე-კოშკები ქალაქის სხვა ადგილას, სადაც ცოლს, ოჯახს, გრამოფონს და სულიერებას იპოვით. დაძაბულობა და მოცალეობა, საქმიანობა და სიყვარული დროში ზუსტად არის გამიჯნული და ლაბორატორიული გამოცდილებით პროპორციულად განაწილებული. თუ წინააღმდეგობას წააწყდი, საქმეს მაშინვე თავს ანებებ, რადგან სხვა გზას ადგები, ან ვინმე სხვა პოულობს იმ გზას, რომელსაც შენ ასცდი, ამას კიდევ არავისთვის მოაქვს ზიანი, მაგრამ არაფერი ისე არ ფიტავს საერთო ძალას, როგორც თავდაჯერებული რწმენა იმისა, რომ შენი მოწოდება კონკრეტული, პირადი მიზნის მიღწევაა. საერთო ნება ყოველ გზას კეთილი მიზნებისკენ მიჰყავს, თუ დიდხანს არ შეყოვნდი. დასახული მიზნები შორეულ მომავალს არ გულისხმობს, მაგრამ არც ცხოვრებაა ხანგრძლივი, მისგან

მაქსიმუმს იღებ და ბედნიერებისთვის კაცს მეტი არც სჭირდება; რადგან ის, რასაც აღწევ, სულს აყალიბებს, აუხდენელი ოცნებები კი ამახინჯებს. ბედნიერებისთვის ხომ არა აქვს მნიშვნელობა, რა გსურს, მთავარია, რას მიაღწიე. თანაც ზოოლოგია გვასწავლის, რომ არასრულფასოვან არსებათა ჯამი ერთ გენიალურ მთლიანობას შეადგენს.

გარანტია იმისა, რომ ეს ასე უნდა იყოს, არ არის, მაგრამ ასეთი მოსაზრებები მგზავრის სიზმრებს ჰგავს, გამუდმებული მოძრაობის გრძნობებს რომ აირეკლავს და მთლიანად გითრევს. ეს გრძნობები ზედაპირულია, ამაფორიაქებელი და ხანმოკლე. ღმერთმა იცის, სინამდვილეში რა მოხდება. შეიძლება იფიქრო, რომ დასაწყისის სათავეები ყოველ წუთს შენს ხელთაა და ყველა ჩვენგანის გეგმას შენ ადგენ. თუ ეს სისწრაფე არ მოგეწონა, სხვა რამეს წამოიწყებ, მაგალითად, რამე ნელს, ვუალივით მოლივლივეს, მოლუსკივით იდუმალს, ბედნიერებას ძროხის სევდიანი მზერით, სწორედ ისეთს, როგორზეც ბერძნები ოცნებობდნენ. ეს კი ასე ნამდვილად არ არის. ჩვენ ვართ მის ხელთ და არა პირიქით. დღედაღამ მასში დავიარებით და რას აღარ ვაკეთებთ: ვიპარსავთ წვერს, ვჭამთ, გვიყვარს, ვკითხულობთ წიგნებს, ვასრულებთ პროფესიულ მოვალეობებს, თითქოს ოთხი კედელი უძრავად იდგეს. საშინელება კი ის არის, რომ კედლები წინ საცეცებივით დაკლაკნილ რელსებს გამოყრიან და ვერ ამჩნევ, საით მიგაქანებენ. გინდა, რომ შენ თავად იყო ამ ენერგიის ნაწილი, ენერგიისა, დროის მატარებელს რომ მართავს. ეს ძალზე ბუნდოვანი როლია და ერთ დღეს, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, გარეთ რომ გაიხედავ, აღმოაჩენ, რომ თურმე ლანდშაფტი შეცვლილა; რაც მიქრის, ის მიქრის, რადგან სხვაგვარად ვეღარც მოხდება. ერთგულების მიუხედავად სულ უფრო მეტ ძალას იძენს ის გრძნობა, რომ მიზანს ასცდი, სხვა გზაზე აღმოჩნდი და ერთ მშვენიერ დღეს თავშეუკავებელი გრძნობა შეგიპყრობს, რომ ჩამოხვიდე! ჩამოხტე! ნოსტალგიური სურვილი იმისა, რომ შეჩერდე, არ განვითარდე, ჩარჩე, იმ წერტილს დაუბრუნდე, მცდარი განშტოებების წინ რომ მდებარეობს. ასეთ შემთხვევაში ძველად, როცა ავსტრიის იმპერია ჯერ კიდევ არსებობდა, დროის მატარებლიდან ჩამოხვიდოდი, ჩვეულებრივი სარკინიგზო ხაზის ჩვეულებრივ მატარებელში გადაჯდებოდი და სამშობლოში დაბრუნდებოდი.

იქ, კაკანიაში, დიდი ხნის გამქრალ, გაუგებარ, ბევრ საკითხში სამაგალითო სახელმწიფოში – ოღონდ ისე, რომ არავის უღიარებია – იყო ტემპი, მაგრამ არც ისე დიდი. როცა სხვაგან წასული ამ ქვეყანაზე ფიქრობ, თვალწინ ფეხით მოსიარულეთა თეთრი, განიერი, ჯარისკაცული ღია ფერის უხეში ტილოს ზოლივით ყველა მიმართულებით მდინარესავით გადაჭიმული კეთილმოწყობილი ქუჩები ამოტივტივდება, სადაც შიკრიკები დაქრიან და ქვეყნებს ქაღალდივით თეთრი ადმინისტრაციული ხელი მართავს. მერედა რა ქვეყნებს! რას აღარ ნახავდით: მყინვარებს და ზღვას, კარსტს და ბოჰემიის ჭვავის მინდვრებს, ჭრიჭინობელას ჭრიჭინით აფორიაქებულ ადრიატიკის ღამეებს, სლოვაკურ სოფლებს, სადაც კვამლი საკვამურიდან ისე ბოლავდა, როგორც გადმობრუნებული ნესტოებიდან, და ორ გორას შორის ერთმანეთზე მიკრულ სოფლებს, თითქოს მიწას პირი დაუღია თავისი პირმშოს გასათბობადო.

ქუჩებში დაქროდნენ მანქანები, მაგრამ არც ისე ბევრი. ემზადებოდნენ ჰაერის დასაპყრობად, მაგრამ არც ისე ინტენსიურად. დროდადრო გემები სამხრეთ ამერიკასა თუ აღმოსავლეთ აზიაში გადიოდნენ, მაგრამ არც ისე ხშირად. არავის ჰქონდა მსოფლიო ბატონობის თუ ეკონომიკური ძლიერების ამბიცია. ცხოვრობდნენ შუაგულ ევროპაში, სადაც ძველი სამყაროს ღერძები ერთმანეთს კვეთდა და სიტყვები „კოლონია“ და „ზღვის იქითა ქვეყნები“ შორეულად და უცხოდ ჟღერდა. ცხოვრობდნენ ფუფუნებით, მაგრამ არა ფრანგული მოყირჭებით. მისდევდნენ სპორტს, მაგრამ არა ანგლოსაქსური ახირებით. არმიაზე იხარჯებოდა წარმოუდგენლად დიდი თანხა, თუმცა ზუსტად იმდენი, რომ იმპერია ზესახელმწიფოთა შორის ბოლოდან მეორე ადგილზე მტკიცედ მდგარიყო.

მსოფლიოს დიდ ქალაქებთან შედარებით დედაქალაქიც პატარა იყო, მაგრამ ჩვეულებრივ დიდ ქალაქებს საგრძნობლად აღემატებოდა. ქვეყანა თავისუფალი აზროვნებით, ნაკლებად საგრძნობი ბიუროკრატიული და წაწვეტებული კუთხეების ფრთხილად მომქლიბავი მეთოდებით იმართებოდა. ევროპის საუკეთესო ბიუროკრატიას ერთ რამეში თუ დასდებდით წუნს: უბრალო ხალხიდან გამოსულ სახელმწიფო თუ დიდგვაროვნული პრივილეგიების არმქონე კერძო პირებს გენიალურ საქმეს თავხედობად და ამპარტავნობად უთვლიდნენ, მაგრამ ვის მოსწონს ჭკუის სწავლება იმისგან,

ვისაც უფლებამოსილება არა აქვს! კაკანიაში გენიოსს მუდამ რეგვნად თვლიდნენ, მაგრამ რეგვენს – როგორც ეს სხვაგან ხდება – არასდროს გენიოსად.

საერთოდაც, ბევრი გასაოცარი რამის თქმა შეიძლება გამქრალი კაკანიის შესახებ. მაგალითად, ის იყო კაიზერულ-სამეფო და კაიზერული და სამეფო. ყოველი საგანი და ადამიანი ატარებდა ერთ-ერთ ამ ნიშანს: ან „კ.-ს.“-ს ან „კ. და ს.“-ს. იდუმალთმეტყველებას უნდა დაუფლებოდით, რომ გაგერჩიათ, რომელი დანადგარისთვის ან ადამიანისთვის რომელი გეწოდებინათ: „კ.-ს.“ თუ „კ. და ს.“ წერილობით ავსტრია-უნგრეთის იმპერიად მოიხსენიებოდა, ისე კი თავს ავსტრიას უწოდებდა, სახელს, რომლითაც საზეიმო სახელმწიფო ფიცი ჩამოეშორებინა, მაგრამ ყველა ემოციურ საქმეში ინარჩუნებდა ნიშნად იმისა, რომ გრძნობები სახელმწიფო სამართალზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, წესები კი ცხოვრების სერიოზულობას არ ნიშნავს. კონსტიტუციის მიხედვით კაკანია ლიბერალური ქვეყანა იყო, მაგრამ კლერიკალურად იმართებოდა. კლერიკალურად იმართებოდა, მაგრამ ცხოვრებას თავისუფალი აზროვნება განაგებდა. კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორი იყო, მაგრამ მოქალაქე ყველა არ ყოფილა. ჰქონდათ პარლამენტი, მაგრამ პარლამენტი თავისი თავისუფლებით ისე სარგებლობდა, რომ მას, როგორც წესი, ხურავდნენ. ჰქონდათ ასევე საგანგებო მდგომარეობის შესახებ პარაგრაფებიც და ქვეყანა პარლამენტის გარეშე იოლად გადიოდა, მაგრამ როგორც კი ყველას აბსოლუტიზმით გამოწვეული სიხარული ეუფლებოდა, იმპერატორის უზენაესი ბრძანებულება მას ისევ საპარლამენტო მმართველობისკენ აბრუნებდა. ბევრი ასეთი რამ ხდებოდა კაკანიაში. იყო ეროვნული შუღლიც, რაც ევროპელთა ცნობისმოყვარე მზერას სრულიად სამართლიანად იპყრობდა. დღეს კი ამ მოვლენებს აბსოლუტურად მცდარად აშუქებენ. დაპირისპირებები ისე მწვავდებოდა, რომ სახელმწიფო აპარატი წელიწადში რამდენჯერმე ჩერდებოდა და მწყობრიდან გამოდიოდა, მაგრამ შუალედებისა და პაუზების დროს ისეთი თანხმობა სუფევდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. სინამდვილეში მართლაც არაფერი ხდებოდა. ის, რასაც ჩვენ დღეს ერთხმად ვიზიარებთ, ანუ მეორე ადამიანის მისწრაფებისადმი მტრობა, ამ ქვეყანაში ბევრად უფრო ადრე ჩამოყალიბებულიყო და ასე ვთქვათ, სუბლიმირებულ

ცერემონიად ქცეულიყო. ამას კი მართლაც სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა, მისი განვითარება ნაადრევ კატასტროფას რომ არ შეეწყვიტა.

მხოლოდ თანამოქალაქისადმი მტრობა კი არ ქცეულიყო სოლიდარობის გრძნობად, საკუთარი პერსონისა და ბედისწერის მიმართ უნდობლობასაც სერიოზული ხასიათი მიეღო. ამ ქვეყანაში იქცეოდნენ სხვაგვარად, ვიდრე ფიქრობდნენ, ანუ ფიქრობდნენ სხვაგვარად, ვიდრე იქცეოდნენ, რაც გაუთვითცნობიერებელ დამკვირვებელს ავსტრიული ხასიათის სირბილედ ან სულაც სისუსტედ მიაჩნდა. აი აქ კი ცდებოდნენ, რადგან ამა თუ იმ ქვეყნის მოვლენების ახსნა მის მცხოვრებთა ხასიათით სწორი არ გახლავთ. ადამიანს სულ მცირე ცხრა ხასიათი მაინც აქვს: პროფესიული, ეროვნული, სახელმწიფოებრივი, კლასობრივი, გეოგრაფიული, სქესობრივი, ცნობიერი, არაცნობიერი და შესაძლოა პერსონალურიც. იგი თავის თავში აერთიანებს ყველას, მათში განზავდება და არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა ამ ნაკადებით გადარეცხილი ღარტაფი, სადაც ის წვეთ-წვეთ ჩაედინება, შემდეგ კვლავ გადმოედინება, ახლა უკვე სხვა ნაკადულებთან ერთად, სხვა ღარტაფის ამოსავსებად. ამიტომ დედამიწის ყველა მცხოვრებს კიდევ ერთი, ანუ მეათე, ხასიათი აქვს და ეს მეათე ცარიელი სივრცის პასიური ფანტაზიაა. იგი ადამიანს ყველაფრის ნებას რთავს, გარდა ერთისა – სერიოზულად მიიღოს ის, რასაც სულ მცირე მისი ცხრა ხასიათი მოიმოქმედებს და რაც მას ემართება, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორედ ის, რასაც იგი უნდა შეევსო. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ძნელად აღსაწერ სივრცეს იტალიაში სხვა შეფერილობა, სხვა ფორმა აქვს, ინგლისში – სხვა, რადგან ის, რაც მას გამოეყოფა, სხვა ფერისა და სხვა ფორმისაა, მაგრამ მაინც აქაც და იქაც ერთი და იგივეა, ცარიელი, უხილავი სივრცეა, რომლის წიაღშიც სინამდვილე ფანტაზიადაწრეტილ, კუბიკებისგან აშენებულ სათამაშო სახლს ჰგავს.

კაკანიაში ეს ყველაფერი ხილული გახდა, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია. ამ თვალსაზრისით კაკანია პროგრესული ქვეყანა იყო, ოღონდ ამის შესახებ სამყაროს დანარჩენმა ნაწილმა არაფერი იცოდა. ეს იყო სახელმწიფო, რომელიც რაღაცნაირად ურიგდებოდა თავის თავს, სადაც ნეგატიურად თავისუფალი იყავი და საკუთარი ეგზისტენციის არასაკმარის მიზეზთა გრძნობა გიპყრობდა, სადაც არმომხდარის თუ

ერთხელ და არა სამუდამოდ მომხდარის დიდებული ფანტაზია გეკრა გარს ოკეანის სუნთქვასავით, იმ ოკეანისა, საიდანაც კაცთა მოდგმა იშვა. „ხომ მოხდა“, ამბობდნენ იქ, მაშინ როცა სხვები სხვაგან ფიქრობდნენ, ღმერთმა იცის, რა მოხდაო. ეს იყო მეტად თავისებური, სხვა ენებსა და გერმანულში არარსებული სიტყვა, რომელშიც ფაქტები და ბედისწერის დარტყმები ბუმბულივით და აზრებივით მსუბუქი ხდებოდა. დიახ, მიუხედავად ყველაფრისა, ავსტრია, ალბათ, მაინც გენიოსთა ქვეყანა იყო და სწორედ ამის გამო დაიღუპა.

9. სამთაგან პირველი მცდელობა მნიშვნელოვან კაცად გახდომისა

სამშობლოში დაბრუნებული ყარიბი თავისი ცხოვრების ვერც ერთ პერიოდს ვერ იხსენებდა, მნიშვნელოვან ადამიანად გახდომის სურვილით რომ არ ყოფილიყო შთაგონებული. როგორც ჩანს, ეს სურვილი მას დედის მუცლიდან დაჰყვა. შეიძლება, ამგვარი მოთხოვნილება ამპარტავნობასა და სისულელეზე მეტყველებდეს, მაგრამ ისიც ხომ სწორია, რომ ამ მშვენიერი და საჭირო ლტოლვის გარეშე მნიშვნელოვანი ადამიანები არ იარსებებდნენ.

ფატალური მხოლოდ ის იყო, რომ ულრიხმა არც ის იცოდა, რას ნიშნავდა მნიშვნელოვანი ადამიანი და არც ის, როგორ ქცეულიყო ასეთად. სკოლის ასაკში ნაპოლეონი მიაჩნდა ამგვარ ადამიანად ნაწილობრივ ყოველივე დანაშაულებრივისადმი ახალგაზრდული აღფრთოვანების გამო, ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ მასწავლებლები ამ ტირანს, ევროპის თავდაყირა დამყენებელს, კაცობრიობის უბოროტეს მტრად მიიჩნევდნენ. შედეგი კი ის გახლდათ, რომ, როგორც კი სკოლას თავი დააღწია, კავალერისტთა პოლკის პრაპორშჩიკი გახდა. შესაძლოა, ამ პროფესიის არჩევის მიზეზი რომ გეკითხათ, აღარ ეპასუხა: „ტირანი მინდა გავხდეო“, მაგრამ ასეთი სურვილები თავად არიან იეზუიტები. ნაპოლეონის გენიაც ხომ მას შემდეგ გაიფურჩქნა, რაც იგი გენერალი გახდა. როგორ დაერწმუნებინა პრაპორშჩიკ ულრიხს პოლკოვნიკი ამ პირობის აუცილებლობაში? ჯერ კიდევ ესკადრონის საბრძოლო მომზადებისას გაირკვა, რომ პოლკოვნიკს მისგან განსხვავებული აზრი ჰქონდა, მაგრამ პატივმოყვარე რომ არ ყოფილიყო, საწვრთნელ მოედანს მაინც არ აითვალწუნებდა. პაციფისტურ გამოთქმებს, როგორიცაა „ხალხთა

მილიტარისტული აღზრდა“, მაშინ იოტისოდენა მნიშვნელობასაც არ ანიჭებდა და თავადაზნაურობის ჰეროიკულ წარსულზე, ძალადობასა და მის რიხზე მოგონებებით იყო გაჟღენთილი. მონაწილეობდა დოღში, დუელებში და მხოლოდ სამი ტიპის ადამიანებს განარჩევდა: ოფიცრებს, ქალებს და სამოქალაქო პირებს. ეს უკანასკნელნი ფიზიკურად განუვითარებელ და გონებრივად ჩამორჩენილ კლასად მიაჩნდა, ვისაც ოფიცრები ცოლებს და ქალიშვილებს ართმევდნენ. ხანდახან დიდებულ პესიმიზმს მიეცემოდა ხოლმე და ეჩვენებოდა, რადგან ჯარისკაცის პროფესია ბასრი და გავარვარებული იარაღია, სამყარო მისსავე საკეთილდღეოდ ამ იარაღით უნდა დაიჩეხოს და დაიფერფლოსო. ისე კი, უმართლებდა, რომ ხიფათს აქამდე არ გადაჰყრია, თუმცა ერთმა შემთხვევამ სრულიად განსხვავებული გამოცდილება შესძინა. ერთგან წვეულებაზე ნაცნობ ფინანსისტთან უთანხმოება მოუვიდა და როცა საქმის მოგვარებას თავისებური ელვარებით ეცადა, აღმოაჩინა, რომ თურმე სამოქალაქო პირებსაც შესძლებიათ ოჯახის მდედრობითი სქესის წევრების დაცვა. ფინანსისტი თავდაცვის მინისტრს პირადად იცნობდა და შედეგად პოლკოვნიკთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ულრიხს მკაფიოდ განუმარტეს განსხვავება უბრალო ოფიცერსა და ერცჰერცოგს შორის. ამის შემდეგ ომის ხელოვნება ულრიხს აღარ ახარებდა. ელოდა, როგორ ავიდოდა სამყაროს შემძვრელ მოვლენათა არენაზე და უეცრად ცარიელ, ფართო მოედანზე ახალგაზრდა მთვრალი კაცი დაინახა, დებოშს რომ ტეხს და საპასუხოდ ქვებს ესვრიან. როგორც კი ამას მიხვდა, უმადურ სარბიელს გამოეთხოვა, სადაც ის-ის იყო ლეიტენანტობისთვის მიეღწია, და სამსახურს თავი მიანება.

10. მეორე მცდელობა. უთვისებო კაცის მორალური წანამძღვრები

ულრიხმა კავალერიიდან ტექნიკაში გადაინაცვლა და მხოლოდ ცხენი გამოიცვალა. ახალ ცხენს ლითონის სახსრები ჰქონდა და ათჯერ უფრო სწრაფად დაქროდა.

გოეთეს სამყაროში საფეიქრო დაზგების გრუხუნი ჯერ კიდევ არ არღვევდა მყუდროებას. ულრიხის ეპოქას კი უკვე დაეწყო დაზგების, სამოქლონე ჩაქუჩებისა და ფაბრიკების საყვირების მუსიკით ტკბობა. ნუ იფიქრებთ, თითქოს ადამიანს მაშინვე შეემჩნიოს, ცათამბჯენი რომ ცხენიან კაცზე მაღალია. პირიქით,

დღესაც კი, როცა საკუთარი თავის განსაკუთრებულად წარმოჩენა გვსურს, ცათამბჯენს კი არა, ქარზე უსწრაფეს ცხენს შემოვახტებით, რომელსაც არწივისებრი და არა რეფრაქტორივით გამჭრიახი ფხიზელი თვალი აქვს. გონებით სარგებლობა გრძნობებს ჯერაც არ უსწავლიათ, ხოლო ამ ორს შორის სხვაობა ბრმა ნაწლავსა და თავის ტვინის ქერქს შორის სხვაობაზე უფრო დიდია. ცოტა არ არის, თუკი მიხვდები – როგორც ეს ულრიხს დაემართა ყრმობის მიწურულს – რომ ადამიანის ქცევები ყოველივე ამაღლებულთან მიმართებაში ბევრად უფრო ძველმოდურია, ვიდრე მის მიერ შექმნილი დანადგარი. მექანიკის სასწავლო დარბაზებში შესვლისთანავე ულრიხი ციებ-ცხელებამ აიტანა. რა საჭიროა აპოლონ ბელვედერელი, როცა თვალწინ ტურბოგენერატორის ახალი ფორმები ან ორთქლმავლის გამანაწილებელი მოწყობილობა გაქვს! ვიღას სჭირდება ათასწლოვანი კინკლაობა იმის დასადგენად, რა არის კარგი და რა – ცუდი, თუკი გაირკვევა, რომ ეს „კონსტანტა“ კი არა, „ფუნქციური მნიშვნელობები“ ყოფილა და საქმის ვარგისობა ისტორიულ გარემოებაზე ყოფილა დამოკიდებული, ადამიანისა კი – ფსიქოტექნიკურ გაწაფულობაზე, რითაც მისი თვისებები ფასდება. ტექნიკური თვალსაზრისით, სამყარო უბრალოდ სასაცილოა; ადამიანებთან დამოკიდებულებაში – არაპრაქტიკული, უკიდურესად არაეკონომიკური და არაზუსტი თავის მეთოდებში: ვინც საქმის მოგვარებას საანგარიშო შიმშით მიეჩვევა, სხვათა მტკიცებულებებს სერიოზულად ვეღარ მოეკიდება. საანგარიშო შიმშა ერთმანეთში გადახლართული რიცხვებისა და ხაზების წარმოუდგენლად გონებამახვილური სისტემაა. საანგარიშო შიმშა ორი თეთრი, ლაქწასმული, ერთმანეთში მოსრიალე ტრაპეციის ფორმის მქონე განივი ჭრილის თამასაა, რომლის მეშვეობითაც ურთულეს დავალებებსაც კი წამში გადაჭრით, თანაც ისე, რომ აზრებს ფუჭად არ გაფანტავთ. საანგარიშო შიმშა პატარა სიმბოლოა და გულის ჯიბით დაატარებ. თუ საანგარიშო შიმშა გაქვს და შენთან ვინმე ამაღლებული გრძნობებითა და რიხით მოვა, შენ ეტყვი: „ერთი წუთით, მოდი, ჯერ ცდომილებათა საზღვრები დავადგინოთ და ამ ყველაფერის შესაძლო ღირებულება დავიანგარიშოთ!“.

უდავოა, რომ ეს საინჟინრო საქმის მძლავრი კონცეფცია იყო, რომელზეც მომავლის მიმზიდველი ავტოპორტრეტის ჩარჩოები ისახებოდა: კაცი გაბედული სახის ნაკვთებით, პირში ჩიბუხით,

თავზე კეპით, მხედრის საუცხოო ჩექმებით, კეიპტაუნიდან კანადისკენ მიმავალი თავისი ფირმის გრანდიოზული გეგმების განსახორციელებლად. შიგადაშიგ დროსაც გამონახავ, გზადაგზა ტექნიკურ აზროვნებას სამყაროს მოწყობისა და მართვის თაობაზე რჩევებსაც დაეკითხები ან ემერსონისეულ გამონათქვამს დაესესხები, რომელიც, ალბათ, ყველა სახელოსნოში უნდა იყოს გაკრული: „ადამიანი დედამიწაზე ცხოვრობს, როგორც მომავლის წინასწარმეტყველება. ყველა მისი საქმე ძიება და მცდელობაა, რადგან, შესაძლოა, მათ შემდგომმა აჯობოს!“. უფრო სწორად, ეს ნათქვამი ულრიხს ეკუთვნოდა, რომელიც ემერსონის რამდენიმე ფრაზისგან შეედგინა.

ძნელი სათქმელია, რატომ არ არიან ინჟინრები მთლად ისეთები, ამ აფორიზმს რომ შეეფერება. რატომ ატარებენ, მაგალითად, ჟილეტზე ძეწკვით რკალისებურად დაკიდებულ საათს? რატომ ქმნის ეს ძეწკვი მუცელზე ერთ შემაღლებას და ორ დაქანებას, თითქოს ლექსიაო? რატომ იკეთებენ ჰალსტუხზე ირმისკბილებიან ქინძისთავს ან პატარა ნალს? რატომ აცვიათ ისეთი კოსტიუმები, თითქოს მათი თარგი პირველი მანქანის მოდელზე იყოს აჭრილი და ბოლოს, რატომ ლაპარაკობენ ისინი ყოველთვის საკუთარ პროფესიაზე და სხვა არაფერზე. და თუ მაინც ასე იქცევიან, რატომ აქვთ მეტყველების ასეთი განსაკუთრებული, ნაძალადევი, ბუნდოვანი მანერა, რომელიც ხორხის ზედა ნაწილს ვერ სცდება. ცხადია, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ უმრავლესობა ასეთია. ასეთი იყო ყველა ის, ვინც ულრიხმა ფაბრიკის ადმინისტრაციაში გაიცნო და ისინიც, ვინც შემდეგ ნახა. ისინი საკუთარ პროფესიაზე შეყვარებული, სახაზავ დაფებთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ადამიანები იყვნენ, რომლებიც ვირტუოზულად ფლობდნენ მათი ხმარების წესებს. ვინმეს რომ მათთვის შეეთავაზებინა, აზრის სითამამე მანქანებისკენ კი არა, საკუთარი თავისკენ მიემართათ, ამას ისე აღიქვამდნენ, როგორც ჩაქუჩის არაბუნებრივად – მკვლელობის მიზნით – გამოყენების მოთხოვნას.

ასე სწრაფად დასრულდა ტექნიკის გზაზე განსაკუთრებულ ადამიანად ქცევის ულრიხის მეორე, გაცილებით მოწიფული მცდელობა.

11. ყველაზე მნიშვნელოვანი მცდელობა

აქამდე მომხდარზე ულრიხი, ალბათ, თავს ისე გააქნევდა, თითქოს საკუთარი სულის შესახებ გარდასახვის თეორიას ისმენსო, მაგრამ არა თავის მესამე მცდელობაზე. ინჟინერი მთელ თავის ენერგიას საქმეს სწირავს, ნაცვლად იმისა, რომ იდეათა თავისუფალ სივრცეს შეერწყას. მის მანქანებს სამყაროს დასალიერშიც კი იხილავთ, თუმცა მას ისევე არ სჭირდება ტექნიკის გაბედულებისა და სიახლის საკუთარ სულზე გადატანა, როგორც მანქანას – უსასრულოდ მცირე რიცხვების განტოლებათა თავის თავზე გამოყენება.

მათემატიკაზე კი ამას ვერ იტყვი. იგი თავად არის სული და ახლებური აზროვნება, მასშია ეპოქის სათავეები და განსაცვიფრებელ მეტამორფოზათა საწყისი. თუ ადამიანის დასაბამიერი ოცნება ფრენა და თევზებთან ერთად მოგზაურობა, მთის გიგანტურ სხეულში შეღწევა და ამბის ზებუნებრივი სისწრაფით გაგზავნაა, თუ ეს ოცნება უხილავის და შორეულის დანახვას ან იმის მოსმენას ნიშნავს, რაზე საუბრობენ მიცვალებულები, თუ ადამიანს ასე სწადია, საკუთარი თავი გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ იხილოს ან ვარსკვლავებით მოკიაფე ღამეებში ზესკნელსა და ქვესკნელში ათასობით მანამდე უცნობი საგანი შეიცნოს, ან სასწაულმოქმედ მკურნალ ძილს მიეცეს; თუ სინათლე, სითბო, ძალა, ტკბობა და კომფორტი კაცთა მოდგმის მარადიული ოცნებებია, მაშინ თანამედროვე ძიებანი მხოლოდ მეცნიერება კი არა, ჯადოქრობა ყოფილა – საზეიმო წეს-ჩვეულება, გულისა და ტვინის დიად ძალას რომ გულისხმობს, რომლის წინაშეც უფალი თავისი მოსასხამის ნაოჭებს ერთიმეორის მიყოლებით გადახსნის, ან რელიგია, რომლის დოგმატიკაც მათემატიკის პირქუში, გაბედული, მოქნილი, დანასავით მჭრელი ცივი ლოგიკით არის გაჯერებული.

ცხადია, ვერც იმას უარვყოფთ, რომ, არამათემატიკოსის აზრით, კაცთა მოდგმის ეს ოდინდელი ოცნებანი სულ სხვაგვარად ასრულდა, ვიდრე თავდაპირველად ვინმე წარმოიდგენდა. მიუნჰაუზენის საფოსტო ბუკის ხმიანობა ფაბრიკული წესით დაკონსერვებულ ხმაზე ლამაზი იყო, სწრაფმავალი ჩექმები ავტომობილს სჯობდა, ლაურინის სამეფო – მატარებლის გვირაბს, ფრინველთა ენის ცოდნა კი მათი ხმის ექსპრესიული მოდულაციის შესახებ ზოოფსიქოლოგიურ კვლევებზე მიმზიდველი გახლდათ. გაჩნდა რეალობა, ოცნება კი დაიმსხვრა. დღეს ვეღარ ნახავთ ხის ძირას წამოწოლილ

ადამიანს, ფეხის ცერა და მომდევნო თითის ღრიჭოდან ცას რომ გაჰყურებს. ის ქმნის. თუკი რამის მიღწევა გინდა, არც მშიერი უნდა იყო და არც ოცნებებს აჰყვე, ბიფშტექსი უნდა ჭამო და ცოტა გაინძრე. ზუსტად ისეა, თითქოს მოხუც და ზანტ კაცობრიობას ზედ ჭიანჭველების ბუდესთან ჩასძინებოდეს, ხელების ქავილით გამოღვიძებოდეს და მას შემდეგ გამუდმებული მოძრაობა ჰქონდეს მისჯილი და ამ ცხოველურ გარჯას თავს ვეღარ აღწევდეს. არ ღირს ამდენი ლაპარაკი, ისედაც ნათელია, რომ მათემატიკა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს დემონივით დაეპატრონა. შესაძლოა, ყველას არც სჯერა ეშმაკის ისტორიისა, სული რომ შეგიძლია მიჰყიდო, მაგრამ მათ, ვისაც რაღაც გაეგება სულის შესახებ – მღვდლებს, ისტორიკოსებს, მხატვრებს, ამ საქმიდან დიდი ხეირი აქვთ და ირწმუნებიან, მათემატიკამ სული დაანგრია, მათემატიკა ბოროტი გონის კერაა, მათემატიკამ ადამიანი სამყაროს მბრძანებლად აქცია, მაგრამ მანქანებს დაუმონაო. დეტალებში გამჭრიახობის, მთლიანობაში კი გულგრილობის გამაოგნებელი ნარევია. წვრილმანების უდაბნოში ჩაკარგული ადამიანის შემაძრწუნებელი მარტოობა, ბოროტება, უმაგალითო გულგრილობა, სიხარბე, გულცივობა და ძალადობა – ჩვენი ეპოქის ნიშნები – მათი თქმით, იმ დანაკარგით გამოწვეული ჭრილობების შედეგებია, ლოგიკურმა, გამჭრიახმა აზროვნებამ სულს რომ მიაყენა. მაშინაც, როცა ულრიხი მათემატიკოსი გახდა, არსებობდნენ ისეთები, ევროპული კულტურის დაღუპვას რომ წინასწარმეტყველებდნენ, რადგან რწმენა, სიყვარული, უბრალოება და სიკეთე ადამიანთა სულებიდან გამქრალიყო. ისიც ნიშანდობლივია, რომ ეს ადამიანები სკოლისა და ყრმობის ასაკში ცუდი მათემატიკოსები იყვნენ. მოგვიანებით მათ ეს იმის მტკიცებულებად გამოადგათ, რომ მათემატიკა ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ტექნიკისა და იმ სულის მშობელი იყო, საიდანაც საბოლოოდ მომწამლავი გაზები და სამხედრო მფრინავები იშვნენ.

კაცმა რომ თქვას, ეს საფრთხე მხოლოდ მათემატიკოსებისთვის, მათი მოწაფეებისა და ბუნების მკვლევარებისთვის არის უცნობი. მათი სულები ისევე ვერ გრძნობენ ამ საფრთხეს, როგორც ის მძღოლი, მონდომებით რომ აჭერს მუხრუჭს ფეხს და წინა მანქანის უკანა ბორბლის მეტს ამ ქვეყანაზე ვერაფერს ამჩნევს. ულრიხზე კი დარწმუნებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მათემატიკა

მას იმ ადამიანების გამო უყვარდა, რომლებიც მას ვერ იტანდნენ. ის იმდენად მეცნიერის ტიპი არ იყო, რამდენადაც ადამიანურად მათემატიკაში შეყვარებული. ხედავდა, რომ ყველა საკითხში, რაშიც თავი კომპეტენტურად მიაჩნდა, ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებულად აზროვნებდა. მეცნიერული შეხედულებების მსოფლმხედველობრივით შეცვლა რომ შეიძლებოდეს, ჰიპოთეზისა – ექსპერიმენტით, ჭეშმარიტებისა კი – საქმით, მაშინ ნებისმიერი დიდი მათემატიკოსისა თუ ბუნებისმეტყველის შრომა გამბედაობითა და დამანგრეველი ძალით ყველა დიდ ისტორიულ საქმეს გადააჭარბებდა. არ გაჩენილა კაცი ამქვეყნად, ვინც შეძლებდა მორწმუნეთათვის ეთქვა: მოიპარეთ, მოკალით, იმრუშეთ, ჩვენი მოძღვრება იმდენად ძლიერია, რომ თქვენი ცოდვების ნეხვის წუმპეს მთის მჩქეფარე ანკარა წყლად გადააქცევს. წელიწადში რამდენჯერმე მაინც მეცნიერებაში ისეც ხდება, რომ მანამდე შეცდომად მიჩნეული მოსაზრება უეცრად მთელ შეხედულებებს ცვლის და უსახური, ყველასგან მოძულებული აზრი აზრთა საუფლოს მესაჭე აღმოჩნდება. ამგვარი მოვლენები უბრალო გადატრიალება კი არა, ზეცისაკენ აღმავალი იაკობის კიბეა. მეცნიერებაში ყველაფერი ისე ცხადად, უდარდელად და დიდებულად ხდება, როგორც ზღაპრებში. ულრიხი გრძნობდა, რომ ადამიანებმა უბრალოდ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და წარმოდგენაც არ ჰქონდათ, როგორ შეიძლებოდა დაეწყოთ ფიქრი. ვინმეს რომ მათთვის ახლებურად აზროვნება ესწავლებინა, მაშინ ისინიც ახლებურად იცხოვრებდნენ.

ბუნებრივად იბადება კითხვა: ნუთუ სამყარო ისე უკუღმაა მოწყობილი, რომ წამდაუწუმ გადმოყირავება სჭირდება? ამ კითხვას სამყარომ თავადვე გასცა ორნაირი პასუხი. არსებობის დღიდან ადამიანთა უმრავლესობა ახალგაზრდობაში სამყაროს გადმოყირავების მომხრე იყო. ახალგაზრდებს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ სიძველისადმი ასაკოვანთა ერთგულება, რომლებიც ტვინით კი არა, გულით, ხორცის ამ ნაგლეჯით, აზროვნებდნენ. ახალგაზრდები ყოველთვის ამჩნევდნენ, რომ ასაკოვანთა მორალური სიჩლუნგე – ახალი კავშირების დამყარების უუნარობა – ჩვეულებრივი ინტელექტუალური სიჩლუნგე იყო, თავიანთი მორალი კი პროდუქტიულობას, ჰეროიზმს და მეტამორფოზას გულისხმობდა. მაგრამ იმ ასაკში, როცა განხორციელების დრო დგებოდა, თავადვე ივიწყებდნენ

ყოველივეს და მათი გახსენებაც კი აღარ სურდათ. აი, რატომ თვლიან მათემატიკას და ბუნებისმეტყველებას ბოროტმოქმედებად, თუ ვინმე იმავე მიზეზებით მოჰკიდებს ამ მეცნიერებებს ხელს, რის გამოც ულრიხმა მოჰკიდა.

მიუხედავად ამისა, სპეციალისტების აზრით, ულრიხმა ამ რამდენიმე წლის მანძილზე საგრძნობ წარმატებებს მიაღწია.

12. ქალბატონი, რომლის სიყვარულიც ულრიხმა სპორტსა და მისტიკაზე საუბრით მოიპოვა.

გამოირკვა, რომ ბონადეაც მაღალ იდეალებს ელტვოდა. ბონადეა სწორედ ის ქალბატონი გახლდათ, ულრიხი იმ წარუმატებელი კრივის ღამეს რომ იხსნა და მეორე დილით ვუალით ესტუმრა. ულრიხმა მას ბონადეა – კეთილი ქალღმერთი შეარქვა, რადგან მის ცხოვრებას იგი სწორედ ასეთად მოევლინა.

ძველ რომში უბიწოების ქალღმერთ ბონადეას ტაძარი უცნაური მეტამორფოზის შემდეგ გარყვნილების ბუდედ იქცა. ქალმა ეს არ იცოდა. ულრიხის დარქმეულ ჟღერად სახელს დიდად მოეხიბლა და სტუმრად მისული მას მდიდრულად მოქარგული პენუარივით მოხდენილად ატარებდა. „მე ხომ შენი ქალღმერთი ვარ? – ეკითხებოდა ქალი. – შენი Bona Dea?“ – ხელებს კისერზე შემოხვევდა, თავს ოდნავ უკან გადააგდებდა და მგრძნობიარე თვალებით შეჰყურებდა.

ის პატივცემული კაცის მეუღლე და ორი მშვენიერი ბიჭის მოსიყვარულე დედა იყო. „მეტისმეტად წესიერი“ – მისი საყვარელი სიტყვები გახლდათ. ამ სიტყვებით აქებდა ხოლმე ადამიანებს, მოსამსახურეებს, საქმეს ან გრძნობებს, როცა მათით კმაყოფილებას გრძნობდა. „ნამდვილი, კეთილი, მშვენიერი“ – ისე ხშირად და ბუნებრივად შეეძლო მათი წარმოთქმა, როგორც სხვას სიტყვა „ხუთშაბათისა“. მშვიდი, იდეალური ყოფის წარმოდგენა მეუღლისა და შვილების გარემოცვაში უდიდეს კმაყოფილებას ჰგვრიდა. ამ ყოფის ქვემოთ, სადღაც სიღრმეში, ბნელი სამეფო „ნუ მაცდუნებ“ გაჩენილიყო და ბედნიერების კაშკაშა ნათელს ლამპის რბილ შუქად აფერმკრთალებდა. მას ერთადერთი ნაკლი ჰქონდა: მამაკაცის დანახვაც კი უჩვეულოდ აღაგზნებდა. ავხორცი არ ყოფილა. ეს ისეთივე თვისებაა, როგორიც ხელისგულების ოფლიანობა ან უეცარი გაწითლება, რაც ასე ტანჯავს ზოგს.

როგორც ჩანს, ეს მისი თანდაყოლილი თვისება იყო და მას ვერაფერს უხერხებდა. ულრიხის რომანტიკულ, ფანტაზიის განსაკუთრებულად აღმგზნებ ვითარებაში გაცნობის პირველივე წუთიდან ცხადი გახდა, რომ იგი ამ ვნების სამსხვერპლოდ იყო განწირული. მასთან ნაცნობობა თანაგრძნობით დაიწყო, აკრძალულ, ფარულ გრძნობებთან სასტიკ ბრძოლაში გადაიზარდა და მონაცვლეობით, ცოდვისა და მონანიების მტანჯველ კბენად გაგრძელდა.

ღმერთმა იცის, ულრიხი მის ცხოვრებაში მერამდენე მამაკაცი იყო. შმაგი ვნებებით შეპყრობილ ქალებს კაცები, როგორც კი გაარკვევენ, რა და როგორ, ისე ექცევიან, როგორც იდიოტებს. მამაკაცის უნაზესი გრძნობები იაგუარის კრუტუნს ჰგავს, ხორცის ნაჭერს რომ მოიხელთებს და ვაი იმას, ვინც შეეცილება. ყოველივე ამის შედეგი კი ის გახლდათ, რომ ბონადეა ორმაგ ცხოვრებას ეწეოდა სანიმუშო მოქალაქესავით, საყოველთაო პატივისცემას რომ იმსახურებს, მაგრამ სულის უბნელეს ჯურღმულებში მატარებლის ქურდის ცხოვრებით ცხოვრობს. თუ ვინმეს სასიყვარულო მკლავებში არ იყო მოქცეული, ეს მშვიდი, წარმოსადეგი ქალი კვლავ ვინმეს სასიყვარულო მკლავებში მოსახვედრად ჩადენილი უღირსი საქციელისა და ტყუილების გამო საკუთარი თავის სიძულვილით იტაჯებოდა. გრძნობამორეული, მელანქოლიური და კეთილი ხდებოდა. ცრემლნარევი აღფრთოვანება, უხეში ბუნებრიობა, გარდაუვალი სინანული და ჩასაფრებული დეპრესიის შიშისგან გაქცევის სურვილი ისეთივე მიმზიდველს, ამაღელვებელს ხდიდა, როგორიც დოლის ყრუ გუგუნია. სასიყვარულო გატაცებებს შორის მონანიების ჟამს, როცა დეპრესიის შემოტევა არ ტანჯავდა, საკუთარ უმწეობას კიდევ უფრო ცხადად გრძნობდა და მორალური პრეტენზიებით სავსე, თავისთან დამოკიდებულებას ართულებდა. უნდა ყოფილიყავი გულწრფელი და კეთილი, თანამგრძნობი, გყვარებოდა იმპერატორის ოჯახი, პატივი მიგეგო ღირსეულისთვის და ყოფილიყავი მორალურად ისეთივე დელიკატური, როგორიც ავადმყოფის სასთუმალთან. და თუ ეს ასე არ იყო, მოვლენათა მსვლელობას არც ეს ცვლიდა. თავის გასამართლებლად ზღაპარი შეთხზა, თითქოს მისი სავალალო მდგომარეობა ქორწინების პირველი სამი უცოდველი წლის ბრალი ყოფილიყო. ქმარს თავხედ ურჩხულად ხატავდა და ეს ამბავი ულრიხს სასიყვარულო ინტრიგის დაწყებისთანავე

მრავალმნიშვნელოვანი, სევდიანი სახით გაანდო. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გაიგო ულრიხმა, რომ მისი ქმარი ცნობილი ავსტრიელი იურისტი, თავისი საქმის საუცხოო მცოდნე და თანაც უწყინარი მკვლელი – ნადირობის მოყვარული იყო. მონადირეებისა და კანონდამცავების თავყრილობებზე, სადაც მამაკაცურ პრობლემებზე ბჭობდნენ და არა ხელოვნებასა თუ სიყვარულზე, ის ყველასთვის სასურველი სტუმარი გახლდათ. ამ თვინიერი, კეთილგანწყობილი, სიცოცხლისმოყვარე კაცის ერთადერთი შეცოდება ის იყო, რომ ეს ქალი შეირთო ცოლად. ამის გამო კი სხვა მამაკაცებზე უფრო ხშირად უწევდა მასთან იმგვარი ურთიერთობების დამყარება, რასაც იურიდიულ ენაზე შემთხვევითი კავშირი ჰქვია. მრავალწლიანმა თვინიერმა ზნემ ამ კაცისა, რომლის ცოლიც ბონადეა ანგარების გამო გახდა და არა გულის კარნახით, ქალს საკუთარი ჰიპერაგზნებადობის ილუზია გაუჩინა და საკუთარ თავზე წარმოდგენები თითქმის ცნობიერებისგან დამოუკიდებლად ჩამოუყალიბა. თავისთვისვე აუხსნელი რაღაც შინაგანი ვალდებულება აიძულებდა, მისჯაჭვოდა კაცს, რომელსაც ბედი ასე სწყალობდა. საკუთარი სუსტი ნებისყოფის გამო ქმარი სძულდა. მისგან რომ თავი დაეხსნა, გამუდმებით ატყუებდა და თან ყოვლად უადგილოდ ქმარსა და შვილებზე ჰყვებოდა, რომლებიც მისგან ჰყავდა. საბოლოოდ კი ქმრისგან გათავისუფლება მაინც ვერ შეძლო. ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილი, მრავალი უბედური ქალის მსგავსად, საყრდენს ფეხზე მყარად მდგარი ქმრისადმი მტრობაში პოულობდა და მასთან კონფლიქტი ახალ სასიყვარულო თავგადასავალზე გადაჰქონდა, რისგანაც ხსნას ელოდა.

მის დასაშოშმინებლად ერთი გზა რჩებოდა – დეპრესიული მდგომარეობიდან დაუყოვნებლივ მანიაკალურში გადაყვანა. ვინც ასე მოექცეოდა და მისი სისუსტით ისარგებლებდა, უარით ისტუმრებდა მასაც და მის კეთილშობილურ მოსაზრებებსაც, მაგრამ, თუ ამ კაცის მიმართ – როგორც მეცნიერული ობიექტურობით იტყოდა ხოლმე – „ძლიერი სიყვარული“ დაუფლებოდა, თვალები ნოტიო სინაზით ებინდებოდა.

13. გენიალური დოღის ცხენი გარწმუნებს, რომ უთვისებო კაცი ხარ.

ულრიხმა იმის უფლება მოიპოვა, რომ საკუთარი თავისთვის ეთქვა, მეცნიერებაში ბევრს მივაღწიეო. ეს კი არც ისე უმნიშვნელოა. საქმემ მას აღიარება მოუტანა. აღფრთოვანებას ვერ მოითხოვდა, რადგან თვით ჭეშმარიტების იმპერიაშიც კი აღფრთოვანებას მხოლოდ მხცოვანი მეცნიერები იწვევენ, ანუ ისინი, ვინც დოცენტის ან პროფესორის ხარისხის მინიჭებას წყვეტს. უფრო ზუსტად, ის დარჩა იმად, ვისაც იმედის მომცემს უწოდებენ. იმედის მომცემნი კი ჭკვიანთა რესპუბლიკაში რესპუბლიკელებს ჰქვიათ. ესენი ის ადამიანები არიან, რომელთა აზრითაც, ადამიანმა მთელი თავისი ძალ-ღონე ერთ საქმეს უნდა უძღვნას და არა გარეგნულ წინსვლას შეალიოს. ივიწყებენ, რომ ცალკეული ადამიანის პროდუქტიულობა მცირეა, წინსვლა კი – საზოგადო სურვილი და კარიერიზმის სოციალურ ვალდებულებას უგულებელყოფენ, რომელიც ადამიანს მოვალეს ხდის, დაიწყოს როგორც კარიერისტმა, რათა წარმატების წლებში იმ საყრდენად და ბურჯად იქცეს, რის წყალობითაც შეძლებენ გზის გაკაფვას.

ერთ მშვენიერ დღეს ულრიხს აღარ მოუნდა, იმედის მომცემი ყოფილიყო. ახალი ეპოქა დგებოდა და საფეხბურთო მოედნისა თუ კრივის რინგის გენიალურობაზე ლაპარაკსაც სულ უფრო ხშირად გაიგონებდით. თუმცა საგაზეთო სტატიებში სულ მცირე ათ გენიალურ გამომგონებელზე, ტენორსა და მწერალზე ჯერ კიდევ მაქსიმუმ ერთი გენიალური ცენტრალური დამცველი ან ჩოგბურთის დიდი ტაქტიკოსი მოდიოდა. ახალი სული ფეხს იკიდებდა. სწორედ მაშინ ულრიხმა სადღაც ამოიკითხა გამოთქმა „გენიალური დოღის ცხენი“ და ამ სიტყვებმა ნაადრევად შეაფრქვია მწიფობაში შესული ზაფხულის სურნელი. სტატია იპოდრომზე სენსაციურ წარმატებას ეხებოდა და ავტორი, ალბათ, ვერც აცნობიერებდა კოლექტივიზმის სულით ნაკარნახევი იმ იდეის დიდებულებას, რამაც ეს სიტყვა დააწერინა. ულრიხი კი უეცრად მიხვდა, რომ მის კარიერასა და დოღის ცხენის გენიალურობას შორის ურღვევი კავშირი არსებობდა. ცხენი ხომ ოდითგან კავალერიის წმინდა ცხოველია და ყაზარმაში გატარებული ახალგაზრდობის წლებშიც ხომ ცხენებსა და ქალებზე საუბრის მეტს არაფერს ისმენდა. იქაურობასაც სწორედ ამიტომ გამოექცა, რადგან მნიშვნელოვან ადამიანად გახდომის სურვილი ჰქონდა. ახლა კი, როცა ათასნაირი მცდელობის შემდეგ სასურველი მწვერვალის სიახლოვეს

გრძნობდა, იქიდან ცხენი ესალმებოდა, რომელსაც მისთვის გაესწრო და მწვერვალი დაეპყრო.

ცხადია, ეს ისტორიულად გამართლებული მოვლენებია, რადგან ჯერ კიდევ ახლო წარსულში რაინდული სული ზნეობრივ გამბედაობას, სიმტკიცეს, გაუტეხელ გულსა და სათნოებას გულისხმობდა, სულსწრაფობა – ბავშვობად, ხრიკები – აკრძალულ მეთოდად, მანერულობა და სიფხიზლე კი ღირსების საპირისპირო თვისებებად მიიჩნეოდა. საბოლოოდ კი ასეთი ადამიანი ცოცხალი შინაარსისგან დაიცალა და მხოლოდ გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოებზე და წერილობით გამონათქვამებში განაგრძობდა არსებობას. ის ერთგვარ იდეოლოგიურ ლანდად იქცა და ცხოვრებას ვაჟკაცობის ახლებური ხატი უნდა შეექმნა. ამ ხატის ძიებისას კი აღმოჩნდა, რომ საზრიანი გონებით ლოგიკური გათვლებისთვის გამოყენებული ხრიკი და ფანდი ნაწრთობი სხეულის საბრძოლო ხრიკებისგან დიდად არ განსხვავდებოდა, ხოლო საბრძოლო სულიერ ძალას ცივსა და გონიერს სირთულეები და დაუჯერებელი მოვლენები ხდიდა, დამოუკიდებლად იმისაგან, მისჩვეოდა თუ არა იგი ფიზიკური მტრის ან მოცემული დავალების სუსტი მხარის ამოცნობას მასზე იერიშის მისატანად. გიგანტური აზრისა და კრივის ჩემპიონის ფსიქოტექნიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სინამდვილეში მათი ხერხები, გამბედაობა, მნიშვნელოვან სფეროში რეაქციათა სისწრაფე, სისუსტე და კომბინაციის უნარი, მათ განსაკუთრებულ წარმატებას რომ განაპირობებს, ერთნაირია და რომელიმე ცნობილი დოღის ცხენისგან არც სიმამაცით და უნარით განსხვავდება. ნურც ის დაგვავიწყდება, რამდენ მნიშვნელოვან თვისებას ითხოვს ბარიერის გადალახვა. ცხენისა და კრივის ჩემპიონის უპირატესობა გიგანტური აზრის წინაშე ისიც გახლავთ, რომ მათი მნიშვნელობა და მიღწევები შეუმცდარი სიზუსტით შეიძლება გაიზომოს და საუკეთესოთა შორის საუკეთესო გამოვლინდეს. ამგვარად, სპორტისა და ობიექტურობის რიგი სრულიად დამსახურებულად დამდგარიყო, რასაც გენიისა და ადამიანის დიდებულების შესახებ მოძველებული წარმოდგენები შეევიწროებინა.

რაც შეეხება ულრიხს, ამ საკითხში თავის ეპოქას რამდენიმე წლით უსწრებდა წინ. მეცნიერებას ხომ მან ერთი გამარჯვებით, ერთი სანტიმეტრით ან ერთი კილოგრამით რეკორდის გაუმჯობესების მიზნით მოჰკიდა ხელი. მის

გონებას ძალა და გამჭრიახობა უნდა დაემტკიცებინა და ძლიერთა საქმე ეკეთებინა. გონების ძალით ტკბობა მოლოდინი, საომარი თამაში და მომავლისათვის წაყენებული გაურკვეველი მბრძანებლური მოთხოვნები იყო. ულრიხმა არც იცოდა, ამ ძალას რისკენ მიმართავდა. მისით შეგეძლოთ ყველაფერი გეკეთებინათ ან არაფერი, სამყაროს მხსნელად მოვლენოდით ანდა საერთოდაც ბოროტმოქმედად. ფსიქოლოგიური სიტუაცია ხომ იმგვარია, რომ სამყარო წინსვლის ბიძგს მანქანებითა და აღმოჩენებით იღებს. მეცნიერება ულრიხისთვის მზადებას, წრთობასა და წვრთნას ნიშნავდა. თუ აღმოჩნდებოდა, რომ ამგვარი აზროვნება მეტისმეტად მშრალი, მძაფრი, შეზღუდული ან უპერსპექტივო იყო, მას ისევე უნდა შეგუებოდა, როგორც ფიზიკური ძალისხმევისა თუ ნებისყოფის მოკრების შედეგად სახეზე აღბეჭდილ დაძაბულობას. წლების მანძილზე ულრიხს უყვარდა სულიერი შიმშილი და სძულდა ისინი, ვინც ნიცშეს მსგავსად ვერ შეძლებდა თქმას: „დათმენა ჭეშმარიტებისა სულიერი შიმშილით გამოწვეული ტანჯვის გამო“. სძულდა ისინი, ვინც უკან იხევდა, სულმოკლენი და აზიზები, ისინი, ვინც სულზე ყბედობით სულს იმშვიდებს და იმ საბაბით, თითქოს გონება პურის სანაცვლოდ ქვებს სთავაზობდეთ რძეში ჩამბალი ფუნთუშებივით, რელიგიური, ფილოსოფიური და გამოგონილი გრძნობით იკვებება. ულრიხის აზრით, სიამაყეს უსარგებლო კითხვებისთვის პასუხად „ჯერ არა“ უნდა დაეპირისპირებინა და დროებითი პრინციპებით ეცხოვრა, თან ის მიზნებიც უნდა ეტარებინა, რასაც შემდგომი თაობები მიაღწევენ.

სიმართლე ის გახლდათ, რომ მეცნიერებამ მკაცრი, ფხიზელი სულიერი ძალის ცნება განავითარა, რაც კაცთა მოდგმის მოძველებულ მეტაფიზიკურ მორალურ წარმოდგენებს აუტანელს ხდის, თუმცა კი მათ ადგილს მხოლოდ იმ იმედით ავსებს, რომ შორეულ მომავალში ინტელექტუალურ დამპყრობთა რასა სულიერი ნაყოფიერების ველზე დაეშვება. ეს შესაძლებელია მანამ, სანამ იძულებული არ გახდები, წინასწარმეტყველურ შორეთს მოსწყვიტო მზერა და იგი არსებულისკენ, ახლო მყოფისკენ მიმართო, სადაც წაიკითხავ, რომ დოღის ცხენი ამასობაში გენიალური გამხდარა. მეორე დილით ულრიხი მარცხენა ფეხზე ადგა, მარჯვენით კი საშინაო ფეხსაცმელს დაუწყო ძებნა. ეს იმ ქალაქში და ქუჩაზე არ

მომხდარა, სადაც ის ახლა ცხოვრობდა. მის ფანჯრებს ქვემოთ ასფალტის ბუღში მანქანები უკვე დაქროდნენ. დილის კამკამა ჰაერი დღის სიმჟავით იჟღინთებოდა. ფარდებიდან შემოღწეულ დილის რძისფერ შუქზე შიშველი სხეულის ჯერ წინ და შემდეგ უკან გადახრა, იატაკზე დაშვება და მუცლის კუნთებით მისი კვლავ წამოწევა, რათა მუშტები კრივის სავარჯიშო მსხლისათვის დაეშინა, როგორც სამსახურში წასვლის წინ იქცევა უამრავი ადამიანი, დიდ უაზრობად მოეჩვენა. დღეში ერთი საათი ცნობიერი ცხოვრების მეთორმეტედ ნაწილს შეადგენს, რაც ნავარჯიშევი სხეულის ნებისმიერი თავგადასავლისთვის მუდამ მზადმყოფი ლეოპარდის მდგომარეობის შესანარჩუნებლად სრულიად საკმარისია. ამგვარი მზადებისთვის შესაფერისი თავგადასავალი კი არა და არ ხდება და ეს დრო უაზრო მოლოდინში იფლანგება. ზუსტად ასევეა სიყვარულთან დაკავშირებითაც, რომლისთვისაც ადამიანი ასეთი მონდომებით ემზადება. ულრიხი მიხვდა, რომ მეცნიერებაშიც იმ მგზავრს ჰგავდა, მთებს ერთიმეორის მიყოლებით რომ გადაივლის და მიზანი კი არ გააჩნია. ულრიხს ცოტათი მაინც შეეძლო ახლებურად აზროვნება და გრძნობა, მაგრამ სიახლის ესოდენ დიდებული სანახაობა მისთვის წვრილმანებში ჩაიკარგა და თუ მანამდე სჯეროდა, რომ სიცოცხლის წყაროს ეწაფებოდა, ახლა უკვე მოლოდინით სავსე ფიალა ბოლომდე გამოეცალა. და აი ამ დროს ულრიხმა დიდი და პერსპექტიული საქმე შუა გზაზე მიატოვა. კოლეგები დევნის მანიით შეპყრობილ, შეუბრალებელ პროკურორებს და ლოგიკის ჟანდარმებს დამსგავსებოდნენ. ანდა ისინი თრიაქის მწეველებს ახსენებდნენ, ციფრებითა და უსაგნო კავშირებით სავსე სამყაროს ხილვებში რომ ჩაძირულან. „ღმერთო დიდებულო, – ფიქრობდა იგი. – მე ხომ მთელი ცხოვრება მათემატიკოსობას არ ვაპირებდი!“.

მაინც რას აპირებდა? ასეთ დროს შეეძლო ფილოსოფიისთვის მიემართა, მაგრამ ფილოსოფია იმ სახით, როგორითაც იგი მაშინ არსებობდა, დიდონას ისტორიას ახსენებდა, ხარის ტყავი თასმებად რომ დაჭრა, ოღონდ ძალიან საეჭვო იყო, შეძლებდა თუ არა მთელ სამეფოზე მათ გადაჭიმვას. ის, რაც ახალს ემატებოდა, ძალიან ჰგავდა მის მანამდელ საქმიანობას და არც იზიდავდა, მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ უფრო დასცილდა იმ მიზნებს, რომელთაც აქამდე ესწრაფოდა, თუ საერთოდ

ახსოვდა, რა უნდოდა.

გასაოცარი სიცხადით ხედავდა საკუთარ თავში ყველა იმ თვისებასა და უნარს – ფულის შოვნის უნარის გარდა, რომლის საჭიროებაც მას არ ჰქონდა – რასაც ახალი დრო ითხოვდა, მაგრამ მათი გამოყენების შესაძლებლობა დაკარგა. თუ ფეხბურთელები და ცხენები გენიალურები არიან, თვითმყოფადობის გადასარჩენად მხოლოდ სარგებლობის გზა რჩებოდა. ულრიხმა გადაწყვიტა, საკუთარი შესაძლებლობები შესაფერისად გამოეყენებინა და ამ მიზნით ერთი წლით ცხოვრებისგან შვებულება აიღო.

14. სიყრმის მეგობრები

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ულრიხი რამდენჯერმე ესტუმრა მრავალი წლის უნახავ მეგობრებს ვალტერსა და კლარისას, რომლებიც, მიუხედავად ზაფხულისა, ქალაქიდან არ გასულიყვნენ. სტუმრად მისულს, ისინი ყოველთვის როიალთან ხვდებოდნენ და სანამ პიესას არ ჩაამთავრებდნენ, მის იქ ყოფნას არც კი იმჩნევდნენ. ამჯერად ბეთჰოვენის „აპასიონატას“ ასრულებდნენ. მილიონობით ადამიანი – როგორც ნიცშე აღწერს – მოწიწებით იდრეკდა თავს, ინგრეოდა მტრობის ბარიერები, მსოფლიო ჰარმონიის სახარება არიგებდა და აერთიანებდა გათიშულთ; სიარულსა და მეტყველებას გადაჩვეულნი, მზად იყვნენ ასაფრენად. სახეაფორაჯებულები, წელში მოხრილები, თავს ძლიერი ბიძგით ხან ზევით სწევდნენ და ხან ქვევით, გაფარჩხული კლანჭებით ურჩი ბგერების ნარევს ზელდნენ. განუზომელი რამ ხდებოდა. ბუნდოვნად შემოხაზული, მწველი შეგრძნებით პირთამდე სავსე ბუშტი იბერებოდა და ის-ის იყო გასკდებოდა. აღელვებული თითები, ნერვიული ნაოჭი შუბლზე, სხეულის კრთომა შემაძრწუნებელ პერსონალურ ამბოხს ახალი გრძნობით ასხივებდა. ნეტა ეს მერამდენედ მეორდებოდა?

ულრიხს სძულდა მუდამ ხახადაფჩენილი როიალი. ვერ იტანდა ამ ფართოპირიან, დაგვაჯულფეხებიან, ტაქსასა და ბულდოგის ნაჯვარ კერპს, რომელსაც მისი მეგობრების ცხოვრება, კედელზე დაკიდებული სურათებისა და ფაბრიკული ავეჯის კახექსიური ესკიზების ჩათვლით, დაემორჩილებინა. თვით ის ფაქტიც, რომ შინამოსამსახურე მათთან არ ცხოვრობდა და მხოლოდ სადილის მოსამზადებლად ან დასალაგებლად

მოდიოდა, ამ გრძნობას კიდევ უფრო უღრმავებდა. ამ სამყოფელის მიღმა ფანჯრებიდან აქოჩრილ ტყემდე გადაჭიმული ვენახები, ბებერი ხეები და დამრეცსახურავიანი სახლები მოჩანდა. ახლომახლო კი ხრიოკ, მოტიტვლებულ, მოუვლელ მიდამოს დაინახავდით, სწორედ ისეთს, ქალაქის გარეუბნები სოფლის დასახლებაში რომ იჭრება. ამ წარმტაც სიშორესა და წინა პლანს შორის როიალი თაღივით გადაჭიმულიყო. კედლები მისი მოლაპლაპე შავი ფერის სინაზისა და ჰეროიზმის ცეცხლოვან სვეტებს ირეკლავდა და სანამ ფიჭვიან გორაკებს მიაღწევდა, ბგერების ნაცრად ქცეული, ას ნაბიჯშივე მიწაზე იფანტებოდა. ტყისკენ მიმავალ შუა გზაზე ტრაქტორი იდგა. როიალის გუგუნს სახლი კიდევ უფრო აძლიერებდა და იმ მეგაფონივით იყო, საიდანაც სული მყვირალობისას ატეხილი ირემივით სამყაროს უსასრულობაში გაჰყვირის, პასუხად კი ათასობით მოქიშპე, მისსავე მსგავს ეულ სულთა გოდების ხმა ესმის. ულრიხის მყარი პოზიცია ამ სახლში იმ ფაქტს ეყრდნობოდა, რომ მუსიკას იგი ნებელობის უძლურებად და სულიერ აშლილობად თვლიდა და მასზე აგდებით ლაპარაკობდა, თუმცა ასე არ ფიქრობდა. მისი მეგობრებისთვის კი მუსიკა მაშინ დიდი იმედისა და შიშის მიზეზად ქცეულიყო, რის გამოც ულრიხი თან სძულდათ და თან, როგორც ბოროტ სულს, თაყვანს სცემდნენ.

დაკვრას რომ მორჩნენ, ვალტერი დაქანცული, მოდუნებული და დაბნეული იჯდა როიალის წინ ნახევრად შემობრუნებულ, დაბალ სკამზე. კლარისა კი წამოდგა და ენერგიულად მიესალმა მოულოდნელად მოსულ სტუმარს. ხელებსა და სახეზე მუსიკის ელექტრული მუხტი ჯერაც არ განელებოდა. აღფრთოვანებითა და ზიზღით გამოწვეული დაძაბულობისაგან სახეზე ღიმილი უკრთოდა.

– ბაყაყების მეფე, – თქვა და თავი როიალის თუ ვალტერის მიმართულებით გააქნია. ულრიხმა იგრძნო, რომ მათ შორის ისევ რაღაც დაიძაბა. ბოლოს რომ ესტუმრა, კლარისამ სიზმარში ნანახი კოშმარი უამბო. სლიპინა, ღიპიანი, დონდლო და თან ალერსიანი გომბეშო ძილში ვითომ მის დაუფლებას ცდილობდა. ეს ამაზრზენი არსება ვალტერის მუსიკას ნიშნავდა. მეგობრები ულრიხს არაფერს უმალავდნენ და მისგან დაფარული საიდუმლო არ ჰქონდათ. როგორც კი მიესალმა, კლარისამ ულრიხს ზურგი შეაქცია, სწრაფი ნაბიჯებით ვალტერისკენ გაეშურა, თან „ბაყაყების მეფე“

საბრძოლო ყიჟინასავით დასჭექა და ვალტერს მუსიკისაგან ჯერ კიდევ დამუხტული ხელით მტკივნეულად მოქაჩა თმები. ქმარმა ვითომ შემცბარი სახე მიიღო და სიცარიელიდან მათკენ ნაბიჯი გადმოდგა.

შემდეგ კლარისა და ულრიხი ვალტერის გარეშე წავიდნენ საღამოს მზის შუქზე სასეირნოდ. დამრეცად წვიმდა. ვალტერი როიალთან დარჩა. კლარისამ თქვა: – უნარი, აიკრძალო ისეთი რამ, რაც გვნებს, სასიცოცხლო ძალების გამოცდას ნიშნავს! ქანცგამოლეულს მავნებელი ყოველთვის იზიდავს! რას ფიქრობ ამაზე? ნიცშე ამტკიცებს, რომ თუ ხელოვანი მეტისმეტად არის დაინტერესებული საკუთარი ხელოვნების მორალური მხარით, ეს მისი სისუსტის ნიშანია.

კლარისა პატარა ბორცვზე ჩამოჯდა. ულრიხმა მხრები აიჩეჩა. კლარისა ოცდაორი წლის იყო, როცა სამი წლის წინ მის სიყრმის მეგობარს გაჰყვა ცოლად და ულრიხმა მას ქორწილში ნიცშეს თხზულებები აჩუქა.

– ვალტერის ადგილას ნიცშეს დუელში გამოვიწვევდი, – უპასუხა მან ღიმილით. ულრიხმა იგრძნო, როგორ დაეძაბა კლარისას კაბის ქვეშ სათუთი ზურგი. დაძაბულობა სახეზეც ეტყობოდა და ულრიხისკენ მიბრუნებას ვერ ბედავდა.

– შენში ისევ არის რაღაც ყმაწვილქალური და თან ჰეროიკული, – დაუმატა ნათქვამს ულრიხმა. ეს სიტყვები მან ხუმრობანარევი, მაგრამ ალერსიანი აღფრთოვანებით წარმოთქვა, თან ისე, თითქოს კითხვას უსვამსო. კლარისამ კარგად ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ულრიხი, მაგრამ ეს ორი სიტყვა გულში თივის ზვინში ნასროლი ცეცხლოვანი ისარივით მოხვდა. შიგადაშიგ ოთახიდან ალალბედზე დაკრული ბგერების ხმა ესმოდათ. ულრიხმა იცოდა, რომ, როცა ვალტერი ვაგნერს უკრავდა, კლარისა მის სიახლოვეს კვირების განმავლობაში გაურბოდა. ვალტერი კი ვაგნერს მაინც უკრავდა, უკრავდა სინდისის ქენჯნით, რაღაც ბავშვური ახირებით.

კლარისას უნდოდა ეკითხა, რა იცოდა ამის შესახებ, მაგრამ შერცხვა. ვალტერს საიდუმლოს შენახვა არ შეეძლო. ულრიხიც იქვე, მის მახლობლად, ჩამოჯდა და კლარისამ ბოლოს სულ სხვა რამ თქვა: „შენ ვალტერი არ გიყვარს. სინამდვილეში შენ მისი მეგობარი არა ხარ“. მისი ნათქვამი გამოწვევასავით

ჟღერდა, თან ეცინებოდა.

ულრიხმა მოულოდნელი პასუხი გასცა.

– ჩვენ სიყრმის მეგობრები ვართ. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი იყავი. უთვალავი წლის წინ ერთმანეთით ვიყავით აღფრთოვანებულები და ახლა ერთმანეთის ნდობა დავკარგეთ. იმიტომ, რომ ერთმანეთს ხუთი თითივით ვიცნობთ. ორივეს გვინდა იმ მტანჯველი გრძნობისგან გათავისუფლება, როცა ერთმანეთთან ვაიგივებდით თავს და ამიტომ ერთმანეთში საკუთარი თავების მრუდე ანარეკლს ვხედავდით.

– ესე იგი არ გჯერა, რომ ის კიდევ მიაღწევს რამეს, – თქვა კლარისამ.

– არ არსებობს უფრო ნათელი მაგალითი იმ გარდაუვალობისა, როცა ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანი ჩვეულებრივ ხანში შესულ კაცად ბერდება და მიზეზი ულმობელი ბედისწერა კი არა, მისთვის წინასწარ განკუთვნილი გამოფიტვაა!

კლარისამ ტუჩები მოკუმა. ახალგაზრობის დროინდელმა შეთანხმებამ, რომ მრწამსი თავაზიანობაზე უფრო მნიშვნელოვანია, ააფორიაქა და მაინც ატკინა გული. მუსიკა! ოთახიდან ისევ ისმოდა როიალის ბობოქარი ხმები. კლარისა და ულრიხი მდუმარედ უსმენდნენ ამ ხმებს, რომლებიც ბრუნჰილდას სარეცელთან მოციმციმე ცეცხლის ალივით ამოდიოდა გორაკებიდან.

ადვილი სათქმელი არ იყო, რას წარმოადგენდა ვალტერი სინამდვილეში. ის ოცდათოთხმეტ წელს გადაცილებული, სასიამოვნო ადამიანი იყო, მეტად მეტყველი თვალებით. ვალტერი ხელოვნებასთან დაკავშირებულ რაღაც დაწესებულებაში მუშაობდა, სადაც მამამისმა მოაწყო და თან დაემუქრა, თუ უარს იტყოდა, მისგან ფინანსური დახმარების იმედი აღარ ჰქონოდა. ისე კი ვალტერი მხატვარი იყო. უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიას სწავლობდა და თან სახელმწიფო აკადემიის ფერწერის ჯგუფში მუშაობდა. შემდეგ კი ერთხანს სახელოსნოში ცხოვრობდა. როცა კლარისასთან ქორწინების შემდეგ მალევე ქალაქის განაპირას მდებარე სახლში გადავიდა, მხატვრობისთვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა თავი დანებებული. ახლა კი, როგორც ჩანს, ისევ მუსიკას მიბრუნებოდა. კლარისასთან ათწლიანი სასიყვარულო ისტორიის მანძილზე ხან რას მოჰკიდა ხელი, ხან რას,

პოეტობდა კიდეც და ლიტერატურულ ჟურნალსაც გამოსცემდა. ცოლის მოყვანის მიზნით იმ სააგენტოშიც აპირებდა მუშაობის დაწყებას, რომელიც თეატრებს პიესებით ამარაგებს, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ ამ განზრახვაზეც აიღო ხელი. ცოლის გამო თეატრში დირიჟორადაც მუშაობდა, თუმცა ნახევარი წლის შემდეგ ესეც შეუძლებლად მოეჩვენა. ხან მუსიკალური კრიტიკოსობა მოსინჯა, ხან ხატვის მასწავლებლობა, განდეგილივითაც ცხოვრობდა, სანამ მამამისს და მომავალ სიმამრს, მიუხედავად მისდამი დიდსულოვანი განწყობილებისა, მოთმინების ძაფი არ გაუწყდათ. მათი თაობის ადამიანები ვალტერზე იტყოდნენ, ნებისყოფა აკლიაო, თუმცა ასეთივე დამაჯერებლობით ისიც შეიძლება ეთქვა ვინმეს, მრავალმხრივი დილეტანტია და მეტი არაფერიო. უცნაური კი ის გახლდათ, რომ მუსიკის, მწერლობის ან მხატვრობის სფეროში ყოველთვის მოიძებნებოდა ვინმე სპეციალისტთაგანი, ვალტერს ბრწყინვალე მომავალს რომ უწინასწარმეტყველებდა. ულრიხის ცხოვრებაში კი პირიქით ხდებოდა. მას უკვე მოესწრო რაღაც ღირებულის გაკეთება და ამას ვერავინ უარყოფდა. არასდროს მომხდარა, რომ მასთან ვინმე მისულიყო და ეთქვა: „თქვენ ის კაცი ხართ, ვისაც სულ ვეძებდი და ვისაც ჩემი მეგობრები ელიან!“, ვალტერის ცხოვრებაში კი ეს ყოველ სამ თვეში ერთხელ ხდებოდა. და თუ ისინი დიდად ავტორიტეტული შემფასებლები არ იყვნენ, რაღაც გავლენები მაინც ჰქონდათ და ვალტერისთვის პერსპექტიული წინადადების შეთავაზება შეეძლოთ. ეს ადამიანები ან წამოწყებულ საქმეს უდგნენ უკვე სათავეში, ან რაღაც თანამდებობას ფლობდნენ, ან გავლენიანი მეგობრები ჰყავდათ და შეეძლოთ, პროტექცია გაეწიათ ვალტერისთვის. მისი ცხოვრებაც სწორედ ამიტომ მიედინებოდა ასე ზიგზაგისებრად. ვალტერში იყო რაღაც ისეთი, რაც ერთი შეხედვით უფრო მნიშვნელოვანი ჩანდა, ვიდრე რამე კონკრეტული საქმე. შესაძლოა, მისი ტალანტი სწორედ ის იყო, რომ სხვებს უფრო ნიჭიერად მოსჩვენებოდა და თუ დილეტანტიზმი ეს გახლავთ, გამოდის, რომ გერმანელი ერის სულიერი ცხოვრება დიდწილად სწორედ დილეტანტიზმს ეყრდნობა, რადგან ეს უნარი, ჭეშმარიტად დიდი ნიჭის მქონე ადამიანების ჩათვლით, ყველა საფეხურზე გვხვდება, თუმცა, ალბათ, თუ ვინმეს აკლია ეს დილეტანტიზმი, სწორედ ისინი არიან.

ვალტერს ამის დანახვის ტალანტიც ჰქონდა. ცხადია, როგორც ყველა, წარმატებას ისიც პირად დამსახურებად მიიჩნევდა, მაგრამ ერთი შემთხვევითი გამარჯვებიდან მეორეზე მსუბუქად გადანაცვლება სწორედ ამ სიმსუბუქის გამო აფორიაქებდა. საქმიანობას და ურთიერთობებს მერყევი, არამდგრადი ხასიათის გამო კი არ იცვლიდა, არამედ იმიტომ, რომ სულიერი ტაჯვითა და შიშით მოწამლული, ილუზიურ ნავსაყუდელში საბოლოო დამკვიდრებამდე შინაგანი აზრის სიწმინდის შენარჩუნების გამო ძიების შეწყვეტას არ აპირებდა. მისი ცხოვრების გზა მშფოთვარე მოვლენათა ერთი გრძელი ჯაჭვი იყო, რომელიც სულის ჰეროიკულ ბრძოლას ბადებდა. მისი სული ყოველივე ნაკლულს ეწინააღმდეგებოდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ამით საკუთარს (ნაკლოვანებას) ემსახურებოდა. სანამ სულიერი მოღვაწეობის მორალისთვის იბრძოდა და მისთვის იტანჯებოდა, როგორც ეს გენიოსთა ხვედრია – თუმცა კი მისი ტალანტი ვერაფერ დიდს ვერ ჰყოფნიდა – ბედისწერამ წრეზე ატარა და ნელ-ნელა ისევ ნულოვან წერტილთან დააბრუნა; საბოლოოდ იმ ადგილს მიაღწია, სადაც აღარაფერი დააბრკოლებდა. მშვიდი, შეუმჩნეველი, ხელოვნების ბაზრის ყოველგვარი სიბინძურისგან დაცული ნახევრად სამეცნიერო სამსახური დიდ დამოუკიდებლობასა და თავისუფალ დროს ანიჭებდა საიმისოდ, რომ შინაგანი მოწოდებისთვის დაეგდო ყური. საყვარელი ქალის დაუფლება გულიდან ეკალს აძრობდა, და სახლიც „მარტოობის განაპირა მხარეს“, სადაც ის მასთან ერთად ქორწინების შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა, თითქოს შემოქმედებისთვის იყო შექმნილი. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა თითქოს ყველა ბარიერი გადალახა, მოულოდნელი რამ მოხდა: ნაწარმოებები, რომლებსაც მისი ნააზრევის დიდებულება უნდა წარმოეჩინა, არ ჩანდა. როგორც ჩანს, ვალტერი ვეღარ მუშაობდა. ის მათ მალავდა და ანადგურებდა. დილაობით ან ნაშუადღევს, როცა სახლში ბრუნდებოდა, საათობით ოთახში იკეტებოდა, ან ჩანახატების ალბომით ხელში დიდხანს სეირნობდა, მაგრამ იმ მცირედსაც, რასაც ამ დროს ქმნიდა, სხვებს უმალავდა ან ანადგურებდა. საამისოდ ათასი მიზეზი ჰქონდა. მთლიანობაში მისი შეხედულებები ამ პერიოდში საგრძნობლად შეიცვალა, „ეპოქის ხელოვნებაზე“ ან „მომავლის ხელოვნებაზე“ – იდეებზე, რომლებიც კლარისასთვის მათი ურთიერთობის თხუთმეტი წლის მანძილზე ვალტერს უკავშირდებოდა – აღარ ლაპარაკობდა.

მუსიკაში პარალელს ბახთან, მწერლობაში შტიფტერთან, მხატვრობაში კი ინგრესთან ავლებდა და აცხადებდა, რაც მათ შემდეგ შეიქმნა, უზნეო, ღვლარჭნილი და უტრირებულიაო. გაცხარებული ამტკიცებდა, ამ საფუძველშივე მოწამლულ ეპოქაში ნამდვილმა ტალანტმა შემოქმედებისგან თავი უნდა შეიკავოსო, თვითონ კი, თუმცა მისი პირიდან ამგვარი მკაცრი მოსაზრებები ხშირად ისმოდა, ოთახში იკეტებოდა, საიდანაც ვაგნერის მუსიკა სულ უფრო ხშირად ისმოდა. ადრეულ წლებში ვაგნერს ფილისტერულ-გადაპრანჭულ, დეკადენტური ეპოქის ნიმუშად თვლიდა და კლარისასაც იმავეს უმეორებდა. დღეს კი მის ხიბლს ცხელი დამათრობელი სასმელივით გაებრუებინა.

კლარისა თავს იცავდა ამ მუსიკისგან. ვაგნერი მას თუნდაც ხავერდის ქურთუკისა და ბერეტის გამო სძულდა. ის მხატვრის ქალიშვილი იყო. მამამისის თეატრალურ დეკორაციებსა და კოსტიუმების ესკიზებს საყოველთაო აღიარება მოეპოვებინა. თავად კი ბავშვობა თეატრალური კულისებისა და საღებავების სუნით გაჟღენთილ სამყაროში, ხავერდის, ხალიჩების, გენიოსების, ჯიქის ბეწვის, ათასნაირი სამშვენისების, ფარშევანგის მარაოების, ზანდუკებისა და ბარბითების გარემოცვაში გაატარა, სადაც საოპერო, თეატრალური და მხატვრის სახელოსნოების ჟარგონი ისმოდა. ამიტომაც სძულდა თავდავიწყებით ავხორცი ხელოვნება და ასკეტური სიმკაცრე იზიდავდა, იქნებოდა ეს ახალი, ატონალური მუსიკის მეტაგეომეტრია თუ გატყავებული კუნთების სამედიცინო ექსპონატივით ცხადი, კლასიკური ფორმების ნებელობა. ვალტერი იყო პირველი, ვინც იგი ქალწულებრივ ტყვეობაში ამ ინფორმაციას აზიარა. კლარისამ მას „სინათლის პრინცი“ შეარქვა და როცა ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ერთმანეთს შეჰფიცეს, მანამ არ დაქორწინებულიყვნენ, სანამ ვალტერი სამეფო გვირგვინს არ დაიდგამდა. ვალტერის ცვლილებებისა და საქმიანობის გზა განუსაზღვრელი ტანჯვისა და აღტაცების გზა იყო, სადაც საბრძოლო ჯილდო სწორედ მას ერგო. კლარისა ვალტერივით ნიჭიერი არ ყოფილა და ამას ის ყოველთვის გრძნობდა. გენიალურობა მისთვის ნებისყოფის საკითხი იყო. მუსიკას ველური ენერგიით ეუფლებოდა. შეიძლება, მუსიკალური ნიჭი საერთოდ არ გააჩნდა, მაგრამ სამაგიეროდ გაბედულება და როიალზე დასაკრავად ათი ძლიერი თითი არ აკლდა; მთელი დღეები ვარჯიშობდა და თითებს ათი

გაძვალტყავებული ხარივით მიერეკებოდა, თითქოს მიწიდან რაღაც უსაშველოდ მძიმე უნდა ამოეგლიჯა. კლარისა მხატვრობასაც ასე ეკიდებოდა. თხუთმეტი წლის მანძილზე ვალტერს გენიოსად თვლიდა, რადგან გენიოსის ცოლობა მიზნად დაესახა. ვალტერს გასაქანს არ აძლევდა და მისგან მხოლოდ ამას მოითხოვდა. მის უუნარობას წყობიდან გამოჰყავდა და სასიცოცხლო ატმოსფეროს სულისშემხუთველ, ნელ ცვლილებას გააფთრებით ებრძოდა. ვალტერს კი ადამიანური სითბო სწორედ ამ დროს სჭირდებოდა და ილაჯგაწყვეტილი, საკუთარი უღონობით გაწამებული, კლარისას იმ ბავშვივით ეტმასნებოდა, რძესა და ძილს რომ ეძებს. კლარისას ჩია, ნერვიულ სხეულს კი დედობრივი სითბო აკლდა, ეჩვენებოდა, თითქოს პარაზიტები სისხლს სწოვდნენ, თვითონ კი არ ნებდებოდა. მას სძაგდა სამრეცხაოს სითბო, სადაც ვალტერი ნუგეშს ეძებდა. ალბათ, კლარისას საქციელი სასტიკი იყო, მაგრამ მას გენიოსის ცოლობა ეწადა და ბედს არ ურიგდებოდა.

ულრიხმა კლარისას სიგარეტი შესთავაზა. რაღა ჰქონდა სათქმელი, რასაც ფიქრობდა, უცერემონიოდ გამოუცხადა. მათი სიგარეტების კვამლი ჩამავალი მზის სხივს გაჰყვა და ერთმანეთს შეერია.

„ნეტა ულრიხმა რა იცის, – ფიქრობდა ბორცვზე ჩამომჯდარი კლარისა, – ნეტა ამ ბრძოლის რა გაეგება!“. გაახსენდა მუსიკის ვნებით შეპყრობილი ვალტერის მორღვეული, ღონემიხდილი, გამოცარიელებული სახე. არა, ფიქრობდა ის, თითქოს სიყვარულით, სიძულვილით, შიშითა და უზენაესი მოვალეობით ნაგებ ჰიმალაიზე გამართულ ამ შემზარავ სასიყვარულო თამაშობებზე ულრიხმა არაფერი იცოდა. კლარისა მათემატიკას დიდად არაფრად აგდებდა და ულრიხს ვალტერზე ნიჭიერადაც არასდროს თვლიდა. კი, ბატონო, ულრიხი ჭკვიანი იყო, ლოგიკური და ბევრიც იცოდა, მაგრამ განა ეს ბარბაროსობაზე მეტი არ იყო? ულრიხი ჩოგბურთს ვალტერზე გაცილებით უკეთ თამაშობდა. გაახსენდა, რომ ხანდახან ჩოგბურთის მოედანზე მისი შეუპოვარი თამაშის შემყურეს უფიქრია: „რასაც მოინდომებს, ყველაფერს მიაღწევს“. ვალტერის მხატვრობასთან, მუსიკასთან ან მის აზრებთან შეხებისას ასეთი რამ არასდროს უგრძნია. კლარისა ფიქრობდა: „იქნებ ჩვენზე ყველაფერი იცის, მაგრამ არაფერს ამბობს?“ აკი გადაკვრით მისი გმირობაც ახსენა. ორივე დუმდა

და ეს დუმილი უჩვეულოდ საინტერესო გახდა.

ულრიხი კი ფიქრობდა: „რა საყვარელი იყო კლარისა ათი წლის წინ. ეს ნახევრად ბავშვი, სამივეს მომავლის იმედით ანთებული“. კლარისა მისთვის მხოლოდ ერთადერთხელ გახდა უსიამოვნო და ისიც მაშინ, როცა ვალტერს გაჰყვა ცოლად. იმ დროს მან ის უსიამოვნო ეგოიზმი გამოავლინა, რაც თავის ქმარზე შეყვარებულ ახალგაზრდა, პატივმოყვარე ქალს სხვა კაცებისთვის ასე აუტანელს ხდის. „ამ თვალსაზრისით კლარისა უკეთურობისკენ შეიცვალა“, – ფიქრობდა ის.

15. სულიერი დაცემა

ახალი საუკუნის დადგომისას, ახლა რომ გარდასულ დღეთა საკუთრებად ქცეულა, მაშინ კი ბევრს ახალგაზრდა ეგონა, ვალტერი და ულრიხი ყმაწვილები იყვნენ.

საიქიოს გასტუმრებული საუკუნის მეორე ნახევარი დიდად არაფრით გამოირჩეოდა. ის ჭკვიანი იყო ტექნიკაში, ვაჭრობასა და სამეცნიერო კვლევებში, მაგრამ ენერგეტიკული ცენტრის მიღმა – ჭაობივით წყნარი და მატყუარა. ხატავდა წინა ეპოქების ოსტატთა მსგავსად. თხზავდა გოეთესა და შილერისებურად და სახლებს გოთიკისა და რენესანსის სტილით აგებდა. იდეალურზე მოთხოვნილება ცხოვრების ყველა გამოვლინებაზე ჟანდარმივით ბატონობდა. იმ იდუმალი კანონის გამო, რომელიც ადამიანებს უტრირების გარეშე მიბაძვის ნებას არ რთავს, ყოველივე ისე კორექტულად კეთდებოდა, რომ მათ, ვისაც ისინი განადიდებდნენ და ბაძავდნენ, არც კი დაესიზმრებოდათ. ამ კორექტულობის კვალი ქუჩებსა და მუზეუმებში დღესაც შეიმჩნევა. უკავშირდება ეს ნათქვამს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, კეთილგონიერ, კდემამოსილ ქალებს კისრიდან კოჭებამდე სიგრძის კაბები უნდა სცმოდათ, მაგრამ ფუმფულა მკერდი და ბარაქიანი საჯდომი გამოეკვეთათ. სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო არც ერთი წარსული ეპოქის შესახებ არ არის ისე ცოტა რამ ცნობილი, როგორც იმ სამი-ხუთი ათეული წლის შესახებ, საკუთარ ოც წელს მამის ოცი წლის ასაკისგან რომ აშორებს. შესაძლოა, ამის გამო სასარგებლოც იყოს იმის შეხსენება, რომ ცუდ ეპოქებში ცუდი სახლები და ლექსები ისეთივე ამაღლებული პრინციპებით იქმნებოდა, როგორითაც საუკეთესო სახლები და ლექსები. წინა ეპოქის მიღწევათა

გამანადგურებელთ თავი მათი გამაუმჯობესებლები ჰგონიათ; უსისხლო ახალგაზრდებს კი საკუთარ სისხლზე ისეთივე მაღალი წარმოდგენები აქვთ, როგორიც გარდასულ დღეთა ახალგაზრდებს.

ყოველთვის დიდი სასწაულია, როცა ეპოქის წაფერდებული დაღმართიდან სული უეცრად აღმართს შეუყვება, როგორც ეს მაშინ მოხდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის გაზეპილი სულიდან მთელ ევროპაში მოულოდნელად ციებ-ცხელებამ იფეთქა. ზუსტად არავინ იცოდა, რა დატრიალდა. ვერავინ გეტყვით, რა იყო ეს: ახალი ხელოვნება, ახალი ადამიანი, ახალი მორალი თუ საზოგადოების ახლებურად გადაჯგუფება. ამიტომ ყველა იმას ამბობდა, რაც მოეხასიათებოდა. ძველთან საბრძოლველად ყველა დაირაზმა. შესაფერისი ადამიანიც უმალ ჩნდებოდა. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრაქტიკულ საკითხებში ფხიანები სულიერების დარგში ფხიანებთან ერთიანდებოდნენ. თავი იჩინა უწინ ჩაკლულმა უნარმა, რომელიც მანამდე საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მონაწილეობდა. სხვაობა ადამიანთა მიზნებს შორის უმაგალითოდ დიდი იყო. უყვარდათ ზეკაციც და არაკაციც. თაყვანს სცემდნენ ჯანმრთელობას, მზეს და მუხლს იყრიდნენ ტუბერკულოზით სნეული გოგონას სინაზის წინაშე, აღიარებდნენ გმირსაც და რიგითსაც, იყვნენ მიმნდობები და სკეპტიკურები, ბუნებრივები და მანერულები, ავადმყოფურები და ღონიერები, ოცნებობდნენ სასახლის ძველ ხეივნებზე, შემოდგომის ბაღებზე, შემინულ ტბორებზე, ძვირფას თვლებზე, ჰაშიშზე, სნეულებაზე, დემონებზე, პრერიებზე, შორეულ ჰორიზონტებზე, მჭედლის უროსა და საგლინავ დგანზე, შიშველ მეომრებზე, დამონებულ მუშათა აჯანყებებზე, პირველყოფილ ადამიანთა განაყოფიერების აქტსა და საზოგადოების ნგრევაზე. ცხადია, საომარი მოწოდებები წინააღმდეგობრივი და განსხვავებული იყო, თუმცა ერთი სულით შთაგონებული. იმ ეპოქის ნაწილებად დაყოფა ისეთივე უაზრობა იქნებოდა, როგორიც მოუხეშავი რკინის ნაჭრისგან დაკუთხული წრის მიღების მცდელობა. სინამდვილეში კი ყველაფერი მოციმციმე აზრად გამოდნა. საუკუნეთა გზაგასაყარზე მაგიურ თარიღად განსხეულებული ილუზია იმდენად დიდი იყო, რომ ზოგი თავდავიწყებით ეკვეთა ახალ, ჯერაც უმოქმედო საუკუნეს, ზოგი კი

მშობლიური სახლივით ძველს მიუბრუნდა, საიდანაც გადასვლა ისედაც მოუწევდათ, თანაც ისე, რომ ვერც კი გრძნობდნენ ქცევის ამ ორ მანერას შორის სხვაობას.

თუ განვლილი „მოძრაობის“ გადაფასება არ გინდა, არც არის საჭირო. ის ისედაც მხოლოდ ინტელექტუალთა ვიწრო, არამდგრად ფენაში არსებობს, რომლებიც, მადლობა ღმერთს, კვლავამბოხებულთა ურყევი მსოფლმხედველობის ადამიანებს ერთსულოვნად სძულთ, მასებზე კი არ ვრცელდება. და თუ ეს ისტორიული მოვლენა ვერ გახდა, რაღაც ამბად ხომ მაინც იქცა. ახალგაზრდობაში ვალტერი და ულრიხი მის მბჟუტავ სინათლეს მოესწრნენ. რწმენის ქაოსში მაშინ რაღაცამ დაბერა, თითქოს ხეები ქარმა მოდრიკა. საუკეთესო ეპოქებისთვის ასე კარგად ნაცნობი სექტანტური და რეფორმატორული მაჯისცემა, დასაწყისისა და ცვლილებების ნეტარი განცდა, მცირე განახლებისა და რეფორმაციის სული ამ სამყაროში შებიჯებისთანავე, პირველსავე მოსახვევში მოგელამუნებოდათ სახეზე.

16. ეპოქის იდუმალი სენი

სულ ახლახან ისინი ახალგაზრდები იყვნენ, – ფიქრობდა მარტო დარჩენილი ულრიხი, – და გრანდიოზული იდეები მხოლოდ სხვაზე ადრე კი არ ებადებოდათ, არამედ ერთდროულადაც. საკმარისი იყო, ერთ-ერთს რამე ახლის თქმა დაეპირებინა და მეორეც იმწამსვე იმავეს აღმოაჩენდა. სიყრმის მეგობრობა უცნაურია. ის იმ კვერცხს ჰგავს, რომელიც ფრინველად ყოფნის დიდებულებას გულშივე გრძნობს, გარედან კი არაფრისმთქმელი ოვალით სხვებისგან არც კი განირჩევა. ულრიხს თვალწინ ედგა ოთახი, სადაც ის ვალტერს ჯერ ბავშვობაში, შემდეგ კი სტუდენტობის დროს ხვდებოდა, როცა უცხოეთიდან რამდენიმე კვირით სამშობლოში ბრუნდებოდა ხოლმე. ხედავდა ვალტერის საწერ მაგიდას, სავსეს ნახატებით, ჩანაწერებით და ნოტების რვეულებით, ცნობილი ადამიანის ბრწყინვალე მომავალს წინასწარ რომ ასხივებდა; მაგიდის პირდაპირ ვიწრო ეტაჟერს, სადაც ხანდახან, სვეტზე მიყრდნობილი სებასტიანივით, ცხარედ მოკამათე ვალტერი იდგა, ნათურის შუქი კი მშვენიერ თმებს უნათებდა, ულრიხს ფარულად ასე რომ ხიბლავდა. ნიცშე, ალტენბერგი, დოსტოევსკი ან სხვა რომელიმე წიგნი იატაკზე ან საწოლზე მოკრძალებულ ადგილს უნდა დასჯერებოდა,

რადგან აზრების ნიაღვარი სულ მცირე შეფერხებასაც კი ვერ ითმენდა, რომ ვინმეს ეს წიგნები აეღო და კუთვნილი ადგილი მიეჩინა. ახალგაზრდული ქედმაღლობა, დიადი იდეები თავისი ნება-სურვილისამებრ რომ იყენებენ, ულრიხს ახლა მომხიბვლელად ეჩვენებოდა. ცდილობდა, გაეხსენებინა, რაზე საუბრობდნენ. ამ საუბრებს ისე იხსენებდა, როგორც ახალგამოღვიძებული, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს სიზმარში განცდილი. ფიქრობდა: როცა რამეს ვამტკიცებდით, სიმართლის გარდა სხვა მიზანიც გვამოძრავებდა – თავის დამკვიდრება! ახალგაზრდობაში ბევრად ძლიერია სწრაფვა – თავად ანათებდე, ვიდრე – სინათლის შუქზე დაინახო. ახალგაზრდული გრძნობების სხივზე მოლივლივე მოგონებები ულრიხისთვის მტკივნეული დანაკარგი იყო.

ულრიხს მოეჩვენა, რომ სიმწიფის ასაკის დადგომისთანავე რაღაც საერთო ვარდნას შეესწრო, რომელიც ქარიშხლის დროებითი ამოვარდნის მიუხედავად, მალევე რომ ჩადგებოდა ხოლმე, უსიცოცხლო, უხალისო პულსაციად ქცეულიყო. ადვილად ვერ იტყოდა კაცი, რა მოხდა, რამ გამოიწვია ეს ცვლილებები. ნუთუ ერთბაშად დიდი ადამიანების რიცხვი დაცოტავდა? არამც და არამც! და საერთოდაც, საქმე მათში როდი იყო. ეპოქის სიდიადე მათზე არ არის დამოკიდებული, მაგალითად, სამოციანი, ოთხმოციანი წლების სულიერებისგან დაცლილი ადამიანები ვერ შეძლებდნენ ჰებელის და ნიცშეს განვითარების შეფერხებას, ანდა პირიქით: ვერც რომელიმე მათგანი მოახდენდა გავლენას თანამედროვეთა უსულგულობაზე. ჩაკვდა ცხოვრება? არა, ის უფრო მომძლავრდა! ან იქნებ შემბოჭავი წინააღმდეგობა გახდა უწინდელზე მეტი? ამაზე მეტი როგორღა გახდებოდა! ნუთუ წინათ არ სჩადიოდნენ უზნეობას? რამდენსაც გინდა! ჩვენ შორის დარჩეს და სუსტებს თავგამოდებით ექომაგებოდნენ, როცა ძლიერებს არც კი ამჩნევდნენ. ისეც ხდებოდა, რომ ბრიყვი წინამძღოლობდა, დიდი ტალანტის მქონე კი ახირებულის როლს თამაშობდა; გერმანელი უდარდელად აგრძელებდა საოჯახო ჟურნალებში სამშობიარო ტკივილებზე კითხვას, მას დეკადენტურად და ავადმყოფურ გადაჭარბებად თვლიდა, გაუთავებლად დადიოდა მასობრივ ღონისძიებებსა და აკადემიურ გამოფენებზე, სეცესიონისტებს კი თავს არიდებდა. პოლიტიკა ახალი ადამიანების მსოფლმხედველობასა და მის ჟურნალებს მცირედაც კი არ უწევდა ანგარიშს, ოფიციალური

დაწესებულებები კი მათ შავი ჭირივით გაურბოდა. განა მას შემდეგ ეს ყოველივე არ გაუმჯობესდა? ისინი, ვინც პატარა სექტებს ედგა სათავეში, წარსულის ცნობილ ადამიანებად იქცნენ. გამომცემლები და ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრენი გამდიდრდნენ; სიახლე კვლავაც მკვიდრდება. მთელი ქვეყანა დაიარება როგორც მასობრივ ღონისძიებებზე, ისე სეცესიონისტების გამოფენებზე, სეცესიონისტები კი – სეცესიონისტების სანახავად. საოჯახო ჟურნალებმა თმა დაიმოკლეს. სახელმწიფო მოღვაწეებს მოსწონთ ხელოვნებისა და კულტურის საკითხებში საკუთარი კომპეტენტურობის წარმოჩენა. გაზეთები ლიტერატურის ისტორიას ქმნიან. მაშ რა დაიკარგა? რაღაც უმნიშვნელო. წინასწარი მომასწავებელი ნიშანი. ილუზია. თითქოს მაგნიტმა რკინის ნაქლიბი გაფანტა და შემდეგ ისევ ერთმანეთში შეურია, თითქოს ძაფის გორგალი ჩამოიშალა, თითქოს კოლონა მიჩანჩალებს, თითქოს ორკესტრმა ყალბი ნოტები აიღოო. გადაჭრით ვერც ერთ დეტალს ვერ დაადებდით ხელს, წინათ რომ არ ეარსება, მაგრამ პროპორციები ოდნავ დაირღვა. იდეათა უწინდელი მჭლე ავტორიტეტი გაპოხიერდა. ისინი, ვისაც აქამდე სერიოზულად არც კი ეკიდებოდნენ, დღეს დიდების სახელს იმკიდნენ, უკმეხი მოლბა, დაცილებულები ერთიანდებოდნენ, ჩამოყალიბებული გემოვნება ისევ ეჭვის ქვეშ დადგა, მკვეთრი საზღვრები ყველგან მოიშალა. დამოყვრების ახალმა, ენით გამოუთქმელმა უნარმა ახალი ადამიანები და წარმოდგენები წამოსწია წინ. ისინი, რა თქმა უნდა, სულელები არ ყოფილან. ეს იყო, რომ კარგს ცუდი შეერია, ჭეშმარიტებას – ცდომილება, მნიშვნელოვანს – შემგუებლობა. როგორც ჩანს, არსებობდა ამ ნარევის პროცენტული განაკვეთიც, რომელიც სულ უფრო ფართოვდებოდა. ეს იყო სუროგატის მცირე, მაგრამ სრულიად საკმარისი დანამატი, რათა გენიოსი გენიალურად, ტალანტი კი იმედად გამოვლენილიყო, სწორედ ისე, როგორც ზოგიერთთა მოსაზრებით, ყავას არომატს და მდგრადობას ლეღვისა და ვარდკაჭაჭას ზომიერად დამატება ანიჭებს. სულიერი ცხოვრების ყველა საკვანძო და მნიშვნელოვანი პოზიცია ამ ახალმა ადამიანებმა დაიკავეს და გადაწყვეტილებებსაც თავის ნებაზე იღებდნენ. პასუხისმგებლობას ვერავის დააკისრებდით და არც იმის თქმა იყო იოლი, ასე რატომ მოხდა. ბრძოლას ვერც რომელიმე ადამიანს გამოუცხადებდი, ვერც იდეას და ვერც რომელიმე კონკრეტულ მოვლენას. არც ტალანტის ნაკლებობა იყო, არც კეთილი ნებისა და არც ხასიათისა. ის, რის დეფიციტიც

გაჩნდა, არც არაფერში არსებობდა. თითქოს სისხლი თუ ჰაერი შეიცვალაო, წინა ეპოქის გენიალურობის საწყისი იდუმალმა სენმა გამოხრა, მაგრამ ყველაფერი სიახლით ბრწყინავდა; ბოლოს კი ვეღარც ხვდებოდი, სამყარო გაუარესდა თუ უბრალოდ შენ დაბერდი. აი, ამ დროს დამთავრდა ძველი და საბოლოოდ დადგა ახალი ეპოქა.

დრო დილის ცასავით შეიცვალა, ფირუზისფრად რომ ჩახჩახებს და მერე თანდათან შეუმჩნევლად რომ მოიღრუბლება; არც იმით შეუწუხებია დიდად თავი, რომ ულრიხს დალოდებოდა. ულრიხმა კი თავის ეპოქას სამაგიერო მიუზღო და გენიალურობის გამომხრავი, ავადმყოფობად ქცეული ამ იდუმალ ცვლილებათა მიზეზები ტრივიალურ სისულელედ ჩათვალა, თუმცა არა ნეგატიური მნიშვნელობით. სისულელე რომ შინაგანად ტალანტს არ ჰგავდეს ან მისი გარეგნული გამოვლინებები – პროგრესს, გენიას, იმედს და სრულქმნას, სულელად ყოფნა არავის მოუნდებოდა და სისულელეც არ იარსებებდა. ყოველ შემთხვევაში, ადვილი მაინც იქნებოდა მასთან ბრძოლა. სამწუხაროდ, მასში არის რაღაც უჩვეულოდ ბუნებრივი და მომთაფლავი. მაგალითად, როცა თვლიან, რომ ოლეოგრაფია ზეთის საღებავებით შესრულებულ ტილოზე უფრო ოსტატური ნახელავია, ამაში სწორედაც რომ არის ჭეშმარიტების მარცვალი. ამ ჭეშმარიტების დამტკიცება უფრო იოლია, ვიდრე იმისა, რომ ვან გოგი დიდი მხატვარია. ასევე იოლი და მომგებიანია, იყო შექსპირზე უფრო დიდი დრამატურგი ან გოეთეს ტოლი ეპიკოსი, და საერთოდაც, ბანალური უფრო ადამიანურია, ვიდრე დიადი აღმოჩენა. სისულელეს ყველა მნიშვნელოვანი აზრის გამოყენება შეუძლია, ის ძალზე დინამიკურია და ჭეშმარიტების ყველა სამოსს მოირგებს. ჭეშმარიტება კი ერთადერთი სამოსით გვევლინება, ერთადერთი გზით დადის და მუდამ წამგებიანია.

ამასთან დაკავშირებით ულრიხს ერთი უცნაური აზრი დაებადა. წარმოიდგინა 1274 წელს გარდაცვლილი დიდი ფილოსოფოსი თომა აკვინელი, რომელმაც საარაკო შრომა გასწია, თავისი ეპოქის აზრებს თავი მოუყარა, მოაწესრიგა და აი, თითქოს კიდევ ერთი ფუნდამენტური გამოკვლევის შემდეგ ღვთის სასწაულმოქმედი ნებით დაუბერებელი თომა აკვინელი ფოლიანტებით ხელში სახლის თაღიანი კარიდან გამოვიდა და ზედ ცხვირწინ ტრამვაიმ ჩაუქროლა. Doctor universalis-ის – როგორც ძველად მოიხსენიებდნენ ხოლმე დიდ

თომას – გაოგნებამ ულრიხს ღიმილი მოჰგვარა. ცარიელ ქუჩაში მოტოციკლისტი მოქროდა. ხელ-ფეხმოღრეცილი, პერსპექტივიდან ამოიზარდა და იმ ბავშვივით მედიდური სახე ჰქონდა, მთელი სერიოზულობით რომ მორთავს ღრიალს. ამ დროს რამდენიმე დღის წინ გაზეთში ნანახი ცნობილი ჩოგბურთელი ქალის ფოტო გაახსენდა. წვივსაკრავამდე გაშიშვლებული ცალი ფეხით თითის წვერებზე შემდგარს მეორე ფეხი მაღლა აექნია და ლამის თავამდე წვდებოდა, ჩოგნით კი ბურთის აღებას ცდილობდა, თან ინგლისელი გუვერნანტის გამომეტყველება ჰქონდა.

იმავე გაზეთში მოცურავის ფოტოც დაებეჭდათ, რომელსაც შეჯიბრების შემდეგ მასაჟს უკეთებდნენ. გაშიშვლებული ქალი გულაღმა იწვა და ფეხებაშვერილი თითქოს ვიღაცას ნებდებოდა. თავსა და ბოლოში მდედრობითი სქესის პერსონალი ედგა. ექიმის თეთრ ხალათში გამოწყობილ მასაჟისტს ხელები ქალის შიშველ სხეულზე დაეწყო და ისეთი მზერა ჰქონდა, თითქოს გატყავებული ხორცი ეკიდა კაუჭზე. ასეთი ფოტოები მომრავლდა და მის არსებობას ისევე უნდა შეგუებოდით, როგორც მაღალსართულიან შენობებს და ელექტრობას. „საკუთარ ეპოქას ვერ გაუნაწყენდები ისე, რომ თავს არ ავნო“. თვითონ ყოველთვის მზად იყო, ჰყვარებოდა სიცოცხლის ყველა ეს ფორმა. თუმცა კი ვერასდროს შეძლო მათი განუზომელი სიყვარული, როგორც ამას სოციალური კეთილდღეობა ითხოვდა. დიდი ხანია, მტრობის ბეჭედი ესვა ყველაფერს, რასაც იგი აკეთებდა და განიცდიდა. ეს იყო უძლურებისა და მარტოობის აჩრდილი, რაღაც უნივერსალური მტრობა, რომლის სანაცვლო კეთილგანწყობა ულრიხს ვერსად ეპოვა. ხანდახან ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს რაღაც ტალანტით დაბადებულიყო და მას ვერაფერს უხერხებდა.

17. უთვისებო კაცის ზემოქმედება თვისებების მქონე კაცზე

ულრიხი და კლარისა ვერც კი ამჩნევდნენ, რომ საუბრის დროს მუსიკა დროდადრო მიწყდებოდა ხოლმე. ამ დროს ვალტერი ფანჯარასთან იდგა და ეჭვი ღრღნიდა. მათ ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ სადღაც იქვე, მის თვალსაწიერში, უნდა ყოფილიყვნენ. მუსიკის ბანგი თავისკენ იზიდავდა. ზურგს უკან თავახდილი როიალი იმ საწოლივით იდგა, მძინარე რომ აწეწავს და გამოღვიძებას არ ჩქარობს, რადგან რეალობას ვერ უსწორებს თვალს. ეჭვი იმ ხეიბარივით აწამებდა, ჯანმრთელი

ადამიანის ნაბიჯების ხმა რომ ესმის. თავად კი მათთან მისვლას ვერ ბედავდა, რადგან ტკივილს მისთვის თავდაცვის უნარი სრულებით წაერთმია.

დილაობით, როცა ვალტერი სამსახურში მიიჩქაროდა ან მთელი დღე ხან ვის და ხან ვის ესაუბრებოდა, ნაშუადღევს კი შინ ბრუნდებოდა, ყოველთვის გრძნობდა, რომ მნიშვნელოვანი ადამიანი იყო და დიდი საქმეები უხმობდა. სჯეროდა, რომ ყველაფერს სხვაგვარად ხედავდა, აღელვებდა ის, რასაც სხვა უგულისყუროდ გვერდს უვლიდა. და თუ სხვები დაუდევრად ჰკიდებდნენ ხელს რამე საგანს, მისთვის საკუთარი ხელის მოძრაობაც კი სულიერ თავგადასავალს ნიშნავდა. ის მგრძნობიარე იყო და მუდამ აზრის მოლივლივე ველებითა და მთებით შეპყრობილი. გულგრილი არასდროს ყოფილა. მისთვის ყველაფერი ბედნიერების ან უბედურების ნიშანს ატარებდა და ამიტომაც ფიქრისთვის მიზეზს ყოველთვის პოულობდა. ასეთი ადამიანები სხვებს უჩვეულო ძალით იზიდავენ, რადგან ის მორალური მღელვარება, რითაც ისინი მუდამ შეპყრობილნი არიან, ძალზე გადამდებია. მათთან საუბარი ყოველთვის პერსონალურ ხასიათს იძენს, რადგან ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა საკუთარ თავზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა. ეს კი იმგვარი სიამოვნების მომგვრელია, რომელიც მხოლოდ საზღაურის ფასად შეიძლება განიცადოს კაცმა ფსიქოანალიტიკოსთან ან ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სპეციალისტთან, თანაც იმ სხვაობით, რომ მათთან თავს ავადმყოფად გრძნობთ. ვალტერი კი მათ იმ მიზეზების ჩვენებით, რომლებიც ხელიდან დასხლტომოდათ, საკუთარი თავის მნიშვნელოვნების დანახვაში ეხმარებოდა. კლარისას გულიც სწორედ ამ თვისებით დაიპყრო და ყველა მეტოქე დროთა განმავლობაში გზიდან ჩამოიცილა. მისთვის ყველაფერი ეთიკური მღელვარების საგანი ხდებოდა, ამიტომ შეეძლო ასე დამაჯერებლად ელაპარაკა ორნამენტის ამორალობაზე, გლუვი ფორმების ჰიგიენასა და ვაგნერისეული მუსიკის ლუდის ოხშივარზე სწორედ ისე, როგორც ეს ახალი ხელოვნების გემოვნებას შეესაბამებოდა, და ამით თვით სასიმამროსაც აშინებდა, ფარშევანგივით გაფხორილი მხატვრის ტვინი რომ ედო თავში. ასე რომ, რომ ვალტერს წარმატებები წარსულში უდავოდ ჰქონდა.

შთაბეჭდილებებითა და გეგმებით სავსე ვალტერი, სახლში

დაბრუნებული, გამაოგნებლად იცვლებოდა. საკმარისი იყო, მოლბერტს მიახლოებოდა ან ქაღალდი დაედო მაგიდაზე და მაშინვე გაქცევის სურვილი იპყრობდა. საღად აზროვნების უნარს არ კარგავდა, მაგრამ გეგმები ერთიორად იზრდებოდა და პირველობაში ერთმანეთს ეცილებოდა, გონებასა და ამ გეგმის განსახორციელებლად შესასრულებელ აუცილებელ მოძრაობას შორის კავშირი კი წყდებოდა. ვალტერი თითსაც ვერ ანძრევდა, ვერც წამოდგომას ახერხებდა და აზრები იმ თოვლივით უსხლტებოდა, მიწაზე დადებამდე ჰაერშივე რომ დნება. აღარ იცოდა, დრო რით შეევსო და მოხედვასაც ვერ ასწრებდა, რომ უკვე საღამოვდებოდა. კვირა კვირას მისდევდა და დღეებს ისე ატარებდა, თითქოს ძილ-ღვიძილში იყო. უიმედობა მის მოქმედებებს კიდევ უფრო უნიათოს ხდიდა და სევდა ახრჩობდა. უუნარობა ტკივილად ექცა, რომელსაც ცხვირიდან წამსკდარ სისხლდენასავით სადღაც შუბლის არეში გრძნობდა. ვალტერი შეშინდა. ეს სიმპტომები მხოლოდ მუშაობაში კი არ აბრკოლებდა, როგორც ჩანდა, ისინი მისი ნებელობისგან სრულიად დამოუკიდებელ მოვლენად ქცეულიყო და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს გონებრივი დეგრადაცია ეწყებოდა.

ბოლო ერთი წლის მანძილზე მისი მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა, მაგრამ ამასთან უცნაურ საყრდენსაც მიაგნო იმ აზრის სახით, რომელსაც აქამდე ჯეროვნად არ აფასებდა. ეს აზრი შემდგომში მდგომარეობდა: ევროპა, სადაც მას ცხოვრება ჰქონდა მისჯილი, უიმედოდ გადაგვარებულიყო. შინაგანი კრიზისი, რომელსაც ესა თუ ის ეპოქა განიცდის, მის სულიერ განვითარებაზეც აისახება. კრიზისის დაძლევის გზა კი დიდ ძალისხმევას, ახალ იდეებს საჭიროებს და არა გარეგნულ კეთილდღეობას, რის ნიშანსაც, შესაძლოა, ესა თუ ის ეპოქა ატარებდეს. ყველაზე ბუნებრივი კითხვა, რასაც ასეთი ეპოქა ბადებს, შემდეგია: რა შეიძლება ადამიანმა მოიმოქმედოს? გონიერება და უგუნურება, სულმდაბლობა და მშვენიერება ისეა ამ დროს ერთმანეთში ჩაზრდილი და გადახლართული, რომ გაცილებით იოლია, ირწმუნო რაღაც საიდუმლოს არსებობა, და საჯაროდ იმის დაცემა იქადაგო, რაც ზუსტ განმარტებას არ ექვემდებარება ან საზეიმო ბუნდოვანების ელფერი დაჰკრავს. სულერთია, რასთან გაქვს საქმე – მცენარეულ საკვებთან თუ სულთან. ჯანმრთელი პესიმიზმი იმ აუცილებლის მოძებნას გულისხმობს, რასაც დაეყრდნობი.

ამ თეორიებზე ახალგაზრდობის საუკეთესო წლებში ვალტერი მხოლოდ თუ გაიცინებდა. დღეს კი თავად სწამდა მათი, რადგან ამგვარ მოსაზრებათა დიდი უპირატესობა აღმოაჩინა. თუ აქამდე თავად იყო უუნარო, ახლა ეპოქა ქცეულიყო ასეთად. ფუჭად ჩავლილმა ცხოვრებამ ღირსეული, ეპოქალური მასშტაბის გამართლება და სრულიად ახლებური განმარტება შეიძინა. უფრო მეტიც, როცა ვალტერი ხელში აღებულ კალამს ან ფანქარს გვერდზე გადადებდა, ის დიდებული მსხვერპლის სახესაც იღებდა.

ვალტერს მაინც უწევდა საკუთარ თავთან ბრძოლა და კლარისასაც ტანჯავდა. კლარისას ეპოქაზე კრიტიკული საუბრის მოსმენაც კი არ უნდოდა და გენიის სწორხაზოვნად სწამდა. გენიალურობა მისთვის უცხო იყო, მაგრამ როგორც კი საუბარი ამ თემაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე, ერთიანად კანკალებდა და მთელი სხეულით იძაბებოდა. მას ან გრძნობენ, ან არა – ეს მისი ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთი გახლდათ. ვალტერისთვის ის ისევ თხუთმეტი წლის პატარა, მკაცრ გოგონად დარჩა. კლარისას მისი გრძნობების ბოლომდე არასოდეს ესმოდა და ვერც ვალტერი იმორჩილებდა მას. მისი ცივი და პირქუში ბუნება, უეცარი აღფრთოვანების უნარი, მისი უსაგნო, ცეცხლოვანი ნება რაღაც ისეთ იდუმალ უნარს ფლობდა, რომელიც ვალტერზე ძლიერ ზემოქმედებდა. მისგან იმ ბიძგს გრძნობდა, რომლისთვისაც სახელი ვერ დაერქმია და მას ვერც სამგანზომილებიან სივრცეში მოუძებნიდა ადგილს. ეს განცდა ხანდახან შემაძრწუნებელი ხდებოდა, რასაც ვალტერი მაშინ გრძნობდა, როცა როიალზე ოთხ ხელში უკრავდნენ. კლარისას შესრულების მანერა მკაცრი, უფერული იყო და როიალთან მისთვის სრულიად უცხო მღელვარება ეუფლებოდა. მათი ანთებული სხეულებიდან თითქოს სული გამოსჭვიოდა და ვალტერს ეს აშინებდა. თითქოს კლარისას სხეულს რაღაც გამოეყოფოდა და მის სულთან ერთად გაფრენას ლამობდა. მისი არსების იდუმალ სიღრმეებში შობილი ეს უსახელო რამ ტყვეობაში უნდა გყოლოდათ. ვალტერმა არ იცოდა, რა იყო ეს ან რით გრძნობდა მის არსებობას. ენით გამოუთქმელი შიში იპყრობდა და უნდოდა, რამე ეღონა, თუმცა კი ვერაფერს ახერხებდა, რადგან მის გარდა ვერავინ ვერაფერს ამჩნევდა.

ვალტერი ფანჯარასთან იდგა და სახლისკენ მომავალ კლარისას ხედავდა. თითქმის დარწმუნებული იყო, რომ თავს

ვერ შეიკავებდა და ულრიხზე კარგს არაფერს იტყოდა. ულრიხი უდროო დროს დაბრუნდა და კლარისას მასთან ყოფნა მხოლოდ ვნებდა. ულრიხი მასში შეუბრალებლად ამწვავებდა იმას, რის შეხებასაც ვალტერი ვერ ბედავდა: უბედურების კავერნას, რაღაც ავადმყოფურს და ავბედითად გენიალურს, იდუმალ ცარიელ სივრცეს, სადაც ჯაჭვები ცოტაც და გაწყდებოდა. კლარისა მის წინ იდგა დამცინავი, ნათელი, ალერსიანი თვალებით და ხელში საზაფხულო ქუდი ეჭირა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მასში ის ძალა იყო, რომელიც ვალტერს ასე აკლდა. კლარისა მისთვის ბავშვობაშივე ეკლის ნაჩხვლეტივით მწარე იყო და მოსვენებას უკარგავდა, თუმცა სხვაგვარად არც უნდოდა. ალბათ, ეს მისი ცხოვრების საიდუმლო იყო და იმ ორს ეს არ ესმოდა. „ჩვენი ტკივილები ღრმაა! – ფიქრობდა იგი. – არც ისე ხშირად უყვართ ერთმანეთი ისე ღრმად, როგორც ჩვენ უნდა გვიყვარდეს“. ვალტერმა ხმამაღლა განაგრძო ფიქრი და კლარისას მიმართა: – არ ვაპირებ, გკითხო, რაზე გესაუბრა ულრიხი, მაგრამ იცოდე, ძალა, რომელსაც შენ შესტრფი, სიცარიელეა და სხვა არაფერი.

კლარისამ როიალს შეხედა და გაეღიმა. ვალტერი უნებურად ისევ თავახდილ როიალთან ჩამოჯდა და განაგრძო: – ადვილია ჰეროიკული განცდები, როცა უგრძნობი ხარ, ანდა ადვილია, იფიქრო კილომეტრებზე, როცა ისიც კი არ იცი, რას იტევს მილიმეტრი!

მეგობრები ულრიხს ხანდახან ულოს ეძახდნენ, როგორც მაშინ, ახალგაზრდობისას. ამის გამო ულრიხს ისინი ისე უყვარდა, როგორც ძიძა უყვართ ხოლმე, რომლის მიმართ ღიმილნარევი მოკრძალება მთელი ცხოვრება შემორჩებათ.

– ის სადღაც ჩარჩა, – დაამატა ვალტერმა. – შენ ამას ვერ ამჩნევ, მაგრამ დამიჯერე, მე ვიცნობ მას.

კლარისამ ეჭვით შეხედა.

ვალტერმა მკვახედ განაგრძო: – დღეს ყველაფერი იხრწნება! ინტელექტის უძირო უფსკრული! ვაღიარებ, მას აქვს ინტელექტი, მაგრამ არ იცის, რას ნიშნავს დაუნაწევრებელი, მთლიანი სულის ძალა. გუმანითაც ვერ გრძნობს იმას, რასაც გოეთე პიროვნულობას, დინამიკურ წესრიგს არქმევდა. ეს საკვირველი

აზრი ძალაუფლების საზღვრებზე, კანონსა და თვითნებობაზე,

თავისუფლებასა და ზომიერებაზე, მოძრავ, დინამიკურ წესრიგზე...

სიტყვები ნიაღვარივით მოედინებოდა. კლარისა ვალტერს გაოგნებული უყურებდა, თითქოს მისი პირიდან გასართობი სათამაშოები ცვიოდა. შემდეგ უცებ გონს მოეგო და მზრუნველი დედის ხმით ჰკითხა: – ლუდს ხომ არ დალევ?

– ლუდს? რატომაც არა. ლუდზე უარს არასდროს ვამბობ.

– სახლში რომ არ გვაქვს!

– ნეტა არ გეკითხა! – ამოიოხრა ვალტერმა. – მე არც გამახსენდებოდა.

კლარისასთვის სასაუბრო თემა ამით ამოიწურა. ვალტერმა კი წონასწორობა დაკარგა და აღარ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა.

– გახსოვს ჩვენი საუბარი მხატვრებზე? – ჰკითხა ურწმუნოდ.

– რომელი საუბარი?

– რამდენიმე დღის წინ რომ ვისაუბრეთ. მაშინ აგიხსენი, რას ნიშნავს ადამიანში ცოცხალი, შემოქმედებითი პრინციპი. გახსოვს, როგორ მივედი იმ დასკვნამდე, რომ იქ, სადაც დღეს სიკვდილი და ლოგიკური მექანიზაციაა, წინათ სისხლი და სიბრძნე მეფობდა?

– არა.

ვალტერს ენა დაება, სიტყვებს ეძებდა, მერყეობდა. უცებ სხაპასხუპით განაგრძო: – ის უთვისებო კაცია!

– ეგ რას ნიშნავს? – ჰკითხა ხითხითით კლარისამ.

– არაფერს, სწორედაც რომ არაფერს.

კლარისა ამ სიტყვებმა დააინტერესა.

– ეგენი დღეს მილიონობით არიან, – ამტკიცებდა ვალტერი. – ეს ის მოდგმაა, რომელიც ამ ეპოქამ შვა.

უცაბედად მოძებნილმა სიტყვამ თვითონვე მოხიბლა და სანამ მის აზრს მიხვდებოდა, სიტყვებმა თავისით უბიძგა.

– შეხედე, როგორ გგონია, ვის ჰგავს? ექიმს, მხატვარს, ვაჭარს თუ დიპლომატს?

– ის არც ერთია და არც დანარჩენი, – შეედავა კლარისა.

– იქნებ მათემატიკოსს?

– მე რა ვიცი, როგორია მათემატიკოსი.

– მართალი ხარ. მათემატიკოსებს ვერავის მიამსგავსებ. გარეგნულად იმდენად ინტელექტუალურები არიან, რომ რომელიმე ერთი, კონკრეტული შინაარსი არ გააჩნიათ. დღეს მხოლოდ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის სასულიერო პირები ჰგვანან იმას, რასაც ისინი წარმოადგენენ, რადგან თანამედროვე ადამიანი საკუთარ თავს უფრო უსახოდ მოიხმარს, ვიდრე ხელებს. მათემატიკა კი მწვერვალია და თავის თავზე იმდენივე იცის, რამდენიც მინდვრების, ხბოებისა და ქათმების შესახებ ეცოდინება ადამიანს, როცა ის ხორცისა და პურის ნაცვლად ენერგეტიკული აბებით დაიწყებს კვებას!

ამასობაში კლარისამ უბრალო ვახშამი გააწყო და ვალტერიც ენერგიულად შეუდგა საქმეს. ეს შედარებაც, შეიძლება, ამის გამო მოუვიდა თავში. კლარისა მის ტუჩებს უყურებდა და გარდაცვლილი დედა გაახსენდა. ვალტერს ქალური ტუჩები ჰქონდა და ჭამასაც ისე უდგებოდა, როგორც საოჯახო საქმეს. მოკლედ შეკრეჭილ წვერს ატარებდა, მომცრო ტანის იყო და იმდენად ნაზი აღნაგობა არ ჰქონდა, რამდენადაც ქალური. ვალტერმა ლაპარაკი განაგრძო: – გარეგნობით მის პროფესიას ვერ გამოიცნობ, მაგრამ არც იმას ჰგავს, ვისაც პროფესია არ გააჩნია. აბა დაფიქრდი ერთი, როგორია. ყოველთვის იცის, რა არის გასაკეთებელი. შეუძლია, ქალებს თვალებში ჩახედოს და ნებისმიერ დროს ნებისმიერი რამ საგულდაგულოდ განსაჯოს; რინგზე გამოსვლაც შეუძლია და ნიჭიერიცაა. მტკიცე ნებისყოფაც აქვს და ცრურწმენებისგანაც თავისუფალია. გაბედულია, ამტანი, შეუპოვარი და არც სიფრთხილე აკლია. გადამოწმება არც არის საჭირო, ალბათ, ყველა ეს თვისება აქვს კიდეც და არც აქვს. ამ თვისებებმა ის იმად აქცია, რასაც ის დღეს წარმოადგენს და რამაც მისი გზა განსაზღვრა. როცა ის ბრაზობს, მასში რაღაც ყოველთვის იღიმება, როცა სევდიანია, რაღაცისთვის ემზადება. თუ გული რამემ შეუძრა, მიზეზს მაშინვე იცილებს. ნებისმიერ ცუდ საქციელს რაღაც თვალსაზრისით იწონებს და ამა თუ იმ საქმის შეფასებაში გადამწყვეტ როლს ყოველთვის რაღაც შესაძლო კავშირი ასრულებს. მისთვის არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი რამ, ყველაფერი სახეცვალებადია, სხვა დანარჩენ

უთვალავ მთლიანობას შორის ერთი მთლიანის ნაწილია, რომელიც თავის მხრივ რაღაც ზემთლიანს განეკუთვნება. ამდენად, მისი ყოველი პასუხი ნაწილობრივი პასუხია, მისი ყოველი გრძნობა – თვალსაზრისი; მისთვის მთავარია არა „რა“, არამედ რაღაც მეორეხარისხოვანი „როგორი“. რაღაც მინარევი. არ ვიცი, გასაგებად ვამბობ თუ არა.

– აბსოლუტურად! – თქვა კლარისამ. – მაგრამ მე მომწონს ეს.

ვალტერს ხმაში უნებლიეთ მეტი მტრობა დაეტყო. ბავშვობაში ულრიხზე სუსტი იყო და ეს გრძნობა უფრო ეჭვიანს ხდიდა. დარწმუნებული იყო, რომ ულრიხის მიღწევები მხოლოდ მისი საზრიანობის დემონსტრირებით შემოიფარგლებოდა და მეტი არაფრით, მაგრამ ფარულად მაინც ტანჯავდა ის გრძნობა, რომ ფიზიკურად მას საგრძნობლად ჩამორჩებოდა. სურათი, რომელიც მან დახატა, ისევე ათავისუფლებდა, როგორც ხელოვანს საკუთარი შემოქმედება. როცა ლაპარაკს მორჩა, მიხვდა, რომ ულრიხი სხვას არაფერს გამოხატავდა, თუ არა უხერხემლო არსებას, სწორედ ისეთს, როგორადაც დღეს ყველა მოვლენა ქცეულიყო.

– მოგწონს? – ჰკითხა გაოგნებულმა. – სერიოზულად ამბობ?

კლარისას ლუკმა ედო პირში და ამიტომ მხოლოდ თვალებით შეძლო გაღიმება.

– წინათ, ალბათ, ჩვენც დაახლოებით ასე ვფიქრობდით, მაგრამ ეს მხოლოდ რაღაცის წინა საფეხურია და სხვა არაფერი! ასეთ ადამიანს ადამიანი არ ჰქვია!

– ამას თვითონაც ამბობს, – შეეპასუხა კლარისა.

– მაინც რას ამბობს?

– რა ვიცი, აბა! ამბობს, ყველაფერი დაიშალაო. მარტო მე კი არა, ყველაფერი ერთ ადგილას გაიყინაო. ოღონდ შენსავით არ განიცდის. ერთხელ ერთ ასეთ ამბავსაც მომიყვა: ათასი ადამიანის არსი რომ დაშალო, ორ ათეულ თვისებას, გრძნობას, რეაქციასა და კონსტრუქციას გადააწყდები, რისგანაც ყველანი ისინი შედგებიანო. ჩვენი სხეულები რომ დაშალო, მარტო სითხესა და შიგ მოტივტივე ათობით ნივთიერებას აღმოაჩენო. წყალი ჩვენში ისევე აღწევს, როგორც ხეებში და ცხოველურ სხეულებსაც ღრუბლებივით წარმოქმნისო. ეს მე ძალიან

მომწონს! ოღონდ არ ვიცი, ამის შემდეგ საკუთარ თავზე რა უნდა იფიქრო ან რა უნდა აკეთო. კლარისამ ჩაიქირქილა.

– ვუთხარი, რომ თავისუფალ დროს სათევზაოდ დადიხარ და ნაპირზე წევხარ.

– ჰოო?! საინტერესოა, თვითონ ათ წუთს მაინც თუ გაძლებდა ასე!– ვალტერმა მტკიცე ხმით განაგრძო: – ათი ათასი წელია უკვე, ადამიანი ასე იქცევა. უყურებს ცას, მიწის სითბოს გრძნობს, მაგრამ არაფერს ანაწევრებს, ისევე, როგორც დედას არ შლიან ნაწილებად!

კლარისას ისევ ჩაეცინა.

– ასე თქვა, მას შემდეგ ყველაფერი გართულდაო. ცეცხლოვან ზღვაში, ელექტრობის გრიგალში, მაგნიტურ ცაში, სითბოს ჭაობში და ა. შ. ისე დავცურავთ, როგორც წყალშიო. ბოლოს კი მარტო ფორმულები რჩება და ადამიანურ ენაზე ამის გამოხატვა ძალიან ჭირსო. სულ ეს არის. დამავიწყდა, თუ რამე მისწავლია ლიცეუმში, მაგრამ დაახლოებით ასე უნდა იყოს. კიდევ თქვა, ვინც ფრინველებს წმინდა ფრანცისკივით ანდა შენსავით ძმებად მოიხსენიებს, მყუდროდ მოკალათების უფლება აღარ აქვს და იმ გადაწყვეტილების მიღებაც უნდა შეძლოს, რომ ღუმელში ჩავარდეს, ტრამვაის დენმიმღებით მიწაში ან ჭურჭლის სარეცხი ნიჟარით არხში ჩაედინოსო.

– კარგი, კარგი! – შეაწყვეტინა ვალტერმა. – ჯერ ოთხი ელემენტი იქცა რამდენიმე ათეულად, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ თურმე მარტო ურთიერთობების, მოვლენების, ფორმულებისა და პროცესების ზღვაში დავცურავთ, თუ ღმერთმა იცის, რა ჰქვია, საგანი, პროცესი თუ ფანტაზია! ე. ი. მზე და ასანთი ერთი და იგივეა. ან პირსა და საჭმლის მომნელებელი სისტემის მეორე ბოლოს შორის განსხვავება არ ყოფილა! ერთსა და იმავე საგანს ასი მხარე აქვს, მათ კი თავის მხრივ – ასი ასპექტი და თითოეულს სხვადასხვა გრძნობა უკავშირდება. გამოდის, რომ ადამიანის ტვინმა საგნები დაყო, საგნებმა – ადამიანთა გულები! – ვალტერი სკამიდან წამოხტა, მაგრამ მაგიდას არ მოსცილებია, და განაგრძო: – კლარისა, შენთვის ეს საშიშია! გაიგე, არაფერი ისე არ სჭირდება დღეს ადამიანს, როგორც სისადავე, მიწასთან სიახლოვე, სისაღე და ბავშვი, რადგან ყველაზე მეტად ის გაკავშირებს მიწასთან. რასაც ულო გიყვება, ადამიანური არ არის. გარწმუნებ, სახლში

დაბრუნებულს მყოფნის გამბედაობა, შენთან ერთად უბრალოდ დავლიო ყავა, დავუგდო ყური ჩიტების ჟღურტულს, ცოტა ვისეირნო, ორი სიტყვით მეზობლებსაც გამოველაპარაკო და საღამო მშვიდად დავასრულო. აი, ეს არის ადამიანური ყოფა!

გრძნობათა სინაზემ ვალტერი მასთან დააახლოვა, მაგრამ როგორც კი კლარისამ შორეულად მამობრივი მზრუნველობის სირბილე იგრძნო, მაშინვე გაჯიუტდა, სახე გაუქვავდა და თავდაცვითი პოზიცია დაიკავა.

ვალტერი მისკენ წავიდა და ქალმა ის შინაურული სითბო იგრძნო, გლეხის ღუმელი რომ გამოსცემს. ერთ წუთს დაიბნა და სითბოს ჭავლს მიენდო, შემდეგ კი თქვა: – ვერ მოგართვი, ჩემო კარგო! – ყველს და პურს ხელი წამოავლო და ნაჩქარევად შუბლზე აკოცა.

– წავალ, ვნახავ ერთი, ფარვანები ხომ არ არიან.

ვალტერმა მუდარის ტონით უთხრა: – რა უნდა ამ დროს პეპლებს.

– ვინ იცის, იქნებ იყვნენ.

კლარისასგან ოთახში მხოლოდ ღიმილი დარჩა. თვითონ კი თავისი კუთვნილი პურით და ყველით მინდორში გავიდა. გარემო უსაფრთხო იყო და ამიტომ გაცილება არ სჭირდებოდა. ვალტერის სინაზე ცეცხლიდან ნაადრევად გადმომდგარ სუფლესავით ჩაქრა, ჩავარდა. ვალტერმა ღრმად ამოიოხრა, ერთხანს შეყოვნდა, მერე კი როიალს მიუჯდა და რამდენიმე აკორდი აიღო. თავისდაუნებურად ფანტაზია ისევ ვაგნერის ოპერების მოტივებზე გაშალა და მოუთოკავი, ბობოქარი სუბსტანციის ნიაღვარში თითებს კლავიშებზე რაკრაკით დააცურებდა. დაე, მისი ხმა შორს მყოფთაც გაეგოთ: მუსიკის ნარკოზმა თითქოს ზურგის ტვინი დაუდამბლავა და მწარე ხვედრი შეუმსუბუქა.

18. მოორსბრუგერი

იმ ხანებში საზოგადოების ყურადღება მთლიანად მოორსბრუგერის საქმეს დაეპყრო.

მოორსბრუგერი ხურო იყო, მაღალი, ბეჭებგანიერი,

წაბლისფერი, ბატკანივით ჩახუჭუჭებული თმით და კეთილი, ძლიერი ტორებით, ტანზე ზედმეტ ქონს ვერ უპოვიდით. უწყინარი ძალა და წესიერება სახეზეც ეტყობოდა. ვინც ამას ვერ დაინახავდა, მძიმე, პატიოსანი სამუშაო დღის მშრალი სუნი მაინც ეცემოდა, ამ ორმოცდასამი წლის კაცის განუყრელ ნაწილად რომ ქცეულიყო. ეს სუნი კი მას ხეზე მუშაობისგან ასდიოდა, რომელიც წინდახედულებასა და დიდ ძალ-ღონეს ითხოვს.

მისი პირველად დანახვისას, სახეზე ღვთით კურთხეული სიკეთე რომ აღბეჭდვოდა, ყველა მონუსხულივით ჩერდებოდა, რადგან მოორსბრუგერი, როგორც წესი, ორი შეიარაღებული ბადრაგის თანხლებით ჩნდებოდა ხოლმე. ხელებზე მძიმე ფოლადის ჯაჭვი ედო და მისი ბოლო ერთ-ერთ ბადრაგს ეჭირა.

თუ შეამჩნევდა, რომ ვინმე უყურებდა, თმაგაჩეჩილს ულვაშებიან სახეზე ღიმილი გადაეფინებოდა. ტანთ მოკლე, შავი ქურთუკი და ღია ნაცრისფერი შარვალი ეცვა, ფეხებს განზე ადგამდა და ჯარისკაცული ნაბიჯით დადიოდა. მისი ხან შემცბარი და ხან მზაკვრული, ზოგჯერ ცბიერი და ნაღვლიანი ანდა შეშლილი და სასტიკი, საზარელი ღიმილი სასამართლოს დარბაზში რეპორტიორების ყურადღებას იპყრობდა და მასში შეუპოვრად იმის ამოცნობას ლამობდნენ, რის კვალისთვისაც მის კეთილსინდისიერ გარეგნობაში ვერ მიეგნოთ.

არც იყო გასაკვირი. მოორსბრუგერმა ხომ მხეცურად მოკლა იაფფასიანი მეძავი. რეპორტიორები წვრილად აღწერდნენ მსხვერპლის გამოღადრულ ყელს – ხორხიდან კეფამდე გადახსნილ ღრმა იარას, გულის არეში დანით მიყენებულ გამჭოლ ჭრილობას, ორ ადგილას დასერილ ზურგის მარცხენა მხარეს და ძუძუს, რომელიც კანზეღა ეკიდა. რეპორტიორები არ მალავდნენ ზიზღსა და შეძრწუნებას, თან არ ცხრებოდნენ და ჭრილობების თვლას აგრძელებდნენ – ოცდათხუთმეტი ნაიარევი მუცლის არეში, ნაკვეთი ჭრილობა ჭიპიდან გავის ძვლამდე, უამრავი პატარ-პატარა ჭრილობით დასერილი ზურგი და ასევე გაგუდვის კვალი ყელზე. ამ შემზარავი მკვლელობიდან მოორსბრუგერის უწყინარ სახემდე გზას ვეღარ იგნებდნენ და თავადაც უწყინარნი, მომხდარს მაინც პროფესიული კეთილსინდისიერებითა და ობიექტურობით აღწერდნენ, თუმცა დაძაბულობისგან აშკარად ძლივს ითქვამდნენ სულს. იმ განმარტებას, რომ საქმე სულით

ავადმყოფთან ჰქონდათ – მსგავსი დანაშაულებების გამო ის რამდენჯერმე მოხვედრილიყო ფსიქიატრიულ კლინიკაში – გვერდს უვლიდნენ, თუმცაღა კარგი რეპორტიორი დღესამგვარ საკითხებში შეუმცდარი სიზუსტით ერკვევა. ისე ჩანდა, რომ ბოროტმოქმედს ვერ ელეოდნენ და ავადმყოფობისთვის არ ეთმობოდათ. ისე კი, ფსიქიატრებს ეთანხმებოდნენ, რომლებსაც მოორსბრუგერი იმდენჯერვე შეერაცხათ ჯანმრთელად, რამდენჯერაც შეშლილად. შემდეგ კი მოვლენები უცნაურად განვითარდა და, თუ აქამდე ათასობით ადამიანი პრესას სენსაციურ მოვლენებზე დახარბებულად ნათლავდა, ახლა უკვე მუდამ მოუცლელი ჩინოვნიკები, მათი თოთხმეტი წლის ვაჟიშვილები თუ მარად საოჯახო საქმეებით გართული მათი ცოლები მოორსბრუგერის პათოლოგიურ დანაშაულებებს „როგორც იქნა, რაღაც საინტერესოს“ უწოდებდნენ და ამ გადაგვარებული არსების ხსენებისას ღრმად ამოიოხრავდნენ ხოლმე. საერთოდაც, მის მიმართ გამოვლენილი შეუნელებელი ინტერესი საკუთარი საქმიანობისადმი ინტერესს სჭარბობდა. ძილის წინ რომელიმე განყოფილების ხელმძღვანელს ან ბანკის თანამშრომელს, შესაძლოა, ცოლისთვის ეკითხა: „რას იზამდი, მოორსბრუგერი რომ ვიყო?“.

როცა ულრიხმა ამ უწყინარ სახესა და ხელბორკილებს თვალი შეავლო, სწრაფად შეტრიალდა, სასამართლოს შენობის წინ საგუშაგოზე მდგარ ჯარისკაცს სიგარეტი აჩუქა და ბადრაგის შესახებ ჰკითხა, რომელიც სწორედ ამ დროს სასამართლოს შენობიდან გამოვიდა. მოორსბრუგერის შესახებ ასე შეიტყო, თუმცა სინამდვილეში ეს ამბავი მისთვის გაზეთებიდან იყო ცნობილი. თავად მოორსბრუგერი პირადად დიდი ხნის შემდეგ გაიცნო. მანამდე კი მისი ნახვა ერთხელ მოახერხა და ისიც სასამართლო პროცესზე. უჩვეულო მოვლენების გაზეთებიდან შეტყობის ალბათობა უფრო დიდია, ვიდრე მისი რეალურად განცდის შანსი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებითი მოვლენები დღეს აბსტრაქტულად ხდება, უმნიშვნელო კი – რეალურად.

აი, რა შეიტყო ულრიხმა ამ გზით მოორსბრუგერის შესახებ.

მოორსბრუგერი ღარიბ-ღატაკი მწყემსი იყო და პატარა მიყრუებულ სოფელში ცხოვრობდა. სოფელი ისეთი პატარა იყო, რომ მხოლოდ საცალფეხო ბილიკით თუ მიუდგებოდით,

თვითონ კი ისეთი ღარიბი, რომ გოგოებს გამოლაპარაკებასაც ვერ უბედავდა. ასე იყო მერეც, როცა შეგირდი გახდა და მაშინაც, როცა მთელ ქვეყანაზე დაეხეტებოდა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ისეთ ბუნებრივ მოთხოვნილებებს, როგორიცაა პური და წყალი, მხოლოდ ყურებით რომ იკმაყოფილებდეთ. ერთ მშვენიერ დღეს ამგვარი მოთხოვნილებები სრულიად არაბუნებრივ სახეს მიიღებს. აი, მიდის გოგონა, მრგვალ თეძოებზე მომდგარი კაბა უფრიალებს. ღობეზე შემომდგარ ბიჭს კი მუხლებამდე მთელი ტანი უჩანს, გოგონას თვალებში უყურებს, მაგრამ მისი თვალები უმეტყველოა; ან მისი სიცილი ესმის, სწრაფად ტრიალდება მისკენ და სახეში უყურებს. გოგონას კი იმ სოროსავით მრგვალი და უმოძრაო სახე აქვს, სადაც სწორედ ახლახან შეძვრა თაგვი.

პირველი მკვლელობის შემდეგ მოორსბრუგერი თავს იმით იმართლებდა, დღედაღამ სულები მდევენ და მოსვენებას არ მაძლევენ, ძილშიც კი არ მანებებენ თავს, საწოლიდან წამომაგდებენ ხოლმე და მუშაობაშიც ხელს მიშლიანო. გაუთავებლად მხოლოდ ის მესმის, როგორ ელაპარაკებიან ან ედავებიან ერთმანეთსო. ვერ იტანდა, როცა მასზე, როგორც სულით ავადმყოფზე, ისე ლაპარაკობდნენ. ბუნებრივია, სულების ამბავს თვითონაც ალამაზებდა ხოლმე და მაშინღა ჩერდებოდა, როცა ციხეში ჭკუას არიგებდნენ, სიმულაციას თავი დაანებეო. სალაპარაკო კი არასდროს ელეოდა. უბრალოდ, თუ ვინმე სათანადო ყურადღებას არ აქცევდა, მოგონებები უფერმკრთალდებოდა. ასე იყო სოფელ-სოფელ ხეტიალის დროსაც. ხუროსთვის ზამთარი ცუდი პერიოდია, ამ დროს სამსახურს ადვილად ვერ შოულობს. ამიტომ მოორსბრუგერს კვირებით ქუჩაში უწევდა ცხოვრება. წარმოიდგინეთ, მთელი დღის ხეტიალის შემდეგ სადმე ჩააღწევდა და თავშესაფარს ვერ პოულობდა. იძულებული იყო, შუაღამემდე ევლო. არც საჭმლისთვის ჰქონდა ფული და ამიტომ იმდენ არაყს სვამდა, სანამ თვალებიდან ბინდი არ გადაეცლებოდა და სხეული თავისით არ წაიყვანდა. ღარიბთა თავშესაფარში ღამეს არ ათენებდა, მიუხედავად ცხელი წვნიანისა, რომელსაც იქ არიგებდნენ; ჯერ ერთი, რწყილების გამო და მეორეც, შეურაცხმყოფელი დავიდარაბის გამო. ამას ისევ გზაჯვარედინზე მათხოვრობა ერჩივნა. ღამე კი ვინმე გლეხის თივის ზვინში დაუკითხავად შეძვრებოდა. აბა რა აზრი ჰქონდა თხოვნას, შეურაცხყოფის მეტს მაინც ვერაფერს მიიღებდა,

დილით კი უსიამოვნება და პოლიციაში დასმენა არ ასცდებოდა. ასე რომ, ველური, მაწანწალა ცხოვრების წესისა და მათხოვრობის გამო პოლიციასთან უსიამოვნება არ ელეოდა. მოორსბრუგერის მიერ ჩადენილ ერთ სქელ ტომად აკინძულ დანაშაულებებს მოსამართლე ისეთი მრავალმნიშვნელოვანი სახით გადაშლიდა ხოლმე, თითქოს მთელი მოორსბრუგერი შიგ ყოფილიყო მოქცეული.

აბა წარმოიდგინეთ, დღეების, კვირების მანძილზე დაბანა რომ ვერ შეძლოთ! კანი ისე ხეშეშდება, რომ ხელი მხოლოდ უხეშ მოძრაობებს ასრულებს. ამ დროს ძალიანაც რომ ეცადოთ, ფაქიზ საქმეს ხელს ვერ მოჰკიდებთ. ნაჭუჭის ქვეშ ცოცხალი სული ქვავდება, გონება კი ხელუხლებელი რჩება და აუცილებელ საქმეს მაინც გონივრულად ასრულებს. გონება ფეხით გაჭყლეტილი ჭიაყელებითა და ლოკოკინებით სავსე იმ უზარმაზარი შუქურიდან გამომკრთალ სუსტ შუქს ჰგავს, სადაც ყოველივე პიროვნული გათელილია, სადაც მხოლოდ ორგანული სუბსტანციაღა დუღს და გადმოდუღს. სოფლის შუკებში ანდა უკაცრიელ ქუჩებში მოორსბრუგერს ხან გუნდ-გუნდად მიმავალი ქალები ხვდებოდნენ, ხან თითო-თითოდ მოარულნი. თუნდაც დროის დიდ შუალედში სათითაოდ დანახული ქალი საერთო ჯამში ხომ მაინც ერთ მთლიან პროცესიას ქმნის. ქალები ან ერთი სოფლიდან მეორეში მიდიოდნენ ან საკუთარი სახლების წინ იდგნენ. ზოგი სქელ თავშალში იყო გახვეული, ზოგი კი – ქურთუკში, რომელიც თეძოებზე გარინდული გველივით შემოხვეოდათ. ზოგი თბილ ოთახს უბრუნდებოდა, ზოგი კი ბავშვებს მოერეკებოდა, ან ისე მარტონი იყვნენ, რომ შეგეძლო, ქვა გესროლა და ყვავებივით დაგეფრთხო. მოორსბრუგერი ამტკიცებდა, რომ მკვლელობა ავხორცობის გამო არასდროს ჩაუდენია, რადგან ქალების მიმართ მხოლოდ სიძულვილს გრძნობდა და მისი ყოველი საქციელიც ამ გრძნობით იყო შთაგონებული. იმ კატის ხომ გვესმის, გალიის წინ რომ ჩაცუცქულა და მსუქანი ყვითელი თუთიყუშის ზემოთ-ქვემოთ ხტომას შეჰყურებს, ან კიდევ თაგვს ხან თათებში მოიმწყვდევს და ხან გაუშვებს... ან იმ ძაღლზე რას იტყვით, ადამიანის დიდ მეგობარზე, გაგორებულ ბორბალს რომ დაედევნება სათამაშოდ და თან კბენს... ეს არის ფარული სიძულვილი იმ ყველაფრის მიმართ, რაც ცოცხალია, რაც მოძრაობს, თავისთვის მიგორავს ან ფეხაკრეფით დაიარება. როგორ უნდა მოიქცე, თუ ქალმა ყვირილი დაიწყო? ან გონს

უნდა მოეგო, ან, თუ ამას ვერ შეძლებ, მიწაზე პირქვე დაამხო და მიწით პირი ამოუტენო.

მოორსბრუგერი ხუროს შეგირდი იყო და მეტი არაფერი, მარტოსული და უმეგობრო, თუმცა, სადაც არ უნდა ემუშავა, ყველა კარგად ეგუებოდა. ძლიერი ინსტინქტი მის არსებას დროდადრო ცვლიდა და სამყაროს მიმართ სასტიკს ხდიდა. იქნებ აღზრდის ან იმის გამო, რომ ხელსაყრელი შემთხვევა არ მისცემია – როგორც თვითონ ამბობდა – არ იქცა ანარქისტად, სიკვდილის მთესველ ანგელოზად ან თეატრისთვის ცეცხლის წამკიდებლად. საიდუმლო ჯგუფებად გაერთიანებულ ანარქისტებს აგდებით იხსენიებდა და მათი საქციელი არასწორად მიაჩნდა. ის აშკარად ავად იყო, მაგრამ თუ მისი ავადმყოფური ბუნება დანარჩენი ადამიანებისაგან გამორჩეულს ხდიდა და მისი ქცევის მიზეზად შეგვეძლო დაგვესახელებინა, თავად იგი მას საკუთარი პიროვნულობის ძლიერ და უმაღლეს გამოვლინებად მიიჩნევდა. მთელი მისი ცხოვრება ერთდროულად სიცილისა და ტირილის მომგვრელი უმწეო ბრძოლა იყო, რათა მნიშვნელობა მოეპოვებინა. ერთხელ, ბავშვობაში, თავის მეპატრონეს თითი მოსტეხა, როცა მან მოთვინიერება დაუპირა. მეორეს, მისივე თქმით, სამართლიანობის გამო ფული მოჰპარა. ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებოდა. რჩებოდა მანამ, სანამ მისი სიტყვაძუნწი, კეთილგანწყობილი სიმშვიდე ადამიანებში შიშსა და მოკრძალებას იწვევდა. როგორც კი გაუშინაურდებოდნენ და უპატივცემულობას შეამჩნევდა, მაშინვე აიბარგებოდა, რადგან უცნაური გრძნობა ეუფლებოდა და თითქოს კანში ვეღარ ეტეოდა. ერთხელ წასვლა დაუგვიანდა. მასთან მომუშავე ოთხმა კალატოზმა მოილაპარაკა, მისთვის თავიანთი უპირატესობა ეგრძნობინებინათ და ზედა ხარაჩოდან ჩამოეგდოთ. მოორსბრუგერმა გაიგო, როგორ ხითხითებდნენ მის ზურგს უკან და უკნიდან როგორ ეპარებოდნენ. უცბად მოტრიალდა, არაადამიანური ძალით დაეძგერა, ორი მათგანი კიბიდან დააგორა, დანარჩენ ორს კი მყესები გადაუჭრა. ამისთვის მკაცრად დასაჯეს, რამაც, მისივე თქმით, გული ატკინა. თურქეთშიც იყო, მაგრამ უკან დაბრუნდა, რადგან მთელ ქვეყანას მის წინააღმდეგ შეეკრა პირი და ამ შეთქმულებას ვეღარც სიკეთით შველოდა და ვეღარც შელოცვით.

ამგვარი ჯადოსნური სიტყვები ასე საგულდაგულოდ

ფსიქიატრიულ კლინიკებსა და საპატიმროებში შეესწავლა. ფრანგულ-ლათინურ სიტყვებს ლაპარაკის დროს უადგილოდ ჩაჩხირავდა ხოლმე, რადგან შეემჩნია, რომ მისი ბედისწერის „განმგებელნი“ სწორედ ასე მეტყველებდნენ. ამავე მიზეზით სასამართლო პროცესებზე დახვეწილი, ლიტერატურული გერმანულით იწყებდა ლაპარაკს, დაახლოებით ასე: „ჩემი სისასტიკის მიზეზი, ალბათ, ეს გახლავთ“. თუ შეამჩნევდა, რომ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა, არცთუ იშვიათად ფეხზე წამოვარდებოდა, არტისტულ პოზას მიიღებდა და დამცინავად თავს „თეორეტიკოს ანარქისტად“ ასაღებდა, რომელიც სოციალ-დემოკრატებისგან, უბრალო, მშრომელი ხალხის ამ წაბილწული ებრაელი მჩაგვრელებისგან, ნაჩუქარ სიცოცხლეზეც კი უარს იტყოდა. ეს უკვე მისი „მეცნიერება“, მისი სფერო იყო, რომლის წინაშეც მოსამართლეთა განსწავლული ქედმაღლობა უკან იხევდა.

როგორც წესი, სასამართლო დარბაზი მისი „უცნაური ჭკუა-გონების“ მიმართ პატივისცემას და ყურადღებას იჩენდა, თუმცა სასჯელიც უფრო მკაცრი გამოჰქონდათ, მაგრამ მისი მლიქვნელური ქედმაღლობა ამ სასამართლო პროცესებს მაინც თავისი ცხოვრების საპატიო პერიოდებად თვლიდა. ამიტომაც სძულდა მთელი არსებით ფსიქიატრები. ეგონათ, ძნელად წარმოსათქმელი რამდენიმე უცხო სიტყვით შეძლებდნენ მისი რთულად ამოსაცნობი ბუნების გაგებას და როგორც რაღაც ყოველდღიურ, ჩვეულებრივ მოვლენას, ისე ექცეოდნენ. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, სამედიცინო ექსპერტის დასკვნები მასზე ზემდგომი იურიდიული სამყაროს ზეწოლის ქვეშ ექცეოდა და მოორსბრუგერიც შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, ფსიქიატრებისთვის თავისი უპირატესობა რომ არ დაემტკიცებინა და ეს გაბღენძილი ყეყეჩები უცოდინარობაში არ ემხილებინა; რადგან იმის ნაცვლად, რომ ციხეში გაეგზავნათ, სადაც მისი ადგილი იყო, ფსიქიატრიულ კლინიკაში უპირებდნენ გამწესებას. ჩადენილ დანაშაულს არ უარყოფდა. უნდოდა, რომ დანაშაული მისი ცხოვრებისეული კონცეფციის მარცხად ჩაეთვალათ. შეთქმულებად, უპირველეს ყოვლისა, მოხითხითე ქალები მიაჩნდა, კაბის კალთაზე გამოკიდებულ ბიჭბუჭობას რომ იყვნენ მიჩვეულნი და სერიოზული კაცის სიტყვას არაფრად აგდებდნენ, უფრო მეტიც, შეურაცხყოფადაც კი იღებდნენ. რომ არ გაღიზიანებულიყო, თავს არიდებდა, მაგრამ ყოველთვის

ხომ ვერ შეძლებდა. ისეთი დღეებიც გამოერეოდა ხოლმე, როცა ჭკუაგამოცლილი დადიოდა და საქმეს გულს ვერ უდებდა, რადგან ისე ღელავდა, რომ ხელისგულები უოფლიანდებოდა. თუ ამ გრძნობას დანებდი, დარწმუნებული იყავი, რომ პირველივე ნაბიჯზე, პატრულის გამოგზავნილივით, მოარულ შხამს გადაეყრები, ფლიდ ქალს, ფარულად კაცებს რომ დასცინის, თავს იკატუნებს და თან მათ შეცდენას ცდილობს, თუ კიდევ უარესი არ დაგმართა თავისი უნამუსობით.

ის ღამეც ასე დამთავრდა, ღამე, როდესაც საკუთარი შინაგანი შფოთვის მოსათოკად სხვის ღრეობაში მონაწილეობას არ იღებ. თუმცა, შესაძლოა, ამ დროს ფხიზელსაც მოგეჩვენოს, რომ სამყარო სახიფათოა. თითქოს კედლები მოძრაობენ და ნიშანს ელიან, რომ შენკენ დაიძრნენ. გარეუბანშიღა დამშვიდდა, იქ, სადაც მთვარით განათებული, გაშლილი მინდორი იწყებოდა. გზიდან გადაუხვია და ღამის გათევას, წინა დღეების მსგავსად, იქ აპირებდა. რკინის ხიდთან გოგო გამოელაპარაკა. სწორედ ისეთი, ქვემოთ, ყანებში, კაცებს რომ უწვებიან, პატრონს გამოქცეული, უმუშევრად დარჩენილი მოსამსახურე გოგო, პატარა ტანის, თავსახვევიდან თაგვივით თვალებს რომ აცეცებდა.

მოორსბრუგერმა ხელი აუქნია და ნაბიჯს აუჩქარა. გოგო ეხვეწებოდა, სახლში წამიყვანეო. მოორსბრუგერი მიდიოდა: ჯერ პირდაპირ, მერე კუთხეში შეუხვია, ბოლოს კი უმწეოდ აქეთ-იქით დაიწყო წრიალი. დიდ ნაბიჯებს ადგამდა, მაგრამ ისიც გვერდით მისდევდა. ჩერდებოდა და ისიც, მის აჩრდილად ქცეული, ჩერდებოდა. შემდეგ კიდევ ერთხელ სცადა, გაეგდო, მისკენ მიტრიალდა და სახეში ორჯერ შეაფურთხა. არც ამან უშველა. მასზე ვერაფრით იმოქმედა.

ბაღი ერთ ადგილას ვიწროვდებოდა და სწორედ იქ უნდა გადაეკვეთათ. მოორსბრუგერი თავიდანვე მიხვდა, რომ სადღაც ახლომახლო მისი სუტენიორი უნდა ყოფილიყო ჩასაფრებული. აბა თავისით როგორ გაბედავდა აკიდებას. შარვლის ჯიბეში ხელი დასაკეცი დანისკენ წაიღო. მიხვდა, რომ დასცინოდნენ, ან იქნებ თავდასხმას უპირებდნენ. ყველა ქალის უკან ხომ ვიღაც კაცი დგას, რომელიც მეორე კაცს იგდებს აბუჩად, და საერთოდ, იქნებ თვითონ იყო ქალად გადაცმული კაცი? მოორსბრუგერი ხედავდა, როგორ მოძრაობდა ჩრდილები; ესმოდა, როგორ ტკაცუნობდა ფეხქვეშ ტოტები. ეს გაიძვერა კი

გვერდიდან არ სცილდებოდა და საათის ქანქარასავით, ერთი და იმავე ინტერვალით ერთსა და იმავეს ემუდარებოდა. ირგვლივ ვერაფერს პოულობდა, მოზღვავებული ძალა რომ დაეხარჯა და რამეზე მიეტანა იერიში. მოორსბრუგერმა იგრძნო, რომ ეშინოდა.

უკაცრიელ ქუჩაზე რომ გამოვიდნენ, შუბლი ოფლით ჰქონდა დაცვარული და ერთიანად კანკალებდა. გვერდზე არ იხედებოდა. პირდაპირ კაფესკენ გაეშურა, რომელიც ჯერ კიდევ ღია იყო. ერთი ჭიქა მაგარი ყავა და სამი ჭიქა კონიაკი სულმოუთქმელად გამოცალა და მერეღა დამშვიდდა. კაფეში, ალბათ, თხუთმეტ წუთს იჯდა. ფულს რომ იხდიდა, თავში ისევ იმ აზრმა გაუელვა, როგორ უნდა მოვიქცე, ის თუ გარეთ მელოდებაო. ზოგჯერ აზრები იმ ბაწარს ჰგავს, მახრჩობელა გველივით რომ შემოგეხვევა ხელ-ფეხზე და გასაქანს არ გაძლევს. ის-ის იყო ჩაბნელებულ ქუჩაში ფეხი გამოდგა და იგრძნო, როგორ ამოუდგა გვერდში ისევ ის გოგო. ის თვინიერად კი აღარ მიჰყვებოდა ან რამეს კი აღარ სთხოვდა, უბრალოდ უხმოდ მისდევდა და მოორსბრუგერმა მასში რაღაც თავხედობაც კი იგრძნო. მიხვდა, რომ თავიდან ვეღარ მოიშორებდა, რადგან თავი და თავი ამ ამბისა თვითონ იყო. სწორედ ის ეწეოდა გოგოს თავისკენ. რაღაც უცნაური, ცრემლნარევი ზიზღი მოაწვა ყელში. მოორსბრუგერი მიდიოდა, ისიც თვითონ იყო, ვინც უკან ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. სწორედ ისე, როცა ქალების პროცესიას ხვდებოდა ხოლმე. ერთხელ ვეღარ მოითმინა და ხიჭვი ფეხიდან დანით თვითონ ამოიღო, ექიმის მოსვლას აღარ დაელოდა. როგორც მაშინ, ახლაც ზუსტად ისევე გრძნობდა მაგარ და გრძელ დანას ჯიბეში.

მორალური ძალების არაადამიანური დაძაბვით გამოსავალს მიაგნო. ღობის გადაღმა ქუჩა გადიოდა. იქით კი, ადამიანის თვალისგან მოშორებით, სპორტული მოედანი იყო. მოორსბრუგერმა გზიდან გადაუხვია. სალაროს ვიწრო ჯიხურში იატაკზე დაწვა და თავი ყველაზე ბნელ კუთხეში ჩარგო. რბილი, წყეული საკუთარი მეც გვერდით მიუწვა. თავი მოიმძინარა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ მერე ჩუმად გაპარულიყო. მაშინვე ისიც იქ გაჩნდა, კუთხიდან გამოცოცდა და ხელები კისერზე შემოხვია. თავის თუ მის ჯიბეში ისევ რაღაც მაგარი იგრძნო და ამოიღო. ზუსტად აღარც ახსოვდა, რა იყო – დანა თუ მაკრატელი. შემდეგ შეურჭო. ქალი კი ამტკიცებდა, მაკრატელი იყოო, მაგრამ ნამდვილად თავისი დანა იყო. ქალი ჯიხურში

თავით დაეცა. მოორსბრუგერმა გარეთ გამოათრია, რბილ მიწაზე დააწვინა და დანას იმდენ ხანს ურტყამდა, სანამ საბოლოოდ არ დაიხსნა მისგან თავი. შემდეგ თხუთმეტ წუთს მაინც იდგა და დაჰყურებდა. ღამემ ისევ დაიბრუნა სიმშვიდე და სიგლუვე. ახლა კაცებს ვეღარც შეურაცხყოფდა და ვეღარც აეკიდებოდა. მერე გვამი ქუჩის მეორე მხარეს გადაათრია და ბუჩქის წინ დააგდო, ადვილად რომ ეპოვათ და დაემარხათ.

სასამართლო პროცესზე მოორსბრუგერი ადვოკატს გაუთვალისწინებელ პრობლემებს უქმნიდა. სკამზე მოხერხებულად მოკალათდა მაყურებელივით და პროკურორს ტაშით აჯილდოებდა, როცა იგი მას საზოგადოებისათვის საშიშ დამნაშავედ აცხადებდა. საქებარ სიტყვებს არც მოწმეებისთვის იშურებდა და მათ ნათქვამს, მოორსბრუგერს შეურაცხადის არასდროს არაფერი ეტყობოდაო, ღირსეულ შეფასებად მიიჩნევდა. „დიდი ახირებული ვინმე ხართ“, – საამებლად ეუბნებოდა ხოლმე დროდადრო მოსამართლე, რომელსაც სასამართლო პროცესი მიჰყავდა და ბრალდებულს თავისსავე გამონასკვულ ყულფს მონდომებით უჭერდა. შემდეგ კი მოორსბრუგერი არენაზე გამოვარდნილი ხარივით იდგა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ირგვლივ მსხდომთა სახეზე გაოგნებულმა ის ამოიკითხა, რის გაგებაც თავად ვერ შეძლო – რომ საკუთარ დანაშაულში იმაზე მეტად ჩაფლულიყო, ვიდრე წარმოედგინა.

ულრიხს განსაკუთრებით ის ხიბლავდა, რომ მოორსბრუგერის თავდაცვითი ტაქტიკა ბუნდოვან გეგმას ეყრდნობოდა. ამოსავალ წერტილად არც განზრახ მკვლელობას ასახელებდა და არც ავადმყოფობას. ავხორცობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგან მას მხოლოდ სიძულვილი და ზიზღი ამოძრავებდა. ცხადია, დანაშაული მკვლელობად უნდა შეფასებულიყო, რომლისკენაც ბრალდებულს, მისივე თქმით, ამ ქალმა, უფრო სწორად, „ქალის კარიკატურამ“, მისმა საეჭვო საქციელმა უბიძგა. მოორსბრუგერი იმასაც კი მოითხოვდა, რომ მის მიერ ჩადენილი მკვლელობა, როგორც პოლიტიკური დანაშაული, ისე განეხილათ და ხანდახან ისეთ შთაბეჭდილებასაც ტოვებდა, თითქოს თავისთვის კი არა, სამართლისთვის იბრძოდა. მოსამართლე კი მის წინააღმდეგ ბანალურ ტაქტიკას იყენებდა და მის ნებისმიერ სიტყვას პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მზაკვრულ, ტლანქ მცდელობად მიიჩნევდა. „რატომ გაიწმინდეთ სისხლიანი

ხელები?“ „დანა რატომ გადააგდეთ?“ „რატომ გამოიცვალეთ მკვლელობის შემდეგ ტანსაცმელი – იმის გამო, რომ კვირა იყო, და არა იმის გამო, რომ სისხლიანი იყო?“ „გასართობად რატომ წახვედით? მკვლელობამაც ვერ შეგიშალათ ხელი?“ „სინანული თუ იგრძენით?“. ულრიხს კარგად ესმოდა მისი შინაგანი პოზიცია, როცა მოორსბრუგერი ასეთ დროს თავის ნაკლოვან აღზრდას სდებდა ბრალს და გაუგებრობის ბადეს კიდევ უფრო ხლართავდა. მოსამართლის ენა კი მეტ კატეგორიულობას იძენდა და საბოლოოდ მისი სათქმელი ამგვარად ყალიბდებოდა: „სხვებისთვის გადაბრალება მშვენივრად გეხერხებათ!“. მოსამართლე ყველაფერს ერთად უყრიდა თავს, მხოლოდ პოლიციის ჩვენებებსა და ცხოვრების მაწანწალა წესს ეყრდნობოდა და მოორსბრუგერს ადანაშაულებდა. მისთვის კი ყველა დანაშაული ცალკეულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ, სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეულ ინციდენტს წარმოადგენდა. ეს მიზეზები კი სადღაც სხვაგან, სამყაროში, მოორსბრუგერის მიღმა იყო საძიებელი. მოსამართლის თვალში მიზეზი თავად მოორსბრუგერში იყო, მის თვალში კი – სადღაც გარეთ, რომელიც საიდანღაც მოფრენილი ჩიტივით უახლოვდებოდა. მოსამართლისთვის ის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენდა, მის თვალში კი საკუთარი სიცოცხლე მთელი სამყარო იყო და სამყაროს შესახებ ხომ რამის დარწმუნებით თქმა ძნელია. ასე რომ, ერთმანეთს ორი ტაქტიკა, ორი მთლიანობა, ორი თანმიმდევრულობა უპირისპირდებოდა. მოორსბრუგერის პოზიცია წამგებიანი იყო, რადგან მასზე უფრო ჭკვიანსაც კი გაუჭირდებოდა ამ უცნაური, ბუნდოვანი მიზეზების გასაგებად გამოთქმა. ამ მიზეზების სათავე მისი გამაოგნებელი მარტოობა იყო და, დანარჩენებისგან განსხვავებით, რომელთა ცხოვრებას სხვებიც ისე ხედავდნენ, როგორც ისინი, ვისაც ეს ცხოვრება ეკუთვნოდა, ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ მისთვის არსებობდა, ჰაერივით სახეცვალებადი, მუდამ დეფორმაციას რომ განიცდის. ცხადია, შეეძლო მოსამართლეებისთვის ეკითხა: ნუთუ თქვენი ცხოვრება არსებითად სხვაგვარიაო? მაგრამ ეს კითხვა არც გასჩენია. ის, რაც ასე თანმიმდევრულად ბუნებრივი იყო, მართლმსაჯულების ხელში უაზრობად ქცეულიყო. მოორსბრუგერი ცდილობდა, მისთვის აზრი შეეძინა, რომ ღირსეულ მოწინააღმდეგეს არ ჩამორჩენოდა. მოსამართლე ამ მცდელობას უფასებდა, ეხმარებოდა და ისეთ სიტყვებს შეაშველებდა ხოლმე, რომელთაც იგი შემზარავ

შედეგებამდე მიჰყავდა. ეს ბრძოლა კედელზე არეკლილ ჩრდილებთან შერკინებას ჰგავდა და ბოლოს მისი ჩრდილი შემაშფოთებლად ათამაშდა. საბრალდებო დასკვნის კითხვის დროს, რომლითაც მოორსბრუგერი დამნაშავედ ცნეს, იგი წამოდგა და სასამართლო დარბაზს განუცხადა: „კმაყოფილი ვარ, რადგან მიზანს მივაღწიე“. დარბაზმა დამცინავი მზერით უპასუხა, მან კი მრისხანედ დაამატა: „მივაღწიე, რომ გავესამართლებინეთ და საგამოძიებო პროცესით კმაყოფილი ვარ“. სასამართლოს თავმჯდომარემ მკაცრად მიუთითა, რომ მის კმაყოფილებას მართლმსაჯულებისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა და საბრალდებო დასკვნის კითხვა განაგრძო. მოორსბრუგერს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, თითქოს ახლა პასუხობდნენ იმ სისულელეს, რასაც ის მთელი პროცესის მანძილზე იქ მყოფთა საამებლად ლაპარაკობდა. მოორსბრუგერს აქამდე ხმა არ ამოუღია, რომ შიში არ გაემხილა, ახლა კი შედრკა მისი სული და ამ ქედმაღალი ადამიანების წინაშე, მისი რომ არ ესმოდათ, უკან დაიხია. ჯარისკაცებმა დარბაზიდან გაყვანა დაუპირეს. ის კი მოტრიალდა, სიტყვებს დაუწყო ძებნა, ჰაერში ასავსავებდა ხელებს და ყვიროდა: „კმაყოფილი ვარ, თუმცა ვაღიარებ, რომ თქვენ გიჟი გაასამართლეთ!“.

აქ უკვე თანმიმდევრობა დაირღვა. ულრიხი სუნთქვაშეკრული იჯდა. ეს უკვე აშკარა სიგიჟე იყო. ყოფიერების ელემენტთა კარიკატურული კავშირი, დანაწევრებული და ბნელი. ულრიხს უცებ რატომღაც თავში აზრად მოუვიდა: კაცობრიობას, როგორც ერთ მთლიანს, ოცნება რომ შეეძლოს, ამ ოცნების ნაყოფი უთუოდ მოორსბრუგერი იქნებოდაო. ის მაშინღა გამოფხიზლდა, როცა „საბრალო ტაკიმასხარამ“ – როგორც ერთ-ერთი პროცესის დროს თავის ადვოკატს უწოდა უმადურმა მოორსბრუგერმა – რაღაც წვრილმანის გამო საკასაციო საჩივარი შეიტანა, მისი ზორბა კლიენტი კი დარბაზიდან გაიყვანეს.

19. წერილობითი გაფრთხილება და თვისებების შეძენის შანსი. კონკურენცია მეფობის ორ თარიღს შორის

ამგვარად მიედინებოდა დრო, როცა ულრიხმა მამისგან წერილი მიიღო.

„საყვარელო შვილო! აი, უკვე თვეები მიილია და შენგან ასე ძუნწად მიღებული წერილებიდან ჭირს გარკვევა, ცხოვრების

გზაზე რამდენიმე ნაბიჯით წაიწიე წინ თუ ჯერ მხოლოდ ემზადები ამისთვის.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე წილად მხვდა ბედნიერება, ღირსეულ პირთაგან შენი მიღწევების ქება და იმედის მომცემ მომავალზე საუბარი მომესმინა.

ერთი მხრივ, შენი მიდრეკილება, ქარიშხალივით ეკვეთო საქმეს, თუ მიგიზიდა, ამავდროულად სრულიად დაივიწყო, რომ მოვალე ხარ მათ წინაშე, ვინც შენზე იმედს ამყარებს; მეორე მხრივ კი, ის გარემოება, რომ შენი წერილები სამომავლო გეგმების შესახებ არანაირ ნიშანს არ იძლევა, საზრუნავს მიჩენს.

შენს ასაკში კაცს უკვე მყარი პოზიცია უნდა ეკავოს. მე კი, შესაძლოა, ნებისმიერ დროს მოვკვდე და ქონება, შენ და შენს დას თანაბრად რომ გიტოვებთ, მცირე არ არის, თუმცა არც ისე დიდია, საზოგადოებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად რომ არ იზრუნო და გულარხეინად მიენდო ბედს. დოქტორის ხარისხის მინიჭების შემდეგ სამომავლო გეგმებზე გაკვრით ლაპარაკობ; მრავალ სფეროში, აპირებ, მოსინჯო თავი. საკუთარ ძალებს გადაჭარბებულად ხომ არ აფასებ, რაც შენ გჩვევია? შენს წერილებში ვერც იმ კმაყოფილებას ვგრძნობ, რასაც პედაგოგიური მოღვაწეობა მოგგვრიდა და ამის გამო რომელიმე უნივერსიტეტთან ან კომპეტენტურ წრეებთან კავშირის დამყარებას ეცდებოდი. ჩემი დარდისა და ზრუნვის საგანიც სწორედ ეს არის. არ მინდა, ბრალი დამდო, თითქოს მეცნიერულ დამოუკიდებლობას სათანადოდ არ ვაფასებდე. ჩემ მიერ 47 წლის წინ დაწერილ, შენთვის კარგად ნაცნობ, აწ მეთორმეტეჯერ გამოცემულ წიგნში „სამუელ პუფენდორფის სწავლება შეურაცხადობის შესახებ და თანამედროვე იურისპრუდენცია“ პირველმა დავამსხვრიე სისხლის სამართლის ძველი სკოლის მოსაზრებები და ჭეშმარიტი კავშირები წარმოვაჩინე. მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება უფლებას მაძლევს, დარწმუნებით ვთქვა, რომ ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის იმედად არ უნდა იყოს, არ უგულებელყოს სამეცნიერო და საზოგადოებრივი ურთიერთობები, ცალკეული ადამიანის საქმეს ხერხემალს რომ უმაგრებს და მას ნაყოფიერ და სასარგებლო ნიადაგს უქმნის. იმედს ვიტოვებ, არ მალოდინებ და შენს ამბავს დროულად შემატყობინებ. შენი წინსვლისთვის გაწეულ ზრუნვას კი იმით

ამინაზღაურებ, რომ, სამშობლოში დაბრუნებული, ამგვარ კავშირებს დაამყარებ და მათ აღარ უგულებელყოფ. სწორედ ამის თაობაზე მივწერე წერილი ჩემს მრავალი წლის მეგობარსა და კეთილისმყოფელს, სააღრიცხვო პალატის ყოფილ პრეზიდენტს და ამჟამად სამეფო კარის მარშალს, მის ბრწყინვალება გრაფ შტალბურგს და შემწეობა ვთხოვე, რათა გულდასმით მოისმინოს შენი სათხოვარი, რითაც მის წინაშე უახლოეს ხანებში უნდა წარსდგე. ჩემმა წარჩინებულმა მეგობარმა გულისხმიერება გამოიჩინა და არათუ ღირს-მყო, დაუყოვნებლივ გაეცა პასუხი, არამედ შენი პროფესიული ცხოვრების მიმართაც, რომელიც მას გავაცანი, გულწრფელი ინტერესი გამოიჩინა. ჩემი შეხედულებით, შენ შეძლებ, უზრუნველყო მომავალი, იმ პირობით, თუ კეთილად განაწყობ შენ მიმართ მის ბრწყინვალებას და განიმტკიცებ რეპუტაციას გავლენიან აკადემიურ წრეებში.

რაც შეეხება თხოვნას, რომლითაც მისი ბრწყინვალების წინაშე უნდა წარსდგე მას შემდეგ, რაც მის შინაარსს გაეცნობი, მდგომარეობს შემდეგში: 1918 წელს, კერძოდ კი 15 ივნისს, გერმანია საზეიმოდ აღნიშნავს კაიზერ ვილჰელმ II-ის მეფედ კურთხევის ოცდამეათე წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეს, რომელმაც ხალხთა მეხსიერებაში გერმანიის დიდება და ძლევამოსილება უნდა აღბეჭდოს. ამ თარიღს რამდენიმე წელი გვაშორებს, მაგრამ როგორც სანდო წყაროებიდან გახდა ცნობილი, ისინი უკვე შეუდგნენ მზადებას, თუმცაღა, რა თქმა უნდა, ეს ჯერ დროებით არაოფიციალურ ხასიათს ატარებს.

ალბათ, იცი, რომ იმავე წლის 2 დეკემბერს მისი უავგუსტესობის ტახტზე ასვლის 70 წლისთავი სრულდება. ჩვენი მოკრძალებული ხასიათის გამო, რასაც ამგვარ საკითხებში ვიჩენთ, ვშიშობ, იგივე არ განვიცადოთ, რაც კიონიგრეცთან დაგვატყდა თავს და გერმანელებმა ეფექტური მეთოდებით უკან არ ჩამოგვიტოვონ, როგორც მაშინ, ნემსებიანი იარაღის გამოყენებით მწარე მარცხი რომ გვაგემეს, ჩვენ კი გონს მოსვლაც ვერ მოვასწარით.

საბედნიეროდ, ჩემ მიერ ზემოთ ნახსენებ შიშს პატრიოტულად განწყობილი ადამიანებიც იზიარებენ, ისინი, ვისაც გავლენიანი კავშირები აქვს. საიდუმლოდ გეტყვი, რომ ვენაში უკვე დაიწყო აქცია, რათა თავიდან ავირიდოთ მიზეზი ამ შიშისა. ამ აქციის მიზანი კურთხეული და ზრუნვით აღსავსე შვიდი ათწლეულის

საქვეყნოდ წარმოჩენაა, რომელმაც, სულ რაღაც 30 წლის იუბილესგან განსხვავებით, თავისი კანონიერი უფლება უნდა ცხადყოს. 2 დეკემბერს, ცხადია, 15 ივნისამდე ვერ აღვნიშნავთ. პრობლემის გადაჭრის მიზნით 1918 წელს ჩვენი მშვიდობისმყოფელი კაიზერის საიუბილეო წლად ვაცხადებთ. ინფორმაცია, რომელსაც ამის თაობაზე ვფლობ, იმაზე მეტი არ არის, რაც იმ დაწესებულებიდან შემეძლო მომეპოვებინა, რომელსაც მე ვეკუთვნი და რომელმაც ამ ინიციატივისადმი საკუთარი პოზიცია გამოავლინა. გრაფ შტალბურგთან ვიზიტი საქმის დეტალურად გაცნობის მეტ საშუალებას მოგცემს. მისმა ბრწყინვალებამ მოსამზადებელ კომიტეტში შენი ასაკისთვის ფრიად საპატიო ადგილი მიგიჩინა.

იმასაც გეტყვი, რომ უმორჩილესი თხოვნით ეახლო საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საიმპერატორო კარის განყოფილების უფროსს, ტუცის და მის მეუღლეს, ჩემი გარდაცვლილი ძმის ცოლის ბიძაშვილის ქალიშვილს, რომელიც შენი ნათესავიცაა. ნუ დამამწუხრებ და ნუ გადადებ მათთან ნაცნობობას, როგორც აქამდე იქცეოდი. როგორც მითხრეს, განყოფილების უფროს ტუცის მეუღლეს წარჩინებული ადგილი უკავია იმ პროექტში, რომლის შესახებაც ზემოთ გესაუბრე. გრაფმა შტალბურგმა მოიღო მოწყალება და შენი ვიზიტის შესახებ უკვე ამცნო მას. იმედს ვიტოვებ, რომ დაუყოვნებლივ ესტუმრები მათ.

ჩემ შესახებ კი სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს. ლექციებთან ერთად ჩემი წიგნის ახალ გამოცემაზეც ვმუშაობ, რაც დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, რომელიც ამ ხანდაზმულ ასაკში კიდევ შემრჩენია. ადამიანმა ცხოვრება კეთილად უნდა გამოიყენოს, რადგან ის ასე ხანმოკლეა.

შენი დის შესახებ კი მხოლოდ ის ვიცი, რომ ჯანმრთელადაა. ჰყავს გამრჯე და ყოჩაღი მეუღლე, თუმცა კი თვითონ არ აღიარებს, რომ თავისი ხვედრით კმაყოფილი ან ბედნიერია.

გფარავდეს ღმერთი!

შენი მოსიყვარულე მამა“

მეორე ნაწილი. იგივე ხდება

20. რეალობასთან შეხება. მიუხედავად თვისებათა

ნაკლებობისა, ულრიხის საქციელი ენერგიული და ცეცხლოვანია

გრაფ შტალბურგთან სტუმრობა ულრიხს სხვა მიზეზებთან ერთად ცნობისმოყვარეობამაც გადააწყვეტინა.

გრაფი შტალბურგი კაიზერისა და მეფის კარზე მსახურობდა, ხოლო კაკანიის კაიზერი და მეფე ლეგენდარული მოხუცი ბატონი ბრძანდებოდა. მას შემდეგ მასზე უამრავი წიგნი დაიწერა და დღეს ყველამ ზუსტად იცის, რა გააკეთა მან, რა შეაფერხა ან რა არ შეასრულა. მაშინ კი, მისი და კაკანიის არსებობის ბოლო ათწლეულს, მეცნიერებასა და ხელოვნებას ნაზიარებ ახალგაზრდებს ხანდახან ეჭვიც კი ეპარებოდათ, არსებობდა თუ არა იგი ნამდვილად. მთელ ქვეყანაში გამოფენილი მისი პორტრეტების რიცხვი მისივე სამეფოს მცხოვრებთა რიცხვს უტოლდებოდა. მის დაბადების დღეზე იმდენივე ხორაგი იჭმებოდა, რამდენიც მაცხოვრის შობის დღესასწაულზე. მთებზე კოცონები ინთებოდა, მილიონობით ადამიანი კი ირწმუნებოდა, რომ იგი მამასავით უყვარდათ. მის სადიდებლად აჟღერებული სიმღერა პოეტური და მუსიკალური ხელოვნების ერთადერთი ქმნილება გახლდათ, რომლის ერთი სტრიქონი კაკანიის ყველა მცხოვრებმა ზეპირად იცოდა. მისი სახელი და დიდება კი იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ ათასი წლის წინ გამქრალ იმ ვარსკვლავს თუ შეედრებოდა, რომლის ნათებას დღესაც ვხედავთ და რომლის არსებობისაც ასე მტკიცედ გვჯერა.

ეკიპაჟი, რომელსაც ულრიხი კაიზერის სასახლემდე უნდა მიეყვანა, ციხესიმაგრის წინა ეზოში გაჩერდა, რადგან მეეტლის მტკიცებით, შიდა ეზოში შესვლის უფლება არ ჰქონდა. ულრიხი გაბრაზდა, ამგვარი საქციელი მის მშიშარა და მატყუარა ხასიათს მიაწერა და ცდილობდა, წაექეზებინა. შემდეგ კი დანებდა, რადგან უძლურება იგრძნო მისი ურყევი ნების წინაშე, რითაც ის წინააღმდეგობას უწევდა. შიდა ეზოში შესულს თვალში წითელ-ყვითელი, ლურჯი და თეთრი მუნდირები, შარვლები და ჩაფხუტებზე მიმაგრებული ბუმბულები მოხვდა. ჯარისკაცები ზღვის სანაპიროზე ჩამომსხდარ ფრინველებს ჰგავდნენ, თავდაჭერილად და ცივად რომ იმზირებიან. აქამდე სიტყვა „მისი უდიდებულესობა“ შინაარსისგან დაცლილ, ფორმალურ გამოთქმად მიაჩნდა, სწორედ ისეთად, როგორადაც ათეისტის ნათქვამი „მადლობა

ღმერთს!“. ულრიხმა გალავნის კედელს თვალი ააყოლა და ნაცრისფერი, გამოცალკევებული, შეიარაღებული კუნძული დაინახა, რომლის მიღმაც ქალაქის ცხოვრება თავისი ტემპით მიედინებოდა.

მას შემდეგ, რაც ვიზიტის მიზეზი დაასახელა, უამრავ კიბეზე აიყვანეს, ურიცხვ დერეფანში, ოთახსა თუ დარბაზში შეუძღვნენ. კარგად ჩაცმული იყო, მაგრამ ყოველი მხრიდან შემფასებლურ მზერას გრძნობდა. მიხვდა, რომ სულიერ არისტოკრატიზმს ნამდვილ არისტოკრატიზმში აქ არავინ აურევდა და ირონიული პროტესტისა და ბურჟუაზიული კრიტიკის გარდა, სხვა აღარაფერი დარჩენოდა. შეამჩნია, რომ გამოცარიელებული ყუთივით ოთახი უნდა გაევლო. დარბაზებში ავეჯი აქა-იქ იდგა, მაგრამ ამ სიცარიელეს პომპეზურობის მწარე გემო მაინც არ დაჰკრავდა. ცალ-ცალკე მდგარი მოუქნელი გვარდიელები და მსახურები, რომელთაც ულრიხმა გვერდით ჩაუარა, სასახლის მცველებად ნაკლებად გამოდგებოდნენ, და ამ ფუნქციას ნახევარი დუჟინი მაღალანაზღაურებადი, გაწაფული დეტექტივი მათზე უფრო ეფექტურად შეასრულებდა. ბანკის კურიერებივით ნაცრისფერ ტანსაცმელსა და ქუდებში გამოწყობილმა მოსამსახურეებმა, ლაქიებსა და გვარდიელებს შორის რომ დაყიალობდნენ, ულრიხს ადვოკატი თუ კბილის ექიმი გაახსენეს, რომელთა კაბინეტებიც საცხოვრებელი ოთახებისგან ნაწილობრივაა გამიჯნული. „ბიდერმაიერის ეპოქის ადამიანს ეს, ალბათ, ფუფუნებად მოეჩვენებოდა და მოწიწებითაც განაწყობდა, დღეს კი რომელიმე სასტუმროს სილამაზითა და კომფორტულობით ვერც კი შეედრება და ამიტომაც მოაქვს თავი არისტოკრატული თავშეკავებითა და მიუკერძოებლობით,“ – გაიფიქრა ულრიხმა.

მისმა ბრწყინვალებამ გრაფმა შტალბურგმა ულრიხი საუკეთესო პროპორციების დიდ და ცარიელ დარბაზში მიიღო. შუაგულ ოთახში შეუხედავი, მელოტი კაცი იდგა, ოდნავ წინ წამოწეული და მაიმუნივით მუხლებში მოხრილი. არისტოკრატს, თუ ვინმე სხვას არ მიბაძა, ასეთი პოზის მიღება გაუჭირდებოდა. ულრიხს თვალში მოხვდა მისი ჩამოვარდნილი ქვედა ტუჩი და წინ წამოწეული მხრები. ის რომელიღაც დაწესებულების მოხუც თანამშრომელს ან კეთილსინდისიერ მოანგარიშეს ჰგავდა. ულრიხი ზუსტად მიხვდა, ვის ახსენებდა გრაფი შტალბურგი. იგი თითქოს

გამჭვირვალე გახდა და ულრიხმა იგრძნო, რომ ადამიანს, რომელიც 70 წლის მანძილზე უმაღლესი ძალაუფლების ცენტრია, საკუთარი სახის შენიღბვა სიამოვნებას უნდა ჰგვრიდეს, რადგან ეს ყველაზე დაბალი რანგის ქვეშევრდომს ამსგავსებს. ასეთი წარჩინებული პირის გვერდით პიროვნული გარეგნობის დამალვა თავმდაბლობის ბუნებრივი ფორმა ხდება და სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს მეფეთა განცხადებები, საკუთარ თავს სახელმწიფოს პირველ მსახურებად რომ მოიხსენიებენ. ულრიხმა მზერა შეავლო მის ბრწყინვალებას და დარწმუნდა, რომ მას კარისკაცის ან რკინიგზის გამცილებლის მსგავსად სუფთად გაპარსული ნიკაპი და ჭაღარა, მოკლე ბაკენბარდები ჰქონდა. ითვლებოდა, რომ ისინი გარეგნობით თავიანთ კაიზერსა და მეფეს ბაძავდნენ, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ღრმა შინაგანი მოთხოვნილება ურთიერთგანწყობას ეყრდნობა.

ულრიხს საკმარისი დრო ჰქონდა ამ და მსგავს საკითხებზე დასაფიქრებლად, სანამ მისი ბრწყინვალება მიმართავდა. სიცოცხლისთვის ესოდენ დამახასიათებელი გარდასახვისა და გარდაქმნის ინსტინქტური, მსახიობური ჟინი მის წინაშე თავისი სუფთა სახით – არტისტული მინარევების გარეშე – წარდგა და ბურჟუაზიული ჩვევა თეატრების მშენებლობისა თუ მლიქვნელობისგან ხელოვნების შექმნისა, რომელსაც რამდენიმე საათით ქირაობენ, თვითგამოხატვის ამგვარ არაცნობიერ მუდმივ ხელოვნებასთან შედარებით არაბუნებრივად, დაგვიანებულად და გაორებულად მოეჩვენა. ამ დროს მისმა ბრწყინვალებამ ბაგე გახსნა და წარმოთქვა: „თქვენი ძვირფასი მამა...“, იქვე სიტყვა გაუწყდა, მაგრამ მის ხმას რაღაც ისეთი ჟღერადობა ჰქონდა, რაც მის უჩვეულო სილამაზის მოყვითალო ხელებს შესამჩნევს ხდიდა და რაღაც დაძაბულ ზნეობრიობას გაგრძნობინებდათ. ულრიხს ეს ძალზე მომხიბვლელად მოეჩვენა და შეცდომა დაუშვა, რაც გონიერ ადამიანებს ასე ადვილად ემართებათ ხოლმე. შემდეგ მისმა ბრწყინვალებამ პროფესიის შესახებ ჰკითხა. როცა ულრიხმა პასუხად მიუგო, რომ მათემატიკოსი იყო, მან თქვა: „ძალიან საინტერესოა. რომელ სკოლაში?“. ულრიხმა განუცხადა, რომ სკოლასთან საქმე არ ჰქონდა, რაზეც მისმა ბრწყინვალებამ ბრძანა: „ძალზე საინტერესოა, მესმის, მესმის... მეცნიერება, უნივერსიტეტი“. მაღალი წრისთვის დამახასიათებელი ამგვარი საუბარი იმდენად ნაცნობი იყო მისთვის, რომ ულრიხმა თავი

შინაურულად იგრძნო და უფრო გულის კარნახს დაჰყვა, ვიდრე არსებული სიტუაციის სოციალურ მოთხოვნებს. უეცრად მოორსბრუგერი გაახსენდა. მოწყალე ძალაუფლება აქვე, მის გვერდით იდგა. ულრიხს მოეჩვენა, რომ ამ შესაძლებლობის გამოყენება ძნელი არ უნდა ყოფილიყო.

– თქვენო ბრწყინვალებავ, ნება მომეცით, ვისარგებლო ამ მეტად სასურველი მდგომარეობით და ერთი შემთხვევის გამო მოგმართოთ, რომელიც უდანაშაულო ადამიანის სიკვდილით დასჯას ეხება.

გრაფ შტალბურგს თვალები გაუფართოვდა.

– მართალია, ეს სადისტი-მკვლელია, – გამოტყდა ულრიხი და იქვე მიხვდა, რომ შეუფერებლად იქცეოდა. – სულით ავადმყოფი, რა თქმა უნდა, – და შეეცადა, მალევე გამოესწორებინა შეცდომა და კინაღამ წამოსცდა: „თქვენს ბრწყინვალებას მოეხსენება, რომ ამ პუნქტში ჩვენს კანონმდებლობას შუა საუკუნეების შემდეგ წინ არ წაუწევია“, მაგრამ ენას კბილი დააჭირა. უმსგავსი საქციელი იქნებოდა, ამ ადამიანისთვის იმგვარი დისკუსია მოეხვია თავს, რომელსაც ინტელექტუალური ფოკუსებისადმი არცთუ გულგრილად განწყობილი ადამიანები სრულიად უშედეგოდ წამოიწყებენ ხოლმე. საუბრის დროს რამდენიმე სიტყვის მოხერხებულად ჩართვა ნაყოფს გამოიღებდა ბაღის ფხვიერ მიწასავით, მაგრამ ასეთ დროს უთუოდ ვიღაცის ფეხსაცმლის ლანჩაზე აკრულ და შემდეგ ოთახში დაუდევრად დაყრილ მიწის ნაფშვენებს დაემსგავსებოდა. გრაფმა შტალბურგმა იგრძნო მისი უხერხულობა და კეთილის მსურველი ხმით უთხრა: – დიახ, დიახ, გამახსენდა. თქვენ ამბობთ, რომ სულით ავადმყოფია და გსურთ დაეხმაროთ?

– ის დამნაშავე არ არის.

– ასეთი საკითხები ყოველთვის უსიამოვნოა. – ჩანდა, ასეთი სირთულეები გრაფი შტალბურგისთვის იოლი ასატანი არ იყო. შემდეგ ულრიხს უიმედოდ შეხედა და ჰკითხა, მოორსბრუგერს საბოლოოდ გამოუტანეს თუ არა განაჩენი. ულრიხს მოუწია, ეპასუხა, არაო.

– აჰ, მაშასადამე, ჯერ არა, – შვებით თქვა გრაფმა. – მაშინ დრო ჯერ კიდევ გვაქვს, – და ისევ მამამისზე დაუწყო საუბარი, მოორსბრუგერის საკითხი უპასუხოდ დატოვა.

განცდილი მარცხის გამო ულრიხი ერთი წუთით დაიბნა, თუმცა ამ შეცდომას მის ბრწყინვალებაზე ცუდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. თავიდან თითქოს მეტყველების უნარი დაკარგა, ვითომ ვიღაცამ მისი თანდასწრებით კოსტიუმი გაიხადა, მაგრამ ამ კაცის უშუალობა, რომელსაც ასეთი სერიოზული რეკომენდაცია ჰქონდა, ენერგიულ და მგზნებარე საქციელად მიიჩნია და მოხარული დარჩა, რომ ის ორიოდ სიტყვა მაინც მოძებნა. ამ ახალგაზრდა კაცზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა თავადაც სურდა. „იმედს ვიტოვებ, რომ ენერგიული და თავდაუზოგავი თანაშემწე ვიპოვეთ“ – აი, ეს სიტყვები ჩაწერა სარეკომენდაციო წერილში, რომლის ადრესატიც ამ დიდი პატრიოტული აქციის მთავარი გმირი გახლდათ. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ეპისტოლე გადასცეს, ულრიხმა თავი პატარა ბავშვად იგრძნო, ხელში შოკოლადის ნატეხს რომ ჩაუდებენ ხოლმე. ცარიელი ხელებით ნამდვილად არ მიდიოდა და მომდევნო ვიზიტის თაობაზეც მიიღო მითითებები, რომელიც ერთდროულად დავალებასაც ნიშნავდა და მოთხოვნასაც. ასე რომ, ულრიხს წინააღმდეგობის გაწევის არანაირი შესაძლებლობა აღარ რჩებოდა.

„ეს რა გაუგებრობაა, მსგავსს არაფერს ვაპირებდი“, – უნდოდა ეთქვა, მაგრამ უკვე გრძელი დერეფნებისა და დარბაზების რიგს მიუყვებოდა. უცბად შეჩერდა და გაიფიქრა: „თითქოს ქარმა ამიტაცა და სადღაც ისეთ ადგილას ჩამომსვა, საითკენაც გული სულაც არ მიმიწევდა!“ ცნობისმოყვარედ აკვირდებოდა ამ ინტერიერის ცბიერ სისადავეს და შეეძლო ისევ მშვიდად ეთქვა თავისთვის, რომ ეს გარემო კვლავაც არანაირ შთაბეჭდილებას არ ახდენდა. ეს იყო სამყარო, რომელიც უბრალოდ ჯერ არ აღეგავათ პირისაგან მიწისა. მაგრამ რა იყო ის ძლიერი, უცნაური თვისება, რითაც ის თავის თავს გაგრძნობინებდა? ჯანდაბას, ალბათ სხვაგვარად თქმა შეუძლებელი იყო: ეს სამყარო გამაოგნებლად რეალური გახლდათ.

21. გრაფი ლაინსდორფის მიერ პარალელური აქციის ჭეშმარიტი გამოგონება

დიდი პატრიოტული აქციის ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალა – რომელსაც ამიერიდან შემოკლებით და კიდევ იმის გამო, რომ მას კურთხეული და ზრუნვით აღსავსე 70 წლის იუბილე, სულ რაღაც 30 წლის იუბილესთან შედარებით, თავისი კანონიერი

უპირატესობით საქვეყნოდ უნდა წარმოეჩინა, პარალელურ აქციად მოვიხსენიებთ – გახლდათ არა გრაფი შტალბურგი, არამედ მისი მეგობარი, მისი ბრწყინვალება გრაფი ლაინსდორფი. იმ დროს, როცა ულრიხი სასახლეში მიღებაზე იმყოფებოდა, ამა ქვეყნის დიდებულის მაღალფანჯრებიან, ლამაზ კაბინეტში – ფენა-ფენა სიჩუმის, ოქროს სირმებისა და საზეიმო დიდების გარემოცვაში – იდგა მდივანი ხელში წიგნით და მის ბრწყინვალებას იმ ადგილს უკითხავდა, რომლის მოძებნაც გრაფს მისთვის დაევალებინა. ამჯერად ეს იყო იოჰან გოტფრიდ ფიხტეს „მიმართვა გერმანელი ნაციისადმი“. „სიზანტის პირველცოდვისგან გასათავისუფლებლად, – კითხულობდა იგი, – რომლის შედეგებიც სიმხდალე და სიცრუეა, ადამიანები სანიმუშო მაგალითებს საჭიროებენ, თავისუფლების გამოცანას თვალნათლივ რომ დაანახვებს. ამის ნიმუში კი მათ რელიგიის დამაარსებელთა სახით პოვეს. ზნეობრივი მოსაზრებების შესახებ აუცილებელი თანხმობა ეკლესიაში მიიღწევა, რომლის სიმბოლოებიც უნდა განვიხილოთ არა როგორც შესასწავლი საგანი, არამედ როგორც გზა სწავლებისა მარადიული ჭეშმარიტების გასაცხადებლად“. კითხვის დროს მან ინტონაციით გამოყო სიტყვები „სიზანტე“, „თვალნათლივ დაანახვებს“ და „ეკლესია“. მისი ბრწყინვალება კეთილგანწყობით უსმენდა, სთხოვა, წიგნი ეჩვენებინა და მერე უარის ნიშნად თავი გააქნია.

– არა, – თქვა გრაფმა, რომელიც მხოლოდ იმპერატორს ექვემდებარებოდა, – წიგნი გამოდგებოდა, მაგრამ ეკლესიასთან დაკავშირებული ეს პროტესტანტული ადგილი შეუფერებელია. მდივანს სახეზე გაწბილება დაეტყო იმ წვრილმოხელის მსგავსად, დოკუმენტის პროექტს ხელმძღვანელობა მეხუთეჯერ რომ დაუწუნებს და ფრთხილად თქვა: – პატრიოტულ წრეებში ფიხტე დიდებულ შთაბეჭდილებს მოახდენდა.

– ვფიქრობ, – მიუგო მისმა ბრწყინვალებამ, – ჯერჯერობით თავის შეკავება მოგვიწევს.

წიგნის დახურვასთან ერთად თითქოს გრაფის სახეც დაიხურა. მდივანმა გრაფს თავი დაუკრა და უსიტყვო მორჩილებით ჩამოართვა წიგნი, რათა გვერდით ოთახში გაეტანა და მსოფლიოს ფილოსოფიურ სისტემათა შორის ადგილი მიეჩინა; სამზარეულოს საქმეები სხვას უნდა დაავალო და არა შენ

დაკავდე მათით.

– ასე რომ, – თქვა გრაფმა ლაინსდორფმა, – ჯერჯერობით ოთხ პუნქტზე შევჩერდებით: მშვიდობისმყოფელი იმპერატორი, ევროპული ისტორიის ძირითადი ეტაპები, ასევე საკუთრება და განათლება. შეადგინეთ ამ მონახაზის ცირკულარი. იმ წუთებში მის ბრწყინვალებას პოლიტიკურმა აზრმა გაუელვა, რომელიც სიტყვიერად დაახლოებით შემდეგნაირად გამოითქმებოდა: არა უშავს, თვითონ მოვლენ. გრაფი თავისი სამშობლოს იმ წრეებს გულისხმობდა, რომლებიც საკუთარ ქვეყანაზე მეტად გერმანიასთან გრძნობდნენ სიახლოვეს. მათი გახსენებისას არცთუ სასიამოვნო განწყობა ეუფლებოდა. მდივანს რომ მათი გრძნობების თავმოსაქონად შესაბამისი ციტატის მოძებნა მოეხერხებინა (იოჰან გოტფრიდ ფიხტე სწორედ ამის გამო შეარჩია), მაშინ ამ ადგილს ამოიწერდა კიდეც, მაგრამ ერთმა პატარა წვრილმანმა ამ აზრის განხორციელებას ხელი შეუშალა და გრაფმა ლაინსდორფმა შვებით ამოისუნთქა.

ამ დიდი სამამულო აქციის გამომგონებელი მისი ბრწყინვალება გრაფი ლაინსდორფი იყო. როგორც კი გერმანიიდან ამ ამაღელვებელი ამბის შესახებ შეიტყვეს, პირველი, რაც მას გაახსენდა, სიტყვები „მშვიდობისმყოფელი კაიზერი“ იყო, რომელიც მაშინვე 88 წლის მხცოვან მბრძანებელს, თავისი ხალხის ჭეშმარიტ მამას და მის 80-წლიან უწყვეტ მმართველობას დაუკავშირდა. ორივე ეს იდეა, ცხადია, მისი უავგუსტესობის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებდა, მაგრამ ამ იდეას ამაღლებულს მისი უდიდებულესობა კი არ ხდიდა, არამედ ის საამაყო ფაქტი, რომ მის, გრაფის, სამშობლოს ყველაზე დიდხანს ყველაზე მხცოვანი ხელმწიფე მართავდა. ჭკუამოკლენი ამ ფაქტში მხოლოდ რარიტეტებისადმი სიყვარულს დაინახავდნენ. ჭკუამოკლენიც ხომ სწორედ იმიტომ არიან, რომ არ გაეგებათ, რამდენად მდიდარი და ძლიერია სიმბოლო, და რომ ის ყველაზე დიდ სიმდიდრეს აღემატება. მხცოვანი მბრძანებელი სიმბოლურად თავის თავში ერთდროულად მოიცავდა როგორც სამშობლოს იდეას, გრაფს ასე ძლიერ რომ უყვარდა, ისე სამყაროსაც, რომლის ნიმუშადაც იგი უნდა ქცეულიყო. გრაფი დიდ და მტკივნეულ იმედებს მოეცვა. უჭირდა თქმა, რა იყო ეს: ის, რომ მის სამშობლოს „ხალხთა თანამეგობრობის ოჯახში“ მისთვის კუთვნილი საპატიო ადგილი არ ეკავა, თუ ეჭვი, პრუსიის მიმართ რომ განიცდიდა (რომელიც1866 წელს ვერაგულად

დაესხა თავს მის სამშობლოს). მისი მღელვარების მიზეზი იქნებ ის სიამაყე იყო, ძველი სახელმწიფოს არისტოკრატიზმი რომ იწვევდა და სურვილი, მისი სამაგალითოობა მთელი ქვეყნიერებისთვის დაემტკიცებინა; რადგან ევროპელ ხალხებს მატერიალური დემოკრატიის მორევი ითრევდა, მას კი თვალწინ ის დიდებული სიმბოლო ედგა, რომელიც ერთდროულად გაფრთხილებადაც უნდა ქცეულიყო და შემობრუნების შეხსენებადაც. მისთვის ცხადი იყო, რაღაც ისეთი უნდა მომხდარიყო, რაც ავსტრიას ყველაზე წინ დააყენებდა, „ავსტრიის სასიცოცხლო ძალების ბრწყინვალე მტკიცებულება“ მთელი ქვეყნისთვის „გეზის მიმნიშნებლად“ იქცეოდა, თავად კი თავის ჭეშმარიტ ფუნქციას დაიბრუნებდა. ეს ყოველივე კი 88 წლის მშვიდობისმყოფელი კაიზერის ხელმწიფობას უკავშირდებოდა. ამაზე მეტი ან ამაზე უფრო ზუსტად გრაფმა ლაინსდორფმა ჯერ არაფერი იცოდა, მაგრამ ის, რომ იგი დიდ იდეას შეეპყრო, ეჭვს არ იწვევდა. ამ იდეამ არათუ ფრთები შეასხა მის ოცნებებს – იგი მკაცრად აღზრდილი, დიდი პასუხისმგებლობის მქონე ქრისტიანი გახლდათ და ოცნებას იოლად არ აჰყვებოდა – არამედ სრული დარწმუნებითაც მიეცა იმ დიდსა და ბრწყინვალე იდეას, რომელსაც სახელად მბრძანებლის სამშობლო და საყოველთაო ბედნიერების იდეა ჰქვია. და თუ ამ იდეას რამე ჩრდილოვანი მხარე ჰქონდა, ეს მის ბრწყინვალებას არ აშფოთებდა. მისი ბრწყინვალება მშვენივრად ერკვეოდა თეოლოგიურ მოძღვრებაში contemplatio in caligine divina-ს, ანუ ღვთაებრივ ბნელში ჭვრეტის შესახებ, რომელიც თავისთავად უსაზღვრო სინათლეა, მაგრამ ადამიანის გონებისთვის წყვდიადი და დაბნელებაა. საერთოდაც იგი იმ რწმენით ცხოვრობდა, რომ დიად საქმეთა მკეთებელმა თავადაც არ უწყის, რატომ აკეთებს ამას. განა კრომველს არ ეკუთვნის ეს ფრაზა: „არასდროს ისე არ მიიწევს წინ ადამიანი, როგორც მაშინ, როცა თავადვე არ იცის, საითკენ მიდის!“. ასე ტკბებოდა გრაფი ლაინსდორფი საკუთარი სიმბოლოთი, რომლის განუსაზღვრელობაც უფრო ძლიერ აღელვებდა, ვიდრე ნებისმიერი განსაზღვრულობა.

თუ ამ სიმბოლოებს არ მივიღებდით მხედველობაში, მას მტკიცე პოლიტიკური მოსაზრებები და ძლიერი ხასიათის მქონე ადამიანისთვის დამახასიათებელი ის თავისუფლება ჰქონდა, რაც მხოლოდ ისეთ შემთხვევაში შეიძლება მოიპოვო, როცა ეჭვები იოტისოდენადაც კი არ გღრღნის. მაიორატის

უფლების მქონე, ზედა პალატის წევრი იყო, თუმცა პოლიტიკურ აქტივობას არ ავლენდა და არც სამეფო და არც სახელმწიფოებრივი პოსტი არ ეკავა. ის „უბრალოდ პატრიოტი“ იყო. სწორედ ამის და თავისი სიმდიდრის წყალობით ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა სხვა დანარჩენ პატრიოტთა შორის, რომლებიც იმპერიისა და კაცობრიობის განვითარებას შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს. ეთიკური მოვალეობა, გულგრილ მაყურებლად კი არ დარჩენილიყო, არამედ „ზემოდან ჩამოეწვდინა დახმარების ხელი“, მის ცხოვრებას მთლიანად განმსჭვალავდა. სჯეროდა, რომ „ხალხი კეთილია“. მასზე არა მარტო ჩინოვნიკები, მოხელეები და მსახურები იყვნენ დამოკიდებული, არამედ აურაცხელ ადამიანთა მატერიალური მდგომარეობაც. ხალხთან ნაცნობობის შესაძლებლობა არასოდეს მისცემია, გარდა კვირაობით და დღესასწაულებზე გამოფენილი, ჭრელად მოზიმზიმე ბრბოს დანახვისა, ასე ძლიერ რომ ჰგავს საოპერო გუნდს. ვინც მის წარმოდგენებს არ პასუხობდა, „წამქეზებელ ელემენტებად“ ნათლავდა და უპასუხისმგებლო, უმწიფარ, სენსაციაზე დახარბებულ კაცუნებს ეძახდა. რელიგიური და ფეოდალური სულისკვეთებით აღზრდილს, უბრალო ხალხთან შეხებისაგან საგულდაგულოდ დაცულს, არცთუ უწიგნურს, ახალგაზრდობა საეკლესიო პედაგოგიკის მზრუნველი ფრთის ქვეშ გაეტარებინა და ამის წყალობით მთელი ცხოვრების მანძილზე წიგნებში მხოლოდ იმას ხედავდა, რაც მის პრინციპებს ეთანხმებოდა, ანდა, პირიქით, თანამედროვეთა მსოფლაღქმას მხოლოდ საპარლამენტო და საგაზეთო ბატალიებით იცნობდა. და რადგან განათლებაც ჰყოფნიდა ამ დებატების ზედაპირულობის დასანახად, ყოველდღე უმტკიცდებოდა აკვიატებული აზრი, რომ ჭეშმარიტი, კარგად განჭვრეტილი ბურჟუაზიული სამყარო მხოლოდ იმას წარმოადგენდა, რასაც ის, გრაფი ლაინსდორფი, მასზე ფიქრობდა. პოლიტიკურ მოსაზრებებს დართული სიტყვა „ჭეშმარიტი“ ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში ორიენტირებისათვის – სულ უფრო ხშირად რომ აქცევდა მას ზურგს – დამხმარე საშუალებათაგან ერთ-ერთი იყო. ღრმად სჯეროდა, რომ თვით ჭეშმარიტი სოციალიზმიც კი თანხვდებოდა მის მოსაზრებებს. მისი სანუკვარი იდეა – საკუთარ თავსაც რომ არ უმხელდა – იმთავითვე სოციალისტურ ბანაკსა და მას შორის ხიდის გადება იყო. ხომ ნათელია, რომ უპოვართათვის დახმარების ხელის გაწვდენა

რაინდული საქმეა, ჭეშმარიტი დიდგვაროვანი კი ბურჟუა-ფაბრიკანტსა და მათ მუშებს ერთმანეთისგან დიდად არც განასხვავებს. „გულის სიღრმეში ჩვენ ყველანი სოციალისტები ვართ“, – მისი საყვარელი ფრაზა გახლდათ, რაც იმაზე მეტს არ ნიშნავდა, რომ იმქვეყნად სოციალური განსხვავება არ არსებობს. ამქვეყნად კი მის არსებობას აუცილებელ ფაქტად აღიარებდა, ხოლო მუშათა კლასისგან, თუ მის მატერიალურ კეთილდღეობას ხელს შეუწყობენ, მოელოდა, რომ ახირებულ, უგუნურ ლოზუნგებზე უარს იტყოდა და საკუთარ მოვალეობებსა თუ სიკეთეს მისთვის განჩინებულ წრეში მონახავდა. ამიტომაც ჭეშმარიტი არისტოკრატი, ჭეშმარიტი ხელოსნის მსგავსად, მნიშვნელოვან ფიგურად ესახებოდა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხთა გადაჭრის გზები იმ ჰარმონიულ ხილვაში იყრიდა თავს, რომელსაც იგი სამშობლოს უწოდებდა.

მის ბრწყინვალებას გაუჭირდებოდა, ეთქვა, ამ საკითხთაგან რომელზე ფიქრობდა იმ თხუთმეტი წუთის მანძილზე, რაც მისი მდივანი წავიდა. შესაძლოა, ყველაფერზე ერთად. საშუალო სიმაღლის 60 წლის მამაკაცი გულხელდაკრეფილი გაუნძრევლად იჯდა სამუშაო მაგიდასთან და ვერც კი ამჩნევდა, რომ ეღიმებოდა. დაბალ საყელოს ატარებდა, რადგან ყელზე ჩიყვი ემჩნეოდა და ამავე მიზეზით თუ იმ მიზნით, რომ ვალენშტაინის ეპოქის ბოჰემიელ არისტოკრატთა პორტრეტებს დამსგავსებოდა, ნიკაპზე სოლისებური წვერი ჰქონდა ალიკაპივით ამოდებული. მაღალჭერიანი ოთახის გარშემო დიდი, ცარიელი მოსაცდელი ოთახი და ბიბლიოთეკა იყო განლაგებული, მათ კი ირგვლივ ფენა-ფენად დარბაზები, სიჩუმე, პირმოთნეობა, პათეტიკა და ორი ფართოდ გაშლილი ქვის კიბე ერტყა. კიბის საფეხურები სადარბაზოს უერთდებოდა. სირმით მოქარგულ მძიმე პალტოში გამოწყობილი კარისკაცი კვერთხით ხელში თაღიანი კარიდან დღის ნათელ მდინარებას გაჰყურებდა, სადაც ფეხით მოსიარულენი აკვარიუმის თევზებივით დაცურავდნენ. ამ ორი სამყაროს მიჯნაზე როკოკოს ფასადს ლერწები კეკლუცად მიუყვებოდა. ხელოვნებათმცოდნეთა შორის სილამაზით განთქმული ამ შენობის სიმაღლე სიგანეს აღემატებოდა და ამითაც იყო ცნობილი. ეს ფართო და მოხერხებული სოფლური ციხე-კოშკის ტყავის ქალაქური სახლის ჩონჩხზე გადაჭიმვის პირველი მცდელობა იყო და ამ ფეოდალურ-მემამულური

მასშტაბებიდან ბურჟუაზიული დემოკრატიის სტილზე გადასვლის გარდამავალ ეტაპად იყო მიჩნეული. ხელოვნებათმცოდნეობის მტკიცებით, ლაინსდორფის ყოფიერება აქ მსოფლიო გონს უერთდებოდა. ვინც ამის შესახებ არა უწყოდა რა, იმდენივეს ხედავდა, რამდენსაც წვიმის წვეთი, კედელზე ღარში რომ მოედინება: ამჩნევდა მხოლოდ ჭიშკრის რბილ მონაცრისფრო ღიობს, მოულოდნელ, რაღაცნაირად ამაღელვებელ ჩაღრმავებას, რომლის ფოსოდანაც ოქროსფერი სირმები და კარისკაცის კვერთხის ბუნიკი ბზინავდა. კარგ ამინდში კარისკაცი ჭიშკრიდან გამოდიოდა და ჩამწკრივებულ შენობათა შორის კედელში ჩასმულ ფერად ძვირფას ქვასავით შორიდანვე მოჩანდა. ამ კედელთა რიგს ვერავინ ამჩნევდა, თუმცა უსახელო, მოზიმზიმე ბრბოს წესრიგს სწორედ იგი უზრუნველყოფდა. თავს დავდებ, რომ „ხალხის“ დიდი ნაწილი, რომლის წესრიგსაც გრაფი ლაინსდორფი ასე ფრთხილად და ზრუნვით სდარაჯობდა, მის სახელს მხოლოდ ამ კარისკაცზე მოგონებებს უკავშირებდა.

მისი ბრწყინვალება ამ ფაქტში ღირსების შემლახველს ვერაფერს ხედავდა და ამგვარი კარისკაცის არსებობა „ჭეშმარიტ თავდადებად“ მიაჩნდა, როგორც ეს არისტოკრატს შეეფერებოდა.

22. პარალელური აქცია ენით აუწერელი ინტელექტუალური მომხიბვლელობის მქონე გავლენიანი ქალბატონის სახეს იღებს და ულრიხს შთანთქმას უქადის

გრაფი შტალბურგის სურვილის თანახმად, ულრიხი სწორედ ამ გრაფ ლაინდსორფს უნდა სწვეოდა, თუმცა გადაწყვიტა, ასე არ მოქცეულიყო.

თავისი „დიდებული ნათესავის“ გაცნობას კი, მამამისმა ასეთი რეკომენდაცია რომ გაუწია, ნამდვილად აპირებდა, რადგან მისი ნახვა ძალზე აინტერესებდა. არ იცნობდა, თუმცა მისდამი ერთგვარ ანტიპათიას გრძნობდა, რადგან ყველა, ვისაც მათი ნათესაობის შესახებ სმენოდა და მისთვის კეთილ რჩევას არ იშურებდა, გამუდმებით უმეორებდა: „ეგ ქალი სწორედ თქვენ უნდა გაიცნოთო!“. სიტყვა „თქვენზე“ განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდნენ, რითაც ხაზს უსვამდნენ, ასეთი მარგალიტის დაფასება მხოლოდ თქვენნაირ ადამიანს შეუძლიაო, ან იქნებ მლიქვნელურად, შეფარვით იმასაც

გულისხმობდნენ, ამ ნაცნობობისთვის მარტო შენნაირი რეგვენი თუ გამოდგებაო. ამიტომ აგროვებდა ამ ქალის შესახებ ხშირად ცნობებს, მაგრამ დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერასდროს იღებდა. ან პასუხობდნენ: „ენით აუწერელი ინტელექტუალური მომხიბვლელობა აქვსო“, ან: „ჩვენში ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი ქალიაო“, ზოგი კი უბრალოდ პასუხობდა: „იდეალური ქალიაო!“. „რამდენი წლის იქნება?“ – ეკითხებოდა მათ ულრიხი, მაგრამ პასუხს ვერავინ სცემდა, თან უკვირდათ, რატომ ერთხელ არ მოგვსვლია თავში, ასაკი გვეკითხაო. „ვინ არის მისი საყვარელი? – იკითხა ბოლოს მოთმინებადაკარგულმა ულრიხმა. – იცით რამე მისი კავშირების შესახებ?“. ახალგაზრდა კაცი, არცთუ გამოუცდელი, რომელსაც ულრიხმა ამ კითხვით მიმართა, გაოგნებული დარჩა. „აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, რატომ არასდროს დავინტერესებულვართ?!“ – მიუგო მან.

„ინტელექტუალური მზეთუნახავი ბრძანდება, – გაიფიქრა ულრიხმა, – მეორე დიოთიმა“. და იმ დღიდან მას სიყვარულის ამ ცნობილი მაგისტრის სახელით მოიხსენიებდა.

სინამდვილეში ერმელინდა ტუცი ერქვა, ისე კი, უბრალოდ, ჰერმინე. ფაქტია, „ერმელინდა“ „ჰერმინეს“ თარგმანი არ არის. ამ მშვენიერი სახელის უფლება ერთ მშვენიერ დღეს ინტუიციით მოიპოვა, რადგან მისმა შინაგანმა სმენამ იგი უცაბედად უზენაესი ჭეშმარიტების გამოცხადებად აღიქვა. მის ქმარს კი უწინდებურად ჰანსი ერქვა და არა ჯიოვანი, რომელსაც, მიუხედავად თავისი გვარისა, იტალიური ენა საკონსულო აკადემიაში შეესწავლა. განყოფილების ხელმძღვანელ ტუციზე ულრიხს სტერეოტიპული წარმოდგენები შექმნოდა. საიმპერატორო კარის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სხვა დანარჩენ სახელმწიფო დაწესებულებათა შორის ფეოდალური ტრადიციებით რომ გამოირჩეოდა, ტუცი გავლენიან განყოფილებას ხელმძღვანელობდა და ბურჟუაზიული წარმოშობის ერთადერთი მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკი გახლდათ. თავისი მინისტრების მარჯვენა ხელი, იმ მცირერიცხოვან ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ევროპის ბედისწერაზე სერიოზულ გავლენას რომ ახდენდნენ. როცა ბურჟუაზია არისტოკრატულ გარემოცვაში ასეთ სიმაღლეს იპყრობს, იმ დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს, რომ თავისი თვისებებით იგი უბრალოდ შეუცვლელია. სხვა დანარჩენ

ღირსებათა შორის მას მოკრძალებულად უკან დახევის უნარიც ჰქონდა და ულრიხს ეს გავლენიანი კაცი კავალერიის წესიერ უნტერ-ოფიცერს ახსენებდა, რომელსაც კეთილშობილური წარმომავლობის თანატოლების სარდლობა უწევს. მასზე ამ წარმოდგენებს მისი ცხოვრების თანამგზავრიც აძლიერებდა, რომელიც ულრიხს ლამაზ, ბურჟუაზიული განათლების კორსეტში გამომწყვდეულ, ახალგაზრდულ ასაკს დიდი ხნის გადაბიჯებულ ქალად წარმოედგინა.

მაგრამ ულრიხს მოლოდინი გაუმტყუნდა. დიოთიმა მას იმ ადამიანის შემწყნარებლური ღიმილით შეეგება, საკუთარი სილამაზის ფასიც რომ იცის და ზედაპირულ მამაკაცებს იმ სურვილებსაც პატიობს, რაც მისი პირველი დანახვისას უჩნდებათ.

– გელოდებოდით, – თქვა მან და ულრიხი ვერ მიხვდა, თავაზიანობის გამოვლინებად მიეღო ეს თუ საყვედურად.

ჩამოსართმევად გამოწვდილი ხელი ულრიხმა თავის ხელში უფრო დიდხანს გააჩერა, ვიდრე ეს მიზანშეწონილი იყო. თვალი ვერ მოსწყვიტა ქალის ხელს, ერთდროულად სავსეს და მსუბუქს, სქელი ფურცელივით რომ ედო ხელში. ფრთებივით წაწვეტებული ფრჩხილები მის პატრონს თითქოს უცნობ სივრცეში გაქროლებას უპირებდა. ქალის ხელის, ადამიანის ამ ურცხვი ორგანოს, ექსცენტრიკულობამ, ძაღლის დრუნჩივით ყველაფერს რომ ყნოსავს, სინჯავს, სადაც თან ერთგულება, კეთილშობილება და სინაზე იყრის თავს, ულრიხი დაატყვევა. შეამჩნია, რომ დიოთიმას ამობურცული ყელი და უნაზესი კანი ჰქონდა. ჯიუტად გაბზეკილი, ბერძნულ ყაიდაზე დაწნული თმა კრაზანას ბუდეს მიუგავდა. ულრიხს რაღაც მტრული გრძნობა დაეუფლა და მოუნდა, ეს ქალი, ასე რომ იღიმებოდა, რამით გაეღიზიანებინა, მაგრამ მისი სილამაზის ხიბლს თავს ვეღარ აღწევდა.

დიოთიმაც დიდხანს და გამომცდელად უყურებდა. გაგონილი ჰქონდა მისი პირადი ცხოვრების შესახებ, მსუბუქი სკანდალის ელფერი რომ დაჰკრავდა, და ისიც იცოდა, რომ ენათესავებოდა. ულრიხმა იგრძნო, რომ ქალზე შთაბეჭდილება მოახდინა. ის სუფთად იყო გაპარსული. მაღალი, ნავარჯიშევი, დაკუნთული, მოქნილი სხეული და სახის ნათელი, მაგრამ იდუმალი გამომეტყველება ჰქონდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ თვითონ განასახიერებდა იმ სტერეოტიპს, ქალების უმრავლესობას

შთამბეჭდავ, ჯერაც ახალგაზრდა მამაკაცზე რომ ექმნება, მაგრამ ვერასდროს პოულობდა თავის თავში ძალას, რომ მათთვის ეს წარმოდგენები დროულად გაეფანტა. ულრიხი ხედავდა, რომ ქალი დიდხანს აკვირდებოდა, იმასაც ამჩნევდა, რომ ის აშკარად სასიამოვნო გრძნობებს შეეპყრო, ალბათ, ფიქრობდა, მისი კეთილშობილური გრძნობები გამრუდებული ცხოვრების წესს ჩაუკლავს და მათი გადარჩენა ჯერაც შესაძლებელიაო. მისი გარეგნობიდან რაღაც ქალწულებრივი უმწიფრობა გამოსჭვიოდა, თუმცა ულრიხზე ბევრად ახალგაზრდა არ იყო და თანაც ფიზიკური გაფურჩქვნის ხანა ედგა, რაც ერთგვარ კონტრასტს ქმნიდა მის თავდაჯერებულ ხასიათთან. ასე ათვალიერებდნენ ერთმანეთს ყურადღებით და თან საუბრობდნენ.

დიოთიმამ საუბარი იმით დაიწყო, რომ პარალელური აქცია ყველაზე მნიშვნელოვანი და გრანდიოზული იდეების განხორციელების უნიკალურ შესაძლებლობად გამოაცხადა.

– ჩვენ გრანდიოზული იდეის განხორციელებას ვაპირებთ. ჩვენ მოგვეცა ეს შესაძლებლობა და მისი ხელიდან გაშვების უფლება არ გვაქვს.

ულრიხმა გულუბრყვილოდ ჰკითხა: – რამე კონკრეტული გაქვთ მხედველობაში?

არა, დიოთიმა კონკრეტულს არაფერს გულისხმობდა. ანდა რა უნდა ეგულისხმა! სჯერა კი ვინმეს რეალურად რამე დიდისა და გრანდიოზულის არსებობისა, როცა მათზე ლაპარაკობს? სამყაროს რომელ უცნაურ თვისებას გაუტოლებდით? ზოგი უფრო მეტია, უფრო მნიშვნელოვანი ანდა მშვენიერი და სევდის მომგვრელი, ვიდრე მეორე, ანუ შედარებით ხარისხებად, იერარქიულად დალაგებულნი – არსებობს კი მწვერვალი, რამე აღმატებული? და თუ ვინმეს ამისკენ მიუთითე, როცა ამ დიდსა და გრანდიოზულზე იწყებს ლაპარაკს, მაშინვე ბრალს დაგდებს, რომ უგრძნობი ხარ და არც იდეალები გაგაჩნია. სწორედ ამას გულისხმობდა დიოთიმა და ულრიხის სიტყვებიც ამასვე ნიშნავდა.

დიოთიმამ, რომლის ჭკუითაც ყველა იხიბლებოდა, ულრიხის შეპასუხება უპატივცემულობად მიიღო. ერთხანს გაჩუმდა, შემდეგ გაიღიმა და თქვა: – იმდენი განუხორციელებელი დიდი და კეთილშობილური იდეა არსებობს, რომ არჩევანი ადვილი არ

იქნება. ვაპირებთ, მოსახლეობის ყველა ფენაში კომიტეტები შევქმნათ და ამ საქმეში ისინი დაგვეხმარებიან. როგორ ფიქრობთ, ბატონო ფონ..., განა მნიშვნელოვანი არ არის, მატერიალურ ამაოებაში ჩაძირულ მთელ ერს და სამყაროსაც სულიერი ღირებულებები შევახსენოთ? არ ფიქრობთ, რომ პატრიოტულ საქმეს ვესწრაფვით, რომელიც უკვე დიდი ხანია ბანალობად იქცა?

ულრიხმა პასუხს თავი აარიდა და გაიხუმრა.

დიოთიმას არ გაუცინია. უბრალოდ გაიღიმა. გონებამახვილ მამაკაცებს მიჩვეული იყო, მაგრამ ისინი თან რაღაცას წარმოადგენდნენ. პარადოქსი, როგორც თვითმიზანი, მისთვის უმწიფრობის ნიშანი იყო და ამიტომაც გაუჩნდა სურვილი, ნათესავისთვის გარემოების სერიოზულობა ნათლად დაენახვებინა, ამ დიდ პატრიოტულ აქციას ღირსებასა და პასუხისმგებლობას რომ ანიჭებდა. ახლა უკვე სხვა ტონით ლაპარაკობდა, გამოჰქონდა დასკვნები და მას არწმუნებდა. უნებლიეთ ულრიხმა მის სიტყვებს შორის იმ შავ-ყვითელ დამაკავშირებელ ძაფებს დაუწყო ძებნა, რომლითაც სამინისტროში საბუთებს კინძავენ. დიოთიმა ადმინისტრაციულ ტერმინებთან ერთად ისეთ სიტყვებსაც ხმარობდა, როგორიცაა, მაგალითად, „სულიერებისგან დაცლილი, ფსიქოლოგიისა და ლოგიკის ტყვეობაში მოქცეული ეპოქა“ ანდა „აწმყო და მარადისობა“, და უცბად ამ დანარჩენ საკითხებს შორის ბერლინსა და „გრძნობათა საუნჯესაც“ შეეხნენ, პრუსიისგან განსხვავებით, ავსტრიულ სულს ჯერაც რომ შემოენახა. ულრიხი რამდენჯერმე შეეცადა, დიოთიმასთვის სეფესიტყვა შეეწყვეტინებინა, მაგრამ მის ყველა უტაქტო შემოჭრას დიოთიმა ბიუროკრატიის სალაროდან ნასესხები რომელიმე მარგალიტით დელიკატურად ნიღბავდა. ულრიხი გაოცდა. მისი ვიზიტის დრო აშკარად ამოიწურა და ფეხზე წამოდგა.

იმ წუთებში, წასვლა რომ დააპირა, დიოთიმა მას განგებ, ქმრისგან ნასწავლი, ხაზგასმულად გადაჭარბებული თავაზიანობით ექცეოდა. მისი ქმარი ამგვარ თავაზიანობას თავისი ქვეშევრდომი ახალგაზრდა თავადების მიმართ იჩენდა, რომლებიც, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს მისი მინისტრები გამხდარიყვნენ. დიოთიმამ სთხოვა, კვლავაც სწვეოდა და რაღაც ისეთი დაეტყო, ველური სიცოცხლის ძალის პირისპირ

ქედმაღლურ დაურწმუნებლობას რომ ჰგავს. როცა ულრიხმა მისი რბილი, მსუბუქი ხელი თავის ხელში მოიმწყვდია, ერთმანეთს თვალებში ჩახედეს. მან შეუმცდარი სიცხადით იგრძნო, რომ სიყვარულის გამო ერთმანეთს მომავალში დიდ ტკივილს მიაყენებდნენ.

„ნამდვილი მზეთუნახავი ჰიდრაა!“ – გაიფიქრა ულრიხმა. აპირებდა, პატრიოტულ აქციას გარიდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მას უკვე დიოთიმას სახე მიეღო და შთანთქმას უქადდა. შთაბეჭდილება სანახევროდ თავშესაქცევი იყო. ასაკისა და გამოცდილების მიუხედავად ულრიხმა თავი პატარა მავნე ჭიაყელად იგრძნო, დიდი კრუხი ინტერესით რომ წამოადგება თავს. „ღმერთო, ნუ წამომაგებ ამ ავანტიურაზე“. ბონადეასთან სასიყვარულო კავშირი სრულიად კმაროდა და გადაწყვიტა, ცდუნებას არ აჰყოლოდა.

ულრიხს იგივე შთაბეჭდილება მიჰყვებოდა ნუგეშად, რაც ასე სასიამოვნოდ მოეჩვენა მოსვლის დროს. კარამდე პატარა მოახლე გოგომ მიაცილა, წინკარში პირველად ულრიხს მეოცნებე თვალები შავი პეპლებივით რომ შეაფეთა, ახლა კი წასვლისას სიბნელის გამო შავი ფანტელებივით დაეხარა. რაღაც არაბული თუ ალჟირულ-ებრაული, შორეულად რომ იგრძნო მის მზერაში ულრიხმა, ამ პატარა არსებას მეტად საყვარელს ხდიდა. ქუჩაში გასულს მოეჩვენა, რომ ამ გოგომ დიოთიმას შემდეგ გამაცოცხლებლად იმოქმედა.

23. გავლენიანი კაცი პირველად ჩაერია

ულრიხის ვიზიტმა დიოთიმა და მისი მოახლე სასიამოვნოდ ააღელვა. თუ ამ პატარა არსებას წარჩინებულ სტუმართა კარამდე მიცილებისას ყოველ ჯერზე ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს შეძლო, მოციმციმე კედელზე ხვლიკივით წამზე უსწრაფესად გამსხლტარიყო მაღლა, დიოთიმა ულრიხს იმ ქალის კეთილსინდისიერებით იხსენებდა, საკუთარ აღელვებას, თუნდაც უკადრისს, მშვიდად რომ უყურებს, რადგან თავის თავში მორალურ ძალას ყოველთვის პოულობს. ულრიხმა არ იცოდა, რომ იმავე დღეს დიოთიმას ცხოვრებაში სხვა მამაკაცმა შეაბიჯა და მის წინ გრანდიოზული მთის პანორამასავით გადაიშალა.

დოქტორი პაულ არნჰაიმი ჩამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ დიოთიმას ესტუმრა.

ის განუზომლად მდიდარი იყო. მამამისი „რკინის გერმანიის“ ძლევამოსილი მბრძანებელი გახლდათ. თვით განყოფილების ხელმძღვანელმა ტუციმაც ინება და ამ მეტაფორას მოწყალე თვალით შეხედა. მისი პრინციპების თანახმად, გამოთქმების შერჩევისას კაცს სიფრთხილე მართებდა და მართალია, კეთილგონივრული საუბრისას სიტყვათა თამაშს გვერდს ვერ აუვლიდი, მაგრამ ადამიანს მისით ზომაზე მეტად გატაცება არ მართებდა, რადგან ეს ბურჟუაზიულ ჩვევად მიაჩნდა. მეუღლეს თავად ურჩია, სტუმარი გამორჩეული პატივით მიეღო. თუ დღეს ასეთ ადამიანებს გერმანიის იმპერიის სათავეებამდე ჯერ ვერ მიეღწიათ და სამეფო კარზე მათი გავლენები კრუპებისას ბევრად ჩამორჩებოდა, ხვალ ასეთი რამ, მისი აზრით, სრულიად შესაძლებელი იყო. კონფიდენციალური ხმებით, ეს კაცი – რომელსაც, სხვათა შორის, 40 წლის ასაკისთვის უკვე დიდი ხანია გადაებიჯებინა – მომავალში არათუ მამის მდგომარეობას დაიკავებდა, არამედ ეპოქის ტენდენციისა და საერთაშორისო ურთიერთობების წყალობით გერმანიის იმპერიის მინისტრიც გახდებოდა, რაც, განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის აზრით, სრულიად გამორიცხული იყო, თუკი, რა თქმა უნდა, ქვეყანა არ ამოყირავდებოდა.

ის გუმანითაც კი ვერ ხვდებოდა, ამ ვიზიტით თავისი მეუღლის ფანტაზიაში რა ქარიშხლები დაატრიალა. მართალია, თავისი წრის მრწამსი ამ „ვაჭრუკანას“ იმაზე მეტად დაფასების უფლებას არ აძლევდა, ვიდრე ეს საჭირო იყო, მაგრამ გულის სიღრმეში ამ კაცის სიმდიდრე აღაფრთოვანებდა და საარაკო სიმდიდრის მქონე ადამიანთან პირისპირ შეხვედრას ისე ელოდა, თითქოს ზეციდან ოქროსფრთიანი ანგელოზი უნდა დაშვებულიყო. მეუღლის კარიერის წყალობით ერმელინდა ტუცისთვის მდიდარ და სახელოვან ადამიანებთან ურთიერთობა უჩვეულო არ იყო, მაგრამ ინტელექტუალური მიღწევებით მოპოვებული დიდება შეხებისთანავე დნებოდა, ფეოდალური სიმდიდრე კი ან ახალგაზრდა ატაშეს სულელური ვალების ფორმას იღებდა, ანდა ცხოვრების ტრადიციულ წესს უკავშირდებოდა, ვერასდროს რომ ვერ მოიპოვებს: ოქროს ზოდების ფუფუნებასა და ელვარებას, რითაც მსხვილი ბანკები და მსოფლიო მრეწველობა ფინანსურ ოპერაციებს ასრულებს. ერთადერთი, რაც დიოთიმას საბანკო საქმეების შესახებ გაეგებოდა, ის იყო, რომ ბანკის თვით

საშუალო ჩინის მოხელეებიც კი სამსახურებრივი მივლინების დროს პირველი კლასის მატარებლებით მგზავრობდნენ. დიოთიმა კი, თუ მეუღლეს არ ახლდა, მხოლოდ მეორე კლასით მგზავრობას უნდა დასჯერებოდა. მის პატარა მოახლე რახელს – თავისთავად ცხადია, დიოთიმა ამ სახელს ფრანგულ ყაიდაზე წარმოთქვამდა – ფანტასტიკური ამბებისთვის მოეკრა ყური. მათგან ყველაზე უბრალო, რასაც ჰყვებოდა, ასეთი იყო: თურმე ერთი ნაბობი საკუთარი მატარებლით ჩამოსულა, მთელი სასტუმრო უქირავებია და თან პატარა ზანგი მონა-ბიჭიც ჩამოუყვანია. სიმართლე ბევრად მოკრძალებული გახლდათ, რადგან პაულ არნჰაიმს არ უყვარდა, როცა ყურადღებას იქცევდა. სინამდვილეს მხოლოდ პატარა არაბი ბიჭი შეეფერებოდა, მრავალი წლის წინ შორეულ სამხრეთ იტალიაში მოგზაურობისას მოცეკვავეთა ჯგუფიდან რომ გამოარჩია და თან წამოიყვანა, რადგან, ჯერ ერთი, ამ სამკაულით საკუთარი ცხოვრების მორთვა მოუნდა და, მეორეც, სიღატაკიდან ღვთის შვილის ხსნით და სულიერ სამყაროსთან მისი ზიარებით შემოქმედის როლის შესრულება განეზრახა. მალე თავზე აღებული მისია მობეზრდა და ბიჭი, ამასობაში 16 წლის რომ გამხდარიყო, მოსამსახურედ დაიყენა, თუმცა 14 წლამდე სტენდალს და დიუმას აკითხებდა. დიოთიმას მოახლის მონაყოლი იმდენად ბავშვურად გადაჭარბებული ეჩვენებოდა, რომ სიცილისგან თავს ვერ იკავებდა, მაგრამ ამ ამბავს სიტყვასიტყვით ამეორებინებდა; ფიქრობდა, რომ ასეთი რამ მარტო „კულტურით გაჭყეპილ“ ქალაქში შეიძლებოდა მომხდარიყო. არაბი ბიჭის ისტორიამ მისი ფანტაზიაც ააღელვა.

დიოთიმა საშუალო სკოლის მასწავლებლის ოჯახში გაიზარდა და სამი დიდან უფროსი იყო. დიდი მზითვის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ მისი მეუღლე მაშინაც კი, როცა ის ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი ბურჟუა ვიცე-კონსული იყო, მის შესაფერის წყვილად ითვლებოდა. ყმაწვილქალობის წლებში სიამაყის გარდა არაფერი ებადა და, რადგან მის სიამაყეს საამაყო არც არაფერი გააჩნდა, ამიტომაც კორექტულობის გორგლად დახვეულს სინატიფის მჩხვლეტავი საცეცები გამოება.

ასეთი კორექტულობა, შესაძლოა, თავის თავში ხანდახან პატივმოყვარე და მეოცნებე ხასიათს მალავდეს და ისეთ ძალად იქცეს, წინასწარ რომ ვერ გათვლი. თუ დასაწყისში დიოთიმას შორეულ ქვეყნებში თავგადასავლების შორს

მიმავალი პერსპექტივა ხიბლავდა, მალე იმედის გაცრუება ელოდა, რადგან ამ პერსპექტივიდან ხელში მხოლოდ ის უპირატესობა შერჩა, და თანაც მოკრძალებული, მეგობარ გოგონებს ეგზოტიკის ნაფიფქის გამო რომ შურდათ. დიოთიმას არ დაუმალავს მათთვის, რომ საელჩოში ცხოვრება სხვა დანარჩენ ბარგთან ერთად სახლიდან მოტანილ ცხოვრებად რჩებოდა. დიოთიმას პატივმოყვარეობა მეხუთე რანგის კეთილშობილური უპერსპექტივობით სულს ღაფავდა, სანამ ერთმა კეთილგანწყობილმა „პროგრესულად მოაზროვნე“ მინისტრმა მისი ბურჟუა ქმარი ცენტრალური აპარატის საკანცელარიო პრეზიდიუმში არ გადაიყვანა, საიდანაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით კარიერის კიბეზე ზესვლაც დაიწყო. ამ პოსტის დაკავების შემდეგ მათთან უამრავმა ხალხმა დაიწყო სიარული. ყველას რაღაც სათხოვარი ჰქონდა და ამ წუთებიდან დიოთიმაშიც „სულიერ სილამაზესა და სიდიადეზე“ მოგონებები გამოცოცხლდა. ამ საუნჯეს კი, მისივე თქმით, თითქოს დიდი კულტურული ღირებულებების მატარებელ მშობლიურ სახლში და სამყაროს ცენტრში დაუფლებოდა. სინამდვილეში კი ბეჯითი მოწაფეობით, ალბათ, კეთილშობილ ქალთა სასწავლებელში აეთვისებინა და ახლა ფრთხილად შესდგომოდა მის რეალიზებას. დიოთიმამ თავისი პრაქტიკული ქმრის ყურადღება უნებლიეთ მიიქცია და სველი ღრუბელივით უშურველად, სრულიად მიამიტურად გასცემდა იმას, რაც დიდი სარგებლობის გარეშე შეესრუტა. მას შემდეგ, რაც მისი სულიერი უპირატესობა სათანადოდ დაფასდა, საუბრის დროს შესაბამის ადგილას ხალისით პატარ-პატარა „კეთილგონივრულ“ იდეებს ჩაურთავდა ხოლმე. რაც უფრო მეტ სიმაღლეს იპყრობდა მისი ქმარი, მათ სახლში მით მეტი ადამიანი იყრიდა თავს, მის სიახლოვეს რომ ეძებდნენ. მათი სახლი იქცა „სალონად“, რომელსაც იმით გაეთქვა სახელი, რომ აქ „საზოგადოებას და სულიერებას“ დაედო ბინა. ახლა, როცა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანებთან გააბა ნაცნობობა, დიოთიმამ საკუთარი თავის აღმოჩენა დაიწყო. მისმა კორექტულობამ, მუდამ გაფაციცებულმა, მოწაფესავით სასწავლო მასალას კარგად რომ იმახსოვრებდა და სასიამოვნო მთლიანობად კრავდა, ტუცის სახლს აღიარება მოუტანა.

24. საკუთრება და განათლება. დიოთიმას მეგობრობა გრაფ ლაინსდორფთან

კონკრეტულ ცნებად კი ეს დიოთიმას მის ბრწყინვალება გრაფ ლაინსდორფთან მეგობრობის შემდეგ ჩამოუყალიბდა.

თუ მეგობრობის ნაირსახეობებს სხეულის ნაწილების მიხედვით დავარქმევდით სახელს, მაშინ გრაფი ლაინსდორფის მეგობრული გრძნობები სადღაც თავსა და გულს შორის უნდა ყოფილიყო მოთავსებული. დიოთიმასთან მას გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდა, თუკი ეს სიტყვა ჯერ კიდევ არ გამოსულა ხმარებიდან. მისი ბრწყინვალება პატივს სცემდა დიოთიმას ჭკუას და სილამაზეს, მაგრამ ნებადართულ ზღვარს არასოდეს არღვევდა. მისმა კეთილგანწყობამ ურყევი რეპუტაცია მოუპოვა დიოთიმას სალონს, სადაც, დიოთიმასვე სიტყვებით, ერთგვარი სამუშაოც სრულდებოდა.

რაც შეეხება გრაფ ლაინსდორფს, იმპერიის უშუალო ქვეშევრდომს, იგი „უბრალოდ პატრიოტი“ იყო. სახელმწიფო მარტო სამეფო გვირგვინი, ხალხი და მათ შორის მდგომი ადმინისტრაცია კი არ არის, ის ამავე დროს აზრი, მორალი და იდეაცაა! მიუხედავად მისი ბრწყინვალების რელიგიური გრძნობებისა, ის, როგორც დიდი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი, რომელიც საკუთარ მამულებში ფაბრიკების მშენებლობითაც იყო დაკავებული, არც იმ ფაქტზე ხუჭავდა თვალს, რომ თანამედროვე ადამიანი მრავალ საკითხში ეკლესიის მზრუნველი ხელისგან გათავისუფლებულიყო. წარმოუდგენლად მიაჩნდა, როგორ უნდა ემართა რელიგიური პრინციპებით, მაგალითად, ფაბრიკა, საბირჟო მანიპულაციები მარცვლეულის ბაზარზე ანდა შაქრის კამპანია იმ დროს, როცა, მეორე მხრივ, ბირჟისა და ინდუსტრიის გარეშე თანამედროვე მიწათმოქმედების რაციონალური მართვა შეუძლებელი იყო. თავისი მეურნეობის მმართველის მოხსენებას იმის თაობაზე, რომ ბირჟაზე უცხოური აქციებით სპეკულაცია საქმის უფრო სარფიანად მოგვარების შესაძლებლობას იძლეოდა, ვიდრე მემამულე არისტოკრატიასთან მხარდამხარ სიარული, მისი ბრწყინვალება გულისყურით ისმენდა და უმრავლეს შემთხვევაში გადაწყვეტილებას ამ ორიდან პირველის სასარგებლოდ იღებდა. მოგეხსენებათ, ობიექტურ გარემოებას თავისი კანონები აქვს და გრძნობების სასარგებლოდ მის წინააღმდეგ წასვლა ხეირს არ მოიტანს, მით უმეტეს, თუ დიდ მეურნეობას მართავ და მხოლოდ საკუთარი თავი კი არ გაბარია, უამრავი ადამიანის წინაშეც ხარ პასუხისმგებელი.

არსებობს რაღაც პროფესიული სინდისის მსგავსი, ხანდახან რელიგიურ სინდისს რომ ეწინააღმდეგება. გრაფი ლაინსდორფი დარწმუნებული გახლდათ, რომ თვით კარდინალი არქიეპისკოპოსიც მასავით მოიქცეოდა. გრაფი ლაინსდორფი მუდამ მზად იყო, დასწრებოდა პალატის ღია სხდომებს ამ საკითხების განსახილველად და გამოეთქვა იმედი, რომ ცხოვრება მალე უბრალოებას, ბუნებრიობას, ზებუნებრიობას, სისაღესა და ქრისტიანულ პრინციპებს დაუბრუნდებოდა. როგორც კი გრაფი ამგვარი მოსაზრებების გამოსათქმელად პირს გააღებდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ერთი ელექტროქსელიდან მეორეზე გადართესო. საერთოდაც ასე ემართება უმრავლესობას საჯარო გამოსვლების დროს. თუ მის ბრწყინვალებას ვინმე უსაყვედურებდა, რომ თავად იქცეოდა ისე, რასაც საჯარო გამოსვლებში ასე თავგამოდებით ებრძოდა, გრაფი ლაინსდორფი მას დემაგოგიურ ყბედობაში ამხელდა, როგორც ძირგამომთხრელ ელემენტს, რომელსაც წარმოდგენაც არა აქვს, რამდენად დიდია ცხოვრების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, იგი თავად აღიარებდა, რომ კავშირი მარადიულ ჭეშმარიტებასა და საქმეებს შორის, რომლებიც ტრადიციის მომხიბვლელ უბრალოებასთან შედარებით მეტად ჩახლართული გახლდათ, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა და რომ ეს კავშირი ბურჟუაზიულ განათლებაში უნდა ვეძებოთ და არსად სხვაგან. სამართლის, მოვალეობის, ზნეობრიობისა და სილამაზის სფეროში ეს კავშირი გრაფ ლაინსდორფს მაღალ იდეებსა და ყოველდღიურ წინააღმდეგობებს შორის გადებულ ყვავილებისაგან დაწნულ ხიდად წარმოედგინა. ცხადია, ასეთი ხიდი საეკლესიო დოგმებივით მყარი და საიმედო საყრდენი ვერ იქნებოდა, მაგრამ არანაკლებ საჭირო და საპასუხისმგებლო რამ გახლდათ. ამიტომაც გრაფი ლაინსდორფის საერო იდეალიზმი საეკლესიო იდეალიზმს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

მისი ბრწყინვალების მოსაზრებები დიოთიმას სალონის შემადგენლობას ჰარმონიულად თანხვდებოდა. დიოთიმასთან შეკრებილ საზოგადოებას იმითაც გაეთქვა სახელი, რომ დიდ წვეულებებზე ისეთ ადამიანებსაც გადაეყრებოდით, ორი სიტყვითაც რომ გაგიჭირდებოდათ გამოლაპარაკება, რადგან მეტისმეტად ცნობილნი იყვნენ საიმისოდ, რომ მათთან

აქტუალურ პრობლემებზე გესაუბრათ. ის კი არა, შესაძლოა, იმ დარგის სახელიც კი არ გქონოდათ გაგებული, რომელშიც მათ მსოფლიო აღიარება მოეპოვებინათ. აქ შეხვდებოდით კენცინისტებს და კანისისტებს. შესაძლოა, გრამატიკოსი პართიგენის მკვლევარს შეხვედროდა, ტოკონტოლოგი კი – კვანტური თეორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი მიმდინარეობის წარმომადგენლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ყოველწლიურად დასახელებებს რომ იცვლიდნენ და სახელმოხვეჭილი პროფესიული თანამოძმეების გვერდით შეზღუდული რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი. საერთო ჯამში, ყველა და ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული, მაგრამ ჰარმონიულად შეწყობილი. ახალგაზრდა ნიჭიერი სახელების მიმართ დიოთიმა სიფრთხილეს იჩენდა და მხოლოდ რამდენიმე მათგანის მიწვევით შემოიფარგლებოდა, იშვიათი და განსაკუთრებული სტუმრის შეუმჩნევლად გამორჩევისა და საჭირო ფორმით სტუმრებისთვის წარდგენის მისი უნარი კი გაოცებას იწვევდა. ის, რაც დიოთიმას სახლს სხვა დანარჩენთაგან განასხვავებდა, პირველ რიგში, ასე ვთქვათ, მისი საერო სტიქია იყო, იდეათა პრაქტიკული გამოყენების ის სტიქია – დიოთიმასვე სიტყვებით – ერთ დროს ღვთისმეტყველების შუაგულის გარშემო მორწმუნე მოღვაწეთა, ანუ მოქმედების სტიქიად რომ გაიშალა. დღეს კი, როცა ღვთისმეტყველება პოლიტიკურმა ეკონომიკამ და ფიზიკამ განდევნა, ხოლო დიოთიმას მიერ მოწვეულ სტუმართა ნუსხა ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების სამეცნიერო ნაშრომთა კატალოგის მოცულობამდე გაიზარდა, ორდენის საერო წევრებიც შესაბამისად ბანკის დირექტორებს, პოლიტიკოსებს, მინისტრთა მრჩევლებს, მაღალი წრის ან მათთან დაახლოებულ საზოგადოებას წარმოადგენდნენ. დიოთიმა განსაკუთრებით ქალებზე ზრუნავდა, მაგრამ უპირატესობას „ქალბატონებს“ ანიჭებდა და არა „ინტელექტუალ ქალებს“. ცხოვრება ისედაც დამძიმებულია ცოდნით და „გაუბზარავ ქალებზე უარის თქმის უფლება არ გვაქვს“, – ამბობდა ხოლმე დიოთიმა. დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ „გაუბზარავი“ ქალი ფლობდა იმ ფატალურ ძალას, რომელსაც ინტელექტის ყოფიერების ძალებით მოთოკვა ძალუძს, რაც, დიოთიმას აზრით, მისი ხსნისთვის იყო საჭირო. მამრობითი სქესის ახალგაზრდა არისტოკრატები, ასე ხშირად რომ სტუმრობდნენ დიოთიმას, რადგან ეს უკვე ჩვეულებად ქცეულიყო, რაშიც განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი

ვერაფერს საძრახისს ვერ ხედავდა, მომთოკავი ქალებისა და ყოფიერების შესახებ თეორიას დიოთიმას დიდად უმადლოდნენ. დაუნაწევრებელი ცხოვრება არისტოკრატიისთვის ზედგამოჭრილია, თანაც ტუცის სახლი დიოთიმასგან შეუმჩნევლად სასიყვარულო შეხვედრებისა და ფარული ხანგრძლივი საუბრებისთვის უფრო მოხერხებული ადგილი აღმოჩნდა, ვიდრე რომელიმე ეკლესია.

იმ შემთხვევაში, როცა მისი ბრწყინვალება გრაფი ლაინსდორფი ამ ორ, არსობრივად ურთიერთგანსხვავებულ ელემენტს, დიოთიმა მუდამ ერთმანეთში რომ ურევდა, „ჭეშმარიტ კეთილშობილებად“ არ მოიხსენიებდა, მაშინ მათ „საკუთრებას და განათლებას“ არქმევდა; კიდევ უფრო დიდი სიამოვნებით კი „საქმეს“ უწოდებდა და უპირატესობას ამ აღმნიშვნელს ანიჭებდა. მისი თვალთახედვით, ყველა საქმე – ჩინოვნიკის, ფაბრიკის მუშისა თუ საკონცერტო ნომრების შემსრულებელი მომღერლისა – სამუშაოს შესრულებას გულისხმობს. „თითოეული ადამიანი, – ამბობდა ხოლმე იგი, – სახელმწიფო საქმეს ასრულებს. მუშა, თავადი, ხელოსანი – ყველა სახელმწიფოს მსახურია!“. ეს აზრი კი მისი ობიექტურ-მიუკერძოებელი აზროვნების ნაყოფი იყო, რომელიც არანაირ პროტექციას არ ცნობდა. მისი აზრით, ბოგაცკოის ტექსტის მკვლევარებთან მაღალი წრის ქალბატონებისა და ბატონების მუსაიფი ან ფინანსური მაგნატების მეუღლეების თვალიერება ასეთივე მნიშვნელოვან, ოღონდ ძნელად სახელდასარქმევ სამსახურს წარმოადგენდა. ამ ცნებას კი დიოთიმა ადამიანთა მსახურების რელიგიურ ერთობად განმარტავდა, შუა საუკუნეების შემდეგ რომ დაიკარგა.

საერთოდაც, ამ ტიპის იძულებითი ურთიერთობა, როგორც ეს დიოთიმასთან ხდებოდა, თუ ის მეტისმეტად გულუბრყვილო ან უხეში არ არის, იმ მოთხოვნილებიდან იღებს სათავეს, რომელსაც კაცობრიობის მოჩვენებითი ერთიანობის შექმნა სურს და ადამიანთა საქმიანობის სრულიად განსხვავებული სფეროები უნდა მოიცვას, და რომელიც უბრალოდ ამქვეყნად არ არსებობს. ამ მოჩვენებითობას დიოთიმა კულტურას, განსაკუთრებული აქცენტით კი ძველ ავსტრიულ კულტურას უწოდებდა. მისი გაფართოებული პატივმოყვარეობა სულიერებად იქცა და დიოთიმა ამ სიტყვას სულ უფრო ხშირად ხმარობდა. კულტურაში კი იგი შემდეგს გულისხმობდა: იმპერატორის მუზეუმებში გამოფენილ ველასკესისა და

რუბენსის მომხიბვლელ ტილოებს, ფაქტს, რომ ბეთჰოვენი, ასე ვთქვათ, ავსტრიელი იყო, მოცარტს, ჰაიდნს, წმინდა სტეფანეს ტაძარს, ბურგთეატრს, სამეფო კარის ცერემონიალის ტრადიციებს, ვენის პირველ კვარტალს, სადაც ორმოცდაათმილიონიანი იმპერიის ყველაზე ელეგანტური ტანსაცმლისა და თეთრეულის მაღაზიები იყო თავმოყრილი, მაღალი რანგის ჩინოვნიკთა თავშეკავებას, ვენურ სამზარეულოს, არისტოკრატიას, ანგლოსაქსური არისტოკრატიის შემდეგ თავს ყველაზე კეთილშობილად რომ მიიჩნევდა, და მის ძველ სასახლეებს, საზოგადოების ზოგჯერ ნამდვილი და უფრო ხშირად კი ყალბი ესთეტიზმით გაჟღენთილი ქცევის მიღებულ სტილს. კულტურაში იმ ფაქტსაც გულისხმობდა, გრაფი ლაინსდორფის ყურადღების ღირსი რომ გახდა, რომელსაც თავისი კულტურული მისწრაფებანი სწორედ მის სახლში გადმოეტანა. მისი ბრწყინვალება კი ასე იმიტომ იქცეოდა, რომ სიახლის საკუთარ სასახლეში შეშვება შეუფერებლად მიაჩნდა. გულის სიღრმეში აღაშფოთებდა თავისი ლამაზი მეგობრის თავისუფალი და შემწყნარებლური ტონი, რითაც ის ადამიანთა ვნებებზე, მათ მიერ ატეხილ შფოთსა და რევოლუციურ იდეებზე ლაპარაკობდა. დიოთიმა კი ამას ვერ ამჩნევდა. კერძო და, ასე ვთქვათ, სამსახურებრივ უმწიკვლობას ერთმანეთისგან მიჯნავდა ისევე, როგორც ექიმს – სოციალური სამსახურის განყოფილების თანამშრომლისაგან. მტკივნეულ ადგილზე შეხებასავით გაურბოდა კერძო საუბრებს, საზოგადო საკითხებზე კი, რაზეც გნებავდათ, იმაზე ბჭობდა და თანაც გრძნობდა, რომ გრაფ ლაინსდორფს ყველაზე მეტად სწორედ ეს ნაზავი იზიდავდა.

ცხოვრება მარტო თავისით რას გააწყობს, თუ სამტეხლოდან ქვები არ მოზიდე. ნუშისგულივით ერთი ბეწო, ოცნებასავით ტკბილი ფანტაზია, დიოთიმას ყოფიერებას რომ იტევდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა შავთვალება ვიცე-კონსულის ცოლობა გადაწყვიტა, ასე რომ ჰგავდა ტყავის ჩემოდანს, წარმატებისთანავე სადღაც გამქრალიყო. ავსტრიული კულტურა, ჰაიდნი და ჰაბსბურგები, ოდესღაც ასე რომ აბეზრებდა თავს, როცა სკოლაში ბეჯითად უნდა ესწავლა, დღეს უკვე მისი ცხოვრების წესად ქცეულიყო, ასე რომ აჯადოებდა დიოთიმას. ამ ყველაფერს კი ჰეროიზმის ისეთივე კვალი აჩნდა, როგორიც ფუტკრების ზუზუნს შუაგულ

ზაფხულში. დროთა განმავლობაში ეს მოსაწყენი გახდა, შემდეგ – დამქანცველი, ბოლოს კი – უიმედო. სახელოვანი სტუმრები დიოთიმასთვის ისეთივე უღლად იქცნენ, როგორადაც გრაფი ლაინსდორფისთვის საბანკო კავშირები. ჰარმონიული გამთლიანების მისი მცდელობა ამაო იყო. ავტომობილებსა და რენტგენის სხივებზე საუბარი რაღაც გრძნობებს მაინც იწვევდა, მაგრამ ის უთვალავი გამოგონება და აღმოჩენა, ყოველდღიურობას თან რომ მოჰქონდა, კაცობრიობის გამომგონებლური უნარით აღფრთოვანება კაცს თავს აბეზრებდა. მისი ბრწყინვალება დროდადრო სტუმრობდა დიოთიმას, პოლიტიკოსებს ესაუბრებოდა, მოწყალებას მოიღებდა და ახალ სტუმარს ეცნობოდა. აღფრთოვანებით ლაპარაკობდა განათლებაზე, მაგრამ სულ სხვაა, როცა განათლებით სერიოზულად უნდა დაკავდე. მაშინ უკვე დიოთიმასავით აღმოაჩენ, რომ თურმე სიღრმე კი არა, მისი სიგანე ყოფილა გადაულახავი. თვით ისეთი ნაცნობი საკითხებიც კი, როგორიცაა საბერძნეთის კეთილშობილური სისადავე ან ბიბლიური წინასწარმეტყველების აზრი, სპეციალისტთან საუბრისას ათასნაირ ეჭვებად და შესაძლებლობებად ნაწევრდებოდა. დიოთიმა ხედავდა, რომ მისი ცნობილი სტუმრები წყვილ-წყვილად საუბრობდნენ, თვითონ კი ამას ვერ ახერხებდა და თავის თავში თანამედროვე ადამიანის ის ცნობილი სენი აღმოაჩინა, სახელად ცივილიზაცია რომ ჰქვია. ეს იყო შემაფერხებელი მდგომარეობა, სავსე საპნით, რადიოტალღებით, მათემატიკური და ქიმიური ფორმულების თავდაჯერებული ენით, პოლიტიკური ეკონომიკით, ექსპერიმენტული კვლევებითა და უბრალო, მაგრამ ზნეობრივი ურთიერთობის უუნარობით. სულიერი არისტოკრატიზმის სოციალურ არისტოკრატიზმთან დამოკიდებულება დიოთიმას დიდ სიფრთხილეს ავალებდა და, წარმატებების მიუხედავად, იმედგაცრუებაც სულ თან სდევდა, ასეთი გარდაუვალი რომ ხდება ცივილიზაციის და არა კულტურის ეპოქაში.

ცივილიზაცია იყო ის, რაც მისთვის ასე უცხოდ რჩებოდა; და ამიტომ მას, დიდი ხანია, პირველ რიგში მისი ქმრის სახე მიეღო.

25. გათხოვილი სულის ვნებანი

ვნებაშეყრილი დიოთიმა ბევრს კითხულობდა და აღმოაჩინა, რომ ის დაუკარგავს, რის შესახებაც ამ დრომდე ასე ცოტა რამ იცოდა – სული.

რას უნდა ნიშნავდეს მაინც ეს სული? – ნეგატიური განმარტება სულ ადვილია: ეს არის ის, რაც იმალება, როგორც კი ალგებრულ მწკრივებზე იწყებენ ლაპარაკს.

პოზიტიური განმარტება რა უნდა იყოს? როგორც ჩანს, მისი მოხელთების ყველა მცდელობა ამაოა. თავის ოდინდელ თვითმყოფადობას, ხშირი რეცხვისგან გახუნებულ კორექტულობის კაბაში გახვეულ გრძნეულ სიფაქიზეს, დიოთიმას სახელად სული რომ დაერქმია, ახლა უკვე მეტერლინკის ფერად მეტაფიზიკაში, ნოვალისში, ყველაზე მეტად კი ღონემიხდილი რომანტიზმის უსახელო ტალღებში ან ღმერთის მონატრებაში რომ ეძებდა, დროდადრო მანქანური ეპოქა საკუთარი თავისკენ მიმართული პროტესტის სახით გადმოაშხეფებდა ხოლმე. ან იქნებ დიოთიმას თვითმყოფადობა იყო სიჩუმე, სინაზე, მოკრძალება და სიკეთე, გზას აცდენილი ამ ორომტრიალში, ბედისწერა რომ ყველას გვატეხს თავს და ახლა კი იდენტურობის სასაცილო ფორმად ქცეულიყო ან, შესაძლოა, ეს იყო ფანტაზია ანდა ვარაუდი იმ ინსტინქტური ვეგეტატიური სამუშაოს შესახებ, ყოველდღე სხეულის სახელით რომ სრულდება ან ლამაზი ქალის სულიერების სახით გვევლინება. ხანდახან დიოთიმა მეტ სითბოსა და სივრცეს გრძნობდა, თითქოს გრძნობები უწინდებურზე უფრო გამჭოლი ხდებოდა. პატივმოყვარეობა და ნებელობა ჩუმდებოდა. ასეთ წუთებში სიცოცხლის სისავსით, მისით თრობით განცდილი ჩუმი ნეტარება ეუფლებოდა. აზრები ზედაპირიდან სიღრმეში იმზირებოდა, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები სადღაც შორს გადაინაცვლებდა და სიჩუმე ბაღის შესასვლელთან დასადგურებულ მდუმარებას ემსგავსებოდა. დიოთიმა თითქოს ჭეშმარიტებას უმზერდა, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე აღმოჩენილს საკუთარ თავში. ნაზი გრძნობები, ჯერაც უსახელო, საბურველს იხსნიდა, სახეს აჩენდა და დიოთიმა თავს ჰარმონიულ, ჰუმანურ, რელიგიურ ადამიანად გრძნობდა, რომელიც თვითმყოფადობის იმ სიღრმეების სიახლოვეს დგას, მისგან შობილს ყველაფერს კურთხეულს რომ ხდის, სხვა დანარჩენს კი ცოდვით ამძიმებს. რაც უნდა სასიამოვნო ყოფილიყო ამაზე ფიქრი, მაინც ვერასდროს აღწევდა თავს იმ მდგომარეობას, რომელსაც ვარაუდი და მინიშნებები ჰქვია – იმ წინასწარმეტყველური წიგნების მსგავსად, ერთსა და იმავეზე ბუნდოვანი საიდუმლო ენით რომ ლაპარაკობენ და დიოთიმა

რჩევისთვის რომ მიმართავდა. დიოთიმას ისღა დარჩენოდა, რომ დანაშაული ცივილიზაციისთვის მიეწერა, ეპოქისთვის, რომელსაც სულთან მისასვლელი გზები ჩაეხერგა.

ალბათ, ის, რაც დიოთიმასთვის სულს ნიშნავდა, სიყვარულის უნარის ის მცირე კაპიტალი იყო, ქორწინების დროს რომ ფლობდა. განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი კი კაპიტალდაბანდებისთვის საუკეთესო საშუალება სულაც არ იყო. მისი უპირატესობა დასაწყისშიც და შემდეგაც ასაკით უფროსი ადამიანის უპირატესობა იყო, რომელსაც მოგვიანებით წარმატებული ადამიანის უპირატესობაც დაერთო, თანაც იდუმალებით მოცულ საქმეს რომ ასრულებს, თავის ცოლს დიდად არ უმხელს და მის უმნიშვნელო, წვრილმან საქმეებს მოწყალე თვალით უყურებს. თუ ქორწინების პირველ დღეებს არ ჩავთვლით, განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი გამორჩენისა და გონების ადამიანი იყო და წონასწორობას არასდროს კარგავდა. და მაინც მისი ქცევისა და კოსტიუმის დალაგებული სიმშვიდე, სხეულისა და ულვაშების თავაზიანი სიმკაცრე, მეტყველების ფრთხილი და მკვეთრი ბარიტონი რაღაც ისეთს გამოსცემდა, დიოთიმას სულს იმ მეძებარი ძაღლივით რომ აღელვებდა, რომელიც პატრონის სიახლოვეს გრძნობს და დრუნჩი მის მუხლებში ჩაურგავს. ასე შეაბიჯა დიოთიმამ მკაცრი და საქმიანი ზედამხედველობით სიყვარულის უკიდეგანო ველზე და იმ ძაღლს ჰგავდა, პატრონის უკან გულარხეინად რომ მიძუნძულებს.

განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი მუდამ პირდაპირ გზას ირჩევდა. მისი ცხოვრების წესი პატივმოყვარე მუშაკის ჩვევები გახლდათ. დგებოდა ადრე, ცხენით რომ ეჯირითა ან ერთი საათი ესეირნა ფეხით, რითაც არა მარტო მოქნილობას ინარჩუნებდა, არამედ იმ პედანტურ ჩვევასაც ასრულებდა, რომელსაც განუხრელად იცავდა და პასუხისმგებელი მუშაკის სახეს სრულყოფილად ძერწავდა. საღამოს კი, თუ სტუმრად არ მიდიოდნენ ან თავად არ ელოდნენ მათ, როგორც წესი, კაბინეტში შეიკეტებოდა ხოლმე იმ პროფესიული ცოდნის სიმაღლის შესანარჩუნებლად, რითაც მან თავისი არისტოკრატი კოლეგებისა და ხელმძღვანელების წინაშე უპირატესობა მოიპოვა. ასეთი ცხოვრება მკაცრ საზღვრებს ავლებს და სიყვარულს სხვა დანარჩენ საქმიანობას უქვემდებარებს. იმ მამაკაცების მსგავსად, რომელთა ფანტაზია ეროტიკას ჯერაც

არ შეუბღალავს – თუ დროდადრო დიპლომატიური რეპუტაციის გამო მეგობრებთან ერთად საზოგადოებაში თეატრის გუნდის მომღერალ გოგონებთან ერთად გამოჩენას არ ჩავთვლით – ქორწინებამდე ტუცი საროსკიპოების მშვიდი სტუმარი გახლდათ და ამ ჩვევის თანაბარზომიერი რიტმი ოჯახური ცხოვრების დროსაც არ დაურღვევია. ამიტომაც დიოთიმა სიყვარულს შემტევი და ავზნიანი, კვირაში ერთხელ უცერემონიოდ გამოთავისუფლებული ძალის სახით გაეცნო. ორი ადამიანის ამ არსობრივმა ცვლილებამ, წუთი წუთზე რომ იწყებოდა, რათა დღის მოვლენებზე საუბარში გადაზრდილიყო და ბოლოს მშვიდი ძილით დასრულებულიყო, ცვლილებამ, რომელსაც შუალედებში ან არ ახსენებდნენ, ან თუ ახსენებდნენ – გადაკვრით (დიპლომატიური ხუმრობის სახით სხეულის „partie honteuse“-ის თაობაზე), დიოთიმასთვის მოულოდნელი და წინააღმდეგობრივი შედეგები მოიტანა.

ერთი მხრივ, ეს მისი ჰიპერტროფირებული იდეალიზმის მიზეზად იქცა; ოფიციალური, გარე სამყაროსკენ მიმართული ადამიანის იმ იდეალიზმად, რომლის სულიერი წყურვილიც ყველაფერს დიდსა და კეთილშობილურს მოიცავდა, მათი თანამონაწილე ხდებოდა და ისეთი გზნებით უკავშირდებოდა, რომ მისი მშვენიერებით თავგზაარეულ მამაკაცებზე აბრიალებული, მაგრამ პლატონური სიყვარულის მანათობელი მზის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მეორე მხრივ კი ცოლქმრული სიახლოვის ფართო რიტმი, ფიზიოლოგიურ ჩვევად ქცეული, თავის კალაპოტში მიედინებოდა და მისი ბუნების უფრო ამაღლებულ ნაწილებთან კავშირის გარეშე შეახსენებდა ხოლმე თავს. ეს ჩვევა ყმის შიმშილს ჰგავდა, რომელსაც იგი ღარიბული, მაგრამ ნოყიერი საჭმლით იკლავს. დროთა განმავლობაში დიოთიმას ტუჩზე ამობიბინებულმა ღინღლმა მის ქალწულებრივ გარეგნობას სიმწიფეში შესული ქალის მამაკაცური დამოუკიდებლობის დაღი დაასვა, რამაც ის ძალზე შეაშფოთა. ქმარი უყვარდა, მაგრამ ამ სიყვარულში სულ უფრო მზარდი ზიზღიც ერია, შეურაცხყოფილი სულის ის აღშფოთება, რაც მხოლოდ დიად აზრებში ჩაძირული არქიმედეს გრძნობებს თუ შეედრებოდა, გადამთიელ ჯარისკაცს რომ არ მოეკლა და მისთვის სექსუალური უხამსი მოთხოვნები წაეყენებინა. რადგან მისი ქმარი ამას ვერ ამჩნევდა და ამგვარი აზრები თავში არც კი მოსდიოდა, დიოთიმას სხეული ქმრის ნებას უუფლებო მონასავით ეძლეოდა. ამგვარი მონობა უზნეობად

არ ითვლებოდა, მაგრამ ისეთივე მტანჯველი იყო, როგორადაც მას ტიკით ან თანდაყოლილი ნაკლით განაწამები ადამიანი წარმოედგინა.

შესაძლოა, ამის გამო დიოთიმა ცოტა ნაღვლიანი ან მეტად იდეალისტი გახდა, მაგრამ მისდა სავალალოდ, ეს იმ პერიოდს დაემთხვა, როცა სალონი მას უკვე სულიერ სიმყუდროვეს ურღვევდა. განყოფილების გამგე ტუცი მხარს უჭერდა ცოლის სულიერ მისწრაფებებს, მისთვის ასეთ მომგებიანს, თუმცა მათში მონაწილეობა არასდროს მიუღია და არც არასდროს შეუხედავს სერიოზულად. ყურადღების ღირსად მას მხოლოდ ძალაუფლება, მოვალეობა, არისტოკრატული წარმომავლობა და მათგან განს მდგომი გონიერება მიაჩნდა. არაერთხელ გაუფრთხილებია კიდეც დიოთიმა, რომ ზედმეტი პატივმოყვარეობა არ გამოეჩინა; რადგან კულტურა, ასე ვთქვათ, ცხოვრების მარილია, მაღალი წრის საზოგადოება კი მარილიან კერძებს დიდად არ ეტანება. ტუცი ყოველგვარი ირონიის გარეშე, სრული სერიოზულობით ლაპარაკობდა, რადგან სწორედ ასეთი გახლდათ მისი მოსაზრება. დიოთიმა კი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. ყველგან მის ღიმილს ხედავდა, მის მოქმედებას რომ სულ თან სდევდა, სულერთია, სახლში იყო თუ სამსახურში, საკუთრივ მის ბუნებას გამოხატავდა თუ იმ ადამიანის გამომეტყველებად ქცეულიყო, სამსახურებრივი პოსტი მუდამ ქედმაღლურ მზერას რომ ავალებს. დიოთიმასთვის ეს ღიმილი თანდათან აუტანელი გახდა და თავხედ სიმართლეს თავს ვეღარ აღწევდა. დამნაშავედ კი ისტორიის მატერიალისტურ პერიოდს თვლიდა, რომელსაც სამყარო ათეიზმს, სოციალიზმსა და პოზიტივიზმს შორის სასტიკ, უმიზნო თამაშად ექცია, სადაც სულიერ ადამიანს თავისუფლება ვეღარ ეპოვა და თავისი ჭეშმარიტი არსი დაეკარგა. მაგრამ დიოთიმას ხშირად ესეც აღარ შველოდა.

ასეთი იყო ის ვითარება, რომელსაც ტუცის სახლში დაესადგურებინა, როცა დიდმა პატრიოტულმა აქციამ მოვლენათა მსვლელობა დააჩქარა.

გრაფმა ლაინსდორფმა ამ აქციის ცენტრი თავისი მეგობრის სახლში გადმოიტანა, რადგან არისტოკრატიის წარმოჩენას ერიდებოდა. დიოთიმას კი ერთხელ და სამუდამოდ ქმრისთვის იმის დამტკიცება განეზრახა, რომ მისი სალონი სათამაშო არ

იყო. მისმა ბრწყინვალებამ დიოთიმას გაანდო, რომ დიდ პატრიოტულ აქციას დამაგვირგვინებელი იდეა სჭირდებოდა და დიოთიმას პატივმოყვარეობაც ამ იდეის მოძებნით დაკავდა. იმის წარმოდგენა, რომ მთელი სამყაროს თვალწინ იმპერიის საშუალებით რაღაც გრანდიოზული უნდა განეხორციელებინათ, რაც შემდეგ ერთ-ერთ დიდ კულტურულ ღირებულებად იქცეოდა ან – თუ უფრო მოკრძალებული ამოცანით შემოიფარგლებოდნენ – ავსტრიული კულტურის სიღრმეები უნდა წარმოეჩინათ, მის ფანტაზიას ერთობ აღელვებდა. ეჩვენებოდა, თითქოს სალონის კარი გაიღო და ზღურბლს იქით უკიდეგანო ზღვა ღელავდა. პირველი გრძნობა, რაც მას წამიერად დაეუფლა, უსაშველოდ დიდი სიცარიელის განცდა იყო.

პირველი შთაბეჭდილება უტყუარია! დიოთიმა დარწმუნებული იყო, რომ რაღაც შეუდარებლად მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო და საშველად იდეალებს მიმართა. შეეცადა სკოლის ისტორიის გაკვეთილების პათოსის მობილიზებას, როცა საუკუნეებისა და იმპერიების თვლას სწავლობდა; ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ შეამჩნია, რომ თავში არანაირი იდეა არ მოსდიოდა. ქმრის მიმართ, ალბათ, სიძულვილს იგრძნობდა, სულმდაბალი, ქვენა გრძნობები მისთვის უცხო რომ არ ყოფილიყო, ამიტომ მოიცვა სევდამ და „მთელი ქვეყნიერების“ მიმართ ბოღმით აივსო.

ეს სწორედ ის მომენტი იყო, როცა დოქტორი არნჰაიმი პატარა ზანგის თანხლებით ჩამოვიდა და დიოთიმას მეტად მნიშვნელოვანი ვიზიტით ეახლა.

26. სულისა და ეკონომიკის გაერთიანება.

კაცს, რომელსაც ამის უნარი შესწევს, ძველი ავსტრიული კულტურით ტკბობა განუზრახავს. ამგვარად, პარალელური აქციისთვის იდეა ჩნდება.

საძრახისი აზრები დიოთიმასთვის უცხო იყო, მაგრამ ამ მიამიტი პატარა არაბის უკან, დიოთიმას აზრები მთლიანად რომ დაეპყრო, ჩანს, ბევრი რამ იმალებოდა. დიოთიმამ „რაშელი“ ოთახიდან დაითხოვა. ულრიხის წასვლის შემდეგ, თავისი ცნობილი ნათესავი რომ მოენახულებინა, კიდევ ერთხელ გულისყურით მოისმინა რახელის მონაყოლი და ეს

ლამაზი, მოწიფული ქალი თითქოს გაახალგაზრდავდა და ჟღარუნა სათამაშოთი იქცევდა თავს. ოდესღაც არისტოკრატებს არაბი მსახურები ჰყავდათ. დიოთიმას თვალწინ წარმტაცი სურათები ამოუტივტივდა – ალმებით მორთული, ცხენებშებმული მარხილებით ქროლა, ჯიღით თავდამშვენებული ლაქიები და დათრთვილული ხეები, მაგრამ ფანტაზიის აღმგზნები არისტოკრატთა ეს ჩვევა დიდი ხანია გამქრალიყო. „საქმიანმა ცხოვრებამ დღეს სულიერება დაკარგა“, – ფიქრობდა დიოთიმა. გულში მხარს უჭერდა ამ მამაც აუტსაიდერს, შემთხვევით არისტოკრატ-ბურჟუას, ამ არამკითხეს, არაბი მოსამსახურე რომ დაეყენებინა და შთამომავლობითი პრივილეგიები შეერცხვინა ისე, როგორც ოდესღაც ბერძენ სწავლულს თავისი რომაელი ბატონები. ათასნაირი ცრურწმენებით დამძიმებული მისი ღირსება დეზერტირივით მის შესაგებებლად მიიჩქაროდა და ეს გრძნობა, ყველაზე ბუნებრივი მის სხვა დანარჩენ გრძნობათაგან, იმ ფაქტზეც კი ახუჭვინებდა თვალს, რომ დოქტორი არნჰაიმი ებრაული წარმომავლობისა იყო. ყოველ შემთხვევაში მამამისზე ამას დარწმუნებით ამბობდნენ, დედამისი კი იმდენი ხნის წინ გარდაცვლილიყო, რომ სიმართლის დადგენას გარკვეული დრო დასჭირდებოდა.

დიოთიმამ ფრთხილად მოაცილა გონების თვალი არაბ ბიჭს და მის ბატონს მიაპყრო. დოქტორი არნჰაიმი არა მარტო მდიდარი გახლდათ, არამედ ჭკუითაც დიდად გამორჩეული იყო. იგი დიდი ქონების მემკვიდრე იყო, მაგრამ მისი ღირსება მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლებოდა. მოცალეობის ჟამს წიგნებსაც წერდა, ასე რომ გაეთქვა პროგრესულ წრეებში სახელი. ამ წრის ადამიანები, როგორც წესი, ფულსა და ბურჟუაზიულ დიდებაზე მაღლა იდგნენ, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ სწორედ ის ხიბლავთ, როცა მდიდარი ადამიანი ემსგავსებათ. თავის პროგრამებსა და წიგნებში არნჰაიმი აცხადებდა, სული და ეკონომიკა, იდეა და ხელისუფლება, არც მეტი და არც ნაკლები, უნდა გაერთიანდესო. იმათ, ვინც მომავლის სიოს სულ უმცირეს მობერვასაც კი ასე მგრძნობიარედ აღიქვამდა, არნჰაიმი ამ ორი პოლუსის გამაერთიანებლად მიაჩნდათ და თვითონაც ხელს უწყობდნენ იმ ხმების გავრცელებას, რომ გამოჩენილიყო ახალი ძალა, იმპერიას და ვინ იცის, იქნებ მთელ სამყაროსაც, უკეთესი მომავლისკენ რომ უნდა წასძღოლოდა. ყველა იმ გრძნობას

მოეცვა, რომ ძველი დიპლომატიის პრინციპები და მეთოდები ევროპას სამარის კარამდე მიიყვანდა.

დიოთიმას მდგომარეობა შეიძლება განგვესაზღვრა, როგორც ძველი დიპლომატიური სკოლის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი და ამიტომაც იგრძნო მაშინვე საკუთარ თავსა და ამ გენიალურ აუტსაიდერს შორის ეს უცნაური მსგავსება. თანაც მისი სტუმრობის პირველი პატივი სწორედ დიოთიმას ერგო, მათი საერთო მეგობრის სარეკომენდაციო წერილში კი ჰაბსბურგთა ქალაქის ძველ კულტურასა და მის ბინადრებზეც იყო ლაპარაკი, რომლითაც ტკბობას, გადაუდებელ საქმეებს შორის, შრომით დამაშვრალი ეს კაცი აპირებდა. დიოთიმამ იმ მწერალივით, პირველად რომ თარგმნიან უცხო ენაზე, თავი გამორჩეულად იგრძნო, რადგან მეგობრის წერილიდან ისიც შეიტყო, რომ ამ სახელგანთქმულ უცხოელს მისი გონებისა და რეპუტაციის შესახებ ბევრი რამ სმენოდა. დიოთიმამ შეამჩნია, რომ მის გარეგნობაში ებრაული არაფერი იყო და რომ მას კეთილშობილური ფინიკიურ-ანტიკური შესახედაობა ჰქონდა. მასთან ნაცნობობამ არნჰაიმიც აღაფრთოვანა, რადგან მისი სახით ის ქალი იხილა, ვინც არა მარტო მის წიგნებს კითხულობდა, არამედ ანტიკურ ქანდაკებასთან მსგავსებით – გათქვირული სხეული ქანდაკების გაქვავებულ კლასიკურ ფორმებზე უფრო მიმზიდველი ჰქონდა – სილამაზის მისეულ იდეალსაც პასუხობდა. შთაბეჭდილება, რომელიც დიოთიმამ ოცწუთიანი საუბრის მანძილზე მოახდინა, იმ ეჭვებს აქარწყლებდა, რითაც მოძველებულ დიპლომატიურ მეთოდებს მიჩვეული მისი ქმარი მის მნიშვნელობას ასე შეურაცხყოფდა.

დიოთიმა კმაყოფილების გრძნობით იხსენებდა მასთან საუბარს. არნჰაიმმა დასაწყისშივე განუცხადა ამ ძველ ქალაქში ჩამოსვლის მიზანი. იგი, პირველ რიგში, ცივილიზაციის სამსახურში ჩამდგარი ადამიანის დუნე აზროვნებისგან, ანგარიშისა და მატერიალიზმისგან დასვენებას აპირებდა და ძველი ავსტრიული კულტურით ტკბობა განეზრახა.

– ჯანმრთელ სულიერებას აქ ბევრს იხილავთ, – უპასუხა დიოთიმამ და საკუთარი პასუხით კმაყოფილი დარჩა.

– დიახ, – უპასუხა მან, – ჩვენი შინაგანი ხმა დღეს დუმს, ძალიან ბევრი ვიცით და გონება სიცოცხლეს ტანჯავს.

დიოთიმამ მიუგო: – ამიტომაც ქალებთან ურთიერთობას

ვამჯობინებ, რადგან ცოდნა ნაკლები აქვთ და გაუტეხელნი არიან.

რაზეც არნჰაიმმა მიუგო: – და მაინც ლამაზ ქალს კაცზე მეტი ესმის, რომელსაც, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის მიუხედავად, ცხოვრების აბსოლუტურად არაფერი გაეგება.

და აი ამ დროს დიოთიმა მას მოუყვა, რომ უმაღლესი სახელისუფლებო წრეები ცივილიზაციისგან სულის გათავისუფლების იდეას შეეპყრო. „საჭიროა...“ – თქვა მან და არნჰაიმმა სიტყვა შეაწყვეტინა: – დიდებულია (არნჰაიმმა მსუბუქად ამოიოხრა) ახალი იდეების, თუ ნებას დამრთავდით, ვიტყოდი, საერთოდ იდეების ძალაუფლების სფეროში შეტანა!

დიოთიმამ განაგრძო: – ვაპირებთ მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლობის მონაწილეობით კომიტეტების ჩამოყალიბებას, რათა ეს იდეა მოვძებნოთ. არნჰაიმმა ძალზე მნიშვნელოვანი აზრი ისეთი მეგობრული და თბილი ტონით განაცხადა, რომ დიოთიმას მისი გაფრთხილება გულში ჩარჩა. ამ გზით, – თქვა მან, – რამე დიდი შედეგების მიღწევა იოლი არ იქნება. ასეთი აქციის წარმართვა დემოკრატიულ კომიტეტებს კი არა, ცალკეულ ძლიერ ადამიანებს უნდა მიანდოთ, რომლებსაც თანაბარი გამოცდილება აქვთ როგორც რეალურ საქმეებში, ისე იდეათა სფეროში! დიოთიმა არნჰაიმთან საუბარს სიტყვასიტყვით იხსენებდა და ამ პუნქტამდე რომ მივიდა, უცებ გონება გაუნათდა. თვითონ რა უპასუხა, აღარც ახსოვდა. სიხარულისა და ბედნიერების განუსაზღვრელი გრძნობა თითქოს სულ უფრო და უფრო ზემოთ მიაფრენდა. მისი სული ცაში აჭრილ იმ ფერად ბუშტს ჰგავდა, რომ ანათებს, მზისკენ მიქრის და უცბად – ჰოპ! – და გასკდება.

დიდი პარალელური აქციისთვის მოიძებნა იდეა, რომელიც მას აქამდე აკლდა.

27. დიდი იდეის არსი და შინაარსი

თითქოს მართლაც ადვილია იმის თქმა, რაში მდგომარეობდა ამ იდეის არსი, მაგრამ მისი მნიშვნელობის აღწერას მაინც ვერავინ შეძლებდა. სულთა ამაღელვებელი გრანდიოზული იდეები ორდინარული ან, ასე ვთქვათ, გაუგებარ-ორდინარული და ახირებული იდეებისგან ხომ იმითაც განსხვავდება, რომ ის ყოველთვის თითქოს გამლღვალ მდგომარეობაშია, რომლის

წყალობითაც „მე“ დაუსაბამო სივრცეში ხვდება, სივრცის უსასრულობა კი, პირიქით, „მეში“ და თან იმის გარჩევა, რომელია „მე“ ან რომელი – უსასრულობა, ძალზე ჭირს. ამიტომაც გრანდიოზულ იდეათა დიდ უმრავლესობას, ადამიანის მსგავსად, მკვრივი, მაგრამ წარმავალი სხეული აქვს და კიდევ – მარადიული სული; სული მისი მნიშვნელობაა, თუმცა არა სხეულივით მკვრივი და ცივი გონებით მისი მოხელთების ყველა მცდელობა ამაოა.

ამ გაფრთხილების შემდეგ ისიც უნდა ვთქვათ, რაში მდგომარეობდა დიოთიმას დიდი იდეა. ეს იდეა შემდეგი იყო: დიდი ავსტრიული აქციის სულიერი წინამძღოლობა პრუსიელ არნჰაიმს უნდა ეთავა, თუმცა ამ აქციის ეჭვის ბასრი წვეტი პრუსიული გერმანიისკენ იყო მიმართული. მაგრამ ეს იდეის მხოლოდ სიტყვიერი მკვდარი სხეულია, ხოლო ის, ვისთვისაც ის გაუგებარი და სასაცილოა, გვამის წამბილწველს დაემსგავსება. რაც შეეხება იდეის სულს, უნდა ითქვას, რომ არაფერი უხამსი ან აკრძალული მასში არ იყო, მაგრამ დიოთიმამ მას, ყოველი შემთხვევისთვის, ულრიხის სასარგებლოდ კიდევ ერთი პუნქტი დაურთო. ვერ ხვდებოდა, რომ თურმე მის ნათესავსაც – თუმცა არნჰაიმმა იგი დაჩრდილა – მოეხდინა შთაბეჭდილება და ეს რომ გაეცნობიერებინა, ალბათ, საკუთარი თავის შესძულდებოდა. ინსტინქტურად, ყოველი შემთხვევისთვის, კონტრზომებს მიმართა და ულრიხი „უმწიფრად“ მონათლა, თუმცა ის დიოთიმაზე უფროსი იყო. გადაწყვიტა, შესცოდებოდა, რაც უფრო დაარწმუნებდა, რომ მისი ვალი ამ საპასუხისმგებლო აქციის ხელმძღვანელად არნჰაიმის არჩევა იყო და არა ულრიხის. როგორც კი ეს გადაწყვეტილება მიიღო, მისმა ქალურმა აზრებმაც მაშინვე იჩინა თავი: დაწუნებული ულრიხი მის დახმარებას საჭიროებდა, რასაც ის სავსებით იმსახურებდა კიდეც. ამ დიდ აქციაში მონაწილეობა საუკეთესო საშუალება იქნებოდა იმის შესაძენად, რაც ულრიხს აკლდა, რადგან მას არნჰაიმთან და მასთან სიახლოვის საშუალება მიეცემოდა. ასე და ამგვარად, დიოთიმამ ეს საკითხიც გადაჭრა, მაგრამ, ცხადია, ეს მხოლოდ დამატებითი ფიქრები იყო.

28. თავი, რომელიც შეიძლება ყველამ გამოტოვოს, ვისაც აზროვნების შესახებ დიდი წარმოდგენები არ აქვს

ამასობაში ულრიხი სახლში საწერ მაგიდასთან განმარტოებით

იჯდა და მუშაობდა. მაგიდაზე გამოკვლევა ედო, რომელიც რამდენიმე კვირის წინ შუა გზაზე შეეწყვიტა, როცა სახლში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო. ამ ნაშრომის დასრულებას არც აპირებდა, უბრალოდ იმის შეგრძნება, რომ ამგვარ საქმიანობას არ გადაჩვეულიყო, სიამოვნებას ჰგვრიდა. მშვენიერი ამინდი იდგა. ულრიხი ბოლო დღეებში ფეხმოუცვლელად იჯდა სახლში და ბაღშიც კი არ გასულა სასეირნოდ. ფარდაჩამოფარებულ ოთახში დაბალ შუქზე იმ აკრობატივით მუშაობდა, ნახევრად ჩაბნელებული ცირკის დაკეტილ დარბაზში მაყურებლის მოსვლამდე პარტერში მსხდომ შემფასებლებს სახიფათო ტრიუკებს რომ უჩვენებს. ამგვარი აზროვნების სიზუსტე, ძალა და საიმედოობა, ბადალი რომ არ მოეძებნება ამ ქვეყანაზე, ულრიხს სევდას ჰგვრიდა.

ფორმულებითა და ნიშნებით აჭრელებული ფურცელი გვერდზე გასწია და ბოლოს ახალი მათემატიკური მეთოდის გამოსაყენებლად ფიზიკიდან წყლის მდგომარეობის განტოლებაც მიაწერა. მერე მალევე ყურადღება გაეფანტა და სულ სხვა რამეზე დაიწყო ფიქრი.

„ნეტა კლარისას თუ მოვუყევი რამე წყლის შესახებ?“ – ულრიხი ვერ იხსენებდა, თუმცა ეს არც ისე მნიშვნელოვანი იყო და ფიქრები ისევ გაეფანტა.

ვაი, რომ არაფერია ისე ძნელი, როგორც მოაზროვნე ადამიანის მხატვრულ ლიტერატურაში ასახვა. ერთხელ, როცა ერთ დიდ გამომგონებელს ჰკითხეს, ამდენი ახალი იდეა საიდან გიჩნდებაო, მან უპასუხა: „უბრალოდ, განუწყვეტლივ ამაზე ვფიქრობ“. დიდი იდეები ხასიათის, შეუპოვარი პატივმოყვარეობისა და დაჟინებული საქმიანობის შედეგია! ალბათ, რა მოსაწყენია, მუდამ მტკიცე რომ უნდა იყო. მეორე მხრივ კი ინტელექტუალური პრობლემის გადაჭრა დაახლოებით იმავე მეთოდით ხდება, რა მეთოდითაც პირში ჯოხგაჩრილი ძაღლი ცდილობს ვიწრო კარში გასვლას: იმდენ ხანს იქნევს აქეთ-იქით თავს, სანამ ჯოხს არ გააძვრენს. ჩვენც სწორედ ასე ვიქცევით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ალალბედზე კი არ ვმოქმედებთ, გამოცდილებას ვეყრდნობით. ჭკვიანი ადამიანი, სულელისგან განსხვავებით, ამ მოძრაობის შესრულებისას, ცხადია, მეტ მოხერხებულობასა და გაწაფულობას ავლენს, მაგრამ ჯოხის გაძვრენა მისთვისაც ისეთი მოულოდნელი შედეგია, რომ შემცბარს ეჩვენება,

თითქოს აზრები თავისით, საიდანღაც გაჩნდა. ამ შეცბუნებას ბევრი დღეს სახელად ინტუიციას არქმევს, წინათ შთაგონებას ეძახდნენ და მასში რაღაც ზეპიროვნულს ხედავდნენ. სინამდვილეში კი ეს მხოლოდ რაღაც უპიროვნოა – ვიღაცის ტვინში თავმოყრილ საგანთა მსგავსება და ერთიანობა.

რაც უფრო ჭკვიანია ადამიანი, ამ შეცბუნებას მით ნაკლებ გრძნობს. ამიტომ ფიქრი, დასრულებამდე, თავისთავად ისეთი მდგომარეობაა, სიბრალულს რომ იწვევს და ტვინის ხვეულების ჭვალს გვაგონებს. როცა ის სრულდება, მას უკვე აზრის კი არა, ნააზრევის ფორმა აქვს. ეს კი უპიროვნო ფორმაა, რადგან აზრი ამ შემთხვევაში უკვე გარე სამყაროსკენ არის მიმართული და მომარჯვებული, რომ თავი განაცხადოს. ფიქრის დროს ძნელია, განასხვაო, რა არის პიროვნული და რა – უპიროვნო. მწერლებსაც, ალბათ, სწორედ ამიტომ უჭირთ ფიქრი და ცდილობენ, ამას გაექცნენ.

უთვისებო კაცი კი ახლა ფიქრობდა. დაე, იფიქრონ, რომ ნაწილობრივ არც მას ჰქონდა პიროვნული სახე. მაშინ რაღაა?! გამავალ-შემომავალი სამყარო, სამყაროს მხარეები, ვიღაცის ტვინში თავმოყრილი. თავში არანაირი იდეა არ მოსდიოდა, გარდა იმისა, რომ წყალი ხმელეთზე სამჯერ მეტი სუბსტანციაა, თუნდაც ამ სუბსტანციად მხოლოდ მდინარეები, ზღვები, ტბები და წყაროები ვაღიაროთ. დიდხანს ეგონათ, რომ წყალი ჰაერის მსგავსი იყო. დიდ ნიუტონსაც ასე ეგონა, და მაინც მისი აზრები დღესაც არ მოძველებულა. ბერძნების აზრით, სამყარო და სიცოცხლე წყლიდან იშვა. წყალი იყო ღმერთი – ოკეანე. შემდეგ გამოიგონეს ნიმფები, ელფები, ქალთევზები, ალები. ნაპირზე ტაძრებს აგებდნენ და ქადაგად ეცემოდნენ. ჰილდესჰაიმის, პადერბორნისა და ბრემენის ტაძრებიც ხომ წყაროს თავზეა აშენებული და განა დღესაც იქ არა დგანან? წყლით ხომ ნათლავენ კიდეც? ანდა ამქვეყნად წყლის რამდენი მოყვარული, ბუნებრივი მეთოდებით მკურნალობის რამდენი ქომაგია, თანაც რა უცნაური, რაღაც იმქვეყნიური სისაღით სუნთქავს მათი სულები! აი, თურმე სად ყოფილა სამყაროში ის ადგილი, გადღაბნილ წერტილს ან გათელილ ბალახს რომ ჰგავს. და, რა თქმა უნდა, უთვისებო კაცის ცნობიერებაში, სადღაც, თანამედროვე ცოდნასაც ჩაებუდებინა, სულერთია, ფიქრობდა თუ არა ამაზე. იქ კი წყალი უფერო სუბსტანციაა, უსუნო და უგემო სითხე, ასე ხშირად დარწმუნებით რომ უმეორებენ სკოლაში ბავშვებს და აფრთხილებენ, არასდროს

დაავიწყდეთ ეს. ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, წყალს ბაქტერიებიც შეიცავს, მცენარეული ნივთიერებაც, ჰაერიც, რკინაც, კირიც. ფიზიკის პოზიციიდან კი წყალი, არსებითად, სულაც არ არის სითხე. ერთ შემთხვევაში რომ ის მყარი სხეულია, მეორე შემთხვევაში სითხე ან აირია. ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ურთიერთდაკავშირებულ ფორმულათა სისტემად იშლება და ამ უზარმაზარ სამყაროში რამდენიმე ათეულ ადამიანს თუ მოძებნით, თვით ისეთ უბრალო მოვლენაზეც კი, როგორიცაა წყალი, ერთი და იგივე მოსაზრება ჰქონდეს. სხვა დანარჩენები მის შესახებ სადღაც თანამედროვე ეპოქასა და ორი ათასი წლის წინანდელ ეპოქას შორის გაჩენილ ენაზე ლაპარაკობენ. მოდი, ვაღიაროთ ერთი რამ: საკმარისია, ადამიანი ოდნავ დაფიქრდეს და მაშინვე რაღაც აბდაუბდა კომპანიაში ხვდება.

ულრიხს გაახსენდა, რომ კლარისას ამის შესახებ ნამდვილად ესაუბრა. მან კი ამ საკითხებში ისეთი უმეცრება გამოიჩინა, რომ რომელიღაცა ცხოველის პატარა ლეკვს დაემსგავსა. მიუხედავად კლარისას ცრურწმენებისა, ულრიხმა სადღაც ბუნდოვნად მასთან სიახლოვე იგრძნო და ეს შეგრძნება ცხელი ნემსის ნაჩხვლეტს ჰგავდა. ულრიხს გული დასწყდა.

სულის ბნელ სიღრმეებში გაჩენილი ავადმყოფურად მტანჯველი კონფლიქტი, რომლის გაფანტვისა და გაქრობის ძალაც აზრებს შესწევს, სწორედ მის სოციალურ, გარე სამყაროსკენ მიმართულ ბუნებას ეყრდნობა, ადამიანს სხვა დანარჩენთან რომ აკავშირებს. სამწუხაროდ, ის, რაც ამ ძალას მკურნალ თვისებას ანიჭებს, ამავე დროს, ამავე ძალის პერსონალურ აღქმასაც ამცირებს: ცხვირის წვერზე ამოსული თმის ბეწვი ყველაზე მნიშვნელოვან აზრზე მეტს იწონის, და როცა ჩვეულებრივი, უსახო ქცევა, გრძნობა და შეგრძნება მუდამ მეორდება, გეჩვენება, თითქოს მნიშვნელოვანი პიროვნული მოვლენის მომსწრე გახდი.

„სისულელეა, – გაიფიქრა ულრიხმა, – მაგრამ ასეა“. გაახსენდა ის სულელური, ღრმა და ამაღელვებელი, „მესთან“ უშუალოდ დაკავშირებული შთაბეჭდილება, რომელიც საკუთარი კანის დაყნოსვის დროს გიჩნდება. ულრიხი ადგა და ფარდები გადასწია. ხეებს ჯერ კიდევ დილის ნამი ეტყობოდა. ქუჩებში კი ბენზინის იისფერი ბინდი ჩამოწოლილიყო. მზე ანათებდა და ადამიანები ენერგიულად მოძრაობდნენ. იდგა ასფალტის

გაზაფხული, შემოდგომის დღეების გაზაფხული, წელიწადის ვერც ერთ დროს რომ ვერ მიაკუთვნებ, ისეთი, როგორიც მხოლოდ ქალაქებს შეუძლიათ გამოიხმონ ჯადოსნური ძალით.

29. ცნობიერების ნორმალური მდგომარეობის ახსნა და მისი რღვევა

ულრიხი ბონადეას საიდუმლო ნიშნით ატყობინებდა, როცა სახლში მარტო იყო. ის ყოველთვის მარტო იყო, მაგრამ ნიშანს არ აძლევდა. ულრიხი დიდი ხანია ელოდებოდა, რომ ბონადეა ქუდითა და ვუალით გაუფრთხილებლად გამოეცხადებოდა და რადგან ბონადეა უზომოდ ეჭვიანი გახლდათ, მამაკაცთან მისული – თუნდაც იმის სათქმელად, რომ ვერ იტანდა – მუდამ შინაგან სისუსტეს ავლენდა, რადგან გზაში შემხვედრი მამაკაცების მზერისგან მიღებული შთაბეჭდილება ზღვის ავადმყოფობასავით ასხამდა თავბრუს. თუ მამაკაცი მიუხვდებოდა და მის შესაგებებლად გაემართებოდა, შეურაცხყოფილი ბონადეა ჩხუბს იწყებდა, სალანძღავ სიტყვებს არ იშურებდა, რაც მისთვისვე მოულოდნელი იყო, და სიყვარულის ზღვაში ჩავარდნილ ფრთებდაჭრილ იხვს ემსგავსებოდა, გადარჩენისთვის რომ იწყებს ფართხალს.

და აი, ბონადეა მართლაც ულრიხთან იჯდა, ტიროდა და თავს ღირსებაშელახულად გრძნობდა. ასეთ წუთებში, როცა საყვარელზე ბრაზდებოდა ხოლმე, ქმრის წინაშე დანაშაულს მთელი სულითა და გულით განიცდიდა. დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვით უნებლიეთ თავი რომ არ გაეცა, მოღალატე ცოლების იმთავითვე ცნობილ ხერხს მიმართა: ქმარს ვიღაც ცნობილი მეცნიერის შესახებ უამბო, რომელსაც იგი ხანდახან მეგობრის სახლში ხვდებოდა, მაგრამ არ ეპატიჟებოდა, ვინაიდან იგი მეტისმეტად განებივრებული ბრძანდებოდა საზოგადოებაში თავისი მდგომარეობით საიმისოდ, რომ ერთი სახლიდან მეორეში გადაენაცვლა. ისე, დიდადაც არ იწუხებდა თავს მისი მიპატიჟებით, რადგან მასზე არც ისე დიდი აზრისა იყო. ნახევარი სიმართლე ტყუილს უადვილებდა, იმ მეორე ნახევრის გამო კი საყვარელს უბრაზდებოდა. რას იფიქრებს ქმარი, – ეკითხებოდა ულრიხს, – თავის მოსაჩვენებლად ნახსენებ მეგობართან იშვიათად რომ დავიწყო სიარული? როგორ ავხსნა ჩემი მერყევი გრძნობები? სიმართლე ჩემთვის მნიშვნელოვანია, რადგან იდეალებს დიდ პატივს ვცემ, შენ კი სახელს მიტეხ, რადგან მაიძულებ, ამ

გზიდან გადავუხვიო.

შემდეგ ბობოქარი სცენა მოუწყო და როცა ჩაცხრა, გაჩენილი ვაკუუმი საყვედურებით, ფიცითა და ალერსით აავსეს. როცა ესეც ჩაცხრა, სიცარიელე ყოველდღიურ წვრილმანზე ყბედობით შეავსეს და დრომ ჭიქაში ჩარჩენილი წყალივით მოიკიდა ბუშტუკები.

„როგორ უხდება გაბრაზება, – გაიფიქრა ულრიხმა, – და რა მექანიკურად მოხდა ისევ ყველაფერი“. მისმა მზერამ ულრიხს გული შეუძრა და ისევ სინაზით აავსო. მერე კი, როცა ყველაფერი დამთავრდა, იგრძნო, რაოდენ ნაკლებად ეხებოდა ეს ყველაფერი. ცვლილებათა წარმოუდგენელი სისწრაფე, ჯანმრთელ ადამიანს შლეგად რომ აქცევს, მის საქციელს ცხადად დაეტყო. ულრიხს ეჩვენებოდა, რომ ცნობიერებაში მომხდარი სასიყვარულო მეტამორფოზა რაღაც უნივერსალურის კერძო გამოვლინება იყო. თეატრში გატარებული საღამო, კონცერტი, წირვა და, საერთოდაც, შინაგანი სამყაროს გარეგნული გამოვლინებანი ცნობიერების მეორე მდგომარეობის ხანმოკლე კუნძულებია, ჩვეულებრივ მდგომარეობაში დროებით რომ შემოიჭრება ხოლმე.

„ახლა არ იყო, რომ ვმუშაობდი, – ფიქრობდა ულრიხი, – მანამდე კი ქუჩაშიც ვიყავი და ფურცლებიც ვიყიდე. ფიზიკოსების საზოგადოებიდან ერთ კაცს შევხვდი და სერიოზულად ვისაუბრეთ. ნეტა ბონადეა ჩქარა წავიდოდეს და იმ წიგნს ჩავხედავდი, შეღებული კარის ღრიჭოდან რომ მოჩანს. შუალედში სიგიჟის ღრუბლებშიც გავინავარდეთ და შიშის ჟრუანტელი დაგივლის კაცს, რომ წარმოიდგენ, როგორი უტეხი ძალით ეკვრის სერიოზული იდეები გაქრობის პირას მისულ სიცარიელეს“.

ბონადეა კი არ ჩქარობდა და ულრიხმაც სხვა რამეზე დაიწყო ფიქრი. მისი ყრმობის მეგობარი ვალტერი, პატარა კლარისას, ცოტა არ იყოს, უცნაური ქმარი, მასზე ამბობდა ხოლმე: „განსაკუთრებული ენერგიით ულრიხი მხოლოდ იმას აკეთებს, რასაც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს“. ვალტერის სიტყვები სწორედ ახლა გაახსენდა. „ამის თქმა დღეს ყველა ჩვენგანზე შეიძლება“, – გაიფიქრა მან. კარგად ახსოვდა: აგარაკს გარს ხის აივანი ერტყა. ულრიხი ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე კლარისას მშობლებთან იყო სტუმრად და ვალტერი მასზე ეჭვიანობდა. ვალტერს შეეძლო, უცნაურად ეეჭვიანა. ულრიხი

კართან, გარეთ, მზეზე იდგა, როცა კლარისა და ვალტერი აივნის უკან ოთახში შევიდნენ. ულრიხს მათი ლაპარაკი ესმოდა ისე, რომ დამალვა არც დასჭირვებია. მათი ნათქვამიდან ერთადერთი წინადადება ახსოვდა და კიდევ ერთი სცენა. ჩრდილი, რომელიც ოთახის სიღრმიდან მზით განათებულ კედელს ეცემოდა, ნაოჭიან, ოდნავ პირგაღებულ ქისასავით ეკიდა. ქისის ნაოჭებში კლარისა და ვალტერი ჩანდნენ. ვალტერს ჩამოგრძელებული მჭმუნვარე სახიდან თითქოს გრძელი, ყვითელი კბილები მოუჩანდა. შეიძლება ასეც გვეთქვა: შავხავერდგამოკრულ პატარა ყუთზე ვალტერის რამდენიმე ყვითელი კბილი იდო; გვერდით კი, ლანდებივით, ორი ადამიანი ასვეტილიყო. რა თქმა უნდა, სისულელე იყო. მეგობრების ცოლები ულრიხს არ იზიდავდა. ვალტერს რატომღაც ყოველთვის მძაფრი განცდის უნარი ჰქონდა. სწორედ ამიტომ ვერასდროს აღწევდა იმას, რაც ასე სურდა, თითქოს პატარა ბედნიერებისთვისაც ხმის გამაძლიერებელი ჰქონდა ჩაყენებული. უმნიშვნელო გრძნობებს ოქრო-ვერცხლად ფლანგავდა, ულრიხი კი მსხვილი თანხით, ასე ვთქვათ, აზრის ჩეკებით, შთამბეჭდავი ციფრებით მოქმედებდა. საბოლოო ჯამში კი ეს მაინც ქაღალდის ფული იყო და სხვა არაფერი. როცა ვალტერზე ფიქრობდა, რატომღაც ყოველთვის ტყის პირას წამოწოლილს ხედავდა: მოკლე შარვლით და უცნაურია, მაგრამ შავი წინდებით; მამაკაცურად ძლიერი და დაკუნთული ან გამხდარი და დაძარღვული ფეხებით კი არა, გოგოსავით, ოღონდ არცთუ ისე ლამაზ გოგოსავით, რბილი, ულამაზო ფეხებით. ხელი თავქვეშ ამოედო და მიდამოს გაჰყურებდა. ზეცამ იცოდა ვალტერის სატანჯველი. ულრიხი ვერ იხსენებდა, რომ ოდესმე, რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში, ვალტერი ამ პოზაში ენახა. ეს სცენა, ბეჭდით დამოწმებული სურათივით, ერთ-ნახევარი ათწლეულის შემდეგ გამოიკვეთა. ის მოგონებები კი, რომ ვალტერი მასზე ეჭვიანობდა, ულრიხში სასიამოვნო მღელვარებას იწვევდა. ეს ხომ ის დრო იყო, როცა საკუთარი თავით ჯერ კიდევ ხარობ. ულრიხი ფიქრობდა: „რამდენჯერმე ვესტუმრე, თვითონ კი ჩემს ვიზიტებს უპასუხოდ ტოვებს. მერე რა, დღეს საღამოს მაინც მივალ, რატომ უნდა მივაქციო ამას ყურადღება?“.

გადაწყვიტა, შეეტყობინებინა ვიზიტის შესახებ, მაგრამ, სასურველი იყო, არა ბონადეას თანდასწრებით, რადგან ამას

აუცილებლად მოჰყვებოდა გულისგამაწყალებელი ჯვარედინი დაკითხვა.

და რადგან აზრები სწრაფია, ბონადეა კი არ ჩქარობდა, ახლა სხვა ფიქრები აეშალა. ამჯერად ეს იყო პატარა, უბრალო, დამაჯერებელი თეორია, რაც ულრიხს დროის გაყვანაში დაეხმარა. „ახალგაზრდა, ცოცხალი გონების კაცი, – გაიფიქრა ულრიხმა და, ალბათ, ისევ თავის სიყრმის მეგობარ ვალტერს გულისხმობდა, – ყველა მიმართულებით განუწყვეტლივ იდეებს ასხივებს, უკან კი მხოლოდ ის უბრუნდება, რომელიც გარემოსთან რეზონანსში მოვიდა, დანარჩენი კი სივრცეში იფანტება და იკარგება“. ულრიხს მიაჩნდა, რომ ჭკვიანს ყველანაირი ჭკუა აქვს და რომ ჭკუა, თვისებებთან შედარებით, პირველადია. თავად წინააღმდეგობებით სავსე ადამიანი იყო და წარმოედგინა, რომ კაცობრიობაში გამოხატული ყველა თვისება თითოეული ადამიანის გონებაში, თუ მას საერთოდ გააჩნია გონება, გვერდიგვერდ ჩარჩენილიყო. შესაძლოა, ეს მთლად სწორი არ იყოს, მაგრამ ის, რაც სიკეთისა და ბოროტების გაჩენის შესახებ ვიცით, შემდეგს გვაფიქრებინებს: თითოეულ ადამიანს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სულიერი სიდიდე, ანუ სულიერი ზომა, აქვს. ამ ზომას კი ნებისმიერ იმ სამოსს მოარგებს, რომელსაც ბედისწერა გამოიმეტებს. ულრიხს არცთუ ისე უმნიშვნელოდ მოეჩვენა ნაფიქრალი. დროთა განმავლობაში ჩვეულებრივი, უპიროვნო იდეები თავისთავად ძლიერდება, არაჩვეულებრივი კი იკარგება, რის გამოც ყველა იდეა ავტომატურად უფერულ საშუალოობას იძენს – აი, ახსნაც იმისა, რატომ არის საშუალო ადამიანი მართლაც საშუალო, მიუხედავად მის ხელთ არსებული ათასობით შესაძლებლობისა. ამით ისიც აიხსნება, რომ თვით პრივილეგირებულთა შორისაც, გზა რომ გაუკაფავთ და აღიარებაც მოუპოვებიათ, არსებობს 51% სიღრმისა და 49% ბანალურობისგან შემდგარი ნარევი და უდიდესი წარმატების წილიც სწორედ მათ ერგებათ. ამაზე ფიქრი ულრიხს ისეთ აუტანელ სევდას ჰგვრიდა და ისეთ უაზრობად ეჩვენებოდა, რომ დიდი სიამოვნებით იფიქრებდა კიდევ ცოტა ხანს. ხელს კი ის უშლიდა, რომ ბონადეას ჯერ წასვლის არაფერი ეტყობოდა. ჩუმად გაიხედა კარისაკენ და დაინახა, რომ ბონადეას ჩაცმა შეეწყვიტა. როცა საქმე ვნებიანი სიახლოვის ბოლო წუთებს ეხებოდა, ბონადეას დაბნეულობა არადელიკატურობად მიაჩნდა. ულრიხის დუმილით განაწყენებული ელოდა, რას

იზამდა. ბონადეამ წიგნი აიღო და, საბედნიეროდ, ის ილუსტრირებული ხელოვნების ისტორია აღმოჩნდა.

ულრიხი ფიქრებს მიუბრუნდა. იგრძნო, რომ ლოდინმა გააღიზიანა და მოუთმენლობამ შეიპყრო.

30. ულრიხს ხმები ესმის

და აი, უცებ აზრები შემკვრივდა და გაჩენილ ნაპრალში ულრიხმა ქრისტიან მოორსბრუგერი – ხურო – და მისი მოსამართლეები დაინახა.

მოსამართლე ლაპარაკობდა და მათში, ვინც არ ეთანხმებოდა, ერთდროულად ტანჯვას და ღიმილს იწვევდა: „რატომ დაიბანეთ სისხლიანი ხელები? რატომ გადააგდეთ დანა? რატომ გამოიცვალეთ მკვლელობის შემდეგ ტანსაცმელი და საცვლები? იმიტომ, რომ კვირადღე იყო? და არა იმიტომ, რომ გასისხლიანდა? მეორე საღამოს საცეკვაოდ რატომ წახვედით? მაშასადამე, დანაშაულის ჩადენას ხელი არ შეუშლია? გრძნობდით თუ არა საერთოდ სინანულს?“.

მოორსბრუგერს სულში რაღაც შეერხა – ძველი, ციხის გამოცდილება, რომელიც გასწავლის, რომ თავი უნდა მოაჩვენო, თითქოს სინანული გახრჩობს. მოორსბრუგერს სახე მოექცა და თქვა: – რა თქმა უნდა!

– პოლიციის განყოფილებაში კი თქვით: არანაირ სინანულს არ ვგრძნობ, გარდა ბოღმისა და გააფთრებული სიძულვილისაო! – აწყვეტინებს მოსამართლე.

– შესაძლოა, – ამბობს მოორსბრუგერი და სიმტკიცესა და კეთილშობილებას იბრუნებს, – შესაძლოა, მაშინ სხვას არაფერს ვგრძნობდი.

– თქვენ ღონიერი და დიდი ხართ, – ერევა პროკურორი, – ჰედვიგის როგორ შეგეშინდათ!

– ბატონო იუსტიციის მრჩეველო, – პასუხობს მოორსბრუგერი, თან იღიმება, – ისე ალერსიანად მომაჩვენა თავი... მე კი ის უფრო სასტიკი მეგონა, ვიდრე, ჩემი აზრით, ასეთი დედაკაცები არიან ხოლმე. სწორია, ღონიერი ვჩანვარ და ასეცაა...

– ამაშია საქმე, – ბურტყუნებს მოსამართლე და ქაღალდებში იქექება.

– გარკვეულ სიტუაციებში, – ამბობს მოორსბრუგერი, – მშიშარა ვარ, მხდალიც კი.

თავმჯდომარეს თვალები უფრთხიალებს და ტოტიდან აფრენილი ორი ჩიტივით ტოვებს წინადადებას.

– მშენებლობაზე რომ ამხანაგებს წაეჩხუბეთ, შიში არ გიგრძნიათ! – ამბობს თავმჯდომარე. – ერთი მესამე სართულიდან გადმოაგდეთ, მეორეს კი დანით ეცით...

– ბატონო თავმჯდომარევ, – ყვირის მოორსბრუგერი შიშის მომგვრელი ხმით, – მე დღესაც იმ აზრს ვიზიარებ...

თავმჯდომარე ხელის აქნევით აწყვეტინებს.

– უსამართლობა! – ამბობს მოორსბრუგერი. – აი, ჩემი სისასტიკის მიზეზი. სასამართლოს წინაშე წარვდექი და გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, ბატონი მოსამართლეები ხომ ყველაფერში ერკვევიან-მეთქი, თქვენ კი იმედი გამიცრუეთ!

მოსამართლე ისევ ქაღალდებს ჩაჰკირკიტებს.

პროკურორი იღიმება და მეგობრული ტონით ამბობს: – ჰედვიგი ხომ სრულიად უწყინარი გოგო იყო.

– მე ასეთად არ მომჩვენებია! – პასუხობს მოორსბრუგერი და გაღიზიანება ისევ ეტყობა.

– მე კი, – ენერგიულად ასკვნის თავმჯდომარე, – მეჩვენება, რომ თქვენ ყოველთვის სხვაში ეძებთ დამნაშავეს!

– მაინც რატომ ჩაეცით დანა? – პროკურორი მეგობრული ტონით ისევ თავიდან იწყებს ყველაფერს.

31. ვის მხარეზე ხარ?

სასამართლო პროცესზე მოისმინა ეს ყველაფერი თუ საგაზეთო სტატიებში წაიკითხა? ისე ცოცხლად ახსოვდა, თითქოს ხმები ესმისო. აქამდე „ხმები არასდროს გაუგია“, ღმერთია მოწმე, ასე იყო, მაგრამ როცა გესმის, ისეა, თითქოს ზემოდან სიმშვიდე დაგედინება, როგორც ბარდნის დროს. უცბად აღიმართება მიწიდან ზეცამდე აწვდილი კედლები. სადაც უწინ ჰაერი იყო, ახლა რბილ და სქელ კედლებში დააბიჯებ, ჰაერის გალიებში გამომწყვდეული ხმები, ერთი ადგილიდან მეორეზე რომ დახტოდნენ, თავისუფლად მიდი-მოდიან და თეთრი

კედლების სიღრმეებშიც აღწევენ.

ალბათ, მუშაობამ და მოწყენილობამ დაქანცა! და ასეთი რამ ხანდახან ხდება ხოლმე ამ დროს. ხმები ესმოდა, ამაში უსიამოვნო არაფერი იყო. უცებ ხმადაბლა თქვა: – ადამიანს მეორე სამშობლო აქვს, სადაც ის ყოველთვის უდანაშაულოა, რაც არ უნდა გააკეთოს.

ბონადეა თასმას აწვალებდა და შეკვრას ცდილობდა, თან მის ოთახში შევიდა და საუბარი, ულრიხმა რომ გაუბა, არადელიკატურად მოეჩვენა. ქალების მკვლელის გვარი, გაზეთები ამდენს რომ წერდნენ, დავიწყებოდა კიდეც. ახლა, ულრიხმა რომ წამოიწყო მასზე ლაპარაკი, ძლივს გაიხსენა.

– თუ მოორსბრუგერი, – გააგრძელა პატარა პაუზის შემდეგ ულრიხმა, – ასე გულისმომკვლელად უწყინარ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაშინ ის საცოდავი, უმწეო გოგო, ის ჰედვიგი რაღა იქნებოდა, თავსაფრიდან თაგვივით რომ აცეცებდა თვალებს და მოორსბრუგერს ეღრიჭებოდა, ოთახში შემიშვიო, რის გამოც მან მოკლა!

– მორჩი ამაზე ლაპარაკს, – უთხრა ბონადეამ და თეთრი მხრები აიჩეჩა; რადგან ულრიხმა საუბარი ამ მიმართულებით იმ ვერაგულად შერჩეულ წუთს წარმართა, როცა მისი განაწყენებული და კვლავ შერიგებას მოწყურებული ნახევრად ჩაცმული მეგობრის ტანსაცმელმა მას შემდეგ, რაც ის ოთახში შემოვიდა, ხალიჩაზე ხელახლა წარმოქმნა ის პატარა წარმტაცი ქაფის კრატერი, საიდანაც აფროდიტე იშვა. ბონადეა მზად იყო, შესძულებოდა მოორსბრუგერიც, მისი მსხვერპლიც და ზიზღით ცდილობდა მათგან თავის დაღწევას. ულრიხი კი არ ანებებდა და მხატვრულად აღუწერდა ხვედრს, რაც მოორსბრუგერს ელოდა.

– ორი ადამიანი ყულფს ჩამოაცვამს, განა იმიტომ, რომ სიძულვილი ამოძრავებთ, უბრალოდ ამაში ფულს უხდიან. შეიძლება ასობით ადამიანიც დაესწროს, ზოგი იმიტომ, რომ სამსახური ავალებს, ზოგი იმიტომ, რომ ერთხელ მაინც ნახოს სიკვდილით დასჯა. ცილინდრში, ფრაკსა და შავ ხელთათმანებში საზეიმოდ გამოწყობილი კაცი თოკს მოუჭერს, იმავე წუთს კი მისი ორი თანაშემწე მოორსბრუგერს ორივე ფეხზე ჩამოქაჩავს, რომ კისერი გადაუტეხონ. შემდეგ ის შავხელთათმნიანი კაცი მოორსბრუგერს გულზე დაადებს

ხელს და ექიმის მზრუნველი სახით შეამოწმებს, უფეთქავს თუ არა, და თუ უფეთქავს, იმავეს გაიმეორებენ, ოღონდ ამჯერად ნაჩქარევად და აღარც ასე საზეიმოდ. მოორსბრუგერის მხარეზე ხარ თუ მის წინააღმდეგ? – ჰკითხა ულრიხმა.

ბონადეას ნაადრევად გაღვიძებულივით, ნელა და მტკივნეულად დაეკარგა „განწყობილება“ – როგორც თავის მრუშ სურვილებს მოიხსენიებდა ხოლმე. ხელით კაბას და შეხსნილ კორსეტს იჭერდა, ლამის რომ ჩასცურებოდა, და იძულებული გახდა, ჩამომჯდარიყო. როგორც ყველა ქალს მსგავს სიტუაციაში, მასაც მტკიცედ სჯეროდა საზოგადოებრივი წესრიგისა, რომელიც იმდენად სამართლიანია, რომ შეგიძლია, არც იფიქრო მასზე და ისე აკეთო პირადი საქმეები. ახლა კი, როცა საპირისპირო რამ შეახსენეს, სოლიდარობის ნიშნად სასწრაფოდ მოორსბრუგერ-მსხვერპლის მიმართ თანაგრძნობით განიმსჭვალა და მოორსბრუგერ-მკვლელზე ყველანაირი ფიქრები დაივიწყა.

– მაშასადამე, ყოველთვის მსხვერპლის მხარეზე ხარ და დანაშაულის წინააღმდეგი.

ბონადეამ სრულიად ბუნებრივი აზრი გამოთქვა, რომ ასეთ დროს ამგვარი ლაპარაკი უადგილო იყო.

– თუ დანაშაულის ასეთი თანმიმდევრული მოწინააღმდეგე ხარ, – უპასუხა ულრიხმა, იმის ნაცვლად, რომ მაშინვე პატიება ეთხოვა, – რით ამართლებ ამდენ ღალატს, ბონადეა?!

განსაკუთრებით ეს მრავლობითი რიცხვი იყო ძალიან არადელიკატური! ბონადეა დუმდა, შემდეგ კი ამრეზილი სახით ერთ-ერთ რბილ სავარძელში ჩაჯდა და შეურაცხყოფილმა კედლისა და ჭერის გადაბმის ადგილებს დაუწყო თვალიერება.

32. მაიორის ცოლთან მომხდარი ერთი დავიწყებული, მეტად მნიშვნელოვანი ისტორია

არ არის მიზანშეწონილი, აშკარა ფსიქოპათთან სულიერ სიახლოვეს გრძნობდე. და ულრიხი არც გრძნობდა. რატომ ამტკიცებდა ზოგი ექსპერტი, რომ მოორსბრუგერი ფსიქოპათი იყო, ზოგი კი უარყოფდა? ასე მარჯვედ და საქმიანად როგორ აღწერდნენ რეპორტიორები მოორსბრუგერის დანის ტრიალს? რა თვისება იყო ისეთი, რამაც ასე შეძრა ამ ქალაქის ორი

მილიონი მცხოვრების ნახევარი ისე, როგორც ოჯახურმა სკანდალმა ან ჩაშლილმა ნიშნობამ? რატომ მიიტანეს აქ ეს ამბავი ასე ახლოს გულთან და რამ ააფორიაქა მათი სულის აქამდე მთვლემარე ნაწილები? რატომ ეკიდებოდნენ ამას ასე გულგრილად პროვინციულ ქალაქებში ან რატომ არაფერს ნიშნავდა ეს ბერლინსა და ბრესლაუში, სადაც დროდადრო საკუთარი, ადგილობრივი მოორსბრუგერები გამოუჩნდებათ ხოლმე? მსხვერპლთან საზოგადოების ამ სასტიკმა თამაშმა ულრიხი ძალზე დააინტერესა. საკუთარ თავში იმავეს გრძნობდა. არც მოორსბრუგერის გათავისუფლება იყო მისი ნება და არც მართლმსაჯულების დახმარების სურვილი გასჩენია. გრძნობები კატის ბეწვივით აებურძგნა. რატომღაც მოორსბრუგერი უფრო მეტად ეხებოდა, ვიდრე საკუთარი ცხოვრება. მოორსბრუგერი იმ ბუნდოვანი ლექსივით აღელვებდა, სადაც ყველაფერი ოდნავ დამახინჯებულია, ადგილშეცვლილი და სულის სიღრმეში ჩამარხულ, დაქუცმაცებულ აზრს გამოხატავს.

„კოშმარის რომანტიკა!“ – საკუთარ თავს შეედავა. სიზმრისა და ნევროზების დაკანონებული ფორმის კოშმარითა და აკრძალულით ტკბობა ბურჟუაზიული ეპოქის სულისკვეთებად მიაჩნდა. „ან – ან! – ფიქრობდა ის. – ან მომწონხარ, ან არა! ან მთელი შენი სისაძაგლით დაგიცავ, ან თავს გავიროზგავ, რომ თამაშში აგყევი“. ცივი, მაგრამ საქმიანი თანაგრძნობაც, ბოლოს და ბოლოს, დროული იქნებოდა. დღესაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლება ასეთი მოვლენებისა და ადამიანების თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებას სანახევროდ მაინც რომ გამოეჩინა ის ზნეობრივი ძალისხმევა, რომელსაც თავისი მსხვერპლისგან ითხოვს. უცებ მეორე მხარე ამოტივტივდა, საიდანაც შეიძლებოდა ამ საქმისთვის შეეხედა და ულრიხს უცნაური მოგონებები აეშალა. როცა რამე მოვლენას ვაფასებთ, არასდროს ვეხებით მის იმ მხარეს, რომელიც ღმერთის სასჯელს ან წყალობას იმსახურებს. უცნაურია და ეს ფრაზა ლუთერს ეკუთვნის; ალბათ, ერთ-ერთი იმ მისტიკოსის გავლენით, ვისთანაც ერთხანს მეგობრობდა. ეს, შესაძლოა, სხვა მორწმუნეებსაც ეთქვათ. ბურჟუაზიული თვალსაზრისით, ისინი, ყველანი, ამორალურები იყვნენ. ცოდვას სულისგან განასხვავებდნენ ისევე, როგორც მაკიაველი მიზანს – საშუალებისგან და მიაჩნდათ, რომ, ცოდვების მიუხედავად, სული უბიწოა. „ადამიანური გული“ მათ

„წართმეული ჰქონდათ“. „ქრისტეშიც იყო გარეგანი და შინაგანი ადამიანი. გარე სამყაროში ყველა მისი ქმედება გარეგანი ადამიანის ქმედება იყო, შინაგანი ადამიანი კი მასში განდგომილად და უმოძრაოდ მეფობდა“, – ამბობს ეკეჰარტი. მოორსბრუგერის გამართლებასაც შეძლებდნენ ასეთი მორწმუნენი და წმინდანები? ბუნებრივია, კაცობრიობამ მას შემდეგ წინ გადადგა ნაბიჯი და თუ ახლა მოორსბრუგერი მოკლა, ნეტა კვლავ შეძლებს მათ თაყვანისცემას, ვისაც, ვინ იცის, ეგებ მოორსბრუგერი გაემართლებინა?

და აი, ამ უსიამოვნო გრძნობათა ტალღას ერთი წინადადებაც ამოჰყვა: „მამათმავალმა შეიძლება ბრბოში ჩვეულებრივ გაიაროს და თვალებში ბავშვის გამჭვირვალე ღიმილი ედგას; რადგან ყველაფერს უხილავი პრინციპი განსაზღვრავს“. ეს ნათქვამი დიდად არ განსხვავდებოდა პირველი წინადადებისგან, მაგრამ მსუბუქად გადაჭარბების გამო გარყვნილების მოტკბო გემო დაჰკრავდა. აღმოჩნდა, რომ ეს წინადადება ერთი სივრცის განუყოფელი ნაწილი იყო, ანუ ოთახისა, მაგიდაზე ფრანგული ყვითელი ბროშურები რომ ეწყო და კარის ნაცვლად მინის მძივების ფარდა ეკიდა. მკერდში რაღაც იგრძნო, თითქოს გაფატრულ ქათამს გულის ამოსაგლეჯად უყოფდა ხელს. ეს წინადადება დიოთიმამ წარმოთქვა ვიზიტის დროს. თანაც ეს სიტყვები ერთ თანამედროვე ფრანგ მწერალს ეკუთვნოდა, რომელიც ულრიხს ახალგაზრდობისას უყვარდა, მაგრამ მერე უკვე სალონურ ფილოსოფოსად თვლიდა. ამგვარი ფრაზები ისევე უგემურია, როგორც სუნამოგადასხმული პური; ასე რომ, ათეული წლები მისკენ გახედვაც კი აღარ გინდება.

როგორი მძაფრიც არ უნდა ყოფილიყო ყოველივე ამით გამოწვეული ზიზღი, ახლა ულრიხს უკვე სამარცხვინოდ ეჩვენებოდა, რომ იმ საიდუმლო ენის სხვა, ნამდვილ ფრაზებს თავის სიცოცხლეში ერთხელაც აღარ მიბრუნებია. მას ხომ ასე კარგად ესმოდა მათი, უფრო სწორად, მათთან სიახლოვეს გრძნობდა, მაგრამ მთლიანად მათთან შერწყმა ვერასდროს მოეხერხებინა. ამ ფრაზებიდან, კაცმა არ იცის, საიდან და როგორ, მაგრამ რაღაც მშობლიური, რბილი, ბნელი, გულწრფელი ხმა ესმოდა, ასე რომ განსხვავდებოდა მათემატიკური და მეცნიერული ენის მბრძანებლური ტონისგან – ასეთი ფრაზები მის საქმიანობებს შორის ერთმანეთისგან შორიშორს მდებარე იმ კუნძულებივით

იჭრებოდნენ, იშვიათად რომ სტუმრობდა ვინმე. მაგრამ თვალის შევლებისას, რამდენადაც ამის საშუალებას ცოდნა აძლევდა, ეჩვენებოდა, რომ მათ შორის კავშირი მაინც არსებობდა; თითქოს ეს კუნძულები, ნაპირიდან არც ისე შორს მყოფნი, მაგრამ მაინც თვალსმოფარებულნი, უხსოვარ დროში გამქრალი მატერიკის ნარჩენები იყვნენ. ულრიხმა იგრძნო ზღვის, ნისლისა და მოყვითალო-მონაცრისფრო შუქში მთვლემარე ბორცვების სირბილე. გაახსენდა პატარა მოგზაურობა ზღვაზე, გაქცევა, აი, ისეთი, ვინმე რომ გეტყვის: „გაემგზავრეთ სადმე, რამე სხვაზე გადაერთეთ“. ზუსტად იცოდა, რა იყო ის უცნაური, სასაცილოდ მომაჯადოებელი შთაბეჭდილება, მსგავსი შთაბეჭდილებები შემაშინებელი ძალით რომ დაეჩრდილა ერთხელ და სამუდამოდ. ერთ წამს ოცი წლის ყმაწვილის გულისცემა იგრძნო მკერდში, ბანჯგვლიანი კანი წლებთან ერთად რომ გასქელებოდა და გაუხეშებოდა. ოცდათორმეტი წლის კაცის მკერდში ოცი წლის ყმაწვილის გულისცემა იმას ჰგავდა, ბიჭი რომ უხამსად აკოცებს კაცს. და მაინც ამჯერად არ ცდილა, მოგონებებს გაჰქცეოდა. ეს იყო მოგონებები უცნაურ და მალევე გამქრალ ვნებათაღელვაზე, რომელიც ოცი წლის ასაკში მასზე საგრძნობლად უფროსი ქალის მიმართ განეცადა.

ისიც ბევრ რამეზე მეტყველებს, რომ მისი გარეგნობა ბუნდოვნად ახსოვდა. გაშეშებულმა ფოტოგრაფიამ და იმ საათების მოგონებამ, როცა მარტო იყო და მასზე ფიქრობდა, ამ ქალის სახის, კაბისა და მოძრაობების ადგილი დაიკავა. მაიორის ცოლი რომ იყო, ის ფაქტიც კი დაუჯერებლად ეჩვენებოდა, იმდენად უცხო გამხდარიყო მისი სამყარო. „ახლა, ალბათ, უკვე პენსიაზე დიდი ხნის წინ გასული პოლკოვნიკის ცოლი ბრძანდება“, – გაიფიქრა. პოლკში ჰყვებოდნენ, რომ ის მსახიობი, ვირტუოზი პიანისტი იყო, ოღონდ მშობლების გამო პუბლიკის წინაშე არასდროს უკრავდა, გათხოვების შემდეგ კი ეს ისედაც შეუძლებელი გახდა. პოლკის დღესასწაულებზე მართლაც დიდებულად უკრავდა, ოქროთი დაფერილი მზის სხივიანი ელვარებით, გრძნობათა ხეობას რომ ელამუნება. ულრიხს თავიდანვე ამ ქალის მგრძნობიარე თანაყოფნაზე მეტად ის იდეა შეჰყვარებოდა, რომელიც მასში იყო. ლეიტენანტი, მაშინ მის გვარს რომ ატარებდა, მორცხვი არ ყოფილა. გაწაფული თვალით ქალს მიზანში შეუცდომლად იღებდა და წესიერი ქალისკენ მიმავალ ბილიკსაც იოლად

აგნებდა. მაგრამ „დიდი სიყვარული“ ოცი წლის ოფიცრებისთვის, თუ საერთოდ მისი მოთხოვნილება გააჩნდათ, კიდევ სხვა, რაღაც იდეა იყო – მათი ავანტიურის საზღვრებს მიღმა, პრაქტიკულ გამოცდილებას მოკლებული და ამიტომაც თვალისმომჭრელი, სწორედ ისეთი, დიდ იდეებს რომ ახასიათებს. როცა ულრიხმა პირველად სიცოცხლეში საკუთარ თავში ამ იდეის განხორციელების შესაძლებლობა აღმოაჩინა, არაფერი გამოუვიდა. ზემოთ მოხსენიებული იდეის როლი, ავადმყოფობის სახით რომ იფეთქა, სწორედ მაიორის ცოლს ერგო. ულრიხს სიყვარულის სენი შეეყარა და რადგან ნამდვილი სიყვარულის სენი სატრფოს დაუფლების ჟინი კი არა, სამყაროსთვის საბურველის ფრთხილად ჩამოხსნის სურვილია, რის გამოც შენივე სურვილით უარს აცხადებ სატრფოს დაუფლებაზე, ამიტომ ულრიხმა ისე უჩვეულოდ და რუდუნებით აუხსნა მაიორის ცოლს სამყაროს იდუმალება, მანამდე მას არასდროს რომ არ სმენოდა. ციური სხეულები და ბაქტერიები, ნიცშე და ბალზაკი – რა აღარ დუღდა აზრების ძაბრში, წამახული პირი იმდროინდელი მოსაზრებით იმ უხამსი განსხვავებისკენ რომ მიემართა, მისი და ლეიტენანტის სხეულს ასე რომ ყოფდა ერთმანეთისგან. ქალს თავგზას ურევდა სიყვარულის ასე დაჟინებით დაკავშირების მცდელობა ამგვარ საკითხებთან, რასაც, მისი აზრით, სიყვარულთან საერთო არ ჰქონდა. ერთხელ, როცა ცხენებით გვერდიგვერდ მისეირნობდნენ, ქალმა ულრიხს სულ ერთი წამით ხელი შეახო და ძალადაკარგულთ იდაყვებიდან მუხლებამდე ცეცხლის ალი შემოენთოთ, შემდეგ კი, თითქოს მეხდაკრულები, გზის პირას ბალახში ვნებიანად კოცნიდნენ ერთმანეთს. ბოლოს კი შეცბნენ, რადგან ის ძალა, სიყვარული რომ ერქვა, ისეთი უჩვეულო და ძლიერი აღმოჩნდა, რომ სხვა არაფერი ახსენდებოდათ, გარდა იმ სიტყვებისა, ასეთ დროს თავისით რომ გეთქმევინება. მხოლოდ ცხენების ჭიხვინმა გამოაფხიზლა შეყვარებულები.

ასე და ამგვარად, ხანმოკლე და არარეალური აღმოჩნდა მაიორის ცოლისა და ახალგაზრდა ლეიტენანტის სიყვარული. თავადვე უკვირდათ, ხვდებოდნენ, რომ რაღაც არ იყო წესრიგში, ერთმანეთს ეკვროდნენ, მაგრამ ტანსაცმლისა და ზნეობრივი წესებისგან რომც გათავისუფლებულიყვნენ, რაღაც ბარიერი მათი სხეულების სიახლოვეს მაინც წინ აღუდგებოდა. ვნებასაყოლილი მაიორის ცოლი გულის სიღრმეში თავს

კიცხავდა, რადგან ქმარი და ასაკობრივი სხვაობა ახსენდებოდა და როცა ერთ დღეს ულრიხმა ხანგრძლივი მივლინების საბაბით წასვლის შესახებ ამცნო, აცრემლებულმა შვებით ამოისუნთქა. ულრიხს კი სხვა რამ სურვილი არ ჰქონდა, გარდა ერთისა: გარიდებოდა სიყვარულის ამ მიზეზს და რაც შეიძლება შორს წასულიყო. უგზო-უკვლოდ მგზავრობის შემდეგ, როცა მატარებლის რელსებს ზღვის სანაპირომ გზა გადაუღობა, ნავით პირველივე კუნძულამდე მიაღწია და იმავე ღამეს დაწერა გრძელი წერილი, ერთ-ერთი იმ წერილთაგან, რომლებიც შემდეგ არც გაუგზავნია.

ღამის სიმშვიდით სავსე წერილები, მის გონებას დღისითაც რომ თან სდევდა, შემდეგ დაკარგა. ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო. თავიდან სწერდა სიყვარულზე, თავის გრძნობებზე; სულ მალე კი მათი ადგილი პეიზაჟმა დაიკავა. დგებოდა მზის ამოსვლასთან ერთად და როცა მეთევზეები ზღვაში გადიოდნენ, ქალები და ბავშვები კი სახლების წინ ფუსფუსებდნენ, კუნძულის ორ პატარა სოფელს შორის წამომართული კლდის ხავსმოკიდებულ, გადაძოვილ ფერდობებზე ის და ვირი ერთადერთ მაღალ არსებებად მოჩანდნენ; ან კუნძულის განაპირა მხარეს წვებოდა ზღვასთან, კლდეებთან და ცასთან ერთად. ნუ იფიქრებთ, რომ ვაჭარბებ, რადგან სიდიდეებს შორის განსხვავება იკარგებოდა ისევე, როგორც ერთად ყოფნისას იშლება ხოლმე განსხვავება სულს, ცხოველსა და უსიცოცხლო ბუნებას შორის. უფრო სწორად, ეს განსხვავება არც იკარგება და არც მცირდება, ის უბრალოდ თავის მნიშვნელობას კარგავს და ადამიანი „მიწიერი, პირობითი საზღვრებისგან“ თავისუფლდება, სწორედ ისე, როგორც მისტიკური სიყვარულით მოცული მორწმუნენი აღწერდნენ. ახალგაზრდა ლეიტენანტ-კავალერისტს კი ამის მაშინ ჯერ კიდევ არაფერი გაეგებოდა. ამ მოვლენებს არც კი უფიქრდებოდა – იმ მონადირესავით, ნადირის კვალს რომ წააწყდება, რაღაც დაკვირვების კვალდაკვალ მიდიხარ და ფიქრობ – ვერც კი აღიქვამდა, უბრალოდ იღებდა მას და პეიზაჟში იძირებოდა, თუმცა ეს უფრო ენით გამოუთქმელი ლივლივი გახლდათ. და თუ სამყარო მასში თვალებიდან აღწევდა, სამყაროს აზრი მისკენ შიგნიდან უხმო ტალღებივით იკაფავდა გზას. ის სამყაროს გულში მოხვედრილიყო. შორეულ სატრფოს იმდენივე აშორებდა, რამდენიც უახლოეს ხეს. შინაგანი გრძნობა არსებებს სივრცის გარეშე აკავშირებდა,

როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, როცა ორი არსება ერთმანეთის სხეულში ისე გაივლის, რომ ერთმანეთს არ შეერევა, და მათ ურთიერთობებს ცვლიდა. საერთოდ კი ამ მდგომარეობას სიზმართან არაფერი აკავშირებდა. ის სრულიად ნათელი იყო და ნათელი აზრებით სავსე; უბრალოდ, მასში არაფერი მიემართებოდა მიზეზისკენ, მიზნისკენ და ხორციელი სიამოვნებისკენ, ყველაფერი ახალ და ახალ წრეებად იშლებოდა, თითქოს უსასრულო სხივი ეცემაო წყლიან ავზში. თავის წერილებშიც სწორედ ამას აღწერდა ულრიხი და სხვას არაფერს. ეს იყო ცხოვრების სრულიად სახეცვლილი ფორმა. არა ჩვეულებრივი ყურადღების ფოკუსში მოქცეული, არამედ კონტურებსიმკვეთრედაკარგული და ოდნავ მქრქალი და ბუნდოვანი. ეს ფორმა აშკარად სხვა ცენტრებიდან ივსებოდა ფაქიზი განსაზღვრულობითა და სიცხადით, რადგან ცხოვრების ყველა ფაქტი და საკითხი შეუდარებელ თვინიერებას, სირბილეს, სიმშვიდესა და ამავდროულად სრულიად სხვაგვარ აზრს იძენდა. თუ, მაგალითად, ჩაფიქრებული ადამიანის ხელთან ხოჭო მიბობღავდა, ეს არც მიახლოებას ნიშნავდა, არც ჩავლას და არც მისგან შორს წასვლას, ეს უკვე აღარც ხოჭო იყო და აღარც ადამიანი, არამედ რაღაც სხვა, გულისშემძვრელი მოვლენა, თუმცა არც მოვლენა – მიუხედავად იმისა, რომ ეს ის იყო, რაც უკვე მომხდარიყო – არამედ მდგომარეობა. ამ მშვიდი გამოცდილების მეოხებით ყოველივე ის, რაც ჩვეულებრივ ცხოვრებას შეადგენდა, რადიკალურად განსხვავებულ აზრს იძენდა. ამ მდგომარეობაში მაიორის ცოლისადმი სიყვარულიც სწრაფადვე წინასწარგანსაზღვრულ ფორმას იღებდა. ხანდახან ცდილობდა, წარმოედგინა ეს ქალი, ვისზეც განუწყვეტლივ ფიქრობდა, წარმოსახვით დაენახა, რას აკეთებდა იმწუთას და ეს მას სრულებითაც არ უჭირდა, რადგან მის ყოფას კარგად იცნობდა. როგორც კი ამას შეძლებდა და სატრფოს თვალნათლივ წარმოიდგენდა, გრძნობები, შორსმჭვრეტელური უნარი რომ შეეძინა, მაშინვე უბლაგვდებოდა და ისიც ცდილობდა, სატრფოს ხატება იმ ნეტარ დარწმუნებულობამდე დაეყვანა, რომ სადღაც მისთვის განკუთვნილი დიდი სიყვარული არსებობდა. სულ ცოტა ხანში სატრფო უპიროვნო ენერგეტიკულ ცენტრად, მისი გასხივოსნების უჩინარ გენერატორად იქცა და ულრიხმა მას ბოლო წერილი მისწერა, სადაც განუმარტავდა, რომ დიდი სიყვარულით შთაგონებულ ცხოვრებას არაფერი ესაქმებოდა დაუფლებასთან და სურვილთან – „გახდი ჩემი“, იმასთან, რაც

დაგროვებას, მითვისებასა და ავმუცლობას განეკუთვნება. ეს იყო მის მიერ გაგზავნილი ერთადერთი წერილი და სიყვარულის სენის აპოგეა, რასაც მალევე მისი დასასრული მოჰყვა.

33. განხეთქილება ბონადეასთან

ბონადეას ამასობაში ჭერის ყურება მობეზრებოდა და ზურგზე გაწოლილს, თეთრი ბატისტიდან კორსეტისა და თასმებისგან გათავისუფლებული ნაზი და დედობრივი მუცელი უფეთქავდა. ამ მდგომარეობას იგი „ფიქრს“ უწოდებდა. თავში გაუელვა, რომ მისი ქმარი მარტო მოსამართლე კი არა, მონადირეც იყო და ხანდახან თვალებანთებული ნადირდადევნებულ მსხვერპლზეც ლაპარაკობდა. მოეჩვენა, რომ ამას მოორსბრუგერისთვისაც და მისი მოსამართლეებისთვისაც რაღაც სასიკეთო უნდა მოჰყოლოდა. მეორე მხრივ კი საყვარლის წინაშე ქმრის დამცირება არ სურდა, ოღონდ ეს ერთადერთ პუნქტს, სიყვარულს არ გულისხმობდა. ოჯახის ღირსება ითხოვდა, რომ მისი თავკაცი ღირსეულად და დაფასებულად წარმოჩენილიყო. ასე რომ, ბონადეას გადაწყვეტილების მიღება უჭირდა. სანამ ეს წინააღმდეგობრივი გრძნობები ორი უფორმო, ერთმანეთში აზელილი ღრუბლის გუნდასავით ჰორიზონტს უბნელებდა, ულრიხი ფიქრებს მისცემოდა და თავისუფლებით ტკბებოდა. ეს საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და რადგან ბონადეამ ვერაფრის მოფიქრება ვერ შეძლო, რაც შექმნილ ვითარებას სხვაგვარ მიმართულებას მისცემდა, ულრიხის შეურაცხმყოფელი დაუდევრობით გამოწვეული წყენა კვლავ იგრძნო და დრო, რომელსაც იგი ხელიდან უშვებდა, ნაცვლად იმისა, რომ დანაშაული გამოესყიდა, ბონადეას ლოდივით აწვებოდა.

– ესე იგი, შენი აზრით, არასწორად ვიქცევი, აქ რომ მოვდივარ? – ბონადეამ, როგორც იქნა, კითხვა ნელა და მკაფიოდ წარმოთქვა, თან ხმაში სევდა და ბრძოლის ჟინიც დაეტყო.

ულრიხს პასუხი არ გაუცია, მხოლოდ მხრები აიჩეჩა. აღარც ახსოვდა, რაზე ელაპარაკებოდა ბონადეა და მიხვდა, რომ იმწუთას ამის ატანა ნამდვილად არ შეეძლო.

– როგორ მსაყვედურობ ჩვენი ვნების გამო?

– თითოეულ ამგვარ კითხვას იმდენივე პასუხი აქვს, რამდენი ფუტკარიცაა სკაში, – უპასუხა ულრიხმა. – კაცობრიობის სულიერი უწესრიგობა თავისი პასუხგაუცემელი კითხვებით თითოეულ მათგანს გულისამრევად ებღაუჭება.

ულრიხმა სწორედ ის თქვა, რაზეც იმ დღეს ფიქრობდა, ბონადეამ კი კაცობრიობის სულიერი უწესრიგობის შესახებ ნათქვამი თავის თავზე მიიღო და ჩათვალა, რომ ულრიხის მხრიდან ეს უკვე მეტისმეტი იყო. ფარდების ჩამოფარება მოუნდა, რომ ამ გზით მაინც მოეღო ბოლო უთანხმოებისთვის, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ის მოუნდა, რომ ტკივილისაგან ატირებულიყო. უცბად მიხვდა, რომ ულრიხს თავი მოაბეზრა. თავისი ბუნების გამო შეყვარებულებს სწორედ ისევე კარგავდა, როგორც რამე ნივთთან გემართება ხოლმე ადამიანს, სადღაც რომ გადადებ, მერე სხვა რამე მიგიზიდავს და ის კი გავიწყდება; ანდა მათთან განხეთქილება ისევე სწრაფად ხდებოდა, როგორც კავშირის დამყარება და მიუხედავად პირადი წყენისა, რაღაც ზენა ძალების ჩარევას ყოველთვის გრძნობდა. პირველი, რაც ულრიხის მშვიდმა წინააღმდეგობამ აგრძნობინა, იყო ის, რომ დაბერდა. ნახევრად შიშველს, უმწეოდ და თანაც უხამს პოზაში წამოწოლილს შერცხვა, ამდენ შეურაცხყოფას რომ იტანდა. დაუფიქრებლად წამოდგა და ტანსაცმელი წამოკრიფა, მაგრამ აბრეშუმის შრიალს ულრიხში სინანული არ გამოუწვევია. ბონადეას თვალებში უმწეობით გამოწვეული ტკივილი ედგა. „უხეშია და შეურაცხყოფაც განგებ მომაყენა, – იმეორებდა გულში. – არც კი ინძრევა!“ – დაადგინა მან. ყოველი თასმისა და ბალთის შეკვრის შემდეგ გრძნობდა, რომ სულ უფრო ღრმად იძირებოდა ბავშვობის დიდი ხნის მივიწყებულ ტკივილში, ჭის კუნაპეტში, როცა ასე მიტოვებულად გრძნობდა ხოლმე თავს. ბონადეას ირგვლივ წყვდიადი ჩამოწვა, ულრიხის სახე თითქოს ბოლო ჩამავალმა სხივმა გაანათა და მისმა უხეშმა, გაქვავებულმა სახემ სევდიანი წყვდიადი გააპო. „როგორ შევძელი ამ სახის შეყვარება?“ – ეკითხებოდა ბონადეა თავის თავს, მაგრამ ფრაზამ „სამუდამოდ დავკარგეო“ გული შეუძრა.

ულრიხი ხვდებოდა მის განზრახვას, ბონადეა სამუდამოდ ტოვებდა მას, მაგრამ ეს სრულებით არ უშლიდა ხელს. ბონადეა სარკის წინ ენერგიულად ისწორებდა თმას, შემდეგ ქუდი დაიხურა და ვუალი ჩამოიფარა. ახლა, როცა ვუალმა სახე დაუფარა, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ეს კი ისეთივე

საზეიმო წუთი გახლდათ, როგორიც სასიკვდილო განაჩენი, ან როცა კაცი სამგზავრო ჩემოდანს ტკაცუნით ჩაკეტავს. ულრიხი მას ვეღარასდროს აკოცებდა და ვერც კი ხვდებოდა, რომ ეს ბოლო შანსიც ხელიდან გაუშვა.

სიბრალულისგან ბონადეა ულრიხს კინაღამ კისერზე შემოეხვია, რომ ტირილით გული მოეოხებინა.

34. მცხუნვარე სხივი და გაცივებული კედლები

როცა ულრიხმა ბონადეა ქვემოთ ჩააცილა და მარტო დარჩა, იგრძნო, რომ მუშაობის გაგრძელების სურვილი აღარ ჰქონდა. ქუჩაში გავიდა და გადაწყვიტა, ვალტერისა და კლარისასთვის შიკრიკის ხელით რამდენიმე სტრიქონი გაეგზავნა და შეეტყობინებინა, რომ საღამოს ესტუმრებოდა. პატარა დარბაზში გავლისას კედელზე ირმის რქები შეამჩნია, მათში იგივე მოძრაობები დაინახა, რაც ბონადეაში, როცა ის სარკის წინ სახეზე ვუალს იფარებდა, ოღონდ მათ ბონადეას მორჩილი ღიმილი აკლდათ. ულრიხმა მიმოიხედა და გარემოს დააკვირდა. ყველა ეს ხაზი, ურთიერთგადამკვეთი, სწორი, ხვეული თუ ჩაწნული, რისგანაც მის გარშემო დახვავებული ავეჯი შედგებოდა, არც ბუნებას წარმოადგენდა და არც შინაგან მოთხოვნილებას. თვით უმცირესი დეტალიც კი მათში ბაროკოს ბრწყინვალებით გახევებულიყო. ელექტრონაკადი და გულის ძგერა, ჩვენს გარემოში ამ საგნებიდან რომ გადმოედინება, ერთ წუთს შეწყდა. „შემთხვევით ვარ“, – გესლიანად ჭირჭილებდა აუცილებლობა; „თუ კარგად დამაკვირდები, დაინახავ, რომ დიდად არ განვსხვავდები მგლის ხახით დაავადებულისგან“, – აღიარებდა სილამაზე. ამისათვის კი, არსებითად, ბევრი არაფერი იყო საჭირო; ელვარება გაქრა, შთაგონება ჩაქრა; ჩვევა, მოლოდინი და დაძაბულობა დაიკარგა, ხოლო სამყაროსა და გრძნობას შორის დინამიკური, ფარული წონასწორობა ერთი წუთით დაირღვა. ყველაფერი, რასაც კაცი გრძნობს და აკეთებს, ერთგვარად „ცხოვრების მიმართულებით“ ხდება. ამ მიმართულებიდან სულ მცირე გადახვევაც კი მძიმე და შიშის მომგვრელია. ეს ზუსტად ისევეა, როგორც სიარულის დროს: სიმძიმის ცენტრს ზემოთ სწევ, წინ გადააადგილებ და შემდეგ ისევ ქვემოთ უშვებ. სულ მცირე ცვლილებაც კი, მომავალში მოხვედრის შიში ან სულაც გაკვირვება, და ფეხზე დადგომას ვეღარ შეძლებ! ამაზე არ უნდა იფიქრო. ულრიხს გაუელვა, რომ ცხოვრების

ყველა გადამწყვეტმა წუთმა სწორედ ასეთი გრძნობა დაუტოვა.

ულრიხმა შიკრიკი ხელის დაქნევით თავისკენ მოიხმო და წერილი გადასცა. დაახლოებით ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა და გადაწყვიტა, უკან ფეხით ნელა გასდგომოდა გზას. გვიანი გაზაფხულის თუ შემოდგომასავით დღემ სიხარული მოჰგვარა. ჰაერი ღვიოდა. ადამიანებს კი სახეზე რაღაც მოტივტივე ქაფისმაგვარი დასტყობოდათ. ულრიხს ბოლო დღეებში ფიქრებით განცდილი ერთფეროვანი დაძაბულობის საპყრობილიდან თითქოს რბილ აბაზანაში გადაენაცვლა. ცდილობდა, მოქნილი ნაბიჯებით ევლო. მოძრაობისა და ბრძოლისთვის მუდამ მზადმყოფმა ნაწრთობმა სხეულმა ულრიხს ისეთივე უსიამოვნება განაცდევინა, როგორიც მოხუცი კომედიანტის სახემ, რომელზეც მრავალჯერ ნათამაშები ყალბი გრძნობებია აღბეჭდილი. მისი შინაგანი სამყარო გონების მოძრავმა ფორმებმა აავსო, მწყობრად ჩარიგებულ, ურთიერთდაპირისპირებულ აზრთა ჯგუფებად დაშალა და მას, უხეშად რომ ვთქვათ, კომედიანტის ყალბი გამომეტყველება მიანიჭა, რაც თვით ჩვეულებად გადაქცეულ გულწრფელობასაც კი იმავე დაღს ასვამს. ულრიხი ასე ფიქრობდა და, თუ შეიძლება ითქვას, ტალღასავით მიედინებოდა მოძმე ტალღებს შორის; ანდა რატომ არ გვაქვს ამის თქმის უფლება, თუკი მარტოობაში შრომით დაქანცული ადამიანი საზოგადოებას უბრუნდება და ბედნიერების განცდა ეუფლება იმის გამო, რომ თავადაც იქით მიედინება, საითაც – საზოგადოება.

ასეთ წუთს არაფერი ისე შორს არ არის ადამიანისგან, როგორც იმის წარმოდგენა, რომ შენი და სხვისი ცხოვრებაც ადამიანებს შინაგანად დიდად არ ეხებათ, მით უმეტეს, რომ ახალგაზრდობაში ამას ყველა გრძნობს. ულრიხი იხსენებდა, როგორი იყო ეს ქუჩა ათი ან თხუთმეტი წლის წინ. მაშინ ყველაფერი ორმაგად დიდებული იყო და სურვილების ამ დუღილში მაინც ძალზე ცხადი იყო ტყვეობის მტანჯველი წინათგრძნობა. ამაფორიაქებელი გრძნობაა: ყველაფერმა, რისთვისაც მინდოდა მიმეღწია, ჩემამდე მოაღწია; ფიქრი, რომ ამქვეყნად ყალბ, ზედაპირულ და უმნიშვნელო სიტყვებს უფრო ძლიერი ექო აქვთ, ვიდრე ყველაზე ზუსტსა და ჭეშმარიტს, ტვინს გიღრღნის. ეს სილამაზე? – ფიქრობს ადამიანი. – ძალიან კარგი, მაგრამ განა ის ჩემია? სიმართლე,

რომელიც მე შევიცანი, ჩემი სიმართლეა? მიზნები, ხმები, სიმართლე – ყველა ეს საცდუნებელი, ასე რომ გვიზიდავს და წარგვმართავს, რასაც მივდევთ და რასაც გვინდა, რომ ასე ვეკვეთოთ, რეალურად არსებული რეალობაა თუ ის მოუხელთებელი ნაფიფქია, ჩვენთვის შემოთავაზებულ რეალობას რომ მოჰფენია ზემოდან?! ეს ცხოვრების მზა ფორმები და კლასიფიკაციებია, უნდობლობას ასე საგრძნობს რომ ხდის, „ერთი და იგივეა“, თაობების მიერ შექმნილი, მზა სამეტყველო ენაა, შეგრძნებები და გრძნობებია. ულრიხი ეკლესიასთან გაჩერდა: ღმერთო, აქ რომ გოლიათი მატრონა მჯდარიყო, უზარმაზარი, კიბე-კიბე ჩამოწელილი ფაშვით, სახლების კედლებზე ზურგით მიყრდნობილი, ზემოთ კი ათას ნაოჭზე, მეჭეჭებიან და დამუწუკებულ სახეზე ჩამავალი მზის სხივით მოფენილი, ნუთუ ვერ შეძლებდა ამის მოწონებას? ღმერთო ჩემო! რა ლამაზი იყო ეს ყოველივე! შენ ხომ არ აპირებ, თავი აარიდო იმ მოვალეობას, რითაც ამქვეყნად მოხვედი – აღფრთოვანდე! არც ის იქნებოდა შეუძლებელი, სილამაზედ მიგეჩნია ღირსებით სავსე მატრონას მშვიდად დაკიდებული ფორმები და მისი ნაოჭთა ფილიგრანი. უფრო იოლია, თქვა, ის მოხუციაო. სამყაროს სიძველიდან მისი სილამაზის აღიარებისკენ გადასვლა დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ახალგაზრდების აზროვნების რაგვარობიდან მოწიფული ადამიანის უფრო მაღალ მორალზე გადასვლა; ეს კი სასაცილო ჭკუის სწავლებად რჩება მანამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს თავადვე არ აითვისებ მას. ეკლესიის წინ ულრიხი მხოლოდ რამდენიმე წამით შეჩერდა, მაგრამ ეს წამები სიღრმეში ჩაიზარდა; მილიონობით ცენტნერ ქვად გამკვრივებული სამყაროსა და გრძნობათა მთვარის გახევებული პეიზაჟის წინააღმდეგ – სადაც ადამიანი უნებისყოფოდაა მიშვებული – მიმართულმა ინსტინქტურმა ძალამ გული შეუკუმშა. შესაძლოა, მრავალი ადამიანისთვის სასიამოვნო საყრდენს წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ სამყარო, კერძო ხასიათის ზოგიერთი წვრილმანის გამოკლებით, მზამზარეული ხვდება და ეჭვს არ იწვევს, რომ საერთო ჯამში ეს მდგრადობა არა მარტო კონსერვატიულია, არამედ ყოველგვარი პროგრესისა და რევოლუციების საფუძველიცაა. თუმცა აქ ღრმა, ბუნდოვანი მღელვარებაც უნდა მოვიხსენიოთ, რასაც ის ადამიანი განიცდის, საკუთარი რისკის ფასად რომ ცხოვრობს. სანამ ულრიხი ამ წმინდა შენობის არქიტექტურულ სინატიფეს აკვირდებოდა, გასაოცარი სიცხადით იგრძნო, რომ ერთ

ადამიანს მეორე ისევე იოლად შეიძლებოდა შეეჭამა, როგორც ამ ღირსშესანიშნაობებს ააგებდა და შემოინახავდა. მეზობლად მდგარი სახლები, ცის გუმბათი მათ თავზე, ხაზებისა და სივრცეთა ენით გამოუთქმელი თანხმობა, ქვემოთ მიმავალი ადამიანების იერი და გამომეტყველება, მათი წიგნები და მორალი, ხეები ქუჩაში... ეს ყველაფერი ხანდახან ხომ შირმასავით ხისტი და წნეხის შტამპივით მაგარია, ანდა ისეთი სრულყოფილი და დასრულებულია, რომ მის გვერდით უსარგებლო ნისლივით, ღვთისა და კაცისგან მიტოვებული ამონასუნთქი ჰაერივით გრძნობ თავს. ამწუთს ულრიხი ისურვებდა, უთვისებო კაცი ყოფილიყო. სხვებიც, ალბათ, ასევე არიან. ცხოვრების შუა წლებში ცოტას თუ ახსოვს, როგორ იპოვა საკუთარი თავი, სიამოვნებანი, მსოფლმხედველობა, ცოლი, ხასიათი, პროფესია და წარმატება, მაგრამ თან ისეთი გრძნობაც ეუფლებათ, რომ ბევრს ვეღარაფერს შეცვლიან. შეიძლება ისიც კი დაამტკიცოთ, რომ მოტყუვდნენ, რადგან ვერსად აღმოაჩენთ საკმარის მიზეზებს იმისა, რომ ეს ისე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა. შეიძლებოდა, სხვაგვარადაც მომხდარიყო. მოვლენებს ხომ თავიანთი ბუნება იშვიათად წარმართავს, უფრო ხშირად მათ ათასი სხვა გარემოება განსაზღვრავს: სხვათა განწყობილება ან მათი სიკვდილ-სიცოცხლე, მოცემულ მომენტში მათკენ რომ ისწრაფვის. ახალგაზრდობისას ცხოვრება უსასრულო დილას ჰგავს, სავსეს შესაძლებლობებით და სიცარიელით, შუადღისას კი თითქოს არსაიდან ჩნდება რაღაც იმ პრეტენზიის უფლებით, რომ შენი ცხოვრებაა. ეს ისევე უცნაურია, როგორც იმ ადამიანის გაცნობა, ოცი წელი მიმოწერა რომ გაქვს და სახეზე კი არ იცნობ. ერთ მშვენიერ დღეს კი გამოგეცხადება და აღმოაჩენ, რომ თურმე სულ სხვანაირი ყოფილა, ვიდრე წარმოგედგინა. უფრო უცნაური კი ის გახლავთ, რომ ადამიანთა უმრავლესობა ამას ვერც ამჩნევს. ისინი ამ კაცს მაშინვე იშვილებენ, ისიც მაშინვე მათ ცხოვრებაში მოიკალათებს, მის წარსულს საკუთარი თვისებების გამოვლინებად მიიჩნევენ, მის ბედისწერას კი – საკუთარ დამსახურებად ან მარცხად. ეს რაღაც კი მათ ისე მოექცა, როგორც საწამლავით გაჟღენთილი ბუზების საჭერი ქაღალდი – ბუზებს: ბუზის რომელიღაც ბუსუსი წამოედება ამ ქაღალდს და მის მოძრაობას შეაჩერებს, შემდეგ კი თანდათან ჩაიხვევს და სქელ აპკში ჩამარხავს, სადაც ის თავის თავდაპირველ ფორმას შორეულად თუღა ჰგავს. საკუთარი სიყრმე ბუნდოვნად ახსოვთ, როცა ისინი უკუქმედების მსგავს

ძალას ფლობდნენ. ეს სხვა ძალა კი შფოთავს, დრტვინავს, დაშოშმინებას არ ლამობს და გაქცევის უმიზნო ქარიშხლებს ატრიალებს. ახალგაზრდობის ირონია, არსებულის წინააღმდეგ მისი ამბოხი, მისი მზაობა თავგანწირვისთვის, დანაშაულისთვის, ყოველივე იმისთვის, რაც ჰეროიკულია, მისი მგზნებარე სერიოზულობა და ცვალებადობა სხვა არაფერია, თუ არა გაქცევის მცდელობა. ძირისძირში კი ეს ყველაფერი იმის გამომხატველია, რომ ახალგაზრდა კაცის არც ერთი წამოწყებული საქმე შინაგანი აუცილებლობით და გარდაუვალობით არ არის გამოწვეული, თუმცა კი ამას ისეთი მანერით გამოხატავს, თითქოს რასაც ხელს ჰკიდებდეს, გადაუდებელი და გარდაუვალი იყოს. ვიღაცა რაღაც დიდებულ ჟესტს გამოიგონებს – სულიერს ან ფიზიკურს. ეს კი როგორ უნდა ითარგმნოს: პოზა, რომლითაც ცხოვრობ? ფორმა, რომელშიც სულიერი შინაარსი გაზის ბალონივით იტუმბება? გარეგნული გამოხატულება იმისა, რაც შიგნიდან აწვება? ყოფიერების ტექნიკა? შეიძლება, ეს ახალი ულვაში ან რამე ახალი აზრი იყოს. ეს ფარისევლობაა და როგორც ყველა ფარისევლობას, მასაც თავისი აზრი აქვს. ახალგაზრდები მას მაშინვე ეცემიან, როგორც ბეღურები საკენკს. საჭიროა მხოლოდ, შევძლოთ და წარმოვიდგინოთ: გარედან ენაზე, ხელებსა და თვალებზე მძიმე სამყარო გაწვება, მიწიდან, სახლებიდან, ადათ-წესებიდან, სურათებიდან და წიგნებიდან – გაცივებული მთვარე, შიგნით კი არაფერია, გარდა ნისლისა, რომელიც ვერა და ვერ იფანტება. ალბათ, რა ბედნიერებაა, როცა ვინმე გეჭყანება, შენ კი ფიქრობ, რომ მასში საკუთარი თავი შეიცანი. განა რა არის იმაზე ბუნებრივი, როცა მგზნებარე ადამიანი სხვაზე უფრო ადრე ეუფლება ამ ახალ ფორმას. ეს ფორმა მას ყოფიერების წამს ანიჭებს, შინაგან და გარეგან დაძაბულობას შორის, რაც მას გლეჯს და ჭყლეტს, წონასწორობას აღადგენს. „სხვას არაფერს, – ფიქრობდა ულრიხი და, ცხადია, ეს მასაც ეხებოდა პერსონალურად, ხელები ჯიბეში ჩაეყო, სახეზე კი ისეთი მშვიდი, მოთენთილი ბედნიერება აღბეჭდვოდა, თითქოს მზის სხივებში გათოშილს ნეტარი სიკვდილი სწვეოდა, – არ ეყრდნობა ის მარადიული ფენომენი, რომელსაც ახალი თაობა, მამები და შვილები, სულიერი გარდატეხა, სტილის ცვლილება, განვითარება, მოდა და განახლება ჰქვია. ის, რაც ყოფიერების განახლების ჟინს perpetuum mobile-დ აქცევს, სხვა არაფერია, თუ არა ის განსაცდელი, რომელიც ბუნდოვან, საკუთარ „მესა“ და

წინამორბედთა უცხო ნაჭუჭში გახევებულ „მეს“ შორის ისევ და ისევ მხოლოდ წარმოსახვით „მეს“ – მიახლოებითად ვარგის ჯგუფურ სულს – ჩასვამს. თუ ყურადღებას გავამახვილებთ, აწმყოში არსებულ მომავლის სახეში ძველ დროებას აღმოვაჩენთ. ამ დროს ახალი იდეები ოცდაათი წლით ძველია, მაგრამ უკვე დაკმაყოფილებული, ცხიმმომდგარი და დრომოჭმული, სწორედ ისე, სახეგაბრწყინებული გოგონას გვერდით დედის ჩამქრალ სახეს რომ დავინახავთ. ანდა მათ წარმატება ვერ მოიპოვეს, ჩამოჭკნენ და რეფორმის პროექტად გაქვავდნენ, იმ რეფორმისა, ვიღაც შეშლილი ბებრის ხარჯზე რომ შემორჩენილა და ორმოცდაათიოდე თაყვანისმცემელი „დიდ ამას და ამას“ რომ უწოდებს“.

ულრიხი ისევ შეჩერდა, ოღონდ ამჯერად მოედანზე, სადაც მას რამდენიმე სახლი ეცნო და ის საზოგადოებრივი ბრძოლები და იდეური მღელვარება გაიხსენა, რომელიც მათ მშენებლობას ახლდა თან. გაიხსენა სიყრმის მეგობრები. ყველა მისი სიყრმის მეგობარი იყო, სულერთია პირადად იცნობდა მათ თუ მხოლოდ სახელებით, მოხუცები იყვნენ თუ ახალგაზრდები, მეამბოხენი, ახალი ტიპის ადამიანის დამკვიდრება რომ ეწადათ თუ ახალი საგნების შექმნა, აქ იყვნენ თუ მთელი სამყაროს ზურგზე მოფენილნი. ეს სახლები კი ახლა, საღამოს ბინდში, ძველმოდურ ქუდებში გამოწყობილი ყოჩაღი დეიდებივით ჩამწკრივებულიყვნენ, სანდომიანები, შეუმჩნევლები და არაფრით ამაღელვებელნი. გაღიმება მოგინდებოდა, ისინი კი, ვისაც ეს უპრეტენზიო რელიქტები მიეტოვებინა, პროფესორები, ცნობილი ადამიანები გამხდარიყვნენ, პროგრესის განუყოფელ ნაწილად ქცეულიყვნენ, ავად თუ კარგად, მოკლე გზით, ბინდიდან გახევებულ მდგომარეობაში გადასულიყვნენ და მათ საუკუნეს ისტორია ოდესმე ასე აღწერს: აქ ცხოვრობდნენ...

35. დირექტორი ლეო ფიშელი და არასაკმარისი საფუძვლის პრინციპი

სწორედ ამ დროს ულრიხს ნაცნობი გამოელაპარაკა და ფიქრი შეაწყვეტინა. სახლიდან გამოსვლამდე, დილით, ამ ნაცნობს უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა. საქაღალდის გვერდითა განყოფილებაში გრაფი ლაინსდორფის მივიწყებული ცირკულარი აღმოაჩინა, რომლისთვისაც დიდი ხნის წინ უნდა გაეცა პასუხი, მაგრამ მისი საღი გონება და ალღო უმაღლესი

წრეების პატრიოტული აქციის მოწყობის ინიციატივას დიდად არ სწყალობდა. „საეჭვო საქმეა“, ალბათ მაშინ ასე იფიქრა. საჯაროდ, ცხადია, ამას არ იტყოდა, მაგრამ მეხსიერებამ – ის საერთოდ ასეა მოწყობილი – ვერაგულად უმუხთლა და ნაცვლად იმისა, რომ გააზრებულ გადაწყვეტილებას დალოდებოდა, პირველივე ემოციურ, არაოფიციალურ მითითებას დაემორჩილა და საქმეს თავი აარიდა. ამიტომ წერილში, რომელიც ხელახლა გაშალა, თავისთვის რაღაც უსიამოვნოს გადააწყდა, რაღაც ისეთს, რაც მანამდე ვერ შეემჩნია. კაცმა რომ თქვას, ეს მხოლოდ ის ერთი სიტყვა იყო, რომელიც ყველა მიმართვაში მეორდებოდა, მაგრამ ეს ერთი სიტყვა ამ წარმოსადეგ კაცს, ხელში საქაღალდე რომ ეჭირა, ძვირად დაუჯდა და რამდენიმე წუთს დაბნეული იდგა. ეს იყო სიტყვა „ჭეშმარიტი“.

დირექტორი ფიშელი, როგორც მას მოიხსენიებდნენ – ლოიდ-ბანკის დირექტორი ლეო ფიშელი, სინამდვილეში ბანკის ნდობით აღჭურვილი პირი დირექტორის ტიტულით – ულრიხი თავს უფლებას აძლევდა, ჯერ კიდევ ძველი დროიდან თავი მის უმცროს მეგობრად ჩაეთვალა, თანაც მის ქალიშვილ გერდასთან მეგობრობდა, თუმცა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი მხოლოდ ერთხელ მოენახულებინა – დირექტორი ფიშელი მის ბრწყინვალებას ისეთ ადამიანად იცნობდა, ვინც ფულს უქმად არ აჩერებს, დროის მოთხოვნებს ფეხდაფეხ მიჰყვება, უფრო მეტიც, მეხსიერებაში შემონახული ინფორმაციის გადასინჯვის შემდეგ ფიშელმა მასში მნიშვნელოვანი ადამიანი ამოიცნო, რადგან ლოიდ-ბანკი ერთ-ერთი ის ინსტიტუტი იყო, რომელსაც გრაფი ლაინსდორფი თავის საბირჟო საქმეებს ანდობდა. ამიტომ ვერ აეხსნა ლეო ფიშელს თავისი დაუდევრობა, რითაც ის გრაფის მიწვევას მოეკიდა. მისი ბრწყინვალება რჩეულ წრეებს დიდი საერთო საქმისაკენ მოუწოდებდა. თავად ფიშელი ამ წრეში განსაკუთრებული გარემოების წყალობით მოხვდა, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რატომ მიეჭრა იგი ულრიხს დანახვისთანავე. გაგებული ჰქონდა, რომ ულრიხი ამ საქმეში მონაწილეობდა და თანაც „მნიშვნელოვან როლს ასრულებდა“ – ესეც აუხსნელი და არცთუ იშვიათი მტკიცებულება იმ მოარული ხმებისა, რომელიც ფაქტებს სწორად გადმოსცემს მანამ, სანამ ისინი ფაქტებად იქცევა. ფიშელმა ულრიხს სამი შეკითხვა

სამლულიანი პისტოლეტივით დაუმიზნა: როგორ ესმოდა მას „სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული“, „ჭეშმარიტი პროგრესი“ და „ჭეშმარიტი ავსტრია“.

აფორიაქებულმა ულრიხმა, რომელსაც ცოტა ხნის წინანდელი განწყობილება ჯერ არ განელებოდა, ისე გასცა პასუხი, როგორც ფიშელთან ურთიერთობისას სჩვეოდა: – ასპ.

– რა თქვი? – დირექტორმა ფიშელმა გულუბრყვილოდ, ასო-ასო გაიმეორა მისი ნათქვამი და ხუმრობას ვერ მიხვდა. დღევანდელისგან განსხვავებით ასეთი აბრევიატურები მაშინ ჯერ კიდევ იშვიათი იყო. ამგვარ დასახელებებს მხოლოდ კარტელები და გაერთიანებები ატარებდნენ და დიდი ნდობითაც სარგებლობდნენ. მაგრამ მერე მაინც ასე უპასუხა ულრიხს: „რა დროს ხუმრობაა, სხდომაზე მეჩქარება“.

– „არასაკმარისი საფუძვლის პრინციპი!“ – გაიმეორა ულრიხმა. – თქვენ ხომ ფილოსოფოსი ხართ და ალბათ, ხვდებით, რა იგულისხმება არასაკმარისი საფუძვლის პრინციპში. ამ წესიდან გამონაკლისს ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავისთვის უშვებს, ჩვენს რეალურ – მხედველობაში მაქვს პირადი ცხოვრება – საზოგადოებრივ-ისტორიულ ცხოვრებაში ყოველთვის ხდება რაღაც, რასაც საკმარისი საფუძველი არ გააჩნია.

ლეო ფიშელს ყოყმანი დაეტყო, ვერ გადაეწყვიტა, შეკამათებოდა თუ არა. ლოიდ-ბანკის დირექტორ ლეო ფიშელს ფილოსოფოსობა უყვარდა. პრაქტიკული პროფესიის ადამიანებშიც გვხვდებიან ხოლმე ამის მოყვარულები, მაგრამ ამჯერად მას მართლა ეჩქარებოდა და ამიტომ უპასუხა: – არ გინდათ, გაიგოთ, რას გეკითხებით. ვიცი, რა არის პროგრესი, რა არის ავსტრია და ალბათ, ისიც ვიცი, სამშობლოს სიყვარული რას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ მიჭირს, კარგად წარმოვიდგინო, რა არის სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული, ჭეშმარიტი ავსტრია და ჭეშმარიტი პროგრესი და სწორედ ამას გეკითხებით.

– კარგი. ის თუ იცით, რა არის ენციმი და კატალიზატორი?

ლეო ფიშელმა უარის ნიშნად ხელი გაუქნია.

– მატერიალური თვალსაზრისით არაფერი მოაქვთ, მაგრამ მოვლენები მოჰყავთ მოძრაობაში. ისტორიიდან, ალბათ, იცით,

რომ ჭეშმარიტ რწმენას, ჭეშმარიტ ზნეობრიობასა და ჭეშმარიტ ფილოსოფიას არასოდეს უარსებია. თუმცა მათი სახელით ატეხილმა ომებმა, სიბილწემ და მზაკვრობამ სამყარო გვარიანად შეცვალა.

– სხვა დროს იყოს! – შეევედრა ფიშელი და შეეცადა, გულწრფელი კაცის როლი ეთამაშა. – მომისმინეთ, ბირჟაზე ამასთან მაქვს საქმე და მართლა მინდა ვიცოდე, გრაფი ლაინსდორფი რას აპირებს, რას გულისხმობდა, როცა ამ სიტყვას ამატებდა?

– გეფიცებით, – მიუგო ულრიხმა სერიოზულად, – არც მე და არც არავის წარმოდგენა არა აქვს, რას ნიშნავს „ჭეშმარიტი“, მაგრამ იმას კი გეტყვით დარწმუნებით, რომ მის განხორციელებას ნამდვილად აპირებს!

– ცინიკოსი ხართ! – განუცხადა ფიშელმა და აჩქარდა. როგორც კი ნაბიჯი გადადგა, მისკენ ერთხელ კიდევ მოტრიალდა და ნათქვამის გამოსწორებას შეეცადა: – სწორედ ამას წინათ ვეუბნებოდი გერდას, რომ თქვენგან ბრწყინვალე დიპლომატი დადგებოდა. იმედი მაქვს, უახლოეს დღეებში შემოგვივლით.

36. დასახელებული პრინციპის წყალობით პარალელური აქცია თვალსაჩინო ხდება მანამ, სანამ მის შესახებ რამე გახდება ცნობილი

ლოიდ-ბანკის დირექტორ ლეო ფიშელს, ბანკის ყველა დირექტორის მსგავსად, ომის წინ პროგრესის სწამდა. როგორც თავისი საქმის სპეციალისტმა, ცხადია, იცოდა, რომ მხოლოდ იმის შეიძლება გჯეროდეს, რაშიც კარგად ერკვევი. სხვადასხვა სპეციალობების უსაშველოდ გაფართოებამ მათთან დაკავშირებულ ცოდნასაც სხვა საქმიანობებისკენ მისასვლელი გზები გადაუკეტა, ამიტომაც შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანები, როგორც კი გარედან ზეწოლას გრძნობენ, თუ ეს ვიწრო სპეციალობას არ ეხება, ამგვარ რწმენას მაშინვე ელევიან. არც იმის თქმა იქნებოდა გაუმართლებელი, რომ ისინი კეთილსინდისიერების გამო იძულებული ხდებიან, სხვაგვარად მოიქცნენ, ვიდრე ფიქრობენ. დირექტორ ფიშელს, მაგალითად, სამშობლოს ჭეშმარიტ სიყვარულთან და ჭეშმარიტ ავსტრიასთან არანაირი წარმოდგენები არ აკავშირებდა. ჭეშმარიტი პროგრესის თაობაზე კი, პირიქით, საკუთარი მოსაზრებები გააჩნდა, რომელიც, ცხადია, გრაფი

ლაინსდორფის შეხედულებებისგან განსხვავდებოდა. ლომბარდებითა და ფასიანი ქაღალდებით გაწამებულს, მას, ვინც მხოლოდ კვირაში ერთხელ ოპერის სავარძელში პოულობდა შვებას, საყოველთაო პროგრესის სწამდა და მას ბანკის მზარდ მოგებას უკავშირებდა. როცა გრაფმა ლაინსდორფმა ამ საკითხების უკეთესი ცოდნა გამოავლინა და თან ლეო ფიშელის სინდისსაც შეეხო, მან იგრძნო, რომ ფასიანი ქაღალდებისა და ლომბარდების გარდა „არაფერი გაეგებოდა“. შეიძლება არაფერი გაგეგებოდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, წინდაუხედაობის გამო მარცხიც არ გინდა განიცადო, ამიტომ გადაწყვიტა, სასხვათაშორისოდ გენერალურ დირექტორს გამოლაპარაკებოდა, თუ რას ფიქრობდა ამ წამოწყებაზე.

გენერალურ დირექტორს მოესწრო, იმავე მიზეზებით ამის თაობაზე სახელმწიფო ბანკის მმართველთან ესაუბრა და უკვე საქმის კურსში იყო. გრაფი ლაინსდორფის მიწვევა არა მარტო ლოიდ-ბანკის გენერალურ დირექტორს, არამედ, ცხადია, სახელმწიფო ბანკის მმართველსაც მიეღო. ლეო ფიშელისთვის კი, განყოფილების უბრალო ხელმძღვანელისთვის, ეს მიწვევა თავისი ცოლის საგვარეულო ურთიერთობის წყალობა იყო. მისი ცოლი წარმოშობით მაღალი ბიუროკრატიული ოჯახიდან გახლდათ და ამ ფაქტს ის არც საზოგადოებრივი ურთიერთობის დროს ივიწყებდა და არც ლეოსთან ოჯახური უთანხმოების დროს. პარალელური აქციის თაობაზე დირექტორთან საუბრისას ფიშელი მხოლოდ იმასღა უნდა დასჯერებოდა, რომ მრავალმნიშვნელოვნად დაექნია თავი და ეს ჟესტი ამჯერად ამ წამოწყების „დიდ საქმედ“ შეფასებას ნიშნავდა, ისე კი „საეჭვო საქმეც“ მოუხდებოდა. თავის დაქნევა ამ საქმეს არაფერს ავნებდა, ისე კი ცოლის ჯიბრზე ფიშელი მეტად გაიხარებდა, თუ ეს საქმე საეჭვო აღმოჩნდებოდა.

ჯერჯერობით კი სახელმწიფო ბანკის მმართველს ფონ მაიერ-ბალოტს, ვისაც გენერალურმა დირექტორმა რჩევისთვის მიმართა, ამ საქმეზე საუცხოო შთაბეჭდილება ჰქონდა. როცა გრაფი ლაინსდორფის „მიმართვა“ მიიღო, იგი სარკესთან მივიდა – ცხადია, არა მარტო ამის გამო – სადაც ფრაკში გამოწყობილი და ორდენებით დახუნძლული ლენტით დამშვენებული ბურჟუა მინისტრის სანდომიანი სახე აირეკლა. სადღაც ღრმად, თვალებში, ფულის სიმკაცრე შემორჩენოდა, თითები კი უქარო ამინდში გამოკიდებულ დროშებს მიუგავდა, თითქოს ამ ხელებს ბანკის შეგირდის სწრაფი საანგარიშო

მანიპულაციები არასდროს შეესრულებინა. ამ მსხვილ ფინანსისტს, ბიუროკრატიული პეწიც რომ დასტყობოდა, ბირჟის მშიერ, დაგეშილ ველურ ნაგაზებთან საერთო აღარაფერი ჰქონდა და წინ გაურკვეველ, მაგრამ კარგად ტემპერირებულ შესაძლებლობათა პერსპექტივას ხედავდა. იმავე საღამოს მრეწველთა კლუბში ყოფილ მინისტრებთან ფონ ჰოლცკოპფთან და ბარონ ვისნეჩკისთან საუბარმა მას შესაძლებლობა მისცა, განემტკიცებინა თავისი მოსაზრებები ამის თაობაზე.

ორივე საქმეში კარგად ჩახედული, არისტოკრატი და თავშეკავებული ადამიანი გახლდათ, რომლებიც მინისტრობიდან რაღაც მაღალ პოსტებზე გადაიყვანეს მას შემდეგ, რაც ორ პოლიტიკურ კრიზისს შორის დანიშნული დროებითი მთავრობის აუცილებლობა გაქრა. მთელი ცხოვრება ტახტისა და სახელმწიფოს სამსახურს შეალიეს და თავის გამოჩენის სურვილი, თუ ხელმწიფე არ უბრძანებდათ, არასდროს გასჩენიათ. ყური მოეკრათ, რომ დიდი აქცია გერმანიის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. საკუთარი მისიის ჩაშლამდეც და მას შემდეგაც დარწმუნებულები იყვნენ, რომ სავალალო გარემოება, რასაც მონარქიის პოლიტიკური ცხოვრება მთელი ევროპისთვის გადამდები სენის კერად ექცია, მეტისმეტად ჩახლართული იყო. შესაბამისი ბრძანების მიღებისთანავე, ისევე, როგორც მისიის ჩაშლამდე, თავს ვალდებულად თვლიდნენ, სირთულეები გადაელახათ და არ გამორიცხავდნენ, რომ იმ საშუალებებით, რომელთაც გრაფი ლაინსდორფი სთავაზობდათ, რაღაცის მიღწევას შეძლებდნენ. გრძნობდნენ, რომ „ისტორიის ძირითად ეტაპებს“, „სასიცოცხლო ძალების ბრწყინვალე მტკიცებულებას“, „შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე კეთილისმყოფელი გავლენის მომხდენ საგარეო პოლიტიკურ გამოსვლას“, გრაფი ლაინსდორფის მიერ ასე ზუსტად ფორმულირებულ სურვილებს ისევე ვერ აარიდებდნენ თავს, როგორც მოთხოვნას, გამოხმაურებოდა ყველა, ვისაც სიკეთე სურდა. შესაძლოა, ჰოლცკოპფი და ვისნეჩკი, როგორც დიდი გამოცდილების მქონე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ადამიანები, დიდ სიფრთხილესაც იჩენდნენ, მით უმეტეს, რომ ამ აქციის შემდეგ განვითარებაში საკუთარ როლსაც ხედავდნენ. ადვილია კრიტიკა ანდა იმაზე უარის თქმა, რაც არ მოგწონს,

როცა არაფრისთვის მიგიღწევია, მაგრამ როცა ცხოვრების გონდოლა სამი ათას მეტრ სიმაღლეზე აგტყორცნის, იქიდან ასე ადვილად ვეღარ გადმოხვალ, თუნდაც ბევრ რამეს არ ეთანხმებოდე. რადგან ამ წრეებში მართლაც ლოიალურები არიან და ზემოთ მოხსენებული ბურჟუაზიული ბრბოსაგან განსხვავებით ისე იქცევიან, როგორც ფიქრობენ, ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში იმას სჯერდებიან, რომ რამეს ღრმად არ ჩაუკვირდნენ. აი მიზეზი იმისა, თუ რატომ განუმტკიცდა მოსაზრებები ფონ მაიერბალოტს ამ ორი წარჩინებული მოხელის მოსმენის შემდეგ.

პარალელური აქცია მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა და არც გრაფმა ლაინსდორფმა იცოდა, რაში მდგომარეობდა მისი არსი. დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ ერთადერთი კონკრეტული რამ, რაც გრაფს იმ დროისთვის თავში აზრად მოუვიდა, სახელების ნუსხა იყო.

არც ეს არის ცოტა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა კონკრეტული წარმოდგენები არავის მოეთხოვებოდა, არსებობდა მზაობა, ფართო წრეები რომ მოეცვა. თავისთავად ეს სწორი თანმიმდევრულობა გახლდათ, რადგან, როგორც გრაფი ლაინსდორფი განმარტავდა, ადამიანმა ჯერ დანა-ჩანგალი გამოიგონა და მერეღა შეძლო რიგიანად ჭამა.

37. „ავსტრიული წლის“ გამოგონებით პუბლიცისტი გრაფ ლაინსდორფს უსიამოვნებებს შეამთხვევს; მის ბრწყინვალებას დაუყოვნებლივ სჭირდება ულრიხი

„აზრის გამოსაფხიზლებლად“ გრაფმა ლაინსდორფმა მოწოდებები კი დააგზავნა, მაგრამ ეს საქმე წინ ვერ წაიწევდა, ერთ ცნობილ პუბლიცისტს ჰაერში დატრიალებული სუნი რომ არ ეყნოსა, მაშინვე ორი დიდი საგაზეთო სტატია არ გამოექვეყნებინა, რომლებშიც საკუთარი ინიციატივით იმის თაობაზე გამოთქვამდა მოსაზრებას, რაც, მისი ვარაუდით, უნდა მომხდარიყო. ბევრი არაფერი იცოდა – ანდა საიდან უნდა სცოდნოდა? – თუმცა ეს იგრძნობოდა და თანაც ორივე სტატიას სწორედ ამან მისცა შესაძლებლობა, მკითხველში ასეთი ინტერესი აღეძრა. „ავსტრიული წლის“ იდეის გამოგონება სწორედ მას მიეწერება და სტატიებშიც ამის შესახებ წერდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რას გულისხმობდა ეს ცნება. სიტყვები სიზმარივით უკავშირდებოდა ერთმანეთს, სახეს

იცვლიდა და მკითხველში დიდ ენთუზიაზმს იწვევდა. თავიდან ამან გრაფი ლაინსდორფი აღაშფოთა, მაგრამ მისი აღშფოთება სრულიად უსამართლო გახლდათ. სიტყვათშეთანხმებით „ავსტრიული წელი“ შეიძლება განვსაჯოთ, რას ნიშნავს პუბლიცისტური გენია, რადგან ეს ფორმულა წმინდა წყლის ინსტინქტის დამსახურებაა. ამ სიტყვამ ის გრძნობები ააჟღერა, რომელთა სიმებსაც სხვა შემთხვევაში „ავსტრიული საუკუნის“ იდეა ვერ აამეტყველებდა, ამისკენ მოწოდებას კი გონიერი ადამიანები ახირებად ჩათვლიდნენ და მას სერიოზულად მოპყრობის ღირსადაც არ ცნობდნენ. ძნელი სათქმელია, რატომ არის ეს ასე. შესაძლოა, უზუსტობა და სიმბოლურობა, რეალობაზე ნაკლებ რომ გვაფიქრებს, ვიდრე სხვა დროს, არა მარტო გრაფ ლაინსდორფს ავსებდა შთაგონებით. უზუსტობა ხომ ამაღლებულ და ძლიერ ძალას ფლობს. ჩანს, რომ კეთილსინდისიერ, პრაქტიკულ რეალისტს რეალობა დიდად არ უყვარს და არც სერიოზულად იღებს მას. ბავშვობაში მაგიდის ქვეშ ძვრება და ამ მარტივად გენიალური მეთოდით მშობლების ოთახს, როცა ისინი სადმე მიდიან, ფანტასტიკურ ელფერს ანიჭებს. პატარა ბიჭობაში საათზე ოცნებობს, ყმაწვილკაცობაში – ოქროს საათსა და შესაფერის ცოლზე, საათით და ცოლით რომ დაკაცდება – დიდ მიღწევებზე.

როგორც კი იღბლიანად შეკრავს სურვილების წრეს და მასში ქანქარასავით აქეთ-იქით დაიწყებს რხევას, აღმოაჩენს, რომ თურმე აუხდენელი სურვილების მარაგი ოდნავადაც არ შემცირებულა. თუ აღმაფრენა მოუნდა, სიმბოლოს მოუხმობს. რადგან დროდადრო თოვლი ბეზრდება, მას ქალის ქათქათა მკერდს ადარებს. როგორც კი ცოლის მკერდი მოაბეზრებს თავს, ქათქათა თოვლს ახლა მას შეადარებს. ცოლის ტუჩები ერთ მშვენიერ დღეს მტრედის რქოვან ნისკარტად რომ იქცეს, კბილები კი – მარჯნებად, აღშფოთდებოდა, პოეტურად კი მის ფანტაზიას დიდად აღელვებს. ყველაფერს რადაც უნდა, იმად აქცევს: თოვლს – კანად, კანს – ყვავილის ფურცლებად, ყვავილის ფურცლებს – შაქრად, შაქარს – პუდრად, პუდრს კი – კვლავ თოვლად, ფეხქვეშ რომ ჭრაჭუნებს. ჩანს, არაფერი ისე არ სჭირდება, როგორც რამის იმად გარდაქმნა, რასაც იგი არ წარმოადგენს. ეს კი ამტკიცებს, რომ სადაც არ უნდა იყოს, დიდხანს ვერსად ყოვნდება. ჭეშმარიტი კაკანიელი შინაგანად კიდევ უფრო მეტად ვერ ძლებს კაკანიაში. მათგან რომ ვინმეს

ავსტრიული საუკუნე მოეთხოვა, მას ჯოჯოხეთურ ტანჯვად მიიღებდნენ, რომელიც დაცინვით თუ შეიძლება დაატეხო თავსაც და ქვეყნიერებასაც. აი, ავსტრიული წელი სულ სხვაა. ეს უკვე ნიშნავს: მოდი, ქვეყანას ვაჩვენოთ, რანი ვართო, მაგრამ, ასე ვთქვათ, ესეც დროებით და მაქსიმუმ ერთი წლით. შეგეძლოთ, რაც მოგეხასიათებოდათ, ის გეფიქრათ, ეს ხომ მარადიულს არ გულისხმობდა. კაკანიელებს ამ ფაქტმა სამშობლოს სიყვარულით გული შეუძრა.

აი, ასე მოხდა, რომ გრაფმა ლაინსდორფმა მოულოდნელი წარმატება მოიპოვა. თავდაპირველად საკუთარი იდეა მანაც სიმბოლოდ აღიქვა, თანაც სახელების მთელი ნუსხა შეადგინა, მისი მორალური ბუნება კი მერყევი მდგომარეობიდან თავის დაღწევას ესწრაფოდა. ცხადად ხედავდა, რომ ხალხის ფანტაზია, როგორც თავის ერთგულ ჟურნალისტს განუცხადა, ნათელი, საღი, გონივრული მიზნისკენ უნდა მიმართო, რომელიც კაცობრიობისა და სამშობლოს ჭეშმარიტ მიზნებს ჰარმონიულად თანხვდება. კოლეგის წარმატებით შეგულიანებულმა ჟურნალისტმა კი მაშინვე სახელდახელოდ ჩაიწერა ნათქვამი და რადგანაც წინამორბედთაგან განსხვავებით ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ შეეძლო „პირველწყარო“ დაესახელებინა, მისი ხელობის ტექნიკა უკვე იმასაც მოითხოვდა, მსხვილი შრიფტით „გავლენიანი წრეებიდან მიღებული ინფორმაცია“ დაემოწმებინა. გრაფი ლაინსდორფიც სწორედ ამას ელოდა, რადგან მისი ბრწყინვალება განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ იმ ფაქტს ანიჭებდა, იდეოლოგად კი არა, გამოცდილ, რეალისტ პოლიტიკოსად წარმოჩენილიყო და გენიალური პუბლიცისტის ავსტრიულ წელსა და პასუხისმგებელი წრეების წინდახედულობას შორის ფაქიზად ხაზის გავლება განეზრახა. ამ მიზნით კი მისთვის არცთუ სამაგალითო ბისმარკის ტექნიკას დაესესხა – ჟურნალისტების პირით გამოეხატა რეალური ზრახვები, რათა შემდეგ, გარემოების მიხედვით, ან თავისად ეღიარებინა, ან განდგომოდა.

გრაფი ლაინსდორფი გონივრულად კი მოქმედებდა, მაგრამ ერთი რამ ვერ გათვალა. საქმე ის არის, ჩვენ რომ გვჭირდება, იმ სიმართლეს მარტო ისეთი ადამიანი კი არ ხედავს, როგორიც ის იყო; უამრავს ჰგონია, რომ ამგვარ ჭეშმარიტებას თავადაც ფლობს. ამას კი, შეიძლება, ისეთი მდგომარეობის გაქვავებული ფორმა ვუწოდოთ, როცა სიმბოლოებს მიმართავენ. ადრე თუ

გვიან ხალისი მათაც ეკარგებათ და მრავალი, ვისაც აუხდენელ ოცნებათა დაუხარჯავი მარაგი ყელში ეჩხირება, თვალს რამე წერტილზე შეაჩერებს, ფარულად მიაშტერდება მას და ფიქრობს, რომ ეს სწორედ ის სამყაროა, მას რომ არ ერგო. გაზეთის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელებიდან ცოტა ხნის შემდეგ მისმა ბრწყინვალებამ შენიშნა, რომ უფულო ადამიანში უსიამოვნო სექტანტი ბუდობს. ეს ჟინიანი ადამიანი ადამიანში დილაობით სამსახურში თან დაჰყვება და სამყაროს მსვლელობას ქმედით წინააღმდეგობას ვერ უწევს, თუმცა მთელი ცხოვრების მანძილზე თვალს არ აცილებს იმ იდუმალ წერტილს, რომლის შემჩნევის სურვილი სხვას არ ებადება, თუმცა სამყაროს ყველა უბედურება აშკარად იქ იწყება და ეს სამყარო საკუთარ მხსნელსაც კი ვეღარ ცნობს. ასეთ ფიქსირებულ წერტილებს, სადაც პიროვნების წონასწორობის ცენტრი სამყაროს წონასწორობის ცენტრს ემთხვევა, წარმოადგენს, მაგალითად, საფურთხებელი, ხელის მარტივი მოძრაობით რომ შეგვიძლია ჩავკეტოთ; სასტუმროებში იმ სამარილეების გაუქმება, სადაც დანას ყოფენ, რის წყალობითაც ერთბაშად შევაჩერებდით კაცობრიობის გამმათრახებელ ტუბერკულოზს; ან სტენოგრაფიული სისტემის შემოღება, ერთდროულად დროის უმაგალითო ეკონომიით სოციალურ პრობლემასაც რომ გადაჭრიდა; ან ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, დედამიწის საყოველთაო გაუდაბურებას რომ შეაჩერებდა; ასევე ციურ მნათობთა მოძრაობის რომელიღაც მეტაფიზიკური თეორია, ადმინისტრაციული აპარატის გამარტივება ანდა სექსუალური ცხოვრების რეფორმა. თუ ადამიანს გარემოებაც ხელს შეუწყობს, მაშინ ის თავს იმითაც ელოლიავება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ თავის წერტილზე წიგნს, ბროშურას ან საგაზეთო სტატიას მაინც დაწერს, და ამით თითქოს კაცობრიობის საქმეს პროტოკოლის სახით თავის პროტესტსაც დაურთავს, რაც უჩვეულოდ ამშვიდებს, მაშინაც კი, როცა მის ნაწერს არავინ კითხულობს. როგორც წესი, ეს ვინმეს იზიდავს. ისინი ავტორს არწმუნებენ, ახალი კოპერნიკი ხარო და იგი აუღიარებელ ნიუტონად წარმოუდგენიათ. ეს ჩვევა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს და საკმაოდ გავრცელებულიცაა, თუმცა მისი ზემოქმედება ხანმოკლეა, რადგან მონაწილენი ერთმანეთს მალევე წაეკიდებიან და კვლავ მარტო რჩებიან. ისეც ხდება ხოლმე, რომ ესა თუ ის თაყვანისმცემელთა ვიწრო წრეს შემოიკრებს და ისინიც ზეცას ბრალს სდებენ, შენს მირონცხებულ ძეს ჯეროვან დახმარებას

არ უწევო. და თუ წერტილთა ამ გროვას ზეციური სიმაღლიდან იმედის სხივი მოეფინა – როგორც მაშინ, როცა გრაფმა ლაინსდორფმა საჯაროდ განაცხადებინა, ავსტრიული წელი ყოფიერების ჭეშმარიტ მიზნებს უნდა პასუხობდესო, თუმცა მის შესახებ ჯერ არაფერი იყო ცნობილი – ისინი მას ისე ეგებებიან, როგორც წმინდანები უფლის გამოცხადებას.

გრაფი ლაინსდორფი ფიქრობდა, რომ მისი ქმნილება ხალხის წიაღიდან შობილ მანიფესტაციად უნდა ქცეულიყო. ამასთან ის უნივერსიტეტზე, სასულიერო პირებზე, ზოგიერთ სახელზეც ფიქრობდა, მათზე, ვინც არასდროს აკლდებოდა საქველმოქმედო აქციებს. არც გაზეთები დავიწყებია. ჰქონდა პატრიოტული პარტიებისა და ბურჟუაზიის „საღი აზრის“ იმედიც, რომლებიც კაიზერის დაბადების დღეზე დროშებს გამოფენდნენ ხოლმე, მსხვილ ფინანსისტებსა და პოლიტიკაზეც ამყარებდა იმედს და გულის სიღრმეში სწამდა, რომ თავისი დიდი ქმნილების მეოხებით პოლიტიკას საერთო მნიშვნელამდე – „მამულამდე“ დაიყვანდა, მას „მიწაზე“ გაყოფდა და ერთადერთ შედეგს – „მამა-მბრძანებელს“ მიიღებდა, რითაც პოლიტიკას ფუნქციას დააკარგვინებდა. მის ბრწყინვალებას ერთი რამ გამორჩა მხედველობიდან. მას აოცებდა სამყაროს გაუმჯობესების ფართოდ გავრცელებული მოთხოვნილება, რომელსაც დიდ შესაძლებლობათა მხურვალება ისევე მოამწიფებს, როგორც ხანძარი – მწერების კვერცხებს. ამაზე მის ბრწყინვალებას არ უფიქრია. დიდ პატრიოტიზმს ელოდა, მაგრამ გამოგონებებისთვის, თეორიებისთვის, მსოფლიო სისტემისა და ადამიანებისთვის, სულიერი საპყრობილიდან ხსნას რომ ითხოვენ, მზად არ იყო. მათ მის სასახლეს ალყა შემოარტყეს, პარალელურ აქციას ხოტბას ასხამდნენ, განადიდებდნენ, როგორც ჭეშმარიტებისკენ სიბნელის გარღვევის შესაძლებლობას, გრაფ ლაინსდორფს კი ვეღარ გაეგო, რა შეიძლებოდა მოემოქმედა. რადგან თავის საზოგადოებრივ მდგომარეობას აცნობიერებდა, მათთან ერთად მაგიდას ვერ მიუჯდებოდა, მაგრამ როგორც მაღალი ზნეობის ადამიანი, არც გარიდებას აპირებდა და რადგან პოლიტიკური და ფილოსოფიური განათლება მიეღო და არა საბუნებისმეტყველო ან ტექნიკური, უჭირდა გარკვევა, რამდენად საქმიანი იყო მათ მიერ შემოთავაზებული წინადადებები.

ამ სიტუაციაში კიდევ უფრო მწვავედ იგრძნო ულრიხის ნახვის

აუცილებლობა, რადგან მის მდივანს, და საერთოდაც არც ერთ ჩვეულებრივ მდივანს, ამ საქმის შესრულების ძალა არ შესწევდა; ულრიხი კი სწორედ ისეთ ადამიანად დაუხასიათეს, როგორიც მას სჭირდებოდა. ერთხელ თავის ხელქვეითზე გაბრაზებული, ღმერთსაც კი ეეედრებოდა – რისაც მეორე დღეს შერცხვა კიდეც – იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ულრიხი ხვალ მაინც გამოჩნდესო. როცა ეს ასე არ მოხდა, მისმა ბრწყინვალებამ ულრიხის ძებნა თავად დაიწყო. ხელქვეითს მისი მოძებნა მისამართების ცნობარშიც დაავალა, მაგრამ ულრიხი ჯერ კიდევ არ იყო იქ რეგისტრირებული. ამის შემდეგ კი თავის მეგობარ დიოთიმას მიაკითხა, რომელმაც, როგორც წესი, ყოველთვის იცოდა, რა და როგორ... და მართლაც, ამ გასაოცარ ქალს ულრიხთან საუბარი უკვე მოესწრო, თუმცა მისამართის გაგება მასაც დავიწყებოდა ან იქნებ სულაც მისი ბრწყინვალებისთვის ამ დიდი აქციის მდივნის პოსტზე ახალი და უკეთესი კანდიდატების შეთავაზება სურდა. გრაფი ლაინსდორფი აღელვებული ჩანდა და დიოთიმას გადაჭრით განუცხადა, ულრიხს შევეჩვიე, პრუსიელი, თუნდაც რეფორმატორი პრუსიელი, არაფერში მჭირდება და საერთოდაც გართულებების თავი არა მაქვსო. ცოტათი შეცბა კიდეც, როცა დიოთიმამ აგრძნობინა, რომ მისმა უარმა გაანაწყენა და უცბად ერთმა იდეამ გაუნათა გონება. გრაფმა ლაინსდორფმა დიოთიმას განუცხადა, ჩემს მეგობარ პოლიციის უფროსთან მივალ და მისი დახმარებით, ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი მოქალაქის მისამართს დავადგენო.

38. კლარისა და მისი დემონები

ულრიხის წერილი რომ მიიღეს, ვალტერი და კლარისა ისეთი ცეცხლოვანი ენერგიით უკრავდნენ როიალზე, რომ ოთახში მდგარ წვრილფეხება ავეჯს და კედლებზე გამოფენილ გაბრიელ როსეტის გრავიურებს ზანზარი გაუდიოდა. მოხუც შიკრიკს სახლის კარი ღია დახვდა და ოთახში შესვლამდე სახეში მუსიკით ატეხილი ჭექა-ქუხილი დაეძგერა. სასტუმრო ოთახში შებიჯებისთანავე ზეციური გუგუნით გაბრუებული, მოწიწებით კედელს აეკრა. ბოლოს კლარისამ ორი ძლიერი აკორდით მოუთოკავი მუსიკალური აღტყინება განმუხტა და მოხუცმა შიკრიკმა შვებით ამოისუნთქა. სანამ კლარისა წერილს კითხულობდა, შეწყვეტილი ნაკადი, ვალტერის ხელებიდან ამონთხეული, ისევ მოიკლაკნებოდა. მელოდია

დამფრთხალ წეროსავით მიქროდა და ბოლოს ფრთები გაშალა. კლარისა ეჭვით ადევნებდა თვალყურს ვალტერს და თან ულრიხის წერილის წაკითხვას ცდილობდა.

როცა მას მეგობრის ვიზიტი ამცნო, ვალტერმა თქვა: – საწყენია!

კლარისა ისევ ვალტერის გვერდით როიალის დაბალ, მრგვალ სკამზე დაჯდა. ღიმილმა მგრძნობიარე ტუჩებზე გადაურბინა. ვალტერმა ამ ღიმილში რატომღაც დაუნდობელი ხასიათი ამოიცნო. ეს ის წუთი იყო, როცა პიანისტები სისხლის ნაკადის შეჩერებას ცდილობენ, რათა ერთ ტემპში ეკვეთონ ინსტრუმენტს. თვალების ღერძები თითქოს ერთ მხარეს მიმართული ღეროებივით სახიდან გადმოეკიდებათ, საჯდომებით კი სკამს ისეთი ძალით აწვებიან, რომ ხრახნით დამაგრებული ტაბურეტის მაღალი ყელი ყანყალს იწყებს.

მეორე წუთს კი კლარისა და ვალტერი წინ მიისწრაფოდნენ, როგორც ორი ლოკომოტივი, გვერდიგვერდ რომ მიქრის. პიესა, რომელსაც ისინი უკრავდნენ, ალაპლაპებული რელსებივით თვალებში შეაფრინდათ, მგრგვინავ მანქანაში ჩაიკარგა და მათ მიღმა ჟღერადი ლანდშაფტივით ჩაწვა. გახელებული ქროლისას ყველაფერი ის, რასაც ეს ორი ადამიანი გრძნობდა, ერთ მთლიანობად იქცა: სმენა, სისხლი და კუნთები, ნებაწართმეული, ერთსა და იმავე შეგრძნებას ემორჩილებოდა. კამკამა ბგერის გადაზნექილი კედლები მათ სხეულებს აიძულებდა, ერთ კალაპოტში მოქცეულიყო, წელში დრეკდა და მკერდს საბერველივით ხან უფართოვებდა და ხან უკუმშავდა. ვალტერისა და კლარისას სხეულებს ერთდროულად აღტყინება და სევდა, მრისხანება და შიში, სიყვარული და სიძულვილი, ჟინი და მოყირჭება მსჭვალავდა. ეს იყო ერთ სხეულად შერწყმა, სწორედ ისე, როგორც შიშით ზარდაცემული ასობით ადამიანი, მანამდე ერთმანეთის არაფრით მსგავსნი, ერთნაირად ასავსავებს ჰაერში ხელებს, გაქცევას ლამობენ, ერთნაირი უაზრო ყვირილი აღმოხდებათ, ერთნაირად პირდაფჩენილთ და თვალებგადმოკარკლულთ უსახო ძალა წინ და უკან, აქეთ-იქით ახეთქებს და ისინიც ძრწიან და კანკალებენ, ღრიალებენ და ერთმანეთში ირევიან. ეს ის ჩლუნგი, ყოვლისდამთრგუნველი ძალა არ იყო, ცხოვრებას რომ ახასიათებს, სადაც ყველაფერი ასე მსუბუქად არ ხდება და სადაც ყოველივე პიროვნული წინააღმდეგობის გაუწევლად ნადგურდება. მრისხანება, სიყვარული, ბედნიერება,

მხიარულება და სევდა, კლარისა და ვალტერი რომ განემსჭვალა, მათი სავსე გრძნობები კი არა, ქროლის ჟინით შეპყრობილი მათი ფიზიკური გარსი იყო. ისხდნენ გახევებულნი და ყველაფრისგან განდგომილნი თავიანთ ტაბურეტებზე, არც არაფერზე გაბრაზებულნი, არც არაფერზე შეყვარებულნი, არც არაფრით სევდაშეყრილნი ანდა, პირიქით, გაავებულნი, შეყვარებულნი და სევდაშეყრილნი – თითოეული მათგანი რაღაც ან ვიღაც სხვაზე, რაღაც ან ვიღაც სხვისით, რაღაც ან ვიღაც სხვაში, ორივე თავისი საფიქრალით შეპყრობილი; მუსიკის მბრძანებლური ტონით ერთ დიდ ვნებად ქცეულნი, მაგრამ თან ყველაფრისგან გამოცალკევებულნი, როგორც იძულებით, ჰიპნოზურ ძილში.

თითოეული მათგანი ამ გრძნობებს თავისებურად განიცდიდა. ვალტერი ბედნიერი და აღელვებული ჩანდა. როგორც მუსიკალური ადამიანების უმრავლესობას, ეს ქარიშხლები, გრძნობათა შინაგანი მღელვარება, ანუ სულის მშფოთვარე სხეულებრივი საფუძველი, მარადისობის სადა, ადამიანთა გამაერთიანებელ ენად მიაჩნდა. ისიც აჯადოებდა, რომ კლარისას პირველყოფილი ძალით თავისკენ იზიდავდა. იმ დღეს სამსახურიდან ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა. მთელი დღე ხელოვნების ქმნილებათა კატალოგიზაციით იყო დაკავებული, რომლებზეც დიდი, ჰარმონიული ეპოქის ფორმა აღბეჭდილიყო და იდუმალ, ძლიერ ნებას ასხივებდნენ. კლარისა მას თბილად შეეგება, ახლა უკვე მუსიკის მგზნებარე სამყაროში მასთან ღრმად იყო დაკავშირებული. ამ დღეს ყველგან და ყველაფერში იღბალი იგრძნობოდა, რაღაც უხმო მარში, თითქოს ღმერთები მოემართებიანო. „იქნებ, სწორედ ახლაა ეს დღე?“ – ფიქრობდა ვალტერი. კლარისას ძალით დაბრუნებას არც აპირებდა, უნდოდა, სულიერი თანხმობით, ალერსით დაეყოლიებინა.

ნოტების ლურსმნების მბზინავ თავებს როიალი ჰაერისგან ნაგებ კედლებში აჭედებდა. თავისი ბუნებით ეს პროცესი რეალური იყო, მაგრამ ოთახის კედლები გაქრა და მის ადგილას მუსიკის ოქროსფერი ჩარჩოები წამოიმართა, იდუმალებით მოცული ეს სივრცე, სადაც „მე“ და სამყარო, აღქმა და გრძნობა, შინაგანი და გარეგანი სრულიად შემჭიდროვდა. თავად ის სამყარო კი გრძნობადი, კონკრეტული, ზუსტი იყო და, შეიძლება ითქვას, თითოეული დეტალი ელვარების იერარქიას დაქვემდებარებოდა. გრძნობის ძაფები სწორედ ამ დეტალებს

მიმაგრებოდა და სულის ჩამოწოლილი ბურუსიდან გადაჭიმულიყო. ბურუსი კედლების სიზუსტეში ირეკლებოდა და საკუთარ თავს ცხადად ხედავდა. მათი სულები ამ ძაფებსა და სხივებზე აბრეშუმის ჭიის პარკებივით ეკიდა და რაც უფრო ფართოდ ეფინებოდა ეს სხივები, მით უფრო დიდი ნეტარება ეუფლებოდა ვალტერს და ბგერები, რომელთაც ის გამოკვეთდა, სენტიმენტალური და მკვეთრი იყო.

მანამდე კი, სანამ ჩვეულებრივი გრძნობის ნაპერწკალი ოქროსფერ ნისლს გაარღვევდა და მათ მიწიერ ურთიერთობებს აღადგენდა, კლარისას აზრები ვალტერისგან სრულიად განსხვავდებოდა ისე, როგორც სასოწარკვეთილებითა და ნეტარებით მბორგავი ტყუპისცალივით მსგავსი ორი ადამიანი შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მოლივლივე ნისლში სურათ-ხატები ჩნდებოდა, ერთმანეთს ერწყმოდა, ფარავდა და ისევ ქრებოდა. კლარისას აზროვნება სწორედ ასეთი იყო. ის ისე აზროვნებდა, როგორც არავინ სხვა. ხან უამრავი აზრი ირეოდა ერთდროულად ერთმანეთში, ხან კი სრულიად ქრებოდა და მაშინ სცენის მიღმა დემონებივით ჩასაფრებულ აზრებს იგრძნობდით. მოვლენათა დროითი თანმიმდევრობა, სხვათათვის საიმედო საყრდენი, კლარისასთვის ხან ნაოჭასხმულ საბურველად იქცეოდა, ხან კი თითქმის უხილავ ნისლად იფანტებოდა.

კლარისას გარშემო ამჯერად სამ ადამიანს მოეყარა თავი: ვალტერს, ულრიხს და ქალების მკვლელ მოორსბრუგერს.

მოორსბრუგერის შესახებ ულრიხისგან შეიტყო.

ერთდროულად მიმზიდველიც და შემზარავიც, რაღაც ძალით აჯადოებდა.

კლარისა სიყვარულის ფესვს ღრღნიდა, ფესვს, ამბოხი და კბენა ორად რომ ყოფს, მზერას რომ იტაცებს, ხოლო ბოლო წუთს განაწამები თვალს რომ არიდებ. „ნუთუ სიამტკბილობა სიძულვილისკენ გიბიძგებს? – ეკითხებოდა თავის თავს. – ნუთუ კეთილგონიერ ცხოვრებას უხეშობა სურს, სიმშვიდეს კი დაუნდობლობა? ნუთუ წესრიგი იმას მოითხოვს, რომ ის დაგლიჯონ?“. მოორსბრუგერი კლარისაში თან იწვევდა ამ გრძნობებს, თან – არა. მუსიკის გრგვინვაში კლარისას გარშემო მსოფლიო ხანძარი დანთებულიყო, ჯერ არგაჩენილი მსოფლიო ხანძარი, სახლის კოჭებს შიგნიდან რომ ნთქავდა. სწორედ ისე

იყო, როგორც მეტაფორაში, სადაც საგნები ერთნაირია და მაინც უკიდურესად განსხვავებული. ამ მსგავსთა განსხვავებულობიდან თუ განსხვავებულთა მსგავსებიდან კვამლის ბოლქვები ამოიზრდება, ცეცხლში შეკეთებულ ფიჭვის ტოტებზე შემწვარი ვაშლის ზღაპრული არომატით.

– ადამიანმა სულ უნდა უკრას, – თავისთვის ჩაილაპარაკა კლარისამ და როგორც კი პიესა ჩაამთავრა, ათრთოლებული ხელებით ისევ თავიდან გადაშალა. ვალტერმა მორცხვად გაიღიმა და კლარისას აჰყვა.

– ნეტა რას აკეთებს ულრიხი მათემატიკაში? – ჰკითხა ვალტერს.

ვალტერს დაკვრა არ შეუწყვეტია და მხრები აიჩეჩა, თითქოს სარბოლ მანქანას მართავდა.

„ადამიანმა სულ უნდა უკრას და უკრას, – ფიქრობდა კლარისა. – ვინ იქნებოდა მოორსბრუგერი, ადამიანს რომ განუწყვეტლივ, სიცოცხლის ბოლომდე დაკვრა შეეძლოს? რაღაც საშინელება? გიჟი? შავი ფრინველი ზეცაში?“ – აღარ იცოდა, რა ეფიქრა.

კლარისამ საერთოდაც არაფერი იცოდა. ერთხელ – აბსოლუტური სიზუსტით შეეძლო გამოეთვალა ის დღე – ბავშვობის ძილიდან გამოერკვა და მყარად ირწმუნა, რომ რაღაცის შესაქმნელად, მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად იყო მოწოდებული, შესაძლოა, ღვთის რჩეულიც კი იყო, დიადი საქმეებისთვის გაჩენილი. მაშინ სამყაროს შესახებ არაფერი იცოდა. არც იმის სჯეროდა, რასაც მშობლები და უფროსი ძმა უყვებოდნენ. ეს იყო მჟღერი სიტყვები, მოხდენილად და კარგად ნათქვამი, მაგრამ კლარისა მათ ვერ მოირგებდა ისევე, როგორც ქიმიური სხეული ვერ შეიერთებს იმას, რაც მას არ „მოერგება“. შემდეგ ვალტერი მოვიდა. ის დღე იყო და კლარისამ ყველაფერი „მოირგო“. ვალტერს პატარა, ჯაგრისივით ულვაშები ჰქონდა და კლარისას უთხრა: „ფროილაინ“. სამყარო ერთბაშად გარდაიქმნა, ის უკვე აღარ იყო ქაოსური, მოუწესრიგებელი და დატეხილი, ის მანათობელ წრედ იქცა, ვალტერი კი მის შუაგულად, თავადაც შუაგულად, და ეს ორივე ცენტრი ერთმანეთს დაემთხვა. მიწა, სახლები, ჩამოცვენილი ფოთლები, ჯერაც რომ არ აეგავათ, წარმოსახვითი უმოკლესი, მტკივნეული ხაზები (ბავშვობის ყველაზე მტანჯველი წუთი გაახსენდა, როცა ის და მამამისი

„პეიზაჟს“ გაჰყურებდნენ. ის მხატვარი იყო და მისი ცქერით უსასრულოდ ტკბებოდა. კლარისას კი ისეთ ტკივილს ჰგვრიდა გრძელი ხაზების გასწვრივ სამყაროს ცქერა, როგორსაც სახაზავის ნაწიბურზე თითის გადასმა) – სამყარო წინათ ასეთი საგნებით იყო სავსე, მერე კი ის მისი გახდა, როგორც ხორცი ხორცთაგანი.

იმ დროიდან იცოდა, რომ რაღაც ტიტანურს შექმნიდა; კონკრეტულად რას, ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდა, მაგრამ ყველაზე მძაფრად ამას მუსიკაში განიცდიდა და იმ დღეზე ოცნებობდა, როცა ვალტერი ნიცშეზე დიდ გენიოსად იქცეოდა, ულრიხი ხომ მით უმეტეს; ის მოგვიანებით გამოჩნდა და უბრალოდ ნიცშეს თხზულებები აჩუქა.

აი, ამის შემდეგ დაიძრა ყველაფერი. რამდენად სწრაფად, დღეს უკვე ძნელი იყო ამის თქმა. რა ცუდად უკრავდა მაშინ როიალზე, რა ცოტა ესმოდა მაშინ მუსიკისა! ახლა კი ვალტერზე უკეთ უკრავდა. მერე რამდენი წიგნი წაიკითხა! საიდან გაჩნდა ეს ყველაფერი? ისინი თოვლში მდგარ გოგონას შავი ფრინველებივით გუნდ-გუნდად დასტრიალებდნენ. შემდეგ კი უკვე შავ კედელს ხედავდა, ზედ თეთრი ლაქებით. რაც არ იცოდა, შავი იყო. სითეთრე დიდ და პატარა კუნძულებად ერთიანდებოდა, სიშავე კი უსასრულო და უცვლელი იყო. ამ სიშავიდან შიში და მღელვარება იბადებოდა. „სატანაა? – ფიქრობდა კლარისა. – სატანა მოორსბრუგერად იქცა?“. თეთრ ლაქებს შორის ვიწრო ნაცრისფერ გზებს ხედავდა. კლარისაც ერთიდან მეორემდე მიდიოდა. ეს იყო მოვლენები: გამგზავრება, ჩამოსვლა, მღელვარე სიტყვები, ბრძოლა მშობლებთან, ქორწინება, სახლი, გაუგონარი ჭიდილი ვალტერთან. ვიწრო ნაცრისფერი გზები მიიკლაკნებოდა. „გველები! – ფიქრობდა კლარისა. – ყულფები!“. მოვლენები იხლართებოდა, იბორკებოდა, იქით ვერ მიდიოდა, საითაც უნდოდა. სლიპინა მოვლენებმა მოულოდნელად იმ წერტილში გადაისროლა, სადაც არ უნდოდა. გველები! ყულფები! სლიპინა! ასე მიექანებოდა ცხოვრება. აზრებმაც ცხოვრების მსგავსად დაიწყეს რბოლა. თითის წვერებს მუსიკის ჩანჩქერში ყოფდა. ჩანჩქერის კალაპოტში გველები ჩნდებოდნენ, ქვემოთ ითრევდნენ და ამ დროს მხსნელად ზღვის წყნარ ყურესავით ციხის კარი იხსნებოდა, სადაც მოორსბრუგერი გადაემალათ. შიშით ჟრჟოლაატანილი კლარისას აზრები საკანში შევიდა. „სიცოცხლის ბოლომდე მუსიკა უნდა უკრა!“ – იმეორებდა

თავისთვის და თავს იმხნევებდა, გული კი ძლიერ უთრთოდა.

როცა დამშვიდდა, საკანი მისმა „მემ“ აავსო. ეს გრძნობა ისევე საამო იყო, როგორც სალბუნი, ტკივილს რომ გიამებს. უნდოდა, ეს გრძნობა სამუდამოდ შემოენახა, მაგრამ ის გაიხსნა, გადაიხსნა, როგორც ზღაპარში ანდა სიზმარში. საკანში მოორსბრუგერი იჯდა, თავი ხელებში ჩაერგო. კლარისამ ბორკილები მოხსნა. თითებს რომ ამოძრავებდა, საკანი ძალამ, გამბედაობამ, სათნოებამ, სიკეთემ, სილამაზემ და სიმდიდრემ აავსო, როგორც ქარმა, ათასი მინდვრიდან მისი თითებით გამოხმობილმა. „სულერთია, რატომ ვაკეთებ ამას, – გრძნობდა კლარისა, – მთავარია, რომ ახლა ამას ვაკეთებ“. კლარისამ მას ხელები, თავისი სხეულის ნაწილი, თვალებზე ააფარა და როცა მოაცილა, მოორსბრუგერი ლამაზ ჭაბუკად გადაიქცა, თვითონ კი, წარმატაცი და მომხიბვლელი, მის გვერდით იდგა, სამხრეთულ ღვინოსავით ტკბილი და რბილი სხეულით, არა ისეთი შეუვალი, როგორიც სხვა დროს. „ეს არის ჩვენი უბიწოების ხატება“, – ფიქრობდა ის სადღაც ქვემოთ, ცნობიერების ღრმა ფენაში.

რატომ ვალტერი არ იყო ასეთი! მუსიკის ღრმა ზმანებიდან გამოღვიძებულს გაახსენდა, როგორ ბავშვურად უყვარდა მაშინ ვალტერი, თხუთმეტი წლისას, როცა ფიქრობდა, გაბედულებით, ძლიერებითა და სიკეთით ეხსნა იგი, თუ მის გენიას რამე დაემუქრებოდა. რა მშვენიერი იყო ვალტერი, როცა ის ყველგან სულიერ საფრთხეს ხედავდა! კლარისა თავის თავს ეკითხებოდა, ნუთუ ეს ყველაფერი მხოლოდ ბავშვური გრძნობები იყო? ქორწინების მჭახე შუქმა მას თვალი მოსჭრა და უცაბედად სიყვარულისთვის შეცბუნება შვა. ბოლო ხანები მშვენიერი იყო, შინაარსიანი და დატვირთული, ვიდრე წინარე, თუმცა ჰაერში აელვებულმა გიგანტურმა ხანძარმა ოჯახურ კერაში ცეცხლი ვერა და ვერ დაანთო. კლარისა დარწმუნებული არ იყო, რომ ვალტერთან მისი ბრძოლა კვლავ დიდი იყო. ცხოვრება კი მიქროდა, როგორც მუსიკა, კლარისას თითებქვეშ რომ უჩინარდებოდა. ცოტაც და მიილეოდა კიდეც! თანდათან კლარისა უიმედო შიშმა მოიცვა. სწორედ ამ დროს შეამჩნია, რომ ვალტერი დამაჯერებლად აღარ უკრავდა. მისი გრძნობები კლავიშებს წვიმის მსხვილი წვეთებივით ეხეთქებოდა. კლარისა მაშინვე მიხვდა, რაზე ფიქრობდა ვალტერი: ბავშვზე. იცოდა, რომ ვალტერი ბავშვით აპირებდა მის დაჭერას. დღენიადაგ მათი ჩხუბის მიზეზიც სწორედ ეს იყო. მუსიკა

ერთი წუთითაც არ ჩერდებოდა. მუსიკა არ ცნობდა „არას“. ქსელი საშინელი სისწრაფით ვიწროვდებოდა და კლარისაც მასში იხლართებოდა.

შუა დაკვრის დროს კლარისა წამოხტა და როიალის თავსახური ისე დაახეთქა, რომ ვალტერს კინაღამ თითები მოაყოლა.

ო, ღმერთო, რა ძლიერ სტკიოდა! ვალტერი შიშისგან გონს ვერ მოგებულიყო, მაგრამ ყველაფერს მიხვდა. ულრიხის ვიზიტი! ამ ამბის გაგებაც კი საკმარისი იყო, რომ კლარისა წონასწორობიდან გამოსულიყო. ულრიხი ვნებდა მას; ისე უხეშად აფორიაქებდა მასში იმას, რასაც ვალტერი შეხებასაც კი ვერ უბედავდა – საბედისწეროდ გენიალურს, ავადმყოფობის ფარულ კერას, ჯაჭვებით დაბმულს – რომ ერთ დღესაც ვერ გაუძლებდა და აიწყვეტდა.

ვალტერი გაუნძრევლად იჯდა და გაოგნებული შეჰყურებდა კლარისას.

კლარისას თავისი ქცევის მიზეზი არ განუმარტავს. უხმოდ იდგა და სულს ძლივს ითქვამდა.

ულრიხი სულაც არ მიყვარსო, ირწმუნებოდა ის ვალტერთან საუბრის შემდეგ. რომ მიყვარდეს, მაშინვე ვიტყოდი, მაგრამ ასე მგონია, თითქოს მისით ანთებული სანთელი ვიყო და მის გვერდით ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ცოტა კიდევ უფრო მეტად ვანათებ და მნიშვნელობა მემატებაო. შენ კიდევ დარაბების მიკეტვის მეტი თავში არაფერი გაქვს და ამ დროს მე რას ვგრძნობ, არც ერთს არ გადარდებთ, არც შენ და არც ულრიხსო!

ბოღმასა და აღშფოთებას შორის, რითაც მისი სიტყვები სუნთქავდა, ვალტერმა მაინც იგრძნო რაღაც მარცვალი, სულ ერთი ბეწო, ბანგივით გამაბრუებელი და მას ბოღმის სუნი არ ასდიოდა.

მოსაღამოვდა. ოთახი იყო შავი. როიალი იყო შავი. შავი იყო ორი ადამიანის ჩრდილიც, ერთმანეთი რომ უყვარდათ. კლარისას თვალები სიბნელეში ანთებული სანთლებივით ანათებდა. ვალტერის ტკივილისაგან მოქცეული ტუჩებიდან კბილის ემალი სპილოს ძვალივით ელავდა. რაც უნდა დიდი სახელმწიფო საქმეები გადაწყვეტილიყო გარეთ, სამყაროში, რაგინდ უსიამოვნოც უნდა ყოფილიყო ამდენი რამ, ჩანდა, რომ

ეს იყო წამი, ერთი იმ წამთაგანი, რის გამოც შექმნა ღმერთმა სამყარო.

39. უთვისებო კაცი უკაცო თვისებებისგან შედგება

ულრიხი კი იმ საღამოს არ მისულა. როგორც კი დირექტორი ფიშელი ნაჩქარევად დასცილდა, ფიქრებით ისევ თავის ახალგაზრდობას მიუბრუნდა: რატომ სწყალობს ასე უცნაურად ბედი ყველა ყალბ და საეჭვო სიტყვას? „ერთი ნაბიჯით წინ მაშინ წაიწევ, თუ ტყუი, – ფიქრობდა ის. – ესეც უნდა მეთქვა მისთვის“.

ულრიხი მგზნებარე ადამიანი იყო. ამ სიტყვაში კი ის არ უნდა ვიგულისხმოთ, რასაც ზოგადად ამ ცნებაში გულისხმობენ. როგორც ჩანს, მართლა არსებობდა რაღაც ისეთი, რაც მას ისევ და ისევ თავისკენ ითრევდა და შესაძლოა, ეს გზნება იყო, თუმცა აღელვებისას მისი საქციელი ერთდროულად მგზნებარეც იყო და გულგრილიც. ყველა განსაცდელი განეცადა და გრძნობდა, რომ ახლაც ყოველ წუთს მზად იყო, მათ შერკინებოდა, თუნდაც იმას, რასაც მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუკი ის მასში მოქმედების ინსტინქტს აღძრავდა. ამიტომ გადაუჭარბებლად შეეძლო ეთქვა, რომ ყველაფერი, რაც მის ცნობიერებაში ხდებოდა, უფრო ერთმანეთს შეესატყვისებოდა, ვიდრე თავად მას. ა-ს მუდამ ბ მოსდევდა, ბრძოლის დროს იქნებოდა ეს თუ სიყვარულის ჟამს. და ამიტომაც, ალბათ, ფიქრობდა, რომ ამ დროს შეძენილი თვისებები უფრო ერთმანეთს შეესატყვისებოდა, ვიდრე თავად მას. თავს თუ გამოცდიდა, აღმოჩნდებოდა, რომ თითოეული ამ თვისებათაგან მასთან იმაზე ღრმად არ იყო დაკავშირებული, ვიდრე ამავე თვისებების მქონე სხვა ადამიანებთან.

უდავოა, რომ ადამიანს მაინც ეს თვისებები განსაზღვრავს და ის მათგან შედგება, თუნდაც მათთან არ აიგივებდეს თავს. ამიტომაც ხანდახან ეუცხოება საკუთარი თავი: მაშინაც, როცა გრძნობები არ ამღვრევს და მაშინაც, როცა გრძნობა მოერევა. ულრიხი დაიბნეოდა, იმის თქმა რომ დასჭირვებოდა, როგორი იყო, რადგან მრავალი ადამიანის მსგავსად თავის გამოცდის სხვა რამ მეთოდი მას არ გააჩნდა, გარდა მოცემული ამოცანის გადაჭრისა ან მასთან დამოკიდებულებისა. საკუთარი ღირსების გრძნობა არ შეულახავს, არც აზიზობა სჩვეოდა და

არც ქედმაღლობა. ამიტომაც არც შეკეთება სჭირდებოდა და არც საპოხი, რასაც სინდისის გამოცდა ჰქვია. ძლიერი იყო? არ იცოდა; ამის თაობაზე საბედისწეროდ ცდებოდა. ალბათ, იმ ადამიანთაგანი იყო, ვისაც საკუთარი ძალების სჯერა. ეჭვი არც ახლა ეპარებოდა, რომ გამოცდილების ქონასა და თვისებებს შორის განსხვავება მხოლოდ თავის დაჭერის მანერაშია, რაღაც თვალსაზრისით ნებელობითი აქტია და საზოგადოსა და პირადულს შორის ამორჩეული საფეხური, სადაც ადამიანს უწევს ცხოვრება. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, მოვლენების მიმართ, რომელიც მას შეემთხვევა ან რომელსაც იგი გამოიწვევს, ადამიანს შესაძლოა მეტად საზოგადო ან მეტად პიროვნული დამოკიდებულება ჰქონდეს. დარტყმა ტკივილის გარდა შეურაცხყოფასაც განგვაცდევინებს. ეს გრძნობები კი ამ დარტყმას უსაშველოდ აძლიერებს. თუმცა იგივე დარტყმა შეიძლება სპორტული თვალსაზრისითაც განვიხილოთ, დაბრკოლებად მივიჩნიოთ და მას არც შევუშინდეთ და არც ბრმად განგვარისხოს. ასეთ დროს დარტყმას ხშირად ვერც კი ვამჩნევთ. მეორე შემთხვევაში დარტყმას ადამიანი ზოგად, კერძოდ კი საბრძოლო, სისტემაში მიუჩენს ადგილს, სადაც უკვე მისი არსი შესასრულებელ ამოცანაზეა დამოკიდებული. განცდა თავის მნიშვნელობასა და შინაარსსაც თანმიმდევრულ მოვლენათა ჯაჭვში ადგილის მოპოვებით იძენს. სწორედ ამ ფენომენის დემონსტრირებას ახდენს თითოეული ადამიანი, ვინც განცდილს არა მხოლოდ პერსონალურ მოვლენად მიიჩნევს, არამედ სულიერი ძალის გამოწვევადაც აღიქვამს. მაშინ ისე მწვავედ აღარც ის აღიქმება, რასაც ადამიანი თავად აკეთებს. თუ ადამიანმა, ვისაც კრივთან საერთო არაფერი აქვს, ისეთივე ძალა გამოიჩინა, რაც იმავე კრივში უპირატესობად ითვლება, მაშინ მას გულცივ და დაუნდობელ ადამიანს უწოდებენ. ამგვარ შეხედულებას ცხოვრებასთან ინტელექტუალური დამოკიდებულება ბადებს. საჭიროა მრავალნაირი განსხვავება, რათა გარემოებისდა მიხედვით გამოვიყენოთ ან წავახალისოთ საზოგადო თუ პერსონალური ქცევები. თუ მკვლელი პროფესიულად მოქმედებს, მას განსაკუთრებული სისასტიკის კვალიფიკაცია ეძლევა. თუ პროფესორი თავის გამოთვლებს ცოლის სასიყვარულო მკლავებში გამომწყვდეული აგრძელებს, მაშინ მისი მოღვაწეობა მეტისმეტად მშრალია. თუ პოლიტიკოსი გვამებზე გადავლით იპყრობს სიმაღლეს, იმის მიხედვით, რა წარმატებას მიაღწევს იგი, ის ან უნამუსოდ ითვლება, ან კიდევ გმირად.

ჯარისკაცებისგან, ჯალათებისა და ქირურგებისგან კი, პირიქით, იმგვარ შეუდრეკელ ხასიათს ითხოვენ, როგორსაც სხვაში განსჯიან. მოყვანილი მაგალითების მორალური მხარის განსჯის გარეშეც კარგად ჩანს ის არასაიმედოობა, რომლითაც ობიექტურ და პიროვნულად სწორ საქციელს შორის ყოველთვის კომპრომისი მიიღწევა.

ამგვარი არასაიმედოობა ულრიხის პერსონალურ საკითხს ფართო ფონს უქმნიდა. დღევანდელისგან განსხვავებით ინდივიდუალურობას წინათ სინდისთან გარიგება არ სჭირდებოდა. ადამიანები ხორბლის თავთავებს ჰგავდნენ. ღმერთი, სეტყვა, ხანძარი, შავი ჭირი და ომი მათ, ალბათ, უფრო ძლიერ არხევდათ, ვიდრე დღეს და ისინიც ქალაქებთან და მიწასთან ერთად ყანებივით ღელავდნენ. რომელიმე ცალკეული თავთავის ინდივიდუალური რხევა მკაფიოდ განსაზღვრული მოვლენა იყო და მასზე პასუხსაც ვინმე აგებდა. დღეს კი, პირიქით, პასუხისმგებლობა ეკისრება არა ადამიანს, არამედ მოვლენათა ურთიერთკავშირს: განა შესამჩნევი არ არის, რომ მოვლენები ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობს? მათ თეატრში, წიგნებში, კვლევით ცენტრებსა და სამეცნიერო ექსპედიციებში, იდეოლოგიურ და რელიგიურ გაერთიანებებში გადაინაცვლეს. ესენი კი, სოციალური ექსპერიმენტის მსგავსად, გარკვეული ტიპის განცდას სხვათა ხარჯზე განავითარებენ და თუ ეს განცდები მოცემულ მომენტში სამუშაოს არ დაუკავშირდა, მაშინ ისინი უბრალოდ ჰაერში გამოკიდებული რჩება. ვის შეუძლია იმის თქმა, რომ მისი მრისხანება ნამდვილად მისია? დღეს, როცა ყველა თავის სათქმელს ამბობს და ყველას ყველაფერი უკეთესადაც გაეგება, ვიდრე მას?! გაჩნდა თვისებათა სამყარო კაცის გარეშე, განცდათა სამყარო – განმცდელის გარეშე და როგორც ჩანს, იდეალურ შემთხვევაში, ადამიანი ინდივიდუალურად ვეღარაფერს განიცდის და პირადი პასუხისმგებლობის სასიამოვნო სიმძიმე შესაძლებელი მნიშვნელობების ფორმულათა სისტემაში განქარდება. ანთროპოცენტრული მსოფლმხედველობის რღვევა, რომელსაც ამდენი ხნის მანძილზე ადამიანი სამყაროს ცენტრად მიაჩნდა, თვით „მესაც“ შეეხო, რადგან რწმენა იმისა, რომ განცდაში მნიშვნელოვანი სწორედ განცდაა, ქმედებაში კი – ქმედება, დღეს მრავალთათვის მხოლოდ გულუბრყვილო წარმოდგენად იქცა. ცხადია, ისეთებიც არსებობენ, ინდივიდუალური ცხოვრების

წესს რომ მისდევენ და ამბობენ: „გუშინ ამასთან და ამასთან ვიყავით“ ანდა „დღეს ამას და ამას ვაკეთებთო“, ამით ხარობენ და თანაც ამ ნათქვამში არც რამე სხვა შინაარსს დებენ და არც რამე სხვა მნიშვნელობას ანიჭებენ. მათ უყვართ ყველაფერი ის, რასაც ეხებიან და ინდივიდუალურ სახეს ინარჩუნებენ იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მათთან შეხებისას სამყარო ინდივიდუალურ იერს იძენს და ცისარტყელასავით ნათდება. შესაძლოა, ისინი ბედნიერებიც იყვნენ, მაგრამ სხვათა თვალში აბსურდულ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თუმცა ძნელია იმის თქმა – რატომ... ამგვარ ფიქრებში გართული ულრიხი თავის თავს ღიმილით გამოუტყდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც რაღაც ხასიათს წარმოადგენდა, თუმცა ხასიათი არ გააჩნდა.

40. კაცი, რომელსაც თვისებები აქვს, მაგრამ ის მათდამი გულგრილია. სულის მეუფეს აპატიმრებენ და პარალელური აქცია საპატიო მდივანს იძენს

არ არის ძნელი ამ ოცდათორმეტი წლის კაცის – ულრიხის – ზოგადი შტრიხებით აღწერა, მაშინაც კი, როცა საკუთარი თავის შესახებ მხოლოდ ის იცის, რომ ყველა თვისება მისთვის ერთდროულად უცხოც არის და ნაცნობიც და მათ მიმართ – სულერთია, ეკუთვნის თუ არა ისინი მას – უცნაურ გულგრილობას იჩენს. სხარტ გონებასთან ერთად, რასაც წინაპირობად მისი მრავალმხრივი მონაცემები უდევს საფუძვლად, გარკვეული აგრესიულობაც ახასიათებს. აზროვნებს მამაკაცურად, არ არის მგრძნობიარე და, თუ მის მიზნებს არ ემსახურება, იშვიათად უჩნდება სხვისი გაგების სურვილი. თუ ვინმეს პატივს არ სცემს, არც მის უფლებებს ითვალისწინებს, ეს კი იშვიათად ხდება. მუდამ ყველაფერს უარყოფს, ამის უნარი კი წლების განმავლობაში განუვითარდა. ეს გრძნობის მოქნილი დიალექტიკაა, რაც მას იქითკენ უბიძგებს, რომ საზოგადოდ აღიარებულ სიკეთეში ხინჯი აღმოაჩინოს, აკრძალული კი, პირიქით, დაიცვას და უკუაგდოს მოვალეობები იმ გაღიზიანებით, რომელიც საკუთარი თავისთვის მოვალეობების დაკისრების სურვილიდან მომდინარეობს. მიუხედავად ამ სურვილისა, ზნეობრივ წინამძღოლობას – ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რის უფლებასაც თავს აძლევს – ქცევის რაინდულ კოდექსს უთმობს, რასაც ბურჟუაზიული საზოგადოების თითქმის

ყველა მამაკაცი იცავს მანამ, სანამ ცხოვრების ნორმალური პირობებია შენარჩუნებული; იმ ადამიანის ქედმაღლობით, უცერემონიოობით და დაუდევრობით, რომელიც მოწოდებულია, თავის საქმეს აკეთებდეს, სხვა ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობს და საკუთარ უნარსა თუ მიდრეკილებებს მეტ-ნაკლებად სასარგებლოდ და რაციონალურად იყენებს. ბუნებრივი მისწრაფებისა და არა პატივმოყვარეობის გამო მიჩვეულია, საკუთარი თავი მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევ იარაღად მიიჩნიოს. ულრიხს ამ მიზნის დროულად შეცნობის იმედი ჰქონდა და დღესაც კი, როცა მიხვდა, რომ ცხოვრება უგზო-უკვლოდ დაახეტებდა, მალევე ისევ ის გრძნობა დაეუფლა, თითქოს სწორ გზაზე მდგარიყოს და ცხოვრების დაგეგმვით თავს დიდად არ იწუხებდა. არ არის იოლი ამგვარი ბუნების ადამიანში მამოძრავებელი იმპულსის შეცნობა. საკუთარი ნიჭისა და გარემოების წყალობით ის მრავალმხრივ ადამიანად ჩამოყალიბდა, ძლიერი უკუქმედების ძალას კი მისი ბედი ჯერ კიდევ არ გამოეაშკარავებინა. რაც მთავარია, გადაწყვეტილების მისაღებად რაღაც ისეთი აკლდა, რაც მისთვისვე უცნობი იყო. ულრიხი ის ადამიანია, ვისაც თავისი თავის წინააღმდეგ თითქოს რაღაც აიძულებდეს ცხოვრებას, თუმცა, ერთი შეხედვით, ძალდაუტანებლად და ბუნებრივად ცხოვრობს.

ლაბორატორიასთან სამყაროს შედარებამ მასში კვლავ გამოაღვიძა მივიწყებული სახე-ხატი. წინათ ცხოვრება ხშირად ისეთად წარმოედგინა, როგორიც თავად მოეწონებოდა – საცდელი ლაბორატორიის მსგავსად, სადაც ადამიანის ჩამოყალიბების საუკეთესო მეთოდებს ცდიან და აღმოაჩენენ კიდეც. სხვა ამბავი იყო, რომ მთელი ლაბორატორია დაუგეგმავად მუშაობდა და არც ხელმძღვანელი ჰყავდა და არც თეორეტიკოსი. ალბათ, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ის თავად გახდებოდა სულის მეუფე და მბრძანებელი. ან კი ვინ იტყოდა ამაზე უარს? ბუნებრივია, რომ სული უზენაესია და ყოვლის მბრძანებელი. ამას გვასწავლიან კიდეც. ყველას, ვისაც შეუძლია, თავს მისით ირთავს და ილამაზებს. სული, რამესთან კავშირში, ყველაზე გავრცელებული რამ არის, რაც კი ამქვეყნად არსებობს. ერთგულების, სიყვარულის, ვაჟკაცობის სული, განმანათლებლობის სული, ყველაზე დიადი ტიტანურ სულთა შორის... წმინდად შემოვინახოთ ამა თუ იმ საქმის სული და მისი სულისკვეთებით ვიმოქმედოთ – რა მტკიცედ და

უმწიკვლოდ ჟღერს იგი თვით დაბალ საფეხურზეც კი. სხვა დანარჩენი, ყოველდღიური ბოროტმოქმედება თუ გულმოდგინე მომხვეჭელობა, იმ სიბინძურედ ჩანს, ღმერთი ფეხის თითების ფრჩხილებიდან ჭუჭყივით რომ იცილებს.

მაგრამ თუ სული მარტო აღმოჩნდა, მხოლოდ შიშველი არსებითი სახელი, აჩრდილი, ვისი სიშიშვლეც, გინდა, რომ ზეწრით შემოსო? მაშინ რაღა იქნება? კაცს შეუძლია პოეზია იკითხოს, ფილოსოფია შეისწავლოს, ნახატები იყიდოს და გათენებამდე ისაუბროს, მაგრამ განა ის სულია, რასაც ის ამ დროს შეიძენს? დავუშვათ, რომ პირდაპირ, ასე უბრალოდ შესაძლებელია მისი შეძენა. შეინარჩუნებს კი შემდეგ მას? მეტისმეტად ღრმად არის სული თვითგამოვლენის შემთხვევით ფორმებთან დაკავშირებული! იგი განმსჭვალავს მისი შეძენის მოსურნეს და ცოტაოდენ ელდას უტოვებს. რა ვუყოთ, რა მოვუხერხოთ მაინც მთელ ამ სულს? ასტრონომიული რაოდენობით ის ხელახლა, კვლავ და კვლავ, დასტა-დასტა ქაღალდებზე, ქვაზე, ტილოზე წარმოიქმნება და ენერგიის უსაშველოდ დახარჯვის ხარჯზე განიცდება და აღიქმება. მერე რა ემართება? მირაჟივით ქრება? ნაწილაკებად იფანტება? ნივთიერების შენახვის მიწიერ კანონს ხელიდან უსხლტება? მტვრის ნამცეცები ჩვენში იძირება, სიმშვიდეს პოვებს და ამ სიმრავლეს ვერ შეედრება. სად ქრება, სად არის ან რა არის იგი? იქნებ ცოტა უფრო მეტი რომ გვცოდნოდა ამ არსებითი სახელის – სულის შესახებ, დამთრგუნველი სიჩუმე ჩამოწოლილიყო?

დადგა საღამო. სახლებმა თითქოს სივრცე გამოანგრიეს. ასფალტი და რკინის რელსები ქალაქის გაცივებულ ნიჟარად იქცნენ – მშობელ ნიჟარად, ბავშვური, მხიარული, ავი მოძრაობებით სავსე ნიჟარად, სადაც ყველა პატარა წვეთად, შხეფად იწყებს არსებობას. თავიდან პატარა აფეთქებით იწყება, კედლები მას მიიტაცებს, გააგრილებს, დაარბილებს და ისიც უმოძრაოდ, ფაქიზად მშობელი ნიჟარის კედლებს მიეკვრება, ბოლოს ერთი ბეწვა წვეთად ქცეული მის კედლებს მიეყინება. ულრიხმა უცებ გაიფიქრა: „რატომ მომლოცველი არ გავხდი?“. წარმოიდგინა ცინცხალი ჰაერივით ძალ-ღონის გამომლევი, შეურყვნელი, მიწიერი პირობითობისგან თავისუფალი ყოფა. ვინც ცხოვრებაზე უარს აცხადებს, წმინდანის მსგავსად „არას“ თქმა მაინც უნდა შეძლოს. და მაინც სერიოზულად ამაზე ფიქრი შეუძლებელი იყო. ვერც

თავგადასავლების მაძიებლად ივარგა, თუმცა ცხოვრება თაფლობის თვეს ჰპირდებოდა და ეს სიამე მის სხეულსა და გაბედულებასაც სწყუროდა. ვერც პოეტი გახდა და ვერც ერთი იმ იმედდაკარგულთაგანი, მხოლოდ ფულის და ძალაუფლების რომ სწამს, თუმცა კი საამისოდ ყველა მონაცემი ჰქონდა. ასაკი დაავიწყდა და წარმოიდგინა, თითქოს ოცი წლის იყო; და მაინც შინაგანად გადაეწყვიტა, რომ არც ერთი მათგანი არ გახდებოდა. ყველაფერი იზიდავდა, მაგრამ რაღაც მასზე უფრო ძლიერი გზას უღობავდა. რატომ ცხოვრობდა ასე გაუბედავად, რატომ იყო მისი ცხოვრება ასეთი ბუნდოვანი? „უდავოა, – ფიქრობდა ულრიხი, – რამაც იგი მარტოსული და უსახელო ყოფიერებისთვის გაწირა, სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც კაცს სამყაროსთან მიბმულობასა და მასთან კავშირის გაწყვეტას აიძულებს, ის, რასაც ერთი სიტყვით „სულს“ ეძახიან და რასთანაც პირისპირ შეხვედრას ყველა გაურბის“. თვითონაც ვერ აეხსნა, რატომ, მაგრამ ულრიხი უცებ სევდამ მოიცვა და გაიფიქრა: „უბრალოდ, საკუთარი თავი არ მიყვარს“. ქალაქის გათოშილ, გაქვავებულ სხეულში საკუთარი გულის ძგერა იგრძნო. რაღაც არ აჩერებდა, ფეხს ვერსად იკიდებდა და გრძნობდა სამყაროს კედლებს, რომლის გასწვრივაც გზას მიუყვებოდა. მილიონობით სხვა კედელიც ხომ არსებობს; ეს სასაცილო წვეთი, ეს „მე“, ნელ-ნელა ცივდება, მისი ერთი ბეწვა ნაღვერდალი და მხურვალება კი არ ნებდება და არ ქრება.

სულმა შეიტყო, რომ სილამაზე ქმნის სიკეთეს, უკეთურობას, სისულელეს და მომხიბვლელობას. სული ანაწევრებს ცხვარსაც და მომნანიე ცოდვილსაც და ორივეში მორჩილებას და მოთმინებას პოულობს; იკვლევს ნივთიერებას და არკვევს, რომ დიდი რაოდენობით ის შხამია, მცირეთი კი – ნუგბარი. იცის, რომ ტუჩის და ნაწლავის ლორწოვანი გარსი ერთმანეთის მსგავსია, ისიც იცის, რომ ამავე ტუჩის თვინიერება ყოვლადწმინდის თვინიერებას ჰგავს. სული ყველაფერს შლის, კრებს და ახლებურად აწყობს. სიკეთე და ბოროტება, ზემოთ და ქვემოთ მისთვის პირობითი, სკეპტიციზმით სავსე ცნებები კი არა, ფუნქციათა წევრებია, იმ კავშირზე დამოკიდებული ღირებულებებია, რომელშიც ისინი არსებობს. საუკუნეებმა ასწავლეს: მანკიერება შეიძლება სათნოებად იქცეს, სათნოება კი – მანკიერებად. სული თვლის, რომ თუკი ჯერ კიდევ ერთი ცხოვრების ფარგლებში ბოროტმოქმედი სასარგებლო ადამიანი ვერ ხდება, ამის მიზეზი უგერგილობა და უნიათობაა. არც

აკრძალულს ცნობს და არც ნებადართულს, რადგან, შესაძლოა, ყველაფერი ფლობდეს თვისებას, რის მეოხებითაც ერთ მშვენიერ დღეს დიდ, ახალ კავშირთა სისტემაში ადგილს მოიპოვებს. ფარულად სიკვდილივით სძულს ვითომცდა მაღალი იდეალები და კანონები – შეზღუდული ადამიანის პატარა, გაქვავებული ტვიფრი. არც ერთი საგანი, „მე“ თუ წესრიგი არ მიაჩნია მყარად, რადგან ადამიანის ცოდნა შეიძლება ყოველდღე შეიცვალოს, ამიტომაც არანაირი კავშირების არ სჯერა. ყველა და ყველაფერი ღირებულებას ფლობს მანამ, სანამ შექმნის მორიგი აქტი არ განხორციელდება, იმ სახის მსგავად, რომლის გამომეტყველებაც მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვის მიხედვით იცვლება.

ამგვარად, სული დიდი კონფორმისტია, თავად კი მოუხელთებელია და კაცმა ლამის დაიჯეროს, რომ მისი ზემოქმედებისგან მხოლოდ რღვევაღა რჩება. ყოველი პროგრესი ცალკეულ შემთხვევაში მოგებაა, საერთო ჯამში კი – დაშლა. ეს არის ძალის გაცემა, რაც პროგრესირებად უძალობაში გადაიზრდება, ამას კი ვერსად გავექცევით. ულრიხს გაახსენდა ფაქტებისა და აღმოჩენების სხეული, ლამის ყოველ საათს რომ იზრდება. თუკი სულს სურს, რომ მოვლენებს დააკვირდეს, დღეს ამ სხეულიდან უნდა გამოიხედოს. ეს სხეული იზრდება და თავის შუაგულს სცილდება. უთვალავი მოსაზრება, კონცეპტი, კლასიფიკაციის უნარის მქონე ყველა დროისა და მოცულობის იდეები, ჯანმრთელი და ავადმყოფი, მეოცნებე და ფხიზელი ტვინები ათასობით პატარა, მგრძნობიარე ნერვულ ბოჭკოსავით განმსჭვალავს მას, მაგრამ ის ცენტრი, სადაც ისინი თავს მოიყრიდნენ, არ არსებობს. ადამიანი გრძნობს მოახლოებულ საფრთხეს; მან, შესაძლოა, წარღვნამდელი გიგანტური ცხოველების ბედი გაიზიაროს, სწორედ თავისი სიდიდის გამო რომ გადაშენდნენ. ადამიანი კი უკან ვეღარ დაიხევს... ულრიხს ის საეჭვო იდეა გაახსენდა, რისაც ამდენ ხანს ასე სჯეროდა და დღესაც ვერ ამოეძირკვა ეს რწმენა; რწმენა იმისა, რომ სამყაროს მცოდნე და პროგრესული ადამიანებისგან შემდგარი სენატი უნდა მართავდეს. ხომ ბუნებრივია, ავადმყოფმა ექიმს მიმართოს და არა მეცხვარეს; და თუ ჯანმრთელია, რაში სჭირდება, დახმარებისთვის ყბედთან მივიდეს, მწყემსზე მეტი რომ არ გაეგება, როგორც საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრის დროს იქცევა ხოლმე. სწორედ ამიტომ მიაჩნია ახალგაზრდობას ამქვეყნად

ყველაფერი ის მეორეხარისხოვნად, რასაც ვერც ჭეშმარიტებას, ვერც სიკეთეს და ვერც მშვენიერებას ვერ დაარქმევ, მაგალითად, ფინანსური დაწესებულებები, და თუ სათქმელს უფრო მივუახლოვდებით, საპარლამენტო დებატები, რადგან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მართლაც არსებითს ცხოვრებაში. ყოველ შემთხვევაში, უწინ ისინი ასე ფიქრობდნენ, დღეს კი, თუ ხმებს დავუჯერებთ, ეკონომიკური და პოლიტიკური აღზრდის წყალობით სულ სხვანი გახდნენ. მაგრამ მაშინაც კი, ასაკთან ერთად, სულის საბოლველთან ხანგრძლივი ნაცნობობის შემდეგ, სადაც სამყაროს საქმიანი ქონი ბოლში გამოჰყავს, ადამიანი რეალობასთან მორგებას სწავლობდა. სულიერად გაწაფულის საბოლოო მდგომარეობა კი ისეთი ხდებოდა, რომ იგი თავისი სპეციალობით იფარგლებოდა, ცხოვრების დარჩენილ ნაწილს კი იმ მოსაზრებით ატარებდა, ალბათ, ყველაფერი სხვაგვარად უნდა მოწყობილიყო, მაგრამ ამაზე ფიქრს ახლა აზრი აღარ აქვსო. დაახლოებით ასეთია იმ ადამიანთა შინაგანი წონასწორობა, ვინც სულიერ სფეროში რაღაცას აღწევს. ამ ყოველივემ ულრიხისათვის უცნაურად ერთ კითხვაში მოიყარა თავი: უბედურება იმაში ხომ არ მდგომარეობს, რომ თავად სული – ის ხომ საკმარისია ამ ქვეყანაზე – დაიცალა სულიერებისგან?

ულრიხს სიცილი მოუნდა. ის თავად იყო ამ უარმყოფელთაგან ერთ-ერთი. იმედგაცრუებულმა, მაგრამ ჯერაც არგანელებულმა პატივმოყვარეობამ ხანჯალივით დაუარა მთელ მის არსებას. ქუჩაში იმწუთას ორი ულრიხი მიდიოდა. ერთი მათგანი იღიმებოდა და ფიქრობდა: „ოდესღაც აი აქ, ამ კულისებში, ვაპირებდი ჩემი როლის შესრულებას. ერთ მშვენიერ დღეს გამოვიღვიძე არა უზრუნველმა დედის კალთაში, არამედ მყარი გადაწყვეტილებით, რომ რამე მომემოქმედა. რაღაც რეპლიკებს მკარნახობდნენ, მე კი არც ერთი არ მეხებოდა: როგორც სცენაზე გასვლის წინ, ყველაფერი მოლოდინით და იმედით იყო პირთამდე სავსე. იატაკი კი უცაბედად შემოტრიალდა, ჩემი სავალი გზა გავიარე და აი ახლა თითქოს გასასვლელთან ვდგავარ. იატაკი ისევ დატრიალდება, სცენიდან გამიყვანს და მეც ჩემი ერთი დიდი როლიდან წარმოვთქვამ: „ცხენები შეკაზმულია, ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ!“. იმ დროს, როცა პირველი ულრიხი, ფიქრებში გართული, საღამოს ქალაქის ქუჩებს ღიმილით მიუყვებოდა, მეორეს სიმწრისა და ბოღმისაგან ხელები მოემუშტა. ეს მეორე ულრიხი ნაკლებად

ხილული იყო და იმაზე ფიქრობდა, ჯადო სიტყვა მოეძებნა, რამე სახელური, რასაც იქნებ ჩასჭიდებოდა – სულთა სული, ის, რაც მას აკლდა, სულ მცირე მაინც, გარღვეული წრის შესაკრავად. ეს მეორე ულრიხი საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა. სიტყვები მაიმუნებივით ხტოდნენ ხიდან ხეზე, ბნელ ნაწილში კი, სადაც შენი ფესვებია ჩაზრდილი, სიტყვები მომრიგებელი შუამავლის როლს ვეღარ ასრულებენ. ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა, თვალებს ძლივს ახელდა. ნუთუ შეიძლება, გრძნობა ქარიშხალივით ბობოქრობდეს და ბობოქარ გრძნობად მაინც ვერ იქცეს?! ბობოქარ გრძნობაში იმას გულისხმობენ, როცა ადამიანის ქერქი გმინავს, ტოტები კი ისე ძლიერ ირხევა, რომ ლამის გადატყდეს. ეს ქარიშხალი კი ზედაპირამდეც ვერ აღწევდა. ცვლილებისა თუ შემობრუნების მდგომარეობასაც ვერ დაარქმევდით, სახეზე ნაკვთსაც რომ ვერ აკრთობს, შიგნით კი, ალბათ, ერთ ატომსაც კი არ ტოვებს შეურყეველს. ულრიხი საღად აზროვნებდა, მაგრამ მისი თვალები ყოველ შემხვედრს, სმენა კი – ყოველ ბგერას სულ სხვაგვარად აღიქვამდა, ვიდრე ჩვეულებრივ; უფრო მკაფიოდო, ვერ იტყოდი, ვერც ღრმად ანდა რბილად, ვერც ბუნებრივად ან არაბუნებრივად: ულრიხს არაფრის თქმა არ შეეძლო, მაგრამ იმწუთას ამ უცნაურ „სულზე“ ფიქრობდა, როგორც შეყვარებულზე, მთელი ცხოვრება რომ გღალატობს და შენ კი კვლავ ძველებურად გიყვარს.

როცა გიყვარს, ყველგან სიყვარულია, მაშინაც კი, როცა ირგვლივ ტკივილი და ზიზღია. პატარა ტოტიც და ბინდში ფერწასული ფანჯრის მინებიც კი ენით გამოუთქმელ, მის, ულრიხის, არსებაში ჩაძირულ შთაბეჭდილებად ქცეულიყო. საგნები არც ხის იყო და არც ქვისა, ისინი რაღაც გრანდიოზული, უსაშველო სინაზისგან იყვნენ შექმნილი და ულრიხთან შეხებისთანავე მასში დიდი მორალური რყევის მიზეზად იქცნენ.

ეს ყველაფერი იმდენ ხანს გაგრძელდა, რამდენ ხანსაც ღიმილი გრძელდება. ულრიხმა გაიფიქრა: „რა გაეწყობა, დავრჩები იქ, სადაც ბედისწერამ მიმიყვანა.“

ის, რაც მოხდა, სხვა სამყაროში იღებს სათავეს და არა იქ, სადაც ულრიხმა ხე და ქვა საკუთარი არსებობის მგრძნობიარე გაგრძელებად განიცადა.

მუშათა გაზეთმა, როგორც გრაფი ლაინსდორფი იტყოდა, დიდ

იდეას თავს ლაფი დაასხა: ამტკიცებდა, ეს იდეა ბატონკაცების მორიგი ახალი სენსაციაა და სხვა არაფერი და ის ბოლო დროს ჩადენილი მანიაკალური მკვლელობის გვერდით განხილვაზე მეტს არაფერს იმსახურებსო, რითაც ერთი ახალგაზრდა მუშა შეაგულიანა, ცოტა უფრო მეტი რომ დაელია, ვიდრე საჭირო იყო. ეს ახალგაზრდა ორ პატიოსან მოქალაქეს გადაეკიდა, რომელთაც იმ დღის შესრულებული საქმით მოგვრილი სიამოვნება სახეზე დასტყობოდათ და სამამულო აქციას, რომლის შესახებაც თავიანთ გაზეთში წაეკითხათ, საკმაოდ ხმამაღლა უცხადებდნენ სოლიდარობას, რადგან მიაჩნდათ, ადამიანმა კეთილშობილური მოსაზრებები ხმამაღლა უნდა განაცხადოსო. ამას სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოჰყვა. პოლიციელის სიახლოვით შეგულიანებული კეთილგონიერი მოქალაქეები აბეზარ მუშას აღიზიანებდნენ, რის გამოც კამათმა აგრესიული ფორმა მიიღო. პოლიციელი მათ ჯერ გვერდიდან ადევნებდა თვალყურს, შემდეგ – წინიდან, ბოლოს კი – ახლო დისტანციიდან. პოლიციელი რკინის მექანიზმის – სახელმწიფოს – ღილებითა და ლითონის ნაწილებით დამშვენებული შვერილივით იდგა და ამ კინკლაობას აკვირდებოდა. კეთილმოწყობილ სახელმწიფოში მუდმივ ცხოვრებას აჩრდილივით თან რაღაც სდევს; ვერც ქუჩაში გახვალ, ვერც ერთ ჭიქა წყალს დალევ და ვერც ტრამვაიში ჩაჯდები, კანონებისა და კავშირების გიგანტური აპარატის კარგად დაბალანსებულ ბერკეტს რომ არ შეეხო, მოძრაობაში არ მოიყვანო ან ჩვენი არსებობის სიმშვიდის შესანარჩუნებლად არ აამოქმედო.

ჩვენ მხოლოდ ამ მექანიზმში ჩაკარგული ბერკეტის მცირე ნაწილს ვიცნობთ, მეორე მხრივ კი ის ქსელურ სისტემაშია ჩართული, რომლის შემადგენლობაშიც ჯერ კაციშვილი ვერ გარკვეულა და ამიტომაც მის არსებობას არავინ ცნობს; ისევე, როგორც მოქალაქე, ჰაერის არსებობას რომ უარყოფს და ამტკიცებს, ჰაერი სიცარიელეაო. ცხოვრების მოჩვენებითობაც სწორედ ამაში მდგომარეობს; რადგან ყოველივე უარყოფილი, რასაც ჰაერივით, წყალივით, სივრცისა და დროის მდინარებასავით არც ფერი, არც სუნი, არც გემო, არც წონა და არც მორალი არ გააჩნია, სინამდვილეში ყველაფერზე მნიშვნელოვანია. დროდადრო, როგორც ნებელობაწართმეულს სიზმარში, ადამიანს პანიკა მოიცავს და მისთვის გაუგებარ ქსელში გაბმული, მხეცივით ბრდღვინავს. სწორედ ასეთი

ზემოქმედება მოახდინა მუშაზე პოლიციელის ღილებმა და სახელმწიფო გუშაგმა მისი დაპატიმრება განიზრახა, რადგან იგრძნო, რომ ჯეროვან პატივს არ მიაგებდნენ.

ამ ყველაფერს კი წინააღმდეგობისა და მეამბოხე განცხადებების გარეშე არ ჩაუვლია. იმ ფაქტით ნაამებმა, რომ ამ აყალმაყალის გამომწვევი მიზეზი თავად ბრძანდებოდა, მთვრალმა ცოცხალი ქმნილებისადმი აქამდე დაფარულ მტრობას ბორკილები ახსნა და თვითდამკვიდრებისთვის გააფთრებული ბრძოლაც დაიწყო. „მეს“ უმაღლესი შეგნება, თითქოს თავის ტყავში ვერ ეტევაო, შემზარავ გრძნობას ეპაექრებოდა. მყარი აღარც სამყარო იყო. ის ეფემერული გახდა და დეფორმირებული, წამდაუწუმ იერს იცვლიდა. სახლებს თითქოს სივრცე ირიბად გამოემტვრიათ, მათ შორის ადამიანები დაფუთფუთებდნენ – ტყუპისცალივით მსგავსი წვეთები. „ჩემი მოწოდება თქვენ შორის წესრიგის დამყარებაა“ – ფიქრობდა მთვრალი. სცენა რაღაც ნათებამ აავსო. მომხდარი მოვლენის რაღაც ფრაგმენტი მას გასაოცარი სიცხადით უახლოვდებოდა, მაგრამ კედლები ისევ აყირავდა, ორივე თვალი გადმოვარდნაზე ჰქონდა, ფეხისგულებით კი მიწას ჩაფრენოდა. პირიდან გამაოგნებელი ნიაღვარი წასკდა. შიგნიდან სიტყვები ამოედინებოდა. ძნელი სათქმელი იყო, შიგ როგორ მოხვდნენ, შესაძლოა, სალანძღავი სიტყვები იყო, თუმცა ამის გარკვევა ჭირდა. შინაგანი და გარეგანი ერთმანეთში აიზილა. ეს არ იყო შინაგანი ბოღმა, არამედ ბოღმის გაშმაგებამდე მისული სხეულებრივი სათავსი. პოლიციელის სახე ნელა უახლოვდებოდა შეკრულ მუშტს, სანამ სისხლი არ წასკდა.

ამასობაში პოლიციელიც გასამმაგდა. შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ მოსულ უსაფრთხოების დამცველებთან ერთად ხალხმაც მოიყარა თავი. მთვრალი მუშა მიწაზე დავარდა და დანებებას არ აპირებდა. აი, ამ დროს ულრიხმა გაუფრთხილებელი ნაბიჯი გადადგა. ბრბოში წამოსროლილ სიტყვებს „მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფას“ მოჰკრა ყური და განაცხადა, რომ ამ მდგომარეობაში ადამიანს ვინმეს შეურაცხყოფის უნარი ვერ ექნებოდა და უკეთესი იქნებოდა, თუ მას გამოსაძინებლად სახლში გაუშვებდნენ. ეს ფრაზა მან უცაბედად წარმოთქვა, მაგრამ ნათქვამი მიზანს ვერ მოარტყა. მთვრალმა დაიყვირა „შენცა და მისი უდიდებულესობაც ტ...-იც წასულხართო“, პოლიციელმა კი, რომელმაც მთელი დანაშაული

ამ ინციდენტში უცხო პირთა ჩარევას მიაწერა, ულრიხს უხეშად მოსთხოვა, აქედან აიბარგეო. ულრიხი კი მიჩვეული იყო, რომ სახელმწიფოში სასტუმროს მსგავსად გარანტირებული თავაზიანობით ექცეოდნენ და პროტესტი გამოთქვა იმ ტონის მიმართ, რომლითაც მას მიმართავდნენ. საპასუხოდ კი პოლიციელს სრულიად მოულოდნელად თავში აზრად მოუვიდა, რომ ერთი მთვრალი სამი პოლიციელისთვის საკმარისი არ იქნებოდა და ულრიხიც ბარემ თან გაიყოლეს.

ფორმიანმა ულრიხს მკლავში წაავლო ხელი. ულრიხი ბევრად ღონიერი იყო, მაგრამ რადგან შეიარაღებული სახელმწიფო ძალაუფლების წინააღმდეგ უიმედო ბრძოლაში ჩაბმას არ აპირებდა, ისღა დარჩენოდა, თავაზიანად ეთხოვა, რომ უფლება მიეცათ, ნებაყოფლობით წაჰყოლოდა. საგუშაგო პოლიციის კომისარიატის შენობაში მდებარეობდა. შესვლისთანავე ულრიხმა იგრძნო, რომ კედლებს და იატაკს ყაზარმის სუნი ასდიოდა. გარედან ჯიუტად შემოტანილ ჭუჭყსა და სადეზინფექციო საშუალებებს შორის აქაც დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღებულიყო. შემდეგ კი სამოქალაქო ხელისუფლების უცვლელი სიმბოლო – ბალუსტრადებიანი ორი საწერი მაგიდა შეამჩნია, რომელთაც რამდენიმე რიკული აკლდა. ეს იყო უბრალო, ყუთის მსგავსი მაგიდები, კაიზერ ფერდინანდის დროს მოყვითალო-ყავისფერი ლაქით დაფარული დაბალი, მომრგვალებული ფეხებით, რომელთაც აქა-იქღა შემორჩენოდა ლაქი, და დახეული, ამომწვარი გადასაფარებლებით. მესამე, რითაც ოთახი გაჟღენთილიყო, მძიმე შეგრძნება გახლდათ იმისა, რომ აქ ზედმეტი კითხვის დასმის უფლება არავის ჰქონდა. პოლიციელმა, რომელმაც ულრიხი განყოფილებაში მოიყვანა, დაპატიმრების მიზეზი მოახსენა და ულრიხს გვერდით სვეტივით ამოუდგა. ულრიხი შეეცადა, მაშინვე რაღაც აეხსნა მათთვის. პოლიციის უნტერ-ოფიცერმა, ამ ციხესიმაგრის მეთაურმა, ცალი თვალით ახედა ულრიხს, საგულდაგულოდ შეათვალიერა და უხმოდ განაგრძო ანკეტის შევსება, რითაც იგი მანამდეც იყო დაკავებული, როცა ბადრაგმა დაპატიმრებულები შემოიყვანა. ულრიხმა თითქოს მარადისობა იგრძნო. შემდეგ უნტერ-ოფიცერმა ქაღალდები გვერდზე გადადო, თაროდან წიგნი ჩამოიღო, შიგ რაღაც ჩაწერა, ზემოდან ქვიშა მოაყარა და წიგნი თავის ადგილზე დააბრუნა. ახლა მეორე წიგნი აიღო, მასშიც რაღაც ჩაწერა, ისევ მოაყარა ქვიშა, ქაღალდების დასტიდან საქაღალდე გამოაძრო და

საქმიანობა განგრძო. ულრიხს მოეჩვენა, რომ მეორე მარადისობა გრაგნილივით ჩამოიშალა, ვარსკვლავები ცის თაღზე თავის გზას მიუყვებოდნენ, თვითონ კი ამქვეყნად არ არსებობდა.

საკანცელარიო ოთახიდან კარი დერეფანში გადიოდა. მის გაყოლებაზე საკნები იყო ჩარიგებული. ამ კარიდან დერეფანში მაშინვე გაიყვანეს მისი პროტეჟე. ალბათ, სიმთვრალემ ძილი მოჰგვარა, რადგან მისი ხმა აღარავის გაუგია. დერეფანს, როგორც ჩანს, მეორე შესასვლელიც ჰქონდა: ულრიხს მძიმე ნაბიჯები, კარის მიჯახუნება და დახშული ხმები ესმოდა. როცა ვიღაც ახალი მოიყვანეს, ულრიხს ერთ-ერთი ასეთი ხმის სასოწარკვეთილი მუდარა მოესმა: „ადამიანობის ნასახი მაინც თუ შეგრჩენიათ, ნუ დამაპატიმრებთ!“. შემდეგ ეს ხმა სადღაც გადაყირავდა. ფუნქციონერის გრძნობების გამოსაფხიზლებლად მიმართული ხმა უადგილოდ და სასაცილოდ ჟღერდა: ფუნქციები ხომ მხოლოდ საქმიანად სრულდება. უნტერ-ოფიცერმა წამით ამოიხედა ისე, რომ საქმიანობა არ შეუწყვეტია. ულრიხს ფეხების ბრაგაბრუგი მოესმა. მათი პატრონების სხეულები აშკარად ვიღაცის სხეულს აწვებოდნენ უხმოდ, რომელიც მათ წინააღმდეგობას უწევდა. შემდეგ, თითქოს ორი სხეული ბიძგმა შეარყიაო, ისეთი ხმა გაისმა, კარი მთელი ძალით მიჯახუნდა და ჩაირაზა. საწერ მაგიდასთან მჯდომმა ფორმიანმა კაცმა თავი დახარა და ოთახში სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც წინადადების შემდეგ ზუსტად დასმულ წერტილს მოჰყვება ხოლმე.

ულრიხი კი, როგორც ჩანს, ცდებოდა, როცა გადაწყვიტა, რომ პოლიციური კოსმოსისთვის არ იყო შექმნილი. როგორც კი მეორედ ასწია თავი, უნტერ-ოფიცერმა ამჯერად მას შეხედა. ახლად დაწერილი, შეუმშრალი სტრიქონები ბრწყინავდა. გაირკვა, რომ ულრიხის საქმეს დიდი ხანია აქაური ოფიციალური არსებობა დაეწყო. სახელი? ასაკი? პროფესია? მისამართი?.. ულრიხი დაკითხეს.

ულრიხი თითქოს რაღაც მანქანაში მოხვედრილიყო, რომელიც მას უპიროვნო, ზოგად ნაწილებად შლიდა, სანამ მისი დანაშაულისა თუ უდანაშაულობის გარკვევაზე მიდგებოდა საქმე. მისი სახელი და გვარი, შინაარსის თვალსაზრისით უღარიბესი, ემოციურად კი ენის უმდიდრესი ეს ორი სიტყვა, აქ აღარაფერს ნიშნავდა. სამეცნიერო სამყაროში სოლიდურად

მიჩნეული მისი ნამუშევრები, აღიარება რომ მოეპოვებინათ, ამ სამყაროსთვის არ არსებობდა, მათ შესახებ ერთხელაც კი არ უკითხავთ. მისი სახე მხოლოდ ნიშანთა ერთობლიობას წარმოადგენდა და სხვას არაფერს. თითქოს არასდროს უფიქრია, რომ ნაცრისფერი თვალები ჰქონდა, ერთ-ერთი ოფიციალურად აღიარებული იმ ოთხი სახესხვაობიდან, მილიონობით რომ გვხვდება. ჰქონდა ღია ფერის თმა, იყო მაღალი, სახის ოვალური მოყვანილობით, განსაკუთრებული ნიშნების გარეშე. თავად კი ამის თაობაზე სხვაგვარი მოსაზრებები გააჩნდა. ფიქრობდა, რომ ჰქონდა ძლიერი აღნაგობა, ანძაზე აფრიალებული იალქანივით ამობურცული, განიერი მხრები, კუნთები კი ფოლადის სალტეებივით შემოჭდობოდა სახსრებს, რაც განსაკუთრებით მაშინ დაეტყობოდა ხოლმე, როცა ბრაზობდა, ჩხუბობდა ან ბონადეას სხეული ეტმასნებოდა. როგორც კი წიგნი გაიტაცებდა ანდა მიუსაფარი სიყვარულის ამონასუნთქი დაუქროლებდა, რომლის შეცნობაც ვერასოდეს შეძლო, მაშინვე ზღვაში მოლივლივე მედუზასავით ნაზი, ფაქიზი, მუქი და რბილი ხდებოდა. სწორედ ამიტომ ამჩნევდა იქ იმწუთას თავისი პერსონის სტატისტიკურ განჯადოებას. პოლიციის მიერ მისი გაზომვისა და აღწერის მეთოდებს აღფრთოვანებაში მოჰყავდა – სატანის მიერ შექმნილი სატრფიალო ლექსის დარად. ჩინებული კი ის გახლდათ, რომ პოლიციას ადამიანის არა მარტო ისე დანაწევრება შეეძლო, რომ მისგან აღარაფერი დარჩენილიყო, არამედ ამ უბადრუკი ნაწილებიდან მისი შეუცდომლად აწყობისა და ამოცნობის უნარიც შესწევდა. ამის განსახორციელებლად კი მას სულ უმნიშვნელო რამ სჭირდებოდა და ამას იგი ეჭვს უწოდებდა.

ულრიხი მაშინვე მიხვდა, რომ მხოლოდ მშვიდი და საზრიანი მოქმედებით შეძლებდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას, რომელშიც იგი თავისი უგუნურობის წყალობით გაბმულიყო. მისი დაკითხვა გრძელდებოდა. წარმოიდგინა, რა ზემოქმედებას მოახდენდა, თუკი უპასუხებდა, რომ მისი ბინა უცხო პირს ეკუთვნოდა, ხოლო კითხვაზე, რატომ მოიქცა ასე, განუმარტავდა: არასდროს ვაკეთებ იმას, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანიაო. ფიზიკურ რეალობაში კი უყოყმანოდ დაასახელა ქუჩა, სახლის ნომერი და ცდილობდა, თავისი ქცევისთვის საპატიო მიზეზი მოეძებნა. სულის შინაგანი ავტორიტეტი უნტერ-ოფიცრის გარეგანი ავტორიტეტის წინაშე

მეტისმეტად უძლური აღმოჩნდა. თუმცა საბოლოოდ მაშველი ფანდის მოფიქრება მაინც შეძლო. როცა საქმიანობის შესახებ დასმულ კითხვაზე „თავისუფალი პროფესია“ დაასახელა – თავისუფალი მეცნიერის სათქმელად ენა ვერ მოუტრიალდა – ჯერ კიდევ გრძნობდა მისკენ მიმართულ შემფასებლურ მზერას, თითქოს „უსახლკარო“ ეხსენებინოს, ხოლო როცა დაკითხვის პროცესში მამამისის ვინაობაზეც მიდგა ჯერი და გამოირკვა, რომ იგი ზედა პალატის წევრი იყო, მისკენ მიმართული ეს მზერა შეიცვალა. ამ მზერაში უნდობლობა ჯერ კიდევ იგრძნობოდა, მაგრამ ულრიხს რატომღაც ისეთი გრძნობა დაეუფლა, შტორმში მოხვედრილ ადამიანს რომ უჩნდება ხოლმე, ზღვის ტალღები წინ და უკან რომ ახეთქებს, მაგრამ ფეხის ცერა თითით ფსკერს ეხება. ულრიხმა უცბადვე შეძლო, თავს დაუფლებოდა და შექმნილი სიტუაცია სათავისოდ გამოიყენა; მოცემული ჩვენება უმალ შეარბილა და სახელმწიფოს ფიცის ერთგულებასა და მის სადარაჯოზე მყოფ ფხიზელ ყურებს დაჟინებული მოთხოვნა დაუპირისპირა, რომ ის თავად კომისარს დაეკითხა. როცა მისმა მოთხოვნამ იქ მყოფთ ღიმილი მოჰგვარა, მოიტყუა – ოსტატური ბუნებრიობით, მაშინვე ჰაიჰარად მიეფუჩეჩებინა საკუთარი მტკიცება, თუკი სიზუსტის მომთხოვნი კითხვის ნიშნის ყულფს გამოუნასკვავდნენ – გრაფი ლაინსდორფის მეგობარი და დიდი პატრიოტული აქციის მდივანი ვარ, რომლის შესახებაც, ალბათ, გაზეთებში წაგიკითხავთო. ულრიხმა მაშინვე შეამჩნია, რომ ამ ნათქვამმა ისინი მის პერსონაზე სერიოზულად დააფიქრა, რის პატივიც მანამდე არ ერგო, და საკუთარი უპირატესობაც განიმტკიცა. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ უნტერ-ოფიცერი ულრიხს განრისხებული მიაჩერდა, ვინაიდან არც ამ ნადავლის ხანგრძლივად დაკავების პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება სურდა და არც მისი გაშვება. რადგან არც ერთი მაღალი ჩინის მოხელე იმწუთას ადგილზე არ იმყოფებოდა, მან მოძებნა გამოსავალი, რითაც ცხადყო, რომ უსიამოვნო საკითხების გადაჭრის მეთოდები თავისი უფროსებისგან ისე ჩინებულად აეთვისებინა, უკეთესს ვერც კი ინატრებდა კაცი.

მედიდური სახით, მთელი სერიოზულობით გამოთქვა ვარაუდი, ულრიხი არა მარტო კანონდამცველის შეურაცხყოფაშია ეჭვმიტანილი, არამედ პასუხისმგებელ პირთა მოვალეობის შესრულებაშიც ჩაერია და მისივე სიტყვებს თუ

დავეყრდნობით, რაღაც საეჭვო პოლიტიკურ მაქინაციებშიცაა გარეული, ამიტომ პოლიციის სამმართველოს პოლიტიკურ განყოფილებაში უნდა გადავგზავნოთო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ულრიხი, რომელსაც ტაქსის დაქირავების ნება დართეს, სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი სიტყვაძუნწი პოლიციელის თანხლებით ღამის ქუჩებში მიქროდა. პოლიციის სამმართველოს შენობას რომ მიუახლოვდნენ, დაკავებულმა საზეიმოდ განათებული მეორე სართულის ფანჯრებს მოჰკრა თვალი, რადგან პოლიციის უფროსს უდროოდ მნიშვნელოვანი სხდომა დაენიშნა. შენობა სამინისტროს ჰგადა და არა ჩაბნელებულ ფარდულს. ულრიხმა ნაცნობი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. ღამის მორიგე, ვისთანაც ულრიხი მიიყვანეს, ხელადვე მიხვდა იმ სისულელეს, რომელიც გაღიზიანებული პერიფერიული საგუშაგოს პატაკს გამოეწვია. მიუხედავად ამისა, მიზანშეუწონლად მიაჩნდა მართლმსაჯულების მარწუხებში თვითნებურად მოქცეული ადამიანის გათავისუფლება. სამმართველოს ჩინოვნიკი რკინის მანქანის გამომეტყველებით არწმუნებდა დაკავებულს, რომ მისივე წინდაუხედაობის გამო მის გათავისუფლებას თავის თავზე ვერ აიღებდა. დაკავებულმა ორჯერ გაიმეორა იგივე, რამაც უნტერ-ოფიცერზე სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა სამმართველოს ჩინოვნიკზე ვერანაირად ვერ იმოქმედა და ის იყო, საქმე წაგებულად ჩათვალა, რომ თავისი მსაჯულის სახეზე უცნაური, სასიკეთო ცვლილება შეამჩნია. მან კიდევ ერთხელ ყურადღებით გადახედა პატაკს, ულრიხს მოსთხოვა, კიდევ ერთხელ დაესახელებინა თავისი გვარი, შემდეგ მისამართი გადაამოწმა, თავაზიანად განუცხადა, ცოტა ხანს დალოდებოდა და ოთახიდან გავიდა. ათი წუთის შემდეგ დაბრუნდა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაც სასიამოვნო გაახსენდაო. შემდეგ ხაზგასმული თავაზიანობით სთხოვა, ზედა სართულზე გაჰყოლოდა. განათებული ოთახის კართან მხოლოდ ის უთხრა, ბატონ პოლიციის უფროსს სურს თქვენთან საუბარიო და იმავე წუთს ულრიხი გვერდითა ოთახიდან გამოსული ბაკენბარდებიანი კაცის წინაშე წარდგა, რომელსაც უკვე იცნობდა. ულრიხი აპირებდა, თავისი იქ ყოფნის მიზეზი საგუშაგოს უნტერ-ოფიცრის დაუდევრობით გამოწვეული შეცდომით აეხსნა და მისი საქციელი მსუბუქი საყვედურით მოეხსენებინა, მაგრამ ამ დროს პოლიციის უფროსი ჩაერია და ულრიხს მიმართა: – გაუგებრობაა, ბატონო

დოქტორო, კომისარმა ამის თაობაზე უკვე მომახსენა. მაგრამ მცირე სასჯელი მაინც არ აგცდებათ, რადგან… – ამ სიტყვების წარმოთქმისას თაღლითურად შეხედა ულრიხს (თუკი თავს უფლებას მივცემთ და პოლიციის უმაღლეს ჩინოვნიკს თაღლითად მოვიხსენიებთ), თითქოს გამოცნობის უფლებას მას უტოვებსო.

ულრიხმა ვერ გამოიცნო.

– მისი ბრწყინვალება გრაფი ლაინსდორფი რამდენიმე საათის წინ თქვენი პერსონით დიდად დაინტერესდა.

ულრიხი ბოლომდე ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა პოლიციის უფროსი.

– მისამართების წიგნში რეგისტრირებული არ ხართ, ბატონო დოქტორო! – ხუმრობანარევი საყვედურით განუმარტა მან, თითქოს ულრიხის მთელი დანაშაული ეს იყო.

ულრიხმა თავი დაუკრა და თავშეკავებული ღიმილი შეაგება.

– ვფიქრობ, ხვალ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხის თაობაზე მის ბრწყინვალებასთან ვიზიტი მოგიწევთ და თავს უფლებას ვერ მივცემ, თქვენი დაპატიმრებით ხელი შევუშალო ამ საქმეს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლიციის უფროსი დაპატიმრებას ნებისმიერ შემთხვევაში უსამართლოდ ჩათვლიდა და კომისარიც, რომელმაც შემთხვევით გაიხსენა ის კავშირი, როცა რამდენიმე საათის წინ ულრიხის გვარი ამ შენობაში პირველად ამოტივტივდა, პოლიციის უფროსს სწორედ ისე გააცნობდა საქმის ვითარებას, რომ მას ამგვარი მოსაზრება შექმნოდა, ხოლო მოვლენათა მსვლელობაში თვითნებურად ვერავინ ჩაერეოდა. სხვათა შორის, მისი ბრწყინვალებისთვის ამ დამთხვევის შესახებ არაფერი უთქვამთ, ულრიხმა კი თავი ვალდებულად ჩათვალა, მეორე დღესვე ხლებოდა მის ბრწყინვალებას და იმავე დღეს დიდი პატრიოტული აქციის საპატიო მდივნად დაინიშნა. გრაფ ლაინსდორფს რომ გაეგო კიდეც, როგორ მოხდა ეს ყოველივე, არაფერს იტყოდა და მომხდარს სასწაულს მიაწერდა.

41. რახელი და დიოთიმა

ამ მოვლენიდან ცოტა ხნის შემდეგ დიოთიმასთან დიდი სამამულო აქციის პირველი სხდომა გაიმართა.

სასადილო ოთახი სალონის გვერდით სათათბირო ოთახად გადააკეთეს. ოთახის შუაგულში სასადილო მაგიდა გაშალეს და მაუდი გადააფარეს, ყველა მონაწილისთვის სამინისტროდან მოტანილი სპილოსძვლისფერი თაბახის ფურცლები და სხვადასხვა სიმაგრის ფანქრები დააწყვეს. ოთახიდან ბუფეტი გაიტანეს. ოთახის კუთხეები სადა და მკაცრი იყო, კედლები მოკრძალებულად ცარიელი, თუ არ ჩავთვლით დიოთიმას მიერ ჩამოკიდებულ მისი უდიდებულესობის პორტრეტს და ტუცის კონსულობის დროს საიდანღაც ჩამოტანილ ვიღაც კორსაჟიანი ქალბატონის პორტრეტს, რომელიც მათ რომელიმე წინაპრადაც გამოდგებოდა. მაგიდის თავთან დიოთიმა ჯვარცმასაც დიდი სიამოვნებით დადგამდა, განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი რომ არა, რომელიც დიოთიმას ამის გამო დასცინოდა. ბატონმა ტუციმ იმ დღეს ტაქტიანად დატოვა სახლი, რადგან პარალელურ აქციას არაოფიციალური სახე უნდა ჰქონოდა. არც მინისტრები და არც მაღალი ჩინის ჩინოვნიკები არ მოუწვევიათ. არ ჩანდა არც ერთი პოლიტიკოსი და ასეც იყო ჩაფიქრებული. თავდაპირველად იდეის თავდადებულ მსახურთა ვიწრო წრე უნდა შეკრებილიყო. სტუმართა შორის ელოდებოდნენ სახელმწიფო ბანკის მეთაურს, ბატონ ფონ ჰოლცკოპფს და ბარონ ვისნეჩკის, მაღალი წრის რამდენიმე ქალბატონს, საზოგადოებრივი საქველმოქმედო ფონდის ცნობილ მოღვაწეებს, გრაფი ლაინსდორფის პრინციპის – „საკუთრებისა და განათლების“ – თანახმად, უმაღლესი სასწავლებლის, ხელოვანთა გაერთიანების, ინდუსტრიის, მსხვილი მიწათმფლობელობისა და ეკლესიის წარმომადგენლებს. სახელისუფლებო ინსტანციების დავალებით მონაწილეობა უნდა მიეღოთ ასევე უცნობ ახალგაზრდა ჩინოვნიკებსაც, რომლებიც სოციალური სტატუსით ამ წრეს შეესაბამებოდნენ და თავიანთი უფროსების ნდობითაც სარგებლობდნენ. გრაფი ლაინსდორფის სურვილებს ეს შემადგენლობა სრულად პასუხობდა, თუმცა ხალხის მასებიდან დაწყებული დემონსტრაციაც ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ იმ ოთხ პუნქტთან დაკავშირებული გამოცდილების შემდეგ მასზე დამამშვიდებლად მოქმედებდა იმის ცოდნაც, თუ ვისთან უნდა ჰქონოდათ საქმე.

პატარა მოახლე რახელი (რომლის სახელიც მისმა ქალბატონმა თვითნებურად თარგმნა და ფრანგულ ყაიდაზე „რაშელს“ ეძახდა) დილის ექვსი საათიდან ფეხზე იყო. მან დიდი სასადილო მაგიდა გაშალა, ბანქოს სათამაშო ორი მაგიდა მიადგა, მწვანე მაუდი გადააფარა და განსაკუთრებული მონდომებით გადაწმინდა მტვერი. ყველა მომაბეზრებელ საქმეს იმ დღეს დიდი აღფრთოვანებით ასრულებდა. წინა საღამოს დიოთიმამ მას უთხრა: „ხვალ, შესაძლოა, ჩვენთან მსოფლიო ისტორია შეიქმნას!“. რახელის სხეულს ბედნიერების მწველი ცეცხლი მოედო, ის ხომ იმ სახლში ცხოვრობდა, სადაც ასეთი მოვლენები უნდა განვითარებულიყო. ეს კი ამ მოვლენის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, რადგან შავი კაბის ქვეშ რახელის სხეული მაისენის ფაიფურივით მომხიბვლელი იყო.

რახელი ცხრამეტი წლის იყო და სასწაულების სჯეროდა. ის გალიციაში უბადრუკ ქოხში დაიბადა, რომლის კარის წირთხლზეც ფურცლები მიეკრათ თორის ნაწყვეტებით, იატაკის ღრიჭოებიდან კი მიწა ცვიოდა.

ის დაწყევლეს და სახლიდან გააძევეს. დედამისს ამ დროს უმწეო გამომეტყველება ჰქონდა, დამფრთხალი და-ძმები იღიმებოდნენ, ის კი დაჩოქილი ივედრებოდა, სირცხვილი გულს უგლეჯდა, მაგრამ არავინ შველოდა. რახელი ერთმა თაღლითმა შეაცდინა, მაგრამ არ ახსოვდა, ეს როგორ მოხდა. შემდეგ იძულებული გახდა, უცხო ადამიანებთან ემშობიარა და მშობლიური მხარიდან გადაკარგულიყო. რახელი გაემგზავრა. იმ ბინძურ ვაგონში, რომლითაც მგზავრობდა, სასოწარკვეთაც თან ახლდა. ტირილისგან თვალებამოღამებული წინ დედაქალაქის ალმოდებულ კედლებს ხედავდა, შიგ ჩავარდნას და სიკვდილს ლამობდა, საითაც რაღაც ინსტინქტი მიაქანებდა, მაგრამ ჰოი საოცრება: კედლები განიხვნა და დედაქალაქმა ის მიიღო. იმ დღიდან ოქროსფერი ცეცხლის შუაგულში ცხოვრობდა. ბედისწერამ დიოთიმას სახლში მიიყვანა და მანაც ბუნებრივად ჩათვალა: თუ მის სახლში უნდა მოხვედრილიყო, მაშასადამე, გალიციიდან მშობლებს უნდა გამოჰქცეოდა. დიოთიმა პატარა გოგოს სახელოვან და წარჩინებულ ადამიანებზე უყვებოდა, რომლებიც მის სახლს სტუმრობდნენ, რახელს კი მათი მსახურების პატივი ერგო. ზოგი რამ პარალელური აქციის შესახებაც გაანდო, რადგან ერთ სიამოვნებად ღირდა ამ ამბის მოსმენისას რახელის თვალებში

ანთებული ვარსკვლავების ყურება, ოქროსფერ სარკეს რომ ემსგავსებოდა და მისი ქალბატონის ანარეკლს ასხივებდა.

მამამ რახელი ვიღაც უნამუსო ბიჭის გამო კი შერისხა, მაგრამ ის მაინც პატიოსან გოგოდ დარჩა და დიოთიმაში, უბრალოდ, ყველაფერი უყვარდა: მისი ფაფუკი მუქი თმა, რომლის დავარცხნის უფლებაც დილა-საღამოს ჰქონდა; ტანსაცმელი, რომლის ჩაცმაშიც ეხმარებოდა; ჩინური გალაქული სამშვენისები; ნაირ-ნაირი, მთელ ოთახში მოფენილი პატარ-პატარა მაგიდები; წიგნები უცხო ენაზე, ერთი სიტყვაც რომ არ გაეგებოდა. ბატონი ტუციც უყვარდა და აი, ახლა უკვე ნაბობიც, ჩამოსვლისთანავე მის მოწყალე ქალბატონს რომ ესტუმრა. რახელი მას წინკარში სხივმოფენილი ბედნიერებით შეჰყურებდა, როგორც ოქროსფერი ჩარჩოდან გადმოსულ სულთა მხსნელ ქრისტეს და ერთადერთი, რაც გუნებას უმღვრევდა, ის იყო, რომ თან თავისი სოლიმანი არ მოეყვანა ქალბატონის პატივისცემის ნიშნად. დღეს კი, როცა მსოფლიო მოვლენები მის სიახლოვეს იყო, იცოდა, მისთვისაც რაღაც უნდა მომხდარიყო. იმედი ჰქონდა, სოლიმანი ამჯერად მაინც მოვიდოდა თავის ბატონთან ერთად, როგორც ამას საზეიმო მოვლენა მოითხოვდა. მოლოდინი კი არ იყო მთავარი, არამედ კვანძი, ინტრიგა, არც ერთ რომანს რომ არ აკლდა, რითაც რახელი გაიზარდა. რახელს ნებას რთავდნენ, დიოთიმას წიგნები წაეკითხა ისევე, როგორც დიოთიმას გამონაცვალი თეთრეულის გადაკეთების უფლებას აძლევდნენ. ებრაული მემკვიდრეობის წყალობით თავისუფლად კითხულობდა და კერავდა. განსაკუთრებით კი იმ წიგნების კითხვა უყვარდა, რომლებსაც დიოთიმა ხელოვნების გენიალურ ქმნილებებს უწოდებდა. იქ აღწერილ ამბებს ისე აღიქვამდა, თითქოს შორიდან ან უცხო ქვეყანაში აკვირდებოდა ბობოქარ მოვლენებს, მისი უცხო დინამიკაც ართობდა და იტაცებდა, თუმცა ჩარევა არ შეეძლო და ეს ყველაზე მეტად მოსწონდა. როცა ქუჩაში უშვებდნენ ან საპატიო სტუმრები ჰყავდათ, საიმპერატორო ქალაქის თვალისმომჭრელი დეტალების სიუხვე – წარმოდგენაც რომ ძნელი იყო – აუხსნელი, დიდებული და ამაღელვებელი ატმოსფერო ატკბობდა და რადგან ამ პრივილეგირებული ადგილის შუაგულში მოხვედრილიყო, მოვლენების თანაზიარი თვითონაც ხდებოდა. ამაზე მეტის ცოდნის სურვილი არც გააჩნდა. დაწყებითი ებრაული განათლება და მშობლიურ სახლში მოსმენილი

სიბრძნე ბოღმით დაივიწყა და არც სჭირდებოდა ისევე, როგორც ყვავილს არ სჭირდება დანა-ჩანგალი მიწის ნაჟურისა და ჰაერის შესასრუტად.

შემდეგ ფანქრები წამოკრიფა, მბზინვარე წვერები ფრთხილად ჩააყოფინა მაგიდის კუთხეში მდგარ პატარა სათლელ მანქანაში და სახელური დაატრიალა. მანქანა ისე წმინდად თლიდა, რომ იმავე პროცესის გამეორების შემთხვევაში ფანქრებს სულ უმცირესი ბოჭკოც კი აღარ სცვიოდა. ხავერდოვან თაბახის ფურცლებს ფანქრები მიუწყო – თითოეულს სამი სხვადასხვა და გაიფიქრა, რომ ეს მანქანა საიმპერატორო სახლისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს კუთვნილება იყო, რადგან მსახურმა გუშინ საღამოს ფანქრებთან და ქაღალდებთან ერთად სწორედ იქიდან მოიტანა. ამასობაში შვიდი საათიც გამხდარიყო. რახელმა გენერლის მზერა კიდევ ერთხელ მოავლო თითოეულ დეტალს და დიოთიმას გასაღვიძებლად ოთახიდან ნაჩქარევად გავიდა. სხდომა თერთმეტის თხუთმეტი წუთისთვის იყო დანიშნული, დიოთიმა კი ოჯახის უფროსის წასვლის შემდეგ ცოტა ხნით ლოგინში ნებივრობდა.

დიოთიმასთან დილის საათები რახელს განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრიდა. სიტყვა „სიყვარული“ უადგილო იქნებოდა, უფრო „თაყვანისცემა“ გამოგვადგებოდა, როცა მოწიწება ისე შეიპყრობს ადამიანს, რომ საკუთარი თავისთვის ადგილი აღარ რჩება. თავს გადახდენილი ავანტიურის შემდეგ რახელს უკვე წლინახევრის გოგონა ჰყავდა. თავისი ჯამაგირის ნახევარზე მეტი ყოველი თვის პირველ შაბათს თავისი გოგონას დედობილთან მიჰქონდა და შვილსაც ამ დღეს ნახულობდა. დედობრივ მოვალეობას თავს არ არიდებდა, მაგრამ მას დამსახურებულ სასჯელად თვლიდა, რომელსაც წარსულში ჩადენილი ცოდვის საფასურად იხდიდა, ხოლო მისი გრძნობები კვლავ იმ გოგოს გრძნობებად იქცა, რომლის უბიწოების კარიც სიყვარულს ჯერ არ შეუღია. რახელი დიოთიმას საწოლს მიუახლოვდა და სანამ თითებით მის სადაფივით ნატიფ კანს შეეხებოდა, მის მხრებს იმ ალპინისტის მოკრძალებით შეავლო მზერა, დილის რიჟრაჟის სიცისფრიდან ამოწვერილ თოვლიან მწვერვალს რომ შესცქერის. ნამძინარევი დიოთიმა საბნიდან ხელს გამოუწევდა და ისიც ამბორით იგემოვნებდა მისი ხელის ნაზ სურნელებას, გაჟღენთილს წინა დღის ნელსაცხებლით და ღამის სიმშვიდის ოხშივარით. საწოლიდან გადმოყოფილ შიშველ ფეხს საშინაო ფეხსაცმელს შეაგებებდა და დიოთიმას

მზერას იჭერდა, თანდათან რომ ფხიზლდებოდა. ამ დიდებული ქალის სხეულთან მგრძნობიარე შეხება ასეთი მშვენიერი არ იქნებოდა, რახელი დიოთიმას ზნეობრივ მნიშვნელობაში ასე ღრმად რომ არ ყოფილიყო დარწმუნებული.

– დადგი მისი ბრწყინვალებისთვის სახელურიანი სკამი? ჩემთვის ვერცხლის ზარი დადე? მდივნის წინ თორმეტი ფურცელი და ექვსი ფანქარი ხომ დააწყვე, რაშელ, სამი კი არა, ექვსი. მდივნის წინ? – ჰკითხა ამჯერად დიოთიმამ. ყოველი კითხვის დასმის შემდეგ რახელი თითებზე ითვლიდა შესრულებულ საქმეს და პატივმოყვარეობამ ისე შეაკრთო, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. მისმა ქალბატონმა დილის ხალათი მოისხა და იმ ოთახისკენ გაეშურა, სადაც სხდომა უნდა გამართულიყო. დიოთიმა მოახლეს ყოველთვის ახსენებდა, რომ გაკეთებული თუ გასაკეთებელი საქმე საზოგადო მნიშვნელობისა იყო და არა პირადი და მისი აღზრდის მეთოდიც ამაში მდგომარეობდა. თუ ჭიქას გატეხდა, რახელი ისმენდა, ზარალი თავისთავად უმნიშვნელოა, მაგრამ გამჭვირვალე მინა ყოველდღიური პატარ-პატარა მოვალეობების სიმბოლოა; თვალი მას ძლივს აღიქვამს, რადგან ის უფრო ამაღლებულს ელტვის და განსაკუთრებული ყურადღებაც კაცს ამიტომ მართებსო. სამინისტროს თავაზიანი ტონი რახელს ცრემლს ჰგვრიდა და, სინანულითა და ბედნიერებით სავსე, ნამსხვრევების მოგვას ცდილობდა. მზარეულებისგან დიოთიმა კორექტულ აზროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის აღიარებას ითხოვდა და მათ ხშირად ცვლიდა. რახელს გულწრფელად უყვარდა ეს საუცხოო ფრაზები, ისევე როგორც იმპერატორი, დაკრძალვები და კათოლიკურ ეკლესიებში მოციმციმე სანთლები.

უსიამოვნო მდგომარეობიდან თავის დაძვრენის მიზნით რახელი ხანდახან ტყუოდა კიდეც, მაგრამ შემდეგ თავს სისაძაგლეში ადანაშაულებდა. ეს პატარ-პატარა ცუღლუტური ტყუილები იქნებ უყვარდა კიდეც, რათა დიოთიმასთან შედარებით საკუთარი სიბილწე ეგრძნო. ისე კი, ტყუილის უფლებას თავს მხოლოდ მაშინ აძლევდა, როცა ფარულად ამ ტყუილის მალევე სიმართლედ ქცევის იმედი ჰქონდა.

როცა ერთი ადამიანი მეორეს ასე ძლიერ შესტრფის, სხეული მისი მისგან მიფრინავს და იმ მეორე ადამიანის სხეულის

მზეზე პატარა მეტეორივით ეცემა. დიოთიმამ წუნი ვერაფერს დასდო და თავის პატარა მოახლეს მხრებზე ხელი მოუთათუნა. შემდეგ კი სააბაზანოსკენ გაემართა და ამ დიდი დღისთვის მორთვას შეუდგა. როცა რახელი ცხელ წყალს ანელებდა, საპონს აქაფებდა ან ხაოიანი პირსახოცით დიოთიმას სხეულს ისე თამამად ამშრალებდა, როგორც საკუთარს, ეს უფრო მეტ სიამოვნებას ჰგვრიდა, ვიდრე საკუთარი სხეულის მოვლა. საკუთარ სხეულს არაფრად აგდებდა, ნდობის ღირსადაც არ თვლიდა და მასზე სრულებით არ ფიქრობდა. დიოთიმას ნაქანდაკები სხეულის სისავსე ისეთივე გრძნობას აღუძრავდა, როგორსაც ლამაზმანების პოლკში მოხვედრილ ტეტია რეკრუტს.

ასე განემზადა დიოთიმა ამ დიდი დღისთვის.

42. დიდი სხდომა

დათქმული დროის ბოლო წუთებიც მოახლოვდა და მისი ბრწყინვალება გრაფი ლაინსდორფიც გამოჩნდა ულრიხის თანხლებით. რახელი ნაღვერდალივით ღუოდა, რადგან სტუმრების უწყვეტ ნაკადს კარს უღებდა და პალტოების გახდაში ეხმარებოდა. ულრიხი მაშინვე იცნო და კმაყოფილებით შენიშნა, რომ რიგითი სტუმარი არ ყოფილა, რადგან გარემოება, რომელსაც იგი მისი ქალბატონის სახლში მოეყვანა, მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო, რასაც გრაფი ლაინსდორფის საზოგადოებაში მისი გამოჩენაც მოწმობდა. რახელი ოთახის კარისკენ წაფრთხიალდა, რომელსაც საზეიმოდ აღებდა ხოლმე, და იმის გასაგებად, რა მოხდებოდა, ჭუჭრუტანას მიუჯდა. კარს განიერი ჭუჭრუტანა ჰქონდა და რახელმა ბანკის მმართველის გაპარსული ნიკაპი, პრელატ ნიდომანსკის იისფერი ყელსახვევი და გენერალ შტუმ ფონ ბორდვერის ოქროსფერი ტემლაკი დაინახა. გენერალი მოწვეულთა სიაში არ ყოფილა. თავდაცვის მინისტრმა იგი დელეგატის სტატუსით მოავლინა. გრაფ ლაინსდორფს გენერალმა წერილობით შეატყობინა, რომ ამ „დიდ პატრიოტულ საქმეს“ თანაუგრძნობდა, თუმცა მის სათავესთან და საქმის ამჟამინდელ მსვლელობასთან უშუალო შეხება არ ჰქონდა. დიოთიმას რახელისთვის ამის თაობაზე არაფერი უთქვამს და სხდომაზე ოფიცრის გამოჩენამ იგი დიდად ააღელვა; მაგრამ სხვა დანარჩენი – რა ხდებოდა ოთახში – ვერ გაარკვია.

დიოთიმა მის ბრწყინვალებას შეეგება და ულრიხისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ დაუთმია, რადგან მის ბრწყინვალებას დამსწრე საზოგადოება წარუდგინა, პირველ რიგში კი დოქტორი პაულ არნჰაიმი; თანაც განუცხადა, ჩვენი ოჯახის მეგობარი აქ ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოხვდა და თუმცა, როგორც უცხოელი, სხდომაში ყველა ფორმით მონაწილეობის უფლებას ვერ განაცხადებს, ნება მომეცით, ჩემი პირადი მრჩევლის სტატუსით სხდომას დაესწროსო, რადგან – და მსუბუქი მუქარის ტონით განაგრძო – მისი მდიდარი გამოცდილება და კონტაქტები საერთაშორისო კულტურისა და ეკონომიკის სფეროში ფასდაუდებელ სამსახურს გამიწევს, ამ საკითხებზე ხომ მარტო მიწევდა მუშაობა და თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემი ძალებით ამ საქმეს ვერ გავწვდები, იგი, ალბათ, მომავალშიც შეუცვლელ როლს ითამაშებსო.

გრაფმა ლაინსდორფმა იგრძნო, რომ თავს ესხმოდნენ და თავისი ბურჟუა მეგობრის უტაქტობამ პირველად გააოცა. არნჰაიმიც შეცბა იმ სუვერენივით, რომლის შემობრძანებისთვისაც სათანადოდ არ მოემზადნენ, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ გრაფმა ლაინსდორფმა იცოდა მისი მოწვევის შესახებ და ეთანხმებოდა კიდეც. დიოთიმას სახე შეეფაკლა და ჯიუტი გამომეტყველება მიიღო. ეტყობოდა, დათმობას არ აპირებდა. სასიკეთო საქმის დასაცავად შეეძლო იმ ქალის უკომპრომისო სიჯიუტე გამოევლინა, რომელსაც ოჯახის სიწმინდე არასდროს შეუბღალავს.

არნჰაიმზე, რომელსაც უკვე მოესწრო და რამდენჯერმე სტუმრებოდა მას, დიოთიმა მაშინ უკვე შეყვარებული იყო, თუმცა გამოუცდელობის გამო თავისი გრძნობების ბუნებაში თავადაც ვერ გარკვეულიყო. რაზე არ ბჭობდნენ: იმაზე, რაც სულს ესოდენ აღელვებს, სხეულს თხემით ტერფამდე აკეთილშობილებს და ცივილიზაციის უთავბოლო შთაბეჭდილებებს სულის ჰარმონიულ ვიბრაციად გარდაქმნის. ეს უკვე ცოტა არ იყო და დიოთიმასთვის, რომელსაც სიფრთხილე სჩვეოდა და სახელის გატეხას უფრთხილდებოდა, ასეთი სიახლოვე უეცარი აღმოჩნდა. იძულებული გახდა, დიდი, სწორედაც რომ დიდი გრძნობების მობილიზება მოეხდინა. ყველაზე მეტად კი სად ნახავს კაცი ამ დიდ გრძნობებს? იქ, სადაც უკლებლივ ყველა მიუჩენს მას ადგილს – ისტორიაში.

დიოთიმასა და არნჰაიმისთვის პარალელური აქცია უსაფრთხოების კუნძულად იქცა, მათი სულების ერთმანეთისკენ ლტოლვის გზაზე უფრო და უფრო რომ იზრდებოდა. ასეთ მნიშვნელოვან მომენტში შეხვედრას ბედისწერით ხსნიდნენ და დიდი სამამულო წამოწყება გონიერი ადამიანებისთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობისა და განუსაზღვრელი შესაძლებლობის საქმედ მიაჩნდათ. ამ საკითხში მათი მოსაზრება ერთმანეთისგან იოტისოდენადაც არ განსხვავდებოდა. ოღონდ არნჰაიმი ამ ნათქვამს იმასაც დაამატებდა ხოლმე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკურ და იდეათა სფეროში ძლიერ, გამოცდილ ადამიანებს ენიჭებათ, ორგანიზაციის მოცულობა კი მეორეხარისხოვანიაო. ასე რომ, დიოთიმასთვის არნჰაიმი პარალელური აქციის განუყოფელ ნაწილად იქცა და წარმოდგენათა თავდაპირველმა სიღარიბემ იდეათა სიუხვეს დაუთმო ადგილი. მოლოდინი, რომ ავსტრიულ სულში დავანებულ გრძნობათა საუნჯეს პრუსიული დისციპლინირებული აზრი ბევრს შემატებდა, გამართლდა და შთაბეჭდილებები იმდენად ღრმა იყო, რომ ამ კორექტულმა ქალმა არნჰაიმი დამფუძნებელ სხდომაზე თვითნებურად მიიწვია, ახლა კი გვიანღა იყო გადაფიქრება. არნჰაიმი ინტუიციით ხვდებოდა, როგორ იყო აქ ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებული და თუმცა იმ მდგომარეობამ, რომელშიც ის აღმოჩნდა, გაანაწყენა, ამ კავშირებში რაღაც შემრიგებლურის მოძებნა მაინც შეძლო. თავისი მეგობრისადმი მისი ბრწყინვალების კეთილგანწყობა კი საკმარისად დიდი იყო საიმისოდ, რომ გაოცება იმაზე მწვავედ გამოეხატა, ვიდრე უნებლიე გამომეტყველებაა. დიოთიმას განმარტებას დუმილით უპასუხა, უხერხული პაუზის შემდეგ არნჰაიმს მოწყალედ გაუწოდა ხელი და მას საგანგებო თავაზიანობითა და პატივით სასურველი სტუმარი უწოდა, როგორიც იყო კიდეც. ცხადია, იქ მყოფთა უმრავლესობამ შეამჩნია ეს პატარა ინციდენტი, მაგრამ კეთილშობილურად აღზრდილმა საზოგადოებამ მშვენივრად უწყის, ყველაფერს რომ თავისი მიზეზი აქვს და ისიც კარგად მოეხსენება, რომ ამ მიზეზების მიმართ ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამოჩენა ცუდ ტონად ითვლება.

ამასობაში დიოთიმამ დამაჯერებელი სიმშვიდე დაიბრუნა, რამდენიმე წუთში სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მის

ბრწყინვალებას სთხოვა, დაედო მისი სახლისათვის პატივი და სხდომას გასძღოლოდა. მისმა ბრწყინვალებამ სიტყვა წარმოთქვა. ამ დღისთვის იგი დიდხანს ემზადებოდა. მისი აზროვნების ხასიათი კი საკმაოდ მყარი იყო საიმისოდ, რომ ბოლო წუთს რამე ცვლილების შეტანა შეძლებოდა; რაც მოახერხა, ის იყო, რომ პრუსიულ ნემსებიან იარაღზე აშკარა ქარაგმები შეარბილა (რითაც პრუსიელებმა 66 წელს ავსტრიელების ფილთა თოფები მუხანათურად ჩამოიტოვეს).

– ჩვენი თავყრილობის მიზეზი, – თქვა გრაფმა ლაინსდორფმა, – ის საერთო მოსაზრებაა, რომ ძლევამოსილი, ხალხის წიაღიდან შობილი დემონსტრაცია ბედის ანაბარა არ მივატოვოთ. მას გამჭრიახი წინამძღოლი უნდა მართავდეს იმ ინსტიტუციებიდან, რომლებსაც მოვლენათა ფართო სპექტრით დანახვის უნარი შესწევს, ანუ ზემოდან. მისი უდიდებულესობა, ჩვენი საყვარელი იმპერატორი და მბრძანებელი 1918 წელს ტახტზე ასვლის 70-ე წლისთავს აღნიშნავს. ღმერთმა დალოცოს მისი სიმხნევე და ძალთა სისაღე, ასე ძლიერ რომ აღგვაფრთოვანებს! ღრმად გვწამს, რომ მადლიერი ავსტრიელი ხალხი ამ დღესასწაულს იმგვარად აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ხალხთა წინაშე თავის გულწრფელ სიყვარულს წარმოაჩენს და დაანახვებს მათ, რომ ავსტრია-უნგრეთის მონარქია თავის მბრძანებელს სალ კლდესავით გვერდით უდგას. – გრაფი ლაინსდორფი ერთხანს შეყოვნდა. ვერ გადაეწყვიტა, ეხსენებინა თუ არა ის ბზარები, ამ სალ კლდეს რომ შეჰპარვოდა. უნგრეთის წინააღმდეგობის გათვალისწინებაც მოუწევდა, რომელიც მხოლოდ მეფეს აღიარებდა. სწორედ ამიტომ თავდაპირველად ორი კლდის შესახებ აპირებდა ლაპარაკს, ასე მტკიცედ რომ იდგა გვერდიგვერდ. ეს კი მისეულ ავსტროუნგრულ სახელმწიფოებრივ გრძნობას მართებულად ვერ გამოხატავდა.

ეს ავსტროუნგრული სახელმწიფოებრივი გრძნობა ისე უცნაურად ყალიბდებოდა, რომ ამაოდ ეცდებოდით ვინმესთვის მის ახსნას, თუ ეს თავად არ ჰქონდა განცდილი. ის შედგებოდა არა ავსტრიული და უნგრული ნაწილებისგან, არამედ ერთი მთლიანისგან და ერთი ნაწილისგან, კერძოდ: უნგრული და ავსტროუნგრული სახელმწიფოებრივი გრძნობისაგან. ამ უკანასკნელის სამშობლოს კი ავსტრია წარმოადგენდა, რის გამოც უნგრული სახელმწიფოებრივი გრძნობა საერთოდაც უსამშობლოდ რჩებოდა. ავსტრიელს

მხოლოდ უნგრეთში შეხვდებოდით, სადაც ის ანტიპათიის ობიექტი გამხდარიყო. სახლში კი იგი თავის თავს საიმპერატორო საბჭოში წარმოდგენილ სამეფოთა და ავსტრია-უნგრეთის მონარქიის მიწების მოქალაქეს უწოდებდა. ეს კი იგივეა, რაც ავსტრიელს პლუს უნგრელი და მინუს იგივე უნგრელი, და ამას იგი იმ იდეის ხათრით აკეთებდა, რომელიც ასე სძულდა: უნგრელს ის ისევე ვერ იტანდა, როგორც უნგრელი მას, რაც მათ ურთიერთკავშირს კიდევ უფრო ხლართავდა. ამიტომ ბევრი თავის თავს უბრალოდ ჩეხს, პოლონელს, სლოვაკს ან გერმანელს უწოდებდა. ამით დაიწყო შემდგომ ის რღვევა და ცნობილი „შიდაპოლიტიკური ხასიათის უსიამოვნო მოვლენები“, როგორც გრაფი ლაინსდორფი იტყოდა და რაშიც იგი „უპასუხისმგებლო, უმწიფარ, სენსაციაზე დახარბებულ ელემენტებს“ ადანაშაულებდა; მათ კი პოლიტიკურად ჩამორჩენილმა მასებმა საკადრისი პასუხი ვერ გასცეს. ამ ნართაულით ლაპარაკის საგანზე მას შემდეგ მრავალი კომპეტენტური და ჭკვიანური წიგნი დაიწერა. მკითხველს კი, ალბათ, სიამოვნებას მოჰგვრის, თუკი დავარწმუნებთ, რომ არც აქ და არც შემდგომ არ ვაპირებთ ისტორიული სურათის დახატვას ან რეალობასთან პაექრობას. სავსებით საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ დუალიზმის საიდუმლოს (ასეთია პროფესიული ტერმინი) შეცნობა სამების იდუმალებაზე იოლი როდია. ისტორიული პროცესი ხომ მეტ-ნაკლებად იურიდიულს ჰგავს – ათასნაირი შესწორებებით, დამატებებით, შედარებებითა და პროტესტით – და ყურადღების მიპყრობაც სწორედ აქეთკენ გვმართებს. თავისდა საკეთილდღეოდ, ჩვეულებრივი ადამიანი ისე ცხოვრობს და კვდება, რომ ამის შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვს. ადვოკატებში, ზედნადებ ხარჯებსა და მოტივაციაში გარკვევა რომ მოინდომოს, რაშიც ის არის გაბმული, მაშინ მას ნებისმიერ სახელმწიფოში უთუოდ დევნის მანია შეიპყრობდა. რეალობაში გარკვევა ისტორიულ-პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანის პრეროგატივაა. აწმყო მისთვის ის დროა, რომელიც მოჰაჩესთან და ლიტცენთან ბრძოლის შემდეგ დადგა, შემწვარი ხორცის მსგავსად წვნიანის შემდეგ მეორე თავ კერძად რომ შემოაქვთ სუფრაზე. ასეთი ადამიანი კარგად იცნობს პროტოკოლს და პროცესუალურად დასაბუთებული აუცილებლობის გრძნობა არასდროს ღალატობს; ხოლო თუ გრაფი ლაინსდორფივით პოლიტიკურ-ისტორიულად გაწაფული არისტოკრატი მოაზროვნეა, რომლის წინაპრები და

ნათესავ-მოყვარეები თავად მონაწილეობდნენ წინასწარ მოლაპარაკებაში, მაშინ ამ შედეგების მიმოხილვა მისთვის ისევე იოლია, როგორც მდორედ აღმავალი ხაზის დანახვა.

ამიტომ გრაფმა ლაინსდორფმა სხდომის დაწყებამდე თქვა: – ნუ დაგვავიწყდება, რომ მისი უდიდებულესობის დიდსულოვანი გადაწყვეტილება, ებოძებინა ხალხისთვის საკუთარი საქმის გადაწყვეტის უფლება, არც ისე დიდი ხნისაა საიმისოდ, რომ ყველგან ის პოლიტიკური სიმწიფე გამოევლინათ, რაც უმაღლეს ინსტანციათა ნდობას მოიპოვებდა. თავისთავად ეს ბედნავსი გამოვლინებები – რის მონაწილენიც ვაი, რომ ჩვენც ვართ – ავისმოსურნე უცხოეთივით გახრწნის ნიშან-თვისებად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ ჯერაც მოუმწიფებელ და, ამდენად, ავსტრიელი ხალხის უშრეტ, ახალგაზრდულ ძალად.

აი, ამის შეხსენება სურდა მას სხდომისთვის, მაგრამ არნჰაიმის გამო თავი შეიკავა და რასაც ფიქრობდა, ყველაფერი არ უთქვამს. მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ გადაკვრით ახსენა ავსტრიულ გარემოებათა შესახებ უცხოელთა უცოდინარობა და მათ მიერ არასასურველ მოვლენათა გადაჭარბებული შეფასება. – ამდენად, – დაასკვნა მისმა ბრწყინვალებამ, – თუ ჩვენი ძალისა და ერთიანობის ნათლად წარმოჩენა გვსურს, საერთაშორისო ინტერესების გათვალისწინებითაც უნდა ვიმოქმედოთ, რადგან ევროპულ სახელმწიფოთა შორის კეთილმოსურნე კავშირები ურთიერთპატივისცემას ეყრდნობა. – შემდეგ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ხალხის წიაღიდან შობილი სტიქიური ძალა ზემოდან უნდა იმართებოდეს და ეს კრებაც სწორედ იმისთვის იყო მოწოდებული, რომ ეს გზები მოეძია. თუ გავიხსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ გრაფ ლაინსდორფს გვარების მეტი თავში აზრად არაფერი მოსდიოდა, გარე სამყარომ კი მხოლოდ ავსტრიული წლის იდეა მიაწოდა, მაშინ არ შეიძლება შეუმჩნეველი დაგვრჩეს მისი ეს დიდი პროგრესი, თუმცა მის ბრწყინვალებას ყველაფერი როდი უთქვამს, რასაც ფიქრობდა.

ამის შემდეგ დიოთიმამ წარმოთქვა სიტყვა, რათა თავმჯდომარის ზრახვები განემარტა. დიდმა პატრიოტულმა აქციამ, განაცხადა მან, დიადი მიზანი უნდა მოძებნოს, რომელიც, მისი ბრწყინვალების თანახმად, ხალხის წიაღიდან დაიბადებაო.

– დღეს არ ვაპირებთ ამ მიზნის დასახვას. დღევანდელი შეკრების მიზანი ორგანიზაციის დაფუძნებაა, რომელიც იმ წინადადებებს განიხილავს, რაც ამ მიზნისკენ გზას გაგვიკვალავს. – ამ სიტყვებით გახსნა ბონადეამ სხდომა. თავდაპირველად სიჩუმე ჩამოწვა. სხვადასხვა ჯურის და სხვადასხვა ენაზე მოჭიკჭიკე ჩიტები რომ ვინმეს ერთ გალიაში გამოეკეტა ისე, რომ არ სცოდნოდათ, რა ელით, ალბათ, ისინიც ასე დადუმდებოდნენ.

ბოლოს ვიღაც პროფესორმა ითხოვა სიტყვა. ულრიხი მას არ იცნობდა. როგორც ჩანს, მისმა ბრწყინვალებამ ბოლო წუთს თავის პირად მდივანს დაავალა მისი მოწვევა. ის ისტორიის გზის შესახებ ლაპარაკობდა. – წინ მხოლოდ ყრუ კედელს ვხედავთ, – თქვა მან, – მარჯვნივ და მარცხნივ კი მნიშვნელოვან მოვლენათა სიჭარბეს, მაგრამ მათი მიმართულების გარჩევა ძნელია. მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: მონტენეგროს ამჟამინდელი კონფლიქტი; მძიმე ბრძოლები, რომლებიც ესპანელებს მაროკოელების წინააღმდეგ მოუწევთ; ავსტრიის სამეფოში უკრაინელთა მიერ მოწყობილი ობსტრუქცია. თუ უკან მივიხედავთ, განგების ძალით დამყარებულ წესრიგსა და მიზანდასახულობას დავინახავთ. ამიტომ მივესალმები ამ დიდ იდეას, თვალი ავუხილოთ ხალხს და ვაიძულოთ, ცნობიერად შეხედოს ბედისწერას. სულ ეს არის, რის თქმაც მსურდა. აქაც ხომ ზუსტად ისევეა, როგორც თანამედროვე პედაგოგიკაში, რომელიც მოსწავლისთვის მზა რეზულტატის მიწოდებას კი არ გულისხმობს, არამედ მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობას.

კრების მონაწილენი გაქვავებული სახეებით ისხდნენ და მწვანე მაუდის გადასაფარებელს ჩაშტერებოდნენ. თვით პრელატსაც კი, არქიეპისკოპოსის წარმომადგენელს, მთელი ამ რელიგიური თვითშემოქმედების დროს სამინისტროს ჩინოვნიკთა მსგავსად თავაზიანად მომლოდინე პოზა არ შეუცვლია და სახეზე თანხმობის ნიშანწყალი არ დამჩნევია. ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უცაბედად ვიღაც ქუჩაში მთელ ხმაზე ალაპარაკდა და მათაც კი, ვინც მანამდე არაფერზე ფიქრობდა, უცებ გაახსენდათ, რომ რაღაც სერიოზულ, კონკრეტულ საქმეზე ეჩქარებოდათ, ან კიდევ ის ვიღაც ქუჩაში ისე არ იქცეოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო. მთელი ამ ხნის მანძილზე პროფესორი უხერხულ გრძნობას

ებრძოდა და ამიტომ სიტყვებიც მსმენელამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტ და მორიდებით აღწევდა, თითქოს მათი მთქმელი ქარში მოხვედრილიყო და სუნთქვა შეკვროდა. პროფესორი ერთხანს პასუხს ელოდა, შემდეგ კი მისი სახიდან მოლოდინის გამომეტყველება გაქრა, რაც მან ღირსეულად მოახერხა. ამ ინციდენტის შემდეგ საიმპერატორო ხაზინის წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლამ ყველას შვება მოჰგვარა. კრების მონაწილეთ მან იმპერატორის პირადი ხაზინიდან საიუბილეო წლისთვის შემოწირულობების შესახებ აცნობა. შემდეგ მომლოცველებისთვის ეკლესიის ასაგებად და უპოვარ მღვდელთა შემწეობისთვის ფონდის დასაფუძნებელი თანხის გამოყოფის შესახებ ილაპარაკა, ამას მოჰყვა ერცჰერცოგ კარლისა და რადეცკის სახელობის ვეტერანთა გაერთიანებები, 66 და 78 წლების ომში დაღუპულთა ქვრივ-ობლები, გადამდგარ უნტერ-ოფიცერთა დამხმარე ფონდი, მეცნიერებათა აკადემია და ა. შ. ამ სიის წაკითხვის შემდეგ წამოდგა ქველმოქმედების სფეროში ფრიად დამსახურებული ფაბრიკანტის მეუღლე, ვინმე ქალბატონი ვეგჰუბერი, რომელსაც საერთოდ ვერ წარმოედგინა, რომ ამქვეყნად მისი ზრუნვის საგანზე უფრო მნიშვნელოვანი რამეც არსებობდა. სხდომის მონაწილეებს მან „ფრანც იოზეფის სახელობის წვნიანის დასარიგებელი დიდი ავსტრიული სასადილოს“ გახსნის წინადადებით მიმართა, რასაც დამსწრე საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა. კულტურისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა შენიშნა, რომ ამგვარ ინიციატივას მისი უწყებაც ამზადებდა, კერძოდ, მონუმენტური ნაშრომის „იმპერატორი ფრანც იოზეფი და მისი ეპოქის“ გამოცემას. ამ წარმატებული გადარბენის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოწვა და უმრავლესობა უხერხულობის გრძნობამ შეიპყრო.

სხდომაზე წამოსვლის წინ რომ მათთვის ვინმეს ეკითხა, იცით თუ არა, რას წარმოადგენს ისტორიული, დიდი ან მსგავსი მოვლენებიო, ისინი, ალბათ, დადებით პასუხს გასცემდნენ. ახლა კი ამ დაჟინებული მოთხოვნის პირისპირ, რამე მოეფიქრებინათ, თანდათან გუნება წაუხდათ და ლამის დრტვინვას მოჰყვნენ.

ამ საშიშ წუთს ტაქტის უტყუარი გრძნობით დაჯილდოებულმა დიოთიმამ სხდომა შეწყვიტა, რათა სხდომის მონაწილეთ მცირედით გამასპინძლებოდა.

43. ულრიხის პირველი შეხვედრა დიდ ადამიანთან. მსოფლიო ისტორიაში არაფერი უგუნური არ ხდება, მაგრამ დიოთიმა ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი ავსტრია მთელი სამყაროა

შესვენებაზე არნჰაიმმა განაცხადა: რაც უფრო დიდია ორგანიზაცია, წინადადებებიც მით უფრო განსხვავებული იქნება, რადგან ეს თანამედროვე განვითარების ნიშან-თვისებაა, რომელიც მხოლოდ გონებას ეყრდნობაო. ჩვენი ამოცანაა, ხალხს შევახსენოთ ნებელობის, შთაგონებისა და არსის შესახებ, გონებაზე უფრო ღრმა წარმომავლობის რომ არისო.

ულრიხმა ჰკითხა, სჯეროდა თუ არა, რომ ამ აქციიდან რამე დაიბადებოდა.

– უდავოდ, – უპასუხა არნჰაიმმა. – დიდი მოვლენები ყოველთვის ზოგად სიტუაციას გამოხატავს. ეს სიტუაცია კი დღეს უკვე არსებობს და ის ფაქტი, რომ ისეთი შეხვედრა, როგორიც დღევანდელია, სადღაც შესაძლებელი გახდა, მის გარდაუვალ აუცილებლობაზე მეტყველებს.

– განმასხვავებელი ნიშნის მოძებნა ასეთ შემთხვევაში რთულია, – თქვა ულრიხმა. – დავუშვათ, კომპოზიტორი, რომლის ბოლო ოპერეტამაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა, ავანტიურისტი აღმოჩნდა და თავი მსოფლიოს პრეზიდენტად გამოაცხადა, რაც სრულიად დასაშვებია, თუ მის პოპულარობას გავითვალისწინებთ. როგორ შეაფასებდით ამ მოვლენას, როგორც ისტორიაში ნახტომს თუ სულიერი სიტუაციის გამოხატულებას?

– სრულიად შეუძლებელია, – თქვა სერიოზულად დოქტორმა არნჰაიმმა. – ასეთი კომპოზიტორი ვერც ინტრიგანი იქნება და ვერც პოლიტიკოსი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი კომიკურ-მუსიკალური გენიალურობა სრული უაზრობა იქნებოდა, მსოფლიო ისტორიაში კი უგუნური არაფერი ხდება.

– მსოფლიოში კი რამდენიც გინდათ.

– მაგრამ არა მსოფლიო ისტორიაში!

არნჰაიმი აშკარად ნერვიულობდა. იქვე დიოთიმა და გრაფი ლაინსდორფი იდგნენ და გაცხარებით ხმადაბლა საუბრობდნენ. მის ბრწყინვალებას თავისი მეგობრისთვის არ

დაუმალავს გაოცება, რომ ასეთ ავსტრიულ ვითარებაში პრუსიელს შეხვდა. თუნდაც ტაქტის გამო მას სრულიად დაუშვებლად მიაჩნდა პარალელურ აქციაში უცხოელისთვის წამყვანი როლის მინიჭება. დიოთიმა კი მათთვის მომგებიან შთაბეჭდილებაზე ამახვილებდა ყურადღებას, რასაც საზღვარგარეთ პოლიტიკურად უანგარო თავისუფლება მოახდენდა. შემდეგ კი ბრძოლის მეთოდი შეცვალა და თავისი გეგმა უცნაურად გააფართოვა. ის ლაპარაკობდა ქალური ტაქტის, როგორც გრძნობათა სიმტკიცის, შესახებ, რომელიც საზოგადოების ცრურწმენების მიმართ სრულიად გულგრილია. მის ბრწყინვალებას მოუწოდებდა, რომ ამ ხმისთვის დაეგდო ყური. არნჰაიმი ევროპელია და ევროპაში საყოველთაოდ ცნობილი. ის ავსტრიელი არაა და მისი მონაწილეობით დამტკიცდება, რომ სული, როგორც ასეთი, ავსტრიაში შინაურად გრძნობს თავსო. დიოთიმამ უცბად გამოთქვა მოსაზრება, ავსტრია მთელი სამყაროაო. მსოფლიო, – განმარტავდა ის, – ვერ პოვებს სიმშვიდეს, სანამ ერები ისევე თანხმობით არ იცხოვრებენ, როგორც ავსტრიელი ხალხები თავიანთ სამშობლოშიო. დიდი ავსტრია, მსოფლიო ავსტრია – აი, იდეა, რამაც მის ბრწყინვალებას ამ ბედნიერ წუთს გონება გაუნათა. ეს ის დამაგვირგვინებელი იდეა იყო, რომელიც აქამდე ასე აკლდა პარალელურ აქციას. მშვენიერი დიოთიმა თავისი ბრწყინვალე მეგობრის წინაშე მომაჯადოებელი, მომთხოვნი პაციფისტივით იდგა და გრაფ ლაინსდორფს ვერ გადაეწყვიტა, აეღო თუ არა ხელი თავის მოსაზრებებზე. მას აღაფრთოვანებდა დიოთიმას მგზნებარე იდეალიზმი, ფართო თვალთახედვა და გონებაში წონიდა, ამ მძიმე შედეგების მომტანი ინიციატივისთვის მაშინვე პასუხის გაცემაზე უფრო მომგებიანი იქნებ არნჰაიმის საუბარში ჩართვა იყოსო.

ულრიხი მოუსვენრობას შეეპყრო. გუმანით გრძნობდა მათ საუბარს, მაგრამ შესაძლებლობა არ მიეცა, ჩარეულიყო. მას და არნჰაიმს ცნობისმოყვარენი შემოხვეოდნენ, რომლებიც არნჰაიმის სიმდიდრეს მიეზიდა. ამ დროს ულრიხმა თქვა: – არსებობს ათასობით პროფესია, რომელიც ადამიანს თავფეხიანად ითრევს და ჭკუა-გონებაც მხოლოდ იქ მოეკითხებათ. როგორც კი მათგან რამე ადამიანურს ან საზოგადოს მოითხოვ, სულ სამი რამ შეგრჩება ხელში: სიბრიყვე, ფული და, დიდი-დიდი, ცოტაოდენი რელიგია.

– სწორია, რელიგია! – ენერგიულად ჩაერია არნჰაიმი და

ულრიხს ჰკითხა, ფიქრობდა თუ არა ისიც, რომ რელიგია ძირფესვიანად გამქრალიყო, თან სიტყვა „რელიგია“ ისე მკვეთრად წარმოთქვა, რომ არ შეიძლება, გრაფ ლაინსდორფს არ გაეგო.

ამასობაში მისმა ბრწყინვალებამ და დიოთიმამ ზავი დადეს და დიოთიმა მას ხალხით გარშემორტყმული არნჰაიმისკენ წაუძღვა. ისინიც გაიფანტნენ და გრაფმა ლაინსდორფმა არნჰაიმთან გააბა საუბარი.

ულრიხი უცბად მარტო აღმოჩნდა და ტუჩზე იკბინა. ღმერთმა იცის, დროის მოსაკლავად თუ იმიტომ, რომ თავი მიტოვებულად არ ეგრძნო, მაშინვე იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ წამოიყვანა გრაფმა ლაინსდორფმა სხდომაზე. გრაფი ლაინსდორფი დროს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და ამიტომ მანქანებიც ჰყავდა, მაგრამ რადგან ტრადიციებსაც სცემდა პატივს, ხანდახან ქურანაცხენებშებმული ეტლითაც სარგებლობდა. პარალელური აქციის დამფუძნებელ კრებაზე ორი მშვენიერი, ლამის ისტორიულ რეკვიზიტად ქცეული ქმნილებით წასვლა მისმა ბრწყინვალებამ მიზანშეწონილად მიიჩნია და განკარგულება გასცა, მსახურთუხუცესს ეტლი მოემზადებინა. „ეს პეპია, ეს კი ჰანსი“, აუხსნა გრაფმა ლაინსდორფმა გზაში ულრიხს. უკნიდან მათი ბორცვივით გამოზნექილი გავები მოჩანდა. ერთ-ერთი ცხენი თავს აკანტურებდა, რიტმულად გვერდზე ხრიდა და ლაშებიდან დუჟი სდიოდა. ძნელი გასაგები იყო, რა ემართებოდათ ამ დროს ცხენებს. ჩინებული დილა იყო და ისინიც მიქროდნენ: საკვები და რბოლა, ალბათ, ცხენის ერთადერთი დიდი ჟინია; თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ პეპი და ჰანსი დაკოდილი ცხენები იყვნენ, სიყვარული მათთვის კონკრეტული მოთხოვნილება კი არ ყოფილა, არამედ სამყაროს სურათ-ხატზე ნაფიფქისა და მინანქრის მსგავსად მოდებული ნისლი. საკვების ჟინი ნუგბარი შვრიის მარცვლებთან ერთად მარმარილოს ბაგაში, თივასთან ერთად გობში, ლაგამის ღრჭიალის ხმაში ინახებოდა, თბილი საჯინიბოს ბურახის სუნში კონცენტრირდებოდა და სანელებლებით შეზავებული მისი სურნელიდან ამიაკით გაჟღენთილი შეგრძნება იმისა, რომ აქ ცხენებია, ნემსებივით აღწევდა. რაც შეეხება ცხენის ქროლას, საქმე სულ სხვაგვარადაა. ამ დროს ის ჯერ კიდევ რემის ნაწილია, სადაც წინამძღოლ ულაყს და მერე ყველას სათითაოდ თრთოლა აიტანს და რემაც მიქრის ქარისა და მზის

შესაგებებლად. როცა ცხოველი მარტოა, სამყაროს ყველა კარი კი ღია, მაშინ მას ხშირად თავის ქალიდან შეშლილივით ჟრჟოლა დაუვლის, ადგილს მოსწყდება და შემზარავ თავისუფლებაში გადაეშვება. უმისამართო ქროლის შემდეგ დაბნეული გაჩერდება და ერთი ჯამი შვრიით მოიტყუებ. პეპი და ჰანსი კარგი მორბენალი ცხენები იყვნენ. მზით განათებულ, შენობებით ჩახერგილ ქუჩებში ფლოქვების თქარათქურით დაქროდნენ. ხალხი ნაცრისფერი, მოზიმზიმე მასა იყო, არც სიხარულს და არც შიშს რომ არ იწვევს, მაღაზიების ჭრელი ვიტრინები, კაშკაშა ფერებში გამოწყობილი კოხტა ქალები – უგემური მინდვრის ზოლები, ქუდები, ჰალსტუხები, წიგნები, ბრილიანტები ქუჩის გასწვრივ – უდაბნო... საჯინიბო და ჩორთით სიარული – ამ ყველაფრიდან ოცნების მხოლოდ ეს ორი კუნძული იყო ამოზრდილი. ჰანსს და პეპის ხანდახან ჩრდილი დააფრთხობთ – როგორც სიზმარში ან თამაშისას – და ისინიც ხელნას ეკვრიან, შემდეგ კი მათრახს გადაუჭერენ და გამხნევებულები, აღვირს მადლიერებით ნებდებიან.

გრაფი ლაინსდორფი წამოიწია და მოულოდნელად ულრიხს უთხრა: – ბატონო დოქტორო, შტალბურგი მომიყვა, რომ ერთი ადამიანისთვის დახმარება განგიზრახავთ.

მოულოდნელობისგან ულრიხი დაიბნა და ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა გრაფი ლაინსდორფი, მან კი განაგრძო: – მოსაწონია თქვენი მხრიდან. ყველაფერი ვიცი. ვფიქრობ, რომ ბევრი არაფრის გაკეთება არ შეიძლება, ამაზრზენი ვინმეა. ხშირად სწორედ ასეთი სუბიექტების მიმართ ვლინდება ის აუხსნელი პიროვნული შეწყალების სურვილი, რასაც ყველა ქრისტიანი სულის სიღრმეში ატარებს, და თუ შენ თავად რამე დიდის კეთება გწადია, უმწეო უნდა გახსოვდეს. იქნებ ექიმის შემოწმება კიდევ ერთხელ გაიაროს?

ეტლი ჯაყჯაყით მიდიოდა. გრაფი ლაინსდორფი სკამის საზურგეს მიეყრდნო და დაამატა: – ჩვენ კი არ გვმართებს, დავივიწყოთ, რომ ახლა მთელი ძალ-ღონე ისტორიული მოვლენისკენ უნდა მივმართოთ.

ულრიხი კეთილგანწყობას გრძნობდა ამ გულუბრყვილო არისტოკრატის მიმართ, რომელიც დიოთიმასთან და არნჰაიმთან საუბარს აგრძელებდა, და ცოტა არ იყოს ეჭვიანობდა კიდეც. დიოთიმა იღიმებოდა, გრაფი ლაინსდორფი გაფაციცებით ადევნებდა მათ თვალყურს, რომ არაფერი

გამორჩენოდა. ულრიხმა არნჰაიმის ნათქვამ ფრაზას მოჰკრა ყური: „იდეის ხელისუფლების სფეროში შეტანა“. არნჰაიმს, როგორც ყოფიერების ფორმას, არნჰაიმის ტიპს პრინციპულად ვერ იტანდა. სულიერების, საქმიანობის, კეთილდღეობისა და ნაკითხობის ეს ნაზავი სულით ხორცამდე სძაგდა. დარწმუნებული იყო, წინა დღესვე ისე გათვალა, რომ სხდომაზე არც პირველი მისულიყო და არც ბოლო. იცოდა, რომ საათისთვის სახლიდან გასვლის წინ არ დაუხედავს, სულ ბოლოს საათს, ალბათ, მაშინ დახედა, როცა საუზმისთვის მაგიდას მიუჯდა და მდივანმა ფოსტის მოსვლის შესახებ ამცნო. შემდეგ კი ის დრო, რომელიც მის განკარგულებაში იყო, სულიერი საქმიანობისთვის გამოიყენა, რომლის დასრულებასაც სახლიდან გასვლამდე აპირებდა. ამ საქმით გულწრფელად დაკავდა; დარწმუნებული იყო, რომ ეს ზუსტად იმდენ დროს მოითხოვდა, რამდენიც საჭირო იყო, რადგან ის, რაც საჭიროა და საამისოდ აუცილებელი დრო ერთმანეთთან იდუმალი ძალებით არის დაკავშირებული ისევე, როგორც ქანდაკება და ის სივრცე, სადაც ის უნდა იდგეს, ან კიდევ შუბის მტყორცნელი და მიზანი, რომელსაც იგი ისე არტყამს, რომ არც კი უყურებს. ულრიხს ბევრი რამ სმენოდა არნჰაიმზე და მისი წიგნებიდან ზოგი წაეკითხა კიდეც. ერთგან ის წერდა, რომ ადამიანს, რომელიც სარკეში საკუთარ კოსტიუმს საგულდაგულოდ აკვირდება, მტკიცე მოქმედებების უნარი არ შესწევს, რადგან სარკე იმთავითვე სიხარულის მისანიჭებლად შეიქმნა – ასე მსჯელობდა იგი – ახლა კი შიშის იარაღად იქცა ისევე, როგორც საათი, რომელიც ჩვენი მოქმედებების დარღვეული ბუნებრივი მონაცვლეობის სუროგატს წარმოადგენსო.

ულრიხს ყურადღება რამე სხვაზე უნდა გადაეტანა, რომ გვერდით მდგომ ჯგუფზე უხერხულად თვალი არ გაშტერებოდა, და მზერა პატარა მოახლე გოგოზე შეაჩერა, რომელიც ჯგუფ-ჯგუფად მდგარ სტუმრებს შორის დაცქრიალებდა, გამაგრილებელ სასმელებს სთავაზობდა და მოკრძალებით მზერას ძლივს უსწორებდა. პატარა რახელი კი მას ვერ ამჩნევდა. ულრიხი დავიწყებოდა კიდეც და თავისი ლანგრით მასთან არც კი მისულა. რახელი არნჰაიმს მიუახლოვდა და, როგორც ღმერთს, სასმელი ისე შესთავაზა. ნაბობმა მას ჭიქა ჩამოართვა და დაბნეული, ხელში ატრიალებდა ისე, რომ არც დაულევია. რახელი ამ

მოკლეთითება მშვიდ ხელს სიამოვნებით ეამბორებოდა. კულმინაციური წერტილის გადალახვის შემდეგ რახელი თავის მოვალეობას წყობიდან გამოსული პატარა დანადგარივით ასრულებდა, მერე კი მსოფლიო ისტორიის არენიდან, რომელიც უამრავ ფეხსა და საუბარს აევსო, ნაჩქარევად ისევ წინა ოთახში გავარდა.

44. დიდი სხდომის გაგრძელება და დასასრული.ულრიხს რახელი სიამოვნებას ჰგვრის, რახელს – სოლიმანი.პარალელური აქცია მტკიცე ორგანიზაციის ფორმას იძენს

ულრიხს უყვარდა ასეთი გოგონები: პატივმოყვარე, ზნეკეთილი, მსხმოიარე, მწიფობაში შესული ხეხილივით თვინიერი, რომლის ტკბილი ნაყოფიც ერთ მშვენიერ დღეს ვინმე ბედოვლათს პირში ჩაუვარდება, თუ ინება და პირი გააღო. „ისინი, ალბათ, ქვის ხანის ქალებივით მამაცები და გამობრძმედილები არიან, ღამით მეომრის სარეცელს რომ იზიარებდნენ, დღისით კი ლაშქრობებში დაჰყვებოდნენ და მათ იარაღს და ჯამ-ჭურჭელს ეზიდებოდნენ“, – გაიფიქრა მან, თუმცა კი თვითონ იმ შორეული წარსულის შემდეგ, როდესაც მასში ის-ის იყო მამაკაცი იღვიძებდა, ასეთ საომარ ბილიკებზე აღარ უვლია. სხდომა დაიწყო, ულრიხმა ამოიხვნეშა და მაგიდას მიუჯდა.

უცებ გაახსენდა, რომ გოგონების შავ-თეთრი სამოსელი მონაზვნისას ჰგავდა და გაუკვირდა, რადგან აქამდე ყურადღება არ მიუქცევია. აი, უკვე ღვთაებრივი დიოთიმაც წამომდგარიყო სიტყვის სათქმელად.

– პარალელური აქცია რამე ნიშნით უნდა დაგვირგვინდეს. არა ნებისმიერით, ყოველი მხრიდან ხილულით, თუნდაც ყველაზე პატრიოტულით, არამედ რაღაც ისეთით, რომელიც ყველას გულებს დაიპყრობს, – ამბობდა იგი. – ის პოეზიად უნდა იქცეს, ქვაკუთხედად, იმ სარკედ, რომელშიც სამყარო ჩაიხედავს და გაწითლდება; იმ ჯადოსნურ სარკედ, რომელშიც ის თავის ჭეშმარიტ სახეს შეიცნობს და ვეღარასოდეს დაივიწყებს. მისმა ბრწყინვალებამ შთამაგონებელი იდეა წამოაყენა: „მშვიდობისმყოფელი იმპერატორი“.

თუ ამას დავეყრდნობით, ვერც იმას უარვყოფთ, რომ აქ გამოთქმული მოსაზრებები ამ იდეას არ პასუხობს. სხდომის

პირველ ნაწილში სიმბოლოებზე მოგახსენებდით. ცხადია, ვგულისხმობდი არა უფასო სასადილოებს, სადაც წვნიანს დაარიგებენ, არამედ კაცობრიობის გამაერთიანებელი იდეის ხელახლა მოძებნას, რომელიც სწორედ იმის გამო დაიკარგა, რომ ადამიანთა ინტერესები ასე დასცილდა ერთმანეთს. ბუნებრივად იბადება კითხვა: აქვს კი უნარი თანამედროვე ეპოქას და კაცობრიობას, დიდი საერთო იდეები შვას? ჩინებულია ყველა ის წინადადება, რაც აქ განვიხილეთ, მაგრამ ყველა მათგანი თავის გზას ეძებს, რაც იმას ცხადყოფს, რომ არც ერთი არ ფლობს იმ გამაერთიანებელ ძალას, ასე ძლიერ რომ გვჭირდება დღეს.

სანამ დიოთიმა ლაპარაკობდა, ულრიხი არნჰაიმს აკვირდებოდა. უსიამოვნო მის ფიზიონომიაში ცალკეული დეტალები კი არ იყო, რომელიც ყურადღებას იპყრობდა, არამედ ყველაფერი, ერთად აღებული: ფინიკიური მოყვანილობის სოვდაგრის თავის ქალა, მკვეთრი, მაგრამ თითქოს არასაკმარისი მასალისგან ნაძერწი და, ამდენად, ბრტყელი სახე, ინგლისურ თარგზე აჭრილი მისი კოსტიუმის სიმშვიდე და კოტიტა თითები. ულრიხს აღიზიანებდა ის ზომიერება, რაც მას ყველაფერში ეტყობოდა და რაც არც მის წიგნებს აკლდა. სამყარო წესრიგს აღიდგენდა ხოლმე, როგორც კი არნჰაიმი მას დააკვირდებოდა. იმის დანახვა, როგორი მოჩვენებითი ყურადღებით ადევნებდა თვალს არნჰაიმი ამ ყეყეჩურ პროცედურას, ულრიხში ქუჩის ბიჭის ჟინს აღვიძებდა და ამ ფუფუნებაში გაზრდილი კაცისათვის ქვებისა და ტალახის სროლა უნდებოდა. არნჰაიმი კი ნებიერად ტკბებოდა და ისეთი გამომეტყველება მიეღო, თითქოს უნდოდა ეთქვა: „არ მინდა ზედმეტად შევაქო, მაგრამ ეს ღვინო მართლაც ჩინებულია“.

ამასობაში დიოთიმამ თავისი სიტყვა დაასრულა. შესვენების შემდეგ, როცა ყველა მაგიდას მიუსხდა, სხდომის მონაწილეებს სახეზე ეტყობოდათ, რომ დარწმუნებულები იყვნენ, ახლა კი შედეგი გამოჩნდებაო. შუალედში ამაზე ფიქრით თავი არავის შეუწუხებია, მაგრამ ყველა რაღაც მნიშვნელოვანის მოლოდინში გარინდულიყო. და აი, დიოთიმამ დააბოლოვა: – თუ თავისთავად იბადება კითხვა: აქვს კი უნარი თანამედროვე ეპოქას და კაცობრიობას დიდი საერთო იდეები შვას, მაშინ ამ კითხვას ისიც უნდა დავურთოთ და ამის სრული უფლებაც გვაქვს: შეძლებს თუ არა იგი გამოძებნოს მხსნელი ძალა?

რადგანაც ახლა უმთავრესი გადარჩენაა, მოკლედ რომ ვთქვათ, აღმავლობა, რომელიც გვიხსნის! თუმცა ამის ნათლად წარმოდგენა იოლი არ არის! მის ამოსავალ წერტილად ერთობლიობა უნდა იქცეს ან ის საერთოდ ვერაფერს მიაღწევს. მის ბრწყინვალებასთან თათბირის შემდეგ უფლებას ვიტოვებ, დღევანდელი სხდომა შემდეგი წინადადებით დავასრულო. მისმა ბრწყინვალებამ სამართლიანად შენიშნა, რომ უმაღლესი ინსტანციები – რელიგიის, განათლების, ვაჭრობის, სამართლის და ა. შ. – ამ უმთავრესი ასპექტების მიხედვით დანაწევრებულ სამყაროს განასახიერებს. თუ ამის გამო კომიტეტებს დავაფუძნებთ, რომლებსაც სათავეში შესაბამისი სახელისუფლებო ინსტანციიდან უფლებამოსილი პირი ჩაუდგება, მათ დასახმარებლად კი კორპორაციებიდან და მოსახლეობის ფენებიდან წარმომადგენლებს ავირჩევთ, შეიქმნება სტრუქტურა, რომელიც სისტემური სახით მთავარი მორალური ძალების მატარებელი იქნება და ამ ძალების ჩადინება და გაცხრილვაც სწორედ ამ სტრუქტურაში მოხდება. შემაჯამებელი სამუშაოები მთავარ კომიტეტში ჩატარდება; ეს სტრუქტურა კი საგანგებო კომიტეტებითა და ქვეკომიტეტებით უნდა შეივსოს; მაგალითად, პროპაგანდის ან ფულის მოძიების დარგში და ა. შ.

თვითონ კი სურვილი გამოთქვა, ინტელექტუალურ ფონდს ჩასდგომოდა სათავეში ფუძეიდეების დამუშავების მიზნით და, ცხადია, დანარჩენ კომიტეტებთან შეთანხმებით.

ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ ამჯერად არა უწინდელივით დამთრგუნველი. გრაფმა ლაინსდორფმა თანხმობის ნიშნად რამდენჯერმე თავი დააქნია. შემდეგ კი ვიღაცამ საქმის არსში უკეთ გარკვევის მიზნით იკითხა, თუ როგორ შევიდოდა ამ აქციაში ავსტრიული ელემენტი.

პასუხის გასაცემად გენერალი შტუმ ფონ ბორდვერი წამოდგა, თუმცა დანარჩენი ორატორები ისხდნენ და ისე ლაპარაკობდნენ. მან თქვა, რომ მშვენივრად იცოდა იმ მოკრძალებული როლის შესახებ, რომელიც ჯარისკაცს ეკისრება საბჭოში და თუ მაინც სიტყვას ითხოვდა, არა იმიტომ, რომ აქ წამოყენებული წინადადებების კრიტიკაში აპირებდა ჩარევას, რომლებიც თავისთავად შესანიშნავი იყო. მას სურდა, სხდომისთვის ერთი მოსაზრების განხილვა შეეთავაზებინა. დაგეგმილ აქციას ზემოქმედება უნდა მოეხდინა უცხოეთზე.

ხოლო ის, რაც უცხოეთზე ზემოქმედებს, ხალხის ძალაა. ევროპულ სახელმწიფოთა მდგომარეობა კი ისეთი იყო – როგორც მისმა ბრწყინვალებამ ბრძანა – რომ მსგავსი დემონსტრაცია უდავოდ ნაყოფიერი იქნებოდა. როგორც ტრაიჩკე იტყოდა, სახელმწიფო იდეა ხომ ძალაუფლების იდეა იყო. სახელმწიფო კი არის ძალაუფლება, რომელიც ცდილობს, ხალხთა ბრძოლაში თავი შეინარჩუნოს.

– ძველ ჭრილობაში თითის ტრიალს ემგვანება, თუ შეგახსენებთ პარლამენტის უმოქმედობას, რასაც იგი ჩვენი არტილერიისა და სამხედრო ფლოტის მშენებლობის საქმეში იჩენს. თუ სხვა მიზანი არ მოიძებნა, რაც ჯერ არ ჩანს, მაშინ ფართო, საყოველთაო სახალხო მონაწილეობა ჯარისა და მისი შეიარაღების საქმეში ჭეშმარიტად ღირსეული მიზანი იქნებოდა! Si vis pacem para bellum! მშვიდობიან პერიოდში განმტკიცებული ძალა ომისგან გვაშორებს ან მის საფრთხეს მაინც ამცირებს. გარწმუნებთ, რომ ამგვარი ინიციატივა ხალხთა შორის შემრიგებლურ ფუნქციასაც შეასრულებს და მშვიდობისკენ სწრაფვის გზაზე შთამბეჭდავ დემონსტრაციადაც იქცევა.

იმწუთას ოთახში რაღაც უცნაური ხდებოდა. დასაწყისში დამსწრეთა უმრავლესობამ ჩათვალა, რომ წარმოთქმული სიტყვა მათი შეკრების მიზნებს არ პასუხობდა. შემდეგ და შემდეგ კი წარმოთქმული სიტყვის აკუსტიკა დისციპლინირებული ბატალიონის მარშივით დამამშვიდებლად მოქმედებდა. პარალელური აქციის თავდაპირველი აზრი – „პრუსიელებზე უკეთ“ – კვლავ ამოტივტივდა; თითქოს სადღაც შორს სასულე სამხედრო ორკესტრი თურქების წინააღმდეგ სალაშქროდ წასული პრინც ოიგენიუსის მარშს ანდა „უფალო, შეგვიწყალეს“ ასრულებდა. მისი ბრწყინვალება რომ წამომდგარიყო – რაც მას აზრადაც არ მოსვლია – და სხდომისთვის შეეთავაზებინა, მოძმე პრუსიელი არნჰაიმი სამხედრო ორკესტრს სათავეში ჩასდგომოდა, იმ გაურკვეველი ამაღლებული განწყობილების გამო, რაც მათ შექმნოდათ, ყველა ჩათვლიდა, კაიზერის გერმანიის ჰიმნს ვისმენთო და წინააღმდეგიც არავინ იქნებოდა.

„რაშელი“ ჭუჭრუტანასთან იჯდა და დანარჩენებს ნიშანს აძლევდა: „ახლა ომზე ლაპარაკობენ“.

შესვენების შემდეგ წინა ოთახში კიდევ იმიტომაც გამოვარდა,

რომ იქ სოლიმანი ეგულებოდა, რომელიც არნჰაიმს ამჯერად თან მოეყვანა. რადგან ამინდი არეულიყო, ამიტომ პატარა მავრი თავის ბატონს პალტოში გამოწყობილი უკან მიჰყვებოდა. როცა რახელმა კარი გაუღო, სოლიმანმა უტიფარი სახე მიიღო, რადგან ამ ტუტუცმა ბერლინელმა ბიჭმა, ქალებს ასე რომ გაენებივრებინათ, ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორ დაეჭირა მათთან თავი. რახელმა ჩათვალა, რომ მავრიტანულად უნდა დალაპარაკებოდა და გერმანულად არც კი უცდია. რამე ხომ უნდა გაეგებინებინა, ამიტომ ამ თექვსმეტი წლის ბიჭს მხარზე დაადო ხელი, სამზარეულოსკენ მიუთითა, იქ კი სკამი დაუდგა და ნამცხვრები და სასმელიც ახლოს მიუწია. ასეთი რამ თავის სიცოცხლეში არ ჩაედინა და მაგიდიდან რომ წამოდგა, გულისცემა ისე აუჩქარდა, როდინში შაქრის ნაყვისას რომ იცის ხოლმე.

– რა გქვიათ? – ჰკითხა სოლიმანმა. ღმერთო, თურმე გერმანულად ლაპარაკობს.

– რახელი, – უპასუხა რახელმა და გაიქცა.

სოლიმანმა კი ნამცხვარი, ღვინო და ფუნთუშები მიირთვა, სიგარეტს მოუკიდა და მზარეულ გოგოს გაუბა საუბარი. უკან დაბრუნებულ რახელს თითქოს რაღაცამ უჩხვლიტაო. – იქ, ოთახში, რაღაც მნიშვნელოვანზე ბჭობდნენ, – თქვა მან. სოლიმანს რახელის ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მზარეულს კი, რახელზე უფროსი რომ იყო, გაეცინა. – შეიძლება ომი დაიწყოს, – დაამატა აღელვებულმა რახელმა.

სოლიმანი გაფაციცდა.

– ავსტრიელი გენერლები იქ არიან? – იკითხა მან.

– თქვენ თვითონ ნახეთ! – უპასუხა რახელმა. – ერთი უკვე იქ არის. – და ორივე ჭუჭრუტანისკენ წავიდა.

მზერა ხან თეთრ ქაღალდს სწვდებოდა და ხან ვიღაცის ცხვირს, ხან დიდი აჩრდილი ჩაივლიდა და ხან ბეჭედი გაიბრჭყვიალებდა. ცხოვრება კაშკაშა დეტალებად იშლებოდა. მწვანე მაუდი მდელოსავით გადაჭიმულიყო. ცვილივით ნაქანდაკები ხელი თითქოს პანოპტიკუმში დევსო, და თუ დამრეცად გაიხედავდი, დაინახავდი, რომ კუთხეში გენერლის ტემლაკიც ბჟუტავდა. თვით ნებიერა სოლიმანიც კი ვერ ფარავდა აღელვებას. კარის ღრიჭოდან თუ შეხედავდით ან

ფანტაზიით თუ წარმოიდგენდით, ცხოვრება ჯადოსნურად, უცნაურად ფართოვდებოდა.

წელში მოხრისგან ყურებს ზუზუნი გაუდიოდა, კარს მიღმა კი ხმები ხან ლოდებივით გრუხუნებდა, ხან თითქოს გასაპნულ ფიცარნაგზე სხლტებოდა. რახელი წამოიმართა. თითქოს მის ფეხქვეშ იატაკიც წამოიწია; იქ დატრიალებული მოვლენების სულში ისე გაეხვია, თითქოს ფოტოგრაფის თუ მეფოკუსის შავი ნაჭერი გადააფარესო. მერე სოლიმანიც წამოდგა, გაიღიმა და მოლურჯო ტუჩებიდან ალისფერი ღრძილები გამოაჩინა.

იმ დროს, როდესაც წინაოთახში კედელზე ჩამოკიდებულ გავლენიანი სტუმრების პალტოებს შორის წამები საყვირზე აღებული ბგერებივით ილეოდა, ოთახში რეზოლუციას იღებდნენ. გრაფმა ლაინსდორფმა განაცხადა, რომ ბატონი გენერლის მნიშვნელოვანი ინიციატივა დიდ ყურადღებას იმსახურებდა, თუმცა საქმის არსობრივი მხარის განხილვას არ აპირებდნენ და მხოლოდ ორგანიზაციული საწყისების განსაზღვრა განეზრახათ. გარდა იმისა, რომ სამინისტროებს თავიანთი მთავარი ასპექტების მიხედვით სამყაროსთვის გეგმა უნდა მიესადაგებინათ, აუცილებელი იყო დასკვნითი რეზოლუციის მიღებაც, სადაც ნათქვამი იქნებოდა, რომ ერთსულოვანი მოსაზრებით, მათი აქციის წყალობით ხალხის ნების გამოვლენისთანავე მისი უდიდებულესობისთვის უმორჩილესი თხოვნით მიემართათ, რათა ამ აქციის მატერიალური განხორციელებისთვის საჭირო თანხები თავად მას განეკარგა. უზენაესი ნების შემწეობით ხალხი ღირსეულ მიზანს დაისახავდა და ამის უპირატესობაც ეს იქნებოდა. თუმცა მისი ბრწყინვალების სურვილის გათვალისწინებით მიღებული რეზოლუცია მხოლოდ ფორმას ეხებოდა, მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ხალხს საკუთარი ინიციატივით და მეორე კონსტიტუციური ფაქტორის გარეშე არაფერი მოემოქმედა.

სხდომის მონაწილეთათვის ამ ფორმალურ დეტალებს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ამიტომაც პრეტენზია არავის გამოუთქვამს. სხდომა რეზოლუციის მიღებით რომ დამთავრდა, გასაკვირი არ იყო. რა მნიშვნელობა აქვს, როგორ მოიქცევი: ჩხუბის ბოლოს წერტილს დანით დასვამ თუ მუსიკალურ პიესას ათივე თითით აღებული აკორდით დაასრულებ, ან მოცეკვავე პარტნიორ ქალს მოწიწებით

დაუკრავ თავს. სამყარო შემზარავი იქნებოდა, მოვლენებს ისე რომ ჩაევლო, მათ დასრულებაში არ დავერწმუნებინეთ. ამიტომაც მიღებულია, ასე მოვიქცეთ.

45. ორი მწვერვალის მდუმარე შეხვედრა

სხდომა რომ დამთავრდა, არნჰაიმმა შეუმჩნევლად ისე მოაწყო, რომ სტუმრების წასვლის შემდეგ დარჩენილიყო. იმპულსი თავად დიოთიმასგან მოდიოდა. განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი კი დელიკატურად იცავდა იმ ვადას, რაც სხდომის დასამთავრებლად და სტუმრების წასასვლელად იყო საჭირო. ოთახიდან ოთახში გადაძახილების ხმა ისმოდა. ვიღაც განკარგულებას გასცემდა, ვიღაც თავის მოსაზრებას გამოთქვამდა. სწორედ ისეთი მოუსვენრობა იგრძნობოდა, როგორსაც დიდი მოვლენები ტოვებს ხოლმე. არნჰაიმი დიოთიმას ღიმილით ადევნებდა თვალს. დიოთიმა გრძნობდა იმ რიტმს, რომელსაც მთელი ბინა მოეცვა. ამ მოვლენების გამო ნივთებს ადგილი შეეცვალათ და ახლა ერთიმეორის მიყოლებით ჩვეულ ადგილს უბრუნდებოდნენ, სწორედ ისე, ტალღა რომ სანაპიროს გადაუვლის, ქვიშას გადარეცხავს და უამრავ პატარ-პატარა ღრმულსა და ბორცვს მოაშიშვლებს. სანამ არნჰაიმი მდუმარედ იდგა და ელოდებოდა, როდის მიწყნარდებოდა ირგვლივ ყველაფერი, დიოთიმას გაახსენდა, რომ განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის გარდა, მასთან პირისპირ, ასე შინაურულად არც ერთი მამაკაცი არ დარჩენილიყო და ცარიელი ბინის მდუმარე ცხოვრება არავისთან არ განეცადა. მისი უბიწოება უცბად უჩვეულო წარმოდგენებმა შეაკრთო. მოეჩვენა, რომ დაცარიელებული ბინა, სადაც მისი ქმარიც კი არ იყო, შარვალს ჰგავდა და ეს შარვალი არნჰაიმს ამოეცვა. დგება ხოლმე წუთი, როცა ასეთი განცდა ყველაზე უმანკო სულსაც კი ეუფლება, და სიყვარულის ტკბილმა სიზმარმა, როცა სული და ხორცი ერთმანეთს ერწყმის, დიოთიმას შუქი მოჰფინა.

არნჰაიმი კი ვერაფერს ხვდებოდა. მისი შარვლის უზადო ნაკეცი იატაკის პერპენდიკულარულად ეშვებოდა და სარკესავით მოპრიალებულ პარკეტს სწვდებოდა. მისი სერთუკი, ჰალსტუხი, მშვიდად მოღიმარი კეთილშობილური სახე იმდენად სრულყოფილი იყო, რომ არაფერს გამოხატავდა. აპირებდა, დიოთიმასთვის ესაყვედურა სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებული ინციდენტის გამო და

სამომავლოდ ზომები მიეღო, მაგრამ რაღაც აიძულებდა ამ კაცს, ვინც ამერიკელ ფინანსურ მაგნატებს, როგორც ტოლი ტოლს, ისე ესაუბრებოდა, ვისაც იმპერატორები და მეფეები იწვევდნენ, ვინც ქალებს საფასურს პლატინით უნაზღაურებდა, მონუსხულივით მიშტერებოდა დიოთიმას, სინამდვილეში ერმელინდა რომ ერქვა ანდა სულაც ჰერმინა ტუცი და მაღალი რანგის ჩინოვნიკის ცოლის გარდა, სხვას არაფერს წარმოადგენდა. ამ „იარაღის“ აღსანიშნავად, მოგვიწევს, კიდევ ერთხელ ვიხმაროთ სიტყვა „სული“.

ეს სიტყვა არაერთხელ შეგვხვედრია, მაგრამ რაღაცასთან ბუნდოვან კავშირში. მაგალითად, რაღაც ისეთად, რაც თანამედროვე ეპოქამ დაკარგა და რასაც ცივილიზაცია ვერ ითავსებდა, რაც ფიზიკურ ლტოლვასა და ცოლქმრულ ჩვევებს მკვეთრად უპირისპირდება; ის, რაც პარალელურ აქციას უნდა გამოეთავისუფლებინა, ის, რაც რელიგიური ჭვრეტა და გრაფი ლანსდორფის contemplatio in caligine divina იყო, ის, რაც მრავალ ადამიანში სიმბოლოების სიყვარულია და ა. შ. ამ სიტყვის ყველა თავისებურებიდან უცნაური ის გახლავთ, რომ ახალგაზრდებს მისი წარმოთქმა ყოველთვის ღიმილს ჰგვრით. თვით დიოთიმა და არნჰაიმიც ერიდებოდნენ ამ სიტყვის რამესთან კავშირის გარეშე ხმარებას, რადგან ამაღლებული, კეთილშობილი, მშიშარა, გაბედული, მდაბალი სული კიდევ გასაგებია, მაგრამ ენა არავის მოუტრიალდება, ასე უბრალოდ, უცერემონიოდ თქვას „ჩემი სულიო“. ეს სიტყვა ცალსახად ასაკოვანი ადამიანისთვისაა შექმნილი. ეს გარემოება კი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ცხოვრების გზაზე რაღაც ყოველთვის უფრო საგრძნობი ხდება და ეს რაღაც დაუყოვნებლივ საჭიროებს სახელდებას. რადგან შესაბამისი სახელის მოძებნა არ ხერხდება, ამიტომ მის ნაცვლად თავდაპირველად უგულებელყოფილ აღმნიშვნელს ვიყენებთ.

როგორ აღინიშნება ეს? ადამიანი შეიძლება იდგეს, დადიოდეს ან ისე იქცეოდეს, როგორც მოესურვება. არსებითი ის არ არის, რაც მის წინ არის, რასაც ხედავს, რაც ესმის ან სურს, რასაც ხელს ჰკიდებს ან რასაც ძლევს. წინ ის ჰორიზონტივით, ნახევარწრესავით არის გადაჭიმული, რომლის ბოლოებსაც ქორდა კრავს, ქორდის სიბრტყე კი სამყაროს ცენტრში გაივლის. ამ სიბრტყიდან სახე და ხელები იხედება; მას გრძნობები და მისწრაფებები მოსდევს. ეჭვს არავისში იწვევს ის, რომ, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ყოველთვის გონივრულია, ყოველ

შემთხვევაში, გზნება მაინც არ აკლია, ანუ გარე სამყარო იმგვარ მოქმედებას ითხოვს, რაც ყველასთვის გასაგებია, და თუ ვნებით შეპყრობილნი რამე გაუგებარს მოვიმოქმედებთ, ამას თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს. რაც უნდა თვითკმარი და გასაგები ჩანდეს ეს ყოველივე, რაღაც ბუნდოვანი შეგრძნება მაინც არ გვტოვებს, შეგრძნება იმისა, რომ ეს მაინც სანახევრო საქმეა. წონასწორობის დასაცავად რაღაც საკმარისი მაინც არ არის და ადამიანი წინ მიისწრაფვის, ბაგირზე მოსიარულესავით რომ არ წაბარბაცდეს. რადგან ის წინ სწრაფვისას ცხოვრების გზას განლევს, განვლილს კი უკან მოიტოვებს, გავლილი და გასავლელი კედელს წარმოქმნის; მისი გზა კი ხის ჭიისას ჰგავს, რომელმაც აქეთ-იქით რომ იღოღოს ან თუნდაც უკან გაბრუნდეს, მაინც ცარიელ სივრცეს დატოვებს. შემზარავი გრძნობა იმისა, რომ მთელი სისავსის უკან ბრმა, იზოლირებული სივრცეა და ის ნახევარი, რომელიც ყოველთვის გვაკლია მაშინაც კი, როცა ყველაფერი უკვე მთლიანია, ბოლოს და ბოლოს იმას გვამჩნევინებს, რასაც სული ჰქვია.

სხვადასხვა სუროგატის სახით და ტემპერამენტის მიხედვით ჩვენი აზრი, გრძნობა და ვარაუდი სულს ყველგან და ყოველთვის გულისხმობს: ახალგაზრდობაში ერთგვარი დაურწმუნებლობით, მაშინაც კი, როცა ისეთ საქმეს ვაკეთებთ, რაც აუცილებელია; ხანდაზმულ ასაკში გვიკვირს, რა ცოტა შევძელით იმ საქმეთაგან, რაც მიზნად გვქონდა. შუახნის ასაკში თავს ამით ვიმშვიდებთ: მერე რა, რომ ცალ-ცალკე აღებულს ყველაფერს ვერ გავამართლებთ, რასაც ვაკეთებთ – ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია ყველაფერს – ჩვენ მაინც მაგრები ვართო; ან: თავად სამყაროც ხომ ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოსო და საბოლოო ჯამში ის ყველაფერი, რაც ხელიდან გავუშვით, სამართლიან კომპრომისს წარმოადგენს. დაბოლოს, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბევრი ღმერთზეც ფიქრობს, რომელსაც ჯიბეში სწორედ ის უდევს, რაც მათ ასე ძლიერ აკლიათ. განსაკუთრებულ ადგილს მხოლოდ სიყვარული იკავებს, რადგან მსგავს გამონაკლის შემთხვევაში ამ პირველ ნახევარს მეორე შეეზრდება. როგორც ჩანს, ის, ვინც გვიყვარს, იქ დგას, სადაც ყოველთვის რაღაც საკმარისი არ არის. სულები, ასე ვთქვათ, dos à dos ერთდებიან და ამასთან, ზედმეტნიც ხდებიან. ამიტომ ყრმობის სიყვარულის გავლის შემდეგ ადამიანთა უმრავლესობა სულის ნაკლებობას ვერც კი

ამჩნევს და ეს ეგრეთ წოდებული სისულელე კეთილშობილური სოციალური დავალების შემსრულებელი ხდება.

არც დიოთიმას და არც არნჰაიმს არასოდეს ჰყვარებიათ. დიოთიმას შესახებ ეს უკვე ცნობილია, მაგრამ ამ დიდ ფინანსისტსაც უბიწო სული ჰქონდა, ამ სიტყვის ფართო გაგებით. არნჰაიმი ყოველთვის შიშობდა, რომ ქალებში გრძნობებს მისი ფული და არა თავად ის აღძრავდა, ამიტომ კავშირს სწორედ იმ ქალებთან ამყარებდა, ვისაც საზღაურს ფულით უხდიდა და არა გრძნობებით. მეგობარი არასდროს ჰყოლია, რადგან შიშობდა, მისი ნდობა ბოროტად არ გამოეყენებინათ და მაშინაც კი, როცა საქმიან ურთიერთობებს სულიერი ხასიათი ჰქონდა, მისი გრძნობები მეგობრობაში არასდროს გადაზრდილა. ცხოვრებისეული გამოცდილებით მდიდარს, მაგრამ მაინც უბიწოს და მარტოსული ცხოვრებისათვის განწირულს, ბედისწერამ დიოთიმა შეახვედრა. იდუმალი ძალები მათში ერთმანეთს შეეჯახა. რას შეიძლება ეს შევადაროთ? მხოლოდ პასატებს, გოლფსტრიმს, დედამიწის ქერქის ვულკანურ რყევას – კოსმიურ, საათებისა და დღეების დამანგრეველ ძალებს, ადამიანისას შემზარავად რომ აღემატება. ამოქმედდა ყოვლის წამლეკავი ნიაღვრები. რაც გინდა თქვი, ასეთ წუთებში ყველაფერი სულერთია. შარვლის პერპენდიკულარულ ნაკეცთან შეზრდილი არნჰაიმის სხეული თითქოს ბუმბერაზ მთაზე ღვთაებრივ მარტოობაში იდგა. მეორე მხარესთან კი, მარტოობის სხივით გაბრწყინებულ დიოთიმასთან, ხეობა აკავშირებდა. მხრებთან ბუფებიანი კაბა დიოთიმას მკერდსა და მუცელზე ხელოვნურ ნაოჭებად ჩამოშლოდა და მუხლის სახსრის ქვემოთ, კუნთთან, ისევ სწორად ეშვებოდა. პორტიერის მინის მძივები ტბორებივით ციმციმებდა, შებუმბლული შუბები და ისრები კედლებზე საბედისწერო ვნებით კრთოდა, კალმან-ლევის ყვითელი ტომები კი ლიმონის ბაღებივით დუმდა. მოდით, მათი საუბრის დასაწყისს მოკრძალებით ავუაროთ გვერდი.

46. იდეალები და მორალი საუკეთესო საშუალებაა იმ ხვრელის ამოსავსებად, სული რომ ჰქვია

პირველმა არნჰაიმმა აიხსნა ჯადო, რადგან ამგვარი მდგომარეობის გახანგრძლივება, მისი აზრით, დაუშვებელი იყო. ასეთ დროს ადამიანი ან ბრიყვულ, უშინაარსო,

სენტიმენტალურ ფიქრებს მიეცემა, ან აზრებისა და მრწამსის მყარი კარკასი მოწიწებას შემოგატყუებს, რაც თავისი არსით მოწიწების ტოლფასი სულაც არ გახლავთ.

ამგვარი მეთოდი, რომელსაც ზნეობრივი მოძღვრებები, რელიგიები და ფილოსოფიები ასე წარმატებით ახორციელებენ, ერთი მხრივ, სულისთვის მომაკვდინებელია, მაგრამ ამასთან მას საყოველთაო მოხმარების მიზნით პატარ-პატარა პორციებად აკონსერვებს და სულიც ოდითგან გონებას, მრწამსსა და პრაქტიკულ საქმიანობას ამ გზით უკავშირდება. ღმერთმა იცის, მაინც რა არის ეს სული! უდავოა, რომ მწველი სურვილი, ყური დავუგდოთ მის ხმას, შედეგად მოქმედების განუზომელ თავისუფლებასა და ნამდვილ ანარქიას ტოვებს. იმის მაგალითებიც არსებობს, რომ დანაშაულს სწორედ, ასე ვთქვათ, ქიმიურად სუფთა სულები სჩადიან. საკმარისია, სულმა მოვალეობისა და მშვენიერების სფეროში ბურჟუაზიული განათლებითა და იდეალებით გაღრმავებული მორალი და ფილოსოფია შეიძინოს, და მასაც მაშინვე წესდების, მითითებებისა და ინსტრუქციების მთელ სისტემას წაუყენებენ, რომლის შესაბამისობადაც იგი უნდა იქცეს, სანამ იმაზე დაფიქრების უფლება მიეცემა, რომ ის მნიშვნელოვანია, და გავარვარებული ღუმელივით გამოსცემს მხურვალებას. შემდეგ უკვე მხოლოდ მის განმარტებასთან დაკავშირებული ლოგიკური კითხვებიღა რჩება: ემთხვევა თუ არა ესა თუ ის მოქმედება ამა თუ იმ მცნებას და სულიც გადატანილი ბრძოლის ველივით მშვიდ პერსპექტივას იძენს, სადაც დახოცილები წყნარად წვანან და, თუ სადმე სიცოცხლის ნამცეცი გმინავს ან ფეთქავს, მაშინვე ამჩნევ. ამიტომაც ადამიანი ამ გადასასვლელს შეძლებისდაგვარად სწრაფად გაივლის. თუ რელიგიური ეჭვები ღრღნის, როგორც ხანდახან ახალგაზრდობაში ხდება ხოლმე, მალევე ურწმუნოთა დევნას იწყებს; თუ სიყვარულმა თავგზა აურია, მას ქორწინებად გადააქცევს; თუ სხვა რამ გზნებამ მოიცვა, მისი ცეცხლისგან თავის დასაღწევად ამ ცეცხლისთვისვე აგრძელებს სიცოცხლეს. დღის უამრავ წუთს, ყოველი მათგანი შინაარსს და იმპულსს რომ საჭიროებს, იდეალური მდგომარეობის ადგილს ამავე მდგომარეობისათვის ათასნაირი საქმიანობით, ანუ მიზნისკენ მიმავალი საშუალებებით, დაბრკოლებებითა და ინციდენტებით, ავსებს, რაც სრული გარანტიაა იმისა, რომ ამ მიზანს ვერასდროს მიაღწევს. სულელის, სულით ავადმყოფის

ან აკვიატებული იდეების მქონე ადამიანის გარდა, გზნების ამ ცეცხლს მუდმივად ვერავინ უძლებს. ჯანმრთელი კი მხოლოდ იმ განცხადებას უნდა დასჯერდეს, რომ ამ იდუმალი ცეცხლის ნაპერწკლის გარეშე სიცოცხლე არაფრად უღირს.

არნჰაიმის ყოფიერება საქმიანობით იყო სავსე. ის რეალობის ადამიანი გახლდათ და სხდომაზე, რომლის მოწმეც იგი გახდა, კეთილი ღიმილით, ძველი ავსტრიული მაღალი საზოგადოების თავდაჭერილობის გრძნობაც რომ არ აკლდა, უსმენდა, როგორ ლაპარაკობდნენ იმპერატორ ფრანც იოზეფის სახელობის წვნიანის დამრიგებელ დაწესებულებაზე ან პასუხისმგებლობის გრძნობასა და სამხედრო ლაშქრობებს შორის კავშირზე. ულრიხისგან განსხვავებით, არნჰაიმი ასეთ საუბრებს არ დასცინოდა, რადგან ღრმად სჯეროდა, რომ სათნოების გამო ცოტა არ იყოს სასაცილო და ყოველდღიურობის ზრუნვით შეპყრობილ მათ სულებში იდეალიზმის გულისამაჩუყებელი მარცვლის დანახვა გამბედაობას და უპირატესობას უფრო ცხადად წარმოაჩენს, ვიდრე ის, რომ დიადი იდეებით იყო შეპყრობილი.

დიოთიმა ამ გარემოცვაში ანტიკურ ქანდაკებასავით იდგა და ცეცხლივით მწველი სიტყვები „საყოველთაო ავსტრია“ ვენური კილოთი ისე წარმოთქვა, რომ არნჰაიმი რაღაც გაუგებარმა გრძნობამ შეიპყრო.

მასზე ერთ ისტორიას ჰყვებოდნენ. მის ბერლინურ სახლში ერთი დარბაზი ბაროკოს და გოთიკის ეპოქების ქანდაკებებით იყო გამოჭედილი. კათოლიკური ეკლესია (მასთან არნჰაიმს განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებდა) საკუთარ წმინდანებსა და მებაირაღეებს უმეტესად ნეტარი ეგზალტირებული პოზით გამოსახავს. ქანდაკებები გამოხატავდნენ, როგორ კვდებოდნენ წმინდანები; სული კი სხეულს თეთრეულივით წურავდა. თავდაპირველი გარემოდან მოწყვეტილი და უცხო ოთახში მოხვედრილი გადაჯვარედინებული ხმლებივით ხელები და უკან გადაგდებული მათი კისრები ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მყოფ კატატონიურ პოზაში გახევებულ ადამიანებს მოგაგონებდათ. ხელოვნებათმცოდნეებს შორის ეს კოლექცია დიდად ფასობდა და ისინიც მისი ხშირი სტუმრები იყვნენ. არნჰაიმი მათ მეცნიერულ საუბრებს გაუბამდა ხოლმე, მაგრამ ხშირად დარბაზში მარტოდმარტო იჯდა და ამ დროს სრულიად

სხვაგვარი გრძნობა ეუფლებოდა. ეს იყო შიშნარევი გაკვირვება, თითქოს ნახევრად შეშლილ სამყაროს უმზერსო. გრძნობდა, როგორ ღვიოდა თავდაპირველად ენით უთქმელი ცეცხლი მორალში; ახლა კი თვით ისეთ ადამიანსაც კი, როგორიც ის იყო, სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა ერთისა – ჩამწვარ ნახშირს ჩაშტერებოდა. ეს ბუნდოვანი გამოვლინება იმისა, რასაც რელიგიები და მითები მოგვითხრობს, თითქოს თავდაპირველად კანონები ადამიანებს ღმერთებმა უბოძეს, სულის ადრეული მდგომარეობის შეგრძნება, რაღაცნაირად შემაძრწუნებელი, მაგრამ ღმერთებისთვის, ალბათ, მაინც საამო, მისი აზრების გარშემო განგაშის უცნაურ ნაწიბურს ქმნიდა. არნჰაიმს მებაღის შეგირდი ჰყავდა, ერთი მეტისმეტად უბრალო კაცი, როგორც მას ეძახდა. ხშირად მასთან ყვავილებზე საუბრობდა, რადგან ასეთი ადამიანისგან უფრო მეტს ისწავლი, ვიდრე სწავლულთაგან. ერთ დღეს არნჰაიმმა აღმოაჩინა, რომ ეს შეგირდი მის სახლში ქურდობდა. სასოწარკვეთილს ყველაფერი მიჰქონდა, რასაც მოიხელთებდა და ნადავლს აგროვებდა, რადგან ერთადერთ აზრს შეეპყრო – გამხდარიყო დამოუკიდებელი. ერთ მშვენიერ დღეს პატარა ქანდაკებაც გაქრა და არნჰაიმმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართა. პოლიციამ კი საქმე გამოიძია და როცა მას ეს ამბავი ამცნეს, არნჰაიმმა მებაღის შეგირდი დაიბარა. მთელი ღამე საყვედურობდა უზნეობას და თავშეუკავებელ მომხვეჭელობას. იმასაც ჰყვებოდნენ, რომ ამ დროს თავადაც ძალზე ღელავდა და ბნელ ოთახში განმარტოებულს, ლამის ეტირა, რადგან შურდა ამ კაცისა. ამის მიზეზი კი თავადაც ვერ აეხსნა. მეორე დღეს კი იგი პოლიციას გადასცა.

ამ ისტორიის სიმართლეს მისი მეგობარიც ადასტურებდა. ახლაც, როცა დიოთიმასთან ოთახში პირისპირ დარჩა, სწორედ ასეთი გრძნობა დაუფლებოდა, გრძნობა იმისა, რომ ოთხ კედელს გარშემო სამყარო გიზგიზებდა.

47. არნჰაიმში თავმოყრილია ის, რაც სხვა დანარჩენში დანაწევრებულია

მომდევნო კვირებში დიოთიმას სალონი ახლებურად გაიფურჩქნა. პარალელური აქციის შესახებ სიახლის გასაგებად ვინ აღარ მოდიოდა. სურდათ, იმ ახალი ადამიანისთვისაც შეევლოთ თვალი, იმ ნაბობისთვის, მდიდარი ებრაელისთვის, იმ უნიკუმისთვის, ლექსებსაც რომ წერდა, ქვანახშირის

ფასებსაც კარნახობდა და გერმანიის იმპერატორის პირადი მეგობარიც იყო. ამბობდნენ, დიოთიმამ სული სწორედ ამ კაცს მიჰყიდაო. მოდიოდნენ არა მარტო გრაფი ლაინსდორფის ან დიპლომატიური წრის ქალბატონები და ბატონები, არამედ განსაკუთრებულ ინტერესს ისინიც ავლენდნენ, რომლებიც ბურჟუაზიის ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებას განასახიერებდნენ. ასე რომ, აქ შეიძლება ერთმანეთს გადაჰყროდნენ ევეს ენის სპეციალისტები და კომპოზიტორები, რომელთაც მანამდე ერთმანეთის შესახებ არაფერი სმენოდათ, ან ადამიანები, ვისაც სიტყვა „კურსი“ საბირჟო კურსს ან სემინარების კურსს ახსენებდა.

ახლა კი აქამდე არარსებული რამ მოხდა: გამოჩნდა კაცი, რომელიც ყველას თავის ენაზე ესაუბრებოდა და ეს კაცი არნჰაიმი იყო.

ოფიციალური სხდომებისგან, მეტადრე დასაწყისში, მიღებული უსიამოვნო შთაბეჭდილების შემდეგ მას თავი შორს ეჭირა და ხშირად არც საზოგადოებაში ჩნდებოდა, რადგან არცთუ იშვიათად მოგზაურობდა. ცხადია, მდივნის ადგილის მიღებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა, და დიოთიმას თავადვე განუმარტა, რომ ეს იდეა სრულიად მიუღებელი იყო საერთოდაც და მისთვისაც. დიოთიმა მასში უზურპატორს ხედავდა, მაგრამ მის ნებას დაჰყვა. არნჰაიმი მიდიოდა და მოდიოდა. სამი ან ხუთი დღეც არ იყო გასული და ის ხან პარიზიდან ბრუნდებოდა, ხან რომიდან და ხან ბერლინიდან. ის, რაც დიოთიმასთან ხდებოდა, მისი ცხოვრების პატარა ეპიზოდს შეადგენდა, მაგრამ მას უპირატესობას ანიჭებდა და სულსა და გულს უთმობდა. ის, რომ მსხვილ მრეწველებთან მრეწველობაზე, ბანკირებთან კი ეკონომიკაზე საუბრობდა, გასაგებია, მაგრამ მოლეკულურ ფიზიკასა და მისტიკაზეც ასევე ძალდაუტანებლად მუსაიფობდა. იყო არაჩვეულებრივი ორატორი და როცა ლაპარაკს იწყებდა, ველარ ჩერდებოდა ისევე, როგორც წიგნის წერას ვერ დაამთავრებ, თუ სათქმელს ფურცელზე არ გადაიტან. ჰქონდა ლაპარაკის წყნარი, კეთილშობილური, მდორე მანერა, ჩამუქებული ბუჩქნარით გარშემორტყმული ნაკადულივით საკუთარ თავზე სევდით მოცული, რაც მის ენაწყლიანობას რაღაც აუცილებელს ანიჭებდა. მისი განსწავლულობა და მეხსიერება მართლაც რომ უსაზღვრო იყო. შეეძლო სპეციალისტისთვის მისი სფეროდან ზედმიწევნით ზუსტი ტერმინები დაესახელებინა, იცნობდა

ინგლისური, ფრანგული ან იაპონური არისტოკრატიის ყველა ცნობილ ადამიანს და არა მარტო ევროპის, არამედ ამერიკისა და ავსტრალიის იპოდრომებსა და გოლფის მოედნებშიც ერკვეოდა. ამ დამთხვეული მდიდარი ებრაელის სანახავად დიოთიმასთან მოსული არჩვზე მონადირეები, ცხენების მომთვინიერებლები და სამეფო თეატრებში ლოჟების მფლობელნი წასვლისას გაოცებულნი იქნევდნენ თავს („უნდა გითხრათ, რომ სრულიად განსაკუთრებული ვინმეა“ – ასეთი იყო მათი შეფასება).

ერთხელ მისმა ბრწყინვალებამ ულრიხი განზე გაიხმო და უთხრა: – იცით, რას გეტყვით, ბოლო ასი წელია არისტოკრატიას გუვერნანტებში აღარ უმართლებს! წინათ ეს ის ადამიანები იყვნენ, რომელთა უმრავლესობის სახელებიც ენციკლოპედიურ ცნობარებში რჩებოდა. მათ კი თავის მხრივ მუსიკისა და ხატვის მასწავლებელები მოჰყავდათ თან და ისინიც მადლიერების ნიშნად ისეთ საქმეს აკეთებდნენ, რასაც დღეს ძველ კულტურას ვუწოდებთ. რაც ეს საჯარო სკოლები შემოიღეს და ჩვენი წრის ადამიანებმა, მაპატიეთ და, დოქტორის წოდებები მოიპოვეს, გუვერნანტების საქმე უარესობისკენ წავიდა. ახალგაზრდები ხოხბებზე და ტახებზე ნადირობენ ან ლამაზმანებს დასდევენ კუდში. რას იზამ, ასეა, ახალგაზრდებიც მაგიტომ არიან. მაგრამ წინათ გუვერნანტები ახალგაზრდების ენერგიის ნაწილს ისე მაინც წარმართავდნენ, რომ სულსა და ხელოვნებაზე ისევე ეზრუნათ, როგორც ხოხბებზე, დღეს კი ეს აღარავის ახსოვს.

სწორედ ასეთი აზრი დაებადა იმწუთას მის ბრწყინვალებას. საერთოდაც ამგვარი აზრები ხანდახან ეწვეოდა ხოლმე. უცბად ულრიხს მოუბრუნდა და დაასკვნა: – იცით, რა, ამ საბედისწერო 48 წელს მოხდა სწორედ ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის გათიშვა და, სხვათა შორის, ორივეს საზიანოდ! – გრაფი ლაინსდორფი შეფიქრიანდა და იქ მყოფ საზოგადოებას გადახედა. ყოველთვის ბრაზობდა, როცა საპარლამენტო გამოსვლების დროს ოპოზიციონერ ორატორებს ბურჟუაზიული კულტურით მოჰქონდათ თავი და დიდად გაიხარებდა, თუ ნამდვილ ბურჟუაზიულ კულტურას არისტოკრატიაში დაინახავდა. საბრალო არისტოკრატია კი ამ კულტურაში ვერაფერს პოულობდა. ის მისთვის იმ უხილავ იარაღად ქცეულიყო, რომლითაც მას ურტყამდნენ, და რადგან მთელი ამ პროცესის მანძილზე სულ უფრო მეტ ძალაუფლებას

კარგავდა, ბოლოს დიოთიმასთან აღმოჩნდებოდი და ამას თვალნათლივ დაინახავდი კიდეც. აი, ეს ადარდებდა დროდადრო გრაფ ლაინსდორფს, როცა დიოთიმას სალონში განვითარებულ მოვლენებს ხედავდა. გულით სურდა, რომ იმ საქმეს, რის კეთების საშუალებასაც ამ სახლში იძლეოდნენ, მეტი სერიოზულობით მოჰკიდებოდნენ.

– თქვენო ბრწყინვალებავ, ინტელექტუალებთან ბურჟუაზიას სწორედ ისეთი დამოკიდებულება აქვს, როგორიც ერთ დროს არისტოკრატიას საკუთარ გუვერნანტებთან! – ცდილობდა ულრიხი მის დამშვიდებას. – მათთვის ისინი უცხონი არიან. შეხედეთ, რა გაკვირვებულები შეჰყურებენ ამ ბატონ დოქტორ არნჰაიმს.

გრაფი ლაინსდორფი ისედაც მხოლოდ არნჰაიმს უყურებდა.

– სხვათა შორის, ამას გონებასაც ვერ დაარქმევ, – დაუბრუნდა ულრიხი საყოველთაო გაკვირვების ობიექტს. – ეს ისეთივე ფენომენია, ცისარტყელასთვის რომ შეიძლებოდეს კუდში ხელის წავლება და მისი ამ გზით მოსინჯვა. ის ლაპარაკობს სიყვარულზეც და ეკონომიკაზეც, ქიმიაზეც და ბაიდარით ცურვაზეც; სწავლულიც არის, მიწათმფლობელიც და მებირჟეც. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რასაც ჩვენ ცალ-ცალკე წარმოვადგენთ, მასში, ერთ ადამიანშია თავმოყრილი და ჩვენც სწორედ ეს გვაოცებს. მისი ბრწყინვალება თავს აქნევს? მე კი დარწმუნებული ვარ, რომ აქ, ჩვენ წინაშე, ეს ადამიანი პროგრესის ეგრეთ წოდებულმა ღრუბელმა მოახვედრა, რომლის სიღრმეში ჩახედვა არავის ძალუძს.

– თქვენს ნათქვამზე არ გამიქნევია თავი, – შეუსწორა მისმა ბრწყინვალებამ ულრიხს, – დოქტორ არნჰაიმზე ვფიქრობდი. მოკლედ, უნდა ვაღიაროთ, რომ საინტერესო პიროვნებაა.

48. არნჰაიმის სახელგანთქმულობის სამი მიზეზი და მთლიანობის საიდუმლო

ყველაფერი ეს კი დოქტორ არნჰაიმის პიროვნების ჩვეულებრივი ზემოქმედების შედეგი იყო.

ის დიდი მასშტაბის ადამიანი გახლდათ.

მისი საქმიანობაც და ცოდნაც დედამიწის ხუთივე კონტინენტს მოიცავდა. იცოდა ყველაფერი: ფილოსოფია, ეკონომიკა,

მუსიკა, სამყარო, სპორტი. თავისუფლად ფლობდა ხუთ ენას. მისი მეგობრები ცნობილი მხატვრები იყვნენ: ხვალინდელი დღის ხელოვნებას ბაზარზე გატანამდე ყიდულობდა. იმპერატორის კარზეც მიღებული იყო და მუშებსაც ესაუბრებოდა. ჰქონდა ულტრათანამედროვე სტილით ნაგები ვილაც, რომლის ფოტოები ყველა თანამედროვე არქიტექტურულ ჟურნალს ამშვენებდა და რომელიღაც მიყრუებულ კუთხეში ძველისძველი ციხე-დარბაზიც, პრუსიული იდეების დრომოჭმულ აკვანს რომ ჰგავდა.

ასეთ მასშტაბურობას და ათვისების უნარს საკუთარი პროდუქტიულობა იშვიათად ახლავს თან. არნჰაიმი აქაც გამონაკლისს წარმოადგენდა. წელიწადში ორჯერ ან სამჯერ თავის მამულში განმარტოვდებოდა ხოლმე და საკუთარ სულიერ გამოცდილებას ფურცელს ანდობდა. მისი წიგნები და ნარკვევები, რომლებიც უკვე შთამბეჭდავ სერიას შეადგენდა, განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობდა, დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა და ოთხ ენაზე ითარგმნა. ავადმყოფ ექიმს არ ენდობიან, მაგრამ როცა ის მოგვმართავს, ვისაც საკუთარ თავზე ზრუნვის უნარი შესწევს, ალბათ, რაღაც ჭეშმარიტებაც აქვს სათქმელი. მისი სახელგანთქმულობის პირველი მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ.

მეორე კი მეცნიერების ბუნებიდან გამომდინარეობდა. მეცნიერება ჩვენში დიდი პატივით სარგებლობს და სამართლიანადაც. მაშინაც კი, როცა შენი ცხოვრება სავსეა, როცა თირკმლების ფუნქციის კვლევას უძღვნი თავს, დგება ხოლმე წუთები – მე ვიტყოდი, ჰუმანისტური წუთები – და შენ კაცობრიობასთან თირკმლების კავშირის გახსენების აუცილებელი მოთხოვნილება გიჩნდება. სწორედ ამიტომაც მოჰყავთ გერმანიაში ასე ხშირად ციტატები გოეთედან. თუ საუნივერსიტეტო განათლების მქონეს საგანგებოდ სურს, ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ის არა მარტო სწავლული, არამედ ცოცხალი, მომავალზე ორიენტირებული გონების ადამიანიცაა, ამის საუკეთესო საშუალება იმ ნაშრომების მითითებაა, რომელთა ცოდნაც არა თუ პატივია, არამედ დიდ პატივსაც აღგვითქვამს; ასეთ შემთხვევაში პაულ არნჰაიმის ციტირება სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა. ექსკურსები მეცნიერების სფეროში, რომელთაც იგი საკუთარი ზოგადი კონცეფციების გასამყარებლად მიმართავდა, ცხადია, ყოველთვის ვერ აკმაყოფილებდა უმკაცრეს მოთხოვნებს.

თუმცა ეს ექსკურსები არნჰაიმის უზომო ნაკითხობასა და ამ ნაკითხობის ლაღად და ძალდაუტანებლად გამოყენების მის უნარზე მეტყველებდა, სპეციალისტი მათში აუცილებლად იპოვიდა იმ პატარა უზუსტობებსა და შეცდომებს, რითაც მაშინვე ამოიცნობა დილეტანტი, სწორედ ისე, როგორც შინაური მკერავის შეკერილი კაბა განსხვავდება ატელიეში შეკერილისგან. არ უნდა ვიფიქროთ, რომ სპეციალისტებს ეს რამით ხელს უშლიდა არნჰაიმით აღფრთოვანებაში. ისინი თვითკმაყოფილებით იღიმებოდნენ. არნჰაიმი მათზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც სრულიად ახალი მოვლენა, ადამიანი, რომელზეც გაზეთები ამდენს წერდნენ, ეკონომიკის მეფე, ვისი სულიერი ღვაწლიც ძველი ეპოქის მეფეთა ღვაწლს აღემატებოდა. როცა სპეციალისტები შენიშნავდნენ ხოლმე, რომ თავიანთ დარგში ისინი მაინც, მისგან განსხვავებით, კიდევ რაღაც განსაკუთრებულს წარმოადგენდნენ, ამისთვის მის მიმართ მადლიერებას გამოხატავდნენ და მას ბრწყინვალეს, გენიალურს ანდა უბრალოდ ადამიანურს უწოდებდნენ. სპეციალისტის პირით ნათქვამი ამგვარი შეფასება იგივეა, მამაკაცთა საზოგადოებაში რომ ქალზე თქვან, მისი სილამაზე ქალების გემოვნებას აკმაყოფილებსო.

არნჰაიმის სახელგანთქმულობის მესამე მიზეზი ეკონომიკაშია საძიებელი. თავის ძველ, ათას ხიფათგამოვლილ კაპიტნებთან საქმიანი გარიგებისას თავს ცუდად არ გრძნობდა, შეეძლო, თვით ყველაზე გაქნილიც კი მშრალზე დაესვა. მამამისისგან განსხვავებით, მოკლე და ტლანქ ენას პირში ძლივს რომ ატრიალებდა, სამაგიეროდ კი სარფიანი საქმის სუნს შორ მანძილზეც იკრავდა ხოლმე, მას, როგორც კომერსანტს, დიდად არაფრად აგდებდნენ და „უფლისწულს“ ეძახდნენ. მამამისის ეშინოდათ და პატივს სცემდნენ. ფილოსოფიური მოთხოვნები, რომელთაც „უფლისწული“ მათი წრის ადამიანებს უყენებდა და უფრო მეტიც, საქმიანი მოლაპარაკებების დროსაც ჩაურთავდა ხოლმე, მათში ღიმილს იწვევდა. სახელი იმითაც გაიტეხა, რომ ადმინისტრაციული საბჭოს კრებებზე პოეზიიდან ციტატებს იშველიებდა და ამტკიცებდა, ეკონომიკა ისეთი რამ არის, ადამიანის სხვა დანარჩენი საქმიანობისგან რომ ვერ გამიჯნავ და მხოლოდ ეროვნულ, სულიერ, დიახაც, ცხოვრების ყველაზე ინტიმურ საკითხებთან კავშირში უნდა განვიხილოთო. მაშინაც კი, როცა მის მოსაზრებებზე ეცინებოდათ, არ ივიწყებდნენ, რომ არნჰაიმ უმცროსი

საზოგადოების ყურადღებას სწორედ ასეთი სანელებლებით შეზავებული კომერციით იპყრობდა. ყველა ქვეყნის დიდი გაზეთები მის შესახებ დროდადრო რაღაც სახის ინფორმაციას აქვეყნებდნენ ხან ეკონომიკური, ხან პოლიტიკური და ხან კულტურული რუბრიკით: იქნებოდა ეს მისი მწერლური კალმის ქება, მის მიერ სადღაც წარმოთქმული ყურადსაღები სიტყვის შესახებ ინფორმაცია თუ ის მიღე—ბა, რომელსაც მას ძლიერნი ამა ქვეყნისანი ან ხელოვანთა გაერთიანების წარმომადგენლები უმართავდნენ. მსხვილ მრეწველთა წრეში, რომელთა ცხოვრებაც, როგორც წესი, გარეშე თვალთაგან დაფარულად, დახურულ კარს მიღმა მიედინება, ის ერთადერთი იყო, ვინც საყოველთაო განსჯის ობიექტად ქცეულიყო. ნუ გვეგონება, რომ ბატონი პრეზიდენტები, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, გენერალური დირექტორები და ბანკების, მეტალურგიული ქარხნების, კონცერნების, მაღაროების თუ სანაოსნო მრეწველობის დირექტორები ისეთი გულბოროტი ადამიანები იყვნენ, როგორადაც მათ წარმოგვიდგენენ. მათი ცხოვრების აზრი ფულია. ამგვარ აზრს კი საღი კბილები და უპრეტენზიო მუცელი აქვს. თითოეული მათგანი დარწმუნებული გახლდათ, რომ სამყარო გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ ასპარეზი მოთხოვნებსა და შემოთავაზებებს დაეთმობოდა და არა ჯავშნოსან ტანკებს, ხიშტებს, მონარქებს ან ეკონომიკაში გაუთვითცნობიერებელ დიპლომატებს. რადგან სამყარო ისეთია, როგორიც არის, ცხოვრება კი პირველ რიგში საკუთარ სარგებელს ითვალისწინებს და ამის შემდეგღა – საყოველთაო ინტერესს, ამიტომ ცრურწმენის გულის მოსაგებად ის რაინდობასა და ნებისმიერი საკითხისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომაზე ნაკლებად ფასობს. სახელმწიფო ამოცანები მორალურად პირადულზე მაღლა დგას, ამიტომაც უწევდათ მისთვის ანგარიშის გაწევა და როგორც ცნობილია, იმ უპირატესობითაც მშვენივრად სარგებლობდნენ, რასაც ბაჟის შესახებ იარაღით განმტკიცებული მოლაპარაკებები და გაფიცულთა წინააღმდეგ სამხედრო ძალების გამოყენება სთავაზობს საყოველთაო კეთილდღეობას. კომერცია ფილოსოფიას სწორედ ამ გზით უახლოვდება. დღეს მხოლოდ ბოროტმოქმედი თუ გაბედავს ფილოსოფიის გარეშე სხვათათვის ზიანის მიყენებას და ამიტომ ისინიც მიეჩვივნენ, არნჰაიმ უმცროსში თავიანთი ინტერესების ერთგვარი ვატიკანელი წარმომადგენელი დაენახათ. მიუხედავად ირონიისა, რასაც ისინი არნჰაიმ

უმცროსის გატაცებების მიმართ ავლენდნენ, მაინც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდათ ის ფაქტი, რომ მათ წრეშიც მოიძებნებოდა ისეთი, ვინც ეპისკოპოსთა კრებებზე მათ გასაჭირს ისეთივე წარმატებით წარმოაჩენდა, როგორითაც სოციოლოგთა კონგრესზე. საბოლოოდ კი არნჰაიმმა თავის წრეში ისეთივე გავლენა მოიპოვა, როგორსაც ლამაზი და ესთეტი ცოლი ახდენს ქმარზე, კანტორაში მუდმივ ფუსფუსს აუგად რომ იხსენიებს და საქმეს კი მაინც არგია, რადგან ყველაში აღფრთოვანებას იწვევს. საკმარისია, წარმოიდგინოთ ქვანახშირის ფასებისა და საკარტელო პოლიტიკის საკითხებზე დართული მეტერლინკისა თუ ბერგსონის ფილოსოფიის ეფექტი და მიხვდებით, რა დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენდა არნჰაიმ უმცროსი პარიზში, პეტერბურგსა და კეიპტაუნში გამართულ მრეწველთა შეკრებებზე ან დირექციის კაბინეტებში, სადაც მისთვის, როგორც მამამისის წარგზავნილისთვის, თავიდან ბოლომდე უნდა მოესმინათ. მისი კომერციული წარმატებები ერთდროულად საგულისხმოც იყო და იდუმალებით მოცულიც, და მისი მნიშვნელობისა და იღბლის შესახებ ცნობილი მითქმა-მოთქმის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

არნჰაიმის წარმატებებზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. თუ დიპლომატები ეკონომიკის მათთვის პრინციპულად უცხო, მაგრამ მნიშვნელოვან სფეროს იმ ადამიანის სიფრთხილით უდგებოდნენ, არცთუ თვინიერი სპილოების მოვლა რომ ევალებათ, არნჰაიმი ზოოპარკის დარაჯის უდარდელობით იქცეოდა; მხატვრები, რომელთაც ის იშვიათად თუ ადგებოდა რამეში, მასში მაინც მეცენატს ხედავდნენ; ჟურნალისტები კი პრეტენზიას აცხადებდნენ, რატომ პირველებს არ გვასახელებთო, რადგან არნჰაიმი ცნობილ ადამიანად სწორედ მათმა აღფრთოვანებამ აქცია; ისე კი, სინამდვილეში ყოველივე ეს პირიქითა თანმიმდევრობით მომხდარიყო. გამუდმებით მათ ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდნენ და მათაც ეგონათ, ეპოქის მაჯისცემას ვგრძნობთო. არნჰაიმის წარმატების სქემა ყველგან ერთი და იგივე იყო. საკუთარი სიმდიდრის ჯადოსნური შუქით და თავისი მნიშვნელობის შესახებ ათასნაირი ხმებით გარემოცულს, ისეთ ადამიანებთან ჰქონდა ურთიერთობა, რომლებიც მას თავიანთ სფეროში აღემატებოდნენ. მათ კი ის მოსწონდათ, როგორც დილეტანტი, მათ სპეციალობაში განსაცვიფრებელ ცოდნას რომ

დაუფლებოდა. არნჰაიმი მათში რიდსა და მოკრძალებას იწვევდა, რადგან იგი მათსა და მათთვის უცნობ სამყაროს ერთმანეთთან აკავშირებდა. საკუთარ ვიწრო სპეციალობაში გამოკეტილ პროფესიონალებზე ის მთლიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა და მათზე, როგორც მთლიანობა, ისე ზემოქმედებდა. ესეც მის ბუნებად ქცეულიყო. ხანდახან საკუთარ წარმოდგენებში მრეწველობისა და ვაჭრობის ვაიმარული თუ ფლორენციული ტიპის ეპოქებს ხედავდა ძლიერ, კეთილდღეობის ამამაღლებელ პიროვნებათა მეთაურობით, რომლებიც ტექნიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევებს თავის თავში აერთიანებენ და მათი მაღალი პოზიციებისკენ წარმართვის უნარი აქვთ. ამ უნარს იგი საკუთარ თავში გრძნობდა. მას ჰქონდა ტალანტი, არასდროს გამოევლინა ქედმაღლობა კერძო შემთხვევებში ან მაშინ, როცა რამის დამტკიცება შეიძლებოდა, სამაგიეროდ ნებისმიერ წუთს წონასწორობის აღდგენას ახერხებდა, რის წყალობითაც მუდამ სათავეში ექცეოდა. პოლიტიკოსის ძირითადი თვისებაც ეს გახლდათ, თუმცა არნჰაიმს სჯეროდა, რომ ეს მისი საიდუმლო იყო და მას „მთლიანობის საიდუმლოს“ უწოდებდა. ადამიანის სილამაზეც ხომ ასეა, რადგან ის იმ ცალკეული დეტალებისგან კი არ შედგება, რომელთა დამტკიცება შესაძლებლია, არამედ იმ ჯადოსნური „რაღაცისგან“, თვით პატარა სიმახინჯესაც კი თავის სასარგებლოდ რომ იყენებს. ადამიანური არსების სიკეთე, სილამაზე, ღირსება და დიდებულება თითქმის დამოუკიდებელია იმისგან, რასაც ის ქმნის. უფრო მეტიც, მას თავისი ყველა ნამოქმედარის გაკეთილშობილების უნარი შესწევს. ცხოვრებაში მთელი კერძოზე მნიშვნელოვანია. დაე, იყვნენ პატარა ადამიანები სათნონი და დაუშვან შეცდომები. საკუთარ თვისებებს მხოლოდ დიდი ადამიანები ანიჭებენ მნიშვნელოვნებას. და თუ მათი წარმატების საიდუმლო არც მათი მიღწევებით და არც თვისებებით არ აიხსნება, საიდუმლოც ამ ძალის არსებობაშია, რაც ყოველივე დიადის საფუძველია. ასე აღწერდა არნჰაიმი ამ ფენომენს თავის ერთ-ერთ წიგნში და სჯეროდა, რომ ზებუნებრივის მანტიას ქობაში წაავლო ხელი. თავის ტექსტში მან ეს აზრი აშკარა ქარაგმებით გამოხატა.

49. ძველსა და ახალ დიპლომატიას შორის დაპირისპირების დასაწყისში

გამონაკლისს არც იმ ადამიანებთან ურთიერთობა წარმოადგენდა, რომელთა ვიწრო სპეციალობაც დიდგვაროვანი წარმომავლობა იყო. მათთან ურთიერთობისას არნჰაიმი არისტოკრატიზმს შერბილებულად ავლენდა და მოკრძალებით მხოლოდ სულიერ არისტოკრატიზმს – რომელსაც კარგად ესმის საკუთარი უპირატესობა და საკუთარ საზღვრებსაც ნათლად ხედავს – სჯერდებოდა. დიდგვაროვანნი მის გვერდით მალევე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, თითქოს ამ ტვირთს ისინი კურტნის მუშებივით წელში მოედრიკა. ამას დიოთიმა ფრთხილად აკვირდებოდა. მთელის საიდუმლოს იმ ხელოვანის გონებით სწვდებოდა, რომელიც ასრულებულ ოცნებას ხედავს და მცირეოდენ შესწორებებსაც კი გამორიცხავს.

დიოთიმა ამჯერად სრულ კმაყოფილებას განიცდიდა საკუთარი სალონით. არნჰაიმი აფრთხილებდა, ორგანიზაციული საკითხების მნიშვნელობა გადაჭარბებულად არ შეეფასებინა. უხეში მატერიალური ინტერესები წმინდა ზრახვებს დაჩრდილავს; სალონს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, – ამბობდა არნჰაიმი.

განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი კი, პირიქით, შიშნარევ ვარაუდს გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ ამ გზით ვერ გადალახავდნენ იმ უფსკრულს, რომელიც საქმეს ფუჭი ლაპარაკისგან ყოფს.

მას ფეხი ფეხზე გადაედო და დაძარღვული, გამხდარი, მუქი ხელები მუხლისთავზე გადაეჯვარედინებინა. რბილი ნაჭრისაგან შეკერილ, უზადო კოსტიუმში გამოწყობილი არნჰაიმის გვერდით, რომელიც წელში გამართული იჯდა, მისი წვერი და სამხრეთული თვალები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ლევანტინიელი ჯიბის ქურდი ზის ბრემენელი სავაჭრო ფირმის მეპატრონის გვერდითო. ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი ტიპის არისტოკრატიზმი, რომელთაგან ერთი, ავსტრიული, რთული ბუნებისა და დახვეწილი გემოვნების თანახმად, განგებ დაუდევრობა რომ დასტყობოდა, მეორეზე ნაკლებად სრულებით არ მიიჩნევდა თავს. განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი ისე იკითხავდა ხოლმე პარალელური აქციის წარმატების შესახებ, თითქოს შუამავლის გარეშე უფლება არ ჰქონდა, სცოდნოდა, რა ხდებოდა მის სახლში. „მოხარული ვიქნებით, თუ

შეძლებისდაგვარად დროულად შეგვატყობინებთ, რას გეგმავთ“, – თქვა მან და ისეთი თავაზიანი ღიმილით შეხედა თავის მეუღლეს და არნჰაიმს, თითქოს იმის თქმას აპირებდა, ამ შემთხვევაში მე უცხო პირი ვარო. შემდეგ კი მოჰყვა, რომ მისი ცოლისა და გრაფი ლაინსდორფის საერთო საქმე სახელმწიფო უწყებებს დიდ საზრუნავს უჩენდა. მის უდიდებულესობასთან ბოლო მოხსენების დროს მინისტრი ცდილობდა, ამოეცნო, იუბილესთან დაკავშირებულ რომელ დემონსტრაციას შეეძლო ჰქონოდა მხარდაჭერის იმედი, რამდენად მისაღები იქნებოდა უმაღლესი ინსტანციისათვის, წინ გაესწროთ ეპოქის ტენდეციებისათვის და სათავეში ჩასდგომოდნენ საერთაშორისო პაციფისტურ აქციას. „რადგან ეს ერთადერთი საშუალებაა, – განმარტავდა ტუცი, – „მსოფლიო ავსტრიის“ შესახებ მისი ბრწყინვალების იდეის პოლიტიკურ ენაზე სათარგმნელად. მაგრამ მისმა ბრწყინვალებამ ჩვეული კეთილსინდისიერებითა და თავშეკავებით, რითაც ის საქვეყნოდ არის ცნობილი, ამ საკითხს ენერგიული შენიშვნით აარიდა თავი და თქვა: „მეტიჩრობას არ ვაპირებ“. ასე რომ, გაურკვეველია, ეს პასუხი ნიშნავს თუ არა გადაჭრით უარს“.

პატარ-პატარა სამსახურებრივ საიდუმლოებებს ტუცი ისე დელიკატურად ექცეოდა არადელიკატურად, როგორც ის ადამიანი, დიდი საიდუმლოს შენახვა კარგად რომ შეუძლია. ტუცემ ლაპარაკი იმით დაასრულა, რომ დიპლომატიურ მისიებს უნდა გაერკვიათ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების სამეფო კართა დამოკიდებულება, ვინაიდან საკუთარი ქვეყნის სამეფო კარის განწყობილება უცნობი იყო და დასაყრდენი სადმე უნდა მოენახათ. ბოლოს და ბოლოს წმინდა ტექნიკური საშუალებებიც საკმარისად ბევრი იყო – დაწყებული საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მოწვევით, რომელშიც ათზე მეტი სახელმწიფოს მეთაური მიიღებდა მონაწილეობას, უფრო დაბალ დონეზე კი ჰაგის სასახლის კედლების ავსტრიელი მხატვრების მიერ მოხატვის ან იმავე ჰაგაში მოსამსახურე პერსონალის შვილებისა და ობლებისათვის შემოწირულობების ჩათვლით. შემდეგ კი ამას ის საკითხიც დაუკავშირა, თუ რას ფიქრობდნენ პრუსიის სამეფო კარზე საიუბილეო წელთან დაკავშირებით. არნჰაიმმა განუმარტა, რომ ამის თაობაზე არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა. ავსტრიულმა ცინიზმმა მას ზიზღი მოჰგვარა. მან,

ვინც თავად ელეგანტური მოსაუბრე გახლდათ, ტუცის გვერდით იმ ადამიანის თავშეკავება იგრძნო, რომელსაც სურს, ხაზი გაუსვას, რომ ცივი და თავშეკავებული ხდება, როგორც კი საქმე სახელმწიფო საკითხებს ეხება. დიოთიმას წინაშე ორი ერთმანეთის მოშუღლე, ურთიერთგანსხვავებული არისტოკრატიზმი წარდგა, ორი სტილი – სახელმწიფოებრივი და ცხოვრებისეული. დააყენეთ მწევარი მოპსის გვერდით, ტირიფი – ალვის ხესთან, სირჩა – ხნულზე, ფერწერული ტილო სამხატვრო სალონის ნაცვლად იალქნიან ნავში ჩამოკიდეთ, მოკლედ, მოათავსეთ ერთმანეთის გვერდით ცხოვრების ორი წმინდა ჯიშის მკაფიოდ გამოხატული ფორმა და მათ შორის მაშინვე სიცარიელე, ურთიერთგამანადგურებელი, უნიადაგო, ავთვისებიანი კომიზმი იჩენს თავს. დიოთიმა ამას თვალითაც ხედავდა და ყურითაც აღიქვამდა, თუმცა არ ესმოდა, რა ხდებოდა და შეშინებულმა საუბარს სხვა მიმართულება მისცა: ქმარს მტკიცედ განუცხადა, რომ პარალელური აქცია პირველ რიგში სულიერად ამაღლებულს ელტვოდა და მისი იდეალიზმის განხორციელების გზაზე მხოლოდ ჭეშმარიტად თანამედროვე ადამიანების მოთხოვნილებებს გაითვალისწინებდნენ.

არნჰაიმი მადლიერი იყო, რომ იდეას ღირსება დაუბრუნეს, რადგან სწორედ იმის გამო, რომ წყალზე ძლივს იმაგრებდა თავს, სულაც არ სურდა იმ მოვლენებზე ეხუმრა, რაც დიოთიმასთან მისი ურთიერთობის საფუძველი იყო, ისევე როგორც წყალწაღებული ვერ იხუმრებდა მაშველი რგოლით; მაგრამ, თავისდა გასაოცრად, ეჭვნარევი ხმით ჰკითხა დიოთიმას, მაინც ვის არჩევას აპირებ პარალელური აქციის სულიერ წინამძღოლადო.

დიოთიმასთვის ეს, ცხადია, ჯერ სრულიად გაურკვეველი იყო. არნჰაიმთან გატარებულმა დღეებმა იმდენი იმპულსი და იდეა შესძინა, რომ ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, რომელი მათგანი აერჩია. მართალია, არნჰაიმმა რამდენჯერმე გაუმეორა, რომ უმთავრესი იყო არა კომიტეტების დემოკრატიულობა, არამედ ძლიერი და მრავალმხრივი პიროვნებები, მაგრამ მას უბრალოდ ერთი გრძნობა ეუფლებოდა: შენ და მე – და არც რამე გადაწყვეტილებას იღებდა და არც უფრო ღრმად გაგების სურვილი უჩნდებოდა. არნჰაიმის ხმაში შეპარულმა პესიმიზმმა დიოთიმას, ალბათ, სწორედ ეს შეახსენა, რადგან არნჰაიმს ასეთი პასუხი გასცა: – არსებობს კი დღეს ისეთი

ამაღლებული და მნიშვნელოვანი რამ, რისთვისაც ღირს, რომ ძალ-ღონე დახარჯო?

– ეს ეპოქის ნიშანია, რომელმაც ჯანმრთელი ეპოქის შინაგანი სიმტკიცე დაკარგა, – შენიშნა პასუხად არნჰაიმმა, – და ასეთ დროს ძნელია მიხვდე, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე დიდი.

განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი შარვლის ტოტზე მტვრის ნამცეცს დასჩერებოდა და ამიტომაც მისი ღიმილი, შეიძლებოდა, თანხმობის ნიშნად მიგვეღო.

– ისე კი, მაინც რა შეიძლება ეს ყოფილიყო, – განაგრძო არნჰაიმმა გამომცდელად, – რელიგია?

განყოფილების ხელმძღვანელმა ტუციმ ამჯერად ღიმილი მათ შეაგება. მართალია, ეს სიტყვა არნჰაიმს ისეთი სიმტკიცითა და დაჟინებით არ წარმოუთქვამს, როგორც მაშინ, მისი ბრწყინვალების გვერდით, მაგრამ მის ხმას კეთილხმოვანი სერიოზულობა ნამდვილად არ აკლდა.

დიოთიმამ უკუაგდო მისი ღიმილი და უპასუხა: – რატომაც არა? დიახ, რელიგიაც!

– რა თქმა უნდა, მაგრამ რადგან პრაქტიკული გადაწყვეტილებაც უნდა მივიღოთ, ნება მომეცით, გკითხოთ: მოგსვლიათ თავში ოდესმე აზრად, კომიტეტში ეპისკოპოსი აგერჩიათ, ვინც აქციისთვის ეპოქის შესაბამის მიზანს იპოვიდა? ღმერთი მეტისმეტად ძველმოდურია. ძნელია მისი ფრაკში წარმოდგენა, სუფთად გაპარსული სახით და გვერდზე გადავარცხნილი თმით. ჩვენი წარმოდგენები მასზე პატრიარქალურია. რელიგიის გარდა კიდევ რა არსებობს? ერი? სახელმწიფო?

დიოთიმა არნჰაიმის პასუხმა გაახარა, რადგან ტუცი, როგორც წესი, სახელმწიფოს მამაკაცურ საქმედ მიიჩნევდა და არა ქალებთან სასაუბრო თემად. ახლა კი დუმდა და მხოლოდ მისი თვალები ამხელდნენ, თითქოს ამაზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა.

– მეცნიერება? – განაგრძო არნჰაიმმა შეკითხვები. – კულტურა? რჩება ხელოვნება. კაცმა რომ თქვას, პირველმა სწორედ მან უნდა ასახოს ყოფიერების ერთიანობა და მისი შინაგანი

წესრიგი. მაგრამ ჩვენთვის ის სურათიც ცნობილია, რასაც თანამედროვეობა გვთავაზობს: საყოველთაო გათიშულობა, ექსტრემალურობა მსჯელობის გარეშე. სტენდალმა, ბალზაკმა და ფლობერმა ახალი, მექანიზებული სოციალური და ემოციური ცხოვრების ეპოსი უკვე დასაწყისშივე შექმნეს, ადამიანის სულის დემონურ სიღრმეებში კი დოსტოევსკიმ, ფროიდმა და სტრინდბერგმა ჩაიხედეს. ჩვენ კი, ამჟამად მცხოვრებთ, ღრმა გრძნობა გვეუფლება იმისა, რომ ამ სფეროში გასაკეთებელი აღარაფერი დაგვრჩა.

აქ უკვე განყოფილების ხელმძღვანელმა ტუციმ ჩაურთო, როცა რამე ღირებულის წაკითხვა მინდა, ჰომეროსს ან პეტერ როზეგერს ვიღებ ხელშიო.

არნჰაიმმა მისი ნათქვამი აიტაცა.

– ალბათ, ბიბლიაც უნდა დაუმატოთ. ბიბლიის, ჰომეროსის, როზეგერის და როიტერის გარეშე კიდევ გავძლებდით! აი, სწორედ აქ მივადექით პრობლემის გულისგულს! დავუშვათ, რომ ახალი ჰომეროსი გვყავს. მოდი, გულწრფელად ვკითხოთ საკუთარ თავს, შევძლებდით კი მისთვის ყურის დაგდებას? ვფიქრობ, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. ჩვენ არ გვყავს ჰომეროსი, რადგან ის არ გვჭირდება! – არნჰაიმი ცხენზე შემომჯდარიყო და მიაჭენებდა. – რომ გვჭირდებოდეს, გვეყოლებოდა კიდეც! საბოლოო ჯამში მსოფლიო ისტორიაში ხომ ნეგატიური არაფერი ხდება. რას უნდა ნიშნავდეს, რომ ყოველივე ჭეშმარიტად დიდი და არსებითი წარსულში გადაგვაქვს? ჰომეროსის და ქრისტეს სიმაღლისთვის ჯერ არავის მიუღწევია, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მათზე მეტი ვერც ვერავის ვერაფერი შეუქმნია. „სიმღერათა წიგნზე“ უფრო მშვენიერს რას ნახავთ... ახალი ეპოქის გვერდით გოთიკა და რენესანსი დაბლობზე გამოსასვლელში აღმართულ მთების მასივს ჰგავს. ფარაონის საქმეთა გვერდით რა უბადრუკად მოჩანს თვით ნაპოლეონი, კანტის ნაშრომები – ბუდას გვერდით, გოეთე კი – ჰომეროსის გვერდით! მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ ცოცხლები ვართ და რაღაცისთვის ხომ უნდა ვიცხოვროთ. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება? სხვა არაფრის, თუ არა იმის, რომ... – აქ არნჰაიმს სიტყვა გაუწყდა და ირწმუნებოდა, ამის სათქმელად ენა არ მიბრუნდებაო, – რომ, რასაც დიდს და მნიშვნელოვანს ვარქმევთ სახელად, აღარაფერი აკავშირებს იმასთან, რაც ჩვენი ცხოვრების სულიერ

ძალას წარმოადგენს.

– მაინც რა არის ეს ძალა? – იკითხა განყოფილების ხელმძღვანელმა ტუციმ. საგანთა უმრავლესობას ადამიანი სერიოზულად რომ ეკიდებოდა, ამის საწინააღმდეგო მას არაფერი ჰქონდა.

– ამაზე პასუხს ვერავინ გაგცემთ, – მიუგო არნჰაიმმა. – ცივილიზაციის პრობლემა მხოლოდ გულმა უნდა გადაჭრას. ახალმა პიროვნებამ, შინაგანმა ხედვამ და ნებელობამ. გონებამ მხოლოდ ის შეძლო, რომ დიდებული წარსული ლიბერალიზმის სიმდაბლემდე დაეყვანა. მაგრამ იქნებ შორს ვერ ვიყურებით და უბადრუკი საზომით ვზომავთ?! მსოფლიო ისტორიაში შემობრუნების წერტილად, შესაძლოა, ყოველი წუთი იქცეს!

დიოთიმას უნდოდა, შეპასუხებოდა, რომ ასეთ შემთხვევაში პარალელურ აქციას აღარაფერი დარჩენოდა, მაგრამ რაც უნდა უცნაური იყოს, არნჰაიმის პირქუშმა ხედვამ დიდად გაიტაცა. იქნებ „მომაბეზრებელი საშინაო დავალებებიდან“ გონებაში რაღაც ისეთი ჩარჩა, რაც უახლესი ლიტერატურის წაკითხვას ან თანამედროვე მხატვრობაზე საუბარს ურთულებდა. ხელოვნების მიმართ პესიმისტური დამოკიდებულება იმ სილამაზისგან ათავისუფლებდა, რაც, კაცმა რომ თქვას, არც მოსწონდა. მეცნიერების მიმართ პესიმიზმი კი ცივილიზაციის შიშს უმსუბუქებდა. ეპოქის შესახებ არნჰაიმის განსჯანი მისთვის ნამდვილი წყალობა იყო და ეს მან უეცრად იგრძნო. გულში სასიამოვნოდ გაუელვა აზრმა, რომ არნჰაიმის მელანქოლია რაღაცნაირად მასთან აკავშირებდა.

50. მოვლენათა შემდგომი განვითარება. განყოფილების ხელმძღვანელმა ტუციმ გადაწყვიტა, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას არნჰაიმზე

დიოთიმა არ შემცდარა. როგორც კი არნჰაიმმა შეამჩნია, რომ სულის შესახებ მისი წიგნების წაკითხვის შემდეგ ამ დიდებულ ქალს მკერდი მომეტებულად აუდ-ჩაუდიოდა, რის მიზეზიც სრულიად არაორაზროვანი გახლდათ, იგი თავისთვის უჩვეულო ნაღველმა შეიპყრო. თავისივე გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იმ მორალისტის ნაღველი იყო, რომელიც მოულოდნელად დედამიწაზე ზეცას გადაეყარა. თუ გნებავთ, რომ ამის მნიშვნელობა იგრძნოთ,

საკმარისია, წარმოიდგინოთ, რომ თქვენ ირგვლივ პატარ-პატარა ლურჯი გუბურების მეტი არაფერია, სადაც ბადმინტონის რბილი თეთრი ბურთები ყრია.

თავისთავად მორალური ადამიანი სასაცილო და უსიამოვნოა, როგორც ამას ბედს შეგუებული ღარიბი ადამიანების სუნი გვასწავლის, მორალის მეტი ამქვეყნად არაფერი რომ აბადიათ. მორალს დიდი ამოცანები სჭირდება, რომლებიც მას მნიშვნელობას ანიჭებს და სწორედ ამიტომ ეძებდა შემავსებელს არნჰაიმის მორალისკენ მიდრეკილი ბუნება: მსოფლიო მოვლენებში, მსოფლიო ისტორიასა და საკუთარი საქმიანობის იდეოლოგიურ დატვირთვაში. იდეების ძალაუფლების სფეროში შეტანა და მხოლოდ სულიერ საკითხებთან კავშირში საქმიანობა მისი საყვარელი წარმოდგენები გახლდათ; უყვარდა ისტორიიდან ანალოგიების შერჩევა მათი ახლებური ცხოვრებით შევსების მიზნით. ეჩვენებოდა, რომ თანამედროვე ეპოქაში კაპიტალის როლი, როგორც კულისებიდან მოქმედი, ხელისუფლებასთან ერთდროულად ჯიუტი და დამთმობი ძალა, კათოლიკური ეკლესიის როლს ჰგავს და საკუთარ საქმიანობას ზოგჯერ კარდინალისას ამსგავსებდა. ეს მოგზაურობა კი ახირების გამო წამოიწყო, მაგრამ თუნდაც ახირების გამო მოგზაურობისას ყოველთვის რაღაც ზრახვები ამოძრავებდა, თუმცა ახლა ვერაფრით იხსენებდა, როგორ დაიბადა თავდაპირველად იდეა, რომელიც მისთვის ასე მნიშვნელოვანი გამხდარიყო. ეს მოგზაურობა უეცარი შთაგონებისა და მოულოდნელი გადაწყვეტილების შედეგი იყო და საეჭვოა, რომ ბომბეიში გატარებულ შვებულებას უფრო ეგზოტიკური შთაბეჭდილება მოეხდინა, ვიდრე განაპირა მხარის დიდ გერმანულ ქალაქს, რომელშიც ის მოხვედრილიყო. პრუსიაში სრულიად წარმოუდგენელი იდეა, რომ ის პარალელურ აქციაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს, ყველაფერ დანარჩენს აგვირგვინებდა და მას ფანტასტიკურ, ალოგიკურ გუნებაზე აყენებდა იმ სიზმარივით, რომლის უაზრობაც პრაქტიკულ საზრიანობას არ გამოეპარება, მაგრამ მის ზღაპრულ ხიბლს მაინც ვერაფერს აკლებს. ალბათ, თავისი ჩამოსვლის მიზანს პირდაპირი გზით უფრო მარტივად მიაღწევდა, მაგრამ ყოველ ჯერზე ამ ქალაქში დაბრუნებას არნჰაიმი გონებისგან დასვენებად აღიქვამდა. ზღაპარში გაქცევას მისი საქმიანი გონება იმით სჯიდა, რომ საკუთარ თავს შავ ფერებში ხედავდა

და ეს სიშავე ყოველივე დანარჩენს ნაცრისფერ შეფერილობად ედებოდა.

შავბნელი აზრები, რომელიც მან ტუცის თანდასწრებით გამოთქვა, მეორედ აღარ გასჩენია. ალბათ, იმიტომ, რომ განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი მათ საზოგადოებაში, როგორც წესი, მცირე ხნით ჩნდებოდა და ამიტომაც არნჰაიმი საკუთარ მოსაზრებებს მრავალ ადამიანს უნაწილებდა, რომელთაც ამ მშვენიერ ქალაქში ათვისების განსაცვიფრებელი უნარი აღმოაჩნდათ. მისი ბრწყინვალების თანდასწრებით კრიტიკას უნაყოფო, თანამედროვე ეპოქას კი უღმერთო უწოდა და კიდევ ერთხელ აგრძნობინა, რომ ნეგატიური არსებობისგან ადამიანს მხოლოდ გულის ძახილი თუ იხსნიდა. ამ მოსაზრებას კი დიოთიმასთვის ისიც დაურთო, რაციონალიზმის უხამსობისა და ანგარიშიანობისგან გერმანულ სულს და, შესაძლოა, სამყაროსაც მხოლოდ დიდი კულტურული ტრადიციების მქონე სამხრეთ გერმანია თუ განწმენდსო. ქალების საზოგადოებაში ამბობდა, რომ გამალებული შეიარაღებისა და უღმერთობისგან კაცობრიობის ხსნისთვის შინაგანი სინაზის მობილიზება იყო საჭირო. საქმიანი მამაკაცების წრეში კი ჰოლდერლინის ფრაზას განმარტავდა, გერმანიაში ადამიანები კი აღარ არსებობენ, არამედ მხოლოდ პროფესიებიო. „უზენაესი ერთობის შეგრძნების გარეშე თავის პროფესიაში ვერავინ ვერაფერს მიაღწევს, მით უმეტეს ფინანსისტი!“ – ამ სიტყვებით დაასრულა მსჯელობა.

არნჰაიმს ყველა სიამოვნებით უსმენდა, რადგან სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, როცა ამდენი იდეის პატრონს ფულიც ბევრი აქვს.

მასთან საუბრით მიღებული შთაბეჭდილება იმაზე მეტყველებდა, რომ პარალელური აქცია მეტად საეჭვო და სახიფათო სულიერი წინააღმდეგობებით სავსე წამოწყება იყო. ეს გარემოება კი ყველას უმყარებდა იმ მოსაზრებას, რომ ასეთი ავანტიურის წარმართვას არნჰაიმზე უკეთ ვერავინ შეძლებდა.

განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი რის დიპლომატი იქნებოდა, თანაც თავის ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი, იმას რომ ვერ მიმხვდარიყო, რა საფუძვლიანად დამკვიდრებულიყო მის ოჯახში არნჰაიმი. ერთი ეს იყო, ვერ გაეგო, რა ხდებოდა. თუმცა თავის დამოკიდებულებას საჯაროდ არ ავლენდა, რადგან დიპლომატი საკუთარ აზრებს არასდროს ამხელს. ეს

უცხოელი მასზე ერთობ უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა და არც პიროვნულად და არც ზოგადად არ მოსწონდა; ხოლო ის ფაქტი, რომ ფარული ზრახვების განსახორციელებლად სამოქმედო ასპარეზად აშკარად მისი ცოლის სალონი აერჩია, გამოწვევად მიიღო. ერთი წუთითაც არ სჯეროდა თავისი ცოლის, რომელიც არწმუნებდა, ნაბობი დუნაისპირა საიმპერატორო ქალაქს ასე ხშირად იმიტომ სტუმრობს, ამ ძველი კულტურის წიაღში თავს ყველაზე უკეთ გრძნობსო. თავიდან ტუცი იმ ამოცანის წინაშე იდგა, რომლის გადასაჭრელადაც ამოსავალ წერტილს ვერ პოულობდა, რადგან არნჰაიმის მსგავსი ადამიანი პროფესიული ცხოვრების გზაზე არასდროს შეხვედროდა. როცა დიოთიმამ მას თავისი გეგმა გაანდო – არნჰაიმისთვის პარალელურ აქციაში ხელმძღვანელი პოზიცია დაეკავებინებინა – და თან იმ წინააღმდეგობაზეც ჩიოდა, რასაც იგი მისი ბრწყინვალების მხრიდან წააწყდა, ტუცი სერიოზულად შეცბა. არც პარალელურ აქციაზე და არც გრაფ ლაინსდორფზე დიდი აზრისა არ იყო, მაგრამ ცოლის იდეა ისეთ პოლიტიკურ უტაქტობად მიიჩნია, რომ იმწუთას იფიქრა, ცოლთან ჩატარებული მრავალწლიანი აღმზრდელობითი მუშაობა – რითაც თავი მოსწონდა – ხუხულასავით მენგრევაო. თავისთვის ეს შედარებაც კი იხმარა, თუმცა საზოგადოდ ასეთი შედარებების უფლებას თავს არასდროს აძლევდა, რადგან ისინი მეტისმეტად ლიტერატურულად და ცუდი ტონის ნიშნად მიაჩნდა; მაგრამ ამჯერად სრულიად შეძრული იყო.

დიოთიმამ პოზიციები სიჯიუტით გაიუმჯობესა. შერბილებული აგრესიით ჰყვებოდა ახალი ტიპის ადამიანზე, რომელსაც აღარ სურდა, სამყაროს წინაშე პასუხისმგებლობა პროფესიული ლიდერებისთვის დაეთმო. შემდეგ ქალურ ალღოზე ალაპარაკდა, ზოგჯერ ნათელხილვის ტოლფასი რომ იყო და მზერას უფრო შორს რომ მიმართავდა, ვიდრე პროფესიული საქმიანობა. ბოლოს კი იმით დაასრულა, არნჰაიმი ევროპელია, მთელ ევროპაში ცნობილი ინტელექტუალი, ხოლო სახელმწიფოებრივი საქმიანობა ევროპაში უკვე არაევროპულად, სულგამოცლილი სრულდება და სამყარო სიმშვიდეს მანამ ვერ პოვებს, სანამ საყოველთაო ავსტრიული სული მას ისევე არ განმსჭვალავს, როგორც ძველი ავსტრიული კულტურა სხვადასხვაენოვან ხალხებს მონარქიის მიწაზეო. დიოთიმა ვერასდროს ბედავდა, ქმრის უპირატესობას ასე კატეგორიულად დაპირისპირებოდა, მაგრამ განყოფილების

ხელმძღვანელი ტუცი ერთხანს დამშვიდდა, რადგან ცოლის მისწრაფებებს იმაზე მეტ მნიშვნელობას მაინც არ ანიჭებდა, ვიდრე მკერავთან დაკავშირებულ საქმეს. ბედნიერი იყო, როცა სხვები აღტაცებით შეჰყურებდნენ მის ცოლს, თავადაც ამ საკითხს ისეთი შემწყნარებლური თვალით უყურებდა, თითქოს ფერადი ტანსაცმლის მოყვარულ ქალს მეტისმეტად ჭრელი კაბა ამოერჩია. სერიოზული და თავაზიანი ტონით დიოთიმას კიდევ ერთხელ განუმარტა ის მიზეზები, რომელთა გამოც მამაკაცები დაუშვებლად მიიჩნევდნენ ამ პრუსიელისთვის ავსტრიული საქმის ღიად ნდობას და მას არც გადაწყვეტილების მიღების უფლებას მისცემდნენ; სხვა მხრივ კი დაეთანხმა, რომ ასეთი უნიკალური მდგომარეობის მქონე ადამიანთან მეგობრობას დადებითი მხარეებიც ჰქონდა და არწმუნებდა, ნუ ფიქრობ, თითქოს არ მსიამოვნებდეს არნჰაიმის ასე ხშირი სტუმრობაო. თავისთვის კი იმედოვნებდა, ერთ დღესაც ამ გადამთიელისთვის მახის დაგების შესაძლებლობა მომეცემაო. მხოლოდ მაშინღა მიუბრუნდა თავის ძველ ეჭვებს იმის თაობაზე, რომ დიოთიმას ყურადღება არნჰაიმს მთლიანად დაეპყრო. როცა ტუცი სხვებთან ერთად მისი საყოველთაო წარმატების მომსწრე გახდა, კიდევ ერთხელ იგრძნო, რომ დიოთიმა მის სურვილებს ძველებურად ანგარიშს აღარ უწევდა, ეურჩებოდა და სიფრთხილეს ახირებად უთვლიდა. გადაწყვიტა, ქალის ლოგიკას არ აჰყოლოდა და იმ წუთს დალოდებოდა, როცა მისი წინასწარმეტყველება თავისით ახდებოდა. ცოტა ხანში კი ისე მოხდა, რომ ძლიერი ბიძგი იგრძნო. ერთხელ, ღამით, ძილში შორიდან ტირილის ხმა ჩაესმა. თავიდან ყურადღება არ მიუქცევია, უბრალოდ ვერ ხვდებოდა, რა უნდა ყოფილიყო. მერე და მერე მანძილი მკვეთრად შემცირდა და დაძაბულობა ისე ახლოდან იგრძნო, რომ უცბად გამოეღვიძა და საწოლში წამოჯდა. დიოთიმა ზურგშექცევით იწვა, მაგრამ რაღაცით იგრძნო, რომ არ ეძინა. ტუციმ ჩუმად დაუძახა, ქათქათა მხარზე ხელი ნაზად შეახო და სცადა, თავისკენ გადმოებრუნებინა. როცა სიბნელეში მისი სახე გაარჩია, დაინახა, რომ გაავებული უყურებდა და ტიროდა. მერე კი, სამწუხაროდ, ძილმა თავი წაართვა და, ბალიშზე მიწოლილი, დიოთიმას ტკივილისგან დეფორმირებულ სახეს თითქოს ნათელში ხედავდა. „რა მოხდა?“ – აილაპარაკა ბასით ძილ-ღვიძილში და ძილის საუფლოში გაიყოლა უსიამოვნო, მკვახე და გაღიზიანებული პასუხი, რომელიც სიზმრების ფსკერზე წყალში ჩავარდნილ

ბრჭყვიალა მონეტასავით დაეცა. „ისე შფოთავ ძილში, რომ შენ გვერდით კაცი ვერ დაიძინებს!“ – უთხრა დიოთიმამ უხეშად და მკაფიოდ. მისმა ყურმა პასუხი კი აღიქვა, მაგრამ ძილმა მაინც თავისი გაიტანა და დიოთიმას საყვედურს ვეღარ ჩაუღრმავდა.

მხოლოდ ის იგრძნო, რომ უსამართლოდ ექცეოდნენ. მშვიდი ძილი დიპლომატის მთავარ ღირსებად მიაჩნდა და მას წარმატების საწინდრად თვლიდა. ამ მოსაზრებას იგი მტკიცედ იცავდა და დიოთიმას შენიშვნა მუქარად მიიღო. მიხვდა, რომ დიოთიმა რაღაცით შეიცვალა. მის ერთგულებაში სიზმარშიც კი არ შეჰპარვია ეჭვი, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ წყენა, რომელიც მან დიოთიმასგან განიცადა, არნჰაიმს უკავშირდებოდა. დილამდე, ასე ვთქვათ, განრისხებულს ეძინა და მტკიცედ გადაწყვიტა, არნჰაიმისთვის – მისი სიმშვიდის დამრღვევისთვის – ნათელი მოეფინა.

51. ფიშელი და მისი ოჯახი

ლოიდ-ბანკის დირექტორი ფიშელი, უფრო სწორად, ბანკის ნდობით აღჭურვილი პირი დირექტორის ტიტულით, სწორედ ის გახლდათ, რაღაც აუხსნელი მიზეზით გრაფი ლაინსდორფის მიწვევისთვის პასუხის გაცემა რომ დავიწყებოდა და შემდეგ ხელახლა აღარ მიეწვიათ. თუმცა იმ პირველი მიწვევისთვისაც ცოლის, კლემენტინეს, მადლიერი უნდა ყოფილიყო. კლემენტინე წარმოშობით ძველი ჩინოვნიკის ოჯახიდან იყო. მამამისი ფინანსთა პალატის პრეზიდენტი გახლდათ, ბაბუა – კამერალური მრჩეველი, მის სამივე ძმას კი სხვადასხვა სამინისტროებში მაღალი პოსტები ეკავა. ლეოს იგი ოცდაოთხი წლის წინ ცოლად ორი მიზეზის გამო გაჰყვა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მაღალი რანგის ჩინოვნიკთა ოჯახებში შვილების რაოდენობა მათ ქონებას სჭარბობს, და მეორეც, რომანტიკის გამო, რადგან მშობლების შემაწუხებელი შეზღუდულობისაგან განსხვავებით საბანკო საქმიანობა თანამედროვე, დროის მოთხოვნების შესაბამის პროფესიად წარმოედგინა; თანაც მეცხრამეტე საუკუნის ჰუმანისტი ადამიანის ღირსებას იმის მიხედვით არ აფასებდა, ებრაელი იყო იგი თუ კათოლიკე. ამ ქორწინებაში რაღაც ისეთს ხედავდა, რაც რიგითი ადამიანების გულუბრყვილო ანტისემიტურ ცრურწმენებზე მაღლა აყენებდა.

საბრალო, მომდევნო წლებში იმის მომსწრეც გახდა, როგორ აზვირთდა ნაციონალიზმის ტალღა მთელ ევროპაში და მასთან ერთად ებრაელებზე თავდასხმებიც გახშირდა, და მისი ქმარი, ასე ვთქვათ, თვალსა და ხელს შუა პატივსაცემი, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანიდან უმიწაწყლო, მავნებელ გადამთიელად იქცა. დასაწყისში მისი „ყოვლის დამტევი გული“ გამეტებით ებრძოდა ამ მოვლენას, მაგრამ ეს სასტიკი, გულუბრყვილო მტრობა, წლებთან ერთად რომ ღრმავდებოდა, ძალას აცლიდა და საყოველთაო სიძულვილი აფრთხობდა. ქმართან უთანხმოების დროს, რაც მათ შორის სულ უფრო ხშირად იჩენდა ხოლმე თავს – მისი ქმარი რაღაც მიზეზებით, რაზეც მუდამ დუმდა, ნდობით აღჭურვილი პირის სტატუსს ვერ გასცდა და ყველა შანსიც დაკარგა, ოდესმე ბანკის ნამდვილი დირექტორობისთვის მიეღწია – მხრებს იჩეჩავდა და გულისტკენას იმით ხსნიდა, მისი ხასიათი ჩემთვის უცხოაო, თუმცა გარეშე პირთა თანდასწრებით ახალგაზრდობის დროინდელ პრინციპებს არასოდეს ღალატობდა.

მათი უთანხმოება კი, არსებითად, სხვა არაფერი იყო, თუ არა თანხმობის ნაკლებობა. როგორც კი ცოლ-ქმარი თვალისმომჭრელ ბედნიერებას ვეღარ ახერხებს, უბედურებაც ბუნებრივად მაშინვე ზედაპირზე ჩნდება. მას შემდეგ, რაც ლეოს კარიერის გზა ბირჟის განმკარგულებლის საფეხურზე ჩაიხერგა, კლემენტინე ქმრის ზოგიერთ თავისებურებას იმით აღარ ამართლებდა, ის მინისტრის სარკეებიან ძველ კაბინეტში კი არა, „ეპოქის ხმაურიან საფეიქრო დაზგასთან“ დგასო. ანდა ვინ იცის, იქნებ მას სულაც გოეთეს ამ ციტატის გამო გაჰყვა ცოლად?! ლეო თავისი გაპარსული ბაკენბარდებით, ცხვირზე დაბრძანებული პენსნეთი, ოდესღაც კლემენტინეს ინგლისელ ლორდს რომ ახსენებდა, ახლა უკვე ბირჟის მაკლერს დამსგავსებოდა. ზოგიერთი მისი გამონათქვამი და ჟესტ-მიმიკა კი საერთოდაც აუტანლად ეჩვენებოდა. თავიდან კლემენტინე მის გამოსწორებასაც ეცადა, რაც არც ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან ამქვეყნად არ არსებობს ისეთი საზომი, რაც მიგვახვედრებდა, ბაკენბარდები ლორდს უნდა გვახსენებდეს თუ მაკლერს, ანდა ცხვირზე წამოცმული პენსნე ხელის მოძრაობასთან ერთად ენთუზიაზმს გამოხატავს თუ ცინიზმს. ესეც არ იყოს, ლეო ფიშელი ის კაცი როდი იყო, ასე იოლად გამოესწორებინებინა ვინმესთვის თავი. ცოლის ჭირვეულ სურვილებს, ქმარი ჩინოვნიკური სილამაზის ქრისტიანულ-

გერმანული იდეალისათვის დაემსგავსებინა, მაღალი წრის ახირებად თვლიდა და ამ საკითხზე ყველანაირ მოსაზრებას ხელაღებით უარყოფდა, რადგან ასეთი რამ გონიერი ადამიანისთვის ყოვლად უკადრის საქციელად მიაჩნდა. უმნიშვნელო წვრილმანებზე ცოლის გაღიზიანებას კი პასუხობდა, ადამიანი გონების ხმას უნდა მიჰყვესო. ასე და ამგვარად იქცა ფიშელის სახლი ორი ურთიერთდაპირისპირებული მსოფლმხედველობის ბრძოლის ველად.

ლოიდ-ბანკის დირექტორ ფიშელს ფილოსოფოსობა უყვარდა, მაგრამ დღეში არა უმეტეს ათი წუთისა. მოსწონდა ყოფიერების ლოგიკური დასაბუთებულობის შეცნობა. სჯეროდა სულიერი რენტაბელობისა, რომელიც დიდი, კეთილმოწყობილი ბანკის წესრიგის სახით წარმოედგინა და პროგრესის შესახებ გაზეთში ამოკითხული ყოველდღიური ცნობები კმაყოფილებას ჰგვრიდა. გონებისა და პროგრესის შეურყეველი რწმენა იმის უნარს ანიჭებდა, რომ ცოლის გამოხდომებისთვის მხრების აჩეჩვით ან გესლიანი სიტყვით ეპასუხა, რადგან დრომ მათი ცოლქმრობის მანძილზე მისთვის ესოდენ სასურველ ლიბერალურ პრინციპებს, ადამიანურ ღირსებას, თავისუფალ აზროვნებასა და თავისუფალ ვაჭრობას ზურგი აქცია, გონიერება და პროგრესი კი რასისტულმა თეორიამ და ქუჩის ლოზუნგებმა შეცვალა. ცხადია, ეს ყოველივე მასაც შეეხო. ამ მოვლენებს იგი თავიდან უბრალოდ უგულებელყოფდა, როგორც გრაფ ლაინსდორფს სჩვეოდა, „საზოგადოებრივი ხასიათის არასასურველ მოვლენებს“ რომ უარყოფდა ხოლმე. მოლოდინი იმისა, რომ ეს მოვლენები თავისით გაქრებოდა, იმგვარ ტანჯვად ექცა, რაც მტკიცე რწმენის ადამიანთა ცხოვრებას სდევს ხოლმე მუდამ თან. ამგვარი მოვლენებით გამოწვეული ტანჯვა წყენის პირველი, ოდნავ საგრძნობი საფეხურია. მეორე საფეხური, როგორც წესი, „შხამია“ და ლეო ფიშელიც მას სწორედ ამ სახელს არქმევდა. შხამი მორალში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში, ოჯახში, გაზეთებში, წიგნებსა და ადამიანურ ურთიერთობებში წვეთ-წვეთობით იჩენს თავს. მას თან ახლავს უძლურების შეგრძნება, შეგრძნება იმისა, რომ ეს პროცესები შეუქცევადია და თვალს ვერ მოუხუჭავ იმას, რაც უკვე აშკარაა. ბედისწერამ ლეო არც მეორე და არც ბოლო, მესამე საფეხურისგან დაინდო. სიახლის შხეფები და ნაკადები ერთ გაჭიანურებულ წვიმად

გარდაიქმნა და იმ კაცის შემაძრწუნებელ წამებად იქცა, დღეში ფილოსოფიისთვის მხოლოდ ათი წუთი რომ აქვს დრო.

ლეო მიხვდა, რამდენ პრობლემაზე შეიძლება ჰქონდეს ადამიანს განსხვავებული მოსაზრება. შეგრძნება იმისა, რომ მართალი ხარ, ღირსების გრძნობას უტოლდება და ფიშელის სახლშიც ეს მოთხოვნა ექსცესებით გვირგვინდებოდა. ათასწლეულების მანძილზე ადამიანის სწორედ ამ შეგრძნებამ შვა გასაოცარი ფილოსოფია, ხელოვნება, წიგნები, საქმენი, თავდადება და თუ ეს მშვენიერი, თუმცა კი ფანატიკური და საზარელი იმპულსი, ადამიანის ბუნებას თან რომ დაჰყვება, ცხოვრებისეული ფილოსოფიის ან ოჯახური ყოფის პრინციპულ საკითხებზე მსჯელობისას დღეში სულ რაღაც ათ წუთს უნდა დასჯერდეს, მაშინ ის ტყვიის გამდნარი წვეთივით მოწყდება, უთვალავ ბასრ კბილანას გამოისხამს და დასერილ ჭრილობებს აგატკივებს. ის თავს იმტვრევდა იმაზე ფიქრით, დაეთხოვა თუ არა მოახლე გოგო ან კბილის საჩიჩქნი ჩხირის ადგილი მაგიდაზე იყო თუ არა. თუმცა ნებისმიერ თავსატეხს ჰქონდა უნარი, მაშინვე ორ, ცალკეული დეტალებით უსაშველოდ მდიდარ, მსოფლმხედველობად ქცეულიყო.

დღისით კიდევ რა უჭირდა, რადგან მთელ დღეს სამსახურში ატარებდა. აი, ღამით კი ადამიანი იყო, რაც კლემენტინესთან ურთიერთობას წარმოუდგენლად აფუჭებდა. თუ თანამედროვე მოვლენათა სირთულეებს გავითვალისწინებთ, ადამიანი, შეიძლება, მხოლოდ ერთ რომელიმე სფეროში ერკვეოდეს. ასეთ სფეროს კი ლეოსთვის ლომბარდები და ვექსილები წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ღამით იგი დამთმობი ხდებოდა. კლემენტინე კი, მისგან განსხვავებით, დღედაღამ სუსხიან და ჯიუტ ხასიათს არ თმობდა, რადგან ჩინოვნიკის ოჯახში აღზრდილი, სადაც მოვალეობის გრძნობა და უდრეკი ატმოსფერო სუფევდა, წოდებრივი ღირსების გამო ცალ-ცალკე საძინებლებს ვერ დაუშვებდა, რაც მათ ისედაც ვიწრო ბინას კიდევ უფრო დააპატარავებდა. ჩამობნელებული საერთო საძინებელი კი მამაკაცს მსახიობად გარდაქმნის, რომელმაც უხილავი პარტერის წინაშე გმირის კეთილშობილი, მაგრამ უკვე გაცვეთილი როლი უნდა შეასრულოს და გამძვინვარებულ ლომად გარდაისახოს. წლების მანძილზე მაყურებელთა ჩაბნელებული დარბაზიდან არც მცირე რამ ტაში მიუღია და არც უარყოფის ნიშანი შეუმჩნევია. ეს კი მყარი ნერვების ადამიანსაც კი შეარყევდა. ტრადიციისამებრ,

დილაობით ერთად საუზმობდნენ. გვამივით გაქვავებული კლემენტინე ლეოს აღიზიანებდა და ბრაზისგან ერთიანად კანკალებდა. ეს მათი ქალიშვილის გერდას თვალსაც კი არ ეპარებოდა. ამიტომ ცოლქმრული ყოფა ღამის სიბნელეში კატების ბრძოლად წარმოედგინა და ამით თავზარდაცემული, ოჯახურ ცხოვრებაზე ზიზღით ფიქრობდა.

გერდა 23 წლის იყო და ცოლ-ქმარს შორის ბრძოლის ობიექტად ქცეულიყო. ლეო თვლიდა, რომ დრო იყო, გერდას შესაფერისი საქმროს შერჩევაზე ეზრუნა. გერდა კი ეუბნებოდა: „მამიკო, რა ძველმოდური ხარ“ და მეგობრებს ქრისტიანულ-გერმანული მსოფლმხედველობის მქონე თანატოლთა წრეში ეძებდა, სადაც უზრუნველყოფილი ცხოვრებისთვის იოტისოდენა პერსპექტივაც არ არსებობდა, სამაგიეროდ ფული სძულდათ და ქადაგებდნენ, ებრაელებს არასდროს დაუმტკიცებიათ, რომ კაცობრიობის დიდი სიმბოლოების შექმნის უნარი შესწევთო. ლეო ფიშელი მათ ანტისემიტ რეგვნებს ეძახდა და სახლიდან გაყრას უპირებდა. ამაზე კი გერდა ეტყოდა ხოლმე: „არ გესმის, ეს ხომ მხოლოდ სიმბოლური ნათქვამია“. გერდა ნერვიული და სისხლნაკლული იყო, ამიტომ, თუ ფრთხილად არ მოექცეოდით, მაშინვე აღელდებოდა ხოლმე. ლეოც ითმენდა მათ სტუმრობას ისე, როგორც ოდესღაც ოდისევსი თავის სახლში პენელოპეს საქმროებს, რადგან გერდა მისი თვალისჩინი გახლდათ. ლეო ისმენდა, მაგრამ არ დუმდა, რადგან ეს უცხო იყო მისი ბუნებისთვის. თვლიდა, რომ თავად უკეთ გაეგებოდა, რას ნიშნავდა ზნეობა და დიადი იდეები; ამიტომ შანსს არ უშვებდა და გერდას მუდამ ამას უმეორებდა, რადგან მასზე კეთილისმყოფელი გავლენის მოხდენა სურდა. გერდა კი ყოველთვის ასე პასუხობდა: „მამა, სწორი იქნებოდი, დღეს ამგვარ საკითხებს საფუძველშივე სხვაგვარად რომ არ უყურებდნენ!“. კლემენტინე კი როგორ იქცეოდა? არც არანაირად! მორჩილი სახით დუმდა; ლეო კი დარწმუნებული იყო, რომ მის ზურგს უკან გერდას უჭერდა მხარს, თითქოს სიმბოლოების რამე გაეგებოდეს! ლეო ყოველთვის პოულობდა მიზეზს იმის დასამტკიცებლად, რომ მისი ებრაული ჭკუა კლემენტინესას აღემატებოდა და არაფერი ისე არ აღაშფოთებდა, როგორც იმაზე დაკვირვება, როგორ ნახულობდა კლემენტინე სარგებელს გერდას სიშლეგისგან. ვითომ ასე უცებ რატომ აღარ შეეძლო თანამედროვედ აზროვნება? ეს რაღაც სისტემა იყო! მერე ღამე ახსენდებოდა.

ამას შეურაცხყოფასაც ვერ დაარქმევდით, ეს უკვე ღირსების შეგინება გახლდათ! ღამით ადამიანს მხოლოდ საღამური აცვია, საღამურის ქვეშ კი პირდაპირ ხასიათია. არც ცოდნა გიცავს და არც ჭკუა-გონება. არც მეტი და არც ნაკლები, ამ დროს მთელ შენს პერსონას აგდებ საფრთხეში. აბა, სხვა რა უნდა ეფიქრა. როგორც კი ქრისტიანულ-გერმანულ შეხედულებებზე ჩამოვარდებოდა ხოლმე სიტყვა, კლემენტინე ისეთ სახეს იღებდა, თითქოს ლეო ველური ყოფილიყო.

ადამიანი კი ისეა მოწყობილი, ეჭვის თვალით რომ უყურებენ, ვერ იტანს, ისევე, როგორც თუთუნის შესახვევი ქაღალდი – წვიმას. მას შემდეგ, რაც კლემენტინეს ლეო აღარ მოსწონდა, მას ვეღარც იტანდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ლეომ იგრძნო, რომ კლემენტინე ეჭვის თვალით უყურებდა, სულ მცირე მიზეზშიც კი შეთქმულების კვალს ხედავდა. თანაც, როგორც ყველა ამქვეყნად, ისინიც ყალბ წარმოდგენებს შეეპყრო – რასაც მათ ტრადიცია და ლიტერატურა შთააგონებდათ – თითქოს ერთმანეთზე გატაცებებით, ხასიათით, ბედისწერითა და მოქმედებებით იყვნენ დამოკიდებული. სინამდვილეში ცხოვრების ნახევარზე მეტს მოქმედებები კი არ შეადგენს, არამედ მზამზარეული შეხედულებები, რომელთა მნიშვნელობასაც უბრალოდ ვიჯერებთ, მოსაზრებები და კონტრმოსაზრებები, ის, რაც გაგვიგია და ვიცით, რასაც კონკრეტული ავტორი აღარ ჰყავს, და რაც დაგვიგროვებია. ცოლ-ქმრის ბედი დიდწილად ბუნდოვან, უტეხ, დაულაგებელ აზრებზე იყო დამოკიდებული. ეს აზრები საზოგადოებრივ შეხედულებათა კუთვნილება იყო და არა მათი, ისინი შეხედულებებთან მათთან ერთად იცვლებოდა და ამ ცვლილებებს ვერც ცოლ-ქმარი გადაურჩა. ამ დამოკიდებულების გვერდით მათი პირადი დამოკიდებულება ერთ ბეწვა გადაფასებულ ნარჩენსღა წარმოადგენდა. იმ დროს, როცა ორივე საკუთარ თავს არწმუნებდა, პირადი ცხოვრება მაქვსო და ერთმანეთის ხასიათსა და ნებას ეჭვქვეშ აყენებდნენ, სასოწარმკვეთი პრობლემა სწორედ მათი დავის არარეალობაში მდგომარეობდა, რომლის დაფარვასაც ისინი ყველა შესაძლო უსიამოვნებით ცდილობდნენ. ლეოს უბედურება ის იყო, რომ არც ბანქოს თამაში უყვარდა და არც ლამაზ გოგონებთან გართობა ანიჭებდა სიამოვნებას. სამსახურისგან დაქანცული ოჯახის ერთგულებითაც იტანჯავდა თავს. მის ცოლს კი რომანტიკული აზრები

გაჰქრობოდა და თავსაც აღარ იტყუებდა. ხანდახან ლეოს თითქოს სული ეხუთებოდა. მიზეზი რომელიმე ხელჩასაჭიდი მოვლენა კი არ იყო, შეტევას ის ყოველი მხრიდან გრძნობდა. სოციალურ სხეულზე ლეო ერთი პატარა მუყაითი უჯრედი გახლდათ, თავის მოვალეობას ბეჯითად რომ ასრულებდა, მაგრამ ყოველი მხრიდან მხოლოდ შხამიან წვენს რომ სთავაზობდნენ. სიბერეში შესული, ცხოვრების თანამგზავრისგან განსაცდელში მიტოვებული ლეო ვერ ხვდებოდა, რატომ უნდა დაეთმო ახალგაზრდობის დროინდელი გონივრული მოსაზრებები, გრძნობდა სულიერი ცხოვრების უბადრუკობას, მის მარად ცვალებად ამორალურობას, მის ნელ, მაგრამ შფოთიან სახეცვლილებას, ყველას და ყველაფერს რომ ითრევს თან. ეს კი უფრო მეტი იყო, ვიდრე ფილოსოფიით მისი დაინტერესება.

ერთ ასეთ დილას, როცა მისი გონება ოჯახურ პრობლემებს მოეცვა, დაავიწყდა, მისი ბრწყინვალების წერილისთვის პასუხი გაეცა. შემდეგ დღეებში ყოველ დილით მას განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის მეუღლის წრეში მომხდარ მოვლენებზე უყვებოდნენ და ლეოც ღრმა სინანულმა მოიცვა, რადგან გერდას საზოგადოებაში მოხვედრის შანსი ხელიდან გაეშვა. ესეც არ იყოს, სინდისი ფიშელს მთლად სუფთა არ ჰქონდა, რადგან თვით მისი გენერალური დირექტორიც და სახელმწიფო ბანკის მმართველიც მისი ბრწყინვალების ძახილს მაშინვე გამოეხმაურნენ; მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ, რაც მეტად გგლეჯს დანაშაულისა და უდანაშაულობის გრძნობა, მით უფრო ჯიქურ უარყოფ საყვედურებს. ყოველთვის, როცა ფიშელი საქმიანი კაცის ამპარტავნობით ამ პატრიოტული საქმის დაცინვას დააპირებდა, მაშინვე განუმარტავდნენ ხოლმე, რომ თვით პაულ არნჰაიმს, სწორედ იმ ფინანსისტს, ეპოქის მაჯისცემას ასე შეუცდომლად რომ გრძნობდა, ამაზე სულ სხვა მოსაზრება ჰქონდა. გაოცებას იწვევდა იმ ინფორმაციის სიუხვე, კლემენტინეს და გერდას ამ კაცის შესახებ რომ მოეპოვებინათ – ისე კი, დედის სხვა ყველა სურვილს გერდა ყოველთვის ეურჩებოდა – და რადგან ბირჟაზე მასზე ათას უცნაურ რამეს ჰყვებოდნენ, ფიშელიც კუთხეში მიმწყვდეულივით გრძნობდა თავს. ასეთი კავშირების მქონე ადამიანზე ხომ ვერ იტყოდა, აბა მისი აზრები რა სათვალავში ჩასაგდებიაო.

როცა ფიშელი თავს კუთხეში მიმწყვდეულივით გრძნობდა,

საბირჟო კონტრმანევრის შესაბამის ფორმას იღებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შეუვალი დუმილით პასუხობდა ტუცის ოჯახზე, არნჰაიმზე, პარალელურ აქციასა და საკუთარ დაუდევრობაზე გადაკრულ ნათქვამს და გულში იმედით ელოდა იმ დღეს, ერთბაშად მთელი ამ ამბების შინაგან სიცარიელეს ფარდას რომ ახდიდა და მის ოჯახურ უთანხმოებასაც ბოლოს მოუღებდა.

52. განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი საკუთარი სამინისტროს მუშაობაში ხარვეზს ხედავს

როდესაც გადაწყვეტილება მიიღო, ნათელი მოეფინა დოქტორ არნჰაიმის პიროვნებისთვის, განყოფილების ხელმძღვანელმა ტუცემ მალევე საიმპერატორო სახლის საგარეო საქმეთა სამინისტროში ყურადსაღები ხარვეზი აღმოაჩინა – არნჰაიმის მსგავსი ადამიანებისთვის სამინისტრო მზად არ იყო. თავად, მემუარების გარდა, სიტყვაკაზმული მწერლობიდან მხოლოდ ბიბლიას, ჰომეროსს და როზეგერს კითხულობდა, რაც დიდად ეამაყებოდა კიდეც, რადგან ამით თავს სულიერი დისკომფორტისგან იცავდა; მაგრამ ის, რომ სამინისტროში არავინ მოიძებნა, არნჰაიმის ერთი წიგნი მაინც რომ ჰქონოდა წაკითხული, შეცდომად მიაჩნდა.

განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის შეეძლო სამინისტროს ხელმძღვანელი ჩინოვნიკები დაებარებინა, მაგრამ იმ ცრემლიანი, მშფოთვარე ღამის შემდეგ პრესის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან თავად გაეშურა, რადგან არ სურდა, ოფიციალური სახე მიენიჭებინა მიზეზისთვის, რომელმაც აიძულა, კოლეგისთვის არნჰაიმის შესახებ საკუთარი მოსაზრებები გაეზიარებინა. პრესის დეპარტამენტის უფროსი აღაფრთოვანა არნჰაიმის შესახებ ტუცის მიერ მოპოვებული ინფორმაციის სიუხვემ; გამოუტყდა, რომ მასზე თვითონაც ბევრი რამ სმენოდა. თუმცა იქვე უარყო ვარაუდი, რომ მისი დეპარტამენტის აქტებში ამ კაცის შესახებ რამეს ნახავდი და დასძინა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ოფიციალური რელაცია არასდროს შემიდგენია, ხოლო საგაზეთო მასალების დამუშავებისას, ბუნებრივია, კერძო პირების მოღვაწეობა მხედველობაში არ მიიღებაო. ტუცი დაეთანხმა, სხვას მაინც არაფერს ველოდიო და იქვე შენიშნა, დღეს ძნელია გამიჯნო კერძო და ოფიციალური ხასიათის მოვლენები ან პირებიო. პრესის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტუცის ეს მოსაზრება

მოიწონა და ორივე შეთანხმდა, რომ სამინისტროს სისტემის ძალზე ყურადსაღები ნაკლი აღმოაჩინეს.

აშკარად ეს ის დილა გახლდათ, როცა ევროპაში ცხოვრება მეტ-ნაკლები სიმშვიდით მიედინებოდა, რადგან ორივე განყოფილების ხელმძღვანელმა კანცელარიის დირექტორი მოიწვია და არნჰაიმზე საქმის შედგენა დაავალა, თუმცა საქაღალდე, რომელსაც „პაულ არნჰაიმი, დოქტორი“ უნდა რქმეოდა, დროებით ცარიელი იყო. კანცელარიის დირექტორის შემდეგ დოკუმენტებისა და საგაზეთო ამონარიდების არქივების ხელმძღვანელების ჯერი დადგა. ორივემ მაშინვე ზეპირად და ბეჯითი გამომეტყველებით, სახეგაბრწყინებულმა განაცხადა, რომ მათ რეესტრებში არნჰაიმი არ იყო ფიქსირებული. ბოლოს რეფერენტები გამოიძახეს, ისინი, ვისაც ყოველდღიურად პრესის დამუშავება და ხელმძღვანელებისთვის მათი წარდგენა ევალებოდათ. არნჰაიმის სახელის ხსენებაზე მათ სახეზე მნიშვნელოვანი გამომეტყველება აღებეჭდათ და დაადასტურეს, რომ გაზეთებში არნჰაიმი ხშირად სასურველი აქცენტით მოიხსენიებოდა, თუმცა მის ნაშრომებზე ვერაფრის თქმა ვერ შეძლეს, რადგან მისი საქმიანობა ოფიციალური რეფერატის თემას არ შეესაბამებოდა. საკმარისი იყო ღილაკზე ხელის დაჭერა და საგარეო საქმეთა სამინისტროც უზადოდ ამოქმედდებოდა. ჩინოვნიკებმა კი ოთახი იმ შეგრძნებით დატოვეს, რომ საკუთარი საიმედოობა საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინეს. „ზუსტად ისეა, როგორც გითხარით, – მიუბრუნდა კმაყოფილი პრესის დეპარტამენტის უფროსი ტუცის, – არავინ არაფერი არ იცის“.

მარია-ტერეზიას დროინდელ, თითქოს მარადისობისათვის შექმნილ, ქარვის მარცვალში ჩარჩენილი ბუზივით მოთეთრო-მოოქროსფრო ოთახში, რბილ წითელ ხალიჩაზე მოთავსებული დიდებული ტყავის სავარძლების უკან, მაღალ ფანჯრებზე მეწამული ფარდები ეკიდა. ორივე განყოფილების ხელმძღვანელი სავარძლებში იჯდა და ღირსეული ღიმილით ისმენდა ხელქვეითთა მოხსენებებს, რის შემდეგაც აღიარეს, რომ სისტემაში აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება ადვილი არ იქნებოდა.

– დეპარტამენტში, – თავს იწონებდა მისი ხელმძღვანელი, – ყოველი საჯარო გამოსვლა საგულდაგულოდ მუშავდება,

მაგრამ ის საჯაროობის რაღაც საზღვრებს არ უნდა სცდებოდეს. თავს დავდებ, რომ მთელი წლის მანძილზე რომელიმე მიწის პარლამენტში რომელიმე დეპუტატის რეპლიკის მოძებნა ჩვენს არქივში სულ რაღაც ათი წუთის საქმეა; ბოლო ათი წლის რეპლიკას კი, თუ ის საგარეო პოლიტიკას ეხება, ნახევარ საათზე მეტი არ დასჭირდება. იმავეს ვიტყოდი ყოველ საგაზეთო პოლიტიკურ სტატიაზე. ჩემი ხალხი კეთილსინდისიერად მუშაობს, მაგრამ ეს კონკრეტული, საპასუხისმგებლო, ასე ვთქვათ, რამე პირობასთან, ძალასთან ან ცნებებთან მჭიდროდ დაკავშირებული გამონათქვამებია. თუ იმ გარემოებას, რომელ რუბრიკაში ან კატალოგში უნდა მოთავსდეს... ვინ დავასახელო... ავტორის ესე, წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით შევხედავთ...

ტუციმ ერთ-ერთი ახალბედა მწერლის სახელი შეაშველა, რომელიც დიოთიმას სალონის სტუმარი იყო ხოლმე.

პრესის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტუცის იმ ადამიანის შეწუხებული სახით შეხედა, სმენა რომ აქვს დაქვეითებული.

– კარგი, დავუშვათ... მაგრამ როგორ უნდა გაავლო ზღვარი იმათ შორის, რასაც ყურადღება უნდა მიაქციო და რასაც შეიძლება გვერდი აუარო? უკვე პოლიტიკური ლექსებიც ქვეყნდება. ყველა ვაი-პოეტს ხომ არ გამოეკიდები?!.. ან იქნებ მხოლოდ ბურგთეატრის ავტორებს?..

ორივეს გაეცინა.

– გოეთე ან შილერიც რომ იყოს, როგორ გინდა, მიხვდე, ასეთი ადამიანები რას გულისხმობენ?! რაღაც დიდი აზრი კი დევს ამაში, მაგრამ მათი ყოველი მეორე სიტყვა პრაქტიკულ მიზნებს ეწინააღმდეგება.

ამასობაში ორივესთვის ცხადი გახდა, რომ დიდად გარისკავდნენ, თუ ხელს ამ „შეუძლებელ“ საქმეს მოჰკიდებდნენ. ამ სიტყვას მაღალი წრის ის კომიკური ელფერი დაჰკრავდა, რომელსაც ასე ფაქიზად გრძნობს დიპლომატის ყური.

– შეუძლებელია, სამინისტროს ლიტერატურისა და თეატრის კრიტიკოსების მთელი შტაბი შეუერთო, – დაასკვნა ღიმილით ტუციმ. – მაგრამ, მეორე მხრივ, ერთხელაც ამ გარემოებას ყურადღება უნდა მივაქციოთ. გაგვიჭირდება იმის უარყოფა,

რომ ეს ხალხი მსოფლიოში გაბატონებული შეხედულებების ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას და, ამდენად, ისინი პოლიტიკაზე ზემოქმედებენ.

– დედამიწის არც ერთ საგარეო სამინისტროში არ იქცევიან ასე, – შეაშველა სიტყვა პრესის დეპარტამენტის უფროსმა.

– ცხადია, მაგრამ წვეთი ქვას ხვრეტს, – ტუცემ ჩათვალა, რომ ეს გამოთქმა კარგად გამოხატავდა ხიფათს. – იქნებ რაღაც ორგანიზაციული ზომების მიღება მაინც გვეცადა?

– არ ვიცი, მეეჭვება, – უპასუხა მეორე განყოფილების ხელმძღვანელმა.

– მეც, რა თქმა უნდა! – დაუმატა ტუცემ.

საუბრის ბოლოს უხერხულმა გრძნობამ მოიცვა, თითქოს ენაზე ნადები მოსდებოდა, ვერ გაერკვია, სისულელე ილაპარაკა თუ ამ საქციელს გამჭრიახობაში ჩაუთვლიდნენ, რითაც ასე იყო ქებული. პრესის დეპარტამენტის უფროსიც ვერ გარკვეულიყო და ამიტომ შეთანხმდნენ, ეს საკითხი მომავალში კიდევ ერთხელ განეხილათ.

პრესის დეპარტამენტის უფროსმა განკარგულება გასცა, სამინისტროს ბიბლიოთეკისთვის არნჰაიმის ყველა ნაშრომი შეეკვეთათ, რათა ეს საქმე რაღაც სახით დაებოლოებინათ, ტუცი კი პოლიტიკური განყოფილებისკენ გაემართა, სადაც ითხოვა, რომ ბერლინში საელჩოსთვის არნჰაიმის შესახებ დაწვრილებითი ცნობების მოპოვება დაევალებინათ. ეს იყო ერთადერთი, რის გაკეთებაც მას იმწუთას შეეძლო. ბერლინიდან ინფორმაციის მიღებამდე კი მხოლოდ ცოლისგან თუ შეიტყობდა რამეს და ეს მას დიდად არ სიამოვნებდა. გაახსენდა ვოლტერის ნათქვამი: „ადამიანები სიტყვებით აზრებს ნიღბავენ, აზრებს კი საკუთარი უსამართლობის დასასაბუთებლად იყენებენ“. ცხადია, დიპლომატიაც ამას ნიშნავდა, მაგრამ ის, რომ ვინმეს არნჰაიმივით საკუთარი ზრახვების შესანიღბად ამდენი ეწერა და ელაპარაკა, მასში შეშფოთებას იწვევდა. ეს უკვე რაღაც ახალი იყო და ეს საქმე აუცილებლად უნდა გამოერკვია.

53. მოორსბრუგერი ახალ საპყრობილეში გადაჰყავთ

რაც გაზეთებმა მეძავების მკვლელ ქრისტიან მოორსბრუგერის

სასამართლო პროცესის შესახებ წერა შეწყვიტეს, საზოგადოებამ იგი დაივიწყა და ყურადღება სულ სხვა მოვლენებს მიაპყრო. ამ საქმით დაინტერესებას მხოლოდ ექსპერტთა ვიწრო წრე იჩენდა. მისმა დამცველმა საკასაციო საჩივარი შეიტანა და მისი ფსიქიკური მდგომარეობის ხელახალი შემოწმება მოითხოვა. კიდევ იყო რამდენიმე საკითხი, რის მოგვარებასაც იგი შეეცადა. სასჯელის აღსრულება გაურკვეველი ვადით გადაიდო და მოორსბრუგერი ახალ საპატიმროში გადაიყვანეს.

ახალ საპატიმროში გადაყვანასთან დაკავშირებულმა წინასწარ მიღებულმა ზომებმა მის თავმოყვარეობას დიდად აამა. ჩახმახშემართული თოფები, უამრავი ადამიანი, ხუნდები ხელ-ფეხზე. მისი ეშინოდათ, ყურადღებას აქცევდნენ, მოორსბრუგერს კი ასეთი რამ ძალიან უყვარდა. ციხის მანქანაში რომ ჯდებოდა, გაოცებული გამვლელების მზერაში აღფრთოვანებას ეძებდა. ცივი ქარი თმას უწეწავდა, ღონეს აცლიდა. ეს სულ ორ წუთს გაგრძელდა. შემდეგ ჯარისკაცმა ზურგში ხელი ჰკრა და მანქანისკენ უბიძგა.

მოორსბრუგერი პატივმოყვარე იყო. არ უყვარდა, როცა ხელს ჰკრავდნენ ხოლმე. ეშინოდა, მცველებს არ ეცემათ, დაეყვირათ ან დაეცინათ. ბორკილდადებული გოლიათი ვერ ბედავდა, ბადრაგისთვის შეეხედა და საკუთარი ნებით გაემართა მანქანის წინა ნაწილისკენ.

სიკვდილის არ ეშინოდა. ცხოვრებაში ბევრი რამის ატანა გიწევს და ეს ჩამოხრჩობაზე მტკივნეულია. რამდენიმე წლით ადრე მოკვდები თუ გვიან, რაღა მნიშვნელობა აქვს. ციხეში დიდი ხნით ყოფნის სიამაყე დასჯის წინაშე შიშს უკრძალავდა. საერთოდაც, ცხოვრებას დიდად არც ებღაუჭებოდა. რა უნდა ჰყვარებოდა? გაზაფხულის სიო, სოფლის გრძელი შარა თუ მზე? ეს გღლის, ცხელია და მტვრიანი. არავის უყვარს, ვინც იცის, სინამდვილეში ეს რა არის. „თხრობის უნარი, – ფიქრობდა მოორსბრუგერი. – გუშინ იქ, კუთხეში რომ ტრაქტირია, ჩინებული შემწვარი ღორის ხორცი ვჭამე“. ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა, მაგრამ კაცი ამასაც შეელეოდა. მისი პატივმოყვარეობა მუდამ ბრიყვულ შეურაცხყოფას აწყდებოდა, ამიტომ ერთადერთი, რაც გაახარებდა, პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება იქნებოდა. ბორბლების ჯაყჯაყი სკამიდან მის სხეულს გადაეცემოდა. კარის გისოსების

მიღმა ფილაქანი მიქროდა. უკან ჩამოიტოვეს ფურგონები, დროდადრო კაცები, ქალები და ბავშვები გაიელვებდნენ ხოლმე, გისოსებიდან დამრეცად რომ მოჩანდნენ. ფიაკრი უახლოვდებოდათ, მოახლოებასთან ერთად იზრდებოდა და გრდემლზე დადებულ რკინასავით სიცოცხლის ნაპერწკლებად იფრქვეოდა. ცხენების თავები თითქოს კარის შემონგრევას ლამობდნენ, მერე კი ნალებისა და რეზინის სალტის რბილი ხმა თანდათან მიწყდა. მოორსბრუგერმა თავი ნელა მიაბრუნა უკან და ისევ იმ ადგილს შეხედა, სადაც სახურავი გვერდითა კედელს უერთდებოდა. გარეთ კი ხმები რაკრაკებდა და გრგვინავდა, ნაჭერივით გადაჭიმულიყო და ზედ, აქა-იქ, რომელიმე მოვლენის ჩრდილი ეცემოდა. ეს მგზავრობა მოორსბრუგერისთვის გართობას ნიშნავდა და მის მნიშვნელობას ყურადღებას არ აქცევდა. ციხეში გატარებულ ორ ბნელ, უმოძრაო დროს შორის ამღვრეულ, თეთრქაფიან 15 წუთს გაევლო. თავისუფლებას ის ყოველთვის ასე აღიქვამდა. „ბოლო ტრაპეზის ისტორია, – ფიქრობდა ის, – ციხის მღვდელთან, ჯალათებთან და თხუთმეტი წუთი დასასრულამდე ამისგან არაფრით განსხვავებული არ იქნება; ეს ისტორიაც თავისი ბორბლებით წინ გაქროლდება. სულ რაღაც იქნება საკეთებელი, შენჯღრევისას სკამიდან რომ არ ჩამოვარდეს. ბევრს ვერც დაინახავ და ვერც გაიგებ იმიტომ, რომ ხალხი სულ თვალში გეჩხირება. ყველაზე ჭკვიანური იქნება, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მორჩეს“.

კაცს, რომელიც სიცოცხლის სურვილისგან თავისუფლდება, დიდი უპირატესობა აქვს. მოორსბრუგერს კომისარი გაახსენდა. პირველად პოლიციაში სწორედ მან დაკითხა. კეთილშობილი კაცი იყო. ხმადაბლა ლაპარაკობდა.

– ბატონო მოორსბრუგერ, – უთხრა მან, – უმორჩილესად გთხოვთ, წარმატება მომაპოვებინეთ!

მოორსბრუგერმა უპასუხა: – კი, ბატონო, თუ წარმატება გსურთ, ოქმი შევადგინოთ.

მოსამართლე ვერ იჯერებდა, მაგრამ კომისარმა სასამართლოს წინაშე მისი ნათქვამი დაადასტურა. „სინდისი თუ არ გაწუხებთ, ჩემ გამო მაინც გააკეთეთ. დიდ სამსახურს გამიწევთ“. კომისარმა ეს სიტყვები სასამართლოს წინაშეც გაიმეორა და თვით თავმჯდომარესაც კი კეთილგანწყობით გაეღიმა. მოორსბრუგერი წამოდგა: – დიდად ვაფასებ ბატონი

კომისრის ამ ნათქვამს! – განაცხადა ხმამაღლა და მოხდენილი რევერანსით დაამატა: – თუმცა ბატონმა კომისარმა ამ სიტყვებით გამიშვა: „ალბათ, ერთმანეთს აღარასოდეს შევხვდებითო“, მაგრამ ბატონი კომისრის ხელახლა ნახვის დიდი პატივი მაინც მერგო.

თანხმობის ღიმილმა მოორსბრუგერს სახე გაუნათა და წინ მსხდომი ჯარისკაცები ისევე დაავიწყდა, როგორც ციხის მოჯაყჯაყე მანქანა, აქეთ-იქით რომ ახეთქებდა.

54. ულრიხთან და კლარისასთან საუბარში ვალტერმა თავი რეაქციონერად გამოავლინა

კლარისამ ულრიხს უთხრა: – მოორსბრუგერისთვის რაღაც უნდა ვიღონოთ, ეს მკვლელი მუსიკალურია!

როგორც იქნა, ერთ თავისუფალ ნაშუადღევს ულრიხი მათ ესტუმრა. ეს სტუმრობა კი მისმა დაპატიმრებამ შეაფერხა, რომელსაც ასე მძიმე შედეგები მოეტანა მისთვის.

კლარისამ ულრიხის პიჯაკის ბოლო მკერდთან მიიტანა. ვალტერი არცთუ მთლად გულწრფელი სახით იდგა.

– რას გულისხმობ, რას ნიშნავს მუსიკალური? – ჰკითხა ღიმილით ულრიხმა.

კლარისამ დაირცხვინა, თან უნებლიეთ მხიარული სახე მიიღო. თითქოს სიმორცხვე ყველა ნაკვთიდან ცდილობდა გამოსხლტომას, მას კი სახე უნდა დაეძაბა, რომ სირცხვილი შიგნიდან შეეკავებინა, მერე კი ნებაზე მიუშვა.

– ისე! – უპასუხა. – შენ ხომ გავლენიანი კაცი გახდი!– ხანდახან ვერ მიხვდებოდი, რას ფიქრობდა.

ზამთარი ერთხელ უკვე დაიწყო და დამთავრდა. აქ, ქალაქგარეთ, თოვლი ისევ იდო. თეთრი მინდვრები და შიგადაშიგ მუქი წყალივით შავი მიწა მოჩანდა. მზის სხივები გარემოს თანაბრად ეფინებოდა. კლარისას ნარინჯისფერი ქურთუკი ეცვა და შალის ქუდი ეხურა. სამივე ერთად მისეირნობდა. ქაოსურად გაშიშვლებულ ბუნებაში ულრიხი მათ არნჰაიმის ნაწერების აზრს განუმარტავდა. ის ეხებოდა ალგებრულ რიგებს, ბენზოლის ბეჭდებს, ისტორიის მატერიალური და უნივერსალური მეთოდებით ანალიზს,

ხიდის ბურჯებს, მუსიკის განვითარებას, ავტომანქანების სულს, „ჰატა 606-ს“, ფარდობითობის თეორიას, ბორის ატომისტიკას, ავტოგენურ შედუღებას, ჰიმალაის ფლორას, ფსიქოანალიზს, ინდივიდუალურ და ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას, ფიზიოლოგიურ ფსიქოლოგიას, სოციალურ ფსიქოლოგიას და ყველა იმ მონაპოვარს, რითაც მდიდარმა ეპოქამ კეთილი, მთლიანი ადამიანები შვა. ყველა ეს საკითხი მის ნაწერებში ძალზე მშვიდი ტონითაა გადმოცემული, რადგან ის ირწმუნება, რაც გაუგებარია, უნაყოფო გონების ძალის თავშეუკავებლობაო, იმ დროს, როცა ჭეშმარიტება ყოველთვის სისადავე, ადამიანური ღირსება და ზებუნებრივი ჭეშმარიტების ინსტინქტური შეგრძნებაა, რომელსაც ის ადამიანი იძენს, ვინც უბრალოდ ცხოვრობს და ვარსკვლავებთან აქვს კავშირიო. „ამგვარ მოსაზრებას ბევრისგან გაიგებთ, – განმარტავდა ულრიხი, – მაგრამ არნჰაიმის სჯერათ, რადგან ის დიდი და მდიდარია. კარგად იცის ის, რაზეც ლაპარაკობს. ჰიმალაიშიც ყოფილა, ავტომანქანებიც ჰყავს და იმდენი ბენზოლის ბეჭედი შეუძლია ატაროს, რამდენსაც მოისურვებს“.

კლარისას მოუნდა გაეგო, როგორი იყო ბენზოლის ბეჭედი, თვალიდან კი კარნეოლის ბეჭედი არ შორდებოდა.

– კლარისა, მაინც ძალიან მომხიბვლელი ხარ! – უთხრა ულრიხმა.

– კიდევ კარგი, რომ ყველა ქიმიური სისულელის გაგება არ სჭირდება! – დაიცვა ვალტერმა კლარისა. მერე არნჰაიმის იმ თხზულებების დაცვა დაიწყო, რაც წაეკითხა. იმის თქმა კი არ მინდა, არნჰაიმი საუკეთესოა, რაც კაცმა შეიძლება წარმოიდგინოს, მაგრამ უდავოდ ყველას სჯობს, რაც თანამედროვე ეპოქამ შვა; ეს ახლებური სულია! ნამდვილი მეცნიერებაა, მაგრამ უფრო მეტი, ვიდრე მეცნიერებაო! ასე ჩაიარა სეირნობამ. შედეგად კი სველი ფეხები, აღგზნებული ტვინი, ცხელი ყავის სურვილი და ადამიანური მარტოობის მწვავე გრძნობა დატოვა.

ფეხსაცმელებზე თოვლი დნებოდა და ოხშივარი ასდიოდა. სველმა ნაფეხურებმა ოთახი დასვარა და კლარისა ამან გაახარა. ვალტერს ქალური ტუჩები მოეკუმა და ჩხუბის მიზეზს ეძებდა. ულრიხი პარალელურ აქციაზე ჰყვებოდა. არნჰაიმს რომ მიუბრუნდნენ, ისევ წაკამათდნენ.

– გეტყვი, რაც მაქვს მისი საწინააღმდეგო, – იმეორებდა ულრიხი. – მეცნიერი დღეს აუცილებელია. ცოდნაზე უარს ვერ იტყვი. არასდროს ისე დიდი არ ყოფილა სპეციალისტისა და დილეტანტის გამოცდილებას შორის სხვაობა, როგორც დღეს. მასაჟისტისა და პიანისტის ოსტატობას ნებისმიერი ამჩნევს; სპეციალური მომზადების გარეშე დღეს ცხენსაც კი აღარ უშვებენ სარბენ ბილიკზე. ჯერ კიდევ ყველა ფიქრობს, რომ აქვს უფლება, იმსჯელოს, როგორი უნდა იყოს ადამიანი. ძველი ცრურწმენის თანახმად, ადამიანი ადამიანად იბადება და იმადვე კვდება! მე კი ვიცი, რომ ხუთი ათასი წლის წინ ქალები შეყვარებულებს ზუსტად ისეთსავე წერილებს წერდნენ, როგორსაც დღეს. ასეთ წერილებს ისე ვერ ვკითხულობ, რომ საკუთარ თავს არ ვკითხო, ნუთუ ოდესმე რამე არ უნდა შეიცვალოს?!

კლარისას დაეტყო, რომ მის ნათქვამს ეთანხმებოდა. ვალტერი კი ფაკირივით იღიმებოდა, ლოყაში ქუდის ქინძისთავს რომ უყრიან, ის კი წარბსაც არ იხრის.

– ეს სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ ჯერჯერობით უარს აცხადებ, იყო ადამიანი! – შეედავა ის.

– დაახლოებით. დილეტანტიზმის უსიამოვნო გრძნობა ამას სულ თან სდევს.

– კიდევ სხვა რამეშიც მინდა გამოგიტყდე, – ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ განაგრძო ულრიხმა, – სპეციალისტებს საქმე ბოლომდე არასდროს მიჰყავთ. მარტო დღეს კი არა. ვერც კი წარმოუდგენიათ საკუთარი დასრულებული საქმე. შეიძლება ძალაც კი არ ჰყოფნით ამ სურვილისთვის. შეგიძლია წარმოიდგინო, რომ ადამიანს ისევ შერჩება სული, როცა მის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიურ გააზრებას და მასთან ურთიერთობას შეძლებს?

მიუხედავად ამისა, ამ მდგომარეობისკენ ყველა ვისწრაფვით. ამაშია საქმე. ცოდნა – ქცევაა, ჟინია, თავისი არსით ნებადაურთველი ქცევაა. ცოდნისკენ თავშეუკავებელი სწრაფვა გაუწონასწორებელ ხასიათს აყალიბებს ისევე, როგორც ალკოჰოლიზმი, სექსუალური მანია ან სადიზმი. აბსოლუტურად მცდარია, თითქოს ჭეშმარიტებაზე მკვლევარი ნადირობდეს. პირიქით, ჭეშმარიტება ნადირობს მკვლევარზე. განსაცდელს მკვლევარი გადის, ჭეშმარიტება უჩვენოდაც

ჭეშმარიტია, ფაქტი კი რეალური და ამაზე თავის ატკივება არ ღირს. ამ ფაქტით ის ალკოჰოლიკის ჟინითაა შეპყრობილი, რაც მის ხასიათს დაღს ასვამს და ფეხებზეც ჰკიდია, რა გამოვა აქედან: მთლიანი, ადამიანური თუ სრულყოფილი. ის წინააღმდეგობრივი, ტანჯული და თანაც მეტისმეტად აქტიური არსებაა.

– მერე? – ჰკითხა ვალტერმა.

– რა მერე?

– იმის თქმას ხომ არ აპირებ, რომ ამას წერტილი უნდა დავუსვათ?!

– მე დავუსვამდი წერტილს, – თქვა ულრიხმა ჩუმად. – ჩვენი შეხედულებები გარემოზე და საკუთარ თავზე ყოველდღე იცვლება. ჩვენ გარდამავალ დროში ვცხოვრობთ. თუ ძირეულ ამოცანებს წინანდელზე უკეთ არ გადავწყვეტთ, მაშინ სამუდამოდ, სამყაროს აღსასრულამდე ასე გაგრძელდება. სიბნელეში დარჩენილებმა შიშისგან ბავშვივით მაინც არ უნდა მოვრთოთ ღრიალი. ამას შიშის ტირილი ჰქვია, როცა ისე იქცევი, თითქოს იცოდე, როგორ უნდა მოიქცე აქ, დედამიწაზე. შეიძლება ქვეყანა დაამხო ღრიალით, მაგრამ ეს მაინც შიშია! სხვათა შორის, დარწმუნებული ვარ: ჩვენ დაოთხილები მივაჭენებთ! მიზნამდე შორია. ის არათუ არ გვიახლოვდება, მას ვერც კი ვხედავთ; გზაც ხშირად აგვერევა და ცხენის გამოცვლაც ხშირად მოგვიწევს. ზეგ ან ორი ათასი წლის შემდეგ ჰორიზონტი დაიძვრება და ხმაურით მოგვაწყდება.

შებინდდა. „თვალებში ვერავინ შემომხედავს, – ფიქრობდა ულრიხი. – თვითონაც არ ვიცი, ტყუილს ვამბობ თუ მართალს“. – ულრიხი იმ ადამიანივით ლაპარაკობდა, მრავალწლიანი ნააზრევის შეჯამებისას რაღაც მომენტში რომ დაეჭვდება. გაახსენდა, რომ ახალგაზრდობის ოცნებები ფუტურო სურვილებად ქცეულიყო და ლაპარაკის ხალისი დაკარგა.

– ცხოვრების აზრზე უარი უნდა ვთქვათ? – გესლიანად ჰკითხა ვალტერმა.

ულრიხმა ჰკითხა, რისთვის სჭირდებოდა ეს აზრი და დაამატა, კაცი უამისოდაც იოლად გავაო. კლარისამ ჩაიქირქილა, მაგრამ ღვარძლის გარეშე, რადგან ულრიხის კითხვამ გაამხიარულა.

ვალტერმა შუქი აანთო. მოეჩვენა, რომ საჭირო არ იყო, ულრიხს კლარისას წინაშე ბნელში მდგომი ადამიანის უპირატესობით ესარგებლა. შუქმა სამივეს თვალი მოსჭრა.

ულრიხი ჯიუტად აგრძელებდა: – ადამიანს მხოლოდ ერთი რამ სჭირდება: იცოდეს, რომ საქმე მეზობელზე უკეთ მისდის. ანუ: შენი ნახატები, ჩემი მათემატიკა, ვიღაცის შვილები. ერთი მხრივ, ადამიანმა იცის, რომ მასში უჩვეულო არაფერია, მაგრამ სწორედ ამ აბსოლუტური ჩვეულებრიობის გამო ძნელია მისი მსგავსის მოძებნა!

ვალტერს დაჯდომა ვერ მოესწრო და ფეხზე იდგა. აღელვებული ჩანდა. ტრიუმფი.

– იცი, რას ამბობ? ერთ ადგილს ტკეპნი. უბრალოდ, ავსტრიელი ხარ და ავსტრიულ სახელმწიფო ფილოსოფიას – ერთი ადგილის ტკეპნას – ასწავლი!

– იქნებ ეს არც ისე ცუდია, როგორც შენ ფიქრობ, – მიუგო ულრიხმა. – სიზუსტის, სიცხადის, სილამაზის ახირებული მოთხოვნილების შემდეგ შეიძლება ადამიანი იქამდე მივიდეს, რომ სიახლის სულის შესაცნობად ძალ-ღონის დაძაბვაზე მეტად ერთი ადგილის ტკეპნა უფრო მოეწონოს! ავსტრიის მსოფლიო-ისტორიული მისიის აღმოჩენას გილოცავ.

ვალტერს უნდოდა შედავებოდა. აღმოჩნდა, რომ გრძნობა, რამაც ფეხზე წამოაყენა, ტრიუმფის განცდა კი არ იყო, არამედ, ასე ვთქვათ, ერთი წუთით გარეთ გასვლის სურვილი. ის ამ ორ გრძნობას შორის მერყეობდა. ამ გრძნობების შეთავსება შეუძლებელი აღმოჩნდა და მისმა მზერამ ულრიხის თვალებიდან კარისკენ გადაინაცვლა.

მარტო რომ დარჩნენ, კლარისამ უთხრა: – ეს მკვლელი მუსიკალურია. – მას ენა დაება, შემდეგ კი იდუმალი ხმით განაგრძო: – ანუ რამის თქმა ძნელია, მაგრამ მისთვის რამე უნდა გააკეთო.

– რა უნდა გავაკეთო?

– გაათავისუფლო.

– გაგიჟდი?

– შენ ხომ მთლად ისე არ ფიქრობ, როგორც ვალტერს

ელაპარაკები? – ჰკითხა კლარისამ, თან თვალებით მისგან პასუხს ითხოვდა.

– არ ვიცი, რა გინდა, – უპასუხა ულრიხმა.

კლარისამ ჯიუტად შეხედა მის ტუჩებს და გაიმეორა: – ჯობს, მაინც ის გააკეთო, რასაც გეუბნები, ეს შეგცვლიდა.

ულრიხი კლარისას აკვირდებოდა. ვერაფერს ხვდებოდა. ეტყობა, კლარისას ნათქვამიდან რაღაც გამორჩა, რამე შედარება ან რამე „თითქოს“, რაც მის სიტყვებს აზრს ანიჭებდა. უცნაური იყო, რომ ამ აზრის გარეშე ისე ბუნებრივად ლაპარაკობდა, თითქოს საკუთარი გამოცდილების გაზიარება სურდა.

მაგრამ ამასობაში ვალტერიც დაბრუნდა.

– უნდა დაგეთანხმო, – დაიწყო ვალტერმა. პაუზამ დაძაბულობა განტვირთა.

ვალტერი როიალის წინ ტაბურეტზე ჩამოჯდა და კმაყოფილმა ფეხსაცმელებზე დაიხედა, რომელსაც მიწა აჰკვროდა. „რატომ ულრიხის ფეხსაცმელს არ ეკვრება მიწა? – ფიქრობდა ის. – მიწა ევროპელის ბოლო იმედი და ხსნაა“.

ულრიხმა კი ვალტერის ფეხებს დახედა. ვალტერს ბამბის წინდები ეცვა და გოგოსავით რბილი, ულამაზო ფეხები ჰქონდა.

– დასაფიქრებელია, როცა ადამიანი ჯერ კიდევ მთლიანობისკენ ილტვის, – თქვა ვალტერმა.

– მთლიანობა აღარ არსებობს. საკმარისია, გაზეთში ჩაიხედო და იმდენ ბუნდოვანებას აღმოაჩენ, ლაიბნიცის აზროვნებაც რომ ვერ მოერეოდა... მაგრამ ამას უცებ ვერ ამჩნევ. ადამიანი სხვაგვარი გახდა. დღეს უკვე მთლიანი ადამიანი კი აღარ დგას მთლიანი ბუნების წინაშე, არამედ ადამიანის მსგავსი რაღაც, რომელიც საერთო საკვებ სითხეში მოძრაობს.

– აბსოლუტურად სწორია, – უპასუხა მაშინვე ვალტერმა.

– უნივერსალური განათლება გოეთესეული გაგებით აღარ არსებობს. ამიტომაც ყოველ აზრს საპირისპირო აზრი მოეძებნება, ყოველ ტენდენციას მსწრაფლ კონტრტენდენცია გამოუჩნდება. ყოველი ქმედება და უკუქმედება დღეს ინტელექტში გონებამახვილურ ნიადაგს პოულობს, რითაც

მისი გამართლებაც შეიძლება და განსჯაც. ვერ ვხვდები, როგორ იცავ! – ულრიხმა მხრები აიჩეჩა.

– განზე უნდა გადგე, – თქვა ჩუმად ვალტერმა.

– ასეც არა უშავს, – უპასუხა ულრიხმა მეგობარს. – შეიძლება ჭიანჭველებისნაირი სახელმწიფოს გზას ვადგავართ ან შრომის არაქრისტიანული განაწილებისკენ მივდივართ.

ულრიხმა გაიფიქრა, რომ კამათიც და შეთანხმების მიღწევაც ერთნაირად იოლი იყო. მის თავაზიან ტონში ზიზღი ისევე ცხადად იგრძნობოდა, როგორც გემრიელი ლუკმა ჟელეში. იცოდა, რომ ბოლო ნათქვამი ვალტერს გააღიზიანებდა და საშინლად მოუნდა, ერთხელ მაინც ესაუბრა ადამიანთან, ვის აზრებსაც სრულებით გაიზიარებდა. ოდესღაც ისინი ასე საუბრობდნენ. ასეთ დროს რაღაც უხილავი ძალა სიტყვებს გულიდან გლეჯს და არც ერთი მათგანი მიზანს არ სცდება. როცა მტრულად ლაპარაკობ, სიტყვები ყინულიდან ასულ ნისლს ემსგავსება. მან ვალტერს ღვარძლის გარეშე შეხედა, მიხვდა, რომ ვალტერიც იმავეს გრძნობდა. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, მით უფრო ირყეოდა მისი შინაგანი დარწმუნებულობა და მიზეზს ულრიხს მიაწერდა. „ყველაფერი, რასაც ადამიანი ფიქრობს, ან სიმპათიაა, ან ანტიპათია!“– ფიქრობდა ულრიხი. ეს აზრი ისე ცხადად წარმოიდგინა, რომ თითქოს ბიძგი იგრძნო, სწორედ იმ იმპულსის მსგავსი, შეჯგუფულ ხალხს რომ შეარყევს ხოლმე. ულრიხი კლარისასკენ მიბრუნდა.

კლარისა კი აშკარად დიდი ხანია მათ საუბარს აღარ უსმენდა. რაღაც დროს ხელში გაზეთი აიღო, რომელიც მაგიდაზე იდო და ცდილობდა, გამოეცნო, რატომ ანიჭებდა ეს ეგზომ დიდ სიამოვნებას. თვალებთან იმ ბუნდოვანებას გრძნობდა, რაზეც ულრიხი ლაპარაკობდა, ხელებში კი – გაზეთს. ხელები სიბნელეს შლიდა და სხეულთან ერთად ორ განივ მორს ქმნიდა, მათ შორის კი გაზეთი ეკიდა. კლარისას ეს დიდ სიამოვნებას განაცდევინებდა, მაგრამ მის აღსაწერად სიტყვებს ვერ პოულობდა. იცოდა, რომ გაზეთს დაჰყურებდა, უბრალოდ, ისე, არ კითხულობდა და ულრიხში რაღაც ბარბაროსული, იდუმალი, მონათესავე ძალა იგრძნო. ეს აზრი თავში უტრიალებდა და სხვა არაფერი ახსენდებოდა.

ტუჩები ოდნავ გაეხსნა, თითქოს გაღიმებას აპირებდა ისე, რომ

თვითონაც ვერ ხვდებოდა და დაძაბულობისგან გაშეშებული იდგა.

ვალტერმა ხმადაბლა განაგრძო: – სწორი ხარ, როცა ამბობ, რომ დღეს აღარაფერია სერიოზული, გონივრული ან გამჭვირვალე. მაგრამ რატომ არ გესმის, რომ დამნაშავე სწორედ ეს გონიერებაა, ავადმყოფობასავით რომ მოედო ყველაფერს. ყველას ტვინი ერთმა სურვილმა დაასნეულა: გახდეს უფრო ჭკვიანი და ცხოვრების რაციონალიზაცია და სპეციალიზაცია მეტად შეძლოს, ვიდრე აქამდე მომხდარა. ეს ავადმყოფობა, ამასთან ერთად, აზროვნების უუნარობაცაა, რადგან ვერ მივმხვდარვართ, რანი გავხდებით, როცა ყველაფერს შევიმეცნებთ, დავანაწევრებთ, მანქანებად გარდავქმნით და ყველაფრის ტიპიზაციას და ნორმირებას შევძლებთ. ასე აღარ შეიძლება.

– ღმერთო ჩემო, – უპასუხა გულგრილად ულრიხმა, – ბერების ეპოქაში ქრისტიანს უნდა ერწმუნა, თუმცა მისი წარმოსახვა ღრუბლებითა და არფებით სავსე მოსაწყენ ზეცას ვერ სცილდებოდა. ჩვენ კი გონების ზეცა გვაფრთხობს, რომელიც სკოლისდროინდელ სახაზავებს, მერხებს და ამაზრზენ, ცარცით ნახატ ფიგურებს გვახსენებს.

– ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ამის შედეგი თავაშვებული ფანტაზიის პარპაში იქნება, – დაამატა ვალტერმა და დაფიქრდა. მის ნათქვამში ცოტა შიში და ეშმაკობა იგრძნობოდა. ფიქრობდა გონების იმ იდუმალ მტრულ ძალაზე, რომელსაც კლარისას არსებაში ხედავდა, ხოლო გონებაზე საუბრისას, უხამსობად რომ შეიძლება იქცეს, ულრიხზე ფიქრობდა. ისინი კი ამას ვერ ამჩნევდნენ, რაც ვალტერს იმგვარ ტკივილს და ტრიუმფს განაცდევინებდა, როგორსაც იმ ადამიანს, რომლისაც არავის ესმის. სიამოვნებით სთხოვდა ულრიხს, მათთან ფეხი აღარ მოეკარებინა, თუკი, რა თქმა უნდა, კლარისა არ აუამბოხდებოდა.

ასე მდუმარედ შეჰყურებდა ორივე კლარისას.

კლარისამ უცბად შეამჩნია, რომ ისინი აღარ ჩხუბობდნენ. თვალები მოიფშვნიტა და ვალტერს და ულრიხს თბილად შეხედა. მათ კი, თითქოს მინის კარადაში სხედანო, სახეზე ჩამავალი მზის ყვითელი შუქი ეფინებოდათ.

55. სოლიმანი და არნჰაიმი

ქალების მკვლელ ქრისტიან მოორსბრუგერს მეორე კეთილისმყოფელიც გამოუჩნდა, რომელსაც რამდენიმე კვირის წინ მისმა დანაშაულმა და ტანჯვამ ისე შეუძრა გული, როგორც ბევრმა სხვა მოვლენამ. ამ საკითხზე მისი მოსაზრება სასამართლოს მოსაზრებისგან სრულად განსხვავდებოდა. სახელი – ქრისტიან მოორსბრუგერი ძალიან მოსწონდა. მის უკან მარტოსული, მაღალი კაცი წარმოედგინა, რომელიც, ხავსით დაფარულ წისქვილთან ჩამომჯდარი, წყლის გრუხუნს უსმენდა და ღრმად სწამდა, რომ მისთვის წაყენებული ბრალდება მოულოდნელად აიხსნებოდა. სამზარეულოში ან სასადილო ოთახში, როცა საკერავს მიუჯდებოდა, წარმოიდგენდა, როგორ უახლოვდებოდა ბორკილებაყრილი მოორსბრუგერი და თავაშვებულ ფანტაზიას მიეცემოდა ხოლმე. ფანტაზიის სიშლეგე არც იმას გამორიცხავდა, რომ თავის დროზე მას რახელი გაეცნო, მკვლელის კარიერისთვის თავი დაენებებინა და უჩვეულო წარსულის ყაჩაღების მეთაური გამხდარიყო.

საპყრობილეში ჩაგდებული საბრალო კაცი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ დიოთიმას თეთრეულის დასაკემსად დახრილი ქალის გული მისთვის ძგერდა. ოლქის სასამართლოს შენობიდან განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის სახლამდე შორი არ იყო. ერთი შენობის სახურავიდან მეორემდე არწივს ფრთების ერთი-ორჯერ მოქნევა თუ დასჭირდებოდა. თანამედროვე ადამიანის სულისთვის, ოკეანეებსა და კონტინენტებზე თამაშ-თამაშით ხიდის გადების უნარი რომ აქვს, არაფერია ისეთი რთული, ვიდრე ქუჩის გადაღმა სახლში მცხოვრები ადამიანის სულთან კავშირის დამყარება.

ამიტომ მაგნიტურმა ტალღებმა უქმად ჩაიარა, და აი, რახელს მოორსბრუგერის ნაცვლად პარალელური აქცია შეჰყვარებოდა. თუ შიგნით, ოთახებში, საქმე ისე ვერ გვარდებოდა, როგორც წესი და რიგი იყო, წინკარში მოვლენა მოვლენას უსწრებდა. წინათ რახელი ყოველთვის პოულობდა დროს გაზეთების წასაკითხად, რომელსაც მისი ბატონები ტოვებდნენ ხოლმე სამზარეულოს მაგიდაზე. ახლა კი, დილიდან ღამემდე პარალელური აქციის პატარა მეციხოვნედ ქცეულს, ამისთვის დრო აღარ რჩებოდა. მას უყვარდა დიოთიმა, განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი, მისი ბრწყინვალება გრაფი

ლაინსდორფი, ნაბობი და ახლა უკვე ულრიხიც, რომელსაც პარალელურ აქციაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. სწორედ ასე უყვარს ძაღლს სახლის მეგობრები. ეს ერთი და იგივე გრძნობაა, ოღონდ განსხვავებული სურნელით და ეს ამაღელვებელ მრავალფეროვნებას ქმნის. რახელი ჭკვიანი იყო. მაგალითად, ულრიხს მშვენივრად შეატყო, რომ სხვა დანარჩენთ, ცოტა არ იყოს, ყოველთვის უპირისპირდებოდა და მისი ფანტაზია პარალელურ აქციაში მას განსაკუთრებულ, მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველ როლს მიაწერდა. ულრიხი მას ყოველთვის ალერსიანად უყურებდა. პატარა რახელმა შეამჩნია, რომ განსაკუთრებით დიდხანს ის მაშინ აკვირდებოდა, როცა ფიქრობდა, რახელი ვერ მხედავსო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ულრიხი მისგან რაღაცას ელოდა.

ნეტა მართლა ასე ყოფილიყო! მოლოდინით თეთრი კანი უფორაჯდებოდა და დროდადრო ლამაზი შავი თვალებიდან ულრიხს ერთი ბეწო ოქროსფერ ისრებს ესროდა. რახელი მონუმენტურ ავეჯსა და სტუმრებს შორის მიდი-მოდიოდა, ულრიხი თავისკენ ნატყორცნ ისრებს იოლად ამჩნევდა და ეს დიდად ართობდა.

რახელის ყურადღებას კი ის არა მარტო იმ საიდუმლოებით სავსე საუბარს უმადლოდა, რომელიც წინკარში გაიმართა და არნჰაიმის გაბატონებული მდგომარეობა შეარყია. ამ ბრწყინვალე ადამიანს – არნჰაიმს, ულრიხისა და ტუცის გარდა, თავისი მსახურის, სოლიმანის სახით კიდევ ერთი მტერი ჰყავდა, რასაც იგი ვერც კი ხვდებოდა. ეს პატარა არაბი იმ ჯადოსნური სარტყლის მოელვარე ბალთა იყო, რომელიც რახელს პარალელური აქციისთვის შემოერტყა. სასაცილო ბიჭუნა ზღაპრული ქვეყნიდან იქ, სადაც რახელი მსახურობდა, თავისი ბატონის კვალდაკვალ მოხვედრილიყო და რახელმა, როგორც მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ზღაპრის ნაწილი, ისე მიიღო. სოციალური თვალსაზრისით ეს ასეც იყო. ნაბობი მზე იყო და დიოთიმას ეკუთვნოდა, სოლიმანი კი – რახელს. სოლიმანი თითქოს ძირს დაგდებული, მზეზე მოკაშკაშე, მომხიბვლელი, ფერადი ნამსხვრევი იყო და რახელმა იგი თავისთვის აიღო. ბიჭი კი მთლად ასე არ ფიქრობდა. მიუხედავად მომცრო ტანისა, უკვე 17 წელი უსრულდებოდა და რომანტიზმით, ღვარძლითა და პრეტენზიებით სავსე ყმაწვილი გახლდათ. ოდესღაც არნჰაიმმა იგი სამხრეთ იტალიაში მოცეკვავეთა შორის გამოარჩია და წამოიყვანა. მისმა

უცნაურად მოუსვენარმა ბუნებამ და მაიმუნივით მელანქოლიურმა მზერამ არნჰაიმს გული შეუძრა და ამ მდიდარმა კაცმა გადაწყვიტა, მისთვის სხვა ცხოვრების კარი გაეღო. ეს ის უანგარო, გულწრფელი მეგობრობის ნოსტალგია იყო, რომელიც არცთუ ისე იშვიათად შემოაწვება ხოლმე მასავით მარტოსულ ადამიანს. ამ გრძნობას არნჰაიმი, როგორც წესი, მომეტებული საქმიანობით ნიღბავდა. თოთხმეტ წლამდე არნჰაიმი სოლიმანს ისე ექცეოდა, როგორც მდიდარი ოჯახები – საკუთარი შვილის ძუძუმტეებს, სადაც მათ ყველანაირი გართობისა და თამაშის თანამონაწილეებად ხდიან. საწერ მაგიდასთან სახელგანთქმულ სტუმრებთან საუბრისას სოლიმანი თავის ბატონს დღედაღამ ან მუხლებზე ეჯდა, ან ზურგს უკან ედგა, ანდაც ფეხებთან მიუცუცქდებოდა ხოლმე. თუ მაგიდაზე სკოტი, შექსპირი და დიუმა ეწყო, მათ კითხულობდა. ასო-ასო კითხვა კი ჰუმანიტარული მეცნიერებების სამაგიდო ლექსიკონიდან ისწავლა. სოლიმანი თავისი ბატონის კანფეტებს ჭამდა და მისი სიგარეტების მოწევაც ადრევე დაიწყო, ოღონდ მაშინ, როცა ის ვერ ხედავდა. პირველადი განათლება კერძო მასწავლებლისგან მიიღო, რომელიც სახლში დაუდიოდა, თუმცა გაკვეთილებს არასისტემური სახე ჰქონდა, რადგან თავის ბატონთან ერთად ბევრს მოგზაურობდა. ამ ყველაფერმა თავი საშინლად მოაბეზრა და კამერდინერის მოვალეობის შესრულებაზე მეტად არაფერი მოსწონდა, რადგან ეს ნამდვილი, მოწიფული ადამიანის საქმედ ესახებოდა და ამ ჟინს უკლავდა. ერთ დღეს, არც ისე დიდი ხნის წინ, ბატონმა სოლიმანი თავისთან მიიხმო და მეგობრულად აუხსნა: იმედები ვერ გამიმართლე, ბავშვი აღარ ხარ, მე კი, როგორც შენი ბატონი, ვალდებული ვარ, პატარა მსახურიდან წესიერ კაცად გაქციო; ამიტომ გადავწყვიტე, ისე მოგექცე, როგორც საჭიროა, რათა იმგვარ ცხოვრებას, ოდესმე რომ უნდა შეუდგე, დროულად მიეჩვიოო. ბევრმა წარმატებულმა ადამიანმა, – დაამატა არნჰაიმმა, – ცხოვრება ჭურჭლის მრეცხაობითა და ფეხსაცმლის მწმენდაობით დაიწყო და მათი ძალაც სწორედ ამაშია, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, საქმეს მთელი არსებით მიეცეო.

წუთმა, როცა რაღაც გაურკვეველი, ფუფუნებისთვის განკუთვნილი ქმნილებიდან იმ მსახურად იქცა, მზამზარეულზე რომ ცხოვრობს და თან მცირე გასამრჯელოსაც

იღებს, სოლიმანი სულიერად გააჩანაგა; არნჰაიმს კი ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. მისი ნათქვამიდან სოლიმანმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ ნათქვამის მნიშვნელობას გუმანით გრძნობდა და ამ ცვლილებების შემდეგ ბატონი შეიძულა. წიგნებზე, კამფეტებსა და სიგარეტებზე უარს არც მერე ამბობდა, მაგრამ თუ წინათ მხოლოდ იმას იღებდა, რაც სიამოვნებას ჰგვრიდა, დღეს უკვე არნჰაიმს მათ სრულიად გააზრებულად ჰპარავდა და შურისძიების მიზნით უბრალოდ ამტვრევდა, მალავდა ან ყრიდა ნივთებს, რომლებიც შემდეგ, არნჰაიმის გასაკვირად, მათი არსებობა ისედაც ბუნდოვნად რომ ახსოვდა, აღარასოდეს ჩნდებოდა. ზღაპრული ქონდრისკაცივით შურისმაძიებელი სოლიმანი თვითკონტროლს არ კარგავდა, სამსახურებრივ მოვალეობასაც პირნათლად ასრულებდა და არც სასიამოვნო მანერები ღალატობდა. მზარეულ გოგოებში, მოახლეებსა და სასტუმროს მომსახურე პერსონალში უწინდებურად სენსაციურ მოწონებას იმსახურებდა და სტუმარი ქალების მზერითა და ღიმილით განებივრებულს, ქუჩის ბიჭბუჭობა დამცინავად აშტერდებოდა. საინტერესო და მნიშვნელოვანი პერსონა რომ იყო, ეს ჩვევა მაინც შეინარჩუნა, თუმცა იჩაგრებოდა. ხანდახან თავისი ბატონიც კი უწყალობებდა ხოლმე კმაყოფილ, მაამებლურ მზერას ან ალერსიან და ბრძნულ სიტყვას. მისთვის, როგორც დაუზარებელი და საზრიანი ბიჭისთვის, საქებარ სიტყვას არავინ იშურებდა და თუ ისე მოხდებოდა, რომ ცოტა ხნის წინ ჩადენილი სისაძაგლე სინდისზე ტვირთად აწვებოდა, თავაზიანად იკრიჭებოდა და საკუთარი უპირატესობით ისევე ტკბებოდა, როგორც ყინულივით ცივი ნაყინით, ყელს რომ შაშრავს.

ამ ბიჭის ნდობა რახელმა იმ წუთიდან მოიპოვა, როგორც კი ამცნო, ჩვენს სახლში, მგონი, ომი მზადდებაო. იმ დღიდან თავისი კერპის არნჰაიმის შესახებ ათასნაირი სიბილწის მოსმენა უხდებოდა. ქედმაღლობის მიუხედავად, სოლიმანის ფანტაზია სანემსე ბალიშში ჩარჭობილ ხმლებსა და ხანჯლებს წააგავდა. არნჰაიმის შესახებ მონაყოლი რახელს ბედაურის ფლოქვების თქარუნივით ჩაესმოდა და ისე აღიქვამდა, თითქოს ჩირაღდანი ან თოკის კიბეები ირხევაო. ბიჭმა მას გაანდო, რომ სინამდვილეში სოლიმანი არ ერქვა და რაღაც გრძელი, უცნაურად ჟღერადი სახელი ისე სწრაფად წარმოთქვა, რომ მის დამახსოვრებას რახელი ვერასდროს შეძლებდა. მერე

საიდუმლოდ ისიც გაუმხილა, ზანგი თავადის შვილი ვარ, მამაჩემი ათასობით მეომრის, პირუტყვის, მონის და აუარება თვალ-მარგალიტის პატრონია, მე კი ბავშვობაში მომიტაცესო. არნჰაიმმა მიყიდა, ოდესმე ვინმე თავადს ძალიან ძვირად რომ მიმყიდოს, და თუ აქამდე არ გავქცეულვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ მამაჩემი აქედან ძალიან შორს ცხოვრობსო.

რახელი ისეთი სულელი არ იყო, რომ ეს დაეჯერებინა, მაგრამ მაინც დაიჯერა, რადგან პარალელურ აქციაში დაუჯერებელიც დასაჯერებელი იყო. სიამოვნებით აუკრძალავდა სოლიმანს არნჰაიმზე ასეთ ლაპარაკს, მაგრამ მისი თავხედობის წინააღმდეგ ზიზღნარევ უნდობლობას უნდა დასჯერებოდა, რადგან სოლიმანის მტკიცებებში, ჩემი ბატონის ნდობა არ შეიძლებაო, ინტუიციით დიდ და თავშესაქცევ გართულებებს გრძნობდა, რომელიც პარალელურ აქციას უახლოვდებოდა.

ხავსმოდებულ წისქვილთან ჩამომჯდარი მაღალი კაცი საავდროდ შეყრილ ღრუბლებს მიღმა გაუჩინარდა და სოლიმანის მაიმუნივით დაღმეჭილ სახეს მკრთალი შუქი მოეფინა.

56. გაცხოველებული სამუშაო პარალელური აქციის კომიტეტებში. კლარისა მის ბრწყინვალებას წერილს სწერს და მას ნიცშეს წლის გამოცხადებას სთავაზობს

ამ პერიოდში ულრიხს კვირაში ორჯერ-სამჯერ მაინც უწევდა, მის ბრწყინვალებას სტუმრებოდა. მას იქ მაღალი, ელეგანტური, საუცხოო პროპორციების მქონე ოთახი დაახვედრეს. ფანჯარასთან მარია-ტერეზიას დროინდელი დიდი საწერი მაგიდა იდგა. კედელზე ჩამუქებული სურათი ეკიდა, მქრქალად მანათობელი წითელი, ლურჯი და ყვითელი ლაქებით. მასზე ვიღაც მხედრები გამოეხატათ, რომლებიც შუბებით სხვა, ცხენებიდან ჩამოგდებულ მხედრებს უპირებდნენ განგმირვას. მოპირდაპირე კედელზე ეულად ქალის პორტრეტი ეკიდა, სხეულის რბილი ადგილები ოქრომკედით ნაქარგი კორსეტით საგულდაგულოდ რომ დაეცვა და ისეთი წვრილი წელი ჰქონდა, ლამის წელში გამწყდარიყო. ულრიხს ვერ გაეგო, რატომ გამოეძევებინათ იგი ასე მარტოდმარტო ამ კედელზე, რადგან ქალი აშკარად ლაინსდორფის ოჯახის წევრი უნდა ყოფილიყო. მისი ახალგაზრდა შეპუდრული სახე ისე ჰგავდა გრაფისას, როგორც

მშრალ თოვლში ჩარჩენილი ნაკვალევი სველ თიხაში აღბეჭდილ ნაფეხურს. სხვათა შორის, ულრიხს შესაძლებლობა არ მისცემია, გრაფი ლაინსდორფის სახეს დაკვირვებოდა. ბოლო სხდომის შემდეგ პარალელურ აქციაში მოვლენები ისე გამოცოცხლდა, რომ მისი ბრწყინვალება ვეღარ იცლიდა. თავი დიადი იდეებისთვის მიეძღვნა და მთელ დროს განცხადებების კითხვას, მომსვლელთა მიღებას, მოლაპარაკებებსა და გასვლებს ანდომებდა. უკვე პრემიერ-მინისტრთანაც ესაუბრა, არქიეპისკოპოსთანაც გაემართა მოლაპარაკებები, სამეფო კანცელარიაშიც ეთათბირა და რამდენჯერმე ზედა პალატაში თავადაზნაურობისა და გაარისტოკრატებული ბურჟუაზიის წარმომადგენლებსაც შეხვედროდა. ამ საუბარში ულრიხი არ ჩაურთავთ და მხოლოდ ის შეიტყო, რომ ოპოზიციონერთა მხრიდან ყველა ძლიერ პოლიტიკურ წინააღმდეგობას ელოდა. ამის გამო ყველა ინსტანციამ განაცხადა, პარალელური აქციის მხარდაჭერას მით უკეთ შევძლებთ, რაც ნაკლებად იქნება ჩვენი სახელი ნახსენებიო და მოისურვეს, კომიტეტებში დროებით მხოლოდ საკუთარი დამკვირვებლები ჰყოლოდათ.

საბედნიეროდ, კომიტეტები კვირიდან კვირამდე სულ უფრო მეტ წარმატებას აღწევდნენ. დამფუძნებელ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სამყარო მათ რელიგიურ, საგანმანათლებლო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო და ა. შ. ფართო ასპექტებად დაყვეს, ყველა კომიტეტში შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენელი მიავლინეს და კომიტეტებიც თავიანთი საქმიანობის შესრულებას შეუდგნენ.

თითოეული კომიტეტი სხვა დანარჩენებთან შეთანხმებით კომპეტენტური ორგანიზაციებისა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს ელოდა, რათა მათ სურვილებს, წინადადებებს და თხოვნას გასცნობოდა და ისინი მთავარი კომიტეტისთვის გადაეცა. იმედი ჰქონდათ, რომ ამ გზით მისკენ ქვეყნის „ძირითად“ მორალურ ძალებს კონცენტრირებული და სისტემატიზებული სახით მიმართავდნენ და უკვე ის ფაქტი, რომ წერილობითი ურთიერთობები ფართოვდებოდა, კმაყოფილებას განაცდევინებდათ. მთავარი კომიტეტისთვის მიწერილი წერილი წინა წერილიდან გამომდინარე აზრს აგრძელებდა, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა და შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „ვიმოწმებთ რა ჩვენს სერიას ამა და ამ

ნომრით, შესაბამისად – ამა და ამ ნომერს, წილადი, რომაული ციფრი...“, რასაც ისევ ციფრი მოსდევდა, და ეს ციფრები ყოველ წერილთან ერთად სულ უფრო იზრდებოდა. ეს უკვე რაღაც ჯანმრთელი ზრდის მაჩვენებელი იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ საელჩოები ნახევრად ოფიციალური გზით იმ შთაბეჭდილებების შესახებაც იტყობინებოდნენ, რაც საზღვარგარეთ ავსტრიული პატრიოტიზმის დემონსტრირებას მოეხდინა. უცხოელი დესპანები ფრთხილად აგროვებდნენ ინფორმაციას. პარლამენტის გაფაციცებული დეპუტატები მომავალ ქმედებათა შესახებ გეგმებს ეცნობოდნენ. კერძო ინიციატივებმა სავაჭრო სახლების წერილობით მიმართვებშიც იჩინა თავი, სადაც ისინი თავს უფლებას აძლევდნენ და რჩევებს იძლეოდნენ, ან საკუთარი ფირმების პატრიოტიზმთან დასაკავშირებლად საიმედო საყრდენს ეძებდნენ. არსებობდა აპარატი და რადგან არსებობდა, უნდა ემუშავა კიდეც; რადგან ის უკვე მუშაობდა, ამოძრავდა კიდეც. მანქანა რომ გაშლილ მინდორში დაიძრას, თუნდაც საჭესთან არავინ იჯდეს, ის მაინც შეძლებს გარკვეული, თქვენ წარმოიდგინეთ, შთამბეჭდავი გზის გავლას.

ამგვარად დაიწყო ძლევამოსილი წინსვლა და გრაფი ლაინსდორფი ამას გრძნობდა. ის პენსნეს იკეთებდა და დიდი სერიოზულობით კითხულობდა ყველა წერილს თავიდან ბოლომდე. ეს უკვე უცნობი ენთუზიასტების სურვილები და წინადადებები აღარ იყო, რომელიც დასაწყისში, საქმის მოწესრიგებამდე, უზღვავი რაოდენობით შემოდიოდა და ლამის მისი ბრწყინვალება წაელეკა. განცხადებები და შეკითხვები ხალხის წიაღიდან მოდიოდა, მაგრამ მათ ხელს ვინ აღარ აწერდა: ალპინისტური საზოგადოების თავმჯდომარეები, ლიბერალური გაერთიანებები, მარტოხელა ქალწულთა კონგრეგაციები, ხელოსანთა კავშირები, კორპორაციები, კლუბები, პატარ-პატარა ჯგუფები, ინდივიდუალიზმიდან კოლექტივიზმისკენ გადასვლას გრიგალში დატრიალებული ნაგვის კორიანტელივით რომ მისდევენ. მისი ბრწყინვალება ყველაფერს როდი ეთანხმებოდა, რასაც მისგან ითხოვდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ამჩნევდა, რომ საქმე წინ მიიწევდა. ის იხსნიდა პენსნეს, სამინისტროს მრჩეველს ან მდივანს უბრუნებდა წერილს, რომელიც მისთვის მანამდე გადაეცათ, კმაყოფილების ნიშნად უსიტყვოდ იქნევდა თავს და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ პარალელური აქცია სასიკეთო,

ღირსეულ გზას ადგა და ჭეშმარიტი გზაც მოიძებნებოდა.

სამინისტროს მრჩეველი უკან დაბრუნებულ წერილს მაგიდაზე დასტა-დასტა დაწყობილ წერილებს ზემოდან ადებდა და მისი ბრწყინვალების თვალებში პასუხად კითხულობდა: „ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ სანამ ჩვენი მიზნების შესახებ საფუძვლიან ცოდნას არ ვფლობთ, ვერც ჰოს ვიტყვით და ვერც – არას“. სამინისტროს მრჩეველი ყოველი შემოსული წერილის პასუხად მისი ბრწყინვალების თვალებში ამ აზრს კითხულობდა და მისი მოსაზრებაც სწორედ ასეთი გახლდათ. ხელში ოქროთი მოვარაყებული ფანქარი ეჭირა და ყოველი წერილის ბოლოს ჯადოსნურ ფორმულას მიაწერდა ხოლმე: „რეზ“. კაკანიის დაწესებულებებში ხშირად ხმარებული ეს ჯადოსნური ფორმულა ნიშნავდა „რეზერვირებას“, რაც „მომავალში განსახილველად გადავადებას“ გულისხმობდა. ეს იმ წინდახედულობის სამაგალითო ნიმუშად უნდა ჩაგვეთვალა, რომელსაც არაფრის დაკარგვა არ სურს, მაგრამ ნაჩქარევადაც არაფერს მოიმოქმედებს. ასე მაგალითად, ერთი წვრილი მოხელის თხოვნა, შემწეობა აღმოეჩინათ მისი მშობიარე ცოლისთვის, რეზერვირებულ იქნა მანამდე, სანამ ბავშვი არ გაიზარდა და თავად არ გახდა შრომისუნარიანი. მიზეზი კი სხვა არაფერი იყო, გარდა იმისა, რომ იქნებ, ერთიც ვნახოთ და ეს საკითხი სამართლებრივი გზით მოგვარებულიყო, მანამდე კი ხელმძღვანელს გულმა ნება არ მისცა, წინასწარ უარი ეთქვა თხოვნაზე. შეიძლება მოეხდინათ ასევე რომელიმე გავლენიანი პირის ან დაწესებულებების თხოვნის რეზერვირება, ვისაც უარს ვერ შეჰბედავდნენ, თუმცა შესაძლოა ამ თხოვნის მოწინააღმდეგე რომელიმე სხვა გავლენიანი ინსტანცია ყოფილიყო. ასე რომ, არსებითად, სამინისტროში შესული ყველა პირველი თხოვნის რეზერვირება ხდებოდა მანამ, სანამ რომელიმე მსგავსი შემთხვევა პრეცედენტს არ შექმნიდა.

უმართებულო იქნებოდა, დაგვეცინა დაწესებულების ამ ჩვევისთვის, რადგან მის კედლებს მიღმა რეზერვირება კიდევ უფრო ხშირია. ტახტზე ასვლისას მეფეთა აღთქმა, თურქთა და ურჯულოთა წინააღმდეგ გავილაშქრებთო, წვრილმანია იმასთან შედარებით, თუ გავიხსენებთ, რომ კაცობრიობის ისტორიაში არც ერთი წინადადება არ დაწერილა ბოლომდე და არც რომელიმე მათგანისთვის გადაუსვამთ ხაზი; აქედან კი ხანდახან პროგრესის ის თავბრუდამხვევი ტემპი იბადება, ასე

გამაოგნებლად რომ ჰგავს ფრთოსან ხარს. თანაც დაწესებულებებში რაღაც მაინც იკარგება, სამყაროში კი – არაფერი. ასე რომ, რეზერვირება ჩვენი ცხოვრების სტრუქტურის მთავარი ფორმაა. თუ მისი ბრწყინვალება ჩათვლიდა, რომ საკითხი დაუყოვნებლივ გადაჭრას ითხოვდა, სხვა მეთოდს ირჩევდა: შემოსულ წინადადებას სამეფო კარზე თავის მეგობარ გრაფ შტალბურგს უგზავნიდა მინაწერით, შეიძლებოდა თუ არა განეხილათ იგი, როგორც „დროებით საბოლოო“. საპასუხო წერილში, რომელსაც ყოველთვის გარკვეული ხნის შემდეგ იღებდა, მიუთითებდნენ, რომ უზენაესი ნების გაცხადება მოცემული დროისთვის შეუძლებლად მიაჩნდათ, ვინაიდან ბევრად უფრო მართებული იქნებოდა, ამ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას დალოდებოდნენ და იმისდა მიხედვით, თუ როგორ გამოხმაურებას პოვებდა იგი საზოგადოებაში, არსებული ინიციატივა მაშინ განეხილათ. ჩინოვნიკთა განსახილველ საქმედ ქცეული ეს ინიციატივა შესაბამის სამინისტროში იგზავნებოდა, საიდანაც უკან იმ მინაწერით ბრუნდებოდა, რომ ამ საკითხზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება მათ კომპეტენციას სცდებოდა; ამის შემდეგ გრაფი ლაინსდორფი ჩაინიშნავდა, რომ ცენტრალური კომიტეტის პირველივე სხდომისთვის განცხადებით მიემართა, რათა ამ საკითხის შესასწავლად სამინისტროთაშორისო ქვეკომიტეტი შექმნილიყო.

შეუვალ სიმტკიცეს იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში იჩენდა, თუ შემოსულ წერილს ხელს არც რომელიმე საზოგადოების გამგეობა აწერდა და არც ოფიციალურად აღიარებული საეკლესიო, სამეცნიერო ან ხელოვანთა გაერთიანება. სწორედ ასეთი წერილი გაგზავნა იმ დღეებში კლარისამ, სადაც ის ულრიხს იმოწმებდა და ნიცშეს ავსტრიული წლის გამოცხადებას სთავაზობდა. თანაც ქალების მკვლელ მოორსბრუგერისთვისაც რამის გაკეთებას შევძლებთო – წერდა იგი. როგორც ქალი, თავს ვალდებულად ვთვლი, ამგვარი ინიციატივა გამოვიჩინო და თან ის მეტად მნიშვნელოვანი დამთხვევაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნიცშეც სულით ავადმყოფი იყო და მოორსბრუგერიცო. როგორც კი გრაფმა ლაინსდორფმა ულრიხს წერილი მიაწოდა, მან მაშინვე იცნო კლარისას უცნაურად უმწიფარი ნაწერი, მსხვილი წაწვენილი ასოებითა და ხაზგასმული სიტყვებით. თავს ძლივს მოერია და

შეეცადა, ბრაზი ხუმრობით დაეფარა. გრაფმა ლაინსდორფმა ულრიხს დაბნეულობა შეაჩნია და კეთილგანწყობილი ხმით უთხრა: – მინდა გითხრათ, რომ საინტერესოა, ენერგიული და ცეცხლოვანი. სამწუხაროა, ცალკეული ინიციატივები ad acta უნდა გადავდოთ, თორემ მიზანს ვერ მივაღწევთ. რადგან ამ ქალბატონს პირადად იცნობთ, იქნებ ეს წერილი თქვენი ნათესავისთვის გადაგეცათ?

57. დიდი აღმავლობა. დიდ იდეებთან დაკავშირებით დიოთიმა უცნაურ გამოცდილებას იძენს

ულრიხმა წერილი სახლში გადამალა, რომ თვალში არ მოხვედროდა. საერთოდაც დიოთიმასთან ამის თაობაზე საუბარი იოლი არ იყო, რადგან ავსტრიულ წელთან დაკავშირებული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ის რაღაც აღტყინებას მოეცვა. დიოთიმა მხოლოდ გრაფი ლაინსდორფის გამოგზავნილ წერილებს კი არ იღებდა ულრიხის ხელით, ფოსტას ყოველდღე დასტა-დასტა მოჰქონდა გაზეთებიდან ამოჭრილი სტატიები და წერილები, წიგნით მოვაჭრენიც აურაცხელი რაოდენობის წიგნებს უგზავნიდნენ. მომსვლელებმა ისე იმატეს, როგორც ზღვა ადიდდება ხოლმე, როცა ქარი და მთვარე ერთობლივად იწყებენ მის შესრუტვას. ტელეფონი ერთი წუთითაც არ ჩუმდებოდა. რახელი რომ არა, მთავარანგელოზის გულმოდგინებით რომ მორიგეობდა ტელეფონთან და ინფორმაციას თავად გასცემდა, დიოთიმას თავს დამტყდარი ამდენი საქმე უთუოდ წელში გატეხდა.

მისი სხეულის ყოველ ძარღვში ჩასაფრებული დაძაბულობა, ნერვული აშლილობის ზღვრამდე რომ მიეყვანა დიოთიმა, თან აქამდე განუცდელი ბედნიერებით ავსებდა. ეს იყო საკუთარი პერსონის მნიშვნელოვნების განცდით მოგვრილი ჟრჟოლა, ტალღასავით რომ მოგიყოლებს, ლოდის ღრჭიალი, სამყაროს თავს თაღად რომ დასდგმია, მწვერვალზე მდგომი კაცის განცდა, სიცარიელე გულს რომ უსუსხავს. საზოგადოებაში მიღწეული წარმატების მიუხედავად, დიოთიმა გულის სიღრმეში, საკუთარი არსების ყველაზე საღ ნაწილში, მაინც საშუალო სკოლის მოკრძალებული პედაგოგის ქალიშვილად და ბურჟუა ვიცე-კონსულის ახალგაზრდა მეუღლედ დარჩენილიყო. საკუთარი პოზიციის ამგვარი შეგრძნება ყოფიერების შეუმჩნეველი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი მდგომარეობაა ისევე, როგორც დედამიწის ბრუნვა, რომელსაც

ვერც კი ვამჩნევთ.

რადგან ადამიანს ასწავლიან, რომ პატივმოყვარეობა გულით არ უნდა ატაროს, ამიტომ მან იგი რომელიმე დიდი სამშობლოს მიწაზე, რელიგიურ ნიადაგზე ან საშემოსავლო გადასახადების საფეხურზე მდგომმა ფეხქვეშ უნდა იგრძნოს. ასეთი პოზიციის არარსებობის შემთხვევაში იგი იმითაც კმაყოფილდება – რაზეც ყველას მიუწვდება ხელი – რომ მოცემულ მომენტში სიცარიელიდან ამოზრდილ დროის სვეტს თავზე მოექცევა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ახლა, სწორედ ამწუთს ცხოვრობს, მაშინ, როცა გარდასულ დროთა მკვიდრნი ფერფლად ქცეულან, მომავლის ადამიანები კი ჯერ არ შობილან. თუ რაღაც მიზეზთა გამო უეცრად პატივმოყვარეობამ – ეს კი ყოველთვის არაცნობიერად ხდება – ფეხებიდან თავამდე მიაღწია, ეს მსუბუქ შეშლილობას იწვევს, იმ ქალწულის მსგავსად, რომელსაც სჯერა, ნაყოფი მუცლად დედამიწისგან ვიღეო. დიოთიმას თვით განყოფილების ხელმძღვანელი ტუციც კი სდებდა პატივს და მოვლენათა განვითარებით ინტერესდებოდა; ხანდახან ამა თუ იმ პატარ-პატარა დავალებების შესრულებასაც სთხოვდა, თანაც ღიმილმა, რომელიც მას დიოთიმას სალონზე საუბრისას სახიდან არ შორდებოდა, ადგილი დარბაისლურ სერიოზულობას დაუთმო. ჯერ კიდევ არავინ იცოდა, როგორ აღიქვამდნენ უმაღლეს ინსტანციაში მათ ინიციატივას – სათავეში ჩასდგომოდნენ საერთაშორისო პაციფისტურ დემონსტრაციას. ტუცი მზრუნველი ხმით დიოთიმას ერთსა და იმავეს უმეორებდა: ჩემთან წინასწარი შეთანხმების გარეშე უმნიშვნელო საქმეშიც კი არ ჩაერიო, თუ ის საგარეო პოლიტიკის სფეროს განეკუთვნებაო. ისიც კი ურჩია, თუ ოდესმე საერთაშორისო სამშვიდობო აქციაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ეზრუნა, რომ პოლიტიკური სახის პრობლემები არ წამოჭრილიყო. სრულებით არ არის საჭირო ამ მშვენიერ იდეაზე უარის თქმა, – უხსნიდა დიოთიმას ქმარი, – მით უმეტეს მაშინ, როცა მისი განხორციელების შესაძლებლობა შეიქმნა. ისე კი საჭიროა, თავიდანვე მანევრირებაზე ვიფიქროთ და უკან დასახევი გზაც მოვიტოვოთო. შემდეგ დიოთიმას ის განსხვავება განუმარტა, რაც განიარაღებას, სამშვიდობო კონფერენციასა და სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრებს შორის არსებობდა და ჰააგაში ადგილობრივი მხატვრების მიერ მშვიდობის სასახლის ფრესკებით მოსახატად დაარსებული ფონდიც ახსენა.

დიოთიმას ქმარი ასე საქმიანად არასდროს დალაპარაკებია. ხანდახან საძინებელში იღლიაში ამოდებული ტყავის საქაღალდით ბრუნდებოდა, რომ ცოლისთვის ნათქვამი კიდევ უფრო უკეთ განემარტა; მაგალითად, თუ დაავიწყდებოდა იმის დამატება, რომ ტერმინს „მსოფლიოს მომცველი ავსტრია“ გამართლებულად მხოლოდ პაციფისტურ და ჰუმანისტურ საქმიანობასთან დაკავშირებით თვლიდა და ამაზე მეტი საშიშ უპასუხისმგებლობად მიაჩნდა.

დიოთიმა მოთმინებით და ღიმილით პასუხობდა: – ვეცდები, შენი სურვილები გავითვალისწინო, მაგრამ საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობას ნუ გადააჭარბებ. ახლა ქვეყნის შიგნით სწორედაც რომ აღმავლობა იწყება და ეს აღმავლობა ხალხის ანონიმურ სიღრმეებში იბადება. ვერ წარმოიდგენ, რამდენ წინადადებას და თხოვნას მიგზავნიან ყოველდღე.

მართლაც რომ აღფრთოვანებას იმსახურებდა დიოთიმა, რადგან გრანდიოზულ პრობლემებს ისე შესჭიდებოდა, რომ არაფერს იმჩნევდა. მთავარი კომიტეტის სხდომებზე, რომლის სტრუქტურაც ისეთ სფეროებს ასახავდა, როგორიცაა რელიგია, მართლმსაჯულება, სოფლის მეურნეობა, განათლება და ა. შ., უდიადესი მოსაზრებები ყინულივით ცივსა და მფრთხალ თავშეკავებას აწყდებოდა, ასე კარგად რომ იცნობდა დიოთიმა საკუთარი ქმრისგან, სანამ ის ასეთი ყურადღებიანი გახდებოდა მის მიმართ. მოუთმენლობისაგან ზოგჯერ მხნეობასაც კარგავდა და თავს ვეღარ უმალავდა, რომ ხავსმოდებული და დუნე სამყაროს წინააღმდეგობასთან გამკლავება იოლი არ იყო. რამდენადაც ნათელი იყო მისთვის, რომ ავსტრიული წელი მსოფლიოს მომცველ ავსტრიულ წლად უნდა ქცეულიყო, ხოლო ავსტრიულ სამეფოში მცხოვრები ერები – ერთა თანამეგობრობის ნიმუშად, რისთვისაც მხოლოდ იმის დამტკიცება იქნებოდა საკმარისი, რომ სულიერების ჭეშმარიტი სამშობლო ავსტრიაა, იმდენად ცხადად გამოიკვეთა, რომ მძიმედ მოაზროვნეთათვის კიდევ რაღაც განსაკუთრებული შინაარსი იყო საჭირო, რაღაც იდეის დამატება, რომელიც თავისი კონკრეტული და არა განყენებული მნიშვნელობით მათთვის უფრო გასაგები გახდებოდა. ასეთი იდეის მოსაძებნად საათობით იქექებოდა ათასნაირ წიგნში, თანაც ეს იდეა რაღაცნაირად, სიმბოლურად, ავსტრიულიც უნდა ყოფილიყო; მაგრამ დიოთიმამ დიად იდეებთან დაკავშირებით სრულიად უცნაური გამოცდილება

შეიძინა.

აღმოჩნდა, რომ დიოთიმას დიდ ეპოქაში უცხოვრია, რადგან ეს ეპოქა სავსე იყო ამგვარი იდეებით, მაგრამ მათგან ყველაზე დიადისა და მნიშვნელოვანის განხორციელება ძალზე რთულია, თანაც როცა საამისოდ ყველა პირობაა, გარდა ერთისა – რომელი უნდა მიიჩნიო ასეთად. ყოველთვის, როცა დიოთიმა ის-ის იყო რომელიმე იდეის შერჩევას გადაწყვეტდა, მაშინვე ამჩნევდა, რომ ამ იდეის საპირისპიროც რაღაცით დიადს წარმოადგენდა. რას იზამ, ასეა და დიოთიმაც ვერაფერს გააწყობდა. იდეალებს უცნაური თვისებები აქვთ: როგორც კი რომელიმეს აღიარებ და მას გაჰყვები, ის სრულიად საპირისპირო მხარეს შებრუნდება. აი, მაგალითად, ტოლსტოი და ბერტა ზუტნერი – ორი მწერალი, რომელთა იდეებზეც ამდენს ლაპარაკობდნენ. ძალადობის გარეშე ადამიანი ხომ ქათამსაც ვერ დაკლავს! ან ჯარისკაცებს რა მოვუხერხოთ, როცა ეს მწერლები გვასწავლიან, რომ მოკვლა არ შეიძლება. საბრალო ჯარისკაცები ხომ უმუშევრები დარჩებიან, დამნაშავეებს კი ოქროს ხანა დაუდგებათ. არადა, სწორედ ამ ხასიათის წერილები მოდიოდა და ამბობდნენ, უკვე ხელმოწერებიც გროვდებაო. მარადიული ჭეშმარიტების გარეშე დიოთიმას ცხოვრება ვერ წარმოედგინა, მაგრამ თავისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ მარადიული ჭეშმარიტება ორმაგი და სამმაგი ცხოვრებით ცხოვრობს. სწორედ ამიტომაც იჩენს გონიერი ადამიანი უნდობლობას მარადიულ ჭეშმარიტებათა მიმართ. განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი, დიახაც, გონიერი ადამიანი იყო. მათ აუცილებლობას იგი არასდროს უარყოფდა, მაგრამ ის ადამიანები, ვინც მათ მნიშვნელობას სიტყვასიტყვით იგებდნენ, გიჟებად მიაჩნდა. მისი აზრით – რასაც იგი სიამოვნებით გაუზიარებდა თავის ცოლს, რათა დახმარებოდა – კაცობრიობის იდეალებს უამრავი ისეთი მოთხოვნა აქვს, რის შესრულებაც ადამიანს დაღუპვის პირას მიიყვანს, თუ მათ თავიდანვე ცოტა არასერიოზულად არ შეხედე. ნათქვამის ნათელსაყოფად ტუცის მაგალითად სახელმწიფო დაწესებულებები მოჰყავდა, სადაც ადამიანები სერიოზული საქმეებით არიან დაკავებული და ისეთი სიტყვები, როგორიცაა იდეალები ან მარადიული ჭეშმარიტება, საერთოდ არ გვხვდება. რომელიმე რეფერენტს მსგავსი რამ თავში აზრად რომ მოუვიდეს და ოფიციალურ დოკუმენტებში ეს სიტყვები გამოიყენოს, მას გამოჯანმრთელების მიზნით

დაუყოვნებლივ შვებულებაში გაუშვებენო. დიოთიმა მას სევდიანად უსმენდა, მაგრამ სისუსტის ასეთ წუთებში ახალი ძალით ივსებოდა და თავის გამოკვლევებს უბრუნდებოდა.

მისმა სულიერმა ენერგიამ თვით გრაფ ლაინსდორფიც გააოცა, როცა მან ერთხელაც, როგორც იქნა, დრო გამოძებნა და მასთან რჩევის საკითხავად მივიდა. მის ბრწყინვალებას ხალხის წიაღიდან შობილი დემონსტრაციის ხილვა ეწადა. გულწრფელად სურდა გაეგო, რაში მდგომარეობდა ხალხის ნება და ზემოდან ფრთხილი ზემოქმედებით მის გაკეთილშობილებას ესწრაფოდა, რადგან უნდოდა, მისი უდიდებულესობის წინაშე იგი არა როგორც ძღვნად, არამედ დემოკრატიის მორევში ჩათრეული ხალხის ცნობიერ ნებად წარედგინა. დიოთიმამ იცოდა, რომ მისი ბრწყინვალება „მშვიდობისმყოფელი კაიზერის“ და ჭეშმარიტი ავსტრიის ბრწყინვალე მანიფესტაციის იდეას ვერ ელეოდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ყოვლისმომცველი ავსტრიის იდეასაც არ უარყოფდა, რადგან მას პატრიარქის გარშემო შემოკრებილ ხალხთა გრძნობის გამოხატულებად მიიჩნევდა. ცხადია, მისი ბრწყინვალება ერთა ოჯახში ფარულად პრუსიელებს გამორიცხავდა, მაგრამ დოქტორ არნჰაიმის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და მას სრულიად არაორაზროვნად საინტერესო ადამიანად თვლიდა.

– მოძველებული პატრიოტიზმი ნამდვილად არ გვჭირდება, – ახსენებდა ის დიოთიმას. – ჩვენ ერი უნდა შევაჯანჯღაროთ. ავსტრიული წლის გამოცხადების იდეა მშვენიერია. ჟურნალისტებსაც თავად ვუთხარი, რომ ხალხის ფანტაზია ამ მიზნისკენ მიემართათ. მაგრამ იმაზე თუ გიფიქრიათ, რა უნდა ვაკეთოთ ამ წელს, თუკი მას ავსტრიულს დავარქმევთ? ხომ ხედავთ. ამაშია საქმე! ამის ცოდნაც საჭიროა. ზემოდანაც სჭირდება ხელის შეშველება, თორემ უმწიფარი ელემენტები მოექცევიან სათავეში. მე კი რამის მოსაფიქრებლად დრო სრულებით აღარ მრჩება.

დიოთიმამ მის ბრწყინვალებას ენერგიულად უპასუხა: – აქცია რამე დიდი ნიშნით უნდა დაგვირგვინდეს, ეს ცხადია. მან სამყაროს გული უნდა შეუძრას, თუმცა ზემოდან გავლენებიც საჭიროა და ეს უდავოა. ავსტრიული წელი არაჩვეულებრივი ინიციატივაა, მაგრამ, ჩემი აზრით, მთელი მსოფლიოს წელი უკეთესი იქნებოდა: მსოფლიო ავსტრიული წელი, როცა

ევროპული სული სწორედ ავსტრიაში პოვებდა ჭეშმარიტ სამშობლოს.

– ფრთხილად! ფრთხილად! – აფრთხილებდა გრაფი ლაინსდორფი, რომელსაც ხშირად აშინებდა მეგობრის გამბედაობა. – თქვენი იდეები ყოველთვის ცოტა გადაჭარბებულია. დიოთიმა, ეს უკვე გითქვამთ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა! რას ფიქრობთ, მაინც რა უნდა გავაკეთოთ ამ ავსტრიულ წელს?

პირდაპირობით, რაც გრაფი ლაინსდორფის ჭკუას ასეთ თავისებურს ხდიდა, იგი დიოთიმას მტკივნეულ წერტილს შეეხო.

– თქვენო ბრწყინვალებავ, – უპასუხა მან ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, – ეს ყველაზე რთული კითხვაა და პასუხს ჩემგან ელით?! ვაპირებ, რაც შეიძლება ჩქარა ცნობილი ადამიანები მოვიწვიო, პოეტები, ფილოსოფოსები და სანამ ჩემს აზრს მოგახსენებდეთ, კრების მოსაზრებას დაველოდები.

– ასე აჯობებს! – წამოიყვირა მისმა ბრწყინვალებამ და ეს იდეა მაშინვე აიტაცა. – ასე აჯობებს, სიფრთხილეს თავი არ სტკივა! ნეტა იცოდეთ, რის მოსმენა აღარ მიწევს ყოველდღიურად!

58. პარალელური აქცია შეშფოთებას იწვევს. კაცობრიობის ისტორიაში არ არსებობს უკან ნებაყოფლობითი მიბრუნება

ერთხელ მისმა ბრწყინვალებამ დრო გამონახა და ულრიხს საგულდაგულოდ ესაუბრა.

– ეგ დოქტორი არნჰაიმი მაინცდამაინც არ მსიამოვნებს, – გამოუტყდა მას. – ცხადია, უჩვეულოდ ჭკვიანია და ამიტომ თქვენი ნათესავის არ მიკვირს, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც პრუსიელია. ყველაფერს ისე აკვირდება... იცით რა, ერთხელ 65-ში, როცა პატარა ვიყავი, ხრუდიმის სასახლეში ცხონებულ მამაჩემს სანადიროდ ჩამოსული სტუმარი ეწვია. ერთი წლის შემდეგ გაირკვა, რომ არავინ იცოდა, ვინ მოიყვანა ის კაცი ჩვენთან და თანაც თურმე პრუსიის გენერალური შტაბის მაიორი ყოფილა. ამით არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ არ მსიამოვნებს, რომ არნჰაიმმა ჩვენ შესახებ ყველაფერი იცის.

– თქვენო ბრწყინვალებავ, – უთხრა ულრიხმა, – მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცით, ჩემი აზრი მოგახსენოთ.

დროა, რამე მოვიმოქმედოთ. არის სხვადასხვა გარემოებანი, რაც მაფიქრებს და უცხოელი დამკვირვებელი ამ შემთხვევაში ზედმეტია. პარალელურმა აქციამ ხომ ადამიანებს სასიამოვნო მღელვარება უნდა მოჰგვაროს. თქვენი ბრწყინვალების მიზანიც ხომ ეს არის?

– რა თქმა უნდა!

– საპირისპირო კი ხდება! – წამოიძახა ულრიხმა. – ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველა განათლებულ ადამიანში შეშფოთებას და სევდას იწვევს.

მისმა ბრწყინვალებამ თავი გადააქნია და ცერა თითი მეორე ცერა თითის გარშემო დაატრიალა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, როცა ნაღველი შემოაწვებოდა. რაც ულრიხმა უთხრა, ამგვარი რამ თვითონაც შეემჩნია.

– რაც ცნობილი გახდა, რომ პარალელურ აქციასთან კავშირი მეც მაქვს, – განაგრძო მან სამი წუთის შემდეგ, – ვინც უნდა იყოს და რაზეც უნდა მესაუბრებოდეს, მაშინვე იმას მეკითხება: „მაინც რის მიღწევას აპირებთ პარალელური აქციით? დღეს აღარც დიდი ადამიანები არსებობენ და აღარც დიდ გმირობას სჩადის ვინმე!“.

– ოღონდ საკუთარ თავს არავინ გულისხმობს! – ჩაურთო სიტყვა მისმა ბრწყინვალებამ. – ვიცი, მეც მომისმენია, მსხვილი მრეწველები პოლიტიკას ლანძღავენ, რომ მისგან შეღავათიან საბაჟო გადასახადებს ვერ იღებენ, პოლიტიკოსები მრეწველებს ლანძღავენ, საარჩევნო კამპანიისთვის ცოტა ფულს იძლევიანო.

– აბსოლუტურად სწორია! – აიტაცა მისი ნათქვამი ულრიხმა. – ქირურგებს ნამდვილად ჰგონიათ, რომ ბილროტის შემდეგ ქირურგიამ პროგრესი განიცადა. ისინი მარტო იმას ამბობენ, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერება და დანარჩენი დიდად არ არგიათ. თუ თქვენი ბრწყინვალება ნებას დამრთავს, იმასაც გეტყვით დარწმუნებით, რომ თეოლოგებს სჯერათ, თეოლოგიამ ქრისტეს დროიდან წინ წაიწიაო.

გრაფმა ლაინსდორფმა პროტესტის ნიშნად ხელი ასწია.

– უკაცრავად, თუ რამე უადგილოდ ვთქვი. რის თქმასაც ვაპირებ, უფრო ზოგადი შინაარსისაა. როგორც გითხარით, ქირურგები ამტკიცებენ, ბუნებისმეტყველებისგან იმას ვერ

ვიღებთ, რასაც მისგან ველოდითო. თუ ბუნებისმეტყველთ დაელაპარაკეთ თანამედროვე ეპოქის შესახებ, მაშინვე წუწუნს მოჰყვებიან: ჩვენ კი ავიხედავდით მაღალი სფეროებისკენ, მაგრამ თეატრში მოწყენილობა გვკლავს და ვერც ისეთ რომანს იპოვით, რომ გაგართოს და აგაღელვოსო. მწერალი გეტყვით, რომ რწმენა არ არსებობს. თეოლოგებს არ მინდა შევეხო და თუ მხატვარს დაელაპარაკე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მაშინვე იმის მტკიცებას მოჰყვება, ასეთი საშინელი მწერლობისა და ფილოსოფიის ეპოქაში მხატვარი ტალანტს როგორ გამოავლენსო. თანმიმდევრობა, რითაც ერთი მეორეს ადანაშაულებს, ცხადია, ყოველთვის ერთნაირი არ არის, მაგრამ თუ თქვენს ბრწყინვალებას ახსოვს, ბავშვობაში ვთამაშობდით ხოლმე „გამურობანას“ და „მეზობლობანას“, აი, რაღაც ასეთს ჰგავს. რა კანონზომიერება ან რა წესი უდევს საფუძვლად ამგვარ დამოკიდებულებას, ვერ დავადგინე! ვშიშობ, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადამიანი საკუთარი თავით კმაყოფილია, მაგრამ რაღაც უნივერსალური მიზეზის გამო საკუთარ ტყავში ვერ ეტევა და ჩემი ვარაუდით, პარალელური აქციის დანიშნულება სწორედ ამის გამოაშკარავებაა.

– ღმერთო დიდებულო, – უპასუხა მისმა ბრწყინვალებამ, თან ძნელი მისახვედრი იყო, რას გულისხმობდა. – რა უმადურობაა!

– სხვათა შორის, – განაგრძო ულრიხმა, – უკვე ორი საქაღალდე მომიგროვდა ერთი შინაარსის წერილებით. საშუალება არ მომეცა, რომ ისინი თქვენი ბრწყინვალებისთვის გადმომეცა. ერთ-ერთ მათგანს ზემოდან დავაწერე: „გაეგზავნოს უკან ...-ს.“ უამრავი ადამიანი გვწერს, სამყარო წინათ უკეთესი იყო და პარალელურმა აქციამ უბრალოდ მისი ამ წერტილისკენ მიბრუნება უნდა შეძლოსო. რწმენისკენ მიბრუნების ბუნებრივი მოთხოვნილება ბაროკოსკენ, გოთიკისკენ, ბუნებრივი მდგომარეობისკენ, გოეთესკენ მიბრუნებაცაა. უკან – ეს გერმანული სამართალია, ზნეობრიობის სიწმინდეა და სხვა უამრავი რამ.

– ჰმ, დიახ. იქნებ რაღაც ჭეშმარიტი აზრი არის ამაში და გულის აცრუება არ ღირს? – თქვა გრაფმა ლაინსდორფმა.

– შესაძლოა, მაგრამ რა პასუხი გავცე? „ღრმად პატივცემულო ესა და ეს, ყურადღებით გავეცანით ამა და ამ რიცხვის თქვენს წერილს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჯერ არ დამდგარა დრო“... ან: „დიდად დავინტერესდით. იქნებ სამყაროს ბაროკოსკენ,

გოთიკისკენ და ა. შ. მიბრუნების თაობაზე თქვენი სურვილები დეტალურად მოგვაწოდოთ!“.

ულრიხს გაეღიმა, მაგრამ გრაფ ლაინსდორფს მოეჩვენა, რომ ულრიხი იმწუთას ზედმეტად მხიარულ გუნებაზე იყო და პროტესტის ნიშნად ცერა თითი მთელი ძალით დაატრიალა მეორე ცერა თითის გარშემო. მისმა მსხვილმა, სწორულვაშიანმა გამკაცრებულმა სახემ ულრიხს ვალენშტაინის ეპოქა გაახსენა. მისმა ბრწყინვალებამ ერთი ძალზე ყურადსაღები აზრი გამოთქვა: – ძვირფასო დოქტორო, – თქვა მან, – კაცობრიობის ისტორიაში არ არსებობს უკან ნებაყოფლობით მიბრუნება!

ამ ნათქვამმა, პირველ რიგში, თავად გრაფი ლაინსდორფი გააკვირვა, რადგან სულ სხვა რამის თქმას აპირებდა. იგი კონსერვატორი იყო, ულრიხზე ბრაზობდა და იმის თქმა უნდოდა, ბურჟუაზია კათოლიკური ეკლესიის უნივერსალურ სულს არაფრად აგდებს და ახლა ამ შედეგს იმკისო. ზედგამოჭრილი იქნებოდა, თუ აბსოლუტურ ცენტრალიზმსაც შეასხამდა ხოტბას, როცა სამყაროს პასუხისმგებლობით სავსე ადამიანები ერთიანი პრინციპით მართავდნენ, მაგრამ სანამ სიტყვებს ეძებდა, უცებ თავში გაუელვა, რა უსიამოვნო სიურპრიზი იქნებოდა, ერთ დღესაც რომ გაღვიძებოდა და აღმოეჩინა, რომ არც თბილი აბაზანა არსებობდა, არც რკინიგზა და დილის გაზეთის ნაცვლად ქუჩებში იმპერატორის მაცნე დაჯირითობდა. გრაფმა ლაინსდორფმა გაიფიქრა: „ის, რაც იყო, უწინდებური სახით აღარასდროს განმეორდება“, და საკუთარმა ნაფიქრალმავე გააოცა. თუ დავუშვებთ, რომ ისტორიაში ნებაყოფლობით უკან მიბრუნება არ არსებობს, მაშინ კაცობრიობა იმ ადამიანს მგვანებია, წინ მაწანწალობის უცნაური ჟინი რომ მიერეკება, უკანა გზაც მოჭრილი აქვს და მიზანსაც ვერ აღწევს. ეს კი მეტად საგულისხმო მდგომარეობაა.

მისი ბრწყინვალება განსაკუთრებულ უნარს ფლობდა: ორი ურთიერთდაპირისპირებული აზრი ისე დაეშორიშორებინა, რომ ისინი ცნობიერებაში ერთმანეთს ვეღარასოდეს შეხვედროდნენ. მაგრამ თავისი პრინციპების წინააღმდეგ მიმართულ ამ აზრზე მას უარის თქმა მოუწევდა. გრაფი ლაინსდორფი ულრიხის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი და როგორც კი თავისუფალი დრო გამოუჩნდებოდა, დიდ

სიამოვნებას ჰგვრიდა, ამ ცოცხალი გონების საუკეთესო რეკომენდაციის მქონე ადამიანისთვის, როგორც ბურჟუას, დიდი საქმისგან განზე რომ გამდგარიყო, მკაცრი ლოგიკით განემარტა პოლიტიკური საკითხები, მაგრამ, როგორც კი ლოგიკას ჩართავ საქმეში, სადაც ერთი მეორისგან თავისთავად გამომდინარეობს, ბოლოს უკვე გიჭირს, გაერკვე, რით დამთავრდება ეს ყოველივე. ამიტომ გრაფ ლაინსდორფს თავისი სიტყვები უკან არ წაუღია, ის ულრიხს უბრალოდ უხმოდ და გამჭოლი მზერით უყურებდა.

ულრიხმა ორივე საქაღალდე აიღო, პაუზით ისარგებლა და დააპირა, ისინი მისი ბრწყინვალებისთვის გადაეცა.

– მეორეს წავაწერე: „გადაეცეს ...-ს“, – დაიწყო მან ახსნა, მაგრამ მისი ბრწყინვალება წამოდგა და განაცხადა, ჩემი წასვლის დროაო, თან დაჟინებით სთხოვა, შემდეგ გავაგრძელოთ, როცა განსჯისთვის მეტი დრო გვექნებაო.

– სხვათა შორის, თქვენი ნათესავი ამ მიზნით გამოჩენილი ადამიანების მიწვევას აპირებს, – უთხრა მან, – აუცილებლად მიდით. არ ვიცი, დასწრების უფლება მეც მექნება თუ არა!

ულრიხმა საქაღალდეები ჩაალაგა. კართან მისული გრაფი ლაინსდორფი მისკენ კიდევ ერთხელ მიტრიალდა.

– დიდი ექსპერიმენტი, რა თქმა უნდა, ადამიანებს აფრთხობს, მაგრამ ჩვენ მათ შევაჯანჯღარებთ!

მოვალეობის გრძნობა უფლებას არ აძლევდა, რომ ულრიხისთვის ნუგეში არ ეცა.

59. მოორსბრუგერი ფიქრობს

ამასობაში მოორსბრუგერი თავის ახალ საპყრობილეში, როგორც შეეძლო, ისე მოეწყო. ალაყაფის კარი ჯერ არ მიეკეტათ და მაშინვე დაუყვირეს. როცა აღშფოთდა, ცემით დაემუქრნენ. ცალკე საკანში ჩაამწყვდიეს. ეზოში სეირნობისას ორივე ხელზე ბორკილები ედო და მცველი თვალს არ აშორებდა. თავი გადაპარსეს – თუმცა განაჩენი ძალაში ჯერ არ შესულიყო – ვითომ სიმაღლის გასაზომად, დეზინფექციის საბაბით მყრალი თხევადი საპნით დაზილეს. ის ძველი მაწანწალა იყო და იცოდა, რომ უკანონოდ ექცეოდნენ, მაგრამ რკინის ალაყაფის მიღმა ღირსების დაცვა ძნელია. როგორც მოეხასიათებოდათ,

ისე ექცეოდნენ. ციხის უფროსთან მიყვანა ითხოვა და თავისი საჩივარი გადასცა. ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ ზოგიერთი რამ განაწესს არ შეესაბამებოდა. მაგრამ ეს დასჯას კი არა, სიფრთხილეს ნიშნავსო, – უთხრეს. მოორსბრუგერმა ციხის მღვდელთანაც იჩივლა. მღვდელი კეთილი მოხუცი იყო, მაგრამ სხვათა მიმართ მუდამ ალერსიან სულთა შემწეს მოძველებული სისუსტე ჰქონდა: სექსუალურ დანაშაულს – მისი სხეული ოდნავადაც რომ არ გაჰკარებოდა – ზიზღით ზურგს აქცევდა. იმანაც კი დააფრთხო, რომ მოორსბრუგერის პატიოსანმა გამომეტყველებამ თანაგრძნობა აღუძრა. მღვდელმა ის ციხის ექიმთან გააგზავნა. თავად კი, როგორც ასეთ დროს იქცეოდა ხოლმე, ლოცვა აღავლინა და უფალს ადამიანთა ცოდვილი სულები შეავედრა. ლოცვისას გზასაცდენილ ადამიანებს მოიხსენიებდა და მათში მოორსბრუგერი ისევე იგულისხმებოდა, როგორც თავისუფლად მოაზროვნენი და ათეისტები. ციხის ექიმმა მოორსბრუგერს უთხრა, რასაც შენ უჩივი, არც ისე საშინელებააო; მერე ერთი წამოარტყა, მის პრეტენზიებში ჩაღრმავება აღარ ისურვა და – თუ მოორსბრუგერმა სწორად გაიგო – გამოუცხადა: სანამ ექსპერტიზის დასკვნა არ იქნება იმის თაობაზე, ნამდვილად ავად ხართ თუ სიმულანტობთ, მანამ ჩემი ჩარევა ზედმეტიაო. გაცეცხლებული მოორსბრუგერი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ყველა იმას ამბობდა, რაც ხელს აძლევდა და რომ სწორედ ამგვარი ლაპარაკი აძლევდა მათ ძალას, საბრალო მოორსბრუგერს გასწორებოდნენ. მას უბრალო ადამიანებისთვის დამახასიათებელი გრძნობა დაეუფლა; განათლებულებს ენა ძირში აქვთ მოსაჭრელიო – ფიქრობდა ის. უყურებდა ექიმის ნაიარევ, მღვდლის შიგნიდან გამომშრალ, ადმინისტრატორის მკაცრად დაწყობილ ჩინოვნიკურ სახეებს. ხედავდა, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა თვალით უყურებდა. მათი სახეებიდან რაღაც მისთვის მოუხელთებელი მტრობა გამოკრთოდა და ეს იყო ის, რაც ამ სახეებს აერთიანებდა.

ის შემკუმშავი ძალა, ციხის გარეთ თითოეული ადამიანის კუდაბზიკობას დანარჩენთა ხორცს შორის ძლივს რომ ტევდა, აქ, ოთხ კედელს შორის, სადაც ყველაფერი მოლოდინით სულდგმულობდა, სადაც ურთიერთობები უხეში და ტლანქი იყო, ადამიანები კი არარეალობის ჩრდილს გამოეფიტა, დისციპლინის მიუხედავად, ცოტა მსუბუქი იყო. სასამართლო

პროცესის შემდეგ მოორსბრუგერი განიმუხტა და მთელი სხეულით მოეშვა. თავს მორყეული კბილივით გრძნობდა. კანი ექავებოდა. მარტოობა სტანჯავდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დაავადდაო. ეს ის საბრალო, ნერვიული, ჰიპერმგრძნობიარე მდგომარეობა იყო, რომელიც მისთვის არც მანამდე ყოფილა უცხო. იმ ავზნიან დედაკაცთან შედარებით, რომელიც ახლა მიწაში იდო და რომლის გამოც ატყდა ეს დავიდარაბა, თავს ბავშვად გრძნობდა. მიუხედავად ამისა, მოორსბრუგერი უკმაყოფილო მაინც არ იყო. ატყობდა, რომ მნიშვნელოვანი პერსონა იყო, რაც მის პატივმოყვარეობას თავს უქონავდა. უკლებლივ ყველა პატიმრისთვის განკუთვნილი მზრუნველობაც კი კმაყოფილებას ჰგვრიდა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ სახელმწიფო ვალდებული იყო, ისინი გამოეკვება, დაებანა, ჩაეცვა, ეზრუნა მათ სამუშაოზე, წიგნებზე, სიმღერაზე – შეესრულებინა ის მოვალეობები, რასაც მანამდე არასოდეს აკეთებდა. მოორსბრუგერი იმ ბავშვივით ტკბებოდა, დედის თუნდაც აღშფოთებული ყურადღების მიპყრობას რომ მოახერხებს; მაგრამ დიდხანს რომ გაგრძელებულიყო ასე, სურვილი არ ჰქონდა. იმის წარმოდგენა, რომ შეიწყალებდნენ და სამუდამო პატიმრობას ან ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობას მიუსჯიდნენ, ისეთივე პროტესტს იწვევდა მასში, როგორსაც ჩვენში, როცა ცხოვრება თავგანწირული მცდელობის მიუხედავად მაინც ერთსა და იმავე საძულველ მდგომარეობაში გვაბრუნებს. მისი ადვოკატი ზრუნავდა, რომ საქმე ხელახლა განეხილათ და მოორსბრუგერს სამედიცინო შემოწმება ისევ გაევლო. მან კი გადაწყვიტა, დროულად განეცხადებინა ამ მცდელობაზე უარი და დაჟინებით მოეთხოვა, მოეკლათ.

სიცოცხლეს ღირსეულად რომ უნდა გამომშვიდობებოდა, მისთვის სრულიად ნათელი იყო, რადგან მთელი მისი ცხოვრება საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა იყო. ცალკე საკანში გამომწყვდეული მოორსბრუგერი ფიქრობდა, რას ნიშნავდა სამართალი. რას – თვითონაც არ იცოდა, მაგრამ ეს ის იყო, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ართმევდნენ. იმწუთას, როცა ამაზე ფიქრობდა, გრძნობები თითქოს შეუსივდა, ენა მოეკაკვა და წინ იმ ულაყივით გამოიჭრა, ცერემონიალური მარშისთვის რომ წვრთნიან – ასე მოხდენილად მოინდომა მისმა ენამ ამ სიტყვის წარმოთქმა. „სამართალი, – ფიქრობდა ის ძალიან ნელა, რათა ეს ცნება

განესაზღვრა და თან ისე, თითქოს ვიღაცას ელაპარაკებაო, – სამართალი ის არის, როცა უსამართლოდ არ იქცევი, ასე არაა?! – და უცებ თავში გაუელვა: – სამართალი არის კანონი“. აი, რაში ყოფილა საქმე. მისი სამართალი მისი კანონი იყო! მან ხის ტახტს შეხედა, რომ ზედ ჩამომჯდარიყო, შემდეგ მოუქნელად შემობრუნდა და რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ, რომ იატაკზე მიხრახნილი ტახტი თავისკენ მიეწია, გაუბედავად ჩაიმუხლა დასაჯდომად. მას ართმევდნენ მის საკუთარ სამართალს. გაახსენდა დიასახლისი, რომელთანაც ის თექვსმეტი წლის ასაკში ცხოვრობდა. დაესიზმრა, როგორ ებერებოდა მუცელზე რაღაც ცივი, შემდეგ ის მის სხეულში ჩაიკარგა, მან დაიყვირა და საწოლიდან გადმოვარდა. მეორე დილით დანგრეულ სხეულს ძლივს დაატარებდა. ერთხელ შეგირდმა ბიჭებმა უთხრეს, ქალს თუ მუშტი ისე აჩვენე, რომ ცერა თითი შუა და საჩვენებელი თითებიდან ცოტათი იქნება გამოყოფილი, მაშინ ის დაგნებდებაო. მოორსბრუგერი შინაგანად აწრიალდა. შეგირდები უმტკიცებდნენ, ეს ყველაფერი ჩვენ თვითონ გამოგვიცდიაო, მაგრამ ამაზე ფიქრს რომ იწყებდა, თითქოს ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა და თავიც რაღაც სხვანაირად უბრუვდებოდა. მოკლედ, რაღაც ისეთი ემართებოდა, რაც ჩვეულებრივ მდგომარეობას არ ჰგავდა და ცოტა სახიფათოც იყო. „ქალბატონო, – უთხრა მან, – მინდა, რომ გასიამოვნოთ“. მათ გარდა ოთახში არავინ იყო. როგორც ჩანს, ქალმა რაღაც ისეთი ამოიკითხა მის თვალებში, რომ უპასუხა: „მოშორდი აქედან!“. მოორსბრუგერმა სამი თითის კომბინაცია უჩვენა. ჯადომ სანახევროდ იმოქმედა. ქალს სახეში სისხლი მოაწვა და ხის კოვზი ისე სწრაფად ჩაარტყა სახეში, რომ მოორსბრუგერმა გაცლაც ვერ მოასწრო. მაშინღა მიხვდა, ტუჩებზე სისხლის გემო რომ იგრძნო; ის წუთი კარგად ახსოვს, რადგან სისხლმა უკან, ტუჩებიდან თვალებისკენ დაიწყო დენა და თავში აასხა. მოორსბრუგერი ამ ზორბა დედაკაცს ეცა, ასე საზიზღრად რომ მოექცა. ხმაურზე სახლის მეპატრონეც მოვარდა და იმ წუთიდან მანამდე, სანამ თავის ბარგიანად ქუჩაში გააგდებდნენ, სადაც ის ფეხებაკანკალებული იდგა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაც დიდ წითელ ნაჭერს ნაკუწებად გლეჯსო. ასე დასცინეს და გაულახეს სამართალი. მერე ისევ მაწანწალობა დაიწყო. განა ქუჩაში ნახავ სამართალს?! ყველა ქალი ვიღაცის იყო ისევე, როგორც ვაშლები და ღამის გასათენებლები, ჟანდარმები და ოლქის მოსამართლეები კი ძაღლებზე უარესნი იყვნენ.

მაგრამ რატომ დასდევდა მას ყველა ან რატომ აგდებდნენ საპატიმროში ან საგიჟეთში, ამის გარკვევა მოორსბრუგერმა ვერასდროს შეძლო. საკნის იატაკს და კუთხეებს დიდხანს აშტერდებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, როგორიც იმ ადამიანს, გასაღები რომ დაუვარდება და ვერ პოულობს. იატაკმა და კუთხეებმა დღის შუქზე ისევ ნაცრისფერი დაიბრუნა. საკანი გამოფხიზლდა, თუმცა სულ ახლახან ჯადოსნური ნიადაგივით იყო, სიტყვა რომ დაეცემა და იქიდანაც მაშინვე ადამიანი ან რამე საგანი ამოიზრდება. მოორსბრუგერმა ლოგიკურ განსჯას მოუხმო. ზუსტად მხოლოდ ის ადგილები ახსოვდა, სადაც ეს დაიწყო. შეეძლო თანმიმდევრობით ჩამოეთვალა და აღეწერა კიდეც. ერთხელ ეს ლინცში მოხდა, მეორედ – ბრაილაში. ორივე ქალაქს წლები აშორებდა. ბოლოს ეს აქ, ამ ქალაქში, მოხდა. ისე, ყველა ქვა უცნაურად ცხადად ახსოვდა. ახსოვდა საძაგელი განწყობა, რომელიც სულ თან სდევდა, თითქოს ძარღვებში სისხლის მაგიერ შხამი მიედინებაო თუ რაღაც მსგავსი. მუშაობდა, მაგალითად, ღია ცის ქვეშ. ქალები მიდი-მოდიოდნენ. არ უნდოდა მათთვის შეეხედა, იმიტომ რომ ხელს უშლიდნენ, მაგრამ ისინი მაინც მიდი-მოდიოდნენ. ზიზღით ადევნებდა მათ თვალს ისე, თითქოს თვალები კუპრში ან გაქვავებულ ცემენტში მოძრაობენო. შემდეგ შეამჩნია, რომ მძიმედ დაიწყო აზროვნება. ისედაც ნელა ფიქრობდა, სიტყვების პოვნა უჭირდა. ზოგჯერ, როცა ვინმეს ელაპარაკებოდა, მოსაუბრე უცებ გაოცებული შეხედავდა და ვერ ხვდებოდა, როგორი მეტყველი იყო ის ერთი სიტყვა, რომელსაც მოორსბრუგერი ასე ნელა წარმოთქვამდა. შურდა ყველასი, ვისაც ბავშვობაში ჩქარი ლაპარაკი ესწავლა. სწორედ მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა, სიტყვები ჯიბრზე სასაზე რეზინივით ეწებებოდა და მერე უსაშველოდ დიდი დრო უნდა გასულიყო, სანამ ერთი მარცვალი აღმოხდებოდა. ამას რაღაც არაბუნებრივი მიზეზი უნდა ჰქონოდა, სხვა ახსნას ვერ მოუძებნიდით. სასამართლოში ამბობდა, მასონები, იეზუიტები და სოციალისტები ამ ხერხით მდევნიანო, მაგრამ მისი არავის ესმოდა. ცხადია, იურისტებს მასზე უკეთ შეეძლოთ ლაპარაკი და რას აღარ ედავებოდნენ, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, სინამდვილეში რაში იყო საქმე.

თუ ეს მდგომარეობა დიდხანს გრძელდებოდა, მოორსბრუგერს შიში აიტანდა ხოლმე. აბა ერთი ქუჩაში ხელებშეკრული

დადექი და დაელოდე, როგორ მოიქცევა ხალხი! იმის შეგნება, რომ ენა თუ რაღაც მსგავსი, პირის ღრუში რომ გაქვს, წებოთია მიკრული, საბრალოს საკუთარი თავის რწმენას უკარგავდა და ისიც მთელი დღე გამწარებული ცდილობდა ამის დამალვას; მერე კი უცბად მკვეთრი, შეიძლება ითქვას, უხმო საზღვარი ჩნდება. საიდანღაც სიცივე დაქროლებდა ან ზედ მის ცხვირწინ ჰაერში ბურთი ხტებოდა და მკერდზე ეჯახებოდა. იმავე წამს თვალებზე, ტუჩებზე, სახის კუნთებზე რაღაცას გრძნობდა. ირგვლივ ყველაფერი ქრებოდა და სიშავე ჩამოწვებოდა; და როცა აყირავებული სახლები ხეებს ეცემოდა, ბუჩქებიდან შეიძლება რამდენიმე შავი კატა გამომხტარიყო და მოეცოცხა. ეს ერთ წამს გრძელდებოდა და მერე ეს მდგომარეობაც ქრებოდა.

ასე დაიწყო ის პერიოდი, რომელიც ყველას აინტერესებდა და რაზეც ყველა გაუთავებლად ლაპარაკობდა. რაღაც სულელურ პრეტენზიებს უყენებდნენ, თვითონ კი, სამწუხაროდ, ბუნდოვნად ახსოვდა, რაც განეცადა. მხოლოდ ზოგად აზრს იხსენებდა, რადგან ის პერიოდი აზრით იყო სავსე. ეს განცდა ხანდახან წუთები გრძელდებოდა, ხან მთელი დღე და ხანაც, ცოტათი შეცვლილი, მაგრამ მაინც მსგავსი, შეიძლება მთელი თვეც. უფრო იოლი, მოორსბრუგერის აზრით, სასამართლოსთვის გასაგები ამბით რომ დაეწყო, მაშინ ხმები, მუსიკა, ქარის ქროლა, შრიალი, ზუზუნი ან სროლა, ქუხილი, სიცილი, ყვირილი, ლაპარაკი და ჩურჩული ესმოდა. ხმები ყველგან იყო: კედლებში, ჰაერში, ტანსაცმელში და მის სხეულში. სანამ ისინი დუმდნენ, ეჩვენებოდა, რომ ტანში ჰქონდა. როგორც კი გარეთ გამოაღწევდნენ, იქვე, შორიახლოს, იმალებოდნენ. როცა მუშაობდა, ხმები ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მოკლე წინადადებებით არწმუნებდნენ, ეჩხუბებოდნენ, აკრიტიკებდნენ, მის ნაფიქრალს ახმოვანებდნენ, სანამ თვითონ შეძლებდა გამოთქმას, ან ბოღმით იმის საპირისპიროს ამბობდნენ, რის თქმაც მას სურდა. მოორსბრუგერში სიცილს იწვევდა, რომ ამის გამო ავადმყოფად ნათლავდნენ. თავად ამ ხმებს და ხილვებს იმაზე მეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ვიდრე მაიმუნებს. ართობდა იმის მოსმენა და დანახვა, რასაც ისინი სჩადიოდნენ. მის ახირებულ, ტლანქ აზრებთან შედარებით ისინი მართლაც შეუდარებლად მოხდენილები იყვნენ. თუ ძალიან გააბრაზებდნენ, განრისხდებოდა ხოლმე. არც არის გასაკვირი! ყველა სიტყვას, რასაც მასთან დაკავშირებით ხმარობდნენ, ყურადღებით აკვირდებოდა და

იცოდა, რომ ამას ჰალუცინაცია ერქვა და იმ მოსაზრებასაც იზიარებდა, რომ ეს თვისება სხვათა წინაშე მის უპირატესობას წარმოადგენდა, რადგან ბევრ ისეთ რამეს ხედავდა, რასაც სხვა ვერ ამჩნევდა – წარმტაც ლანდშაფტებს, აპოკალიფსურ ცხოველებს; მაგრამ გადაჭარბებულად მიაჩნდა ის მნიშვნელობა, რასაც ჰალუცინაციებს მიაწერდნენ. როცა ფსიქიატრიულ კლინიკაში ყოფნა მეტისმეტად უსიამოვნო ხდებოდა, დიდი ფიქრის გარეშე იმის მტკიცებას იწყებდა, ვიტყუებიო. ჭკვიანები ეკითხებოდნენ, ეგ ხმები რა სიძლიერისააო. ისე, ამ კითხვას დიდი ჭკუა არ ეტყობოდა. რა თქმა უნდა, ხმები ხან მეხივით ჭექდნენ, ხან ძლივს გასაგონად ჩურჩულებდნენ. ტკივილებიც ასე იყო: ხან აუტანლად ტანჯავდნენ და ხან წარმოსახვასავით მსუბუქდებოდნენ. მნიშვნელოვანი სწორედ ის იყო, რომ ეს არ იყო მნიშვნელოვანი. ხშირად ვერც აღგიწერდათ, რა ესმოდა, რას ხედავდა ან რას გრძნობდა, მიუხედავად ამისა, თვითონ კარგად იცოდა, რა იყო ეს. ხან ყველაფერი ძალიან ბუნდოვნად ხდებოდა. ხილვები გარედან უახლოვდებოდნენ, მაგრამ დაკვირვების სუსტი სხივი, ძლივს რომ ჭიატობდა, თან ეუბნებოდა, ისინი შენი სიღრმიდან ამოდიანო. გარედან იყო თუ შიგნიდან, ამას იოტისოდენა მნიშვნელობაც არ ჰქონდა და მნიშვნელოვანიც სწორედ ეს იყო. მის მდგომარეობაში ეს ყოველივე მინის გამჭვირვალე კედლის ორივე მხარეს მორაკრაკე კამკამა წყალს ჰგავდა.

დიდებულ წარსულში მოორსბრუგერი ხმებსა და ხილვებს ყურადღებას არ აქცევდა. ის ფიქრობდა. ამ მდგომარეობას ასე ეძახდა, რადგან ეს სიტყვა მასზე მუდამ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ის სხვებზე უკეთ ფიქრობდა, რადგან შიგნიდანაც ფიქრობდა და გარედანაც. ეფიქრებოდა თავისდაუნებურად. ამბობდა, აზრებს თავში მიდებენო. მშვიდი განსჯის მამაკაცურ უნარს არ კარგავდა, მაგრამ წვრილმანიც კი აღიზიანებდა იმ ქალივით, ძუძუებში რძე რომ ჩაუდგება. მისი აზრები ათასი მორაკრაკე წყაროთი გამაძღარი ნაკადულივით მიედინებოდა მსუყე ველებზე. მოორსბრუგერმა თავი დახარა და თითებს შორის იატაკის ფიცარს დააცქერდა. „ციყვს აქ მუხნარის კატუნიას ეძახიან! – უცებ გაახსენდა. – მაგრამ აბა ერთი სინჯე და სერიოზული სახით თქვი „მუხნარის კატა!“. ისე გაოგნებული შემოგხედავს ყველა, როგორც მაშინ, სასწავლო წვრთნის დროს ვინმემ ნამდვილი ტყვია რომ გაისროლოს!

ჰესენში ხის მელას ეძახიან. ქვეყნიერებამოვლილმა კაცმა ეს იცის“. ღმერთმა იცის, ფსიქიატრებმა რა ცნობისმოყვარე სახეები მიიღეს, როცა მოორსბრუგერს ციყვის ფერად სურათს უჩვენებდნენ და ის პასუხობდა: „ალბათ, მელაა ან კურდღელია, შეიძლება კატაც იყოს ან ამის მსგავსი“. შემდეგ სხაპასხუპით ეკითხებოდნენ: „რამდენია 14+14?“. ის კი დინჯად პასუხობდა: „დაახლოებით 28-40“. ეს „დაახლოებით“ ექიმებს საფიქრალს უჩენდა, მოორსბრუგერს კი ეღიმებოდა. ამის მიხვედრას რა უნდოდა, თვითონაც იცოდა, თოთხმეტს რომ თოთხმეტით გასცდე, ოცდარვამდე მიხვალ. მაგრამ ვინ თქვა, რომ აუცილებლად იქ უნდა დარჩე?! მოორსბრუგერი შორს იმზირებოდა იმ ადამიანივით, გორაკის თხემს რომ მიაღწევს და ხედავს, უკან თურმე უამრავი ასეთი თხემი ყოფილა. თუ მუხნარის კატუნია კატა არ ყოფილა და კურდღელივით კბილები ჰქონია, რომელსაც მელია ჭამს, მაშ რაღა საჭიროა, ამ ამბავს ასე ჩაუღრმავდე.

გამოდის, რომ ის ყველა ამისგან ყოფილა შეკერილი და ხეებზე დახტის. გამოცდილებით იცოდა, რომ საგნები ერთიმეორეს ეჭიდებიან და ვერც ერთ მათგანს ვერ გამოაცალკევებ. ისეც მომხდარა, რომ ვინმე გოგოსთვის უთქვამს: „შენი ვარდის ფურცლებივით სურნელოვანი ტუჩებიო!“, მაგრამ უცაბედად სიტყვა ნაკერზე ჩახეულა და რაღაც ძალიან უსიამოვნო გაჩენილა. სახეს ნაცრისფერი დასდებია, სწორედ ისე, ნისლი რომ ჩამოაწვება ხოლმე დედამიწას, ვარდი კი მაღალ ღეროზე აიბზიკება. ცდუნება იმისა, რომ დანა აეღო და ვარდი ძირში მოეჭრა ან მასზე იერიში მიეტანა, რათა სახეზე თავის ადგილას დაბრუნებოდა, ძალიან დიდი იყო. ცხადია, მოორსბრუგერი დანას ყოველთვის არ იღებდა. ასე მხოლოდ მაშინ იქცეოდა, როცა სხვას ვეღარაფერს ახერხებდა. როგორც წესი, ამ დროს მოორსბრუგერი არაადამიანურ ძალას მოუხმობდა, რათა სამყარო რღვევისგან ეხსნა. კარგ ხასიათზე მყოფს შეეძლო ადამიანისთვის სახეში შეეხედა და მასში საკუთარი სახე ამოეცნო, თითქოს ფერად კენჭებსა და თევზებს შორის ჩარჩენილი მისი სახე ნაკადულის მეჩხერი წყლიდან შემოჰყურებსო. ცუდ ხასიათზე თუ იყო, თვალის ერთი შევლებით ცნობდა იმ კაცს, ვისთანაც ყველგან უსიამოვნება ჰქონდა. როგორც არ უნდა მოეკატუნებინა თავი, ეს მაინც ერთი და იმავე ადამიანის სახე იყო. რას ერჩოდნენ?! ჩვენც ხომ თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავე ადამიანს ვებრძვით. თუ

გამოვიკვლევთ, ვინ არიან ის ადამიანები, ვის მიმართაც ასეთ უაზრო ერთგულებას ვიჩენთ, აღმოჩნდება, რომ ეს ადამიანი იმ გასაღების მფლობელია, რომლის კლიტის პატრონებიც ჩვენ ვართ. სიყვარულში როგორღაა? რამდენი ადამიანი უყურებს ყოველდღე ერთსა და იმავე სახეს, მაგრამ თვალების დახუჭვისთანავე ავიწყდება, როგორია. თუნდაც სიყვარულის და სიძულვილის გარეშე იყოს... ჩვევების, განწყობილებისა და პოზიციის მიხედვით, საგნები განუწყვეტლივ იცვლება. რა ხშირად იწვის სიხარული და სევდის ურღვევი ბირთვიც შიშვლდება! რა ხშირად ურტყამს გულგრილად ერთი ადამიანი მეორეს, თუმცა შეეძლო ასევე გულგრილად თავი დაენებებინა. ცხოვრება ზედაპირს წარმოქმნის და თავი ისე მოაქვს, თითქოს ისეთი უნდა იყოს, როგორსაც ვხედავთ, მაგრამ მის კანქვეშ საგნები ერთმანეთს ეჯახებიან და ავიწროვებენ. მოორსბრუგერი ყოველთვის ორი ფეხით იდგა მიწაზე და ცდილობდა, თავი აერიდებინა იმისთვის, რაც გონებას უმღვრევდა. ხანდახან პირიდან სიტყვა მოწყდებოდა და უნდა გენახათ, როგორ ჩქეფდა რევოლუცია და ფანტასმაგორია ამ ჩამწვარ-ჩაღვენთილი სიტყვებიდან, როგორიც იყო „მუხნარის კატუნია“ და „ვარდის ფურცლებივით ტუჩები“!

იჯდა ასე მოორსბრუგერი საკნის სკამზე, ერთდროულად საწოლიც და მაგიდაც რომ იყო, და აღზრდას სდებდა ბრალს, რომელსაც მისთვის გამოცდილების ჯეროვნად გამოთქმა ვერ ესწავლებინა. იმ პატარა თაგვისთვალება გოგოზე ბრაზობდა, ახლა რომ სამარეში იწვა და ამდენ უსიამოვნებას აყენებდა. ყველა ამ გოგოს მხარეზე იყო. მძიმედ წამოდგა. სხეული ჩანახშირებული ნაფოტივით ეფშვნებოდა. ისევ შიოდა. საპატიმროს ულუფა ამ ვეება კაცს რას ეყოფოდა, ფული კი არ ჰქონდა. ასეთ მდგომარეობაში როგორ გაიხსენებდა იმას, რის გაგებაც მისგან სურდათ. ასე ხდებოდა ცვლილებები დღეების, კვირების მანძილზე, როგორც მარტი ან აპრილი დგება ხოლმე. ზედაპირზე კი ეს ამბავი მოხდა. იმაზე მეტი, რაც პოლიციის ოქმში ეწერა, თვითონაც არ იცოდა. მიზეზები და მოსაზრებები – რაც ახსოვდა – სასამართლოს მოახსენა. რეალურად მომხდარი კი ისეთ შეგრძნებას უტოვებდა, თითქოს უცხო ენაზე უცბად სხაპასხუპით ალაპარაკებულიყო, რამაც ისეთი ბედნიერება განაცდევინა, რაც მეორედ აღარ განმეორდებოდა. „ნეტა მალე დამთავრდეს ეს ყველაფერი“, – გაიფიქრა მოორსბრუგერმა.

60. ექსკურსია ლოგიკურ და მორალურ სამეფოში

იმას, რაც მოორსბრუგერის შესახებ იურიდიული თვალსაზრისით შეგვეძლო გვეთქვა, ერთი წინადადება დაიტევს. დილეტანტისთვის იურიდიულ და სასამართლო მედიცინის ენაზე მოორსბრუგერის შემთხვევას შეზღუდული შერაცხადობა ჰქვია.

ეს საბრალონი არა მარტო ნაკლული ჯანმრთელობით ხასიათდებიან, მათი ავადმყოფობაც ნაკლულია. ასეთი ადამიანების სიმრავლე ბუნების ახირებაა; natura non fecit saltus. ნახტომები მას არ სჩვევია და სამყაროც მისი ნება-სურვილით ჭკუასუსტობასა და ჯანმრთელობას შორის გარდამავალ საფეხურს იკავებს. იურისპრუდენცია კი ამ ფაქტს მხედველობაში არ იღებს და ამბობს: non datur tertium sive medium inter duo contradictoria, რაც ნიშნავს: ადამიანს ან აქვს კანონსაწინააღმდეგო საქციელის ჩადენის უნარი, ან – არა. მესამე და საშუალო ამ ორ წინააღმდეგობას შორის არ არსებობს. ამ უნარის გამო იგი დასჯადია, დასჯადობა კი მას იურიდიულ პირად ხდის, ხოლო როგორც იურიდიული პირი, იგი კანონის ზეპიროვნული მადლის თანაზიარი ხდება. ვინც ამას ვერ ხვდება, ჯობს, კავალერია გაიხსენოს – გაშმაგებულ ცხენს განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიან, მსუბუქ უნაგირს ადგამენ, საუკეთესო მხედარს მიუჩენენ, საუკეთესო საკვებს გამოუყოფენ და გამორჩეული სიფრთხილით ეპყრობიან. მხედარმა რომ რამე დააშავოს, რწყილებიან საკანში აგდებენ, მშიერს ტოვებენ და ბორკილებსაც ადებენ. ეს განსხვავება კი შემდეგს ემყარება: ცხენი ცხოველურ-ემპირიული სამყაროს ნაწილია, დრაგუნი კი – ლოგიკურ-ზნეობრივის თანაზიარი. ამ თვალსაზრისით ადამიანს ცხოველისგან და, აქვე ისიც დავამატოთ, სულით ავადმყოფისგან ის განასხვავებს, რომ მას კანონსაწინააღმდეგო საქციელის, ანუ დანაშაულის, ჩადენის უნარი აქვს. და რადგან დასჯადობა ის თვისებაა, რომელიც ადამიანს ზნეობრიობას ანიჭებს, ამიტომ ბუნებრივია, რომ იურისტები მას მკაცრად იცავენ.

სასამართლოს ფსიქიატრები, რომლებიც თითქოსდა ამ მოსაზრებას უნდა უპირისპირდებოდნენ, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, სამწუხაროდ, იურისტებზე უფრო მხდალები არიან. ავადმყოფებად ისინი მხოლოდ მათ

რაცხენ, ვისი განკურნებაც არ შეუძლიათ. ეს კი, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული დამოკიდებულებაა, რადგან მათ არც არავის განკურნება არ ძალუძთ. ისინი განასხვავებენ განუკურნებელ სულით ავადმყოფებს, იმათ, ვინც უფლის ნებით გარკვეული ხნის შემდეგ თავად ადგება განკურნების გზას და იმათ, ვისაც მედიცინა ვერ კურნავს, თუმცა განგების ძალით მათზე დროული ზემოქმედების შედეგად ეს პაციენტები ახერხებენ და ავადმყოფობას თავიდან ირიდებენ. დასახელებულ მეორე და მესამე ჯგუფს ის არასრულფასოვანი ავადმყოფები განეკუთვნებიან, რომლებსაც მედიცინის მფარველი ანგელოზი ექიმის კაბინეტში ავადმყოფად მიიჩნევს, მაგრამ სასამართლოს წინაშე წარმდგარს, უკვე მორიდებით, მართლმსაჯულების მფარველ ანგელოზს გადასცემს.

მოორსბრუგერი სწორედ ასეთი შემთხვევა გახლდათ. შემზარავი სისხლიანი თრობით შეწყვეტილი პატიოსანი ცხოვრების მანძილზე ხან დამბლადაცემულად, ხან პარანოიკად, ბნედიანად და ცირკულარული ფსიქოზით შეპყრობილ სნეულად შერაცხული მოორსბრუგერი იმდენჯერ გამოემწყვდიათ და გაეშვათ ფსიქიატრიული კლინიკიდან, სანამ ბოლო სასამართლო პროცესზე ორმა განსაკუთრებულად ნამუსიანმა ექიმმა ჯანმრთელად არ ცნო. ცხადია, ხალხით გადაჭედილ დიდ დარბაზში მათი ჩათვლით არავინ მოიძებნებოდა, ვინც არ თვლიდა, რომ მოორსბრუგერი რაღაცით იყო სნეული. მაგრამ ეს სენი არც კანონით დადგენილ ნორმებს პასუხობდა და მას არც კეთილგონიერი ადამიანები აღიარებდნენ; რადგან თუ სანახევროდ ავად ხარ, სამართალმცოდნეთა მოსაზრებით, სანახევროდ ჯანმრთელიც ხარ. თუ სანახევროდ ჯანმრთელი ხარ, მაშინ, სხვა თუ არაფერი, სანახევროდ შერაცხადი მაინც ხარ. ვინც სანახევროდ შერაცხადია, ე. ი. სრულიად შერაცხადია. შერაცხადობა კი, მათი აზრით, ის მდგომარეობაა, როცა ადამიანს იძულებითი გარდაუვალობისგან დამოუკიდებლად აქვს უნარი, განსაზღვროს კონკრეტული მიზანი. ასეთი განსაზღვრულობა კი შეუძლებელია ერთდროულად გქონდეს კიდეც და არც გქონდეს.

მართალია, ეს არ გამორიცხავს ისეთი პირების არსებობას, რომლებიც თავიანთი მდგომარეობისა და მიდრეკილების გამო წინააღმდეგობას ვერ უწევენ „უზნეო სურვილებს“ და როგორც იურისტები იტყოდნენ, „თემიდას სასწორის ისარსაც

სიკეთისკენ ვერ ხრიან“. ასეთ პირებს, რომლებშიც გარკვეული გარემოება დანაშაულის ჩადენის გამბედაობას ბადებს – იმ დროს, როცა იმავე გარემოებას სხვები მნიშვნელობას არ ანიჭებენ – მოორსბრუგერი მიეკუთვნებოდა. სასამართლოს მოსაზრებით, ასეთი პირების გონებრივი შესაძლებლობები იმდენად საღია, რომ მათი გამოყენების შემთხვევაში დანაშაული შესაძლოა არც მომხდარიყო; ამდენად, პასუხისმგებლობისგან მათი გათავისუფლების საფუძველიც არ არსებობდა. მეორეც, სამართლებრივი წესრიგი განზრახ ჩადენილი დანაშაულის დასჯას მოითხოვს. მესამეც, იურიდიული ლოგიკის ვარაუდით, ყველა სულით ავადმყოფს – იმ ბედნავსების გამოკლებით, რომლებიც კითხვაზე, რამდენია შვიდჯერ შვიდიო, პასუხად ენას ყოფენ, ან მისი საიმპერატორო და სამეფო უდიდებულესობის სახელის მაგივრად საკუთარს ასახელებენ – გააჩნია გონებრივ შესაძლებლობათა ის მინიმუმი, რაც მას თვითგამორკვევისა და ამა თუ იმ საქციელის დანაშაულებრივი ხასიათის შეცნობის უნარს ანიჭებს, ხოლო ნებისყოფისა და გონების ძალის საგანგებო დაძაბვის შედეგად დანაშაულებრივ მისწრაფებასაც შეუძლია გაუწიოს წინააღმდეგობა. მაგრამ ყველაზე ნაკლები, ალბათ, რაც შეიძლება ამ საშიში ადამიანებისგან მოითხოვო, სწორედ ეს არის.

სასამართლო სარდაფებს ჰგავს, სადაც წინაპართა სიბრძნე ბოთლებში ინახება. გახსნი ამ ბოთლებს და ტირილი მოგინდება, დასალევად ისეთი უვარგისია სიზუსტისკენ ადამიანის სწრაფვის დამაჭრებული მაღალი გრადუსი მანამ, სანამ სრულყოფილებას მიაღწევდეს; მაგრამ, როგორც ჩანს, გამოუწრთობ ადამიანებს ის მაინც ათრობს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მედიცინის მფარველ ანგელოზს, თუ იურისტთა გამოსვლებს დიდხანს უსმინა, ხშირად საკუთარი მისია ავიწყდება, ფრთებს ფართხუნით დაკეცავს და სასამართლო დარბაზში იურისპრუდენციის სათადარიგო ანგელოზივით იქცევა.

61. სამი სტატიის იდეალი, ანუ ზუსტი ცხოვრების უტოპია

ამგვარად მივიდა მოორსბრუგერი სასიკვდილო განაჩენამდე და მხოლოდ გრაფი ლაინსდორფის გავლენისა და ულრიხისადმი მისი კეთილგანწყობილების წყალობით გაჩნდა მისი ხელახალი სამედიცინო შემოწმების პერსპექტივა.

მოორსბრუგერის შემდგომი ბედით დაინტერესებას ულრიხი არ აპირებდა. მისთვის თანაბრად უსიამოვნო იყო როგორც სისასტიკისა და უიღბლობის ნარევი, რაც ასეთი ადამიანების ბუნებას განსაზღვრავს, ისე სიზუსტისა და დაუდევრობის ნარევი, რაც მათ წინააღმდეგ გამოტანილი სასჯელის ნიშან-თვისებად ქცეულა. ზუსტად იცოდა, რა უნდა ეფიქრა ამ საკითხზე, თუკი მას ფხიზელი თვალით შეხედავდა. ისიც იცოდა, როგორ უნდა ემოქმედათ ამ ადამიანების წინააღმდეგ, რომელთა ადგილი არც ციხეში იყო, არც მის გარეთ და ფსიქიატრიულ კლინიკებშიც არაფერი ესაქმებოდათ. მისთვის ისიც ნათელი იყო, რომ ამის თაობაზე ათასობით ადამიანიც ასე ფიქრობდა, თითოეულ ამ საკითხს მათთვის საინტერესო პოზიციებიდან განიხილავდა და რომ სახელმწიფო ბოლოს მოორსბრუგერს მაინც მოკლავდა, რადგან ასეთ უმწიფარ მდგომარეობაში ეს ყველაზე გარკვეული, იაფი და საიმედო საქციელია. ამასთან შეგუება შეიძლება ჩვენს მკაცრ დამოკიდებულებაზე მეტყველებდეს, მაგრამ გადაადგილების სწრაფი საშუალება უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს, ვიდრე ინდოეთის ყველა ვეფხვი. მეორე მხრივ, ამ საკითხებთან ჩვენი დაუნდობელი, უნამუსო, ფუქსავატური დამოკიდებულება, უდავოდ, ჩვენივე წარმატების მიზეზია.

ამ ყაიდის გონება, ასე მახვილი მოკლე მანძილზე და თანაც ბლაგვი, როცა საქმე პრობლემის მთლიანობაში აღქმას ეხება, თავის ყველაზე მნიშვნელოვან გამოხატულებას პოვებს იდეალში, რისთვისაც მთელი ცხოვრების საქმის იდეალი შეგვეძლო გვეწოდებინა. არსებობს ისეთი ტიპის ინტელექტუალური მოღვაწეობა, როცა ადამიანის სიამაყის საგანი დიდი წიგნები კი არა, სულ რაღაც სამი სტატიაა. ვინმეს რომ აღმოეჩინა, რომ ქვებს დღემდე შეუსწავლელ გარკვეულ ვითარებაში ლაპარაკი შეუძლია, ამ ეპოქალური მოვლენის აღწერას და განმარტებას სულ რაღაც სამ გვერდს მოანდომებდა. კეთილშობილურ მოსაზრებებზე კი, პირიქით, ყოველთვის შეიძლება ერთით მეტი წიგნი დაიწეროს, რადგან ეს ვიწრომეცნიერული საკითხი სულაც არ გახლავთ. ეს ის მეთოდია, რომელიც ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს ვერასდროს განმარტავს. ადამიანთა საქმიანობა შეგვეძლო მათთვის საჭირო სიტყვათა რაოდენობის მიხედვით დაგვეყო: რაც უფრო მეტია სიტყვა, მით უფრო ცუდადაა საქმე. ყველა ის ცოდნა, რამაც ჩვენი მოდგმა ბეწვის სამოსიდან საჰაერო

სივრცის დაპყრობამდე მიიყვანა, მთელი თავისი მტკიცებულებებით ცნობართა კრებულში დაეტეოდა. სხვა დანარჩენს კი, ის დისკუსიებიც რომ გამოგვეკლო, რომლებიც კალმით კი არა, ხმლით და ჯაჭვებით იმართებოდა, დედამიწისხელა წიგნის კარადაც ვერ დაიტევდა. ძალაუნებურად ჩნდება აზრი, რომ ადამიანი საკუთარ საქმიანობას უკიდურესად არარაციონალურად წარმართავს, როცა მას ასე სამაგალითოდ წინ წასული მეცნიერული ხერხით არ უდგება.

სინამდვილეში ასეთი იყო გარკვეული წლებისა და არა ათწლეულების მანძილზე ეპოქის განწყობა, რომელმაც ულრიხსაც მოუსწრო. მაშინ ამაზე ფიქრობდნენ, მაგრამ ზმნის ეს ფორმა „ფიქრობდნენ“ განზრახ ბუნდოვანი მითითებაა. ძნელია თქვა, ვინ ან რამდენი ფიქრობდა ასე, მაგრამ ჰაერიც კი იმ მოსაზრებას გაეჟღინთა, რომ შესაძლებელი იყო ზუსტად ცხოვრება. დღეს ისმის კითხვა, რას უნდა ნიშნავდეს ეს? პასუხი შეიძლება ასეთი იყოს: ცხოვრების მანძილზე შესრულებულ სამუშაოს, შესაძლოა, ისეთივე წარმატებით შეადგენდეს სამი ლექსი ან სამი მოქმედება – როცა პიროვნული მიღწევები შესაძლებლობის ზღვარს აღწევს – როგორც სამი სტატია. ეს დაახლოებით დუმილს ნიშნავს, როცა სათქმელი არაფერი გაქვს; ნიშნავს, აკეთო მხოლოდ ის, რაც საჭიროა, მაშინ, როცა მისაღწევი არაფერი გაქვს; რაც მთავარია – იყო უგრძნობი, როცა არ გაქვს გამოუთქმელი გრძნობა იმისა, რომ გაშლი მკლავებს და შემოქმედების ტალღები აგიტაცებს. ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ამით სულიერი ცხოვრების დიდი ნაწილი დასრულდებოდა, მაგრამ შესაძლოა ეს მტკივნეული დანაკლისი არც ყოფილიყო. ნუ განვავრცობთ მორალზე იმ თეზისს, რომ საპნის უხვად ხმარება სისუფთავის ნიშანია. ახალი წინადადება უფრო მართებული იქნებოდა: აკვიატებული ბანა ზნეობრივ სიწმინდეს სულაც არ ნიშნავს. სასარგებლო ექსპერიმენტი იქნებოდა, მორალის ხარჯვა (რა სახისაც უნდა იყოს იგი), ჩვენს ყველა ქმედებას თან რომ ახლავს, მინიმუმამდე დაგვეყვანა და ზნეობრიობა მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევებში გამოგვეჩინა, როცა მას რამე აზრი აქვს, სხვა დანარჩენ ჩვენს ქმედებებზე იმაზე მეტად არ გვეფიქრა, ვიდრე ფანქრებისა და ჭანჭიკების აუცილებელი სტანდარტიზაციაა. ცხადია, აქედან ბევრს არაფერს უნდა ველოდეთ, მაგრამ ზოგი რამ კი უკეთესად იქნებოდა:

დარჩებოდა გენია და არა ტალანტი; ცხოვრების სურათიდან უღიმღამო ასლები გაქრებოდა, თავისი მოქმედებით ზნეობრიობის უფერული მსგავსებიდან რომ ჩნდება, და მის ადგილს ზნეობრიობის სიწმინდესთან დამათრობელი ერთიანობა დაიკავებდა. ერთი სიტყვით: ყოველი ცენტნერი მორალიდან ერთი მილიგრამი ესენცია დარჩებოდა, რომლის ერთი მემილიონედი გრამიც კი ჯადოსნური და საამო იქნებოდა.

ალბათ, პროტესტის ნიშნად იტყვიან, ეს ხომ უტოპიაა! ცხადია, არის კიდეც. უტოპია დაახლოებით შესაძლებლობას ნიშნავს. შესაძლებლობა რომ რეალობად ვერ იქცა, სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ გარემოებანი, რომლებთანაც ის მოცემულ მომენტშია დაკავშირებული, მას ამ გზაზე აბრკოლებს, რადგან სხვა შემთხვევაში მას მხოლოდ შეუძლებლობა ერქმეოდა. და თუ მას ყველა ამ კავშირისგან გავათავისუფლებთ და განვითარების საშუალებას მივცემთ, მაშინ უტოპიაც გაჩნდება. ეს იგივე პროცესია, მკვლევარი რთულ ფენომენში ელემენტის ცვლილებას რომ აკვირდებოდეს და აქედან საკუთარი დასკვნები გამოჰქონდეს. უტოპია ნიშნავს ექსპერიმენტს, რომელშიც ელემენტის ცვლილებასა და მის ზემოქმედებას ვაკვირდებით, რასაც იგი იმ რთულ ფენომენში იწვევს, ჩვენ რომ ცხოვრებას ვუწოდებთ სახელად. თუ ელემენტი, რომელსაც ვაკვირდებით, თავად სიზუსტეა, მაშინ მისი გამოცალკევებითა და მისთვის განვითარების შესაძლებლობის მინიჭებით, ასევე მისი სამაგალითო ძალის გავრცელებით ყველა იმ მოვლენასა თუ საგანზე, რომლებიც მასთან შეხებაშია, ასევე მასში აზროვნების ჩვევისა და ცხოვრების მანერის დანახვით იმ ადამიანამდე მივალთ, თავის თავში სიზუსტისა და განუსაზღვრელობის პარადოქსულ კავშირს რომ აერთიანებს. ეს ადამიანი მოუსყიდავი ცივსისხლიანობით ხასიათდება, რაც სიზუსტის ტემპერამენტია. ამ თვისების გარდა სხვა ყველა დანარჩენი განსაზღვრულობას მოკლებულია. მორალით უზრუნველყოფილი მტკიცე შინაგანი წყობა მომავალზე ორიენტირებული ადამიანისთვის განსაკუთრებულ ღირებულებას არ წარმოადგენს. თუ უზუსტესი და მაქსიმალური ასრულების მოთხოვნას ინტელექტუალურიდან ვნებების სფეროში გადავიტანთ, განსაცვიფრებელი შედეგიც გამოვლინდება, რაც მინიშნებით უკვე ითქვა კიდეც, და მის

ადგილს სიკეთის დასაბამიერი ცეცხლი დაიკავებს. ეს არის სიზუსტის უტოპია. არავინ იცის, როგორ უნდა განლიოს ასეთმა ადამიანმა თავისი დღენი, რადგან იგი შემოქმედებით აქტში მარადიულ ლივლივს ვერ შეძლებს და შეზღუდულ შეგრძნებათა ღუმლის სითბოსაც წარმოსახვითი ხანძრის გიზგიზს ვერ ანაცვალებს. ეს ზუსტი ადამიანი კი დღეს უკვე არსებობს! როგორც ადამიანი ადამიანში, ის მარტო მკვლევარში კი არა, ვაჭარშიც, ორგანიზატორშიც და სპორტსმენშიც ცხოვრობს; თუმცა ჯერ მხოლოდ დღის მთავარ საათებში, რასაც ისინი ცხოვრებას კი არა, პროფესიას უწოდებენ; რადგან მას, ყველაფერს ღრმად და პირუთვნელად რომ აღიქვამს, არაფერი ისე არ სძულს, როგორც საკუთარ თავში ღრმად წვდომის იდეა და, სამწუხაროდ, არც ის იწვევს ეჭვს, რომ საკუთარი თავის უტოპიას სერიოზული საქმეების მქონე ადამიანებზე განხორციელებულ უზნეო ექსპერიმენტად მიიჩნევს.

ამიტომ იყო ულრიხი მთელი ცხოვრების მანძილზე თითქმის მუდამ მარტო ამ საკითხში – საჭირო იყო თუ არა, შინაგან მიღწევათა ძლიერ ჯაჭვს სხვა დანარჩენი დაქვემდებარებოდა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეიძლებოდა თუ არა, მოძებნილიყო მიზანი და აზრი იმისა, რაც გვემართება ან დაგვემართა.

62. დედამიწაც, და განსაკუთრებით ულრიხი, ქედს იხრის უტოპიის ესეისტიკის წინაშე

სიზუსტე, როგორც თავის დაჭერის მანერა, ზუსტ საქციელს და ქმედებებსაც მოითხოვს. საქციელსა და ქმედებებში ის მაქსიმალურად შესაძლებელს საჭიროებს, თუმცა აქ ერთი განსხვავების დადგენაც მოგვიწევს.

სინამდვილეში ფანტასტიკური სიზუსტის (რომელიც რეალურად ჯერ არ გვხვდება) გარდა პედანტური სიზუსტეც ხომ არსებობს. ამ ორს კი ერთმანეთისგან შემდეგი რამ განასხვავებს: თუ ფანტასტიკური სიზუსტე ფაქტებისადმი უჩვეულო ერთგულებას იჩენს, პედანტური – ფანტაზიის სახე-ხატების ერთგულია. მაგალითად, სიზუსტე, რომლითაც მოორსბრუგერის უცნაური ჭკუა ორსაუკუნოვანი სამართლებრივი ცნებების სისტემაში აღმოჩნდა, შეშლილის პედანტურ მცდელობას ჰგავდა, ზეცაში თავისუფლად მონავარდე ფრინველის ქინძისთავზე წამოცმა რომ

განუზრახავს, თანაც მის ძალისხმევას ფაქტები კი არ ადარდებს, არამედ სამართლებრივი წესრიგის ფანტასტიკური ცნებები. მისგან განსხვავებით, ფსიქიატრების სიზუსტე, რომელსაც ისინი ამ მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ ავლენდნენ, კერძოდ: შეიძლებოდა თუ არა მოორსბრუგერისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, აბსოლუტურად უნაკლო იყო, რადგან იმაზე მეტის თქმა ვერ გაებედათ, მოორსბრუგერის ავადმყოფობის სურათი აქამდე ცნობილ ავადმყოფობებს არ ჰგავსო და გადაწყვეტილების მიღება მთლიანად იურისტებისთვის მიენდოთ. სურათი, რომელსაც ასეთ შემთხვევაში სასამართლოს დარბაზი გვთავაზობს, ცხოვრებას ჰგავს, რადგან საქმიანი ადამიანები თვლიან, რომ ხუთი წლის წინანდელი ავტომობილის ხმარება ან ათი წლის წინანდელი საუკეთესო პრინციპებით ავადმყოფობის მკურნალობა შეუძლებელია. თანაც ისინი მთელ თავიანთ დროს ნებით თუ უნებლიეთ ამ აღმოჩენათა მხარდაჭერას ახმარენ და იმ ყველაფრის რაციონალიზაციას ახდენენ, რაც თავიანთ სფეროში ხვდებათ; ამჯობინებენ, რომ სილამაზის, სამართლიანობის, სიყვარულისა და რწმენის, მოკლედ, ჰუმანისტური, საკითხები, მათ საქმიან ინტერესებს რომ არ ეხება, ცოლებმა გადაჭრან. ცოლები კი მამაკაცთა ნაირსახეობებს, რომლებიც ცხოვრების ქარცეცხლზე ათასწლოვანი გამოთქმებით უყვებიან, ქარაფშუტულად, წყენით და სკეპტიკურად უსმენენ ისე, რომ მათი არ სჯერათ და არც იმაზე ფიქრობენ, რომ შეიძლებოდა ეს სხვაგვარადაც მომხდარიყო. ასე რომ, რეალურად ორი ტიპის გონება არსებობს. ისინი არათუ ერთმანეთს ებრძვიან, უფრო მეტიც, და ეს კიდევ უარესია, ჩვეულებისამებრ გვერდიგვერდ არსებობენ და ერთმანეთს მხოლოდ იმაში არწმუნებენ, რომ თითოეული თავის ადგილზე სასურველია. ერთ-ერთი მათგანი სიზუსტეს ესწრაფვის და ფაქტების ერთგულია, მეორე კი გონების თვალით ყველაფერს სწვდება და ცოდნას ე. წ. მარადიული, ზენა ჭეშმარიტებიდან იძენს. პირველის ხვედრი წარმატებაა, მეორისა კი – თვალთახედვის სიფართოვე და ღირსება. ცხადია, პესიმისტი იტყოდა: პირველის წარმატებას რა ფასი აქვს, მეორისა კი ნამდვილი არ არისო. რა გვეშველება განკითხვის დღეს ღვთის სამსჯავროზე, როცა სასწორზე ჩვენი საქმენი ჭიანჭველმჭავას შესახებ სამსტატიიანად ან თუნდაც ოცდაათსტატიიანად დაიდება? ან კი რა ვიცით განკითხვის დღეზე, როცა იმასაც კი ვერ მივმხვდარვართ, რაში გვარგია

ჭიანჭველმჟავა!

განვითარება ამ ორ პოლუსს, ამ „არც-არც“ -ს შორის მერყეობს. და აი, უკვე 18 საუკუნეზე მეტი და 20 საუკუნეზე ცოტა ნაკლები გავიდა იმ დღიდან, როცა ადამიანმა შეიტყო, რომ სამყაროს დღენი ღვთის სამსჯავროზე აღსრულდება. გამოცდილება ცხადყოფს, რომ ყოველ მიმართულებას კონტრმიმართულება სდევს თან. თუმცა სასურველია და დასაშვები, რომ გარდატეხა სპირალისებური პრინციპით ვითარდებოდეს, როცა მიმართულების ყველა ცვლილებას ზემოთ მივყავართ; მაგრამ რატომღაც განვითარება ამ პროცესში მაინც იშვიათად რჩება მოგებული და შემოვლითი გზებისა და ნგრევის გამო წაგებულია. მართალი იყო დოქტორი პაულ არნჰაიმი, როცა ულრიხს უთხრა: მსოფლიო ისტორია ნეგატიურს არაფერს დაუშვებს, ის ყოველთვის აღფრთოვანებით ირჩევს ერთ რომელიმეს და მის საპირისპირო გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგღა იღებსო. ასევე არც სიზუსტის პირველ ფანტაზიებს სდევდა თან ოდესმე მისი განხორციელების მცდელობა. მოსახმარად მას სწავლულებისა და ინჟინრების ფრთამოტეხილ ფანტაზიას გადააბარებდნენ, შემდეგ კი კვლავ უფრო ღირსეულ და ღრმად მჭვრეტელ გონებას მიმართავდნენ.

ულრიხს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა, რა დიდ პატივსაც მიაგებდნენ ამგვარ მერყეობას. სულ უფრო ხშირად გაისმოდა გაურკვეველი საქმიანობის ადამიანების – მწერლების, კრიტიკოსების, ქალების, ახალი თაობის პროფესიების მქონეთა – წუწუნი იმაზე, რომ წმინდა წყლის ცოდნა დამღუპველია, ადამიანთა ნაღვაწს ისე აქუცმაცებს, რომ მისგან ვეღარაფერს შეაკოწიწებთ, და ახლებურ რწმენას, სულიერების საწყისისაკენ მიბრუნებას, აღმაფრენას და რაღაც ამის მსგავსს ითხოვდნენ. თავიდან ულრიხს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ეს ის ხალხი იყო, ვისაც ცხენით ჯირითით საჯდომი გადაეხეხა, ცხენიდან ჩამომხტარი კოჭლობდა და გაჰყვიროდა, სულის ექსტრაქტით დაგვიზილეთო. მერე და მერე კი მიხვდა, რომ მათ ძახილს, თავიდან ასე სასაცილოს, დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ცოდნაც არათანადროულ ფენომენად იქცა, გზის გაკვალვა კი იმ გაურკვეველმა ადამიანებმა დაიწყეს, დღეს რომ გაბატონებულან კიდეც.

ულრიხი ყოველივე ამას არასერიოზულად ეკიდებოდა და

საკუთარ სულიერ მიდრეკილებებს თავისებურად განავითარებდა.

ახალგაზრდული თავდაჯერების ადრეული ხანიდან, შორიდან ასე ამაღელვებლად და ამაფორიაქებლად რომ მოჩანს, ულრიხის მეხსიერებას დღესაც შემორჩენოდა მისთვის ოდესღაც ძვირფასი წარმოდგენები და მათ შორის იყო სიტყვა „ჰიპოთეზური ცხოვრება“. ეს სიტყვა ჯერ კიდევ გამოხატავდა გამბედაობას და ცხოვრების უცოდინარობას, როცა გამოცდილების გარეშე გადადგმული ნაბიჯი რისკია. დიდი კავშირების სურვილი ამ სიტყვას კვლავაც ეტყობოდა და მისგან უარყოფის ის სიოც ქროდა, რომელსაც ახალგაზრდა კაცი გრძნობს, როცა ცხოვრების გზაზე პირველ გაუბედავ ნაბიჯს დგამს. სუნთქვის შემკვრელი გრძნობა იმისა, რომ რჩეული ხარ, ერთადერთი მშვენიერი და კონკრეტული გრძნობაა იმ ადამიანისა, პირველად რომ შეავლებს სამყაროს თვალს. როცა საკუთარ გრძნობებს აკვირდება, უსიტყვოდ ვერაფერს ეთანხმება; ეძებს შეყვარებულს, მაგრამ არ იცის, სჭირდება თუ არა; შეუძლია მოკლას, მაგრამ არ არის დარწმუნებული, უნდა ჩაიდინოს ეს თუ არა. განვითარებისკენ სწრაფვა უკრძალავს, სრულყოფილების სჯეროდეს, მაგრამ ყველაფერი, რაც მას უპირისპირდება, ისეთ სახეს იღებს, თითქოს სრულყოფილიაო. ის ბუნდოვნად გრძნობს, რომ სამყაროს წესრიგი არც ისე მტკიცეა, როგორც მოაქვს თავი. არც ერთი საგანი, „მე“, ფორმა და პრინციპი საიმედო არ არის. ყოველივე უხილავ, თუმცა მუდმივ ცვლილებას განიცდის. მომავალი უფრო მყიფეა, ვიდრე – მყარი, აწმყო კი იმაზე მეტი არ არის, ვიდრე ჰიპოთეზა, რომელიც ჯერ არ დაგვიძლევია. რა უნდა მოიმოქმედოს იმაზე უკეთესი, რომ სამყაროსგან განდგომილმა, ამ სიტყვის პოზიტიური გაგებით, თავისუფლება შეინარჩუნოს იმ მკვლევარივით, მაცდური ფაქტების მიმართ თავისუფლებას რომ არ კარგავს, რათა მათი ნაადრევად არ ირწმუნოს. ამიტომაც არ ჩქარობს, რომ რამედ იქცეს: ხასიათად, პროფესიად, კონკრეტულ სულიერ წყობად. ეს ყველაფერი წარმოდგენებია, საიდანაც ის ჩონჩხი იკვეთება, რომელიც საბოლოოდ მისგან უნდა დარჩეს. ცდილობს, საკუთარი თავი სხვაგვარად გაიაზროს; ყველაფერი იზიდავს, თუნდაც მორალურად და ინტელექტუალურად აკრძალული. გრძნობს, რომ ყველა მიმართულებით შეუძლია ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ წონასწორობის შესანარჩუნებლად მეორეც უნდა

მიაყოლოს და თანაც მუდამ – წინ. თუ ჩათვალა, რომ საინტერესო აზრს წააწყდა, ეჩვენება, თითქოს დედამიწას არნახულად მხურვალე წვეთი დაეცა, რომლის ნათებაც სამყაროს იერს უცვლის.

მოგვიანებით, ინტელექტუალური შესაძლებლობის ზრდასთან ერთად, ულრიხისთვის ეს წარმოდგენები ამ მეტად საეჭვო სიტყვა „ჰიპოთეზას“ კი აღარ უკავშირდებოდა, არამედ გარკვეულ მიზეზთა გამო ისეთ თავისებურ სიტყვას, როგორიცაა ესე. ესეს მსგავსად, საგანს მრავალი მხრიდან რომ განიხილავს, მაგრამ მას სრულებით მაინც ვერ მოიცავს, რადგან აბსოლუტურად გააზრებული საგანი უეცრად მოცულობას კარგავს, კნინდება და ცნებად იქცევა, ულრიხს სჯეროდა, რომ სამყაროსაც და საკუთარ ცხოვრებასაც დაახლოებით ასე უნდა მისდგომოდა. მოქმედებისა და თვისების ღირებულება, თვით მათი არსიც და ბუნებაც იმ გარემოებაზე იყო დამოკიდებული, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ, ან იმ მიზნებზე, რასაც ისინი ემსახურებოდნენ; ერთი სიტყვით, იმ მთლიანის სტრუქტურაზე, რომლის კუთვნილებასაც ისინი წარმოადგენდნენ. ის, რომ მკვლელობა, შეიძლება, დანაშაულად ან გმირულ ქმედებად მოგვევლინოს, სასიყვარულო წუთები კი ანგელოზის ან ბატის ფრთიდან დაცვენილ ბუმბულად, სხვათა შორის, ფაქტის მხოლოდ მარტივი აღწერილობაა. ულრიხი ფაქტებს განაზოგადებდა. მორალური მოვლენები მისთვის ენერგეტიკულ ველში ხდებოდა, მათგან წარმოქმნილ სიტუაციას აზრს ანიჭებდა და ისინიც ისევე ატარებდნენ ბოროტებასა და სიკეთეს, როგორც ატომი შეიცავს თავის თავში ქიმიური ბმების ალბათობას. გარკვეულწილად ისინი იმას წარმოადგენდნენ, რადაც მომავალში უნდა ქცეულიყვნენ. მაგალითად, სიტყვა „ძლიერი“ ხომ ოთხი ურთიერთგანსხვავებული რაობის გამომხატველია, გააჩნია, მას რა უკავშირდება: სიყვარული, უხეშობა, გულმოდგინება თუ სიმკაცრე. ასე რომ, მორალური მოვლენის მნიშვნელობას ულრიხი სხვა ფაქტების ფუნქციებზე დამოკიდებულ მნიშვნელობად განიხილავდა. ამგვარად, იქმნებოდა კავშირების უსასრულო სისტემა, რომელშიც ის დამოუკიდებელი მნიშვნელობები, რომლებსაც ჩვეულებრივი ცხოვრება მოქმედებასა და თვისებებს პირველი უხეში შეხებისას ანიჭებს, აღარ არსებობდა. მოჩვენებითი სიმტკიცე ამ სისტემაში სხვა დანარჩენ მნიშვნელობათა საბაბი ხდებოდა,

მიმდინარე მოვლენა – რაღაცის სიმბოლო; მოვლენა, შესაძლოა, არც მომხდარიყო, მაგრამ უკვე მომხდარში მისი არსებობა იკვეთებოდა; ადამიანი კი, როგორც საკუთარ შესაძლებლობათა უმაღლესი გამოვლინება – პოტენციური ადამიანი და საკუთარი ყოფიერების დაუწერელი ლექსი – ადამიანს ისე უპირისპირდებოდა, როგორც ჩანაწერი, ხასიათი და რეალობა. ამ მსოფლმხედველობით აფასებდა ულრიხი საგნებს და გრძნობდა, რომ ზნეობრიობა და ბიწიერება მისი ბუნებისთვის უცხო არ იყო. გაწონასწორებულ საზოგადოებაში ზნეობრიობას და ბიწიერებას ფარულად ყველა მოსაწყენ ფენომენად რომ აღიქვამდა, კიდევ ერთი მტკიცებულება გახლდათ იმისა, რომ ბუნება საშუალო ღირებულებას, წონასწორობას და სტაბილიზაციას ესწრაფოდა. მორალი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ულრიხისთვის მხოლოდ ბუნების ძალთა თამაშის ბებრული ფორმა იყო, რომელიც ეთიკური ძალის საზიანოდ მორალში არ უნდა აგვრეოდა.

შეიძლება, ასეთი მსოფლმხედველობა ცხოვრების მიმართ დაურწმუნებლობას გამოხატავდა, რაც ზოგჯერ არსებული გარანტიებით გამოწვეული უკმაყოფილებაა. აქვე იმასაც შეგახსენებდით, რომ თვით ისეთი მდიდარი გამოცდილების მქონე პირიც კი, როგორიც კაცობრიობაა, ჩანს, ამგვარი პრინციპებით მოქმედებს. საბოლოოდ ის ყველაფერს ცვლის, რაც მანამდე უკეთებია, დროთა განმავლობაში ზნეობრიობას მანკიერებად გადააქცევს და პირიქით; ქმნის მოვლენათა დიდ სულიერ კავშირებს და რამდენიმე თაობის შემდეგ კვლავ ანგრევს მათ; ოღონდ, სამყაროს მთლიანობაში აღქმის ნაცვლად, ამას თანმიმდევრულად განახორციელებს. ადამიანის ესეისტიკა კი სამყაროს უდარდელი ცნობიერების ნებელობად გარდაქმნას საკუთარ მოვალეობად ჩათვლიდა. განვითარების მრავალი ცალკეული ხაზი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა ეს სულ მალე მოხდეს. ქათქათა ხალათში გამოწყობილი ლაბორანტი საავადმყოფოში, ფაიფურის თეთრ თასში ავადმყოფის განავალს მჟავას ზემოქმედებით მეწამულ მასად რომ გარდაქმნის, ბევრად უფრო ცვალებად სამყაროშია, ვიდრე ის ახალგაზრდა ქალი, იმავე განავალს ქუჩაში ზიზღით რომ აუქცევს გვერდს. საკუთარი დანაშაულის ზნეობრივ ენერგეტიკულ ველში მოხვედრილი ბოროტმოქმედი იმ მოცურავის მსგავსად მოძრაობს, ძლიერი დინება რომ მიაქანებს. დედებმა, რომელთა შვილებიც ასეთ ნაკადში

მოხვედრილან, კარგად იციან ამის შესახებ; უბრალოდ, ამის აქამდე არავის სჯეროდა, რადგან ამგვარი რწმენისთვის ადგილი არსად მოიძებნებოდა. ფსიქიატრები აღტკინებას აშლილობას ეძახიან, თითქოს დიდი მხიარულება დიდ მხიარულ სევდას ნიშნავდეს, თანაც დაადგინეს, რომ ყოველივე აღმატებული, იქნება ეს უბიწოება, სინდისიერება, ქარაფშუტობა, სისასტიკე თუ თანაგრძნობა, ავადმყოფურ ხასიათს იძენს. რა ფასი ექნებოდა ჯანმრთელ ცხოვრებას, მხოლოდ ორ უკიდურესობას შორის საშუალო მდგომარეობისკენ რომ ისწრაფოდეს, ან რა უბადრუკობა იქნებოდა, მისი იდეალი გაზვიადებული იდეალების უარყოფა რომ იყოს! ეს აღმოჩენები ცხადად გვანახვებს, რომ მორალურ ნორმებში გაქვავებული წესდებების სიმშვიდე კი არა, ის დინამიკური წონასწორობა უნდა დავინახოთ, განახლებისთვის ყოველ წამს ძალისხმევას რომ ითხოვს. უნებლიეთ შეძენილი გამეორებების სქემათა ადამიანის ხასიათისთვის მიწერა და შემდგომ ამ გამეორებებისთვის მისი ხასიათისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება სულ უფრო შეზღუდულ მოსაზრებად გვეჩვენება. ადამიანი სწავლობს შიგა და გარე სამყაროს შორის ურთიერთქმედებას და საკუთარ თავში უპიროვნო საწყისის აღმოჩენით პიროვნულობის გასაღებს პოულობს. ის ქცევის ძირითად, მარტივ ტიპებს და „მეს“ შენების ინსტინქტს მიაკვლევს, რომელიც ფრინველის ბუდის შენების ინსტინქტის მსგავსია და საკუთარ „მეს“ სულ რაღაც რამდენიმე მეთოდით სხვადასხვა მასალით იშენებს. ცოტაც და გარკვეულ გავლენათა მეშვეობით ადამიანი შეძლებს, გზა გადაუღობოს გადაგვარებას და, თუ ბოროტმოქმედისგან დროულად არ ქმნიან მთავარანგელოზს, ამის მიზეზი, ალბათ, სოციალური უდარდელობა და უგერგილობაა. შეგვეძლო სხვა უამრავი განცალკევებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი მიზეზი დაგვესახელებინა, უფრო მარტივ პირობებში რომ ჩნდება და მათი უხეში სიახლოვე ადამიანს ღლის. თანდათან ადამიანი ორიათასწლოვანი ძირითადი მორალური საფუძვლების ცვლილებათა აუცილებლობას გრძნობს, რომელიც ცვალებად გემოვნებას ძლივს ეგუება, და მის ჩანაცვლებას ფაქტების დინამიკურობაზე მორგებული პრინციპებით ცდილობს.

ულრიხს ღრმად სწამდა, რომ ამისთვის მხოლოდ ფორმულებიღა იყო საჭირო, ის გამოხატულება, რომელიც

მიზნის მიღწევამდე გზის ბოლო მონაკვეთის გასავლელად ერთ ბედნიერ წუთს უნდა მოძებნილიყო. ეს გამოხატულება, მუდამ სარისკო, არსებული ვითარება ჯერ რომ ვერ ამართლებს, სიზუსტესა და უზუსტობას, გულმოდგინებას და ვნებას ერთმანეთთან აკავშირებს. სწორედ იმ წლებში, თითქოს ულრიხი რომ უნდა წაექეზებინა, მეტად უცნაური რამ მოხდა. ულრიხი ფილოსოფოსი არ იყო. ფილოსოფოსები მოძალადეები არიან და რადგან არმია არ ემორჩილებათ, ამიტომ სამყაროს ერთ სისტემაში აქცევენ და მას ამ გზით იპყრობენ. ტირანულ ეპოქებში დიდი ფილოსოფოსების არსებობის მიზეზი, ალბათ, ეს გახლავთ, მაშინ როცა ცივილიზაციისა და დემოკრატიის ხანაში დამაჯერებელი ფილოსოფიური სისტემა არ იქმნება – ყოველ შემთხვევაში, თუ სინანულის გამომხატველ იმ წუწუნს დაეჯერება, რაც მუდამ გვესმის. ამიტომაც ადამიანი მცირე დოზებით შემაშფოთებლად ბევრს ფილოსოფოსობს და მსოფლმხედველობრივი მოსაზრებების გარეშე დღეს მხოლოდ დუქნებში თუა შესაძლებელი რამის შეძენა. რადგან დიდი დოზებით ფილოსოფია აშკარა უნდობლობას იწვევს, ადამიანი თვლის, რომ მისი არსებობა უბრალოდ შეუძლებელია და ამ აზრისგან არც ულრიხი იყო თავისუფალი. უფრო მეტიც, მეცნიერული გამოცდილების გამო ფილოსოფიას, ცოტა არ იყოს, ირონიითაც უყურებდა. მის ქცევას სწორედ ეს განსაზღვრავდა: რასაც ხედავდა, ფიქრებს აღუძრავდა და თან ბევრ ფიქრსაც უფრთხოდა. გადამწყვეტი კი მის ქცევაში სულ სხვა რამ აღმოჩნდა. ულრიხის ბუნებაში იყო რაღაც, რაც დამბლადამცემი, განმაიარაღებელი სიჯიუტით ლოგიკურ წესრიგს, ნებელობის ერთმნიშვნელოვნებასა და პატივმოყვარეობის მიზანდასახულობას ეწინააღმდეგებოდა. ეს რაღაც მის მიერ ერთ დროს არჩეულ სახელს – ესეისტიკას – უკავშირდებოდა, თუმცა ისიც სწორედ იმ ნაწილებისგან შედგებოდა, რომლებიც დროთა განმავლობაში გაუცნობიერებელი გულმოდგინებით ამ ცნებიდან გამოერიცხა. საზოგადოდ, სიტყვა ესე თარგმანში ექსპერიმენტს ნიშნავს და მხოლოდ ბუნდოვნად მიუთითებს ლიტერატურულ ნიმუშზე. ესე რომელიღაც მოსაზრების წინასწარი გამოხატულება ხომ არ არის, გზადაგზა, ნაუცბათევად რომ იქმნება, რომელსაც ხან ჭეშმარიტების რანგში აიყვან და ხან ცდომილებად გამოაცხადებ (ასეთი მხოლოდ სამეცნიერო ტრაქტატები და სტატიებია, სწავლულები, როგორც „სახელოსნოს ნარჩენებს“, ისე რომ აქვეყნებენ)! ესე უნიკალური და შეუცვლელი ფორმაა,

რომელიც ადამიანის შინაგანი ცხოვრების გადამწყვეტი აზრის იერსახეს იღებს. არაფერი ისე უცხო არ არის მისთვის, როგორც სუბიექტურობის სახელით ცნობილი ფანტაზიათა უპასუხისმგებლობა და სანახევრობა, მაგრამ არც „ნამდვილი“ და „ყალბი“, „ჭკვიანი“ და „უჭკუოა“ ის ცნებები, მათ აღმნიშვნელად რომ გამოგვადგებოდა და მაინც ისინი მკაცრ კანონებს ექვემდებარებიან, თუმცა ფაქიზი და გამოუთქმელი სახით გვევლინებიან. უამრავი ასეთი ესეისტი და ოსტატი არსებობდა, მაგრამ რა აზრი აქვს მათ დასახელებას?! მათი საუფლო რელიგიასა და ცოდნას, მაგალითსა და მოძღვრებას, თითო intellectualis-სა და ლექსს შორისაა. ისინი წმინდანები არიან – რელიგიით თუ რელიგიის გარეშე, ან უბრალოდ რაღაც თავგადასავალში გახვეული კაცები.

სხვათა შორის, არაფერი ისე დამახასიათებელი არ არის, როგორც მეცნიერული და გონივრული მცდელობით შეძენილი უნებლიე გამოცდილება – განმარტო დიდი ესეისტები და ცხოვრების სიბრძნე ცხოვრების თეორიად აქციო, მღელვარეთა მღელვარებიდან კი რამე „შინაარსი“ შეიძინო. ყოველივე აქედან დაახლოებით იმდენივე რჩება, რამდენიც წყლიდან ამოყვანილი და ქვიშაზე დაგდებული მედუზის ნაზი, მბზინავი სხეულიდან. წერას ატანილთა მოძღვრება ჩვეულებრივ ადამიანთა გონებაში მტვრად, წინააღმდეგობრიობად და უაზრობად იქცევა; და მაინც ნაზსა და უუნაროს მას ვერ ვუწოდებთ. ეს იგივეა, სპილო რომ ნაზი გვეგონოს, რადგან უჰაეროდ და მისთვის შეუფერებელ პირობებში ისიც იღუპება. სავალალო იქნებოდა, ასეთი აღწერილობანი საიდუმლოს ან თუნდაც მუსიკის შთაბეჭდილებას რომ ბადებდეს, სადაც ქნარის ჰანგები და გლისანდოს კვნესა-გმინვა ჭარბობს. სინამდვილეში კი საქმე პირიქითაა და კითხვები, მათ რომ ედო საფუძვლად, ულრიხს ბუნდოვან შეგრძნებად კი არა, სრულიად ცხადი ფორმით წარმოედგინა: ადამიანს ჭეშმარიტება რომ სწადია, სწავლული ხდება, ვისაც სურს, რომ სუბიექტურობას მისცეს გასაქანი – მწერალი. როგორ უნდა მოიქცეს ის, ვინც მათ შორის არსებულს ესწრაფვის? ყველა სენტენცია ამ „შუალედურის“ მაგალითია.

გავიხსენოთ მათგან ყველაზე ცნობილი და მარტივი: არა კაც ჰკლა. პირველი შეხედვისთანავე ცხადია, რომ ის არც ჭეშმარიტია და არც სუბიექტური. ცნობილია, რომ გარკვეულ შემთხვევაში მას მკაცრად ვიცავთ, სხვა შემთხვევაში კი

მრავალ, თუმცა სრულიად მკაცრად განსაზღვრულ გამონაკლისს ვუშვებთ, და კიდევ უფრო ხშირად, მესამე ტიპის შემთხვევებში, ვთქვათ, ფანტაზიებში, სურვილებში, თეატრალურ სპექტაკლებში და საგაზეთო სტატიებით ტკბობისას სრულიად უთავბოლოდ, ზიზღსა და ცდუნებას შორის ვმონაცვლეობთ. ხანდახან იმას, რაც არც ჭეშმარიტებაა და არც სუბიექტური მტკიცებულება, მოთხოვნას უწოდებენ. ეს მოთხოვნა რელიგიური დოგმებითა და კანონებითაა განმტკიცებული და ამ გზით მისგან შექმნილი ჭეშმარიტების ხასიათს იძენს. რომანისტები კი გამონაკლისების შესახებ მოგვითხრობენ, დაწყებული აბრაამის მსხვერპლიდან დამთავრებული ახალგაზრდა, მშვენიერი ქალით, საყვარელს იარაღის გასროლით რომ კლავს, და ყველაფერი კვლავ სუბიექტურობის მორევში იძირება. ასე რომ, ან პალოებს უნდა ჩაეჭიდო, ან მათ შორის მოდრეიფე ტალღას აჰყვე. ოღონდ როგორი გრძნობით? გრძნობა, რომელსაც ადამიანი („ჯანმრთელი ადამიანების“ ჩათვლით, ამის გაფიქრებასაც რომ ვერ ბედავენ, მაგრამ ალკოჰოლმა ან ვნებამ ოდნავ მაინც თუ დაძრა ადგილიდან, ამას მაშინვე ჩაიდენენ) ამ წინადადების მიმართ განიცდის, ჩლუნგი მორჩილებისა და შესაძლებლობათა ტალღების უდარდელი ტლაშუნის ერთგვარი ნარევია.

ეს წინადადება მართლა მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ? ულრიხი გრძნობდა, რომ ადამიანმა, მთელი არსებით რომ ესწრაფოდა რამეს, არც ის იცოდა, ჩაედინა თუ არა ეს საქმე და არც ის, შეეკავებინა თუ არა მისგან თავი. გულის სიღრმეში ულრიხი ეჭვობდა, რომ ამის გაკეთებაც და მისგან თავის შეკავებაც თანაბრად შესაძლებელი იყო. არც ახირებას და არც აკრძალვას იგი მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ხოლო კანონი, ზემოდან იქნებოდა ის თუ შინაგანი, მისი გონების კრიტიკას იმსახურებდა. უფრო მეტიც: წარმომავლობის გამო საკუთარ თავში დარწმუნებული წამისთვის კეთილშობილების მინიჭების მოთხოვნილებაში რაღაც გამაუფასურებელიც იყო. ასეთ დროს მისი გული დუმდებოდა და მხოლოდ გონება ლაპარაკობდა. გრძნობდა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შესაძლოა, სხვაგვარადაც დამთხვეოდა მისსავე ბედნიერებას. შეეძლო ყოფილიყო ბედნიერი, რადგან არ კლავდა, ან – რადგან კლავდა, მაგრამ წაყენებული მოთხოვნების გულგრილი შემსრულებელი ვერასდროს იქნებოდა. ის, რასაც ახლა გრძნობდა, მცნებასთან კი არა, იმ

რაღაც სფეროსთან იყო დაკავშირებული, სადაც შეებიჯებინა. ხვდებოდა, რომ იქ ყველაფერი გადაწყვეტილი და დედის რძესავით საამო იყო. ამ აზრს კი გონება ან გრძნობა კი არ კარნახობდა მისთვის ჩვეული უთავბოლობით, ეს იყო რაღაც „მთლიანი გაგება“, მაგრამ მაინც ისეთი, თითქოს ქარს შორეთიდან ამბავი მოეტანა, ამბავი, რომელიც არც მართალი იყო და არც ტყუილი, არც ჭკვიანური და არც სულელური, არამედ – ყოვლის მომცველი, და ულრიხის გულსაც თითქოს ჩუმი ნეტარება დაეუფლა.

ამ მდგომარეობაში, ყოველ შემთხვევაში, თუ მასზე უარს არ იტყვი, რამის სარწმუნოდ მიჩნევა ისევე შეუძლებელია, როგორც ესეს შემადგენელი ნაწილებიდან ჭეშმარიტების დადგენა. სიყვარულიც ასეა: შეყვარებულმა მისი აღწერა რომ შეძლოს, მას დისტანციიდან უნდა შეხედოს. უსაზღვრო მგრძნობელობა, რომელიც დროდადრო მოერეოდა ხოლმე ულრიხს, ეწინააღმდეგებოდა მის აქტიურ საწყისს, ასე დაჟინებით რომ ითხოვდა საზღვრებს და ფორმებს. ალბათ, სწორიც არის და ბუნებრივიც – გინდოდეს, იცოდე, სანამ გრძნობას აამეტყველებდე. ულრიხი უნებლიეთ წარმოიდგენდა ხოლმე, რომ ის, რასაც ოდესმე იპოვიდა, თუნდაც ჭეშმარიტება არ ყოფილიყო, ჭეშმარიტებაზე ნაკლები სიმტკიცის არ იქნებოდა. ამ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო ის იმ ადამიანს ჰგავდა, იარაღის ასხმამდე რომ იღებს ხელს განზრახვაზე. მათემატიკურ და მათემატიკურ-ლოგიკურ ან საბუნებისმეტყველო საკითხებზე მუშაობისას ვინმეს რომ ეკითხა, რაში მდგომარეობს მიზანი, შენ წინ რომ ილანდებაო, ულრიხი უპასუხებდა, ერთადერთი, რაც დაფიქრების ღირსია, სწორედ ცხოვრების საკითხიაო. მოთხოვნას, რომელსაც აყენებ, თუ ხანგრძლივად ვერაფერს უხერხებ, ტვინს ისევე ადამბლავებს, როგორც ბუჟდება დიდხანს აწეული ხელი, რომელშიც რაღაც გიჭირავს. აზრებს ისევე უჭირთ ერთ ადგილზე დგომა, როგორც ზაფხულში აღლუმზე ჯარისკაცებს: თუ დიდხანს ალოდინე, ისინი, უბრალოდ, გონწართმეულნი დაეცემიან. ცხოვრების შესახებ მოსაზრებები, რომლებიც ულრიხს დაახლოებით 26 წლის ასაკში შექმნოდა, დღეს უკვე, 32 წლის ასაკში, არაგულწრფელი ეჩვენებოდა. ეს მოსაზრებები შემდეგ აღარ განუვითარებია, თუ არ ჩავთვლით გაუბედავ, დაძაბულ გრძნობას, სწორედ ისეთს, როცა რამეს თვალდახუჭული ველოდებით. ამ გრძნობას პირველ

აღმოჩენათა მთრთოლვარე დღეების ჩავლის შემდეგ პერსონალური ხასიათის მღელვარება აღარც ჰქონია. სწორედ ეს ფარული მღელვარება იყო, დროთა განმავლობაში მისი მეცნიერული საქმიანობა რომ შეანელა და ხელს უშლიდა, ნებისყოფა მისკენ მიემართა. ულრიხს უცნაური ეჭვები ღრღნიდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გონება, სიზუსტეს რომ ესწრაფვის, ძირისძირში უფრო რელიგიურია, ვიდრე ესთეტიკური; რადგან, თუ უზენაესი მოწყალებას მოიღებს და გონებას იმ პირობებში მოევლინება, რაც „მისი“ ფაქტობრიობის აღიარებისთვის ესოდენ საჭიროა, ის „მას“ მაშინვე დანებდება. ჩვენი ესთეტები კი, თუ ის განცხადდა, აღმოაჩენენ, რომ თურმე მის ტალანტს თვითმყოფადობა აკლია, სამყაროს მისეული სისტემა კი არასაკმარისად გასაგებია, რომ მას ღვთით კურთხეული წყალობის გვერდით მიუჩინონ ადგილი. ბუნდოვან ვარაუდებს ულრიხი მათსავით იოლად არ მიეცემოდა, მაგრამ მეორე მხრივ თავს ვერც იმას უმალავდა, რომ სიზუსტის მთელი ეს წლები საკუთარი თავის წინააღმდეგ ეცხოვრა და ვერც ახლა, „ცხოვრებიდან შვებულებაში გასული“, როგორც ირონიით იტყოდა ხოლმე, და ვერც მაშინ ვერც ერთ მხარეს სიმშვიდეს ვერ პოულობდა.

ალბათ, მის გასამართლებლად ისიც უნდა ვთქვათ, რომ ცხოვრება გარკვეულ წლებში წარმოუდგენლად სწრაფად გადის. ის დღე კი, როცა ცხოვრება საკუთარი ბოლო ნების აღსრულებისთვის უნდა დაიწყო, სანამ მის ნარჩენს ანდერძად დატოვებ, წინ, შორს არის და ამ დღეს ვერ გადასწევ. როცა ლამის ნახევარი წელი ისე გავიდა, რომ თითქმის არაფერი შეცვლილა, ულრიხისთვის ეს შემაშფოთებლად ცხადი გახდა. მან პატარ-პატარა სულელური საქმეები წამოიწყო. უსაშველოდ ბევრს ლაპარაკობდა, თან სიამოვნებით. იმ მეთევზესავით ცხოვრობდა, სასოწარკვეთილი სიჯიუტით ბადეს ცარიელ მდინარეში რომ ისვრის. არაფერს აკეთებდა, რაც მის პიროვნებას შეეფერებოდა და ასე განგებ იქცეოდა. ულრიხი ელოდა. საკუთარი პიროვნების უკან იდგა და ელოდა, რადგან ეს სიტყვა ადამიანის იმ ნაწილს ნიშნავს, რომელსაც სამყარო და ცხოვრების გზა აყალიბებს. მისი მშვიდი და შეკავებული სასოწარკვეთილება დღითი დღე იზრდებოდა. ეს მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდი იყო. ულრიხს საკუთარი დაუდევრობის გამო თავი სძულდა. დიდი გამოცდა დიდი ადამიანის პრივილეგიაა? ულრიხი ამას სიამოვნებით

დაიჯერებდა, მაგრამ ეს სწორი არ არის. კრიზისული პერიოდები ყველაზე პრიმიტიულ, ნერვიულ ადამიანებსაც აქვთ. ასე რომ, ძრწოლაატანილი, არსებითად, იმ სიმშვიდის ამარა რჩებოდა, ბოროტმოქმედები და გმირები რომ ფლობენ. ეს არც გაბედულებაა, არც ნებისყოფა და არც რწმენა. ეს თვითგადარჩენის ის ჯიუტი ინსტინქტია, რომელსაც სხეულიდან ისევე ვერ გამოდევნი, როგორც კატიდან – სიცოცხლეს, თუნდაც მისი სხეული ნაგაზებმა დაგლიჯონ.

თუ გსურთ, წარმოიდგინოთ, როგორ ცხოვრობს ასეთი ადამიანი, როცა ის მარტო რჩება, ბევრს ვერაფერს მოგიყვებით. ღამით ოთახში მთვარით განათებული ფანჯრები იხედება, გამოყენებული აზრები კი იმ ადვოკატის მოსაცდელ ოთახში ჩამომსხდარ კლიენტებს ჰგვანან, რომლითაც ისინი კმაყოფილები არ არიან. შესაძლოა, ერთ ასეთ ღამეს ულრიხს ფანჯარა გამოეღო, მიწასა და ხის კენწეროებზე დადებულ თოვლს შორის გველებივით სრიალა, მოშიშვლებული, ჩაშავებული ტოტების უცნაური ზიგზაგისთვის შეეხედა, შემდეგ სურვილი გასჩენოდა და პიჟამით ბაღში ჩასულიყო, რათა ზამთრის სიცივე მთელი სხეულით შეეგრძნო. ქვემოთ რომ ჩავიდოდა, შუქს გამორთავდა, განათებულ კარში რომ არ მდგარიყო. სიბნელეში მხოლოდ მისი კაბინეტიდან გამოსული სინათლის ზოლი დაეცემოდა. ერთი ბილიკი ჭიშკრისკენ მიდიოდა და ქუჩას უერთდებოდა, მეორე კი მას კვეთდა და ულრიხიც ნელი ნაბიჯებით ამ ბილიკს გაუყვებოდა. ხის კენწეროებს შორის ჩამოწოლილი სიბნელე უეცრად მოორსბრუგერის გოლიათ სხეულს გაახსენებდა. მოუნდებოდა, ხის მატლივით ამაზრზენ და სველ სხეულს მოხვეოდა და თვალცრემლიანს დაეჩოქა, მაგრამ ასე არ მოიქცეოდა. სენტიმენტალური გრძნობა მაშინვე გაქრებოდა, რაწამსაც გაჩნდებოდა. რძისფერ ნისლში ბაღის მესერთან დაგვიანებული გამვლელი გამოჩნდებოდა და ბაღის სიშავეში წითელ პიჟამაში გამოწყობილი ულრიხი გიჟის შთაბეჭდილებას დატოვებდა. შემდეგ, შედარებით კმაყოფილი, მტკიცე ნაბიჯებით სახლისკენ გაეშურებოდა, რადგან ის, რაც მისთვის იყო შემონახული, სულ სხვა რამ უნდა ყოფილიყო.

63. ბონადეას ხილვები აქვს

იმ ღამის შემდეგ, მეორე დილით, ულრიხი გვიან ადგა. სხეული თითქოს დაბეგვილი ჰქონდა. მას ბონადეას ვიზიტის შესახებ

ამცნეს. იმ კინკლაობის შემდეგ ერთმანეთი აღარც უნახავთ.

მთელი ეს პერიოდი ბონადეა ბევრს ტიროდა. თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. ხშირად დოლის დახშული ხმებივით ცახცახებდა. ამასობაში უამრავი თავგადასავალი გადახდა და იმედგაცრუებაც მრავალჯერ განიცადა. თავგადასავლების დროს ულრიხზე მოგონებები თითქოს ღრმა ჭაში ძირავდა, მაგრამ ამ სიბნელიდან თავის დაღწევას მაინც ახერხებდა. მისი ბავშვური სახე მარტოობის ტკივილს, უმწეობას და საყვედურს გამოხატავდა. გონებაში მეგობრისთვის პატიება ასჯერ მაინც ეთხოვა და „უზნეო სიამაყის“ გამო, როგორც თავის ეჭვიანობას უწოდებდა, თავს ისჯიდა. ბოლოს კი გადაწყვიტა, მისთვის დაზავება შეეთავაზებინა.

საყვარელი, მელანქოლიური და ლამაზი ბონადეა ულრიხის წინ იჯდა და გრძნობდა, რომ გულ-მუცელი ამღვრეოდა. ულრიხი მის წინ „პატარა ბიჭივით“ იდგა. მარმარილოსავით გაპრიალებული სახის კანი ჰქონდა, რასაც ბონადეა დიდ მოვლენებს და დიპლომატიას მიაწერდა. პირველად შეამჩნია, რომ მისი სახე ძლიერ ნებას და გამბედაობას გამოხატავდა. სიამოვნებით გამოაცხადებდა კაპიტულაციას, მაგრამ ვერ ბედავდა, რადგან ულრიხის სახე საამისო საბაბს არ აძლევდა. მისი ქანდაკებასავით დიდი სიცივე წარმოუდგენლად სწყვეტდა გულს. მოულოდნელად ბონადეამ

ულრიხის ჩამოშვებულ ხელს აკოცა, ფიქრებში წასულმა ულრიხმა კი თავზე ხელი გადაუსვა. ამქვეყნად ყველაზე ქალურმა გრძნობებმა ბონადეას მუხლები მოუდუნა და დაჩოქება მოუნდა. ულრიხმა ნაზად მიიყვანა სკამთან, თვითონ კი ვისკი და სოდა მოიტანა და სიგარეტს მოუკიდა.

– ქალები დილით ვისკის არ სვამენ! – გააპროტესტა ბონადეამ. ერთ წამს კვლავ დაუბრუნდა ძალა, რომ წყენა გამოეხატა და გული ყელში მოებჯინა, რადგან მაგარი და თავაშვებული სასმელი, როგორც ბონადეა თვლიდა, ულრიხმა ისე ჩვეულებრივად შესთავაზა, რომ ეს უხეშ ქარაგმად მიიღო.

ულრიხმა კი ალერსიანად უპასუხა: – დალიე, მოგიხდება. ვისკის ის ქალებიც სვამდნენ, ვინც დიდი პოლიტიკის შექმნაში იღებდა მონაწილეობას!– რადგან მანამდე ბონადეამ განუცხადა, რომ დიდი პატრიოტული აქციით

აღფრთოვანებული იყო და დახმარება შესთავაზა, რითაც თავისი სტუმრობის მიზეზი განუმარტა.

ასეთი იყო მისი გეგმა. ბონადეას ერთდროულად ბევრი რამის სჯეროდა და სანახევრო სიმართლე ტყუილს უადვილებდა.

ვისკის ოქროსფერი დაჰკრავდა და მაისის მზესავით ათბობდა. ბონადეას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს 70 წლის იყო და სახლის წინ ბაღის მერხზე იჯდა. ის ბერდებოდა, ბავშვები იზრდებოდნენ. უფროსი ბიჭი უკვე 12 წლის იყო. სამარცხვინოა, გაჰყვე უცხო კაცს სახლში მხოლოდ იმიტომ, რომ ისეთი თვალები აქვს, თითქოს ფანჯრიდან გიყურებდეს. ასეთ კაცს სახეზე მშვენივრად ატყობ რაღაც ისეთს, რაც არ მოგწონს და ხიფათს შეგახსენებს. სირცხვილი უნდა გწვავდეს და, ალბათ, მრისხანებისგან ალმურმოდებულმა მასთან ურთიერთობა დაუყოვნებლივ უნდა გაწყვიტო. ეს კი ასე არ ხდება და კაციც თავის როლს გატაცებით ასრულებს. შენ კი ისე გრძნობ თავს, თითქოს ხელოვნური შუქით განათებული დეკორაცია იყო. ხედავ მის სცენურ თვალებს, თეატრალურ წვერს, თეატრალური კოსტიუმის შეხსნილ ღილებს და ის წუთი – ოთახში შესვლიდან პირველ ამაზრზენ, ფხიზელ მოძრაობამდე – შენს წარმოდგენებში გათამაშდება, შემდეგ კი გარეთ გამოღწეული კედლებს შპალერად აეკვრება. ბონადეა ზუსტად ამ სიტყვებით არ ფიქრობდა, საერთოდაც ფიქრის დროს სიტყვებს ნაწილობრივ იყენებდა. როგორც კი ამის წარმოდგენას შეეცდებოდა, მაშინვე გრძნობდა, რომ შეცვლილი ცნობიერების ანაბარა რჩებოდა. „ამის აღწერა რომ შეძლო, ან დიდი ხელოვანი უნდა იყო, ან პორნოგრაფი“, – ფიქრობდა ის და თან ულრიხს უყურებდა. ბონადეას ასეთ მდგომარეობაში ერთი წუთითაც კი არ ეკარგებოდა წესიერების მოთხოვნილება და კეთილგონივრული ზრახვებიც არასდროს ღალატობდა. უბრალოდ ისინი მის გარეთ მოლოდინით იდგნენ და სურვილებისგან შეცვლილ სამყაროზე სათქმელი არაფერი ჰქონდათ. როგორც კი გონს მოეგებოდა, ბონადეა საშინლად იტანჯებოდა. სექსუალური თრობით შეცვლილი ცნობიერება – სხვებისთვის ასე ბუნებრივი – ოჯახში დაბრუნებულს შიშის ზარს სცემდა. საკუთარ თავს შეშლილად თვლიდა და შვილებისთვის შეხედვას ვერ ბედავდა, რადგან ფიქრობდა, რომ მისი გარყვნილი მზერა მათ ავნებდა. ქმრის ალერსიანი მზერა აკრთობდა და საკუთარ თავთან მარტო დარჩენას გაურბოდა. ამიტომაც მოუმწიფდა განშორების დღეებში ის

აზრი, რომ ულრიხის გარდა სხვა საყვარლები აღარ ჰყოლოდა. ულრიხი მისი საყრდენი უნდა გამხდარიყო და ბონადეა მისთვის ესოდენ უცხო გარყვნილებისგან დაეცვა. „როგორ ვაძლევდი თავს მისი გაკიცხვის უფლებას! – ფიქრობდა ბონადეა, რომელიც ამდენი ხნის შემდეგ კვლავ ულრიხის წინ იჯდა. – ის ჩემზე ბევრად სრულყოფილია“. ულრიხის სასიყვარულო მკლავებში მომწყვდეული ბონადეა თავს უკეთეს ადამიანად გრძნობდა და ამასაც მის დამსახურებად თვლიდა. ალბათ, იმასაც ფიქრობდა, უახლოეს საქველმოქმედო ღონისძიებაზე მეც უნდა წამიყვანოს და ახალ საზოგადოებაში წარმადგინოსო. ბონადეამ უხმოდ დადო ფიცი და თვალები ცრემლებმა დაუნამა.

ულრიხმა იმ კაცის სიდინჯით გამოცალა ვისკი, რომელსაც მძიმე გადაწყვეტილება აქვს მისაღები. დიოთიმასთან სტუმრად ჯერ ვერ მიგიყვანო, – უთხრა ბონადეას.

ცხადია, ბონადეას სურდა, გაეგო, რატომ იყო ეს შეუძლებელი და ისიც უნდოდა, სცოდნოდა, როდის იქნებოდა ეს შესაძლებელი.

ულრიხს მოუწია, ბონადეასთვის განემარტა: შენ არც შემოქმედებით, არც სამეცნიერო და არც საქველმოქმედო ასპარეზზე არ ჩანხარ და ამიტომ დიდი დრო დამჭირდება, სანამ დიოთიმას ამ აქციაში შენი მონაწილეობის აუცილებლობაში დავაჯერებო.

ამასობაში ბონადეა დიოთიმას მიმართ მეტად უცნაური გრძნობით განიმსჭვალა. მისი სათნოების შესახებ ბევრი რამ სმენოდა და ამიტომ არ ეჭვიანობდა. ეს ქალი მასში უფრო შურსა და აღფრთოვანებას იწვევდა, რადგან ულრიხი ისე მიიჩვია, რომ მასთან უზნეო დათმობებზე არ წასულა. ქანდაკისებრ აუმღვრეველ სიმშვიდეს, ულრიხს რომ ამჩნევდა, დიოთიმას გავლენას მიაწერდა. საკუთარ თავს კი „ვნებიანს“ უწოდებდა და ამაში თავის უნამუსობასაც გულისხმობდა და იმ საპატიო მიზეზსაც, რომელიც ერთგვარად ამართლებდა ამას. ცივი ქალების მიმართ ისეთივე აღფრთოვანებას განიცდიდა, როგორსაც ის ადამიანი, მუდამ ოფლიანი ხელი რომ აქვს და სხვის მშრალ და ლამაზ ხელს ეხება. „ულრიხი ნამდვილად მან შეცვალა!“ – ფიქრობდა ბონადეა. გულს რაღაც მტკივნეულად უბურღავდა, მუხლებში კი სასიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა და ეს ორი ურთიერთგანსხვავებული გრძნობა ლამის გონებას

აკარგვინებდა. ულრიხის მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდა და გადაწყვიტა, ბოლო კოზირი გაეთამაშებინა: მოორსბრუგერი!

მტანჯველ ფიქრებს თავს ვერ აღწევდა და ხვდებოდა, რომ ულრიხი ამ შემზარავი კაცის მიმართ უცნაურ სიყვარულს ავლენდა. „უხეში ვნებიანობა“, ბონადეას აზრით, მოორსბრუგერის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას რომ ეტყობოდა, მასში უბრალოდ ზიზღს იწვევდა. ამ საკითხს ისე, რომ თავადაც ვერ ხვდებოდა, ზუსტად ისე უყურებდა, როგორც მეძავები, რომლებიც მოორსბრუგერ სადისტ-მკვლელში სრულიად არაორაზროვნად და ზედმეტი რომანტიკული ხიბლის გარეშე იმ საშიშროებას ხედავდნენ, რაც მათ პროფესიას ემუქრებოდა. მას კი, იმ შეცოდებების მიუხედავად, თავიდან რომ ვერ ირიდებდა, მოწესრიგებული და ნამდვილი სამყარო სჭირდებოდა და მოორსბრუგერი მის აღდგენაში უნდა დახმარებოდა. რადგან მოორსბრუგერი ულრიხის სუსტი ადგილი იყო, მისი ქმარი კი მოსამართლე, ვისგანაც გამოსადეგ ცნობებს მოიპოვებდა, ამიტომ საკუთარი სისუსტის ულრიხის სისუსტესთან ქმრის შუამავლობით დაკავშირების გეგმა მიტოვებულ ბონადეაში თავისთავად მომწიფდა. მანუგეშებელ ძალად ქცეული მგზნებარე იდეა სამართლიანობის გრძნობით კურთხეული ბონადეას ვნებები იყო. იურიდიული ცეცხლით ალმოდებულმა ბონადეამ ქმარი გააკვირვა, თუმცა მან კარგად იცოდა, რარიგ შთაგონებას იწვევდა მის ცოლში სიკეთე და ზენა გრძნობები. და რადგან იგი არა მარტო მოსამართლე, არამედ მონადირეც იყო, კეთილმოსურნე პასუხს დასჯერდა და უთხრა: ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება სენტიმენტალური გრძნობის გარეშე წვრილფეხა მტაცებლების ადგილზე განადგურებაა და სხვა აღარაფერი უთქვამს. ცოტა ხნის შემდეგ ბონადეამ ქმარს იმავე კითხვით მიმართა, მაგრამ დამატებით მხოლოდ ეს შეიტყო: ქალების საქმე ბავშვების გაჩენაა, კაცებისა კი – მოკვლაო, და რადგან ზედმეტი გულმოდგინებით, ამ მეტად საშიში საკითხის მიმართ რომ იჩენდა, ბონადეას, შესაძლოა, ქმარი დაეეჭვებინა, ამიტომ სამართლებრივი გზა დროებით გადაეკეტა. თუკი სურდა, რომ ულრიხის გასახარებლად მოორსბრუგერისთვის რამე მოემოქმედებინა, ერთადერთი, რაც დარჩენოდა, გულმოწყალების გზა იყო. ამ გზას კი, ჰოი საოცრებავ და, იგი დიოთიმასთან მიჰყავდა.

საკუთარ წარმოდგენებში თავს დიოთიმას მეგობრად მიიჩნევდა და გადაუდებელ საქმეთა გამო მომხიბვლელი მეტოქის გაცნობის ჟინი კლავდა, თუმცა მეტისმეტად ამაყი იყო იმისათვის, რომ ეს პირადი სარგებლობის გამო მოესურვებინა. გადაწყვიტა, დიოთიმა მოორსბრუგერის სასარგებლოდ თავისკენ გადმოებირებინა, რაც ულრიხს აშკარად ვერ მოეხერხებინა, და ფანტაზიაში წარმტაც სურათებს ქარგავდა. მარმარილოსგან ნაკვეთი, მაღალი დიოთიმა ბონადეას თბილ, ცოდვებისგან დამძიმებულ მხარზე ხელს ადებდა. თავის როლს კი იმაში ხედავდა, რომ დიოთიმას ზეციური უმწიკვლოებისათვის რაღაც ის წვეთი წაეცხო, რაც მას უფრო ლმობიერს გახდიდა. აი, ეს გახლდათ გეგმა, რომელსაც ბონადეა თავის მეგობარს განუმარტავდა.

ამ დღეს კი მოორსბრუგერის ხსნის საკითხი ულრიხს, როგორც ჩანს, არ ადარდებდა. კარგად იცნობდა ბონადეას კეთილშობილურ გრძნობებს. ისიც იცოდა, რომ მისი გულის წადილიდან გამომსხლტარი ნაპერწკალი ხანძრად სულ იოლად აბრიალდებოდა და მთელ სხეულს განგაშივით მოედებოდა. ულრიხმა ბონადეას უთხრა, მოორსბრუგერის საქმეში ჩარევას არ ვაპირებო.

ბონადეამ განაწყენებული თვალებით შეხედა (რომლებიც გაზაფხულის პირზე მომლღვარ ტბასავით უპრიალებდა), რომლებშიც წყალი, როგორც გაზაფხულის პირზე ყინულში, ისე ჩაღვრილიყო.

ულრიხს არ ავიწყდებოდა მათი პირველი შეხვედრის ბავშვურად ლამაზი წუთები, გონდაკარგული ქვაფენილზე რომ ეგდო, მის თავთან დახრილი ახალგაზრდა ქალის თვალებიდან კი გრძნობები, სინორჩე და ავანტიურისტული სამყაროს გაუტანლობა მის ცნობიერებაში – თანდათან რომ ფხიზლდებოდა – წვეთ-წვეთ ჩაედინებოდა. შეეცადა, უარი შეერბილებინა და წყენა გრძელი საუბრით გაექარვებინა.

– წარმოიდგინე, უკაცრიელ პარკში ორი ავაზაკი რომ აგეკიდოს, შეძლებდი იმაზე ფიქრს, რომ ამ საბრალოების წინაშე საზოგადოებას მიუძღვის ბრალი?

– ღამღამობით პარკში არასდროს დავდივარ, – მიუგო მაშინვე ბონადეამ.

– პოლიციელი რომ გამოჩენილიყო, დააჭერინებდი ორივეს?

– ვთხოვდი, რომ დავეცავი.

– ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა დაეჭირა!

– მერე როგორ მოექცეოდა, ეგ აღარ ვიცი. სხვათა შორის, მოორსბრუგერი ავაზაკი არ არის.

– კარგი, წარმოიდგინე, შენთან სახლში დურგლად რომ ემუშავა და თვალებით შეეჭამე.

ბონადეამ გააპროტესტა: – რა საზიზღრობას მთხოვ!

– რა თქმა უნდა. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ისინი, ვინც ასე ადვილად კარგავს წონასწორობას, უსიამოვნო ადამიანები არიან. მათ მიმართ ამგვარი მიუკერძოებლობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა დარტყმებს სხვები იღებენ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ისინი ჩვენში ნაზ გრძნობებს ბადებენ და საზოგადოებრივი წყობის ან ბედისწერის მსხვერპლად გვევლინებიან. აღიარე, საკუთარ მანკიერებაში დამნაშავე არავინაა, თუკი ამას მათივე თვალით შევხედავთ. ეს მანკიერებანი მათთვის უარეს შემთხვევაში ცდომილებებია ან ცუდი თვისებები, რის გამოც ისინი, საბოლოო ჯამში, უკეთესები ნამდვილად არ ხდებიან და, ცხადია, სავსებით მართლებიც არიან!

ბონადეა წინდას ისწორებდა. თავი გვერდზე ოდნავ გადასწია და ულრიხს ახედა, მის მუხლთან კი მარმაშებმა, ქობამ, გლუვმა წინდამ, დაძაბულმა თითებმა და კანის მარგალიტისებრმა ელვარებამ დამოუკიდებლად სულ სხვა ცხოვრება დაიწყო.

ულრიხმა სიგარეტს ნაჩქარევად მოუკიდა და განაგრძო: – ადამიანი კეთილი კი არ არის, ის ყოველთვის კეთილია. განსხვავება ნამდვილად დიდია, ხომ გესმის? თავკერძობის ასეთი სოფისტიკა სასაცილოდ ჩანს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანს ბოროტების ჩადენა საერთოდ არ შეუძლია. ის მხოლოდ გვეჩვენება ასეთად. თუ ამას ვაღიარებთ, მაშინ სოციალური მორალის ამოსავალ წერტილსაც მივაგნებთ.

ბონადეამ ამოიხვნეშა, კაბა გაისწორა და შეეცადა, ვისკის დაბინდული ოქროსფერი ცეცხლოვანი ყლუპით დამშვიდებულიყო.

– ახლა აგიხსნი, – ღიმილით დაამატა ულრიხმა, – რატომ

შეიძლება მოორსბრუგერის მიმართ ათასნაირი გრძნობით განეწყო, მაგრამ მაინც ვერაფერი გააკეთო. თავისი არსით, ყველა ეს საქმე ძაფის გამოჩრილ ბოლოს ჰგავს, რომელსაც ჩამოსწევ და მთელი საზოგადოებრივი ქსოვილი ჩამოიშლება.

ბონადეამ რატომღაც ფეხსაცმელი დაკარგა. ულრიხი დაიხარა და როცა ხელში ფეხსაცმელი აიღო, ბონადეამ მას თბილი ტერფი ბავშვივით გაუშვირა.

– გაუშვი, მე თვითონ.

– პირველ რიგში, ეს ფსიქიატრიულ-იურიდიული საკითხებია, – განაგრძო ულრიხმა ულმობელი ხმით, ბონადეას ფეხიდან კი შეზღუდული შერაცხადობის სუნი ეცა. – ყველამ ვიცით, რომ ექიმები ამგვარ დანაშაულებათა უმრავლესობის აღკვეთას უკვე შეძლებდნენ, საჭირო ფულის დახარჯვას რომ ვთანხმდებოდეთ. ასე რომ, ეს მხოლოდ სოციალური საკითხია.

– კარგი, გეყოფა! – სთხოვა ბონადეამ, როცა ულრიხმა „სოციალური“ მეორედ ახსენა. – სახლში რომ იწყებენ ხოლმე ამაზე ლაპარაკს, მაშინვე ოთახიდან გავდივარ.

– კარგი, კარგი, – დაუთმო ულრიხმა, – იმის თქმა მინდოდა, რომ თუკი ტექნიკა სიბინძურისგან, შიგნეულისგან, ნარჩენებისა და შხამისგან სასარგებლო საგნებს აწარმოებს, ფსიქოლოგიური ტექნიკაც შეძლებდა იმავეს. ადამიანი კი ამ საკითხების გადაჭრას სულაც არ ჩქარობს. სახელმწიფო ათასნაირ სისულელეში ფლანგავს ფულს, ყველაზე მნიშ

ვნელოვანი მორალური საკითხების გადასაჭრელად კი გროშსაც არ იმეტებს. ეს არის მისი ბუნება, რადგან სახელმწიფო ყველაზე უფრო სულელური და ბოროტი რამ არის, რაც კი ამქვეყნად არსებობს.

ულრიხმა ეს აზრი სრული დარწმუნებულობით წარმოთქვა. ბონადეა კი შეეცადა, ისევ საქმეზე გადასულიყვნენ.

– ძვირფასო, – უთხრა მან მოთენთილი ხმით, – მოორსბრუგერისთვის სწორედ ეგ არის საუკეთესო, რომ უპასუხისმგებლოა!

– ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რამდენიმე ისეთი ადამიანი მოგვეკლა, საკუთარ საქციელზე პასუხს რომ აგებს, ვიდრე სიკვდილისგან ერთი უპასუხისმგებლო დაგვეცვა! –

იგერიებდა ის ბონადეას.

ულრიხი ბოლთას სცემდა. ბონადეამ მასში მგზნებარება და რევოლუციური სული იგრძნო, მოახერხა, რომ მისი ხელი დაეჭირა და მკერდთან მიიტანა.

– მაშინ ახლა ემოციურ საკითხებს აგიხსნი.

ბონადეას ულრიხის ხელი ეჭირა, თითები გაუშალა და გულზე დაიდო. ისეთი მზერა ჰქონდა, რომ ქვასაც კი მოალბობდა. ულრიხს მოეჩვენა, რომ მკერდში ორი გული უძგერდა. ორივე გულისცემა ერთმანეთს ისე შერეოდა, როგორც სხვადასხვა საათის წიკწიკი მესაათის სახელოსნოში. ნებისყოფა მოიკრიბა, გული საგულეში დაიბრუნა და რბილად უპასუხა: – არა, ბონადეა!

ბონადეას ტირილს აღარაფერი უკლდა. ულრიხი კი არწმუნებდა: – ამ საკითხზე მხოლოდ იმიტომ ღელავ, რომ შემთხვევით გაიგე ჩემგან. მილიონობით უსამართლობას კი, ამაზე ბევრად უარესს, ყოველდღე რომ ხდება, ვერც კი ამჩნევ! განა ვერ ხედავ წინააღმდეგობას?

– ეგ რა შუაშია, – გააპროტესტა ბონადეამ, – საქმეც ის არის, რომ ეგ ვიცი! ცუდი ადამიანი ვიქნებოდი, მშვიდად რომ ვიყო.

ულრიხმა უპასუხა, რომ მშვიდად უნდა ყოფილიყო და თან დაამატა, მშფოთვარედ მშვიდადო. შემდეგ ბონადეასგან თავი გაითავისუფლა და ცოტა მოშორებით ჩამოჯდა.

– დღეს ყველაფერი „დროებით“ და „ჯერჯერობით“ ხდება. გონების კეთილსინდისიერება შემზარავ უსინდისობას გვაიძულებს.

ულრიხი ლაპარაკობდა, თან ვისკი დაისხა და ფეხები ტახტზე შეაწყო. იგრძნო, რომ იღლებოდა.

– თავიდან ცხოვრებაზე ყველა მთლიანობაში ფიქრობს, – უხსნიდა ის ბონადეას. – რაც უფრო ზუსტად იწყებს ფიქრს, მისი აზრებიც უფრო ვიწროვდება. სიმწიფის ასაკში შესული, რომელიმე ერთ კონკრეტულ კვადრატულ მილიმეტრში შესანიშნავად ორიენტირებს. კარგად ხედავს, რომ ისინი, რომლებსაც სწრაფი ორიენტაციის უნარი არა აქვთ, მასზე ათას სისულელეს ლაპარაკობენ. თვითონ განძრევასაც ვერ ბედავს და იმ ადგილს ერთი მიკრომილიმეტრითაც რომ მოსცილდეს,

მაშინვე სისულელეებზე დაიწყებს ლაპარაკს. – მისი დაღლილობა იმ დაბინდულ ოქროსფერ სასმელს დაემსგავსა, მაგიდაზე რომ იდგა.

„უკვე ნახევარი საათია, მეც სისულელეებს ვლაპარაკობ“, – ფიქრობდა ულრიხი, თუმცა მოდუნება სიამოვნებდა. რისაც ეშინოდა, ის იყო, რომ ბონადეას თავში აზრად არ მოსვლოდა და გვერდით არ მისჯდომოდა, ამიტომ ერთადერთი საშუალება, რაც მას ხელთ ჰქონდა, ლაპარაკი იყო.

ულრიხმა თავი უკან გადააგდო და ტახტზე მიწოლილი, მედიჩების სამლოცველოში საფლავის ქვებზე გამოსახულ ფიგურებს დაემსგავსა. ამ აზრმა თავში უცებ გაუელვა და მართლაც, როცა ეს პოზა მიიღო, მის სხეულს რაღაც დიდებულება დაეტყო. საკუთარი სხეულის დიდებულების განცდამ ულრიხს სიმშვიდე მოჰგვარა და იმაზე მეტი ძალა იგრძნო, ვიდრე ჰქონდა. პირველად იგრძნო, რომ ამ სიშორიდან ხელოვნების ეს ქმნილებები – აქამდე როგორც რაღაც უცხოს, ისე რომ უყურებდა – კარგად ესმოდა. იმის ნაცვლად, რომ ელაპარაკა, გაჩუმდა. ბონადეამაც იგრძნო რაღაც. ეს სწორედ „ის წუთი“ გახლდათ, როგორც მას უწოდებდნენ ხოლმე.

ორივე უეცრად დადუმდა. ისინი არტისტულად ამაღლებულმა გრძნობამ გააერთიანა.

„რა დარჩა ჩემგან? – ფიქრობდა ულრიხი მწარედ. – ადამიანი, რომელიც, ალბათ, გაბედული და მოუსყიდავია, რომელიც ფიქრობს, რომ შინაგანი თავისუფლების გამო ანგარიში მხოლოდ რამდენიმე კანონს უნდა გაუწიოს. ასეთი შინაგანი თავისუფლება ნიშნავს, შეგწევდეს უნარი, იფიქრო ყველაფერზე, ნებისმიერ ადამიანურ სიტუაციაში ხვდებოდე, რატომ არ არის საჭირო, ვალდებულებით მას დაუკავშირდე და არასდროს იცოდე, თუ რით გინდა, მას დაუკავშირდე!“. ამ არცთუ ისე ბედნიერ წუთს, როცა უცნაური, პატარა ტალღა – სულ ერთი წამით რომ აიტაცა ულრიხი – კვლავ უკუიქცა, ის მზად იყო, საკუთარ თავს გამოსტყდომოდა, რომ ერთადერთი, რის უნარიც შესწევდა, ყველა მოვლენაში ორი მხარის, იმ მორალური ამბივალენტურობის დანახვის უნარი იყო, მის თანამედროვეებს, თითქმის ყველას უკლებლივ, რომ ახასიათებდა და მთელი თაობისა და მათი ბედისწერის თანდაყოლილ ნიშნად ქცეულიყო. სამყაროსთან მისი დამოკიდებულება გაცრეცილი, მქრქალი და ნეგატიური იყო. რა

უფლება ჰქონდა ბონადეას, ასე მოჰქცეოდა? მათ შორის მუდამ ერთი და იგივე უსიამოვნო საუბარი მეორდებოდა. ეს საუბარი შინაგანი სიცარიელის ამოძახილი იყო, სადაც სროლის ხმა ორჯერ უფრო ძლიერი და ხანგრძლივია. წუხდა, რომ მასთან სხვაგვარად ლაპარაკს ვეღარ ახერხებდა და ამ საუბრით მოგვრილ ტანჯვას მშვენიერი სახელი გამოუძებნა – „ბაროკოს სიცარიელე“. ბონადეასთვის რაღაც სასიამოვნოს თქმა მოუნდა და წამოდგა.

– ერთი რაღაც შევამჩნიე, – მიუბრუნდა ბონადეას, რომელიც ისევ ღირსეულ პოზაში გარინდულიყო, – არსებობს ერთი მეტად უცნაური განსხვავება: საღ ჭკუაზე მყოფს შეუძლია სხვაგვარადაც მოიქცეს, შეურაცხადს კი – არასდროს!

ბონადეამ უპასუხა: – ეჰ, ულრიხ!

ერთადერთი, რამაც სიჩუმე დაარღვია, ეს ნათქვამი იყო და შემდეგ კვლავ დუმილი ჩამოწვა.

ბონადეას არ უყვარდა, როცა ულრიხი მისი თანდასწრებით ზოგად თემებზე იწყებდა ლაპარაკს. სრულიად სამართლიანად გრძნობდა, რომ ყოველი არასწორი ნაბიჯი თავის მსგავს ადამიანებთან აახლოვებდა, და იმაში, რომ ულრიხი გრძნობების სანაცვლოდ აზრებით უმასპინძლდებოდა, მის მიუკარებლობას, ზომაგადასულობას და მარტოსულობას გრძნობდა. დანაშაული, სიყვარული და სევდა ერთ წრედ იკვრებოდა და ეს მეტისმეტად საშიში იყო. ულრიხი აღარც ისეთი მოკრძალებული და სრულყოფილი ეჩვენებოდა, როგორც ნაცნობობის პირველ ხანებში ფიქრობდა. სამაგიეროდ მასში რაღაც ყმაწვილურს ხედავდა, რაც მის იდეალიზმს ისევე აღაგზნებდა, როგორც ბავშვს, რაღაცით შეშინებულს დედისკენ გაქცევა რომ ვერ გაუბედავს. ბონადეას ნაზი გრძნობები მოეძალა და კალაპოტში ვეღარ ტევდა, მაგრამ უარისთანავე თავი მოთოკა. ჯერ კიდევ არ განელებოდა მოგონებები, როცა ბოლოჯერ მის ტახტზე უმწეოდ შიშველი იწვა და გადაწყვიტა, სკამზე ქუდით და პირბადით მჯდარიყო: უნდოდა, ულრიხისთვის ეგრძნობინებინა, რომ მის წინ იჯდა ადამიანი, ვისაც საკუთარი გრძნობების მართვა ისევე შეეძლო, როგორც მის მეტოქე დიოთიმას.

დიდი მღელვარებისთვის, საყვარლის სიახლოვეს რომ განიცდიდა, ბონადეას დიდი იდეა მუდამ აკლდა. ცხოვრებაც

ხომ ასეა; მასაც ბევრი მღელვარება და ნაკლები აზრი ახლავს თან. ბონადეამ კი ეს არ იცოდა და ცდილობდა, რამე იდეა გამოეხატა. ულრიხის იდეებს ღირსება აკლდა, მას რომ ასე ძლიერ სჭირდებოდა, ამიტომ ეძებდა, ალბათ, ისეთს, რომელიც უფრო მშვენიერი და ემოციური იქნებოდა. გაუბედაობა, სულმდაბალი ლტოლვა და თანაც შემზარავი შიში იმისა, რომ გრძნობებს ნაადრევად არ მოეხიბლა, სიჩუმეს შერეოდა. ამ სიჩუმეში კი განუხორციელებელი მოქმედებები თრთოდა და სიჩუმეში გარინდულმა მოგონებებმა ერთ წამს საყვარელთან გააერთიანა. ეს ყველაფერი ისე იყო, ცაზე საწვიმარი ღრუბლები რომ დაეკიდება და ვერა და ვერ იწვიმებს; ეს იყო რაღაც გახევება, რომელიც მთელ მის სხეულს მოედო და იმის წარმოდგენამ, რომ, შესაძლოა, თავდაჭერილობას ისე ემტყუნა, რომ ვერც კი შეემჩნია, ბონადეა შეაკრთო.

უცბად ამ ყველაფრიდან ფიზიკური ილუზია გამოსხლტა – რწყილი. ბონადეა ვერ ხვდებოდა, რა იყო ეს: რეალობა თუ ფანტაზია. გრძნობდა, რომ ტვინი დაუბუჟდა, უცნაური შთაბეჭდილება იყო, თითქოს ერთ აზრს სხვა დანარჩენი ბუნდოვანი კავშირებისგან თავი დაეხსნა, მაგრამ ეს მაინც ილუზია იყო. ჟრუანტელმა დაუარა, თითქოს სხეულზე ნამდვილი ჭიანჭველები დაუდიოდნენ, და სუნთქვა შეეკრა. ასე ემართება ხოლმე ადამიანს, როცა კიბეზე ფეხის ხმა ესმის, თვითონ კი იცის, რომ იქ არავინაა და მაინც პაკ-პუკ... გარკვევით ჩაესმის. თითქოს ცაზე გაიელვაო, ბონადეას გონება გაუნათდა: მიხვდა, რომ ეს ფეხსაცმლის დაკარგვის უნებლიე გაგრძელება იყო, ქალის სასოწარკვეთილი მცდელობა, მდგომარეობიდან გამოსულიყო. სწორედ იმწუთას, როცა მოჩვენებისგან თავის დახსნას ცდილობდა, ძლიერი ჩხვლეტა იგრძნო. ბონადეამ სუსტი ხმით წამოიკივლა, ლოყები აუწითლდა და ულრიხს სთხოვა, მოძებნაში დახმარებოდა. რწყილი იმ ადგილებს ეტანება, რომლებსაც – საყვარელი. წინდა შეამოწმეს. საჭირო გახდა საკინძის შეხსნაც. ბონადეა უხსნიდა, ან ტრამვაიდან ამეკიდა, ან შენთანო. რწყილს ვერსად პოულობდნენ; ისე გამქრალიყო, რომ კვალიც არ დაეტოვებინა.

– არ ვიცი, რა იყო! – თქვა ბონადეამ.

ულრიხს მოულოდნელად თბილად გაეღიმა.

ბონადეას იმ პატარა გოგოსავით წასკდა ცრემლები, ცუდად რომ მოიქცევა და ატირდება.

64. გენერალი შტუმ ფონ ბორდვერი სტუმრად დიოთიმასთან

გენერალი შტუმ ფონ ბორდვერი დიოთიმას ვიზიტით ეახლა. ეს ის ოფიცერი გახლდათ, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ დამფუძნებელ სხდომაზე მიავლინა და სადაც მისმა წარმოთქმულმა სიტყვამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რომ სამშვიდობო აქციისთვის სამინისტროების მოდელის მიხედვით კომიტეტების დაარსებისას თავდაცვის სამინისტროსთვის გვერდი აევლოთ. არცთუ დიდად წარმოსადეგ გენერალს ჯაგარივით ულვაშები და პატარა ღიპი ჰქონდა. მისი მრგვალი პირისახე ოჯახური სიმყუდროვის გრძნობას აღძრავდა, თუმცა ამ ოჯახში არმიის ოფიცრის ქორწინებისთვის საჭირო ქონებაზე მეტს ვერაფერს იპოვიდით. დიოთიმას უთხრა, რომ ჯარისკაცებისთვისაც უნდა დაეკისრებინათ მოკრძალებული როლი საბჭოში. თავისთავად ცხადი იყო, რომ კომიტეტების ჩამოყალიბებისას პოლიტიკური მოსაზრების გამო თავდაცვის სამინისტროს ვერ გაითვალისწინებდნენ. გავბედავ და ვიტყვი, თქვა გენერალმა, რომ დაგეგმილმა აქციამ უცხოეთის ქვეყნებზე უნდა იმოქმედოს, ხოლო ის, რაც უცხოეთზე მოქმედებს, ხალხის ძალაა. შემდეგ გაიმეორა: ფილოსოფოსმა ტრაიჩკემ თქვა, სახელმწიფო ძალაუფლებაა, რომელმაც თავი ხალხთა ბრძოლაში უნდა შეინარჩუნოსო. მშვიდობიან პერიოდში მოკრებილი ძალა ომისგან გვაშორებს ან მის სისასტიკეს ამცირებსო. მერე კიდევ თხუთმეტ წუთს ილაპარაკა და კლასიკოსთა ციტატებს იმოწმებდა, რომლებსაც, მისივე თქმით, გიმნაზიაში სწავლის დროიდან მეხსიერებაში სათუთად ინახავდა. ჰუმანიტარული საგნების სწავლის პერიოდი ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებიაო, ამტკიცებდა გენერალი, ცდილობდა, დიოთიმასთვის ეგრძნობინებინა, რომ მისით აღფრთოვანებული იყო და ისიც დაამატა, რომ აღტაცებით შეჰყურებდა, როგორ უძღვებოდა დიდ სხდომას. უნდოდა, ისევ გაემეორებინა, შეიარაღებული ძალების სრულყოფის საკითხის სწორად გაგება, დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებს ასე რომ ჩამორჩებოდა, ანტისაომარი მოსაზრებების ყველაზე უფრო მეტყველ მანიფესტაციად იქცევაო და იმ მტკიცე რწმენის შესახებ განაცხადა, არმიის მშენებლობის საკითხში ხალხის ფართო მასების მონაწილეობა თავისთავად მოხდებაო.

ამ სანდომიანმა გენერალმა დიოთიმას შიშით კინაღამ გული გაუხეთქა. კაკანიაში არსებობდა ოჯახები, სადაც ოფიცრები დადიოდნენ, რადგან მათი ქალიშვილები ოფიცრებზე ქორწინდებოდნენ, ხოლო იმ ოჯახებში, რომელთა ქალიშვილებიც ქორწინებისთვის საჭირო ფულის უქონლობის ან რამე პრინციპის გამო ოფიცრებზე არ თხოვდებოდნენ, ოფიცრები არ დადიოდნენ. დიოთიმას ოჯახი მეორე კატეგორიისთვის უნდა მიგვეკუთვნებინა და ამ სინდისიერ, ლამაზ ქალს მთელი ცხოვრების მანძილზე სამხედრო საქმეზე ისეთი წარმოდგენა გაჰყვა, თითქოს ის ფერად-ფერადი ჩვრებით მორთული სიკვდილი ყოფილიყოს. მან მიუგო: ამქვეყნად იმდენი ამაღლებული და კეთილშობილი იდეაა, არჩევანის გაკეთება მეტად რთულიაო. მატერიალისტურ ორომტრიალში მსოფლიოს წინაშე დიადი იდეის წარმოჩენა პრივილეგიაა, მაგრამ თან მძიმე მოვალეობაცო. მანიფესტაცია ხალხის წიაღიდან უნდა იშვას და კერძო სურვილები გვერდზე უნდა გადავდოთო. თითქოს მოშავო-მოყვითალო ძაფით აკინძული ბიუროკრატიული ლექსიკონიდან საგულდაგულოდ შერჩეული სიტყვები დიოთიმას ტუჩებს კეთილსურნელებად ადნებოდა.

გენერალთან გამომშვიდობების შემდეგ ამ დიდებულმა ქალმა სულიერი მხნეობა დაკარგა. სულმდაბალი გრძნობები მისთვის უცხო რომ არ ყოფილიყო, ამ ჩამრგვალებულ, დაბალ კაცს, მლიქვნელური თვალებით და ღიპზე შეკრული ოქროსფერი ღილებით, უთუოდ შეიძულებდა. შეურაცხყოფილმა დიოთიმამ ყრუ ტკივილი იგრძნო და მიზეზი თვითონაც ვერ გაეგო. ზამთრის სიცივის მიუხედავად ფანჯარა გამოაღო და კაბის შარიშურით ოთახში წინ და უკან მოჰყვა სიარულს. ფანჯარა რომ მიკეტა, თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა. გაოგნებული იყო. უკვე მეორედ მოხდა, რომ უმიზეზოდ ტიროდა. ის ღამე გაახსენდა, საწოლში ქმრის გვერდით ცრემლად რომ იღვრებოდა და თავის გრძნობებს ახსნას ვერ უძებნიდა. ამ მსუქანმა ოფიცერმა ხახვივით აატირა ისე, რომ მის ცრემლებში გრძნობები არ მონაწილეობდა. წინასწარმეტყველურმა შიშმა უკარნახა, რომ მის ბაგასთან უხილავი მგელი დაძრწოდა და უკვე დრო იყო, იდეებით დაეფრთხო. აი, რატომ გადაწყვიტა, დაეჩქარებინა თავისი დროის გამოჩენილი ადამიანების დაგეგმილი თავყრილობა, რაც დაეხმარებოდა, პატრიოტული აქციისთვის შინაარსი მიენიჭებინა.

65. არნჰაიმის და დიოთიმას საუბრებიდან

დიოთიმას დარდს ის უმსუბუქებდა, რომ მოგზაურობიდან დაბრუნებული არნჰაიმი კვლავ მის განკარგულებაში იქნებოდა.

– თქვენს ნათესავს გენერლების თაობაზე სულ რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე, – უთხრა არნჰაიმმა დიოთიმას მაშინვე და ეს ამბავი იმ ადამიანის სახით ამცნო, რაღაც საეჭვო კავშირს რომ გულისხმობს და თან გამხელაც რომ არ სურს, საქმის არსი რაში მდგომარეობს. დიოთიმას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ მისი ნათესავი, რომელიც ასეთ წინააღმდეგობრივ გრძნობებს ბადებდა და აქციის იდეაც დიდად არ ხიბლავდა, იმ ხიფათს უწყობდა ხელს, რასაც ის გენერალში ხედავდა.

არნჰაიმმა განაგრძო: – არ მინდა ამის შესახებ თქვენი ნათესავის თანდასწრებით ვილაპარაკო და ეს საკითხი სასაცილოდ ავაგდებინო, – ამ ნათქვამით მან საუბარს სულ სხვა მიმართულება მისცა. – ჩემთვის მნიშვნელოვანია, ცოტათი მაინც გაგრძნობინოთ ის, რასაც თქვენ ნაკლებად მიაქცევთ ყურადღებას, რადგან ამგვარი საკითხებისგან შორს დგახართ. ცხადია, ვგულისხმობ მეწარმეობას, ამ სიტყვის ფართო, მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელობით, რასაც მე მემკვიდრეობის გამო ვეწევი. ის პოეზიას ჰგავს. მას ირაციონალური, მისტიკური ხასიათი აქვს. უფრო მეტსაც გეტყვით: ყველაზე მეტად ეს მხარე მეწარმეობაში ვლინდება. იცით რა, ფული განსაკუთრებულად შეუწყნარებელი ძალაუფლებაა.

– ალბათ, გარკვეულწილად, შეუწყნარებლობა ყველაფერშია, რაშიც ადამიანი მთელ თავის გულსა და სულს დებს, – ყოყმანით უპასუხა დიოთიმამ, აზრებით კი ისევ საუბრის პირველ, დაუმთავრებელ ნაწილს დასტრიალებდა.

– განსაკუთრებით ფულში! – მიუგო არნჰაიმმა სწრაფად. – სულელებს ჰგონიათ, რომ ფული ტკბობაა. არადა სინამდვილეში ეს საშინელი პასუხისმგებლობაა. აღარ დავიწყებ იმ უამრავ ადამიანზე ლაპარაკს, რომლებიც ჩემზე არიან დამოკიდებული და რომლებისთვისაც მე ლამის ბედისწერას განვასახიერებ. უბრალოდ გეტყვით, რომ პაპაჩემმა მეწარმეობა რაინისპირა საშუალო სიდიდის ქალაქში ნაგვის გადამუშავებით დაიწყო.

ამ სიტყვების მოსმენისას დიოთიმას უცებ გააჟრჟოლა, რადგან მოეჩვენა, რომ მათ უკან ეკონომიკური იმპერიალიზმი იდგა. დიოთიმა ბევრ რამეს ერთმანეთში ურევდა და არც თავისი წრის სტერეოტიპებისგან იყო თავისუფალი და რადგან სიტყვებმა „ნაგვის გადამუშავება“ ფუნის სუნით გაჟღენთილი გლეხები გაახსენა, მეგობრის თამამმა აღიარებამ ლოყები შეუფაკლა.

– ნაგვის გადამუშავების პროცესით, – განაგრძო მან აღიარებითი ჩვენება, – პაპაჩემმა არნჰაიმების გავლენას დაუდო სათავე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მამაჩემმა ეს ფირმა ორმოცი წლის მანძილზე მსოფლიო მასშტაბის კონცერნად აქცია, ისიც ნამდვილ Selfmademan-ად მოგეჩვენებათ. მას სავაჭრო სასწავლებლის მხოლოდ ორი კლასი აქვს დამთავრებული, მაგრამ თვალის ერთი შევლებით ძირისძირში ხედავს ყველაზე რთულ მსოფლიო მოვლენებს და სხვებზე ადრე ხვდება იმას, რაც აინტერესებს.

რა არ ვისწავლე: პოლიტიკური ეკონომია და ამქვეყნად ყველა მეცნიერება. მამაჩემისთვის ეს ყველაფერი უცხოა, მაგრამ თვით წვრილმანებშიც კი არასდროს განუცდია მარცხი. გაუგებარია, როგორ ახერხებს... ძლიერი, სადა, დიდი და საღი ცხოვრების საიდუმლო სწორედ ამაში მდგომარეობს!

მამაზე ლაპარაკისას არნჰაიმის ხმამ უჩვეულოდ მოკრძალებული ჟღერადობა შეიძინა, თითქოს მის დამრიგებლურ სიმშვიდეს პატარა ბზარი შეეპარა. დიოთიმასთვის ეს მით უფრო თვალში საცემი იყო, რადგან არნჰაიმმა მამამისი დაბალ, მხრებგანიერ კაცად დახატა, ძვლიანი სახით და პაჭუა ცხვირით, რომელსაც ყოველთვის მერცხლის ფრთებივით ბოლოგაშვერილი ფრაკი ეცვა და ისე ჯიუტად და წინდახედულად მართავდა აქციებს, როგორც მოჭადრაკე – პაიკებს. მცირე პაუზის შემდეგ არნჰაიმმა ისე განაგრძო ლაპარაკი, რომ პასუხს არ დალოდებია.

– როცა წარმოება ისე ფართოვდება, როგორც მოგახსენეთ, მართლაც, არ არსებობს ცხოვრების ისეთი სფერო, რომელთანაც ის არ იყოს დაკავშირებული. ეს ნამდვილი მიკროკოსმოსია. გაგიკვირდებათ, რომ იცოდეთ, რამდენად არაკომერციულ-შემოქმედებით, მორალურ-პოლიტიკურ საკითხებთან მიწევს შეხება ფირმის ხელმძღვანელთან საუბრის დროს. მაგრამ ფირმა უკვე ისე სწრაფად ვეღარ მიიწევს წინ, როგორც ეს

საწყის ეტაპზე ხდებოდა და რასაც ჰეროიკულს ვუწოდებდი. მიუხედავად აყვავებისა, მეწარმეობასაც ზრდის რაღაც იდუმალი ზღვარი გააჩნია, ისევე როგორც ყველაფერ ორგანულს. გიფიქრიათ, რატომ ვერ გაასწრო ვერც ერთმა ცხოველმა სპილოს სიმაღლეში? ასეთივე იდუმალებას წააწყდებით ხელოვნების ისტორიაში, ხალხთა ცხოვრების უცნაურ თანაფარდობაში, კულტურასა და ეპოქებში.

დიოთიმა ნანობდა, რომ ნაგვის გადამუშავების საკითხმა ასე დააფრთხო და შეცბა.

– ცხოვრება სავსეა ამგვარი იდუმალებით. არსებობს რაღაც, რის პირისპირაც გონება სრულიად უძლურია. მამაჩემს ამასთან კავშირი აქვს. მაგრამ თქვენი ნათესავისნაირი ადამიანი, – თქვა არნჰაიმმა, – აქტივისტი, რომელსაც თავში მუდამ ის უტრიალებს, როგორ მოაწყოს ყველაფერი უკეთ და სხვაგვარად, ამგვარი საკითხების მიმართ დიდი მგრძნობელობით არ გამოირჩევა.

ულრიხის ხელახლა ხსენებაზე დიოთიმამ ღიმილით აგრძნობინა, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც მისი ნათესავი იყო, სრულებით არ აცხადებდა პრეტენზიას, მასზე რამე გავლენა მოეხდინა. არნჰაიმს მოყვითალო, მსხალივით გლუვი სახის კანი ლოყებზე შეეფაკლა. ის იმ უცნაურ მოთხოვნილებას დანებდა, რომელსაც დიოთიმა მასში უკვე დიდი ხანია აღძრავდა – ანგარიშმიუცემლად მინდობოდა მას თვით უმნიშვნელო, მისთვის სრულიად უცნობ დეტალებშიც კი. არნჰაიმი გაჩუმდა. გული დაეხშო. მაგიდიდან წიგნი აიღო და სათაურს ისე დახედა, რომ არც უცდია მისი მნიშვნელობა გაეგო; შემდეგ ისევ მოუთმენლად დადო მაგიდაზე და ჩვეულებრივი ხმით დაილაპარაკა, რამაც დიოთიმაზე ისე იმოქმედა, როგორც იმ ადამიანის მოძრაობამ, ტანსაცმელს რომ დაავლებს ხელს და მაშინღა მიხვდები, რომ თურმე შიშველი ყოფილა.

– თემას გადავუხვიე. რაც შეეხება გენერალს, მინდა გითხრათ, რომ იმაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებთ, თუ შეძლებისდაგვარად სწრაფად განახორციელებთ თქვენს გეგმას და ჰუმანური იდეების გავლენით ჩვენი აქციის მნიშვნელობას გაზრდით. გენერალსაც ნუ გაისტუმრებთ უარით. ის, ალბათ, კეთილი ნების ადამიანია. თქვენთვის კი ჩემი პრინციპი ცნობილია: არასდროს გავუშვათ ხელიდან ძალაუფლების

სფეროსთან სულის ზიარების საშუალება.

დიოთიმამ არნჰაიმის ხელს ხელი წაავლო და გამომშვიდობებისას საუბარი შემდეგი სიტყვებით შეაჯამა: მადლობას მოგახსენებთ გულწრფელობისათვის!

არნჰაიმს მისი რბილი ხელი ერთ წამს გაუბედავად ეჭირა და დაფიქრებული შეჰყურებდა დიოთიმას, თითქოს რაღაცის თქმა დავიწყებოდა.

66. ულრიხსა და არნჰაიმს შორის ზოგი რამ მოუგვარებელია

დიოთიმას ნათესავი არ იკლებდა იმ სიამოვნებას, რასაც მის ბრწყინვალებასთან შეძენილი პროფესიული გამოცდილების ამ დიდებული ქალბატონისთვის გაზიარება ჰგვრიდა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი კვლავ გრაფ ლაინსდორფთან შემოსული წერილების დიოთიმასთვის ჩვენებას ანიჭებდა.

– ძლევამოსილო ქალბატონო, – განუცხადა დიოთიმას ულრიხმა დასტა-დასტა დოკუმენტებით ხელში, – მარტო თავს ვეღარ ვართმევ. როგორც ჩანს, კაცობრიობა ჩვენგან უკეთესის მოლოდინშია. ნაწილი წერილებისა იწყება სიტყვებით: „თავი დავიხსნათ ...გან“, მეორე ნაწილი მოგვიწოდებს: „წინ ...კენ!“. ხელთ მაქვს მოთხოვნები, რომელთა დიაპაზონიც მოიცავს სურვილებს დაწყებული „გავთავისუფლდეთ რომისგან!“ დამთავრებული „წინ მებაღეობისკენ!“. რომლის გადაწყვეტას ინებებდით?

ადვილი არ იყო თანამედროვეთა მიერ გრაფი ლაინსდორფის სახელზე გაგზავნილი წერილების წესრიგში მოყვანა. თავისი მოცულობით განსაკუთრებით ორი ჯგუფის წერილები გამოირჩეოდა. პირველი მათგანი ეპოქის უწესრიგობაში რომელიმე კერძო, კონკრეტულ მოვლენას აკისრებდა პასუხისმგებლობას და მის აღმოფხვრას ითხოვდა. ასეთი კონკრეტული მოვლენა, არც მეტი და არც ნაკლები, შესაძლოა ყოფილიყო ებრაელები, რომაული ეკლესია, სოციალიზმი ან კაპიტალიზმი, მექანიკური აზროვნების ტიპი ან ტექნიკური პროგრესის უგულებელყოფა, რასების შერევა ან, პირიქით, მსხვილი ფეოდალები, დიდი ქალაქები, ინტელექტუალიზაცია ან არასაკმარისი სახალხო განათლება. მეორე ჯგუფის წერილები კი, პირიქით, სახავდნენ მიზანს, რომლის

მიღწევასაც სრულიად შესაძლებლად მიიჩნევდნენ. ამ მეორე ჯგუფის სანუკვარი მიზნები პირველი ჯგუფის კერძო მოვლენებისგან, განადგურებას რომ იმსახურებდნენ, როგორც წესი, მხოლოდ ემოციური ტონალობით განსხვავდებოდა, რადგან, როგორც ჩანს, ამქვეყნად კრიტიკული და დამყოლი ბუნების ადამიანები არსებობენ. ასე რომ, მეორე ჯგუფის წერილები უარმყოფელის სიხარულით აცხადებდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს დაემსხვრიათ ხელოვნების სასაცილო კულტი, რადგან ცხოვრება უფრო დიდი პოეტია, ვიდრე ეს ვაი-პოეტებიო და საყოველთაო მოხმარების მიზნით სასამართლო სხდომათა ჩანაწერებისა და ტურისტული მარშრუტების კრებულების სახით გამოცემას ითხოვდნენ. პირველი ჯგუფი კი თანხმობის სიხარულით ამტკიცებდა, მწვერვალის დაპყრობით განცდილი აღმაფრენა შემოქმედებით, ფილოსოფიურ და რელიგიურ აღმაფრენას აღემატება და მათ ნაცვლად ალპინიზმს შევუწყოთ ხელიო. ორივე შემთხვევაში ეპოქის ტემპის შენელებას ისევე ითხოვდნენ, როგორც საუკეთესო საგაზეთო ფელეტონისთვის კონკურსის გამოცხადებას, რადგან ცხოვრება აუტანელი და მომხიბვლელად ხანმოკლეაო; კაცობრიობის გათავისუფლების გზას ხედავდნენ როგორც მებაღეობაში, მონობის უღლისგან ქალის გათავისუფლებაში, ცეკვაში, სპორტში, ბინათმშენებლობის კულტურაში, ისე ზემოთ დასახელებულთა და აუარებელი სხვა რამის უარყოფაში.

ულრიხმა საქაღალდე დახურა და კერძო საუბარი წამოიწყო.

– ძლევამოსილო ქალბატონო, – თქვა მან, – მართლაც რომ განსაცვიფრებელი მოვლენაა. ნაწილი ხსნას მომავალში ეძებს, ნაწილი კი – წარსულში. არ ვიცი, კაცმა რა დასკვნა უნდა გამოიტანოს. მისი ბრწყინვალება კი ბრძანებდა, აწმყო საძაგელიაო.

– მის ბრწყინვალებას ეკლესიასთან დაკავშირებული რამე განზრახვა ხომ არ აქვს? – ჰკითხა დიოთიმამ.

– ამწუთას იგი იმ აზრისაა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ნებაყოფლობითი უკუსვლა არ არსებობს. საქმეს კი ის ართულებს, რომ თურმე არც გვქონია რამე სასარგებლო წინსვლა. თქვენი ნებართვით, ამ მდგომარეობას უცნაურს ვუწოდებდი: როცა არც წინსვლა არსებობს და არც უკუსვლა, არსებული მომენტი კი აუტანელია.

როცა ულრიხი ამგვარ ლაპარაკს იწყებდა, დიოთიმა თავის დიდ სხეულში, როგორც კოშკში, ისე შეიყუჟებოდა ხოლმე, იმ კოშკში, ტურისტულ ცნობარში სამი ვარსკვლავით რომ არის აღნიშნული.

– როგორ ფიქრობთ, მოწყალეო ქალბატონო, – ჰკითხა ულრიხმა, – ის ადამიანი, დღეს რომ რაღაცისთვის იბრძვის, ხვალ სასწაულებრივად სამყაროს მბრძანებლად რომ იქცეს, იმავე დღეს შეუდგებოდა იმის კეთებას, რასაც მთელი ცხოვრება ითხოვდა? დარწმუნებული ვარ, რამდენიმე დღით მაინც გადადებდა.

ულრიხი შეუჩერებლივ ლაპარკობდა და ამიტომ დიოთიმამ, ისე რომ პასუხი არ გაუცია, მკაცრად ჰკითხა: – რა მოსაზრებით ჩაუნერგეთ გენერალს იმედი ჩვენი აქციის თაობაზე?

– რომელ გენერალს?

– გენერალ ფონ შტუმს!

– იმ ჩამრგვალებულ, დაბალ გენერალს პირველი სხდომიდან? მე? იმ სხდომის შემდეგ ერთხელაც არ მინახავს, იმედის მიცემაზე რომ აღარაფერი ვთქვათ!

ულრიხის გაოცება იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ დაუყოვნებლივ განმარტებას ითხოვდა. არც არნჰაიმი იყო ის ადამიანი, ტყუილი რომ ეთქვა. ცხადია, რაღაც გაუგებრობა იყო და დიოთიმამ აუხსნა ულრიხს, რას ეყრდნობოდა მისი ვარაუდი.

– გამოდის, რომ არნჰაიმს გენერალ ფონ შტუმზე ველაპარაკე? არც ეს მომხდარა! – ირწმუნებოდა ულრიხი. – არნჰაიმს... ერთი წუთით, – ის ჩაფიქრდა და უცბად გაეცინა. – მეამებოდა, არნჰაიმი ჩემს სიტყვას ასეთ მნიშვნელობას რომ ანიჭებდეს! ბოლო დროს რამდენჯერმე ვესაუბრე, თუ ჩვენ შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობას საუბარი ჰქვია. ერთხელ მართლაც ველაპარაკე გენერალზე, მაგრამ რომელიმე კონკრეტულ გენერალს კი არ ვგულისხმობდი, ისე, მაგალითისთვის, სხვათა შორის ვახსენე! ვამტკიცებდი: გენერალი, რომელიც სტრატეგიული მოსაზრებებით ბატალიონებს აშკარა სიკვდილზე უშვებს, მკვლელია, თანაც თუ ამას იმ ფაქტთან დავაკავშირებთ, რომ ათასობით ჯარისკაცი ვიღაცის შვილია. ხოლო თუ იგივე გენერალი

რომელიმე სხვა იდეას დავუკავშირეთ, მაგალითად, მსხვერპლის აუცილებლობას ან ხანმოკლე სიცოცხლის უმნიშვნელობას, ის მაშინვე განსხვავებულ მნიშვნელობას შეიძენს-მეთქი. სხვა უამრავი მაგალითიც მოვიყვანე. ახლა კი ნება მომეცით, თემას გადავუხვიო. გასაგებ მიზეზთა გამო ყოველი თაობა საკუთარ ეპოქას, როგორც მყარს, ისე უყურებს, იმ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, რის შეცვლითაც თავად არის დაინტერესებული. ეს დამოკიდებულება სასარგებლოა, მაგრამ მცდარი. სამყარო ხომ ნებისმიერ წუთს ყველა ან ნებისმიერი მიმართულებით შეიძლება შეიცვალოს. ასე ვთქვათ, ეს ავადმყოფობა მას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. მაშინ თვითმყოფადი ცხოვრება დაერქმეოდა არა იმას, რომ ეცადო, ისე მოიქცე, როგორც რომელიმე კონკრეტული ადამიანი რომელიმე კონკრეტულ სამყაროში, სადაც სიახლე მხოლოდ ღილების გადაადგილებას ნიშნავს, არამედ ისე, როგორც ცვლილებისთვის შექმნილ სამყაროში იმთავითვე ცვლილებისთვის გაჩენილი ადამიანი, ანუ დაახლოებით ისე, როგორც წყლის წვეთი – ღრუბელში. ისევ ბუნდოვნად ვლაპარაკობ და, ალბათ, ვერ მიტანთ.

– არა, სულაც არა, თუმცა არ მესმის, რას ლაპარაკობთ. მომიყევით, რაზე ისაუბრეთ! – უბრძანა დიოთიმამ.

– არნჰაიმმა თვითონ წამოიწყო. შემაჩერა და საუბარში ჩამითრია, – დაიწყო ულრიხმა, – „ჩვენ, კომერსანტები“, რაღაც ისეთი ღიმილით მითხრა, რაც ქცევის მის მშვიდ მანერას, ასე რომ ახასიათებს, დიდად არ შეეფერება, თუმცა მაინც ძალიან მედიდური იყო, – „ჩვენ, კომერსანტები, არ ვითვლით, როგორც, ალბათ, თქვენ ფიქრობთ. ჩვენ – ცხადია, ვგულისხმობ წამყვან კომერსანტებს; წვრილი ვაჭრები, შესაძლოა, განუწყვეტლივ ითვლიდნენ – წარმატებულ წამოწყებებს ისე ვუყურებთ, როგორც რაღაც ისეთს, რაც კალკულაციას აბუჩად იგდებს ისევე, როგორც პოლიტიკოსის პირადი წარმატება ან ბოლოს და ბოლოს მხატვარი“. შემდეგ მთხოვა, შემწყნარებლობა გამომეჩინა და ისე განმესაჯა ის, რის თქმასაც აპირებდა, რადგან ეს საკითხი ირაციონალურობაზე აცხადებდა პრეტენზიას. პირველივე დღიდან, როგორც კი გნახეთ, თქვენზე ვფიქრობდიო, გამომიტყდა ის და თქვენც, მოწყალეო ქალბატონო, თურმე ჩემ შესახებ მისთვის ზოგი რამ გითქვამთ. მაგრამ თქვენზე საკუთარი წარმოდგენის შესაქმნელად ვინმეს მონაყოლის მოსმენა სულ არ მჭირდებაო, – მარწმუნებდა ის.

შემდეგ განმიცხადა: უცნაურია, აბსტრაქტული, განყენებული პროფესია რომ აირჩიეთ, რადგან, რაც უნდა დიდ უნარს ავლენდეთ ამ საქმიანობის მიმართ, შეცდით, როცა მეცნიერება აირჩიეთო. თქვენი ტალანტი, შესაძლოა, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მოქმედებისა და პიროვნული ზემოქმედების სფეროაო.

– მართლა? – თქვა დიოთიმამ.

– სრულიად გეთანხმებით, – ნაჩქარევად უპასუხა ულრიხმა. – ყველაზე ნაკლებად რისთვისაც გამოვდგები, სწორედ საკუთარი თავის სარგებლობაა.

– იმის მაგივრად, რომ იცხოვროთ, ყველაფერს აბუჩად იგდებთ, – უთხრა დიოთიმამ, რომელსაც წყენა ჯერ არ განელებოდა.

– არნჰაიმი კი საპირისპიროს ამტკიცებს! მისი აზრით, თურმე ცხოვრების თაობაზე საკუთარი მოსაზრებებიდან ზედმეტად ფუნდამენტური დასკვნების გამოტანის მოთხოვნილება მაქვს.

– თქვენ ყველაფერს დასცინით და უარყოფა გიყვართ. ერთი სული გაქვთ, შეუძლებლისკენ გადაუხვიოთ და რეალურ გადაწყვეტილებას თავს არიდებთ!

– უბრალოდ დარწმუნებული ვარ, რომ აზროვნება ერთია, ცხოვრება კი – მეორე. ისინი ხომ დღეს სხვადასხვა საფეხურზე დგანან და განსხვავებაც ძალზე დიდია. ჩვენი ტვინი რამდენიმე ათას წელს ითვლის. მას რომ ყველაფერზე სანახევროდ ფიქრი შეეძლოს, დარჩენილი ნახევარი კი დაივიწყოს, მაშინ რეალობა მისი ზუსტი ანარეკლი იქნებოდა. უარი მას მხოლოდ სულიერ საკითხებში მონაწილეობის მიღებაზე უნდა ვუთხრათ.

– ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მეტისმეტად ირიოლებთ საქმეს? – ჰკითხა დიოთიმამ და ისე შეხედა, როგორც მთა დაჰყურებს ნაკადულს. – თეორიები არნჰაიმსაც უყვარს, მაგრამ ვფიქრობ, თუ საგულდაგულოდ არ შეამოწმა, ძნელად რომ რამეს დათანხმდეს. არ ფიქრობთ, რომ აზროვნების დანიშნულება იდეის განხორციელების შესაძლებლობაზე კონცენტრაციაა?

– არა, – უპასუხა ულრიხმა.

– საინტერესოა, რა პასუხი გაგცათ არნჰაიმმა?

– მითხრა, სული დღეს მოვლენათა განვითარების უსუსური მაყურებელია, რადგან დიდ ცხოვრებისეულ ამოცანებს თავს არიდებსო. მომიწოდა, დავკვირვებოდი, რა არის დღეს ხელოვნების ინტერესის საგანი, რა წვრილმანებს შეუპყრია ეკლესია ან თვით მეცნიერული თვალთახედვა რარიგ ვიწროა. შემდეგ გამომიცხადა, რომ ამ საკითხებზე სურდა ჩემთან საუბარი.

– თქვენ რა უპასუხეთ? – ჰკითხა დიოთიმამ ინტერესით. ფიქრობდა, რომ არნჰაიმი ულრიხისთვის პარალელური აქციის საკითხებთან გულგრილი დამოკიდებულების გამო აპირებდა საყვედურის თქმას.

– ვუპასუხე, რეალიზაცია უფრო ნაკლებ მიზიდავს, ვიდრე პირიქით-მეთქი. მხედველობაში მაქვს არა მარტო ის, რის რეალიზაციაც მომავალშია შეუძლებელი, არამედ ისიც, რაც წარსულში ვერ განხორციელდა და ხელიდან გავუშვით. მეჩვენება, რომ ჩვენი ისტორიის არსიც ამაში მდგომარეობს: რომელიმე იდეის მხოლოდ ნაწილის რეალიზაციას ვახერხებთ, დანარჩენს კი სიხარულით ვტოვებთ განუხორციელებლად. დიდებული დაწესებულებები, როგორც წესი, იდეის გაფუჭებული ესკიზებია. სხვათა შორის, დიდ ადამიანებზეც იგივე შეიძლება ითქვას. ვუთხარი კიდეც. მოკლედ, საგნებს განსხვავებული პოზიციებიდან ვაფასებთ.

– დიდი ანჩხლობა გამოგიჩენიათ, – უთხრა ნაწყენმა დიოთიმამ.

– სამაგიეროდ მომახსენა, როგორ მიყურებს, როცა რამე დაუმთავრებელი აზრობრივი წესრიგის გამო აქტივობას უარვყოფ. გაინტერესებთ? როგორც ისეთ ადამიანს, რომელიც მიწაზე წვება მისთვის გამზადებული საწოლის გვერდით. ეს ენერგიის ფუჭი ფლანგვა და ერთგვარად ამორალობაცაა – დაუმატა საგანგებოდ ჩემი მისამართით. თავი მომაბეზრა, უნდოდა, ბოლოს და ბოლოს დავეჯერებინე, რომ დიდი სულიერი მიზნების მიღწევა მხოლოდ დღეს არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური და ასევე სულიერი ძალების თანაფარდობითაა შესაძლებელი. მე, ჩემი მხრივ, მათი გამოყენება უფრო მორალურად მესახება, ვიდრე მათი უგულებელყოფაო. მართლა თავი მომაბეზრა. თავდაცვით პოზიციაში მდგომი უაქტიურესი ადამიანი მიწოდა. არცთუ პატიოსანი მიზეზი უნდა ჰქონდეს, ჩემი პატივისცემის მოპოვება რომ განუზრახავს.

– უნდა, რომ დაგეხმაროთ! – წამოიყვირა დიოთიმამ გამკიცხავი ხმით.

– რა თქმა უნდა, არა. ვინ ვარ მე? ალბათ, ერთი პატარა კენჭი, თვითონ კი – გაბერილი, თვალისმომჭრელი მინის ბურთი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ჩემი ეშინია.

დიოთიმას პასუხი არ გაუცია. ულრიხი, შესაძლოა, გამომწვევად ლაპარაკობდა, მაგრამ მისი მონაყოლი სულ სხვანაირად ჟღერდა, ვიდრე ეს არნჰაიმის სიტყვებიდან ჩანდა. ცოტა არ იყოს, შეცბა კიდეც ამის გამო. არნჰაიმი არ მიაჩნდა ისეთად, ვინც ინტრიგებს ხლართავს, მაგრამ ულრიხის მიმართ მაინც უფრო მეტი ნდობით განეწყო და ჰკითხა, რას ურჩევდა გენერალ შტუმთან დაკავშირებით.

– თავი შორს დაიჭირეთ, – უპასუხა ულრიხმა და, თავისდა გასაოცრად, დიოთიმას მისი პასუხი მოეწონა.

67. დიოთიმა და ულრიხი

ჩვევად ქცეული ურთიერთობის გამო ამ პერიოდში ულრიხსა და დიოთიმას შორის დამოკიდებულება საგრძნობლად გაუმჯობესდა. სტუმრად წასვლაც ხშირად უწევდათ ერთად და კვირაში რამდენჯერმეც ესტუმრებოდა ხოლმე ულრიხი დიოთიმას წინასწარი შეთანხმების გარეშე და არცთუ იშვიათად უდროოდაც. ასეთ ვითარებაში ნათესაური კავშირით სარგებლობა ორივესთვის მოსახერხებელი იყო და მაღალი წრის მკაცრ ეტიკეტს შინაურული გარემოთი არბილებდნენ. დიოთიმა ულრიხს ყოველთვის მისაღებ ოთახში არ იღებდა და არც სრულად აღკაზმული ხვდებოდა. ზოგჯერ შილიფად იყო ჩაცმული, თუმცა მისი საშინაო ჩაცმულობა სიფრთხილის საზღვრებს არასდროს არღვევდა. მათ შორის ერთგვარი ამხანაგური გრძნობები გაჩნდა, რამაც მჭიდრო ურთიერთობის ფორმა მიიღო. ფორმები კი ადამიანის სულიერ სამყაროზე ზემოქმედებს და შესაძლოა, გრძნობებიც გამოაღვიძოს.

ხანდახან დიოთიმას მშვენიერებას ულრიხი მთელი სიმძაფრით გრძნობდა. ასეთ დროს მას ჯიშიან, მაღალ, ტანსრულ ძროხას ადარებდა, სიღრმეში მომზირალი თვალებით რომ მიირწევა და გამომშრალ ბალახს კორტნის. მაშინაც კი ვერ ივიწყებდა ულრიხი გესლიან ირონიას – დიოთიმას მშვენიერების პირუტყვთან შედარება უფრო

შურისძიებას ჰგავდა, რომლის მიზეზიც ბოღმა გახლდათ. ბოღმის მიზეზი კი ამ სულელ, გამრჯე გოგოზე მეტად ის სკოლა იყო, სადაც მისი მონდომება ყოველთვის წარმატებით სარგებლობდა. „რამდენად სასიამოვნო იქნებოდა“, – ფიქრობდა ულრიხი, – გაუნათლებელი, დაუდევარი და უწყინარი რომ ყოფილიყო, როგორც დიდი, თბილი ქალური სხეულია ხოლმე, და განსაკუთრებული იდეებით არ ჰქონდეს თავი გამოტენილი“. ჩუმი მითქმა-მოთქმის საგნად ქცეული განყოფილების ხელმძღვანელის ტუცის ცნობილი მეუღლე მაშინვე ქრებოდა თავისი სხეულიდან და ბალიშებთან, საწოლთან და ზმანებასთან ერთად ფაფუკ ღრუბლად ქცეული მისი სხეული საკუთარი სინაზის ანაბარა რჩებოდა.

როგორც კი ამგვარი წარმოდგენებიდან თავს დაიხსნიდა, ულრიხი დიოთიმაში მიზანდასახულ ბურჟუაზიულ ჭკუას ხედავდა, რომელიც არისტოკრატულ იდეებთან ეძებდა კავშირს. მკვეთრი დაპირისპირებულობის შემთხვევაში ფიზიკური ნათესაობა შეშფოთებას იწვევს: ასეთ დროს საკმარისია თუნდაც ნათესაობის იდეა, თვითშეგნება; ზოგჯერ და-ძმა ერთმანეთს რამე არსებითი მიზეზის გამო კი ვერ იტანს, არამედ იმის გამო, რომ საკუთარი არსებობით ერთმანეთს ეჭვქვეშ აყენებენ, ერთმანეთში საკუთარ, ოდნავ დამახინჯებულ ანარეკლს ხედავენ. ის, რომ დიოთიმა დაახლოებით მისი სიმაღლის იყო, დროდადრო საკმარის მიზეზად იქცეოდა ხოლმე, რომ ულრიხს ნათესაური გრძნობები აღძვროდა და მისი სხეულის მიმართ ზიზღით განწყობილიყო. დიოთიმას ულრიხმა რაღაც ისეთი, თუმცა ოდნავ განსხვავებული, ფუნქცია დააკისრა, როგორსაც, მისი სიყრმის მეგობარი ვალტერი ასრულებდა. ეს ფუნქცია კი შემდეგში მდგომარეობდა: შეურაცხეყო და გაეღიზიანებინა მისი თავმოყვარეობა, იმ ძველი ფოტოების მსგავსად, როცა საკუთარი თავის დანახვა ჩვენსავე თვალში გვამცირებს და ამას თავმოყვარეობის გამოწვევად ვიღებთ. ისე გამოდიოდა, რომ უნდობლობას, რომელსაც ულრიხი დიოთიმას მიმართ გრძნობდა, თან რაღაც შემაკავშირებელი და დამაახლოებელიც ერია, ნამდვილი სიმპათია, სწორედ ისეთი, როგორიც ვალტერის მიმართ უწინდელი მეგობრული სიყვარული იყო, რომელიც ულრიხს უნდობლობის სახით შემორჩენოდა.

ულრიხს ეს აკვირვებდა, რადგან დიოთიმა არ უყვარდა და მიზეზი დიდხანს ვერ აეხსნა. ხანდახან ერთად პატარა

ექსკურსიებსაც აწყობდნენ. კარგი ამინდით სარგებლობდნენ, რათა წელიწადის არახელსაყრელი დროის მიუხედავად არნჰაიმისთვის „ვენის შემოგარენის მშვენიერება“ ენახვებინათ – დიოთიმა ასეთ შემთხვევაში სხვა გამოთქმას არასდროს ხმარობდა და ყოველთვის ამ კლიშეს იყენებდა. ტუცი მუდამ დაკავებული იყო და ამიტომ ულრიხი იმ უფროსი ნათესავის როლს ასრულებდა, უმცროსის ღირსებას რომ იცავს. როცა არნჰაიმი ქალაქიდან მიემგზავრებოდა, მაშინ დიოთიმას და ულრიხს ასეთ ექსკურსიებზე მარტოც იხილავდით. ამ გასვლებისთვის ან უშუალოდ აქციის საჭიროებისთვის არნჰაიმმა მათ არაერთი მანქანა გამოუყო, რადგან მისი ბრწყინვალების გერბით შემკული ეტლი ძალზე თვალში საცემი იყო და თანაც ქალაქში ყველა ცნობდა. საერთოდ, ეს მანქანები არნჰაიმის საკუთრება არ იყო. მდიდარს ყოველთვის გამოუჩნდება ვინმე, ვისაც მისი მსახურება სიამოვნებას ჰგვრის.

ამ ექსკურსიების მიზანი მხოლოდ სიამოვნება არ გახლდათ. უმთავრესი მაინც პატრიოტული აქციისთვის გავლენიანი და შეძლებული ადამიანების მოზიდვა იყო. ნათესავები რას აღარ ნახულობდნენ: მარია-ტერეზიას დროინდელ ავეჯს, ბაროკოს სტილით ნაგებ სასახლეებს, ადამიანებს, რომლებსაც მსახურები ხელში აყვანილთ დაატარებდნენ, თანამედროვე სახლებს ოთახების ხალვათი ანფილადებით, სასახლეების მსგავს ბანკის შენობებს, მაღალი ჩინის სახელმწიფო მოხელეთა სახლებში საშუალო ფენის ყოფითი ჩვევების ნარევს ესპანურ სიმტკიცესთან. რაც შეეხება არისტოკრატიას, მისგან ფუფუნებით ცხოვრების ნარჩენიღა დარჩენილიყო და ისიც წყალგაყვანილობის გარეშე. მდიდარი ბურჟუების სახლებსა და საკონფერენციო დარბაზებში ეს ყოველივე დიდი გემოვნებითა და ჰიგიენურად გაუმჯობესებული სახით, თუმცა მაინც, როგორც უფერული ასლი, ისე მეორდებოდა. ბატონკაცურ კასტას ყოველთვის რაღაც ბარბაროსული დაჰკრავს: დროის ლპობას გადარჩენილი, არისტოკრატულ სასახლეებში მათთვის მიჩენილ უწინდელ ადგილებზე მოფენილი წიდა და ნარჩენები, დიდებული კიბეების გვერდით ფუტურო ფიცრის მორყეული იატაკი, ჩინებულ ძველებურ ნივთებს შორის არხეინად ჩამდგარი უშნო, ახალი ავეჯი. ახლად გამდიდრებულები კი, იმპოზანტურ და დიდებულ წინამორბედ ეპოქებზე შეყვარებულნი, უნებლიეთ ახირებულ და დახვეწილ არჩევანს

აკეთებდნენ. თუ ციხე-დარბაზის მფლობელი ბურჟუა ხდებოდა, მაშინ კეთილმოწყობილ საცხოვრებლად ქცეულ ციხე-დარბაზს, ძველებური, მაგრამ ელექტროსადენებიანი ჭაღით დამშვენებულს, ავეჯიდან რამე ნაკლებად ლამაზი აკლდებოდა და საკუთარი ან ექსპერტთა შეუვალი გადაწყვეტილებით ძვირფასი ემატებოდა. რაფინირების ეს პროცესი ციხე-დარბაზებზე უფრო მკაფიოდ ოკეანის გემივით უსახო ფუფუნებით მოწყობილ ქალაქურ ბინებს დამჩნეოდა, რომლებიც ეპოქის სულისკვეთებით გაჟღენთილიყო. მაგრამ საზოგადოებრივი ამპარტავნობის ამ დახვეწილ სამყაროში რომელიმე განუმეორებელი შტრიხი, ნივთებს შორის გამომკრთალი ძლივს შესამჩნევი სხივი თუ კედლებზე გაბატონებული სურათი გარდასულ დიდებათა სუსტ ექოს გამოსცემდა.

„კულტურის“ ამგვარმა სიუხვემ დიოთიმა აღაფრთოვანა. იცოდა, მისი სამშობლო რა განძის მფლობელიც იყო, მაგრამ მისმა მასშტაბებმა თვით ისიც კი განაცვიფრა. დიოთიმას და ულრიხს ხშირად ქალაქგარეთ იწვევდნენ სტუმრად. ულრიხმა შეამჩნია, რომ ხილს აქ ხშირად პირდაპირ ხელით, გაუფქცვნელად ჭამდნენ მაშინ, როცა მსხვილ ბურჟუაზიულ ოჯახებში დანა-ჩანგლის ხმარების რიტუალს მკაცრად იცავდნენ. ყურს ხვდებოდა ის განსხვავებაც, რომელიც მათ მეტყველებაში შეიმჩნეოდა. კეთილშობილურ, მოხდენილ საუბარს ბურჟუაზიულ სახლებში გაიგებდით, არისტოკრატულ წრეებში კი უშუალო მანერა ჭარბობდა, რომელიც მეეტლის ენას გაგახსენებდათ. დიოთიმა დიდი ენთუზიაზმით იცავდა ულრიხისგან ამ ყველაფერს. ბურჟუაზიულ ადგილ-მამულებში ყველაფერი გაცილებით ჭკვიანურად არის მოწყობილი და ჰიგიენაც დაცულიაო, აღიარებდა ის. არისტოკრატულ ციხე-დარბაზებში ზამთრობით გაითოშები და არც ვიწრო და გაცვეთილი კიბეებია იშვიათობაო. აშმორებული დაბალჭერიანი საძინებლებიდან პირდაპირ თვალისმომჭრელ, დიდებულ დარბაზებში მოხვდებიო. არც ამწე აქვთ სამზარეულოში და არც აბაზანები მსახურებისთვის, მაგრამ სწორედ ამგვარ მემკვიდრეობითობასა და დიდებულ დაუდევრობაშია ჰეროიკაო! – ასკვნიდა დიოთიმა დიდი აღტაცებით.

ულრიხი ამ პატარა გასეირნებით სარგებლობდა და ცდილობდა, იმ გრძნობებში გარკვეულიყო, რომელთაც დიოთიმას მიმართ

განიცდიდა. ვინაიდან ეს საქმის არსიდან ერთგვარი გადახვევაა, მოდით, თვალი მივადევნოთ მას, ვიდრე გადამწყვეტ მომენტს მივუახლოვდებოდეთ.

მაშინ ქალებს კისრიდან კოჭებამდე სიგრძის კაბები ეცვათ. კაცების ჩაცმულობა დღევანდელისგან დიდად არ განსხვავდებოდა, მაგრამ იმ ეპოქაში ისინი მაინც უფრო რიგიანად გამოიყურებოდნენ და მკაცრ თავდაჭერილობასა და უზადო სიდარბაისლეს განასახიერებდნენ; ეს კი მაღალი წრის უტყუარი ნიშანი იყო. წყალივით კამკამა გულწრფელობა, სააშკარაოზე გამოფენილი სიშიშვლე თვით სტერეოტიპებისგან თავისუფალ ადამიანსაც კი, შიშველი სხეულის ღირსებას უშიშრად რომ აღიარებდა, ცხოველური სამყაროსკენ მიბრუნებად ესახებოდა. მიზეზს სიშიშვლეში კი არა, ცივილიზებულ, ეროტიკულ საშუალებაზე უარის თქმაში ხედავდნენ. იმ ეპოქაში იტყოდნენ, სიშიშვლე ცხოველურ მდგომარეობაზე უარესიაო, რადგან სამი წლის ჯიშიანი ცხენისა და მწევრის სიშიშვლე ბევრად მრავლისმეტყველია, ვიდრე ადამიანის სხეულს შეუძლია მიაღწიოს. სამაგიეროდ, ცხოველები ტანსაცმელს არ ხმარობენ. მათ მხოლოდ ერთი ტყავი აქვთ, ადამიანს კი იმ დროს ჯერ კიდევ მრავალი კანი ჰქონდა. დიდი კაბით, ფურფუშებით, ბუფებით, კლოშებით, განიერკალთიანი ნაოჭასხმული კაბის ჩანჩქერით და მაქმანებით ისინი ერთ დიდ ზედაპირს წარმოქმნიდნენ, ნამდვილს ხუთჯერ მაინც რომ აღემატებოდა და ისიც დაგოფრილ, ძნელად მოსახელთებელ, ეროტიკით დამუხტულ ფიალას ემსგავსებოდა, სიღრმეში პატარა თეთრ ნადირს რომ მალავს და თავს განდომებს და გაძებნინებს. ეს იყო წინასწარ გამიზნული მეთოდი, რომელსაც ბუნება იყენებს, როცა თავის ქმნილებებს ბუმბულს ააფხორინებს, წყვდიადიდან ღრუბლებს გადმოაშხეფებინებს, რათა ფხიზელი საქციელი სიყვარულით და შიშით არამიწიერ სიშლეგედ აქციოს.

სიცოცხლეში პირველად დიოთიმა ამგვარმა თამაშმა ძალზე ააღელვა, თუმცა წესი და რიგი არ დაურღვევია. კეკლუცობა მისთვის უცხო არ გახლდათ, რადგან ის მაღალი წრის ხელოვნებად იყო მიჩნეული, რომლის უნარიც ქალს უნდა ჰქონოდა. არასდროს გამოჰპარვია ახალგაზრდა მამაკაცების მზერა, მის კეკლუცობას რომ პასუხობდნენ. უყვარდა კიდეც, როცა რბილი, ქალური ძალით ხარის რქასავით მისკენ მომართულ მამაკაცურ მზერას აიძულებდა და იდეალებისკენ

მიმართავდა, რომლებსაც მისი ბაგენი საუბრის დროს ასე უხვად აფრქვევდა. ულრიხი კი, ნათესაურ სიახლოვესა და პარალელური აქციისთვის თავდადებულ მსახურებას ამოფარებული, თავს უფლებას აძლევდა და დიოთიმას ტოტებგაშლილი იდეალიზმისკენ გზას დაუბრკოლებლივ მიიკვლევდა. ერთხელ მანქანა ქალაქგარეთ წარმტაც ხეობაში მიაქროლებდათ, ფიჭვის ხეებით დაფარული მთის კალთები ხეობას გარს შემორტყმოდა. „მშვენიერო ტყევ, ვინ დაგრგო მიუვალ მთებზე...“ – წარმოთქვა დიოთიმამ ლექსად, მელოდიის გარეშე, რადგან მოეჩვენა, რომ სიმღერა გაცვეთილად ჟღერდა. ულრიხმა უპასუხა: – ქვემო ავსტრიულმა საადგილმამულო ბანკმა. არ იცით, რომ აქაური ტყეები საადგილმამულო ბანკის კუთვნილებაა? შემოქმედი კი, რომელსაც თქვენ ხოტბას ასხამთ, აქ მომუშავე მთავარი მეტყევეა. ბუნება აქ სატყეო მეურნეობის გეგმური პროდუქციაა – ცელულოიდის წარმოებისთვის რიგებად დარგული საწყობი, რაც, სხვათა შორის, ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს. – ასეთი იყო ხშირად ულრიხის პასუხი. როცა დიოთიმა სილამაზეზე ლაპარაკობდა, ულრიხი ცხიმოვან ქსოვილზე იწყებდა ლაპარაკს, რომელიც კანს იცავს. თუ სიყვარულს ახსენებდა, ულრიხი მაშინვე წლიურ მრუდს იხსენებდა, შობადობის ზრდასა და კლებაზე ავტომატურად რომ მიუთითებს. დიდ ხელოვანთა ხსენებისას კი ულრიხი იმ ნასესხობათა ჯაჭვზე ალაპარაკდებოდა ხოლმე, ამ ადამიანებს ერთმანეთთან რომ აკავშირებდათ. დიოთიმა ისე იწყებდა ხოლმე ლაპარაკს, თითქოს ღმერთს ადამიანი იმიტომ შეექმნა, რომ მეშვიდე დღეს ნიჟარაში მარგალიტივით მოეთავსებინა. საპასუხოდ კი ულრიხი შეახსენებდა ხოლმე, ადამიანი პატარ-პატარა წერტილების გროვაა ჯუჯა გლობუსის ზედაპირზეო. იოლი მისახვედრი არ იყო, რას ესწრაფოდა ამით ულრიხი. ეს აშკარად იმ დიდზე თავდასხმა იყო, რომლის მოკავშირედაც დიოთიმა გრძნობდა თავს, და ამიტომ მის გამოხდომებს შეურაცხმყოფელ ყოვლისმცოდნეობად იღებდა. ვერ ეგუებოდა, რომ შეიძლებოდა ამ enfant terrible-ს მასზე უკეთ სცოდნოდა რამე, და მისი მატერიალისტური დასკვნები, ცივილიზაციის ყველაზე დაბალი – ანგარიშის და სიზუსტის – საფეხური რომ კვებავდა, დიოთიმაში ნამდვილ მრისხანებას იწვევდა.

– მადლობა ღმერთს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც, დიდი გამოცდილების მიუხედავად, შესწევთ უნარი, სწამდეთ

უბრალო რამ, – უპასუხა ერთხელ მკვახედ.

– მაგალითად, თქვენი მეუღლე, – მიუგო ულრიხმა. – დიდი ხანია ვაპირებდი თქვენთვის იმის თქმას, რომ ის არნჰაიმს მირჩევნია!

იმ პერიოდში ორივეს ჩვევად ექცა, საკუთარი მოსაზრებების გამოხატვისას არნჰაიმის მაგალითზე ელაპარაკათ. როგორც საზოგადოდ შეყვარებულებს სჩვევიათ, დიოთიმასაც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა თავისი სიყვარულის ობიექტზე ლაპარაკი, თან ისე, რომ – ყოველ შემთხვევაში, თავად ასე თვლიდა – თავი არ გაეცა. ულრიხს კი ყველა იმ მამაკაცივით, ჩრდილში დგომას რამე ფარულ ზრახვებს რომ არ უკავშირებს, ეს აღიზიანებდა და ასეთ დროს ხშირად არნჰაიმს თავს ესხმოდა.

დიოთიმასა და ულრიხს შორის განსაკუთრებული ტიპის ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რაც მათ არნჰაიმთან აკავშირებდათ. თუ არნჰაიმი ქალაქში იყო, ისინი თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ულრიხმა იცოდა, რომ განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი ამ უცხოელს ეჭვის თვალით უყურებდა და თვითონაც ამჩნევდა იმ გავლენას, რასაც არნჰაიმი ნაცნობობის პირველი დღიდანვე ახდენდა დიოთიმაზე. ჩანდა, რომ მათ შორის ისეთი არაფერი ხდებოდა, რასაც არაკორექტული დაერქმეოდა. ამ მოსაზრებას ულრიხს ისიც უმყარებდა, რომ შეყვარებულ წყვილს შორის ურთიერთობა გადაჭარბებულად კორექტული იყო, რითაც აშკარად სულთა პლატონური კავშირის იდეალს უტოლდებოდა. არნჰაიმი განსაცვიფრებელ სურვილს ავლენდა – ამ ურთიერთობაში ჩაერთო თავისი მეგობრის (თუ შეყვარებულის? – ეკითხებოდა თავს ულრიხი. თუმცა უფრო სარწმუნოდ შეყვარებულსა და მეგობარს შორის რაღაც საშუალო არითმეტიკული მიაჩნდა) ნათესავი. არნჰაიმი ულრიხს ხშირად უფროსი მეგობრის ტონით მიმართავდა, რაც ასაკობრივი სხვაობის გამო სრულიად მისაღები იყო, თუმცა მათ შორის სოციალური სხვაობის გამო ეს ტონი შემწყნარებლურ შეფერილობას იღებდა. ულრიხი თითქმის ყოველთვის გამომწვევად და ურცხვი ირონიით პასუხობდა, თითქოს სრულებით არ აფასებდა იმ ადამიანთან ურთიერთობას, რომელსაც თავის იდეებზე მასთან კი არა, მეფეებთან და კანცლერებთან შეეძლო საუბარი. ულრიხი

ხშირად თავხედურად ეპასუხებოდა და საკუთარი თავშეუკავებლობა თავადვე აბრაზებდა, რაც ჯობდა ჩუმი დამკვირვებლის როლით შეეცვალა. გრძნობდა, რომ არნჰაიმი მეტისმეტად აღიზიანებდა და ეს ძალიან აკვირვებდა. მასში ინტელექტუალური განვითარებით გაქსუებულ უნიკალურ ნიმუშს ხედავდა, რომელიც ასე სძულდა. ეს ცნობილი მწერალი საკმარისად ჭკვიანი იყო იმისათვის, რომ მიმხვდარიყო, რამდენად საეჭვოა იმ კაცის მდგომარეობა, ვინც საკუთარ სახეს ნაკადულის ანარეკლში კი არა, საკუთარი ინტელექტის დამსხვრეულ ბასრ ზედაპირზე ეძებს. რკინის ამ მეფეს, თანაც რომ მწერლობდა, დამნაშავედ ინტელექტის არასრულყოფილება კი არა, არენაზე მისი გამოსვლა მიაჩნდა. იყო რაღაც თაღლითური ქვანახშირის ფასების სულთან გაერთიანების მცდელობაში, რაც ამავე დროს ერთმანეთისგან მიზანმიმართული გამიჯვნაც იყო იმისა, რასაც არნჰაიმი ნათელი გონებით აკეთებდა და რაზეც იგი ბუნდოვანი ვარაუდით წერდა ან ლაპარაკობდა. ამას ის უსიამოვნო გრძნობაც ემატებოდა, რასაც ულრიხში მისთვის აქამდე უცნობი, გონების ფულთან შეთავსება აღძრავდა. რომელიმე კერძო საკითხზე სპეციალისტივით მსჯელობისას არნჰაიმი უეცრად დაუდევარი ჟესტით მას „დიდი იდეის“ შუქზე უარყოფდა და აფერმკრთალებდა. მაშინაც კი, როცა მის ამგვარ დამოკიდებულებას სამართლიანი მოთხოვნილება ბადებდა, მისი ორივე მიმართულებით მანიპულაციის უნარი იმ მდიდარი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც თავად წყვეტს, რა არის კარგი და რა – ცუდი. ის ჭკუით მდიდარი იყო, რაღაცნაირად სიტყვა „სიმდიდრის“ რეალური მნიშვნელობით. მაგრამ, ალბათ, არც ეს იყო იმის მიზეზი, რაც ულრიხს აღიზიანებდა და უბიძგებდა, ამ მდიდარი უცხოელისთვის პრობლემები შეექმნა. ეს, ალბათ, უფრო სამეფო კარისა და ოჯახური ცხოვრების ღირსეული წესისკენ არნჰაიმის მიდრეკილება გახლდათ, რასაც ის თავისთავად ტრადიციულისა და განსხვავებულის საუკეთესო ჯიშების კავშირისკენ მიჰყავდა. ამ ნარცისული ყოვლისმცოდნეობის სარკეში ულრიხი იმ ფარისევლურ გრიმასას ხედავდა, რომელსაც თუ ნამდვილი ინტელექტისა და ტემპერამენტის ცოტაოდენ ძლიერ ნიშნებს ჩამოაცილებდით, ეპოქის სახეს მიიღებდით. ამის გამო ულრიხს არ ეძლეოდა შესაძლებლობა, უფრო ღრმად შეეცნო კაცი, რომელსაც, ალბათ, არაერთი დამსახურება მიუძღვოდა. ბუნებრივია, სრულიად უაზრო იყო

ულრიხის წამოწყებული ბრძოლა იმ გარემოში, სადაც არნჰაიმის სიმართლეს წინასწარ აღიარებდნენ და სადაც ბრძოლის მიზეზს არანაირი ღირებულება არ გააჩნდა. უკეთეს შემთხვევაში, ამ უაზრობისთვის, შესაძლოა, თავგანწირვის მნიშვნელობა მიგვეცა. ეს ბრძოლა უიმედო კიდევ იმიტომაც გახლდათ, რომ თუ ხანდახან ულრიხი თავისი მეტოქის დაჭრას მართლა ახერხებდა, შემდეგ უკვე იძულებული ხდებოდა, ეღიარებინა, რომ ისარი იმ ადგილას არ მოეხვედრებინა. მაშინ, როცა დამარცხებული არნჰაიმი – ინტელექტუალი ძირს ენარცხებოდა, რეალური არნჰაიმი ფრთოსან არსებასავით შემწყნარებლური ღიმილით ფეხზე დგებოდა, საუბრიდან ქმედებაზე გადადიოდა და ბაღდადს ან მადრიდს მიემგზავრებოდა.

ის, რომ მისთვის ვნების მიყენება შეუძლებელი იყო, არნჰაიმს საშუალებას აძლევდა, ახალგაზრდა კაცის გამოწვევისთვის ამხანაგური, თბილი ტონი დაეპირისპირებინა. არნჰაიმის დისკრედიტაცია, ცხადია, ულრიხის თვითმიზანი არ ყოფილა, რადგან უღირს და სანახევრო ავანტიურაში გახვევას, რითაც ასე მდიდარი იყო მისი წარსული, აღარ აპირებდა; მის ამ გადაწყვეტილებას დიოთიმას და არნჰაიმს შორის პროგრესიც განამტკიცებდა. როგორც წესი, ცდილობდა, თავდასხმისას გამოყენებული იარაღის წვეტები რაპირას დრეკადი და რბილი წვეტებისთვის მიემსგავსებინა, დარტყმის შესამსუბუქებლად სახვევი რომ არტყია გარს. სხვათა შორის, ეს შედარება დიოთიმას დამსახურება გახლდათ. დიოთიმას ნათესავი აოცებდა. მისი გულღია სახე და ნათელი შუბლი, სუნთქვის მშვიდი რიტმი და მოძრაობის თავისუფალი მანერა ულრიხის ბუნებას უმხელდა. მისი სხეულისთვის უცხო უნდა ყოფილიყო ავი, ცბიერი, მზაკვარი, ავხორცი სურვილები. დიოთიმა ამაყობდა კიდეც თავისი ნათესავის სასიამოვნო გარეგნობით და ნაცნობობის დაწყებისთანავე გადაწყვიტა, მისთვის მფარველობა გაეწია. შავი თმა, ჩამოყრილი მხრები, დამუწუკებული კანი და დაბალი შუბლი რომ ჰქონოდა, დიოთიმა იტყოდა, მისი მოსაზრებები მისსავე გარეგნობას ჰგავსო. ახლა კი მის გარეგნობასა და მოსაზრებებს შორის შეუთავსებლობას ხედავდა და ეს მასში აუხსნელ შეშფოთებას იწვევდა. მისი ცნობილი ინტუიციის საცეცები ამაოდ ეძებდა ამ შფოთის მიზეზს, თუმცა ძებნა საცეცების მეორე მხრიდან სიამოვნებას განაცდევინებდა. ზოგჯერ ულრიხთან საუბარი

გარკვეული, თუმცა არასერიოზული თვალსაზრისით, უფრო მეტად სიამოვნებდა, ვიდრე არნჰაიმთან. უპირატესობის განცდის სურვილს მასთან უკეთ იკმაყოფილებდა, თავს საუცხოოდ ფლობდა, ხოლო რაც ულრიხში ფრივოლურობად, ექსტრავაგანტურობად და უმწიფრობად მიაჩნდა, კმაყოფილებით ავსებდა, რადგან ამ თვისებებით მისი იდეალიზმი წონასწორდებოდა, არნჰაიმთან დამოკიდებულებაში დღითი დღე ასე საშიშად და სტიქიურად რომ იზრდებოდა. სული მეტისმეტად რთული რამ არის, მატერიალიზმი კი შესაბამისად – მხიარული. არნჰაიმთან ურთიერთობის ნორმალიზაცია დიოთიმასგან ენერგიის ისეთივე დაძაბვას ითხოვდა, როგორსაც თავისი სალონი და ულრიხის აბუჩად აგდება ცხოვრებას უმსუბუქებდა. საკუთარი თავის თვითონაც არ ესმოდა, მაგრამ ამ ზეგავლენას ამჩნევდა და შეეძლო, ნათესავის რომელიმე შენიშვნით გაბრაზებულს, მისთვის ალმაცერად შეეხედა. ამ დროს თვალის კუთხეებში ძლივს შესამჩნევი ღიმილი ედგა, აუმღვრეველი, ოდნავ დამცინავი მზერა კი წინ მიემართა.

ყოველ შემთხვევაში, რაც უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, დიოთიმა და არნჰაიმი ულრიხს იმ ორი მებრძოლივით ექცეოდნენ, მესამეს რომ ებღაუჭებიან და შიშის გამო შუაში ტენიან. ეს მდგომარეობა ულრიხისთვის საშიში იყო, რადგან დიოთიმა მასში შემდეგ კითხვას აცოცხლებდა: უნდა ეთანხმებოდეს თუ არა ადამიანი საკუთარ სხეულს?

68. თემიდან გადახვევა: უნდა ეთანხმებოდეს თუ არა ადამიანი საკუთარ სხეულს?

იმისგან დამოუკიდებლად, რაზე მეტყველებდნენ მათი სახეები, ხანგრძლივი მგზავრობის დროს მანქანა ორივეს არყევდა, ტანსაცმლით ერთმანეთს ახებდა, მათი სხეულები ერთმანეთს ოდნავ ფარავდა და შემდეგ კვლავ შორდებოდა. ამას მხოლოდ მხრებზე თუ შეატყობდით. ორივეს ერთი ფეხთსაბური ეფარა, მაგრამ მათი სხეულები ტანსაცმლით შერბილებულ შეხებას ისევე შორეულად გრძნობდნენ, როგორც საგნებს ვხედავთ ხოლმე მთვარიან ღამეში. ასეთი სასიყვარულო თამაში ულრიხში გრძნობებს აღძრავდა, თუმცა მას სერიოზულად არ ეკიდებოდა. ტანსაცმლიდან სხეულზე, ალერსიდან წინააღმდეგობაზე, მიზნიდან სიყვარულისკენ მიმავალ გზაზე გადატანილი სურვილი მის ბუნებას

უპასუხებდა. მისი მგრძნობიარე ბუნება ქალებისკენ ილტვოდა, თუმცა რაღაც ზენა ძალები უცხო, მისთვის შეუფერებელი ადამიანის სიახლოვისგან, უცბად ასეთი დაუნდობელი სიცხადით რომ ხედავდა, ყოველთვის აკავებდა და ისიც მუდამ მიზიდულობასა და განზიდულობას შორის მერყეობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სხეულის დიდი, ადამიანური მშვენიერება, ის წამი, როცა ბუნების საკრავი სულის მუსიკას ააჟღერებს, ანდა ის მეორე წამი, როცა სხეული მისტიკური ბანგით სავსე ფიალას ემსგავსება, მისთვის უცხო იყო; თუ არ ჩავთვლით მაიორის ცოლს, მისი ზმანების საგანს, დიდი ხნით რომ განკურნა ამ მიდრეკილებებისგან.

ამის შემდეგ ქალებთან მისი ურთიერთობები მუდამ უსამართლო იყო. სამწუხაროდ, ორივე მხრიდან კეთილი ნების შემთხვევაში ეს არც ისე ძნელია. არსებობს გრძნობების, მოქმედებებისა და სირთულეების სქემა, რომელსაც ქალიც და კაციც მაშინვე ეუფლებიან, როგორც კი მას ყურადღებას მიაქცევენ. ამ დროს თანმიმდევრობა ირღვევა და ჩნდება უკუსვლა, ანუ ბოლო მოვლენა წინ გადმოინაცვლებს, რაც წყაროს შხეფები სულაც არ გახლავთ. სიხარულს, რომელსაც ორი ადამიანი ერთმანეთს განაცდევინებს, სიყვარულის ამ ყველაზე უბრალო და ღრმა გრძნობას, ასეთი ფსიქოლოგიური შენაცვლების დროს ადგილი არ რჩება. ულრიხი ხშირად იხსენებდა გამომშვიდობების სცენას დიოთიმასთან პირველი ვიზიტის დროს. მისი მსუბუქი, ხელოვნურად გაკეთილშობილებული და სრულყოფილი ხელი ულრიხს ხელში ეჭირა. ორივე ერთმანეთს თვალებში უყურებდა. ალბათ, ერთმანეთის მიმართ მტრობას გრძნობდნენ და თან ფიქრობდნენ, რომ ერთმანეთს ბოლო წვეთამდე გამოაცარიელებდნენ. რაღაც ამ ხილვებიდან მათ შორის შემდეგაც დარჩა. ზემოთ მათი თავებიდან შემზარავი სიცივე იგრძნობოდა. ქვემოთ აალებული სხეულები გიზგიზებდა და ერთმანეთს ერწყმოდა. არის ამაში რაღაც ავბედითად მითოსური ისე, როგორც ორთავიან ღმერთში ან ეშმაკის ჩლიქში, სიჭაბუკეში ასე რომ ურევდა თავგზას ულრიხს, როცა მასთან შეხება ხშირად უწევდა. წლების შემდეგ კი გაირკვა, რომ ეს თურმე სიყვარულის ობივატელური სტიმული ყოფილა და სხვა არაფერი, ზუსტად ისეთი, როგორიც სიშიშვლის ტანსაცმლის გახდით ჩანაცვლებაა. არაფერი ისე არ აღაგზნებს ობივატელურ სიყვარულს, როგორც სასიამოვნო აღმოჩენა

იმისა, რომ თურმე ისეთ ძალას ფლობ, რითაც სხვას ასე აღაფრთოვანებ და სრულ სიშლეგემდე მიგყავს. მკვლელი უნდა იყო, რომ ასეთი ცვლილებების მიზეზად იქცე. და მართლაც ვინ იფიქრებდა, რომ ცივილიზებული ადამიანები ასე იცვლებიან ან ჩვენ ვახდენთ ასეთ ზემოქმედებას! განა ამ კითხვას და გაოცებას არ ვხედავთ მათ გაბედულ და გაყინულ მზერაში, როცა ავხორცობის უკაცრიელ კუნძულს მიადგებიან, იქ კი მკვლელები, ბედისწერა და ღმერთია და ირაციონალურ, ავანტიურისტულ გრძნობებს უკიდურესი დოზებით, მეტისმეტად მოსახერხებელი გზით მიეცემიან.

ანტიპათია, რომლითაც ულრიხი წლებთან ერთად ამგვარი სიყვარულის მიმართ განეწყო, ბოლოს და ბოლოს მის სხეულსაც მოედო: უკუღმა გადმობრუნებულ კავშირებს წყალობის თვალით უყურებდა და ქალებს თავისი მამაკაცურობით თავგზას ურევდა, რისთვისაც ულრიხს ჭკუაც ჰქონდა და შინაგანი წინააღმდეგობრიობაც. დროდადრო საკუთარ გარეგნობაზე ისე ეჭვიანობდა, როგორც მეტოქეზე, იაფფასიანი და არცთუ მაინცდამაინც პატიოსანი მეთოდებით რომ მოქმედებს. მისი წინააღმდეგობრიობაც სწორედ ამაში ვლინდებოდა, რაც არც სხვებისთვის იყო უცხო, თუმცა ისინი ამას ვერ გრძნობდნენ. განა თვითონ არ ელოლიავებოდა საკუთარ სხეულს და მას გიმნასტიკური ვარჯიშებით იმგვარ სახეს, გამომეტყველებასა და მოქმედებისთვის მზადყოფნის უნარს ანიჭებდა, რომლის შინაგანი ზემოქმედება არც ისე უმნიშვნელო იყო, რომ ის მარად მოღიმარი ან მარად სერიოზული სახის სულიერ განწყობილებაზე ზემოქმედებისთვის ვერ შეგვედარებინა?! უცნაურია, მაგრამ ადამიანთა დიდ უმრავლესობას ან მოუვლელი, შემთხვევითობების წყალობით გამოძერწილი და დაგონჯებული სხეული აქვს, მის გონებასთან და ბუნებასთან კავშირი რომ არ აქვს, ან, სპორტის ნიღაბაფარებული, ისეთ სახეს აძლევს მას, საკუთარი თავისგან შვებულებაში გასულს რომ ჰგავს. ეს ხომ ის დროა, ადამიანს დიდი და წარმტაცი სამყაროს ჟურნალებიდან ღვიძილში ზმანება რომ ეწვევა და ისიც სასურველ გარეგნობაზე ოცნებებს ეძლევა. ჩოგბურთის მოთამაშეთა მთელი ეს გარუჯული, დაკუნთული სხეულები, მხედრები, მრბოლელები, დიდ რეკორდსმენებს რომ ჰგვანან, თუმცა კი უბრალოდ თავიანთ ხელობას ფლობენ კარგად და სხვას არაფერს; ეს დიდებულად ჩაცმული ან დიდებულად

გახდილი ქალბატონები ფანტაზიორები არიან. ჩვეულებრივ მეოცნებეთაგან ისინი მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ოცნება თავში არ უჩერდებათ და ღია სივრცეში, როგორც მასობრივი სული, ფიზიკურად, დრამატულად და, როგორც საეჭვო ოკულტისტურ ენაზე იტყვიან ხოლმე, იდეურ-პლასტიკურად ერთობლივად ხორცს ისხამს. ჩვეულებრივი ფანტაზიორების მსგავსად, მათი ოცნებები მეჩხერი და ზედაპირულია, როგორც გამოფხიზლებასთან სიახლოვის, ისე შინაარსის თვალსაზრისითაც. ერთიანი ფიზიონომიის პრობლემა, როგორც ჩანს, დღეს კვლავაც გამოუკვლეველია. ადამიანის ხასიათის ამოცნობა ხელწერის, ხმის, ძილში მიღებული პოზების მიხედვით კი ვისწავლეთ, ხანდახან ასე გამაოგნებლად სწორიც რომ არის, მაგრამ სხეულისთვის, როგორც ერთი მთლიანისთვის, მხოლოდ მოდის ნიმუშები არსებობს, რის მიხედვითაც საკუთარ თავს ვძერწავთ, ან მორალური ნატურფილოსოფია.

მაინც რის სხეულია ეს? ჩვენი სულის, იდეების, ვარაუდების, გეგმების თუ ჩვენი სისულელეებისა – მომხიბვლელი სისულელეების ჩათვლით? ულრიხს რომ სისულელეები უყვარდა და ნაწილობრივ სჩადიოდა კიდეც მათ, ბევრს არაფერს ცვლიდა. საკუთარ სხეულში, რომელიც თავადვე შეექმნა, თავს კარგად ვერ გრძნობდა.

69. დიოთიმა და ულრიხი. გაგრძელება

გრძნობა იმისა, რომ მისი ცხოვრების ზედაპირი და სიღრმე სხვადასხვა იყო, ულრიხს დიოთიმამ ახლებურად განუმტკიცა. მთელი სიმწვავით ეს გრძნობა დიოთიმასთან ერთად მგზავრობის დროს იჩენდა ხოლმე თავს, ზოგჯერ მთვარის შუქზე გასეირნებას რომ ჰგავდა, როცა სილამაზე დიოთიმას პიროვნებას გამოეყოფოდა და ულრიხს თვალებზე წამიერად ბინდივით გადაეკვრებოდა. იცოდა, რომ მის ყოველ ნათქვამს დიოთიმა საზოგადოდ მიღებულ აზრს უდარებდა და სიამოვნებდა, რომ მას „უმწიფრად“ თვლიდა. ამის გამო ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დიოთიმას წინ იჯდა, ის კი მას ბინოკლის მეორე მხრიდან უყურებდა. ულრიხი სულ უფრო და უფრო პატარავდებოდა. დიოთიმასთან საუბრისას, როცა ბოროტებისა და გონიერების მხარეს იჭერდა, ეგონა, რომ სკოლის ბოლო კლასებისდროინდელი საკუთარი ხმა ესმოდა, როცა მას და მის ამხანაგებს მსოფლიო ისტორიიდან გარეწრები

და ავაზაკები მხოლოდ იმიტომ ხიბლავდნენ, რომ მათ მასწავლებელები იდეალისტური ზიზღით ამ სახელით მოიხსენიებდნენ. როცა დიოთიმა მას სინანულით უყურებდა, ულრიხი კიდევ უფრო პატარავდებოდა და ჰეროიკული და ექსპანსიური მორალიდან, მეტაფიზიკური ენით თუ ვიტყვით, ყრმობისდროინდელ, ჯიუტად ცრუ, უხეშ და ლაგამაწყვეტილ მორალს უბრუნდებოდა, როგორც სიტყვას, რომელშიც დიდი ხნის გადავიწყებული სიტყვის ან ჟესტის შორეულ მსგავსებას ვხედავთ, ან ჟესტს, მხოლოდ სიზმარში რომ გვინახავს ან სხვაში შეგვიმჩნევია და არ მოგვწონებია. ულრიხის სურვილს, დიოთიმაში აღშფოთება გამოეწვია, ეს ნიუანსი მუდამ თან ახლდა. ამ ქალის ჭკუა, ურომლისოდაც იგი უფრო მშვენიერი იქნებოდა, ულრიხში არაადამიანურ გრძნობას აღძრავდა – შესაძლოა, შიშს გონების წინაშე, მტრობას ყოველივე დიადის მიმართ – სუსტ, ძლივს შესამჩნევ გრძნობას. შესაძლოა, „გრძნობა“ მეტისმეტად პრეტენზიული სიტყვაა ამ მშვენიერი განცდის აღსაწერად, მაგრამ თუ მის მნიშვნელობას სიტყვებით გავზრდიდით, მაშინ ის ზოგჯერ მარტო ამ ქალის იდეალიზმს კი არა, სამყაროს იდეალიზმსაც ააჟღერებდა მთელი თავისი განშტოებებით და სისავსით, რომელსაც ულრიხი ფიზიკურად ხორცშესხმულს, ბერძნული ვარცხნილობის ზემოთ, ერთ მტკაველზე მოლივლივეს ხედავდა; ცოტაც და ეშმაკის რქებად იქცევა! აი, მაშინ ულრიხი კიდევ უფრო პატარავდებოდა და, თუ ისევ მეტაფორულ ენას მივმართავთ, ბავშვობის ჟინიან, პირველ მორალს უბრუნდებოდა, თვალებში ქურციკის მსგავსად შიში და ცდუნება რომ ედგა. ამ პერიოდის უნაზესი გრძნობები, შესაძლოა, აგიზგიზდეს და ჯერ კიდევ პატარა სამყაროს მოედოს, რადგან გრძნობებს არც მიზანი აქვს და არც რამის მიღწევის შესაძლებლობა. ისინი მხოლოდ თვალუწვდენელი ცეცხლია და სხვა არაფერი. ულრიხისთვის ეს უცხო იყო, მაგრამ დიოთიმას გვერდით ბავშვობის გრძნობები ნოსტალგიას აღუძრავდა, თუმცა მათი წარმოდგენა ძალზე უჭირდა, რადგან ამ სამყაროს ცოტა რამ თუ აკავშირებს იმ სამყაროსთან, რომელშიც ზრდასრულს უწევს ცხოვრება.

ერთხელ დიოთიმას კინაღამ გამოუტყდა კიდეც ამაში. ერთ-ერთი გასეირნების დროს მანქანა გააჩერეს და პატარა ხეობას ფეხით გაუყვნენ. ხეობა მდინარის იმ შესართავს ჰგავდა, ტყიანი ციცაბო სანაპირო რომ აქვს. მინდორი მრუდე სამკუთხედს ქმნიდა, რომელსაც შუაში გაყინული მდინარე

დაკლაკნილი ხაზივით გასდევდა. ფერდობები სანახევროდ გაეჩეხათ. გორაკების თხემებზე აქა-იქ შემორჩენილი ხეები თმაში გასაბნევ ფრთებს ჰგავდა. ლანდშაფტი გიზიდავდა და სასეირნოდ გიტყუებდა. ზამთრის ის ერთ-ერთი უთოვლო დღე იდგა, მოდიდან გამოსულ, გაცრეცილ საზაფხულო კაბას რომ მოგვაგონებს. დიოთიმამ მოულოდნელად ულრიხს ჰკითხა: – მაინც რატომ გეძახით არნჰაიმი აქტივისტს? თქვენზე ამბობს, თავში სულ ის უტრიალებს, როგორ შეცვალოს ყველაფერი უკეთესობისკენო. – უცებ გაახსენდა, რომ არნჰაიმთან გენერლისა და ულრიხის თაობაზე საუბარი ისე დასრულდა, რომ რამე აზრი არ გამოკვეთილა. – არ მესმის, – განაგრძო დიოთიმამ, – მგონია, რომ იშვიათად ლაპარაკობთ სერიოზულად. მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, რადგან ორივეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე გვაერთიანებს. გახსოვთ ჩვენი ბოლო საუბარი? მაშინ თქვენ რაღაც თქვით; ამტკიცებდით, ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ არავინ განახორციელებს იმას, რასაც აპირებდაო. მაინტერესებს, რას გულისხმობდით. არ გეჩვენებათ, რომ ეს შემზარავი მოსაზრებაა?

ულრიხმა არ უპასუხა. დიოთიმა შეეცადა, რაც შეიძლება თამამად ელაპარაკა და მიხვდა, როგორ აწუხებდა ეს საკითხი – განახორციელებდნენ თუ არა ის და არნჰაიმი იმას, რაც ორივეს ფარულად ასე ეწადა. უცებ მოეჩვენა, რომ თავი გასცა და გაწითლდა. შეეცადა, არ დასტყობოდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად გაწითლდა და გრძნობების დასაფარად გულგრილი სახით ხეობას გახედა.

ულრიხი მთელ ამ პროცესს აკვირდებოდა.

– ვშიშობ, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც არნჰაიმი – როგორც თქვენ ამბობთ – აქტივისტს მეძახის, ის გახლავთ, რომ ტუცის ოჯახში ჩემს გავლენას გადაჭარბებულად აფასებს, – უპასუხა ულრიხმა. – თქვენ ხომ ჩემს აზრს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ. მაგრამ იმავე წუთს, როგორც კი მკითხეთ, მივხვდი, როგორი გავლენა უნდა მომეხდინა თქვენზე. ნება მომეცით, მოგახსენოთ ჩემი აზრი, ოღონდ იმ პირობით, რომ მაშინვე არ გამკიცხავთ.

თანხმობის ნიშნად დიოთიმამ უხმოდ დაუქნია თავი და ვითომ დაბნეული, აზრების მოკრებას შეეცადა.

– მოკლედ, მე ვამტკიცებდი, – დაიწყო ულრიხმა, – რომ არავინ განახორციელებდა იმას, რაც სურს. გახსოვთ წერილებით სავსე ჩვენი საქაღალდე? ვის არ დააბნევდა, უცებ ისე რომ მომხდარიყო, რასაც მთელი ცხოვრება ასე ჟინიანად ესწრაფოდა? დავუშვათ, კათოლიკეს რომ სასუფეველი დაატყდეს თავს ან სოციალისტს – მომავლის სახელმწიფო. შესაძლოა, ეს არც არაფერს ამტკიცებს, მაგრამ ადამიანი მიეჩვია, რომ მოითხოვოს, მის განსახორციელებლად კი მზად სრულებით არ არის. ბევრისთვის, შესაძლოა, ეს ბუნებრივიც იყოს. ხომ უდავოა, რომ მუსიკოსს მუსიკა ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია, მხატვარს კი – მხატვრობა. ალბათ, ბეტონის სპეციალისტისთვისაც ასევე მნიშვნელოვანია ბეტონის სახლების მშენებლობა. მინდა, გკითხოთ, როგორ ფიქრობთ, ღმერთი მას ამიტომ რკინა-ბეტონის სპეციალისტად წარმოუდგენია? თუ მხატვრებს ან მუსიკოსებს რეალურ სამყაროს საღებავებით მოხატული ან საყვირზე შესრულებული მუსიკალური სამყარო ურჩევნიათ? ეს კითხვა უაზრობად მოგეჩვენებათ, მაგრამ ამ საკითხის მთელი სერიოზულობა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ ეს უაზრობა უნდა მოვითხოვოთ!

– ძალიან გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, – მიუბრუნდა ულრიხი დიოთიმას სრულიად სერიოზულად, – რომ ამით მხოლოდ იმის თქმა მსურდეს, თითქოს ყველას ძნელად განსახორციელებელი ხიბლავდეს და არაფრად აგდებდეს, რეალურად რა არის შესაძლებელი. იმის თქმა მინდა, რომ რეალობაში არარეალობისკენ უაზრო სწრაფვა იმალება!

ულრიხმა დიოთიმა ხეობის სიღრმეში ისე შეიყვანა, რომ მისთვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. ფერდობებიდან ჩამომდნარ თოვლს მიწა დაესველებინა. ფეხი რომ არ დასველებოდათ, ისინი კოლბოხიდან კოლბოხზე ხტებოდნენ და ულრიხიც სათქმელს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა. დიოთიმას იმდენი კონტრარგუმენტი დაუგროვდა იმის საპასუხოდ, რასაც ულრიხი ამბობდა, რომ ვერ გადაეწყვიტა, რომელი მათგანი აერჩია. ფეხები დაუსველდა, კაბის კალთები აეკეცა და ბორცვზე დაბნეული და შეშინებული იდგა.

ულრიხი დიოთიმასკენ მიბრუნდა და გაეცინა: – მეტისმეტად სახიფათო რამ წამოიწყეთ, დიდო ქალბატონო. ადამიანებს ენით აუწერელ სიხარულს ჰგვრის, როცა მათ თავიანთი

იდეების განხორციელებას არ ანებებენ!

– თქვენ როგორ მოიქცეოდით, – ჰკითხა გაბრაზებულმა დიოთიმამ, – ვინმეს ერთი დღით სამყაროს მართვის უფლება რომ მოეცა?

– სხვა რაღა დამრჩებოდა: რეალობას გავაუქმებდი.

– საინტერესოა, მაინც როგორ?

– მეც არ ვიცი. მართლა არ ვიცი, ამ ნათქვამში რა ვიგულისხმე. ამწამიერს, იმას, რაც არის, გადაჭარბებულად ვაფასებთ. როგორც ახლა მე და თქვენ ვართ ამ ხეობაში: თითქოს ვიღაცამ კალათაში ჩაგვტენა და ამწუთიერი თავსახური დაგვაფარა. ამას ზედმეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ყველაფერს ვიმახსოვრებთ და, შესაძლოა, ერთი წლის შემდეგ ერთმანეთს მოვუყვეთ კიდეც, როგორ ვიდექით აქ. მაგრამ ის, რაც სინამდვილეში ორივეს გვაღელვებს, ყოველ შემთხვევაში, მე მაინც – მინდა ფრთხილი ვიყო და ამიტომ ამის არც განმარტებას შევეცდები და არც სახელის დარქმევას! – ამგვარად განცდილის სრულიად საპირისპიროა. ამწამიერი მას ავიწროვებს და ისიც მის ბორკილებს თავს ვეღარ აღწევს.

ულრიხის ლაპარკი ამ ვიწრო ხეობაში ხმამაღლა და უთავბოლოდ ისმოდა. უცბად დიოთიმამ თავი შეუძლოდ იგრძნო და მანქანისკენ ნაჩქარევად გაეშურა. ულრიხმა კი შეაჩერა და ლანდშაფტისკენ მიუთითა: – ათასეული წლების წინ აქ მყინვარები იყო. არც სამყაროა ისეთი, როგორადაც ამწუთს გვაჩვენებს თავს, – უხსნიდა დიოთიმას. – ამ მომრგვალებულ არსებას ისტერიული ხასიათი აქვს. ხან ბურჟუა დედა-მშობლად გვევლინება და ხან ანჩხლ გოგოსავით ფრიგიდული და გაყინულია. კიდევ უფრო შორეულ წარსულში თავს ტროპიკული ტყეებით, ცხელი ჭაობებითა და დემონური ცხოველებით იწონებდა. ძნელია იმის თქმა, რომ განვითარების გზაზე სრულყოფილებას მიაღწია; არც იმის თქმაა ადვილი, როგორია მისი ჭეშმარიტი სახე. წარმოიდგინე ტანსაცმელი, რითაც ადამიანები აქ, სადაც ჩვენ ახლა ვართ, სხვადასხვა ეპოქებში იდგნენ. ფსიქიატრიული კლინიკის ტერმინებით თუ ვიტყვით, მაშინ ეს ყველაფერი აკვიატებულ იდეებს და ბოდვით მდგომარეობას ჰგავს, საიდანაც სამყაროზე ახლებური წარმოდგენები იბადება. ხომ ხედავთ, სამყარო საკუთარ თავს თავისით იუქმებს!

– კიდევ რაღაც მინდა გითხრათ, – დაიწყო ცოტა ხნის შემდეგ ულრიხმა თავიდან. – ფეხქვეშ მყარი ნიადაგისა და სხეულზე დამცავი კანის შეგრძნება, ადამიანთა უმრავლესობისთვის სავსებით ბუნებრივი გრძნობა, ჩემთვის უცხოა. გაიხსენეთ, როგორი იყავით ბავშვობაში: რბილი ნაღვერდალი. შემდეგ მოზარდი, ტუჩებს კაეშანი რომ წვავდა. იმას, რომ მოწიფული ასაკი განვითარების მწვერვალად მივიჩნიო, შინაგანად ვერ ვეთანხმები. რაღაც თვალსაზრისით ეს ასეც არის, რაღაც თვალსაზრისით კი – არა. მე რომ ჭრიჭინას მსგავსი მერმელეონი ვყოფილიყავი, იმის წარმოდგენაზე, რომ ერთი წლის წინ ნაცრისფერი ბრტყელტანიანი ლომჭიანჭველა ვიყავი, უკან-უკან რომ დადის, ტყის განაპირას ქვიშის ორმოებში ცხოვრობს, მჭრელი საცეცებით ჭიანჭველებს იჭერს, ქვიშას აყრის და ძალ-ღონეს აცლის, შიშით დავიზაფრებოდი. საკუთარი ახალგაზრდობაც სწორედ ასე მაშინებს, თუმცა მაშინ ჭრიჭინა ვიყავი, ახლა კი ურჩხულად ვიქეცი.

თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა. აშკარად ყოვლისმცოდნე არნჰაიმს ბაძავდა და ჭრიჭინა და ლომჭიანჭველაც ამიტომ ახსენა. ისე კი სულ სხვა რამის თქმა უნდოდა და სათქმელს ძლივს იკავებდა: „გამხადეთ თქვენი ალერსის ღირსი. ჩვენ ნათესავები ვართ – ერთმანეთისგან არც განცალკევებულნი, მაგრამ არც ერთი მთლიანი; ყოველ შემთხვევაში, ეს ღირსეული და მკაცრი ურთიერთობის სრული კონტრასტია“.

ულრიხი ცდებოდა. დიოთიმა იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, საკუთარი თავით კმაყოფილნი რომ არიან და ამიტომ ასაკს იმ კიბედ აღიქვამენ, ქვემოდან ზემოთ რომ უნდა აიყვანოს. ულრიხის ნათქვამი მისთვის სრულიად გაუგებარი იყო, მით უმეტეს, რომ არ იცოდა, სინამდვილეში რის თქმა სურდა მას. ამასობაში მანქანამდეც მიაღწიეს და დიოთიმამ თავი მშვიდად იგრძნო, ულრიხის მეტყველებამ კი ჩვეული, ნახევრად თავშესაქცევი და ნახევრად გამომწვევი ინტონაცია დაიბრუნა, რაც დიოთიმამ მხოლოდ იმის ღირსად ჩათვალა, რომ ალმაცერი მზერით ეპასუხა. იმწუთას ულრიხი მასზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა, გარდა იმისა, რომ მოვლენებს ფხიზელი თვალით ანახვებდა. გულის რომელიღაც კუნჭულიდან შეცბუნება მსუბუქი ნისლივით ამოიზარდა და სიცარიელეში გაიფანტა. შესაძლოა, ასე ცხადად პირველად იგრძნო, რომ არნჰაიმთან ურთიერთობა ადრე თუ გვიან გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობამდე მიიყვანდა,

რომელსაც მისი ცხოვრების შეცვლა შეეძლო. ძნელი გახლდათ იმის თქმა, რომ ეს მას ახლა ბედნიერს ხდიდა, თუმცა ცად აზიდული მთის მნიშვნელობა შეეძინა. სისუსტემ გაიარა. „არ გააკეთო ის, რაც გსურს“ – ეს ფრაზა ერთ წამს უაზრო ბრწყინვალებით გაკრთა და დიოთიმას ამ ბრწყინვალების აღარ ესმოდა.

– არნჰაიმი ჩემი სრული კონტრასტია. ის გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბედნიერებას, რომელიც დროს და სივრცეს იძენს! – ამოიოხრა ულრიხმა და იგრძნო, რომ ნათქვამი უნდა დაებოლოებინა. ბავშვობაზე აღარაფერი უთქვამს და ამგვარად, დიოთიმასაც არ მიეცა შესაძლებლობა, იგი სენტიმენტალური მხრიდან გაეცნო.

70. კლარისა სტუმრად მიდის ულრიხთან, რათა მას ერთი ისტორია უამბოს

ძველი სასახლეების ახლებურად მოწყობა ცნობილი მხატვრის ვან ჰელმონდის განსაკუთრებული უნარი გახლდათ, რომლის გენიალური ქმნილებაც მისი ქალიშვილი კლარისა იყო.

ერთ დღეს კლარისა მოულოდნელად გამოეცხადა ულრიხს.

– შენთან მამაჩემმა გამომგზავნა, – განუცხადა ულრიხს, – მინდა გავიგო, შეგიძლია თუ არა, შენი არისტოკრატული ნაცნობობა ცოტათი მაინც მამაჩემის ინტერესებისთვის გამოიყენო! – ოთახი ცნობისმოყვარედ შეათვალიერა, შემდეგ ნაჩქარევად სკამზე დაჯდა, მეორე სკამზე ქუდი დადო და ულრიხს ხელი გაუწოდა.

– მამაშენი ზედმეტად აფასებს ჩემს შესაძლებლობებს, – დააპირა ულრიხმა თქმა, მაგრამ კლარისამ შეაწყვეტინა და განაგრძო: – რა სისულელეა! ხომ იცი, მოხუცს ყოველთვის სჭირდება ფული. საქმეებიც ისე ვეღარ მისდის, როგორც წინათ! – კლარისას გაეცინა. – ძალიან ელეგანტურად მოწყობილხარ. ლამაზია! – კიდევ ერთხელ მოათვალიერა ოთახი და ულრიხს შეხედა. მის ქცევას რაღაც გულისამაჩუყებელი გაუბედაობა ეტყობოდა, სწორედ ისეთი, ლეკვმა რომ იცის, როცა დანაშაულს ჩაიდენს. – კარგი, – თქვა მან, – თუ შეგიძლია დაეხმარები, თუ არა და – არა! მე, რა თქმა უნდა, მამაჩემს დავპირდი, მაგრამ შენთან სხვა რამის გამო მოვედი. ერთი იდეა მომივიდა. ჩვენთან სახლში რაღაც მოხდა. მაინტერესებს, რას

იტყვი, – ხელები და ტუჩები ერთ წამს აუკანკალდა, მაგრამ წინააღმდეგობა მაშინვე დაძლია. – შეგიძლია იმის წარმოდგენა, რასაც ახლა გეტყვი? მხატვარი სილამაზის ექიმია.

ულრიხი მიხვდა. მისი მშობლების სახლს კარგად იცნობდა.

– მარმაშებითა და ფუნჯებით მორთული სიბნელე, კეთილშობილება, ფუფუნება, სიჭარბე და სირბილე! – განაგრძო კლარისამ. – მამაჩემი მხატვარია. მხატვარი სილამაზის ექიმივითაა. ჩვენი ოჯახის ნაცნობობა მაღალ წრეში კარგ ტონად ითვლებოდა ისევე, როგორც კურორტზე დასვენება. ხომ გესმის. უკვე რამდენი ხანია, მამაჩემის ძირითადი შემოსავალი სასახლეებისა და ქალაქგარეთ ციხე-დარბაზების ახლებურად მოწყობაა. პახჰოფენებს ხომ იცნობ?

პახჰოფენები პატრიციების ოჯახი იყო, მაგრამ ულრიხი მათ არ იცნობდა. წლების წინ კლარისასთან ფროილაინ პახჰოფენი ჰყავდა ერთხელ ნანახი და სულ ეს იყო.

– ჩემი მეგობარი იყო, – ახსნა კლარისამ. – მაშინ ჩვიდმეტი წლის იყო, მე კი – თხუთმეტის, მამაჩემს სასახლე უნდა გადაეკეთებინა და მოეწყო.

– ?

– ცხადია, პახჰოფენების სასახლე. მთელი ოჯახი მიგვიწვიეს. ვალტერიც პირველად გვახლდა და მაინგასტიც.

– მაინგასტი? – ულრიხმა არ იცოდა, ვინ იყო მაინგასტი.

– როგორ არა, იცი, ვინც არის. მერე რომ შვეიცარიაში გადავიდა. მაშინ ჯერ კიდევ არ ფილოსოფოსობდა. ყველა იმ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, ვისაც ქალიშვილი ჰყავდა.

– პირადი ნაცნობობა არასდროს მქონია, – დააზუსტა ულრიხმა, – მაგრამ ვხვდები, ვინც უნდა იყოს.

– კარგი, როგორც არის, – კლარისა გონებაში დაძაბული რაღაცას ანგარიშობდა. – ვალტერი მაშინ ოცდასამი წლის იყო, მაინგასტი – ცოტა უფროსი. მე მგონი, ვალტერი მაშინ ფარულად მამაჩემით იყო მოხიბლული. სასახლეში პირველად იყო მიწვეული. მამაჩემი თითქოს შინაგანად მეფის მანტიით იმოსებოდა ხოლმე. ასე მგონია, თავიდან ვალტერს ჩემზე უფრო მეტად მამაჩემი უყვარდა და ლუსი.

– კლარისა, თუ ღმერთი გწამს, ცოტა ნელა ილაპარაკე, – სთხოვა ულრიხმა, – თორემ ვეღარაფერს ვხვდები.

– ლუსი, – თქვა კლარისამ, – ფროილაინ პახჰოფენია, პახჰოფენების ქალიშვილი, ვისთანაც ჩვენ ვიყავით სტუმრად. ახლა ხომ გესმის? მოკლედ, მიხვდი. მამაჩემი რომ ლუსის ფარჩა-აბრეშუმსა და ხავერდში გამოაწყობდა და ცხენზე შესვამდა, თავი ტიციანი ან ტინტორენტო ეგონა. ერთმანეთზე ჭკუას კარგავდნენ.

– ესე იგი მამაშენი – ლუსიზე და ვალტერი – მამაშენზე?

– დამაცადე! მაშინ იმპრესიონიზმი იყო მოდაში. მამაჩემი ძველმოდურად ხატავდა, მუსიკალურად, როგორც დღეს. ფარშევანგის კუდებით მორთული ყავისფერი სოუსი. ვალტერი თავისუფალი, ინგლისური, ნათელი, გამომყენებლობითი ხაზების, სიახლისა და გულწრფელობის მომხრე იყო. მამაჩემს კი გულის სიღრმეში ეს ისევე სძულდა, როგორც პროტესტანტული ქალაქები. ვერც მაინგასტს იტანდა, მაგრამ რა ექნა: ორი გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდა და თან ყოველთვის უფრო მეტს ხარჯავდა, ვიდრე შოულობდა. ამიტომ ამ ორი ახალგაზრდა კაცის გუნება-განწყობასაც მოთმინებით იტანდა. როგორც უკვე გითხარი, ვალტერი მამაჩემს ფარულად ეტრფოდა, საჯაროდ კი ხელოვნების ახალი მიმდინარეობის გამო მამაჩემი უნდა სძულებოდა. ლუსის ხელოვნების არასდროს არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ეშინოდა, ვალტერთან თავი არ მოსჭროდა, იმისიც ეშინოდა, რომ ვალტერი მართალი რომ აღმოჩენილიყო, მამაჩემი სასაცილო მოხუცად გამოჩნდებოდა. ახლა ხომ ხარ საქმის კურსში?

იმისთვის, რომ საქმის არსში გარკვეულიყო, ულრიხმა ჰკითხა, დედამისი სად იყო.

– დედაჩემიც, რა თქმა უნდა, იქ იყო. მთელი დღეები ჩხუბის მეტს არაფერს აკეთებდნენ. ხომ გესმის, რომ ამ სიტუაციის გამო ვალტერი მომგებიან პოზიციაში იმყოფებოდა. ჩვენთვის, ყველასთვის, რაღაც გადამკვეთ წერტილად იქცა. მამას მისი ეშინოდა, დედა აქეზებდა, მე კი თანდათან მიყვარდებოდა. ლუსი ვერ შეეწყო. ასე მოიპოვა ვალტერმა მამაჩემზე გავლენა და ფრთხილად და ავხორცულად კბილი მოუსინჯა. მე მგონი, საკუთარ მნიშვნელობასაც მაშინ მიხვდა. მამაჩემისა და ჩემ გარეშე მისგან არაფერი გამოვიდოდა. ახლა ხომ ხვდები, როგორ

უკავშირდება ეს ყველაფერი ერთმანეთს?

ულრიხმა ჩათვალა, რომ შეეძლო ამ კითხვისთვის დადებითი პასუხი გაეცა.

– მაგრამ მე სხვა რამის მოყოლას ვაპირებდი! – არწმუნებდა კლარისა. ერთხანს დაფიქრდა და შემდეგ თქვა: – მოიცადე! ჯერ ჩემზე და ლუსიზე იფიქრე. აი, ეს კი ამაღელვებლად ჩახლართული ურთიერთობა იყო! მამაჩემი ძალიან მაღელვებდა; ამ მიჯნურობის გამო, შეიძლება, ოჯახი დაენგრია. თან ისიც მაინტერესებდა, ასეთი ამბავი როგორ ხდება ხოლმე. ორივეს თავგზა ჰქონდა არეული. ჩემ მიმართ ლუსის მეგობრულ გრძნობებს ისიც ერთვოდა, რომ კარგად იცოდა, ვინც უყვარდა: კაცი, რომლისთვისაც მორჩილად მამა უნდა დამეძახა. ამით თავს იწონებდა, მაგრამ ჩემიც ძალიან რცხვენოდა. ამ ძველ ციხე-დარბაზს თავისი არსებობის დღიდან ასეთი პრობლემები, ალბათ, არც ენახა! მამაჩემთან ერთად მთელი დღეები სად აღარ დაყიალებდა, ღამით კი ჩემთან კოშკში აღსარებისთვის ამოდიოდა. მე ხომ კოშკში მეძინა, და მთელი ღამეები შუქი გვენთო!

– ღრმად შეტოპა მამაშენთან?

– ეს ერთადერთია, რის გარკვევაც ვერ მოვახერხე. მაგრამ აბა წარმოიდგინე ზაფხულის ღამეები! ბუ ზლუქუნებდა, ღამე კვნესოდა, ჩვენ კი, შიში რომ აგვიტანდა, ჩემს საწოლში ვწვებოდით და ისე ვაგრძელებდით ლაპარაკს. ვერ წარმოგვედგინა, რომ ასეთი ვნებით შეპყრობილი კაცი შუბლში ტყვიას არ დაიხლიდა და ყოველდღე ამის მოლოდინში ვიყავით.

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, – შეაწყვეტინა ულრიხმა, – რომ მათ შორის ბევრი არაფერი მომხდარა.

– მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ რაღაც მაინც იყო, ახლავე დარწმუნდები. ლუსის უცებ გამგზავრებამ მოუწია, რადგან მოულოდნელად მამამისი ჩამოვიდა და ესპანეთში სამოგზაუროდ წაიყვანა. ნეტა მამაჩემის სახე გენახა, მარტო რომ დარჩა! ცოტაც და დედაჩემს მიახრჩობდა. მოლბერტს კეცავდა, უნაგირის უკან ამაგრებდა და დილიდან დაღამებამდე მთელ იმ არემარეში ცხენით დაქროდა, ტილოზე ფუნჯიც არ გაუსვია. ფუნჯს არც მაშინ ჰკიდებდა ხელს, როცა სახლში რჩებოდა. ისე, რომ იცოდე, მამაჩემი მანქანასავით

ხატავს. მაშინ ხშირად ვხედავდი ხოლმე, როგორ იჯდა რომელიმე დიდ ცარიელ დარბაზში წიგნთან, რომელსაც არც კი შლიდა. ფიქრებში გართული საათობით გაუნძრევლად იჯდა, მერე დგებოდა და სხვა ოთახში ან ბაღში იგივე მეორებოდა. ბოლოს და ბოლოს, მოხუცი კაცია და ახალგაზრდებმა ბედის ანაბარა მიატოვეს! ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, ასე არ არის?! ასე მგონია, რომ სურათმა, ასე თვალნათლივ რომ ხედავდა – ხელიხელჩაკიდებული ორი მეგობარი, რომლებიც ერთმანეთს ესაუბრებიან – მასში ყლორტივით იხარა. ალბათ, ისიც იცოდა, რომ ლუსი ჩემთან ამოდიოდა ხოლმე კოშკში. მოკლედ, ერთხელ, დაახლოებით ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, სასახლეში სინათლე ჩააქრეს და ამ დროს ჩემთან მამაჩემი მოვიდა. რა სანახავი იყო!.. – კლარისა ისე გატაცებით ჰყვებოდა, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. – კიბეებზე ფეხის ხმა და რაღაც ფაჩუნი გესმის. მერე ვიღაც კარის სახელურს მოუქნელად ჩამოსწევს და კარიც თითქოს იდუმალი ჭრიალით იღება...

– რატომ არავის დაუძახე საშველად?

– უცნაურიც სწორედ ეს არის. თავიდანვე მივხვდი, ვინც იყო. ეტყობა, კარში გაუნძრევლად იდგა, ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ალბათ, თვითონაც შეშინებული იყო. მერე კარი ფრთხილად მიკეტა და ხმამაღლა დამიძახა. მე თვითონ ჭკუაზე არ ვიყავი. პასუხის გაცემას არ ვაპირებდი, მაგრამ თითქოს უძირო ჭიდან ქვითინივით ხმა აღმომხდა. განგიცდია ასეთი რამ?

– არა. გააგრძელე!

– უცებ სასოწარკვეთილი ჩამებღაუჭა, კინაღამ დაეცა საწოლზე, და თავი ჩემ გვერდით ბალიშზე მიდო.

– ცრემლები?

– კონვულსია უცრემლოდ! მოხუცი კაცის ყველასგან მივიწყებული სხეული! მაშინვე ვიგრძენი. ღმერთო, იმის თქმა რომ შეიძლებოდეს, რას გრძნობ ასეთ წუთებში!.. მძვინვარე სიშლეგემ დარია ხელი, რადგან მორალური წესების გამო ამდენი რამ გაუშვა ხელიდან. უცებ ვამჩნევ, რომ გონს მოეგო. კუნაპეტი სიბნელე იყო, მაგრამ ვხედავ, რომ ჩემი სხეულის სურვილით იწვის. ვიცი, რომ ამის შემდეგ პატიება და შებრალება აღარ არსებობს. ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა; სხეულს ცეცხლი მიწვავდა. მისი სხეული კი ცეცხლის

პირას დაგდებულ ქაღალდს ჰგავდა და რაღაცნაირად გამსუბუქდა. ვიგრძენი, როგორ ჩასრიალდა მისი ხელი ჩემს სხეულზე. აი, ეს მინდოდა მეკითხა და ამიტომაც მოვედი. – კლარისამ ლაპარაკი შეწყვიტა.

– რა? ჯერ ხომ არაფერი გიკითხავს? – მიაშველა ულრიხმა პატარა პაუზის შემდეგ.

– არა. კიდევ რაღაც უნდა გითხრა. გული მერეოდა იმის წარმოდგენაზე, რომ ჩემი გახევება თანხმობის ნიშნად მიიღო. შიშისგან გაქვავებული, გაოგნებული ვიწექი. რას ფიქრობ ამაზე?

– ვერაფერს გეტყვი.

– ცალი ხელით სახეზე მეალერსებოდა, მეორეს კი სხეულზე მითათუნებდა. აკანკალებულმა, მოჩვენებითი მიამიტობით, თითქოს ნაზი ამბორიაო, მკერდზე ხელი ჩამისრიალა. მერე პასუხის მოლოდინში გაინაბა და სახით ჩემს სახეს ეძებდა, ხომ გესმის... მე კი ძალა მოვიკრიბე, მისი მკლავებიდან თავი გავითავისუფლე და გვერდზე გადავბრუნდი. ისევ ის ხმა აღმომხდა, რაღაც მუდარასა და გმინვას შორის. საერთოდ, ასეთი რამ არ მჩვევია. ხალი მაქვს, შავი მედალიონივით...

– მამაშენი როგორ მოიქცა? – ცივად შეაწყვეტინა ულრიხმა.

კლარისას პასუხი არ გაუცია და გააგრძელა: – აქ, – სახეზე დაძაბული ღიმილი დაეტყო და ხელით თეძოს შიგნითა მხარეზე მიუთითა. – მედალიონამდე ჩავიდა. ან ამ მედალიონს აქვს სასწაულმოქმედი ძალა, ან რაღაც საოცრება მოხდა!

კლარისას უცებ სახე წამოუწითლდა. ულრიხის დუმილმა გამოაფხიზლა და თითქოს რაღაც აზრის ტყვეობიდან იხსნა. შემდეგ კი დაბნეული ღიმილით ჩქარ-ჩქარა დაამთავრა: – მამაჩემი? იმწამსვე წამოდგა. სიბნელეში მის სახეს ვერ ვხედავდი. ალბათ, დაბნეული იყო ან მადლიერი. მე ხომ ბოლო წუთს ვიხსენი. წარმოიდგინე: მოხუცი კაცი და ახალგაზრდა გოგო, რომელსაც ეყო ძალა! ალბათ, გავაოცე, რადგან ცალი ხელი ხელზე ნაზად მომიჭირა, მეორე კი თავზე გადამისვა. ისე წავიდა, რომ სიტყვა არ დაუძრავს. მოკლედ, გააკეთებ მისთვის ყველაფერს, რაც შეგიძლია?! ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ამეხსნა ეს ყველაფერი შენთვის.

წელში გამართულმა და კორექტულმა, საგანგებოდ შეკერილ კაბაში გამოწყობილმა კლარისამ, რომელსაც მაშინ იცვამდა ხოლმე, როცა ქალაქში გადიოდა, ულრიხს გამომშვიდობების ნიშნად ხელი გაუწოდა.

71. მისი უდიდებულესობის მმართველობის სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით შექმნილი კომიტეტი დადგენილების მისაღებად სხდომას იწყებს

კლარისას არც გრაფი ლაინსდორფისადმი მიწერილი წერილი უხსენებია და არც ის მოთხოვნა, რომელიც ულრიხს მოორსბრუგერის გადარჩენის მიზნით წაუყენა. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი დაავიწყდა კიდეც და აღარც ულრიხს გახსენებია.

დიოთიმას, როგორც იქნა, დაესრულებინა მზადება, რათა „მისი უდიდებულესობის მმართველობის სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით დადგენილების მიღებისა და მოსახლეობის დაინტერესებული ფენების სურვილთა გათვალისწინების“ ფარგლებში მოეწვია საგანგებო „კომიტეტი მისი უდიდებულესობის მმართველობის სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებული დადგენილების“ მისაღებად და მისი წარმართვის პასუხისმგებლობაც საკუთარ თავზე აიღო. მოსაწვევის ტექსტი მისმა ბრწყინვალებამ შეადგინა. ტუცემ მასში შესწორებები შეიტანა და მას შემდეგ, რაც დიოთიმამ ის არნჰაიმს გააცნო, შესწორებული ვარიანტიც მიიღეს.

ამ ტექსტში ფიგურირებდა რაღაც ისეთი, რაც მისი ბრწყინვალების ყურადღებას იქცევდა. „მიზეზი ჩვენი შეკრებისა, – ეწერა დოკუმენტში, – ის ერთსულოვნება გახლავთ, რომელსაც შემდეგ საკითხში ვიჩენთ, კერძოდ კი იმაში, რომ ძლევამოსილი, ხალხის წიაღიდან შობილი დემონსტრაცია ბედის ანაბარა არ უნდა მივატოვოთ და რომ მას შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელობა სჭირდება, ანუ ის ზედა ინსტანციებიდან უნდა წარიმართოს“.

შემდეგ ნახსენები იყო „მეფობის ღვთით კურთხეულ სამოცდაათ წელთან დაკავშირებული უიშვიათესი დღესასწაული“, „ტახტის გარშემო შემოკრებილი მადლიერი ხალხი“, მშვიდობისმყოფელი კაიზერი, არასაკმარისი პოლიტიკური სიმწიფე, მსოფლიო ავსტრიული წელი და ბოლოს „საკუთრებისა და განათლების“ საკითხები, რომელიც

„ჭეშმარიტი“ ავსტრიული სულის გამომვლენ ბრწყინვალე დემონსტრაციად უნდა ქცეულიყო, რაც ამავდროულად სიფრთხილეს და დაფიქრებულ მოქმედებას გულისხმობდა.

კრებაზე მოსაწვევ სტუმართა სიიდან, რომელიც დიოთიმამ შეადგინა, ყურადღებას იქცევდნენ ხელოვნების, მეცნიერებისა და ლიტერატურის წარმომადგენლები. ისინი კი, ვისაც ამ კრებაზე დასწრების უფლება ჰქონდა, მაგრამ მათგან დიდ აქტივობას არ ელოდნენ, გაცხრილეს და მხოლოდ რამდენიმე დატოვეს. მიუხედავად ამისა, სტუმართა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ მათ მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდასთან ვერ დატევდნენ და არჩევანიც წვეულების თავისუფალ ფორმაზე შეაჩერეს, სადაც სტუმრებს მაგიდასთან მიუწვევლად ცივი საუზმით გაუმასპინძლდებოდნენ. ზოგი იდგა, ზოგიც იჯდა, ყველა ისე იქცეოდა, როგორც მოეხერხებოდა და დიოთიმას სახლის ოთახები ბუტერბროდებით, ტორტებით, ღვინით, ლიქიორითა და ჩაით კარგად მომარაგებულ ჯარისკაცთა ბანაკს დაემსგავსა, რისთვისაც ტუცის ბიუჯეტიდან სოლიდური თანხის გაღება მოუწია. ცოლის სურვილს ის უხმოდ დაეთანხმა. ეს კი იმის მაჩვენებელი გახლდათ, რომ ტუცის დიპლომატიის ახალი, ინტელექტუალური მეთოდებით მოქმედება განეზრახა.

მაღალი წრის თავყრილობის წარმართვა დიოთიმას დიდ მოთხოვნებს უყენებდა და შესაძლოა, ბევრ რამეს გაეღიზიანებინა კიდეც, მისი თავი პირთამდე სავსე ხილის დიდებულ თასს რომ არ მსგავსებოდა, საიდანაც გამუდმებით ცვიოდა სიტყვები. ეს ის სიტყვები იყო, რითაც დიასახლისი სტუმრებს ეგებებოდა და მათ საკუთარი საქმის ბრწყინვალე ცოდნით აღაფრთოვანებდა. მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მხოლოდ არნჰაიმის დახმარებით გახდა შესაძლებელი, რომლის პირადი მდივანიც დიოთიმას მასალის მოწესრიგებასა და მნიშვნელოვანი მონაცემების შემოკლებული სახით შეგროვებაში ეხმარებოდა. პარალელური აქციის დასაწყისში გრაფი ლაინსდორფის მიერ გამოყოფილი ფულით შეძენილი დიდი ბიბლიოთეკა ამ ცეცხლოვანი გზნების ჩინებული წიდა გახლდათ და თან დიოთიმას წიგნებთან ერთად მისი დაცარიელებული ოთახების ერთადერთი სამშვენისი, რომელსაც ყვავილებით მოხატული შპალერი ლამის მთლიანად დაეფარა. შპალერი მნახველს ბუდუარს ახსენებდა და ეს კავშირი მის ბინადარზე საამურ ფიქრებს

აღძრავდა. ბიბლიოთეკა სხვა მხრივაც მომგებიანი შენაძენი იყო. დიოთიმა სტუმრებს დიდი პატივით ეგებებოდა; შემდეგ ისინი ოთახებში გაუბედავად აბიჯებდნენ და მათ მზერას ოთახების ბოლოს წიგნებით დაფარული კედელი იზიდავდა ისე, როგორც ეზოს ღობედ შემოვლებული ბუჩქნარ-ბარდი ფუტკრებს. კეთილშობილური ცნობისმოყვარეობა, წიგნების სიუხვე რომ აღძრავს ყოველ შემოქმედში, მნახველში ღრმა კმაყოფილების გრძნობასაც ბადებდა, რადგან მრავალი მათგანი ამ კოლექციაში საკუთარ წიგნებსაც პოულობდა და ამით პატრიოტული აქციაც სარგებლობას ნახულობდა.

კრების სულიერი ხელმძღვანელობა დიოთიმამ თვითდინებას მიანდო და საჭიროდ ჩათვალა, პოეტები დაერწმუნებინა, ცხოვრება, არსებითად, შინაგან პოეზიას ეყრდნობა და, თუ მოვლენებს „მაღალი პოზიციებიდან“ შევხედავთ, საქმიანი ცხოვრებაც ასეაო. ეს არც არავის გაჰკვირვებია, თუმცა გამოირკვა, რომ ამ მიმართვის ადრესატები დარწმუნებულები იყვნენ, კრებაზე იმ მიზნით მოგვიწვიეს, პარალელური აქციის თაობაზე რჩევები გვკითხონო. იმასაც ვარაუდობდნენ, რომ სიტყვით გამოვიდოდნენ, რომელიც ხუთიდან ორმოცდახუთ წუთამდე გაგრძელდებოდა. მათი წარმოდგენით, თუ მათ რჩევას გაითვალისწინებდნენ, პარალელური აქცია ჭეშმარიტ გზას არ ასცდებოდა, რაც უნდა ეფლანგათ ორატორებს მომავალში დრო უმიზნო, უშინაარსო შეთავაზებებით. დიოთიმას ეჩვენებოდა, რომ ყველა თავის სათქმელს ამბობდა, თვითონ კი ამ ყველაფრის ერთ მნიშვნელამდე დაყვანას ვერ ახერხებდა. ეს კი ტირილის გუნებაზე აყენებდა და გარეგნულ სიმშვიდეს ძლივს ინარჩუნებდა. ერთად შეკრებილი ამდენი მოაზროვნე ჯერ არ ენახა. განა ასე ხშირია დიდი ადამიანების უნივერსალური შეხვედრები?! ამიტომ ყველაფერში ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად უნდა გარკვეულიყო და ამისთვის დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. სხვათა შორის, ბევრი რამ არსებობს სამყაროში, რომლებსაც, ერთად აღებულს, ადამიანისთვის სხვა მნიშვნელობა ენიჭება, ცალ-ცალკე კი – სხვა. მაგალითად, წყალი დიდი რაოდენობით ადამიანს ნაკლებ სიამოვნებს განაცდევინებს, ვიდრე ცოტა. განსხვავება მოცემულ შემთხვევაში იმ განსხვავებას ჰგავს, რაც წყურვილის მოკვლასა და წყალში დახრჩობას შორის არსებობს. ასევეა შხამის, სიამოვნების, მოცალეობის, ფორტეპიანოზე დაკვრისა და იდეალების და, საერთოდაც, ყველა შემთხვევაში. ასე რომ, რას

წარმოადგენს ესა თუ ის საგანი, მის ინტენსივობასა და სხვა გარემოებებზეა დამოკიდებული. აქვე ისიც უნდა დავურთოთ, რომ გამონაკლისს არც გენიოსები წარმოადგენენ, რათა ვინმემ არ იფიქროს, რომ დიოთიმა, რომელიც უანგაროდ ჩამდგარიყო ამ დიდი ადამიანების სამსახურში, რამით აკნინებდა მათ მნიშვნელობას.

პირველივე შეკრება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ზეციური მწვერვალიდან ძირს დაშვებული ეს დიდი ადამიანები თავდაჯერებას კარგავდნენ, რადგან საკუთარი აზრის გამოხატვა იმგვარ ვითარებაში უწევდათ, როცა ფეხქვეშ ჩვეულებრივ ნიადაგს გრძნობდნენ. რომელიმე მათგანთან პირისპირ საუბრისას მისი მჭევრმეტყველება დიოთიმას ისევე აოცებდა, როგორც ზეციური მოვლენა. საკმარისი იყო, საუბარში მესამე ან მეოთხე ჩართულიყო და მსჯელობაც იმგვარ წინააღმდეგობრიობას იძენდა, რომ დიოთიმა საბოლოოდ კარგავდა განსახილველი თემის არსში წვდომის უნარს. თუ არ გეხამუშებათ, მაშინ ამ მოვლენას გედს შევადარებდი, ზეცაში ლაღად ფრენის შემდეგ ისევ მიწაზე რომ უწევს გადაადგილება; თუმცა ხანგრძლივი ნაცნობობა ამასაც გასაგებს ხდის. იმისთვის, რასაც დღეს დიდი ადამიანების ცხოვრება ეყრდნობა, შეგვეძლო დაგვერქმია „ვინ იცის, რატომ“. მათ დიდ პატივს მიაგებდნენ და ამის დასტური იუბილეები, რომელიმე სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლის დაარსებიდან ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები და სხვა უამრავი ღონისძიებაა, სადაც მათ საპატიო დოქტორის ტიტულებით ამკობენ ან გერმანიის სულიერების საგანძურზე ლაპარაკობენ. ისტორიის მანძილზე მრავალი ასეთი დიდი ადამიანი გვყოლია და მათ ზუსტად ისე აღვიქვამთ, როგორც ციხის ან არმიის არსებობას, ანუ როგორც ჩვენთვის განკუთვნილ ინსტიტუციას: რადგან არსებობს, შიგ ვინმეც უნდა ჩავსვათ.

ასე რომ, ავტომატურად, სწორედ ისე, როგორც ასეთ სოციალურ მოთხოვნებს სჩვევია, იმას ვირჩევთ, ვინც უკვე რიგშია და ვინც უკვე მზადაა დიდების მოსახვეჭად. ამგვარი დიდება მთლად რეალური არ გახლავთ, რადგან მას საფუძვლად საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრება უდევს, რომ, არსებითად, ამგვარ დიდებას არავინ იმსახურებს, და ძნელია მიხვდე, როცა ის პირს აღებს, უკვირს თუ ამთქნარებს. როცა ვინმეს გენიოსად მოიხსენიებენ და თან იქვე დასძენენ, ასეთი რამ დღეს აღარ გვხვდებაო, ეს

ნათქვამი უფრო სიკვდილის კულტის ან იმ ისტერიული სცენის გამოხატულებაა, რომელსაც სწორედ გრძნობის ნაკლებობის გამო მართავენ.

მგრძნობიარე ადამიანისთვის ასეთი მდგომარეობა უსიამოვნოა და მისთვის თავის არიდებას ყველა თავისებურად ცდილობს. სასოწარკვეთილების გამო ზოგი დიდ ქონებას იძენს, ცდილობს, ხეირი ნახოს იმ მოთხოვნილებიდან, მარტო დიდ მოაზროვნეებზე კი არა, დაუდეგარ მამაკაცებზე, ბუნების ლაღ შვილებსა და ახალგაზრდა თაობის ლიდერებზეც რომ არსებობს. ზოგი უხილავ სამეფო გვირგვინს ატარებს და მას ვერასდროს ელევა, თან თავგადაკლული მოკრძალებით ირწმუნება, მინდა, ჩემი ნაღვაწი ასწლეულების შემდეგ დაფასდესო; ჭეშმარიტად დიდი მოაზროვნეები კულტურული საგანძურის ცოცხალი განსახიერება რომ ვერ ხდებიან – რადგან ისინი ეპოქას მეტისმეტად უსწრებენ წინ – გერმანელი ხალხის შემზარავ ტრაგედიად მიაჩნიათ. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ აქამდე მხოლოდ ესთეტებზე ვლაპარაკობდით, რადგან სამყაროსთან სულის დამოკიდებულებაში ერთი ძალზე ყურადსაღები სხვაობა შეიმჩნევა. ესთეტებს სურთ, რომ მათით ისევე ტკბებობდნენ, როგორც გოეთეთი, მიქელანჯელოთი, ნაპოლეონით და ლუთერით. ვიღას ახსოვს ამ დროს იმ ადამიანის სახელი, რომელმაც კაცობრიობას ნარკოზის გამოგონებით ენით უთქმელი შვება მოჰგვარა; ვინღა იკვლევს გაუსის, ოილერის ან მაქსველის ცხოვრებაში ვინმე ფრაუ ფონ შტაინის როლს? ან განა ვინმეს აინტერესებს, სად დაიბადნენ და გარდაიცვალნენ ლავუაზიე ან კარდანუსი?! ამის ნაცვლად იმას იკვლევენ, რა სახით პოვა განვითარება მათმა იდეებმა და აღმოჩენებმა სხვათა, ნაკლებად საინტერესო ადამიანების იდეებსა და აღმოჩენებში; და მთელი გულისყური იქითკენ აქვთ მიმართული, როგორ ვითარდება მათი მიღწევები სხვათა მიღწევებში მას შემდეგ, რაც მათი ხანმოკლე სიცოცხლის ცეცხლი მინავლდება. თავიდან გაკვირვებს ქცევის ამ ტიპებს შორის არსებული მკვეთრი სხვაობა, თუმცა მაშინვე გახსენდება ანალოგიური მაგალითები და შენც ეს სხვაობა ყველაზე ბუნებრივად გესახება. ჩვეულებრიობა გვარწმუნებს, რომ ეს პიროვნებასა და შრომას, ადამიანის სიდიადესა და შრომის სიდიადეს, განათლებულობასა და ცოდნას, ჰუმანიზმსა და ბუნებას შორის არსებული სხვაობაა. შრომა და ინდუსტრიული გენია ვერც მორალურ სიდიდეს ზრდის და

ვერც იმის უნარს, რაც ამ ცისქვეშეთში ადამიანად გხდის, ის ვერც ცხოვრებისეულ სიბრძნეს მატებს რამეს, რომელიც სახელმწიფო მოღვაწეთა, გმირების, წმინდანების, მომღერლების და, თუ გნებავთ, მსახიობების მაგალითებით თაობიდან თაობას გადაეცემა მემკვიდრეობით; ვერც იმ დიდ ირაციონალურ ძალაუფლებას ზრდის, რომლის თანამონაწილედაც მიიჩნევს თავს პოეტი მანამ, სანამ საკუთარი სიტყვების სჯერა და სწამს, რომ მისი პირით შინაგანი არსის, სისხლის, გულის, ერის, ევროპის ან კაცობრიობის ხმა ღაღადებს. ეს ის იდუმალებით მოცული მთლიანობაა, რომლის იარაღადაც მას მიაჩნია თავი იმ დროს, როცა სხვები ელემენტარულ ცოდნაში იქექებიან. სანამ მის დანახვას ისწავლი, ჯერ ეს მისია უნდა იწამო! ამაში, უდავოდ, ჭეშმარიტების ხმა გვარწმუნებს, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას განა ერთი უცნაურობა არ ახასიათებს? განა პიროვნულობა სწორედ იქ არ ჩნდება, სადაც მასზე უფრო მეტად საქმეს ამჩნევენ? იქ კი, სადაც პიროვნულობას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, გარკვეული სიმაღლის მიღწევის შემდეგ ჩნდება გრძნობა, რომ პიროვნულობის ნაკლებობაა და ჭეშმარიტად დიდი წარსულის კუთვნილებად იქცა!

დიოთიმასთან დიდმა ადამიანებმა მოიყარეს თავი და ერთ ჯერზე ამდენი მეტისმეტად ბევრი იყო. თხზვა და აზროვნება თითოეულისთვის ისევე ბუნებრივი გახლდათ, როგორც იხვისთვის – ცურვა. იქ შეკრებილთათვის ეს პროფესიულ საქმიანობას წარმოადგენდა, რაც მათ სხვებზე უკეთ ეხერხებოდათ კიდეც. მაგრამ რისთვის? მათი შრომა მშვენიერი, დიდი და განუმეორებელი იყო, მაგრამ ეს განუმეორებლობა სასაფლაოს განწყობილებას ბადებდა, წარმავლობის მძიმე ოხშივარი ასდიოდა, უმიზნო და უაზრო იყო და არც წარმომავლობა გააჩნდა და არც გაგრძელება. მათ გონებაში განცდილზე უამრავ მოგონებას, ურთიერთგადამკვეთ სულთა მირიად რხევას მოეყარა თავი, მათ გარშემო გვირისტისა და ნაწიბურის გარეშე რომ განფენილიყო და ქსოვილზე ამობზეკილ მეხალიჩის ნემსს ჰგავდა. ისინი კი რომელიღაც ადგილს აქსოვდნენ ორნამენტს და მერე ის სადმე სხვაგან ცოტათი განსხვავებულად მეორდებოდა.

განა საკუთარი თავის სწორად გამოყენებას ნიშნავს, როცა მარადისობის ქსოვილზე პატარა ლაქას აღბეჭდავ?

ალბათ გადაჭარბებული იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ დიოთიმას ეს ესმოდა, თუმცა სასაფლაოდან მონაბერ სიოს კარგად გრძნობდა და რაც უფრო უახლოვდებოდა პირველი დღე დასასრულს, სევდაც მით მეტად ერეოდა. საბედნიეროდ, დიოთიმას ის უიმედო განწყობილება გაახსენდა, რომელიც არნჰაიმმა ამგვარ საკითხზე საუბრისას გამოხატა. მისი მეგობარი ახლა სადღაც გამგზავრებულიყო. დიოთიმას ახსოვდა, როგორ აფრთხილებდა არნჰაიმი, ამ შეკრებაზე დიდი იმედები არ დაემყარებინა. ასე რომ, იგი არნჰაიმისეულმა სევდამ მოიცვა, რამაც საბოლოოდ ოდნავ ნაღვლიანი, მაგრამ მაინც სიამოვნება მოჰგვარა. „განა ეს ის პესიმიზმი არ არის, რომელიც საქმიან ადამიანს იმ ადამიანთან შეხებისას ეუფლება, რომლის საქმეც სიტყვაა?“ – ეკითხებოდა დიოთიმა საკუთარ თავს და არნჰაიმის წინასწარმეტყველებაზე ფიქრობდა.

72. მეცნიერებას ულვაშებში ეღიმება, ანუ ბოროტებასთან პირველი საფუძვლიანი შეხვედრა

ახლა კი რამდენიმე სიტყვით ღიმილის, თანაც მამაკაცური ღიმილის შესახებ მოგახსენებთ. აქ ულვაშებიც ფიგურირებს, რომელიც სწორედ მამაკაცური ქცევისთვის არის შექმნილი. საქმე ეხება დიოთიმას მოწვეულ სწავლულებს, რომლებიც ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებს ღიმილით უსმენდნენ, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ეს ირონიული ღიმილი იყო. პირიქით, ეს იმ მოწიწებისა და არაკომპეტენტურობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. თუმცა არც ამან უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. ქვეცნობიერად, თუ ამ გასავლიან სიტყვას ვიხმართ, ანუ უფრო ზუსტად, საერთო ჯამში, ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებშიც ბოროტება ქვაბქვეშ შეკეთებული ცეცხლივით გიზგიზებდა.

ცხადია, ეს ნათქვამი პარადოქსად ჟღერს და უნივერსიტეტის რომელიმე პროფესორი სავარაუდოდ ამაზე პასუხად განაცხადებდა, ჭეშმარიტებასა და პროგრესს ვემსახურები, ჩემთვის მთავარი საზრუნავი ეს არის და ჩემი პროფესიული იდეოლოგიაც ეს გახლავთო. ყველა პროფესიას კეთილშობილური იდეოლოგია უდევს საფუძვლად. მონადირე, მაგალითად, სულაც არ მიიჩნევს თავს ტყის ყასბად. პირიქით, თვლის, რომ ბუნებისა და ნადირთა მეგობარია. ვაჭარიც ასე თვლის; ფიქრობს, რომ პატიოსანი მოგების პრინციპს იცავს.

ქურდი კი ვაჭართა მეფეს და ხალხთა მეგობრობის ქომაგ, საერთაშორისო კავშირების მქონე, კეთილშობილ მერკურს თავის ღმერთად აღიარებს. ასე რომ, დიდად არ უნდა ვენდოთ იმ საქმიანობის შესახებ წარმოდგენებს, რომლებიც ამ საქმიანობის მიმდევართა წარმოსახვაში იქმნება.

თუ საკუთარ თავს დავუსვამთ კითხვას, როგორ შეიძინა მეცნიერებამ თანამედროვე სახე – ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ის ჩვენზე ბატონობს და მისგან არც წერა-კითხვის უცოდინარია დაცული: მასაც ხომ უწევს მეცნიერების მიერ შობილ აურაცხელ საგანთან თანაცხოვრება – სულ სხვაგვარ სურათს მივიღებთ. ყველაფერი კი მეთექვსმეტე საუკუნეში, დიდი სულიერი ქარტეხილების ეპოქაში იმით დაიწყო, რომ ადამიანებმა შეწყვიტეს ბუნების იდუმალებათა წვდომის მცდელობა, რასაც ორი ათასწლეულის მანძილზე ფილოსოფიური და რელიგიური სპეკულაციები ესწრაფოდა და მისი ზედაპირის სრულიად ზედაპირული კვლევით კმაყოფილდებოდნენ. დიდმა გალილეო გალილეიმ, რომელიც ასეთ შემთხვევაში პირველი სახელდება, თავი მიანება იმ საკითხის კვლევას, რატომ უფრთხის ბუნება ცარიელ სივრცეს, რა აიძულებს სხეულს, ვარდნისას სივრცე სივრცეზე გადაკვეთოს და არ შეწყვიტოს ვარდნა, სანამ მყარ ნიადაგს არ მიაღწევს და უფრო მარტივი საკითხით დაინტერესდა: მან, უბრალოდ, განსაზღვრა, რა სისწრაფით ეცემა სხეული, რა გზას გაივლის და როგორ მატულობს მისი სისწრაფე. კათოლიკურმა ეკლესიამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, როცა მას სიკვდილით დაემუქრა და აიძულა, განდგომოდა თავის მოძღვრებას, იმის მაგივრად, რომ უცერემონიოდ მოეკლა; რადგან მან და მისმა თანამოაზრეებმა უმოკლეს ხანში – თუ მას ისტორიული საზომით მივუდგებით – შექმნეს სარკინიგზო მიმოსვლის განრიგები, ფაბრიკის დანადგარები, ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია და თანამედროვე ეპოქის მორალური ხრწნა გამოიწვიეს. ეს შეცდომა ეკლესიამ ზედმეტი ჭკუისგან დაუშვა, რადგან გალილეი მხოლოდ ვარდნის კანონისა და დედამიწის ბრუნვის აღმომჩენი კი არ იყო, ის გამომგონებელიც გახლდათ და როგორც დღეს იტყოდნენ, დიდი კაპიტალი აინტერესებდა. თანაც ის ერთადერთი როდი იყო, ვინც სიახლის სულისკვეთებას შეეპყრო. ისტორიული ფაქტები ცხადყოფს, რომ გონების სიფხიზლე სენივით მოედო მთელ ეპოქას და რაც უნდა საძრახისად ჟღერდეს, ჩვენთვის –

რადგან ჩვენ ის საკმარისზე მეტი გვაქვს – მეტაფიზიკის ბურუსიდან გამოღვიძება და მოვლენათა ფხიზელი კვლევა, მოწმეთა თანახმად, ნამდვილ თრობად და აღმაფრენად იქცა! ჩნდება კითხვა: მაინც საიდან მოუვიდა თავში კაცობრიობას, ასე შეცვლილიყო?! პასუხი მარტივია: იგი იმ ბავშვივით მოიქცა, რომელიც ნაადრევად ცდილობს ფეხის ადგმას: მიწაზე დაჯდა და მას საიმედო, სხეულის არცთუ ისე კეთილშობილური ნაწილით შეეხო, ანუ სწორედ იმ ნაწილით, რითაც საერთოდ ადამიანი ჯდება. უცნაური ის გახლავთ, რომ დედამიწა მეტისმეტად მგრძნობიარე აღმოჩნდა ამგვარი შეხების მიმართ და დროთა განმავლობაში საკუთარ თავს გამოგონებები, კომფორტი და მეცნიერული დასკვნები გამოსტყუა, რომელიც ლამის საოცრებას უტოლდება.

ამ წინაისტორიის შემდეგ საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ ანტიქრისტეს სასწაულის შუაგულში ვიმყოფებით და ზემოთ ხსენებული მეტაფორა შეხების თაობაზე არა მარტო საიმედოობის, არამედ უმსგავსობისა და აკრძალულის ფარგლებში უნდა განვიხილოთ. სანამ გონიერი ადამიანი გაუგებდა ფაქტებს გემოს, მათი მფლობელნი უკვე მეომრები, მონადირეები და ვაჭრები, ანუ ცბიერი, მოძალადე ადამიანები იყვნენ. გადარჩენისთვის ბრძოლაში ფილოსოფიური სენტიმენტებისთვის ადგილი არ მოიძებნება. აქ მხოლოდ ერთი სურვილი ბატონობს: რაც შეიძლება რეალისტური და უმოკლესი გზებით გაანადგურო მოწინააღმდეგე. ასეთ დროს უკლებლივ ყველა პოზიტივისტია. არც ის ითვლება ზნეობრიობად, ვინმეს ვაჭრობაში თავი მოატყუებინო, ნაცვლად იმისა, რომ ფაქტებს გაუსწორო თვალი. საბოლოო ჯამში, მოგება პარტნიორზე ფსიქოლოგიურ და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე გამარჯვებას ნიშნავს. მეორე მხრივ, თუ იმ თვისებებს დავაკვირდებით, რომლებიც აღმოჩენების გზაზე გვაყენებს, დავინახავთ, რომ ეს ტრადიციული მოკრძალებისა და შებოჭილობისგან თავისუფლება, გამბედაობა, ერთდროულად შექმნისა და ნგრევის წყურვილი, მორალური მოსაზრებების უარყოფისა და უმცირესი მოგების მიზნით მოთმინებით ვაჭრობის, მიზნისკენ მიმავალ გზაზე შეუპოვრად სვლის უნარი ყოფილა. ეს ზომიერებისა და ციფრების მიმართ პატივის მიგების უნარიცაა, რომელიც ყოველგვარი ბუნდოვანებისადმი ურწმუნოების ყველაზე ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს. სხვაგვარად

რომ ვთქვათ, ეს ის ნაკლოვანი თვისებებია, მონადირეებს, ჯარისკაცებს და ვაჭრებს ოდითგანვე რომ ახასიათებთ, ოღონდ მათ დღეს მორალურ პლანში განიხილავენ და ზნეობრიობად განმარტავენ. მართალია, ეს თვისებები მოკლებულია პირად გამორჩენას და ბილწ მიზნებს, მაგრამ, ასე ვთქვათ, თავდაპირველი ბოროტების ელემენტი მეტამორფოზის პროცესში არ დაუკარგავს და მაინც თან ახლავს, რადგან, როგორც ჩანს, ისევე მარადიული და ურღვევია, როგორც ყოველი ამაღლებული. ბოროტება ერთ რამეს ესწრაფვის: ფეხი დაუდოს ამაღლებულს და ძირს შუბლით დაანარცხოს. ვინ არ იცნობს ბოროტების მაცდურ ხიბლს, აზრთა დიდებულ, მოჭიქულ თასში ჩამალულს, ჯოხის ერთი მოქნევით ნამსხვრევებად რომ შეიძლება აქციო? მეცნიერების სისაღეს საფუძვლად უდევს ჰეროიზმად ქცეული სიმწარე იმისა, რომ ამქვეყნად საყრდენად მხოლოდ ის გამოდგება, რაც რკინასავით მაგარი და ურყევია და თუ ამ საყრდენს პატივისცემის გამო ეშმაკს ვერ უწოდებენ, შეტრუსული ბალნის სუნი ოდნავ მაინც ასდის.

ახლავე შეგვეძლო დაგვეწყო მექანიკური, სტატისტიკური, მატერიალისტური განმარტებებისადმი მეცნიერული აზროვნების თავისებური, უსულგულო სიყვარულით: სიკეთე ეგოიზმის განსაკუთრებულ ფორმად განგვეხილა, სიყვარული შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებთან დაგვეკავშირებინა; დაგვედგინა, რომ ადამიანის მერვედი თუ მეათედი ნაწილი წყლისგან შედგება; ყველასთვის ცნობილი ზნეობრივი თავისუფლება თავისუფალი ვაჭრობის მექანიკურად წარმოქმნილ გონებრივ დანამატად განგვემარტა; სილამაზის მიზეზად საჭმლის მონელების ჯანმრთელი სისტემა და ასევე ჯანმრთელი ცხიმოვანი ქსოვილი დაგვესახელებინა; ჩასახვა და თვითმკვლელობა წლიურ სტატისტიკურ ცხრილში შეგვეტანა, რომელიც იძულებით ქმედებად წარმოგვიდგენს იმას, რაც თავისუფალი ნებელობითი აქტის შედეგია; თრობასა და სულიერ ავადმყოფობას შორის მსგავსება დაგვენახა; პირი და უკანა ტანი, როგორც რექტალური და ორალური დაბოლოება, ერთმანეთთან გაგვეთანაბრებინა: ამგვარი იდეები ილუზიათა ჯადოსნურ ფანდს ტრიუკად მიიჩნევს და სასურველ წინაგანწყობასაც ყოველთვის ქმნის, რათა თავი ყველას მეცნიერულად მიაჩნევინოს. ჭეშმარიტების სიყვარული, ცხადია, აქ უდავოდ ჩანს; თუმცა ამ თვალისმომჭრელი კაშკაშა

სიყვარულის ირგვლივ სხვაც ბევრი რამაა: დეზილუზიის, იძულების, შეუვალობის, ცივი უარყოფის, მშრალი დირექტივებისა და მიკერძოების სიყვარული. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტების ხმას მეტად საეჭვო ხმაური ახლავს, ამ ხმის გაგება კი მასში მონაწილე პირებს არ სურთ. ფსიქოლოგია დღეს უკვე კარგად იცნობს ამგვარ დახშულ თანმხლებ ხმაურს და გვირჩევს, გამოვავლინოთ და განვმარტოთ იგი, რათა მისი მავნე შედეგების თავიდან აცილება შევძლოთ. რა მოხდებოდა, ერთ დღესაც ექსპერიმენტი რომ ჩაგვეტარებინა, ცდუნებას ავყოლოდით და საქვეყნოდ წარმოგვეჩინა ჭეშმარიტების ორაზროვნება, მისი სატანური უწმინდურების თანმდევი ხმები და მიმნდობი სახით ის თავისუფლად მიგვეშვა? გამოაშკარავდებოდა სწორედ იმ იდეალიზმის ნაკლებობა, რომელიც უკვე აღწერილია ზუსტი ცხოვრების უტოპიის სახელით, შეხედულებათა საცდელი და დროებითი სისტემა, საომარი პერიოდის იმ რკინისებურ კანონს რომ ემორჩილება, რომელიც მუდამ სულიერი დაპყრობის პროცესში მოქმედებს. ცხოვრებისადმი ასეთი მიდგომა არც დამამშვიდებელია და მას არც დამცავი ხასიათი აქვს; ცხოვრებაში ყოველივე ღირსეულს მოწიწებით კი არ შეხედავდი, არამედ იმ დემარკაციულ ხაზად აღიქვამდი, რომელსაც შინაგანი ჭეშმარიტებისთვის ბრძოლა მუდამ სადღაც გადაანაცვლებს. ცხოვრებისადმი ასეთი მიდგომა სამყაროს ამწუთიერი მდგომარეობის სიწმინდეს ეჭვქვეშ დააყენებდა, მაგრამ სკეპტიციზმის კი არა, ზესვლის გამო, როცა ფეხი, მყარად რომ აბიჯებ, ყოველთვის უფრო ქვემოთ გიდგას. Ecclesia militans-ის ცეცხლში ეშმაკი კვლავ ღმერთისკენ გაიგნებდა გზას, ჭეშმარიტება კვლავ ზნეობრიობის მოკავშირე გახდებოდა და მას ფარულად აღარ უმტრობდა, როგორც ახალგაზრდა ძმისშვილი – ქალწულად დაბერებულ დეიდას.

ამ ყველაფერს ცოდნის ტაძარში ახალგაზრდა კაცი ასე თუ ისე შეიმეცნებს, ეცნობა დიდი, კონსტრუქციული მსოფლმხედველობის ელემენტებს, რომელიც ურთიერთდაშორებულ მოვლენებს ერთმანეთთან თამაშ-თამაშით აკავშირებს, მაგალითად, ქვას, რომელიც ვარდება, და ცის თაღზე მბრუნავ ვარსკვლავს; მოჩვენებითად ერთიან და განუყოფელ საგანს კი, როგორც ცნობიერების ცენტრიდან გაჩენილ მარტივ მოქმედებას, ნაკადებად შლის, რომელთა სათავეებსაც ერთმანეთისგან ათასწლეულები აშორებს. ვინმემ

რომ მოისურვოს და ამ გზით შეძენილი მსოფლმხედველობა საგანგებო დავალების ფარგლებს მიღმა გამოიყენოს, მას მაშინვე მიახვედრებენ, რომ ცხოვრებას და აზროვნებას ერთმანეთისგან განსხვავებული მოთხოვნები აქვს. ცხოვრებაში იმის საპირისპირო ხდება, ვიდრე ნაწრთობი გონებაა მიჩვეული. ბუნებრივი განსხვავება და მსგავსება აქ დიდად ფასობს; უკვე არსებულს, გარკვეულ ზღვრამდე, ბუნებრივად მიიჩნევენ და არც ხელყოფენ. გარდაუვალ ცვლილებას ნელა განახორციელებენ, თითქოს აქეთ-იქით აგორავებენო. ვინმემ რომ წმინდა ვეტერინარული მოსაზრებით ძროხას თქვენობით მიმართოს (იმის გათვალისწინებით, რომ არსებას, ვისაც შენობით მიმართავ, უფრო იოლად მოექცევი უცერემონიოდ), მასხარას ან სულაც შეშლილს უწოდებენ, მაგრამ არა ცხოველების სიყვარულის ან ვეგეტარიანული მოსაზრებების – ამგვარი რამ ჰუმანურობად ითვლება – არამედ ამ მოსაზრებათა თუ გრძნობათა რეალობაში პირდაპირ გადმოტანის გამო. მოკლედ, გონებასა და ცხოვრებას ერთმანეთთან საკუთარი ანგარიში აქვს. ცხოვრებისგან გონება საკუთარ მოთხოვნათა ნახევარს თუ იღებს და სანაცვლოდ საპატიო კრედიტორის ტიტულით ჯილდოვდება.

თუ, ჩვენი ვარაუდის თანახმად, სული თავისი ძლევამოსილებით, რასაც იგი საბოლოოდ იძენს, წმინდანია – მეომრისა და მონადირისთვის დამახასიათებელ თანმდევ უზნეობასთან ერთად – მაშინ ამ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ ბიწიერებისადმი მისი მიდრეკილება არსად ვლინდება და არც იმის საშუალება ეძლევა, რომ რეალობასთან შეხებით გაკეთილშობილდეს. ამიტომაც გვხვდება იგი მეტად საეჭვო, არაკონტროლირებად გზებზე, სადაც იგი უნაყოფო ტყვეობიდან თავის დახსნას ლამობს. იმის უარყოფა ძნელია, რომ ეს ვარაუდი თავისებურად მტკიცდება, თუნდაც აქამდე არსებული ილუზიის თამაში იყოს და სხვა არაფერი. არსებობს რაღაც უსახელო განწყობა, რომელიც უამრავს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი: ბოროტების მოლოდინი, მზადყოფნა აურზაურისთვის, უნდობლობა იმ ყველაფრის მიმართ, რაც მოკრძალებას იწვევს. ზოგი მოთქვამს, რომ ახალგაზრდებს იდეალები არ გააჩნიათ, მაგრამ იმავე წუთს, როგორც კი მოქმედებაა საჭირო, იმ ადამიანივით იქცევა, იდეისადმი ჯანსაღი უნდობლობის გამო მის ფაქიზ ძალას ხელკეტით რომ აძლიერებს. არსებობს ისეთი

კეთილშობილური მიზანი, კორუფციის რაღაც წილს ან სულმდაბალ თვისებას რომ არ საჭიროებს, რათა ამქვეყნად სერიოზულად მიიჩნიონ? ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „შემოკვრა“, „იძულება“, „მოსდგე“, „არ შეუშინდე მინის ნამსხვრევებზე ფეხშიშველ სიარულს“, „მკაცრი მეთოდი“, თავისი საიმედოობის გამო ყურს ერთობ სიამოვნებს. იმ იდეამ, რომ ყაზარმაში გამოკეტილ ყველაზე გონიერ ადამიანს სულ რაღაც რვა დღის განმავლობაში ისე გაწვრთნი, რომ ფელდფებელის ბრძანებაზე ხტუნვას დააწყებინებ ან იმან, რომ ნებისმიერი პარლამენტის შესაპყრობად ერთი ლეიტენანტი და რვა ჯარისკაციც საკმარისია, კლასიკური გამოხატულება პოვა იმ აღმოჩენაში, რომ ამქვეყნად ყველაზე ურყევი მოსაზრების სასაცილოდ ასაგდებად იდეალისტის ხახაში რამდენიმე კოვზი აბუსალათინის ზეთის ჩასხმაც კი კმარა. ეს იდეები, ყველა აღშფოთებული რომ დევნის, შეუვალი სიჯიუტით ღამის კოშმარების სახით გვევლინება. გრანდიოზული მოვლენის წინაშე მდგარ ადამიანს, თუნდაც მისი მშვენიერებით მოხიბლულს, პირველი თუ არა, მეორე აზრი, რაც ებადება, შემდეგია: „ვერ გამაცურებ, კისერს მოგიგრეხ!“. მრისხანებისგან არაქათგამოცლილი და თავად არაქათგამომცლელი ეპოქა, ყველაფრის დაკნინებას რომ ლამობს, ალბათ, უკვე აღარ არის ცხოვრების ამაღლებულ და დამდაბლებულ მოვლენებად ბუნებრივი დამყოფი; ეს უფრო სულის თვითმტანჯველი ტენდენციაა, იმ სანახაობით მოგვრილი ენით გამოუთქმელი ტკბობაა, როცა სიკეთე არათუ დამცირებულია, არამედ იოლად მსხვრევადიც. ეს კი საკუთარი თავის ტყუილის გამო დასჯის უცნაურ სურვილს წააგავს. იქნებ არც ისე უიმედოა, გჯეროდეს ეპოქის, რომელიც ქვეყნიერებას უკუღმა მოევლინა და უბრალოდ შემოქმედის ხელის შეშველება სჭირდება, წაღმა რომ მოტრიალდეს.

ასე რომ, მამაკაცის ღიმილი ბევრ მსგავს რამეს გამოხატავს, თუმცა ისინი თვითდაკვირვებას უსხლტება და ცნობიერების ზღურბლამდეც ვერ აღწევს. ასეთი იყო დიოთიმას მიერ მოწვეული იმ სახელოვანი სპეციალისტების ღიმილი, რომლებიც მის ეგზომ საქებ მისწრაფებებს დამორჩილებოდნენ. ღიმილი ფეხებიდან ღიტინივით იწყებოდა და გზა ვერ გაეგნო, ბოლოს კი, კეთილგანწყობილ ღიმილად ქცეული, სახეზე აისახებოდა. სტუმრებს უხაროდათ ნაცნობებთან შეხვედრა, კოლეგების ნახვა და მათთან საუბარი.

ყველას ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, რომ უკან წასვლისას კარიდან გასვლისთანავე საცდელად რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა დასჭირდებოდათ იმის დასადგენად, ისევ შეეძლოთ თუ არა წონასწორობის დაცვა. საერთოდ კი ყველაფერი დიდებულად იყო მოწყობილი. ასეთი ზოგადი ხასიათის წამოწყებები, ცხადია, ნამდვილ ხასიათს ვერასდროს იძენს ისევე, როგორც უზოგადესი და ამაღლებული ცნებები. თვით „ძაღლის“ ცნების წარმოდგენაც კი გაგიჭირდებათ; ეს ხომ მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ ძაღლზე ან მის კონკრეტულ თვისებაზე მინიშნებაა. პატრიოტიზმს და მამულიშვილურ კეთილშობილურ იდეას ხომ მით უფრო ვერ წარმოიდგენთ: ამას შინაარსი თუ არა, აზრი მაინც ხომ უნდა ჰქონდეს! ჰოდა, დროდადრო ამ აზრის გამოღვიძება ნამდვილად არ უნდა იყოს ურიგო. ასე ესაუბრებოდა უმრავლესობა ერთმანეთს, თუმცა უპირატესად მდუმარედ და გაუცნობიერებლად, დიოთიმა კი წინა ოთახში იდგა და დაგვიანებულ სტუმრებს ღიმილით ეგებებოდა. მის ყურამდე ბუნდოვნად აღწევდა გაცხოველებული საუბრები, შენიშვნები ჩეხურ და ბავარიულ ლუდს შორის სხვაობასა და საგამომცემლო ჰონორარის თაობაზე და ძლიერ უკვირდა. დასანანია, რომ დიოთიმას არ შეეძლო შეკრებილი საზოგადოებისთვის ქუჩიდან თვალის შევლება. იქიდან კი სტუმრები საუცხოოდ გამოიყურებოდნენ. მაღალ ფანჯრებში, ფარდებს მიღმა, შუქი ციმციმებდა, რომელსაც ეკიპაჟის მომლოდინე დიდგვაროვანთა და წარჩინებულთა შარავანდი კიდევ უფრო აძლიერებდა. ერთხანს ქუჩაში უსაქმოდ მოყიალეც ჩერდებოდა და ფანჯრებს ახედავდა ხოლმე ისე, რომ თვითონაც არ იცოდა, რატომ. ამის დანახვა დიოთიმას დიდად გაახარებდა. სადღესასწაულოდ განათებული ფანჯრებიდან ქუჩას შუქი სანახევროდ ეფინებოდა. სახლის წინ ხალხი ტრიალებდა, მათ ზურგს უკან კი სიბნელე ჩამოწოლილიყო, რომელიც ცოტა მოშორებით კუნაპეტ წყვდიადად გრძელდებოდა.

73. ლეო ფიშელის ქალიშვილი გერდა

ამ დავიდარაბაში ულრიხი დიდხანს ვერ პოულობდა დროს, რომ დირექტორ ფიშელისთვის მიცემული პირობა შეესრულებინა და მის ოჯახს სტუმრებოდა. უფრო სწორად, დრო საერთოდ არ ჰქონდა და რომ არა ფიშელის მეუღლის – კლემენტინეს – მოულოდნელი სტუმრობა, მათ საერთოდ ვერც

ნახავდა.

მოსალოდნელი ვიზიტის თაობაზე კლემენტინემ ულრიხს წინასწარ ტელეფონით შეატყობინა და ისიც მღელვარებამ შეიპყრო. სამი წლის წინ, როცა ულრიხი ამ ქალაქში რამდენიმე თვით იმყოფებოდა, იგი მათი ხშირი სტუმარი გახლდათ. ახლა კი მათთან შევლა მხოლოდ ერთხელ მოეხერხებინა, რადგან არც ძველი ფლირტის განახლება სურდა და დედის, ქალბატონ კლემენტინეს, იმედგაცრუებასაც თავს არიდებდა. კლემენტინე „მოსიყვარულე გულის“ ქალი გახლდათ, თუმცა მეუღლესთან – ლეოსთან – ყოველდღიური კინკლაობა ამ თვისების გამოვლენის შესაძლებლობას არ აძლევდა, ამიტომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რაც, სამწუხაროდ, იშვიათად ხდებოდა, გრძნობათა ნამდვილ ჰეროიზმს ამჟღავნებდა. ეს გამხდარი, სევდიანი გამომეტყველების მქონე ქალი, ცოტა არ იყოს, შემცბარი ჩანდა და ულრიხს განუცხადა, რომ მასთან პირისპირ საუბარი სურდა, თუმცა ისედაც მარტონი იყვნენ. თქვენ ერთადერთი ხართ, ვის მოსაზრებასაც გერდა ანგარიშს უწევსო, უთხრა და იქვე დაამატა, სწორად გამიგეთო.

ულრიხი კარგად იცნობდა ფიშელების ოჯახურ მდგომარეობას. დედ-მამა ერთმანეთს გაუთავებლად ებრძოდა, მათ ოცდასამი წლის ქალიშვილ გერდას კი გარს საეჭვო ახალგაზრდები ეხვია, რომლებსაც მამამისი ლეო, მის დაუკითხავად, „ახალი სულის“ მეცენატად და ქომაგად გაეხადათ, რადგან არსად ისე მყუდროდ არ გრძნობდნენ თავს, როგორც მასთან. ლეო კი ბრაზისგან ტუჩებს იკვნეტდა. გერდა ისეთი ნერვიული და სისხლნაკლულია, თანაც ამ ურთიერთობის შეზღუდვის სულ მცირე მცდელობასაც კი ისე გამოჰყავს წონასწორობიდანო, – უყვებოდა კლემენტინე ულრიხს. – განა ვინ არიან? სულელი გოგო-ბიჭები და სხვა არაფერი, მოქცევაც რომ არ იციან, მაგრამ მათი შეუფარავი ანტისემიტიზმი, რომელსაც ასე საჯაროდ განგებ გამოხატავენ, მარტო უტაქტობაზე კი არა, მათ შინაგან სიტლანქეზეც მეტყველებსო.

– არა, ანტისემიტიზმზე საწუწუნოდ არ მოვსულვარ, ეს ეპოქის მოვლენაა და ამასთან ვერაფერს გააწყობ, – დაუმატა კლემენტინემ, შემდეგ გაჩერდა და სახეზე პირბადე რომ არ ჰქონოდა ჩამოფარებული, ცრემლს ცხვირსახოცითაც შეიშრობდა, ამჯერად კი ხელჩანთიდან თეთრი ცხვირსახოცის ამოღებასღა დასჯერდა.

– თქვენ ხომ მაინც იცით, როგორია გერდა, – უთხრა მან, – ლამაზი, ნიჭიერი, მაგრამ...

– ცოტა უკმეხი, – დაამატა ულრიხმა.

– დიახ, ღმერთია მოწამე, უკიდურესობაც სჩვევია ხოლმე.

– ანუ ისევ გერმანელობს?

კლემენტინე მშობლის გრძნობებზე ალაპარაკდა. საკუთარ ვიზიტს პათეტიკურად „დედის სტუმრობა“ უწოდა, რომლის ფარული მიზანიც იმაში მდგომარეობდა, რომ ულრიხს მათთან სტუმრობა განეახლებინა; რადგან ულრიხის წარმატებებს, რომლებიც მას პარალელურ აქციაში მოეპოვებინა, კლემენტინეს ყურამდისაც მიეღწია.

– მე ვარ დამნაშავე, – განაგრძო კლემენტინემ, – რადგან ლეოს ჯიბრზე ბოლო წლებში ამ ურთიერთობებს მხარს ვუჭერდი. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავდი. თავისებურად ეს ახალგაზრდები იდეალისტები არიან და თუ მიუკერძოებელი ხარ, კეთილი უნდა ინებო და წყენის ატანაც უნდა შეძლო. ლეო კი, ხომ იცით, როგორია: ანტისემიტიზმი, მისტიკური იქნება ის თუ სიმბოლური, მეტისმეტად აღელვებს.

– გერდას თავისუფლებისმოყვარე, გერმანული ყაიდის სული კი ამ პრობლემას არ ცნობს? – ჩაურთო ულრიხმა.

– ამ საკითხში სწორედ ისეთია, როგორიც მე ვიყავი ახალგაზრდულ წლებში. მართლა, როგორ ფიქრობთ, ჰანს ზეპს აქვს რამე მომავალი?

– გერდა მასზეა დანიშნული? – ფრთხილად იკითხა ულრიხმა.

– ამ ბიჭს ხომ ცოლის რჩენის არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია, – ამოიოხრა კლემენტინემ. – როგორ შეიძლება ნიშნობაზე ლაპარაკი. ლეომ რომ ჩვენთან მოსვლა აუკრძალა, გერდა სამი კვირა თითქმის არაფერს ჭამდა და ძვალი და ტყავიღა დარჩა. – უცბად ბოღმით თქვა: – იცით რა, ეს ჰიპნოზს ჰგავს, გონების ინფექციას! ხანდახან მეჩვენება, რომ გერდა დაჰიპნოზებულია! ეს ბიჭი ჩვენს სახლში გაუთავებლად საკუთარ მსოფლმხედველობას გვახვევს თავს, გერდა კი ვერც ამჩნევს, რომ ეს მისი მშობლების შეურაცხყოფაა, თუმცა ყოველთვის დამჯერი და თვინიერი ბავშვი იყო. რამე თუ ვუთხარი, მაშინვე მპასუხობს: „დედა, ძალიან ძველმოდური

ხარ“. თქვენ ერთადერთი ხართ, ვისაც ანგარიშს უწევს. ლეოც დიდად გაფასებთ! იქნებ მოსულიყავით, გერდასთვის თვალი აგეხილათ და ჰანსის და მისი მეგობრების უმწიფრობა დაგენახვებინათ?

როგორც ჩანს, ეს საკითხი კლემენტინეს გულწრფელად ადარდებდა, რადგან იგი ძალზე კორექტული გახლდათ, ასეთი საქციელი კი ძალადობა იყო. მიუხედავად ქმართან განხეთქილებისა, ამ სიტუაციაში მას რაღაც სოლიდარობასავით უცხადებდა.

– ვშიშობ, მეც იმავეს მეტყვის, ძველმოდური ხარო. ახალგაზრდები არ გვიჯერებენ და ეს პრინციპის საკითხია.

– ვიფიქრე, მისთვის ამ დიდ აქციაში, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ, რამე საქმე რომ გამოგეჩინათ, იქნებ სხვა აზრები გასჩენოდა-მეთქი, – ჩაურთო კლემენტინემ. ულრიხმა კი სასწრაფოდ აღუთქვა, გესტუმრებითო და დაარწმუნა, რომ პარალელური აქცია ამ საქმისთვის ჯერ არ გამოდგებოდა.

გერდამ რამდენიმე დღის შემდეგ საკუთარ სახლში სტუმრად მოსული ულრიხი რომ დაინახა, სახე წამოუფორაჯდა, მაგრამ არ შეიმჩნია და ხელი მტკიცედ ჩამოართვა. გერდა მომხიბვლელი, მიზანდასახული ქალიშვილი იყო, სწორედ ისეთი, როგორიც ეპოქას შეესაბამებოდა და, თუ საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა, შესაძლოა, ავტობუსის კონდუქტორადაც კი გეხილათ.

ულრიხს ვარაუდმა არ უმტყუნა. დარწმუნებული იყო, რომ გერდა სახლში მარტო დახვდებოდა. დედა საყიდლებზე გავიდა, მამა კი სამსახურიდან არ დაბრუნებულიყო. ოთახში შესვლისთანავე ულრიხს ყველაფერმა ერთ-ერთი ის დღე გაახსენა, როცა ერთად იყვნენ ხოლმე. იმ წელმა მაშინ რამდენიმე კვირით წინ წაიწია. გაზაფხული იდგა. ისე გამთანგავად ცხელოდა, როგორც მაშინ, როცა გაზაფხული ცეცხლიდან გადმოფრქვეული ნაპერწკლებივით ზაფხულის დღეებს წინ უსწრებს და მიუჩვეველ სხეულს მისი ატანა უჭირს ხოლმე. გერდა გატანჯული და გამხდარი ჩანდა. თეთრი კაბა ეცვა და მინდორში გამშრალი თეთრი ტილოს სუნი ასდიოდა. ოთახებში მარკიზები ჩამოეშვათ, მთელ ბინაში ბინდბუნდი იდგა და სიცხის თავწატეხილი ისრები ნაცრისფერი ზღუდიდან ოთახში იჭრებოდა. ულრიხს ისეთი

გრძნობა ჰქონდა, თითქოს გერდა საკუთარ კაბასავით ფენა-ფენა ახლად გარეცხილი ტილოსგან შედგებოდა და შეეძლო მისთვის ისე შემოეხსნა ერთმანეთის მიყოლებით ეს ფენები, რომ სასიყვარულო იმპულსი არც აღძვროდა. ეს გრძნობა სრულიად ობიექტური იყო და ახლაც იმავეს განიცდიდა. ეს ბუნებრივი, მაგრამ უმიზნო სიახლოვე იყო და ორივეს შიში იპყრობდა.

– რატომ არ მოდიოდით ამდენ ხანს ჩვენთან? – ჰკითხა გერდამ.

ულრიხმა პირდაპირ განუცხადა: ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თქვენი მშობლები, თუ ქორწინებით არ დამთავრდა, ასეთი ახლო ურთიერთობის წინააღმდეგნი არიანო.

– დედაჩემი სასაცილო ქალია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეგობრობა არ შეიძლება? მამას უნდა, რომ ხშირად მოხვიდეთ. როგორც ამბობენ, იმ დიდი ისტორიის მნიშვნელოვანი პერსონა გამხდარხართ.

გერდა მოხუცების სისულელეზე გულწრფელად ლაპარაკობდა. დარწმუნებული იყო, რომ მის წინააღმდეგ პირი შეეკრათ.

– მოვალ ხოლმე, – უპასუხა ულრიხმა, – მაგრამ იქნებ მითხრათ, სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი?

საქმე ის იყო, რომ მათ ერთმანეთი არ უყვარდათ. ადრე ერთად თამაშობდნენ ჩოგბურთს, ერთმანეთს წვეულებებზე ხვდებოდნენ, ერთად დადიოდნენ, ერთმანეთს თანაუგრძნობდნენ და შეუმჩნევლად გადააბიჯეს იმ ზღვარს, რომელიც ახლობელ ადამიანს, ვისთვისაც მოუვლელი გრძნობების ჩვენება შეგიძლია, იმათგან განასხვავებს, ვისთანაც შეგიძლია იკეკლუცო. ერთმანეთისთვის ისეთი ახლობლები იყვნენ, როგორც ის ორი ადამიანი, უკვე დიდი ხანია რომ უყვართ ერთმანეთი ან თითქმის აღარც უყვართ და უსიყვარულოდაც ახერხებენ ერთად ყოფნას. ისე ჩხუბობდნენ ხოლმე, რომ ვინმე იფიქრებდა, ერთმანეთს ვერ იტანენო, მაგრამ ეს მხოლოდ წინააღმდეგობა და თან კავშირიც იყო. იცოდნენ, რომ ცეცხლის აალებას ერთი ნაპერწკალიღა აკლდა. ასაკობრივი სხვაობა ასე დიდი რომ არ ყოფილიყო ან გერდა ყოფილიყო გათხოვილი, მაშინ ქურდებად იქცეოდნენ, ქურდობა კი – ვნებად; რადგან სიტყვები ისევეა ჩარეული სასიყვარულო საქმეში, როგორც ჟესტ-მიმიკა მრისხანებაში. სწორედ იმიტომ, რომ მათ ეს იცოდნენ, თავს იკავებდნენ.

გერდას უბიწოება არ დაუკარგავს, რაზეც საშინლად სწყდებოდა გული.

იმის ნაცვლად, რომ პასუხი გაეცა, გერდამ ოთახში საქმე გამოიჩინა და უცბად ულრიხიც მის გვერდით აღმოჩნდა. ეს წინდაუხედავი საქციელი იყო, რადგან შეუძლებელია ასეთ წუთს გოგოს გვერდით იდგე და თან რაღაც საკითხზე საუბრის წამოწყებას ეცადო. ორივე იმ გზას დაადგა, რომელსაც თან სულ მცირე წინააღმდეგობა ახლავს, იმ ნაკადულივით, დაბრკოლებებს გვერდს რომ აუვლის და მდელოზე ისე მირაკრაკებს. ულრიხმა გერდას თეძოზე მოხვია ხელი და გარედან თითით მის სხეულზე იმ ხაზს შეეხო, საიდანაც წვივსაკრავი იწყება; შემდეგ გერდას გაოფლილი გაოგნებული სახე თავისკენ მოატრიალა და ტუჩებზე დაეწაფა. ერთმანეთისგან ვერც თავს ითავისუფლებდნენ და ვერც უერთდებოდნენ. ულრიხმა წვივსაკრავის ბრტყელ სალტეს შეახო თითი და ფეხზე ხელი მსუბუქად მოუჭირა. მერე გვერდზე გადგა, მხრები აიჩეჩა და ჰკითხა: – სადამდე მიგვიყვანს ეს, გერდა?

გერდა მღელვარებას მოერია და უთხრა: – აუცილებელია, რაღაცამდე მივიდეთ?

შემდეგ ზარი დარეკა და მოსამსახურეს გამაგრილებელი წყლის მოტანა სთხოვა.

– მომიყევით რამე ჰანსზე! – ალერსიანი ხმით სთხოვა ულრიხმა გერდას, როცა სასაუბროდ დასხდნენ. გერდა გონს ჯერაც ვერ მოსულიყო და პასუხი არ გაუცია, ცოტა ხნის შემდეგ კი უთხრა: – თქვენ პატივმოყვარე კაცი ხართ და ჩვენ, ახალგაზრდებს, ვერ გაგვიგებთ!

– არ ღირს ჩემი შეშინება! – მოიგერია მისი ნათქვამი ულრიხმა. – გერდა, ვაპირებ მეცნიერებას თავი დავანებო. ასე რომ, ახალ თაობაში გადმოვინაცვლებ. საკმარისია, საზეიმოდ რომ გამოგიცხადოთ, ცოდნა სიხარბეს, დაგროვების მანიას ჰგავს და ამპარტავანი, შინაგანი კაპიტალიზმია-მეთქი? ჩემში უფრო მეტი გრძნობაა, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. მინდა, რომ ფუჭი ლაყბობისგან, ცარიელი სიტყვებისგან დაგიცვათ.

– უკეთესად უნდა გაიცნოთ ჰანსი, – დუნედ უპასუხა გერდამ, მაგრამ უცებ გაცხარებით დაამატა: – მაინც ვერ გაიგებთ, რომ ორი ადამიანი ანგარების გარეშეც შეიძლება ერთმანეთს

დაუკავშირდეს.

– ჰანსი ხშირად დადის თქვენთან? – ფრთხილად, მაგრამ დაჟინებით ეკითხებოდა ულრიხი. გერდამ მხრები აიჩეჩა.

გერდას მშობლებმა ჭკუა იხმარეს და ჰანს ზეპს საბოლოოდ კი არ აუკრძალეს მათთან სტუმრობა, არამედ თვეში რამდენიმე დღე დაუთმეს. სანაცვლოდ ჰანს ზეპს, სტუდენტს, რომელიც არაფერს წარმოადგენდა და არც არავითარი პერსპექტივა გააჩნდა, რომ ოდესმე რამეს მიაღწევდა, მათთვის სიტყვა უნდა მიეცა, რომ გერდას უმსგავსო აზრებით თავგზას აღარ აურევდა და გერმანულ მისტიკურ „საქმეზე“ პროპაგანდასაც დაუყოვნებლივ შეწყვეტდა. ჰანს ზეპმაც კეთილგონიერებას მოუხმო (რადგან დაუფლების ჟინი მხოლოდ მგრძნობელობას სურს, ეს კი ებრაულ-კაპიტალისტური თვისებაა) და პირობა დადო, თუმცა ეს მისი პირობა არც ფარული სტუმრობის შეწყვეტას გულისხმობდა, არც მგზნებარე საუბრებზე ან კოცნაზე უარის თქმას, ანუ იმაზე, რაც ორი სულიერად ახლობელი ადამიანის ბუნებრივი ცხოვრების ატრიბუტებია, არამედ ეკლესიისა და სახელმწიფოსგან ნებადაურთველ კავშირზე პროპაგანდას, რასაც იგი აქამდე ეწეოდა. პირობის დადება არ გასჭირვებია, რადგან პრინციპების განსახორციელებლად საკუთარი თავიც და გერდაც უმწიფრად მიაჩნდა.

ახალგაზრდებს კი გარედან მონიშნული საზღვარი, სანამ თავად შეძლებდნენ შინაგანი საზღვრის დადგენას, დიდად ტანჯავდათ. მშობლების ჩარევას გერდა არასდროს შეურიგდებოდა, თავადაც რომ არ გასჩენოდა ეჭვი, და მათი საქციელიც მით უფრო აუტანელი ხდებოდა. თავისი ახალგაზრდა მეგობარი დიდად არც უყვარდა და მისდამი ერთგულება მალე მშობლებთან დაპირისპირებაში გადაეზარდა. გერდა რომ რამდენიმე წლით გვიან დაბადებულიყო, მამამისი ქალაქში ყველაზე მდიდარი და, სწორედ ამიტომ, ნაკლებად პატივცემული კაცი იქნებოდა, დედამისი კი მისით კვლავ აღფრთოვანებული იქნებოდა და ისიც მშობლებს შორის განხეთქილებას საკუთარ თავთან უთანხმოებად არ აღიქვამდა. მაშინ გერდა, ალბათ, იამაყებდა, რომ შერეული ქორწინების ნაყოფი იყო. რეალურად შექმნილი ვითარების გამო კი მშობლებს და მათ ცხოვრებისეულ პრობლემებს უმხედრდებოდა, მემკვიდრეობით მიღებული

ტვირთის ზიდვა არ სურდა და ისეთი ქერა, თავისუფალი, გერმანული და ენერგიული იყო, თითქოს მათთან არც არაფერი აკავშირებდა. ამ მდგომარეობას ერთი ის ნაკლი ჰქონდა, რომ გერდამ იმ ჭიის დღის შუქზე გამოყვანა, სულს რომ უხრავდა, ვერც ერთხელ ვერ შეძლო: ნაციონალიზმისა და რასისტული იდეოლოგიის არსებობის ფაქტს, რომელსაც ნახევარი ევროპა ისტერიაში ჩაეთრია, მისი მშობლები თითქოს ვერც ამჩნევდნენ. ყველაფერი, რაც გერდამ მის შესახებ იცოდა, გარედან მოღწეული ხმების, ქარაგმულად და გადაჭარბებით ნათქვამის წყალობა იყო. მის სულში წინააღმდეგობამ მალევე იჩინა თავი, რადგან მშობლები, სხვათა ნათქვამის მიმართ ყოველთვის მგრძნობიარენი, ამ შემთხვევაში უცნაურ გამონაკლისს უშვებდნენ. ამ პრობლემაში გერდა კონკრეტულს და აზრიანს ვერაფერს ხედავდა და ამიტომ, განსაკუთრებით კი ადრეულ ასაკში, ყველაფერს იმას, რაც მშობლიურ სახლში აღელვებდა და უსიამოვნებას განაცდევინებდა, მას უკავშირებდა.

ერთ დღეს ქრისტიანულ-გერმანული წრის ახალგაზრდები გაიცნო, რომლებსაც ჰანს ზეპიც ეკუთვნოდა, და თავი მაშინვე საკუთარ სტიქიაში იგრძნო. ძნელი სათქმელი იყო, ამ ახალგაზრდებს რის სწამდათ. ისინი იმ უთვალავი, პატარა, გაურკვეველი სექტიდან ერთ-ერთის მიმდევრები იყვნენ, რომლებიც ჰუმანისტური იდეალების ნგრევის შემდეგ ასე მომრავლდა გერმანელ ახალგაზრდობას შორის. ეს ახალგაზრდები ანტისემიტი-რასისტები არ ყოფილან. ისინი უბრალოდ „ებრაული აზროვნების წესს“ ეწინააღმდეგებოდნენ და ამაში კაპიტალიზმს, სოციალიზმს, მეცნიერებას, გონებას, მშობლების ძალაუფლებას და დესპოტიზმს, ანგარიშიანობას, ფსიქოლოგიასა და სკეპტიციზს გულისხმობდნენ. მათი მოძღვრების ძირითად ნაწილს „სიმბოლო“ წარმოადგენდა. რამდენადაც ულრიხს ესმოდა – ამ საკითხში კი მას რაღაც გაეგებოდა – სიმბოლოში ისინი მადლის უზენაეს გამოვლინებას გულისხმობდნენ, რომელიც ყოველივე ბუნდოვანსა და წვრილმანს ნათელს და მნიშვნელოვანს ხდის, გრძნობების ხმაურს ახშობს, შუბლს კი იმქვეყნიური ცვრით ნამავს. ასე უწოდებდნენ ისინი იზენჰაიმერის საკურთხეველს, ეგვიპტურ პირამიდებს და ნოვალისს. ბეთჰოვენს და შტეფან გეორგეს კი სიმბოლოზე მინიშნებად მიიჩნევდნენ და არაფერს ამბობდნენ, როგორ გამოხატავდა სიტყვა „სიმბოლოს“ ფხიზელი გონება.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სიმბოლოს ფხიზელი გონებით ვერ გამოთქვამ; მეორეც, იმიტომ, რომ არიელებს ფხიზელი გონება არ უნდა ჰქონოდათ და სწორედ ამიტომ წინა საუკუნეში სიმბოლოების მხოლოდ ქარაგმით გამოხატვა შეძლეს; მესამეც, არსებობს საუკუნეები, ადამიანისთვის ასე შორეულ მადლს იშვიათად ვინმეში წამიერად რომ გააელვებს.

გერდა ჭკვიანი გოგო იყო და გულის სიღრმეში ამ ჰიპერბოლის მიმართ უნდობლობას გრძნობდა, თუმცა ამ უნდობლობასაც უნდობლობას უცხადებდა, რადგან მის მიზეზად მშობლებისგან მემკვიდრეობით მიღებული გონიერება მიაჩნდა. მოჩვენებითი თავისუფლების მიუხედავად ცდილობდა, მშობლებს არ დამორჩილებოდა და იმის შიში, რომ გენეტიკური მემკვიდრეობა ჰანსის შეხედულების გაზიარებაში ხელს შეუშლიდა, ძლიერ ტანჯავდა. მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა აკრძალვებს, რომელსაც ე. წ. კარგი ოჯახის მორალი ამკვიდრებდა. მშობლების ძალაუფლება, ასე დესპოტურად რომ ექცეოდა მის პერსონას, სულს უხუთავდა. ჰანსი კი, როგორც დედამისი იტყოდა, „არანაირი ოჯახიდან“ არ იყო და ნაკლებადაც იტანჯებოდა. გერდას „სულიერ წინამძღოლად“ ქცეული ჰანსი თანატოლს მგზნებარე საუბრებს და ხვევნა-კოცნას არ აკლებდა და ამ გზით მისი „გარდაუვალობის სფეროსთან“ ზიარება განეზრახა. ფიშელების ოჯახის პირობითობასაც ალღო სულ იოლად აუღო, რადგან ნებას რთავდნენ, უარეყო ის „საკუთარი მოსაზრებების“ თანახმად, რაც ხშირად გერდას მამასთან ჩხუბის მიზეზი ხდებოდა.

– გერდა, საყვარელო, – უთხრა ცოტა ხნის შემდეგ ულრიხმა, – შენი მეგობრები მამაშენით სულს გხდიან. ეგენი ყველაზე უფრო საშინელი გამომძალველები არიან, რაც კი ამქვეყნად გამიგია!

გერდა გაფითრდა, შემდეგ კი წამოწითლდა.

– თქვენ ახალგაზრდა აღარ ხართ და სხვანაირად ფიქრობთ! – მიუგო მან. მაშინვე მიხვდა, რომ მის პატივმოყვარეობას შეეხო და შემრიგებლური ტონით დაამატა: – არა მგონია, რომ სიყვარული რაღაც განსაკუთრებულია. შეიძლება, ჰანსთან დროს ვკარგავ, როგორც თქვენ ამბობთ; შეიძლება სიყვარულზე უარიც ვთქვა და არც არავინ შევიყვარო ისე, რომ ოცნებებში, საქმეში, გრძნობასა და ფიქრებში ჩემი სულის სიღრმეში

ჩავახედო. დიდი ამბავი, საშინელება არც ეს არის!

– ასაკისთვის შეუფერებლად ბრძნულ აზრებს აფრქვევთ, როცა თქვენი მეგობრებივით ლაპარაკობთ! – შეაწყვეტინა ულრიხმა.

გერდა გაცხარდა.

– როცა მეგობრებს ველაპარაკები, – წამოიყვირა მან, – ვგრძნობ, რომ ჩემიანებში ვარ. გესმით თუ არა? ერთმანეთის გვერდით სულიერ ნათესაობას ვგრძნობთ, ამ სიტყვის ფსიქოფიზიკური მნიშვნელობით, რის წარმოდგენაც შენ, უკაცრავად, თქვენ არ შეგიძლიათ; რადგან თქვენ მხოლოდ ერთი ადამიანის სურვილი გკლავთ; თქვენ მტაცებელივით აზროვნებთ!

რატომ მტაცებელივით?! ეს ფრაზა, ასე მოღალატურად რომ გაისმა, თავადვე უაზრობად მოეჩვენა და საკუთარი თვალების შერცხვა, რადგან ულრიხს შიშისგან თვალებდაჭყეტილი მიშტერებოდა.

– პასუხის გაცემას არ ვაპირებ, – უთხრა რბილად ულრიხმა. – მოდი, თემა გამოვცვალოთ. ერთ ამბავს მინდა მოგიყვეთ. – ულრიხმა გერდას ხელი მოჰკიდა და თავისკენ მიიზიდა. გერდას მაჯა ულრიხის ხელში კლდეებს შორის გაუჩინარებული ბავშვივით ჩაიკარგა. – იცით თუ არა მთვარის შეპყრობის ამაღელვებელი ისტორია? ხომ იცით, რომ წინათ დედამიწას ბევრი მთვარე ჰყავდა? არსებობს თეორია – რომელსაც ბევრი მიმდევარი ჰყავს – რომლის თანახმადაც ეს მთვარეები დედამიწასავით გაციებულ ციურ მნათობებს კი არ წარმოადგენდნენ, როგორც ჩვენ გვგონია, არამედ კოსმოსში მქროლავ ყინულის დისკოებს. ჰოდა, ის მთვარეები დედამიწას მოუახლოვდნენ და დედამიწამაც ისინი შეიპყრო. ჩვენი მთვარე ერთ-ერთი უკანასკნელია მათგან. ახედეთ! – გერდამ მზით განათებულ ცას ახედა და უფერულ მთვარეს დაუწყო ძებნა.

– ახედეთ, მართლა ყინულის დისკოს არ ჰგავს? – ჰკითხა ულრიხმა. – საქმე განათებაში კი არ არის. არ გიფიქრიათ, რატომ დაგვყურებს მთვარე ყოველთვის ერთი და იმავე სახით? იმიტომ, რომ აღარ ბრუნავს. ჩვენი ბოლო მთვარე დედამიწამ შეიპყრო! ხომ გესმით, დედამიწის ძალაუფლების ქვეშ მოქცეული მთვარე არათუ მის გარშემო ბრუნავს, არამედ მისკენ სულ უფრო მეტად მიიზიდება. ამას უბრალოდ ვერ ვამჩნევთ, რადგან ათას წელზე მეტია ასე ხდება. ეს ასეა და

ამას ვერ უარყოფ. დედამიწის ისტორიაში არსებობდა ათასწლეულები, როცა ის მთვარეებს მიიზიდავდა და ისინიც დედამიწის გარშემო წარმოუდგენელი სისწრაფით დაქროდნენ. მთებისხელა წყლისა და შლამის აზვირთებულ ტალღებს მთვარე მაშინ ისევე აიტაცებდა, როგორც დღეს: მოქცევის დროს ტალღები ორ-სამ მეტრ სიმაღლეს აღწევს. წარმოიდგინეთ ის თავზარდამცემი შიში, რითაც ათასწლეულების მანძილზე თაობიდან თაობას ამ შეშლილ დედამიწაზე უხდებოდა ცხოვრება.

– მაშინ უკვე არსებობდნენ ადამიანები? – ჰკითხა გერდამ.

– რა თქმა უნდა. ბოლოს ასეთი ყინულოვანი მთვარე იმსხვრეოდა და დედამიწაზე გრუხუნით ეცემოდა. მისი ორბიტის ქვეშ მოგროვილი მთის სიმაღლე ტალღა კი წარმოუდგენელი ძალით ეხეთქებოდა მიწას და მთელი დედამიწა იტბორებოდა. ეს ნამდვილი წარღვნა იყო! თუ ყველა იღუპებოდა, თქმულებებმა როგორღა შემოინახეს ეს მოვლენები? რადგან ერთი მთვარე ისევ გაგვაჩნია, ასეთი ათასწლეულებიც კვლავ დაგვიდგება. უცნაური მოსაზრებაა.

გერდას სუნთქვა შეეკრა და ფანჯრიდან მთვარეს ახედა. ხელი ისევ ულრიხის ხელში ედო. მთვარე ცაზე უფერულ, უშნო ლაქად მოჩანდა და უბრალო, ყოველდღიურ სიმართლეს სამყაროს ამ ავანტიურისტს სწორედ ეს შეუხედაობა ანიჭებდა.

– ეს ისტორია ნამდვილი არაა! – უთხრა ულრიხმა. – სპეციალისტები ამ თეორიას გიჟურს უწოდებენ. სინამდვილეში მთვარე დედამიწას კი არ უახლოვდება, პირიქით, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ოცდათორმეტი კილომეტრით დაშორდა კიდეც.

– მე რატომ მომიყევით ეს ისტორია? – ჰკითხა გერდამ და შეეცადა, ხელი გაეთავისუფლებინა. მის პროტესტს უკვე ძალა დაკარგვოდა. ასე ემართებოდა ყოველთვის, როცა ისეთ მამაკაცს ესაუბრებოდა, ვინც ჰანსისგან ზომიერი შეხედულებებით, მოვლილი ფრჩხილებითა და დავარცხნილი თმებით გამოირჩეოდა და არც მასზე სულელი იყო. ულრიხი შავ ღინღლს აკვირდებოდა, ასე უადგილოდ რომ მოჩანდა გერდას მოოქროსფრო კანზე და მოეჩვენა, რომ სხეულიდან ამ ბუსუსებთან ერთად საბრალო ადამიანის მთელი სირთულე გარეთ გამოკვირტულიყო.

– არ ვიცი, – უპასუხა ულრიხმა. – გესტუმროთ კიდევ?

გერდას პასუხი არ გაუცია და მღელვარების დასაცხრობად ხან რას წაავლო ხელი და ხან რას.

– მალე ისევ მოვალ, – დაჰპირდა ულრიხი, თუმცა აქ მოსვლამდე ამაზე არც უფიქრია.

74. ქრისტეშობამდე IV საუკუნე 1797 წლის წინააღმდეგ. ულრიხი მამისგან კვლავ იღებს წერილს

მალე ხმა დაირხა, რომ დიოთიმასთან შეხვედრები დიდი წარმატებით ტარდებოდა. სწორედ ამ პერიოდში ულრიხმა მამისგან უჩვეულოდ გრძელ წერილთან ერთად მთელი დასტა ბროშურები და ცალკე ამონაბეჭდები მიიღო. წერილი დაახლოებით ამ შინაარსის გახლდათ: „საყვარელო შვილო! შენი ხანგრძლივი დუმილი... თუმცა სიხარული განმაცდევინა იმან, რომ შენზე გაწეული მზრუნველობა... ჩემი კეთილისმყოფელი მეგობარი გრაფი შტალბურგი... მისი ბრწყინვალება გრაფი ლაინსდორფი... ჩვენი ნათესავი, განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის მეუღლე... საკითხი, რის თაობაზეც თხოვნით მოგმართავ, რათა ახლად შეძენილ მეგობრებში შენი გავლენა გამოიყენო, შემდეგში მდგომარეობს: სამყარო დაიქცეოდა, მართლაც ჭეშმარიტი რომ აღმოჩენილიყო ის, რაც ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, ხოლო ნებადართულად ის, რაც ასეთად გვევლინება. ამიტომ ყოველი ჩვენგანის ვალია, დავადგინოთ ერთადერთი ჭეშმარიტება, ამოვიცნოთ გულისწადილი და რამდენადაც ხელგვეწიფება, პასუხისმგებლობით, ფხიზლად ვადევნოთ თვალი, რათა ეს ყოველივე მეცნიერულ მტკიცებულებათა ნათელი ფორმით იქნეს აღბეჭდილი. მინდა გაუწყო, რომ არა მარტო დილეტანტურ, არამედ, სამწუხაროდ, ჩვენი უთავბოლო ეპოქის ტყვეობაში მოქცეულ ფართო სამეცნიერო წრეებშიც სისხლის სამართლის კოდექსის ვითომდა გაუმჯობესებისა და მისი შემსუბუქების მიზნით თავი იჩინა ერთმა მეტად სახიფათო მოძრაობამ, რის თაობაზეც ვაპირებ მოგახსენო. ამ ამბავს ისიც უნდა წავუმძღვარო, რომ აგერ უკვე რამდენიმე წელია, ახალი რედაქციის შესამუშავებლად მინისტრთა მიერ მოწვეული ცნობილი სპეციალისტებისგან შემდგარი კომიტეტი მუშაობს, რომლის წევრობის დიდი პატივი მეც მერგო, ისევე როგორც ჩემს უნივერსიტეტელ კოლეგას პროფესორ შვუნგს.

შესაძლოა, იგი ძველი დროიდან გახსოვდეს კიდეც, როცა მრავალი წელი ჩემს საუკეთესო მეგობრად ითვლებოდა, სანამ მის ნამდვილ ბუნებას შევიცნობდი. რაც შეეხება ჩემ მიერ ხსენებულ შემსუბუქებას, მოარული ხმებიდან შევიტყვე – რაც, ჩვენდა სავალალოდ, სიმართლისგან შორს არ უნდა იყოს – რომ ჩვენი გულმოწყალე და ჭეშმარიტად მოწიწების ღირსი მბრძანებლის საიუბილეო წელს, ასე ვთქვათ, დიდსულოვნების დროშის ქვეშ, მართლმსაჯულების ამ ავად სახსენებელი შემსუბუქების მიზნით საგანგებო ზომებს მიმართავენ. მე და პროფესორ შვუნგსაც, ცხადია, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, წინ აღვუდგეთ ამგვარ მცდელობებს.

იურისპრუდენციის საკითხებში, ცხადია, გათვითცნობიერებული არა ხარ, მაგრამ, ალბათ, ხვდები სამართლებრივი არასაიმედოობის საყვარელ ფანდს, ყალბი ჰუმანიზმის სახელით რომ გვევლინება, შეზღუდული შერაცხადობის ბუნდოვანი ფორმით შენიღბული შეურაცხადობის ცნების იმ ინდივიდუუმებზე განვრცობას ესწრაფვის, რომლებიც არც სულით ავადმყოფნი არიან, არც მორალურად ჯანსაღები და არასრულფასოვანთა და მორალურად ჭკუასუსტთა იმ ურდოს წარმოადგენენ, რომელიც, საუბედუროდ, ასე ასნეულებს ჩვენს კულტურას. ხომ იცი, რომ შეზღუდული შერაცხადობის ცნება – თუ ამას საზოგადოდ, შეიძლება, ცნება ვუწოდოთ, რაც ჩემთვის ერთობ სადავო საკითხია! – მჭიდროდ არის იმ ფორმულირებასთან დაკავშირებული, რასაც ჩვენ სრული შერაცხადობისა და, შესაბამისად, შეურაცხადობის განმარტებას ვანიჭებთ. და აი, საკუთრივ იმ საკითხსაც მივადექი, რის გაცნობაც შენთვის განმიზრახავს.

არსებული კანონმდებლობისა და შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ზემოთ მოხსენებულ კომიტეტს სისხლის სამართლის კოდექსის § 318-ის განმარტებისთვის შემდეგი სახის ფორმულირება შევთავაზე: „დანაშაული არ არის დასჯადი, თუ პირი დანაშაულის ჩადენის მომენტში არაცნობიერ ან გონებრივი ფუნქციის მოშლილობის მდგომარეობაში იმყოფება, ასე რომ...“. პროფესორმა შვუნგმა წამოაყენა პირობა, რომელიც ზუსტად ამ სიტყვებით იწყება.

შემდეგ კი საკუთარ მოსაზრებას ამ სიტყვებით აგრძელებს: „ასე რომ, პირის თავისუფალი ნება გამოირიცხება“, მე კი

ამგვარად ვაგრძელებდი: „ასე რომ, მას საკუთარი ქმედების არამართლზომიერების გაგების უნარი არ შესწევს“. გამოგიტყდები, თავიდან ამ შეუთანხმებლობაში ავი განზრახვა არ შემიმჩნევია.

პირადად მე ყოველთვის ვიზიარებდი იმ მოსაზრებას, რომ გონიერებასთან შერწყმული ნება განსჯისა და მისგან გამომდინარე გადაწყვეტილების გზით მუდამ იმარჯვებს ჟინსა და ინსტინქტზე. ნებელობითი აქტი ყოველთვის აზროვნებას უკავშირდება და არა ინსტინქტურ ქმედებას. ადამიანი თავისუფალია იმდენად, რამდენადაც მას საკუთარი ნებელობითი ქმედების თავისუფალი არჩევანის უნარი აქვს. თუ მისი აზროვნება დარღვეულია, იგი აღარ არის თავისუფალი. ნებელობითი აქტი სწორედაც რომ არ არის შემთხვევითი რამ, ის ჩვენი „მესგან“ გამომდინარე თვითგამორკვევის უნარია. ასე რომ, ნებას აზროვნება განსაზღვრავს და, თუ აზროვნება დარღვეულია, მაშინ აღარც ნებაა ნება და ადამიანიც მხოლოდ გულისთქმას მიჰყვება! მე, რა თქმა უნდა, ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებასაც ვიცნობ, რომლის თანახმადაც აზროვნებას, პირიქით, ნებელობა განსაზღვრავს.

ამ მოსაზრებას თანამედროვე იურისტთა შორის 1797 წლიდან მოყოლებული თავისი მიმდევრები ჰყავს. პოზიცია კი, რომელსაც გამოვხატავ, ქრისტეშობამდე IV საუკუნიდან უამრავ თავდასხმას უწევს წინააღმდეგობას. ამიტომ ჩემი შემრიგებლური მოსაზრების ნათელსაყოფად წამოვაყენე წინადადება, რომელიც ორივე შეხედულებას აერთიანებს და ამგვარად ჟღერს: „დანაშაული არ არის დასჯადი, თუ პირი დანაშაულის ჩადენის მომენტში არაცნობიერ და გონებრივი ფუნქციის მოშლილობის მდგომარეობაში იმყოფება, რის გამოც მას საკუთარი ქმედების არამართლზომიერების გაგების უნარი არ შესწევს და მისი თავისუფალი ნებაც გამოირიცხება“.

და აი, პროფესორმა შვუნგმა თავისი ნამდვილი სახე გამოავლინა! მან უგულებელყო ჩემი დამთმობი პოზიცია და უტიფრად განაცხადა, რომ სიტყვა „და“ ამ წინადადებაში „ან“ -ით უნდა შეცვლილიყო. ხომ გესმის, რაც განუზრახავს. მოაზროვნე პროფანისგან ხომ იმითაც განსხვავდება, რომ „ან“-ის და „და“ -ს მნიშვნელობები კარგად ესმის. შვუნგი კი ეცადა, წარმოეჩინა ჩემი აზროვნების ზედაპირულობა, თითქოს არ

მესმოდეს იმ წინააღმდეგობის მნიშვნელობა, რომელიც უნდა დავძლიოთ, არადა სიტყვა „და“-ს ხმარებით ხომ ამ ორი მოსაზრების გასაერთიანებლად ჩემი მზადყოფნა გამოვავლინე.

თავისთავად ცხადია, რომ ამ მომენტიდან მის თვალთახედვას შეურიგებელ წინააღმდეგობას ვუწევ.

კომპრომისულ წინადადებაზე უარი ვთქვი და იძულებული ვარ, მოვითხოვო, რომ მიღებულ იქნეს ჩემი პირველი ვარიანტი ყოველგვარი შესწორებების გარეშე. შვუნგი კი მზაკვრული გაწაფულობით ცდილობს, პრობლემები შემიქმნას. ის მსაყვედურობს, რომ ჩემს წინადადებას არამართლზომიერების გაგების უნარი უდევს საფუძვლად და პირის – რომელიც ერთგვარი ბოდვითი იდეებით არის შეპყრობილი, როგორც ხდება ხოლმე, საერთოდ კი ჯანმრთელია – როგორც სულით ავადმყოფის, მიერ ჩადენილი დანაშაული შეიძლება გამართლდეს იმ შემთხვევაში, თუ მტკიცდება, რომ ბოდვითი იდეები მისი საქციელის გამამართლებელ გარემოებას გულისხმობს და საკუთარ, თუნდაც წარმოსახვით, სამყაროში კორექტულად იქცევა. მისი მოსაზრება დამაჯერებლობას მოკლებულია. ემპირიული ლოგიკა ცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა პირი, შეიძლება, სანახევროდ ჯანმრთელი იყოს, სანახევროდ კი – ავადმყოფი, მაგრამ ერთი და იმავე დანაშაულის შემთხვევაში იურიდიულ ლოგიკას არა აქვს ორი შერეული იურიდიული მდგომარეობის აღიარების უფლება, ვინაიდან პირი მისთვის ან შერაცხადია, ან შეურაცხადი და ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ გარკვეული ტიპის ბოდვითი იდეებით შეპყრობილი პირი საბოლოო ჯამში არამართლზომიერი საქციელის მართლზომიერისგან განსხვავების უნარს ინარჩუნებს. და თუ განსაკუთრებულ შემთხვევაში ბოდვითი იდეები მას ამ უნარს უსუსტებს, გონებრივ შესაძლებლობათა დაძაბვით შეძლებს იგი ამის საკუთარი „მეს“ დანარჩენ ნაწილებთან შეთანხმებას. ამგვარად, რამე საფუძველი იმისთვის, რომ ამ საკითხში განსაკუთრებული სირთულე დავინახოთ, არ არსებობს.

პროფესორ შვუნგის ამ ვარაუდს პასუხი მაშინვე გავეცი: თუ შერაცხადი და შეურაცხადი მდგომარეობა ერთდროულად გვერდიგვერდ არ შეიძლება არსებობდეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ ინდივიდუუმებში ამგვარი მდგომარეობის მონაცვლეობა იმდენად სწრაფად ხდება, რომ ძნელია, გასცე

პასუხი კითხვას, ამ პირის მიერ ჩადენილი დანაშაული რომელი მდგომარეობიდან გამომდინარეობს-მეთქი. ჩემი პასუხი მის თეორიას ერთობ უხერხულ მდგომარეობას უქმნის. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა დასახელდეს ყველა ის მიზეზი, რამაც ბრალდებულის და მისი წინაპრების ჩამოყალიბებაზე იქონია გავლენა და რამაც მათ კეთილშობილური და მანკიერი თვისებები შესძინა. წარმოგიდგენია?! შვუნგს ეყო თავხედობა და მიპასუხა, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან იურიდიულ ლოგიკას ორი შერეული იურიდიული მდგომარეობის აღირების უფლება არა აქვს და ნებელობის თითოეული ფორმის გამოვლენის შემთხვევაში უნდა გადაწყდეს, ფსიქიკური განვითარების მიხედვით ფლობდა თუ არა ბრალდებული ამგვარ ნებელობასო. ჩვენ უფრო ის გვახსოვს, რომ თავისუფალი ნება გვაქვს, ვიდრე ის, რომ ყველა მოვლენას თავისი მიზეზი გააჩნია და სანამ თავისუფლები ვართ ზოგადად, თავისუფლები ვიქნებით ყველა კონკრეტულ შემთხვევაშიც, ასე რომ, კონკრეტული მიზეზით განპირობებული დანაშაულებრივი იმპულსისთვის წინააღმდეგობის გაწევა ნებელობითი ძალების განსაკუთრებული დაძაბვის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელიაო“.

ამ ადგილზე შეწყვიტა ულრიხმა წერილის კითხვა და ჩაფიქრდა. შემდეგ ხელით აწონა დანართების მთელი დასტა, რომელიც წერილს ახლდა და თვალი გადაავლო ბარათის ბოლო ნაწილს, საიდანაც შეიტყო, რომ მამამისი მისგან გრაფ ლაინსდორფსა და შტალბურგზე „ობიექტური გავლენის“ მოხდენას ელოდა. ის ულრიხს დაბეჯითებით ურჩევდა, პარალელური აქციის კომპეტენტური კომისიებისთვის დროულად მიეთითებინა, რომ საიუბილეო წელს ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მცდარად ფორმულირება და, ამდენად, მისი მცდარი გადაჭრა მთელი სახელმწიფოსთვის ზიანის მომტანი იქნებოდა.

75. გენერალი შტუმ ფონ ბორდვერი დიოთიმასთან ვიზიტს სამსახურებრივი მოვალეობის სასიამოვნო მრავალფეროვნებასთან შერწყმად აღიქვამს

დაბალი, სქელი გენერალი დიოთიმას კვლავაც ეახლა ვიზიტით.

– ჯარისკაცებს საბჭოში მოკრძალებული როლი ეკისრებათ,

მაგრამ გავბედავ და მოგახსენებთ, რომ სახელმწიფო ბრძოლებში ხალხთა თვითდამკვიდრების ძალაა და მშვიდობიან პერიოდში ძალის დემონსტრირება ომს დაგვაცილებს, – დაიწყო გენერალმა, მაგრამ დიოთიმამ იქვე შეაწყვეტინა, თან ბრაზისგან ერთიანად კანკალებდა.

– ბატონო გენერალო! ცხოვრება, საზოგადოდ, მშვიდობიან ძალას ემყარება: საქმიანი ცხოვრებაც კი, თუ მას სწორი პოზიციიდან შევხედავთ, პოეზიაა.

ტანდაბალი გენერალი წამიერად შეცბა, მაგრამ მაშინვე გაიჯგიმა.

– თქვენო აღმატებულებავ, – დაეთანხმა გენერალი (გენერლის მიმართვა გასაგები რომ გახდეს, მოგვიწევს, გავიხსენოთ, რომ დიოთიმას მეუღლე განყოფილების ხელმძღვანელი იყო, კაკანიაში კი განყოფილების ხელმძღვანელი დივიზიის მეთაურის ჩინს უტოლდება. თუმცა ასე მხოლოდ დივიზიის მეთაურს მიმართავენ და ისიც მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მაგრამ, რადგან ჯარისკაცი მოწოდებით რაინდიცაა, კარიერის გზაზე წინ ვერ წაიწევს, თუ მეთაურს სამსახურის გარეთაც ასე არ მიმართა. უფრო მეტიც: რაინდული სულით შთაგონებული, მეთაურის მეუღლესაც „თქვენო აღმატებულობაო“ მიმართავს და იმაზე ფიქრით, ეს უკანასკნელი იმწუთას სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს თუ არა, დიდად არც იწუხებს თავს. აი, ასეთი რთული სვლები გათვალა გონებაში მყისიერად გენერალმა, რათა დიოთიმა მისდამი ერთგულებაში დაერწმუნებინა და ეგრძნობინებინა, რომ მის ყოველ სიტყვას ეთანხმებოდა), – თქვენო აღმატებულებავ, დამასწარით, იმავეს თქმას ვაპირებდი. თავდაცვის სამინისტრო, თავისთავად ცხადია, პოლიტიკური მოსაზრების გამო ვერ გაითვალისწინებდა, მაგრამ ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ეს დიდი მოძრაობა პაციფისტურ მიზანს ისახავს – საერთაშორისო ხასიათის სამშვიდობო აქციას და, როგორც ამბობენ, ჩვენს თანამემამულე ფერმწერთა მიერ ჰააგის სასახლის ფრესკებით მოხატვას. თქვენო აღმატებულებავ, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს ჩვენთვის ერთობ სასიამოვნოა. როგორც წესი, სამხედროებზე მცდარი წარმოდგენა აქვთ. ცხადია, არ ვამტკიცებ, რომ რომელიმე ახალგაზრდა ოფიცერს ომი არ უნდოდეს, მაგრამ ყველა პასუხისმგებელი ინსტანცია ღრმად არის

დარწმუნებული, რომ ძალადობის სფერო, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენ განვასახიერებთ, სწორედ ისე შეიძლება დაუკავშირდეს სიკეთეს, როგორც ახლა თქვენმა აღმატებულებამ ბრძანა.

გენერალმა შარვლის ჯიბიდან პატარა ჯაგრისი ამოიღო და პატარა წვერი რამდენჯერმე ჩამოივარცხნა. ეს მავნე ჩვევა კადეტთა კორპუსში მსახურობის დროიდან გამოჰყოლოდა, როცა წვერი დიდი ხნის ნანატრი, სანუკვარი ოცნების ნაწილი იყო. ამ მოქმედებას ის ანგარიშმიუცემლად ასრულებდა. ის დიოთიმას დიდი თაფლისფერი თვალებით მიაშტერდა და ცდილობდა, მის სახეზე ამოეცნო, როგორ იმოქმედა მისმა სიტყვებმა.

დიოთიმამ აგრძნობინა, რომ გული მოულბა, თუმცა მისი თანდასწრებით ამას ბოლომდე არასდროს ამჟღავნებდა; შემდეგ კი კეთილინება და გენერალს დიდი სხდომის შემდეგ განვითარებული მოვლენები გააცნო. გენერალმა დიდი ენთუზიაზმი გამოავლინა დიდი კრების მისამართით, არნჰაიმის მიმართ აღფრთოვანება გამოხატა და ღრმა რწმენაც გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ამგვარი შეხვედრები კეთილ ნაყოფს გამოიღებდა.

– ბევრს წარმოდგენაც არა აქვს, რა მცირე წესრიგი სუფევს სულიერ საქმეებში! – განაგრძო მან მსჯელობა. – დარწმუნებული ვარ, თუ თქვენი აღმატებულება ნებას მომცემს, მოგახსენოთ, რომ ბევრი ფიქრობს, თითქოს საყოველთაო წესრიგი ყოველდღე პროგრესირებდეს. წესრიგს ისინი ყველგან ხედავენ: ფაბრიკებში, ბიუროებში, სარკინიგზო განრიგში, სასწავლო დაწესებულებებში. ალბათ, სიამაყით ჩვენი ყაზარმებიც უნდა მოვიხსენიოთ, რომლებიც მოკრძალებულად კარგი მუსიკალური ორკესტრის დისციპლინას გვახსენებს. მოკლედ, საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან წესრიგს ხედავ; წესრიგს ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობაში, გადასახადებით დაბეგვრაში, საეკლესიო რიტუალებში, კომერციულ საქმიანობაში, ტიტულების მინიჭებაში, მეჯლისზე ქცევის წესებში, ზნეობრივ საკითხებში და ა. შ. დარწმუნებული ვარ, რომ თითქმის ყველას ჩვენი ეპოქა წესრიგის უმაღლეს გამოვლინებად მიაჩნია. თქვენო აღმატებულებავ, სულის სიღრმეში ნუთუ თქვენც ასე ფიქრობთ? ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი გრძნობა მრჩება.

საკმარისია, ყურადღება მოვადუნოთ და ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს ახალი ეპოქის სული სწორედ ამგვარ წესრიგშია და ნინევიისა და რომის იმპერიათა დაცემა უთავბოლობის შედეგია. მეჩვენება, რომ უმრავლესობა ასე ფიქრობს და წარსული უწესრიგობის გამო თავს დამტყდარ სასჯელად მიაჩნია. ეს მოსაზრება, ბუნებრივია, მცდარია და განათლებულმა ადამიანმა არ უნდა გაიზიაროს. ჯარისკაცის პროფესიის აუცილებლობაცა და ძალაც, სამწუხაროდ, სწორედ ამაში მდგომარეობს.

ამ ჭკვიან, ახალგაზრდა ქალთან საუბარი გენერალს დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა: ამას მის სამსახურებრივ მოვალეობებში სასიამოვნო მრავალფეროვნება შეჰქონდა. დიოთიმამ კი არ იცოდა, რა ეპასუხა და ალალბედზე წამოიწყო:
– იმედი გვაქვს, შევძლებთ, მნიშვნელოვან ადამიანებს მოვუყაროთ თავი, თუმცა ამოცანა ასეთ შემთხვევაშიც მეტად რთულია. ვერ წარმოიდგენთ წინადადებათა იმ მრავალფეროვნებას, რომლითაც მოგვმართავენ. ასეთ დროს გინდა, რომ საუკეთესო შეარჩიო. გენერალო, თქვენ „წესრიგი“ ახსენეთ. წესრიგის დაცვით, ფხიზელი განსჯით, შედარებით და შემოწმებით მიზანს ვერ მივაღწევთ. პრობლემა მყისიერად, მგზნებარებით, ინტუიციით და სინთეზურად უნდა გადაიჭრას! კაცობრიობის ისტორიას თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ ის ლოგიკური განვითარების გზას კი არ წარმოადგენს, არამედ წამიერი გაცისკროვნებით, რომლის აზრიც მოგვიანებით ხდება საცნაური, ის უფრო მეტად პოეზიას გვახსენებს!

– ნუ დამძრახავთ, თქვენო აღმატებულებავ, – მიუგო გენერალმა, – ჯარისკაცს პოეზიის ბევრი არაფერი გაეგება, მაგრამ თუ ვინმეს ძალუძს მოქმედებას ცეცხლი და მგზნებარება შესძინოს, ეს ძველი ოფიცერი გახლავთ!

76. გრაფი ლაინსდორფი თავშეკავებულობას იჩენს

საერთოდ, ეს ჩასუქებული გენერალი მაღალი წრიდან გახლდათ, თუმცა დიოთიმასთან სტუმრად მიწვევის გარეშე მიდიოდა ხოლმე. მის მიმართ დიოთიმა უფრო მეტი ნდობით განეწყო, ვიდრე აპირებდა. თუ რამე აშინებდა ან სინანულს განაცდევინებდა, გენერლისადმი კეთილგანწყობა კი არა, მისი ძველი მეგობარი გრაფი ლაინსდორფი იყო. ეჭვიანობდა მისი

ბრწყინვალება? და თუ ეჭვიანობდა, ვისზე? ფაქტია, კრებას აშკარად ისე არ სწყალობდა, როგორც დიოთიმა ელოდა, თუმცა ხანმოკლედ ჩნდებოდა ხოლმე. მისი ბრწყინვალება იმის მიმართ, რასაც „მარტო ლიტერატურას“ უწოდებდა, ანტიპათიას შეუფარავად ამჟღავნებდა, რადგან ამ ცნებას ებრაელებს, გაზეთებს, სენსაციაზე დახარბებულ წიგნით მოვაჭრეებს, ლიბერალებს, უნიათო მოლაყბეებს და ფულზე გაგიჟებულ ბურჟუებს უკავშირებდა. ასე რომ, სიტყვათა ასეთი შეთანხმება მის საყვარელ გამოთქმად იქცა. როგორც კი ულრიხი მოემზადებოდა და მისთვის იმ წერილების წაკითხვას დააპირებდა, რომლებშიც სამყაროს წინსვლის ან მისი უკან მობრუნების თაობაზე უამრავ ინიციატივას გაეცნობოდით, მისი ბრწყინვალება სწორედ იმ ადამიანივით იცავდა თავს, სხვის გეგმებს რომ ისმენს და ამ დროს საკუთარიც თავზე საყრელად აქვს. ასეთ დროს ულრიხს პასუხობდა: „არა, არა, დღეს სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს, თანაც ეგ ხომ მარტო ლიტერატურაა“! ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გრაფი მინდვრებზე, გლეხებზე, სოფლის პატარა ეკლესიებზე, უფლის ხელით დამყარებულ მტკიცე წესრიგზე – რომელშიც ამდენი სარგებელი, მშვენიერება და სისაღეა – ფიქრობდა და დროს ფეხდაფეხ რომ მიჰყოლოდა, ამ წესრიგში არყის სახდელი ქარხნებისთვისაც გამოიძებნებოდა ხოლმე ადგილი. ფართო თვალსაწიერიდან, რაც უნდა უადგილო იყოს, მსროლელთა კავშირები და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ამხანაგობები ამ მტკიცე კავშირისა და წესრიგის ნაწილად მოჩანს. და თუ მსოფლმხედველობრივ საფუძველზე რამე მოთხოვნაც წამოაყენეს, მაშინ სულიერი ქონების საადგილმამულო კადასტრში რეგისტრირებულს ვიღაც კერძო პირის თავში დაბადებულ იდეასთან შედარებით მეტი უპირატესობა ენიჭება. ამიტომაც, როგორც კი დიოთიმა გრაფ ლაინსდორფთან იმ გამოცდილებაზე დააპირებდა სერიოზულად საუბარს, რაც მას ასეთი მნიშვნელოვანი ადამიანებისგან შეეძინა, მას ხელში ყოველთვის ხუთი, თანაც უტვინო კაცისგან შემდგარი კავშირის პეტიცია ეჭირა ან მას ჩანთიდან იღებდა და ამტკიცებდა, რეალური პრობლემების სამყაროში ეს ქაღალდი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე გენიოსთა იდეებიო.

განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი საკუთარი სამინისტროს არქივებს ასეთივე სულისკვეთებით ასხამდა ხოტბას. ისინი ამ

დიდი კრების ოფიციალურ არსებობას არ ცნობდნენ, სამაგიეროდ ყველა პროვინციული გაზეთის რწყილივით ნაკბენს მთელი სერიოზულობით ეკიდებოდნენ. ერთადერთი, ვისთვისაც დიოთიმას საკუთარი საზრუნავის განდობა შეეძლო, არნჰაიმი იყო და მის გარდა სხვა არავინ ჰყავდა. მის ბრწყინვალებას კი სწორედ არნჰაიმი იცავდა. გრაფის სასტენდო სროლებითა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ამხანაგობებით გატაცებაზე დიოთიმამ არნჰაიმს შესჩივლა და მან პრობლემა მისი ბრწყინვალების ფართო თვალსაწიერიდან განუმარტა.

– მის ბრწყინვალებას მიწის და დროის წარმმართველი ძალის სწამს, – უხსნიდა დიოთიმას სერიოზულად. – დამიჯერეთ, ეს იმის ბრალია, რომ გრაფი მიწათმფლობელია. მიწა ისევე ამარტივებს ყველაფერს, როგორც წყალს წმენდს. თვით მეც კი ვგრძნობ მისი ზემოქმედების ძალას, როცა ჩემს სრულიად მოკრძალებულ მამულებში ვიმყოფები ხოლმე. ნამდვილ ცხოვრებას გამარტივების უნარი აქვს, – არნჰაიმი შეყოვნდა და განაგრძო: – მისი ბრწყინვალება მეტისმეტად მიმტევებელია, სარისკოდ მიმტევებელიც კი.

დიოთიმას მზერა გამოუცოცხლდა, რადგან მისი ბრწყინვალე მფარველის ეს მხარე მისთვის აქამდე უცნობი იყო.

– დარწმუნებით მიჭირს იმის თქმა, რომ გრაფი ლაინსდორფი ამჩნევდეს, როგორ ბოროტად იყენებს თქვენი ნათესავი მის ნდობას, ცხადია, ვგულისხმობ, იდეოლოგიური თვალსაზრისით. დიდ გეგმებთან სკეპტიკური დამოკიდებულებითა და თავისი დამცინავი საბოტაჟით ეს ნამდვილი პერი იდეებთან და გრძნობებთან ასე მჭიდროდ რომ არ იყოს დაკავშირებული, რაც, ალბათ, ასეთ ნდობას იწვევს, შემეშინდებოდა, რომ გრაფ ლაინსდორფზე არც ისე სასიკეთო გავლენას მოახდენდა.

ულრიხი ამ ნათქვამს იმსახურებდა, მაგრამ დიოთიმას ყურადღება არ მიუქცევია, რადგან არნჰაიმის მოსაზრების პირველმა ნაწილმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; კერძოდ იმან, რომ მიწას, შეიძლება, მემამულესავით კი არ ფლობდე, არამედ მას ფსიქიკური მასაჟის ფუნქცია დაეკისროს, და ისიც ფიქრებს აჰყვა. დიოთიმამ თავი ასეთი მემამულის ცოლად წარმოიდგინა.

– ხანდახან აღფრთოვანებული ვარ, – უპასუხა დიოთიმამ, – როგორი შემწყნარებლური ტონით ლაპარაკობთ ხოლმე მის ბრწყინვალებაზე! ეს ხომ ისტორიის ის პერიოდია, რომელიც მალე წარსულს უნდა ჩაბარდეს?

– რა თქმა უნდა, – უთხრა არნჰაიმმა, – მაგრამ უბრალო ზნეობრივი თვისებები, გაბედულება, რაინდობა და თვითდისციპლინა, რომლებიც ამ კასტაში ასე სამაგალითოდ გამოვლინდა, თავის ღირებულებას არასოდეს დაკარგავს. ერთი სიტყვით, ის არისტოკრატია! მე კი არისტოკრატიზმს საქმიან ცხოვრებაშიც დიდად ვაფასებ.

– ესე იგი არისტოკრატი იგივეა, რაც ლექსი? – ჰკითხა დიოთიმამ და ჩაფიქრდა.

– მშვენიერი სიტყვა მოძებნეთ! – დაეთანხმა არნჰაიმი. – სისხლსავსე ცხოვრების საიდუმლოც ამაშია. ვერც ზნეობრივი საქმისთვის ივარგებ და ვერც პოლიტიკაში გამოდგები, თუ მხოლოდ გონების ხმას მიჰყევი. გონიერება საკმარისი არ არის, რადგან გადამწყვეტი მოვლენები მის მიღმა ხდება. მათ, ვისაც რაღაც დიდი შეუქმნია, მუსიკაც უყვარდათ, ლექსიც, ფორმაც, დისციპლინაც, რელიგიაც და რაინდობაც. გავბედავ და ვიტყვი, რომ ბედნიერებას მხოლოდ ის უგებს გემოს, ვინც ამ ყველაფრის ფასი იცის! ეს ის ფაქტორებია, რომლებიც, როგორც იტყვიან, განსჯას არ ექვემდებარება და რომლებიც არისტოკრატის, ნამდვილი მამაკაცის არსს შეადგენს. ყოველივე ამის ნარჩენი მსახიობით ბრბოს აღფრთოვანებაშიც იგრძნობა. ისევ თქვენს ნათესავს მინდა მივუბრუნდე: ცხადია, სწორი არ არის, თითქოს ადამიანი კონსერვატიული მაშინ ხდება, როცა თავაშვებული ცხოვრებისთვის ზედმეტად ზანტდება. ჩვენ ყველა რევოლუციონერებად ვიბადებით, მაგრამ ერთ დღესაც აღმოვაჩენთ, რომ უბრალოდ კარგი ადამიანი, გონებრივი შესაძლებლობების მიუხედავად, ერთგული, მხიარული, გაბედული, სანდო, არათუ უდიდეს სიამოვნებას განგვაცდევინებს, არამედ რეალური მიწიერი ნივთიერებაცაა, რისგანაც ცხოვრება შედგება. ეს წინაპართა სიბრძნეა და თან გემოვნების მკვეთრ ცვლილებას ნიშნავს, ეგზოტიკურისკენ მიმართული ყმაწვილკაცური გემოვნებიდან მოწიფული მამაკაცის გემოვნებაზე გადასვლას. თქვენი ნათესავი ბევრი რამით მხიბლავს, თუ ჩემი ნათქვამი ხმამაღლა არ ჟღერს, რადგან ძნელია მის ნათქვამზე პასუხისმგებლობის

აღება. მე ის მიყვარს, რადგან სულიერი სიმკაცრისა და უცნაურობის მიუხედავად, რაღაც უჩვეულოდ თავისუფალი და დამოუკიდებელიცაა. თავისუფლებისა და შინაგანი სიმკაცრის ეს შეთავსებაა, ალბათ, რაც ასე მომხიბვლელს ხდის. მაგრამ ინფანტილური, ეგზოტიკური მორალისა და თავგადასავლების მაძიებელი უცნაურად განვითარებული გონების გამო ის საშიში ადამიანიცაა.

77. არნჰაიმი – ჟურნალისტების მეგობარი

დიოთიმას კვლავ მიეცა შესაძლებლობა, არნჰაიმის მაგალითზე ქცევის იმ ფაქტორებს დაკვირვებოდა, განსჯას რომ არ ექვემდებარება.

ასე მაგალითად, არნჰაიმის რჩევით ხანდახან კრებაზე დიდი გაზეთის წარმომადგენელსაც იწვევდნენ და თუმცა იგი კრებას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდა, მაინც იმგვარ ყურადღებას იპყრობდა, რომ ცნობილი ადამიანები მის გვერდით ჩრდილში ექცეოდნენ. რაღაც მიზეზით, განსჯას რომ არ ექვემდებარება, გაზეთები სულის ლაბორატორიებსა და საექსპერიმენტო ცენტრებს კი არა, როგორც წესი, საწყობებს და ბირჟებს წარმოადგენს. მაგალითისთვის გავიხსენოთ პლატონი, რადგან მას ათობით სხვა დანარჩენთა შორის უდიდეს მოაზროვნეს უწოდებენ. პლატონი რომ ცოცხალი ყოფილიყო, გაზეთების საქმიანობა აღაფრთოვანებდა, რადგან აქ ყოველდღე რაღაც ახალი იდეა იბადება, იხვეწება ან მას რაღაც სხვა ჩაენაცვლება. სამყაროს ყველა კუთხიდან აქ მისთვის წარმოუდგენელი სისწრაფით ათასნაირი ინფორმაცია მოედინება და გაზეთებიც ხელდახელ ამოწმებენ, რა არის მასში რეალური და ჭკვიანური. გაზეთების რედაქციებს ის იმ „Topos uranios“ -ად, იდეათა იმ ზეციურ ადგილად მიიჩნევდა, რომლის არსებობაზეც ასე დამაჯერებლად წერდა. ცხადია, პლატონი რომ რედაქციაში მისულიყო და გამორკვეულიყო, რომ ის მართლა ორი ათასი წლის წინ გარდაცვლილი დიდი მწერალია, სენსაციასაც მოახდენდა და სარფიან წინადადებებსაც მიიღებდა. სამ კვირაში მგზავრის ფილოსოფიური ჩანაწერების მთელი ტომი ან ათასობით საყოველთაოდ ცნობილი პატარა მოთხრობები რომ დაეწერა ან რომელიმე მისი ძველი ნაწარმოები ფილმად გადაეღოთ, კარგა ხანს უდარდელადაც იცხოვრებდა, მაგრამ როგორც კი მისი დაბრუნება აქტუალურობას დაკარგავდა, ბატონი პლატონი კი თავის

ცნობილ იდეათაგან ერთ-ერთის რეალიზაციას მოისურვებდა, რომელთაგან სრულად ვერც ერთის განხორციელება ვერ მოხერხდა, მთავარი რედაქტორი გაზეთის ლიტერატურულ დამატებაში პატარა სტატიის დაწერას და გამოქვეყნებას შესთავაზებდა (ოღონდ, მკითხველთა ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო თავისუფალი, ცოცხალი და არა ისეთი მძიმე სტილით, როგორც მას სჩვეოდა) და თან დააყოლებდა, ასეთი მასალის გამოქვეყნებას თვეში მხოლოდ ერთხელ შევძლებთ, ვინაიდან სხვა ნიჭიერი ადამიანებიც ხომ უნდა გავითვალისწინოთო. ამის შემდეგ რედაქტორს ისეთი შეგრძნება დარჩებოდა, რომ ამ ადამიანს, ევროპული პუბლიცისტიკის ნესტორს, უკვე ცოტათი მოძველებულს, რომელიც აქტუალურობით არნჰაიმისნაირ ავტორს ვერც კი უტოლდებოდა, ბევრი რამ გაუკეთეს.

რაც შეეხება არნჰაიმს, ამგვარ დამოკიდებულებას, ცხადია, არასდროს დასთანხმდებოდა, რადგან ეს ყოველივე დიადის მიმართ მის მოწიწებას შეურაცხყოფდა, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით ეს მისთვის გაუგებარი არ იქნებოდა. დღეს, როცა ლაპარაკს ერთმანეთს არავინ აცდის, როცა წინასწარმეტყველი და თაღლითი ერთი ენით გვესაუბრება და განსხვავება მათ შორის უმნიშვნელოა, საქმიან ადამიანს დროც არ რჩება, რომ სიმართლე გაარკვიოს. როცა რედაქციებს თავს აბეზრებენ, ესა და ეს გენიოსიაო, ძნელია, ადამიანის ან იდეის ღირებულება განსაზღვრო. მხოლოდ საკუთარ სმენას თუ ენდობი იმის მისახვედრად, როდის გახდება ლუღლუღის, ჩხავილისა და ფრატუნის ხმები რედაქციის კარს მიღმა საკმარისად ძლიერი, რომ ისინი საზოგადოებრივი ხმის სახელით შიგნით შეუშვა. ამ წუთიდან, ბუნებრივია, გენიოსი ახალ მდგომარეობაში გადაინაცვლებს. ის თეატრისა და ლიტერატურის კრიტიკის საგანი კი აღარ არის (რომლის წინააღმდეგობრიობებსაც გაზეთისთვის სასურველი მკითხველი ბავშვის ტიტინზე მეტი სერიოზულობით არ ეკიდება), არამედ უკვე ფაქტია, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

სულელი ენთუზიასტები ვერც ამჩნევენ იდეალიზმის იმ სასოწარკვეთილ მოთხოვნილებას, ამ ფაქტის უკან რომ იმალება. მწერლობა და მწერლების სამყარო სავსეა დიდებული სიტყვებითა და ცნებებით, რომლებსაც საკუთარი აღსაწერი საგნები დაუკარგავთ. დიდ ადამიანთა ეპითეტები და მათით

აღფრთოვანება უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე მათი გამომწვევი მიზეზები. ამიტომ ეს ეპითეტებიც ზედმეტია. ოდესღაც რომელიღაც მნიშვნელოვანმა ადამიანმა ის მეორე მნიშვნელოვანი ადამიანისთვის შექმნა, მაგრამ დღეს, როდესაც ისინი უკვე დიდი ხნის მკვდრები არიან, ეს ცნებები კი არსებობას აგრძელებენ, მათი არსებობა ვინმემ რაღაცნაირად ხომ უნდა გამოიყენოს. ამიტომ ზედსართავებისთვის მუდამ ვიღაცას ეძებენ. შექსპირის „უდიდესი სისავსე“, გოეთეს „უნივერსალურობა“, დოსტოევსკის „ფსიქოლოგიური სიღრმე“ და სხვა დანარჩენი ცნებები, ლიტერატურული განვითარების გრძელი გზა რომ განვლო, მავანთ ტვინებში გაეჩხირათ და იმის შიშით, რომ საქონელი არ ჩაუწვეთ, რომელიღაც ჩოგბურთელ სტრატეგს „ღრმას“ უწოდებენ, ან მოდურ პოეტს – „დიდს“. და თუ დაგროვილ სიტყვებს დანაკარგის გარეშე ვინმე მოუძებნეს, დიდად მადლიერნი დარჩებიან. ეს ვინმე კი ისეთი ადამიანი უნდა იყოს, რომლის მნიშვნელობაც უკვე ფაქტად იქცა, რის წყალობითაც ყველასთვის გასაგები ხდება, რომ შეიძლება მას ეს სიტყვები მოერგოს და თან სულერთია – როგორ. არნჰაიმი სწორედ ასეთი ადამიანი გახლდათ, რადგან არნჰაიმი არნჰაიმი იყო, მამამისის მემკვიდრე, უკვე რაღაც მოვლენად გაჩენილი და ამიტომ მისი ნათქვამის აქტუალურობაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა. საკმარისი იყო, ცოტა მოენდომებინა, რამე ეთქვა და კეთილი ნების შემთხვევაში მისი ნათქვამიც მნიშვნელოვნებას იძენდა. თავად არნჰაიმი ამას ერთი მეტად ზუსტი პრინციპის სახით აყალიბებდა. „ადამიანის რეალური მნიშვნელობის დიდი ნაწილი თანამედროვეთათვის საკუთარი თავის გასაგებად წარმოჩენაში მდგომარეობს“, – ამბობდა ხოლმე იგი.

ასე რომ, არნჰაიმმა ამჯერადაც შეძლო გაზეთებთან საერთო ენის გამონახვა. პატივმოყვარე ფინანსისტები და პოლიტიკოსები, გაზეთების ხელში ჩასაგდებად მათი მთლიანად შესყიდვა რომ გადაეწყვიტათ, ღიმილს ჰგვრიდა. საზოგადოებრივ აზრზე გავლენის ამგვარად მოხდენის მცდელობას უხეშ და სულმოკლე საქციელად მიიჩნევდა, როგორც იმ კაცის საქციელს, ქალს სიყვარულში ბევრ ფულს რომ უხდის, თუმცა მისი ფანტაზიის ცოტათი მაინც აღგზნება რომ შეძლებოდა, საწადელს იაფადაც მიაღწევდა. ჟურნალისტების კითხვაზე, რას ფიქრობთ კრების შესახებო, არნჰაიმმა უპასუხა: უკვე თავად ის ფაქტი, რომ ასეთი შეკრება

მოხდა, მის აუცილებლობაზე მეტყველებს, რადგან მსოფლიო ისტორიაში არაფერი უგუნური არ ხდებაო. მათი პროფესიული განწყობისთვის ამგვარი პასუხი ზედგამოჭრილი გამოჩნდა და მისი სიტყვები გაზეთებმა აიტაცეს. რომ დააკვირდე, მართლაც კარგი გამონათქვამია, რადგან ადამიანი, რომელიც მომხდარს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, დარწმუნებული რომ არ იყოს, ამქვეყნად უგუნური არაფერი არ ხდებაო, თავს კარგად ვერ იგრძნობდა. მეორე მხრივ, ისიც ხომ ცნობილია, რომ ადამიანი უმალ ენას მოიკვნეტს, ვიდრე რამეს მნიშვნელობას მიანიჭებდეს, თუნდაც ეს რამე თავად მნიშვნელოვნება იყოს. ნათქვამში გაბნეული პესიმიზმის ერთი მწიკვი ამ საქმეს ღირსებას ანიჭებდა, ხოლო ის ფაქტი, რომ არნჰაიმი უცხოელი იყო, ავსტრიაში მიმდინარე სულიერი პროცესებით საზღვარგარეთის დიდ დაინტერესებად შეიძლება განმარტებულიყო.

კრების მონაწილე სხვა ცნობილ ადამიანებს, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ არაცნობიერ უნარს – პრესისთვის თავი მოეწონებინათ, ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. და რადგან ცნობილმა ადამიანებმა ერთმანეთის შესახებ ცოტა რამ იციან და მარადისობის მატარებელში, ყველას ერთად რომ მიაქროლებს, ვაგონ-რესტორანში თუ მოჰკრავენ ერთმანეთს თვალს, არნჰაიმის საზოგადოებრივმა წონამ მათზეც იმოქმედა. არნჰაიმი კი კომიტეტების სხდომაზე უწინდებურად იშვიათად ჩნდებოდა და მათგან თავი შორს ეჭირა, თუმცა ცენტრალური ფიგურის როლი თავისთავად ერგო. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ არნჰაიმი ამ თავყრილობების ნამდვილ სენსაციად ქცეულიყო, თუმცა საამისოდ არაფერს აკეთებდა, კრების ცნობილ მონაწილეებთან საუბრისას მის მიერ გამოთქმულ აზრს თუ არ ჩავთვლით, რომელიც კეთილშობილურ პესიმიზმად შეიძლება მიგვეღო იმ გაგებით, რომ მისი თქმით, თუმცა ამ შეკრებიდან დიდი არაფერი იყო მოსალოდნელი, მაინც ამგვარი კეთილშობილური მიზნები თავდადებას და ერთგულ მსახურებას ითხოვდა. ასეთი რბილი პესიმიზმი დიდ ადამიანებშიც იწვევს ნდობას, რადგან რაღაც მიზეზით ის მოსაზრება, რომ გონება დღეს ნამდვილ წარმატებას ვერ აღწევს, უფრო სასიამოვნო მოსასმენია, ვიდრე ის, რომ ერთ-ერთ შენს კოლეგას წარმატებისთვის მიუღწევია. ასე რომ, კრების მისამართით არნჰაიმის მიერ გამოთქმული თავშეკავებული შეფასება

პირველი მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება მიგვეღო.

78. დიოთიმას მეტამორფოზა

დიოთიმას გრძნობები არნჰაიმის წარმატების დარად სწორხაზობრივ ზესვლას როდი განიცდიდა.

თავისი ბინის დაცარიელებულ ოთახებში ხალხით გარშემორტყმულს ხანდახან ეჩვენებოდა, რომ საოცნებო ქვეყანაში გამოეღვიძა. თმაზე, მხრებსა და თეძოებზე ჭაღის სინათლე ეცემოდა და თითქოს გრძნობდა კიდეც სხივების სითბოს. სამყაროს ცენტრში ქანდაკებასავით თუ შადრევნის შუაგულში სტატუეტივით ჩამდგარს სულიერების ნათელი ეფინებოდა. ეს მდგომარეობა იმ ბოლო შანსად მიაჩნდა, როცა შეგიძლია განახორციელო ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად და ამაღლებულად გესახება. რამე კონკრეტული აზრი ამასთან დაკავშირებით არ ჰქონდა და ეს არც ადარდებდა. ბინა, სტუმრები და მთელი საღამო შიგნიდან ყვითელაბრეშუმგამოკრულ კაბასავით ემოსა, რომელსაც კანით გრძნობდა და ვერ ხედავდა. დროდადრო არნჰაიმს შეავლებდა ხოლმე მზერას, ის კი, როგორც ყოველთვის, სადღაც ხალხში იდგა და ლაპარაკობდა. შემდეგ ამჩნევდა, რომ სულ მას უყურებდა. არნჰაიმის სახეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი სულის ფრთების ბოლოებით ელამუნებოდა და გრძნობდა, რაც მასში ხდებოდა.

რადგან ფრთები ვახსენეთ, ისიც უნდა დავამატოთ, რომ არნჰაიმიც ზმანების სამყაროდან მოსულს ჰგავდა – კრების შუაგულში ჩამოფრენილ ოქროსფრთიან ვაჭარს. ლაპარაკისას ხელებს იშველიებდა და მისი სხვათათვის შეუმჩნეველი აკეცილი ფრთები სწრაფი მატარებლის გრუხუნით, მანქანების ქროლით, მონადირის ქოხის სიჩუმით და იახტის აფრის შრიალით დამუხტულიყო. არნჰაიმი უწინდებურად ბევრს მოგზაურობდა და ამიტომ მისი გამოჩენა ყოველთვის რაღაც ისეთს ატარებდა, რაც არსებულ მომენტს, იმწუთიერ მოვლენებს სცდებოდა და რაც დიოთიმასთვის ასე მნიშვნელოვანი გამხდარიყო. იცოდა, რომ სანამ არნჰაიმი აქ იყო, იღებდნენ და აგზავნიდნენ საიდუმლო დეპეშებს, ჩამოდიოდნენ მნახველები და ემისრები. თანდათან დიოთიმას არნჰაიმის მსოფლიო მასშტაბის მეწარმეობის მნიშვნელობისა და მსოფლიო მოვლენებში მისი ჩართულობის შესახებ

წარმოდგენა შეექმნა, თუმცა ეს წარმოდგენა, შესაძლოა, გადაჭარბებულიც იყო. ხანდახან არნჰაიმი საერთაშორისო კაპიტალის ურთიერთობებზე, ოკეანისგადაღმა ქვეყნების საქმიან გარიგებებსა და პოლიტიკურ კავშირებზე ისე საინტერესოდ ჰყვებოდა, რომ მსმენელი სუნთქვაშეკრული უგდებდა ყურს. დიოთიმას თვალწინ, პირველად, სრულიად ახალი ჰორიზონტი გადაიშალა. ან იმის მოსმენა რად ღირდა, როცა არნჰაიმი ფრანგულ-გერმანულ წინააღმდეგობებზე იწყებდა ლაპარაკს. დიოთიმამ ამ საკითხზე მხოლოდ ის იცოდა, რომ მის წრეში გერმანიისადმი ძმური მოვალეობის შეგრძნებასთან ნარევი მსუბუქი ანტიპათიით იყვნენ განწყობილნი. მსჯელობისას ამ საკითხს არნჰაიმი გალურ-კელტურ-ალპური ანთროპოლოგიური ტიპის პრობლემად წარმოაჩენდა, რომელიც ლოტარინგიულ ქვანახშირთან და მექსიკური ნავთობის ჭაბურღილებთან იყო დაკავშირებული. ლაპარაკობდა ინგლისურ და ლათინურამერიკულ წინააღმდეგობაზეც. განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის ამგვარ მიზეზობრივ კავშირებზე ან წარმოდგენა არ ჰქონდა, ან, უბრალოდ, არ ამხელდა და იმითღა კმაყოფილდებოდა, რომ შიგადაშიგ დიოთიმას შეახსენებდა, არნჰაიმის ხშირ სტუმრობას და ჩვენი სახლის მიმართ მის ესოდენ კეთილგანწყობას უთუოდ რამე ფარული მიზნები უნდა ჰქონდესო, თუმცა ამ მიზნების ხასიათზე დუმდა, ანდა რა ეთქვა, როცა თავადაც ვერაფერს ხვდებოდა.

აი, რატომ გრძნობდა დიოთიმა ახალი ადამიანების უპირატესობას, რომელიც მათ მოძველებულ დიპლომატიურ მეთოდებზე მოეპოვებინათ. არ ავიწყდებოდა ის წუთი, როცა გადაწყვიტა, არნჰაიმისთვის პარალელური აქციის წინამძღოლობა მიენდო. ეს მისი ცხოვრების პირველი დიდი იდეა გახლდათ და მაშინ დიოთიმას უცნაური განცდა ჰქონდა. ის რაღაცნაირ მოთენთილობას გრძნობდა. იდეამ სადღაც შორეთში გაიტაცა და ყველაფერი, რაც აქამდე მის ცხოვრებას შეადგენდა, ამ იდეას ერთვოდა. სიტყვიერად გამოხატული ეს გრძნობა ბევრი არაფრის მთქმელი იქნებოდა. ეს იყო ელვარება, ნათება, იდეათა მდინარება. „ამ ჯერაც არნახული პატრიოტული აქციის წინამძღოლად არნჰაიმის არჩევა ყველა წარმოდგენას სცილდება“, – ფიქრობდა თავისთვის დიოთიმა. არნჰაიმი უცხოელი იყო და ამ ფაქტს ვერაფერს მოუხერხებდით. იდეის ისე მარტივად განხორციელება,

როგორც მან გრაფ ლაინსდორფს და თავის მეუღლეს გაანდო, ადვილი არ იყო და მაინც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც იდეა შთააგონებდა. ყველა სხვა მცდელობა, აქციისთვის ღრმა შინაარსი შეეძინათ, ამაო აღმოჩნდა. პირველმა დიდმა სხდომამ, კომიტეტების მუშაობამ, თვით ამ კერძო კონგრესმაც კი, როგორც არნჰაიმი აფრთხილებდა, ვერაფერი შვა, გარდა თავად არნჰაიმისა, რომელსაც ყველა ეტმასნებოდა, რომელსაც გაუთავებლად უნდა ელაპარაკა და რომელიც ყველას ფარულ იმედად ქცეულიყო. ეს იყო ახლებური ტიპი, ვისი მოწოდებაც განგების ძველი ძალების შეცვლა იყო. დიოთიმა ამაყობდა, რომ არნჰაიმის დანიშნულება პირველმა შეიცნო, ძალაუფლების სფეროში ახალი ძალის დამკვიდრებაზეც ესაუბრა და ამ იდეის განხორციელების გზაზე, მიუხედავად ყოველი მხრიდან წინააღმდეგობისა, დაბრკოლების გადალახვაშიც გვერდით ედგა. თუ არნჰაიმს მართლაც რამე განსაკუთრებული ჩანაფიქრი ჰქონდა, მაშინ დიოთიმა წინასწარ მზად იყო, მისთვის დახმარება გაეწია, რადგან დიადი საქმე წვრილმან გადასინჯვას ვერ ჰგუობს. დიოთიმა ცხადად გრძნობდა, რომ მის ცხოვრებას მწვერვალისთვის მიეღწია.

უიღბლოს ან იღბლიანს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ამქვეყნად ყველა ერთნაირად ცუდად ცხოვრობს, ოღონდ სხვადასხვა სართულზე. სართულის ცნობიერება დღეს ადამიანისთვის ცხოვრების აზრისა და დანიშნულების მეტად მომხიბვლელი შემცვლელია. გამონაკლის შემთხვევაში ის, შესაძლოა, სიმაღლითა და ძალაუფლებით ტკბობაშიც გადაიზარდოს. ისეთებიც ხომ არსებობენ, რომ სიმაღლეზე თავბრუ ეხვევათ, თუნდაც ფანჯრებჩარაზული ოთახის შუაგულში იდგნენ. როგორც კი დიოთიმა ფიქრს იწყებდა, თუ როგორ იღვწოდა მასთან ერთად ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი ძალაუფლების სფეროში სულიერების შესატანად, რომელიც ბედისწერას შეეხვედრებინა, თუმცა მსოფლიო-ავსტრიული საკაცობრიო შენობის ბოლო სართულზე ამ დღეს განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, აზრის კვანძები მაშინვე იხსნებოდა, აზრის სისწრაფე უჩვეულოდ იზრდებოდა, მსუბუქდებოდა, თან ბედნიერებისა და იღბლის უცნაური შეგრძნებაც ეუფლებოდა და ზეშთაგონებულს ეს მდგომარეობა თავადაც აკვირვებდა. დიოთიმას თავდაჯერება შეემატა. წარმატებები, ადრე ფიქრსაც რომ ვერ ბედავდა, ახლა სულ ახლოს, ხელის ერთ გაწვდენაზე

მოჩანდა. უფრო მხიარულ გუნებაზე იყო, ვიდრე სჩვეოდა და ზოგჯერ თამამადაც ხუმრობდა. ლამის თავაშვებულობად ქცეული მხიარულების ტალღას მისი არსება მთლიანად მოეცვა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს კოშკის ოთახში იდგა, რომელსაც ბევრი ფანჯარა ჰქონდა. კმაყოფილების ეს უცნაური ნეტარი გრძნობა ტანჯავდა კიდეც და მრავალმხრივი ქმედებისკენაც უბიძგებდა. შეიძლებოდა ასეც გვეთქვა: ფეხქვეშ დედამიწის ბრუნვას ცხადად გრძნობდა და ეს გრძნობა აღარ ტოვებდა. კონკრეტულ შინაარსს მოკლებული ეს მშფოთვარე მოვლენები ისევე უშლიდა ხელს, როგორც უცბად საიდანღაც მოსული ძაღლი, ზედ შენს ფეხებთან რომ აცუღლუტდება. ხანდახან ეს მოულოდნელი ცვლილებები, მასში ასე დაუკითხავად რომ ხდებოდა, თავადაც აშფოთებდა. საერთოდ კი მისი მდგომარეობა იმ ნერვიულ ნაცრისფერს ჰგავდა, თაკარა მზის დროს მოთენთილ ცას რომ დაჰკრავს.

იდეალისკენ დიოთიმას ლტოლვამ მნიშვნელოვანი მეტამორფოზა განიცადა. ეს ლტოლვა არასდროს განსხვავდებოდა დიადი მოვლენებით კორექტული აღფრთოვანებისგან. ეს იყო კეთილშობილური იდეალიზმი, მოკრძალებული აღფრთოვანება და, რადგან ჩვენი ხისტი ეპოქისთვის ამგვარი გრძნობები უცნობია, მისი მოკლედ აღწერა მოგვიწევს. ეს იდეალიზმი კონკრეტული არ იყო, რადგან კონკრეტულობა ხელოსნობაა, ხელოსნობა კი სუფთა საქმე გახლავთ. იდეალიზმი ჰერცოგის ასულის მხატვრობას ჰგავდა, რომლის მოდელობაც მხოლოდ ყვავილებს თუ შეშვენის. ყველაზე მეტად კი, რაც ამ იდეალიზმს ახასიათებდა, „კულტურის“ ცნება იყო და ის კულტურის მატარებლადაც გვევლინებოდა. მისთვის შეგვეძლო ჰარმონიულიც გვეწოდებინა, რადგან გაუწონასწორებელს ვერაფერს ეგუებოდა და განათლების ამოცანას ამქვეყნად არსებული უხეში დაპირისპირებულობის ჰარმონიზაციაში ხედავდა. ერთი სიტყვით, შესაძლოა, ის დიდად არც განსხვავდებოდა იმისგან, რასაც დღეს – ცხადია, მხოლოდ იქ, სადაც ბურჟუაზიულ ტრადიციებს მისდევენ – ხარისხიან და სუფთა იდეალიზმს უწოდებენ, რომელიც საგნებს ერთმანეთისგან ღირსეული და უღირსი თვისებების მიხედვით აბსოლუტური სიზუსტით განასხვავებს და დიდი ჰუმანიზმის გამო წმინდანთა (ასევე ექიმებისა და ინჟინრების) მოსაზრებას სრულებით არ იზიარებს, რომლის თანახმადაც გამოუყენებელ

თბოუნარიანობას მორალურ ნარჩენებშიც აღმოაჩენთ. დიოთიმა ადრე ვინმეს ღამე რომ გაეღვიძებინა და ეკითხა, რა გინდაო, დაუფიქრებლად უპასუხებდა, სიყვარულის ძალა ყოველთვის გრძნობს მოთხოვნილებას, საკუთარი თავის შესახებ ქვეყნიერებას ამცნოსო, მაგრამ გამოფხიზლების შემდეგ თავის ნათქვამს დააზუსტებდა და იტყოდა, დღევანდელ სამყაროში, ცივილიზაციას და რაციოს რომ წაულეკავს, თვით ამაღლებული ბუნების ადამიანებშიც კი ამ ძალის ანალოგზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ და ისიც ფრთხილადო. მისი მოსაზრება მართლაც ასეთი იქნებოდა. დღესაც მოძებნით ათასობით ადამიანს, სიყვარულის საფრქვეველს რომ ჰგავს. როცა დიოთიმა წიგნებს მიუჯდებოდა და ლამაზი შუბლიდან თმას გადაიყრიდა, სახეზე დაძაბულ გამომეტყველებას იღებდა და პასუხისმგებლობის სრული შეგრძნებით კითხულობდა, რათა კულტურა თავის არცთუ იოლ საზოგადოებრივ საქმიანობაში თანაშემწედ გაეხადა. ის მართლაც ასე ცხოვრობდა; ფაქიზ სიყვარულს წვეთ-წვეთ ყველაფერ იმას უნაწილებდა, რაც ამას იმსახურებდა, ნაფიფქივით მათში ილექებოდა საკუთარი თავისგან შორს, თავად კი სხეულის ცარიელი ჭურჭელი რჩებოდა, განყოფილების გამგე ტუცის საოჯახო ინვენტარად რომ ქცეულიყო. არნჰაიმის გამოჩენამდე ცხოვრების ამ წესმა საბოლოოდ მძიმე მელანქოლია შეჰყარა. ქმარსა და პარალელური აქციის კაშკაშა სხივს შორის დიოთიმა მაშინ ჯერ კიდევ სულ მარტო იდგა, მაგრამ მას შემდეგ მოვლენები მის ცხოვრებაში სრულიად ბუნებრივად გადაჯგუფდა. მისი სასიყვარულო ძალა შეიკუმშა და ასე ვთქვათ, სხეულს დაუბრუნდა, „ანალოგიური“ სწრაფვა კი თავდაჯერებულ, ერთმნიშვნელოვან გრძნობად ჩამოყალიბდა. მისი ნათესავის ვარაუდი, რომ დიოთიმა რაღაც საქციელის ჩადენის პირას იდგა, რაღაც ისეთის, რაც მასსა და არნჰაიმს შორის უნდა მომხდარიყო და რის წარმოდგენაც მას ჯერ კიდევ არ სურდა, ყველაზე კონცენტრირებულ წარმოდგენად იქცა იმ წარმოდგენათაგან, რასაც აქამდე დიოთიმას გონება მოეცვა, და ასე ეგონა, თითქოს სიზმრიდან გამორკვეულიყო. სიცარიელის გრძნობაც გაუჩნდა, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის პირველ წუთებს რომ ახასიათებს და სხვათა ნათქვამიდან კარგად ახსოვდა, რომ ეს დიდი ვნებების მაუწყებელი ნიშნები იყო. ფიქრობდა, რომ ბევრი რამ, რაზეც არნჰაიმი ლაპარაკობდა, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა

გაეგო. არნჰაიმის მონაყოლი საკუთარ პოზიციაზე, მისი ცხოვრებისთვის აუცილებელ ზნეობრიობასა და მოვალეობებზე თითქოს რაღაც გარდაუვალისთვის მზადება იყო და როცა დიოთიმა თავის ადრინდელ იდეალებს გონების თვალით უყურებდა, იმ ადამიანის პესიმიზმი ეუფლებოდა, ჩემოდნები რომ ჩაულაგებია და ახლა ნახევრად უსიცოცხლო ბინას, წლების მანძილზე უღალატო თავშესაფარს, უკანასკნელად ავლებს მზერას. დროებით უზენაეს ძალთა უმეთვალყურეოდ დარჩენილი დიოთიმას სული იმ ონავარი ბიჭივით იქცეოდა, რომელიც იქამდე ანცობს, სანამ უაზრო თავისუფლება სევდას არ მოჰგვრის. ქმართან ურთიერთობაში, მიუხედავად გაუცხოებისა, ყოველდღიურად რომ ღრმავდებოდა, რაღაც ისეთმა იჩინა თავი, რაც ასე უცნაურად ჰგავს გვიანდელი გაზაფხულის სიყვარულს თუ არა, წელიწადის ყველა დროის ნარევს მაინც.

განყოფილების ტანდაბალი ხელმძღვანელი, მუქი ფერის მშრალი კანის სასიამოვნო სუნით, ვერაფერს ხვდებოდა. რამდენჯერმე შეამჩნია, რომ დიოთიმა სტუმრებთან უცნაურად დაბნეულ, ნერვიულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. საკუთარ თავში ჩაკეტილი, ყველასგან გაუცხოებული, განზე იდგა. მარტო რომ რჩებოდნენ, დარცხვენილი და დაბნეული ტუცი ცდილობდა, ცოლისთვის მიზეზი ეკითხა, ის კი უმიზეზოდ აღტყინებული კისერზე ეხვეოდა და შუბლზე უცნაურად მხურვალე ტუჩებით კოცნიდა, რომელიც ტუცის დალაქის გავარვარებულ მაშებს აგონებდა, ულვაშის დახვევისას უცაბედად სახის კანზე რომ ედებოდა. მოულოდნელი ალერსი უსიამოვნო გრძნობას უტოვებდა და როგორც კი დიოთიმა თვალს აშორებდა, მაშინვე შუბლს იწმენდდა. თუ თვითონ დაუპირებდა მიალერსებას ან მიეალერსებოდა, დიოთიმასგან საყვედურებს იღებდა – რაც კიდევ უფრო საწყენი იყო – არასდროს გყვარებივარ და ნადირივით დამაცხრები ხოლმეო. სასურველი ქალის ხატება, მამაკაცის ბუნებას რომ ავსებს, ახალგაზრდული ასაკიდან შექმნოდა და მგრძნობელობა და ჭირვეულობა ამ ხატების განუყრელ ნაწილად წარმოედგინა. მადლმოფენილი სიკოხტავე, რითაც დიოთიმა მას ჭიქა ჩაის აწვდიდა, ხელში ახალ წიგნს იღებდა ან რამე საკითხზე მსჯელობდა, თავისი სრულყოფილი ფორმით ტუცის ყოველთვის აღაფრთოვანებდა. მასზე ეს სუფრულ სიმღერასავით ზემოქმედებდა, რაც

განუზომლად უკვირდა. ცხადია, მუსიკის სუფრისგან (ან ეკლესიაში სიარულისგან) გამოყოფა და მისი კულტივირება ბურჟუაზიულ ამპარტავნობად მიაჩნდა, თუმცა იცოდა, რომ ხმამაღლა ამის თქმის უფლება არ ჰქონდა, თანაც ასეთი საკითხები ისედაც დიდად არასდროს აღელვებდა. რა უნდა ექნა, როცა დიოთიმა ხან ეხვეოდა, ხან კი გაღიზიანებული უმტკიცებდა, შენ გვერდით სულიერი ადამიანი თავისუფლებას ვერ მიაღწევს, თავისი ჭეშმარიტი ბუნება რომ ჰპოვოსო. ან იმ მოთხოვნაზე რა ეპასუხა, ჩემს სხეულზე მეტად სულიერი სილამაზის უძირო სიღრმე უნდა გაინტერესებდეს და ეროტიკასა – როცა დაუფლების ჟინისგან შეურყვნელი სიყვარულის სული ლაღად ნავარდობს – და სექსს შორის სხვაობას უნდა ხედავდეო. წიგნებში ამოკითხული ამგვარი სისულელეები დაცინვის მეტს არაფერს იმსახურებდა; მაგრამ როცა ასეთ შეგონებებს ქალი წარმოთქვამს, თანაც მაშინ, როცა იხდის, ეს უბრალოდ შეურაცხმყოფელიაო, – ფიქრობდა ტუცი. მის თვალს არც ის გამოჰპარვია, რომ დიოთიმას ქვედა საცვალს ფრივოლური თავქარიანობისკენ გარკვეული პროგრესი განეცადა და თუ აქამდე ტანსაცმელს ყოველთვის მოფიქრებულად და საგულდაგულოდ ირჩევდა, რადგან საზოგადოებრივი მდგომარეობა მისგან ელეგანტურობასაც ითხოვდა და იმასაც ავალებდა, რომ ამა ქვეყნის ძლიერთა ცოლების კონკურენტი არ ყოფილიყო, ახლა უკვე მისი საცვალი ობობას ქსელს დამსგავსებოდა და პირველობა სილამაზისთვის დაეთმო. ამ არჩევანს იგი წინათ გონიერი ქალისთვის უღირსად ჩათვლიდა. საკმარისი იყო, ჯოვანის (ტუცის ჰანსი ერქვა და სახელი სტილისტური მოსაზრებით, გვარის შესაბამისად შეეცვალა) ეს შეემჩნია, რომ დიოთიმას მხრებიც კი უწითლდებოდა. მერე რაღაცის მოყოლას იწყებდა ქალბატონ ფონ შტაინზე, ტოლს გოეთესაც რომ არ უდებდა. ასე რომ, განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების პირადი ცხოვრებისგან გამიჯვნას ვეღარ ახერხებდა და ოჯახში შვებას ვეღარ პოულობდა. გრძნობდა, რომ დიოთიმას ხელში აღმოჩნდა, და ის, რაც ასე საგულდაგულოდ ჰქონდა გამიჯნული – გონების დაძაბულობა და თავდაჯერება, რომელსაც, ზოგადად, დაკმაყოფილებული სხეული სძენს ადამიანს – ახლა ისევ ისე უნდა გაეერთიანებინა, როგორც სასიძოობის დროინდელ დამქანცველ და ცოტა არ იყოს სასაცილო პერიოდში.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ტუცი ხანდახან გულის სიღრმეში ყოველივე ამის მიმართ ზიზღს გრძნობდა და ცოლის საზოგადოებრივ წარმატებას, რომელიც მას ამ პერიოდში მოეპოვებინა, მტკივნეულად განიცდიდა. საზოგადოებაში დიოთიმა კეთილგანწყობით სარგებლობდა, რასაც ტუცი დიდ პატივს სცემდა და იმის შიშით, სულელად არ ჩაეთვალათ, ცოლის მისთვის გაუგებარ ახირებას ვერც დატუქსვით პასუხობდა და ვერც დაცინვას უბედავდა. თანდათან მიხვდა, რა წამებაა – იყო ცნობილი ქალის ქმარი და თან მტანჯველი გრძნობებიც უბედური შემთხვევის შედეგად კასტრირებული კაცივით საგულდაგულოდ უნდა დაემალა. ცდილობდა, არაფერი დასტყობოდა და როცა დიოთიმას სტუმრები ჰყავდა ან სხდომა იმართებოდა, ოფიციალურ თავაზიანობას ამოფარებული მათ შორის უხმაუროდ და შეუმჩნევლად ჩნდებოდა და სწრაფადვე ქრებოდა; ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ცოლს სასარგებლო ან ირონიულ რჩევებს აძლევდა, ანუგეშებდა და ცხოვრებას განმარტოებით, სულ სხვა, მაგრამ ცოლის სამყაროს მიმართ კეთილგანწყობილ, სამყაროში ატარებდა. როცა პირისპირ რჩებოდნენ, პატარ-პატარა მითითებებსაც აძლევდა და არნჰაიმის ხშირ სტუმრობას აშკარა კეთილგანწყობით ეკიდებოდა. თავისუფალ დროს, როგორც კი სამსახურის საქმეებისგან მოიცლიდა, არნჰაიმის წიგნებს ეცნობოდა. მწერალი კაცები, რომლებშიც თავისი ტანჯვის მიზეზს ხედავდა, მთელი არსებით სძულდა.

ეს ის საკითხი გახლდათ, რაც ზოგჯერ მის ძირითად პრობლემას – ანუ იმ მიზეზის დადგენას, რატომ სტუმრობდა მის ოჯახს ასე ხშირად არნჰაიმი – ამწვავებდა. რატომ წერდა არნჰაიმი? წერა ყბედობის განსაკუთრებული ფორმაა. ყბედი მამაკაცი კი ტუცისთვის სრულიად მიუღებელი იყო. ასეთ დროს თავშეუკავებელი სურვილი უჩნდებოდა – მისთვის ყბა მოენგრია ან მეზღვაურივით სახეში შეეფურთხებინა. ცხადია, არსებობდა ანგარიშგასაწევი გამონაკლისებიც. მაგალითად, პენსიაზე გასული მაღალი ჩინის მოხელეები, მემუარებს რომ წერდნენ, და ისინი, ვისაც გაზეთებში ბეჭდავდნენ. ტუცი ამას იმით ხსნიდა, წერას ან უკმაყოფილო ჩინოვნიკი იწყებს, ან ებრაელი, რადგან ებრაელები პატივმოყვარეები არიან და თანაც უკმაყოფილოებიო. მისი მოსაზრებით, წიგნებს დაგროვილი გამოცდილების შესახებ პრაქტიკული პროფესიის დიდი

ადამიანებიც წერდნენ, მაგრამ ისიც ცხოვრების მიწურულს, თანაც ამერიკაში ან დიდი-დიდი ინგლისში. საერთოდ ტუცი ლიტერატურულად განსწავლული კაცი ბრძანდებოდა და დიპლომატების მსგავსად უპირატესობას მემუარებს ანიჭებდა, საიდანაც კაცი ბრძნულ გამონათქვამებს და ადამიანის ცნობას სწავლობს. დღეს ასეთი წიგნები რომ აღარ იწერება, ალბათ, რაღაცას უნდა ნიშნავდეს და საერთოდაც წერა, როგორც ჩანს, მოძველებული სურვილია და ახალი, საქმიანი ეპოქისთვის შეუფერებელი. კიდევ იმის გამოც წერენ, რომ ზოგისთვის ეს პროფესიაა. თუ ამით კარგად მოულობ ფულს და ასე თუ ისე პოეტის სახელსაც ამართლებ, მაშინ ხომ მით უმეტეს. ამ საქმის რჩეულთა საკუთარ სახლში ხილვა ტუცის პატივმოყვარე სურვილებს უკმაყოფილებდა: მათ რიგებს აქამდე მხოლოდ იმ მწერლებს მიაკუთვნებდა, რომლებსაც საგარეო საქმეთა სამინისტროს საიდუმლო ფონდი კვებავდა; „ილიადას“ და მთაზე ქადაგებასაც, ასე რომ ეთაყვანებოდა, დაუფიქრებლად ამგვარ მიღწევებად ჩათვლიდა, რომელთა შექმნა ნებაყოფლობითი ან იძულებითი პროფესიული საქმიანობით აიხსნებოდა. მაგრამ არნჰაიმს რაღა აიძულებდა, ამდენი ეწერა, ეს საკითხი ტუცის საიდუმლოდ ეჩვენებოდა, რაც ჯერ ვერა და ვერ აეხსნა.

79. სოლიმანს უყვარს

სოლიმანმა, პატარა ზანგმა მონა-ბიჭუნამ თუ ზანგმა თავადმა, ამ ხნის განმავლობაში შეძლო და რახელი, დიოთიმას მოახლე თუ მეგობარი, დაარწმუნა, ფხიზლად უნდა ვიყოთ და როგორც კი საამისო დრო დადგება, არნჰაიმის ბნელი მიზნები გამოვააშკარაოთო. უფრო ზუსტად, რახელის დარწმუნება ვერ შეძლო, მაგრამ ორივენი, შეთქმულებივით ყურდაცქვეტილები, ყოველი მომსვლელის საუბარს კარს უკან ფარულად უსმენდნენ. სოლიმანი რახელს რას აღარ უყვებოდა: კურიერებზე, მათთან გაუთავებლად რომ მიდი-მოდიოდნენ, საიდუმლოებით მოცულ ადამიანებზე, მის ბატონს სასტუმროში გარს რომ ეხვივნენ. მზად იყო, აფრიკელი თავადის ფიცი დაედო და ამ ყველაფრის ფარული აზრი ამოეცნო. აფრიკელი თავადის ფიცი კი შემდგომში მდგომარეობდა: სანამ სოლიმანი საზეიმო აღთქმას დადებდა, რახელს მისი სერთუკისა და პერანგის ღილებს შორის შიშველ მკერდზე ხელი უნდა სდებოდა, სოლიმანს კი – რახელის

მკერდზე; რახელს კი ეს არ უნდოდა და მაინც, როცა ყოველ საღამოს თავის ქალბატონს ჩაცმა-გახდაში ეხმარებოდა, მისი სახელით ტელეფონზე რეკავდა, დილა-საღამოს დიოთიმას შავი თმის ჩანჩქერი ხელებზე დაედინებოდა, ყურში კი მისი ოქროს სიტყვები ჩაედინებოდა, ეს პატარა პატივმოყვარე გოგო, პარალელური აქციის პირველივე დღიდან სვეტზე რომ შემოსკუპებულიყო და იქ დაედო ბინა, ქალღმერთივით დიოთიმას წინაშე მოწიწებით რომ თრთოდა, ახლა უკვე ჯაშუშობდა, დიოთიმას უთვალთვალებდა და სიამოვნებას ამაში პოულობდა.

გვერდზე ოთახის ღია ან ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან, ნელ-ნელა რომ იკეტებოდა, ან ახლომახლო ფუსფუსისას დიოთიმას და არნჰაიმს, ტუცის და ულრიხს რახელი გაფაციცებით ყურს უგდებდა, თითოეულ ამოხვნეშას, მზერას, ხელზე ამბორს, სიტყვებს, სიცილს და მოძრაობას თვალს ადევნებდა და როგორც საბუთის ნახევებს, აწყობას უპირებდა, მაგრამ ვერა და ვერ ახერხებდა. განსაკუთრებით კი გასაღების პატარა ჭუჭრუტანა ახსენებდა იმ მივიწყებულ დღეებს, როცა პატივი აჰყარეს. მზერა ოთახის სიღრმეს სწვდებოდა. ორგანზომილებიან სივრცეში ადამიანები თითქოს დაცურავდნენ, ხმები სიტყვების ვიწრო ჩარჩოებში ვეღარ ეტეოდა და უაზრო ხმაურში გადაზრდილიყო. რიდი, მოკრძალება და აღფრთოვანება, რაც რახელს ამ ადამიანებთან აკავშირებდა, ინგრეოდა და ისიც ისეთ ველურ ნეტარებას განიცდიდა, როგორსაც მაშინ, როცა სატრფო შენში ისე ღრმად აღწევს, რომ თვალთ გიბნელდება, კანის ჩამოფარებული ფარდის მიღმა კი შუქი ბრწყინდება. პატარა რახელი გასაღების ჭუჭრუტანასთან ჩაცუცქულიყო, მუხლებზე, ყელსა და მხრებზე შავი კაბა გადასჭიმვოდა. გვერდზე სოლიმანი მისცუცქებოდა და ლივრეაში გამოწყობილი მუქ მწვანე თასში ჩასხმულ ცხელ შოკოლადს ჰგავდა. წონასწორობას რომ კარგავდა, რახელს მხრებზე, მუხლებსა და კაბაზე ებღაუჭებოდა, ხითხითებდა, რახელი კი პატარა, რბილ თითებს ბალიშივით დაბერილ ტუჩებზე ადებდა.

სხვათა შორის, რახელისგან განსხვავებით, მას კრება არ აინტერესებდა და, როგორც ახერხებდა, სტუმრების მომსახურებას რახელთან ერთად თავს ისე არიდებდა. თუ არნჰაიმი მათთან სტუმრად მიდიოდა, ერჩივნა, თან გაჰყოლოდა. ცხადია, ამ დროს სამზარეულოში ჯდომა და

ლოდინი უწევდა, სანამ რახელი მოიცლიდა. მზარეული გოგო ბრაზდებოდა, რადგან სოლიმანი მასთან პირველი დღის საუბრის შემდეგ დამუნჯებულიყო და ხმას აღარ სცემდა. რახელს კი სამზარეულოში დიდხანს დასაჯდომად არასდროს ეცალა და როცა გადიოდა, მზარეული, ოცდაათი წელი კარგა ხნის წინ რომ გადაეგორებინა, სოლიმანს დედობრივი მზრუნველობით ექცეოდა. სოლიმანი შოკოლადისფერ სახეზე დამცინავი გამომეტყველებით დიდხანს ითმენდა, შემდეგ, როგორც წესი, დგებოდა და ისე იქცეოდა, თითქოს რაღაცას ეძებდა, თან დაფიქრებული თვალებს ჭერში აღაპყრობდა ხოლმე. ამის შემდეგ კარისკენ ზურგშექცევით დგებოდა და ოთახში უკან-უკან იწყებდა სიარულს, ვითომ ჭერს ასე უკეთ ხედავდა. მზარეული გოგო, როგორც კი სოლიმანი წამოდგებოდა და თვალებს გადმოკარკლავდა, ამ უგერგილო წარმოდგენის აზრს მაშინვე ხვდებოდა, მაგრამ წყენისა და ეჭვიანობის გამო ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ხდებოდა. სოლიმანი თვალთმაქცობით თავს დიდად აღარ იწუხებდა და თეთრად შეღებილი სამზარეულოს ზღურბლთან უდარდელი სახით დგებოდა. მზარეული გოგო კი მისგან განგებ აღარ იხედებოდა. სოლიმანი ჩამუქებულ წყალში არეკლილი მუქი ჩრდილივით გასხლტებოდა ჩაბნელებულ შემოსასვლელში და რახელის საძებნელად უცხო ბინაში დაძრწოდა.

განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი სახლში არასდროს იყო, არნჰაიმისა და დიოთიმასი კი სოლიმანს ისედაც არ ეშინოდა, რადგან იცოდა, რომ ერთმანეთის გარდა მაინც ვერავის ხედავდნენ. რამდენჯერმე რაღაცაც კი გადააყირავა, ისე, გამოსაცდელად, მაგრამ მათ ვერაფერი შეამჩნიეს. სოლიმანი ამ ოთახების ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს ისე, როგორც ირემი – ტყეში. სისხლი თავში დატოტვილ რქასავით თუ ხანჯლის ბასრი პირივით აწვებოდა. რქის წვეტებით ჭერსა და კედლებს ეხახუნებოდა. იმ ოთახებში, რომლებსაც არ იყენებდნენ, ფარდები იყო ჩამოშვებული, მზეს ავეჯი რომ არ გაეხუნებინა, და სოლიმანიც ხელის ცეცებით მიიკვლევდა გზას, როგორც უღრან ტყეში, თან, გახარებული, სხეულით უცნაურ მოძრაობებს ასრულებდა. ქალების ცნობისმოყვარეობით განებივრებულ ამ ბიჭს სინამდვილეში მათთან ურთიერთობა არასდროს ჰქონია და მხოლოდ ევროპელი ბიჭების გარყვნილებისთვის გაესინჯა გემო, ამიტომ გამოცდილებას მისი ჟინი ჯერაც ვერ შეერბილებინა და

მოეთოკა, მისმა აალებულმა სურვილებმა აღარ იცოდა, რით დაეცხრო ვნება: სატრფოს სისხლით, კოცნით თუ საკუთარი სხეულის თითოეული ძარღვის გახევებით. სადაც უნდა დამალულიყო რახელი, ისიც უმალ იქ ჩნდებოდა, გზას მოუჭრიდა ხოლმე და თავისი ეშმაკობით კმაყოფილს ეღიმებოდა. მისთვის არც სახლის პატრონის კაბინეტი იყო წმინდა ადგილი და არც დიოთიმას საძინებელი. ხან ფარდებს უკან იმალებოდა, ხან საწერი მაგიდისა და კარადის უკან და ხან საწოლის ქვეშ. ოთახის სიბნელე ხან სად და ხან სად მის შავ სახედ შედედდებოდა და კბილებს თეთრად აელვებდა. მისი თავხედობა რახელს გულს უხეთქავდა. მაგრამ როგორც კი სოლიმანი რეალურ რახელს წააწყდებოდა, ბოლოს მაინც წესიერება იმარჯვებდა. ეს გოგო ხომ მასზე უფროსი იყო და თანაც სამრეცხაოდან ახლად მოტანილი მამაკაცის თხელი პერანგივით ისეთი მშვენიერი, რომ გაგიჭირდებოდა მისი შებღალვა, თუნდაც ამის სურვილი გაგჩენოდა. საერთოდაც, რახელი იმდენად რეალური იყო, რომ მისი თანდასწრებით ყველანაირი ფანტაზია ფერმკრთალდებოდა. რახელი სოლიმანს უმსგავს საქციელს უწუნებდა, დიოთიმას და არნჰაიმს აქებდა და პარალელურ აქციაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ახარებდა. სოლიმანს კი მისთვის ყოველთვის მოჰქონდა რამე პატარა საჩუქარი: ხან ერთი ყვავილი, რომელსაც იმ თაიგულიდან იპარავდა, მისი ბატონი დიოთიმას რომ უგზავნიდა, ხან სახლიდან მოპარული სიგარეტი და ხან ერთი მუჭა, ასევე მაგიდასთან ჩავლისას თასიდან მოპარული, კანფეტი. საჩუქარს ხელში უდებდა, თითებზე ხელს უჭერდა და შემდეგ მისი ხელი გულთან მიჰქონდა, რომელიც მის შავ სხეულში ღამის წყვდიადში აალებული ჩირაღდანივით იწვოდა.

ერთხელ სოლიმანმა რახელის პატარა ოთახშიც კი შეაღწია. წინა დღით არნჰაიმის სტუმრობის დროს რახელი შემოსასვლელში ისე ხმაურობდა, რომ დიოთიმას ხელი შეუშალა, ამიტომ დიოთიმამ უბრძანა, საკერავით ოთახში განმარტოებულიყო და იქიდან ფეხი არ მოეცვალა. შინაპატიმრობამდე რახელი სოლიმანის მოძებნას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. გულდამძიმებული ოთახში შევიდა და დაინახა, რომ სოლიმანი მის საწოლზე იჯდა და სახეგაბრწყინებული შეჰყურებდა. რახელმა კარის მიკეტვა ვერ გაბედა. სოლიმანი წამოხტა და კარი მიკეტა, შემდეგ ჯიბეები მოიქექა, რაღაც ამოიღო, სულის

შებერვით მტვერი მოაცილა და გოგოს გავარვარებულ უთოსავით მიუახლოვდა.

– მომე ხელი! – უბრძანა რახელს.

რახელმა ხელი გაუწოდა. სოლიმანს რამდენიმე ფერადი ღილი ეჭირა და შეეცადა, რახელის კაბის მანჟეტზე მიებნია. რახელს მოეჩვენა, რომ ღილები მინის იყო.

– ძვირფასი ქვებია! – განუცხადა სოლიმანმა ამაყად.

გოგომ ამ სიტყვებზე რაღაც იეჭვა და ხელი სასწრაფოდ უკან წაიღო. რამე კონკრეტული არ უფიქრია. ვინ იცის, თუნდაც მოტაცებულ აფრიკელ თავადს იქნებ ძვირფასი ქვები პერანგში ჰქონდა ჩაკერებული, მაგრამ უნებლიეთ მაინც ისე შეეშინდა, თითქოს სოლიმანს შხამი მიეწოდებინოს. უცბად ნაჩუქარი ყვავილებიც და კანფეტებიც საეჭვოდ მოეჩვენა, ხელები ტანზე მიიკრა და სოლიმანს დაბნეულმა შეხედა. გრძნობდა, რომ რაღაც სერიოზული უნდა ეთქვა. ის მასზე უფროსი იყო და კეთილ ბატონებთან მსახურობდა. ამწუთს კი თავში მხოლოდ შეგონებები მოსდიოდა: „კეთილსინდისიერება ყველაფერზე მტკიცეა“ ან „იყავი მართალი და ერთგული“. რახელმა ფერი დაკარგა. ეს შეგონებები მეტისმეტად უბრალოდ მოეჩვენა. ცხოვრებისეულ სიბრძნეს ჯერ კიდევ მშობლიურ ოჯახში დაეუფლა. ეს სიბრძნე მკაცრი იყო და თან საოჯახო ჭურჭელივით სადა და ლამაზი, ამ შეგონებებიდან ხეირს ვერ ნახავდი, რადგან ერთადერთი წინადადების შემდეგ წერტილს დასვამდი და სულ ეს იყო. ამ ბავშვური სიბრძნის ისე შერცხვა, როგორც გაცვეთილი ნივთის. არ იცოდა, რომ ძველი სკივრით, ღარიბებს სხვენზე რომ უდგათ, ასი წლის შემდეგ მდიდრები სასტუმრო ოთახს ილამაზებენ და მასაც ამ სკივრზე მეტად, წესიერი ღარიბი ადამიანების მსგავსად, მოწნული სკამი მოსწონდა. ამიტომ გონებაში ახალი ცხოვრებიდან მიღებულ გაკვეთილებს დაუწყო ძებნა. დიოთიმას მოცემული წიგნებიდან სასიყვარულო და შიშის მომგვრელი სცენები ახსენდებოდა, მაგრამ არც ერთი არ იყო ისეთი, ახლა რომ გამოსდგომოდა. ამ მშვენიერ სიტყვებს და გრძნობებს თავისი საკუთარი სიტუაციები გააჩნდა და მისას ისევე ვერ მოერგებოდა, როგორც გასაღები უცხო საკლიტურს. იგივე ითქმოდა დიოთიმასგან გაგებულ აფორიზმებსა და დარიგებებზეც. რახელს თითქოს ცეცხლი მოსდებოდა და ტირილს ბევრი აღარ უკლდა. ბოლოს მკვახედ უთხრა: – მე არ

ვქურდავ ჩემს ბატონებს!

– რატომ? – გააელვა კბილები სოლიმანმა.

– ამას არ ვიზამ!

– არ მომიპარავს, ჩემია! – წამოიყვირა სოლიმანმა.

„კეთილი ბატონები ჩვენზე, ღარიბებზე, ზრუნავენ“, – ფიქრობდა რახელი. გრძნობდა, როგორ უყვარდა დიოთიმა, ღრმა პატივისცემით იყო განწყობილი არნჰაიმისადმი, სულის სიღრმემდე სძულდა წამქეზებლები და შფოთისთავები, რომლებსაც კეთილი პოლიციელები მავნე ელემენტებად მოიხსენიებდნენ. მუხრუჭებმოშლილ, ხილითა და თივით დაზვინულ საზიდარს დაემსგავსა, ათასნაირი გრძნობა წამოეშალა და სიტყვებს ვერ პოულობდა.

– ჩემია. აიღე! – გაუმეორა სოლიმანმა და ისევ წაეტანა რახელის ხელს. რახელმა ხელი გამოსტაცა, სოლიმანი მის დაჭერას შეეცადა და ის-ის იყო, ხელის გაშვება დაუპირა, რადგან რახელისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ძალა არ ეყო, რომ გააფთრებული ნადირივით გოგოს მკლავში სწვდა და უკბინა.

რახელმა წამოიყვირა და სოლიმანს სახეში გაარტყა. სოლიმანს თვალებზე ცრემლი მოადგა, მუხლებზე დაემხო, რახელის კაბის კალთა ტუჩებზე მიიდო და ისეთი ტირილი მორთო, რომ ცრემლებმა გოგოს კაბაში გაატანა და თეძოები დაუსველა.

რახელი ღონემიხდილი იდგა დაჩოქილი ბიჭის წინ, რომელიც მის კაბას ებღაუჭებოდა და ტანზე ეკვროდა. გოგოს ასეთი რამ ჯერ არ განეცადა და თითებს ბიჭის ქოჩორა თავზე თმის რბილ მავთულებში მშვიდად დააცურებდა.

80. ნაცნობობა გენერალ შტუმთან, რომელიც კრებაზე მოულოდნელად გამოჩნდა

ამასობაში კრებას ერთი მნიშვნელოვანი ადამიანი შეემატა. მონაწილეთა სიას დიოთიმა საგულდაგულოდ ადგენდა, მაგრამ ერთ საღამოს გენერალი გამოჩნდა და დიოთიმას მადლობა მოახსენა იმ პატივისთვის, რასაც კრებაზე მიწვევა გულისხმობდა. ჯარისკაცის როლი ერთობ მოკრძალებულია, მაგრამ თუნდაც მსმენლის სტატუსით ამგვარ თავყრილობაზე დასწრება ახალგაზრდობისდროინდელი სანუკვარი ოცნებააო,

– განუცხადა დიოთიმას, დიოთიმა კი აქეთ-იქით იხედებოდა და დამნაშავეს ეძებდა. არნჰაიმი და მისი ბრწყინვალება ერთმანეთს პოლიტიკური მოღვაწეებივით ესაუბრებოდნენ. ულრიხი ბუფეტთან იდგა და საშინლად მოწყენილი სახით, აშკარად, გამოფენილ ტორტებს ითვლიდა. თითქოს ერთ ფრონტად შეკრული ჩვეული სანახაობა იოტისოდენა ეჭვის საბაბსაც არ იძლეოდა. მეორე მხრივ, დიოთიმამ ისიც კარგად იცოდა, რომ გენერალს თვითონ არ მოიწვევდა და ისღა უნდა ევარაუდა, ან სომნამბულიზმი მჭირს, ან მეხსიერება მღალატობსო. შემაძრწუნებელი წუთი გახლდათ. მის წინ დაბალი გენერალი იდგა და, ალბათ, კესანესავით ცისფერი მუნდირის გულისჯიბეში მოსაწვევი ედო; სხვაგვარად ასეთი თავხედობა მისი მდგომარეობის ადამიანისგან ძნელად წარმოსადგენი იყო. ბიბლიოთეკაში დიოთიმას გრაციოზული საწერი მაგიდა ედგა, რომლის უჯრაშიც დაბეჭდილ მოსაწვევებს ინახავდა. ამ უჯრას კი მის გარდა სხვა ვერავინ მიეკარებოდა. „ტუცი?“ – გაუელვა უცებ თავში, თუმცა ნაკლებად სარწმუნოდ ეჩვენა. როგორ აღმოჩნდა მოსაწვევი გენერალთან, სპირიტულ გამოცანად რჩებოდა. პირად ცხოვრებაში ზებუნებრივი ძალების ყოველთვის სწამდა და ახლა ამის წარმოდგენაზე ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ასე რომ, რაღა დარჩენოდა, გენერალს უნდა მისალმებოდა.

სხვათა შორის, მოსაწვევის მიღებამ, ცოტა არ იყოს, გენერალიც გააკვირვა, რადგან დიოთიმასთან ორჯერ სტუმრობისას ერთხელაც არ შეუნიშნავს, რომ მომავალში მის მიწვევას აპირებდნენ. ისიც თვალში მოხვდა, რომ მისამართსა და წოდებაში შეცდომა იყო დაშვებული. ისეთი საზოგადოებრივი მდგომარეობის ქალისგან, როგორიც დიოთიმა იყო, ასეთი შეცდომის დაშვება წარმოუდგენლად მიაჩნდა. მისამართი და წოდება აშკარად უცხოს დაწერილს ჰგავდა. გენერალი მხიარული ადამიანი გახლდათ და უჩვეულო – ზებუნებრივზე რომ აღარაფერი ვთქვათ – მიზეზები თავში აზრადაც არ მოუვიდოდა. მომხდარი გაუგებრობას მიაწერა და ამას მისთვის წარმატებით ტკბობაში ხელი არ შეუშლია.

გენერალ-მაიორ შტუმ ფონ ბორდვერს, თავდაცვის სამინისტროში სამხედრო აღზრდისა და განათლების განყოფილების უფროსს, გულწრფელად ახარებდა ის მისია, რაც ბედმა არგუნა. ჯერ კიდევ მაშინ, პარალელური აქციის დამფუძნებელი კრების წინ, განყოფილების უფროსმა

გამოიძახა და უთხრა: – შტუმ, ხომ ხარ სწავლული, სარეკომენდაციო წერილს დაგიწერთ და წადი ერთი, ნახე, რას აპირებენ. მერე მოდი და მოგვიყევი.

როგორც უნდა ემართლებინა თავი შემდეგ, ის ფაქტი, რომ პარალელურ აქციაში ფეხი ვერ მოიკიდა, მის სამსახურებრივ ღვაწლს მაინც ლაქად დააჩნდა და დიოთიმასთან სტუმრობით ამაოდ ცდილობდა მის ჩამორეცხვას. ამიტომ მოწვევის მიღებისთანავე განყოფილებაში ქოშინით მიიჭრა, მოხდენილად, მაგრამ ცოტა არ იყოს, თავხედური დაუდევრობით ფეხი ფეხს მიარტყა და განაცხადა, მოსახდენი, რა თქმა უნდა, მოხდაო.

– ხომ ხედავ, – უთხრა გენერალ-ლეიტენანტმა ფროსტ ფონ აუფბრუხმა, – ასეც ვიცოდი. – შემდეგ შტუმს სკამი და სიგარეტი შესთავაზა, კართან ფერადი სიგნალი გადართო, რაც ნიშნავდა: „შესვლა აკრძალულია. ტარდება კონფერენცია“ და შტუმს თავისი მისია გააცნო, რაც საგულდაგულო დაკვირვებაში და შემდეგ სამინისტროსთვის მის მოხსენებაში მდგომარეობდა.

– ხომ გესმის, განსაკუთრებული არაფერი გვჭირდება, იქ რაც შეიძლება ხშირად უნდა იარო და დაანახვო, რომ ვარსებობთ. კომიტეტებში რომ არ ვართ, ჯერჯერობით არა უშავს; მაგრამ ამ საქმიდან ჩვენი ჩამოცილება მაშინ, როცა ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლისათვის, ასე ვთქვათ, სულიერი საჩუქარი მზადდება, არ მესმის და საამისო მიზეზსაც ვერ ვხედავ. მის აღმატებულებას ბატონ მინისტრს შენი კანდიდატურა შევთავაზე, ამაზე ვერავინ ვერაფერს იტყვის. აბა, შენ იცი, წარმატებას გისურვებ! – გენერალ-ლეიტენანტმა ფროსტ ფონ აუფბრუხმა თავი მეგობრულად დაუკრა, გენერალმა შტუმმა კი, რომელსაც დაავიწყდა, რომ ჯარისკაცს ემოციური მღელვარება არ უნდა დაეტყოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი სულით და გულით ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და უპასუხა: – მიგულეთ თქვენს სამსახურში, თქვენო აღმატებულებავ!

თუკი არსებობენ მეომარი სამოქალაქო პირები, რატომ არ უნდა არსებობდნენ ხელოვნებით გატაცებული ოფიცრები? კაკანიაში ასეთი უამრავი იყო. ისინი ხატავდნენ, აგროვებდნენ ხოჭოებს, ადგენდნენ საფოსტო მარკების ალბომებს ან მსოფლიო ისტორიას სწავლობდნენ. ნამცეცა გარნიზონები და ის

გარემოება, რომ ოფიცერს ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე საზოგადოებრიობისთვის საკუთარი სულიერი მიღწევების გაცნობა ეკრძალებოდა, მათ მცდელობას განსაკუთრებულ პიროვნულ ხასიათს ანიჭებდა. ამგვარი გატაცებები წარსულში არც გენერალ შტუმისთვის იყო უცხო. თავიდან ის კავალერიაში მსახურობდა, მაგრამ ცუდი მხედარი გამოდგა, რადგან კოტიტა ხელ-ფეხი ისეთი სულელი ცხოველის მოსათოკად, როგორიც ცხენია, არ ვარგოდა; არც საკმარისად მბრძანებლური ხასიათი ჰქონდა და ამიტომ მისი უფროსი ამბობდა, ყაზარმის ეზოში ესკადრონი კედელთან გავით კი არა, როგორც მიღებულია, თავით რომ დავაყენოთ, შტუმი ჭიშკრიდან მათ გამოყვანას ვერც შეძლებსო. ჯავრის ამოსაყრელად ტანდაბალმა შტუმმა მოშავო-მოყავისფრო მრგვლად შეკრეჭილი ხშირი წვერი მოუშვა. საიმპერატორო კავალერიაში შტუმი ერთადერთი ოფიცერი იყო, ვინც ხშირ წვერს ატარებდა, თუმცა აკრძალული არც ყოფილა. შტუმმა მეცნიერული მოსაზრებებით ჯიბის დანების შეგროვება დაიწყო. იარაღის კოლექციისთვის ფული არ ჰყოფნიდა, მაგრამ სულ მალე მოყვანილობის, წარმოშობის, ფოლადის, ტარის მასალისა და კონსტრუქციის მიხედვით – კორპსაძრობით და ფრჩხილების ქლიბით ან მის გარეშე – კლასიფიცირებული დანების ისეთი რაოდენობა შეაგროვა, რომ ოთახი ფართოუჯრებიანი მაღალი კომოდებით და მათზე მიმაგრებული წარწერიანი ფურცლებით გამოჭედა. თავისმა გატაცებამ შტუმს გარნიზონში მეცნიერის რეპუტაცია შეუქმნა. ლექსების წერაც შეეძლო. სამხედრო სასწავლებელში საღმრთო რჯულსა და თხზულებებში „ფრიადს“ იღებდა. და აი, ერთ დღეს ის პოლკოვნიკმა კანცელარიაში გამოიძახა.

– შტუმ, წესიერი კავალერისტი თქვენგან ვერასდროს დადგება. ახალშობილი რომ შემოსვა ცხენზე და ფრონტზე გაუშვა, ალბათ, თქვენსავით მოიქცევა. დიდი ხანია, პოლკიდან აკადემიაში არავინ გაგვიგზავნია და იქნებ განცხადება შეგეტანათ!

ასე ერგო შტუმს დედაქალაქის გენერალური შტაბის აკადემიაში ორი უმშვენიერესი წელი. ინტელექტუალური თვალსაზრისით შტუმმა ვერც იქ გამოიჩინა ის სიზუსტე, რაც ცხენოსნობაშიც ასე აკლდა. სამაგიეროდ არ აცდენდა არც ერთ სამხედრო კონცერტს, დადიოდა მუზეუმებში, აგროვებდა თეატრალურ პროგრამებს. უკვე იმასაც ფიქრობდა, რომ სამხედრო ცხოვრებისთვის დაენებებინა თავი, მაგრამ არ

იცოდა, როგორ. სწავლების შედეგი კი ის იყო, რომ გენერალურ შტაბში სამუშაოდ არც უვარგისად ცნეს და არც ვარგისად. თვლიდნენ, რომ მოუქნელი იყო და პატივმოყვარეობაც აკლდა, მაგრამ ფილოსოფოსის რეპუტაციით სარგებლობდა. მომდევნო ორ წელს გამოსაცდელად ქვეითი ჯარის გენერალურ შტაბში მიავლინეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, როგორც როტმისტრი, იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, გენერალური შტაბის რეზერვში რომ ირიცხებიან და ექსტრაორდინალური მოვლენები რომ არა, მუდმივად არმიაში რჩებიან. როტმისტრი შტუმი ახლა უკვე სხვა პოლკში მსახურობდა და სამხედრო განათლების მქონე ოფიცრად ითვლებოდა, მაგრამ სულ მალე ახალი ხელმძღვანელობაც მიხვდა ახალშობილთან მისი შედარების მიზეზს და შტუმის პრაქტიკული უნარიც სათანადოდ შეაფასა. ობერლეიტენანტის წოდებამდე მან წამებულის გზა გაიარა, უკვე მაიორობის დროს ოცნებობდა ხანგრძლივ შვებულებაზე და იმ მომენტს ელოდა, როცა პენსიაზე საპატიო პოლკოვნიკის სახელით, ანუ პოლკოვნიკის მუნდირით და წოდებით და არა პოლკოვნიკის პენსიით, გავიდოდა. დაწინაურებაზე აღარც ფიქრობდა, რადგან წინ გაჭიანურებულ დროსავით მიიზლაზნებოდა. ისიც მობეზრდა, დილაობით მზის ამოსვლასთან ერთად გალანძღული რომ ბრუნდებოდა საწვრთნელი პოლიგონიდან და მხედრის მტვრიანი ჩექმებით კაზინოში შედიოდა ისედაც ცარიელი დღეების ღვინის ცარიელი ბოთლებით გასამრავლებლად. ჯარისკაცული უშუალობაც მობეზრდა, პოლკის ანეკდოტებიც და პოლკის დიანებიც, მთელ ცხოვრებას ქმრების გვერდით რომ ატარებენ და მათი ჩინების გრადაციას სასწორზე დადებული ვერცხლის სიზუსტით, ულმობელი სინაზით და კარგად ჟღერადი გამით იმეორებენ. ის ღამეებიც მობეზრდა, როცა მტვერი, ღვინო, მოწყენილობა, ფლოქვებით გათელილი ტრიალი მინდვრები ცოლიანსაც და უცოლოსაც ფარდებჩამოფარებულ თავყრილობებზე მიაქროლებს, სადაც გოგოებს თავდაყირა აყენებენ და შამპანურს პირდაპირ კაბებში ასხამენ. მობეზრდა პატარა, ფერდმოქცეული დუქანივით მიყრუებული გალიციის წყეული გარნიზონები, სადაც პროცენტიანი ვალით ყველაფრის ყიდვა შეიძლება – სიყვარულისაც და უნაგირის საპოხისაც, სადაც გოგოები მოჰყავთ, რიდით, შიშით და ცნობისმოყვარეობით გული რომ უთრთით. ერთადერთ ნუგეშად დანებისა და კორპსაძრობების შეგროვებაღა რჩებოდა. ისინიც მისთვის სახლში ერთ ებრაელს მოჰქონდა და სანამ დარტყმულ

პოლკოვნიკს მათ მაგიდაზე დაუწყობდა, სახელოთი ისეთი მოწიწებით წმენდდა, თითქოს პრეისტორიული ხანის სამარხის რელიკვიები ყოფილიყო.

მოულოდნელი გარდატეხა მის ცხოვრებაში მაშინ დაიწყო, როცა მისმა ერთ-ერთმა თანაკურსელმა შტუმი გაიხსენა და თავდაცვის სამინისტროში მივლინება შესთავაზა, სადაც განყოფილების ხელმძღვანელის ისეთ თანაშემწეს ეძებდნენ, რომელსაც სამოქალაქო ცხოვრების დიდი გამოცდილება ექნებოდა. ორი წლის შემდეგ შტუმს, რომელსაც ამასობაში პოლკოვნიკობისთვის მიეღწია, განყოფილებაც ჩააბარეს. კავალერიის წმინდა ცხოველიდან სავარძელში აღმოჩნდა და სულ სხვა ადამიანად იქცა. შტუმი გენერალი გახდა, თავდაჯერებულობა შეემატა და გენერალ-ლეიტენანტობასაც მშვიდად ელოდა. წვერი, ცხადია, კარგა ხნის წინ მოიპარსა და წლებთან ერთად შუბლიც უფრო მაღალი გამოუჩნდა; სიმსუქნისკენ მიდრეკილება კი მრავალმხრივ განათლებული ადამიანის იერს სძენდა. ბედნიერიც იყო, ბედნიერება კი, მოგეხსენებათ, შრომის ნაყოფიერებას აოთხმაგებს. ახლა უკვე მაღალ წრეში ტრიალებდა, ეს კი ყველაფერში თავის კვალს ტოვებს. რომელიმე უცნაურად ჩაცმული ქალის კაბაში, იმდროინდელი ვენის არქიტექტურული სტილის თამამ უგემოვნობაში, ბოსტნეულის ბაზრის უსაზღვრო ფერადოვნებაში, მიაზმებით, სუნითა და კეთილსურნელებით გაჟღენთილი ქუჩის მონაცრისფრო-მოყავისფრო ასფალტის ბუღისგან რამდენიმე წუთით გამოცალკევებულ ხმაურში, სამოქალაქო პირთა უსასრულო მრავალფეროვნებაში, რესტორნების ერთი შეხედვით ერთნაირ, მაგრამ მაინც გასაოცრად ინდივიდუალურ თეთრ მაგიდებში ბედნიერება ჩაბუდებულიყო და შტუმის თავში დეზებივით წკრიალებდა. ეს ის ბედნიერება იყო, სამოქალაქო პირები მატარებლით ქალაქგარეთ მგზავრობისას რომ განიცდიან, როცა არ იცი, როგორ, მაგრამ ხვდები, რომ იმ დღეს სიმწვანეში, რომელიმე თაღის ქვეშ, ბედნიერად გაატარებ. ეს გრძნობა საკუთარი თავის, თავდაცვის სამინისტროს, განათლების და სხვა დანარჩენთა მნიშვნელობასაც მოიცავდა და იმდენად ძლიერი იყო, რომ შტუმს თეატრში ან მუზეუმში წასვლა ერთხელაც არ გახსენებია. ეს გრძნობა სწორედ ის არის, ადამიანი იშვიათად რომ აცნობიერებს, მაგრამ გენერლის მუნდირის შემონაკერიდან სამრეკლოს ზარების რეკვამდე ყველაფერს

რომ განმსჭვალავს; ეს ის მუსიკაა, ურომლისოდაც ცხოვრება როკვას მყისიერად შეწყვეტდა.

„ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია ყველაფერს, ჩემსას ხომ მივაღწიე“, – ასე ფიქრობდა თავის თავზე შტუმი და ბედნიერი იდგა შუა ოთახში, რადგან ამ ცნობილ თავყრილობაზე მოხვედრილიყო. სულიერებით გაჟღენთილ ატმოსფეროში ის ერთადერთი გახლდათ, ვისაც ფორმა ეცვა. შტუმს კიდევ ერთი რამ აოცებდა. წარმოიდგინეთ შტუმის მუნდირივით კესანესფრად შეფერილი დედამიწა, ბედნიერებით, მნიშვნელოვნებითა და შინაგანად გასხივოსნებული ტვინის იდუმალებით მოცული ფოსფორით დამუხტული, დედამიწის წიაღში – შტუმის გული, ამ გულში კი მარიამივით – გველის თავს რომ სრესს – ქალღმერთი, რომლის ღიმილიც ყოველ საგანშია ჩაწნული და მათი იდუმალი სიმძიმეა – დაახლოებით ასეთ შთაბეჭდილებას ახდენდა დიოთიმა შტუმ ფონ ბორდვერზე ნაცნობობის პირველივე წუთებიდან, როცა მისმა ზანტმა მზერამ დიოთიმას ხატება აღიქვა. გენერალ შტუმს ქალებიც ცხენებივით უყვარდა. ჩამრგვალებული, მოკლე ფეხებით ცხენზე თავს უხერხულად გრძნობდა და თუ თავისუფალ დროსაც უწევდა ხოლმე მათზე ლაპარაკი, ღამღამობით ესიზმრებოდა, ვითომ ჭენებისგან დუნდულები გადახეხვოდა და ჩამოხტომას ვეღარ ახერხებდა. სიმყუდროვის დარღვევის ფასად არაფერი უღირდა და ქალებსაც დიდად არ სწყალობდა. სამსახური საკმარისად ქანცავდა და ამიტომ ღამღამობით სარქველების მოსახსნელად ძალას არ ხარჯავდა. ბაიყუში არც წინათ ყოფილა, მაგრამ თუ საღამოს დანებთან კი არა, მეგობრებთან ატარებდა, როგორც წესი, ბრძნულ გამოსავალს აგნებდა; ფიზიკური ჰარმონიის გრძნობამ მალევე ასწავლა, რომ მშფოთვარე სტადია შეიძლება ძილის სტადიით სწრაფად განვლო, რაც ხიფათსა და სასიყვარულო იმედგაცრუებას ნამდვილად ბევრად ერჩივნა. საკუთარი ადრეული ცხოვრების სიბრძნე, სანამ ქორწინების ცდუნებას აჰყვებოდა, სრულად მაშინღა გააცნობიერა, როცა მოგვიანებით ცოლი შეირთო და მალევე ორი ბავშვისა და მათი პატივმოყვარე დედის რჩენა დაეკისრა. ცოლიანი მეომრის იდეა სამოქალაქო წარმოდგენების კუთვნილებაა და შტუმიც მის მსხვერპლად იქცა. ამ დროიდან მასში ენერგიულად ღვივდებოდა გაუთხოვარი ქალის იდეალი, რასაც აშკარად არაცნობიერად მანამდეც ატარებდა. ეს იდეალი ქალებით მსუბუქ გატაცებაში

მდგომარეობდა, რაც მას ზედმეტი მცდელობებისგან ათავისუფლებდა. წინათ, დაცოლშვილებამდე, ილუსტრირებული ჟურნალებიდან ამოჭრილ ქალების პორტრეტებს – რაც დანებით მისი კოლექციონერობის გვერდით განშტოებად უნდა მივიჩნიოთ – ეს თვისება აერთიანებდა, მაგრამ მაშინ ეს არ ესმოდა და ძლიერ გატაცებაში მხოლოდ დიოთიმასთან შეხვედრის წყალობით გადაეზარდა. მასთან ნაცნობობამდე ყური ჰქონდა მოკრული, ის მეორე დიოთიმა არისო და იმის გასაგებად, რას ნიშნავდა საერთოდ „დიოთიმა“, ენციკლოპედიური ლექსიკონის გადაშლა მოუწია. მისი მნიშვნელობის გაგებაში ვერც ენციკლოპედია დაეხმარა და გადაწყვიტა, ეს, ალბათ, სამოქალაქო განათლების ფართო თვალსაწიერთან არის დაკავშირებულიო, რისაც მას, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი გაეგებოდა. ასე რომ, სამყაროს სულიერი უპირატესობა ამ ქალის გრაციოზულობას შეედნო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეს, როცა სქესთა შორის ურთიერთობები ასე გამარტივდა, მამაკაცი ამაზე უფრო ამაღლებულს ვეღარაფერს ეზიარება. გენერლის კოტიტა ხელები ვერც დიოთიმას დიდებულ სისავსეს შემოსწვდებოდა, ვერც სამყაროს კულტურას გასწვდებოდა და მან ეს იცოდა. ამქვეყნად ყველაფერი სიყვარულით იჟღინთებოდა. გენერლის ჩამრგვალებული სხეული კი, დედამიწის სიმრგვალეს რომ დამსგავსებოდა, რაღაცით ივსებოდა და სწორედ ეს გატაცება გახლდათ, რომელმაც შტუმ ფონ ბორდვერი, როგორც კი დიოთიმამ ის მიატოვა, მალევე მასთან დააბრუნა. გენერალი ამ გასაოცარი ქალის გვერდით იდგა და მის საუბარს ისმენდა. მის გამონათქვამებს სიამოვნებით ჩაიწერდა, რადგან საკუთარი ყურით რომ არ მოესმინა, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ასეთ სულიერ სიმდიდრეს მარგალიტის მძივივით შეიძლება ეთამაშო. დიოთიმამ მისკენ რამდენჯერმე მიიხედა და აგრძნობინა, რომ ეს საუბარი მისთვის არ იყო განკუთვნილი და მზერით გააგდო. შტუმმა რამდენჯერმე ხალხით სავსე ოთახები მარტომ შემოიარა, ღვინო დალია და ის-ის იყო კედელთან დეკორატიული პოზის მიღება დააპირა, რომ ულრიხი აღმოაჩინა, რომელიც პირველი სხდომიდან ახსოვდა. უცებ გონებაში მოუსვენარი, გონებამახვილი ლეიტენანტის სახე ამოუტივტივდა, იმ ორი ესკადრონიდან ერთ-ერთში რომ მსახურობდა, რომელსაც გენერალი შტუმი პოდპოლკოვნიკობისას ასე ლმობიერად მეთაურობდა. „ერთი

ჯურის ხალხი ვართ, ამან კი ახალგაზრდობაშივე რამხელა სიმაღლეს მიაღწია!“ – გაიფიქრა შტუმმა. გენერალი მისკენ გაემართა და მომხდარ ცვლილებებზე ძველი ნაცნობებივით ისაუბრეს. შემდეგ კი შტუმმა ხალხზე მიუთითა და უთხრა: – სამოქალაქო პრობლემების გასაცნობად ჩემთვის ეს შესანიშნავი საშუალებაა!

– გენერალო, სიურპრიზი ბევრი გელოდება, – უპასუხა ულრიხმა. გენერალმა, რომელიც მოკავშირეს ეძებდა, ულრიხს ხელი მხურვალედ ჩამოართვა.

– შენ ულანის მეცხრე პოლკში ლეიტენანტად მსახურობდი, – უთხრა მას დიდმნიშვნელოვნად. – ოდესმე ჩვენთვის ეს დიდი პატივი იქნება, თუმცა დღეს ეს ჩემსავით არავის ესმის.

81. გრაფი ლაინსდორფი რეალური პოლიტიკის შესახებ აზრს გამოთქვამს.ულრიხი გაერთიანებებს აარსებს

იმ დროს, როცა კრებას იოტისოდენა წინსვლაც არ ეტყობოდა, გრაფი ლაინსდორფის სასახლეში პარალელური აქცია დიდ წარმატებებს აღწევდა. რეალობის ძაფები სწორედ გრაფის სასახლეში იყრიდა თავს და ულრიხიც კვირაში ორჯერ იქ დადიოდა.

მას არაფერი ისე არ აოცებდა, როგორც გაერთიანებების სიმრავლე. ცხადდებოდნენ მიწასთან და წყალთან დაკავშირებული გაერთიანებები, მსმელებისა და არამსმელების კავშირები, ერთი სიტყვით, გაერთიანებები და ანტიგაერთიანებები. გაერთიანებები მხარს უჭერდნენ თავიანთ მომხრეებს და სხვა გაერთიანებების წევრებს უპირისპირდებოდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითოეული ადამიანი სულ მცირე ერთი გაერთიანების წევრი მაინც იყო.

– თქვენო ბრწყინვალებავ, – უთხრა მას გაოცებულმა ულრიხმა, – ამას მანიასაც ვეღარ უწოდებ. უცნაური ვითარება შეიქმნა, როცა ჩვენივე მოგონილი სახელმწიფოებრივი პრინციპით, თითოეული ადამიანი კიდევ რომელიმე ყაჩაღური ბანდის წევრიცაა.

გრაფი ლაინსდორფი გაერთიანებებს კარგი თვალით უყურებდა.

– გაითვალისწინეთ, რომ იდეოლოგიურ პოლიტიკას კარგი არასდროს არაფერი მოუტანია. ჩვენ რეალურ პოლიტიკას უნდა მივდიოთ. უნდა გითხრათ, რომ თქვენი ნათესავის გარემოცვის ზედმეტად ჭკვიანურ სწრაფვაში გარკვეულ საფრთხესაც კი ვხედავ!

– რამე დირექტივას ხომ არ მომცემდით, თქვენო ბრწყინვალებავ? – სთხოვა ულრიხმა.

გრაფმა ლაინსდორფმა შეხედა. დაფიქრდა, ზედმეტი გაბედულება ხომ არ იქნებოდა ამ გამოუცდელი ადამიანისთვის საკუთარი მიზნების გამხელა. შემდეგ კი გადაწყვეტილება მიიღო და უთხრა: – რაღაც ისეთი მინდა გითხრათ, – დაიწყო მან ფრთხილად, – რაც, შესაძლოა, არ იცოდეთ, რადგან თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ. რეალური პოლიტიკა ნიშნავს: აკეთო არა ის, რაც ასე გწადია; სამაგიეროდ ადამიანებს ჩვენს სასარგებლოდ განვაწყობთ, თუ პატარ-პატარა სურვილებს ავუსრულებთ!

ულრიხი გაოგნებული მიაშტერდა მას. გრაფი კი ნასიამოვნები იღიმებოდა.

– სწორედ ახლა მოგახსენეთ, რომ რეალურ პოლიტიკას პრაქტიკული მოთხოვნილებები უნდა მართავდეს და არა იდეები. თავისთავად ცხადია, კარგ იდეას ყველა სიამოვნებით განახორციელებდა, მაგრამ სწორედ ის არ უნდა გააკეთო, რაც ძალიან გინდა! ეს ჯერ კიდევ კანტმა თქვა.

– მართლა?! – წამოიძახა გაოცებულმა ულრიხმა. – მიზანი მაინც ხომ უნდა არსებობდეს?

– მიზანი? ბისმარკს პრუსიის მეფის დიდებულების ხილვა სურდა და მისი მიზანიც ეს იყო. თავიდან არც მან იცოდა, რომ ამისთვის ავსტრიასთან და საფრანგეთთან იომებდა და გერმანიის იმპერიის დაარსება მოუწევდა.

– თქვენო ბრწყინვალებავ, ამით იმის თქმა გსურთ, რომ ჩვენ მხოლოდ დიდი და ძლევამოსილი ავსტრია უნდა გვინდოდეს და სხვა არაფერი?

– წინ კიდევ ოთხი წელი გვაქვს. ამ ოთხ წელიწადში ნებისმიერი რამ შეიძლება მოხდეს. ხალხი, შესაძლოა, ფეხზე დავაყენოთ, მაგრამ სიარული თავად უნდა შეძლოს. ხომ

გესმით? ხალხის ფეხზე დაყენება ჩვენ უნდა შევძლოთ! ხალხის ფეხები კი მტკიცე ორგანიზაციები, პარტიები, გაერთიანებებია და არა ლაპარაკი!

– თქვენო ბრწყინვალებავ, ეს ჭეშმარიტად დემოკრატიული იდეაა, თუმცა ასე არ ჟღერს!

– დიახ, დიახ და შეიძლება არისტოკრატიულიც. ჩემი წრის ადამიანებიდან ბევრს ეს არ ესმის. მოხუცმა ჰენენშტაინმა და უფროსმა თურქჰაიმმა მიპასუხეს, საზიზღრობის მეტი ამისგან სხვა არაფერი გამოვაო. მოდი, ფრთხილად ვიმოქმედოთ. ძალიან ბევრს ნუ მოვინდომებთ. კეთილად განეწყვეთ მათდამი, ვინც ჩვენთან მოვა.

ამიტომ მომდევნო დღეებში ულრიხი მიღებაზე უარს არავის ეუბნებოდა. ერთი კაცი დიდხანს უყვებოდა მარკების კოლექციაზე. ჯერ ერთი, ეს ერებს აახლოებს, მეორეც – საკუთრებისა და წარმატების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, რაც უდავოდ საზოგადოების საფუძველიაო, და მესამეც – ეს საქმე მხოლოდ ცოდნას კი არა, შემოქმედებით გადაწყვეტილებებსაც მოითხოვსო. ულრიხმა კაცს შეხედა. მას სევდიანი სახე ჰქონდა და თან სიღარიბეც ეტყობოდა. კაცმა ულრიხის მზერაში ფარული კითხვა ამოიცნო და უპასუხა, მარკების შეგროვება მომგებიანი საქმეა და ამის არდანახვა არ შეიძლებაო. ფილატელისტების ბირჟაზე ვაჭრები და კოლექციონერები საიდან აღარ ჩამოდიან და კაცი შეიძლება გამდიდრდეს კიდეცო. მე კი იდეალისტი ვარ, ახლა განსაკუთრებულ კოლექციას ვადგენ და მხოლოდ ის მინდა, საიუბილეო წელს მარკების დიდი გამოფენა გავხსნათ, რათა ხალხს ამ სფეროს მნიშვნელობა დავანახვოთო.

შემდეგ კიდევ სხვა მოვიდა და აი, რას მოჰყვა: ქუჩაში რომ დავდივარ ან ტრამვაით ვმგზავრობ, რაც კიდევ უფრო ამაღელვებელია, მაღაზიის აბრებზე იმ ხაზებს ვითვლი, რისგანაც დიდი ლათინური ასოები შედგება (A, მაგალითად, სამი ხაზისგან შედგება, M – ოთხი ხაზისგან) და მერე ამ ხაზებს ასოების რაოდენობაზე ვყოფო. აქამდე საშუალო შედეგი უცვლელად ორ-ნახევარს შეადგენს, მაგრამ ეს ციფრი ყველა ქუჩაზე შეიძლება შეიცვალოსო. ამიტომ ამ მაჩვენებლიდან გადახვევა დიდ შეშფოთებას იწვევს, დამთხვევა კი დიდ სიხარულს და ეს გრძნობა განწმენდის იმ ეფექტს ჰგავს, რასაც ტრაგედიას მიაწერენო. თუ მარტო ასოებს დაითვლი,

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სამზე გაყოფადობა იშვიათი გამართლებაა და ამის გამო წარწერები უკმაყოფილო გრძნობას გიტოვებს, ამას აშკარად გრძნობ კიდეცო. გამონაკლისს მხოლოდ მრავალხაზიანი, ანუ ოთხხაზიანი, ასოები შეადგენს, მაგალითად WEM, და ისინი სიხარულით გავსებენო. რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ? – იკითხა მომსვლელმა. რა და ის, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ისეთი განკარგულება გამოსცეს, რაც ფირმებისთვის ოთხხაზიანი ასოებისგან შედგენილი დასახელებების დარქმევის საქმეს წაახალისებს და ყოველ მხრივ წინ აღუდგება ერთხაზიან ასოებს, როგორებიცაა: O, S, I, C, რადგან ისინი თავიანთი უნაყოფობით კაცს სევდას ჰგვრისო.

ულრიხმა კაცს შეხედა და თავიანთ შორის მანძილი თვალით გაზომა.

სულით ავადმყოფს არ ჰგავდა. ოცდაათი წლის იქნებოდა და სასიამოვნო და გონიერი ადამიანის სახეც ჰქონდა. ეტყობოდა, რომ „კარგი წრიდანაც“ იყო. კაცმა მშვიდად განაგრძო: ზეპირი ანგარიშის უნარი ყველა პროფესიისთვის მნიშვნელოვანია და სწავლებისთვის თამაშის ფორმის მიცემა თანამედროვე პედაგოგიკის მოთხოვნებია. სტატისტიკამ კავშირები მათ ახსნამდე ბევრად ადრე გამოააშკარავა; რაც შეეხება წიგნით მიღებულ განათლებას, მას დიდი ზიანი მოაქვს, რასაც მისით გამოწვეული მღელვარებაც ადასტურებს. ჯანმრთელობის სამინისტრომ ჩემი აღმოჩენა ყურად რომ იღოს, ჩვენს მაგალითს დანარჩენი სახელმწიფოებიც მიბაძავენ და საიუბილეო წელი მთელი კაცობრიობის ლოცვა-კურთხევად იქცევაო.

ყველა ამ მომსვლელს ულრიხი ერთ რჩევას აძლევდა: – დააარსეთ გაერთიანებები. ამისთვის ოთხი წელი გაქვთ წინ და თუ რამე გამოგივათ, მისი ბრწყინვალება თქვენს სასარგებლოდ თავის გავლენას არ დაიშურებს.

უმრავლესობას ასეთი გაერთიანებები უკვე დაარსებული ჰქონდა და ეს საქმის ვითარებას ცვლიდა. პრობლემა გაცილებით მარტივად იჭრებოდა, თუ რომელიმე საფეხბურთო კლუბი მარჯვენა თავდამსხმელისთვის პროფესორის ტიტულის მისანიჭებლად საშუამდგომლოდ მოდიოდა. მათი აზრით, ეს თანამედროვე ეპოქის ფიზკულტურის დიდმნიშვნელოვნებას წარმოაჩენდა. ასეთ დროს სამომავლოდ

მაინც აღუთქვამდი დახმარებას. საქმე ისეთ შემთხვევაში რთულდებოდა, როცა დაახლოებით ორმოცდაათი წლის, კანცელარიის მაღალი პირი უნდა მიეღო, რომელსაც წამებულივით გაბრწყინებული, ნათელი შუბლი ჰქონდა, თავს სტენოგრაფიული გაერთიანება „ოლის“ დამფუძნებლად და თავმჯდომარედ აცნობდა და ითხოვდა, ნება მომეცით, დიდი პატრიოტული აქციის სამდივნოს იმავე დასახელების – „ოლის“ – სტენოგრაფიული სისტემა გავაცნოო.

სტენოგრაფიული სისტემა „ოლი“, – განმარტავდა ის, – ავსტრიული გამოგონებაა, რასაც ისიც ამტკიცებს, რომ მან ვერც გავრცელება პოვა და ვერც მხარდაჭერა. ბატონო ჩემო, ნება მომეცით, გკითხოთ, სტენოგრაფიას თუ იცნობთ? როცა ულრიხმა კითხვას უარყოფითი პასუხი გასცა, ამ სისტემის სულიერი უპირატესობა ზუსტად განუმარტეს. ეს დროის ეკონომიაცაა და ინტელექტუალური ენერგიისაცო, – უხსნიდა ბატონი თავმჯდომარე. წარმოგიდგენიათ, რა რაოდენობის ინტელექტუალური ენერგია იხარჯება ამ ზიზილ-პიპილოებზე, მრავალსიტყვაობაზე, უზუსტობაზე, ერთმანეთის მსგავსი ელემენტების გონების ამრევ გამეორებებზე, დამწერლობის მართლაც რაღაცის გამომხატველი, დიდმნიშვნელოვანი კომპონენტების დეკორაციულ-ფუყე, უნებლიე, წმინდა პიროვნული დეტალებით დატვირთვაზე? ულრიხმა გაიცნო ადამიანი, რომელიც სრულიად უწყინარი, ჩვეულებრივი დამწერლობის თავშეუკავებელ სიძულვილს შეეპყრო. გონებრივი სამუშაოს ეკონომიის პოზიციიდან ეს სისტემა სწრაფად განვითარებადი კაცობრიობის სასიცოცხლო საკითხი იყო. „სიგრძე-სიმოკლეს“ მორალური თვალსაზრისითაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვირივით დიდყურა დამწერლობა – ამ სახელს ის სრულიად სამართლიანად იმსახურებს თავისი უაზრო ხუჭუჭების გამო – უზუსტობისკენ, თავნებობისკენ, მფლანგველობისა და დროის უთავბოლო ტარებისკენ გიბიძგებს, მაშინ როცა ეს სისტემა სიზუსტის, ძლიერი ნებისყოფისა და ვაჟკაცური სულის აღზრდას უწყობს ხელსო. ეს სისტემა გასწავლის, აკეთო ის, რაც აუცილებელია და უსარგებლოს და ფუჭს თავიდან გაცილებსო. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ამაში არის რაღაც პრაქტიკული, განსაკუთრებით ავსტრიელისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე მორალიო? ეს პრობლემა წმინდა ესთეტიკური პოზიციიდანაც შეიძლება განვიხილოთ, –

აგრძელებდა ბატონი თავმჯდომარე. – განა გაჭიანურებული უხვსიტყვაობა სამართლიანად არ არის უმსგავსოებად მიჩნეული? განა დიდმა კლასიკოსებმა მიზანშეწონილი გამონათქვამები მშვენიერების უარსებითეს კომპონენტებად არ აღიარეს? ამას ერის სისაღის პოზიციებიდანაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, – არ ცხრებოდა ბატონი თავმჯდომარე, – რადგან საწერ მაგიდასთან ზურგში მოხრილ ჯდომას თუ შევამცირებთ, ეს ძალზე სერიოზული საკითხიაო. სტუმარი მაშინღა შეუდგა სისტემა „ოლის“ უპირატესობის ახსნას დანარჩენ სისტემებთან შედარებით, რაც ეს პრობლემა, ულრიხის გასაკვირად, სხვა მეცნიერული პოზიციებიდანაც დაწვრილებით განიხილა; ცდილობდა, ულრიხისთვის დაენახვებინა, რომ სხვა დანარჩენი სტენოგრაფიული სისტემები, ყველა თვალსაზრისით, დამწერლობის ღალატს ნიშნავდა. ყოველივე ამის შემდეგ კი საკუთარი ტანჯვის ისტორიაც გაანდო. თურმე უფრო ძველი, ძლიერი სისტემებიც არსებობდა, რომლებსაც მატერიალურ ინტერესებთან დაკავშირება მოესწროთ. კომერციულ სასწავლებელში ფოგელბაუხის სისტემა ისწავლებოდა, რომელიც ყოველგვარ სიახლეს წინააღმდეგობას უწევდა და მას, ცხადია, ინერტულობის კანონის თანახმად, ვაჭრებიც შეერთებიან. გაზეთები კომერციული სასწავლებლების განცხადებებზე აუარება ფულს აკეთებენ და ნებისმიერი რეფორმატორული ხასიათის წინადადებაზე უარს ამბობენო. განათლების სამინისტრო? ეს ხომ დაცინვაა და მეტი არაფერიო! – განაცხადა ბატონმა ოლმა. ხუთი წლის წინ, როცა საშუალო სკოლებში სტენოგრაფია სავალდებულო საგნად შემოიღეს, რეკომენდებული სისტემების განსასაზღვრად კომისია შეიქმნა, ამ კომისიაში კი, ბუნებრივია, კომერციული სასწავლებლების წარმომადგენლები, ვაჭრები და პარლამენტის სტენოგრაფები მოხვდნენ, ისინი, ვინც გაზეთის კორესპონდენტებთან არიან დაკავშირებული და სხვა არავინო! გასაგებია, რომ ფოგელბაუხის სისტემას მიიღებენ. სტენოგრაფიულმა გაერთიანება „ოლმა“ ეროვნული საუნჯის ხელყოფა და მისი დანაშაულებრივი ფლანგვა გაპროტესტა! მაგრამ ჩვენ უკვე სამინისტროშიც აღარ გვიღებენო.

ულრიხი მის ბრწყინვალებას ასეთ შემთხვევებს მოახსენებდა ხოლმე.

– ოლი? – იკითხა გრაფმა ლაინსდორფმა. – და ეგ ჩინოვნიკია?

მისმა ბრწყინვალებამ ცხვირი მოისრისა, მაგრამ ვერაფერი გადაწყვიტა. – იქნებ ჰოფრატს ელაპარაკოთ, ვისაც ის უშუალოდ ექვემდებარება. რამეს ხომ არ გვატყუებს?.. – უპასუხა ცოტა ხნის შემდეგ, მაგრამ ვინაიდან შემოქმედებით ხასიათზე ბრძანდებოდა, ეს მითითება იქვე გააუქმა. – იცით რა, მოდი, აქტი შევადგინოთ. დაე, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები! – შემდეგ ნდობის ნიშნად რამდენიმე ფრაზაც დაუმატა, რათა ულრიხი მის აზრთა მდინარებას მიჰყოლოდა: – ასეთ დროს შეიძლება ვერც მიხვდე, სისულელეა თუ არა ეს ყველაფერი. მაგრამ იცოდეთ, ძვირფასო დოქტორო, მნიშვნელოვანი რაღაც იბადება მაშინ, როცა რაღაცას მნიშვნელობას თავად ანიჭებ! დოქტორ არნჰაიმის მაგალითი, რომელსაც გაზეთები კუდში დასდევენ, სწორედ ამაში მარწმუნებს. გაზეთებს ხომ შეეძლოთ, სხვა რამითაც დაკავებულიყვნენ, მაგრამ რადგან დოქტორ არნჰაიმს დასდევენ, ამიტომ დოქტორი არნჰაიმი მნიშვნელოვან პერსონად იქცა. როგორ თქვით, ოლს გაერთიანება აქვსო, არა? ცხადია, ესეც არაფერს ამტკიცებს, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც ამბობენ, თანამედროვედ უნდა იაზროვნო. როცა რამეს ბევრი უჭერს მხარს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამ საქმიდან რაღაც გამოვა!

82. კლარისა ულრიხის წელს ითხოვს

ულრიხმა გადაწყვიტა, კლარისას სტუმრებოდა და იმ წერილისთვის დაეტუქსა, რომელიც მან გრაფ ლაინსდორფს მისწერა. კლარისას ბოლო სტუმრობისას წერილი არც კი გახსენებია. ახლა კი გზაში ფიქრობდა, რომ ვალტერი, ალბათ, იეჭვიანებდა და ეს ვიზიტი ააღელვებდა, თუმცა ვერაფერს მოიმოქმედებდა. საერთოდ ეჭვიანი კაცების უმრავლესობა სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს, რადგან ცოლის თვალთვალს მხოლოდ სამსახურის შემდეგ თუ ახერხებენ.

დღის ამ მონაკვეთში, როცა ულრიხმა მათთან მისვლა გადაწყვიტა, ვალტერი სახლში, ალბათ, არ დახვდებოდა, რადგან ნაშუადღევს ჯერ ოდნავ გადასცილებოდა. კლარისას თავისი ვიზიტის შესახებ წინა დღეს ტელეფონით შეატყობინა. ოთახში თოვლის ჭახჭახა სითეთრე აღწევდა. ეტყობა, ფანჯრებზე ფარდები არ ეკიდა. კლარისა ოთახის შუაგულში თვალისმომჭრელ სინათლეში იდგა და მეგობარს უღიმოდა. ირგვლივ საგნებს ეს შუქი ეფინა. ფანჯრიდან ერთ მხარეს

კლარისას კაშკაშა შუქი ეცემოდა და ოდნავ გამოზნექილ ვიწრო წელის ხაზს გამოკვეთდა. მეორე მხრიდან კი ჩრდილი მოცისფრო-მოყავისფრო ნისლივით შემოხვეოდა და შუბლი, ცხვირი და ნიკაპი სახეზე ისე გამოჰკვეთოდა, როგორც მზისა და ქარისგან გადასწორებული ნამქერის ქიმი. კლარისა მყინვარებში ზამთრის მზიან ამინდს გაგახსენებდათ. ულრიხი მიხვდა, რომ ვალტერზე ზოგჯერ ის ჯადოსავით იმოქმედებდა და სიყრმის მეგობრისადმი გაორებული გრძნობები ცოტა ხნით იმ სანახაობის განჭვრეტის უნარმა შეცვალა, რასაც ეს ორი ადამიანი ერთმანეთს სთავაზობდა. მათ ცხოვრებას ალბათ, ულრიხი ცუდად იცნობდა.

– არ ვიცი, ვალტერს მოუყევი თუ არა იმ წერილის შესახებ, გრაფ ლაინსდორფს რომ გაუგზავნე, – დაიწყო ულრიხმა. – პირისპირ მინდა გელაპარაკო და გაგაფრთხილო, რომ მეორედ ასეთი რამ აღარ გააკეთო. აქ ამის სათქმელად მოვედი.

კლარისამ წინ ორი სკამი გამოსწია და ულრიხს უთხრა, დამჯდარიყო.

– ვალტერს ნურაფერს ეტყვი, – სთხოვა კლარისამ. – მითხარი ერთი, რატომ ხარ წინააღმდეგი. ნიცშეს წელს არ გულისხმობ? რა თქვა ამაზე შენმა გრაფმა?

– როგორ ფიქრობ, რა უნდა ეთქვა? მოორსბრუგერის ნიცშესთან დაკავშირება ნამდვილი სიგიჟე იყო. წერილს ისედაც გადააგდებდა.

– მართლა? – კლარისა იმედგაცრუებული ჩანდა. შემდეგ განაცხადა: – საბედნიეროდ, შენც ხომ გაქვს სიტყვის უფლება!

– უკვე გითხარი, ნამდვილი გიჟი ხარ.

კლარისას გაეღიმა და ნათქვამი ქებად მიიღო. შემდეგ მეგობარს ხელი მკლავზე დაადო და ჰკითხა: – ავსტრიული წელი, შენი აზრით, სისულელეა?

– რა თქმა უნდა.

– ნიცშეს წელი კი, შეიძლება, უკეთესი გამოსულიყო. რატომ არ უნდა გვინდოდეს რამე მხოლოდ იმიტომ, რომ ის სწორედ ჩვენი მოსაზრებით არის კარგი?

– მაინც როგორ წარმოგიდგენია ეს ნიცშეს წელი? – ჰკითხა

ულრიხმა.

– ეგ შენი საქმეა.

– სასაცილო ხარ.

– სულაც არა. ერთი მითხარი, რატომ გგონია, რომ სასაცილოა ის, რაც შენთვის ასეთი სერიოზულია?

– სიამოვნებით აგიხსნი, – უთხრა ულრიხმა და მკლავიდან მისი ხელი მოიშორა. – რატომ მაინცდამაინც ნიცშე? ხომ შეიძლება ქრისტე ან ბუდა ყოფილიყო!

– ან შენ. ადექი და ულრიხის წელი მოიფიქრე! – სწორედ ისეთი სიმშვიდით უპასუხა კლარისამ, როგორითაც მაშინ, როცა მოორსბრუგერის გათავისუფლება სთხოვა. ოღონდ ამჯერად დაბნეულობა არ ეტყობოდა და ულრიხს სახეში უყურებდა.

„ძალიან კარგი, – გაიფიქრა ულრიხმა, – საწყენის თქმას არ აპირებს“.

კლარისა ისევ მიუახლოვდა.

– რატომ არ გინდა შენი წელი? ეს ყველაფერი ახლა ხომ შენს ხელთაა. გთხოვ, კიდევ ერთხელ გიმეორებ, ვალტერს ნურაფერს ეტყვი, ნურც მოორსბრუგერზე წერილის შესახებ, საერთოდაც ნურაფერზე, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ! დამიჯერე, ეგ მკვლელი მუსიკალურია, ოღონდ მუსიკალურ ნაწარმოებებს ვერ წერს. არ დაკვირვებიხარ, რომ თითოეული ადამიანი ცის თაღის ცენტრში დგას? როცა ამ ადგილს ტოვებს, ცის თაღიც თან მიჰყვება. მუსიკა ასე უნდა წერო, სინდისი არ უნდა მონაწილეობდეს. უბრალოდ ისე, თითქოს მუსიკა შენს თავზე გადაჭიმული ცის თაღი იყოს.

– შენი აზრით, ჩემს წელთან დაკავშირებითაც რაღაც მსგავსი უნდა მოვიფიქრო?

– არა, – უპასუხა კლარისამ ყოველი შემთხვევისთვის. თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ დუმდა, თვალებიდან კი უხმოდ ცეცხლს აფრქვევდა. ძნელი მისახვედრი იყო, რას გამოხატავდა ასეთ დროს მისი თვალები. ზუსტად ისე უხურდა, როგორც გავარვარებული საგანი ხურს, როცა მიუახლოვდები. ღიმილი კი თვალებში განელებული მხურვალების შემდეგ თხელ ტუჩებზე ნაცარივით

შემორჩენოდა.

– უკიდურეს შემთხვევაში, რაღაც მსგავსის მოფიქრება შემიძლია, – გააგრძელა ულრიხმა. – ვშიშობ, ჩემგან სახელმწიფო გადატრიალებას ელი!

კლარისა დაფიქრდა.

– დავუშვათ, ბუდას წელი, – თქვა მან ისე, რომ მისი საყვედურისთვის ყურადღება არ მიუქცევია. – არ ვიცი, ბუდა რას ითხოვდა; ისე, ზოგადად ვიცი. უბრალოდ დავუშვათ, ისე, სავარაუდოდ. თუ ჩათვალეს, რომ მნიშვნელოვანია, განახორციელებენ კიდეც! ნებისმიერი რამ ასეა: ან იმსახურებს რწმენას, ან – არა.

– ძალიან კარგი, არ დაგავიწყდეს, რომ ნიცშეს წელი თქვი. ნიცშე რაღას ითხოვდა?

კლარისა ფიქრობდა.

– ცხადია, ნიცშეს ძეგლს ან ნიცშეს სახელობის ქუჩას არ ვგულისხმობ, – უთხრა დაბნეულმა, – მაგრამ ადამიანებს ხომ უნდა ასწავლო, ისე იცხოვრონ, როგორც...

– როგორც ის ითხოვდა? – შეაწყვეტინა ულრიხმა. – მაინც რას ითხოვდა?

კლარისა შეეცადა, პასუხი გაეცა, ერთხანს შეყოვნდა და მერე უპასუხა: – არაფერიც არ ვიცი, – გამოაჯავრა ულრიხს, – ერთს კი გეტყვი: კაიზერ ფრანც-იოზეფის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი წვნიანის დასარიგებელი სასადილოსა და შინაური კატების პატრონთა გაერთიანებების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, კარგ იდეებსა და მუსიკას კი არ ითვალისწინებენ! რას ნიშნავს ეს, არ ვიცი, მაგრამ ასეა.

ულრიხმა ბოლოს ადგილი პატარა ტახტზე მოძებნა. თავს იქ უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა, ვიდრე სკამზე. კლარისა ცარიელი ოთახის შუაგულში, თითქოს მეორე ნაპირზე, წაგრძელებული მაგიდის მეორე ბოლოსთან მირაჟივით იდგა და ისევ ლაპარაკობდა. მასთან ერთად თითქოს მისი სხეულიც ფიქრობდა და ხმადაბლა საუბრობდა. საერთოდ, კლარისა სათქმელს ჯერ ტანით გრძნობდა და მუდმივად განიცდიდა მოთხოვნილებას, სხეულისთვის რამე ექნა. ულრიხი ყოველთვის თვლიდა, რომ მას ბიჭური და ძლიერი სხეული

ჰქონდა. ახლა კი ფეხებშეტყუპებული ისე რბილად ირწეოდა, რომ ულრიხმა იაველ მოცეკვავეს მიამსგავსა. უცებ გაიფიქრა, არ გამიკვირდება ტრანსში რომ ჩავარდესო. იქნება თვითონ იყო ტრანსში? ულრიხმა გრძელი სიტყვა წარმოთქვა: – შენი იდეებით გინდა იცხოვრო და არ იცი, ეს როგორ შეძლო. იდეა ყველაზე პარადოქსული რამ არის ამქვეყნად. სხეული იდეას ფეტიშივით უკავშირდება. იდეასთან ერთად სხეული ჯადოსნურ ძალას იძენს. ღირსების, სასჯელის ან მსგავსი იდეით გაწნული ჩვეულებრივი სილა, შესაძლოა, სასიკვდილოდ იქცეს. და მაინც იდეები ვერასდროს ინარჩუნებენ იმ მდგომარეობას, სადაც მათ ყველაზე მტკიცე სახე აქვთ. ისინი იმ ნივთიერებებს ჰგვანან, ჰაერის მოხვედრისთანავე უფრო გამძლე, მაგრამ შელახულ ფორმას რომ იღებენ. ეს შენც ხშირად მოგსვლია, რადგან იდეა – ეს შენ ხარ ერთ კონკრეტულ მდგომარეობაში. უცებ რაღაცამ წამოუბერა და თითქოს სიმის ხმა ჩაგესმა; შენ წინ რაღაც მირაჟივით დგას. შენი სულის ოროომტრიალიდან უსასრულო მწკრივი გამოიძერწა და სამყაროს მშვენიერების გზად იქცა. ხშირად ასე ის იდეა მოქმედებს, რომელიც ერთადერთია. ცოტა ხნის შემდეგ ის შენს სხვა დანარჩენ იდეებს ემსგავსება და ექვემდებარება. ის შენი მსოფლმხედველობის, ხასიათის, პრინციპებისა და განწყობილების ნაწილი ხდება. მერე იდუმალებას კარგავს და ფრთამოკვეცილი იდეა სიმყარეს იძენს.

კლარისამ უპასუხა: – ვალტერი შენზე ეჭვიანობს, ოღონდ ჩემ გამო კი არა, სულ სხვა მიზეზით. ისეთი სახე გაქვს, თითქოს იმ ყველაფრის გაკეთება შეგეძლოს, რაც მას ასე უნდა. გესმის? შენში არის რაღაც ისეთი, რაც მას საკუთარ თავს აკარგვინებს. არ ვიცი, უკეთ როგორ გითხრა.

კლარისამ ულრიხს გამომცდელად შეხედა.

ორივეს ნათქვამი ერთმანეთს შეერწყა.

ვალტერს ცხოვრება ყოველთვის ანებივრებდა. ის ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ყოველთვის ბევრს განიცდიდა. „ბევრი განცდა ის უპირველესი და ფაქიზი ნიშანია, რითაც საშუალო ადამიანი ამოიცნობა, – ფიქრობდა ულრიხი, – კავშირები განცდას პერსონალურ სიმწარეს და სიამეს აცლის!“. ის დარწმუნებულობაც, რომ ეს ასეა, კავშირი იყო, რის გამოც არც კოცნით გაჯილდოებენ და არც ზურგს გაქცევენ. და მაინც

ვალტერი მასზე ეჭვიანობდა. ულრიხს ეს ძალზე ახარებდა.

– ვუთხარი, რომ უნდა მოგკლას, – გამოუცხადა კლარისამ.

– რა თქვი?

– მოკალი-მეთქი, ვუთხარი. თუ არც ისეთი დიდი ვინმე ხარ, როგორც გგონია, ის კი ამ გზით დამშვიდდება, მაშინ რით არის ცუდი იდეა? თანაც თავის დაცვა ხომ შეგიძლია.

– ამას უყურე...

– ეს ისე ვთქვით, სიტყვაზე... შენ როგორ გგონია? ვალტერმა თქვა, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებაო.

– ფიქრით კი, ბატონო, რატომაც არა, – ყოყმანით უპასუხა ულრიხმა კლარისას და სახეზე დააკვირდა.

კლარისას უცნაური ხიბლი ჰქონდა. თითქოს გვერდით გიდგასო, თითქოს აქ არის და თან არც არისო. აი, ასე, ორივე ერთდროულად.

– ჰო, ფიქრი მეტისმეტად მნიშვნელოვანია, – გააწყვეტინა კლარისამ სიტყვა ულრიხს. ის მოპირდაპირე კედელს მიშტერებოდა და ლაპარაკობდა.

– ვალტერივით პასიური ხარ! თუკი რამეზე ფიქრი შეიძლება, ადექი და გააკეთე კიდეც, – გაიმეორა კლარისამ მშრალად.

შემდეგ ფანჯარასთან მივიდა და ხელები ზურგზე შემოიწყო. ულრიხი სწრაფად წამოდგა, კლარისას მიუახლოვდა და მხრებზე მოხვია ხელი.

– ჩემო პატარა კლარისა, ძალიან უცნაურად იქცევი. მაგრამ ერთი სიტყვა საკუთარ თავსაც უნდა შევაწიო. გულწრფელად რომ ვთქვათ, შენ ხომ მე არ გედარდები, – უთხრა მან.

კლარისამ გარეთ რაღაც წერტილი ამოარჩია და დაჟინებით მიაშტერდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს აზრები სადღაც გარედან დაბრუნებოდნენ. ეგონა, რომ იმ ოთახს ჰგავდა, რომლის კარიც ახლახან გაიხურეს. ასეთი შეგრძნება პირველად არ ჰქონია. ხანდახან გარემოს უფრო მსუბუქად და ნათლად აღიქვამდა. თითქოს ძალდატანების გარეშე შეეძლო საკუთარი თავიდან გამომსხლტარიყო და ესეირნა. ეს მდგომარეობა დღეები, შესაძლოა, კვირებიც გაგრძელებოდა. შემდეგ მძიმე

პერიოდი უდგებოდა. საკუთარ თავში გამოკეტილი, თავს ტუსაღად გრძნობდა. როგორც წესი, ამგვარი შეგრძნებები დიდხანს არ უგრძელდებოდა. ამას სასჯელივით აღიქვამდა, რადგან ირგვლივ ყველაფერი ვიწროვდებოდა და სევდიანი ხდებოდა. ამწუთს, რომლისთვისაც ნათელი, ფხიზელი სიმშვიდე შეგვეძლო დაგვერქმია, აღარც კი ახსოვდა, რა უნდოდა. გონების სიფხიზლე, ერთგვარად რომ თრგუნავდა კიდეც, და მოჩვენებითი თავშეკავებულობა ხშირად სასჯელის პერიოდის მოახლოებას მოასწავებდა. კლარისა ერთიანად დაიძაბა. ეგონა, საუბრის დამაჯერებელი ტონით გაგრძელებას თუ შეძლებდა, ამით თავს უშველიდა.

– პატარას ნუ მეძახი, თორემ ბოლოს და ბოლოს მე მოგკლავ! – და წყენის ნიშნად ტუჩები გამობზიკა. ეს ნათქვამი ხუმრობად ჟღერდა. ესე იგი, რასაც აპირებდა, გამოუვიდა. ფრთხილად მიბრუნდა, რომ ულრიხისთვის შეეხედა.

– ეს ისე ვთქვი, მაგრამ უნდა მიხვდე, რომ ამით რაღაცას ვგულისხმობ. რაზე გავჩერდით? ჰო, შენ ამბობდი, ადამიანმა იდეით არ უნდა იხელმძღვანელოსო. ენერგია არც შენ გყოფნის და არც ვალტერს!

– რა საშინელებას მეუბნები, პასიური ხარო. არსებობს ორი ტიპის პასიურობა: პასიური პასიურობა – ასეთი ვალტერია და კიდევ – აქტიური!

– აქტიური პასიურობა რაღაა? – ჰკითხა კლარისამ ცნობისმოყვარედ.

– როცა პატიმარი გასაქცევად ხელსაყრელ შესაძლებლობას ჩაუსაფრდება.

– ოჰო! თავის დაძვრენაც ასეთი უნდა, – თქვა კლარისამ.

– კი, ბატონო, შეიძლება, – დაუთმო ულრიხმა.

კლარისას ფეხები განზე გაედგა, თითქოს მხედრის ჩექმები ეცვა და ხელები კვლავ ზურგზე შემოეწყო.

– იცი, ნიცშე რას ამბობს? ზუსტად ცოდნის სურვილი ისეთივე სიმხდალეა, როგორიც რისკის გაუწევლად მოქმედების სურვილი. მარტო კი არ უნდა ილაპარაკო, შენი საქმის კეთება სადღაც უნდა დაიწყო. სწორედ შენგან ველოდი, რომ ოდესმე რამე მნიშვნელოვანს მიაღწევდი.

უცბად მისი ჟილეტის ღილს ხელი მოჰკიდა და დაატრიალა, თან სახეში შეჰყურებდა. ულრიხმა კლარისას ხელს უნებლიეთ ზემოდან ხელი დაადო, რომ ღილი არ მოსწყვეტოდა.

– ერთ რამეზე ბევრს ვფიქრობ, – გააგრძელა ყოყმანით, – ყველაზე დიდი სისაძაგლე ის კი არ არის, რომ ამ სისაძაგლეს სჩადიან, არამედ ის, რომ მისი ჩადენის უფლება ეძლევათ. ეს სისაძაგლე სიცარიელეში იზრდება, – კლარისამ ულრიხს შეხედა და ისევ ცხარედ განაგრძო: – ნების დართვა ჩადენილ სისაძაგლეზე ათასჯერ უფრო სახიფათოა! გესმის თუ არა? – კლარისა თავს ებრძოდა. აღარ იცოდა, ნათქვამი უნდა დაეზუსტებინა თუ არა და იქვე დაამატა: – შენ ხომ ჩემი კარგად გესმის, ძვირფასო? შენ ხომ ამბობ ხოლმე, დაე, ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც ხდებაო. მე კი ვიცი, შენ რასაც გულისხმობ! ხანდახან მიფიქრია, რომ ნამდვილი სატანა ხარ! – სიტყვები კლარისას პირიდან ხვლიკივით გამოუსხლტა. შეეშინდა. თავიდან ხომ იმაზე ფიქრობდა, რომ ვალტერი ბავშვის გაჩენას სთხოვდა. ულრიხს ხარბად უყურებდა. თვალებზეც ეტყობოდა, რომ თრთოდა. სახეზე უცნაური გრძნობა დაეტყო: ერთდროულად ამაზრზენიც და რაღაცნაირად ისეთიც, სულს რომ აგიფორიაქებდა. თითქოს სახეზე ოფლმა დაასხა, ოღონდ ნამდვილმა კი არა, წარმოსახვითმა. ულრიხს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს კლარისას მდგომარეობა მასაც გადაედო. მის ახირებულ ლაპარაკს წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა. ხელი ხელზე მოჰკიდა, ტახტზე დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

– ახლა მოგიყვები, რატომ არაფერს არ ვაკეთებ, – დაიწყო, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა.

ულრიხის შეხებამ კლარისა თითქოს გამოაფხიზლა და ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა.

– ადამიანმა შეიძლება არაფერი აკეთოს, რადგან... მაგრამ შენ ხომ ამას ვერ გაიგებ, – დაიწყო ულრიხმა. მერე სიგარეტი ამოიღო და ახლა მოკიდებას მოუნდა.

– მერე? – შეეშველა კლარისა, – რის თქმა გინდა?

ულრიხი ხმას არ იღებდა. კლარისამ უკნიდან მოჰკიდა ხელი და შეანჯღრია; იმ პატარა ბიჭივით, ყველას რომ უნდა დაანახვოს თავისი ძალა. არაფრის თქმა არ იყო საჭირო. ნებისმიერი ექსტრაორდინალური რამ კლარისას წარმოსახვას

უღვიძებდა. ეს კი ძალიან საყვარელს ხდიდა.

– დიდი ბოროტმოქმედი ვინმე ხარ! – წამოიყვირა კლარისამ და ამაოდ შეეცადა, ულრიხისთვის რამე ეტკინა. სწორედ ამ დროს ვალტერი დაბრუნდა და მათაც, სამწუხაროდ, საუბარი შეწყვიტეს.

83. იგივე ხდება, ანუ რატომ არ იგონებენ ისტორიას?

მაინც რის თქმა შეეძლო ულრიხს კლარისასთვის?

ულრიხმა დაუმალა, რომ კლარისამ მას სიტყვა „ღმერთის“ წარმოთქმის უცნაური სურვილი აღუძრა. უნდოდა ეთქვა, რომ ღმერთს სამყარო არამც და არამც სიტყვასიტყვით არ ესმის. სამყარო სახე-ხატია, ანალოგია, გამოთქმა, რომლითაც მან რაღაც მიზეზით უნდა ისარგებლოს, ეს კი, ცხადია, ყოველთვის საკმარისი არ არის. ღმერთს სიტყვაზე არ უნდა გამოვეკიდოთ და მის მიერ მოცემული დავალების შესრულების გზებს თვითონ უნდა მივაგნოთ. შემდეგ გაიფიქრა, თანახმა იქნებოდა თუ არა კლარისა, ამ ყველაფრისთვის ისე შეეხედა, თითქოს „ინდიელობანას“ ან „ყაჩაღობანას“ თამაშობდნენ. ალბათ, თანახმა იქნებოდა. ვინმეს რომ გადაედგა პირველი ნაბიჯი, კლარისა ძუ მგელივით აეკვრებოდა და ყურადღებას დაძაბავდა.

მაგრამ თავში სხვა სათქმელიც უტრიალებდა: რაღაც მათემატიკურ ამოცანაზე, რომელსაც ზოგადი ხერხით ვერ გადაჭრი. ამისთვის სხვადასხვა კერძო გზა უნდა მოძებნო და მათი კომბინაცია ზოგად ხერხთან დაგაახლოვებს. ისიც შეეძლო დაემატებინა, რომ კაცთა ცხოვრების ამოცანა სწორედ ასეთად ესახებოდა. რასაც ეპოქას ეძახდნენ – არ იცოდა, ეპოქაში რა ეგულისხმა: საუკუნეები, ათასწლეულები თუ სკოლასა და შვილიშვილებს შორის დროის მონაკვეთი – მოვლენათა ეს ფართო, უსისტემო მდინარება მისთვის მხოლოდ პრობლემათა გადაჭრის ცალკეულ, დაუგეგმავ, არასაკმარის მცდელობათა მონაცვლეობა იყო. თუ კაცობრიობა ჭკუას იხმარდა და მათ განზოგადებას შეძლებდა, მაშინ აქედან პრობლემათა გადაჭრის სწორი, უნივერსალური გზაც გამოიკვეთებოდა.

სახლისკენ მიმავალ გზაზე, ტრამვაიში, ისევ ამაზე ფიქრობდა. მასთან ერთად რამდენიმე მგზავრიც იჯდა. ისინიც ქალაქისკენ მიდიოდნენ. თავისი აზრების გამო ულრიხს მათი შერცხვა.

ეტყობოდათ, რომ რაღაც კონკრეტული საქმე მოეთავებინათ და ახლა გასართობად მიდიოდნენ. ამას ტანსაცმელზეც შეატყობდით. ულრიხი გვერდით მჯდომ ქალს დააკვირდა. ქალი ორმოცი წლის იქნებოდა, ალბათ, უნივერსიტეტის თანამშრომლის ცოლი ბრძანდებოდა და შვილებიც ჰყავდა. მუხლებზე პატარა, ოპერის ბინოკლი ედო. მის გვერდით ულრიხმა თავი ცელქ ბიჭად იგრძნო, უზნეოდ რომ ერთობა.

პრაქტიკულ მიზანს მოკლებული აზრი არცთუ წესიერ, ფარულ საქმიანობას ჰგავს. განსაკუთრებით ოჩოფეხებზე მოარული აზრების უწესო წარმომავლობა გაეჭვებს, ფეხისგულებით გამოცდილებას ოდნავ რომ ეხება. წინათ ფრთაშესხმულ იდეებზე ბევრს ლაპარაკობდნენ. შილერის ეპოქაში ის ადამიანები, რომელთაც გულში გაბედული აზრები ედოთ, ღრმა პატივისცემითაც სარგებლობდნენ. დღეს კი, პირიქით, მათ შემყურეს ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ ამ ადამიანებს – თუ შემთხვევით ეს მათი პროფესია და შემოსავლის წყარო არ არის – რაღაც წესრიგში ვერა აქვთ. საქმე აშკარად სხვაგვარად გადანაწილდა. ბევრი საკითხი ადამიანს გულიდან ამოაცალეს, ფრთაშესხმული იდეებისთვის რაღაც ფერმის მსგავსი გამოიგონეს და მას ფილოსოფია, თეოლოგია და ლიტერატურა დაარქვეს. ეს იდეები იქ უსაშველო რაოდენობით თავის ჭკუაზე მრავლდებიან, რაც ერთობ მოსახერხებელია, რადგან ვეღარავინ უსაყვედურებს საკუთარ თავს, რომ მათზე არ ზრუნავს. პროფესიონალიზმსა და სპეციალიზაციას ულრიხი დიდ პატივს სცემდა და, ამდენად, მოვალეობათა ამგვარი განაწილების საწინააღმდეგოც არაფერი ჰქონდა. და მაინც ულრიხი თავს უფლებას აძლევდა და დამოუკიდებლად აზროვნებდა, თუმცა პროფესიონალი ფილოსოფოსი არ გახლდათ. ამწუთს იმაზეც ფიქრობდა, რომ ეს გზა კაცობრიობას ფუტკრებისნაირ სახელმწიფომდე მიიყვანდა. დედა ფუტკარი კვერცხებს დადებდა, მამალი ფუტკრები ფიზიკურ და სულიერ ტკბობას მიეცემოდნენ, სპეციალისტები კი იმუშავებდნენ. კაცობრიობის ასეთი არსებობაც დასაშვებია. შრომის ნაყოფიერება, ალბათ, გაიზრდებოდა კიდეც. დღეს, ასე ვთქვათ, თითოეულ ადამიანში მთელი კაცობრიობა მოიაზრება, მაგრამ ეს აშკარად უკვე მეტისმეტია და თან აღარც ამართლებს. ასე რომ, კაცობრიობა ერთ დიდ ტყუილად იქცა. შრომის ამგვარი განაწილებისას წარმატება, ალბათ, ახალი მეთოდების გამოყენებაზეც იქნებოდა დამოკიდებული, რათა

მომუშავეთა იმ განსაკუთრებულ ჯგუფებში სულიერი სინთეზისთვისაც მიეღწიათ. მაგრამ სულის გარეშე? ულრიხს უნდოდა ეთქვა, რომ ეს არ გაახარებდა, თუმცა, ბუნებრივია, ეს ცრურწმენა იყო. კაცმა არ იცის, რა არის ასეთ დროს მნიშვნელოვანი. ულრიხმა პოზა შეიცვალა და მოპირდაპირე მხარეს გასართობად ფანჯრის მინაში საკუთარ სახეს დააკვირდა. ცოტა ხნის შემდეგ მისი სახე ფანჯრის მინაზე ქუჩასა და ვაგონს შორის უცნაურად გაცურდა და რაღაცის დამატება მოითხოვა.

მართლა იყო თუ არა ბალკანეთის ომი? რაღაც ინტერვენცია, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ულრიხმა ზუსტად არ იცოდა, ამას ომი ერქვა თუ არა. რამდენი რამ აღელვებდა კაცობრიობას! სიმაღლეზე ფრენის რეკორდი ისევ დაამყარეს – მოდი და ნუ იამაყებ! თუ ულრიხს სწორად ახსოვდა, ახლანდელი რეკორდი 3700 მეტრს შეადგენდა. ავიატორის გვარი კი ჟუ იყო. შავკანიანმა მოკრივემ თეთრკანიანი დაამარცხა. მისი გვარი ჯონსონი გახლდათ. საფრანგეთის პრეზიდენტი რუსეთს ეწვია. ყველგან ომის საფრთხეზე ლაპარაკობდნენ. ახლად აღმოჩენილი ტენორი სამხრეთ ამერიკაში იმდენ ფულს შოულობდა, რომ ამ თანხას ჩრდილოეთ ამერიკაშიც ვერ წარმოიდგენდნენ. იაპონიაში შემზარავი მიწისძვრა მოხდა – საბრალო იაპონელები! მოკლედ, 1913 წლის მიწურულს და 1914 წლის დასაწყისში ბევრი რამ ხდებოდა. ეს მეტად მღელვარე პერიოდი იყო, თუმცა მანამდეც, ორი ან ხუთი წლით ადრეც, ბევრი რამ ხდებოდა. ყოველ დღეს თან ახალი მღელვარება ახლდა, იმდროინდელი მოვლენები მეხსიერებამ დღეს ბუნდოვნად შემოინახა ან სულაც დაივიწყა. ეს მოვლენები შეგვეძლო ასე შეგვემოკლებინა: სიფილისის საწინააღმდეგო ახალმა წამალმა მოახდინა... მცენარეებში ნივთიერებათა მიმოცვლის კვლევისას აღმოჩნდა... სამხრეთ პოლუსის დაპყრობა ჩანდა... შტაინახის ცდებმა გამოიწვია... ასე რომ, თავისუფლად შეგეძლოთ გამოგეტოვებინათ განსაზღვრულობის ნახევარი, რადგან ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. რა უცნაური რამეა ეს ისტორია! ამა თუ იმ მოვლენაზე შეგეძლოთ გეთქვათ, რომ მან ისტორიაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა ან დაიმკვიდრებდა; მაგრამ ის, რომ ეს მოვლენა საერთოდ მოხდა, სათუო იყო. მოხდეს რაღაც, ნიშნავს, ეს რაღაც რომელიმე კონკრეტულ წელს მოხდეს და არა იმას, რომ საერთოდ მოხდეს, თანაც სწორედ ეს

მოვლენა უნდა მოხდეს და არა მისი მსგავსი. სწორედ ეს არის, რის დამტკიცებასაც ისტორიის შემთხვევაში ვერავინ შეძლებს. ერთი ეს არის, რომ ისტორია ყველაფერს იწერს, როგორც გაზეთები იქცევიან, ან პროფესიულ და ქონებრივ საკითხებზე საუბრობს, რადგან რამდენ წელიწადში გეძლევა პენსიაზე გასვლის უფლება, ანდა ფულს დააგროვებ თუ გარკვეულ თანხას გაფლანგავ, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია. ამ კონტექსტში ომიც ღირსსახსოვარი მოვლენა ხდება. ახლოდან რომ დააკვირდე, დიდი საეჭვო და აბდაუბდა რამეა ეს ჩვენი ისტორია. ის ნახევრად გატკეპნილი ლამია და ბოლოს, რაც უნდა უცნაური იყოს, აღმოჩნდება, რომ გზა სწორედ აქ გადის, „ისტორიის ის გზა“, რომელიც, არავინ იცის, საიდან გაჩნდა. ემსახურო ისტორიას, როგორც მასალა! – ულრიხში აღშფოთებას სწორედ ეს იწვევდა. მანათობელი მოქანავე მანქანა, რომლითაც ის მგზავრობდა, იმ მანქანად ეჩვენებოდა, ასობით კილო ადამიანებს რომ მიაჯანჯღარებს მათგან მომავლის შესაქმნელად. ასი წლის წინ ფაეტონში ასეთივე სახეებით ისხდნენ. ასი წლის შემდეგ, ღმერთმა იცის, რა იქნება, მაგრამ მერეც ეს ახალი ადამიანები ახალ მანქანებში ასეთივე სახეებით ისხდებიან, – ფიქრობდა აღშფოთებული ულრიხი თანამედროვეებზე, ცვლილებათა და მდგომარეობათა პირისპირ უმწეოდ რომ იდგნენ, და საუკუნიდან საუკუნეში ადამიანთა მორჩილ, ღირსებააყრილ, უთავბოლო ყიალზე. ეს აღშფოთება იმას ჰგავდა, თითქოს ვიღაცამ უცნაური ფორმის ქუდი ჩამოაფხატა, ის კი მთელი ძალით აპროტესტებდა.

ულრიხი ანგარიშმიუცემლად წამოდგა, ტრამვაიდან ჩამოვიდა და დარჩენილი გზა სახლამდე ფეხით გაიარა. ადამიანთა რეზერვუარში მოხვედრილს, რასაც ქალაქი წარმოადგენდა, მტანჯველი ფიქრები დაუშოშმინდა და ისევ მშვენიერ გუნებაზე დადგა. სულიერების წლის გამოცხადება პატარა კლარისას ახირება იყო. ულრიხმა ყურადღება ამ საკითხისკენ მიმართა. ვითომ რით იყო ახირებული? სხვათა შორის, ასეთივე წარმატებით შეგეძლოთ გეკითხათ, რატომ იყო დიოთიმას სამამულო აქცია სისულელე.

პასუხი ნომერი ერთი: იმიტომ, რომ ისტორია სხვა დანარჩენ ისტორიათა მსგავსად იქმნება. ავტორებს ახალი არაფერი მოსდით თავში აზრად და იდეებს ერთმანეთისგან იწერენ. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რის გამოც პოლიტიკოსები ისტორიას და არა ბიოლოგიას ან მის მსგავსს შეისწავლიან.

ავტორების საქმეც სწორედ ასეა.

პასუხი ნომერი ორი: ისტორია უმეტესწილად უავტოროდ იქმნება, თანაც პერიფერიიდან და არა ცენტრიდან. მიზეზი სულ მცირეა. ალბათ, არც ისე ძნელია, როგორც ჰგონიათ, გოთიკური ეპოქის ან ანტიკური საბერძნეთის ადამიანისგან თანამედროვე, ცივილიზებული ადამიანის შექმნა. კანიბალიზმი მას ისევე ეხერხება, როგორც წმინდა გონების კრიტიკა. თუ გარემოება ხელსაყრელია, ერთსაც და მეორესაც ერთნაირი დარწმუნებულობითა და თვისებებით ქმნის და დიდ გარეგნულ განსხვავებას მცირე შინაგანი სხვაობა შეესატყვისება.

გადახვევა ნომერი ერთი: ჯარში მსახურობის პერიოდიდან ულრიხმა ასეთი შთაბეჭდილება გაიხსენა: ესკადრონი ორ მწკრივად მიჯირითობს და „ბრძანების გადაცემაში“ ვარჯიშობს. მხედრიდან მხედარს ხმადაბლა ნათქვამი ბრძანება გადაეცემა. თავში გაცემული ბრძანება „ვახმისტრმა მწყობრს უხელმძღვანელოს“ ბოლო რიგებამდე ამ შინაარსით აღწევს: „რვა მხედარი დაუყოვნებლივ დაიხვრიტოს“ ან რაღაც მსგავსი. მსოფლიო ისტორიაც ამდაგვარად იქმნება.

პასუხი ნომერი სამი: თანამედროვე ევროპელთა მთელი თაობა ადრეული ბავშვობის ასაკში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ხუთი ათასი წლის წინანდელ ეგვიპტეში რომ გადაგვესროლა და იქ დაგვეტოვებინა, მსოფლიო ისტორია კვლავაც ხუთი ათასი წლის წინ დაიწყებოდა, ერთხანს გამეორდებოდა, შემდეგ კი, სრულიად აუხსნელი მიზეზებით, ძირითად კურსს გადაუხვევდა.

გადახვევა ნომერი ორი: მსოფლიო ისტორიის კანონი, – გაიფიქრა ულრიხმა, – სხვა არაფერია, თუ არა ბებერი კაკანიის „გაჭიანურების“ სახელმწიფოებრივი პრინციპი. კაკანია კი შეუდარებლად ბრძნული სახელმწიფო გახლდათ.

ნომერ მესამე გადახვევა თუ პასუხი ნომერი ოთხი? ისტორიის გზა ბილიარდის ბურთისას არ ჰგავს, ერთხელ რომ უბიძგებ და ისიც თავისი გზით გაგორდება. ისტორიის გზა ღრუბლების გზას ჰგავს. ის ქუჩაში მოხეტიალე ადამიანის გზას ჰგავს, რომლის თვალს ხან ჩრდილი მიიტაცებს, ხან შეჯგუფულ ხალხთან შეჩერდება და ხანაც სახლების დამახინჯებული ხაზები ართობს. მერე კი უცებ უცხო ადგილას აღმოჩნდება და

თავადაც ვერ აუხსნია, იქ როგორ მოხვდა. მსოფლიო ისტორიის მსვლელობა ერთგვარად გზას აცდენაა. აწმყო ყოველთვის ქალაქის განაპირა იმ სახლს ჰგავს, ქალაქს თითქმის რომ აღარ ეკუთვნის. ყოველი თაობა გაოცებული სვამს კითხვას, ვინ ვარ მე და ვინ იყვნენ ჩემი წინამორბედნი?

ჯობდა ეკითხათ: სად ვარ მე? ეს კითხვა იმასაც იგულისხმებდა, რომ მისი წინამორბედნი სხვანაირნი კი არა, უბრალოდ სხვაგან იყვნენ. „ამგვარად დასმული კითხვა რაღაცის მომცემი იქნებოდა“, – გაიფიქრა ულრიხმა.

ასე ნომრავდა ულრიხი პასუხებს და გადახვევებს და ფიქრებისგან თავის დასაღწევად ხან გამვლელთა სახეებს აკვირდებოდა, ხან მაღაზიის ვიტრინებს. ამასობაში გზასაც ასცდა და ერთხანს შეჩერდა, რომ მიმხვდარიყო, სახლისკენ გზას საით გაჰყოლოდა. სანამ გზას დაადგებოდა, შეეცადა, ეს კითხვა საკუთარი თავისთვის კიდევ ერთხელ განემარტა. მაშასადამე, პატარა შეშლილი კლარისა სწორი ყოფილა. ისტორია უნდა შექმნა, გამოიგონო, თუმცა კი მისი თანდასწრებით უარყო ეს ნათქვამი. რატომ არავინ იქცევა ასე? პასუხად იმწუთას ლოიდ-ბანკის დირექტორი, თავისი მეგობარი ლეო ფიშელი გაახსენდა, ვისთან ერთადაც ადრეულ წლებში ხან აქ და ხან იქ კაფეების ტერასებზე იჯდა. იმწუთას საკუთარ თავთან კი არა, მასთან რომ ესაუბრა, ლეო ფიშელი თავისებურად ეტყოდა: „ნეტა შენი სადარდებელი მომცა!“. ამ გამომაფხიზლებელი პასუხის გამო ულრიხი მისი დიდად მადლიერი იქნებოდა. „საყვარელო ფიშელ! – პასუხი გასცა გონებაში მაშინვე. – ეს ყველაფერი არც ისე იოლია. ისტორიას ვამბობ, მაგრამ თუ გახსოვს, ჩვენს ცხოვრებას ვგულისხმობ. დასაწყისშივე ხომ ვაღიარე, რომ უწესობა იქნება, ვიკითხოთ: რატომ არ ქმნის ადამიანი ისტორიას, რატომ ესხმის ნადირივით მას თავს, თუკი თავად დაჭრილია? ერთი სიტყვით, რატომ ქმნის ისტორიას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში? რატომ ჟღერს ეს ასე უწესოდ? ეს ხომ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა ცხოვრება თავის ნებაზე არ უნდა მიუშვას – მაშ, რაღა გვაქვს საწინააღმდეგო?“.

დირექტორი ფიშელი უპასუხებდა: „ისიც ხომ ცნობილია, როგორ ხდება ეს ყველაფერი? უნდა გვიხაროდეს, რომ პოლიტიკოსები, სასულიერო პირები, ძლიერნი ამა ქვეყნისანი – საქმე რომ არაფერი აქვთ – ან აკვიატებული იდეებით

შეპყრობილნი და კიდევ ვინ მოთვლის, ვინ აღარ, ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ერევიან. სხვათა შორის, განათლებაც ხომ არსებობს. ნეტა ამდენი ადამიანი ასე უმეცრად არ იქცეოდეს“. დირექტორი ფიშელი, ცხადია, მართალი იქნებოდა. უნდა გიხაროდეს, რომ ასე კარგად ერკვევი სასამართლოს საქმეებსა და ვექსილებში, სხვები კი ისტორიით დიდად არ იწუხებენ თავს და არ ამტკიცებენ, გინდა თუ არა, ამ საქმეში ბევრი გაგვეგებაო. იდეების გარეშე – ღმერთმა დაგვიფაროს! – ვერ ვიცხოვრებდით, მაგრამ ყველაზე სწორი მათ შორის წონასწორობის დაცვაა, ერთგვარი balance of power, იდეათა შორის შეიარაღებული მშვიდობა, სადაც არც ერთი მხრიდან ბევრი არაფერი მოხდება. დამამშვიდებელ საშუალებად ულრიხს განათლება ჰქონდა. ეს ცივილიზაციის საფუძველთა საფუძველია. საპირისპირო გრძნობაც ხომ არსებობს და თანაც ეს გრძნობა უფრო და უფრო მატულობს! გრძნობა იმისა, რომ რაინდებისა და შემთხვევითობით შექმნილმა ჰეროიკულ-პოლიტიკურმა ეპოქამ თავისი დრო მოჭამა და ის პრობლემის გეგმაზომიერი გადაჭრით უნდა შეიცვალოს, რომელშიც ყველა ის მიიღებს მონაწილეობას, ვისაც ეს ეხება.

ამასობაში ულრიხმა სახლამდე მიაღწია და მისი წელიც ასე დამთავრდა.

84. მტკიცება იმის შესახებ, რომ ჩვეულებრივი ცხოვრება თავისი ბუნებით უტოპიურია

იქ კი მას, როგორც ყოველთვის, გრაფი ლაინსდორფის მიერ გამოგზავნილი წერილების მთელი დასტა ელოდა. ერთი მსხვილი მეწარმე ახალგაზრდების სამხედრო აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებებისთვის უჩვეულოდ დიდი თანხის გაღების პირობას იძლეოდა. საეპისკოპოსო ეპარქია ობოლთა სახლებისთვის შემოწირულობასთან დაკავშირებით თავის პოზიციას გამოხატავდა და განმარტავდა, რომ კონფესიათა აღრევა დაუშვებელი იყო. კულტურისა და განათლების სამინისტრო იმ წარმატების შესახებ იტყობინებოდა, რომელიც რეზიდენციის ახლოს მშვიდობისმყოფელი კაიზერისა და ავსტრიელი ხალხისადმი მიძღვნილი დიდი ძეგლის აღმართვის ინიციატივას მოჰყვა. მხატვართა გაერთიანების, ინჟინერთა და არქიტექტორთა კავშირების გამოკითხვამ აზრთა იმგვარი სხვაობა გამოავლინა, რომ კომიტეტი იძულებული გახდა,

ცენტრალური კომიტეტის თანხმობის შემთხვევაში საუკეთესო იდეისთვის კონკურსის გამოცხადებისთვის ეზრუნა. სამეფო კანცელარიამ სამი კვირის წინ შემოსული ინიციატივა ცენტრალურ კომიტეტს გადაუგზავნა და ამცნო, რომ მოცემულ საკითხზე ამ დროისთვის უზენაესი გადაწყვეტილების თაობაზე ვერაფერს შეატყობინებდა, თუმცა თვლიდა, რომ სასურველი იქნებოდა, თუ ამ საკითხზე ჯერ საზოგადოებრივი აზრი შეიქმნებოდა. კომიტეტის ამა და ამ ნომერ კითხვაზე კ. და ს.-ს კულტურისა და განათლების სამინისტრო პასუხობდა, რომ სტენოგრაფიულ გაერთიანება „ოლს“ მხარდასაჭერად შუამდგომლობას ვერ გაუწევდა. სოციალურ-ჰიგიენური კავშირი „ხაზოვანი ასო“ თავისი დაპირების შესახებ იტყობინებოდა და სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერისთვის შუამდგომლობას ითხოვდა.

დაახლოებით ამ შინაარსის გახლდათ დანარჩენი წერილებიც. რეალური სამყაროს შეკვრა ულრიხმა გვერდზე გადადო და ჩაფიქრდა. უცბად წამოდგა, მსახურს ქუდი და სერთუკი მოატანინა და დაუბარა, რომ ერთ საათში ან საათ-ნახევარში დაბრუნდებოდა. შემდეგ მანქანა გამოიძახა და ისევ კლარისასთან წავიდა.

ბინდდებოდა. ქუჩაში სინათლე მხოლოდ ერთი ფანჯრიდან გამოდიოდა. ნაფეხურები ისე ოღროჩოღროდ მოყინულიყო, რომ კაცი ფეხს წამოჰკრავდა. გარეთა კარი ულრიხს დაკეტილი დახვდა, რადგან ამ დროს არავის ელოდნენ, ამიტომ ძახილის და კაკუნის ხმაზე დიდხანს არავინ გამოხმაურებია. როცა ბოლოს და ბოლოს ულრიხი ოთახში შევიდა, მოეჩვენა, რომ ეს ის ოთახი კი არ იყო, რომელიც სულ ახლახან დატოვა, არამედ უცხო, გასაოცარი სამყარო, ორი ადამიანისთვის სადად გაწყობილი მაგიდით, სკამებით, ზედ რაღაც ნივთებით, რაც გარემოს კიდევ უფრო შინაურულ იერს აძლევდა. დაუპატიჟებელ სტუმარს თითქოს კედლებიც წინააღმდეგობას უწევდა.

კლარისას შალის უბრალო კაბა ეცვა და იცინოდა. ვალტერი ნაგვიანევ სტუმარს ოთახში შეუძღვა, შუქზე თვალები მოჭუტა და სახლის დიდი გასაღები მაგიდის უჯრაში ჩადო. ულრიხმა პირდაპირ დაიწყო: დავბრუნდი, რომ კლარისასთვის პასუხი გამეცა. შემდეგ ლაპარაკი შუიდან დაიწყო, სწორედ იმ ადგილიდან, სადაც ვალტერის მოსვლის გამო გაჩერდნენ. ცოტა

ხანში ოთახი, სახლი და დროის შეგრძნება გაქრა, საუბარი სადღაც, ცისფერი სივრცის თავზე, ვარსკვლავების ბადეში გაეხვია. ულრიხი მსოფლიო ისტორიისა და იდეათა ისტორიის შესახებ ლაპარაკობდა: – მათ შორის სხვაობა, – აფრთხილებდა ის მსმენელს, – იმაში კი არ მდგომარეობს, რა ხდება, არამედ იმ მნიშვნელობაში, რომელსაც მათ ვანიჭებთ; იმ ზრახვაში, რასაც მას ვუკავშირებთ, იმ სისტემაში, რომელიც ცალკეულ მოვლენებს მოიცავს. ამჟამად მოქმედი სისტემა რეალობის სისტემაა და ცუდ სპექტაკლს ჰგავს. ტყუილად კი არ ამბობენ: „მსოფლიო მოვლენების სპექტაკლი“, რადგან ცხოვრებაში მუდამ ერთი და იგივე როლები, ინტრიგები და ფაბულები ჩნდება. ადამიანებს უყვართ, რადგან არსებობს სიყვარული და ისე უყვართ, როგორც ამას სიყვარული ინებებს. ადამიანები ესპანელებივით, ინდიელებივით, ქალწულებივით და ლომებივით ამაყნი არიან. ასიდან ოთხმოცდაათ შემთხვევაში მკვლელობასაც იმიტომ სჩადიან, რომ სიკვდილი ტრაგიკული და დიდებულია. პოლიტიკური რეალობის მეყალიბეები, დიდი გამონაკლისების გარდა, კომერციული სპექტაკლების ავტორებს ჰგვანან. ბობოქარი მოვლენები, რომლებსაც ისინი ქმნიან, სწორედ სულიერებისა და სიახლის ნაკლებობის გამოა მოსაწყენი და ჩვენც ყველანაირ ცვლილებებს სწორედ იმ პასიური, სომნამბულური მდგომარეობის გამო ვეგუებით, რასაც ჩვენში ეს მოვლენები იწვევენ. ამ თვალსაზრისით, ისტორია რუტინული იდეებისა და იდეალურად ინდიფერენტული მასალისგან იქმნება, რეალობა კი ძირითადად იმისგან, რომ იდეებისთვის არაფერი ხდება. მოკლედ ეს შეიძლება ასეც შეგვეჯამებინა, – ამტკიცებდა ულრიხი, – ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა ხდება, არამედ ის, თუ ვის, სად და როდის ემართება. ასე რომ, მნიშვნელობას მოვლენათა სული კი არ იძენს, არამედ ფაბულა, ცხოვრების ახალი შინაარსის აღმოჩენა კი არა, უკვე არსებულის გადანაწილება. ისინი ერთმანეთისგან ისევე განსხვავდებიან, როგორც კარგი პიესა – უბრალოდ წარმატებულისგან. აქედან გამომდინარეობს, რომ მოვლენებს პირადი გამორჩენის მიზნით კი არ უნდა მივუდგეთ, მათ, როგორც რაღაც პერსონალურს და რეალურს, ისე კი არ უნდა შევხედოთ, არამედ როგორც ზოგადსა და განყენებულს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიროვნული თავისუფლების პოზიციიდან ისე უნდა აღვიქვათ, თითქოს ფერწერული ტილო ან ნამღერი ყოფილიყოს. მოვლენები ჩვენკენ კი არ უნდა მოვაბრუნოთ, არამედ ზემოთ

და ჩვენგან გარეთ უნდა მივმართოთ. თუ მოვლენას ადამიანისთვის პერსონალური მნიშვნელობა აქვს, კოლექტიურადაც რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, – ულრიხმა უფრო გასაგებად ვეღარ განმარტა და კოლექტიურ მოქმედებას ყურძნის დაწურვის, მისი მომარაგებისა და სულიერი წვენის შესქელების მსგავსი პროცესი უწოდა, რათა ცალკეულ ადამიანს თავი უმწეოდ არ ეგრძნო და მხოლოდ საკუთარი მიხვედრილობის ამარა არ დარჩენილიყო. ლაპარაკის დროს ულრიხს ის წუთი გაახსენდა, როცა დიოთიმას უთხრა, რეალობის გაუქმებაა საჭიროო.

თავისთავად ცხადია, ვალტერმა მისი მოსაზრება ბანალურ მტკიცებად გამოაცხადა: თითქოს მთელი სამყარო, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება და რელიგია ისედაც „ყურძნის დაწურვა“ არ იყოსო! თითქოს განათლებული ადამიანი იდეათა ღირებულებას უარყოფდეს და გონებას, მშვენიერებას და სიკეთეს პატივს არ მიაგებდესო! თითქოს განათლება სულიერების სისტემასთან ზიარებას არ ნიშნავდესო!

ულრიხმა განმარტა: აღზრდა მხოლოდ არსებულ და გაბატონებულ სისტემასთან ზიარებას გულისხმობს, რომელსაც შემთხვევითი გარემოებანი ბადებს და სულიერების შესაძენად, პირველ რიგში, იმაში უნდა დარწმუნდე, რომ ის ჯერ არ გაგაჩნიაო. ულრიხმა ამას აბსოლუტურად ღია, მორალური, ექსპერიმენტული და შემოქმედებითი პოზიცია უწოდა.

– ყველაფერი რა პიკანტურად გამოგდის, – უთხრა ვალტერმა, – თითქოს ჩვენს ნებაზე იყოს, იდეებით ვიცხოვრებთ თუ საკუთარი ცხოვრებით! იქნებ ის ციტატა გაიხსენო: „მე ადამიანი ვარ მთელი ჩემი წინააღმდეგობებით და არა ვიღაცის მოგონილი წიგნი“. რატომ იმასაც არ ითხოვ, რომ საკუთარი იდეების გამო სტომაქიც გავიუქმოთ? ამაზე გიპასუხებდი: „ადამიანი სისაძაგლისგან არის შექმნილი“. ის, რომ ხელის წინ გაწევა და მისი უკან წამოღება შეგვიძლია, არ ვიცით, მარცხნივ გავუხვიოთ თუ მარჯვნივ, ის, რომ ჩვევებისგან, ცრურწმენებისა და მტვრისგან შევდგებით და მაინც, როგორც ვახერხებთ, ჩვენი გზით დავდივართ – ჰუმანური სწორედ ეს არის! რასაც შენ ამბობ, ცოტათი მაინც რეალობას რომ მოვაზომოთ, საუკეთესო შემთხვევაში ლიტერატურას

მივიღებდით.

ულრიხმა დამთმობი ტონით უპასუხა: – თუ ნებას მომცემ, რომ ლიტერატურაში დანარჩენი ხელოვნება, ცხოვრების შესახებ მოძღვრება, რელიგია და ა. შ. ვიგულისხმო, მაშინ გეტყოდი, ჩვენი ყოფიერება თავიდან ბოლომდე ლიტერატურისგან შედგება-მეთქი!

– ჰო?! მაცხოვრის სიკეთე და ნაპოლეონის ცხოვრება შენთვის ლიტერატურაა?! – წამოიძახა ვალტერმა. შემდეგ რაღაც უკეთესი გაახსენდა და ულრიხს ისეთი სიმშვიდით მიუბრუნდა, რომელიც მაშინ ეუფლება ხოლმე ადამიანს, როცა ხელში კოზირი უჭირავს. – შენ ხარ ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, ახალი ბოსტნეულის აზრი ბოსტნეულის კონსერვშიაო!

– რა თქმა უნდა, სწორი ხარ. ისიც შეგეძლო გეთქვა, რომ საჭმლის მომზადებას მხოლოდ მარილით ვაპირებ! – მშვიდად დაამატა ულრიხმა და საუბრის გაგრძელების სურვილი დაეკარგა.

აქ კი კლარისა ჩაერია და ვალტერს მიმართა: – არ ვიცი, რატომ ეკამათები! შენ თვითონ არ ამბობ ხოლმე, როცა რამე განსაკუთრებული გვემართება, კარგი იქნებოდა, ყველას დასანახად ეს სიტუაცია სცენაზე გაგვეთამაშა, ყველამ რომ შეძლოს მისი ნახვა და გაგებაო! მოკლედ, უნდა იმღერო, – თანხმობის ნიშნად მიუბრუნდა ულრიხს, – სიმღერაა საჭირო!

სკამები ისე იყო განლაგებული, რომ წრეს ქმნიდა. კლარისა წამოდგა და ამ წრეში შევიდა. მისი პოზა რაღაცნაირად მოუქნელად გამოხატავდა მისივე სურვილს; თითქოს საცეკვაოდ ემზადებოდა და ულრიხს, რომელსაც უგემოვნოდ გაშიშვლებული ემოცია ეჩოთირა, გაახსენდა, რომ ადამიანთა უმრავლესობას, შეულამაზებლად რომ ვთქვათ – საშუალო ადამიანებს, როცა გონება აღეგზნებათ და შექმნა კი არაფრის ძალუძთ, საკუთარი თავის ამდაგვარად წარმოჩენის სურვილი იპყრობთ ხოლმე. მათში ხომ ასე იოლად ხდება „რაღაც ენით უთქმელი“ – ეს მათი საყვარელი სიტყვა და ბუნდოვანი ფონია. ამ ფონზე რასაც წარმოთქვამენ, გაურკვევლად დიდდება, ნამდვილ ღირებულებას კი ვერასდროს შეიმეცნებენ. საუბარი რომ დაესრულებინა, ულრიხმა თქვა: – ეს არ მიგულისხმია, მაგრამ კლარისა სწორს ამბობს. თეატრი ამტკიცებს, რომ

ძლიერი პერსონალური განცდა შეიძლება უპიროვნო მიზანს ემსახურებოდეს. მნიშვნელობათა და სახე-ხატების ამგვარი კავშირი მიზანს კონკრეტული პერსონისგან გამოყოფს.

– ულრიხის კარგად მესმის! – კლარისა ისევ ჩაერია საუბარში. – არ მახსენდება, რომ რამეს განსაკუთრებული სიხარული მოეგვაროს ჩემთვის მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პირადად გადამხდა თავს. მთავარია, რომ მოხდა! ხომ არ მოგინდება, რომ მუსიკა „გქონდეს“! – მიუბრუნდა ვალტერს. – არ არსებობს იმაზე მეტი ბედნიერება, გარდა იმისა, რომ ის არსებობს. განცდას შენკენ იზიდავ და მალევე ისევ შენ ირგვლივ ავრცელებ. საკუთარი თავი გინდა, მაგრამ ხომ არ გინდა, რომ ისე დაეუფლო შენს თავს, როგორც მედუქნე ხარახურას!

ვალტერმა საფეთქლებზე წაივლო ხელი, მაგრამ კლარისას გამო საუბარი განაგრძო. ცდილობდა, მშვიდი, ცივი ტონით ელაპარაკა.

– შენ თუ ამა თუ იმ ქცევის ღირებულებას სულიერი ძალის გამოსხივებაში ხედავ, – მიუბრუნდა ულრიხს, – მაშინ გეტყოდი: ეს ხომ მხოლოდ იმ საზოგადოებაში იქნებოდა შესაძლებელი, რომლის ერთადერთი მიზანიც სულიერი ძალის და ძალაუფლების შექმნაა?

– ეს ის ფორმაა, რომლისკენაც ყველა არსებული სახელმწიფო ისწრაფვის, როგორც ისინი ამტკიცებენ.

– ასეთ სახელმწიფოში ადამიანები დიადი გრძნობებით, იდეებით, ფილოსოფიური სისტემებით და რომანებით იცხოვრებდნენ? – განაგრძო ვალტერმა. – მინდა გკითხო: ისე იცხოვრებდნენ, რომ დიდ ფილოსოფიურ სისტემებს და პოეზიას შექმნიდნენ, თუ ისე, რომ ყველაფერი, რითაც იცხოვრებდნენ, ასე ვთქვათ, უკვე ხორცშესხმული ფილოსოფია და პოეზია იქნებოდა? კარგად მესმის, რასაც გულისხმობ. პირველი სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც კულტურული სახელმწიფოს ცნებაში იგულისხმება; მაგრამ ვინაიდან შენ მეორე გაქვს მხედველობაში, ამიტომ გავიწყდება, რომ ფილოსოფია და პოეზია ასეთ შემთხვევაში სრულიად ზედმეტი აღმოჩნდებოდა. უფრო მეტიც: შენი ცხოვრება ხელოვნების ხატად და მსგავსად, თუ როგორ ეძახი, უბრალოდ წარმოუდგენელი იქნებოდა, ანუ ეს ხელოვნების დასასრულად იქცეოდა! – ასე დაამთავრა ვალტერმა და ეს კოზირი კლარისას

ენერგიის იმედად გამოიყენა.

ამ სვლამ გაამართლა. ულრიხსაც კი რამდენიმე წამი დასჭირდა იმისათვის, რომ აზრი მოეკრიბა, მერე კი გაეცინა და უპასუხა: – არ იცი, რომ ნებისმიერი სრულყოფილი ცხოვრება ხელოვნების დასასრულია? მეჩვენება, რომ შენ თვითონ დგახარ ამ გზაზე – ცხოვრების სრულყოფილების მიზნით ხელოვნებას დაუსვა წერტილი.

ულრიხს ეს ცუდი განზრახვით არ უთქვამს. კლარისა გაფაციცდა.

ულრიხმა კი განაგრძო: – ყოველი დიდი წიგნი ცალკეული ადამიანის ბედისწერის სიყვარულით სუნთქავს, რადგან ისინი საზოგადოების მიერ თავს მოხვეულ ფორმებს ვერ ეგუებიან. ამას კი იმგვარ გადაწყვეტილებამდე მივყავართ, რაც თავისთავად გადაწყვეტას არ ექვემდებარება. შესაძლებელი მხოლოდ მათი ცხოვრების აღწერაა. დააკვირდი პოეტურ ნაწარმოებს და ხელთ იმ კანონების, წესებისა და წესდებების სრული თუ არა, უსასრულო უარყოფა მაინც შეგრჩება, რასაც ამ პოეტური ნაწარმოებების მოყვარული საზოგადოება ეყრდნობა. ლექსი ხომ, მით უმეტეს, თავისი იდუმალებით იმ ძაფს ჭრის, სამყაროს აზრს ათასობით ყოველდღიურ სიტყვასთან რომ აკავშირებს და მას ცად აფრენილ საჰაერო ბუშტად გადააქცევს. თუ ამას, როგორც მიღებულია, მშვენიერება ჰქვია, გამოდის, რომ მშვენიერება უფრო სასტიკი და დაუნდობელი ყოფილა, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური რევოლუცია.

ვალტერს ტუჩებიც კი გაუთეთრდა. მას სძულდა ხელოვნებისადმი ასეთი დამოკიდებულება – ხელოვნებისადმი, რომელიც ცხოვრებას უარყოფს და მტრულია. მისი თვალსაზრისით, ეს იყო ბოჰემა, „ბურჟუას“ გასაბრაზებლად გაჩენილი უკვე მოძველებული სურვილის გადმონაშთი. ამ ნათქვამში მან იმ ფაქტის ირონიული თავისთავადობა კი დაინახა, რომ სრულყოფილ სამყაროში სილამაზე აღარ იარსებებს, რადგან ის იქ ზედმეტი გახდება, მაგრამ თავისი მეგობრის ნაგულისხმებ შეკითხვას ვერ მიხვდა. ულრიხისთვისაც ხომ სრულიად ნათელი იყო იმის ცალმხრივობა, რასაც ამტკიცებდა. ასეთივე წარმატებით შეეძლო საპირისპირო რამ ეთქვა: ის, რომ ხელოვნება უარყოფაა, რადგან ხელოვნება სიყვარულია; ის, რომ სიყვარული მას მშვენიერს ხდის და რომ დედამიწის ზურგზე

არ არსებობს სხვა საშუალება, აქციო რამე ან ვინმე მშვენიერებად, ვიდრე ის, რომ მათი სიყვარული შეგეძლოს. რადგან ჩვენი სიყვარულიც რაღაც ნაწილებისგან შედგება, ამიტომ მშვენიერებაც რაღაც გაძლიერებასავით და კონტრასტივითაა. სრულყოფილება და მშვენიერება მხოლოდ სიყვარულის ზღვაში ერთიანდება! ულრიხის აზრები კვლავ „სამეფოს“ გადასწვდა და უხალისოდ გაჩუმდა. ამასობაში სათქმელს ვალტერმაც მოუყარა თავი და თავისი მეგობრის ქარაგმულ ნათქვამს, ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, როგორც კითხულობსო, ჯერ ბანალური უწოდა, შემდეგ წარმოუდგენელი რამ და ბოლოს იმის მტკიცებას ეცადა, ასეთი მოსაზრება საძაგლობა და დიდი ცოდვააო.

– ვინმემ რომ... – დაიწყო ვალტერმა განზრახ თავშეკავებული ტონით, – შენი მოსაზრება საკუთარ ცხოვრებას დაუდოს საფუძვლად, ეს იმას ნიშნავს, რომ მოიწონოს ყველაფერი, რაც მასში მშვენიერ იდეას აღძრავს. ეს საყოველთაო დაკნინება იქნებოდა, მაგრამ რადგან ეს მხარე შენთვის სულერთია – ანდა შესაძლოა უსაფრთხოების რაღაც სხვა ზომებზე ფიქრობ, რასაც უფრო დაწვრილებით არ შეხებიხარ – ამიტომ პერსონალურ შედეგებს შევეხები. მგონია, რომ ადამიანი ყველა იმ შემთხვევაში, როცა საკუთარი ცხოვრების ავტორი ვერ ხდება, ცხოველზე უარესია. თუ მას იდეა არ უჩნდება, მაშინ არც გადაწყვეტილება ჩნდება, ე. ი. მისი ცხოვრება დიდწილად ინსტინქტების, ახირების, უფერული გატაცებების, ერთი სიტყვით, უპიროვნობის ტყვეობაში ექცევა, რისგანაც საერთოდ შედგება ადამიანი, და სანამ ზედა სისტემა დახშულია, მედგრად უნდა გაუძლოს იმას, რაც თავში მოუვა?

– მაშინ თავი უნდა შეიკავოს რაიმეს გაკეთებისგან, – უპასუხა ულრიხის მაგივრად კლარისამ. – ეს აქტიური პესიმიზმია, და თუ გარემოება მოითხოვს, ადამიანს ამის ძალაც უნდა შესწევდეს.

ვალტერს არ ეყო გამბედაობა, რომ კლარისასთვის შეეხედა. უარის თქმის უნარი მათ ცხოვრებაში ხომ დიდ როლს ასრულებდა. კლარისას ღამის პერანგი კოჭებამდე სწვდებოდა, პატარა ანგელოზივით საწოლზე ხტოდა, კბილებს აელვებდა და მხატვრული კითხვის ოსტატივით ნიცშეს მანერით წარმოთქვამდა: „ლოდივით ვაგდებ შენი სულის სიღრმეში ამ კითხვას. შენ გინდა შვილი და ქორწინება და მე გეკითხები შენ:

ხარ შენ ის, ვისაც აქვს უფლება, უნდოდეს შვილი? ხარ შენ გამარჯვებული, საკუთარი სიქველის მბრძანებელი? თუ შენი პირით ცხოველური მოთხოვნილება ლაპარაკობს?“.

ნახევრად ჩაბნელებულ საძინებელში ეს სანახაობა შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენდა. ვალტერი ამაოდ ცდილობდა, კლარისასთვის საბანი მოეხურა. ესე იგი კლარისას ახალი დევიზი გაუჩნდა – აქტიური პასიურობა, რომლის უნარი ადამიანს მოცემულ შემთხვევაში უნდა ჰქონოდა. ეს აბსოლუტურად უთვისებო კაცივით ჟღერდა. ენდობოდა მას კლარისა? ულრიხმა უბიძგა მას ამ უცნაურობისკენ? ეს კითხვები ჭიასავით ღრღნიდა ვალტერის გულს და ლამის ცუდად გახდა. ნაცრისფერი დაედო, სახე მოუდუნდა, მოემჩვარა.

ულრიხმა შეამჩნია და თანაგრძნობით ჰკითხა, შეუძლოდ ხომ არ ხარო.

ვალტერმა ძლივს უპასუხა „არაო“, ყოჩაღად გაუღიმა და უთხრა, რომ ეს სულელური აზრი ბოლომდე განევითარებინა.

– ღმერთო ჩემო, – დამთმობი ტონით დაეთანხმა ულრიხი, – მართალი ხარ. ხშირად რაღაც სპორტული მოსაზრებით ჩვენთვისვე საზიანო მოქმედების მიმართ შემწყნარებლობას ვიჩენთ. თუკი მოწინააღმდეგე მას მომხიბვლელად შეასრულებს, მაშინ შესრულების ფასი კონკურენციას უწევს მიყენებული ზიანის ფასს. ძალიან ხშირად გვაქვს იდეა და გარკვეულ ხანს ამ იდეის შესაბამისად ვმოქმედებთ; მერე კი მას მალევე ჩვევა, ინერცია და ანგარება ცვლის, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია. შესაძლოა, ისეთი მდგომარეობა აღვწერე, რომლის ბოლომდე განხორციელებაც შეუძლებელია, მაგრამ ერთი კი ცხადია: ეს არის ის რეალურად არსებული მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

ვალტერი ისევ დამშვიდდა.

– თუ სიმართლეს უკუღმა გადმოვატრიალებთ, ყოველთვის შეიძლება თქვა რამე, რაც ერთდროულად სიმართლეცაა და უკუღმართობაც, – თქვა მან რბილად და არც დაუმალავს, რომ კამათის გაგრძელებას აღარ აპირებდა. – მტკიცება იმისა, რომ რაღაც შეუძლებელია, მაგრამ რეალურია, არ არის შენგან გასაკვირი!

კლარისა ენერგიულად ისრესდა ცხვირს.

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ჩვენგანში რაღაც შეუძლებელი არსებობს. ამით ბევრი რამე იხსნება. თქვენ რომ გისმენდით, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ვინმემ რომ გაგვჭრას, მთელი ჩვენი ცხოვრება ბეჭედს დაემსგავსება-მეთქი. რაღაცის გარშემო სიმრგვალეს, – კლარისას თითიდან ბეჭედი წაეძრო და რგოლიდან განათებულ კედელს გაჰყურებდა. – მინდოდა მეთქვა, რომ შუაში სიცარიელეა, მაგრამ ისე ჩანს, თითქოს ეს იყოს მისთვის მთავარი.

ასე დასრულდა დისკუსია, რომელმაც, სამწუხაროდ, ვალტერს ტკივილი დაუტოვა.

85. გენერალ შტუმის მცდელობა, წესრიგი დაამყაროს სამოქალაქო ცნობიერებაში

ულრიხი სახლში ერთი საათით იმაზე გვიან დაბრუნდა, ვიდრე დაიბარა. შინ მისულს მოახსენეს, რომ დიდი ხანია, ვიღაც ოფიცერი ელოდა. თავისდა გასაოცრად, ზევით ასულს, გენერალი ფონ შტუმი დახვდა, რომელიც ძველი ნაცნობივით შეეგება.

– ძვირფასო მეგობარო, – წამოიძახა მან, როცა ულრიხი ოთახში შევიდა, – მომიტევე, ასე გვიან რომ შემოგეჭერი, მაგრამ სამსახურიდან უფრო ადრე ვერ წამოვედი და აი, უკვე ორი საათია, შენს წიგნებს შორის ვზივარ, რომლებიც პირდაპირ შიშს მგვრის.

ხანმოკლე თავაზიანი მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ შტუმი გადაუდებელი საქმის გამო მოსულიყო. მან ფეხი ფეხზე ყოჩაღად შემოიდო, რაც მისი კომპლექციის ადამიანისთვის იოლი არ უნდა ყოფილიყო, ულრიხისკენ კოტიტა თითი გაიშვირა და უთხრა: – გადაუდებელი საქმე?! როცა ჩემი რეფერენტი საბუთებს მომიტანს ხოლმე, ყოველთვის ვეუბნები, ამქვეყნად სასწრაფო მხოლოდ ერთ ადგილას გასვლაა-მეთქი. ხუმრობა იქით იყოს და მინდა გითხრა, რომ შენთან ერთმა მეტად სერიოზულმა საქმემ მომიყვანა. უკვე გითხარი, რომ შენი ნათესავის სახლი, სამოქალაქო პრობლემების გაცნობის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ შესაძლებლობად მესახება. რაც უნდა იყოს, ეს სამხედრო ადგილი არ არის და ჩემზე კოლოსალურ

შთაბეჭდილებას ახდენს. მეორე მხრივ, ჩვენ, სამხედროებს, სისუსტეები კი გვახასიათებს, მაგრამ არც ისე სულელები ვართ, როგორც გგონიათ. იმედი მაქვს, დამეთანხმები, რომ, როცა რამეს ვაკეთებთ, საფუძვლიანად და საგულდაგულოდ ვაკეთებთ. რას იტყვი, ხომ მეთანხმები? ასეც ვფიქრობდი, მაშასადამე, გულახდილად შემიძლია გელაპარაკო, თუმცა გამოგიტყდები, რომ ჩვენი სამხედრო სულის ცოტა არ იყოს მრცხვენია. ვამბობ, მრცხვენია-მეთქი! არმიის ეპისკოპოსის შემდეგ სულიერების საკითხებთან ყველაზე მეტი შეხება მე მაქვს. შემიძლია გითხრა, რომ სამხედრო სულს ახლოდან თუ დააკვირდები, რაც უნდა დიდებულად მოჩანდეს, მაინც დილის რაპორტს მახსენებს. იმედია, არ დაგვიწყნია, რას ნიშნავს დილის რაპორტი, ე. ი. მორიგი ოფიცერი ინიშნავს, რამდენი კაცი და ცხენია მწყობრში და რამდენი – არა. ავადმყოფობის გამო ან რამე სხვა მიზეზით ულანმა ლაიტობიშმა ნაწილში გამოცხადების ვადას გადააცილა და ა. შ., მაგრამ ამდენი კაცი და ცხენი რატომ არის მწყობრში ან ავად, ამას არ იწერს. არა და სწორედ ეს არის ის, რის ცოდნაც გვმართებს, როცა სამოქალაქო პირებთან გვაქვს საქმე. ჯარისკაცი მოკლედ, მარტივად და საქმიანად ლაპარაკობს, მაგრამ ხშირად სამოქალაქო სამინისტროების წარმომადგენლებთან მიწევს თათბირი და ისინიც ყველაფერზე მეკითხებიან, რატომ უნდა გაკეთდეს ესა თუ ის საქმე სწორედ ისე, როგორც მე ვთავაზობ და ყოველთვის უზენაესი ბუნების კავშირებს და მათ პატივისცემას შემახსენებენ ხოლმე. ასე რომ, მომეცი სიტყვა, რომ რასაც ახლა გეტყვი, ჩვენ შორის დარჩება! ჩემს შეფს, მის აღმატებულება ფროსტს, შევთავაზე, უფრო სწორად, ჩემი წინადადებით ერთობ გავაკვირვე, რომ ამ უზენაესი ბუნების კავშირების ხეირიანად გაცნობის მიზნით შენი ნათესავის სახლი გამოგვეყენებინა და, თუ კადნიერებად არ ჩამითვლი, ასე ვთქვათ, სამხედრო სულის სამსახურში ჩაგვეყენებინა. ბოლოს და ბოლოს ექიმები, ვეტერინარები, აფთიაქარები, მღვდლები, სამხედრო ტრიბუნალის მოსამართლეები, ინტენდანტები, ინჟინრები და კაპელმაისტერები გვყავს ჯარში, სამოქალაქო სულის ცენტრალური უწყება კი არ გაგვაჩნია.

ულრიხმა ახლაღა შეამჩნია, რომ შტუმ ფონ ბორდვერს საქაღალდე ჩანთა წამოეღო თან. ეს იყო მაგართასმიანი, მხარზე გადასაკიდი ხარის ტყავის ჩანთა, რომლითაც სამინისტროების გრანდიოზულ შენობებში ან ერთი სამინისტროდან მეორეში

საბუთებს დაატარებენ. გენერალს ეს ჩანთა საწერი მაგიდის ფეხისთვის მიეყუდებინა. შტუმ ფონ ბორდვერს აშკარად ორდინარეცი ახლდა თან, რომელიც, ალბათ, ქვევით ელოდა და რომელიც ულრიხმა ვერ შეამჩნია. შტუმმა ჩანთა ძლივს ასწია, მუხლებზე დაიდო და ფოლადის პატარა საკლიტურის გახსნას შეეცადა, რომელიც უჩვეულო სამხედრო-ტექნიკურ შთაბეჭდილებას ახდენდა.

– მას შემდეგ, რაც თქვენს წამოწყებას შევუერთდი, დროს უქმად არ ვკარგავ, – გაიღიმა მან და დაიხარა, რის გამოც ღია ცისფერი მუნდირი ოქროსფერ ღილებთან გადაეჭიმა. შტუმმა ჩანთიდან უცნაური წარწერებითა და გრაფებით აჭრელებული ქაღალდების შეუკრავი დასტა ამოიღო, – მაგრამ, ხომ გესმის, არსებობს საკითხები, რომლებსაც ბოლომდე თავს ვერ გავართმევ. შენს ნათესავს ამის თაობაზე ერთხელ დაწვრილებით ვესაუბრე. მისმა მცდელობამ – სულიერი ძეგლი დაუდგას ჩვენს უზენაეს მბრძანებელს – ერთი იდეა დაბადა, რომლებსაც დღეს არსებულ იდეათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია. ისიც შევამჩნიე – რაც უნდა დიდი იყოს იქ მოწვეული სტუმრებისადმი ჩემი პატივისცემა – რომ ეს ჯოჯოხეთურად რთული საქმეა. საკმარისია, ვინმემ რამე მოსაზრება გამოთქვას და იქვე მეორე სრულიად საპირისპიროს მტკიცებას მოჰყვება – არ მოგხვედრია თვალში? უფრო საშინელი ის არის, რომ სამოქალაქო სული გაუმაძღარ ცხენს ჰგავს. ხომ გახსოვს? ასეთ ცხოველს ორმაგი პორციაც რომ აჭამო, მაინც ვერ გაასუქებ! ანდა, – გამოასწორა მასპინძლის პროტესტის საპასუხოდ, – დღითი დღე გასუქებას კი იწყებს, მაგრამ არც ძვლები ეზრდება და არც ბეწვი უბზინავს, მარტო მუცელი ებერება. აი, სწორედ ეს მაინტერესებს და გადავწყვიტე, ამ საკითხის შესწავლას მოვკიდო ხელი: რატომ არ შეიძლება სამოქალაქო ცნობიერებაში წესრიგის დამყარება.

შტუმმა გაიღიმა და თავის ყოფილ ლეიტენანტს ფურცელი გაუწოდა, რომელიც ქაღალდების დასტას ზემოდან ედო.

– რაც უნდათ, ის თქვან, მაგრამ ჩვენ, სამხედროებმა, წესრიგის ფასი კარგად ვიცით. ეს იმ ძირითადი იდეების კონსიგნაციაა, რომელიც შენი ნათესავის სახლში შეკრების მონაწილეებზე დაკვირვების შედეგად მოვიპოვე. ხომ ხედავ, რომელიმე მათგანს პირისპირ საუბრისას რომ ჰკითხო, აღმოჩნდება, რომ მნიშვნელოვნად თურმე სულ სხვა რამე მიაჩნია.

ულრიხი გაოგნებული დაჰყურებდა ქაღალდს. ბლანკის ფურცლის თუ სამხედრო უწყების ნუსხის ნიმუშის მიხედვით ფურცელი გრაფებად იყო დაყოფილი, რომლებშიც კალიგრაფიული სილამაზით სახელები ჩაეწერათ: იესო ქრისტე; ბუდა, გაუტამა, იგივე სიდჰარტა; ლაო-ძი; ლუთერი, მარტინი; გოეთე, ვოლფგანგი; განგჰოფერი, ლუდვიგი; ჩემბერლენი და მრავალი სხვა, სახელების ჩამონათვალი აშკარად სხვა ფურცელზე გრძელდებოდა. მეორე სვეტში ეწერა: ქრისტიანობა, იმპერიალიზმი, კომუნიკაციის ეპოქა და ა. შ., რომელსაც სიტყვათა სხვა სვეტები უერთდებოდა.

– ამას მე თანამედროვე კულტურის კადასტრსაც ვუწოდებდი, – განმარტა შტუმმა. – ეს სია შევავსეთ და ახლა აქ ის იდეები და მათი ავტორების სახელებია თავმოყრილი, რომლებიც ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე ასე გვაღელვებს. წარმოდგენა არ მქონდა, თურმე რა მძიმე სამუშაო მელოდა.

ულრიხი დაინტერესდა, როგორ შეადგინა ეს ნუსხა და შტუმმაც სიამოვნებით განუმარტა მთელი ის პროცედურა, რომელიც მისმა სისტემამ მოითხოვა.

– ეს საქმე ასეთ მოკლე ხანში რომ შემესრულებინა, დამჭირდა ერთი კაპიტანი, ორი ლეიტენანტი და ხუთი უნტერ-ოფიცერი! თანამედროვე მეთოდით რომ გვემოქმედა, მაშინ მთელ პოლკში კითხვარი უნდა დაგვერიგებინა: „ვინ მიგაჩნიათ დიდ ადამიანად?“ – როგორც ამას საგაზეთო ანკეტებში აკეთებენ და ბრძანება გაგვეცა, შედეგები მოეხსენებინათ. არმიაში ასე ვერ მოიქცევი, რადგან არმიის ვერც ერთი ნაწილი ვერ გაბედავს სხვა ვინმე დაასახელოს, გარდა „მისი უდიდებულესობისა“. როცა ვეცადე, გამერკვია, რომელ წიგნებს კითხულობენ ყველაზე მეტად ან რომელი წიგნები გამოდის ყველაზე დიდი ტირაჟით, დავადგინეთ, რომ, ბიბლიის გარდა, ესენია საახალწლო ბუკლეტები საფოსტო ტარიფებით და ძველი ანეკდოტები, რომლებსაც თითოეული ადრესატი ფოსტალიონისთვის მიცემული წვრილმანი გასამრჯელოს სანაცვლოდ იღებს. ამან კიდევ ერთხელ მიგვაქცევინა იმ ფაქტისთვის ყურადღება, რამდენად რთულად არის მოწყობილი სამოქალაქო ტვინი. საზოგადოდ ხომ ითვლება, რომ ის წიგნებია საუკეთესო, რომლებიც ყველა ტიპის მკითხველისთვის გამოდგება ან, როგორც მითხრეს, სულ მცირე გერმანიაში მაინც უნდა მოეძებნებოდეს ბევრი

თანამოაზრე, რომ მისი ავტორი დიდი ჭკუის პატრონად ჩათვალონ. ასე რომ, ეს გზაც არ გამოგვადგებოდა. ახლა ვერ მოგიყვები, როგორ გამოგვივიდა ეს საქმე. ისე კი ეს კაპრალ ჰირშისა და ლეიტენანტ მელიხარის იდეა იყო. ფაქტია, რომ შევძელით.

გენერალმა შტუმმა ეს ფურცელი გვერდზე გადადო და მეორე ისეთი სახით აიღო, რაც აშკარად სერიოზულ იმედგაცრუებას მოასწავებდა. ჩატარებული ინვენტარიზაციის შემდეგ, რომელიც ცენტრალურევროპული იდეების აღნუსხვას ემსახურებოდა, თავისდა სავალალოდ, შტუმმა დაადგინა, რომ ეს იდეები წინააღმდეგობრივი ბუნებისა იყო, ხოლო მათი უკეთ გაცნობის შემდეგ ისიც აღმოაჩინა, რომ ეს წინააღმდეგობრიობები ერთმანეთში იყო არეულ-დარეული და ამან კიდევ უფრო მეტად განაცვიფრა.

– შენი ნათესავის ყველა ცნობილი სტუმარი განსხვავებულ პასუხს რომ მცემს, როცა მათ რამე საკითხის განმარტებას ვთხოვ, ამას უკვე მივეჩვიე, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია – როგორც ჩანს, ჩემი ჯარისკაცული ტვინი, ამას ვერ ჰყოფნის – დიდხანს თუ ელაპარაკე, მოგეჩვენება, რომ ყველა ერთსა და იმავეს გეუბნება!

ის, რაც გენერალ შტუმის გონებას აშფოთებდა, წვრილმანი საკითხი არ გახლდათ და მის გადაჭრას მხოლოდ თავდაცვის სამინისტრო ვერ დაიკისრებდა, თუმცა იმის დამტკიცებაც შეიძლებოდა, რომ ამ საკითხს ომთან ახლო კავშირი ჰქონდა. თანამედროვე ეპოქას ბევრი დიდი იდეა ერგო წილად, ყველა იდეას კი – ბედის წყალობით – თავისი ანტიიდეა, ასე რომ, ინდივიდუალიზმს და კოლექტივიზმს, ნაციონალიზმს და ინტერნაციონალიზმს, სოციალიზმს და კაპიტალიზმს, იმპერიალიზმს და პაციფიზმს, რაციონალიზმს და ცრურწმენას ჩვენი ეპოქა მშვენივრად გუობს; თანაც ამას თანამედროვეობისთვის მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მქონე წინააღმდეგობათა დაუხარჯავი ნარჩენებიც ემატება. ეს ისევე ბუნებრივად აღიქმება, როგორც დღე და ღამე, ცივი და ცხელი, სიყვარული და სიძულვილი. ადამიანის სხეულში ყოველ მომხრელ კუნთს საპირისპიროდ განწყობილი გამშლელი კუნთი შეესაბამება და გენერალ შტუმს არასდროს მოუვიდოდა თავში, ამ ფაქტში რამე უჩვეულო დაენახა, პატივმოყვარეობას დიოთიმასთან დაკავშირებულ

სასიყვარულო ავანტიურაში რომ არ გაეხვია. ის, რომ ბუნების ერთიანობას კონტრასტული საფუძველი აქვს, სიყვარულისთვის არ კმარა. იგი ყოველგვარი წინააღმდეგობრიობისგან თავისუფალ ერთიანობას ესწრაფვის და გენერალიც ყოველმხრივ ცდილობდა, ამ ერთიანობისათვის მიეღწია.

– აქ მხედართმთავართა იდეების ცნობარი შევადგინე, – უთხრა მან ულრიხს და თან შესაბამისი ფურცლები მიაწოდა, – ყველა იმ სახელის ჩამონათვალი, რომლებმაც ბოლო ხანებში დიდი გამარჯვებები მოიპოვეს. ეს, ასე ვთქვათ, ordre de bataille-ა; აქ სტრატეგიული შეჯგუფებისა და მისი გაშლის გეგმაა; ეს საწყობებისა და ბაზების მიკვლევის მცდელობაა, საიდანაც იდეების მოწოდება ხდება. ალბათ, შეამჩნევ – ნახაზზე ეს გამოვაკვეთინე კიდეც – რომ აზრთა ესა თუ ის ჯგუფი, რომელიც დღეს ომს აწარმოებს, ცოცხალი ძალებით და იდეური მასალით არა მარტო საკუთარი, არამედ მოწინააღმდეგის ბაზებიდანაც ივსება. აქ ჩანს, რომ იდეათა ეს ჯგუფი პოზიციას იცვლის, უცებ უმიზეზოდ ფრონტის ხაზს საპირისპირო მხარეს შეაბრუნებს და საკუთარ ზურგზე მიაქვს შეტევა. ამასთან, იდეები ფრონტის ხაზს ხან იქიდან კვეთენ, ხან აქედან და ამიტომ მათ ხან ერთ საბრძოლო ხაზზე იხილავ და და ხან – მეორეზე. ერთი სიტყვით, წესიერი საკომუნიკაციო სქემის შედგენა, სადემარკაციო ხაზის გავლება ან რამის განსაზღვრა საერთოდ შეუძლებელია. მოკლედ, ცუდი სიტყვა რომ არ ვიხმარო, ეს ისაა, რასაც ჩვენთან ნებისმიერი მეთაური დომხალს დაარქმევდა.

შტუმმა ულრიხს ერთდროულად რამდენიმე ათეული ფურცელი შეაჩეჩა, რომლებიც სტრატეგიული გეგმებით, სარკინიგზო ხაზებით, საგზაო ქსელებით, შორსსასროლი იარაღების სქემებით, წრეებით, მართკუთხედებით და დაშტრიხული ადგილებით იყო აჭრელებული. ქაღალდებს გენერალური შტაბის გეგმასავით წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი ხაზები გასდევდა. ყველგან სხვადასხვა სახისა და მნიშვნელობის ის დროშები ჩაეხატათ, ერთი წლის შემდეგ ასეთი პოპულარული რომ უნდა გამხდარიყო.

– ეს ყველაფერი სულ ფუჭი შრომაა, – ამოიოხრა შტუმმა, – გამოსახულების პრინციპი შევცვალე და შევეცადე, საქმისთვის სტრატეგიული კი არა, სამხედრო-გეოგრაფიული პოზიციიდან

შემეხედა. იმედი მქონდა, რომ ამ გზით მკვეთრად გამოხატულ ბრძოლის ველს მივიღებდი, მაგრამ ესეც ამაო გამოდგა. შეხედე, აქ ორო- და ჰიდროგრაფიული გამოსახულებები მაქვს.

ულრიხმა სქემაზე მინიშნებული მთის მწვერვალი დაინახა, საიდანაც განშტოებები გამოდიოდა და თავს სხვაგან, ერთ წერტილში იყრიდა. დაინახა ასევე წყაროები, მდინარეთა ქსელები და ტბები.

– ვეცადე, – განაგრძო გენერალმა და სიცოცხლით სავსე თვალებზე გაღიზიანება, გაშმაგებაც კი დაეტყო, – რომ ამ ყველაფრისთვის ერთ სისტემად მომეყარა თავი. იცი, ეს რას ნიშნავს?! ეს იგივეა, გალიციაში მეორე კლასის ვაგონით იმგზავრო და ტილები აიკიდო. იდეებთან დიდხანს თუ დარჩი, მთელი სხეული აგექავება და სისხლის დენამდეც რომ იფხანო, შვებას მაინც ვეღარ ნახავ!

ამგვარმა ენერგიულმა აღწერილობამ ულრიხს სიცილი მოჰგვარა, გენერალმა კი სთხოვა: – ნუ იცინი! ვიფიქრე, რომ შენ სამოქალაქო ცხოვრებაში გამოჩენილი ადამიანი გახდი. ისეთი პოზიცია გიკავია, რომ ამასაც გაიგებ და მეც გამიგებ. შენთან დახმარების სათხოვნელად მოვედი. მეტისმეტად დიდ პატივს ვცემ გონიერებას იმისთვის, რომ საკუთარი თავი მართალი მეგონოს!

– ფიქრს ძალზე სერიოზულად უდგები, პოდპოლკოვნიკო, – ანუგეშა ულრიხმა. ეს სიტყვა უნებლიეთ წამოსცდა და მაშინვე ბოდიში მოიხადა: – გენერალო შტუმ, შენ მე წარსული გამახსენე, როცა კაზინოს რომელიღაც კუთხეში ფილოსოფიურ საუბრებს გამიბამდი ხოლმე. გიმეორებ, ასე სერიოზულად ნუ უყურებ აზროვნებას!

– სერიოზულად ნუ ვუყურებ? – ამოიხვნეშა შტუმმა. – თავში სულ უზენაესი წესრიგი მიტრიალებს და ამის გარეშე სიცოცხლე აღარ შემიძლია! როგორ არ გესმის! რომ მახსენდება, რამდენი ხანი ვცხოვრობდი ამის გარეშე ყაზარმებში და სასწავლო მოედნებზე, ოფიცრების ხუმრობებს და ქალებთან მათ თავგადასავლებს ვუსმენდი, თავზარი მეცემა.

ისინი მაგიდას მიუსხდნენ. ულრიხს გული აუჩუყა ბავშვურმა ოინებმა, რომელსაც გენერალი ისეთი მამაკაცური რიხითა და ახალგაზრდული შემართებით სჩადიოდა, როგორსაც ადამიანებს პატარა გარნიზონებში ყოფნა ანიჭებთ. გარდასულ

დღეთა ამხანაგი ვახშამზე მიიწვია. გენერალი კი ერთ სურვილს შეეპყრო – ულრიხის საიდუმლოს ზიარებოდა და ძეხვის ყოველ ნაჭერს ჩანგლით დიდი გულისყურით იღებდა.

– შენი ნათესავი, – თქვა შტუმმა და ღვინის ჭიქა ასწია, – ყველაზე განსაცვიფრებელი ქალია, ვინც კი ოდესმე მცნობია. სამართლიანად ამბობენ, მეორე დიოთიმაოო. ასეთი ქალი არასდროს მინახავს. იცი რა, ჩემი ცოლი... შენ მას არ იცნობ... საწუწუნო არაფერი მაქვს, შვილებიც გვყავს, მაგრამ დიოთიმასნაირი ქალი სულ სხვაა! წვეულებებზე ხანდახან მის უკან ვდგები – რა შთამბეჭდავი, ქალური, სავსე ფორმები აქვს. თან რომელიმე სამოქალაქო წარჩინებულ პირს ისეთ განსწავლულ საუბარს გაუბამს ხოლმე, რომ ყველაფრის ჩაწერა მინდება! ამ განყოფილების ხელმძღვანელს კი, ვისი ცოლიც ის არის, წარმოდგენაც არა აქვს, რა საუნჯეს ფლობს. თუ ტუცის მიმართ სიმპათიურად ხარ განწყობილი, მაშინ ბოდიში, მაგრამ მე ვერ ვიტან! ისეთი სახით დაიარება და თანაც იღიმება, თითქოს დიდი ჭკუა მოეკითხებოდეს. მე მაინც ნუ მაყრის ნაცარს თვალებში. სამოქალაქო პირების მიმართ ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, სახელმწიფო ჩინოვნიკებს ბოლო ადგილზე ვაყენებ, ეგენი სამოქალაქო ჯარისკაცებს ჰგვანან, პირველობაში გვეცილებიან და თან კატასავით უსირცხვილოდ თავაზიანები არიან, ხეზე რომ ზის და ძაღლს დაჰყურებს. აი, დოქტორი არნჰაიმი სხვა კალიბრია, – აგრძელებდა შტუმი ყბედობას, – შეიძლება ეგეც თავდაჯერებულია, მაგრამ მისი უპირატესობა არ შეიძლება არ აღიარო! – შტუმმა, როგორც ჩანს, ნაჩქარევად დალია და სასმელი მოეკიდა, რადგან მიამიტურად მიმნდობი გახდა.

– არ ვიცი, რაშია საქმე, – აგრძელებდა შტუმი, – ალბათ, იმიტომაც არ მესმის, რომ დღეს ყველა ასე რთულად აზროვნებს... შენი ნათესავით აღფრთოვანებული კი ვარ, მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დიდი ლუკმა გამჩხეროდეს ყელში! ის რომ არნჰაიმზეა შეყვარებული, ჩემთვის ნამდვილი შვებაა!

– რა თქვი? დარწმუნებული ხარ, რომ ერთმანეთში რაღაც აქვთ? – ჰკითხა ცოტა არ იყოს აღგზნებულმა ულრიხმა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი გულთან ახლოს არ უნდა მიეტანა. შტუმი მღელვარებისგან ამღვრეული, ახლომხედველი თვალებით მიაშტერდა ულრიხს და პენსნე გაიკეთა.

– არ ვამტკიცებ, რომ რაღაც სერიოზული აქვთ, – უპასუხა ოფიცრის პირდაპირობით და თან სრულიად არაჯარისკაცულად დაამატა: – საწინააღმდეგო არც არაფერი მაქვს. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია ყველაფერს, ამ საზოგადოებაში მეც გავფილოსოფოსდი. რომ წარმოვიდგენ, როგორი სინაზით შეიძლება დიოთიმა მას მოექცეს, მის მიმართ მეც სინაზე მიჩნდება და პირიქით: როცა ის კოცნის დიოთიმას, მგონია, რომ მე ვკოცნი.

– დიოთიმას კოცნის?!

– არა, ეგ აღარ ვიცი. კი არ ვუთვალთვალებ, უბრალოდ, ასე ვფიქრობ. ერთხელ დავინახე, როგორ ეჭირა მას დიოთიმას ხელი, ეგონა, რომ არავინ უყურებდათ. ცოტა ხანს ისე გაიტრუნენ, თითქოს ვინმეს ებრძანებინოს: „დაიჩოქეთ, ილოცეთ, ქუდები მოიხადეთ!“, მერე დიოთიმამ ხმადაბლა რაღაც სთხოვა. იმანაც რაღაც უპასუხა. სიტყვასიტყვით დავიმახსოვრე მათი ნათქვამი, რადგან ძნელი მისახვედრი იყო. დიოთიმამ უთხრა: „ნეტა რამე მხსნელი იდეა გვაპოვნინა!“, მან კი უპასუხა: „ხსნას მხოლოდ წმინდა, შეურყვნელი სიყვარულის იდეა მოგვიტანს!“. არნჰაიმმა ეს თავის თავზე მიიღო, დიოთიმა, ალბათ, მხსნელ იდეას გულისხმობდა, რომელიც მას თავისი დიდი წამოწყებისთვის სჭირდება... რა გაცინებს? იცინე, რამდენიც გინდა. მეც მაქვს ჩემი ბზიკები. ავიჩემე, რომ რაღაცით უნდა დავეხმარო! ალბათ, შესაძლებელია. ამქვეყნად იმდენი იდეაა, ერთ-ერთი მაინც იქნება მხსნელი! უბრალოდ, ხელი უნდა შემიწყო!

– ძვირფასო გენერალო, – გაუმეორა ულრიხმა, – კიდევ ერთხელ მინდა გითხრა, რომ აზროვნებას მეტისმეტად სერიოზულად უდგები. მაგრამ, რადგან მას ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებ, შევეცდები, აგიხსნა, როგორ ფიქრობს სამოქალაქო პირი.

ორივემ სიგარას მოუკიდა და ულრიხმა დაიწყო: – გენერალო, ჯერ ერთი, მცდარ გზაზე დგახარ. ნუ გგონია, რომ სულიერი საწყისი სამოქალაქო ცხოვრებაში იყოს საძიებელი, ფიზიკური კი – არმიაში. სწორედაც რომ პირიქითაა! გონება – წესრიგია. წესრიგი კი სადაა, თუ არა არმიაში? საყელო ზუსტად ოთხი სანტიმეტრის უნდა იყოს, ღილების რაოდენობა განსაზღვრულია, ყაზარმაში საწოლები კედლების გასწვრივ ლარივითაა გასწორებული. ესკადრონი ერთ ხაზზეა გამწკრივებული! პოლკი ერთ ადგილზეა თავმოყრილი! თუ ეს

ამაღლებული აზრების სულიერი ღირებულება არ არის, მაშინ სულიერ ღირებულებას არ უარსებია!

– ეგ ზღაპრები სხვას მოუყევი! – შეეპასუხა ფრთხილად გენერალი და აღარ იცოდა, რისთვის დაეჯერებინა – საკუთარი ყურებისთვის თუ ღვინისთვის.

– ნუ ჩქარობ, დამაცადე, – აგრძელებდა თავისას ულრიხი, – მეცნიერება მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც მოვლენები მეორდება და კონტროლს ექვემდებარება. არმიაზე მეტი კონტროლი და გამეორება სხვაგან სად არის! კუბი კუბი არ იქნებოდა, ცხრა საათზე ისევე მართკუთხა რომ არ იყოს, როგორც – შვიდ საათზეა. პლანეტათა ორბიტის კანონები თავისებური ბალისტიკაა. საერთოდ, ვერაფერზე შევძლებდით წარმოდგენა შეგვექმნა ან განგვესაჯა, მოვლენები ერთჯერადად რომ ხდებოდეს. რასაც სახელი ჰქვია და მნიშვნელობა აქვს, ის უნდა მეორდებოდეს და მრავალ ეგზემპლარად არსებობდეს კიდეც. მთვარე ნანახი რომ არ გქონდეს, ჯიბის ფარანი გეგონებოდა. ის დაბნეულობა, რასაც მეცნიერებაში ღმერთი იწვევს, იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთი ერთადერთხელ ჰყავთ ნანახი და ისიც სამყაროს შექმნის დღეს, როცა კვალიფიციური დამკვირვებელი ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ თავი შტუმ ფონ ბორდვერის ადგილზე: კადეტთა კორპუსში სწავლების დღიდან მის ცხოვრებაში ყველა წვრილმანი რეგლამენტირებული იყო – ქუდის ფორმიდან დაწყებული ქორწინებით დამთავრებული. ასე რომ, მისი გონება ამგვარ განმარტებებს კარს ვერ გაუხსნიდა.

– ჩემო მეგობარო, – უპასუხა შტუმმა ეშმაკურად, – ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ მე არ მეხება. ხუმრობაც გამოგდის, როცა ამბობ, რომ მეცნიერება თურმე ჩვენ, სამხედროებს, შეგვიქმნია. მაგრამ მე ახლა მეცნიერებას კი არა, როგორც შენი ნათესავი იტყოდა, სულს ვგულისხმობ. როცა ის სულზე ლაპარაკობს, მუნდირის გახდა მინდება, ისეთი უადგილოა სულთან ეს სამხედრო ფორმა!

– ძვირფასო შტუმ, – ნირშეუცვლელად აგრძელებდა ულრიხი, – მეცნიერებას ბევრი საყვედურობს, რომ ის უსულოა და ყველაფერს, რასაც ეხება, მექანიკურად აკეთებს. უცნაურია,

მაგრამ ვერ ამჩნევენ, რომ სულიერების საკითხებში კანონზომიერება უფრო მეტია, ვიდრე – ინტელექტუალურში! როდის არის გრძნობა ბუნებრივი და სადა? როცა ის ყველას ერთნაირ სიტუაციაში მექანიკურად ეუფლება! როგორ მოვთხოვდით ადამიანს ზნეობრიობას, ზნეობრივი საქციელი ისეთი რამ რომ არ ყოფილიყო, რომლის გამეორებაც იმდენჯერ შეიძლება, რამდენჯერაც გინდა! შემეძლო უამრავი ასეთი მაგალითი მომეყვანა. თუ ამ უხალისო რეგულარულობას გაექცევი და შენი არსების ბნელ სიღრმეს შეაფარებ თავს, უკონტროლო ინსტინქტების საუფლოს, ამ ნოტიო, ცხოველურ სიღრმეს, გონებისგან რომ გვიცავს, რათა მასში არ ავორთქლდეთ, იქ რაღას ნახავ? გამღიზიანებლებს და რეფლექსებს, კალაპოტში მოქცეულ ჩვევებსა და უნარებს, გამეორებებს, ფიქსაციას, გაშალაშინებას, სერიულობას, მონოტონურობას! ეს არის მუნდირი, ყაზარმა, წესდება და სამოქალაქო სული განსაცვიფრებლად ჰგავს სამხედრო ყოფას. შეიძლება ითქვას, რომ ის თავის სანიმუშო მაგალითს ებღაუჭება, მაგრამ ვერასდროს უტოლდება. თუ ჩაბღაუჭება ვერ შეძლო, მაშინ მიტოვებული ბავშვივით გრძნობს თავს. აი, თუნდაც ქალის სილამაზე გავიხსენოთ. სილამაზეში რაც გნუსხავს და გიზიდავს, ის არის, რომ ფიქრობ, თითქოს ასეთი რამ არასდროს გინახავს. შინაგანად კი მას ეძებდი, მისი არსებობის შესახებ ყოველთვის იცოდი და ის, რაც თვალწინ ბუნდოვან ზმანებასავით გედგა, ახლა უკვე დღის სინათლეზე ცხადად გამოიკვეთა. თუ ერთი ნახვით შეყვარებასთან გვაქვს საქმე, სილამაზესთან, აქამდე ჯერ რომ არასდროს გინახავს, მაშინ უკვე ვერ ხვდები, როგორ მოიქცე: ამ ამბავს მსგავსი არაფერი უსწრებდა წინ, ვერც სახელს არქმევ მას, ვერც საპასუხო გრძნობას პოულობ, უბრალოდ, თავგზა გერევა, ბრმავდები, იდიოტური გონებაჩლუნგობა გემართება, ბედნიერებასთან საერთო რომ აღარაფერი აქვს.

აქ კი გენერალმა ენერგიულად შეაწყვეტინა ულრიხს. აქამდე ულრიხს ისეთი გაწაფულობით უსმენდა, როგორსაც საწვრთნელ მოედანზე თუ შეიძენს კაცი, როცა უფროსის შენიშვნები და შეგონებები გულს გიწყალებს და, თუ საჭიროა, მათი გამეორება უნდა შეძლო, მაგრამ შენში არ უნდა შეუშვა, თორემ იმ კაცს დაემსგავსები, ზღარბზე ამხედრებული რომ ბრუნდება შინ. ახლა კი ულრიხის ნათქვამი გულზე მოხვდა და გაცხარებულმა წამოიძახა: – რაც მართალია, მართალია!

იშვიათი სიზუსტით აღწერ ამ ყველაფერს! როცა შენი ნათესავის ცქერით ტკბობას მივეცემი ხოლმე და გონების ძალის მოკრებას ვცდილობ, რომ იქნებ ბოლოს და ბოლოს რამე იდეა მეწვიოს და მას რამეში გამოვადგე, რაღაც საშინლად უსიამოვნო სიცარიელე მეუფლება. იდიოტიზმს ამას, ალბათ, ვერ დაარქმევ, მაგრამ მისგან ბევრით არაფრით განსხვავდება. თუ შენი ნათქვამი სწორად გავიგე, გამოდის, რომ სამხედროებსაც შეგვძლებია აზროვნება და სამოქალაქო პირებისთვის მისაბაძ მაგალითად უნდა ვიქცეთ. არ გეთანხმები. ალბათ, იხუმრე. მაგრამ იმაზე, რომ ერთნაირი ჭკუა გვაქვს, ხანდახან მეც მიფიქრია. ის ყველაფერი, რაც ჩვენ, ჯარისკაცებს, სამოქალაქო ცხოვრებად გვეჩვენება – სული, ზნეობრიობა, გულწრფელობა, გულახდილობა – და რასაც არნჰაიმი ასე ოსტატურად ფლობს, შენი აზრით, სულიერებაა... იმასაც ამბობ, ეს, ასე ვთქვათ, უზენაესი ბუნების აზრებიაო, მაგრამ ისიც ხომ თქვი, ადამიანებს ეს ასულელებთო. საერთოდ, სამოქალაქო გონება სამხედროსას აღემატება და, რა თქმა უნდა, ამას არც შენ უარყოფ. მაშინ იქნება მითხრა, როგორ ეთანხმება ერთი მეორეს?

– დაგავიწყდა, მე გითხარი, პირველ რიგში-მეთქი. მე გითხარი, პირველ რიგში სულიერების საწყისი ჯარშია, ხორციელი კი – სამოქალაქო ცხოვრებაში-მეთქი.

– ეგ ხომ სისულელეა? – უნდობელი ხმით შეეპასუხა შტუმი. სამხედროების ფიზიკური უპირატესობა ისეთივე დოგმა იყო, როგორიც ის მოსაზრება, რომ ოფიცრობა ყველაზე ახლოს დგას ტახტთან. საკუთარი თავი ათლეტად შტუმს არასდროს ჩაუთვლია, მაგრამ იმწუთას, როცა ამის თაობაზე ეჭვი გაჩნდა, მასში თავი იჩინა დარწმუნებულობამ, რომ სამოქალაქო პირის მუცელი მის მუცელთან შედარებით მაინც ცოტათი უფრო რბილია.

– სხვა მოსაზრებებთან შედარებით არც უარესია და არც უკეთესი... – დაიცვა ულრიხმა თავისი ნათქვამი. – მათქმევინე ბოლომდე. იცი, როგორ იყო?.. ასი წლის წინ გერმანიის სამოქალაქო ცხოვრების წამყვან ადამიანებს მიაჩნდათ, რომ საწერ მაგიდასთან მოაზროვნეს სწორედ ისე გამოჰყავს სამყაროს კანონები, როგორც მტკიცდება თეორემები სამკუთხედის შესახებ. მოაზროვნეს მაშინ ნაშურის შარვალი ეცვა, შუბლიდან ერთ კულულს გადაიგდებდა ხოლმე და

ნავთის ლამპაც კი არ გააჩნდა, ელექტრობასა და ხმის ჩამწერზე რომ არაფერი ვთქვათ. ამის შემდეგ ამგვარი კუდაბზიკობა თავიდან გამოგვაფერთხინეს. ამ ასი წლის მანძილზე საკუთარ თავზე, ბუნებაზე და ამქვეყნად ყველაფერზე ბევრი რამ უკეთ გავიგეთ, მაგრამ ცალკეულ სფეროებში მოპოვებული შედეგები საერთო ჯამში დანაკლისს უტოლდება. ასე რომ, რაც უფრო მეტ წესრიგს ვამყარებთ, მით ნაკლებ წესრიგს ვაღწევთ.

– ეს ჩემს კვლევებს ემთხვევა, – დაუდასტურა შტუმმა.

– ოღონდ ყველა შენნაირი გულმოდგინებით არ ცდილობს ამ მოსაზრებათა შეჯამებას, – განაგრძო ულრიხმა. – წარსულში ძალ-ღონის ამგვარი დაძაბვის შემდეგ დღეს უკვე დაქვეითების ფაზაში აღმოვჩნდით. უბრალოდ, წარმოიდგინე, როგორ ხდება დღეს ყველაფერი: როცა მოაზროვნეს სამყაროში რომელიმე ახალი იდეა შემოაქვს, მას მაშინვე დანაწილების პროცესი მოჰყვება. ეს პროცესი თავის მხრივ სიმპათია-ანტიპათიისგან შედგება. ჯერ თაყვანისმცემლები გლეჯენ მას და თავიანთთვის საჭირო დიდ ნაფლეთებს ზუსტად ისევე დაიტაცებენ, როგორც მელია – მძორს, ამის შემდეგ მოწინააღმდეგე ანადგურებს მის სუსტ ადგილებს და მალე ამ მიღწევათაგან აფორიზმების მარაგიღა რჩება, რომელსაც მტერი თუ მოყვარე საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებს. შედეგად კი საყოველთაო მრავალმნიშვნელობას ვიღებთ. არ არსებობს „ჰო“, იქვე „არა“ რომ არ უპირისპირდებოდეს. როგორც გინდა, ისე მოიქეცი და ყოველთვის იპოვი ოც მშვენიერ იდეას, რომელსაც ასევე ოცი კონტრიდეა გამოუჩნდება. სწორედ ისეა, როგორც სიყვარულის, სიძულვილისა და შიმშილის დროს, სადაც განსხვავებული გემოვნებაა საჭირო, რომ ყველას თავისი წილი ერგოს.

– შესანიშნავია! – წამოიძახა შტუმმა, რომლის გულის მოგებაც ულრიხმა კვლავ შეძლო. – რაღაც ამის მსგავსი დიოთიმას ერთხელ უკვე ვუთხარი კიდეც! არ გეჩვენება, რომ ამ არეულობაში სამხედრო სამსახურის არსებობა სრულიად გამართლებულია? და მაინც, ეს ერთი წუთითაც რომ ვირწმუნო, ამისაც კი მრცხვენია.

– გირჩევდი, – უთხრა ულრიხმა, – დიოთიმას იმ აზრისკენ უბიძგო, რომ, როგორც ჩანს, ჩვენთვის აუხსნელი მიზეზებით ღმერთი დედამიწაზე ფიზიკური კულტურის ეპოქას ამკვიდრებს. ერთადერთი, რაც იდეას სიმყარეს ანიჭებს, იმისი

სხეულია, ვის კუთვნილებასაც იგი წარმოადგენს და თანაც შენ, როგორც ოფიცერი, გარკვეულ უპირატესობასაც მოიპოვებ.

დაბალი, მსუქანი გენერალი შეკრთა.

– რაც შეეხება ფიზიკურ კულტურას, ასეთ შემთხვევაში გაფცქვნილ ატამზე უკეთესად არ გამოვიყურები, – უპასუხა ულრიხს ცოტა ხნის შემდეგ დანანებით და თან ერთგვარი კმაყოფილებით. – იცი, რას გეტყვი, – დამატა გენერალმა, – დიოთიმაზე წესიერი წარმოდგენები მაქვს და მის თვალშიც ასეთად მინდა დავრჩე.

– დასანანია, – მიუგო ულრიხმა, – შენი აზრები ნაპოლეონსაც დაამშვენებდა, მაგრამ ვაი, რომ შესაფერისი ეპოქა არ გერგო.

გენერალმა დაცინვა ღირსეულად მიიღო; ჩათვალა, რომ თავისი გულის რჩეულისთვის უნდა ეტანჯა, ერთხანს დაფიქრდა და ულრიხს უპასუხა: – რჩევებისთვის დიდ მადლობას გიხდი.

86. კომერციის მეფე და სულისა და სხეულის ინტერესების შერწყმა.ასევე: გონებისკენ მიმავალი ყველა გზა სულზე გადის, მაგრამ უკან არც ერთი არ ბრუნდება

იმ დროს, როცა გენერლის სიყვარულმა დიოთიმათი და არნჰაიმით აღფრთოვანებას დაუთმო ადგილი, არნჰაიმს, ალბათ, დიდი ხნის წინ უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რომ უკან აღარ დაბრუნებულიყო. ამის ნაცვლად კი ათასი საქმე გამოიჩინა, რომ დიდხანს დარჩენილიყო. სასტუმროში რამდენიმე ნომერი დაიქირავა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მის მოუსვენარ ცხოვრებაში სიმშვიდე დამდგარიყო.

მსოფლიოს მაშინ ბევრი რამ არყევდა. მას, ვინც 1913 წლის მიწურულს სათანადო ინფორმაციას ფლობდა, თვალწინ მოთუხთუხე ვულკანი ედგა, თუმცა სამშვიდობო მუშაობის შედეგად ყველგან ის დარწმუნებულობაც გამეფებულიყო, რომ ვულკანი არასდროს იფეთქებდა. ეს დარწმუნებულობა კი ყველგან თანაბრად ღრმა არ იყო. ბალჰაუსპლატცზე ძველი სასახლის განათებული ფანჯრები, სადაც განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, მოპირდაპირე ბაღის შიშველ ხეებს ხშირად გვიან ღამემდე ანათებდა. სახელი „ბალჰაუსპლატცი“ მოედანზე მდგარ სასახლეს ისეთივე იდუმალებით მსჭვალავდა,

როგორითაც წმინდა იოსები – უბრალო ხურო იოსებს. გვიან ღამით სასახლის ფანჯრებთან ჩავლილ განათლებულ ადამიანს ძრწოლა აიტანდა ხოლმე, რადგან ხვდებოდა, რომ ამ ფარდაჩამოფარებულ ფანჯრებს მიღმა ერთ-ერთი ის მისტიკური სამზარეულო იყო, საიდანაც კაცობრიობის ბედი იმართებოდა. ამ მოვლენებში დოქტორი არნჰაიმი საკმაოდ კარგად იყო გათვითცნობიერებული. ის დაშიფრულ დეპეშებს ცენტრალური ოფისიდან იღებდა რომელიმე თავისი თანამშრომლისაგან, დროდადრო სარწმუნო ინფორმაციის გადასაცემად რომ ესტუმრებოდა ხოლმე. მისი აპარტამენტების ფასადის ფანჯრებიც ხშირად გვიან ღამემდე იყო განათებული და მდიდარი წარმოსახვის მქონე დამკვირვებელი მიხვდებოდა, რომ აქ მეორე, პირველთან დაპირისპირებული, ხელისუფლება იმყოფებოდა, რომელიც ამასთან ეკონომიკური დიპლომატიის თანამედროვე, აპოკრიფული, თავდაცვითი ნაგებობაც იყო. სხვათა შორის, არნჰაიმი ამგვარი შთაბეჭდილების მოხდენის შესაძლებლობას არასდროს უშვებდა ხელიდან: გარეგნული მხარის გარეშე ხომ ადამიანი მხოლოდ წყალწყალა, უქერქო ხილს ემსგავსება. არნჰაიმი მარტო არასდროს საუზმობდა; სასტუმროს დარბაზში საერთო მაგიდასთან იჯდა და გამოცდილი მმართველის ადმინისტრაციული ოსტატობით და იმ ადამიანის თავაზიანობით, რომელმაც კარგად იცის, რომ აკვირდებიან, თავის მდივანს იმ დღის განკარგულებებს აძლევდა. მდივანი კი გაცემულ განკარგულებებს სტენოგრაფიულად იწერდა. ამ საქმეთაგან არც ერთი არ კმაროდა, რომ არნჰაიმისთვის სიხარული მოეგვარა, მაგრამ საუზმის ხიბლით შევიწროებული ეს იდეები არნჰაიმის ცნობიერებაში ერთმანეთს ადგილს უთმობდა და სიმაღლეში მატულობდა. ადამიანის ტალანტმა, ალბათ, შევიწროება უნდა განიცადოს, რომ განვითარდეს: მან, ვისაც ცხოვრების რაღაც გაეგება, კარგად იცის, რომ აზრის თავაშვებულ თავისუფლებასა და კონცენტრაციის უნარმოკლებულ უნიათობას შორის ნაყოფიერი ზოლი მეტისმეტად ვიწროა. არნჰაიმს სჯეროდა, რომ მნიშვნელობა იმასაც ჰქონდა, იდეა ვის ებადებოდა. ისიც ხომ ცნობილია, რომ ახალი და მნიშვნელოვანი იდეა, იშვიათად, რომ ერთადერთ ადამიანს დაებადოს; მეორე მხრივ, აზროვნებას მიჩვეული ადამიანის ტვინი განუწყვეტლივ სხვადასხვა ღირებულების მქონე იდეებს ბადებს. ამიტომ დასრულებულობა, ეფექტური და წარმატებული ფორმა იდეებმა არა მარტო აზროვნებით

უნდა შეიძინონ, არამედ გარედან, პიროვნების მთელი ცხოვრებისეული გარემოებებიდანაც. მდივნის შეკითხვა, მეზობელი მაგიდისთვის შევლებული მზერა, შემოსული სტუმრის სალამი ან რამე ამის მსგავსი არნჰაიმს ყოველთვის დროულად შეახსენებდა ხოლმე იმის აუცილებლობას, რომ საკუთარი თავი შთამბეჭდავ ფიგურად ექცია და ეს იერსახე მაშინვე მის აზროვნებასაც გადაეცემოდა. ცხოვრებისეული გამოცდილება იმაშიც არწმუნებდა – რაც მის მოთხოვნილებებსაც პასუხობდა – რომ მოაზროვნე ადამიანი ამავე დროს ქმედითიც უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამ დარწმუნებულობისა, თავის იმჟამინდელ საქმიანობას დიდ მნიშვნელობას მაინც არ ანიჭებდა. მიზანს კი მისდევდა, რომელიც გარემოებისდა მიხედვით, შესაძლოა, მომგებიანიც ყოფილიყო, მაგრამ მაინც შიშობდა, რომ აქ ყოფნით გაუმართლებლად დიდ დროს კარგავდა. საკუთარ თავს ყოველთვის შეახსენებდა ხოლმე ცივი გონებით ნათქვამ სიბრძნეს: „Divide et impera“. ეს სიბრძნე ადამიანებთან და საგნებთან ნებისმიერ კონტაქტს კარგად ესადაგება და გარკვეულწილად, თითოეული ურთიერთობის გაუფასურებას ითხოვს, რადგან ამგვარი განწყობილების საიდუმლო, როცა ადამიანს წარმატებული მოქმედება სურს, იმ კაცის საიდუმლოს ჰგავს, მრავალი ქალი რომ ეტრფის, თავად კი უპირატესობას არც ერთს არ ანიჭებს. არნჰაიმს არც ეს შველოდა. საკუთარი მეხსიერება ისეთ მოთხოვნებს უყენებდა, როგორსაც სამყარო უყენებს ხოლმე იმას, ვინც დიდი საქმეებისთვის არის მოწოდებული. როგორც უნდა ჩაღრმავებოდა საკუთარ თავს, იმ ფაქტს მაინც ვერ აუვლიდა გვერდს, რომ უყვარდა. ეს კი მეტად უცნაური რამე გახლდათ, რადგან გული, ორმოცდაათ წელს რომ მიახლოებია, ჯიუტი კუნთია და სიყვარულით გაფურჩქნილი ოცი წლის გულივით იოლად ვეღარ ფართოვდება. სწორედ ეს გახლდათ ის, რაც არნჰაიმს საგრძნობ უხერხულობას უქმნიდა.

შეშფოთებულმა ჯერ ის დაადგინა, რომ მისი ფართო, მთელი სამყაროს მომცველი ინტერესები ფესვმოგლეჯილი ყვავილივით ჩამოჭკნა. სამაგიეროდ უმნიშვნელო, ყოველდღიური შთაბეჭდილებები – ფანჯრის რაფაზე დაფრენილი ბეღურა იქნებოდა ეს თუ ოფიციანტის გულღია ღიმილი – გაუმძაფრდა. რაც შეეხება მორალურ ცნებებს, აქამდე მისი უფლებების უზრუნველმყოფელ დიდ სისტემას,

გაღარიბდა, თუმცა რაღაც სხეულებრიობა შეიძინა. ამისათვის, შეიძლება, თავდადება გეწოდებინათ; მაგრამ ამ სიტყვას უფრო ფართო, ყოველ შემთხვევაში, სხვა მნიშვნელობაც გააჩნია, რომლის გარეშეც იოლად ვერსად გახვალთ. თავდადება მოვალეობისადმი, ვინმე შენზე ზემდგომისადმი ან ბელადისადმი, თავად სიცოცხლისადმი მთელი თავისი სიმდიდრით და მრავალფეროვნებით, მისთვის გულწრფელობის სიმბოლოდ ქცეულიყო და გულგახსნილობის მიუხედავად მასში ექსპანსიურობას თავშეკავებულობა სჭარბობდა. იგივე შეიძლება ითქვას ერთგულებაზეც, რომელსაც, თუ ერთი ქალით შემოისაზღვრა, შეზღუდულობის ელფერი დაჰკრავს; რაინდობასა და თვინიერებაზე, თავგანწირვასა და სათუთ გრძნობებზე, ყველა იმ სიქველეზე, როგორც წესი, წარმოსახვაში ქალთან ურთიერთობას რომ უკავშირდება. ასე რომ, ძნელია იმის თქმა, ქალის სიყვარული ყველაზე დაბალ, არცთუ უზადო ადგილებში წყლის დინებას ჰგავს თუ ვულკანის იმ ადგილს, რომლის მხურვალებაც მიწის ზედაპირზე ყველაფერს აცოცხლებს და აყვავებს. მამაკაცური პატივმოყვარეობა კაცების საზოგადოებაში უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე ქალებთან, და როცა არნჰაიმი ძალაუფლების სფეროში მის მიერვე შეტანილ იდეათა მრავალფეროვნებას დიოთიმათი მოგვრილ ნეტარ მდგომარეობას უდარებდა, ხვდებოდა, რომ რეგრესი განეცადა.

ზოგჯერ არნჰაიმს მოთხოვნილება უჩნდებოდა, შეყვარებულს მოხვეოდა ან ეკოცნა, იმ პატარა ბიჭივით, რომელიც მზად არის, მუხლებზე შემოეხვიოს მას, ვინც საწადელს არ აუსრულებს. ხან ქვითინი უნდებოდა, ხან ისეთი სიტყვების ხმამაღლა ყვირილი, რომლებსაც სამყაროს გამოწვევასავით ესროდა, და ბოლოს შეყვარებულის მოტაცების თავშეუკავებელი სურვილი ეუფლებოდა. ცნობილია, რომ ცნობიერების კიდეზე, იქ, სადაც ადამიანი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, ზღაპრებისა და ლექსების საუფლოა და ბავშვური მოგონებების სამკვიდრო. თუ დაღლილობის მსუბუქმა ბრუჟმა, ალკოჰოლის აულაგმავმა თამაშმა ან რომელიმე ძლიერმა სტრესმა ცნობიერების ეს უბანი გაანათა, მაშინ ის ხილული ხდება. არნჰაიმის აღტყინებას ამ ფანტომებზე მეტი სხეულებრიობა არ ჰქონია და ამიტომ მიზეზი იმისა, რომ მათ გამო აღელვებულიყო (რაც თავდაპირველ მღელვარებას კიდევ უფრო გააძლიერებდა), არც ექნებოდა, ინფანტილურ რეციდივებს რომ არ დაერწმუნებინა,

რომ მისი სულიერი ცხოვრება მქრქალ მორალურ სახე-ხატებს აევსო. არნჰაიმი მთელი ევროპის დასანახად ცხოვრობდა და საკუთარი მოქმედებისთვის საყოველთაო მნიშვნელობის მინიჭებას ცდილობდა. ახლა კი უცებ თავისი ქმედება სულიერი ცხოვრებისგან დაშორებულად ესახებოდა. როცა რამე საყოველთაო მნიშვნელობას იძენს, ალბათ, ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ არნჰაიმს ამ დასკვნის მეორე მხარეც აოცებდა და ამ აზრს თავიდან ვერ იშორებდა: თუ საყოველთაო მნიშვნელობის მქონე რამ სულიერი ცხოვრებისგან შორს არის, გამოდის, რომ სულიერი ადამიანიც არაფერს ნიშნავს. მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე სდევდა მწველი სურვილი იმისა, რომ ჩაედინა რამე უგუნური, რაღაც ისეთი, რაც ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა, და არც ის დამთრგუნველი შეგრძნება ტოვებდა, რომ ამგვარი საქციელი ზენა მნიშვნელობით სწორია. მას შემდეგ, რაც ენის დამთუთქავი ეს ცეცხლი იგემა, ისეთმა გრძნობამ მოიცვა, რომ დაივიწყა გზა, რითაც მანამდე დადიოდა, და ისიც რომ დიდი ადამიანის მთელი იდეოლოგია, რითაც ასე გაჟღენთილიყო, ცუდი შემცვლელი იყო იმისა, რაც დაკარგა.

აი, მიზეზი, რის გამოც საკუთარი ბავშვობა გაახსენდა. ადრეული ხანის ფოტოებზე მას დიდი შავი თვალები ჰქონდა, როგორც ყრმა იესოს, ნახატებზე ტაძარში რომ დგას და მწიგნობრებს ეკამათება, თან თავის აღმზრდელებს უყურებს, გარშემო რომ შემორტყმიან და მისი ნიჭიერებით მოხიბლულან, რადგან ის გონიერი ბავშვი იყო და ყოველთვის გონიერი აღმზრდელები ჰყავდა. ფოტოებით იმასაც მიხვდებოდით, რომ არნჰაიმი ადვილად ფეთქებადი და მგრძნობიარე ბავშვი იყო და უსამართლობას ვერ ურიგდებოდა. და რადგან თავად უსამართლობისგან დაცული იყო, ამიტომ ქუჩაში უცხოებს ექომაგებოდა და მათ გამო ჩხუბიც უწევდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩხუბის დაწყებისთანავე იმ ადგილას ჩნდებოდა და მეტოქეებს აშველებდა, მაშინ ადვილი მისახვედრია, რომ მისი ამგვარი საქციელი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო.

რადგან ამგვარი ჩხუბი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა საიმისოდ, რომ მტკივნული გამოცდილება შეეძინა, მაგრამ დროულადაც შეწყდა და მას უდრეკი გაბედულება შესძინა, ამიტომ მისი უშიშარი ხასიათი მოგვიანებით მის წიგნებსა და მოსაზრებებშიც გამოვლინდა, როგორც ეს იმ ადამიანისათვის

არის საჭირო, რომელმაც თანამედროვეებს უნდა უთხრას, როგორ მოიქცნენ, რომ ღირსეულად და ბედნიერად იცხოვრონ.

ბავშვობის ხანის ეს მდგომარეობა მის მეხსიერებას ცოცხლად შემოენახა, მაგრამ მეორე, ამ პირველის ერთგვარი გაგრძელება და მისი გარდამქმნელი, მიძინებული, გაქვავებული სახით არსებობდა, თუკი დასაშვებია, რომ ბრილიანტი ქვად მოვიხსენიოთ. ამ მდგომარეობას სიყვარული ერქვა, დიოთიმასთან შეხებისთანავე ახალი სიცოცხლისთვის რომ გამოეღვიძა. საინტერესო ის გახლდათ, რომ ამ გრძნობას არნჰაიმი ჭაბუკობისას ქალების და საერთოდაც რომელიმე კონკრეტული პიროვნების გარეშე ეზიარა და გამაოგნებელიც სწორედ ეს იყო. მოგვიანებით ამ ფენომენის თანამედროვე განმარტებებსაც გაეცნო, მაგრამ ამ მდგომარეობას თავს მაინც ვერ ართმევდა. „რასაც ის გულისხმობდა, შეიძლება, მხოლოდ ის აუხსნელი მოვლენა იყოს, რაც ჯერ არ მომხდარა; სახეების იმ იშვიათი გამომეტყველების მსგავსი, ამ სახეებს კი არა, უეცრად ყველა მოვლენის მიღმა ნავარაუდებ სახეებს რომ უკავშირდება. ეს იყო ხმაურში გაჟღერებული პატარა მელოდია, გრძნობები ადამიანებში; ხომ არსებობდა მასში გრძნობები, ჯერ გრძნობებად რომ არ ქცეულიყო მაშინ, როცა მისი სიტყვები მათ ეძებდა. თითქოს მასში რაღაც მოგრძო ფორმას იღებდა და წვეტებით თავისსავე თავში ეფლობოდა და ინამებოდა, როგორც ის საგნები, გაზაფხულის ციებცხელებიან ნათელ დღეებში ხანდახან რომ გრძელდება, მათი ჩრდილები ამ საგნებს სცილდება და ნაკადულში ანარეკლივით ერთი მიმართულებით მშვიდად მოძრაობს“. ცხადია, ბევრად გვიან და სხვაგვარად დასმული აქცენტებით ასე აღწერა ეს მდგომარეობა ერთმა მწერალმა, რომელსაც არნჰაიმი დიდად აფასებდა, რადგან პუბლიკის თვალს მოფარებული, იდუმალი ადამიანის ცოდნა ხელდასხმულობის ნიშნად ითვლებოდა. თვითონ არნჰაიმს ეს არ ესმოდა და ამგვარ ქარაგმებს ახალი სულის გამოღვიძებაზე საუბრებს უკავშირებდა, მისი ჭაბუკობის დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გაიგებდით, ან გოგონების მაღალ და გამხდარ სხეულებს, თანამედროვე მხატვრები ტილოებზე რომ გამოსახავდნენ და რომელთა ხორცსავსე ტუჩები ყვავილის ჯამს ჰგავდა.

მაშინ, დაახლოებით 1887 წელს („ღმერთო დიდებულო, ადამიანისთვის თითქმის ერთი საუკუნის წინ!“ – ფიქრობდა არნჰაიმი) მისი ფოტო თანამედროვე „ახალ“ ადამიანს

დაგანახვებდათ, როგორც იმ დროს ამბობდნენ ხოლმე, ანუ შავი ატლასის მაღალყელიან ჟილეტში გამოწყობილ და ფართო მძიმე შალის ჰალსტუხიან ახალგაზრდა კაცს, ბიდერმაიერის ეპოქის მოდას რომ მისდევდა და თან ახალ გამოგონებასავით საღილეში დამაგრებული ორქიდეის ჯადოსნური ბიწიერებით ბოდლერსაც რომ გაგახსენებდათ, როცა არნჰაიმ უმცროსი უხეშ თარგზე აჭრილი ვაჭრებისა და მამამისის მეგობრების საზოგადოებაში სუფრაზე საკუთარი თავის დასამკვიდრებლად მიდიოდა. სადაგ დღეებში გადაღებულ ფოტოებზე დუიმიან სახაზავს დაინახავდით, რბილი ქსოვილისგან შეკერილ ინგლისურ სამუშაო კოსტიუმთან სამკაულივით რომ მოჩანდა და ერთობ უცნაურ შეხამებას ქმნიდა. ზომაზე მეტად გახამებული მაღალი საყელო კი თავს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ასეთი იყო მაშინ არნჰაიმი და დღესაც კი თავის გამოსახულებას კეთილგანწყობით უყურებდა. გაზონებზე, ჩოგბურთის მოედნების ფუნქციას რომ ასრულებდა, ჩოგბურთს კარგად და უჩვეულო გატაცებით თამაშობდა; მამამისის და ყველას გასაკვირად, მუშათა შეკრებებზე დადიოდა, რადგან ციურიხში ერთწლიანი სწავლების დროს საძრახის სოციალისტურ იდეებს გასცნობოდა, თუმცა ისიც შეეძლო, რომ მეორე დღეს მუშათა დასახლებებში ცხენზე ამხედრებულს ეჯირითა. მოკლედ, ეს ყოველივე წინააღმდეგობრივი, მაგრამ სულიერების ახლებურად ქროლის ალიაქოთი გახლდათ, რომელიც კაცს იმის მომაჯადოებელ ილუზიას უქმნიდა, რომ შესაბამის ეპოქაში დაბადებულიყო. ეს ილუზია მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა მერე კი ხვდები, რომ მისი ღირებულება მის იშვიათობაში არ არის. მოგვიანებით არნჰაიმი კონსერვატიულ ტენდენციებს სულ უფრო მეტ ანგარიშს უწევდა და იმასაც კი ეჭვობდა, რომ მუდამ განახლებადი გრძნობა იმისა, რომ ამქვეყნად ბოლოს შენ მოხვედი, ბუნების ფუჭი ფლანგვა იყო. ამ გრძნობაზე კი უარს არ ამბობდა, რადგან საერთოდ არ უყვარდა, უარი ეთქვა იმაზე, რაც უკვე ჰქონდა, და მისი შემგროვებელი ბუნება საგულდაგულოდ ინახავდა თავის თავში ყველაფერს, რაც მაშინ ამქვეყნად არსებობდა. რაც უნდა მრავალფეროვანი და დასრულებული სახით წარმოედგინა თავისი ცხოვრება, დღეს უკვე ეჩვენებოდა, რომ ყველაზე ახლებურ და ძლიერ გავლენას მასზე სწორედ ის ახდენდა, რაც თავდაპირველად არარეალურად მიაჩნდა – რომანტიკული, წინასწარმეტყველური გრძნობა, რომელიც ჩასჩურჩულებდა,

რომ მხოლოდ ბობოქარი და დინამიკური სამყაროს ნაწილი კი არა, იმ სხვა სამყაროს ნაწილიც იყო, მასში შეკავებულ სუნთქვასავით რომ ლივლივებდა.

დიოთიმას წყალობით მეოცნებე გრძნობები თავდაპირველი ინტენსივობით დაუბრუნდა, რაც მის საქმიანობას მშვიდს ხდიდა და ჭაბუკობისდროინდელ წინააღმდეგობრივ აურზაურს აშოშმინებდა. იმედით სავსე სამომავლო პერსპექტივებმა ადგილი ცხადში ზმანებას და იმ გრძნობას დაუთმო, რომ ზედაპირიდან სიღრმისკენ მომზირალი სიტყვები, მოვლენები და მოთხოვნები ერთი და იგივე იყო. ასეთ წუთებში პატივმოყვარეობაც კი დუმდებოდა და რეალური მოვლენები ბაღისმიღმა ხმაურივით შორეული ხდებოდა. ეჩვენებოდა, რომ სული ნაპირებს გასცდა და აი, აქ იყო. ეს არ იყო ფილოსოფია, ეს რეალური შეგრძნება იყო, სწორედ ისეთი, როცა დილის ცაზე დღის შუქით გაფერმკრთალებულ მდუმარე მთვარეს დაინახავ. მართალია, ასეთ მდგომარეობაში ახალგაზრდა პაულ არნჰაიმიც სადილობდა ფეშენებელურ რესტორნებში, საზოგადოებაში საგულდაგულოდ ჩაცმული ჩნდებოდა და ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც უნდა ეკეთებინა, მაგრამ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ამ არნჰაიმიდან იმ არნჰაიმამდე სწორედ იმდენივე მანძილი იყო, რამდენიც მეორე ადამიანამდე ან საგნამდე. გარე სამყარო მის კანთან არ მთავრდებოდა, არც შინაგანი სამყარო ანათებდა მხოლოდ აზროვნების ფანჯრიდან. ეს ორი სამყარო, უსიზმრო ძილივით ალერსიანი, მშვიდი და მაღალი, ერთ განუყოფელ მთლიანობად ქცეულიყო. აღარაფერი იყო დიდი ან პატარა. მორალური თვალსაზრისით ყველაფერი ტოლფასოვნად და ტოლმნიშვნელოვნად იქცა; ლექსი და ქალის ხელზე ამბორი იმდენივეს იწონიდა, რამდენსაც თხზულებათა მრავალტომეული ან პოლიტიკური გმირობა. ყველანაირი ბოროტება ისევე უაზრო გახდა, როგორც ზედმეტი ხდება სიკეთე ამქვეყნად არსებულთა, რომელთაც დასაბამიერი ნათესაობით აერთიანებს. ასე რომ, არნჰაიმი სრულიად ჩვეულებრივად იქცეოდა. უბრალოდ, ყველაფერი ისე ხდებოდა, რომ მის მნიშვნელობას ვერ მოიხელთებდით, მოცახცახე ალის უკან სულიერი ადამიანი იდგა უმოძრაოდ და ფიზიკურ ადამიანს უყურებდა, რომელიც ვაშლს ჭამდა ან მკერავს კოსტიუმებისთვის ზომებს აღებინებდა.

რა იყო ეს: ფანტაზია თუ რეალურობის აჩრდილი, რომლის

ბოლომდე შეცნობაც ვერასდროს ხერხდება? ამ კითხვას მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება გაეცეს: ყველა რელიგია განვითარების გარკვეულ საფეხურზე ამტკიცებდა, ეს რეალობაა, ისევე, როგორც შეყვარებულები, რომანტიკოსები, ყველა, ვინც მთვარისკენ, გაზაფხულისკენ და შემოდგომის პირველ დღეთა ნეტარი კვდომისკენ არის მიდრეკილი. შემდეგ ეს ყველაფერი ისევ ქრება, ორთქლდება, ხმება და ერთმანეთისგან ვეღარც განასხვავებ. ერთ დღეს კი აღმოაჩენ, რომ მისი ადგილი სხვას დაუკავებია და ამ ყველაფერს ისევე სწრაფად ივიწყებ, როგორც არარეალურ მოვლენებს, ოცნებებს და ფანტაზიებს. რადგან დასაბამიერი და სამყაროს სიყვარულის გრძნობა უმეტესწილად პირველ სიყვარულთან ერთად ჩნდება, მოგვიანებით თავს იმშვიდებ და ფიქრობ, რომ მისი ფასი იცი. მას სისულელეთა რიცხვს მიაწერ და მისი არსებობა ამომრჩევლის პოლიტიკური უფლების მიღებამდე დასაშვებად მიგაჩნია. აი, ასეთი ბუნება ჰქონდა ამ გრძნობას და რადგან არნჰაიმი მას ქალს არ უკავშირებდა, ამიტომ ის თავისთავად მისი გულიდან ვერც ამოიშლებოდა. სამაგიეროდ მას სხვა შთაბეჭდილებები ფარავდა და არნჰაიმს ეს მაშინ დაეტყო, როცა სტუდენტობის და მოცალეობის ჟამი დამთავრდა და მამის საქმიანობაში ჩაება. სანახევროდ ის არაფერს აკეთებდა და მალე აღმოაჩინა, რომ შემოქმედებითი და მართებული ცხოვრება უფრო დიდი ლექსია, ვიდრე ის, რასაც საწერ მაგიდასთან მგოსანი თხზავს.

ამ დროს პირველად გამოვლინდა მისი ტალანტი – ყოფილიყო სამაგალითო. ცხოვრების პოემას სხვა დანარჩენი პოემებისგან განსხვავებით ხომ ის უპირატესობა აქვს, რომ მისი ტექსტი შინაარსისგან დამოუკიდებლად მთავრული ასოებითაა აწყობილი. ყველაზე პატარა ვოლონტიორის გარშემო, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის ფირმაში მუშაობს, სამყარო ბრუნავს და ქვეყნის ნაწილები მას მხარზემოდან უყურებენ; ასე რომ, მნიშვნელობას მისი არც ერთი ქმედება არაა მოკლებული. საკუთარ კაბინეტში გამოკეტილი ავტორის გარშემო კი, ტყავიდანაც რომ გამოძვრეს, ბუზების მეტი არაფერი იტრიალებს. ეს იმდენად ცხადია, რომ ბევრ მათაგანს, როგორც კი ცხოვრების მასალით იწყებს შექმნას, ყოველივე ის, რაც ადრე აღელვებდა, „წმინდა წყლის ლიტერატურად“ ეჩვენება, ან, უკეთეს შემთხვევაში, სუსტ, ბუნდოვან, უფრო ხშირად კი წინააღმდეგობრივ, თვითგამანადგურებელ, იმ ხმაურის

შეუსაბამო საქმიანობას ეწევა, რაც მის გარშემოა შექმნილი. არნჰაიმის შემთხვევაში, ცხადია, მთლად ასე არ ხდებოდა. ის არც იმ მშვენიერ გატაცებებს უარყოფდა, რაც ხელოვნებასთან აკავშირებდა და არც სხვა რამეს, რაც უწინ აღელვებდა, და მათ სისულელედ და ახირებად არ მიიჩნევდა. მას შემდეგ, რაც მეოცნებე, ჭაბუკობისდროინდელ ცხოვრების ყაიდასთან შედარებით მოწიფული ურთიერთობების უპირატესობა აღიარა, ცდილობდა, მისით ეხელმძღვანელა და განცდათა ეს ორი ჯგუფი ერთ მთლიანობად შეერწყა. ფაქტობრივად, ის სწორედ ისე იქცეოდა, როგორც ადამიანთა ის უმრავლესობა, რომელიც საზოგადოების განათლებულ ფენას წარმოადგენს. ცხოვრების ფერხულში ჩაბმისას უწინდელ ინტერესებზე არათუ უარს არ ამბობენ, უფრო მეტიც, ჭაბუკობისდროინდელ მეოცნებე გატაცებებთან მშვიდი, მოწიფული დამოკიდებულება უჩნდებათ. ცხოვრების დიდებული პოემის აღმოჩენა, რომლის შექმნაშიც თავად მონაწილეობენ, კვლავაც დილეტანტის გაბედულებას ანიჭებთ, იმ გაბედულებას, საკუთარი ლექსების დახევისას რომ დაკარგეს. ცხოვრების შექმნაში მონაწილეთ სრული უფლება აქვთ, საკუთარ თავს ისე შეხედონ, როგორც დაბადებით სპეციალისტს, და ცდილობენ, ყოველდღიური საქმე სულიერი პასუხისმგებლობით განმსჭვალონ; გრძნობენ, რომ ათასობით პატარ-პატარა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ, რათა ცხოვრება ზნეობრივი და ლამაზი გახადონ. ნიმუშს გოეთეს ცხოვრებიდან იღებენ და აცხადებენ, რომ მუსიკის, ბუნების, ბავშვებისა და ცხოველების უცოდველ თამაშზე დაკვირვების ან კარგი წიგნის გარეშე ცხოვრება სიხარულს ვერ მოჰგვრიდათ. აი ეს გასულიერებული საშუალო ფენა გერმანიაში დღესაც ხელოვნებისა და ლიტერატურის, თუ ის მეტისმეტად რთული არ არის, ძირითადი მომხმარებელია, მაგრამ ამ ფენის წარმომადგენლები ხელოვნებას და ლიტერატურას, რომლებიც ერთ დროს საკუთარი სურვილების მწვერვალად ესახებოდათ, ყოველ შემთხვევაში, ცალი თვალით მაინც, როგორც განვლილ ეტაპს, ზემოდან უყურებენ – თუნდაც ეს ეტაპი თავისებურად სრულყოფილი იყოს – ან მასზე ზუსტად ისეთი მოსაზრებისანი არიან, როგორიც ფურცლოვანი რკინის ფაბრიკანტს ექნებოდა თაბაშირის ფიგურების შემქმნელ მოქანდაკეზე, თუ ისეთ სისუსტეს გამოავლენდა, რომ მის ნახელავს მშვენიერად ჩათვლიდა.

განათლებულ საშუალო ფენას და არნჰაიმს შორის ისეთივე მსგავსება იყო, როგორიც დეკორატიულ, გაფურჩქნილ მიხაკსა და გაქუცულ, გზის პირას ამოსულ ველურ მიხაკს შორის. სულიერ ძვრებზე, პრინციპულ განახლებებზე ის არასდროს ფიქრობდა. მისთვის მთავარი უკვე არსებულთან შეთავსება, მსუბუქი კორექტურა, ავტორიტეტის მქონე ძალთა გახუნებული პრივილეგიის მორალური გამოცოცხლება იყო. სნობი არასდროს ყოფილა და არც არისტოკრატიის წინაშე იხრიდა ქედს. სამეფო კარზე მიღებული გახლდათ და ურთიერთობა ჰქონდა როგორც არისტოკრატებთან, ისე ბიუროკრატიულ ელიტასთან. მათთან სიახლოვეს ეძებდა არა როგორც მიმბაძველი, არამედ უბრალოდ, როგორც კონსერვატორულ-ფეოდალური ცხოვრების წესის მოყვარული, რომელსაც თავისი ბურჟუაზიული, ასე ვთქვათ, ფრანკფურტულ-გოეთეანური წარმომავლობა ახსოვდა და დავიწყება არც სურდა. მისი ოპოზიციონერობა ამით ამოიწურებოდა და ამაზე მეტი კონტრასტულობა უმართებულოდ ეჩვენებოდა. გულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, რომ საქმიანი ადამიანები – ახალი ეპოქის დადგომისთანავე ცხოვრების ბატონ-პატრონი კომერსანტების მეთაურობით გაერთიანებულნი – იმისთვის იყვნენ მოწოდებული, რომ ერთ დღეს ძველი ძალები შეეცვალათ. ეს აზრი მას რაღაცნაირ მშვიდ ქედმაღლობას უნერგავდა, რომლის მართებულობაც შემდგომმა განვითარებამ ცხადყო. რომც დავუშვათ, რომ ფული პრეტენზიას ძალაუფლებაზე აცხადებს, მაინც ღიად რჩება ის საკითხი, როგორ უნდა იქნეს სწორად გამოყენებული მოპოვებული ძალაუფლება. ბანკის დირექტორებისა და მსხვილი მეწარმეების წინამორბედებს კარგად ჰქონდათ საქმე. ისინი რაინდები იყვნენ და მეტოქისგან ხორციან წვნიანს ამზადებდნენ. სამაგიეროდ სულიერი იარაღი ეკლესიას გადაულოცეს. თანამედროვე ადამიანს ამქვეყნად საიმედო მეთოდი – ფული – კი გააჩნია, თანაც ეს მეთოდი, შესაძლოა, გილიოტინის ნაჯახივით ზუსტი და მაგარიც იყოს, მაგრამ თან რევმატიზმით დაავადებულივით მგრძნობიარეცაა – თუნდაც საბირჟო კურსი ავიღოთ, სულ მცირე მიზეზით ციებცხელებიანივით რომ იცვლება – უფაქიზესი ძაფებით რომ უკავშირდება ყველაფერს, რაც მის ძალაუფლებაშია. ცხოვრების მთელი სტრუქტურის ამ უფაქიზესი კავშირების წყალობით, რომლის დავიწყებაც მხოლოდ იდეოლოგიის ბრმა ქედმაღლობას თუ შეუძლია,

არნჰაიმი მეფურ კომერსანტში რევოლუციურობისა და მუდმივობის, ძალისა და ბურჟუაზიული ცივილიზაციის, გონივრული რისკისა და ღრმა ცოდნის სინთეზს, და რაც მთავარია, დემოკრატიის სიმბოლურ სახე-ხატსაც ხედავდა. საკუთარ თავზე მკაცრი და შეუპოვარი მუშაობით, მისთვის ხელმისაწვდომი ეკონომიკური და სოციალური კავშირების სულიერი ორგანიზაციით, სახელმწიფოს მართვასა და მის მშენებლობაზე ფიქრით იგი ახალ ეპოქას ეგებებოდა, სადაც ბედისწერითა და ბუნების ნებით არათანაბარი საზოგადოებრივი ძალები ნაყოფიერად და სწორად იქნებოდა დაყოფილი და იდეალი რეალობასთან შეხებისას კი არ დაიმსხვრეოდა, არამედ განიწმინდებოდა და განმტკიცდებოდა. სათქმელს საქმიან ჟღერადობას თუ მივანიჭებდით, სულისა და კომერციის ინტერესების შერწყმა ყოვლის დამაგვირგვინებელი ცნების „კომერციის მეფის“ შექმნით შეძლო, სიყვარულის გრძნობა კი, ოდესღაც რომ არწმუნებდა, ამქვეყნად ყველაფერი ძირისძირში ერთიაო, ახლა უკვე კულტურისა და კაცობრიობის ინტერესებთან ერთად და მათთან ჰარმონიაში მის მოსაზრებათა ბირთვად ქცეულიყო.

დაახლოებით ამ პერიოდში დაიწყო არნჰაიმმა თავისი ნაწერების გამოქვეყნება, სადაც სიტყვა „სული“ ხშირად შეგხვდებოდათ. შეიძლება გვევარაუდა, რომ ამას ის, როგორც მეთოდს, უპირატესობას და საკვანძო სიტყვას, ისე იყენებდა, რადგან ცნობილია, რომ თავადებს და გენერლებს სული არ გააჩნიათ, ფინანსისტთა შორის კი არნჰაიმი პირველი იყო, ვისაც ის ჰქონდა. ცხადია, ამ შემთხვევაში ისიც თამაშობდა გარკვეულ როლს, რომ არნჰაიმს თავისი უახლოესი, მეტად გონიერი გარემოცვისგან, კერძოდ კი მამის მბრძანებლური ბუნებისგან, იმ მეთოდით უნდა დაეცვა თავი, რაზეც საქმიან ჭკუას ხელი არ მიუწვდებოდა. მამის გვერდით არნჰაიმი ტახტის მემკვიდრის როლს თამაშობდა, რომელსაც თანდათან ემატებოდა ასაკი. ისიც უდავოა, რომ არნჰაიმის პატივმოყვარულმა სწრაფვამ ცოდნის დაუფლებისკენ – ყოვლისმცოდნეობის მის ამ ჟინს ამქვეყნად ვერაფერი დააკმაყოფილებდა – მის სულში იმ ყველაფერის გაუფასურების საშუალება მოძებნა, რასაც მისი გონება ვერ ეუფლებოდა. ამ თვალსაზრისით, არნჰაიმი არ განსხვავდებოდა ეპოქისგან, რომელიც რელიგიას რელიგიური მოწოდების გამო კი არ დაბრუნებოდა, არამედ ფულის, ცოდნისა და

ანგარიშიანობის წინააღმდეგ ქალურად ახირებული პროტესტის გამო, რასაც ეპოქა წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა. გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო ისიც, თავად თუ სწამდა სულის, როცა მასზე ლაპარაკობდა და თუ თვლიდა, რომ ფლობდე სულს, ისევე რეალურია, როგორც – ფლობდე აქციებს. ამ სიტყვას არნჰაიმი ისე იყენებდა, როგორც ტერმინს, რათა გამოეხატა ის, რასაც სხვაგვარად ვერ გამოხატავდა; შინაგან მოთხოვნილებას დამორჩილებული – იგი ხომ ორატორი იყო და სხვას სიტყვას არ ანებებდა – მოგვიანებით მიხვდა, რომ ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენის უნარი ჰქონდა და ხშირად თავის წიგნებში სულზე ისე წერდა, თითქოს მისი არსებობა ისევე სარწმუნო იყო, როგორც ზურგისა, თუმცა მას ცხადლივ ვერ ვხედავთ. უცნაური ჟინით შეპყრობილს, დაეწერა იმაზეც, რაც თავისთავად ცხადი და თან მრავალმნიშვნელოვანია, რაც ამქვეყნიურ საქმეებში ისეა ჩართული, როგორც დუმილი გაცხოველებულ საუბარში. ცოდნის მნიშვნელობას ის არ უარყოფდა, პირიქით, ღრმა შთაბეჭდილებას სწორედ იმით ახდენდა, რომ ცოდნას ასე საგულდაგულოდ იძენდა; მაგრამ შთაბეჭდილების მოხდენის შემდეგ აცხადებდა, რომ სიბრძნის სამეფო გამჭრიახი გონებისა და სიზუსტის მიღმაა, რომლის შემეცნებაც მხოლოდ ნათელხილვით მიიღწევა. არნჰაიმი აღწერდა ნებას – სახელმწიფოს და მსოფლიოს ისტორიის შემოქმედს, რათა მსმენელი მიეხვედრებინა, რომ მიუხედავად თავისი მნიშვნელოვნებისა, იგი მხოლოდ ხელი იყო, რომელსაც უხილავ სამყაროში მფეთქავი გული მართავდა. მსმენელს ტექნიკურ პროგრესს ისე უბრალოდ უხსნიდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ბურჟუას წარმოედგინა და თან იქვე დასძენდა, ბუნების და გონების ძალთა ამგვარი ხარჯვა საბედისწერო უმეცრებაა, თუ ვერ ვხვდებით, რომ ისინი ჩვენ ქვემოთ, სიღრმეში ოკეანის ღელვაა, რომელსაც ტალღები ვერ ამღვრევსო. ამ აზრებს იგი გაძევებული დედოფლის რეგენტივით წარმოთქვამდა, მისგან მიღებული მითითებების თანახმად რომ ცდილობს მსოფლიო წესრიგის დამყარებას.

იქნებ წესრიგის დამყარება მისი ყველაზე ძლიერი ჟინი იყო, იმაზე მეტი ძალაუფლებისკენ სწრაფვა, ვიდრე ის, რის უფლებაც თვით არნჰაიმისნაირ ადამიანს შეეძლო მიეცა საკუთარი თავისთვის. ამიტომაც რეალობის სფეროში ესოდენ გავლენიანი ადამიანი წელიწადში სულ მცირე ორჯერ მაინც განმარტოვდებოდა ხოლმე ბრანდენბურგის საკუთარ

სასახლეში და მდივან-სტენოგრაფისტს წიგნს კარნახობდა. იმ უცნაურ გრძნობას, პირველად და ყველაზე ძლიერად ჭაბუკობისას რომ იფეთქა, ახლა უკვე გზა გაეკვალა, მაგრამ დროდადრო შერბილებული ძალით მაინც მოიცავდა ხოლმე. მსოფლიო მნიშვნელობის საქმეებში ჩართულს ეს გრძნობა მონასტრის სიმშვიდის მწვავე ნოსტალგიასავით და მოდუნებულობის ტკბილ განცდასავით ეუფლებოდა და ჩასჩურჩულებდა, რომ ყველა წინააღმდეგობრიობა, დიდი იდეები თუ მსოფლიო მოვლენები არა მარტო იმ მცდარი თვალსაზრისით არის ერთი და იგივე, რომელსაც „კულტურისა“ და „ჰუმანიზმის“ ცნებაში ვგულისხმობთ, არამედ პირდაპირი, უმოქმედო მნიშვნელობითაც. სწორედ ასე გაჰყურებ ხოლმე გულხელდაკრეფილი მდინარეს და ველებს ავადმყოფურად ლამაზ დღეებში და თავს გარემოსაგან ვეღარ მიჯნავ. ამ აზრით, არნჰაიმის მწერლობა კომპრომისი იყო. და რადგან სული არა მხოლოდ ერთია და შეუცნობელი, არამედ დევნილიცაა და მსოფლიო მოვლენებზე ერთადერთი, ბუნდოვანი ან მრავალმნიშვნელოვანი ხერხით გვეხმაურება, ამიტომ წლებთან ერთად არნჰაიმი იმ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელშიც ლეგიტიმისტები და წინასწარმეტყველნი ვარდებიან ხოლმე, როცა საქმე ჭიანურდება. საკმარისი იყო, არნჰაიმი საწერ მაგიდას მისჯდომოდა და კალამი მას ზებუნებრივი პროდუქტიულობით სულიდან გონების, ზნეობრიობის, ეკონომიკისა და პოლიტიკის პრობლემებისკენ მიუძღვებოდა, რომლებიც, სინათლის უხილავი წყაროთი განათებულნი, მაგიურ შუქზე ნათლად ჩნდებოდნენ. გაფართოებისკენ სულის ამ სწრაფვაში რაღაც თავბრუს დამხვევიც იყო. ის თან ცნობიერების გახლეჩასთანაც იყო დაკავშირებული, რაც ბევრისთვის ლიტერატურული მოღვაწეობის წინაპირობაა: გონება გამორიცხავს და ივიწყებს ყველაფერს, რაც მას ხელს არ აძლევდა. რომელიმე მოსაუბრეს, რომლის არსებობაც მიწიერ საკითხებთან აკავშირებდა, საუბარს გრძლად არ გაუბამდა, ფურცელზე თავდახრილი კი, რომელიც მზად იყო, მისი მოსაზრებები აესახა, შეხედულებათა მეტოფორულ გამოთქმას სჯერდებოდა. ასე გამოთქმული მისი აზრები მყარი მხოლოდ უმცირეს ნაწილში იყო, დიდწილად კი იგი სიტყვიერ ბურუსს ქმნიდა. ამ ბურუსის ერთადერთი კავშირი რეალობასთან – სხვათა შორის, არცთუ უმნიშვნელო – იმაში მდგომარეობდა, რომ უნებლიეთ მუდამ ერთსა და იმავე ადგილებში

ჩამოწვებოდა ხოლმე.

მას, ვინც ამის გამო არნჰაიმს განსჯის, უნდა ახსოვდეს, რომ სულიერ პლანში ორმაგი პიროვნულობა დიდი ხანია აღარ არის ის ფოკუსი, რომელიც მხოლოდ სულელებს ხელეწიფებოდათ და რომ თანამედროვე ტემპის პირობებში პოლიტიკური კეთილგონიერების შესაძლებლობა, საგაზეთო სტატიის დაწერის უნარი, ხელოვნებასა და ლიტერატურაში ახალ მიმდინარეობათა რწმენა და უთვალავი მსგავსი რამ იმ ნიჭს ემყარება, რომ გარკვეულ საათებში საკუთარ შეხედულებათა საპირისპირო მოსაზრებებში უნდა იყო დარწმუნებული, ცნობიერების საერთო შინაარსიდან რომელიმე ნაწილის გამოყოფა და შემდგომ მისი ახალ შეხედულებებამდე განვრცობის უნარი უნდა შეგწევდეს. ის, რომ არნჰაიმი არასდროს იყო დარწმუნებული იმაში, რის შესახებაც ლაპარაკობდა, მისი ერთგვარი უპირატესობა იყო. მოწიფულობის წლებში ამქვეყნად არსებულის მიმართ თავისი მოსაზრებები უკვე გამოეხატა, ფართო თვალსაწიერიც ჰქონდა და ვერც იმ ზღვარს ხედავდა, სადაც ძველი მოსაზრებებიდან ჰარმონიულად განვითარებული ახლის ჩამოყალიბებას შეწყვეტდა. ეფექტურად მოაზროვნე ადამიანს, ცნობიერების სხვაგვარ მდგომარეობაში რენტაბელობისა და ბალანსის ანგარიშიანობას კარგად რომ ხედავს, არ შეიძლება გამოეპაროს, რომ, რაც უნდა განუზომლად ფართოვდებოდეს, ასეთი საქმიანობა მაინც ბუნდოვანი და გაურკვეველია. საზღვარს მხოლოდ საკუთარი პერსონის მთლიანობას უდგენდა, საკუთარი თავის ფასიც იცოდა, მაგრამ მისი გონება მაინც ვერ კმაყოფილდებოდა. მიზეზს იმ ირაციონალურ ნარჩენს მიაწერდა, გათვითცნობიერებულ დამკვირვებელს ცხოვრება ყველგან რომ უჩვენებს. არნჰაიმი მხრებს იჩეჩავდა და თავს იმით იმშვიდებდა, რომ თანამედროვე ეპოქაში ყოველივე უნაპიროა და რადგან საკუთარი ეპოქის სისუსტეზე მაღლა ვერავინ დგება, ის ამაში დიდი ადამიანებისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობის გამოსახატავად შესაშურ შესაძლებლობასაც ხედავდა, ჰომეროსსა და ბუდას კი შურის გარეშე საკუთარ თავზე მაღლა აყენებდა, რადგან ისინი უფრო სასურველ ეპოქაში ცხოვრობდნენ. დროთა მანძილზე, როცა მისმა ლიტერატურულმა წარმატებამ მწვერვალს მიაღწია, მის – ტახტის მემკვიდრის – ცხოვრებაში კი არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, ირაციონალური ნარჩენი და გრძნობა იმისა, რომ

მიზანს ასცდა და თავდაპირველი ნება მიივიწყა, დამთრგუნველად გაიზარდა. საკუთარი შემოქმედების შემხედვარეს, კმაყოფილების უფლება ჰქონდა, მაგრამ ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ეს აზრები იმ პირველწყაროს აშორებდა, რომელიც საკუთარ თავს ასე ნოსტალგიურად ახსენებდა და თითქოს ბრილიანტისგან ნაგებ კედელსაც ხედავდა, რომელიც დღითი დღე სქელდებოდა.

სწორედ ბოლო დროს შეემთხვა ერთი ამდაგვარი უსიამოვნება, რამაც არნჰაიმი ძლიერ ააფორიაქა. მოცალეობისას, რომელსაც ახლა ჩვეულებრივზე უფრო ხშირად მიეცემოდა ხოლმე, ერთხელ მდივანს საბეჭდ მანქანაზე სტატიას კარნახობდა, რომელიც სახელმწიფოებრივ არქიტექტურასა და სახელმწიფოებრივ აზროვნებას შორის შესატყვისობას შეეხებოდა. კარნახის დროს ფრაზა „კედლების მდუმარებას მაშინ ვხედავთ, როცა ნაგებობას ვუყურებთ“ სიტყვა „მდუმარებაზე“ შეწყვიტა და ერთ წამს წარმოსახვაში Cancelleria-ს ხილვით ტკბებოდა, უნებლიეთ თვალწინ რომ წარმოუდგა. შემდეგ ნაბეჭდ ტექსტს ჩახედა და შეამჩნია, რომ მდივანს, რომელსაც ჩვევად ჰქონდა, მისთვის წინ გაესწრო, დაეწერა: „ სულთა მდუმარებას მაშინ ვხედავთ, როცა...“ იმ დღეს არნჰაიმმა კარნახი შეწყვიტა, მეორე დღეს კი მდივანს ეს ფრაზა გადააშლევინა.

რას იწონიდა უფერული, ქალთან ფიზიკურად დაკავშირებული სიყვარული ფარულ მიზეზთა ფართო და ღრმა განცდასთან შედარებით? სამწუხაროდ, არნჰაიმი თავს უნდა გამოსტყდომოდა, რომ ეს იმდენივეს იწონიდა, რამდენსაც მისი ცხოვრების შემაჯამებელი დასკვნა, რომ გონებისკენ მიმავალი ყველა გზა სულზე გადის, მაგრამ უკან არც ერთი არ ბრუნდება! არნჰაიმთან ახლო ურთიერთობის ბედნიერება, ცხადია, მრავალ ქალს ერგო და თუ მათ პარაზიტული ბუნება არ ჰქონდათ, ან საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდათ მიღებული, ან ხელოვნების რომელიმე დარგის მოღვაწენი იყვნენ. სხვის კმაყოფაზე მცხოვრებ ქალებთან ან იმათთან, დამოუკიდებელი შრომით რომ ირჩენენ თავს, საერთო ენის გამოძებნა სრულიად გარკვეული პირობების საფუძველზეა შესაძლებელი. არნჰაიმის ბუნების მორალურ მოთხოვნებს იგი იმ კავშირებამდე მიჰყავდა, სადაც ინსტინქტი და ქალებთან მისი დისკუსიები საყრდენს გონებაში პოულობდა. დიოთიმა კი ერთადერთი ქალი იყო, ვისაც მორალის მიღმა მისი ფარული

ცხოვრება განეჭვრიტა და ამიტომ არნჰაიმი მას ხანდახან შურით უყურებდა. განა ვინ იყო დიოთიმა? ერთი, თუნდაც მაღალი რანგის, ჩინოვნიკის ცოლი და სხვა არავინ, თანაც იმ პეწის გარეშე, ძალაუფლება რომ ანიჭებს კაცს. მას კი შეეძლო, პრეტენზია განეცხადებინა გოგოზე, რომელიც ამერიკელი მაგნატების ან ინგლისური არისტოკრატიული წრიდან იქნებოდა. არნჰაიმს ისეთი წუთებიც ჰქონდა, როცა მათ შორის აღზრდაში განსხვავება ბავშვური ამპარტავნობით ან ნასათუთები ბავშვის იმ შიშივით მჟღავნდებოდა, პირველად რომ მოხვდება საჯარო სკოლაში. ასეთ დროს დიოთიმასადმი სიყვარული, სულ უფრო და უფრო რომ იზრდებოდა, სამარცხვინოდ ეჩვენებოდა. ასეთ წუთებში საქმეს ხელს მკვდრეთით აღმდგარი სულის ყინულივით ცივი უპირატესობით ჰკიდებდა და ფულისკენ მიმართული გულგრილი გონება სიყვარულთან შედარებით უჩვეულოდ სუფთა ძალად ესახებოდა.

ეს სხვას არაფერს ნიშნავდა, გარდა იმისა, რომ მისთვის ის დრო დამდგარიყო, როცა ტყვე ვერ ხვდება, როგორ დათმო თავისუფლება და იგი თუნდაც სიცოცხლის ფასად არ დაიცვა. როცა დიოთიმა ამბობდა: „რა არის მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა? Un peu de bruit autour de notre âme!..“, არნჰაიმი საკუთარი ცხოვრების ნაგებობის რყევას გრძნობდა.

87. მოორსბრუგერი ცეკვავს

მოორსბრუგერი ამ დროს ჯერ კიდევ საოლქო სასამართლოს წინასწარი დაკავების საკანში იჯდა. მისმა ადვოკატმა ახალი მხარდაჭერა მიიღო და ცდილობდა, მოორსბრუგერის საქმე კალმის ერთი მოსმით არ დაესრულებინა.

მოორსბრუგერს ამაზე ეღიმებოდა. მას მოწყენილობისგან ეღიმებოდა, ის მის აზრებს უნანავებდა. საერთოდ, მოწყენილობა აზრებს აცხრობს, მას კი უნანავებდა. ეს ის მდგომარეობა იყო, როცა მსახიობი საგრიმიოროში ზის და სცენაზე გასვლას ელოდება.

მოორსბრუგერს დიდი ხმალი რომ ჰქონოდა, აიღებდა და სკამს თავს წააცლიდა. ის მაგიდასაც წააცლიდა თავს, ფანჯარასაც, პარაშასაც და კარსაც. მერე ამ ყველაფერს, რასაც თავს წააცლიდა, საკუთარს დაადგამდა, რადგან ამ საკანში მხოლოდ მისი საკუთარი თავი იყო და ეს მშვენიერი გახლდათ. შეეძლო,

წარმოედგინა, როგორ ჰქონდა წამოცმული საგნებს მისი თავი, რომელსაც განიერი ქალა ჰქონდა და საქოჩრიდან შუბლზე ჩამოზრდილი თმა ცხოველის ბეწვს მიუგავდა.

ნეტა საკანი უფრო დიდი ყოფილიყო და საჭმელი – უკეთესი! უხაროდა, რომ ადამიანებს ვერ ხედავდა. ადამიანების ატანა ადვილი არ იყო. რაღაც ისე იფურთხებოდნენ და მხრებსაც ისე იჩეჩავდნენ, რომ კაცს იმედს დაუკარგავდნენ და ისე მოგინდებოდა მათთვის ზურგზე მუშტის დარტყმა, თითქოს კედელში ხვრელი უნდა გაანგრიოო. მოორსბრუგერს ღმერთის არ სწამდა, მას მხოლოდ საკუთარი გონების სჯეროდა. მარადიულ ჭეშმარიტებებს მისთვის ამაზრზენი სახელები ერქვა: მოსამართლე, მღვდელი, ჟანდარმი. საკუთარი საქმე მარტოდმარტო უნდა ეკეთებინა. ასეთ დროს კი ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს ყველა გზას უღობავდა. თვალწინ ის ედგა, რაც ასე ხშირად ენახა: სამელნე, მწვანე მაუდის გადასაფარებელი, ფანქრები, შემდეგ კედელზე კაიზერის პორტრეტი და კიდევ – როგორ იჯდა ყველა. ეს ყველაფერი ხაფანგად ეჩვენებოდა, ფოთლებისა და ბალახის მაგივრად გრძნობებით რომ იყო დაფარული. მერე, როგორც წესი, ბუჩქი ახსენდებოდა, რომელიც მდინარესთან იზრდებოდა, ჭის ოწინარის ჭრიალი ესმოდა და გარემოს ერთმანეთში არეულ-დარეულ ნაწილებს ხედავდა. ეს მოგონებათა ულევი მარაგი იყო და ისიც კი აღარ ახსოვდა, რომ ოდესღაც მათგან რომელიღაც სიამოვნებდა. ის ოცნებობდა: „შემეძლო, მათთვის რამე მომეყოლა!“, როგორც ახალგაზრდა კაცი ოცნებობს ხოლმე. ამ ახალგაზრდა კაცს კი ისე ხშირად იჭერდნენ და სვამდნენ ციხეში, რომ ის სულ არ ბერდებოდა. „მეორედ ამას კარგად უნდა დავაკვირდე, – ფიქრობდა მოორსბრუგერი, – თორემ ვერ გამიგებენ“. შემდეგ ეღიმებოდა და მოსამართლეებთან საკუთარ თავზე მკაცრ მამასავით ლაპარაკობდა, თავის შვილზე რომ ამბობს: უვარგისია, დაიჭირეთ ერთი და ჩასვით, იქნებ გონს მოეგოს!

ბუნებრივია, ციხის წესებზე ხანდახან ბრაზობდა ან რამე სტკიოდა ხოლმე. ასეთ დროს ციხის ექიმთან ან დირექტორთან მიყვანას ითხოვდა. ამის შემდეგ ყველაფერი კალაპოტში დგებოდა და მკვდარ ვირთხაზე გადასხმული წყალივით მშვიდდებოდა. ცხადია, ეს ყველაფერი ამ სახით არ წარმოედგინა, მაგრამ ის შეგრძნება, რომ წყალივით ფართოვდებოდა, რომელიც თან ყველაფერს ირეკლავს და

რომელსაც წინ ვერაფერი ეღობება, მუდამ სდევდა, თუმცა ამ გრძნობების გამოსახატავად სიტყვები არ ჰყოფნიდა.

სიტყვები ასეთი ჰქონდა: ჰმ, ჰმ, ასე, ასე.

მაგიდა მოორსბრუგერი იყო.

სკამი მოორსბრუგერი იყო.

გისოსებიანი ფანჯარა და ჩარაზული კარი თავად იყო.

ეს მას გიჟურად და უცნაურად არ ეჩვენებოდა. უბრალოდ, რეზინის თასმა გამქრალიყო. ყოველი საგნის და ქმნილების უკან, როცა მას მეორესთან მიახლოება უნდა, რეზინის თასმაა, რომელიც იჭიმება. ასე რომ არ იყოს, საგნები ერთმანეთში აირ-დაირეოდა. ყველა მოძრაობაში რეზინის თასმაა, რომელიც ადამიანს იმის გაკეთებაში უშლის ხელს, რაც მას სურს. რეზინის თასმები უცებ, ხელის ერთი მოსმით გაუჩინარდა. თუ რეზინის თასმებივით შემაწუხებელი გრძნობა გაქრა? ამას, ალბათ, ზუსტად ვერც განასხვავებ. „ქალები, მაგალითად, წინდებს რეზინის თასმით იმაგრებენ. აი, რაშია საქმე! – ფიქრობდა მოორსბრუგერი. – რეზინის თასმა ფეხზე ავგაროზივით აქვთ შემოჭერილი. კაბის ქვეშ. ხეხილზე შემოსალტული კირის რგოლებივით, მატლები რომ არ ააცოცდეს“.

ეს ისე, სიტყვაზე. ვინმეს რომ არ ეგონოს, მოორსბრუგერს მოთხოვნილება აქვს, ყველას ძმა უწოდოსო. ასეთი სწორედაც რომ არ იყო. უბრალოდ, ის შიგნითაც იყო და გარეთაც. ის ახლა ყველაფერს ფლობდა და ყველას უცაცხანებდა. სანამ მოკლავდნენ, ყველაფერს აწესრიგებდა. რაზეც მოესურვებოდა, იმაზე ფიქრობდა. კარგად გაწვრთნილი ძაღლივით წამში თვინიერი ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ციხეში გამოამწყვდიეს, განუსაზღვრელი ძალაუფლების შეგრძნება ჰქონდა.

წვნიანი დროულად მოუტანეს. დროულად გააღვიძეს და სასეირნოდაც დროულად გაიყვანეს. საკანში ყველაფერი განუხრელად და მკაცრი სიზუსტით ხდებოდა. ხანდახან დაუჯერებლადაც ეჩვენებოდა. ზოგჯერ ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ეს წესრიგი მისგან მოდიოდა. თუმცა იცოდა, რომ წესრიგი თავს მოახვიეს.

სხვებს ასეთი გრძნობა მაშინ უჩნდებათ, როცა ზაფხულში ღობის ჩრდილში წვანან, ფუტკრების ზუზუნი ესმით, პატარა მზე კი, მკაფიოდ რომ მოჩანს, რძისფერ ცაზე მოძრაობს. სამყარო მაშინ ასეთი ადამიანების გარშემო კურანტის მექანიკური ნაწილებივით ბრუნავდა. მოორსბრუგერისთვის გეომეტრიული სანახაობაც საკმარისი იყო, როგორსაც მისი საკანი წარმოადგენდა.

ამჩნევდა, რომ კარგი საჭმელი გიჟურად ენატრებოდა. ამაზე ოცნებობდა და როგორც კი მისი გონება სხვა საქმიანობისგან მოიცლიდა, დღისით-მზისით შემწვარი ღორის ხორცით სავსე თეფშის მოხაზულობას ხედავდა. „ორი თეფში! – უბრძანებდა ხოლმე მოორსბრუგერი. – ან სამი!“. ისეთი ძალით ფიქრობდა და წარმოსახვით სურათს ისე ხარბად ადიდებდა, რომ იმწამსვე ძღებოდა. გულის რევის შეგრძნება უჩნდებოდა, რადგან წარმოდგენაში ხორცს მიაძღებოდა ხოლმე. „რატომ მოჰყვება ხოლმე, – ფიქრობდა მოორსბრუგერი და თავს აქნევდა, – ჭამის სურვილს იმის შიში, რომ ცოტაც და გასკდები?“. ჭამასა და ჭამით გასკდომის შიშს შორის მთელი ამქვეყნიური სიამოვნებაა. ეჰ, ეს რა ქვეყანაა! ასობით მაგალითზე შეიძლებოდა იმის დამტკიცება, რა ვიწროც იყო ეს სივრცე. აი, ერთ-ერთი ასეთი მაგალითი: ქალი, შენ რომ არ გეკუთვნის, ისეთია, თითქოს ღამღამობით მთვარე ცაზე ამოდის და გულს გწოვს და გწოვს. თუ ქალი შენია, გინდა, რომ ჩექმებით სახე დაუჩეჩქვო. რატომ ხდება ასე? გაახსენდა, რომ მისთვის ეს კითხვა ხშირად დაუსვამთ. შეიძლებოდა გეპასუხა, რომ ქალები ქალებიც არიან და კაცებიც, რადგან ისინი ქალებს კუდში დასდევენ. მაგრამ იმათ, ვინც ამას ეკითხებოდა, არც ამის გაგება სურდათ. აინტერესებდათ, რატომ ეგონა მოორსბრუგერს, რომ ყველას მის წინააღმდეგ შეეკრა პირი. თითქოს მისი საკუთარი სხეულიც არ ყოფილიყო შეთქმულთა შორის! ქალების შემთხვევაში ეს ცხადზე უცხადესია. მაგრამ მის სხეულს კაცებთანაც მასზე უკეთ შეეძლო საერთო ენის გამოძებნა. სიტყვას სიტყვა მოსდევს, მთელი დღე ერთმანეთის გვერდით ტრიალებენ და უცებ იმ ვიწრო ზოლის მიღმა აღმოჩნდები, სადაც ერთმანეთთან ურთიერთობა სახიფათო არ არის; თუ მისკენ მას საკუთარი სხეული იზიდავდა, მაშინ მისგანაც მასვე უნდა გაეთავისუფლებინა! რამდენადაც მოორსბრუგერს ახსოვდა, ის ან ბრაზობდა, ან ეშინოდა და მკერდით და ხელებით იმ ნაგაზივით ეკვეთებოდა ხოლმე,

რომელსაც უბრძანებენ. ყველაზე მეტად ეს თვითონ მოორსბრუგერს არ ესმოდა. კეთილგანწყობასა და მოყირჭებულობას შორის სივრცე ვიწრო კია, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ეს სივრცე კიდევ უფრო შემზარავად ვიწროვდება.

კარგად ახსოვდა, რომ ადამიანები, აზრებს უცხო სიტყვებით რომ გამოხატავდნენ და გამუდმებით ასამართლებდნენ, ხშირად საყვედურობდნენ: „კი, მაგრამ ამისთვის ადამიანებს მაშინვე ხომ არ კლავენ?“.

მოორსბრუგერი მხრებს იჩეჩავდა. ისეც მომხდარა, რომ ადამიანები რამდენიმე გულდენისთვის მოუკლავთ ან სულაც არაფრისთვის. იმიტომ, რომ ვიღაცას ასე მოპრიანებია. თვითონ კი შეეძლო, თავი ხელში აეყვანა; თვითონ ასეთი არ ყოფილა. დროთა განმავლობაში ეს საყვედურები შიგ გულში ხვდებოდა. თვითონაც უნდოდა იმის გაგება, რატომ ევიწროებოდა დროდადრო ირგვლივ ყველაფერი და – როგორ ამბობენ? – ძალით უნდა გაეთავისუფლებინა ადგილი, რომ თავში შეგუბებული სისხლი ჩამოსცლოდა. ის ფიქრობდა. ფიქრის დროსაც ასე არ იყო? ფიქრისთვის კარგი დრო რომ დაუდგებოდა ხოლმე, გაღიმება უნდებოდა. მაშინ აზრები თავში აღარ უგუგუნებდა და უცბად ერთადერთი აზრიღა რჩებოდა. განსხვავება ისეთივე დიდი იყო, როგორიც ბავშვის ბაჯბაჯსა და ლამაზი ქალის ცეკვას შორის. ნამდვილი ჯადოქრობა იყო. ტუჩის გარმონი უკრავს, მაგიდაზე სანთელი ანთია, ღამის პეპლები სანთლის შუქზე ზაფხულის ღამიდან მოფრინავენ: აზრებიც ასე ეცემოდა სანთლის შუქს, ან მოორსბრუგერი იჭერდა და მოფრენისთანავე დიდი თითებით ჭყლეტდა. წუთიერად თითებს შორის ისინი პატარა ურჩხულებს ემსგავსებოდნენ. მოორსბრუგერის ერთი წვეთი სისხლი სამყაროში ეცემოდა. ამას ვერავინ დაინახავდა, რადგან ბნელოდა, მაგრამ მოორსბრუგერი გრძნობდა იმას, რაც უხილავ სამყაროში ხდებოდა. ის, რაც აწეწილ-დაწეწილი იყო, გარეთ სწორდებოდა, აბურდულ-აბურძგნული ლაგდებოდა. უხმო ცეკვა აუტანელ ზუზუნს ენაცვლებოდა, რომლითაც სამყარო ასე ტანჯავდა. ის, რაც ხდებოდა, ლამაზი იყო. სწორედ ასე ლამაზდება ხოლმე უშნო გოგო, როცა მარტო არ დგას, სხვას ხელს ჰკიდებს და ფერხულში ჩაბმული ბზრიალებს, სახე კი კიბესავით ზემოთ მიემართება და იქიდან სხვები ჩამოგყურებენ. ეს ძალიან უცნაური იყო და როცა

მოორსბრუგერი თვალებს ახელდა, ხალხს ხედავდა, რომლებიც ცეკვა-ცეკვით ემორჩილებოდნენ; ეჩვენებოდა, რომ ისინიც ლამაზები იყვნენ. ასეთ დროს მის წინააღმდეგ შეთქმულებაში აღარავინ იყო ჩართული და აღარც კედელი იყო აღმართული. აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ საგნებს და ადამიანებს სახეებს თურმე დაძაბულობა უმახინჯებდათ, როცა უნდოდათ, მისთვის ეჯობნათ, და მაშინ მოორსბრუგერი მათი თანდასწრებით ცეკვას იწყებდა. ცეკვავდა ღირსეულად, უჩინრად, ის, ვისაც თავისი სიცოცხლის მანძილზე სხვასთან არ უცეკვია, მუსიკას აყოლილი ცეკვავდა. მუსიკა თვითჩაღრმავებად და ძილად იქცა – ღვთისმშობლის წიაღად, თავად უფლის სიმშვიდედ, უცნაურ და მომაკვდინებლად განსხვავებულ მდგომარეობად. ცეკვავდა მთელი დღეები, ყველასგან უხილავად მანამ, სანამ შიგნიდან ყველაფერი გარეთ არ გამოაღწევდა და, მოყინულ აბლაბუდასავით მსხვრევადი და ფაქიზი, საგნებს არ აეკვრებოდა.

ვისაც მასთან ერთად ეს არ განეცადა, როგორ შეძლებდა მის განსჯას? მსუბუქ დღეებს და კვირებს, როცა მოორსბრუგერი საკუთარი ტყავიდან ძვრებოდა, ისევ ხანგრძლივი პატიმრობა მოსდევდა. სახელმწიფო ციხეები ამასთან შედარებით რა მოსატანი იყო! როცა ფიქრი უნდებოდა, მასში ყველაფერი ცარიელი და მწარე იკუმშებოდა. მუშათა კლუბები და საგანმანათლებლო წრეები, სადაც ეუბნებოდნენ, როგორ ეფიქრა, სძულდა. ახსოვდა, თითქოს ოჩოფეხებზე შემდგარ მის აზრებს გიგანტური ნაბიჯების გადადგმა შეეძლო. თითქოს რკინის ფეხისგულებით დედამიწის ზურგზე დაეხეტებოდა იმ იმედით, რომ ისეთ ადგილს იპოვიდა, სადაც ყველაფერი ისევ სხვაგვარად იქნებოდა.

ახლა კი შემწყნარებლურად ეღიმებოდა, როცა ამ იმედს იხსენებდა. ვერც ამ ორ მდგომარეობას შორის შეძლო შუალედური ადგილის მოძებნა, სადაც დარჩენას შეძლებდა. ყველაფერი მობეზრდა. მოახლოებულ სიკვდილს ღიმილით ეგებებოდა.

სხვათა შორის, ბევრი რამ ნახა: ბავარია, ავსტრია, თურქეთამდისაც ჩააღწია. სანამ ცხოვრობდა, ბევრი რამ მოხდა, რის შესახებაც გაზეთებში კითხულობდა. საზოგადოდ, ბობოქარი ეპოქა იყო და მოორსბრუგერი გულის სიღრმეში ამაყობდა, რომ ამ დროს ცხოვრობდა. მის მიერ განვლილი

ცხოვრებიდან ცალკეული ეპიზოდები რომ აგეღოთ, ბუნდოვან და სევდიან სურათს მიიღებდით. საერთო ჯამში კი მისი გზა მოვლენათა შუაგულში გადიოდა და დაბადებიდან სიკვდილამდე ნათლად ჩანდა. მოორსბრუგერი არ ფიქრობდა, რომ სჯიდნენ. სხვათა დახმარებით საკუთარ თავს ის თავად ისჯიდა. იმას, რაც უნდა მომხდარიყო, ასე ხედავდა და ყველაფერი რაღაცნაირად ერთ მთლიანობად შეიკრა: სოფლის შუკები, ქალაქები, ჟანდარმები, ჩიტები, მკვდრები და საკუთარი სიკვდილი. თვითონ ეს ბოლომდე არ ესმოდა და სხვებს – მით უმეტეს, თუმცა შეეძლოთ ამაზე მასზე მეტი ელაპარაკათ.

მოორსბრუგერმა გადააფურთხა და ცა გაახსენდა, რომელიც ლურჯ სათაგურს ჰგავდა. „სლოვაკიაში ასეთ მრგვალ, მაღალ სათაგურებს აკეთებენ“, – გაიფიქრა მან.

88. კავშირი დიდ საგნებთან

დიდი ხანია უნდა გვეხსენებინა ერთი გარემოება, რომელსაც მრავალ კავშირთან მიმართებაში ეხებიან. მისი ფორმულირება დაახლოებით ასეთია: არაფერია სულისთვის უფრო საშიში, ვიდრე დიდ საგნებთან მისი კავშირი.

ადამიანი სეირნობს ტყეში, ადის მთაზე და იქიდან ფეხთით გადაშლილ სამყაროს გადაჰყურებს, აკვირდება საკუთარ შვილს, რომელსაც ხელში ასაყვანად პირველად აწვდიან; ან ტკბება ბედნიერებით, რომელსაც საკუთარი მდგომარეობა განაცდევინებს და რის გამოც მისი ყველას შურს. გვებადება კითხვა: რა ხდება მასში ამ დროს? ცხადია, მას ეჩვენება, რომ რაღაც მნიშვნელოვანია, ღრმა და დიდი; უბრალოდ არ ჰყოფნის სწრაფად და გააზრებულად მოქმედების უნარი, რომ ის, ასე ვთქვათ, სიტყვაზე დაიჭირეს. განსაცვიფრებელი რამ მას მაგნიტური გარსივით არტყია და მისგან აზრებს გამოწოვს. მისი მზერა ათასობით დეტალშია ჩარჩენილი, მაგრამ ფარულად ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს ტყვია-წამლის მარაგი დაეხარჯოს. გარედან კი ეს გასულიერებული, მზით გაცისკროვნებული, ღრმა ან დიადი საათი სამყაროს თითოეულ ფოთოლს თუ მის თითოეულ ძარღვს გალვანური ვერცხლით ფარავს. მის მეორე, პერსონალურ ბოლოში კი შინაგანი ნივთიერების ნაკლებობა იგრძნობა და ასე ვთქვათ, დიდი, ცარიელი, მრგვალი „ნოლი“ ჩნდება. ეს მდგომარეობა როგორც

მარადიულთან და გრანდიოზულთან შეხების, ისე კაცობრიობისა და ბუნების ზენიტში ყოფნის კლასიკური სიმპტომია. მათი შინაგანი სამყარო, ვინც დიად საგნებს ანიჭებს უპირატესობას – მათ რიცხვს უპირატესად დიდი ადამიანები განეკუთვნებიან, ისინი, ვისთვისაც პატარა საგნები საერთოდ არ არსებობს – უნებლიეთ გარეთ გამოიწოვება, ფართოვდება და ზედაპირამდე ამოიწევს.

ამიტომ დიდ საგნებთან კავშირის საფრთხეს, შეიძლება, სულიერი ნივთიერების შენახვის კანონიც ვუწოდოთ და ეს კანონი, როგორც ჩანს, საზოგადოა. წარჩინებულთა მეტყველება, დიად საქმეებს რომ ემსახურებიან, ჩვენთან შედარებით, როგორც წესი, უფრო უშინაარსოა. დიდი ღირსების მქონე საგნებთან მჭიდროდ დაკავშირებულ აზრებს მათი მფარველობა რომ მოაკლდეთ, ჩამორჩენილად მიიჩნევდნენ. ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი მოვალეობები – ერის, მშვიდობის, კაცობრიობის წინაშე – ზურგით სულიერების ყველაზე იაფ ფლორას ატარებს. ასეთი სამყარო უკუღმართი იქნებოდა. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ თემის დამუშავება მით უფრო უმნიშვნელოა, რაც უფრო მნიშვნელოვანია თავად ეს თემა, მაშინ სამყაროს წესრიგიც ესაა.

ეს კანონი, რომელიც ევროპულ სულიერ ცხოვრებას გასაგებს ხდის, ყოველთვის ცხადად როდი ვლინდება. დიდი საგნების ერთი ჯგუფიდან ახალზე გადასვლის პერიოდში სული, დიდი საგნების მსახურებას რომ ელტვის, მეამბოხედ გამოიყურება, თუმცა მხოლოდ ლივრეას იცვლის. ეს გადასვლა უკვე მაშინ იყო შესამჩნევი, როცა ადამიანები, რომელთა შესახებაც აქ მოგითხრობთ, საკუთარი საზრუნავით და ტრიუმფით ცხოვრობდნენ. მაგალითად, ერთი საგნით დავიწყოთ, არნჰაიმისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ შეეძინა. არსებობდა უკვე წიგნები, რომლებიც დიდი ტირაჟით იყიდებოდა, მაგრამ მათ განსაკუთრებულ ყურადღებას არ უთმობდნენ, თუმცა იმ წიგნებს, რომელთა ტირაჟი გარკვეულ ზღვარს გასცდენოდა, დიდ პატივს მიაგებდნენ. არსებობდა მრეწველობის ისეთი გავლენიანი დარგები, როგორიცაა ფეხბურთი ან ჩოგბურთი, მაგრამ მათთვის ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში კათედრების დაარსებას მაინც აყოვნებდნენ. მოკლედ, სულერთია, თავის დროზე კარტოფილი ამერიკიდან ნეტარხსენებულმა შარიანმა ადმირალმა დრეიკმა ჩამოიტანა – რაც ევროპაში პერიოდული

შიმშილობის დასასრულის დასაწყისად იქცა – ნაკლებ ნეტარხსენებულმა, განათლებულმა და ასევე ჩხუბისთავმა ადმირალმა რეილიმ, უსახელო ესპანელმა ჯარისკაცებმა თუ სულაც გაიძვერა, ყოჩაღმა მონებით მოვაჭრე ჰოკინსმა, დიდხანს თავში აზრადაც არავის მოსდიოდა, ისინი კარტოფილის გამო იმაზე დიდ ადამიანებად შეერაცხათ, ვიდრე ფიზიკოსი ალ-შირაზი იყო, რომლის შესახებაც მხოლოდ ის ვიცით, რომ ცისარტყელას ახსნა მოუძებნა. ბურჟუაზიულ ეპოქასთან ერთად ამ მიღწევათა გადაფასებაც დაიწყო. არნჰაიმის დროს კი ეს პროცესი უფრო წინ წავიდა და მას მხოლოდ ცრურწმენებიღა აფერხებდა. ეფექტის ხარისხი და ხარისხის ეფექტი, როგორც თაყვანისცემის ახალი, დღესავით ცხადი საგანი, უკვე დრომოჭმულ არისტოკრატულ ბრმა თაყვანისცემას ექიშპებოდა, მაგრამ იდეათა სამყარომ ისეთი გონივრული კომპრომისი წარმოშვა, როგორიცაა, მაგალითად, წარმოდგენა გენიალური გონების ადამიანზე, რომელიც საკუთარი და კარტოფილის მნიშვნელობის სინთეზი იყო; რადგან ყველა იმ ადამიანს ელოდა, ვინც გენიოსივით მარტოსული, მაგრამ თან ბულბულივით ყველასთვის გასაგები იქნებოდა.

წინასწარ ძნელი იყო იმის განსაზღვრა, რას მოიტანდა ეს გზა, რადგან დიდ საგნებთან კავშირის საფრთხე საცნაური მაშინ ხდება, როცა ამ საგნების სიდიადე სანახევროდ უკვე წარსულის კუთვნილებად იქცევა. არაფერია იმაზე ადვილი, ვიდრე დასცინო ჩინოვნიკს, რომელიც მისი უდიდებულესობის სახელით ახლად დაარსებულ პარტიებს აგდებით ექცევა, მაგრამ ჩინოვნიკია თუ არა ის კაცი, ვინც ხვალინდელი დღის სახელით დღევანდელ დღეს შარავანდედით მოსავს, ვერავინ მიხვდება, სანამ ზეგინდელი დღე არ დადგება. დიდ საგნებთან კავშირის საფრთხეს ის უსიამოვნო თვისება აქვს, რომ თავად საგნები იცვლება, საფრთხე კი მუდამ ერთნაირია.

89. ეპოქას ფეხი უნდა აუწყო

დოქტორმა არნჰაიმმა თავისი ფირმის ორი თანამშრომელი მიიღო, რომლებთან შეხვედრაც წინასწარ იყო დაგეგმილი, და ახლა მათთან დიდხანს თათბირობდა. მისაღებ ოთახში უწესრიგოდ მიმოფანტული დოკუმენტები და ხარჯთაღრიცხვის ნუსხები მდივანს ელოდა. არნჰაიმს გადაწყვეტილებები უნდა მიეღო. დელეგატები ნაშუადღევს

მატარებლით უკან გამგზავრებას აპირებდნენ და ის წინასწარ ტკბებოდა ამ გარემოებით, რადგან მათი ყოფნა ნებისმიერ შემთხვევაში მუდამ გარკვეულ დაძაბულობას უქმნიდა. „ათი წლის შემდეგ, – ფიქრობდა არნჰაიმი, – ტექნიკა ისე განვითარდება, რომ ფირმას ჩემი თვითმფრინავები ეყოლება და მაშინ ჰიმალაიში საკუთარი ხალხის ხელმძღვანელობას საზაფხულო აგარაკიდანაც შევძლებ“. გადაწყვეტილებები ღამე მიიღო და ახლა დღის შუქზე მხოლოდ მათი გადახედვაღა სჭირდებოდა, ამიტომ არნჰაიმი ამწუთს თავისუფალი იყო. საუზმე ოთახში მოატანინა, პირველ სიგარას მოუკიდა და დიოთიმასთან თავყრილობა გაიხსენა, რადგან წინა საღამოს იქიდან ნაჩქარევად წამოსვლა მოუწია.

ამჯერად მეტად თავშესაქცევ საზოგადოებას მოეყარა თავი. სტუმართა შორის ბევრი ოცდაათი წლისაც არ იყო, ყველაზე ასაკოვნები კი ოცდათხუთმეტ წელს არ გადასცილებოდნენ. ეს თითქმის ბოჰემური საზოგადოება იყო, მაგრამ უკვე ცნობილი და გაზეთების მიერ შემჩნეულიც. სტუმართა შორის, ადგილობრივების გარდა, მთელი მსოფლიოდან ჩამოსულებსაც ნახავდით, რომლებიც იმ ხმებს მიეზიდათ, კაკანიაში მაღალი წრის ქალი სულიერებას გზას უკვალავსო. დიოთიმას სახლი ხანდახან კაფეს შთაბეჭდილებას ტოვებდა. საკუთარ სახლში დიოთიმა ისეთი დამფრთხალი ჩანდა, რომ არნჰაიმს ამის გახსენებაზე ეღიმებოდა. საერთო ჯამში კი არნჰაიმს ეს ყველაფერი ძალზე საინტერესო და უჩვეულო ექსპერიმენტად მიაჩნდა. დიდი ადამიანების უშედეგო თავყრილობებით იმედგაცრუებულ მის მეგობარს მტკიცედ გადაეწყვიტა, პარალელური აქციისთვის ახალი სული შთაებერა და არნჰაიმის კავშირები ამ საქმეში დიდად გამოადგებოდა. იქ მოსმენილი საუბრების გახსენებაზე არნჰაიმი თავს აქნევდა და ეს იდეები სიშლეგედ მიაჩნდა. „ახალგაზრდებს უნდა დაუთმო, – ეუბნებოდა იგი საკუთარ თავს. – ყველაფრის უარყოფა უბრალოდ აუტანელია!“. ამ ყველაფრით არნჰაიმი თავს ირთობდა, რადგან ერთ ჯერზე შთაბეჭდილებები მეტისმეტად ბევრი იყო.

რა შეაჩვენეს და გაუყენეს ჯანდაბის გზას? განცდა. ისინი იმ პერსონალურ განცდას გულისხმობდნენ, რომლის მიწიერ სითბოსა და რეალობასთან სიახლოვეზეც იმპრესიონისტები თხუთმეტი წლის წინ ისე ოცნებობდნენ, როგორც ზღაპრულ მცენარეებზე. ახლა ისინი იმპრესიონიზმს აზიზს და უთავოს

უწოდებდნენ და გრძნობებზე კონტროლსა და ინტელექტუალურ სინთეზს ითხოვდნენ.

იყო კი სინთეზი, საერთო ჯამში, სკეპტიციზმის, ფსიქოლოგიის, კვლევებისა და დანაწევრების, მამათა ეპოქის ლიტერატურული მიდრეკილებების საპირისპირო?

სავარაუდოდ, ისინი ამაში დიდ ფილოსოფიურ აზრს არ დებდნენ. ის, რაც მათ სინთეზის ცნებაში ესმოდათ, შეუზღუდავი მოძრაობისკენ ახალგაზრდული ძვლებისა და კუნთების სწრაფვას ჰგავდა, იმ ცეკვა-თამაშს, კრიტიკის უფლებას არავის რომ არ უტოვებს. თუ მოუნდებოდათ, ჯანდაბის გზას წარბშეუხრელად ახლა სინთეზს გაუყენებდნენ თავის ანალიზიანად და მთელ აზროვნებიანად. შემდეგ ამტკიცებდნენ, სული განცდით უნდა ამაღლდესო. ვინც ამას ამტკიცებდა, ბუნებრივია, სხვა ჯგუფის წევრები იყვნენ, მაგრამ ზოგჯერ თავგამოდებით მოწინააღმდეგეებს არ ჩამორჩებოდნენ.

თან რა დიდებულ სიტყვებს ხმარობდნენ! ინტელექტუალურ ტემპერამენტს ითხოვდნენ. აზროვნების გამალებულ სტილს, სამყაროს შიგ გულში რომ ხვდება. კოსმიური ადამიანის გამჭრიახ ტვინს. კიდევ რა მოისმინა?

მექანიზებული ძალის მეშვეობით საყოველთაო შრომის ამერიკული გეგმის საფუძველზე ადამიანის გარდაქმნა.

ცხოვრების ენერგიულ დრამატიზმთან დაკავშირებული ლირიზმი.

ტექნიციზმი; მანქანების ეპოქის ღირსეული სული.

ბლერიო, – წამოიყვირა ერთ-ერთმა მათგანმა, – ლა-მანშის თავზე საათში ორმოცდაათი კილომეტრის სიჩქარით დაფრინავს! ლექსი საათში ორმოცდაათ კილომეტრზე უნდა დაწერო და დანარჩენი მთელი ეს ფუტურო ლიტერატურა ნაგავში მოისროლო!

აქსელერაციასაც მოითხოვდნენ, ანუ სპორტული ბიომექანიკისა და აკრობატული სიზუსტის საფუძველზე განცდათა სისწრაფის მაქსიმალურ ზრდას!

ფილმის საშუალებით ფოტოგენურ განახლებას.

მერე ვიღაცამ თქვა, ადამიანი იდუმალებით მოცული ღრუა და ამის გამო ის კოსმოსს კონუსის, სფეროს, ცილინდრისა და კუბის მეშვეობით უნდა ვაზიაროთო. საპირისპიროსაც ამტკიცებდნენ: ის, რაც ხელოვნების ინდივიდუალურ აღქმას საფუძვლად უდევს, დასასრულს უახლოვდება და მომავლის ადამიანს ბინის განცდა საზოგადოებრივი შენობებითა და დასახლებებით უნდა შევაძლებინოთო. ამგვარად, როცა ინდივიდუალისტური და სოციალური პარტიები შეიქმნა, მათში მესამეც ჩაერია და განაცხადა, მხოლოდ რელიგიური მხატვრები არიან სოციალურები, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობითო. შემდეგ ახალი არქიტექტორების ჯგუფმა მოითხოვა, წინამძღოლობა ჩვენ დაგვითმეთ, რადგან არქიტექტურის მიზანი რელიგიააო; კუბიზმით გაძლიერებული რელიგიური ჯგუფი აღნიშნავდა, ხელოვნება არაფერზეა დამოკიდებული და, რაც მთავარია, კოსმიური კანონების აღმსრულებელიაო. შემდეგ კუბიზმმა რელიგიური ჯგუფი დატოვა, არქიტექტორებს შეუერთდა და ამტკიცებდა: კოსმოსთან კავშირი ყველაზე უკეთ სივრცული ფორმებით მყარდება, რომლებიც ინდივიდუალურს კანონიერს და ტიპურს ხდისო. ასეთი ფრაზაც იყო ნასროლი: ჯერ ადამიანის სულში უნდა ჩავიხედოთ და შემდეგ ის სამ განზომილებაში აღვბეჭდოთო. ამის შემდეგ ვიღაცამ ძალზე ეფექტურად და ცხარედ დასვა შეკითხვა: რა უფრო მნიშვნელოვანია, ათი ათასი მოშიმშილე ადამიანი თუ ხელოვნების ერთი ნაწარმოები? რადგან თითოეული მათგანი რაღაც თვალსაზრისით ხელოვანი იყო, ამიტომ ყველა იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ კაცობრიობის გამოჯანმრთელება მხოლოდ ხელოვნების გზით უნდა მომხდარიყო და ერთადერთი, რაზეც ვერ თანხმდებოდნენ, გამოჯანმრთელების ბუნება და ის მოთხოვნები იყო, რომლებიც ამის გამო პარალელური აქციისთვის უნდა წაეყენებინათ.

ამის შემდეგ ინიციატივა კვლავ თავდაპირველმა სოციალურმა ჯგუფმა გამოიჩინა და ახალი ხმით ალაპარაკდა. შეკითხვა – რა უფრო მნიშვნელოვანია, ხელოვნების ნაწარმოები თუ ათი ათასი ადამიანის უბედურებაო, შემდეგ საკითხში გადაიზარდა: ხელოვნების ათი ათასი ნაწარმოები ერთი ადამიანის უბედურებად მაინც თუ ღირსო? ნაკლებად მგრძნობიარენი მოითხოვდნენ, ხელოვანს არა აქვს უფლება, თავის თავს ასეთი დიდი მნიშვნელობა მიანიჭოსო. ძირს თვითგანდიდება! დაე ის

მშიერი და სოციალური გახდესო! ცხოვრება გრანდიოზული და ერთადერთი ხელოვნების ნაწარმოებიაო, – თქვა ვიღაცამ. შემდეგ ომახიანი ხმა ჩაერია: გამაერთიანებელი ხელოვნება კი არა, შიმშილიაო! კომპრომისულმა ხმამ კი ყველას შეახსენა, ხელოვნებაში საკუთარი თავის გადაფასების საუკეთესო საშუალება ჯანმრთელი ხელოსნური ბაზააო. კომპრომისული მოსაზრების გამოთქმის შემდეგ ვიღაცამ პაუზით ისარგებლა, დაღლასა და საერთო ზიზღს რომ მოჰყოლოდა და იკითხა: სჯეროდა თუ არა ვინმეს, რომ რამეს მიაღწევდნენ მანამ, სანამ ადამიანსა და სივრცეს შორის კონტაქტი არ დამყარდებოდა? ეს ნათქვამი სასიგნალო ფრაზასავით გაისმა და ისევ ტექნიციზმსა და აქსელერაციაზე ალაპარაკდნენ; ასე რომ, კამათის დროს რას აღარ მიედ-მოედებოდნენ. საბოლოოდ ყველა ერთ აზრზე შეთანხმდა, რადგან რაღაც შედეგის მიღწევა და სახლში წასვლა ყველას სურდა; ამიტომ მხარეები იმ აზრამდე მივიდნენ, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერდა: ეპოქა მოლოდინით სავსე, მოუთოკავი და ბედნიერია, მესია კი, რომელსაც ის იმედით ელის, თვალსაწიერზე ჯერ არ ჩანსო.

არნჰაიმი ერთი წუთით დაფიქრდა.

არნჰაიმის გარშემო ყოველთვის ხალხი იკრიბებოდა. ვინც თავს ვერ ავლენდა ან მოსმენას ვერ ახერხებდა, მიდიოდა და მის ადგილს მაშინვე ვინმე სხვა იკავებდა. არნჰაიმი ამ ახალი შეკრების ცენტრადაც იქცა, თუმცა ამ დებატებში, არცთუ ისე დელიკატურად რომ მიმდინარეობდა, აზრის გამოთქმის სურვილი ყოველთვის არ უჩნდებოდა. კარგად ერკვეოდა იმ საკითხებში, რომლებსაც ამ ადამიანების გონება დაეპყრო. იცოდა, როგორი იყო კუბის თანაფარდობა. თანამშრომლებისთვის ბაღებიანი დასახლებებიც გააშენა. მანქანების გონებასა და ტემპშიც კარგად ერკვეოდა. სულში ჩახედვაზეც შეეძლო საუბარი და ფული კინოინდუსტრიაშიც დაებანდებინა. ამ დისკუსიების შინაარსი აღიდგინა და გაახსენდა, რომ საუბრები ისე თანმიმდევრულად არ ვითარდებოდა, როგორც ეს მის გონებას სრულიად უნებლიეთ წარმოედგინა. ამგვარ საუბრებს უცნაური მსვლელობა ახასიათებს – თითქოს მრავალკუთხედის სხვადასხვა კუთხეებში თვალახვეული და ჯოხებით შეიარაღებული მოკამათეებისთვის ვინმეს ებრძანებინოს, წინ იარეთო. ეს ლოგიკას მოკლებული უთავბოლო და დამქანცველი სანახაობა გახლდათ. მაგრამ განა ეს მოვლენათა მსვლელობის ანარეკლი

არ იყო? ის ლოგიკის კანონებისა და აკრძალვებისგან კი არ გამომდინარეობს, რომელსაც პოლიციურ როლს მიაწერენ, არამედ – სულის მოუწესრიგებელი მამოძრავებელი ძალისგან. აი, ამ კითხვას უსვამდა არნჰაიმი საკუთარ თავს. იმ ყურადღებასაც იხსენებდა, მის მიმართ რომ იჩენდნენ და ფიქრობდა, ახლებურად აზროვნება ასოციაციით თავისუფალ თამაშს ჰგავს, როცა გონება თავის ნებაზეა მიშვებული, და ეს უდავოდ ძალზე თავშესაქცევიაო.

არნჰაიმმა გამონაკლისი დაუშვა და მეორე სიგარას მოუკიდა, თუმცა ასეთი სისუსტეების უფლებას საზოგადოდ თავს არ აძლევდა. ხელში ჯერ კიდევ ასანთის ანთებული ღერი ეკავა, სახის კუნთები კი სიგარის მოსაწევად ემზადებოდა და ამ დროს უეცრად გაეღიმა, რადგან დაბალი გენერალი გახსენდა, რომელიც გუშინ მიღებაზე გამოელაპარაკა. არნჰაიმებს ქვემეხებისა და საჯავშნე ფილების ფაბრიკები ჰქონდათ, სადაც ომის დროს შეუზღუდავი რაოდენობით საბრძოლო მასალების წარმოებაც შეეძლოთ, ამიტომ გენერალს კარგად გაუგო, როცა ეს ცოტა არ იყოს სასაცილო, მაგრამ სიმპათიური გენერალი (ის პრუსიელი გენერლებივით არ ლაპარაკობდა; მათთან შედარებით, ცხადია, უფრო დუნედ მეტყველებდა, მაგრამ ასე ვთქვათ, ძველი კულტურის, უფრო სწორად, წარმავალი კულტურის მადლი ეცხო!) მისდამი ნდობით განეწყო და – ხვნეშით და ფილოსოფიურად! – იმ საუბრების შესახებ გამოთქვა მოსაზრება, იმ საღამოს იქ რომ მოესმინა და რომელთაც რადიკალურად პაციფისტური ხასიათი ჰქონდა.

გენერალი, რომელიც შეკრებილ საზოგადოებაში ერთადერთი ოფიცერი იყო, თავს ზედმეტად გრძნობდა და საზოგადოებრივი აზრის ცვალებადობაზე წუწუნებდა, რადგან ადამიანური ყოფის სიწმინდეზე მოსაზრებებმა იქ მყოფთა შორის დიდი მოწონება პოვა.

– ამ ხალხის არ მესმის, – მიმართა განმარტებისთვის არნჰაიმს, როგორც საყოველთაოდ ცნობილი გონების პატრონს, – რატომ ლაპარაკობენ ასე უმეცრად „სისხლიან გენერლებზე“? ისეთი გრძნობა მაქვს, რომ კარგად მესმის შედარებით ასაკოვანი ბატონების, აქ რომ დადიან, თუმცა მეომრის, ცხადია, მათ არაფერი სცხიათ. აი, მაგალითად, ის ცნობილი პოეტი... არ ვიცი, რა ჰქვია... ის მაღალი, ასაკოვანი, ღიპიანი ბატონი, ბერძნულ ღმერთებზე, ვარსკვლავებსა და ადამიანთა მარადიულ

გრძნობებზე ლექსებს რომ წერს; ოჯახის დიასახლისმა მითხრა, დიდი პოეტიაო, თანაც იმ ეპოქაში, ინტელექტუალების გარდა, სხვას ვერაფერს რომ ბადებსო... როგორ გითხრათ, მისი ლექსები არ წამიკითხავს, მაგრამ, ალბათ, შევძლებდი მათ გაგებას, თუ მისი მნიშვნელობა მართლა იმაში მდგომარეობს, რომ წვრილმანი საკითხებით არ არის დაინტერესებული. ასეთებს ჩვენ, სამხედროები, სტრატეგებს ვუწოდებთ. ფელდფებელი, თუ ნებას მომცემთ, უღირსი მაგალითი მოვიყვანო, ცხადია, თავის ასეულში თითოეული ჯარისკაცის კეთილდღეობისთვის უნდა ზრუნავდეს. სტრატეგს კი ათასობით ადამიანის გათვალისწინება უწევს – ეს მისთვის ყველაზე პატარა ერთეულია – და თუ დიადი მიზნები ითხოვს, თუნდაც ათობით ასეთი ერთეულის მსხვერპლად გაღებაც უნდა შეეძლოს. მიმაჩნია, რომ სრულიად ალოგიკურია, როცა ერთ შემთხვევაში სისხლიან გენერლებზე ლაპარაკობენ, მეორე შემთხვევაში კი მარადიულ ღირებულებებზე. იქნებ ამიხსნათ, თუ ეს შესაძლებელია!

ამ ქალაქსა და საზოგადოებაში არნჰაიმის განსაკუთრებულმა მდგომარეობამ მასში ირონიული გრძნობები გამოაღვიძა, რომლისგანაც საერთოდ თავს იკავებდა. მიხვდა, ვისაც გულისხმობდა გენერალი, მაგრამ არ შეიმჩნია. საერთოდაც, საქმე ეს როდი გახლდათ, ასეთი სიდიადის არაერთი ნაირსახეობის მაგალითად მოყვანა თავადაც შეეძლო. იმ საღამოს ყველა უხეიროდ გამოიყურებოდა. ამის არშემჩნევა შეუძლებელი იყო.

არნჰაიმი წუთიერად უსიამოვნო ფიქრებმა მოიცვა. სიგარის კვამლი გახსნილ ტუჩებს შორის შეაკავა. იოლი ამ წრეში არც მისი მდგომარეობა იყო. ავტორიტეტის მიუხედავად, თითქოს მის წინააღმდეგ მიმართულ გესლიან შენიშვნებს თვითონაც ისმენდა. გესლიანობა კი მას ყმაწვილკაცობაში სწორედ ისევე უყვარდა, როგორც ამ ახალგაზრდებს – საკუთარი თაობის იდეები. უცნაური და, შეიძლება ითქვას, ლამის შემაძრწუნებელი განცდა იყო, როცა ახალგაზრდებისგან პატივისცემას გრძნობდა, რადგან წარსულს, რომლის მონაწილედაც თავს ფარულად თვლიდა, ისინი ასეთივე გატაცებით და დაუნდობლად ამასხარავებდნენ. საკუთარ თავში გარდასახვის უნარს, მოქმედების სურვილს და მოქნილობას გრძნობდა, შეიძლება ითქვას – კარგად შენიღბული არაკეთილსინდისიერების თავხედურ

უცერემონიობას. უცებ გაიაზრა, რა განასხვავებდა ამ თაობისგან. ისინი ერთმანეთს ყველაფერში ეურჩებოდნენ. საერთო კი მხოლოდ ის ჰქონდათ, რომ ობიექტურობას, ინტელექტუალურ პასუხისმგებლობას და გაწონასწორებულ პიროვნებას თავს ერთნაირად ესხმოდნენ.

ერთმა განსაკუთრებულმა გარემოებამ არნჰაიმს ღვარძლიანი ფიქრები აღუძრა. ზოგიერთი თავისი თანატოლის გადაჭარბებული შეფასება, რომლებსაც პიროვნული საწყისი მკაფიოდ ჰქონდათ გამოხატული, არასდროს სიამოვნებდა. არისტოკრატი მეტოქე, როგორიც ის იყო, სახელებს გონებაშიც კი არ მოიხსენებდა, მაგრამ კარგად იცოდა, ვისაც გულისხმობდა. „კეთილსინდისიერი, მოკრძალებული ყმაწვილი, სიამეს რომ ელტვის“ – გაახსენდა იმწუთას ციტატა ჰაინედან, რომელიც გულის სიღრმეში ძლიერ უყვარდა. „ქება და დიდება მის ძალ-ღონეს და გულმოდგინებას პოეზიაში... მძიმე შრომას, საარაკო შეუპოვრობას, ღვარძლიან დაძაბულობას, რომლითაც ის პოეზიას ათვინიერებს...“ „მუზები წყალობის თვალით არ უყურებენ, მაგრამ ენის გენია მის ხელთაა“. არნჰაიმს ჩინებული მეხსიერება ჰქონდა და მთელი გვერდების ციტირება შეეძლო ზეპირად. მან თემას გადაუხვია. ერთ-ერთ თანამედროვესთან პაექრობის დროს ჰაინემ წინასწარ განჭვრიტა ადამიანთა ის ტიპი, რომელიც სრულად ახლა ისხამდა ხორცს და არნჰაიმს ეს აღაფრთოვანებდა. გონების თვალი მან ახლა დიდი გერმანული იდეალისტური აზროვნების წარმომადგენელს, პოეზიის გენერალს მიაპყრო. სულის მჭლე ნაირსახეობის შემდეგ ის უფრო მსუყე იყო. მისი საზეიმო იდეალიზმი ორკესტრის იმ ღრმა, ჩასაბერ ინსტრუმენტს შეესატყვისებოდა, ორთქლმავლის ქვაბს რომ ჰგავს და არეულ, რახრახა, გრუხუნა ხმებს გამოსცემს. ერთი ნოტით ისინი ათას შესაძლებლობას მოიცავენ და მარადიულ გრძნობათა მთელ ფუთას გამობერავენ.

„ლიტერატორებისგან განსხვავებით, დღეს პოეტი იმას ჰქვია, ვინც ლექსებს საყვირზე ასე ჩაბერავს, – ფიქრობდა არნჰაიმი. – ბარემ გენერლები დაერქმიათ. ასეთი ადამიანები ხომ სიკვდილს თვალებში უყურებენ და ცხოვრების ერთი წამით ღირსეულად ტკბობა რომ შეძლონ, მუდმივად ათასობით მკვდარს საჭიროებენ“.

ვიღაც ამტკიცებდა, გენერლის ძაღლს, რომელიც ვარდის სურნელით გაჟღენთილ ღამეს მთვარეს უყეფს, ლაპარაკი რომ შესძლებოდა, იტყოდა: რა გინდათ, მთვარიანი ღამეა და ყეფა კიდევ ჩემი ჯიშის მარადიული გრძნობების გამოხატულებაა, ერთ-ერთი იმ ბატონის მსგავსად, რომელმაც სწორედ ამის გამო მოიხვეჭა სახელიო. დიახ, ამ კაცს ისიც შეეძლო დაემატებინა, რომ მის გრძნობებს განცდათა სიღრმე ეტყობოდა, გამომსახველობითი ხერხები მდიდარი ემოციებით იყო დამუხტული, მაგრამ თან ისეთი სისადავეც ახასიათებდა, რომ პუბლიკას მისი ესმოდა. რაც შეეხება მის ნააზრევს, ცხადია, ის მის გრძნობებს ჩამორჩებოდა, მაგრამ სრულად შეესაბამებოდა საზოგადოდ მიღებულ მოთხოვნებს, რაც ლიტერატურაში დაბრკოლებად ჯერ არასდროს ქცეულა.

უსიამოვნო აზრებით შემცბარმა არნჰაიმმა სიგარის კვამლი ტუჩებს შორის კვლავ შეაკავა. ოდნავ გახსნილი მისი ტუჩები პიროვნებასა და გარე სამყაროს შორის ნახევრად აწეულ შლაგბაუმს ჰგავდა. ზოგჯერ ასეთ პოეტს არნჰაიმი – რადგან ეს მიღებული იყო – როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, აქებდა. რამდენიმეს ფინანსურადაც ეხმარებოდა; საერთოდ კი ვერც ერთ მათგანს ვერ იტანდა თავიანთ გაფუყულ ლექსებიანად. „ამ ჰერალდიკური ბატონების ადგილი, თავის რჩენაც რომ არ შეუძლიათ, – ფიქრობდა არნჰაიმი, – გადაშენების პირას მყოფ დომბებთან და არწივებთან ერთად ნაკრძალშია!“. რადგან გასულმა საღამომ გამოავლინა, რომ ფინანსური დახმარება არათანადროული იყო, ამიტომ არნჰაიმმა განსჯა მათთვის სასარგებლოდ დაასრულა.

90. იდეოკრატიის დამხობა

ალბათ, კარგად დასაბუთებული მოვლენაა, რომ დაპირისპირებული მხარეები იმ ეპოქებისა, რომელთა სულიც სასაქონლო ბაზარს ჰგავს, პოეტები არიან და მათ საკუთარ ეპოქასთან საერთო არაფერი აქვთ. თანამედროვე აზრებით ისინი თავს არ ინაგვიანებენ, ასე ვთქვათ, სუფთა პოეზიას ქმნიან და ვისაც მათი სწამს, სიდიადის გამქრალ დიალექტზე ელაპარაკებიან; სწორედ ისე, სამი წლის შემდეგ ამერიკიდან რომ დაბრუნდება ვინმე სამშობლოში და ჩიქორთული გერმანულით ლაპარაკობს. ეს დაახლოებით ისეთივე მოვლენაა, ცარიელ ორმოს კომპენსაციის მიზნით ცარიელი თაღი რომ დაადგა. და რადგან რელიეფური სიცარიელე

ჩვეულებრივ სიცარიელეს ზრდის, საბოლოო ჯამში სრულიად ბუნებრივია, რომ პიროვნების ამგვარი განდიდების ეპოქას მეორე მოჰყვეს, რომელიც კატეგორიულად აქცევს ზურგს პასუხისმგებლობისა და განდიდების ირგვლივ ატეხილ მთელ ამ ალიაქოთს.

არნჰაიმს ამგვარი არაფერი ემუქრებოდა და ის მოვლენათა – მისი ვარაუდით – გარდაუვალ მსვლელობაში გარკვევას ფრთხილად ცდილობდა. ეს არ იყო წვრილმანი საკითხი. იმაზეც ფიქრობდა, რაც ბოლო წლებში ამერიკასა და ევროპაში ენახა: ცეკვით ახლებურ გატაცებაზე, იქნებოდა ეს ბეთჰოვენის მუსიკაზე ცეკვა თუ ახალი მგრძნობელობის რიტმები; მხატვრობაზე, რომელიც სულიერი კავშირების მაქსიმებს მინიმალისტური ხაზებითა და ფერებით გამოსახავდა; კინემატოგრაფიაზე, სადაც ყველასთვის კარგად ცნობილი ჟესტი ახლებურად ვლინდებოდა და სამყაროს იპყრობდა; დაბოლოს, უბრალოდ, ჩვეულებრივ ადამიანზე, სპორტის ძალაში უკვე რომ დარწმუნებულიყო და ცდილობდა, ხელ-ფეხასხმარტალებული ბავშვივით სამყაროს ვეება მკერდს დაპატრონებოდა. ყველა ამ გამოვლინებაში თვალში საცემი ალეგორიისკენ ერთგვარი მიდრეკილებაა, თუ ამ ცნებაში იმგვარ სულიერ მიმართებას ვიგულისხმებთ, როცა ყველაფერი უფრო მეტია, ვიდრე მას კეთილსინდისიერად ერგება. ბაროკოს ეპოქის ადამიანს მუზარადი და რამდენიმე გადაჯვარედინებული მახვილი ყველა ღმერთსა და მათ ისტორიას ახსენებდა, ხოლო რაინდი X გრაფინია Y-ს კი არ კოცნიდა, არამედ ომის ღმერთი – უბიწოების ქალღმერთს; დღეს კი X-სა და Y-ს – როცა ისინი ერთმანეთს ეხუტებიან – დროის ტემპის ან ასობით ახალი ნიმუშის კოლექციიდან რამის განცდა ეუფლებათ, რომელიც უკვე ურთხმელის ხეივნის თავზე ოლიმპი კი არა, თანამედროვე აურზაურია. კინოში, თეატრში, საცეკვაო მოედანზე, კონცერტზე, ავტომობილში, თვითმფრინავში, წყალში, მზეზე, სამკერვალო საამქროებსა და კომერციულ ბიუროებში გამუდმებით შთაბეჭდილებების, გამოხატულებების, ჟესტების, მანერებისა და განცდების უზარმაზარი ზედაპირი წარმოიქმნება. გარეგნულად და ცალკეულ გამოვლინებებში ზედმიწევნით ზუსტი ეს მოვლენა ციბრუტივით დაბზრიალებულ სხეულს ჰგავს, სადაც ყველაფერი ზედაპირზე ამოჭრას ლამობს და სადაც ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება, სიღრმეში კი ალიაქოთი, აურზაური

და უმსგავსობაა. არნჰაიმს რომ რამდენიმე წლის შემდეგ განვითარებული მოვლენების წინასწარ განჭვრეტა შეძლებოდა, დაინახავდა, რომ ათას ცხრაას ოცი წლის ევროპული მორალი, შემზარავი ომის მილიონობით მსხვერპლი და ქალური კდემამოსილების თავზე აშრიალებული გერმანული პოეზიის ტყე ერთი საათითაც ვერ შეძლებდა იმ დღის შეფერხებას, როცა ქალების კაბებმა და თმამ დამოკლება დაიწყო, ევროპელმა გოგონებმა კი ათასწლიანი აკრძალვის შემდეგ ტანზე კაბები ბანანივით შემოიფცქვნეს და ერთხანს შიშვლები აღმოჩნდნენ. არნჰაიმი იმ ცვლილებებსაც დაინახავდა, ახლა წარმოუდგენლად რომ მიაჩნდა. მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, ამ ცვლილებათაგან რომელი დარჩებოდა ან გაქრებოდა; როცა წარმოვიდგენთ ფილოსოფოსების, მხატვრების, პოეტების მცდელობით და არა მკერავების, მოდის ახირებებისა და შემთხვევითობების წყალობით განვლილ ინტელექტუალური განვითარების პასუხისმგებლობით სავსე გზას, ყოველდღიურ ყოფაში ამგვარი რევოლუციური სიახლეებისთვის, ალბათ, ამაოდ დახარჯულ ძალ-ღონეს, ცხადი ხდება, რომ ტვინის უნაყოფო სიკერპესთან შედარებით საგნების ზედაპირს დიდი შემოქმედებითი ძალა ჰქონია.

ეს არის იდეოკრატიის, ტვინის დამხობა, სულის პერიფერიებში განდევნა, უკანასკნელი პრობლემა – როგორც ეს არნჰაიმს ესახებოდა. ცხადია, ცხოვრება მუდამ ამ გზით დადიოდა და ადამიანებს ჯერ გარედან გარდაქმნიდა, შემდეგ კი – შიგნიდან. მაგრამ დღევანდელისგან განსხვავებით წინათ ადამიანი თავს ვალდებულად თვლიდა, შიგნიდან გარეთ რაღაც შეექმნა. გენერლის ძაღლიც კი, არნჰაიმმა ამწუთს თბილად რომ გაიხსენა, საგანთა ამგვარ მსვლელობას ალღოს ვერ აუღებდა, რადგან კაცობრიობის ეს ერთგული თანამგზავრი გასული საუკუნის ჯერ კიდევ სტაბილურმა და დამჯერმა ადამიანმა დაიმსგავსა. მისი გარე ბიძაშვილი საჯა კი, საათობით რომ ცეკვავს, ყველაფერს მშვენივრად გაიგებდა. ბუმბული რომ აეფხორება და ბრჭყალებით მიწას მოფხოჭნის, სული ამ დროს უფრო მეტია, ვიდრე მაშინ, როცა სწავლული საწერ მაგიდასთან ერთ აზრს მეორეს უკავშირებს. საბოლოო ჯამში, აზრები ხომ სახსრებიდან, კუნთებიდან, ჯირკვლებიდან, თვალებიდან, ყურებიდან და კანის იმ ტომრის ბუნდოვანი საერთო შთაბეჭდილებებიდან იბადება, რომელშიც ისინია

მოთავსებული. გასულმა საუკუნეებმა, ალბათ, მძიმე შეცდომა დაუშვა, როცა გონებას, განსჯას, მოსაზრებას, ცნებას და ხასიათს დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. ეს ხომ იგივეა, რეგისტრატურა და არქივი დაწესებულების მნიშვნელოვან ნაწილად მხოლოდ იმიტომ მიიჩნიო, რომ ისინი მთავარ შენობაშია განლაგებული, თუმცა კი მხოლოდ დამხმარე განყოფილებებს წარმოადგენენ და მითითებებს გარედან იღებენ.

უცბად – შესაძლოა, სიყვარულით გამოწვეული დაშლის მსუბუქი სიმპტომების ზემოქმედებით – არნჰაიმმა მიაგნო იმ სფეროს, სადაც ამ სირთულეთა მომწესრიგებელი და მხსნელი აზრები უნდა ეძებნა. ეს აზრები რაღაცნაირად სასიამოვნოდ გაძლიერებულ ბრუნვას უკავშირდებოდა. ვერ უარვყოფდით, რომ აზრებისა და განცდათა გაძლიერებული ბრუნვა იმ ინტელექტუალური გადამუშავებისთვის თავის არიდების ბუნებრივი შედეგი იყო, რომელსაც ჩაკირკიტება სჭირდება. წარმოიდგინა, რომ ეპოქის ტვინი საბაზრო მოთხოვნებმა და შეთავაზებებმა შეცვალა, კირკიტა მოაზროვნე – მარეგულირებელმა კომერსანტმა და არნჰაიმი უნებლიეთ ამ სანახაობის ცქერით ტკბებოდა, სადაც ერთმანეთს ყველაფერი ხან უერთდებოდა და ხან შორდებოდა. განცდათა ეს პროდუქცია ნერვიულ პუდინგს ჰგავდა, შენჯღრევისას მთლიანად რომ თიმთიმებს. უზარმაზარ ტამტამს მოგაგონებდათ, თითის დაკარებისთანავე გრუხუნს რომ იწყებდა. ეს სურათ-ხატები ერთმანეთს რომ არ ესადაგებოდა, ზმანების მსგავსი იმ მდგომარეობის შედეგი იყო, რომელშიც არნჰაიმი ამ სურათ-ხატების წყალობით აღმოჩნდა. ეჩვენებოდა, რომ ზმანებას სწორედ ასეთი ცხოვრება თუ შეედრება, როცა გარეთაც ხარ, უჩვეულო მოვლენებშიც იღებ მონაწილეობას და თან მშვიდად მათ შუაგულში განზავებულ „მესთან“ ერთად წევხარ, რომლის ვაკუუმშიც გრძნობები ნეონის მილაკებივით ანათებს. ეს ცხოვრებაა, ადამიანის გარშემო რომ ფიქრობს და მისთვის კავშირებს ცეკვა-ცეკვით წარმოქმნის, რომელსაც ადამიანი ტანჯვით და არც ისე კალეიდოსკოპურად შეანაწევრებს ერთმანეთთან, თუ ამისთვის გონებას მიმართა. ასე, კომერსანტის ყაიდაზე ფიქრობდა არნჰაიმი და თან სხეულის ყოველი ნერვი უთრთოდა. ის იმ ეპოქის ფიზიკურ-სხეულებრივ თავისუფალ ურთიერთქმედებაზე ფიქრობდა, რომელიც უნდა დამდგარიყო;

სრულიად დასაშვებად მიაჩნდა, რომ იბადებოდა რაღაც კოლექტიური, პანლოგიკური, და ახლა მოძველებული ინდივიდუალიზმისგან გათავისუფლებული ადამიანები, თეთრი რასის უპირატესობა და გამომგონებლობა სრულად რომ გამოევლინათ, სამოთხისკენ მიმავალ გზას დასდგომოდნენ ედემის ბაღის სოფლურად ჩამორჩენილ პროგრამაში თანამედროვე მრავალფეროვნების შესატანად.

ხელს ერთი რამ უშლიდა. უნარი, როცა სიზმარში რომელიღაც მოვლენაში აუხსნელ, მთელი შენი პერსონის მომცველ გრძნობას დებ, ცხადშიც გაქვს, ოღონდ მაშინ, როცა ჯერ კიდევ თხუთმეტი ან თექვსმეტი წლის ხარ და სკოლაში დადიხარ. ცნობილია, რომ ამ დროს ადამიანში ყველაფერი დუღს და ბობოქრობს და რაღაცისკენ ილტვის; გრძნობები ინტენსიურია, მაგრამ – დაულაგებელი. სიყვარული და მრისხანება, ბედნიერება და სარკაზმი, მოკლედ, ყველა მორალური აბსტრაქცია, ციებ-ცხელებასავით მოვლენები ხან მთელ სამყაროს ფარავს და ხან არარად იქცევა; სევდა, სინაზე, სიდიადე და კეთილშობილება ცის კამარად იკვრება. მაინც რა ხდება? გარედან, დანაწევრებული სამყაროდან, მზა ფორმები მოდის: სიტყვა, ლექსი, დემონური სიცილი, ნაპოლეონი, ცეზარი, ქრისტე ან, შესაძლოა, მშობლების საფლავზე დაღვრილი ცრემლები და უცბად ელვის უსწრაფესი კავშირით ნაწარმოები იქმნება. შეიძლება, ვერც შეამჩნიო, რომ უფროსკლასელის ეს ნაწარმოები თანმიმდევრული და სრულყოფილი გამოხატულებაა გრძნობისა, უზუსტესი შესატყვისია აზრისა და რომ ის ახალგაზრდის დიდი ნაპოლეონის ცხოვრებასთან სრული შერწყმაა. უბრალოდ, გეჩვენება, რომ დიდიდან პატარისკენ მიმავალი ეს კავშირი შეუქცევადია. ძილში და ახალგაზრდობაშიც ასე ხდება: წარმოთქვამ დიდებულ სიტყვას და გამოღვიძებისას, შენდა სავალალოდ, ბოლო სიტყვებიღა გახსოვს; მერე აღმოაჩენ, რომ ისინი არც ისე მშვენიერნი ყოფილან, როგორც წარმოგედგინა. მაშინ უკვე ნაირფრად მოელვარე, აცეკვებულ საჯად კი აღარ მიგაჩნია თავი, არამედ გენერლის ფოქსტერიერად, მთვარეს უბრალოდ დიდი გრძნობით რომ შეჰყმუის.

„მაშასადამე, რაღაც ისე ვერ არის, – გაიფიქრა არნჰაიმმა და შეეცადა, ზმანებისთვის თავი დაეღწია. – ბუნებრივია, რომ ეპოქას ფეხი სერიოზულად უნდა აუწყო“, – დაამატა ფხიზელი გონებით. განა მისთვის რამე უფრო ახლობელი იყო, ვიდრე

წარმოების გამოცდილი პრინციპის თავად ცხოვრების წარმოებისთვის გამოყენება?

91. სპეკულაცია à la baisse da à la hausse ტუცის სახლში შეკრებებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი ერთ-ერთ ასეთ თავყრილობაზე „ნათესავს“ გამოელაპარაკა: – იცით თუ არა, რომ ამგვარი რამ ადრეც ხდებოდა? – და თვალებით შეკრებილი ხალხისკენ მიუთითა, რომელთა გამოც თავს სახლში უცხოდ გრძნობდა.

– ადრეული ქრისტიანობის ხანაში და ქრისტეს დაბადების დროს ქრისტიანულ-ლევანტინიურ-ელინისტურ-იუდეურ სადნობში მაშინ უამრავი სექტა გაჩნდა, – და ჩამოთვლა დაიწყო: – ადამიტები, კაენიტები, ებიონიტები, კოლირიდიანები, არქონტიკები, უნკრატიტები, ოფიტები... ადრექრისტიანული და ქრისტიანობამდელი სექტების ჩამოთვლა უცნაური, ერთდროულად ისეთი ნაჩქარევი და თან შენელებული ტონით დაასრულა, როგორც იმ ადამიანმა, მისთვის დამახასიათებელი სწრაფი მოქმედების ზომიერი ტონით დაფარვა რომ სურს. ეს კი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ცოლის ნათესავისთვის უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ საკუთარ სახლში განვითარებულ მოვლენებზე იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე რაღაც მოსაზრებების გამო იმჩნევდა.

შემდეგ ლაპარაკი გააგრძელა, სექტების სახელებს განმარტავდა და ჰყვებოდა, ერთ-ერთი სექტა ქორწინების წინააღმდეგი იყო, რადგან უბიწოებას ითხოვდაო. მეორეც უბიწოებას ითხოვდა, მაგრამ მიზნის მიღწევას, უცნაურია და, რიტუალური გარყვნილებით ცდილობდაო. რომელიღაც სექტის წევრები თავს ისახიჩრებდნენ, რადგან ქალის სხეულს სატანის ინსტრუმენტად მიიჩნევდნენ, სხვა სექტაში კი ქალები და კაცები ტაძარში შიშვლები იკრიბებოდნენო. მორწმუნე მეოცნებეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გველი, სამოთხეში ევა რომ აცდუნა, ღვთაებრივი არსება იყო და ისინი სოდომურ ცოდვას სჩადიოდნენ. სხვები უბიწოებას არ ცნობდნენ, რადგან მათი მეცნიერული მოსაზრებების თანახმად, ღვთისმშობელს იესოს გარდა სხვა შვილებიც ჰყავდა, ამიტომ ქალწულებრივი უბიწოება საშიში ცდომილებააო. ერთი რომ ერთს აკეთებდა, მეორე საპირისპიროს მოიმოქმედებდა, მაგრამ ორივე ერთი და იმავე მიზეზით და მოსაზრებითო. ტუცი ისეთი

სერიოზულობით ჰყვებოდა, როგორსაც თუნდაც უცნაური ისტორიული მოვლენები იმსახურებს და ხმის ისეთი შეფერილობით, როგორითაც კაცები ერთმანეთში ხუმრობენ. ისინი კედელთან იდგნენ. განყოფილების ხელმძღვანელმა ცალყბად გაიღიმა, სიგარეტის ნამწვი საფერფლეში ჩააგდო, დაბნეულად გახედა სტუმრებს და ლაპარაკი დაასრულა, თითქოს იმაზე მეტის თქმას არ აპირებდა, რაც ერთი სიგარეტის მოწევის დროში შეეძლო ჩაეტია.

– ვფიქრობ, იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი აზრთა სხვადასხვაობა და სუბიექტური აღქმა ჩვენი ლიტერატორების ერთმანეთთან უთანხმოებას წააგავს. ეს დავა ხვალ აღარავის ემახსოვრება, ბევრი ისტორიული გარემოების წყალობით პოლიტიკურად ეფექტური საეკლესიო ბიუროკრატია რომ არ შექმნილიყო, ქრისტიანობის კვალიც აღარ დარჩებოდა.

ულრიხი დაეთანხმა.

– სარწმუნოების ჩინოვნიკები, რომლებსაც მრევლი წესიერად უხდის, ოფიციალური კანონების აბუჩად აგდების უფლებას არავის მისცემენ. საერთოდაც მგონია, რომ მდაბალ თვისებებს უსამართლოდ ვექცევით, რადგან მათი საიმედოობის გარეშე ისტორია არ იარსებებდა; სულიერი ძალისხმევა ხომ ერთობ საკამათო და ეფემერულია.

განყოფილების ხელმძღვანელმა ულრიხს უნდო მზერა შეავლო და მაშინვე თვალი აარიდა. ასეთი გამონათქვამები ზედმეტ უცერემონიობად მიაჩნდა. ხანმოკლე ნაცნობობის მიუხედავად, ცოლის ნათესავს მაინც ხაზგასმული კეთილგანწყობილებითა და ნათესაურად ექცეოდა. ტუცი თავყრილობებზე გამოჩნდებოდა და მალევე მიდიოდა ხოლმე. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს სხვა, ჩაკეტილ სამყაროში ცხოვრობდა, რომლის განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც არავის უმხელდა. დროდადრო, ეტყობა, თავს ვერ იკავებდა, უნდებოდა, წუთიერად მაინც დალაპარაკებოდა ვინმეს და მაშინ საუბარს ყოველთვის „ნათესავს“ უბამდა. ადამიანურად ეს გასაგებიც იყო. გრძნობდა, რომ ცოლის თვალში პატივისცემა დაკარგა და პერიოდული სინაზის შემოტევების მიუხედავად ამის ატანა უწევდა. ასეთ დროს დიოთიმა პატარა გოგოსავით კოცნიდა: თოთხმეტი წლის გოგოსავით, თავისზე უმცროს ბიჭს, ღმერთმა იცის, რა გრძნობამოძალებული, კოცნით რომ ახრჩობს. დახუჭუჭებულ ულვაშებში შემალული ზედა ტუჩი

ტუცის ასეთ დროს უნებლიეთ მორცხვად მოეკუმებოდა ხოლმე. სახლში დასადგურებულმა ახალმა ატმოსფერომ ის და მისი ცოლი გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააყენა. ტუცი ვერ ივიწყებდა დიოთიმას საყვედურებს – ღამე ხვრინავო; ამასობაში არნჰაიმის ნაწერებიც წაიკითხა და მასზე სასაუბროდაც მზად იყო; ზოგ რამეს აღიარებდა, ბევრი რამ არასწორად მიაჩნდა, ზოგიც არ ესმოდა და ამაზე ისეთი თავდაჯერებული სიმშვიდით ლაპარაკობდა, წინასწარ ავტორის დანაშაულს რომ გულისხმობს. ამგვარ საკითხებზე გამოცდილი კაცის ღირსეული პასუხების გაცემა ჩვევად ჰქონდა და იმ პერსპექტივას, რომ დიოთიმა უნდა შეკამათებოდა და შემდეგ მასთან უნიათო დისკუსიაში ჩაბმულიყო, პირადი ცხოვრების უსამართლო ცვლილებად აღიქვამდა, მაგრამ ამის თაობაზე საკუთარი აზრის გამოთქმა ვერ გადაეწყვიტა და ნახევრად გაცნობიერებულ ოცნებებში არნჰაიმისთვის იარაღის სროლა ერჩივნა. ტუციმ ლამაზი თაფლისფერი თვალები მოჭუტა და გაიფიქრა, რომ საკუთარი გუნება-განწყობა უკეთ უნდა გაეკონტროლებინა. ულრიხი, გვერდით რომ ედგა (რომელიც, მისი აზრით, სულაც არ იყო ის ადამიანი, ვისაც ასე უნდა დაახლოვებოდა), ცოლს მხოლოდ იმიტომ ახსენებდა, რომ მათ შორის ნათესაურ კავშირს ტუცისთვის რეალური შინაარსი არ ჰქონდა; იმასაც დიდი ხანია ამჩნევდა, რომ არნჰაიმი ამ ახალგაზრდა კაცს რაღაცნაირი სიფრთხილით ანებივრებდა, თუმცა იგი მის მიმართ აშკარა ანტიპათიას ავლენდა, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ ტუცი ულრიხის მიმართ კეთილად განწყობილიყო. ტუცი ოთახში ზარნაშოსავით თვალგაშტერებული იდგა.

მისი ცოლის ნათესავიც, სხვათა შორის, იმ კაცის მოწყენილი მზერით იყურებოდა, რომლისთვისაც ირგვლივ ყველაფერი ნაცნობია და ვერც კი შეამჩნია, რომ სიჩუმე ჩამოწვა. ტუციმ იგრძნო, რომ რაღაც უნდა ეთქვა; გაუბედაობა იგრძნო, თითქოს დუმილს მისი ავადმყოფური წარმოსახვის გამხელა შეეძლო.

– მოგწონთ, როცა ყველაფერზე ცუდს ფიქრობთ, – უთხრა ტუციმ ღიმილით. – ალბათ, ჩემი ცოლი არ ცდება, ნათესაური სიმპათიის მიუხედავად, თქვენი დახმარების რომ ეშინია. მოყვასზე თქვენი აზრები, ასე ვთქვათ, à la baisse თამაშისკენ არის მიდრეკილი.

– არაჩვეულებრივი გამოთქმაა, – უპასუხა გახარებულმა

ულრიხმა, – თუმცა ასეთ პატივს არ ვიმსახურებ! მხოლოდ მსოფლიო ისტორია თამაშობს ადამიანებით à la baisse ან à la hausse. დაწევისას ფსონს ეშმაკობითა და ძალადობით დებს, აწევისას კი, თქვენი ცოლივით – იდეისადმი რწმენის ძალით. დოქტორი არნჰაიმიც, თუ მის სიტყვებს ვენდობით, Haussier-ია. თქვენ კი, როგორც პროფესიონალ Baissier-ს, ანგელოზთა ამ გუნდთან, ალბათ, ისეთი გრძნობები გაკავშირებთ, რის შესახებაც სიამოვნებით შევიტყობდი უფრო მეტს.

ულრიხი განყოფილების ხელმძღვანელს თანაგრძნობით დააკვირდა. ტუციმ ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო და მხრები აიჩეჩა.

– რატომ გგონიათ, რომ ამ საკითხზე ჩემი ცოლისგან განსხვავებული აზრი მაქვს? – უპასუხა მან. უნდოდა, საუბრისას წამოჭრილ პირად თემას გაქცეოდა, თუმცა პასუხით ის კიდევ უფრო გააძლიერა. ულრიხმა, საბედნიეროდ, ეს ვერ შეამჩნია და განაგრძო: – ჩვენ მასა ვართ, რომელიც ყველანაირ ფორმას იღებს, თუ ეს ფორმა მასში ამა თუ იმ სახით მოხვდა.

– ამის გაგება ჩემს შესაძლებლობებს აღემატება, – მიკიბულ-მოკიბული პასუხი გასცა ტუციმ.

ულრიხი ამ პასუხმა გაახარა. ტუცი მისგან სრულიად განსხვავდებოდა. ის უბრალოდ ტკბებოდა იმ ადამიანთან საუბრით, ვინც ინტელექტუალურ გაღიზიანებაზე არ პასუხობდა, თავდაცვისას მხოლოდ საკუთარ პერსონას ეყრდნობოდა და სხვა არანაირ ხერხს არ ცნობდა. ტუცის სახლში დაწყებული ფაციფუცის შემდეგ მისდამი თავდაპირველი ანტიპათია სიმპათიაში გადაეზარდა. ვერ გაეგო, რატომ ითმენდა ის ამ ყველაფერს და ათას რამეს ვარაუდობდა. ცდილობდა, ნელ-ნელა გასცნობოდა მას და როგორც ცხოველს, გარედან უახლოვდებოდა ისე, რომ მის სულში შეღწევას არ ცდილობდა, რაც საერთოდ ხდება ხოლმე საუბრისას დროს ნათქვამი სიტყვების წყალობით ხდება ხოლმე. ვერც მისმა გარეგნობამ მიიზიდა – ხმელ-ხმელმა, საშუალო სიმაღლის კაცმა, რომლის დაბინდული მზერაც გაუბედავ გრძნობებს ამხელდა. ეს არ იყო ჩინოვნიკის მზერა, თუმცა არც იმ იერსახეს შეესატყვისებოდა, რომელიც ტუცისთან საუბრის დროს იკვეთებოდა. სავარაუდოდ ერთი რამ რჩებოდა – რაც არც ისე იშვიათია – ბიჭური მზერა მამაკაცური ნაკვთებიდან მიტოვებულ და ჩაკეტილ სათავსში

გამავალ ფანჯარასავით აღწევდა. ულრიხი ტუცის სხეულის სუნმაც გააოცა. მისგან ჩინეთის თუ გამომშრალი ხის ყუთის, მზის, ზღვის, ეგზოტიკის, ყაბზობის თუ სადალაქოს ნარევი სუნი მოდიოდა. ამ სუნმა ულრიხი ჩააფიქრა. მხოლოდ ორ ადამიანს იცნობდა, ვისაც პერსონალური სუნი ასდიოდა – ტუცის და მოორსბრუგერს. ტუცის სხეულის გამოკვეთილად ნაზი არომატის წარმოდგენისას დიოთიმაზეც ფიქრობდა, რომლის დიდ სხეულს პუდრის მსუბუქი სუნი დასტრიალებდა და ვნებათა ის განსხვავებულობა იგრძნო, რომელსაც ამ წყვილის ცოტა არ იყოს სასაცილო რეალური ცხოვრება სრულებით არ შეესაბამებოდა. ულრიხმა აზრები მოთოკა, რათა ისინი საგანთა იმ დისტანციასთან მოეყვანა შესაბამისობაში, რომელიც დასაშვებად ითვლება, და ტუცის მერეღა უპასუხა.

– თავხედობა იქნება ჩემი მხრიდან, – დაიწყო ხელახლა იმგვარი მოწყენილი, მაგრამ მტკიცე ხმით, როცა მოსაუბრის თანდასწრებით სინანულს გამოთქვამენ, რომ იძულებულნი არიან, მასაც მოწყენილობა მოჰგვარონ, რადგან არსებული სიტუაცია უკეთესის საშუალებას არ იძლევა, – თუკი იმის განმარტებას ვეცდები, რა არის დიპლომატია. ვისურვებდი, რომ შემისწოროთ. მოკლედ, ვეცდები... დიპლომატია გულისხმობს, რომ საიმედო წესრიგი სიცრუით, სიმხდალით, კანიბალიზმით, მოკლედ, კაცობრიობის ყველა ფუნდამენტური სისაძაგლით უნდა დამყარდეს. თქვენს შესანიშნავ გამონათქვამს თუ დავესესხები, დიპლომატია à la baisse იდეალიზმია, რაც, ჩემი აზრით, მომხიბვლელად მელანქოლიურია, რადგან ეს გულისხმობს, რომ ჩვენი ზენა ძალების არასაიმედოობას ისევე მივყავართ კაციჭამიობამდე, როგორც წმინდა გონების კრიტიკამდე.

– სამწუხაროდ, – გააპროტესტა განყოფილების ხელმძღვანელმა, – დიპლომატიაზე რომანტიკული წარმოდგენები გაქვთ და მრავალთა მსგავსად პოლიტიკას ინტრიგაში ურევთ. თქვენს ნათქვამში არის ჭეშმარიტების მარცვალი. შესაძლოა, ასე მაშინ იყო, როცა პოლიტიკას მოყვარული თავადები ქმნიდნენ. მაგრამ დღეს, როცა ყველაფერი ბურჟუაზიულ ტაქტზეა დამოკიდებული, ეს მოსაზრება სწორი აღარ არის. ჩვენ მელანქოლიკები არ ვართ, ჩვენ ოპტიმისტები ვართ. უკეთესი მომავლის უნდა გვჯეროდეს, თორემ საკუთარი სინდისის წინაშე მართალნი არ ვიქნებით; ის კი ისე გვაქვს მოწყობილი, როგორც – სხვებს. თუ

მაინცდამაინც სიტყვა „კაციჭამიობის“ ხსენება გინდათ, შემიძლია გითხრათ, რომ სწორედ დიპლომატია იცავს ადამიანს კაციჭამიობისგან. ეს კი რომ შეძლო, რაღაც ამაღლებულის უნდა გწამდეს.

– თქვენ რისა გწამთ? – ჰკითხა ულრიხმა მიდებ-მოდების გარეშე.

– იცით რა, – უპასუხა ტუციმ, – ბავშვი ხომ არ ვარ, რომ ასე ნაუცბათევად გიპასუხოთ! იმის თქმა მინდოდა, რომ, რაც უფრო მჭიდროდ არის დიპლომატი საკუთარი ეპოქის სულიერ მდინარებასთან დაკავშირებული, მით უფრო უადვილდება თავისი პროფესია და პირიქით. ბოლო თაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ დიპლომატია მით უფრო საჭიროა, რაც მეტია სულიერების წარმატება ყველა დარგში. კაცმა რომ თქვას, ეს ბუნებრივიცაა.

– ბუნებრივია? ამით იმავეს ამბობთ, რასაც მე, – წამოიძახა ულრიხმა ისე გაცხარებით, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ის სიტუაცია იძლეოდა, როცა ორი კაცი თავშეკავებული ტონით საუბრობს. – მე გულისტკივილით აღვნიშნე, რომ სიკეთე და სულიერება ბოროტებისა და მატერიალიზმის გარეშე ხანგრძლივად ვერ იარსებებს, თქვენ კი დაახლოებით ასე მპასუხობთ: რაც უფრო მეტია ქვეყანაზე სულიერება, მით მეტი სიფრთხილეა საჭიროო. ასე ვთქვათ: ადამიანს შეიძლება, როგორც გარეწარს, ისე მოვექცეთ და მისგან მაინც ვერაფერს მივიღებთ; მაგრამ, შესაძლოა, მას კეთილშობილურად მოვეპყროთ და მაინც ვერაფერი მივიღოთ. ამიტომ ვმერყეობთ ამ ორ მეთოდს შორის და მათ ერთმანეთში ვურევთ. აი, სულ ეს არის. მეჩვენება, რომ ჩვენს მოსაზრებებს შორის უფრო მეტია თანხმობა, ვიდრე თქვენ გსურთ ამის აღიარება.

განყოფილების ხელმძღვანელი აბეზარ მოსაუბრეს მიუბრუნდა. ღიმილისგან ულვაშები ზემოთ აეწია, ელვარე თვალებში დამცინავი და დამთმობი გამომეტყველება ჩაუდგა; საუბრის გაგრძელება აღარ სურდა, რადგან ეს ლიპყინულივით სახიფათოდ და ისეთ ბავშვურ უაზრობად ეჩვენებოდა, როგორიც ყინულზე ბიჭბუჭების სრიალია.

– თქვენ, ალბათ, ბარბაროსობად ჩათვლით, – უპასუხა მან, – მაგრამ მინდა, რომ აგიხსნათ: ფილოსოფოსობის უფლება მხოლოდ პროფესორებს უნდა ჰქონდეთ! ცხადია, არ

ვგულისხმობ ჩვენს სახელოვან დიდ ფილოსოფოსებს, მე მათ დიდად ვაფასებ და მათი ყველა ნაშრომიც წაკითხული მაქვს. ისინი, ასე ვთქვათ, უკვე არსებობენ. ჩვენი პროფესორები კი მსახურობენ, ეს მათი პროფესიაა და მეტი არაფერი. პედაგოგებიც ხომ საჭირონი არიან, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი არ გადაშენდეს. ისე კი, ძველი ავსტრიული მაქსიმა ნამდვილად სამართლიანი იყო – მოქალაქეს ყველაფერზე არ უნდა ეფიქრა, რადგან ამას იშვიათად მოჰყვებოდა სიკეთე, თან ამაში რაღაც უტიფრობაც ურევია.

განყოფილების ხელმძღვანელმა თუთუნი შეახვია. „ბარბაროსობის“ გამო ბოდიშის მოხდის სურვილი აღარ გასჩენია. ტუცის ჭკუასუსტობით – როგორც ის თავს აჩვენებდა – მოხიბლული ულრიხი მის ნატიფ, მუქ თითებს დაჰყურებდა.

– თქვენ სწორედ იმ პრინციპს დაუჭირეთ მხარი, რომელსაც ათასი წლის მანძილზე ეკლესია იყენებდა თავის მიმდევრებთან, ახლა კი სოციალიზმი იყენებს, – უპასუხა ულრიხმა თავაზიანად. ტუცემ მას ნაჩქარევად შეავლო თვალი, რომ მიმხვდარიყო, საით უმიზნებდა ამ შედარებით ნათესავი. ელოდა, რომ ულრიხი კვლავ ხანგრძლივ განსჯას შეუდგებოდა და ამ გაუთავებელ ინტელექტუალურ მოურიდებლობაზე წინასწარ ბრაზობდა. ნათესავი კი დუმდა და კეთილგანწყობით უყურებდა კაცს, რომელიც მარტის რევოლუციამდელ იდეებს შეეპყრო. ის დიდი ხანია ეჭვობდა, რომ ტუცის რაღაც მიზეზი უნდა ჰქონოდა, რის გამოც გარკვეულ ზღვრამდე ეგუებოდა თავისი ცოლის არნჰაიმთან ურთიერთობას და უნდოდა გაეგო, ამით რის მიღწევას აპირებდა. პასუხს ვერ პოულობდა. იქნებ ტუცი უბრალოდ ისე იქცეოდა, როგორც ბანკები პარალელურ აქციასთან მიმართებაში, რომლისგან მთელი ეს დრო თავი შეძლებისდაგვარად შორს ეჭირათ, მაგრამ საბოლოოდ ზურგს მაინც არ აქცევდნენ და რაღაც კავშირს მაინც ინარჩუნებდნენ. ამიტომაც ვეღარ ამჩნევდა, რომ დიოთიმას სიყვარულის გაზაფხული დასდგომოდა. ეს ვარაუდი ნაკლებად დასაშვები იყო. ულრიხს სიამოვნებას ჰგვრიდა მოსაუბრის სახეზე ღრმა ნაოჭებისა და ღარების ყურება; მოსწონდა, როცა მას მუნდშტუკზე კბილების დაჭერის დროს ყბის კუნთები უმაგრდებოდა. ეს კაცი ულრიხს ნამდვილ მამაკაცობაზე წარმოდგენებს უღვიძებდა. მას საკუთარ თავთან ხანგრძლივი საუბრები მობეზრდა და ახლა სიტყვაძუნწ ადამიანად თავის

წარმოდგენა სიამოვნებდა. ფიქრობდა, რომ ტუცი, ალბათ, ბავშვობაში იმ ბიჭებს ვერ იტანდა, რომლებიც ბევრს ლაპარაკობდნენ. ასეთი ბიჭებისგან ესთეტები იზრდებოდნენ; ისინი კი, ვინც კბილებიდან იპურჭყებოდა, ისეთ კაცებად ყალიბდებოდნენ, უსარგებლო ფიქრები რომ არ სჩვევიათ და მოქმედებით, ინტრიგით, რაღაცის გაძლებით, სიტუაციისთვის წინააღმდეგობის გაწევით გრძნობისა და ფიქრის კომპენსაციას ეძებენ, რადგან გრძნობებს და ფიქრებს უფრთხიან და მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავენ, როცა სხვების შეცდომაში შეყვანა უნდებათ. ვინმეს რომ ტუცის თანდასწრებით ამგვარი შენიშვნა გამოეთქვა, ცხადია, იგი მას ისევე უარყოფდა, როგორც ემოციურობაზე გამოთქმულ შენიშვნას, რადგან მისი პრინციპი ასეთი გახლდათ: არავითარი გადაჭარბება და განსაკუთრებულობა არც ერთი და არც მეორე მიმართულებით. იმაზე, რომ ტუცი, როგორც პერსონა, თავს ასე დიდებულად წარმოაჩენდა, ისევე შეუძლებელი იყო ლაპარაკი, როგორც მუსიკოსს, მსახიობს ან მოცეკვავეს ვერ ჰკითხავ, მაინც რის თქმა სურს თავისი შემოქმედებით. იმწუთას ულრიხი სიამოვნებით დაარტყამდა მას მხარზე ხელს ან მსუბუქად მოქაჩავდა თმას, რათა პანტომიმის ენაზე, უსიტყვოდ, მასთან თანხმობის სცენა გაეთამაშებინა.

ულრიხს ვერ წარმოედგინა, რომ ტუცის ახლაც, პატარა ბიჭივით, კბილებს შორის კაცურად, თავის გემოზე გადმოფურთხების მოთხოვნილება ჰქონდა. სიტუაცია არ სიამოვნებდა, მაგრამ ულრიხისგან რაღაც კეთილგანწყობას გრძნობდა. ტუცემ თავადაც იცოდა, რომ ფილოსოფიაზე გამოთქმული აზრი სხვისი ყურისთვის მოსასმენად სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რა ჯანდაბა დაემართა და „ნათესავს“ (რაღაც მიზეზით ულრიხს ყოველთვის ასე მოიხსენიებდა) ნდობა ასე უხეშად რატომ აგრძნობინა. ყბედ კაცებს ვერ იტანდა. საგონებელში ჩავარდნილიყო – ულრიხის სახით ცოლთან კონფლიქტში მოკავშირეს ხომ არ ეძებდა?! ამის გაფიქრებაზე სირცხვილმა ლოყები აუწვა, რაღაც მოიმიზეზა და ულრიხს რამდენიმე ნაბიჯით მოსცილდა, შემდეგ გადაიფიქრა, მობრუნდა და ჰკითხა: – ერთხელ მაინც არ გიფიქრიათ, რატომ რჩება დოქტორი არნჰაიმი ასე დიდხანს ჩვენთან სტუმრად? – უცებ წარმოიდგინა, რომ ამ კითხვით ულრიხს ცხადად დაანახვებდა, რომ ცოლთან მის ყოველგვარ საეჭვო კავშირს გამორიცხავდა.

ულრიხმა ურცხვად შეხედა, თან აშკარა დაბნეულობა ეტყობოდა. ძალაუნებურად სწორი პასუხის გაცემა მოუნდა და სხვა არც უფიქრია.

– ფიქრობთ, რომ რამე განსაკუთრებული მიზეზი აქვს? – ჰკითხა ენის ბორძიკით. – თუ ასეა, მაშინ ეს საქმიანი მიზეზი უნდა იყოს.

– არაფერს ვამტკიცებ, – უპასუხა ტუცემ, რომელმაც ისევ გაიხსენა, რომ დიპლომატი იყო. – სხვა რა მიზეზი უნდა არსებობდეს?

– ბუნებრივია, არაფერი, – თავაზიანად დაეთანხმა ულრიხი. – თქვენი დაკვირვება საინტერესოა. გამოგიტყდებით და ამაზე არ მიფიქრია. შეიძლება, ეს მის ლიტერატურულ ინტერესებთან რაღაც კავშირშია. სხვათა შორის, ესეც დასაშვებია.

განყოფილების ხელმძღვანელმა ულრიხს პასუხად მხოლოდ დაბნეული ღიმილი შეაგება.

– მაშინ ის მიზეზიც უნდა ამიხსნათ, რის გამოც ისეთ ადამიანს, როგორიც არნჰაიმია, შეიძლება ლიტერატურული ინტერესები ჰქონდეს, – თქვა ტუცემ და იქვე ინანა, რადგან შეატყო, რომ ულრიხი ისევ ვრცელი პასუხისთვის მოემზადა.

– არ შეგიმჩნევიათ, რომ ქუჩაში მეტისმეტად ბევრი ადამიანი ელაპარაკება საკუთარ თავს?

ულრიხმა მხრები გულგრილად აიჩეჩა.

– ამ ხალხს რაღაც ვერა აქვს წესრიგში. აშკარად ვერ ერევიან საკუთარ შთაბეჭდილებებს და მათი ნარჩენებისგან გათავისუფლება სურთ. ჩემი აზრით, წერის გადაჭარბებული მოთხოვნილებაც ასე იბადება. თვითონ ნაწერებს ეს ასე აშკარად არ ეტყობა, რადგან იმისდა მიხედვით, როგორია ტალანტი და გამოცდილება, ეს ნაწერები პირველად მიზეზებს საგრძნობლად აღემატება. კითხვისას კი ეს სრულიად არაორაზროვნად ჩანს, თუმცა დღეს თითქმის აღარავინ კითხულობს. მწერალი მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რომ თანხმობის ან უარყოფის ფორმით ბოლი გამოუშვან.

– ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ არნჰაიმს პრობლემები აქვს? – ჰკითხა ტუცემ და მთელი გულისყური მოიკრიბა. – ბოლო ხანებში მისი წიგნები წავიკითხე მხოლოდ და მხოლოდ

ცნობისმოყვარეობის გამო, რადგან მას ბევრი დიდ პოლიტიკურ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

გამოგიტყდებით და ამ წიგნების ვერც მიზანი დავინახე და ვერც საჭიროება.

– ამ კითხვისთვის შეგვეძლო უფრო ზოგადი სახეც მიგვეცა, – შენიშნა ულრიხმა. – როცა კაცი არნჰაიმივით მდიდარი და გავლენიანია, რაში უნდა სჭირდებოდეს წერა? რატომ წერენ პროფესიონალი მწერლები? იმას, რაც არასდროს მომხდარა, ისე გვიყვებიან, თითქოს სწორედ ასე მომხდარიყოს. ეს ფაქტია. ცხოვრება ისე ხიბლავთ, როგორც მდიდარი – მაწანწალას, იმის მტკიცებით რომ არ იღლება, მდიდრის არსებობა ფეხებზეც მკიდიაო, თუ გაუთავებლად ერთ სათქმელს ღეჭავენ? ან იქნებ ბედნიერებას ინახავენ, როცა ფანტაზიით იმას ქმნიან, რაც რეალურად არ ერგოთ და რასაც ვერ გაუძლეს?

– თქვენ თვითონ არასდროს დაგიწერიათ? – შეაწყვეტინა ტუციმ.

– ჩემდა სავალალოდ, არასდროს. სავალალოდ-მეთქი, იმიტომ, რომ არც ისეთი ბედნიერი ვარ, რომ ეს არ მჭირდებოდეს. გადავწყვიტე, თუ მალე ეს მოთხოვნილება არ ვიგრძენი, ჩემი არანორმალურობის გამო თავი მოვიკლა!

ულრიხმა ეს ისეთი სერიოზული თავაზიანობით თქვა, რომ მისი ხუმრობა საუბრის მდინარებიდან ჩაძირულ ქვასავით გამოირიყა. ტუციმ შეაჩნია და ტაქტიანად, სასწრაფოდ სასაუბრო თემას დაუბრუნდა.

– მოკლედ, – დაასკვნა მან, – თქვენ იმავეს ამბობთ, რასაც მე, როცა ვამტკიცებ, რომ ჩინოვნიკი წერას პენსიაზე გასვლის შემდეგ იწყებს. საქმე ის არის, როგორ მივუსადაგოთ ეს დოქტორ არნჰაიმს?

ულრიხი გაჩუმდა.

– იცით, რომ არნჰაიმი პესიმისტია და აქაურ წამოწყებას, რომელშიც ასე უანგაროდ მონაწილეობს, არაფერს უკავშირებს? – თქვა ტუციმ და ხმას დაუწია. უცბად ცოლთან და არნჰაიმთან პირველი საუბარი გაახსენდა, როცა არნჰაიმმა პარალელური აქციის პერსპექტივები სკეპტიკურად შეაფასა. თვითონაც ვერ ხვდებოდა, რატომ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს საუბარი სწორედ

ახლა გაახსენდა, დიპლომატიის გამარჯვებად ჩათვალა, თუმცა არნჰაიმის სტუმრობის ნამდვილი მიზეზი მისთვის კვლავ ბუნდოვანი რჩებოდა.

92. მდიდარი ადამიანების ცხოვრების წესიდან

ესოდენ დიდი ყურადღება და აღფრთოვანება, რასაც არნჰაიმის მიმართ ავლენდნენ, სხვაში, შესაძლოა, იმის მიზეზად ქცეულიყო, რომ საკუთარი თავის რწმენა დაეკარგა და დაეჭვებულიყო, ამ გრძნობებს სხვებში ფულის წყალობით ხომ არ აღძრავდა. უნდობლობა არნჰაიმს კეთილშობილური აზრების გამოვლინებად არ მიაჩნდა და ფიქრობდა, რომ კაცი, მასავით ასეთი სიმაღლეებისთვის რომ მიუღწევია, უნდობლობის გამოვლენის უფლებას თავს მხოლოდ კომერციული ინფორმაციის მოსმენისას უნდა აძლევდეს. თანაც იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ ფული ხასიათის თვისებაა. მდიდარი ადამიანი სიმდიდრეს ხასიათის თვისებად მიიჩნევს ისევე, როგორც ღარიბი. ამ აზრს გულის სიღრმეში ყველა უსიტყვოდ ეთანხმება. პრობლემას მხოლოდ ლოგიკა ქმნის, რადგან ამტკიცებს, რომ ფული, შესაძლოა, ადამიანს გარკვეულ თვისებებს ანიჭებდეს, მაგრამ თავად ადამიანის თვისება ვერასდროს გახდება. რასაც ჩვენ ვხედავთ, ლოგიკას სიცრუეში ამხელს. ნებისმიერი ადამიანის ცხვირს მაშინვე და შეუცდომლად ეცემა დამოუკიდებლობის, ბრძანების გაცემის ჩვევის, ყველგან და ყოველთვის საუკეთესოს შერჩევის, სამყაროს მიმართ მსუბუქი ზიზღისა და ძალაუფლებით გამოწვეული პასუხისმგებლობის ის ნაზი არომატი, დიდ და საიმედო შემოსავალს რომ ასდის. ასეთ ადამიანს გარეგნობაზეც ეტყობა, რომ მას სამყაროს რჩეული ძალები კვებავს და ყოველდღიურად განაახლებს. შიგნიდან, მის ზედაპირთან ახლოს, ფული ისევე ცირკულირებს, როგორც მცენარის წვენი – ყვავილში. ეს ყველაფერი არც თვისებათა სესხებაა, არც ჩვევების შეძენა და არც ისეთი რამ, რასაც ადამიანი სხვისი ხელიდან იღებს: გაუუქმეთ მდიდარს საბანკო ანგარიში, ჩამოართვით კრედიტი და ის არა მარტო ფულს დაკარგავს, არამედ იმავე დღეს, როგორც კი ამას გააცნობიერებს, დამჭკნარ ყვავილს დაემსგავსება. არარაობის ენით აუწერელი თვისება, დაურწმუნებლობის, არასაიმედოობის, უმწეობისა და სიღატაკის მიმწვარი სუნი ყველასთვის ისევე საგრძნობი გახდება, როგორც მანამდე –

სიმდიდრის თვისება. ასე რომ, სიმდიდრე ის პერსონალური და უბრალო თვისებაა, რომელსაც განადგურების გარეშე ვერ დაანაწევრებ.

ამ იშვიათი თვისების შედეგები და ფუნქცია კი ერთობ ბუნდოვანია და მისი ფლობა დიდ სულიერ ძალას ითხოვს. ოცნების საგანს სიმდიდრე მხოლოდ მათთვის წარმოადგენს, ვისაც ფული არა აქვს, ისინი კი, ვისაც ფული აქვს, შანსს ხელიდან არ უშვებენ და ირწმუნებიან, რომ სიმდიდრე დიდი ტვირთია. არნჰაიმი ხშირად ფიქრობდა, რომ მისი ფირმის ნებისმიერი ტექნიკური და კომერციული განყოფილების ხელმძღვანელი ცოდნით აღემატებოდა და თავს ირწმუნებდა, თუ საკმარისად მაღალი პოზიციიდან შევხედავთ, აზრების, ცოდნის, ერთგულების, ტალანტის, წინდახედულების და მსგავსი თვისებების ყიდვა სულ თავისუფლად შეიძლება, ისინი ამქვეყნად, რამდენიც გინდა, იმდენია, მაგრამ ამ თვისებების გამოყენება იშვიათია და მხოლოდ მათი ხვედრია, განსაკუთრებული მისიით რომ ევლინებიან ამ ქვეყანასო. მეორე და არანაკლებ პრობლემას მდიდრებს ისიც უქმნით, რომ მათ ყველა ფულს სთხოვს. რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს: რამდენიმე ათასი ან ათი ათასი მარკა მდიდარს გინდ ჰქონია და გინდ არა. მდიდრებს იმის მტკიცებაც უყვართ, რომ ფული ადამიანის ღირებულებას არ ცვლის. ამით იმის თქმა სურთ, რომ მათი ღირებულება უფულოდაც იგივე იქნებოდა, რაც ახლაა და ყოველთვის შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს, როცა მათი არ ესმით. სამწუხაროდ, იგივე ემართებათ, და თან არცთუ იშვიათად, სულიერ ადამიანებთან ურთიერთობისას. მათ ფულის ნაცვლად ხშირად სამომავლო გეგმები და ნიჭი აქვთ, მაგრამ ამის გამო საკუთარი არასრულფასოვნების განცდა არასდროს ეუფლებათ და სრულიად ბუნებრივად მიიჩნევენ, მდიდარ მეგობარს – რომლისთვისაც ფულს მნიშვნელობა არა აქვს – კეთილი მიზნების დაფინანსება სთხოვონ. ვერ ხვდებიან, რომ მდიდარს მათი დახმარება იდეებით, ცოდნითა და პიროვნული ხიბლით სურს. გარდა ამისა, ამ თხოვნით აიძულებენ, ფულის ბუნებას დაუპირისპირდეს, რადგან ფული ზუსტად ისევე ითხოვს გამრავლებას, როგორც ცხოველი, ინსტინქტურად საკუთარი ჯიშის გასაგრძელებლად რომ ზრუნავს. შეიძლება ფული წამგებიან საქმეში ჩადო და მაშინ ფულის ღირსების ველზე დაღუპვა გელის. ფულით შეგიძლია მანქანა იყიდო, თუმცა ძველიც ახალივითაა; ცხენებიანად

პოლოს სათამაშოდ საერთაშორისო კურორტებზე ყველაზე მდიდრულ სასტუმროებში გაჩერდე, დოღზე ფული დადო და ხელოვნების ნაწარმოები დააფინანსო; ერთ საღამოს ათასობით სტუმრისთვის იმდენი ფული დახარჯო, ას ოჯახს მთელი წელი რომ არჩენდა. ფული შეგიძლია ისე ფანტო, როგორც მთესავმა თესლი მინდორში, მას კი არაფერი დააკლდება და გამრავლებული დაგიბრუნდება; მაგრამ გასცე და დაურიგო იმ ადამიანებს, რომლებისგანაც სარგებელს ვერ ნახავ, ეს უკვე ფულის მუხანათურ მკვლელობას ნიშნავს. თავისუფლად დასაშვებია, რომ მათ კეთილი მიზნები ჰქონდეთ და თავადაც შეუდარებელნი იყვნენ, მაგრამ მათ ყველა სხვა საშუალებით უნდა დაეხმარო, ოღონდ არა – ფულით. ასეთი გახლდათ არნჰაიმის პრინციპი, რომელმაც მას იმ კაცის რეპუტაცია მოუპოვა, ეპოქის სულიერ განვითარებაში დიდი შემოქმედებითი წვლილი რომ მიუძღვის.

საკუთარ თავზე არნჰაიმს იმის თქმაც შეეძლო, რომ სოციალისტივით აზროვნებდა. საერთოდაც, სოციალისტური აზროვნება ბევრ მდიდარს ახასიათებს. ის, რასაც საკუთარ კაპიტალს უმადლიან, უნდათ ბუნების კანონად რომ ცნონ და მტკიცედ სწამთ, რომ საკუთრება კი არ ანიჭებს ადამიანს მნიშვნელობას, არამედ ადამიანი – საკუთრებას. შეუძლიათ მშვიდად იკამათონ, რომ მომავალში, როცა ამქვეყნად აღარ იქნებიან, საკუთრება გაქრება. ის მოსაზრება, რომ მათ აზროვნებას სოციალისტური ხასიათი აქვს, იმითაც უძლიერდებათ, რომ ხშირად გადატრიალების გარდაუვალობაში დარწმუნებული სოციალისტები მათთან უფრო მჭიდრო კონტაქტს ამყარებენ, ვიდრე ღარიბებთან. შეგვეძლო დიდხანს გველაპარაკა, თუკი ფულის ფუნქციების ჩამოთვლას გავაგრძელებდით. ეკონომიკური საქმიანობა სხვა სახის ინტელექტუალური საქმიანობისგან არ უნდა გავმიჯნოთ. თავის ინტელექტუალურ და მხატვარ მეგობრებს, ცხადია, არნჰაიმი რჩევების გარდა ფულსაც აძლევდა, თუკი ისინი დაჟინებით სთხოვდნენ. მაგრამ ფულს ყოველთვის არ აძლევდა, მით უმეტეს ბევრს – არასდროს. მეგობრები არწმუნებდნენ, რომ მის გარდა დედამიწის ზურგზე არავის არ მიმართავდნენ ამ თხოვნით, რადგან ამისთვის საჭირო ინტელექტუალურ თვისებებს მხოლოდ ის ფლობდა და არნჰაიმსაც სჯეროდა მათი; დარწმუნებული იყო, რომ კაპიტალის მოთხოვნილება ადამიანურ ურთიერთობებს

განმსჭვალავს, რაც ისევე ბუნებრივად ეჩვენებოდა, როგორც ჰაერის მოთხოვნილება. მეორე მხრივ, მათ მოსაზრებასაც უწევდა ანგარიშს – ფული სულიერი ძალაა, რომელიც ადამიანმა დელიკატური თავშეკავებით უნდა გამოიყენოსო.

რატომ უყვართ ადამიანი და რატომ არიან მისით აღფრთოვანებულები? განა ეს აუხსნელი საიდუმლო არ არის, კვერცხივით მრგვალი და მსხვრევადი? ულვაშის გამო სიყვარული უფრო გულწრფელია თუ ავტომობილის გამო სიყვარული? როდის აქვს სიყვარულს პერსონალური ხასიათი: მაშინ, როცა სამხრეთის გარუჯული შვილი უყვარდებათ, თუ მაშინ, როცა – მსხვილი მეწარმის ვაჟი? იმ დროს, როცა, მაშინდელი მოდის მიხედვით, ყველა სუფთად გაპარსული დადიოდა, არნჰაიმი მოკლედ შეკრეჭილ ულვაშს და პატარა, წაწვეტებულ წვერს ატარებდა. და სახეზე მათი შეგრძნება, მსუბუქი, მაგრამ მაინც ესოდენ განუყრელი, თავისთვის აუხსნელი რაღაც მიზეზით, საკუთარ ფულს ახსენებდა, როცა აღფრთოვანებული მსმენელის წინაშე თავდავიწყებით ლაპარაკობდა.

93. სამოქალაქო გონებას ფიზიკური კულტურის გზითაც ვერ მიუდგები

გენერალი უკვე დიდი ხანია წრიულად განლაგებული სკამებიდან ერთ-ერთზე იჯდა, შუაში კი ინტელექტუალური ტურნირი იმართებოდა. გვერდით თავისი „მფარველი“ ულრიხი ეჯდა – როგორც მას უწოდებდა. მათ შორის ერთი თავისუფალი სკამი იყო და მასზე ორი ბოკალი იდგა გამაგრილებელი წყლით, რომელიც მას და ულრიხს ბუფეტიდან წამოეღოთ. გენერალს ღია ცისფერი მუნდირი მუცელთან შეჭმუხნილი შუბლივით წამოჩაჩოდა. ორივე დუმდა და მათ წინ გამართულ საუბარს უსმენდა.

– ბოპრეს თამაში, – თქვა ვიღაცამ, – გენიალურია. მისი თამაში ზაფხულში აქ ვნახე, ზამთარში კი – რივიერაზე. შეცდომას რომ უშვებს, მაშინაც კი ბედი სწყალობს. შეცდომებს ხშირად უშვებს და მისი თამაში ჩოგბურთის თეორიას ეწინააღმდეგება; მაგრამ ეს ადამიანი, მუდამ ღმერთი რომ სწყალობს, ჩოგბურთის ჩვეულებრივი წესების მიღმა დგას.

– ინტუიციურ ჩოგბურთს მეცნიერული მირჩევნია, – გააპროტესტა მისი ნათქვამი ვიღაცამ. – მაგალითად, ბრედოკი.

შესაძლოა, სრულყოფილება ამქვეყნად არ არსებობს, მაგრამ ბრედოკი მასთან ახლოსაა. პირველმა მოსაუბრემ უპასუხა: – ბოპრეს გენიალურობა, მისი დაუგეგმავი, გენიალური ქაოსი, მწვერვალს მაშინ აღწევს, როცა თეორია აღარ ფუნქციონირებს.

მესამე მოსაუბრე: – გენიალურობა, შესაძლოა, ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია.

– აბა, რას დაარქმევდით? სწორედ გენიალურობა კარნახობს ადამიანს ყველაზე დაუჯერებელ მომენტში, როგორ მოექცეს ბურთს სწორად.

– იმასაც ვიტყოდი, – შეაშველა სიტყვა ბრედოკიანელმა, – რომ პიროვნულობა თავს ყოველთვის ამხელს, სულერთია, ჩოგბურთის ჩოგანი გიჭირავს ხელში თუ ხალხთა ბედი.

– არა, არა, გენიალურობა მაინც მეტისმეტია! – გააპროტესტა მესამემ.

მეოთხე მუსიკოსი იყო. მან თქვა: – ცდებით. მხედველობაში არ იღებთ სპორტის პრაგმატულ აზროვნებას, რადგან ლოგიკურ-სისტემურ აზროვნებას სათანადოდ არ აფასებთ. თქვენი დამოკიდებულება ისევე მოძველდა, როგორც ის ცრურწმენა, რომ მუსიკა ემოციურად ამდიდრებს, სპორტი კი – ნებისყოფის სკოლაა. მოძრაობის სფეროში ყველა მიღწევა იმდენად მაგიურია, რომ, თუ ადამიანი დაუცველია, მას ვერ გაუძლებს. შეგიძლიათ ამას კინოში დააკვირდეთ, როცა მუსიკა არ არის. მუსიკა შინაგანი მოძრაობაა და ფანტაზიას ავითარებს. ვინც მუსიკის მაგიურ მხარეს იგრძნობს, დაუფიქრებლად სპორტის გენიალურობასაც აღიარებს. გენიალურობას მხოლოდ მეცნიერებაა მოკლებული, ის გონიერების აკრობატიკაა!

– მაშასადამე, სწორი ვყოფილვარ, – თქვა ბოპრეს თაყვანისმცემელმა, – რომ ბრედოკის მეცნიერულ გენიალურობას არ ვცნობ.

– თქვენ არ ითვალისწინებთ, – დაიცვა ბრედოკი მისმა თაყვანისმცემელმა, – რომ ამოსავალ წერტილად მეცნიერების განახლებული ცნება უნდა იქცეს.

– რომელი რომელს ჯობნის? – იკითხა ვიღაცამ.

არავინ იცოდა. ერთმანეთისთვის არაერთხელ მოუგიათ, მაგრამ ციფრები ზუსტად არავის ახსოვდა.

– მოდით, არნჰაიმს ვკითხოთ, – წამოაყენა ვიღაცამ წინადადება.

ჯგუფი გაიფანტა. სამივე სკამზე დუმილი გრძელდებოდა. ბოლოს ჩაფიქრებულმა გენერალმა თქვა: – რაც აქ მოვისმინე, მუსიკის გამოკლებით, სახელოვან გენერლებზეც შეიძლებოდა თქმულიყო. რატომ მიაჩნიათ ჩოგბურთელი გენიოსად, გენერალი კი – ბარბაროსად?

დიოთიმას შემდეგ, რაც მისმა მფარველმა ურჩია, დიოთიმაზე ფიზიკური კულტურის იდეით ემოქმედა, გენერალი არაერთხელ დაფიქრებულა, როგორ ესარგებლა ამ გზით და როგორ მოეძებნა სამოქალაქო იდეებისკენ მიმავალი გზა, თუმცა ამ მიმართულებითაც პრობლემები უჩვეულოდ დიდი იყო.

94. დიოთიმას ღამეები

დიოთიმას აკვირვებდა ის კეთილგანწყობილება, რომელსაც არნჰაიმი ასე თვალნათლივ ავლენდა ამ ხალხის მიმართ, რადგან მისი გრძნობები ზუსტად შეესაბამებოდა იმას, რაც მან რამდენჯერმე შემდეგი სიტყვებით გამოხატა: მსოფლიო საქმეები იმაზე მეტი არაა, ვიდრე un peu de bruit autour de notre âme.

მას უცნაური გრძნობა ეუფლებოდა, როცა ირგვლივ შეკრებილ წარჩინებულ სტუმრებს აკვირდებოდა. მისი ცხოვრების ისტორიიდან მაღალსა და დაბალს შორის უზარმაზარი სხვაობა დარჩენილიყო: ეს იყო კონტრასტი მოკრძალებული გოგოს წვრილბურჟუაზიულ შეზღუდულობასა და თვალისმომჭრელ წარმატებას შორის. თავბრუდამხვევ სიმაღლეზე, ვიწრო საფეხურზე მდგომს მოთხოვნილება უჩნდებოდა, რომ უფრო ზევით ასვლის იმედით ნაბიჯი გადაედგა. გაურკვევლობა იზიდავდა. ვერ გაებედა იმ ცხოვრებაში შებიჯება, სადაც საქმე, გონება, სული და ოცნება ერთია. აღარც პარალელური აქციის დამაგვირგვინებელი იდეა ადარდებდა და მსოფლიო ავსტრიის მიმართაც გულგრილად იყო განწყობილი. თვით ის ფაქტიც კი, რომ ადამიანის გონების შექმნილ ყველა დიდ პროექტს, შეიძლება, კონტრპროექტი გამოუჩნდეს, აღარ აძრწუნებდა. საგანთა მსვლელობა იქ, სადაც ისინი მნიშვნელობას იძენენ, ლოგიკას მოკლებულია. ის უფრო ელვას და ცეცხლს გვახსენებს და დიოთიმაც მიეჩვია, აღარ ეფიქრა სიდიადეზე,

რომლის გარემოცვაშიც გრძნობდა თავს. მისი ნება რომ ყოფილიყო, აქციას მიატოვებდა და არნჰაიმს ცოლად გაჰყვებოდა პატარა გოგოსავით, პრობლემებს ზურგს რომ აქცევს და მამას კისერზე შემოეხვევა. მაგრამ დიოთიმას არნჰაიმის საქმიანობის ენით აუწერელი მასშტაბურობა აკავებდა. გადაწყვეტილების მისაღებად დროც არ ჰქონდა. მოვლენათა გარეგნული და შინაგანი ჯაჭვი ერთმანეთს გვერდიგვერდ ორ დამოუკიდებელ რიგად მიუყვებოდა და მათი დაკავშირების ყველა მცდელობა ამაო იყო, ზუსტად ისე, როგორც მის ცოლქმრულ ცხოვრებაში: გარეგნულად ყველაფერი უწინდელზე უფრო ბედნიერად მიედინებოდა, სულიერი მხარე კი დასასრულს უახლოვდებოდა.

მისი ხასიათიდან გამომდინარე, ჯობდა ქმარს გულახდილად დალაპარაკებოდა, მაგრამ სათქმელიც არაფერი ჰქონდა. უყვარდა არნჰაიმი? მასთან დამოკიდებულებას იმდენი სახელი შეიძლებოდა დარქმეოდა, რომ ეს ერთობ ტრივიალური სახელიც, გამონაკლისის სახით, ამოუტივტივდებოდა ხოლმე გონებაში. ერთმანეთისთვის ერთხელაც არ უკოცნიათ, ხოლო სულთა შერწყმას, რომც გამოსტყდომოდნენ, ტუცი მაინც ვერაფერს გაუგებდა. დიოთიმას ხანდახან უკვირდა კიდეც, რომ არნჰაიმსა და მას შორის ისეთი არაფერი ხდებოდა, მოსაყოლად რომ ღირებულიყო. დიოთიმამ ბოლომდე ვერ შეძლო, დაეთმო იმ პატარა, წესიერი გოგოს ჩვევა, მასზე უფროს მამაკაცს პატივმოყვარედ ქვემოდან ზემოთ რომ შეჰყურებს, და ხელშესახები თუ არა, მოსაყოლად რომ ღირს, ისეთი მოვლენების განვითარება მასზე უმცროს ბიძაშვილთან უფრო წარმოედგინა, რომელსაც ამრეზით უყურებდა, ვიდრე იმ კაცთან, ვინც უყვარდა და ვისაც შეეძლო, დაეფასებინა, როცა დიოთიმას გრძნობები გამოსავალს მაღალ სულიერ დონეზე პოულობდა. დიოთიმამ იცოდა, რომ ცხოვრების გარემოებათა ცვლილებებს ბოლომდე უნდა დაჰყოლოდა, თანაც ისე, რომ ახალ ოთხ კედელს შორის გამოღვიძებულს აღარ გახსენებოდა, აქ საიდან მოხვედრილიყო, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილი ფხიზელი გონების გავლენასაც გრძნობდა. არც იმ ანტიპათიისგან გათავისუფლებულიყო, მისი ეპოქის საშუალო ავსტრიელი მოძმე გერმანელის მიმართ რომ განიცდიდა. ეს ანტიპათია კლასიკური, ახლა უკვე მოძველებული ფორმით დაახლოებით იმ წარმოდგენას შეესაბამებოდა, გოეთეს და შილერის პატივცემულ თავებს გულუბრყვილოდ პუდინგით

და საწებლით ნაკვებ იმ სხეულებს რომ ადგამდა, რომლებმაც მათი არაადამიანური არსისგან რაღაც შეითვისეს. დიოთიმას არ გამოჰპარვია, რომ მიუხედავად წარმატებისა, არნჰაიმს მის წრეში რომ მოეპოვებინა, გაოცების პირველი პერიოდის ჩავლის შემდეგ რაღაც წინააღმდეგობამაც იჩინა თავი. ამ წინააღმდეგობას კონკრეტული ფორმა ჯერ არ მიეღო და არც დღის შუქი ეხილა, მაგრამ დიოთიმა ცხადად ხედავდა იმ განსხვავებას, მის საკუთარ პოზიციას და სხვათა თავშეკავებას შორის რომ გაჩენილიყო. საკუთარი ქცევის ორიენტირად კი იგი ყოველთვის მათ მოსაზრებას იღებდა. როგორც წესი, ნაციონალური ანტიპათია სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი თავისადმი ანტიპათია, რომელიც წინააღმდეგობათა ღრმა წყვდიადიდან იბადება და შესაბამის მსხვერპლს ირჩევს. იგი ჯერ კიდევ უშორეს წარსულში იღებს სათავეს, როცა ექიმები ჯოხით ხელში დემონების ადგილსამყოფელზე მიუთითებდნენ და ავადმყოფის სხეულიდან სენის გამოდევნას ცდილობდნენ. ის გარემოება, რომ მისი შეყვარებული პრუსიელი იყო, დიოთიმას გულს სხვა დანარჩენ გრძნობებთან ერთად იმგვარ შიშსაც ჰგვრიდა, რომლის მსგავსიც მანამდე არ განეცადა. და თუ იმ გაურკვეველ მდგომარეობას, რომელიც ცოლქმრული ცხოვრების მარტივი უხეშობისგან ასე ძლიერ განსხვავდებოდა, ვნებას დაარქმევდა, ალბათ, მართალი იქნებოდა.

დიოთიმას უძილო ღამეები ჰქონდა. ასეთ ღამეებში ის პრუსიელ მსხვილ მეწარმესა და ავსტრიელ განყოფილების ხელმძღვანელს შორის მერყეობდა. ნახევრად მძინარე არნჰაიმის დიდებულ, ბრწყინვალე ცხოვრებას წარმოიდგენდა ხოლმე. საყვარელი მამაკაცის გვერდით იგი ახალი დიდების ზეცაში ფრენდა, თუმცა ამ ზეცას უსიამოვნო, პრუსიული ცისფერი ერია. განყოფილების ხელძღვანელ ტუცის მოყვითალო სხეული კუნაპეტ ღამეში მის გვერდით იწვა. დიოთიმა ამას ბუნდოვნად გრძნობდა ისევე, როგორც მოშავო-მოყვითალო სიმბოლოს ძველი კაკანიური კულტურისა, რომლისაც ტუცის ბევრი არაფერი ეტყობოდა. მის უკან მისი ბრწყინვალების, გრაფი ლაინსდორფის ბაროკოს სასახლის ფასადი მოჩანდა. სასახლის გარშემო ბეთჰოვენის, მოცარტის, ჰაიდნის, პრინც ოიგენის აჩრდილები ნოსტალგიასავით ლივლივებდნენ, იმ ნოსტალგიასავით, უკვე რომ გიპყრობს, სანამ სახლიდან წახვალ. დიოთიმას ამ სამყაროდან ნაბიჯის

გადადგმა ვერ გაებედა, თუმცა ქმარი სწორედ ამიტომ სძულდა. მის ლამაზ, დიდ სხეულში, როგორც აყვავებულ, ვრცელ სამყაროში, სული უმწეოდ მყოფობდა.

„არა მაქვს უფლება, უსამართლო ვიყო, – ფიქრობდა დიოთიმა. – ადამიანი, რომელიც მსახურობს, მგრძნობიარე და ხელგაშლილი ვერ იქნება, თუმცა ახალგაზრდობაში, ალბათ, ამის შანსი ექნებოდა“. ქორწინებამდელ პერიოდს იხსენებდა, თუმცა პატარა ბიჭი განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი არც მაშინ ყოფილა. „თავის მდგომარეობას მან გულმოდგინეობით და მოვალეობისადმი ერთგულებით მიაღწია, – ეუბნებოდა საკუთარ თავს დიოთიმა. – თვითონაც ვერ ხვდება, რომ ეს მისი პიროვნულობის ხარჯზე მოხდა“.

მას შემდეგ, რაც დიოთიმამ საზოგადოებაში წარმატება მოიპოვა, ქმარზე შემწყნარებლურად ფიქრობდა და ამიტომ კიდევ ერთ დათმობაზე წავიდა. „წმინდა წყლის რაციონალისტი და უტილიტარისტი არავინ არის. თავიდან ცხოვრებას ყველა ცოცხალი სულით იწყებს, – ფიქრობდა ის. – ყოველდღიურობა მას ათავხედებს, ჩვეულებრივი ვნებები ხანძარივით წვავს და დაგავს, ცივი სამყაროსგან კი სული ეთოშება“. იქნებ ზედმეტად მოკრძალებული იყო და დროულად ვერ შეძლო, ქმრისთვის მკაცრად ესაყვედურა. ღმერთო, რა საწყენი იყო! დიოთიმას ეჩვენებოდა, რომ არასდროს ეყოფოდა გამბედაობა, ტუცი გაყრასთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვია, რადგან საქმეში ჩაფლული ამ კაცისთვის ეს მძიმე დარტყმა იქნებოდა.

„ამას ღალატი სჯობია!“ – გაიფიქრა უცებ დიოთიმამ.

ეს აზრი, უკვე დიდი ხანია, მოსვენებას არ აძლევდა.

რა უნაყოფოა – შეასრულო მოვალეობა იქ, სადაც დგახარ. რამდენ ენერგიას ფლანგავ ფუჭად. ჭეშმარიტი მოვალეობა საკუთარი ადგილის მოძებნა და გარემოს ცნობიერად ჩამოყალიბებაა! თუ თავს ქმართან დარჩენას მიუსჯიდა, მაშინ ეს უსარგებლო, მაგრამ თან ნაყოფიერი უბედურება იქნებოდა. მისი ვალი გადაწყვეტილების მიღება იყო. ვერ ივიწყებდა უმსგავს კეკლუცობას და ულაზათო ქარაფშუტობას, ღალატს რომ მუდამ თან ახლდა და რის შესახებაც სხვათა მონაყოლით იცოდა. საკუთარი თავის ამ მდგომარეობაში წარმოდგენა უჭირდა. პაემნებისთვის დაქირავებული ოთახის კარის

სახელურზე ხელის შევლება მისთვის ჭაობში ჩაძირვას ნიშნავდა. კაბის შარიშურით უცხო კიბეზე ნაჩქარევად არბენას მისი სხეულის მორალური თავდაჭერილობა წინააღმდეგობას უწევდა; ნაჩქარევი კოცნა მისი ბუნებისთვის ისევე უცხო იყო, როგორც მალიმალ ნათქვამი სასიყვარულო სიტყვები. დიოთიმა უფრო კატასტროფების მომხრე იყო. უკანასკნელი შეხვედრა, ყელში გაჩხერილი გამოსამშვიდობებელი სიტყვები, შეყვარებულსა და დედის მოვალეობას შორის ღრმა კონფლიქტი – მის ბუნებას ეს უფრო პასუხობდა. ქმრის ხელმომჭირნეობის გამო კი მას შვილები არ ჰყავდა და ამიტომ ტრაგედიისთვისაც უნდა აერიდებინა თავი. გადაწყვიტა, თუ საქმე აქამდე მივიდოდა, რენესანსის მაგალითით ეხელმძღვანელა – სიყვარული, რომელიც გულში ხანჯალგაყრილი ცოცხლობს! სწორედ ამის წარმოდგენა უჭირდა. მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც დიდებული ამაში უდავოდ უნდა ყოფილიყო: ჩამონგრეული სვეტები, უკანა ფონზე ღრუბლები, რომლებიც ცაზე მიიზლაზნებიან, დანაშაული და დანაშაულის გრძნობის დაძლევა, ტანჯვით გამოსყიდული სიამოვნება – ამ გრძნობით კრთოდა სურათი, რომელიც დიოთიმას ენით უთქმელი მოკრძალებით და აღფრთოვანებით მსჭვალავდა. „ადამიანის ადგილი იქ არის, სადაც ის თავის უზენაეს შესაძლებლობებს პოულობს და სადაც მისი ძალები სრულად ვითარდება“, – ფიქრობდა ის. ღამის სიბნელეში დიოთიმა ქმარს უყურებდა. ეს კაცი, რომელშიც გრძნობას გონება სჭარბობდა, ისევე ვერ შეამჩნევდა სხვა სულიერ რეალობას, როგორც თვალი, რომელიც სპექტრის ულტრაიისფერ სხივებს ვერ აღიქვამს.

განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის მშვიდი, უშფოთველი ძილით ეძინა და გუმანითაც ვერაფერს ხვდებოდა. ის აზრი, რომ დამსახურებული რვასაათიანი ძილის მანძილზე ევროპაში მნიშვნელოვანი არაფერი მოხდებოდა, ტკბილად არწევდა და უნანავებდა. მისმა სიმშვიდემ დიოთიმაზეც იმოქმედა და ფიქრობდა: უარი! არნჰაიმთან გამომშვიდობება, ტანჯვის ამაღლებული და კეთილშობილური სიტყვები, ბეთჰოვენისეული განშორება: გულის ძლიერი კუნთი ამ მოთხოვნისგან იძაბებოდა. მთრთოლვარე, შემოდგომასავით დაბინდული საუბრები, შორეული ცისფერი მთების ნაღველი მომავლის დღეებს ავსებდა. უარი თქვას? რა დარჩება? ცოლქმრული სარეცელი?! დიოთიმა წამოჯდა, შავი თმა

გასწეწოდა. განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის ძილი უცოდველ ძილს კი არა, გველის ძილს ჰგავდა, მუცელში გადაყლაპული კურდღელი რომ ჰყავს. ცოტაც და დიოთიმა გააღვიძებდა და სახეში მიახლიდა, რომ მისგან წასვლას აპირებდა! მის გაორებულ მდგომარეობაში ისტერიკა გასაგებიც იქნებოდა, მაგრამ დიოთიმას სხეული საკმაოდ ჯანმრთელი იყო იმისათვის, რომ ტუცის სიახლოვისთვის პასუხი უკიდურესი აღშფოთებით გაეცა. უუნარობა თავზარს სცემდა. ტირილს ამაოდ ცდილობდა. უცნაურია და სწორედ ახლა ულრიხზე ფიქრი ნუგეშს ჰგვრიდა. საერთოდ, ასეთ წუთებში ის არასდროს ახსენდებოდა, მაგრამ მის უცნაურ ნათქვამს, რეალობა უნდა გაუქმდეს და არნჰაიმი მას ზედმეტად აფასებსო, რაღაც დამატებითი შეფერილობაც ჰქონდა. თავის დროზე დიოთიმამ მისი ეს ნათქვამი ყურს მიღმა გაატარა, მაგრამ იმ ღამეს გონებაში ისევ ამოუტივტივდა. „ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ დიდად არ გადარდებდეს ის, რაც მოსახდენია, – ფიქრობდა სინანულით დიოთიმა. – ამქვეყნად ეს ყველაზე ჩვეულებრივი რამ არის!“. დიოთიმამ იცოდა, რომ ასე უბრალოდ და ცუდად თარგმნილ აზრში რაღაც არ ესმოდა და სიმშვიდესაც სწორედ ეს ჰგვრიდა. სიმშვიდე კი მის სასოწარკვეთას და ცნობიერებას თითქოს დამბლას სცემდა. დრო შავი აჩრდილივით გასხლტა. თავს იმით ინუგეშებდა, რომ ხანგრძლივი სასოწარკვეთილების არქონა საქებარიც იყო, მაგრამ ამას კარგად ვეღარ აცნობიერებდა.

ღამით აზრები ხან სინათლეში ჩაედინება და ხან – სიზმარში ისე, როგორც წყალი – კარსტში. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ისინი ზედაპირზე მშვიდად ჩნდებოდა, დიოთიმას ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, რომ აზრთა დუღილი არც არასდროს განეცადა. ჩამუქებული მთების უკან პატარა, გიჟმაჟი მდინარე წყნარ დინებად ქცეულიყო და ბოლოს დიოთიმამ ამ დინებაში შეცურა. მრისხანება დაცხრა, ზიზღი განელდა, გამბედაობა და შიში დაიკარგა; არსებობის უფლება ამ გრძნობებს არ ჰქონდათ და ისინიც აღარ არსებობდნენ. სულის ჭიდილში დამნაშავე არავინაა! ულრიხი კვლავ დავიწყებული აღმოჩნდა, რადგან მხოლოდ ბოლო იდუმალებანი და სულთა მარადიული ლტოლვა დარჩა. მათი ზნეობრიობა არც ჩადენილ საქციელშია, არც ცნობიერების მოძრაობაში და არც ვნებათაღელვაში. ვნებებიც მხოლოდ un peu de bruit autour de notre âme-ია. შეიძლება მთელი სამეფო დაიპყრო

ან დაკარგო და სული კი არ აიმღვრეს; ანდა, შესაძლოა, არც არაფერი მოიმოქმედო, რათა ბედისწერა აღსრულდეს, მაგრამ ის დროდადრო შენი არსების სიღრმიდან კოსმიური სფეროს მუსიკასავით ამოიზარდოს. დიოთიმა ასეთ დროს, როგორც არასდროს, ნათელი გონებით იწვა და მთელი მისი არსება ნდობით აღვსილიყო. დამაბოლოებელი წერტილთან ერთად მის თვალთაგან გამსხლტარ აზრებს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ დიოთიმას თვით ასეთ უძილო ღამეებშიც კი მალევე ძილს ჰგვრიდა. უსასრულო, მისგან და პაულ არნჰაიმისგან განუყრელ წყვდიადს, ვარსკვლავებსაც რომ სცდებოდა, მისი სიყვარული ერწყმოდა და ამ სიყვარულს ხავერდოვან ხილვასავით შეიგრძნობდა. მის ამ სიყვარულს ვეღარც გეგმები ეხებოდა და ვეღარც ზრახვები. შაქრიანი წყლის ჭიქისკენ, რომელიც საწოლის გვერდით, ღამის პატარა მაგიდაზე, უძილობის დასაძლევად ედგა, ხელის გაწვდენას ძლივს ასწრებდა, რადგან მღელვარების წუთებში ის ყოველთვის ავიწყდებოდა და საშველად ბოლო წამს მიმართავდა ხოლმე. ჭიქიდან მოსმისას ყლუპის ჩუმი ხმა მძინარე ქმრის გვერდით, არაფერი რომ არ ესმოდა, კედლის მიღმა შეყვარებულთა ჩურჩულივით ელვარებდა. შემდეგ დიოთიმა ბალიშზე თავს დებდა და ყოფიერების მდუმარებაში იძირებოდა.

95. დიდი მწერალი, ხედი უკნიდან

ეს მოვლენა საკმაოდ ცნობილია იმისათვის, რომ ამის შესახებ ვილაპარაკოთ: მას შემდეგ, რაც დიოთიმას სახელოვანი სტუმრები დარწმუნდნენ, რომ წამოწყება დიდ ძალისხმევას ითხოვდა, ისინი ჩვეულებრივი ადამიანებივით იქცეოდნენ. სულიერებით და ხმაურით სავსე სახლი დიოთიმას იმედგაცრუებას განაცდევინებდა. ამაღლებული სულის მქონე დიოთიმა არ ცნობდა სიფრთხილის კანონს, რომლის თანახმადაც, ადამიანის, როგორც კერძო პირის, ქცევა მის პროფესიულ ქცევას უპირისპირდება. არ იცოდა, რომ პოლიტიკოსები, სხდომათა დარბაზში ერთმანეთს თაღლითებს და მატყუარებს რომ უწოდებენ, სასადილოში გვერდიგვერდ მშვიდობიანად საუზმობენ. მოსამართლე რომ ვინმე უბედურს უმკაცრეს განაჩენს გამოუტანდა და მას პროცესის შემდეგ თანაგრძნობის ნიშნად ხელს ართმევდა, კარგად იცოდა, მაგრამ საძრახისს ამაში ვერაფერს ხედავდა. მოცეკვავეები რომ ორაზროვანი პროფესიის მიღმა დედისა და დიასახლისის

უმწიკვლო ცხოვრებას ეწეოდნენ, სხვებისგან არაერთხელ სმენოდა და ამაღელვებელ ამბად მიაჩნდა. ისიც ლამაზ სიმბოლოდ ეჩვენებოდა, რომ თავადები დროდადრო გვირგვინებს იხსნიან, რადგან უბრალო ადამიანად ყოფნა ენატრებათ. მაგრამ სულის მეუფეც რომ ინკოგნიტოდ დაიარებოდა, მისი ეს გაორებული ქცევა უცნაურად ეჩვენებოდა. რა ჰქვია ამ ვნებას ან რა კანონი უდევს საფუძვლად იმ საყოველთაო ტენდენციას, რომლის თანახმადაც პროფესიული საქმიანობის მიღმა ადამიანები ისეთ სახეს იღებენ, თითქოს არაფერი იციან იმ ადამიანებზე, რომლებსაც თვითონვე წარმოადგენენ პროფესიული საქმიანობისას? სამსახურის შემდეგ ადამიანებს თავი წესრიგში მოჰყავთ და დალაგებულ ბიუროებს ემსგავსებიან, სადაც საწერი ნივთები უჯრებშია ჩალაგებული, სკამები კი მაგიდებთან მიდგმული. ისინი ორი ადამიანისგან შედგებიან და არავინ იცის, საკუთარ თავებს როდის უბრუნდებიან – საღამოს თუ დილით.

დიოთიმას გულის რჩეული ყველას მოსწონდა და ეს მას სიამოვნებდა. მაგრამ ის, რომ არნჰაიმი ურთიერთობას გამორჩეულად ახალგაზრდებთან ამჯობინებდა და მას მთელ ამ ფაციფუცში აქტიურად ჩაბმულს ხედავდა, თავგზას უბნევდა, რადგან მიაჩნდა, რომ სულის მეუფეს არც ჩვეულებრივ წარჩინებულებთან ურთიერთობით უნდა დაემდაბლებინა თავი და არც საბაზრო იდეებს გატოლებოდა.

მიზეზი კი შემდეგში მდგომარეობდა: არნჰაიმი სულის მეუფე არ იყო, ის დიდი მწერალი გახლდათ.

დიდი მწერალი სულიერ სამყაროში სულის მეუფის მემკვიდრეა, რომელსაც მდიდარი ადამიანები პოლიტიკურ სამყაროში თავადებით ანაცვლებენ. დიდი მწერალი ისეთივე განუყრელი ნაწილია ჯავშნოსანი ხომალდებისა და დიდი სავაჭრო დაწესებულებებისა, როგორიც სულის მეუფე – თავადთა ეპოქისა. ის სულის დიდ საგნებთან კავშირის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. ამიტომ სულ მცირე, რაც მას ევალება, ის არის, რომ ავტომობილს მაინც უნდა ფლობდეს. მან ბევრი უნდა იმოგზაუროს, მინისტრებთან აუდიენციაზე გამოცხადდეს, მოხსენებები წაიკითხოს; საჯარო აზრის წარმმართველზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, რომ ანგარიშგასაწევ ძალად წარმოჩნდეს. ის ერის სულის charjé

d’affaires-ია, როცა უცხოეთში მისი ჰუმანიზმის დამტკიცება ხდება საჭირო. თუ სახლშია, სახელოვანი სტუმრები უნდა მიიღოს, თან თავის საქმეზეც იფიქროს და ეს აკრობატის ისეთი მოქნილობით აკეთოს, რომ დაძაბულობა ვერავინ შეატყოს. დიდი მწერალი არ არის უბრალოდ მწერალი, რომელიც ბევრ ფულს შოულობს. მას არ სჭირდება დაწეროს წიგნი, რომელიც წლის ან თვის „ყველაზე კითხვად წიგნად“ გამოცხადდება. საკმარისია, რომ შეფასების ამგვარი მეთოდის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდეს; რადგან ის ყველა ჟიურის წევრია, ყველა მოწოდებას ხელს აწერს, ყველა წინასიტყვაობას წერს, ყველა საიუბილეო სიტყვას წარმოთქვამს, ყველა მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით აზრს გამოთქვამს და ყველგან უხმობენ, როცა იმის ჩვენება სჭირდებათ, რამდენს მიაღწიეს. დიდი მწერალი თავისი საქმიანობით წარმოადგენს არა მთელ ერს, არამედ მხოლოდ მის პროგრესულ ნაწილს, თითქმის უმრავლესობად ქცეულ ელიტურ ფენას, რაც მის გარშემო მუდმივ სულიერ დაძაბულობას ქმნის. ამას, ცხადია, განვითარების დღევანდელ ფაზაში მყოფი ცხოვრება სულის დიდი მრეწველობისკენ მიჰყავს და, პირიქით, მრეწველობას სულისკენ, პოლიტიკისა და საზოგადოებრივი სინდისის კონტროლისკენ უბიძგებს. ეს ორი მოვლენა ერთმანეთს შუაში კვეთს. ამიტომ დიდი მწერლის როლი რომელიმე კონკრეტულ ადამიანზე არ მიგვითითებს. ის საზოგადოების საჭადრაკო დაფაზე ის ფიგურაა, რომლის სვლებიც დროთა მანძილზე გამომუშავებულ კანონებს ემორჩილება. ამ ეპოქის ადამიანებს, სიკეთისკენ რომ ისწრაფვიან, მიაჩნიათ, რომ მათთვის სხვათა ჭკუისგან დიდი არაფერი ხეირია (ჭკუა კი ამქვეყნად იმდენია, რომ ცოტა მეტს ან ცოტა ნაკლებს მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან ყველა ფიქრობს, რომ ის საკმარისად გააჩნია) და ფიქრობენ, რომ უგუნურებასთან საბრძოლველად გონიერების ჩვენება, მისი დანახვა და ქმედითუნარიანობაა საჭირო. რადგან ამისთვის დიდი მწერალი მასზე უფრო დიდ მწერალზე მეტად გამოდგება, რომლისაც, შესაძლოა, ბევრს არ ესმოდეს, ამიტომ ყველა შეძლებისდაგვარად ცდილობს, რომ სიდიადე ჭეშმარიტად დიადი აღმოჩნდეს.

სიტუაციის ამგვარად გააზრების შემთხვევაში არნჰაიმს ვერავინ უსაყვედურებდა, რომ იგი ამ ახალ ტენდენციათა პირველი, საცდელი, თუმცა უკვე მისი სრულფასოვანი განსხეულება იყო, რომელიც გარკვეული სახის უნარის

ფლობას გულისხმობდა. მწერალთა უმრავლესობა სიამოვნებით გახდებოდა დიდი მწერალი, საამისოდ შესაბამისი უნარი რომ ჰქონოდათ. ეს სწორედ ისეა, როგორც მთების შემთხვევაში: გრაცსა და სანკტ-პიოლტენს შორის მრავალი მთა მონტე როზას დაემსგავსებოდა, მასზე დაბალი რომ არ იყოს. დიდ მწერლად გახდომის მთავარი პირობა ისეთი წიგნებისა და პიესების შექმნაა, ერთდროულად მკითხველთა მაღალ წრესაც რომ გულისხმობს და დაბალსაც. უნდა იმოქმედო მანამ, სანამ სიკეთის ქმნას შესძლებდე – ეს არის დიდი მწერლის არსებობის ფუძემდებლური პრინციპი; ეს დიდებული, მარტოობის ცდუნებისკენ მიმართული, შემოქმედების მართლაც რომ გოეთეანური პრინციპიც გახლავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ კეთილგანწყობილ სამყაროში უძალოდ, გულხელდაკრეფილი არ უნდა იჯდე, სხვა დანარჩენი კი თავისით მოვა. მოქმედების დაწყებისთანავე მწერლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება. გამომცემელი ვეღარ ამჩნევს, რომ ვაჭარი, რომელიც გამომცემელი ხდება, ტრაგიკულ იდეალისტს ემსგავსება, რადგან ფართლეულით ან შეურყვნელი ქაღალდით ვაჭრობა უფრო სარფიანია. კრიტიკა მწერალში საკუთარი შემოქმედების ღირსეულ საგანს აღმოაჩენს, რადგან კრიტიკოსები უმრავლეს შემთხვევაში გულბოროტი ადამიანები კი არა, ყოფილი ლირიკოსები არიან არახელსაყრელ გარემოებათა გამო და გულის ნადების გამოსათქმელად ვინმეს ეკედლებიან. კრიტიკოსები ომის და სიყვარულის პოეტები გახლავთ და მოპოვებული სულიერი კაპიტალის მიხედვით, რომელიც მომგებიანად უნდა დააბანდონ, ჩვეულებრივი მწერლის წიგნს, გასაგებია, რომ დიდი მწერლისას ამჯობინებენ. ადამიანის შრომისუნარიანობა, ბუნებრივია, უსაზღვრო ვერ იქნება და მისი საუკეთესო ნაყოფი დიდი მწერლის კალმით შექმნილ ყოველწლიურ გამოცემებზე იოლად ნაწილდება. ეს კი ერის სულიერი სიმდიდრის სალაროა. სულიერი საგანძურის ყოველი წიგნი კრიტიკულ განმარტებას ითხოვს, რაც ამ სალაროში შენატანია და არა გამონატანი; სხვა დანარჩენისთვის კრიტიკოსს ძალები აღარ რჩება. ესეისტები, ბიოგრაფები და ისტორიკოსები კი ყველაფერს მეტისმეტად აღვივებენ და ბუნებრივ მოთხოვნილებებს დიდი ადამიანების მეშვეობით იკმაყოფილებენ. უკაცრაული პასუხია და, მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ძაღლი უკაცრიელ კლდეს ხომ ქუჩის ხალხმრავალ კუთხეს ამჯობინებს; დიდი მიზნებით

შეპყრობილმა ადამიანებმა, თანამედროვეთა მეხსიერებაში საკუთარი სახელის დატოვება რომ განუზრახავთ, როგორ არ აირჩიონ კლდე, რომელიც აშკარად უკაცრიელია?! და აი, სანამ მიხვდება, რა და როგორ, დიდი მწერალი დამოუკიდებლად არსებობის უფლებას კარგავს. ის გადაიქცევა სიმბოლოდ, ეროვნული თანამეგობრობის შედეგად, მის პროდუქტად – ამ სიტყვის უფაქიზესი მნიშვნელობით – და განიმსჭვალება ამქვეყნად ყველაზე მშვენიერი რწმენით, რაც შეიძლება ცხოვრებამ მოგანიჭოს; იმის რწმენით, რომ მისი გაფურჩქნა მჭიდროდ არის დაკავშირებული უამრავი სხვა ადამიანის გაფურჩქნასთან.

ალბათ, ამის გამო ფიქრობენ ხშირად, რომ დიდი მწერლები გამორჩეულად კარგ ფორმაში არიან და ამას მათი ხასიათის ზოგად შტრიხად მიიჩნევენ. წერის საბრძოლ მასალას დიდი მწერლები მაშინ მოიხმარენ, როცა გრძნობენ, რომ მათ მნიშვნელობას საფრთხე ემუქრება; სხვა დანარჩენ შემთხვევაში მათი ქცევა გაწონასწორებულია და კეთილგანწყობილებით გამოირჩევა. მათ საქებრად ნათქვამ ბანალურ აზრებს შემწყნარებლურად ეკიდებიან. სხვა ავტორებზე აზრის გამოთქმას არ კადრულობენ, მაგრამ ეს თუ მაინც მოხდა, იშვიათად ასიამოვნებენ მაღალი რანგის ადამიანს, ურჩევნიათ, მოკრძალებული ტალანტი წაახალისონ. ისინი, ვინც ორმოცდაცხრა პროცენტი ნიჭიერებისა და ორმოცდათერთმეტი პროცენტი უნიჭობისგან შედგება – და სწორედ ამ ნაზავის გამო ასეთი მოხერხებულნი არიან ყველაფერში, სადაც ძალაა საჭირო, თუმცა ძლიერი ადამიანი მათთვის ზიანის მიყენებასაც შეძლებდა – ადრე თუ გვიან ლიტერატურაში გავლენიანი ადგილის მოპოვებას შეძლებენ. ცოტა ხომ არ გადავაჭარბეთ და ამ აღწერილობით იმ ზღვარს ხომ არ გავცდით, მხოლოდ დიდ მწერლებს რომ ახასიათებთ? წარმოიდგინეთ, რა ამბავია ატეხილი ჩვეულებრივი მწერლის გარშემო: სანამ ის რეცენზენტია, ჟურნალში ხელოვნების ნაწილის რედაქტორი, რადიოჟურნალისტი, კინოსტუდიის თანამშრომელი და ლიტერატურული გაზეთის გამომცემელი – დიდ მწერლად გახდომამდე ბევრად ადრე; ბევრი მათგანი გასაბერ, უკან ნახვრეტიან რეზინის ჩოჩორს და გოჭს ჰგავს. დიდი მწერლები ამ გარემოებებს საგანგებოდ ითვალისწინებენ და ძალ-ღონეს არ იშურებენ იმ შრომისმოყვარე ხალხის წარმოსაჩენად, დიდ ადამიანებს პატივს რომ მიაგებენ; განა

ამისთვის ჩვენგან მადლობას არ იმსახურებენ? ცხოვრებას – როგორიც ის არის – ისინი სწორედ იმით აკეთილშობილებენ, რომ მასში მონაწილეობენ. ერთი წუთით საპირისპირო რამ წარმოვიდგინოთ – მწერალი, რომელიც ასე არ იქცევა. მაშინ მას უარი უნდა ეთქვა გულწრფელ მიწვევებზე, ადამიანებს სიახლოვეზე არ გაკარებოდა. საქებარი სიტყვები ქებად კი არა, განაჩენად მიეღო, დაენგრია საგანთა ბუნებრივი კავშირები, ზემოქმედების დიდი შესაძლებლობებისთვის ეჭვის თვალით მხოლოდ მათი სიდიდის გამო შეეხედა და თავად კი არაფერი შემოეთავაზებინა, გარდა საკუთარ თავში მიმდინარე რთულად გამოსახატავი და რთულად შესაფასებელი პროცესებისა და მწერლის პროდუქციისა, რომელსაც ეპოქა, დიდი მწერლები რომ ჰყავს, დიდ ყურადღებას სულაც არ აქცევს. განა ასეთი ადამიანი საზოგადოებისგან გარიყული არ აღმოჩნდებოდა და რეალობას არ განუდგებოდა? ყოველ შემთხვევაში, ასეთი გახლდათ არნჰაიმის მოსაზრება.

96. დიდი მწერალი, ხედი წინიდან

დიდი მწერლის ყოფიერებაში ნამდვილი სირთულე იმით იქმნება, რომ, ერთი მხრივ, სულიერ ცხოვრებაში ვაჭრულად კი იქცევა, მაგრამ, მეორე მხრივ, ძველი ჩვეულების გამო იდეალიზმის ენაზე ლაპარაკობს. ვაჭრობასა და იდეალიზმს შორის კავშირი გახლდათ სწორედ ის, რაც არნჰაიმის მცდელობებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა.

ასეთ არათანადროულ კავშირებს დღეს ყველგან შეხვდებით. უკანასკნელ გზაზე მიცვალებულს მოტორიზებული ჩორთით კი მიაცილებენ, მაგრამ ისიც მიღებულია, რომ ლამაზი კატაფალკის სახურავზე მუზარადი და ორი გადაჯვარედინებული რაინდული ხმალი იყოს გამოსახული. სხვა დანარჩენ სფეროებშიც ზუსტად ასეა, ადამიანის განვითარება სიგრძეში გაჭიმული მსვლელობაა და, როგორც ორი თაობის წინ ამკობდნენ საქმიან წერილებს რიტორიკის მშვენიერი ყვავილებით, ასევე იქნებოდა შესაძლებელი ყველა ურთიერთობის შესახებ – სიყვარულიდან დაწყებული ლოგიკით დამთავრებული – საბაზრო მოთხოვნისა და მიწოდების, დებეტისა და კრედიტის ენაზე ლაპარაკი; ყოველ შემთხვევაში, ეს ისევე შესაძლებელი იქნებოდა, როგორც აზრის ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ენაზე გამოხატვა, თუმცა ასე მაინც არ იქცევიან. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ახალ ენას

თავდაჯერება აკლია. პატივმოყვარე საქმიანი კაცისთვის ვითარება დღეს რთულია. თუ მას ყოფიერების ძველისძველ ძალებთან გატოლება სურს, საკუთარი საქმიანობა დიდ იდეებს უნდა დაუკავშიროს; დიდი იდეები კი, რისაც შეიძლება უსიტყვოდ გწამდეს, დღეს აღარ არსებობს, რადგან სკეპტიკურ ეპოქას აღარც ღმერთის სწამს, აღარც ჰუმანიზმის, აღარც გვირგვინის და აღარც ზნეობის. ამიტომ ვაჭარს, სიდიადე კომპასივით რომ სჭირდება, სიდიადის განუზომელი გავლენის დიდი პიროვნულობის გაზომვადი გავლენის ჩასანაცვლებლად დემოკრატიული ფანდი უნდა ეხმარა. დიდია ის, რაც დიდად ითვლება; ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბოლოოდ ისიც დიდია, რასაც რეკლამას გაუკეთებ და ქვეყანას მოსდებ. ეპოქის ფხა ზოგს ყელში ეჩხირება და არნჰაიმმა ბევრჯერ სცადა, გაეგო, ეს როგორ ხდება.

განათლებულ ადამიანს, მაგალითად, შუა საუკუნეებში მეცნიერებისა და ეკლესიის კავშირზე შეეძლო ეფიქრა. თუ ფილოსოფოსს წარმატება და თანამედროვეთა აზროვნებაზე გავლენის მოხდენა უნდოდა, ეკლესიას უნდა შესწყობოდა. ეგრეთ წოდებულ თავისუფლად მოაზროვნეს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ რელიგიური ბორკილები მას სიდიადისკენ მიმავალ გზაზე აფერხებდა. სინამდვილეში კი პირიქით მოხდა. მცოდნეთა აზრით, ამ ყველაფრიდან აზროვნების გოთიკური სილამაზე იშვა და თუ ეკლესიისთვის ანგარიშის გაწევით სულს ზიანი არ მისდგომია, ვითომ რეკლამისათვის რატომ არ შეიძლება ანგარიშის გაწევა? ვისაც ზემოქმედების მოხდენა სურს, რატომ ვერ შეძლებს იმავეს ამ პირობებშიც? არნჰაიმი დარწმუნებული იყო, რომ საკუთარი ეპოქის ზედმეტად არგაკრიტიკება დიდი ადამიანის ნიშანი გახლდათ! საუკეთესო მხედარს საუკეთესო ცხენით, თუ ისინი ერთმანეთს ვერ ეგუებიან, წინააღმდეგობის გადალახვა იმ მხედარზე მეტად უჭირს, ვინც თავის ჯაგლაგს კარგად ეწყობა.

აი, მეორე მაგალითი: გოეთე! ის იყო გენიოსი, რომელსაც ამქვეყნად ბადალი არ ჰყავდა, მაგრამ ის გაარისტოკრატებული გერმანელი ვაჭრის ოჯახიდან იყო და არნჰაიმის თვალთახედვით, პირველი დიდი მწერალი, რომელიც გერმანელმა ერმა შვა. არნჰაიმისთვის ის ბევრ საკითხში სამაგალითო იყო. საბრალო იოჰან გოტლიბ ფიხტესთან გოეთეს ურთიერთობის გახმაურებული ისტორია, რომლის მიმართაც პოეტი გულის სიღრმეში სიმპათიით იყო განწყობილი,

არნჰაიმის საყვარელი ისტორია გახლდათ. გოეთემ იგი განსაცდელში მიატოვა, როცა ფიხტეს იენაში ფილოსოფიის დოქტორის წოდება ჩამოართვეს, რადგან მან ღმერთისა და ღვთაებრივ საქმეთა შესახებ „გრანდიოზული, მაგრამ არცთუ მართებული აზრები“ გამოთქვა. იმის ნაცვლად, რომ თავი დაეცვა და „ზომიერად“ მოქცეულიყო, „საკუთარ ვნებებს კიდევ უფრო ძლიერი გასაქანი მისცა“ – წერს ბრძენი-პოეტი თავის მემუარებში. არნჰაიმი არა მხოლოდ გოეთესავით მოიქცეოდა, არამედ მთელი სამყაროს იმაში დარწმუნებასაც შეეცდებოდა, რომ ჭეშმარიტად გოეთეანური მხოლოდ ასეთი საქციელი გახლდათ. ის არც იმ ჭეშმარიტებას დასჯერდებოდა, რომ დიდი ადამიანის მიერ ჩადენილი უმსგავსი საქციელი უფრო მეტ სიმპათიას იწვევს, ვიდრე მასზე ნაკლები მნიშვნელობის მქონე ადამიანის კარგი საქციელი და იმასაც დაამტკიცებდა, რომ საკუთარი მოსაზრებებისთვის უპირობო ბრძოლა არათუ უნაყოფოა, არამედ სიღრმეს და ისტორიულ ირონიასაც არის მოკლებული. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ის მას გოეთეანურს, ანუ გარემოსთან სერიოზული შეგუებას ირონიას უწოდებდა, რომელიც რეტროსპექტული ხედვისას მუდამ სწორია. თუ გავიხსენებთ, რომ დღეს, ამ მოვლენიდან ორი თაობის შემდეგ, მამაცი, პირდაპირი და ცოტა გაუწონასწორებელი ფიხტეს მიმართ ჩადენილი უსამართლობა დიდი ხანია კერძო შემთხვევად იქცა, რითაც მის მნიშვნელობას არაფერი შემატებია, გოეთეს მნიშვნელობას კი არაფერი დაკლებია, უნდა ვაღიაროთ, რომ ეპოქის სიბრძნე არნჰაიმისას ემთხვეოდა.

მესამე მაგალითი – უნდა ითქვას, რომ კარგი მაგალითები არნჰაიმს არასდროს აკლდა – პირველი ორის აზრს ნათლად წარმოაჩენს: ნაპოლეონი. „მოგზაურობის სურათებში“ ჰაინეს მიერ დახატული ნაპოლეონის პორტრეტი იმდენად შეესატყვისება არნჰაიმისებურ მანერას, რომ ჯობს იგი ჰაინესავე სიტყვებით გადმოგცეთ, რომელიც არნჰაიმმა ზეპირად იცოდა. „ასეთი გონება, – წერდა ნაპოლეონზე ჰაინე, თუმცა ამ ნათქვამში ასეთივე წარმატებით გოეთეც შეგვეძლო გვეგულისხმა. ჰაინეს ხიბლავდა ნაპოლეონის დიპლომატიური გონება და მას თაყვანისმცემლის იმგვარი გონებამახვილობით იცავდა, რომელმაც გულის სიღრმეში თავადაც იცის, რომ თავისი აღფრთოვანების ობიექტს არ ეთანხმება, – სწორედ ასეთი გონება ჰქონდა მხედველობაში კანტს, როცა ჩვენგან

განსხვავებულ, ინტუიციურ გონებაზე ლაპარაკობდა. რასაც ჩვენ ნელი, ანალიტიკური განსჯით შევიმეცნებთ, როცა გრძელი დასკვნები გამოგვაქვს, ასეთი გონება იმავე მოვლენას პირველ ჯერზევე ღრმად განჭვრეტს და შეიმეცნებს. ეპოქის, თანამედროვეობის წვდომის მისი ტალანტი ამას ეყრდნობა. რადგან ეპოქის სულს ორივე – რევოლუციური და კონტრრევოლუციური – თვალთახედვა აყალიბებს, ამიტომ ნაპოლეონის მოქმედება არასდროს ყოფილა ცალსახად რევოლუციური ან ცალსახად კონტრრევოლუციური, არამედ მისი ქმედება მუდამ ორივე თვალთახედვას, ორივე პრინციპს, ორივე მისწრაფებას პასუხობდა, მას თავის თავში აერთიანებდა და შესაბამისად თავის ქცევებში უცვლელად სადა, ბუნებრივი, დიდსულოვანი, მშვიდი, რბილი იყო და არა ციებცხელებიანივით უხეში. სწორედ ამიტომ წვრილმან ინტრიგებს იგი არასდროს ხლართავდა. ჩახლართული, დროში გაწელილი ინტრიგისკენ მიდრეკილებას პატარა გონება ავლენს. სინთეზური, ანალიტიკური გონება კი, მისგან განსხვავებით, ეპოქის შემოთავაზებულ საშუალებებს გენიალური ოსტატობით აერთიანებს და მათ საკუთარ მიზნებს უმორჩილებს“.

შესაძლოა, ამ ნათქვამში ჰაინე თავის თაყვანისმცემელ არნჰაიმისგან განსხვავებულ აზრს დებდა, მაგრამ ეს პასაჟი არნჰაიმის აღსაწერადაც გამოგვადგებოდა.

97. კლარისას იდუმალი ძალები და დანიშნულება

კლარისა ოთახშია. ვალტერი სადღაც გადაიკარგა. კლარისას ხელში ვაშლი უჭირავს და საღამური აცვია. საღამური და ვაშლი – ეს ის ორი წყაროა, საიდანაც კლარისას ცნობიერებაში რეალობის შეუმჩნეველი, სუსტი სხივი ჩაედინება. რატომ მოეჩვენა, რომ მოორსბრუგერი მუსიკალურია? თვითონაც არ იცოდა. იქნებ ყველა მკვლელი მუსიკალურია? არც ეს იცოდა. ერთი ის იცის, რომ მის ბრწყინვალებას გრაფ ლაინსდორფს ამის თაობაზე წერილი მისწერა. წერილის შინაარსი დაახლოებით ახსოვს, ისე, ბუნდოვნად და შორეულად.

რა, უთვისებო კაცი განა მუსიკალური არ იყო?

რადგან შესაბამისი პასუხი ვერ მოძებნა, ამ კითხვას თავი მიანება და სხვა აზრებს მიჰყვა.

ცოტა ხნის შემდეგ გონება გაუნათდა: ულრიხი უთვისებო კაცია. ცხადია, უთვისებო კაცი მუსიკალური ვერ იქნება, მაგრამ ვერც არამუსიკალური იქნება.

ფიქრი განაგრძო.

ულრიხმა უთხრა: შენში რაღაც ნორჩი და ჰეროიკულიაო.

კლარისამ გაიმეორა: „ნორჩი და ჰეროიკული!“ ლოყები წამოუხურდა. ეს სიტყვები რაღაც მოვალეობას აკისრებდა, მაგრამ რას, თვითონაც ვერ გაერკვია.

აზრები ერთმანეთს აწვებოდა, როგორც შეტაკების დროს. გრძნობდა, რომ რაღაც იზიდავდა და რაღაცისკენ უბიძგებდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა – რა და საით. ბოლოს რაღაც უხმო სინაზემ, საიდანღაც რომ ჩარჩენოდა, ვალტერის საძებნელად გაიტყუა. კლარისა წამოდგა და ვაშლი დადო.

გული სწყდებოდა, რომ ვალტერს გამუდმებით ტანჯავდა. ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისამ შეამჩნია, რომ ვალტერის ტანჯვა შეეძლო. საკმარისი იყო, გადაჭრით წამოეძახა, სინამდვილეში ისე არ არის, როგორც შენ ფიქრობო და ვალტერიც, რაც უნდა მართალი ყოფილიყო, შიშისგან კრთებოდა. კლარისამ იცოდა, რომ ვალტერს მისი ეშინოდა. ეშინოდა, რომ კლარისა არ შეშლილიყო. ერთხელ წამოსცდა კიდეც და იქვე გამოასწორა, მაგრამ იმ დღიდან კლარისამ იცოდა, რომ ვალტერი ასე ფიქრობდა. რა მომხიბლავი იყო ეს ყოველივე! ნიცშე წერს: „არსებობს ძალის ჰუმანიზმი? ინტელექტუალური მიდრეკილება სისასტიკისკენ, შემზარავისკენ, ბოროტებისკენ? ამორალური სიღრმით გატაცება? შემზარავის, როგორც ღირსეული მტრის, მოთხოვნილება?“ – ამ სიტყვებზე ფიქრი პირში ისეთ რბილ და თან ისეთ ძლიერ შეგრძნებას უტოვებდა, როგორსაც რძე და კლარისას ნერწყვის გადაყლაპვაც უჭირდა.

ბავშვზე ფიქრობდა, ვალტერს მისგან ასე ძლიერ რომ უნდოდა. ვალტერს ამისიც ეშინოდა. გასაგებია, თუ ვალტერი მართლა ფიქრობდა, რომ კლარისა, შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს გაგიჟებულიყო. მის მიმართ კლარისას ეს კიდევ უფრო მეტი სინაზით განაწყობდა, თუმცა სიახლოვეს გაურბოდა. დაავიწყდა, რომ ვალტერის მოძებნას აპირებდა. მის სხეულს ახლა რაღაც ემართებოდა. მკერდი შეევსო. ხელ-ფეხში სისხლი უჩქეფდა. შარდის ბუშტის და ნაწლავების არეში თითქოს რაღაც აწვებოდა. სხეული შიგნიდან თითქოს უფრო ღრმა,

მგრძნობიარე, ცოცხალი და უცხო გაუხდა. მკლავებზე ბავშვი ეწვა. მხრებიდან ღვთისმშობლის ოქროსფერი მანტია ეშვებოდა. მლოცველთა გუნდი გალობდა. ეს მის გარეთ ხდებოდა. ქვეყანას მაცხოვარი მოვლენოდა!

და მაშინვე პირდაფჩენილი სურათის თავზე სხეული შეეკრა, როგორც მაშინ ხდება ხოლმე, როცა ხე საკუთარი ტანიდან სოლს გამოაგდებს. თავის თავს დაუბრუნდა. ისევ მოხდენილი სხეული ჰქონდა, ზიზღს გრძნობდა, თან უცნაურად აღტყინებული იყო. ვალტერს ასე ადვილად არ დაუთმობდა. „მინდა, რომ შენს გამარჯვებას და თავისუფლებას ბავშვის მონატრების სურვილი წვავდეს, – ფიქრობდა კლარისა. – ცოცხალი ძეგლები შენს თავს დაუდგი, ჩემთვის კი ჯერ საკუთარი სხეული და სული სრულჰყავი!“. კლარისა იღიმებოდა. მის სახეზე ღიმილმა ლოდის ქვემოდან გამომსხლტარი ცეცხლის ენასავით გაიელვა. მერე გაახსენდა, რომ მამამისს ვალტერის ეშინოდა. აზრებით რამდენიმე წლით უკან გადაინაცვლა. ამას მიჩვეული იყო. ვალტერი და კლარისა ერთმანეთს ეკითხებოდნენ ხოლმე: გახსოვს? წარსულის შუქი აწმყოს შორიდან ჯადოსნურად ეფინებოდა. ეს იმას ჰგავდა, უხალისოდ რომ მიდიხარ საათობით, მერე უკან მიიხედავ და განვლილ სიცარიელეს დაინახავ. საკუთარ მოგონებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამიტომაც ეჩვენებოდა ასე ამაღელვებლად, რომ მამამისს, სიბერეში შესულ მხატვარს, მისთვის დიდ ავტორიტეტს, ვალტერის ეშინოდა, ვალტერს კი – კლარისასი. ეს იმას ჰგავდა, თავის მეგობარ ლუსი პახჰოფენს რომ მოეხვეოდა ხოლმე და თან „მამა“ უნდა ეხსენებინა. ამ დროს მამამისი უკვე ლუსის საყვარელი იყო.

კლარისამ ლოყებზე ისევ სიმხურვალე იგრძნო. ცდილობდა, გაეხსენებინა ის უცნაური, ქვითინის უცხო ხმა, რომლის შესახებაც მეგობარს მოუყვა. სარკეში იყურებოდა. ცდილობდა, აღედგინა სიმწირისგან ტუჩებმოკუმული შეშინებული სახე, როცა მამამისი იმ ღამეს მასთან ოთახში შევიდა. ვეღარც იმ ხმის გამეორება შეძლო, ცდუნების იმ ღამეს გულიდან რომ აღმოხდა. ფიქრობდა, რომ იგივე ხმა მაშინდელივით ახლაც მის შიგნით, სულის სიღრმეში მიმალულიყო... დაუნდობელი ურცხვი ხმა, მას შემდეგ ზედაპირამდე რომ აღარასოდეს ამოუღწევია. სარკე გვერდზე გადადო და ფრთხილად მიმოიხედა. თვალებს აცეცებდა. უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ ოთახში მარტო იყო. მერე თითებით კაბის ზემოდან ის

ადგილი მოისინჯა, სადაც ხავერდოვანი შავი ხალი ჰქონდა. ხალი უცნაურ თვისებას ფლობდა. კლარისას ის ბარძაყის შიდა მხარეს, საზარდულის ნაკეცთან ჰქონდა, იქ, სადაც ბოქვენის თმები მეჩხერად ამოდის. კლარისამ ზედ ხელი დაიდო. ეცადა, ფიქრები განედევნა და რაღაც ცვლილებას ელოდა, რომელიც უნდა მომხდარიყო. ცვლილება მაშინვე იგრძნო. ეს არ იყო ავხორცობის რბილი ნაკადი. ხელი გაუხევდა, გაუუხეშდა, მამაკაცისას დაემსგავსა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ამ ხელით ყველაფრის განადგურებას შეძლებდა. სხეულის ამ ადგილს „ეშმაკის თვალი“ დაარქვა. მამამისმა სწორედ ამ ადგილთან დაიხია უკან.

ეშმაკის თვალს ისეთი მზერა ჰქონდა, რომ კაბიდან აღწევდა; მზერა კაცებს „ხელს სტაცებდა“, ნუსხავდა, თავისკენ იზიდავდა და განძრევის უფლებას არ აძლევდა მანამ, სანამ კლარისა არ მოისურვებდა. ფიქრის დროს კლარისა ზოგიერთ სიტყვას ბრჭყალებში სვამდა, გამოყოფდა, როგორც წერის დროს, ქვეშ მელნის სქელ ხაზს რომ უსვამდა. ასეთი გამოყოფილი სიტყვები დაძაბულ აზრს იძენდა. ვინ იფიქრებდა, რომ თვალი შეიძლება რამეს წაავლო? კლარისა პირველი ადამიანი იყო, ვისაც ეს სიტყვა მიზნისკენ სასროლად ხელში ქვასავით ეჭირა. სიტყვა კლარისას ხელის დამანგრეველი ძალის ნაწილად ქცეულიყო. ამ ყველაფერმა ქვითინის ხმაც გადაავიწყა და ახლა უმცროსი და მარიონი გაახსენა. ოთხი წლის მარიონს ღამღამობით ხელებს უბამდნენ, რადგან ხელები ანგარიშმიუცემლად, ისე, უბრალოდ, სიამოვნების განსაცდელად საბნის ქვეშ მიძვრებოდნენ, როგორც ბელები – თაფლით სავსე ხის ფუღუროში. ერთხელ კლარისამ ძლივს მოაშორა ვალტერი მარიონს. ავხორცობა მათი ოჯახისთვის ისევე ჩვეულებრივი იყო, როგორც ღვინო – მევენახისთვის. ეს ბედისწერა იყო. კლარისას მძიმე ტვირთი უნდა ეზიდა. მიუხედავად ამისა, აზრებით წარსულს დასტრიალებდა. ხელი მოუდუნდა, ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა და დავიწყებულ სხეულზე ისევ იმ ადგილას ედო. მაშინ ვალტერს ჯერ კიდევ თქვენობით მიმართავდა. ვალტერს ბევრ რამეს უმადლოდა. მისგან შეიტყო ახალი ადამიანების შესახებ, მხოლოდ ცივ, ნათელ ავეჯს და ოთახებში დაკიდებულ სურათებს რომ აღიარებდნენ, რომლებზეც რეალობა იყო გამოსახული. ვალტერი მას პეტერ ალტენბერგს უკითხავდა: პატარ-პატარა მოთხრობებს ნორჩ

გოგონებზე, სიყვარულისგან გაგიჟებული ტიტების ველზე სერსოს რომ თამაშობენ და Marons glacé-ს მსგავსი უმწიკვლო ბრდღვიალა თვალები აქვთ. კლარისამ იმ წუთიდანვე იცოდა, რომ თავისი ჯერ კიდევ ბავშვური, მოხდენილი ფეხები ზუსტად იმავეს ნიშნავდა, რასაც სონეტის მხიარული, დინამიკური ნაწილი სახელად „არ ვიცი, ვის“.

მაშინ ტბასთან, ვილაში ცხოვრობდნენ, რომელიც რამდენიმე მეგობარმა ოჯახმა საზაფხულოდ დაიქირავა. საძინებელი ოთახები მოწვეული სტუმრებით იყო სავსე. კლარისას ოთახში მარიონთან ერთად ეძინა. თერთმეტ საათზე ხანდახან მთვარის შუქზე სასეირნოდ გამოსული დოქტორი მაინგასტი – დღეს შვეიცარიაში სახელგანთქმული ადამიანი, მაშინ კი ქალიშვილების დედების კერპი – საიდუმლოდ ესტუმრებოდათ ხოლმე სამუსაიფოდ. რამდენი წლის იყო მაშინ კლარისა? როცა საძინებელში დოქტორ მაინგასტს თავისი მოწაფე, მათზე ცოტა უფროსი გეორგ გრიოშლი შემოჰყვა, კლარისა თხუთმეტის ან თექვსმეტის, ან, შესაძლოა, სულაც თოთხმეტსა და თხუთმეტს შორის ყოფილიყო. იმ საღამოს დოქტორი მაინგასტი დაბნეული ჩანდა. მთვარის სხივებზე უგრძნობ, მძინარე მშობლებსა და ახალ ადამიანებზე ხანმოკლე სიტყვა წარმოთქვა და გაუჩინარდა. ჩანდა, იმისთვის მოსულიყო, რომ გოგონებთან დაბალი, ჩასკვნილი გეორგი დაეტოვებინა, რომელიც მასწავლებელს აღმერთებდა. გეორგი უხმოდ იდგა, ალბათ, დამორცხვებული. გოგონებიც, რომლებიც მანამდე მაინგასტს პასუხობდნენ, ასევე დუმდნენ. მერე, ალბათ, გეორგმა სიბნელეში კბილი კბილს დააჭირა და მარიონის საწოლს მიუახლოვდა. ოთახში გარედან მკრთალი შუქი შემოდიოდა, მაგრამ კუთხეში, სადაც საწოლები იდგა, ჩრდილი ეცემოდა და კლარისამ ვერ გაარჩია, რა მოხდა. მოეჩვენა, რომ გეორგი საწოლთან იდგა და მარიონს ზემოდან დაჰყურებდა. გეორგი კლარისასგან ზურგშექცევით იდგა. მარიონი გატრუნული იწვა, თითქოს ოთახში არც ყოფილიყო. ეს დიდხანს გრძელდებოდა, ბოლოს გეორგი – მარიონი ისევ გაუნძრევლად იწვა და მისგან ჩამიჩუმიც არ ისმოდა – მკვლელივით ჩრდილს გამოეყო. მთვარით განათებული ოთახის შუაგულში მისი მხარი და გვერდი ბუნდოვნად გაკრთა და კლარისას საწოლთან მივიდა. კლარისა საწოლში ჩქარ-ჩქარა ჩაწვა და საბანი ნიკაპამდე აიფარა. იცოდა, რომ ახლა ის საიდუმლო გამეორდებოდა, რაც მარიონის საწოლთან მოხდა.

კლარისა მოლოდინით გაინაბა. გეორგი მის საწოლთან იდგა და, როგორც კლარისას მოეჩვენა, ტუჩები უცნაურად მოეკუმა. უცბად გეორგის ხელი საბნის ქვეშ გველივით შესრიალდა და საქმეს შეუდგა. კლარისა ვერ ხვდებოდა, რას აკეთებდა გეორგი. ამაზე ჯერ წარმოდგენაც არ ჰქონდა და იმ რაღაც-რაღაცეებს, რასაც, აღელვების მიუხედავად, გეორგის მოძრაობებიდან მაინც ამჩნევდა, ერთმანეთს ვერ უკავშირებდა. ვნება არ დაუფლებია, ეს გრძნობა მოგვიანებით განიცადა. იმწუთას ძლიერ, უსახელო, დამფრთხალ მღელვარებას გრძნობდა. ხმას არ იღებდა. ჩუმად იწვა, იმ ქვასავით ყანყალებდა, ხიდზე ურემი ნელა რომ გადაუვლის. რამის სათქმელად ძალა არ ჰყოფნიდა. წინააღმდეგობასაც ვერ უწევდა. შემდეგ გეორგმა ხელი გაუშვა და ოთახიდან გამოუმშვიდობებლად ნაჩქარევად გავიდა. დებმა არ იცოდნენ, ერთი და იგივე გადახდათ თუ არა თავს. ერთმანეთისთვის საშველად არ მოუხმიათ და ეს ამბავი ერთმანეთთან მხოლოდ წლების შემდეგ რამდენიმე სიტყვით ახსენეს.

კლარისამ ვაშლი მოძებნა და პატარ-პატარა ლუკმებს კბეჩდა. გეორგი არაფერს იმჩნევდა და მომხდარზე სიტყვას არ ძრავდა. ერთი ეს იყო, რომ პირველ ხანებში დროდადრო გაქვავებულ მრავალმნიშვნელოვან გამომეტყველებას შეამჩნევდით. დღეს იგი უკვე წარმატებული, ელეგანტური იურისტი ბრძანდებოდა და სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობდა. მარიონი გათხოვდა. დოქტორ მაინგასტის ცხოვრებაში კი უფრო დიდი ცვლილებები მოხდა. ცინიკოსობას თავი დაანება, საზღვარგარეთ წავიდა და ისეთი მეცნიერი გახდა, უნივერსიტეტის კედლებს გარეთ ცნობილ პროფესორს რომ ეძახიან. გარს მუდამ მოწაფეთა გუნდი ეხვია. ცოტა ხნის წინ ვალტერს და კლარისას წერილი მოსწერა, სამშობლოში დაბრუნებას და ჩემი მიმდევრებისგან შორს მშვიდად მუშაობას ვაპირებო. ეკითხებოდა, რამდენიმე ხნით მისი მიღება თუ შეეძლოთ, რადგან სმენოდა, რომ ისინი „დიდი ქალაქისა და ბუნების მიჯნაზე“ ცხოვრობდნენ. შესაძლოა, სწორედ ეს იყო ყველა იმ გზის დასაწყისი, რომელზეც იმ დღეს კლარისას ფიქრები დაიარებოდნენ. „ო, ღმერთო, რა უცნაური დრო იყო!“ – გაიფიქრა მან. მერე სხვა რამეც გაახსენდა. ეს ლუსიმდე ერთი ზაფხულით ადრე მოხდა. მაშინ მაინგასტი კლარისას კოცნიდა ხოლმე, როცა მოახერხებდა. კოცნის წინ თავაზიანად ეკითხებოდა: „ნებას დამრთავთ, რომ ახლა

გაკოცოთ?“. მაინგასტი ყველა მის მეგობარ გოგოსაც კოცნიდა. ერთ-ერთი მათგანის ისტორია ახსოვდა კიდეც და მას შემდეგ, როგორც კი მის კაბას თვალს მოჰკრავდა, მაშინვე მისი ფარისევლურად დახრილი თვალები ახსენდებოდა. მაინგასტი ამას კლარისას თავად მოუყვა, კლარისამ კი – მაშინ ჯერ კიდევ მხოლოდ თხუთმეტი წლის იყო – თავისზე უფროს დოქტორ მაინგასტს მიახალა: „ნამდვილი ღორი ხართ!“. ესიამოვნა კიდეც ამ დეზებიანი ჩექმებივით მაგარი სიტყვის ხმარება და მისი გალანძღვა. კლარისას მაინც შეეშინდა, რომ ბოლოს და ბოლოს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და როცა ერთ მშვენიერ დღეს მაინგასტმა კოცნა სთხოვა, უარი ვერ გაუბედა, რადგან ეშინოდა, სულელად არ გამოჩენილიყო.

როცა ვალტერმა პირველად აკოცა, კლარისამ მას სერიოზულად უთხრა: „დედას დავპირდი, რომ ასეთ რამეს არასოდეს ვიზამდი“. განსხვავებაც სწორედ ეს იყო. ვალტერი სახარებასავით ლამაზად ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა ბევრს და ფილოსოფიური აზრები გარს ისე შემოსჯაროდა, როგორც მთვარეს ღრუბლები. ვალტერი მას ხმამაღლა უკითხავდა და, როგორც ერთადერთს, ისე უყურებდა. თავიდან მათ მხოლოდ მზერა აკავშირებდათ. ეს იმას ჰგავდა, როცა მთვარე მხოლოდ შენ დაგყურებს, შენ კი გულხელდაკრეფილი დგახარ. მათი კავშირი მერე ერთმანეთისთვის ხელის ხელზე მოჭერით გაგრძელდა; ჩუმად, უსიტყვოდ, რომელშიც უცნაური, დამაკავშირებელი ძალა იგრძნობოდა. კლარისა გრძნობდა, რომ ვალტერის ხელს მისი სხეულისთვის განმწმენდი ძალა ჰქონდა. თუ დაბნეულად ან ცივად მოჰკიდებდა ხელს, კლარისა თავს უბედურად გრძნობდა. „არ იცი, ჩემთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს!“ – ეუბნებოდა ვალტერს. მაშინ, სხვათათვის ჩუმად, ერთმანეთს უკვე შენობით მიმართავდნენ. ვალტერმა მას მთების და ხოჭოების ენა ასწავლა. მანამდე კი კლარისა ბუნებაში მხოლოდ პეიზაჟს ხედავდა, რომელსაც მამამისი და მისი კოლეგები ხატავდნენ და შემდეგ ყიდდნენ. მასში უეცრად ოჯახის მიმართ კრიტიკულმა დამოკიდებულებამ იჩინა თავი. თავს ახლებურად და უცხოდ გრძნობდა. ახლა ისიც გაახსენდა, ვალტერმა პირველად სიტყვა „სკერცო“ როდის იხმარა. „ფროილაინ კლარისა, – უთხრა ვალტერმა, – თქვენს ფეხებს ნამდვილ ხელოვნებასთან უფრო მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ყველა იმ სურათს, რომლებსაც მამათქვენი ხატავს!“. აგარაკზე

ფორტეპიანო ჰქონდათ და ისინი ოთხ ხელში უკრავდნენ. კლარისას უნდოდა, უფრო მეტი ყოფილიყო, ვიდრე მისი მეგობრები და მშობლები იყვნენ. ყველას უკვირდა, როგორ შეეძლოთ ზაფხულის მშვენიერ დღეებში ფორტეპიანოზე დაეკრათ და ნავით არ ესეირნათ ან არ ეცურავათ. კლარისა კი მთელ თავის იმედებს ვალტერს უკავშირებდა. მაშინვე გადაწყვიტა, მისი „ქალი“ გამხდარიყო და ცოლად გაჰყოლოდა. როცა ვალტერი დაკვრის დროს შეცდომის გამო დაუყვირებდა ხოლმე, კლარისა ბრაზს ძლივს იკავებდა, მაგრამ სიხარულის განცდა, საბოლოო ჯამში, ბრაზს ბევრად აღემატებოდა. ვალტერი მართლა უყვიროდა ხოლმე, რადგან სული არაფერს თმობს; მხოლოდ ფორტეპიანოსთან. თუ არ უკრავდნენ, მაინგასტი ისევ კოცნიდა ხოლმე. ერთხელ მთვარის შუქზე ნავით სეირნობდნენ. ვალტერი ნიჩბებს უსვამდა. კლარისამ თავი მკერდზე მიადო მაინგასტს, რომელიც მის გვერდით კიჩოზე იჯდა. მაინგასტი ასეთ საქმეებში დიდად მოხერხებული იყო და კლარისას წარმოდგენა არ ჰქონდა, აქედან რა გამოვიდოდა. სამაგიეროდ, მეორედ, როცა მუსიკის გაკვეთილის შემდეგ ის და ვალტერი კართან იდგნენ, და ბოლო წუთს ვალტერმა უკნიდან ხელები მოხვია და კოცნა დაუწყო, კლარისას უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა, და სასწრაფოდ დაიხსნა მისგან თავი. მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ სხვასთან რაც უნდა გადახდენოდა, ვალტერი ხელიდან არ გაეშვა!

ასეთ საქმეში ბევრი უცნაური რამ ხდება. როცა დოქტორი მაინგასტი სუნთქავდა, თითქოს სუფთა, გამჭვირვალე ჰაერი ამოსდიოდა და მასში ყველა წინააღმდეგობა განზავდებოდა; თავს ისე ბედნიერად გრძნობდი, რომ ვერც კი ამჩნევდი. ვალტერს კი – კლარისამ დიდი ხანია იცოდა – ყაბზობა ტანჯავდა და მის სუნთქვაში ის სიზანტე იგრძნობოდა, რომელიც ვალტერს გადაწყვეტილების მიღებისას ახასიათებდა: მისი სუნთქვა ხან მწველი იყო, ხან კი დამბლადამცემად აშმორებული. ფიზიკური და სულიერი მხარეების ეს შეხამება დასაწყისიდანვე უცნაურ როლს თამაშობდა და კლარისას ეს სრულებით არ უკვირდა, რადგან ნიცშეს სიტყვები, ადამიანის სხეული ადამიანის სულიაო, აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიაჩნდა. კლარისას ფეხები და თავი ერთნაირად გენიალური იყო. მისი სხეული – ეს თავად იყო! ვალტერის ხელის შეხებისთანავე თხემიდან ტერფამდე

გადაწყვეტილებისა და აზრების ნაკადი დაუვლიდა. ამ ნაკადს სიტყვები არასდროს ახლდა.

კლარისას ნორჩი, ძლიერი სხეული მშობლების თავდაჯერებას და სხვა ათას სულელურ აზრს უჯანყდებოდა. სძულდა ის გრძნობა, რომელიც ოდნავ მაინც ახსენებდა ცოლ-ქმრის ფუშფუშა სარეცელს ან მდიდრულ თურქულ ხალიჩებს, რომელიც მკაცრ და ზნეობრივ უფროს თაობას ასე უყვარდა. ამიტომ ფიზიკური მხარე შემდეგაც დიდი როლს თამაშობდა და კლარისა ამას სხვებისგან განსხვავებულად უყურებდა. მოგონებებმა კვლავ აწმყოს ნაპირებთან ჩამოსვა. უნდოდა, უთვისებო მეგობრისთვის ესეც და შემდეგ რაც მოხდა, ისიც ეამბა. შესაძლოა, მაინგასტი ამ მოვლენებში ახლა მეტისმეტად დიდ ადგილს იკავებდა, რადგან იმ მშფოთვარე ზაფხულის შემდეგ გაუჩინარდა, უცხოეთში გაიქცა, უცნაური მეტამორფოზა განიცადა და ქარაფშუტა დარდიმანდისგან ცნობილი მოაზროვნე დადგა. კლარისა იშვიათად ხედავდა; წარსული ერთმანეთთან არც ერთს არასდროს უხსენებია. მაინგასტის გაუჩინარებამდე იმ კვირებში მათ შორის კიდევ ბევრი რამ მოხდა: ვალტერის გარეშე და მისი ეჭვიანი მონაწილეობით, მისი შევიწროებით, წაქეზებით და გაღიზიანებით, სულიერი ჭექა-ქუხილები და კიდევ უფრო შეშლილი საათები, ჭექა-ქუხილის წინ ქალსაც და კაცსაც ჭკუა-გონებას რომ აკარგვინებს; ვნებაგანელებული, დამცხრალი საათები, ნაწვიმარი ველები, მეგობრობის ცინცხალი ჰაერით რომ სუნთქავს. კლარისას ბევრი რამის ატანა უწევდა, თუმცა სიამეც არ აკლდა და თავს იმით იცავდა, რომ აულაგმავ მეგობარს თავის აზრს შეუფარავად ეუბნებოდა. ბოლოს, წასვლამდე ცოტა ხნით ადრე, ვალტერთან პაექრობაში მაინგასტი მეგობრულ, კეთილშობილურ გრძნობებს ავლენდა და სევდა და ნაღველი ეტყობოდა. შვეიცარიაში წასვლამდე მაინგასტის უეცარი ცვლილებების მიზეზს კლარისა საკუთარ თავში ხედავდა. ეს მოსაზრება იმ მოვლენებმაც განუმტკიცა, რაც შემდეგ მასსა და ვალტერს შორის ხდებოდა. წარსულის წლებსა და თვეებს კლარისა ერთმანეთისგან ვეღარ ასხვავებდა, თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა, რა, როდის და სად მოხდა. მისი მხრიდან ვალტერთან ჯიუტად დაახლოების შემდეგ ოცნებით სავსე ხანა დაუდგათ – ერთად სეირნობის, გულწრფელი საუბრების და ერთმანეთის სულიერად დაუფლების პერიოდი, პატარა-პატარა უთვალავი მტანჯველი

თავშეუკავებლობით, ორ მოსიყვარულე ადამიანს ასე რომ იზიდავს, გადამწყვეტი ნაბიჯისთვის კი მათ გამბედაობას ზუსტად იმდენივე აკლდა, რამდენიც მათმა უბიწოებამ დაკარგა. თითქოს მაინგასტს მათთვის თავისი ცოდვები დაეტოვებინა, რათა კიდევ ერთხელ განეცადათ, დაეძლიათ და მათთვის უფრო მაღალი დანიშნულება მიენიჭებინათ. დღეს, როცა კლარისასთვის ვალტერის სიყვარულს უკვე იმდენად მცირე მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მის მიმართ ხშირად ზიზღს გრძნობდა, რომელსაც კიდევ უფრო ნათლად ხედავდა, სიყვარულის მტანჯველი წყურვილი, კლარისა მაშინ შეშლილობის ზღვრამდე რომ მიეყვანა, სხვა არაფერი იყო, თუ არა უსხეულოს განსხეულება, რაღაც აზრის, მოვალეობის, ბედისწერის მიერ განჩინებულის ინკარნაცია, ვარსკვლავები რჩეულთ რომ უმზადებენ.

კლარისას არ რცხვენოდა. წარსულის დღევანდელთან შედარებისას ტირილი უნდებოდა, მაგრამ ტირილსაც ვერ ახერხებდა და სიმწრით ტუჩებს კუმავდა; ეს კი რაღაცნაირად მის ღიმილს ჰგავდა. იღლიამდე დაკოცნილი მისი ხელი, ფეხი, „ეშმაკის თვალი“ რომ სდარაჯობდა, შეყვარებულის ტანჯვით ათასგზის დაგრეხილი მისი მოქნილი სხეული, სიყვარულის საკვირველ გრძნობას რომ ინახავდა, ყველა მოძრაობაში ჩარჩენილი იდუმალი მნიშვნელოვნება... კლარისა იჯდა და საკუთარ თავს ანტრაქტის დროს დასასვენებლად ჩამომჯდარ მსახიობად აღიქვამდა. რა მოხდებოდა, ცხადია, არ იცოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ შეყვარებულთა მისია საკუთარი თავების ისეთად შენარჩუნებაა, როგორებიც ისინი ერთმანეთის მიმართ ყველაზე ამაღლებულ წუთებში არიან. აი ეს მისი ხელი იყო, ეს მისი ფეხი, მისი თავი, გაფაციცებული მზად რომ იყო, პირველივე ნიშანი დაენახა, რომელიც აუცილებლად გამოჩნდებოდა. ალბათ, ძნელია მიხვედრა, რას გულისხმობდა კლარისა, მაგრამ ეს მას არ ადარდებდა. გრაფ ლაინსდორფს ნიცშეს წლის შემოღების და ქალების მკვლელის გათავისუფლების მოთხოვნით წერილი მისწერა. მისი გათავისუფლება იქნებ საჯაროდაც მომხდარიყო, რათა სხვებისთვის ტანჯვის ის გზა შეეხსენებინა, რომელსაც დანარჩენ ადამიანებში მიმოფანტული ცოდვების საკუთარ თავში გამაერთიანებელნი გადიან. კლარისამ ახლა უკვე იცის, ასე რატომაც მოიქცა. ადამიანმა პირველი სიტყვა უნდა თქვას. შეიძლება, აზრი კარგად ვერ გამოთქვა, მაგრამ ამას რა

მნიშვნელობა ჰქონდა! მთავარია, დაიწყო. კმარა მოთმინება და შემგუებლობა. ისტორიულად დამტკიცებულია, რომ სამყაროს დროდადრო – ამის უკან კი უხილავი ზარებივით ჟღერდა სიტყვები „ეონიდან ეონამდე“ – ისეთი ადამიანები სჭირდება, რომლებსაც სხვებთან ერთად მოქმედება და ტყუილის თქმა არ შეუძლიათ და საყოველთაო მღელვარებასაც სწორედ ამის გამო იწვევენ. აქამდე ყველაფერი ნათელი იყო.

ისიც ხომ ნათელია, რომ ადამიანები, რომლებიც საყოველთაო მღელვარებას იწვევენ, სამყაროს მხრიდან ზეწოლას განიცდიან. კლარისამ იცის, რომ კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები – გენიოსები – ხშირად ტანჯვის გზას გადიან და არ უკვირს, რომ მის ცხოვრებაში ზოგჯერ დღეები და კვირები ტყვიასავით ისე მძიმდება, თითქოს ზემოდან მძიმე ფირფიტები გადააფარესო. ჯერჯერობით ასე დიდხანს არ გრძელდებოდა. სხვებიც ასე იყვნენ. ეკლესიამ გლოვის დღეებიც კი შემოიღო, რომ სევდას თავი ერთად მოუყაროს, რათა უიმედობა და უსასოობა ნახევარ საუკუნეს არ მოედოს. ხანდახან კლარისა თავს ვეღარ ართმევს თავისი ცხოვრების ისეთ წუთებს, როცა წინააღმდეგობის უნარი ეკარგება და კალაპოტიდან ამოსაგდებად ერთი სიტყვაც კი საკმარისია. ასეთ დროს საკუთარი თავის მიღმაა, მაგრამ სად, უჭირს თქმა. არყოფნას ამას ვერ დაარქმევთ. პირიქით, კლარისა სიღრმეშია, ჩვეულებრივი წარმოსახვისთვის მიუწვდომელი სივრცის სიღრმეში, რომელსაც მისი სხეული სამყაროში იკავებს. რა საჭიროა ისეთი რაღაცისთვის სიტყვების ძებნა, რაც სიტყვათა გზაზე არ დევს. კლარისა მაინც სხვა რამეს ჩაეჭიდება, თავში კი მსუბუქი, ნათელი ღიტინი დარჩება, ზუსტად ისე, როგორც ცხვირიდან სისხლდენის შემდეგ. კლარისამ იცის, რომ ეს წუთები, რომელთა განცდაც ხანდახან უწევს, საშიშია. ასეთი წუთები აშკარად გამოცდა და რაღაცისთვის მომზადებაა. კლარისას ჩვევად ჰქონდა, ერთდროულად ბევრ რამეზე ეფიქრა – მარაოსავით, რომლის გაშლისას ან დაკეცვისას, მისი ფირფიტები სანახევროდ მეორის გვერდით ან სანახევროდ ქვემოთ რომ აღმოჩნდება; და როცა ყველაფერი მეტისმეტად რთულდება, გინდა, რომ ერთი ნახტომით ყველაფერს თავი დააღწიო. ბევრი ასე მოიქცეოდა, რომ მოეხერხებინა.

მომზადების და გამოცდის განცდა კლარისასთვის ისეთი იყო, როგორიც სხვებისთვის ის ტკბილი განცდა, როცა ისინი საკუთარი მეხსიერებით ან რკინასავით კუჭ-ნაწლავის

მოქმედებით ამაყობენ. როგორც თავად ამბობენ, მათ მინის ნამსხვრევების მონელებაც არ გაუჭირდებათ. კლარისამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია, საკუთარ თავზე რაღაც აიღოს, მისმა ძალამ მამამისზე, მაინგასტზე, გეორგ გრიოშლზე თავი უკვე იჩინა; ვალტერთან კი ძალისხმევა სჭირდებოდა. კლარისას განზრახული აქვს, საკუთარი ძალა უთვისებო კაცზეც გამოსცადოს, მაგრამ არ იცის, ეს სურვილი როდიდან გაუჩნდა. ეს იმ სახელთან იყო დაკავშირებული, ვალტერმა რომ მოიგონა, ულრიხმა კი მოიწონა. წინათ კლარისა მას სერიოზულ ყურადღებას არც კი უთმობდა, თუმცა კარგი მეგობრები იყვნენ. „უთვისებო კაცი“ ფორტეპიანოზე დაკვრას ახსენებდა, ანუ მელანქოლიას, სიხარულით აღტყინებას, მრისხანებას, ამ დროს რომ გეუფლება, მაგრამ თან ნამდვილი მაინც არ არის. აქედან კი პირდაპირი გზა იმის მტკიცებამდე მიგიყვანთ, რომ კაცმა უარი უნდა თქვას იმაზე, რაშიც მთელ გულს და სულს არ დებს. ეს კი კლარისას ქორწინების ამღვრეული რეალობა იყო. უთვისებო კაცი ცხოვრებას ეუბნება არა „არას“, არამედ „ჯერ არას“. კლარისა ამას მთელი სხეულით მიხვდა. შესაძლოა, იმ წუთების აზრიც ის იყო – როცა იგი საკუთარი თავის მიღმა აღმოჩნდებოდა ხოლმე – რომ ღვთისმშობლად ქცეულიყო. ისევ ის ხილვა გაახსენდა, თხუთმეტი წუთის წინ რომ ეწვია.

„იქნებ ყველა დედას აქვს უნარი, ღვთისმშობელი გახდეს, – ფიქრობდა კლარისა, – თუ არ იცრუებს, არ დათმობს, არამედ პირმშოს სახით იმას გამოავლენს, რაც მის სიღრმეში მყოფობს, იმ პირობით, რომ საკუთარი თავისთვის არაფერს მიაღწევს“, – დაამატა სევდიანად. ის აზრი, რომ იგი რაღაცის მსხვერპლია, სიხარულით კი არა, რაღაც ისეთი გრძნობით ავსებდა, ტანჯვანარევ ნეტარებას რომ ჰგავდა. თუ ეს ხილვა ფოთლებში აციმციმებული სანთელივით გაკრთა, სამაგიეროდ განწყობილება ახლა უკვე დიდი ხნით შეეცვალა. რაღაც შემთხვევითობამ სხვათათვის უმნიშვნელო იმ აღმოჩენამდე მიიყვანა, რომ „ხალი“ „იხილეს“ ნიშნავდა. ეს აღმოჩენა ისეთი მნიშვნელოვანი იყო, თითქოს ვარსკვლავებზე საკუთარი ბედისწერა ამოეკითხა. იმ აზრმა, რომ კაცი ქალმა საკუთარ წიაღში ისე უნდა მიიღოს, როგორც დედამ და შეყვარებულმა, ააღელვა და მოალბო. თვითონაც არ იცოდა, ეს აზრი საიდან დაებადა, მაგრამ მან მისი წინააღმდეგობა გატეხა და თან რაღაც ძალითაც აავსო.

უთვისებო კაცის, რა თქმა უნდა, არ სჯეროდა. რასაც ამბობდა, იმას არ გულისხმობდა. როცა ამტკიცებდა, რომ კლარისას იდეები განუხორციელებელი იყო და მას სერიოზულად არ ეკიდებოდა, ეს თავის დაძვრენას ნიშნავდა და კლარისა ამას ხვდებოდა. ერთმანეთს ალღო აუღეს, ერთმანეთს ნიშნებით ცნობდნენ. ვალტერს კი ეგონა, რომ კლარისა გიჟდებოდა! და მაინც ულრიხში რაღაც ბოროტება იყო, სამყაროს სატანური გულგრილობა. ის უნდა გაეთავისუფლებინათ. კლარისას ის უნდა გადმოებირებინა.

კლარისამ ვალტერს უთხრა: მოკალი იგი! ეს ნათქვამი ბევრს არაფერს ნიშნავდა. თვითონაც არ ესმოდა, რას გულისხმობდა; მაგრამ იმას კი ნიშნავდა, რომ საჭირო იყო, რაღაც გაეკეთებინათ. ის საკუთარი თავისგან უნდა ეხსნათ, უკან არაფრის წინაშე არ უნდა დაეხიათ.

კლარისას მასთან ბრძოლა მოუწევდა.

კლარისას გაეღიმა. ცხვირი მოისრისა. სიბნელეში წინ და უკან დადიოდა. პარალელურ აქციასთან დაკავშირებით რაღაც უნდა მოემოქმედებინა, მაგრამ რა, არ იცოდა.

98. სახელმწიფოს შესახებ, რომელიც ენობრივი შეცდომის გამო დაიღუპა

დროის მატარებელი ის მატარებელია, რომელიც რელსებს მიაქროლებს. დროის მდინარე ის მდინარეა, რომელიც ნაპირებს თან გაიყოლებს. მგზავრი ოთხ კედელს შორის მყარ იტაკზე დგას და მოძრაობს. მასთან ერთად შეუმჩნევლად, მაგრამ ენერგიულად კედლებიც და იატაკიც მოძრაობს. კლარისას სულიერი სიმშვიდისთვის განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მის აზრებს შორის ეს მოსაზრება ჯერ არ დაბადებულიყო.

ამისგან გრაფი ლაინსდორფიც დაცული იყო. გრაფი ლაინსდორფი დარწმუნებული გახლდათ, რომ რეალურ პოლიტიკას ქმნიდა და ეს მას იცავდა.

დღეები ერთმანეთს ცვლიდა და კვირებს შეადგენდა. კვირებიც გადიოდა და ერთმანეთს ჯაჭვურად ებმოდა. გამუდმებით რაღაც ხდებოდა. როცა გამუდმებით რაღაც ხდება, იქმნება შთაბეჭდილება, რომ რაღაც რეალურ შედეგს აღწევ. ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად

გამართული დღესასწაულისთვის გრაფმა ლაინსდორფმა თავისი სასახლის დარბაზების კარები ფართო პუბლიკას გაუღო. ამ მოვლენას კი წინ უსწრებდა გრაფ ლაინსდორფსა და მის მაჟორდომს შორის ხანგრძლივი საუბრები, როცა ისინი კონკრეტულ სამოქმედო დღეებს ადგენდნენ. პარალელურად პოლიციაც მართავდა საიუბილეო გამოფენას, რომლის გახსნაზეც მთელმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. მოსაწვევის გადასაცემად პოლიციის უფროსი პირადად ეახლა მის ბრწყინვალებას. გამოფენის გახსნაზე მისული გრაფი ლაინსდორფი დიდი პატივით მიიღეს, პოლიციის უფროსმა კი მისი თანმხლები „მოხალისე თანაშემწე და საპატიო მდივანი“ მაშინვე იცნო და თავისი საარაკო მეხსიერების დემონსტრირების საშუალება მიეცა. მასზე ამბობდნენ, რომ სახელმწიფოს ყოველ მეათე ქვეშევრდომს სახეზე ცნობდა ან კარგად იყო მასზე ინფორმირებული. გამოფენას დიოთიმაც ეწვია მეუღლის თანხლებით. ყველა იმპერატორის ოჯახის რომელიღაც წევრს ელოდა, რომელსაც დამსწრე საზოგადოების ნაწილი წარუდგინეს. გამოფენა ყველამ ერთსულოვნად მოიწონა და საინტერესოდ მიიჩნია. კედლებზე ერთგვაროვანი სურათები ეკიდა, მინის კარადებში და სტენდებზე კი დიდი დანაშაულებების ნივთიერი მტკიცებულებები გამოეფინათ. ამ ნივთებს შორის იხილავდით ქურდების ხელსაწყოებს, ყალბი ფულის მოსაჭრელ დანადგარებს, დაკარგულ ღილებს, რომელთა წყალობითაც პოლიციამ დანაშაული გახსნა, ცნობილ მკვლელთა იარაღებს ქვეშ მიწერილი მათზე შექმნილი ლეგენდებით. მოპირდაპირე კედელზე კი ამ შემზარავი არსენალისგან განსხვავებული სურათები გამოეკიდათ, რომლებზეც პოლიციელთა ცხოვრებიდან ყურადსაღები სიუჟეტები იყო გამოსახული. აქ იხილავდით ყოჩაღ პოლიციელს, რომელსაც მოხუცი ქალი გადაჰყავდა ქუჩაზე, მკაცრ პოლიციელს, ნაპირზე გამორიყულ გვამთან რომ იდგა, გაბედულ პოლიციელს, რომელიც განზე გამხტარ ცხენს აღვირით იჭერდა, „პოლიციელს, როგორც ქალაქის მცველის ალეგორიას“, პოლიციის განყოფილებაში მზრუნველი პოლიციელებით გარშემორტყმულ დაკარგულ ბავშვს, ალმოდებულ პოლიციელს, რომელსაც ცეცხლწაკიდებული სახლიდან ხელში ატატებული ბავშვი გამოჰყავდა, უამრავ სურათს, როგორიცაა „პირველი დახმარება“ ან „მარტოდმარტო სადარაჯოზე“, ასევე 1869 წლიდან მოყოლებული მამაც პოლიციელთა ფოტოებს მათი ბიოგრაფიული მონაცემებით და

ჩარჩოში ჩასმულ ლექსებს, პოლიციელებს ან მათ ცალკეულ საგმირო საქმეებს ხოტბას რომ ასხამდა. მათი უმაღლესი „მთავარსარდალი“, იმ სამინისტროს უფროსი, რომელიც კაკანიაში ფსიქოლოგიურ – „შინაგან საქმეთა სამინისტროს“ – ტიტულს ატარებდა, წარმოთქმულ სიტყვაში მიუთითებდა, წარმოდგენილი ექსპოზიცია პოლიციელთა ჭეშმარიტად სახალხო სულს წარმოაჩენსო და პოლიციით აღფრთოვანების საფუძვლად სხვათა დახმარების სურვილს და დისციპლინის დასამყარებლად მათ მუდმივ მზადყოფნას ასახელებდა, რაც, თავის მხრივ, ეპოქის ზნეობრიობის უშრეტი წყაროა, იმ დროს, როცა ხელოვნება და ცხოვრება მგრძნობიარე უდარდელობის მშიშარა კულტისკენ იხრებაო. თანამედროვე ხელოვნების ქომაგი დიოთიმა გრაფი ლაინსდორფის გვერდით იდგა და ამ ნათქვამით შეშფოთებული მშვიდი, მაგრამ ჯიუტი სახით სადღაც სივრცეში იმზირებოდა, რათა ყველასთვის ეგრძნობინებინა, კაკანიაში სხვაგვარად მოაზროვნენიც არსებობენ, ვიდრე ეს მინისტრიაო. ულრიხმა, დიოთიმას პარალელური აქციის საპატიო მდივნის რესპექტაბელური დუმილით შორიდან რომ აკვირდებოდა, უცბად ხელზე ვიღაცის თითების ფრთხილი შეხება იგრძნო და თავისდა გასაკვირად გვერდით ბონადეა დაინახა, რომელიც ვერნისაჟზე მეუღლესთან, სასამართლოს მაღალის რანგის ჩინოვნიკთან, ერთად მოსულიყო. ბონადეამ ისარგებლა იმ წუთით, როცა ყველა მინისტრის და ერცჰერცოგის ყურებით იყო გართული და თავის მოღალატე მეგობარს მიუახლოვდა. ამ გაბედულ თავდასხმას წინ დიდი მზადება უსწრებდა. შეყვარებულის დაკარგვით გულმკვდარი ბონადეა სევდიან სურვილებს შეეპყრო – თავისი ჟინის თავქარიანი დროშა, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ტარზე დაემაგრებინა – და ბოლო კვირები მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ულრიხი დაებრუნებინა. ულრიხი მას გაურბოდა. ახსნა-განმარტებები კი, რასაც ბონადეა დაჟინებით ითხოვდა მისგან, მასვე აყენებდა იმ არახელსაყრელ პოზიციაში, რომელშიც მარტოობის მოსურნე ადამიანის წინაშე აღმოჩნდება ის, ვინც მისგან რამეს მოითხოვს. ამიტომ ბონადეამ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, შეეღწია იმ წრეში, სადაც მისი შეყვარებული ყოველდღე დადიოდა. მისი მიზანი თავისთავად მეორესაც გულისხმობდა – ამ შემზარავ მკვლელ მოორსბრუგერთან ქმრის პროფესიული კავშირი და ამ მკვლელისთვის მძიმე ხვედრის შემსუბუქებისთვის მისი მეგობრის ზრუნვა

შინაგანად ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა და ეს საკუთარი ინტერესებისთვის გამოეყენებინა. ბოლო ხანებში თავს აბეზრებდა ქმარს ლაპარაკით იმის თაობაზე, როგორ იღებდნენ მონაწილეობას გავლენიანი წრეები სულით ავადმყოფ დამნაშავეებზე ზრუნვის საკითხში და როგორც კი პოლიციელთა გამოფენის შესახებ შეიტყო, ქმართან ერთად გახსნაზე გამოცხადდა, რადგან ინსტინქტი კარნახობდა, რომ ეს სწორედ ის საქველმოქმედო ღონისძიება იყო, სადაც ის ბოლოს და ბოლოს დიოთიმას გაცნობას მოახერხებდა. როდესაც მინისტრმა სიტყვა დაასრულა, საზოგადოება კი ექსპოზიციის დათვალიერებას შეუდგა, ბონადეა შემცბარ შეყვარებულს გვერდიდან არ მოსცილდა და მისი თანხლებით სისხლის შემზარავი ლაქებით დაფარულ იარაღს ათვალიერებდა, თუმცა მათი დანახვა წარმოუდგენელ ზიზღს ჰგვრიდა.

– შენ არ ამბობდი, თუ მოინდომებ, ამ ყველაფრის თავიდან აცილება შეიძლებაო! – ენის ჩლიფინით იმ წესიერი ბავშვივით უთხრა, ყურადღების გამოჩენა რომ სურს და ამით ის საუბარი შეახსენა, რომელიც ამ საკითხს ეხებოდა. ცოტა ხნის შემდეგ გაეღიმა, სივიწროვით ისარგებლა, ულრიხს მიეკრა და ჩასჩურჩულა: – ერთხელ მითხარი, რომ გარკვეულ გარემოში ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება ნებისმიერი სისუსტე გამოავლინოს!

ულრიხი დააბნია ბონადეას დემონსტრაციულმა ქცევამ. ყურადღების გადატანის მიზნით ულრიხის მიერ ჩატარებული მანევრების მიუხედავად ბონადეა დიოთიმასკენ გზას შეუპოვრად იკაფავდა; და რადგან ულრიხი მიხვდა, რომ მას ვეღარ შეაკავებდა, სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა ერთისა – სათავე დაედო ამ ორი ქალის ნაცნობობისთვის, რასაც აქამდე თავს არიდებდა. ისინი ზუსტად იმ ჯგუფის გვერდით აღმოჩნდნენ, რომლის შუაგულშიც დიოთიმა და მისი ბრწყინვალება იდგნენ, როცა ერთ-ერთი ვიტრინის წინ ბონადეამ ხმამაღლა წამოიძახა: – შეხედეთ, მოორსბრუგერის დანა!

მართლაც, ის დანა იყო, რომელსაც ბონადეა ისეთი აღფრთოვანებით შეჰყურებდა, თითქოს ბებიის სკივრში ქექვისას მისი პირველი კოტილიონის ორდენი აღმოაჩინაო. ულრიხმა იმ საბაბით, რომ დიოთიმასთვის ყველა მშვენიერი და კეთილი წამოწყების თავგამოდებული ქომაგის გაცნობა

სურდა, შექმნილი გარემოებით ისარგებლა და ნათესავს ბონადეა წარუდგინა.

დღეებისა და კვირების რბოლას თან ცვლილებებიც ახლდა; გამოფენა კი ყველაზე უმნიშვნელო იყო. მაგალითად, ინგლისის მოვლენებმა, გრანდიოზულობით აქაურს ბევრად რომ აღემატებოდა, კაკანიაში მაღალი საზოგადოება აალაპარაკა. ცნობილმა არქიტექტორმა დედოფალს საკუთარი ხელით დამზადებული თოჯინური სახლი მიართვა საჩუქრად: სახელოვანი, თანამედროვე მხატვრების ყალმით შესრულებული მინიატურული პორტრეტებით დამშვენებული ერთი მეტრი სიგრძის სასადილო დარბაზით, ოთახებით, სადაც ონკანებიდან ცივი და ცხელი წყალი ჩქეფდა, ბიბლიოთეკა ორასი ცეროდენა ტომით, რომლებშიც ცნობილ ავტორებს დედოფლისთვის ლექსები და მოთხრობები ჩაეწერათ, ოქროს წიგნით, სადაც დედოფალს სამეფო ოჯახის წევრთა ფოტოები ჩაეკრა და მიკროსკოპულად ნაბეჭდი სარკინიგზო ცნობარით. ამის შესახებ დიოთიმას ინგლისურ ენაზე ახლად გამოცემული მდიდრულად ილუსტრირებული ორტომეული ჰქონდა და თავისი სალონით მაღალი წრის საზოგადოების დაინტერესებას სწორედ ამ მონოგრაფიას უმადლოდა. რა აღარ ხდებოდა, სახელის დარქმევაც რომ გაგიჭირდებოდა. ადამიანთა სულებში დოლის რაკარუკივით ატეხილი აურზაური რაღაც ისეთს მოასწავებდა, ჯერ თვალსაწიერზეც რომ არ მოჩანდა. კაიზერულ-სამეფო ტელეგრაფის მუშაკები პირველად გაიფიცნენ და თან ერთობ უცნაური, შემაშფოთებელი მეთოდი აირჩიეს, რომელიც „პასიური წინააღმდეგობის“ სახელით გახდა ცნობილი და რომელიც ოფიციალური ინსტრუქციის პედანტური კეთილსინდისიერებით დაცვაში მდგომარეობდა. გამოირკვა, რომ კანონის ზედმიწევნით დაცვა უფრო მეტად იწვევს სამუშაოს პარალიზებას, ვიდრე ყველაზე დიდი ანარქია. პრუსიაში კოპენიკელ კაპიტანთან ერთად, მეძველმანესთან ნაყიდი ფორმით ოფიცერი რომ გახდა და პატრულისა და პრუსიული დისციპლინის მეშვეობით ქალაქის მუნიციპალური სალარო პირწმინდად გაცალა, პასიური წინააღმდეგობა რაღაც ისეთად იქცა, რაც ფარულად იმ იდეებსაც რომ არყევდა, რომლის საძრახის სიტყვებსაც ენა ძლივს იკავებდა. გაზეთები ერთდროულად წერდნენ, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობის მეორე უდიდებულესობის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება მშვიდობის დაცვას, ეკონომიკურ

აღმავლობას, გულწრფელ თანამშრომლობას, მოქალაქეთა უფლებების პატივისცემას უზრუნველყოფდა და მათი ხელყოფის შემთხვევაში საგანგებო ზომებსაც მიმართავდა. განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის მინისტრი სიტყვით გამოვიდა და სამი კონტინენტური იმპერიის მჭიდრო კავშირის გარდაუვალ აუცილებლობაზე მიუთითა, თან ამტკიცებდა, სოციალური განვითარების უგულებელყოფა დაუშვებელია და დინასტიათა საერთო ინტერესების დასაცავად სოციალური სიახლეების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით უნდა გავილაშქროთო. იტალია ლიბიასთან შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაება; გერმანიას და ინგლისს ბაღდადის საკითხი ჰქონდათ გადასაწყვეტი; კაკანია სამხრეთში საომარ მზადებას შეუდგა, რათა მსოფლიოსთვის დაენახვებინა, რომ სერბიის ზღვამდე გაფართოებას არ დაუშვებდა და მხოლოდ სარკინიგზო ხაზის გაყვანის ნებას დართავდა. ცნობილი შვედი მსახიობი ფროილაინ ფოგელზანგი აღიარებდა, არასდროს ისე კარგად არ მიძინია, როგორც კაკანიაში ჩამოსვლის პირველ ღამესო და საქებარ სიტყვებს არ იშურებდა პოლიციელისთვის, რომელმაც ბრბოს აღფრთოვანებისგან იხსნა, მერე კი სთხოვა, უფლება მიეცა, მადლიერების ნიშნად ორივე ხელი ჩამოერთმია. ეს მოვლენა აზრებით კვლავ პოლიციელთა გამოფენისკენ გვაბრუნებს. ბევრი რამ ხდებოდა და ხალხი ამას ამჩნევდა კიდეც. მოსწონდათ ის, რასაც თავად აკეთებდნენ; საეჭვოდ მიაჩნდათ ის, რასაც სხვები აკეთებდნენ. დეტალები სკოლის მოწაფისთვისაც გასაგები იყო, მაგრამ საერთო ჯამში, რამდენიმე ადამიანის გარდა, არავინ იცოდა, რა ხდებოდა, და ისიც საეჭვო იყო, ან მათ თუ იცოდნენ. ცოტა ხანში, შესაძლოა, ყველაფერი სხვა ან უკუთანამიმდევრობით განვითარებულიყო და სხვაობას ვერავინ შეამჩნევდა, იმ გარკვეული ცვლილებების გარდა, დროთა განმავლობაში აუხსნელი მიზეზის გამო უკან რომ ჩამორჩება და ისტორიული ლოკოკინას ლორწოვან კვალს ტოვებს.

გასაგებია, რომ უცხოელი დიპლომატები რთული ამოცანის წინაშე დგანან, თუკი სურთ გაარკვიონ, სინამდვილეში რა ხდება. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები სიამოვნებით შეიძენდნენ სიბრძნეს გრაფი ლაინსდორფისგან, მაგრამ მისი ბრწყინვალება მათ პრობლემებს უქმნიდა. ყოველდღიური საქმიანობით ის იმგვარ კმაყოფილებას განიცდიდა, რომელსაც ადამიანისთვის საიმედო

სოლიდურობის მინიჭების უნარი აქვს და უცხო თვალი მის სახეზე მიმდინარე მოვლენების წესრიგით გამოწვეულ გაცისკროვნებულ სიმშვიდეს შეამჩნევდა. ნომერი პირველი ინსტანცია წერდა, ნომერი მეორე ინსტანცია კი პასუხობდა; როცა ნომერი მეორე ინსტანცია პასუხობდა, საჭირო იყო ამის თაობაზე ნომერ პირველი ინსტანციის საქმის კურსში ჩაყენება, პირადი შეხვედრები კი ამისთვის ყველაზე მოხერხებული გახლდათ. როცა ნომერი პირველი და მეორე ინსტანციები შეთანხმებას აღწევდნენ, ირკვეოდა, რომ თურმე აღარაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა; ასე რომ, გაუთავებლად სულ რაღაც იყო საკეთებელი. უნდა გაეთვალისწინებინათ უთვალავი გვერდითი მოსაზრებაც, რადგან ხელიხელჩაკიდებული მუშაობა სხვადასხვა სამინისტროებთანაც უხდებოდათ; არ უნდა გაენაწყენებინათ ეკლესია; ანგარიში უნდა გაეწიათ გარკვეულ პირთა მოსაზრებებისა და საზოგადოებრივი კავშირებისთვის. მოკლედ, იმ დღეებშიც კი, როცა განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდნენ, იმდენი მაინც უნდა მოემოქმედებინათ, რომ გაცხოველებული საქმიანობის შთაბეჭდილება შეექმნათ. მისი ბრწყინვალება ყოველივეს ღირსეულ პატივს მიაგებდა. „რაც უფრო მაღალ დანიშნულებას ანიჭებს ბედისწერა ადამიანს, – ამბობდა იგი, – მით უფრო ცხადია, რომ მნიშვნელოვანი მხოლოდ რამდენიმე უბრალო პრინციპია: მტკიცე ნება და გეგმაზომიერი მოქმედება“. ამ თემას უფრო დაწვრილებით ერთხელ თავის „ახალგაზრდა მეგობართანაც“ შეეხო. მან გერმანიის ერთიანობისკენ სწრაფვა ახსენა და აღიარა, რომ ათას რვაას ორმოცდარვა და ათას რვაას სამოცდაექვს წლებს შორის პოლიტიკაში თავისი სიტყვა ბევრმა ჭკვიანმა ადამიანმა თქვა. „მაგრამ შემდეგ, – განაგრძო მან, – ბისმარკი მოვიდა, თუმცა ერთი კარგი თვისება მასაც ჰქონდა. ბისმარკმა ყველას აჩვენა, როგორ იქმნება პოლიტიკა: ლაპარაკით და ჭკუისთვის ძალის დატანებით კი არა! მიუხედავად შავბნელი მხარეებისა, ერთს მაინც მიაღწია: მისი მმართველობის პერიოდიდან მოყოლებული ყველა გერმანულად მოლაპარაკემ იცის, რომ პოლიტიკაში ლაპარაკის და თავის ჭკვიანად მოჩვენების კი არა, მდუმარე განსჯისა და მოქმედების იმედი უნდა გქონდეს“. ასეთი მოსაზრებები გრაფმა ლაინსდორფმა კრებაზეც გამოთქვა და უცხოური ხელისუფლების წარმომადგენლებს, დროდადრო საკუთარ დამკვირვებლებს რომ მიავლენდნენ ხოლმე კრებაზე, უჭირდათ მისი შეხედულებების შესახებ ზუსტი წარმოდგენის

შექმნა. რადგან არნჰაიმის და განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის მონაწილეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამიტომ საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ ორსა და გრაფ ლაინსდორფს შორის ფარული შეთანხმება არსებობდა, რომლის პოლიტიკური მიზანიც ქალბატონი ტუცის პანკულტურული მისწრაფებისა და მათი მანევრების წყალობით საიდუმლოდ რჩებოდა.

საზეიმო დღეებში ოქრომკედით ნაქარგი ფოთლებით და სხვა ბუკოლიკური სიმბოლოებით დამშვენებულ ფრაკებში გამოწყობილი ბატონებიც საკუთარი ხელობის რეალისტურ-პოლიტიკური ცრურწმენების ერთგულნი იყვნენ და პარალელური აქციის კულისებში ხელჩასაჭიდი მოვლენების ამაო ძებნის შემდეგ მზერა იმას მიაპყრეს, რაც კაკანიაში აუხსნელი მოვლენების მიზეზად ქცეულიყო და სახელად „ყმობის უღლისგან გაუთავისუფლებელი ხალხები“ ერქვა. დღეს ისეთ სახეს იღებენ, თითქოს ნაციონალიზმი არმიის მომმარაგებელთა გამოგონება იყოს; ამას კი, ალბათ, უფრო ფართო განმარტება სჭირდება და კაკანიამ ამ საქმეში არცთუ უმნიშვნელო წვლილი შეიტანა. ორმაგი – საიმპერატორო და სამეფო და საიმპერატორო-სამეფო – მონარქიის მცხოვრებლები რთული ამოცანის წინაშე იდგნენ. ერთი მხრივ, თავი მათ საიმპერატორო და სამეფო ავსტრიულ-უნგრული იმპერიის, მეორე მხრივ კი, სამეფო უნგრულ და საიმპერატორო-სამეფო ავსტრიული მონარქიის პატრიოტებად უნდა ეგრძნოთ. ამ სირთულეების პირისპირ მდგარნი, დევიზად ირჩევდნენ შემდეგ მოწოდებას: „ერთიანი ძალებით!“, ანუ viribas unitis, ავსტრიელებს კი ამისთვის უნგრელებზე მეტი ძალა სჭირდებოდათ, რადგან უნგრელები პირველ რიგში და საბოლოო ჯამშიც უნგრელები იყვნენ და მათ მხოლოდ ისინი მიიჩნევდნენ ავსტრიელ უნგრელებად, ვისაც მათი ენა არ ესმოდა. ავსტრიელები კი თავდაპირველად, მათგან განსხვავებით, არაფერს არ წარმოადგენდნენ და თავიანთი ხელმძღვანელების მოსაზრების თანახმად, საკუთარ თავში უნდა ეგრძნოთ, როგორც ავსტრია და უნგრეთი, ისე ავსტრიელობა და უნგრელობა. მოკლედ, ამ ცნების აღსანიშნავად შესაბამისი სიტყვაც კი არ არსებობდა და არც ავსტრია არსებობდა. ორივე ნაწილი, ავსტრია და უნგრეთი, ისევე ესადაგებოდა ერთმანეთს, როგორც წითელ-მწვანე-თეთრი პიჯაკი შავ-ყვითელ შარვალს. პიჯაკი დამოუკიდებელი

თავისთავადი ერთეულია, შარვალი კი უკვე არარსებული, 1867 წელს დარღვეული, შავ-ყვითელი პიჯაკის ნარჩენი. ამ დროიდან შარვალ ავსტრიას ოფიციალურად „საიმპერატორო საბჭოში გაერთიანებული სამეფოები და მიწები“ ეწოდებოდა. ეს იყო სახელებისგან შემდგარი სახელი, რაც, ბუნებრივია, არაფერს ნიშნავდა, რადგან ეს სამეფოები, შექსპირისეული ლოდომერიისა და ილირიის სამეფოების მსგავსად, დიდი ხნის წინ გამქრალიყო და მაშინაც აღარ არსებობდა, როცა შავ-ყვითელი პიჯაკი მთელი იყო. ამიტომ კითხვაზე „ვინ ხარ შენ?“ ავსტრიელი, ცხადია, ვერ უპასუხებდა: „მე საიმპერატორო საბჭოში გაერთიანებული სამეფოების და მიწების მკვიდრი“ ვარო და პასუხობდა: მე პოლონელი, ჩეხი, იტალიელი, ფრიულელი, ლადინელი, სლოვენელი, ხორვატიელი სერბი, სლოვაკი ან ვალახი ვარო და ეგრეთ წოდებული ნაციონალიზმიც ეს იყო. წარმოიდგინეთ ციყვი, რომელმაც არ იცის, ციყვია თუ რამე სხვა: რა გასაკვირია, რომ საკუთარი კუდის დანახვაზე შიშისგან გული გაუსკდეს. კაკანიელებსაც სწორედ ასეთი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან და შიშით თავზარდაცემულები სხეულის იმ ნაწილებივით შეჰყურებდნენ ერთმანეთს, ერთიან ორგანიზმად ჩამოყალიბებაში ერთმანეთს ხელს რომ უშლიან. კაცობრიობის არსებობის დღიდან არც ერთი არსება არ მომკვდარა ენობრივი შეცდომების გამო, მაგრამ ავსტრიული და უნგრული ავსტრია-უნგრეთის ორმაგი მონარქია გამოუთქმელობის, საკუთარი თავისთვის სახელის ვერდარქმევის გამო დაიღუპა.

გარეშე პირთათვის, ალბათ, საინტერესოა იმის ცოდნა, როგორ ართმევდა თავს ამ პრობლემებს ისეთი გამოცდილი და წარჩინებული ადამიანი, როგორიც გრაფი ლაინსდორფი იყო. ფხიზელი გონებით იგი საგულდაგულოდ მიჯნავდა უნგრეთს იმისგან, რის შესახებაც ის, როგორც ბრძენი დიპლომატი, არასდროს ლაპარკობდა, ისე, როგორც არასდროს ლაპარაკობენ ვაჟიშვილზე, მშობლების ნების საწინააღმდეგოდ დამოუკიდებელ ცხოვრებას რომ ირჩევს, გულში კი იმედი აქვთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათ გარეშე გაუჭირდება. ყველა სხვა დანარჩენს გრაფი ლაინსდორფი „ნაციონალობებს“ ან „ავსტრიელ ხალხებს“ უწოდებდა. ერთობ ნატიფი გამოგონება გახლდათ. მისმა ბრწყინვალებამ სახელმწიფო სამართალი შეისწავლა, სადაც ამქვეყნად ყველაზე გავრცელებული განმარტება ამოიკითხა: ხალხს მხოლოდ მაშინ ენიჭება

უფლება, განაცხადოს პრეტენზია, როგორც ერმა, თუკი იგი ფლობს სახელმწიფოებრიობას. აქედან კი გამომდინარეობდა, რომ კაკანიელი ერები ნაციონალობებს წარმოადგენდნენ. მეორე მხრივ, გრაფ ლაინსდორფს ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ადამიანი თავის სრულ და ჭეშმარიტ დანიშნულებას მხოლოდ ერის ცხოვრების ფართო ჩარჩოებში პოვებს და რადგან არ სურდა, რომ ვინმე საკუთარ დანიშნულებას ყოფილიყო მოკლებული, ამიტომ იგი ზენაციონალური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობამდე მივიდა. თანაც მას ღვთაებრივი წესრიგისაც სწამდა, თუმცა ის ადამიანისთვის ყოველთვის ხილული არ არის. რევოლუციურ წუთებში, რომელიც ხანდახან დაუდგებოდა ხოლმე, იმასაც ფიქრობდა, რომ ახალ ეპოქაში ასე გაძლიერებული სახელმწიფოს იდეა, ალბათ, სხვა არაფერი იყო, თუ არა ღვთის მიერ ნაბოძები უდიდებულესობის იდეა, რომელმაც განახლებული ფორმით გამოვლენა სწორედ ახლა დაიწყო. ასე იყო თუ ისე, როგორც რეალისტი პოლიტიკოსი, იგი უარს ამბობდა ღრმად შეტოპვაზე და დიოთიმას მოსაზრებასაც დაეთანხმებოდა, რომელიც კაკანიური სახელმწიფოს იდეას მსოფლიოში მშვიდობის ტოლფასად მიიჩნევდა.

მთავარია, რომ კაკანიური სახელმწიფო, ავად თუ კარგად, თუნდაც შესაფერისი სახელის გარეშე არსებობდა და შესაბამისად, კაკანიური ერის გამოგონებაც საჭირო იყო. ამის განსამარტად იგი შემდეგ მაგალითს მოიშველიებდა ხოლმე: ვერავინ იქნება მოწაფე, თუ სკოლაში არ იარა, სკოლა კი ცარიელიც რომ იყოს, მაინც სკოლად დარჩება. რაც უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ ხალხები კაკანიურ სკოლას, რომელსაც მათგან ერის ჩამოყალიბება სურდა, მით უფრო გარდაუვალ აუცილებლობად ესახებოდა მას სკოლის არსებობა. ისინი კი მუდამ ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ ერებს წარმოადგენდნენ, დაკარგული ისტორიული უფლებების აღდგენას ითხოვდნენ, საზღვრის იქითა მონათესავე ხალხებს ეკურკურებოდნენ და იმპერიას საქვეყნოდ იმ საპყრობილედ მოიხსენიებდნენ, საიდანაც თავი უნდა დაეხსნათ. გრაფი ლაინსდორფი კი მათ ხალხებს უწოდებდა, არანაკლებ ხმამაღლა მიუთითებდა მათ არასრულფასოვან მდგომარეობაზე და მათგან ავსტრიულ ერად ჩამოყალიბებით ამ მდგომარების სრულყოფას აპირებდა. იმას კი, რაც მის გეგმას ეწინააღმდეგებოდა ან წამქეზებლურად ეჩვენებოდა,

როგორც ყოველთვის, დაუძლეველი უმწიფრობის შედეგად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ამის წინააღმდეგ გონივრული მოქნილობით და დამსჯელი სირბილით უნდა ემოქმედათ.

როცა გრაფმა ლაინსდორფმა პარალელურ აქციას სული შთაბერა, ავსტრიელმა ხალხმა იგი პანგერმანულ შეთქმულებად შეაფასა, პოლიტიკური გამოფენისადმი გამოვლენილი მისი ბრწყინვალების ინტერესი კი – პოლიტიკურ პოლიციასთან კავშირად. უცხოელი დამკვირვებლები საქმის კურსში იყვნენ და პარალელური აქციის შესახებ ათას საშინელებას ისმენდნენ. მათ ეს ყველაფერი იცოდნენ, როცა მსახიობ ფოგელზანგის პატივსაცემად გამართულ მიღებაზე, დედოფლის თოჯინურ სახლზე, გაფიცულ მოხელეებზე უყვებოდნენ ან ახლახან გამოქვეყნებული სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებების შესახებ აზრს ეკითხებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის გამოსვლაში ნახსენები სიტყვები „სულის სიმკაცრე“, სურვილისამებრ, რომელიმე პოლიტიკური ტენდენციის გამოცხადებად შეიძლებოდა განმარტებულიყო და ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდათ, რომ ამ პოლიციური გამოფენის გახსნაზე ყურადსაღები არაფერი ხდებოდა, მაინც თვლიდნენ, რომ რაღაც ისეთი და საზოგადო შეიმჩნეოდა, რომელში გარკვევაც, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, შეუძლებელი იყო.

99. ნახევარი საზრიანობისა და მისი ნაყოფიერი მეორე ნახევრის შესახებ; ორი ეპოქის მსგავსების შესახებ; დეიდა ჯეინის კეთილი ზნისა და იმ უხამსობის შესახებ, რომელსაც ახალი ეპოქა ეწოდება

შეუძლებელი იყო, ნათელი წარმოდგენა შეგქმნოდათ სხდომებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ. პროგრესულად მოაზროვნენი იმ დროს აქტიური გონების ადამიანებს უჭერდნენ მხარს და გონების ადამიანის მოვალეობას მუცლის ადამიანის მართვაში ხედავდნენ. თან რაღაც ისეთიც არსებობდა, რაც ექსპრესიონიზმის სახელით იყო ცნობილი. ძნელი სათქმელი გახლდათ, რას გულისხმობდა ეს ცნება, მაგრამ როგორც სიტყვიდან ჩანდა, ექსპრესიონიზმი, ალბათ, კონსტრუქციული ხილვების გამოწურვას ნიშნავდა. შემოქმედებით ტრადიციებთან შედარებით ეს ხილვები დესტრუქციული იყო და ამიტომ მისთვის უბრალოდ

„სტრუქციულიც“ შეგვეძლო გვეწოდებინა. ეს არავის არაფერს ავალებს, „სტრუქციული“ მსოფლხედვა კი ძალზე რესპექტაბელურად ჟღერს. ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. დღეებს და სამყაროს მაშინ შიგნიდან გარეთ, მაგრამ გარედან შიგნითაც უყურებდნენ. ინტელექტუალურობა და ინდივიდუალურობა მოძველებულად და ეგოცენტრულად ითვლებოდა; სიყვარულს ისევ არ სწყალობდნენ, მასებზე კიჩური ხელოვნების ჯანმრთელი ზეგავლენისა და აქტიური ადამიანების სულთა განმწმენდი მისი უნარი ხელახლა აღმოაჩინეს. ჩანს, რომ „არიან“ ისევე სწრაფად იცვლება, როგორც „აცვიათ“. ვინც ამის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, ისეთ სასაცილო შთაბეჭდილებას ტოვებდა, როგორსაც ის ადამიანი, ფარადიზაციის მანქანის პოლუსებს შორის რომ მოხვდება და, ხელ-ფეხასხმარტალებული, მოწინააღმდეგეს ვეღარც ამჩნევს, რადგან მოწინააღმდეგე ის ადამიანი კი არ არის, რომელიც არსებულ კონიუნქტურას გონივრულად იყენებს, არამედ საერთო მდგომარეობის აირისებრ-სითხისებური არამდგრადობაა, კომბინაციათა და გარდასახვის მისი განუზომელი უნარია, რასაც მიმღების მხარეს ძლიერი, საყრდენი, დამარეგულირებელი პრინციპების ნაკლებობა ან არარსებობაც ემატება.

მოვლენათა ამგვარ მონაცვლეობაში საყრდენის მოძებნა ისევე რთულია, როგორც წყლის ჭავლში ლურსმნის ჩაჭედება, მაგრამ რაღაც მდგრადი მასში თითქოს მაინც არსებობს. რა ხდება მაშინ, როცა ეს ცვალებადი არსება – ადამიანი ჩოგბურთელს გენიოსად მოიხსენიებს? ის რაღაცას უშვებს ხელიდან. დოღის ცხენს რომ გენიალურს უწოდებს, მაშინ რაღა ხდება? ხელიდან ის მაშინ კიდევ უფრო მეტს უშვებს. ის მუდამ რაღაცას უშვებს ხელიდან, სულერთია, ფეხბურთელის თამაშს უწოდებს მეცნიერულს, მოფარიკავის ბრძოლას – ჭკვიანურს თუ მოკრივის დამარცხებას – ტრაგიკულს. საერთოდ, ის ყოველთვის რაღაცას უშვებს ხელიდან. ის გადაჭარბებულად აფასებს. გადაჭარბებას უზუსტობა იწვევს. როცა პატარა ქალაქში დიდი მაღაზიის მეპატრონის ვაჟს მაღალი წრის ადამიანად თვლიან, ამის მიზეზი წარმოდგენათა უზუსტობაა. ამაში, ცხადია, რაღაც სწორია. რატომ არ უნდა გვახსენებდეს ჩემპიონის სიურპრიზი გენიოსის სიურპრიზს, მისი აზრები კი – გამოცდილი მკვლევარის აზრებს? რაღაც სხვა ამაში – და ეს რაღაც სხვა უფრო მეტია – სწორი არ არის. პრაქტიკაში ამ ნაშთს

ან ვერ, ან უხალისოდ ამჩნევენ. თვლიან, რომ გაურკვეველია, თავს არიდებენ ან გამოტოვებენ. როცა ეპოქა დოღის ცხენს ან ჩოგბურთელს გენიოსს უწოდებს, საქმე გენიის შესახებ წარმოდგენებში კი არა, ზენა სფეროსადმი მის უნდობლობაშია.

აქ კი უადგილო არ იქნებოდა, დეიდა ჯეინზე გველაპარაკა, რომელიც ულრიხს დიოთიმას საოჯახო ალბომის თვალიერებამ გაახსენა, როცა ფოტოებზე აღბეჭდილ სახეებს საკუთარ სახლში ნანახ სახეებს უდარებდა. ბავშვობაში ულრიხი ხშირად დიდი ხნით ცხოვრობდა ხოლმე ბებიის დასთან. დეიდა ჯეინი კი მისი მეგობარი იყო ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან. თავიდან დეიდა ჯეინი სულაც არ იყო დეიდა. ის მათთან სახლში მუსიკის მასწავლებლად მოვიდა და ამ მიმართულებით პატივისცემა თუ არა, სიყვარული ნამდვილად მოიპოვა, რადგან მისი პრინციპი გახლდათ: ფორტეპიანოზე ვარჯიშს აზრი არა აქვს, თუ ადამიანი მუსიკოსად არ არის დაბადებულიო. ხარობდა იმის ყურებით, როგორ ძვრებოდნენ ბავშვები ხეზე. და ამგვარად, წლების უკუქმედების ძალით, იმედგაცრუებული სამუშაოს მიმცემის სკოლის მეგობარი ორი თაობის დეიდა გახდა.

„ო, ეს მუკი!“ – შეეძლო, მაგალითად, დეიდა ჯეინს, ისეთი შემწყნარებლური ხმით ეთქვა პატარა, მაშინ უკვე ორმოცი წლის ბიძია ნეპომუკზე, დროთა სვლას რომ არ ექვემდებარება და მისი ხმა, ერთხელ თუ მაინც გქონდათ გაგონილი, სამუდამოდ დაგამახსოვრდებოდათ. დეიდა ჯეინს თითქოს ფქვილმოყრილი ხმა ჰქონდა, სწორედ ისეთი, ხელი წმინდად გაცრილ ფქვილში იდაყვამდე რომ ჩაყო – თითქოს დაფშხვნილ ორცხობილაში მსუბუქად ამოვლებული, ხრინწიანი ხმა. ეს იმიტომ, რომ ბევრ შავ ყავას სვამდა, გრძელ, წვრილ და მაგარ ვირჯინიულ სიგარებს ეწეოდა, რომლებმაც წლების მანძილზე კბილები ჩაუშავა. სახეზე რომ შეგეხედათ, გეგონებოდათ, მისი ხმის ჟღერადობა გრავიურასავით წვრილი ნაოჭებით დაღარულ სახესთან არის დაკავშირებულიო. სახის გრძელი ოვალი და თვინიერი გამომეტყველება ჰქონდა, რომელიც შემდეგი თაობებისთვისაც უცვლელად ისეთივე იყო, როგორიც ყველაფერი სხვა დანარჩენი დეიდა ჯეინში. მთელი ცხოვრება ერთი და იგივე კაბა ეცვა, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ წლების მანძილზე ამ ვარიაციის მრავალი კაბა არსებობდა. ეს იყო ვიწრო, შავი, რეფსნარევი აბრეშუმის ფუტლარი, რომელიც კოჭებამდე სწვდებოდა და მღვდლის ანაფორასავით უამრავი

შავი ღილით იკვრებოდა. ზემოთ დაბალი, გახამებული საყელო მოუჩანდა, კუთხეებში მოუღუნავი წვეტებით; მჭლე ყელზე სიგარეტის ყოველი მოქაჩვისას დაღმეჭილი კანი კიდევ უფრო უნაოჭდებოდა. მკლავები გახამებული, თეთრი მანჟეტებით ბოლოვდებოდა. მთელ ამ მორთულობას ზემოდან წითური, შუაზე გაყოფილი, ოდნავ დახუჭუჭებული კაცის პარიკი აბოლოებდა. წლების განმავლობაში პარიკის შუაზე გადაყოფილი ნაწილი გაიქექა და პატარა ადგილზე ტილო მოჩანდა. კიდევ უფრო გულისამაჩუყებელი ის ორი ადგილი იყო, საიდანაც ღია ფერის თმასთან ერთად შევერცხლილი საფეთქლები მოუჩანდა – ერთადერთი უტყუარი სამხილი იმისა, რომ დეიდა ჯეინი მთელი ცხოვრების მანძილზე მუდამ ერთი ასაკის არ იყო.

შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ დეიდა ჯეინმა ათწლეულობით დაასწრო მოდაში უკვე შემდეგ შემოსულ ქალის მამაკაცისებურ ტიპს; მაგრამ ის ასეთი არ ყოფილა, მის მამაკაცურ მკერდში მეტად ქალური გული ძგერდა. შეიძლებოდა ისიც გეფიქრათ, რომ ის ოდესღაც ცნობილი პიანისტი იყო, რომელსაც საკუთარ ეპოქასთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა. სწორი არც ეს გახლდათ, რადგან ის მუსიკის მასწავლებელზე მეტი არც არასდროს ყოფილა. რაც შეეხება მამაკაცურ ვარცხნილობას და ანაფორას, ეს მხოლოდ იმით შეგვეძლო აგვეხსნა, რომ ქალიშვილობაში დეიდა ჯეინი ფრანც ლისტის თავგამოდებული თაყვანისმცემელი იყო, რომელსაც საზოგადოებაში რამდენჯერმე შეხვედროდა და მის სახელსაც რაღაც მიზეზით სწორედ ამ დროს მიეღო ინგლისური ფორმა. ამ შეხვედრაზე მოგონებებს ის ისე სათუთად ინახავდა, როგორც შეყვარებული რაინდი ატარებს თავისი გულისსწორის ფერებს სამარის კარამდე. ეს კიდევ უფრო გულისამაჩუყებელი იყო, ვიდრე ის, რომ პენსიაზე გასულ დეიდა ჯეინს თავისი ახალგაზრდობის დროინდელი სადღესასწაულო კაბა სცმოდა. რაღაც ამგვარი მისი ცხოვრების საიდუმლოსაც ეტყობოდა, რომელსაც მოზრდილებს მაშინ გაანდობდნენ ხოლმე, როცა ამაღლებული ტონით აფრთხილებდნენ, დეიდა ჯეინისთვის პატივი ეცათ. ჯეინი პატარა გოგო აღარ იყო (რადგან პრეტენზიული ადამიანი დიდხანს ირჩევს), როცა ერთი კაცი შეუყვარდა და მშობლების ნების საწინააღმდეგოდ მას ცოლად გაჰყვა. ეს კაცი, რა თქმა უნდა, ხელოვანი იყო, მაგრამ პროვინციული ყოფის ბედკრულობამ მხოლოდ ფოტოგრაფად

აქცია. ქორწინებიდან ცოტა ხნის შემდეგ გენიოსივით ვალები დაედო და გამეტებით მიჰყო ხელი სმას. დეიდა ჯეინი ბევრ გაჭირვებას ითმენდა, ქმარს ტრაქტირიდან ღმერთებისკენ აბრუნებდა და ჩუმად და მისი თანდასწრებითაც ბევრს ტიროდა. კაცი გენიოსს ჰგავდა, ძლიერი პირი და ამაყი თმები ჰქონდა. დეიდა ჯეინს მისთვის საკუთარი სასოწარკვეთილების შთაგონება რომ შესძლებოდა, ბიწიერების ბედნავსობა ლორდ ბაირონივით დიდებულს გახდიდა. ფოტოგრაფი კი გრძნობათა შთაგონებას წინააღმდეგობას უწევდა და ერთი წლის შემდეგ სოფლელ მოახლე გოგოსთან ერთად – რომლის დაფეხმძიმებაც მოესწრო – ჯეინი მიატოვა; შემდეგ კი ბოგანოდ ქცეული მალევე გარდაიცვალა. ჯეინმა მის ამაყ თმებს კულული მოაჭრა და ინახავდა. მისი უკანონო ბავშვი იშვილა და თავგანწირვით ზრდიდა. წარსულის დღეთა სიმძიმეზე ის იშვიათად ლაპარაკობდა, რადგან ცხოვრებას – თუ ის ძლევამოსილია – ვერ მოსთხოვ, რომ მსუბუქიც იყოს.

ამგვარად, დეიდა ჯეინის ცხოვრებისათვის რომანტიკული აფექტაციები უცხო არ ყოფილა, მაგრამ მოგვიანებით, როცა ფოტოგრაფის მიწიერმა არასრულყოფილებამ ჯადო დაკარგა, მისდამი ჯეინის სიყვარულის არასრულყოფილი სუბსტანციაც გარკვეულწილად ჩაიფერფლა და სიყვარულის და აღფრთოვანების მარადიულ ფორმად იქცა. წარსულის სიშორიდან განცდილი ისე ძლიერად ზემოქმედებდა, როგორც ჭეშმარიტად დიადი განცდა. ასეთი იყო საერთოდაც დეიდა ჯეინი. მისი სულიერი შინაარსი, შესაძლოა, დიდი არ იყო, მაგრამ ის ფორმა, ამ შინაარსს მის სულში რომ მიეღო, მშვენიერი გახლდათ. მას ჰეროიკული პოზა ჰქონდა. ასეთი პოზა კი უსიამოვნოა მანამ, სანამ ყალბი შინაარსი აქვს; როცა ეს პოზა ცარიელია, ის კვლავ აგიზგიზებულ ცეცხლად და რწმენად გადაიქცევა. დეიდა ჯეინი საზრდოობდა ჩაით, ყავით და დღეში ორი ფინჯანი ბულიონით. ქუჩაში კი, როცა შავი ანაფორით ჩაივლიდა ხოლმე, ხალხი თვალს არ აყოლებდა, რადგან იცოდნენ, რომ ის წესიერი ადამიანი იყო; უფრო მეტიც, მისდამი გარკვეული მოწიწებაც ჰქონდათ, რადგან მიუხედავად წესიერებისა, ის უნარიც შემორჩენოდა, რომ ისეთ ადამიანს მსგავსებოდა, ვისი გულიც ბევრ რამეს მალავს, თუმცა ამის შესახებ ზუსტად არავინ არაფერი იცოდა.

აი, სულ ეს გახლავთ დეიდა ჯეინის ისტორია, რომელიც დიდი

ხნის წინ ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. ცოცხალთა შორის აღარც ბებიის და და აღარც ბიძია ნეპომუკია. რისთვის მოვიდნენ საერთოდ ამქვეყნად? – ფიქრობდა ულრიხი. სიამოვნებით დათმობდა რამეს, დეიდა ჯეინთან საუბრის შესაძლებლობა ერთხელ კიდევ რომ მისცემოდა. ულრიხი ფურცლავდა სქელ საოჯახო ალბომს, რაღაც გზებით დიოთიმასთან რომ მოხვედრილიყო, და რაც უფრო უახლოვდებოდა ამ ახალი სახვითი ხელოვნების სათავეებს, მით უფრო ცხადი ხდებოდა ხელოვნების ამ ახალი დარგის წინაშე წარმდგარ ადამიანთა სიამაყე. ფეხი მათ მუყაოსგან გაკეთებულ ლოდზე შემოედგათ, რომელსაც პლუშის მსგავსი ქაღალდი ჰქონდა შემოვლებული; თუ ოფიცრები იყვნენ, ფეხები განზე გაედგათ, ხმალი კი შუაში ეკიდათ; თუ ახალგაზრდა გოგონები იყვნენ, ხელები კალთაში ჩაეწყოთ, თვალები კი ფართოდ გაეხილათ; თუ უცოლო კაცები იყვნენ, მათი უნაკეცო შარვლები რომანტიკული სითამამით კვამლის ბოლქვებივით მიწიდან ზემოთ ადიოდა, მათი მრგვალსაყელოიანი პიჯაკები კი ბურჟუაზიული სერთუკის თავდაჭერილ წესიერებას ავიწროებდა. ეს, ალბათ, 1860-70-იანი წლები უნდა ყოფილიყო. 40-იანი წლების ისტორია მშფოთვარე წარსულს ჩაბარდა, ცხოვრებას ახალი შინაარსი შეეძინა, მაგრამ როგორი, დღეს უკვე აღარავინ იცოდა. ცრემლები, ხვევნა-კოცნა, აღიარება, რომელშიც ბურჟუაზია ეპოქის დასაწყისში საკუთარ სულს ეძებდა, გამქრალიყო, კეთილშობილება კი ქვიშაში გაჟონილ ტალღასავით ტანსაცმელსა და ინდივიდუალურ სიმძაფრეში ასახულიყო, რომელსაც, ალბათ, უკეთესი სახელი მოეძებნება, მაგრამ მისგან ჯერ მხოლოდ ფოტოსურათები შემორჩენილიყო. ეს ის ეპოქა იყო, როცა ფოტოგრაფებს ხავერდის ქურთუკები ეცვათ, ესპანურად გაკრეჭილ წვერს ატარებდნენ და მხატვრები გეგონებოდათ, მხატვრები კი მუყაოს დიდ ქაღალდებზე დიდებულ ფიგურებს გამოსახავდნენ. ჩვეულებრივ ადამიანებს კი ეჩვენებოდათ, რომ უკვე დრო იყო, მათ უკვდავსაყოფადაც გამოეგონათ რამე მეთოდი. ისღა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ სხვა ეპოქის ადამიანებისთვის ადვილი არ იყო, ისე დიდებულად და გენიალურად ეგრძნოთ თავი, როგორც ამ ეპოქისას, რომელთა შორის ისე ცოტა იყო გამორჩეული – ან იშვიათად აღერხებდნენ, დანარჩენთა რიგებს გამოყოფოდნენ – როგორც არასდროს.

ხშირად უსვამდა ულრიხი საკუთარ თავს კითხვას, ჰქონდა თუ

არა კავშირი იმ ეპოქას – როცა ფოტოგრაფს შეეძლო გენიოსად ჩაეთვალა თავი, რადგან ბევრს სვამდა, შეხსნილ საკინძეს ატარებდა და უახლესი ტექნიკის მეშვეობით საკუთარ და ობიექტივის წინ ფოტოს გადასაღებად მდგარ თანამედროვეთა კეთილშობილებას ამტკიცებდა – იმ ეპოქასთან, როცა სრულიად გულწრფელად მხოლოდ დოღის ცხენს თვლიან გენიალურად იმ უმაგალითო უნარის გამო, რომ მას გაჭიმვა და შეკუმშვა შეუძლია. ამ ორ ეპოქას განსხვავებული იერი აქვს. აწმყო ამაყად დასცქერის ზემოდან წარსულს; წარსული რომ შემთხვევით მოგვიანებით შობილიყო, მაშინ ის დახედავდა აწმყოს ზემოდან ამაყად. მთავარ საკითხში კი მსგავსებას ავლენდნენ, რადგან აქაც და იქაც გადამწყვეტ განსხვავებათა უზუსტობა და გამოტოვება დიდ როლს თამაშობს. ნაწილი მთელად არის მიჩნეული, შორეული ანალოგია – ჭეშმარიტების აღსრულებად, დიადი სიტყვის გამოშიგნულ ფიტულს კი იმ დღის მოდის მიხედვით ტენიან. ეს ყველაფერი დიდებულად ხორციელდება, თუმცა დიდხანს ვერ ძლებს. ადამიანები, დიოთიმას სალონში რომ საუბრობდნენ, ყოველთვის როდი ტყუოდნენ, რადგან მათ ცნებებს ისევე აკლდა სიზუსტე, როგორც საგნების კონტურებს სამრეცხაოში. „ეს ცნებები, ცხოვრება მათით ისე რომ ლივლივებს, როგორც არწივი საკუთარი ფრთებით, – ფიქრობდა ულრიხი, – ცხოვრების ეს უთვალავი მორალური და მხატვრული ცნება თავისი არსით ისეთივე ნატიფია, როგორც შორეული მთები!“. მათ მეტყველებაში ეს ცნებები ისე ირეოდა და მრავლდებოდა, რომ ერთ-ერთ მათგანს წარმოთქმისთანავე შეუმჩნევლად მეორეში აურევდით.

ადამიანთა ეს ტიპი ყველა ეპოქაში საკუთარ თავს ახალ ეპოქას უწოდებდა. სიტყვათა ეს შეთანხმება იმ ტომარას ჰგავს, რომლითაც ეოლოსის ქარის დაჭერა სურთ. ეს სიტყვები მუდმივი თავის მართლებაა იმისთვის, რომ საგნები წესრიგშია მოსაყვანი, ანუ მათ კუთვნილ ობიექტურ წესრიგში. და მაინც ამ სიტყვებს აღიარების კვალი ატყვია. ადამიანები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი ამოცანა სამყაროს მოწესრიგება იყო. თუკი იმას, რასაც ისინი ამ მიზნით მოიმოქმედებდნენ, ნახევარ საზრიანობას დავარქმევთ, მაშინ მისი მეორე, სახელდაურქმეველი, სულელი, მუდამ სიზუსტეს და სიმართლეს მოკლებული ნაწილი განახლებისა და ნაყოფიერების უშრეტ ძალას ფლობდა. მასში მყოფობდა

სიცოცხლე, მერყეობა, მოუსვენრობა და პოზიციათა ცვალებადობა. ჩანს, ისინი თავადაც გრძნობდნენ ყველაფერ ამას. ირყეოდნენ, ფიქრით თავს იმტვრევდნენ, ისინი ნერვიული ეპოქის შვილები იყვნენ და რაღაც არ იყო წესრიგში. თავი ყველას ჭკვიანი ეგონა, მაგრამ ერთად სიბერწეს გრძნობდნენ. თუ ყველაფერთან ერთად ტალანტიც ჰქონდათ – რასაც მათი უზუსტობა არ გამორიცხავდა – მაშინ ეგონათ, რომ სხვები ამინდს და ღრუბლებს, რკინიგზის ხაზებს და ტელეგრაფის მავთულებს, ხეებს, ცხოველებს და ჩვენი ძვირფასი სამყაროს მოძრავ სურათებს ვიწრო, დაბინდული ფანჯრიდან ხედავდნენ. საკუთარი ფანჯრის სივიწროვეს და დაბინდულობას ვერავინ ამჩნევდა, სხვისას კი კარგად ხედავდნენ.

ერთხელ ულრიხმა თავს უფლება მისცა და იხუმრა, რადგან მათ იმის ზუსტი მონაცემები მოსთხოვა, რასაც ფიქრობდნენ. მათ კი გამკიცხავად შეხედეს, მის სურვილს ცხოვრების მექანიკური აღქმა და სკეფსისი უწოდეს და გამოთქვეს მოსაზრება, ყველაზე რთული პრობლემა უიოლესი მეთოდით უნდა გადაიჭრას, აწმყოსგან გამოთავისუფლებული ახალი ეპოქა კი ძალიან მარტივი იქნებაო. არნჰაიმისგან განსხვავებით ულრიხს მათზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. დეიდა ჯეინი ასეთ შემთხვევაში ლოყაზე ხელს მოუთათუნებდა და ეტყოდა: „კარგად მესმის შენი, მათ შენი სერიოზულობა უშლის ხელს „.

100. გენერალი შტუმი ბიბლიოთეკაში შეიჭრება და ბიბლიოთეკარების, ბიბლიოთეკის თანამშრომლებისა და სულიერი წესრიგის შესახებ გამოცდილებას იძენს

გენერალი შტუმი „ამხანაგის“ წარუმატებლობას აკვირდებოდა და გადაწყვიტა, მისთვის ნუგეში ეცა.

– რა უაზროდ ლაყბობენ! – აღშფოთებული კიცხავდა გენერალი კრების მონაწილეებს და მიუხედავად იმისა, რომ საპასუხო თანაგრძნობა ვერ პოვა, აღელვებულმა, მაგრამ ერთგვარი კმაყოფილებით გადაუშალა გულის ულრიხს: – ხომ გახსოვს, მიზნად დავისახე, დიოთიმასთვის მხსნელი იდეა შემეთავაზებინა, რომელსაც ის ასე ეძებს. როგორც აღმოჩნდა, ამქვეყნად უამრავი მნიშვნელოვანი იდეაა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანს ხომ უნდა მიაგნო!

ლოგიკურად ეს ხომ ასეა? უბრალოდ მათი წესრიგში მოყვანაა საჭირო. შენ არ მითხარი, შენი გადაწყვეტილება ნაპოლეონის იდეის ტოლფასიაო? ხომ გახსოვს? ბევრი ასეთი რჩევა მომეცი და ასეც იყო შენგან მოსალოდნელი, მაგრამ ჯერ ვერ შევძელი მათი გამოყენება. მოკლედ რომ ვთქვა, ამ საქმეს ხელი მოვკიდე.

როცა უნდოდა, ვინმესთვის ან რამისთვის დაკვირვებით შეეხედა, გენერალი პენსნეს მაგივრად რქისჩარჩოიან სათვალეს მოირგებდა ხოლმე.

მხედართმთავრული ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა მოწინააღმდეგის ძალებზე ნათელი წარმოდგენის შექმნაა.

– ასე რომ, – ჰყვებოდა გენერალი, – ჩვენი საამაყო სამეფო ბიბლიოთეკის საშვი ავიღე და ერთ-ერთი ბიბლიოთეკარის ხელმძღვანელობით, რომელმაც თავაზიანად შემომთავაზა სამსახური, როგორც კი გაიგო, ვინ ვიყავი, მტრის რიგებში შევიჭერი. უზარმაზარი წიგნსაცავი შემოვიარეთ და უნდა გითხრა, რომ არ შევძრწუნებულვარ. წიგნების რიგები გარნიზონის აღლუმზე უარესი ნამდვილად არ არის. ცოტა ხნის შემდეგ გონებაში გამოთვლა დავიწყე და მოულოდნელ შედეგამდე მივედი. იცი რა, წინათ ვფიქრობდი, ყოველდღე ერთი წიგნი რომ წავიკითხო – დამღლელი კი იქნება, მაგრამ ოდესმე ხომ გავალ ბოლოში – და რომც გამომრჩეს, სულიერ ცხოვრებაში პრეტენზიის უფლებას ხომ მაინც მოვიპოვებ-მეთქი. როგორ ფიქრობ, რა მიპასუხა ბიბლიოთეკარმა, როცა ჩვენს სეირნობას ბოლო არ უჩანდა და ვკითხე, მაინც რამდენი ტომია – გაუფრთხილებლობით მომივიდა – ამ დამთხვეულ ბიბლიოთეკაში-მეთქი? სამ-ნახევარი მილიონიო, – მიპასუხა მან! ამ დროს დაახლოებით შვიდას მეათასე წიგნთან ვიყავით. დაწვრილებით არ მოგიყვები, სამინისტროში ფანქრით ხელში რა სამუშაოც გავწიე. ათი ათასი წელია საჭირო, რომ ამ პირობებში ჩემი განზრახვა სისრულეში მოვიყვანო!

ადგილიდან ფეხი ვეღარ მოვიცვალე. მომეჩვენა, რომ მთელი სამყარო ერთი დიდი ტყუილია. ახლაც კი, როცა დავწყნარდი, შემიძლია, დაგარწმუნო, რომ რაღაც საფუძველშივე მცდარია!

შენ, ალბათ, მეტყვი, რომ ყველა წიგნის წაკითხვა აუცილებელი არ არის. მე კი გიპასუხებ: არც ყველა ჯარისკაცის მოკვლაა ომში

აუცილებელი, მაგრამ თითოეული მათგანი მაინც საჭიროა! შენ მეტყვი, წიგნებიც ასეა, ყველა საჭიროაო. მაგრამ იცი რა? რაღაც არ არის ისე, როგორც წესი და რიგია, რადგან შენი ეს პასუხი სწორი არ იქნებოდა. ბიბლიოთეკარს ვკითხე!

ჩემო ძვირფასო მეგობარო, უბრალოდ ვიფიქრე, ეს ადამიანი მილიონობით წიგნს შორის ცხოვრობს, იცის, სად რა დევს, იქნებ ჩემი დახმარება შეძლოს-მეთქი. ბუნებრივია, არ მინდოდა, პირდაპირ მეკითხა, როგორ მეპოვა ამქვეყნად ყველაზე მშვენიერი იდეა. ეს კითხვა ზღაპრის დასაწყისს დაემსგავსებოდა, მე კი საკმაოდ ეშმაკი ვარ საიმისოდ, რომ ამას ვერ მივმხვდარიყავი და თანაც ბავშვობიდან ვერ ვიტან ზღაპრებს. რა უნდა მექნა, რაღაც მსგავსი ხომ უნდა მეკითხა! მეორე მხრივ, მისთვის სიმართლის თქმას ტაქტი მიკრძალავდა; დავუშვათ, რამდენიმე სიტყვით ჩვენი აქციის შესახებ რამე მეხსენებინა, რომ ამ ღირსეული მიზნისკენ მიმავალ გზაზე დავეყენებინე; არ მიმაჩნია საამისოდ თავი უფლებამოსილად. ჰოდა, მეც ერთ პატარა ეშმაკობას მივმართე. „აჰ! – გულუბრყვილოდ დავიწყე. – დამავიწყდა, მეკითხა, როგორ ახერხებთ ამ უზარმაზარ წიგნსაცავში საჭირო წიგნის მოძებნას?“ – ზუსტად ისე ვუთხარი, როგორც დიოთიმა იკითხავდა, თან ხმაში აღფრთოვანებაც გავურიე, რომ ანკესზე წამომეგო.

დათაფლული ხმით გულმოდგინედ ჩამეკითხა, მაინც რა აინტერესებს ბატონ გენერალსო. ამ კითხვამ, ცოტა არ იყოს, დამაბნია.

„ოჰ, ძალიან ბევრი რამ!“ – ვუპასუხე.

„მინდოდა, მეკითხა, რომელი საკითხი ან რომელი წიგნი გაინტერესებთ? ომების ისტორია?“ – მკითხა მან.

„არამც და არამც. მშვიდობის ისტორია“.

„ძველი თუ აქტუალური პაციფისტური ლიტერატურა?“

„არა, ასე მარტივად ვერ გეტყვით. მაგალითად, კაცობრიობის გენიალურ იდეათა კრებული, თუ ასეთი რამ არსებობს“, – ვუთხარი ეშმაკურად. ხომ გახსოვს, ამ სფეროში რა სამუშაო მაქვს ჩატარებული.

ბიბლიოთეკარი დუმდა. „ან იქნებ რაიმე მნიშვნელოვანის

განხორციელების შესახებ?“ – ვუთხარი მე.

„ესე იგი თეოლოგიური ეთიკა?“ – მკითხა მან.

„შეიძლება, რელიგიური ეთიკაც იყოს, მაგრამ შიგ ავსტრიული კულტურისა და გრილპარცერის შესახებაც უნდა ეწეროს რამე“, – ვითხოვდი მე. ეტყობა, თვალები ცოდნის ისეთი წყურვილით ამენთო, რომ საბრალოს უცებ შეეშინდა, მოახერხებდა თუ არა, ჩემთვის წყურვილი დაეკმაყოფილებინა. მერე სარკინიგზო განრიგის მსგავსი რაღაც ვახსენე, რომელიც იდეათა შორის ნებისმიერი კავშირის დამყარების საშუალებას იძლევა. ბიბლიოთეკარმა უცნაური თავაზიანობით კატალოგების ოთახში შეყვანა და იქ მარტო დარჩენა შემომთავაზა, თუმცა უცხო პირთა შესვლა აკრძალული იყო, რადგან ეს ოთახი მხოლოდ ბიბლიოთეკარებისთვის არის განკუთვნილი. და აი, ბიბლიოთეკის წმიდათაწმიდა ადგილას მოვხვდი. პირდაპირ გეტყვი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თავის ქალის სიღრმეში შემეღწიოს. შიგნით წიგნებით სავსე თაროების მეტი არაფერი იყო. ყველგან მისადგმელი კიბეები მოჩანდა, სტელაჟებსა და მაგიდებზე მარტო კატალოგები და ბიბლიოგრაფიები ეწყო, მოკლედ, მეცნიერების კვინტესენცია. წესიერ წასაკითხ წიგნს ვერსად იპოვიდი, მარტო წიგნები წიგნების შესახებ... ტვინის ფოსფორის მძაფრი სუნი იდგა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ რაღაცას მივაღწიე! მარტო დატოვება რომ მომინდომა, თავი უცნაურად ვიგრძენი. ერთდროულად, მოკრძალებითაც განვეწყვე და შემზარავი გრძნობაც დამეუფლა. ვხედავ, ქვემოდანვე რომელიღაც წიგნი ამოიღო მიზანში და კიბეზე მაიმუნივით მიძვრება. წიგნი ჩამოიღო და მეუბნება: „ბატონო გენერალო, აი თქვენ ბიბლიოგრაფების ბიბლიოგრაფია“. იცი, ეს რა არის? ბოლო ხუთი წლის მანძილზე გამოცემული ყველა იმ წიგნის სათაურის ანბანური საძიებელი, რომელიც ეთიკური საკითხების პროგრესს, მორალური თეოლოგიის სფეროს და სიტყვაკაზმულ მწერლობას ეხება. დაახლოებით ასე ამიხსნა და ოთახიდან გასვლა მოინდომა. მოვასწარი, სახელოზე დროულად ვტაცე ხელი და ჩავებღაუჭე. „ბატონო ბიბლიოთეკარო, – დავიყვირე, – ნუ დამტოვებთ ისე, რომ არ გამიმხილოთ საიდუმლო: თქვენ თვითონ, – და უცბად წამომცდა სიტყვა „საგიჟეთი“, რადგან სწორედ ისე ვგრძნობდი თავს, როგორც საგიჟეთში. – თქვენ თვითონ როგორ ერკვევით ამ საგიჟეთში?“. როგორც ჩანს, სწორად ვერ გამიგო. მერე

გამახსენდა, რომ გიჟს სხვა ჰგონია გიჟი. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ხმალს თვალს არ აშორებდა და ძლივს ვაკავებდი. მერე გვარიანად დამაფეთა. დაინახა, რომ ხელს არ ვუშვებდი და წელში გასწორდა. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თითქოს შარვლიდან ამოხტომას აპირებსო და ისეთი ხმით მიპასუხა, გეგონებოდა, ამ კედლების საიდუმლოს მანდობდა, თან ყოველ სიტყვას წელავდა. „ბატონო გენერალო, – თქვა მან, – გაინტერესებთ, როგორ ვახერხებ ყველაფრის ცოდნას? იმით, რომ არაფერს ვკითხულობ!“.

ამ პასუხმა ბოლო მომიღო. ჩემი გაოგნება რომ შეამჩნია, ყველაფერი ამიხსნა. კარგი ბიბლიოთეკარის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ის არასდროს კითხულობს იმ წიგნებს, რომლებსაც ანდობენ, ამ წიგნების სათაურებისა და სარჩევების გარდა. „ვინც შინაარსს ჩაუღრმავდება, ის, როგორც ბიბლიოთეკარი, დაკარგულად ითვლება! – მიპასუხა. – ის ორიენტაციის უნარს დაკარგავს!“.

სუნთქვაშეკრულმა ვკითხე: „გინდათ თქვათ, რომ ამ წიგნებიდან არც ერთი არ წაგიკითხავთ?“.

„არასდროს, კატალოგების გარდა, არაფერი“.

„თქვენ ხომ დოქტორი ბრძანდებით?“

„რა თქმა უნდა. უნივერსიტეტის პრივატდოცენტი. ბიბლიოთეკების საქმის პრივატდოცენტი. ბიბლიოთეკათმცოდნეობა დამოუკიდებელი მეცნიერებაა, – მიხსნიდა ის. – როგორ ფიქრობთ, ბატონო გენერალო, რამდენი სისტემა არსებობს, რის მიხედვითაც აწყობენ და ინახავენ წიგნებს, მათი სათაურების სისტემატიზაციას ახდენენ, ბეჭდვით შეცდომებს, სატიტულო გვერდზე მცდარ მონაცემებს ასწორებენ და ა. შ.?“.

– უნდა გამოგიტყდე, ცოტა ხნით რომ დამტოვა, ორად ორი რამე მინდოდა, რასაც სიამოვნებით გავაკეთებდი: ან მეტირა, ან სიგარეტისთვის მომეკიდებინა; მაგრამ იქ არც ერთის გაკეთების უფლება არ მქონდა! როგორ ფიქრობ, მერე რა მოხდა? – სიამოვნებით აგრძელებდა გენერალი. – მოკლედ, ვიდექი ასე გაოგნებული და ამ დროს ბიბლიოთეკის თანამშრომელი მომიახლოვდა, ალბათ, მთელი ამ ხნის მანძილზე შორიდან გვაკვირდებოდა. თავაზიანად მოფრატუნდა, გვერდით დამიდგა და ან წიგნების მტვრისგან,

ან წვრილმანი გასამრჯელოს მოლოდინისგან განაზებული ხმით დამიწყო ლაპარაკი. „რას ისურვებდა ბატონი გენერალი?“ – მკითხა მან. მინდოდა, თავიდან მომეცილებინა, მაგრამ მოხუცმა განაგრძო: „სამხედრო სკოლიდან ხშირად მოდიან ჩვენთან. ბატონო გენერალო, ბრძანეთ, რა არის ამწუთს თქვენი ინტერესის საგანი? იულიუს კეისარი, პრინცი ოიგენი, გრაფი დაუნო? სამხედრო ბეგარის შესახებ კანონი? კამათი ბიუჯეტზე? იქნებ რამე თანამედროვე გნებავთ?“. მართალს გეუბნები, ეს კაცი ისე ჭკვიანურად ლაპარაკობდა და იმდენი რამე იცოდა, რაც წიგნებში ეწერა, რომ წვრილმანი გასამრჯელო არ დავინანე და ვკითხე, როგორ ახერხებდა ამას. როგორ გგონია? ისევ დაიწყო და მოჰყვა, რომ სამხედრო სასწავლებლის კურსანტები, როცა წერითი დავალება აქვთ შესასრულებელი, მასთან მიდიან და წიგნს სთხოვენ. „ისეთ ჩხუბს ატეხენ ხოლმე, როცა წიგნს ვაძლევ. რა სისულელეებს არ ასწავლიან. ჩვენისთანები ამ დროს ბევრ რამეს იგებენ. ან ბატონი დეპუტატი მოდის, რომელსაც სკოლის ბიუჯეტის შესახებ მოხსენება აქვს დასაწერი და მეკითხება, რომელი მასალით ისარგებლა ბატონმა დეპუტატმა გასულ წელს მოხსენების შესადგენად. ან ბატონი პრელატი, უკვე თხუთმეტი წელი გარკვეული სახეობის ხოჭოებზე რომ წერს, ან უნივერსიტეტის რომელიმე პროფესორი ჩივის, სამი კვირაა, ერთ წიგნს ვეძებ და არ მაძლევენო, მე კი ამ წიგნის ძებნა მეზობელ თაროებზე მიწევს, იქნებ თავის ადგილას არ დადეს. მერე ირკვევა, რომ თურმე ორი წლის წინ გაუტანია ეს წიგნი და დღესაც სახლში აქვს. აგერ უკვე თითქმის ორმოცი წელია, ასე გრძელდება. ძალაუნებურად გამახსოვრდება, ვის რა უნდა და რას რისთვის კითხულობს“.

„ჩემო კარგო, – ვუპასუხე, – ასე ადვილად ვერ აგიხსნი, რას ვეძებ“.

როგორ ფიქრობ, რა მიპასუხა? მშვიდად შემომხედა, თავი დამიქნია და მითხრა: „ბატონო გენერალო, ნება მომეცით, დაგეთანხმოთ. ასეთი რამ ხდება ხოლმე. ამას წინათ ერთი ქალბატონი მესაუბრა და იგივე მითხრა. ბატონო გენერალო, იქნებ იცნობთ კიდეც, საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის მეუღლე“.

– აბა რას იტყვი? გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა! ეს რომ შემამჩნია, მოხუცმა ყველა წიგნი მომიტანა, რომელიც

დიოთიმას თვითონ შეურჩევია. ახლა ბიბლიოთეკაში რომ მივდივარ, ჩემთვის ეს ფარულ სულიერ ქორწინებასავითაა. ხანდახან ფრთხილად ფანქრით წიგნის რომელიმე გვერდზე რამე ნიშანს დავსვამ ან სიტყვას მივაწერ ხოლმე. ვიცი, მეორე დღეს დიოთიმა ნახავს და ვერც მიხვდება, ვინ უზის თავში, როცა მის მნიშვნელობაზე დაიწყებს ფიქრს!

გენერალი ნეტარი სახით დადუმდა. მერე თავს მოერია. სახე მოეღრუბლა და სერიოზული ხმით ისევ თავიდან დაიწყო: – ერთი წუთით ძალა მოიკრიბე, რაღაც მინდა გკითხო. ჩვენ ყველა ხომ დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ ჩვენი ეპოქა ყველაზე მოწესრიგებულია იმ ეპოქათა შორის, რომლებიც კი არსებულა. მართალია, დიოთიმასთან საუბრის დროს ამ მოსაზრებას ცრურწმენა ვუწოდე, მაგრამ ცრურწმენა არც ჩემთვისაა უცხო. ახლა კი დავრწმუნდი, რომ ერთადერთი, ვისაც მართლა საიმედო სულიერი წესრიგი გააჩნია, ბიბლიოთეკარია. ჰოდა, გეკითხები – არა, არ გეკითხები, თავის დროზე ამაზე ხომ ვისაუბრეთ, ბოლო შთაბეჭდილებების შემდეგ, რა თქმა უნდა, ამაზე თავიდან დავფიქრდი, – არ გეკითხები, უბრალოდ გეუბნები: წარმოიდგინე, რომ არაყს სვამ, კარგი? ბლომად, რაღაც სიტუაციაში. მერე უფრო და უფრო მეტს სვამ. მისმენ? თავიდან თვრები, მერე თეთრი ცხელება გეწყება, ბოლოს კი პატივით დაგკრძალავენ და შენს საფლავთან კურატი მოვალეობისადმი ერთგულების გრძნობასაც ახსენებს. წარმოიდგინე?

ახლა წყალი წარმოიდგინე, ამას რაღა უნდა. წარმოიდგინე, რომ იმდენი უნდა დალიო, სანამ არ დაიხრჩობი; ან წარმოიდგინე, ნაწლავების გადახლართვამდე რომ ჭამო; ახლა წამალი წარმოიდგინე, ქინაქინა, დარიშხანი ან ოპიუმი. ალბათ, მკითხავ – რატომ? ახლა კი, მეგობარო, ერთი დიდებული წინადადება უნდა შემოგთავაზო. წარმოიდგინე წესრიგი. არა, ჯობია, რამე დიდი იდეა წარმოიდგინო, მერე მასზე დიდი, მერე კიდევ უფრო დიდი და ა. შ.; ახლა კი ამ ნიმუშის მიხედვით წესრიგი წარმოიდგინე. თავიდან ეს შინაბერას ოთახივით სასიამოვნოა და არმიის საჯინიბოსავით სუფთა. შემდეგ საბრძოლო მწყობრში ჩამდგარ ბრიგადასავით დიდებული. მერე კიდევ უფრო დიდებული, სწორედ ისე, ოფიცერთა კლუბიდან რომ ბრუნდები და ვარსკვლავებს უბრძანებ: „კოსმოსო, სწორდი! სმენა! მარჯვნისაკენ!“. ან, მოდი, ასე ვთქვათ: დასაწყისში წესრიგი ისეა, თავიდან რეკრუტს ფეხი

რომ ეშლება და შენ მწყობრში სიარულს ასწავლი. მერე – სიზმარში სამხედრო მინისტრის წოდება რომ მოგანიჭონ. ახლა კი ყოვლისმომცველი, უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო, ერთი სიტყვით, აბსოლუტური სამოქალაქო წესრიგი წარმოიდგინე. პირობას გაძლევ, ეს იმას ნიშნავს, რომ გაიყინო და მოკვდე, გვამივით გახევებაა, მთვარის ლანდშაფტია, გეომეტრიული ჭირია.

ჩემს ბიბლიოთეკართან ამაზე ვისაუბრე. მირჩია, კანტი წამეკითხა, ცნებების ზღვრისა და შემეცნების შესაძლებლობების შესახებ, თუ რაღაც მსგავსი. მე კი აღარაფრის წაკითხვა აღარ მინდა. უცნაური შეგრძნება მაქვს. ვხვდები, რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ, სამხედროები, რომლებსაც ყველაზე დიდი წესრიგი გაგვაჩნია, მუდამ მზად საკუთარი სიცოცხლის გასაწირად. მიჭირს, გამოვხატო, რატომ. რაღაცნაირად წესრიგი მკვლელობის მოთხოვნილებაში გადაიზრდება. გულწრფელად შეშფოთებული ვარ, რომ ბოლოს შენი ნათესავი რაღაც ისეთს მოიმოქმედებს და დაიმართებს, რომ დახმარებას ვეღარ შევძლებ! გესმის ჩემი? რაც შეეხება გზადაგზა მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევებს, ქება და დიდება მას, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს!

101. მოწინააღმდეგე ნათესავები

ამ პერიოდში დიოთიმაც ესაუბრა ნათესავს. ქარიშხლის მიღმა, დიოთიმას ოთახებში განუწყვეტლივ და შეუპოვრად რომ თარეშობდა, ერთ საღამოსაც კედელთან, სადაც ულრიხი სკამზე ჩამომჯდარიყო, სიმშვიდის ლაგუნა გაჩნდა. დიოთიმა დაღლილ მოცეკვავესავით გვერდით მიუჯდა. დიდი ხანია, ასეთი რამ აღარ მომხდარა. იმ გასეირნების შემდეგ დიოთიმა მასთან „არასამსახურებრივ“ შეხვედრებს გაურბოდა.

სიცხისა და დაღლილობისგან დიოთიმას სახე წამოფორაჯებოდა. ხელები სკამის სახელურს დააყრდნო და ჰკითხა: „როგორ გიკითხოთ?“. სხვა არაფერი უთქვამს, თუმცა სულ სხვა რამ უნდოდა ეთქვა. დიოთიმას თავი გვერდზე გადაეხარა და წინ იყურებოდა. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს „ნოკაუტში“ იყო, თუ ასეთ სიტუაციაში კრივს შეიძლება დავესესხოთ. ისიც კი არ უცდია, რომ დაჯდომისას კაბა ლამაზად შეესწორებინა.

ულრიხს გაწეწილი თმები, გლეხი ქალის ქვედაბოლო და

გაშიშვლებული ფეხები გაახსენდა. დიოთიმასთვის ხელოვნური მორთულობა რომ მოგეცილებინათ, ძლიერ და ლამაზ ადამიანს დაინახავდით. ულრიხმა თავი ძლივს შეიკავა, რომ მუჭში მისი ხელი არ მოემწყვდია, როგორც გლეხები იქცევიან ხოლმე.

– როგორც ჩანს, არნჰაიმი ბედნიერებას ვერ განიჭებთ, – დაასკვნა მან მშვიდად.

დიოთიმას, ალბათ, მისი თავხედობისთვის საკადრისი პასუხი უნდა გაეცა, მაგრამ უცნაური მღელვარება იგრძნო და გაჩუმდა; მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა: – მასთან მეგობრობა სიხარულს მანიჭებს!

– მე კი ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მისი მეგობრობა გტანჯავთ.

– არა, რას ამბობთ! – დიოთიმა წამოდგა და ისევ ქალბატონად იქცა.

– იცით, ვინ მტანჯავს? – ჰკითხა მან და შეეცადა, საუბრის მსუბუქი ტონი მოეძებნა. – თქვენი მეგობარი გენერალი! რა უნდა, რატომ დადის აქ? რას მაშტერდება?

– უყვარხართ! – მიუგო ულრიხმა.

დიოთიმას ნერვიულად გაეცინა და განაგრძო: – იცით, რომ მის დანახვაზე თავიდან ფეხებამდე ჟრუანტელი მივლის? სიკვდილს მახსენებს!

– სიცოცხლის უცნაურად მოტრფიალე სიკვდილი, თუ მიუკერძოებლად შევხედავთ.

– აშკარად არ ვარ მიუკერძოებელი. ვერ ამიხსნია, მაგრამ პანიკაში ვვარდები, როცა გამომელაპარაკება ხოლმე და მიხსნის, რომ „დიდებულ“ იდეებს „დიდებულ“ საკითხებთან დაკავშირებით თავს „დიდებულად“ ვართმევ. ენით აუწერელი, აუხსნელი, ფანტასტიკური შიში მიპყრობს ხოლმე.

– მის წინაშე?

– აბა ვის წინაშე კიდევ?! ნამდვილი აფთარია!

ულრიხმა სიცილი ვერ შეიკავა. დიოთიმა კი გენერალს თავშეუკავებლად, ბავშვივით ლანძღავდა.

– აქეთ-იქით დაძვრება და ელოდება, როდის განიცდის კრახს ჩვენი მშვენიერი წამოწყება!

– ალბათ, ამის გეშინიათ! დიდებულო ქალბატონო, გახსოვთ, ეს მარცხი ჯერ კიდევ როდის ვიწინასწარმეტყველე? ეს გარდაუვალია. ამისთვის მზად უნდა იყოთ!

დიოთიმამ ულრიხს მედიდურად შეხედა. შესანიშნავად ახსოვდა, უფრო მეტიც, იმწუთას ის სიტყვებიც გაახსენდა, ულრიხს რომ უთხრა, როცა ის პირველად ესტუმრა. ეს სიტყვები ახლა ტკივილს აყენებდა. მაშინ უსაყვედურა, დიდი პრივილეგიაა, როცა უფლება გაქვს, მთელ სამყაროს მოუწოდო, მატერიალიზმში არ ჩაეფლოს და სულიერებისკენ მიმართოო. მაშინ არაფერი გაცვეთილი, მოძველებული არ უნდოდა. მზერას, რომლითაც ნათესავს უყურებდა, დამცინავს ვერ დაარქმევდით. ეს უფრო ის მზერა იყო, რომლითაც საკუთარ ოცნებებს ზემოდან დაჰყურებდა. მსოფლიო წლის გამოცხადებაზე ოცნებობდა, აღმაფრენაზე, დამაგვირგვინებელ კულტურულ შინაარსს ეძებდა; მიზანთან ხან ახლოს იყო და ხან მისგან უსასრულოდ შორს; ყოყმანობდა, იტანჯებოდა. ბოლო თვეები ზღვაში ხანგრძლივ მოგზაურობას ჰგავდა, ტალღები ხან ზევით რომ აგიტაცებს და ხან ძირს დაგანარცხებს. თან ერთი და იგივე მეორდებოდა და დიოთიმაც ვეღარ ასხვავებდა, რა მოხდა უფრო ადრე და რა – უფრო გვიან. ახლა კი აქ იჯდა იმ ადამიანივით, დიდი დაძაბულობის შემდეგ რომ ჩამოჯდება და მადლობა ღმერთს, სკამი მაინც რომ არ იძვრის, მას კი აღარაფერი უნდა საკუთარი ჩიბუხის კვამლის გარდა. დიოთიმას ისეთი განწყობილება დაეუფლა, რომ ეს შედარება, რომელიც მზეს მიფიცხებულ მოხუცს ახსენებდა, თვითონ შეარჩია. იმ ადამიანივით გრძნობდა თავს, ვნებებით დამუხტულ დიდ ომს რომ გამოივლის. ნათესავს დაღლილი ხმით უთხრა: – ბევრი გადავიტანე; ძალიან შევიცვალე.

– ეს მე რამეში გამომადგება? – ჰკითხა ულრიხმა.

დიოთიმამ თავი გააქნია და გაიღიმა ისე, რომ მისთვის არ შეუხედავს.

– მაშინ უნდა გაგიმხილოთ, რომ გენერლის უკან არნჰაიმი დგას. თქვენ ხომ მის აქ ყოფნას ყოველთვის მე მაბრალებთ! – უთხრა ულრიხმა მოულოდნელად. – გახსოვთ, რა გიპასუხეთ, როცა ამაზე მელაპარაკეთ?

დიოთიმას ახსოვდა. ნათესავმა უთხრა, რომ თავი შორს დაეჭირა. არნჰაიმმა კი უთხრა, რომ გენერალს ყურადღებით მოქცეოდა. იმწუთას უცნაური გრძნობა დაეუფლა. თითქოს ღრუბლის შიგნით იჯდა, რომელიც მის ზევით სწრაფად მიიწევდა და მის მზერას გასცდა; მაგრამ მაშინვე ისიც იგრძნო, რომ სკამზე მყარად იჯდა და ულრიხს უთხრა: – არ ვიცი, ეგ გენერალი ჩვენთან როგორ მოხვდა. მე არ მომიწვევია. დოქტორ არნჰაიმსაც ვკითხე და რა თქმა უნდა, არც იმან იცის არაფერი. როგორც ჩანს, რაღაც გაუგებრობაა.

ულრიხმა პოზიცია ოდნავ შეარბილა.

– გენერალს უკვე დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ ამდენი ხნის შემდეგ პირველად თქვენთან შევხვდი, – აუხსნა დიოთიმას. – სავსებით დასაშვებია, რომ თავდაცვის სამინისტროს დავალებით ცოტას ჯაშუშობს. ისე კი, მართლა გულწრფელად უნდა თქვენი დახმარება. თვითონვე მითხრა, არნჰაიმი დიდ ენერგიას მახარჯავსო!

– იმიტომ, რომ არნჰაიმი ყველაფერში იღებს მონაწილეობას! – გააპროტესტა დიოთიმამ. – თვითონ მირჩია, გენერლისთვის ხელი არ მეკრა, რადგან მისი კეთილი ნების სჯერა და ფიქრობს, რომ მისი გავლენიანი მდგომარეობა ჩვენს წამოწყებას სარგებლობას მოუტანს.

ულრიხმა თავი ენერგიულად გააქნია. – ყური დაუგდეთ ერთი, რა ყაყანია მის გარშემო! – ისე მოულოდნელად თქვა, რომ შეიძლებოდა იქ მდგომთ გაეგოთ. დიოთიმა დაიბნა. – ის მოთმინებით იტანს ყველაფერს, რადგან მდიდარია. ფული აქვს, ყველას სიმართლეს აღიარებს და იცის, რომ ნებაყოფლობით ყველა რეკლამას გაუკეთებს.

– მაინც რატომ უნდა იქცეოდეს ასე?! – უპასუხა დიოთიმამ გამკიცხავად.

– იმიტომ, რომ პატივმოყვარეა! – განაგრძო ულრიხმა. – უზომოდ პატივმოყვარე! არ ვიცი, უფრო გასაგებად როგორ აგიხსნათ. არსებობს ბიბლიური გაგებით პატივმოყვარეობა: როცა სიცარიელისგან ჟღარუნა ეჟვნის ჩამოსხმა უნდათ! პატივმოყვარეა ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ მისი იმის გამო უნდა შურდეთ, რომ აზიის თავზე მთვარე მის მხარმარცხნივ ამოდის, მხარმარჯვნივ კი, ევროპაში, ბინდდება. ასე აღმიწერა ერთხელ თავისი მოგზაურობა მარმარილოს

ზღვაზე. მთვარე კი, ალბათ, შეყვარებული პატარა გოგოს ყვავილის ქოთნის უკან უფრო ლამაზად ამოდის, ვიდრე აზიის თავზე!

დიოთიმა ისეთ ადგილს ეძებდა, სადაც მათ საუბარს ირგვლივ მდგომნი ყურს ვერ მოჰკრავდნენ და ხმადაბლა თქვა: – მისი წარმატება გაღიზიანებთ.

დიოთიმა ულრიხს ოთახში გაუძღვა, მოხერხებული მანევრით შეუმჩნევლად კარიდან გაიყვანა და წინკარში აღმოჩნდნენ. დანარჩენი ოთახები სტუმრებს დაეკავებინათ.

– რატომ ხართ მისდამი ასე მტრულად განწყობილი? – დაიწყო დიოთიმამ ისევ თავიდან. – ამით პრობლემებს მიქმნით.

– მე გიქმნით პრობლემებს? – ჰკითხა გაკვირვებულმა ულრიხმა.

– იქნებ სურვილი მაქვს, გულახდილად გელაპარაკოთ. სანამ ასე იქცევით, ვერაფერს გაგიმხელთ!

დიოთიმა გაჩერდა.

– მენდეთ მშვიდად, თუ რამე გაქვთ სათქმელი, – სთხოვა ულრიხმა. – ერთმანეთი რომ შეგიყვარდათ, ეგ ვიცი. მოგიყვანთ ცოლად?

– ხელი მთხოვა, – უპასუხა დიოთიმამ, თან ყურადღება არ მიუქცევია, რომ ის ადგილი, სადაც იდგნენ, საიმედო არ იყო. საკუთარ გრძნობებს ისე მოეცვა, რომ ნათესავის უმსგავსი პირდაპირობა არც კი შეუმჩნევია.

– თქვენ რას ფიქრობთ? – ჰკითხა ულრიხმა.

დიოთიმა იმ მოწაფესავით გაწითლდა, რაღაცის გამოკითხვას რომ დაუწყებენ.

– ოჰ, ეს საკითხი მძიმე პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული! – დაიწყო ყოყმანით. – ნებისმიერი უსამართლობა დაუშვებელია. ჭეშმარიტად დიდი მოვლენების დროს აღარც აქვს მნიშვნელობა, როგორ მოიქცევი.

ამ სიტყვების მნიშვნელობას ულრიხი ვერ მიხვდა, რადგან არაფერი იცოდა იმ ღამეების შესახებ, როცა დიოთიმამ ვნების ხმა ჩაიხშო და სულის გახევებულ სამართლიანობას მიაღწია,

სიყვარული კი ორივე მხარეს გაშვერილი სასწორის უღელივით ირხეოდა. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ჯობდა, დროებით საუბრის პირდაპირი გზიდან გადაეხვია და უთხრა: – არნჰაიმთან ჩემი ურთიერთობის შესახებ მინდა გელაპარაკოთ, რადგან გული მწყდება, რომ ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, თითქოს მას ვმტრობდე. ვფიქრობ, არნჰაიმის კარგად მესმის. ერთი რამ უნდა გესმოდეთ: ის, რაც თქვენს სახლში ხდება – დავარქვათ ამას, თქვენი სურვილის თანახმად, სინთეზი – არნჰაიმს უთვალავჯერ განუცდია. დარწმუნებულობის ფორმით გამოვლენილი სულიერი დინამიკა მაშინვე საპირისპირო დარწმუნებულობის ფორმითაც იჩენს თავს. როცა ეს ფორმა, ასე ვთქვათ, დიდი სულიერი შესაძლებლობის მქონე პიროვნებაში განსხეულდება, თუ ირგვლივ ყველამ მისით აღფრთოვანება ნებაყოფლობით არ გამოხატა, მაშინ ის ისე არამყარად გრძნობს თავს, თითქოს ქაღალდის ყუთით წყალში გადაეგდოთ. ჩვენ – ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში – ცნობილი ადამიანები ისევე გვიჩუყებენ გულს, როგორც მთვრალებს, ადამიანს გულში რომ იკრავენ, რათა მალევე, რაღაც ბნელი მოსაზრებით, წააქციონ. წარმომიდგენია, რას გრძნობს არნჰაიმი: ეს ზღვის ავადმყოფობას უნდა ჰგავდეს; როცა ამ გარემოში გაახსენდება, რის მიღწევა შეიძლება სიმდიდრით, თუ მას მოხერხებულად გამოიყენებს, მაშინ ის, ალბათ, ხანგრძლივი ცურვის შემდეგ ფეხქვეშ კვლავ მყარ ნიადაგს გრძნობს. ალბათ, ხედავს, რომ წინადადებები, ინიციატივები, მზაობა, მიღწევები სიმდიდრისკენ ისწრაფვის და თვით სულიერების ანარეკლიც, უდავოდ, ეს უნდა იყოს. იდეა, ძალაუფლების მოპოვება რომ სურს, ხომ იმ იდეას უკავშირდება, რომელიც ძალაუფლებას ფლობს. არ ვიცი, უფრო გასაგებად როგორ აგიხსნათ. კარიერიზმისა და სულიერებისკენ სწრაფვის ერთმანეთისგან განსხვავება იოლი არ არის. თუ ამქვეყნიური სიღატაკისა და სულიერი სიწმინდის ადგილს დიადთან ეს ყალბი კავშირი იკავებს, მაშინ ამ ადგილზე, ბუნებრივია, სრულიად სამართლიანად, ისიც შემოეხიზნება, რაც დიადია და ისიც, რაც რეკლამისა და კომერციული მოქნილობის მეშვეობით დიადად ითვლება. ესეც თქვენი არნჰაიმი მთელი თავისი დანაშაულით და უდანაშაულობით!

– დღეს რა ამაღლებულად აზროვნებთ! – უთხრა დიოთიმამ ირონიულად.

– გამოგიტყდებით, არნჰაიმი ნაკლებად მადარდებს, მაგრამ

მისი სამაგალითო ჰუმანურობის შემყურე, მოდი და ნუ იაზროვნებ ამაღლებულად!

– ნეტავი იცოდეთ, როგორ ცდებით! – შეაწყვეტინა დიოთიმამ მკვახედ. – თქვენს წარმოდგენებში ის გაქსუებული მდიდარია. არნჰაიმისთვის კი სიმდიდრე წარმოუდგენლად დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს. საკუთარ საქმეზე ისე ზრუნავს, როგორც ის ადამიანი, მეორეს რომ მოსავლელად ანდობენ. მოქმედება მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა. სამყაროსადმი კეთილგანწყობილია, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, უნდა იმოძრაო, რომ ამოძრავდე. თუ ეს გოეთემ თქვა? ერთხელ ეს დაწვრილებითაც ამიხსნა. მისი მოსაზრებით, სიკეთის კეთებას ადამიანი მხოლოდ მაშინ იწყებს, როცა ის საერთოდ რამეს აკეთებს. გულწრფელად რომ გითხრათ, ხანდახან მეც ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ყველას ზედმეტად უახლოვდება.

ასე საუბრობდნენ ისინი და წინ და უკან დადიოდნენ ოთახში, სადაც მხოლოდ სარკეები და პალტოები ეკიდა. შემდეგ დიოთიმა გაჩერდა და ნათესავს ხელზე ხელი დაადო.

– ამ ბედისწერით მართლაც გამორჩეულ ადამიანს, – ამბობდა დიოთიმა, – ერთი მოკრძალებული პრინციპი აქვს. თვლის, რომ მარტოსული ადამიანი მიტოვებული ავადმყოფივით უმწეოა! ამაში მაინც არ ეთანხმებით? როცა ადამიანი მარტოა, ათასი რამ ეჩვენება გადაჭარბებულად! – დიოთიმა იატაკს დააცქერდა, თითქოს რაღაცას ეძებდა და გრძნობდა, რომ ნათესავი მის დახრილ წამწამებს უყურებდა. – საკუთარ თავზეც იმავეს გეტყოდით. ბოლო თვეებში თავს ისე მარტო ვგრძნობდი... – განაგრძო მან. – თქვენც გატყობთ იმავეს. გამწარებული ხართ და უბედური. გარემოს ვერ ეგუებით. ეს გამომეტყველებაზეც გეტყობათ. ბუნებით ეჭვიანი ხართ და ყველაფერს უპირისპირდებით. გამოგიტყდებით და არნჰაიმმა ჩემთან დაიჩივლა, რომ მასთან მეგობრობაზე უარს ამბობთ.

– გითხრათ, რომ ჩემთან მეგობრობა უნდა? ტყუის!

დიოთიმამ ულრიხს ახედა და გაეღიმა.

– ისევ აჭარბებთ! თქვენთან მეგობრობა ორივეს გვინდა. ალბათ, იმიტომ, რომ ასეთი ხართ. სათქმელს შორიდან მოვუვლი. არნჰაიმმა ასეთი მაგალითი მოიყვანა, – დიოთიმას ერთხანს ყოყმანი დაეტყო და შემდეგ გამოასწორა: – არა, ეს

შორს წაგვიყვანს. მოკლედ, არნჰაიმი ამბობს, რომ ადამიანმა იმ საშუალებებით უნდა ისარგებლოს, რასაც ეპოქა სთავაზობს. მუდამ ორი პოზიციიდან უნდა იმოქმედოს: არც მთლად რევოლუციურიდან და არც მთლად კონტრრევოლუციურიდან, არც ბოლომდე სიყვარულით და არც ბოლომდე სიძულვილით, ერთ რომელიმე გატაცებას კი არ უნდა მისდიოს, არამედ საკუთარ თავში არსებული ყველა მონაცემი განავითაროს. ჭკუით კი არ მოაქვს თავი, როგორც მას მიაწერთ. ამგვარი დამოკიდებულება ყოვლისმომცველი სინთეზური და სადა ბუნების ნიშანია, რომელიც მოვლენათა ზედაპირიდან სიღრმეში იჭრება. ის ნამდვილი არისტოკრატია!

– ამას ჩემთან რა კავშირი აქვს? – ჰკითხა ულრიხმა. შეკითხვამ დიოთიმას თავში ნისლივით ჩამოწოლილი სქოლასტიკის, ეკლესიის, გოეთესა და ნაპოლეონის შესახებ საუბარზე მოგონებები გაფანტა და მან ცხადად დაინახა, რომ შემოსასვლელში, ნათესავის გვერდით, ფეხსაცმელების მოგრძო ყუთზე იჯდა. ულრიხი ცდილობდა, უკან დაკიდებულ რომელიღაც სტუმრის პალტოს ზურგით არ მიყრდნობოდა. დიოთიმას თმა გასწეწოდა და ვარცხნილობის შესწორებას ცდილობდა. მერე ფეხზე წამოდგა და ულრიხს უთხრა: – თქვენ მისი სრული კონტრასტი ხართ! გინდათ, რომ სამყარო თქვენს ჭკუაზე გადააკეთოთ! ყველაფერს რაღაცნაირად პასიურ წინააღმდეგობას უწევთ – თუ ამ საშინელ გამოთქმას ვიხმართ! – დიოთიმას უხაროდა, რომ თავისი მოსაზრების ასე ვრცლად გამოხატვის შესაძლებლობა მიეცა. აქ დიდხანს ვეღარ დარჩებოდნენ. ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა სტუმრები დაშლილიყვნენ ან სხვა რამე მიზეზით წინკარში გამოსულიყვნენ. – ყველაფერს აკრიტიკებთ. ერთი შემთხვევაც კი არ მახსენდება, რომ რამე მოგწონებოდეთ, – არ ჩერდებოდა დიოთიმა. – ოპოზიციონერობის გამო ყველაფერს აქებთ, რაც აუტანელია. ჩვენი უღმერთო ეპოქის მკვდარ უდაბნოში ვინმემ რომ ცოტაოდენი გრძნობისა და ინტუიციის გადარჩენა მოინდომოს, ეჭვიც არ მეპარება, რომ ფანატიკურად სპეციალიზაციის, უწესრიგობისა და ნეგატიური ყოფის დაცვას დაიწყებთ! – დიოთიმა ღიმილით ლაპარაკობდა, თან ულრიხს აგრძნობინა, რომ სხვა ადგილი უნდა მოეძებნათ: ან ოთახში უნდა დაბრუნებულიყვნენ, ან სტუმრების თვალს მოჰფარებოდნენ, თუ საუბრის გაგრძელება სურდათ. საძინებელში საიდუმლო კარით აქედანაც შეიძლებოდა

მოხვედრილიყვნენ, მაგრამ ნათესავის იქ შეყვანა დიოთიმას ზედმეტ ფამილიარობად მოეჩვენა, თანაც სტუმრების მიღების წინ, ბინის დალაგებისას, საძინებელში უამრავი ნივთი შეჰქონდათ და იქ, შესაძლოა, არეულობა დახვედროდათ. ამიტომ თავშესაფრად მოსამსახურის პატარა ოთახიღა რჩებოდა. გაუფრთხილებლად რახელის ოთახის დათვალიერების სურვილმა, რომელსაც დიასახლისის მოვალეობის გრძნობაც კარნახობდა, ეს საბოლოოდ გადააწყვეტინა. გზაშიც და ოთახშიც ლაპარაკს აგრძელებდა და თან ულრიხს ამ არჩევანის გამო ბოდიშს უხდიდა.

– ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებთ, რომ შემთხვევას არ უშვებთ ხელიდან, არნჰაიმზე კონტრიერიში არ მიიტანოთ. თქვენი სიჯიუტე გულს სტკენს. არნჰაიმი თანამედროვე ადამიანის ყველაზე დიდი ნიმუშია. ამიტომ აქვს კავშირი რეალობასთან და ეს მას სჭირდება კიდეც. თქვენ კი, პირიქით, ერთი სული გაქვთ, რეალობას გაექცეთ. ის გაწონასწორებულია და ცხოვრებას თანხმობას უცხადებს. თქვენ ასოციალური ხართ. ის ერთიანობას ესწრაფვის და გადაწყვეტილების მიღებას ცდილობს, თქვენ კი მას ამორფულ მოსაზრებებს უპირისპირებთ. ესმის, რომ ჩამოყალიბების პროცესი უკვე შედგა. თქვენ როგორ იქცევით?! თავი ისე გიჭირავთ, თითქოს სამყარო არსებობას ხვალიდან იწყებს. ასე არ ამბობთ ხოლმე? პირველი დღიდანვე, როგორც კი გითხარით, რომ რაღაც დიდის კეთების შესაძლებლობა გვეძლეოდა, ასე იქცევით. როცა სხვები ასეთ შესაძლებლობას, როგორც ბედისწერას, ისე იღებენ, თავს ერთად იყრიან და მოლოდინით სავსე თვალებით უსიტყვოდ პასუხს ელიან, იმ პატარა უზნეო ბიჭივით იქცევით, რაღაცის გაფუჭება რომ უნდა!

ამ ოთახში ყოფნით გამოწვეული უხერხულობის დაფარვას დიოთიმა ჭკვიანური სიტყვებით ცდილობდა; ნათესავს, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებით საყვედურობდა, რის გამოც გამბედაობა შეემატა.

– თუ ასეთი ვარ, მაშინ ჩემგან რა ხეირია? – ჰკითხა ულრიხმა. ის რახელის, პატარა მოახლის, საწოლზე იჯდა, დიოთიმა კი ერთი ხელის გაწვდენაზე, იქვე, ჩალის სკამზე ჩამომჯდარიყო. დიოთიმას პასუხმა ულრიხი გააოგნა.

– თქვენი თანდასწრებით უხამსად და საძაგლად რომ მოვქცეულიყავი, მაშინ ხომ მთავარანგელოზად

გადაიქცეოდით?! – უადგილოდ უპასუხა დიოთიმამ და თავისივე ნათქვამმა შეაშინა. უბრალოდ, მისი ჯიუტი ხასიათის ხსენება უნდოდა და გახუმრებას აპირებდა, თავაზიანი და კეთილი მაშინ ხართ, როცა ამას არ იმსახურებენო; მაგრამ ქვეცნობიერად ამ სიტყვებმა ამოხეთქა, რომლებიც წარმოთქმისთანავე უაზრობად მოეჩვენა, თუმცა მათ ურთიერთობას რაღაცით უკავშირდებოდა.

ულრიხმა ეს იგრძნო. უხმოდ შეხედა დიოთიმას და ცოტა ხნის შემდეგ კითხვითვე უპასუხა: – თავდავიწყებით შეგიყვარდათ?

დიოთიმამ ძირს დაიხედა.

– რა უადგილო სიტყვებს ხმარობთ. პატარა გოგო ხომ არა ვარ, რომ შემიყვარდეს!

ულრიხი ჩააცივდა.

– იმიტომ გეკითხებით, რომ მიზეზი მეტ-ნაკლებად ზუსტად შემიძლია დაგისახელოთ. გქონიათ თუ არა სურვილი, რაც, სხვათა შორის, ბევრს გასჩენია – იმ საზიზღარ საფრთხობელებსაც ვგულისხმობ, ჩვენ გვერდით ოთახში რომ შეკრებილან – რომ ადამიანები გაშიშვლდნენ, ერთმანეთს მხრებზე ხელი მოხვიონ და საუბრის ნაცვლად სიმღერა წამოიწყონ? თქვენ კი ყველას ჩამოუვლიდით და დაძმურად ტუჩებს დაუკოცნიდით. თუ ეს უსაქციელობად მოგეჩვენათ, შეგიძლიათ, პერანგები ჩამოიცვათ.

დიოთიმამ ყოველი შემთხვევისთვის უპასუხა: – მშვენიერი აზრები მოგდით, ვერაფერს იტყვი!

– ასეთი სურვილი მეც გამჩენია, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო! ყველასთვის პატივცემული ადამიანები ირწმუნებიან, ასეც უნდა იყოსო!

– მაშინ თქვენ თვითონ ყოფილხართ დამნაშავე, ასე რომ არ იქცევით! – გააწყვეტინა დიოთიმამ. – რა საჭიროა ასე დაცინვით ლაპარაკი! – არნჰაიმთან საკუთარი თავგადასავალი გაახსენდა, რომლისთვისაც სახელი ვერ დაერქმია, რომელიც მასში ისეთი ცხოვრების სურვილს აღძრავდა, როცა სოციალური განსხვავება ქრება, საქმე, სული, გონება და ოცნება კი ერთმანეთს ერწყმის.

ულრიხს პასუხი არ გაუცია და ნათესავს სიგარეტი შესთავაზა. დიოთიმამ გამოართვა. როცა „მოკრძალებული სენაკი“

სურნელოვანი კვამლით გაიჟღინთა, დიოთიმა დაფიქრდა, როგორ ახსნიდა რახელი მათი სტუმრობის ნაკვალევს. გაენიავებინა ოთახი თუ მეორე დილით რახელისთვის მოკლედ აეხსნა? უცნაურია, მაგრამ რახელის გახსენებამ ოთახში დარჩენა გადააწყვეტინა. ინტელექტუალური უპირატესობის შეგრძნება და საიდუმლო ვიზიტის შედეგად დარჩენილი, მისი მოახლისთვის აუხსნელი, სიგარეტის სუნი რაღაცნაირად ერთმანეთს გაუტოლდა და დიოთიმას სიამოვნება განაცდევინა.

ულრიხი ნათესავს უყურებდა. თვითონაც უკვირდა, დიოთიმას ასე რომ ელაპარაკებოდა, მაგრამ ისევ განაგრძო.

– ახლავე გეტყვით, რა შემთხვევაში შემიძლია ანგელოზური მოქცევა, – წამოიწყო ისევ ულრიხმა. – „ანგელოზური“ არც ისე ხმამაღალი სიტყვაა, როცა იმის გამოხატვა გინდა, რომ მოყვასს მხოლოდ ფიზიკურად კი არ იტან, არამედ, ასე ვთქვათ, ისე ჰკიდებ ხელს იმას, რაც მის სარცხვინელს ფარავს, რომ ჟრუანტელიც კი არ გივლის.

– ოღონდ, თუ მოყვასი ქალი არ არის? – ჩაურთო დიოთიმამ და გაახსენდა, რომ მათ ოჯახში ულრიხი ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა.

– არა, რატომ, შეიძლება ქალიც იყოს!

– სწორი ხართ! ის, რასაც მე ქალში ადამიანის სიყვარულს ვარქმევ, იშვიათად გვხვდება!

დიოთიმა თვლიდა, რომ რაღაც დროიდან მოყოლებული მათი შეხედულებები ერთმანეთს ჰგავდა, მაგრამ რასაც ულრიხი ამბობდა, მისთვის ყოველთვის ბუნდოვანი და არასაკმარისი იყო.

– ახლა უფრო სერიოზულად აგიხსნით, – თქვა ჯიუტად ულრიხმა. ის ოდნავ წინ გადმოხრილი იჯდა, ხელით დაკუნთულ ბარძაყს ეყრდნობოდა და იატაკს პირქუში სახით დაჰყურებდა. – დღეს ისევ ვამბობთ ხოლმე: „ეს ქალი მიყვარს ან ის ადამიანი მძულს“, ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ: „ისინი გვიზიდავენ“ ან პირიქით. კიდევ უფრო მეტი სიზუსტისათვის უნდა დაგვემატებინა, რომ ეს მე ვარ, ვინც თქვენში ამ თვისებას აღვიძებს, რომ მიმიზიდო ან განმიზიდო. კიდევ უფრო მეტი სიზუსტისთვის კი ისიც უნდა გვეთქვა, რომ ჩემში

ისინი წამოსწევენ ამისთვის საჭირო თვისებებს და ა. შ. ძნელია თქვა, როდის იდგმება პირველი ნაბიჯი, რადგან ეს ორმხრივი, ფუნქციური დამოკიდებულებაა, როგორც ორ ელასტიკურ ბურთს ან ორ ელექტრულ წრედს შორის. დიდი ხანია, ვიცით, რომ ასეც უნდა ვგრძნობდეთ, მაგრამ გვირჩევნია, გრძნობათა ველზე მიზეზი თავად ვიყოთ. მაშინაც კი, როცა ვინმე აღიარებს, რომ სხვას ბაძავს, ამ აზრს ისე გამოხატავს, თითქოს ეს დიდი მიღწევა იყოს! ამიტომ გკითხავთ და კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ყოფილხართ თუ არა ოდესმე თავდავიწყებით შეყვარებული, განგიცდიათ თუ არა უზომო სიძულვილი ან ღრმა სასოწარკვეთილება?

თუ დაკვირვების უნარი გაქვს, ხვდები, რომ დიდი მღელვარების დროს სწორედ ის გემართება, რაც ფანჯარასთან მიმწყვდეულ ფუტკარს ან ინფუზორიას მოწამლულ წყალში: ემოციათა ქარტეხილები აგიტაცებს და ბრმად აქეთ-იქით გახეთქებს, დაუძლეველ წინააღმდეგობას ათასჯერ აწყდები და თუ გაგიმართლა და სამშვიდობოს გამოაღწიე, ცნობიერების გაქვავებულ მდგომარეობაში ამას უკვე გეგმაზომიერ ქცევას არქმევ.

– უნდა შეგეკამათოთ, – შენიშნა დიოთიმამ. – ეს არის გრძნობებზე უნუგეშო და უღირსი მოსაზრება, რომელსაც ადამიანის ბედის გადაწყვეტა შეუძლია.

– თქვენ, ალბათ, თავში მოსაწყენი, ძველი აზრი გიტრიალებთ: არის თუ არა ადამიანი საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, – შეეკამათა ულრიხი და დიოთიმას შეხედა. – თუ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, მაშინ ვეღარაფერს გააწყობ და ამის მსგავსი, არა? გამოგიტყდებით, რომ ჩემს სიცოცხლეში თხუთმეტი წუთითაც კი არ დავინტერესებულვარ ამგვარი საკითხებით. საკითხის ასე დაყენება ეპოქის ბრალია და მან შეუმჩნევლად თავისი დრო უკვე მოჭამა. ამ კითხვას თეოლოგები სვამენ და იურისტების გარდა – თეოლოგიის და ინკვიზიციის კოცონის სუნი დღესაც რომ ცხვირში სცემთ – ეს მიზეზები ოჯახის წევრებს თუ აინტერესებთ: „შენ ხარ ჩემი უძილო ღამეების მიზეზი“, ან „მარცვლეულზე ფასების დაცემა მისი უბედურების მიზეზად იქცა“, – ამბობენ ისინი. მაგრამ აბა ერთი დამნაშავეს სინდისი აუფორიაქე და ჰკითხე, როგორ მივიდა აქამდე? მან ეს არ იცის. დანაშაულის ჩადენის დროს ერთი წუთითაც რომ არ დაეკარგა საღი გონება, მაინც არ

ეცოდინებოდა.

დიოთიმა წელში გაიმართა.

– რატომ ახსენებთ ასე ხშირად დამნაშავეებს? დანაშაული განსაკუთრებით გიზიდავთ. ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს.

– არა, – გააპროტესტა ულრიხმა, – არაფერს არ ნიშნავს. უბრალოდ, ინტერესია და სხვა არაფერი. ჩვეულებრივი ცხოვრება ყველა შესაძლო დანაშაულს შორის შუალედური მდგომარეობაა. რადგან თეოლოგია ვახსენეთ, რაღაც მინდა გკითხოთ.

– ალბათ, ისევ ის, ვყოფილვარ თუ არა თავდავიწყებით შეყვარებული ან შევუპყრივარ თუ არა ეჭვიანობას?

– არა, აბა დაფიქრდით: თუ ღმერთმა ყველაფერი წინასწარ იცის და განსაზღვრული აქვს, მაშინ როგორღაა ადამიანი ცოდვილი? სწორედ ასე ისმებოდა საკითხი წინათ და ხომ ხედავთ, დღესაც რა თანამედროვედ ჟღერს. დაუჯერებლად ინტრიგული წარმოდგენებია ღმერთზე! შეურაცხყოფას აყენებენ მისივე თანხმობით, ის უბიძგებს ადამიანს დანაშაულისაკენ, რაზეც მერე თვითონვე ბრაზობს; არათუ წინასწარ იცის ეს ყველაფერი – ასეთი მორჩილი სიყვარულის მაგალითები, რამდენიც გინდა, იმდენია – არამედ აიძულებს კიდეც მას ამის ჩადენას! ერთმანეთის მიმართ დღეს ჩვენ, ყველანი, ანალოგიურ მდგომარეობაში ვიმყოფებით. „მე“, როგორც სუვერენი, რომელიც მთავრობის ბრძანებულებებს გამოსცემს, კარგავს იმ მნიშვნელობას, რომელიც მანამდე ჰქონდა; ჩვენ ვსწავლობთ, გავიგოთ, როგორია „მეს“ ჩამოყალიბების კანონზომიერი პროცესი, გარემოზე მისი გავლენა, მისი სტრუქტურული ტიპები, დიადი საქმიანობის დროს მისი გაუჩინარება. ერთი სიტყვით, როგორია კანონები, რომლებიც მის ფორმირებას და ქცევას მართავს. წარმოიდგინეთ პიროვნულობის კანონები! ეს პროფკავშირებივითაა, რომელიც შხამიან გველებს აერთიანებს, ან შარაგზის ყაჩაღების სავაჭრო პალატას ჰგავს! რადგან კანონები ამქვეყნად ყველაზე უპიროვნოა, ამიტომ პიროვნულობაც ყოველივე უპიროვნოს წარმოსახვითი შეხვედრის ადგილად გადაიქცევა და მისთვის საპატიო პოზიციის მოძებნა, რომლის გარეშეც იოლად ვერ გახვალთ, გაგიჭირდებათ.

ასე ლაპარაკობდა ულრიხი. დიოთიმამ მოახერხა და სიტყვა

ჩაურთო: – ჩემო მეგობარო, ყველაფერი ხომ ისე უნდა ვაკეთოთ, რომ პიროვნულობის კვალი აჩნდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

ბოლოს დიოთიმამ თქვა: – დღეს მართლა თეოლოგიურ სტიქიაში ხართ! ამ კუთხით არ გიცნობდით!

ის ისევ დაღლილ მოცეკვავესავით იჯდა, ღონიერი და ლამაზი; ამას სხეულის თითოეული უჯრედით გრძნობდა. ნათესავს კვირების მანძილზე, შესაძლოა, უკვე თვეებიც, თავს არიდებდა. დიოთიმას უყვარდა ულრიხი. ოთახის ბუნდოვან შუქზე ულრიხი ფრაკში სასაცილოდ ჩანდა. შავ-თეთრ ტანსაცმელში რაინდთა ორდენის წევრს ჰგავდა. რაღაც იყო ამ შავ-თეთრში ჯვრის ვნების მსგავსი. დიოთიმამ მოკრძალებული ოთახი მოათვალიერა. პარალელური აქციაც და დიდი, ვნებით დამუხტული ბრძოლებიც სადღაც შორს დარჩა. ოთახი ისეთი უბრალო იყო, როგორიც მოვალეობა, რომელსაც სარკის კუთხეებში მიმაგრებული ტირიფის რტოები და ფერადი ღია ბარათები არბილებდა. დიოთიმამ დედაქალაქის ბრწყინვალებით ქობაშემოვლებული რახელის სახე წარმოიდგინა. ნეტა სად იბანდა პატარა რახელი? იმ პატარა, ვიწრო ყუთში, მგონი, თუნუქის თასი დგას, – გაახსენდა დიოთიმას და იქვე გაიფიქრა: „ამ კაცს თან უნდა, თან – არა“.

ის ულრიხს მშვიდი მოსაუბრის კეთილგანწყობით უყურებდა. „მართლა უნდა არნჰაიმს ჩემი ცოლად შერთვა?“ – ეკითხებოდა საკუთარ თავს. ასე თქვა, მაგრამ მერე აღარ უხსენებია. იმდენი თემა აქვს სალაპარაკოდ. განყენებულ თემებზე ლაპარაკის მაგივრად, ჯობდა, ნათესავისთვის ეკითხა: „რაშია საქმე? მეორედ რატომ აღარ უკითხავს?!“. ულრიხი გაუგებდა, თავის სულიერ ქარტეხილებზე რომ მოეყოლა. „ეს მე რამეში გამომადგება?“ – ასე ჰკითხა ჩვეულების გამო, როცა დიოთიმა უყვებოდა, შევიცვალეო. თავხედი! დიოთიმას გაეღიმა.

არნჰაიმიც და ულრიხიც ერთნაირად უცნაურები იყვნენ. რატომ მოიხსენიებდა ულრიხი არნჰაიმს ასე ცუდად? იცოდა, რომ არნჰაიმს მასთან მეგობრობა უნდოდა. ულრიხის ცხარე შენიშვნებიდან ჩანდა, რომ არნჰაიმი მასაც აინტერესებდა. „როგორ არ ესმის მისი, – გაიფიქრა კიდევ ერთხელ, – მაგრამ რას იზამ!“. სხვათა შორის, განყოფილების ხელმძღვანელ ტუციზე დაქორწინებულ მის სხეულს არა მარტო სული უჯანყდებოდა, დროდადრო სხეულიც უმხედრდებოდა სულს,

რომელიც წრეგადასულ სიყვარულს შეეპყრო და უდაბნოს კიდეში ძალ-ღონეგამოცლილი იტანჯებოდა, მის თავზე კი, ალბათ, მონატრების მირაჟი თრთოდა. სიამოვნებით გაანდობდა ნათესავს სატანჯველს. მოსწონდა მისი კატეგორიული ცალმხრივობა, რომელსაც ის, როგორც წესი, ავლენდა ხოლმე. არნჰაიმის გაწონასწორებული მრავალმხრივობა უფრო დასაფასებელი იყო, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას ულრიხი ამდენს არ ორჭოფობდა, მიუხედავად თავისი თეორიებისა, ყველაფერს სრული გაურკვევლობით რომ ემუქრებოდა. დიოთიმა გრძნობდა ამას, თუმცა ვერ ხვდებოდა, რა აძლევდა ამის საბაბს. ეს, ალბათ, იმ გრძნობებთან იყო დაკავშირებული, რომელთაც ულრიხი მასში ნაცნობობის პირველივე დღიდან იწვევდა. იმწუთას არნჰაიმი მისთვის უსაშველოდ დიდ დაძაბულობად იქცა, რომელიც მის სულს მეფურ ტვირთად აწვებოდა და მთლიანად ფარავდა; ულრიხის ნათქვამი კი, როგორც დიოთიმას მოეჩვენა, მხოლოდ ერთს ნიშნავდა: ასობით ურთიერთობაში პასუხისმგებლობა იკარგებოდა და ადამიანი თავისუფლების საეჭვო მდგომარეობაში ხვდებოდა. დიოთიმას მოუნდა, იმაზე მეტად მძიმე გამხდარიყო, ვიდრე იყო. უცებ, გაუგებარია, რატომ, მაგრამ ამან ერთი შემთხვევა გაახსენა: როგორ ცდილობდა ბავშვობაში, პატარა ბიჭი ხიფათისთვის აერიდებინა და ხელში აყვანილი მიჰყავდა. ბიჭი კი ჯიუტად აწვებოდა მუხლებით მუცელზე და წინააღმდეგობას უწევდა. მოგონებები მოულოდნელად წამოეშალა, თითქოს ამ პატარა ოთახის საკვამურიდან სწვეოდა და წონასწორობა დააკარგვინა. „თავდავიწყებით? – ფიქრობდა დიოთიმა. – რატომ მეკითხება გაუთავებლად?“. თითქოს თავდავიწყება არ შეეძლოს. ულრიხს აღარ უსმენდა, დაავიწყდა კიდეც. არც იცოდა, დროული იყო თუ არა, უბრალოდ ლაპარაკი გააწყვეტინა და სიცილით (ასეთი უეცარი, უკონტროლო მღელვარების დროს ძნელია თქმა, მართლა გაეცინა თუ გაიფიქრა, რომ იცინოდა) ყველაფერზე და საბოლოოდ პასუხი გასცა: – მართლა თავდავიწყებით ვარ შეყვარებული!

ულრიხმა სახეში შესცინა.

– ამის ძალა თქვენ არ შეგწევთ, – უთხრა მან.

დიოთიმა წამოდგა. თმები შეისწორა და გაოცებულმა შეხედა.

– თავდავიწყებით შეყვარება რომ შეძლოთ, – უხსნიდა

მშვიდად ულრიხი, – ზუსტი და ობიექტური უნდა იყოთ. ორ „მეს“, რომლებმაც იციან, რა საეჭვოა დღეს „მე“, ერთმანეთისთვის ხელი მყარად აქვს ჩაჭიდებული, თუ ეს სიყვარულია და არა რამე ჩვეულებრივი საქმიანობა. ერთმანეთზე ისე არიან გადაჯაჭვულნი, რომ ერთი მეორის მიზეზი ხდება, როცა გრძნობენ, რომ რაღაც დიადად გარდაიქმნებიან, და საბურველივით ლივლივებენ. ამ დროს რთულია, არასწორი მოძრაობა არ შეასრულო, თუნდაც ერთხანს სწორ მოძრაობებს აკეთებდე. საერთოდაც ძნელია, იგრძნო სამყაროში ის, რაც ნამდვილია! ყველა ცრურწმენის საწინააღმდეგოდ, ამისთვის პედანტიზმია საჭირო. სხვათა შორის, თქვენთვის სწორედ ამის თქმა მინდოდა. დიდად მაამეთ, როცა ანგელოზის თვისებები მომაწერეთ და როგორც ხედავთ, მოკრძალებით სწორედ ამ თვისებებს ვეყრდნობი. ადამიანები რომ აბსოლუტურად ობიექტურნი იყვნენ – რაც იმავე უპიროვნობას ნიშნავს – სიყვარულად მხოლოდ მაშინ გადაიქცეოდნენ, რადგან მხოლოდ მაშინ შეძლებდნენ, გარდაქმნილიყვნენ შეგრძნებად, გრძნობად და იდეად. ყველა ელემენტი, რომლებიც ადამიანს აყალიბებს, ფაქიზია და ერთმანეთისკენ მიილტვის. თავად ადამიანი ფაქიზი არ არის. თავდავიწყებით შეყვარება რაღაც ისეთია, რაც, შესაძლოა, თქვენ არც კი გსურდეთ!..

ულრიხი შეეცადა, ისე ეთქვა, რომ პათეტიკა არ დასტყობოდა. სახის გამომეტყველება რომ დაემორჩილებინა, სიგარეტს მოუკიდა და დიოთიმასაც შესთავაზა, რომელმაც დაბნეულობის გამო გამოართვა. დიოთიმა ჯიუტი სახით იჯდა და სიგარეტს ისე ეწეოდა, თითქოს თავის დამოუკიდებლობას ამტკიცებსო. ულრიხის ნათქვამს ბოლომდე ვერ მიხვდა. იმ ფაქტმა, რომ ულრიხმა ეს მას უეცრად მაინცდამაინც აქ, ამ ოთახში, უთხრა, სადაც მარტონი იყვნენ და თან არც უცდია, ხელზე ან თმებზე შეხებოდა, თუმცა მათი სხეულები ერთმანეთს ამ სივიწროვეში მაგნიტივით იზიდავდნენ, დიოთიმაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „ახლა რომ...? – ფიქრობდა. – რა შეიძლება ასეთ პატარა ოთახში გააკეთო?“ – ოთახი მოათვალიერა. – „მეძავივით მოიქცეს? როგორ აკეთებენ ამას? აზლუქუნდეს?“ „ზლუქუნი“ – ეს სიტყვა მოწაფე გოგონებს უყვარდათ და უცებ გაახსენდა. „ისე რომ მოიქცეს, როგორც ულრიხი ითხოვს: გაიხადოს, ხელი მოხვიოს და ამღერდეს! რა უნდა იმღეროს? ქნარი დაუკრას?“. ულრიხს

ღიმილით შეხედა. ისე შეხედა, როგორც ანც ძმას, რომელთან ერთადაც, რაც მოგეხასიათება, იმას ჩაიდენ. ულრიხსაც ეღიმებოდა. მისი ღიმილი უსინათლო ფანჯარას ჰგავდა, რადგან დიოთიმასთან საუბრის ცდუნებას აჰყვა, ახლა კი რცხვენოდა. დიოთიმამ კი დაუშვა, რომ ამ კაცის სიყვარულს შეძლებდა. ეს სიყვარული თანამედროვე მუსიკაზე მის წარმოდგენებს ჰგავდა – აბსოლუტურად რომ არ გაკმაყოფილებს, მაგრამ განსხვავების გამო მაინც გაღელვებს.

მის წინ იდგა. იგრძნო, რომ ფეხები აეწვა. ისეთი სახე მიიღო, თითქოს საუბარი გაუგრძელდათ და მოულოდნელად უთხრა: – ჩემო მეგობარო, აუტანლად ვიქცევით. ცოტა ხანს აქ დარჩით, მე კი გავალ და სტუმრებს დავენახვები.

102. ბრძოლა და სიყვარული ფიშელების სახლში

გერდა ამაოდ ელოდა ულრიხის სტუმრობას. ულრიხს კი დანაპირები დაავიწყდა ან ისეთ დროს ახსენდებოდა, როცა სხვა რამეს აპირებდა.

– დაანებე თავი! – ეუბნებოდა კლემენტინე, როცა დირექტორი ფიშელი ბუზღუნს იწყებდა. – წინათ ხომ მოვწონდით, ახლა, ეტყობა, თავს გაუვიდა. თუ ესტუმრები, მხოლოდ საქმეს გააფუჭებ. ასეთ საქმეში მეტისმეტად მოუხერხებელი ხარ.

გერდას კი თავისი უფროსი მეგობარი ენატრებოდა. უნდოდა, რომ მოსულიყო. მაგრამ ისიც იცოდა, რომ, როგორც კი მოვიდოდა, მაშინვე მისი წასვლა მოუნდებოდა. გერდა ოცდასამი წლის იყო, მაგრამ ჯერ არაფერი განეცადა, თუ ვინმე ბატონ გლანცს არ ჩავთვლით, მამამისის თანხმობით ფრთხილად რომ ეარშიყებოდა, და თავის მეგობრებს, ხანდახან კაცებად კი არა, სკოლის მოწაფეებად რომ მიაჩნდა. „რატომ არ მოდის?“ – ეკითხებოდა საკუთარ თავს, როცა ულრიხზე ფიქრობდა. მისი მეგობრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ პარალელური აქცია გერმანელი ერის სულიერი განადგურების დასაწყისი იყო და გერდას რცხვენოდა, რომ ულრიხი ამაში მონაწილეობდა; უნდოდა, მოესმინა, რას ფიქრობდა ამაზე და იმედი ჰქონდა, რომ ულრიხს გამამართლებელი მიზეზი ჰქონდა.

დედამისი მამამისს ეუბნებოდა: „ამ საქმეში ჩართვის შესაძლებლობა შენ თვითონ გაუშვი ხელიდან. გერდასთვის

სასარგებლო იქნებოდა, სხვა რამეზე გადართულიყო. ტუცის სახლში უამრავი ადამიანი იყრის თავს“.

ისე მოხდა, რომ ფიშელმა მისი ბრწყინვალების მიწვევას დროზე არ უპასუხა, ახლა კი სინანულის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ახალგაზრდებს, გერდა სულიერ მეგობრებს რომ უწოდებდა, მის სახლში ისე მყარად მოეკიდათ ფეხი, როგორც პენელოპეს საქმროებს და დიდი ბჭობა გაემართათ, როგორ უნდა მოქცეულიყო გერმანელი ახალგაზრდა პარალელურ აქციასთან დაკავშირებით.

„არის გარემოებანი, როცა ფინანსისტი ვალდებულია, მეცენატობა გამოიჩინოს“, – მოითხოვდა მისგან კლემენტინე, როცა ლეო ცხარედ ეკამათებოდა ცოლს – მასწავლებლად დაქირავებულ ჰანს ზეპს, გერდას „სულიერ წინამძღოლს“, თავის დროზე იმიტომ ვუხდიდი ამდენ ფულს, რომ ეს მომხდარიყოო! არადა, მართლა ასე იყო: ჰანს ზეპს, სტუდენტს, მათ სახლში მასწავლებლად რომ მისულიყო, უზრუნველყოფილი ცხოვრებისთვის იოტისოდენა შანსიც არ ჰქონდა, და მხოლოდ ამ ოჯახში გამეფებული წინააღმდეგობრიობის წყალობით იქცა ტირანად. თავის მეგობრებთან ერთად, რომლებიც ამასობაში გერდას მეგობრებიც გამხდარიყვნენ, ფიშელების სახლში იმაზე კამათობდნენ, როგორ ეხსნათ გერმანული არისტოკრატია, რომელიც დიოთიმასთან (მასზე ამბობდნენ, მონათესავე რასას უცხო რასისგან არ ასხვავებსო) ებრაული სულის ხაფანგში გაბმულიყო. ლეო ფიშელის თანდასწრებით ამ საკითხს, როგორც წესი, დამნდობი ობიექტურობით განიხილავდნენ, მაგრამ მის ყურს ისეთი სიტყვები და მოსაზრებები ხვდებოდა, რაც ნერვებს უშლიდა. ისინი შეშფოთებას გამოთქვამდნენ, რომ იმ საუკუნეში, რომელმაც დიდი სიმბოლოები ვერ შექმნა, ეს მცდელობა სრულ კატასტროფას გამოიწვევდა. მარტო ეს სიტყვები რად ღირდა: „დიდი მნიშვნელობის“, „გზა კაცობრიობის მწვერვალებისაკენ“, რომელთა გაგონებაზეც ლეოს პენსნე ცხვირზე უხტოდა. მის სახლში ყვაოდა ისეთი ცნებები, როგორიცაა „აზრის ხელოვნება“, „სულიერი სიმაღლე“, „მოლივლივე მოქმედება“. შემდეგ გამოირკვა, რომ მის სახლში ორ კვირაში ერთხელ „განწმენდის საათი“ ტარდებოდა. ლეომ განმარტება მოითხოვა. აღმოჩნდა, რომ ამ დროს შტეფან გეორგეს ლექსებს კითხულობდნენ. ლეო ფიშელი ამაოდ ცდილობდა ძველ ენციკლოპედიურ ლექსიკონში შტეფან

გეორგეს ვინაობის დადგენას. ყველაზე მეტად ამ ძველ ლიბერალს რაც აბრაზებდა, ამ ცხვირმოუწმენდავი ღლაპების ამპარტავნობა იყო: როცა ისინი პარალელურ აქციაზე ლაპარაკობდნენ, მასში მონაწილე სამინისტროს რეფერანტებს, ბანკების პრეზიდენტებს და სწავლულებს „გაფხორილ კაცუნებად“ მოიხსენიებდნენ, იბღინძებოდნენ და ამტკიცებდნენ, დღეს დიდი იდეები აღარ არსებობს და აღარც არავინ არის, მათი გაგება რომ შეძლოსო. ჰუმანიზმიც კი ცარიელ ფრაზად გამოაცხადეს და რეალობად მხოლოდ ერს, ანუ როგორც თავად უწოდებდნენ, ხალხს და ადათ-წესებს აღიარებდნენ.

– კაცობრიობა ჩემში არანაირ წარმოდგენებს არ აღვიძებს, – პასუხობდა ხოლმე გერდა, როცა მამამისი საყვედურობდა. – დღეს ის შინაარსისგან დაიცალა; ჩემი ერი კი ხელშესახებია!

– შენი ერი... – იწყებდა ლეო ფიშელი. უნდოდა, დიდ წინასწარმეტყველებზე ეთქვა რამე, მამამისი ეხსენებინა, რომელიც ერთ დროს ტრიესტში ადვოკატად მუშაობდა.

– ვიცი, ვიცი, – აწყვეტინებდა გერდა. – ჩემი ერი სულიერია და მე მასზე მინდა ლაპარაკი.

– იმდენ ხანს გამოგკეტავ ოთახში, სანამ ჭკუაზე არ მოხვალ. შენს მეგობრებს კი აქ ფეხს აღარ მოვაკარებინებ! – ეუბნებოდა ლეო. – ეგენი უდისციპლინო ხალხია და იმის მაგივრად, რომ იმუშაონ, საკუთარი სინდისის მეტი არაფერი აინტერესებთ!

– ვიცი, რასაც ფიქრობ, – პასუხობდა გერდა. – თქვენ, უფროსებს, გგონიათ, რომ უფლება გაქვთ, უღირსად მოგვექცეთ იმიტომ, რომ გვარჩენთ. ნამდვილი პატრიარქალური კაპიტალისტები ხართ.

მამობრივი მზრუნველობის გამო ასეთი საუბრები ხშირად იმართებოდა.

– კაპიტალისტი რომ არ ვყოფილიყავი, როგორ აპირებდი ცხოვრებას?! – ეკითხებოდა ოჯახის უფროსი.

– ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია, – მოუჭრიდა ხოლმე პასუხად გერდა, – მაგრამ ვიცი, რომ მეცნიერები, აღმზრდელები, მოძღვრები, პოლიტიკოსები და საქმიანი ადამიანები ახალ ღირებულებებს ქმნიან, რომელიც შეგიძლია

ირწმუნო.

დირექტორი ფიშელი ხანდახან ეკითხებოდა: „სულიერი მოძღვრები და პოლიტიკოსები, რა თქმა უნდა, თქვენ ხართ, არა?!“. ასე კი იმიტომ იქცეოდა, რომ ბოლო სიტყვა მას რგებოდა. უხაროდა, გერდა რომ ვერ ამჩნევდა, როგორ აშინებდა ყველაფერი უგუნური, რის გამოც დათმობაზე მიდიოდა. საუბრის ბოლოს პარალელურ აქციას, როგორც მათ ოჯახში მომხდარის საპირისპირო მოვლენას, ისე აქებდა, ოღონდ მაშინ, თუ ახლომახლო კლემენტინეს ვერ ხედავდა.

რაც გერდას წინააღმდეგობას, მამის შეგონებებს რომ უწევდა, ჩუმ მოწამეობრივ სიჯიუტეს ანიჭებდა და ლეოს და კლემენტინესაც თავგზას ურევდა, მათ სახლში გამეფებული უწყინარი ავხორცობის ატმოსფერო გახლდათ. ახალგაზრდები ბევრ ისეთ საკითხზე საუბრობდნენ, რაზეც მშობლები მწარედ დუმდნენ. იმაშიც კი, რასაც ისინი ეროვნულ გრძნობას უწოდებდნენ, ამ საოცნებო ერთიანობაში, რომელშიც მათი მუდამ მოკამათე „მე“ შედნობილიყო და მათ ენაზე მოქალაქეთა ქრისტიანულ-გერმანული თანამეგობრობა ერქვა, უფროსი თაობის დამთრგუნველი სასიყვარულო ურთიერთობისგან განსხვავებით, ფრთოსანი ეროსი ყოველთვის იგრძნობოდა. ასაკისთვის შეუფერებლად გმობდნენ „ავხორცობას“, „ცხოვრებით უხეში ტკბობის შელამაზებულ ტყუილს“ და ზემგრძნობელობასა და გზნებაზე იმდენს ლაპარაკობდნენ, რომ გაოგნებული მსმენელის სულში უნებლიეთ მგრძნობელობასა და ვნებაზე ნაზი მოგონებები ჩნდებოდა. თვით ლეო ფიშელიც კი აღიარებდა, რომ თავშეუკავებელი სიფიცხე, რომელსაც ისინი ლაპარაკის დროს ავლენდნენ, მსმენელის წინაშე მათ იდეებს გაშიშვლებულად წარმოაჩენდა. ამას კი ლეო არ იწონებდა, რადგან თვლიდა, რომ დიდმა იდეებმა ისეთი გრძნობა უნდა გამოიწვიოს, რომ ქვემოდან ზემოთ შეჰყურებდეთ.

კლემენტინე კი, პირიქით, ამბობდა: – არ შეიძლება ყველაფრის ასე უბრალოდ უარყოფა, ლეო!

– როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ საკუთრება სულიერებას კლავს! – ედავებოდა ლეო კლემენტინეს. – ჩემში არ არის სულიერება?! შენ, ალბათ, სულიერების ნახევარიც აღარ შემოგრჩა, რადგან მათ ყბედობას სერიოზულად იღებ!

– არ გესმის, ლეო! ამას ისინი ქრისტიანულ აზრს ანიჭებენ. უნდათ, რომ ცხოვრების ძველებურ ყაიდას თავი დააღწიონ და აქვე, დედამიწაზე, მოძებნონ ამაღლებული აზრი!

– ამაში არაფერია ქრისტიანული, უაზრობაა და სხვა არაფერი! – აპროტესტებდა ლეო.

– საბოლოო ჯამში, შესაძლოა, რეალობას რეალისტები კი არა, ისინი ხედავდნენ, რომლებიც სიღრმეში იმზირებიან, – პასუხობდა კლემენტინე.

– სასაცილოა! – ამტკიცებდა ლეო. ის ცდებოდა. ლეო ტიროდა. ტიროდა შინაგანად, რადგან მის გარშემო სულიერ ცვლილებებს ვერ განაგებდა.

დირექტორ ფიშელს სუფთა ჰაერზე ყოფნის სურვილი უწინდებურზე უფრო ხშირად უჩნდებოდა. სამსახურის შემდეგ შინ გული არ მიუწევდა და, თუ ბიუროდან შებინდებამდე გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი იყო, ბაღში სასეირნოდ მიდიოდა. ბაღების სიყვარული პრაქტიკანტობის პერიოდიდან გამოჰყვა. მისთვის აუხსნელი მიზეზით, ქალაქის მუნიციპალიტეტის ბრძანებით, გვიან შემოდგომაზე რკინის გასაშლელი სკამები შეეღებათ. მწვანედ ახლად შეღებილი სკამები თოვლივით ქათქათა გზაზე გვერდიგვერდ იდგა და გაზაფხულის ხასხასა ფერებზე მოგონებებს აღვიძებდა. ხანდახან ლეო სათამაშო მოედნის ან ხეივნის ახლოს მარტოდმარტო ჩამოჯდებოდა ხოლმე და ბავშვების აღმზრდელებს უყურებდა, რომლებსაც თავიანთ აღსაზრდელებთან ერთად ზამთრის ჯანმრთელი იერი დასდებოდათ. ბავშვები ერთმანეთს გუნდებს ესროდნენ და „დიაბოლოს“ თამაშობდნენ. პატარა გოგონებს ქალური თვალები ჰქონდათ... „ეჰ, – ფიქრობდა ფიშელი, – ეს ის თვალებია, მერე ლამაზი ქალის სახეზე ბავშვურ თვალებად რომ გადაიქცევა“. უყვარდა იმის ყურება, როგორ თამაშობდნენ პატარა გოგონები. მათ თვალებში სიყვარული ჯერ კიდევ ჯადოსნურ ტბორებში ცურავდა, საიდანაც ის წეროს უნდა ამოეყვანა. ახალგაზრდულ წლებში ამ სანახაობით ხშირად ტკბებოდა, მაშინ, როცა ცხოვრების ვიტრინის წინ იდგა და შიგ შესასვლელად გროშ-კაპიკი არ ებადა. იდგა და ფიქრობდა, რას გამოიმეტებდა მისთვის ბედისწერა. „დიდი არაფერი გამოვიდა“, – ფიქრობდა ლეო და ერთ წამს მოეჩვენა, რომ ისევ თეთრ კროკუსებს შორის მწვანე ბალახზე იჯდა. როცა რეალობა

კვლავ თოვლთან და მწვანე ლაქწასმულ რკინის სკამებთან აბრუნებდა, უცნაურია, მაგრამ შემოსავალზე ფიქრობდა. ფული დამოუკიდებელს გხდის, მაგრამ მისი ხელფასი ან ოჯახის მოთხოვნილებაზე იხარჯებოდა, ან გონიერების კარნახით დანაზოგის სახით ინახებოდა. „ალბათ, – ფიქრობდა ლეო, – დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად სამუშაოს გარდა სხვა რამეც უნდა გამეკეთებინა; იქნებ ბირჟაზე შეძენილი ცოდნა გამომეყენებინა, როგორც მთავარი დირექტორები იქცევიან.“ ასეთი აზრები ლეოს მაშინ ესტუმრებოდა ხოლმე, როცა მოთამაშე პატარა გოგონებს ხედავდა, თუმცა მათ მაშინვე უკუაგდებდა ხოლმე, რადგან საკუთარ თავში ამგვარი სპეკულაციებისთვის აუცილებელ ტემპერამენტს ვერ გრძნობდა. ის ბანკის ნდობით აღჭურვილი პირი იყო დირექტორის ტიტულით და კარიერის შემდგომ საფეხურზე ასვლის სხვა პერსპექტივა არც ჰქონდა. ლეო თავს განგებ იშინებდა იმ აზრით, რომ მეტისმეტად მოხრილ ზურგს ვეღარ გამართავდა. ასე იმიტომ ფიქრობდა, რომ გადაულახავი ბარიერი აღემართა მასა და ლამაზ ბავშვებს და მათ ლამაზ აღმზრდელებს შორის, ასეთ წუთებში ცხოვრების ცდუნებას რომ განასახიერებდნენ. მაშინაც კი, როცა კაეშანი შემოაწვებოდა, ფიშელი ჭეშმარიტ მეოჯახედ რჩებოდა. რას არ მისცემდა, რომ ოჯახური ჯოჯოხეთური წრე ტიტულოვანი დირექტორის გარშემო მოფარფატე ანგელოზთა გუნდად გადაექცია.

ულრიხსაც უყვარდა ეს ბაღები და, თუ გზა იქით ჰქონდა, შეივლიდა ხოლმე. ისე მოხდა, რომ ულრიხი ამ დროს ისევ შეხვდა ფიშელს და მასაც მაშინვე გაახსენდა ის უსიამოვნება, რაც პარალელური აქციის გამო საკუთარ სახლში გადაიტანა. ფიშელმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ მისი ახალგაზრდა მეგობარი ძველი მეგობრების მიწვევას არაფრად აგდებდა, თუმცა იქვე დაამატა, გულწრფელად მჯერა, დროთა განმავლობაში შემთხვევითი ნაცნობობაც ძველ მეგობრობასავით ძვირფასი ხდებაო.

ძველი ახალგაზრდა მეგობარი არწმუნებდა, რომ ფიშელის ნახვამ ძლიერ გაახარა და იმ სასაცილო საქმიანობაზე ჩიოდა, რომელიც მისი ნახვის შესაძლებლობას არ აძლევდა.

ფიშელი ცუდ დროებაზე, საერთოდ, ზნეობის დაცემასა და წინდაუხედაობაზე წუწუნებდა; ამბობდა, ყველაფერი

მატერიალიზმში ჩაეფლოო.

– მე კი მეგონა, რომ საქმე შესაშურად გქონდათ! – უპასუხა ულრიხმა. – კომერსანტის ცხოვრება ხომ სულისთვის ნამდვილი სანატორიუმია! ყოველ შემთხვევაში, ეს ერთადერთი პროფესიაა, რომელსაც იდეალურად სუფთა საფუძველი უდევს.

– ასეც არის! – დაეთანხმა ფიშელი. – კომერსანტი კაცობრიობის პროგრესს ემსახურება და ნებადართულ სარგებელს სჯერდება! სხვა მხრივ კი ისევე ცუდად აქვს საქმე, როგორც დანარჩენ სხვას! – დაამატა მელანქოლიურად.

ულრიხმა მისი სახლამდე მიცილების სურვილი გამოთქვა. იქ კი მათ უკიდურესად დაძაბული სიტუაცია დახვდათ.

მეგობრებს უკვე თავი მოეყარათ და დიდი აყალმაყალი აეტეხათ. ზოგი გიმნაზიის მოწაფე იყო, ზოგი – პირველი კურსის სტუდენტი, ზოგი კი სავაჭრო ფირმაში მუშაობდა. თვითონაც აღარ ახსოვდათ, მათი წრე როგორ შეიკრა. ჯაჭვისებურად. ზოგმა ერთმანეთი სტუდენტთა ეროვნულ კავშირებში გაიცნო, სხვები ახალგაზრდული სოციალისტური ან კათოლიკური მოძრაობის წევრები იყვნენ, მესამენი კი – ტურისტული ლაშქრობის „გადამფრენი ფრინველებისა“. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ერთადერთი, ვინც მათ აკავშირებდათ, ლეო ფიშელი იყო. სულიერი მოძრაობა რომ არ დაიშალოს, სხეული სჭირდება. ამ სხეულის ფუნქციას კი ფიშელების სახლი ასრულებდა, სადაც უმასპინძლდებოდნენ და სადაც ქალბატონი კლემენტინე ურთიერთობებს გარკვეულწილად აწესრიგებდა. გერდა ამ სახლის კუთვნილება იყო, ჰანს ზეპი კი – გერდას მეგობარი სტუდენტი, უსუფთაო სახის კანით და სუფთა სულით – გერდას კუთვნილება. ჰანს ზეპი მათი წინამძღოლი არ ყოფილა, რადგან ახალგაზრდები წინამძღოლს არ ცნობდნენ, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი მგზნებარებით გამოირჩეოდა. ხანდახან სხვაგანაც იკრიბებოდნენ და მაშინ კი შეკრებებს, გერდას გარდა, სხვა ქალებიც ესწრებოდნენ. საერთოდ კი მოძრაობის ბირთვი ისე იყო მოწყობილი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ.

ამ ახალგაზრდების სულის სათავე ისევე უცნაური იყო, როგორც ახალი ავადმყოფობის გაჩენა ან აზარტულ თამაშებში ზედიზედ მოგება. როცა ევროპული იდეალიზმის მზე ჩაესვენა

და სულის სისპეტაკე აიმღვრა, ჩირაღდანი ხელიდან ხელს გადაეცემოდა – ღმერთმა იცის, სად მოპარული და ვის მიერ მოგონილი იდეათა ჩირაღდანი! ყველგან პატარ-პატარა სულიერი საზოგადოებების ცეცხლოვანი ტბები ირხეოდა. დიდ ომამდე, სანამ დასკვნებს გამოიტანდნენ, ბოლო წლებში ახალგაზრდები სიყვარულსა და ერთობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ანტისემიტები ბანკის დირექტორ ლეო ფიშელის სახლში, რომლებიც საყოველთაო სიყვარულისა და ერთობის ნიშნით გაერთიანებულიყვნენ. ჭეშმარიტი ერთობა შინაგანი კანონის მოქმედებაა, ყველაზე ღრმა, მარტივი, სრულყოფილი და პირველადი კი სიყვარულის კანონია, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, არა მიწიერი და ხორციელი თვალსაზრისით. სხეულებრივი დაუფლება მამონას მოგონილია და ადამიანებს ერთმანეთისგან თიშავს და აცალკევებს. ცხადია, ყველას ვერ შეიყვარებ, მაგრამ ყველა ხასიათს პატივი უნდა სცე, თუ მისი სწრაფვა ჭეშმარიტად ადამიანურია და პასუხისმგებლობით სავსე. ასე კამათობდნენ სიყვარულის სახელით ახალგაზრდები ყველა საკითხზე.

იმ დღეს ერთიანი ფრონტი შეიქმნა კლემენტინეს წინააღმდეგ, რომელიც სიამოვნებით იგრძნობდა კიდევ ერთხელ თავს ახალგაზრდად და გულის სიღრმეში აღიარებდა, რომ ცოლქმრული ცხოვრება კაპიტალზე საპროცენტო გადასახადს ჰგავდა. კლემენტინე მათ ნებას არ რთავდა, პარალელური აქცია განესაჯათ, რადგან არიელები სიმბოლოთა შექმნას მაშინ შეძლებენ, როცა წმინდა არიულ საზოგადოებად გაერთიანდებიანო. კლემენტინეს თავის შეკავება უჭირდა, გერდას კი მრისხანებისგან სახე წამოენთო, რადგან დედა ოთახიდან ვერაფრით გაიტყუა. როცა ლეო ფიშელი ულრიხთან ერთად ოთახში შემოვიდა, გერდამ ჰანს ზეპს ანიშნა, გაჩუმებულიყო. ჰანსმა შემრიგებლურად განაცხადა: „თანამედროვე ეპოქაში ადამიანებს რამე დიდის შექმნის უნარი არ აქვთ!“ და ამ ფრაზით საუბარს ზოგადი ხასიათი მისცა, რასაც ისედაც მიჩვეულები იყვნენ.

სწორედ იმწუთას, საუბედუროდ, საუბარში ულრიხიც ჩაერია და ჰანს ზეპს გასაგონად ღვარძლით (თუმცა ეს ღვარძლი ფიშელისკენ იყო მიმართული) ჰკითხა, ნუთუ პროგრესის საერთოდ არ გწამთო.

– პროგრესის? – უპასუხა ჰანს ზეპმა ქედმაღლურად. – გაიხსენეთ ასი წლის წინანდელი ადამიანები, სანამ, საერთოდ, პროგრესზე დაიწყებოდა ლაპარაკი: ბეთჰოვენი! გოეთე! ნაპოლეონი! ჰებელი!

– ჰმ! ეგ უკანასკნელი ასი წლის წინ ჯერ კიდევ ახალშობილი იყო, – თქვა ულრიხმა.

– ციფრების სიზუსტეს ეს ახალგაზრდები ამრეზით უყურებენ! – განმარტა ნასიამოვნებმა ფიშელმა. ულრიხი ფიშელს საუბარში არ აჰყვა. იცოდა, რომ ჰანს ზეპი მასზე ეჭვიანობდა. თვითონ კი გერდას უცნაურ მეგობრებს კეთილი თვალით უყურებდა და ამიტომ მათთან საუბარი სიამოვნებით განაგრძო.

– ცალკეულ სფეროებში ადამიანმა, უდავოდ, ისეთ პროგრესს მიაღწია, რომ გვგონია, თითქოს ვეღარც მივყვებით. აქედან ხომ არ ჩნდება ის გრძნობა, რომ არანაირი პროგრესი არ განგვიცდია? ბოლოს და ბოლოს, პროგრესი საერთო მცდელობათა შედეგია და წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ რეალური პროგრესი სწორედ ის იქნება, რაც არავის არ ნდომებია.

ჰანს ზეპი მისკენ მიბრუნდა და მუქი ფერის ქოჩორი რქასავით დაუმიზნა.

– ხედავთ, თქვენ თვითონ ამბობთ, არავის უნდოდაო! ირგვლივ გაუთავებელი აურზაური და ხმაურია, წინსვლა კი არ ჩანს; ასობით გზაა, მაგრამ მაინც არც ერთი გზა არ მოჩანს! არც ერთი ხასიათი! ფრაზა ფურცლიდან ხტება, სიტყვა – ფრაზიდან, მთელი უკვე აღარ არის მთელი, – როგორც ნიცშემ თქვა. თავისთავად ნიცშეს ეგოიზმიც ყოფიერების არასრულფასოვნების ნიმუშია! დამისახელეთ თუნდაც ერთი მყარი ბოლო ღირებულება, რომელზეც, მაგალითად, თქვენ აიღებდით ორიენტაციას!

– თანაც სასწრაფოდ, არა? – გააპროტესტა დირექტორმა ფიშელმა. ულრიხმა კი ჰანსს ჰკითხა: – ღირებულების გარეშე ცხოვრება მართლა არ შეგიძლიათ?

– არა, – უპასუხა ჰანსმა, – გამოგიტყდებით, რომ ამის გამო ბედნიერების უფლება არ მეძლევა.

– ჯანდაბას! – იცინოდა ულრიხი. – ერთადერთი, რაც შეგვიძლია, ის არის, რომ ზომაზე მეტად მკაცრი არ ვიყოთ და უზენაეს შემეცნებას არ დაველოდოთ. ასე იქცეოდნენ შუა საუკუნეებში და უმეცრებიც ამიტომ დარჩნენ.

– ეგ კიდევ საკითხავია! – უპასუხა ჰანს ზეპმა. – მე კიდევ იმას ვამტკიცებ, რომ უმეცრები ჩვენ ვართ!

– ისიც უნდა აღიაროთ, რომ ჩვენი უმეცრება ბედნიერი და მრავალფეროვანია.

ოთახის სიღრმიდან ვიღაცამ მშვიდი ხმით წაიბურტყუნა: – „მრავალფეროვნება!“, „ცოდნა!“, „ფარდობითი პროგრესი!“ – ესენი კაპიტალიზმისგან დაქუცმაცებული ეპოქის მექანიკური აზროვნების ენებია! მეტს აღარაფერს ვიტყვი...

ლეო ფიშელიც ბურტყუნებდა. თვლიდა, რომ ულრიხი დიდ დროს უთმობდა ამ უღირს ახალგაზრდებს. ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და ცხვირი შიგ ჩარგო.

ულრიხს კი ეს ყველაფერი რატომღაც სიამოვნებას ანიჭებდა.

– თანამედროვე ბურჟუაზიული ექვსოთახიანი ბინა, მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი აბაზანით, მტვერსასრუტით და ა. შ. ძველ სახლებს რომ შევადაროთ, სადაც მაღალჭერიანი ოთახები, სქელი კედლები და ლამაზი თაღებია, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ეს პროგრესი? – ჰკითხა მათ.

– არა! – დაიყვირა ჰანს ზეპმა.

– თვითმფრინავი, საფოსტო კარეტასთან შედარებით?

– დიახ! – დაიყვირა დირექტორმა ფიშელმა.

– დაზგები, ხელით შრომასთან შედარებით?

– ხელით შრომა! – დაიყვირა ჰანსმა.

– დაზგები! – დაიყვირა ლეომ.

– მე ვფიქრობ, – თქვა ულრიხმა, – რომ ყველანაირი პროგრესი ამავე დროს რეგრესიცაა. პროგრესი ყოველთვის რაღაც გარკვეული თვალსაზრისით არსებობს და რადგან მთლიანობაში ჩვენი ცხოვრება აზრს მოკლებულია, ამიტომ არც

პროგრესი არსებობს.

ლეო ფიშელმა გაზეთი ჩამოუშვა.

– რომელი უკეთესია, ატლანტის ოკეანე ექვს დღეში გადაკვეთო თუ ამისთვის ექვსი თვე დახარჯო?!

– მე ვიტყოდი, რომ პროგრესი ის არის, ერთიც და მეორეც შეგეძლოს. თუმცა ჩვენი ახალგაზრდა ქრისტიანი მეგობრები ამ აზრს უარყოფენ.

მოსაუბრეები მოზიდული მშვილდივით გაირინდნენ. ულრიხმა საუბრის და არა მისი შემტევი სულისკვეთების პარალიზება შეძლო. მან მშვიდად განაგრძო ლაპარაკი: – შეგვეძლო პირიქითაც გვეთქვა: თუ ჩვენი ცხოვრება ცალკეულ ნაწილებშია პროგრესული, მაშასადამე, აზრიც ცალკეულ ნაწილებში ჰქონია. თუ ოდესღაც აზრი ჰქონდა, მაგალითად, ღმერთებისთვის მსხვერპლის შეწირვას, კუდიანების კოცონზე დაწვას ან თმის შეპუდვრას, ეს ცხოვრების ერთ-ერთი გააზრებული გრძნობაა მაშინაც კი, როცა პროგრესი მხოლოდ ჰიგიენური ჩვევებისა და ჰუმანიზმისგან შედგება. შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ პროგრესს ძველი მნიშვნელობის გაქრობა უნდა.

– იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ ისევ მსხვერპლშეწირვას მივუბრუნდეთ, მას შემდეგ, რაც ეს საზარელი წყვდიადი დავძლიეთ? – ჰკითხა ფიშელმა.

– რაც შეეხება წყვდიადს, ეგ ჯერ კიდევ საკითხავია, – ულრიხის მაგივრად უპასუხა ჰანს ზეპმა. – როცა თქვენ უდანაშაულო კურდღელს სანსლავთ, ეს სისასტიკეა, ხოლო როცა კანიბალი რელიგიური რიტუალის აღსრულებისას მოწიწებით ჭამს უცხო ტომის ადამიანს, ჩვენ ხომ არ ვიცით, რა ხდება ამ დროს კანიბალში!

– რაღაც მსგავსი, ალბათ, იმ ეპოქებსაც ახასიათებდა, რომლებიც დავძლიეთ, – შეუერთდა მათ საუბარს ულრიხი. – სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას, რომ ამდენი ადამიანი ეთანხმებოდა იმ მოვლენებს? არ შეიძლებოდა, რომ განსაკუთრებული მსხვერპლის გაღების გარეშე გვესარგებლა ყოველივე ამით? იქნებ დღეს იმიტომ ვწირავთ ამდენ ადამიანს, რომ კაცობრიობის წარსული საქმეების დაძლევის საკითხი ნათლად არასდროს დაგვისვამს. ურთიერთობები ამ ყველაფერს შორის

მეტისმეტად ბუნდოვანია და ძნელია მათი სიტყვებით გამოხატვა.

– თქვენი აზროვნების სასურველ მიზნად მაინც ყოველთვის ჯამი ან შედეგი რჩება! – სხაპასხუპით მიაყარა ჰანს ზეპმა. – ბურჟუაზიული პროგრესის ისევე გწამთ, როგორც დირექტორ ფიშელს, ოღონდ სათქმელს უფრო ჩახლართულად და პერვერსიულად გამოხატავთ, რომ ვერ მიგიხვდეთ.

ჰანსმა თავისი მეგობრების აზრი გამოთქვა. ულრიხი თვალებით გერდას ეძებდა. აპირებდა, დაუდევარი სახით თავისი აზრი კიდევ ერთხელ

გამოეხატა და ყურადღებას არ აქცევდა, რომ ფიშელი და ახალგაზრდა მოკამათეები აპირებდნენ, თავს დასხმოდნენ მასაც და ერთმანეთსაც.

– რაღაც მიზნისკენ ხომ ისწრაფვით, ჰანს? – ჰკითხა ულრიხმა.

– რაღაც ისწრაფვის. ჩემში. ჩემი გავლით. – მიუგო ძუნწად ჰანს ზეპმა.

– და მიაღწევს? – ლეო ფიშელი მოხიბლა ამ ირონიულმა კითხვამ და მის გარდა ყველა მიხვდა, რომ მან ულრიხის მხარე დაიკავა.

– არ ვიცი! – უპასუხა ჰანსმა პირქუშად.

– გამოცდა უნდა ჩააბაროთ და თქვენი პროგრესიც ეგ იქნება! – ლეო ფიშელი ისე გაღიზიანდა, რომ თავის შეკავება ვერ შეძლო. თუმცა არც თავისი მეგობარი აღიზიანებდა ამ ცხვირმოუხოცავ ღლაპებზე ნაკლებად.

აფეთქება სწორედ მაშინ მოხდა. ქალბატონმა კლემენტინემ ქმარს მუდარით შეხედა. გერდა ცდილობდა, ჰანსი გაეფრთხილებინა, ჰანსი კი ციებცხელებიანივით ეძებდა სიტყვებს და ბოლოს ულრიხს თავს დაატყდა: – დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, – დაუყვირა ულრიხს, – რომ არანაირი იდეა არ გაგაჩნიათ ისეთი, რაც დირექტორ ფიშელს არ მოუვიდოდა თავში აზრად!

ამ სიტყვებით გავარდა ჰანს ზეპი ოთახიდან, მისი მეგობრები კი იქ მყოფთ მრისხანე სახეებით გამოემშვიდობნენ და მას გაეკიდნენ. კლემენტინეს მზერამ დირექტორი ფიშელი

აიძულა, ისეთი სახე მიეღო, თითქოს ოჯახის უფროსის მოვალეობა გვიან გაახსენდა და შემოსასვლელში უკმაყოფილო სახით გავიდა, რათა ახალგაზრდებისთვის ორიოდე კეთილი სიტყვა ეთქვა. ოთახში მხოლოდ გერდა, ულრიხი და კლემენტინე დარჩნენ. კლემენტინემ შვებით ამოისუნთქა, რადგან დაძაბულობა ცოტათი განიმუხტა, შემდეგ წამოდგა და ოთახიდან გავიდა. ულრიხი კი, თავისდა გასაოცრად, გერდასთან მარტო აღმოჩნდა.

103. ცდუნება

როცა ოთახში მარტო დარჩნენ, გერდას აშკარად ეტყობოდა მღელვარება. ულრიხმა ხელი მკლავზე მოჰკიდა. გერდას ხელი აუკანკალდა და ულრიხს ხელი გააშვებინა.

– არც კი იცით, – უთხრა გერდამ, – რა მნიშვნელობა აქვს ჰანსისთვის მიზანს! ამ სიტყვას თქვენ დასცინით. რა იაფფასიანი საქციელია! თქვენი იდეები კიდევ უფრო უხამსი გამხდარა! – გერდა კიდევ უფრო უხეშ სიტყვას ეძებდა და ამან თვითონაც შეაშინა. ულრიხი ისევ შეეცადა მისი ხელის დაჭერას. გერდამ ხელი უკან წაიღო. – აი, ეს კი ნამდვილად არ გვჭირდება, – წამოიყვირა ამრეზით, მისი სხეული კი ყოყმანობდა.

– ვიცი, რაც თქვენ შორის ხდება, უზენაეს მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, – ლაპარაკობდა დაცინვით ულრიხი. – სწორედ ამან მიბიძგა იმ საქციელისკენ, რასაც თქვენ ასე მოხდენილად დაარქვით სახელი. ვერც კი წარმოიდგენთ, წინათ როგორ მსიამოვნებდა თქვენთან სხვა თემებზე საუბარი.

– სხვანაირი არასდროს ყოფილხართ! – უპასუხა გერდამ.

– ყოველთვის ვყოყმანობდი, – უპასუხა ულრიხმა და გერდას სახეში შეხედა. – სიამოვნებას მოგანიჭებთ, თუ იმის შესახებ მოგიყვებით, რაც ჩემს ნათესავთან ხდება?

გერდას თვალებში დაურწმუნებლობა გაუქრა, რასაც ულრიხის სიახლოვე განაცდევინებდა. თავშეუკავებლად ელოდა ულრიხის მონაყოლს, რათა ის შემდეგ ჰანსისთვის გადაეცა და ამიტომ ცნობისმოყვარეობას ვერ ფარავდა. ულრიხმა ეს შეამჩნია და კმაყოფილება იგრძნო. მერე კი იმ ცხოველივით, საფრთხეს რომ იყნოსავს და კვალს აურევს, მოყოლა სულ სხვა ამბით დაიწყო.

– გახსოვთ, ერთხელ მთვარეზე რომ მოგიყევით? ახლაც რაღაც მსგავსი მინდა გაგანდოთ.

– ისევ მომატყუებთ! – მოუჭრა გერდამ.

– ვეცდები, არ მოგატყუოთ! ალბათ, გახსოვთ ლექციებიდან, როგორ იქცევიან, როცა იმის დადგენა სურთ, წარმოადგენს თუ არა რამე კანონს. ან წინასწარ არსებობს მიზეზები იმისთვის, რომ ეს კანონად იქნეს მიჩნეული, როგორც ეს ფიზიკასა და ქიმიაში ხდება და მაშინაც კი, როცა დაკვირვებიდან საძიებელ მნიშვნელობას ვერ ვიღებთ, მის გამოთვლას მაინც ცდილობენ, ან ეს მიზეზები არ არსებობს, რასაც ხშირად ვხვდებით ხოლმე ცხოვრებაში. ამ დროს ისეთი მოვლენების წინაშე დგები პირისპირ, წარმოდგენაც კი რომ არ გაქვს, კანონია ეს თუ შეთხვევითობა. ასეთ დროს ეს მოვლენა ადამიანური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა. უამრავი დაკვირვებიდან, პირველ რიგში, უამრავი რიცხვი გამოჰყავთ; შემდეგ მათ სეგმენტებად ყოფენ, რათა დაადგინონ, რომელი რიცხვია ამა თუ იმ მნიშვნელობას შორის მოთავსებული და ა. შ. აქედან იქმნება განაწილების კანონი, მერე უკვე ირკვევა, მოცემულ მოვლენას სისტემური მატება ახასიათებს თუ კლება. მიიღება მუდმივი მწკრივი ან განაწილების ფუნქცია, გამოთვლიან რხევათა ზომას, საშუალო გადახრას, ნებისმიერი მნიშვნელობიდან გადახრას, ძირითად მნიშვნელობას, ჩვეულებრივ მნიშვნელობას, საშუალო მნიშვნელობას, დისპერსიას და ა. შ. ასე რომ, მოცემული მოვლენის კვლევა ამ ცნებების საშუალებით ხდება.

ულრიხი გერდას სათქმელს მშვიდი ტონით განუმარტავდა. ძნელი მისახვედრი იყო, თვითონ ცდილობდა აზრის მოკრებას თუ გერდას დაჰიპნოზებას აპირებდა მეცნიერებით. გერდა მოშორებით სავარძელში იჯდა და წინ გადმოხრილი იატაკს ჩასჩერებოდა. ასეთი საქმიანი საუბრის დროს, როცა მის პატივმოყვარეობას გონიერების წარმოჩენა ევალებოდა, უხასიათობა გაუვლიდა ხოლმე. გრძნობდა, რომ იმ უბრალო თავდაჯერებასაც კარგავდა, რასაც ულრიხის სიახლოვე ანიჭებდა. გერდამ რეალური გიმნაზიის შემდეგ უნივერსიტეტში რამდენიმე სემესტრიც ისწავლა და ახალი ეპოქის ცოდნას ეზიარა, რომელსაც კლასიკურ და ჰუმანიტარულ წარმოდგენათა ძველი ჩარჩოები ვეღარ იტევდა. მრავალ ახალგაზრდაში ასეთი განათლება უმწეობის გრძნობას

ბადებდა, გრძნობას იმისას, რომ მათ წინ ახალი სამყარო გადაშლილიყო, რომლის ყამირ მიწასაც ძველი ტექნიკით ვერ დაამუშავებდნენ. ვერ ხვდებოდა, საით უმიზნებდა ულრიხი. გერდას სჯეროდა ულრიხის, რადგან უყვარდა, თან არც სჯეროდა მისი, რადგან მასზე ათი წლით უმცროსი იყო და სხვა თაობას მიეკუთვნებოდა. ულრიხისადმი ორივე დამოკიდებულება უცნაურად იყრიდა თავს ერთად. ულრიხი თხრობას აგრძელებდა.

– ასე რომ, – ჰყვებოდა ულრიხი, – არსებობს დაკვირვებები, აბსოლუტური სიზუსტით რომ ჰგავს ბუნების კანონებს. თუმცა მათ საფუძვლად არაფერი უდევთ ისეთი, რაც ამას გვაფიქრებინებს. სტატისტიკური ციფრული მწკრივები კანონზომიერებით ხანდახან კანონებს ჰგავს. სოციოლოგიაში წაკითხული ლექციებიდან ეს მაგალითები თქვენთვის, ალბათ, ცნობილია. ავიღოთ, მაგალითად, ამერიკაში გაყრის სტატისტიკა ან მამრობითი და მდედრობითი სქესის ახალშობილთა თანაფარდობა; ისიც იცით, რომ სამხედრო ვალდებულების თავიდან ასაცილებლად ყოველწლიურად ერთი და იმავე რაოდენობის ადამიანი ისახიჩრებს განგებ თავს, ან ყოველწლიურად ევროპის მოსახლეობის ერთი და იგივე პროცენტი სჩადის თვითმკვლელობას. ქურდობა, გაუპატიურება და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გაკოტრებაც ევროპაში ყოველწლიურად დაახლოებით ერთნაირი სიხშირით გვხვდება.

გერდაში წინააღმდეგობის გრძნობამ იფეთქა.

– ახლა არ ეცადოთ და არ ამიხსნათ, რა არის პროგრესი! – წამოიძახა მან და შეეცადა, ნათქვამში ზიზღი გაერია.

– რა თქმა უნდა, ვეცდები! – უპასუხა ულრიხმა და ლაპარაკი არ შეუწყვეტია. – ამას ბუნდოვნად დიდი რიცხვების კანონს უწოდებენ, რაც, უხეშად რომ ვთქვათ, იმას გამოხატავს, რომ მავანმა ამა და ამ მიზეზით მოიკლა თავი, მავანმა კი – იმ მიზეზით. მაგრამ თვითმკვლელობის დიდი რიცხობრიობის შემთხვევაში მიზეზთა შემთხვევითი და პიროვნული ხასიათი მნიშვნელობას კარგავს და გვრჩება... დიახ, რა გვრჩება? აი, სწორედ ეს მინდა გკითხოთ. როგორც ხედავთ, გვრჩება ის, რასაც ჩვენ, ამ საქმეში გაუთვითცნობიერებლები, არხეინად საშუალო რიცხვებს ვუწოდებთ და თან წარმოდგენა არ გვაქვს, რას ნიშნავს ეს. ნება მომეცით, ისიც დავუმატო, რომ დიდი

რიცხვების კანონს ლოგიკურად და ფორმალურად ხსნიდნენ, როგორც, ასე ვთქვათ, რაღაც თავისთავადს. მეორე მხრივ, იმასაც ამტკიცებდნენ, რომ მიზეზობრივად ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენების სისტემატურობის ახსნა აზროვნების ჩვეულებრივი წესით საერთოდ შეუძლებელია. ამ ფენომენის დანარჩენ ანალიზთა გვერდით ის მტკიცებულებაც წამოაყენეს, რომ ამ დროს ცალკეულ მოვლენებთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ერთობლიობის უცნობ კანონთან. დეტალებზე ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ, თანაც ბევრი რამ მეც არ მესმის. ისე კი პირადად ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, ყოველივე ამის მიღმა კოლექტივის უცნობი კანონი იმალება თუ ბუნების ირონიით განსაკუთრებულობა იმის გამო ჩნდება, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება და უზენაესი აზრი, შესაძლოა, ისეთი რამ აღმოჩნდეს, რომელიც სწორედ ყველაზე დიდი უაზრობით მიიღწევა. ერთისა და მეორის ცოდნაც ცხოვრების აღქმაზე გადამწყვეტ გავლენას მოახდენს! რაც გინდა თქვი და დიდი რიცხვების კანონს ხომ მოწესრიგებული ცხოვრების შესაძლებლობა ემყარება; საკომპენსაციო კანონი რომ არ არსებობდეს, მაშინ ერთ წელს არაფერი მოხდებოდა, მეორე წელს არაფერში იქნებოდი დარწმუნებული, შიმშილი სიუხვეს შეცვლიდა, ბავშვები ან არ დაიბადებოდნენ, ან ძალიან ბევრი გაჩნდებოდა და კაცობრიობა ზეციურ და ჯოჯოხეთურ შესაძლებლობებს შორის ისე იფართხალებდა, როგორც ჩიტი, როცა ვინმე მის გალიას უახლოვდება.

– მართალია ეს ყველაფერი? – ჰკითხა გერდამ დაეჭვებით.

– ეს თქვენც უნდა იცოდეთ.

– რა თქმა უნდა, ზოგიერთი დეტალი ჩემთვისაც ნაცნობია, მაგრამ ამას გულისხმობდით თუ არა კამათის დროს, არ ვიცი. პროგრესზე თქვენი ლაპარაკი ისე ჟღერდა, თითქოს გინდოდათ, ვინმე გაგებრაზებინათ.

– თქვენ ყოველთვის ასე ფიქრობთ. მაგრამ ვიცით კი რამე პროგრესის შესახებ? არაფერი! უამრავი შესაძლებლობა არსებობს, როგორი შეიძლებოდა ის ყოფილიყო და მეც ერთ-ერთი დავასახელე.

– როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო! ყოველთვის ასე აზროვნებთ. არასოდეს ცდილობთ უპასუხოთ კითხვას,

როგორი უნდა ყოფილიყო!

– ნუ ჩქარობთ! ყოველთვის უნდა არსებობდეს რამე მიზანი, იდეალი, პროგრამა, აბსოლუტი. ბოლოს კი ხელში კომპრომისი, რაღაც საშუალო გვრჩება! არ მეთანხმებით, რომ დამღლელია და თან სასაცილო, უკიდურესობამდე მიხვიდე იმიტომ, რომ საბოლოოდ რაღაც საშუალო მიიღო?

არსებითად, ეს საუბარი დიოთიმასთან საუბარს ჰგავდა და მისგან მხოლოდ ფორმით თუ განსხვავდებოდა. მაგრამ ამ განსხვავების მიუხედავად ერთი საუბრიდან მეორეზე სულ ადვილად შეიძლებოდა გადასვლა. ისიც სულერთი იყო, რომელი ქალი ეჯდა ულრიხს გვერდით. სხეული, რომელიც უკვე არსებული აზრის ველში ხვდებოდა, გარკვეულ პროცესს იწვევდა! ულრიხი გერდას აკვირდებოდა, რომელმაც ბოლო კითხვაზე პასუხი არ გასცა. იჯდა მოხდენილი გერდა მის წინ და შუბლი შეეჭმუხნა. მკერდიდან კაბაზე ვერტიკალური ნაკეცი ეშვებოდა. გერდას გრძელი და ნაზი კიდურები ჰქონდა. ნაადრევი ზაფხულის ხვატით გათანგული გაზაფხული, – ასეთი ფიქრები აღუძრა გერდას ყურებამ და ამ ახალგაზრდულ სხეულში გამომწყვდეული თავნებობაც იგრძნო; ზიზღისა და სიმშვიდის უცნაურ ნარევსაც გრძნობდა. ხვდებოდა, რომ რაღაც გადაწყვეტილების მიღებასთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ფიქრობდა; გერდა კი იმისთვის იყო მოწოდებული, რომ გარკვეული როლი ეთამაშა. ულრიხმა უნებლიეთ იმ ახალგაზრდებზე დაიწყო ლაპარაკი, რომლებიც პარალელურ აქციაში მონაწილეობდნენ და ბოლოს ისეთი სიტყვები წარმოთქვა, რამაც გერდა დიდად გააკვირვა.

– ისინიც რადიკალურები არიან და არც მათ ვუყვარვარ. მეც იმავე გრძნობით ვპასუხობ, რადგან თავისებურად მეც რადიკალური ვარ და ნებისმიერ უწესრიგობას უფრო ვეგუები, ვიდრე სულიერ უწესრიგობას. მხოლოდ იმის ყურება არ მყოფნის, როგორ ვითარდება იდეები. მე მათ შორის კავშირიც მჭირდება! იდეათა ვიბრაცია კი არა, მათი სისქეც მჭირდება! სწორედ ეს არის ის, ჩემო განუმეორებელო მეგობარო, რის გამოც ასე მკიცხავთ; თითქოს მხოლოდ იმას ვყვებოდე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო და არა იმას, რა უნდა ყოფილიყო. ამ ორს ერთმანეთში არ ვურევ. ალბათ, ეს ყველაზე არადროული თვისებაა, რაც კი შეიძლება ადამიანს ამქვეყნად გააჩნდეს, რადგან არაფერია დღეს ერთმანეთისთვის ისე უცხო, როგორც

სიმკაცრე და ემოციურობა. ჩვენი მექანიკური სიზუსტე კი, სამწუხაროდ, იქამდე მივიდა, რომ უზუსტობა მართებულ დამატებად ეჩვენება. რატომ არ გინდათ, გამიგოთ? ალბათ, ვერც გამიგებთ. ჩემი მხრიდან კი უზნეობაა, როცა ვცდილობ, რომ ეპოქის სულს მორგებული გონება აგიმღვრიოთ. დამიჯერეთ, გერდა, ხანდახან საკუთარ თავს ვეკითხები, მართალი ვარ თუ არა. იქნებ სწორედ ისინი აკეთებენ იმას, რაც ოდესღაც მინდოდა, ვისაც ვერ ვიტან. იქნებ მცდარად აკეთებენ, უტვინოდ, ერთი ერთ მხარეს მიიწევს, მეორე კი – მეორე მხარეს; ნისკარტში კი ის აზრი გაუჩრიათ, რაც ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. თავი ყველას ჭკვიანი ჰგონია, ერთად კი ფიქრობენ, რომ მათი ეპოქა უნაყოფოა. ან იქნებ პირიქითაა? ყველა ცალ-ცალკე სულელია და ერთად – ნაყოფიერი? ჩანს, რომ ყოველი ჭეშმარიტება ქვეყნიერებას ურთიერთდაპირისპირებულ სიცრუედ ევლინება და ზეპიროვნულ შედეგამდე მისასვლელი გზაც, შესაძლოა, სწორედ ეს იყოს! მაშინ ცდების შედეგი ერთ ინდივიდში კი არ ვლინდება, რომელიც აუტანლად ცალმხრივია, არამედ მთლიანობაში, რომელიც რაღაც ექსპერიმენტულ გაერთიანებასავითაა. ერთი სიტყვით, იყავით შემწყნარებლური მოხუცი კაცის მიმართ, რომელიც მარტოობას ხანდახან ექსცესებამდე მიჰყავს!

– ამას რას მიყვებით! – პირქუში სახით უთხრა გერდამ. – წიგნს რატომ არ წერთ თქვენს მსოფლმხედველობაზე, იქნებ საკუთარ თავსაც დახმარებოდით და ჩვენთვისაც გეშველათ?

– წიგნი რატომღა უნდა დავწერო. ჩემი მშობელი დედაა, სამელნე კი არა.

გერდა ჩაფიქრდა, დაეხმარებოდა თუ არა მართლა ვინმეს ულრიხის წიგნი. იმ ახალგაზრდების მსგავსად, ვისთანაც მეგობრობდა, არც გერდა აფასებდა ნაბეჭდი სიტყვის ძალას. გერდა და ულრიხი გაჩუმდნენ და ოთახში სიჩუმე ჩამოწვა: როგორც ჩანდა, სტუმრებთან ერთად ცოლ-ქმარი ფიშელებიც წასულიყვნენ. გერდა მამაკაცის ძლიერი სხეულის ზეწოლას გრძნობდა. როცა მარტო რჩებოდნენ, ის ყოველთვის გრძნობდა ხოლმე ამას. გერდა ამ გრძნობას უჯანყდებოდა და ერთიანად კანკალებდა. ულრიხმა ეს შეამჩნია, წამოდგა, გერდას სუსტ მხარზე ხელი დაადო და უთხრა: – მინდა, ერთი რამე შემოგთავაზოთ, გერდა. დავუშვათ, რომ მორალურ

საკითხებშიც ზუსტად ისე ხდება, როგორც გაზის შესახებ კინეტიკურ თეორიაში. ყველაფერი ერთმანეთშია არეული და ყველა იმას აკეთებს, რაც მოესურვება. თუ გამოვითვლით, რეალურად იმას მივიღებთ, რასაც, ასე ვთქვათ, საფუძველი არა აქვს! უცნაური დამთხვევაა! ახლა დავუშვათ, რომ გარკვეული რაოდენობის იდეები უწესრიგოდ დაქრის ჩვენს ეპოქაში. ის რაღაც საშუალო მნიშვნელობას იძლევა, რომელიც ნელა და ავტომატურად მოძრაობს. ეგრეთ წოდებული პროგრესი და ისტორიული მდგომარეობაც სწორედ ეს არის. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ დროს ჩვენს პიროვნულ, ცალკეულ მოძრაობაზე აბსოლუტურად არაფერია დამოკიდებული. შეიძლება ვიყოთ მემარცხენეები და მემარჯვენეები, ვიაზროვნოთ ღრმად და ამაღლებულად, ახლებურად და ძველებურად, ვიყოთ დაუფიქრებელნი და წინდახედულნი. საშუალო მნიშვნელობისთვის ეს სულერთია. ღმერთსაც და სამყაროსაც ის აინტერესებს და არა ჩვენ!

ულრიხი შეეცადა, გერდას მოხვეოდა, თუმცა გრძნობდა, რომ თავისთვის ძალა უნდა დაეტანებინა.

გერდა გაბრაზდა.

– თქვენ ყოველთვის ღრმააზროვნად იწყებთ, მაგრამ მერე ყველაფერი ჩვეულებრივ ქათმის კაკანს ემსგავსება! – წამოიძახა მან. სახე უხურდა და თითქოს ტუჩებიც გაოფლიანებოდა. მის განრისხებაში სილამაზეც ერია. – ჩვენ სწორედ ის არ გვინდა, რაც თქვენ გამოგყავთ აქედან!

ულრიხმა ცდუნებას ვერ გაუძლო და ხმადაბლა ჰკითხა: – დაუფლება კლავს?

– არ მინდა ამაზე თქვენთან ლაპარაკი! – ასევე ხმადაბლა უპასუხა გერდამ.

– სულერთია, რას ეუფლები – ადამიანს თუ ნივთს, – განაგრძო ულრიხმა. – მეც ვიცი, გერდა. თქვენი და ჰანსის უკეთ მესმის, ვიდრე გგონიათ. მაინც რა გინდათ ან თქვენ, ან ჰანსს? თქვით.

– საქმეც ეს არის – არაფერი! – ნიშნის მოგებით წამოიძახა გერდამ. – სათქმელად ძნელია. მამაჩემიც სულ მიმეორებს: „გაარკვიე, რა გინდა და თვითონვე მიხვდები, რომ უაზრობაა“. ყველაფერი, რასაც ნათლად წარმოიდგენ, უაზრობაა! ჭკუა ბანალობის საზღვრებს ვერ სცდება. ახლა თქვენი

რაციონალიზმით დამიწყებთ ისევ...

ულრიხმა თავი გააქნია.

– გრაფი ლაინსდორფის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაცია რაღას ნიშნავს? – ისეთი მშვიდი ხმით ჰკითხა ულრიხმა, თითქოს ეს მათი საუბრის თემას შეადგენდა.

– ოჰ, ესე იგი ჯაშუშობთ კიდეც! – წამოიძახა გერდამ.

– დავუშვათ, რომ ვჯაშუშობ. კი ბატონო, როგორც გნებავთ, ისე იფიქრეთ.

გერდა დაიბნა.

– არაფერს განსაკუთრებულს. გერმანელი ახალგაზრდების პატარა დემონსტრაციას. ალბათ, მის სახლთან მსვლელობას უკმაყოფილო შეძახილებით. პარალელური აქცია საძაგლობაა!

– რატომ?

გერდამ მხრები აიჩეჩა.

– დაჯექით! – სთხოვა ულრიხმა. – ვერ აფასებთ ამას, როგორც წესი და რიგია. მოდით, ბოლოს და ბოლოს, მშვიდად ვილაპარაკოთ.

გერდა მის ნებას დაჰყვა.

– ყური დამიგდეთ, აბა, მესმის თუ არა თქვენი მდგომარეობა, – განაგრძო ულრიხმა. – თქვენ ამბობთ, რომ დაუფლება კლავს და ამ დროს ფული და თქვენი მშობლები გახსენდებათ. რა თქმა უნდა, მათი სულები მკვდარია.

გერდამ დამცინავი სახე მიიღო.

– მოდით, ფულის მაგივრად ყველანაირ დაუფლებაზე ვილაპარაკოთ. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს ფლობს; ადამიანი, რომელიც საკუთარ მოსაზრებებს ფლობს; ადამიანი, რომელიც სხვას მისი დაუფლების ნებას რთავს; ადამიანი, რომელიც საკუთარი ვნებებით, უბრალოდ ჩვევებით ან წარმატებით არის შეპყრობილი; ადამიანი, რომელსაც რაღაცის დაპყრობა უნდა; ადამიანი, რომელსაც საერთოდ რაღაც უნდა – ყველაფერს უარყოფთ? თქვენ ყარიბობა გინდათ. მოხეტიალე ყარიბობა, როგორც ეს ერთხელ ჰანსმა თქვა, თუ არ ვცდები.

სხვა ყოფიერებისა და დანიშნულებისკენ ილტვით? მართალს ვამბობ?

– შემაძრწუნებელ სიმართლეს ამბობთ. ჭკუას სულის მიბაძვის უნარი აქვს!

– ჭკუა კი დაუფლების ნაწილია? ის ზომავს, აწონ-დაწონის, ყოფს, აგროვებს. მოხუცი ბანკირივით არის, არა? განა საკმარისი ამბები არ მოგიყევით იმის საჩვენებლად, რამდენ დროს ფლანგავს ჩვენი სულის დიდი ნაწილი მასზე!

– ეს ცივი სულია!

– აბსოლუტურად მართალი ხართ, გერდა. მარტო იმას გეტყვით, რატომ ვარ ცივი გონების და თვით ბანკირის მხარეზეც კი.

– იმიტომ, რომ მშიშარა ხართ! – ულრიხმა შეამჩნია, რომ ლაპარკის დროს გერდა დამფრთხალი ლეკვივით აელვებდა კბილებს.

– ღმერთია მოწამე, რომ მართლა ასეა, – უპასუხა მან, – მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ სხვა არაფერი შემიძლია, ის მაინც დამიჯერეთ, რომ ნამდვილად მეყოფოდა გამბედაობა, მეხამრიდს ან კედლის შვერილს ამოვფარებოდი, დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ გაქცევის ყველა მცდელობა მამასთან გვაბრუნებს!

ამგვარი საუბრები გერდას ულრიხთან სხვა დროსაც ჰქონია და ამიტომ ამ თემებს თავს არიდებდა. გრძნობები, რომლებიც მათი საუბრის შინაარსს შეადგენდა, მხოლოდ მისი და ჰანსის კუთვნილება იყო; ამიტომ ულრიხის ირონიაზე მეტად საკუთარი თანხმობა აშინებდა, რაც მის წინაშე ასე უმწეოს გამოაჩენდა, რადგან ვერ გაეგო, გულწრფელი იყო ულრიხი თუ მკრეხელობდა. მისმა სევდიანმა სიტყვებმა გერდაზე ძლიერ იმოქმედა და ახლა სწორედ ეს შედეგები უნდა მოეთმინა. ცხადად ეტყობოდა, რომ გულის სიღრმეში მერყეობდა. ულრიხიც რაღაც მსგავსს განიცდიდა. ამ გოგოზე საკუთარი ძალაუფლებით გამოწვეული უზნეო სიხარული მისთვის უცხო იყო. გერდას სერიოზულად არც აღიქვამდა და რადგან მისდამი ულრიხის დამოკიდებულება ინტელექტუალურ ანტიპათიასაც მოიცავდა, ამიტომ მას, როგორც წესი, რაღაც უსიამოვნოს ეუბნებოდა. მაგრამ რაც უფრო ენერგიულად ასრულებდა

გერდას წინაშე სამყაროს ადვოკატის როლს, მით უფრო ძლიერ იპყრობდა სურვილი, მინდობოდა მას, შეულამაზებლად, სიყალბის გარეშე დაენახვებინა საკუთარი სული და მის სულშიც ჩაეხედა. ამიტომ შეფიქრიანებულმა გერდას სახეში შეხედა და უთხრა: – მზერა თქვენს ღაწვებს შორის მოისვენებდა, ცაზე ღრუბლების მსგავსად. ოღონდ არ ვიცი, ღრუბლებს მოსწონთ, რომ ცაზე კიდიან? ერთად აღებულ ყველა ჰანსზე კარგად ვიცნობ იმ წუთებს, როცა უფალი ხელთათმანივით აგვიღებს და საკუთარ ხელზე ნელა-ნელა გადმობრუნებულს წამოგვიცვამს! ცხოვრებას მეტისმეტად ირიოლებთ; პოზიტიური სამყაროს მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენთ და ამტკიცებთ, რომ პოზიტიური სამყარო მშობლებისა და უფროსების სამყაროა, ბუნდოვანი ნეგატიურობა კი – ახალგაზრდებისა. არ მინდა, თქვენი მშობლების ჯაშუშის როლი შევასრულო, საყვარელო გერდა, მაგრამ ბანკირსა და ანგელოზს შორის გადაწყვეტილების მიღებისას გირჩევთ, გაითვალისწინოთ, რომ ბანკირის პროფესიის რეალური ბუნებაც რაღაცას ნიშნავს!

– ჩაის მიირთმევთ? – მკვახედ თქვა გერდამ. – ნება მომეცით, მასპინძლობა გაგიწიოთ. ხომ გინდათ, ჩემი მშობლების სანაქებო შვილიც იხილოთ?

გერდა ისევ მოერია საკუთარ გრძნობებს.

– დავუშვათ, ჰანსს გაჰყევით ცოლად.

– ცოლად გაყოლას არ ვაპირებ.

– რამე მიზანი ხომ უნდა გქონდეთ! ხომ არ შეიძლება, მშობლებს გაუთავებლად უპირისპირდებოდეთ!

– ერთ მშვენიერ დღესაც სახლიდან წავალ, დამოუკიდებლობას მოვიპოვებ, მშობლებთან კი ვიმეგობრებ.

– გერდა, მოდით, ერთი წუთით დავუშვათ, რომ ჰანსს გაჰყევით ცოლად ან ამის მსგავსი. ხომ იცით, რომ ეს გარდაუვალია, თუ ასე გაგრძელდა. ახლა წარმოიდგინეთ, როგორ იხეხავთ კბილებს სამყაროსგან განდგომილი და როგორ იღებს ჰანსი გადასახადების ქვითარს.

– ამის წარმოდგენა აუცილებელია?

– მამათქვენმა რომ იცოდეს, რა არის სამყაროსგან განდგომა,

„ჰოს“ იტყოდა. ჩვეულებრივი ადამიანები უჩვეულო განცდებს ცხოვრების გემის ტრიუმში ისე ღრმად ინახავენ, რომ მათ ვეღარასდროს ამჩნევენ. მოდით, ახლა უფრო მარტივი საკითხი განვიხილოთ. როგორ ფიქრობთ, მოითხოვთ ჰანსისგან, რომ თქვენი ერთგული იყოს? ერთგულება დაუფლების კომპლექსის ნაწილია! თუ ჰანსი სხვა ქალის სიყვარულით სულს გაიძლიერებს უნდა ჩათვალოთ, რომ ასეც არის საჭირო. თქვენი კანონების თანახმად, ამ ფაქტს ისე უნდა შეხედოთ, როგორც საკუთარი ცხოვრების გამდიდრების შესაძლებლობას.

– ნუ გგონიათ, ამ საკითხებზე არ ვლაპარაკობდეთ! ხელის ერთი მოსმით ახალი ადამიანი ვერ გახდები, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ეს შეუძლებელია, მეტისმეტად ბურჟუაზიული აზროვნებაა.

– კაცმა რომ თქვას, მამათქვენი სრულიად სხვა რამეს მოითხოვს თქვენგან, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ის არასდროს არ ამტკიცებს, რომ ამ საკითხებში თქვენზე ან ჰანსზე ჭკვიანია. უბრალოდ, ამბობს, რომ არ ესმის, რასაც აკეთებთ. ის კი იცის, რომ ძალა მეტისმეტად გონივრული რამეა; სწამს, რომ უფრო მეტად გონიერია, ვიდრე თქვენ და ჰანსი ერთად. რას იტყოდით, ჰანსისთვის ფული რომ შეეთავაზებინა, რათა მას ბოლოს და ბოლოს სწავლა უზრუნველად დაემთავრებინა? გამოსაცდელი ვადის შემდეგ ქორწინებას თუ არ დათანხმდებოდა, პრინციპული „არა“ მაინც არ ეთქვა? თქვენთვის პირობად რომ წაეყენებინა, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში შეგეწყვიტათ ის ურთიერთობა, რაც ახლა გაქვთ?!

– ხედავთ, სადამდე დახვედით?

– უბრალოდ, მინდოდა, თქვენთვის მამათქვენი დამენახვებინა. ის პირქუში ღვთაებაა ავბედითი უპირატესობით. ფიქრობს, რომ ფული ჰანსს სწორედ იქ მიიყვანს, სადაც უნდა, რომ ის იხილოს – რეალობასთან! ვერც ერთი ჰანსი, მისი აზრით, რომელსაც მოკრძალებული ყოველთვიური შემოსავალი აქვს, ვეღარ იქნება უსაზღვრო სულელი. იქნებ მამათქვენი ფანტაზიორია? მისით ისევე ვარ აღფრთოვანებული, როგორც კომპრომისით, საშუალო სიდიდეებით, მკვდარი რიცხვებით, სულის სიმქრალით. ეშმაკის არ მჯერა, მაგრამ რომ მჯეროდეს, მას იმ მწვრთნელად წარმოვიდგენდი, რომელიც ზეცას რეკორდების დამყარებით ხდის სულს. მამათქვენს დავპირდი,

ისეთი დარტყმა მომეყენებინა, რომ ქიმერებისგან რეალობის მეტი აღარაფერი დაგრჩენოდათ.

ეს სიტყვები ულრიხს სუფთა სინდისით არ წარმოუთქვამს. გერდა იდგა და ისე ღუოდა, თითქოს ცეცხლი მოსდებოდა. ცრემლმომდგარი თვალებიდან, მრისხანება გამოუკრთოდა. უეცრად მას და ჰანსს გზა გაეხსნათ. ნეტავ ულრიხმა გასცა გერდა თუ მისი დახმარება უნდოდა? არ იცოდა. ერთმაც და მეორემაც ბედნიერებაც უბედურებაც განაცდევინა და ისეთი აფორიაქებული იყო, რომ ულრიხს ვეღარ ენდობოდა და მთელი არსებით გრძნობდა, რომ წმიდათაწმიდა საკითხებში მასთან ძალზე ახლოს იდგა. უბრალოდ, ულრიხს ამის ჩვენება არ უნდოდა. ულრიხმა დაამატა: – მამათქვენს ფარულად სურს, რომ ამასობაში გაგეარშიყოთ და თქვენი აზრები გადაგავიწყოთ.

– გამორიცხულია! – აღმოხდა გერდას.

– ჩვენ შორის, ალბათ, გამორიცხულია, – რბილად გაიმეორა ულრიხმა, – მაგრამ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ისე, ღრმად შევტოპე...

ულრიხმა გაღიმება სცადა. გერდას გაუბედაობას გრძნობდა და საკუთარი თავი სძულდა.

გერდა თავზარდაცემული იდგა და ულრიხს უყურებდა. იმწუთას ისეთი ლამაზი იყო, როგორც ცეცხლი, რომ მიუახლოვდები, ის კი, ფორმადაკარგული, ისეთ სითბოს აფრქვევს, რომ ნებისყოფას უდუნებს კაცს.

– მესტუმრეთ ერთხელ! – შესთავაზა გერდას. – აქ ყველაფერზე ვერ ვილაპარაკებთ. – ულრიხს თვალები ცარიელი, მამაკაცური უცერემონიობით ანთებოდა.

– არა! – უარი უთხრა გერდამ და მზერა მოაცილა.

ულრიხის წინ ახალგაზრდა ქალი იდგა და მძიმედ სუნთქავდა. არც უშნო, არც ლამაზი. ულრიხმა ამოიხვნეშა და თანაც აბსოლუტურად გულწრფელად.

104. რახელი და სოლიმანი საომარ ბილიკზე

უზენაესი მოვალეობებითა და იდეებით სავსე ტუცის სახლში მარდი, ცქვიტი, არაგერმანელი არსება მოქმედებდა, რომელიც

თავის საქმეს აღმაფრენით ასრულებდა. და მაინც პატარა რახელი მოახლეს გაგახსენებდათ მოცარტის ოპერიდან. ის აღებდა შემოსასვლელ კარს, სტუმრებს ეგებებოდა და მუდამ მზად იყო პალტოების ჩამოსართმევად. ულრიხს ხშირად უჩნდებოდა სურვილი, გაეგო, იცოდა თუ არა რახელმა რამე ტუცის ოჯახთან მისი ნათესაური კავშირის შესახებ და ცდილობდა, მისთვის თვალებში ჩაეხედა. რახელი კი ან თვალს არიდებდა და თავს გვერდზე ხრიდა, ან მის მზერას ორ გაუმჭვირვალე ხავერდის ლაქას ახვედრებდა. ულრიხს ახსოვდა, პირველი ნახვის დროს რახელს სულ სხვა მზერა რომ ჰქონდა, რამდენჯერმე შემოსასვლელის ბნელი კუთხიდან რახელისკენ მომზირალი თვალებიც შეამჩნია ორ თეთრ ნიჟარასავით. ეს სოლიმანის თვალები იყო. მაგრამ კითხვა, იყო თუ არა ეს ბიჭი რახელის თავშეკავებული ქცევის მიზეზი, უპასუხოდ რჩებოდა, რადგან რახელი მის მზერასაც უპასუხოდ ტოვებდა და როგორც კი მასპინძელს სტუმრის მოსვლას აცნობებდა, მაშინვე ოთახიდან უხმოდ უჩინარდებოდა.

რეალობა კი იმაზე რომანტიკული გახლდათ, ვიდრე ეს დამკვირვებელს წარმოედგინა. რახელთან არნჰაიმის დაბეზღებით სოლიმანმა მისი შავბნელ მაქინაციებში გაბმა მოახერხა და ეს ცვლილებები დიოთიმათი რახელის ბავშვურ აღტაცებასაც დაეტყო. რახელის სანიმუშო ქცევისა და თავდადებული სიყვარულის მოთხოვნილება მთლიანად ულრიხის გარშემო კონცენტრირდა. ჯაშუშობის აუცილებლობაში სოლიმანის მიერ დარწმუნებული რახელი ყველა მოვლენას უთვალთვალებდა, კარს უკან ჩასაფრებული საუბრებს ყურს უგდებდა, განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის და მის ცოლს შორის ლაპარაკისთვისაც მოეკრა ყური და არც ულრიხის ნახევრად მტრული, ნახევრად კეთილმოსურნე პოზიცია გამოჰპარვია, რომელსაც იგი დიოთიმასა და არნჰაიმს შორის იკავებდა. გრძნობები, რომელთაც რახელი მოეცვა, ამბოხსა და სინანულს შორის მერყეობდა და ულრიხის პოზიციასთან აახლოებდა. დიოთიმა კი ვერაფერს ხვდებოდა. რახელი დიდი ხანია ამჩნევდა, რომ ულრიხი მისგან რაღაცას ელოდა. აზრადაც კი არ მოსვლია, რომ ულრიხს, შესაძლოა, ის მოსწონებოდა. მართალია, მუდამ ოცნებობდა – ოჯახისგან მოძულებული, ცდილობდა, თავისიანებისთვის გალიციაში დაენახვებინა, რომ არ დაიკარგებოდა და ხალხში გამოსვლასაც მოახერხებდა – დიდ გამართლებაზე, მოულოდნელ

მემკვიდრეობაზე, აღმოჩენაზე, იმაზე, რომ ის – კეთილშობილი ოჯახის უარყოფილი შვილი – რომელიმე თავადს ხიფათისგან იხსნიდა, მაგრამ მის ქალბატონთან სტუმრად მოსული რომელიმე ბატონის საყვარლობა ან თუნდაც ცოლობა არც უფიქრია; ამიტომ მზად იყო, ულრიხისთვის სამსახური გაეწია. სწორედ მან და სოლიმანმა გაუგზავნეს გენერალს მოსაწვევი, როცა გაიგეს, რომ იგი ულრიხთან მეგობრობდა. ცხადია, ასე იმიტომაც მოიქცნენ, რომ უნდოდათ, საქმე ადგილიდან დაეძრათ; წინაისტორია კი იმის საფუძველს აძლევდათ, გენერალი ამ საქმისთვის შესაფერისად მიეჩნიათ. რადგან რახელი ულრიხის ყოველ მოძრაობას ცნობისმოყვარედ უთვალთვალებდა, ამიტომ ის სიახლოვეც გარდაუვალი იყო, რაც მათ შორის გაჩნდა. ულრიხის ტუჩების, თვალების, თითების მოძრაობას იმ სანახაობად აღიქვამდა, მსახიობი რომ ასრულებს და მას იმ ადამიანივით მიეჯაჭვა, რომელსაც საკუთარი უჩინარი არსებობა დიდ სცენაზე წარმოუდგენია. გასაღების ჭუჭრუტანასთან სათვალთვალოდ ჩაცუცქულ რახელს გრძნობები მკერდზე შემოტმასნილ კაბასავით უჭერდა და საკუთარ თავს უზნეობაში სდებდა ბრალს, რადგან სოლიმანის არშიყობას მტკიცე წინააღმდეგობას არ უწევდა. ასეთი გახლდათ ის მიზეზი, რომლის შესახებ ულრიხს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ პასუხობდა ულრიხის ცნობისმოყვარეობას რახელი ასეთი მოწიწებით და სამაგალითო, კარგად აღზრდილი მოახლის როლს თამაშობდა.

ულრიხს ვერ აეხსნა უმანკოება ქმნილებისა, ბუნებას ნაზი ალერსისთვის რომ გაეჩინა და მასავით ტურფა ქალისთვის ესოდენ იშვიათი ფრიგიდული სიჯიუტე აკვირვებდა. ერთხელ ულრიხი მოულოდნელ სცენას შეესწრო, რამაც იმედი გაუცრუა და რახელზე აზრი შეაცვლევინა. არნჰაიმი ახალი მოსული იყო. სოლიმანი შემოსასვლელში ჩაცუცქულიყო. რახელი კი, როგორც ყოველთვის, მაშინვე გაუჩინარდა. ულრიხმა არნჰაიმის მოსვლით გამოწვეული წუთიერი არეულობით ისარგებლა და შემოსასვლელში პალტოდან ცხვირსახოცის ამოსაღებად დაბრუნდა. შუქი უკვე ჩაექროთ, მაგრამ სოლიმანი ისევ იქ იყო და ვერ შეამჩნია, რომ ულრიხმა კარი მოსაჩვენებლად მიკეტა, ვითომ შემოსასვლელიდან გავიდა. სოლიმანი ნელა წამოდგა და ქურთუკიდან თეთრი დიდი ზამბახი ამოიღო. ყვავილს ჯერ დახედა და შემდეგ თითისწვერებზე სამზარეულოს ჩაუარა. ულრიხმა კარგად იცოდა რახელის ოთახის ადგილსამყოფელი,

სოლიმანს უჩუმრად გაჰყვა და ყველაფერი დაინახა. სოლიმანი კართან შეჩერდა, ყვავილი ჯერ ტუჩებთან მიიტანა, შემდეგ სახელურზე ჩამოდო, ღერო სახელურზე ნაჩქარევად ორჯერ დაახვია და მისი ბოლო ჭუჭრუტანაში შეარჭო. გზაში თაიგულიდან ყვავილის შეუმჩნევლად ამოძრობა და მისი დამალვა ადვილი არ იყო და რახელიც ამ ყურადღებას სოლიმანს დიდად უფასებდა. ვინმეს რომ კვალზე წაესწრო და სამსახურიდან დაეთხოვათ, რახელისთვის ეს სიკვდილი და განკითხვის დღე იქნებოდა; ამიტომ სადარაჯოზე ფხიზლად იდგა და სოლიმანის ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებდა. როცა სოლიმანი მოულოდნელად სამალავიდან გამოხტებოდა და რახელს თეძოზე ჩქმეტდა, არ სიამოვნებდა და წამოყვირებასაც ვერ ბედავდა; მაგრამ მის მიმართ რისკის ფასად ყურადღებას რომ იჩენდნენ, თავგანწირვით უკან დასდევდნენ და მის ხასიათს რთულ სიტუაციაში ცდიდნენ, რახელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ეს პატარა მაიმუნი მოვლენებს აჩქარებდა და რახელს ეს უაზრობად და საშიშად მიაჩნდა. დროდადრო საკუთარი პრინციპებისგან სრულიად განსხვავებული მაცდური სურვილი იპყრობდა – აფრიკელი თავადის ვაჟის მომლოდინე, ჩასაფრებული, მისი, მოახლის, მსახურებისთვის შექმნილი, სქელი ტუჩებით ესარგებლა.

ერთ დღეს სოლიმანმა ჰკითხა, გაბედული თუ ხარო. არნჰაიმი დიოთიმასთან და ორ მეგობართან ერთად მთაში წასულიყო და სოლიმანი შინ დაეტოვებინა. მზარეულ გოგოსაც ოცდაოთხსაათიანი შვებულება ერგო, ტუცი კი რესტორანში სადილობდა. რახელი სოლიმანს იმასაც მოუყვა, რომ ოთახში სიგარეტის სუნი დახვდა, და დიოთიმას შეკითხვამ, რას ფიქრობო, ორივეს ავარაუდებინა, კრებაზე რაღაც ხდება და ჩვენც გააქტიურება გვმართებსო. სოლიმანმა რახელს გამოუცხადა, რომ ბატონისთვის საკუთარი თავადური წარმომავლობის დამამტკიცებელი საბუთის მოპარვას აპირებდა. რახელს ასეთი საბუთის არსებობის არ სჯეროდა, მაგრამ მაცდური ცვლილებები გარშემო სურვილს უჩენდა, მომხდარიყო. შეთანხმდნენ, რომ სოლიმანი გამოუვლიდა და რახელი წინსაფრით და ჩაჩით გაჰყვებოდა სასტუმროში, რათა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, ვითომ ბატონს გაეგზავნა რაღაც დავალებით. ქუჩაში რომ გავიდნენ, ისეთი ბუღი იდგა და მაქმანებიან წინსაფარში ისე დასცხა, რომ კინაღამ თვალთ დაუბნელდა. სოლიმანმა ტაქსი გაბედულად გააჩერა. ბოლო

ხანებში მას ბევრი ფული ჰქონდა, რადგან არნჰაიმი ხშირად დაბნეული იყო ხოლმე. რახელმა მხნეობა მოიკრიბა და ყველას დასანახად ისე ჩაჯდა ტაქსიში, თითქოს მისი პროფესიული მოვალეობა სწორედ ამ ზანგის ბიჭუნასთან სეირნობა ყოფილიყო. მანქანამ ისინი ელეგანტურად გამოწყობილი უსაქმურებით სავსე დილის ელვარე ქუჩებში გააქროლა, რომლებიც მათი კანონიერი საკუთრება იყო. რახელი ისე ღელავდა, თითქოს ვინმეს გასაქურდად მიდიოდა. შეეცადა, ისე მოხერხებულად მოკალათებულიყო, როგორც დიოთიმა აკეთებდა ხოლმე. მანქანა არწევდა და ქაოსურ მოძრაობებს მის სხეულსაც გადასცემდა. სოლიმანმა ისარგებლა და რახელის ტუჩებს შტემპელის განიერი ბალიშებივით ტუჩებით მიეკრა. ალბათ, გარედან ჩანდნენ კიდეც, მაგრამ მანქანა მიქროდა და საზურგიდან რახელს სხეულში თითქოს არომატული სითხე ეღვრებოდა.

არაბმა მძღოლს მანქანა ზედ სასტუმროს შესასვლელთან გააჩერებინა. შავი აბრეშუმისსახელოიანი და მწვანეწინსაფრიანი მეეზოვეები რახელს ღიმილით შეჰყურებდნენ, როცა ის მანქანიდან გადმოდიოდა. სოლიმანმა მძღოლს ფული გადაუხადა. კარისკაცი მინის კარიდან მოშტერებოდათ. რახელს ეგონა, რომ ფეხქვეშ მიწა გამოეცლებოდა. შემდეგ კი მოეჩვენა, რომ სოლიმანი სასტუმროში დიდი გავლენით სარგებლობდა, რადგან უზარმაზარი სვეტებიანი დარბაზი ისე გაიარეს, რომ არავის შეუჩერებია. დარბაზში აქა-იქ ღრმა სავარძლებში ვიღაც კაცები ისხდნენ და რახელს თვალს აყოლებდნენ. რახელს ისევ შერცხვა; შემდეგ კიბეზე ავიდა, მასავით შავ კაბასა და თეთრ ჩაჩებში გამოწყობილი მოახლე გოგოები დაინახა და ისეთი გრძნობა დაეუფლა, როგორც მეცნიერს, უცნობ და ალბათ საშიშ კუნძულზე რომ დაეხეტება და ადამიანებს პირველად გადაეყრება.

მდიდრული სასტუმროს აპარტამენტები რახელს აქამდე არ ენახა. სოლიმანმა ყველა კარი ჩაკეტა და თავი ვალდებულად ჩათვალა, მეგობრისთვის კიდევ ერთხელ ეკოცნა. ისინი ხშირად კოცნიდნენ ერთმანეთს. ბავშვურად მხურვალე ეს კოცნა უფრო ამშვიდებდათ, ვიდრე საშიშად ადუნებდათ. ახლა, როცა ჩაკეტილ ოთახში პირველად დარჩნენ მარტონი, სოლიმანმა ოთახის კიდევ უფრო რომანტიკულად იზოლირება გადაწყვიტა: დარაბები მიხურა და დერეფანში გამავალი

ჭუჭრუტანები ამოქოლა. რახელი მეტისმეტად ღელავდა იმისთვის, რომ სხვა რამეზე ეფიქრა და თავში მხოლოდ ერთი რამ უტრიალებდა – საკუთარი გაბედულება და სირცხვილი, რომელიც იმ შემთხვევაში ელოდა, თუ ვინმე წაასწრებდათ.

შემდეგ სოლიმანმა რახელი არნჰაიმის კარადებთან და ჩემოდნებთან მიიყვანა. ერთის გარდა, სოლიმანს ყველა ჩემოდანი გაეხსნა. ცხადი იყო, არნჰაიმი საიდუმლოს სწორედ იმ ჩაკეტილ ჩემოდანში მალავდა. სოლიმანმა გახსნილ ჩემოდნებს გასაღებები გამოაძრო და იმ ჩემოდნის გაღება სცადა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოარგო, თან გაუჩერებლად ლაქლაქებდა. მისი პირიდან აქლემებზე, უფლისწულებზე, საიდუმლო შიკრიკებზე ამბების მთელი მარაგი ნიაღვარივით მოედინებოდა. რახელს თმის სარჭი გამოართვა და საკეტის გახსნა სცადა. როცა არაფერი გამოუვიდა, კარადებსა და კომოდებს გასაღებები გამოაძრო, იატაკზე დააწყო და დაჩოქილი, ჩაფიქრებული დაჰყურებდა, რათა გამოსავლისთვის მიეგნო.

– ხომ ხედავ, როგორ მიმალავს! – უთხრა რახელს და თან შუბლს ისრესდა. – მოდი, ჯერ სხვა რამეს გაჩვენებ!

სოლიმანმა არნჰაიმის ჩემოდნებისა და კარადების თავგზისამბნევი სიმდიდრე რახელს ფეხებთან პირდაპირ იატაკზე გაუშალა. რახელი ჩაცუცქდა, ხელები მუხლებზე შემოიჭდო და მთელ ამ ქონებას ცნობისმოყვარედ დააცქერდა. დახვეწილი ტკბობით განებივრებული კაცის ინტიმური გარდერობი არასდროს ენახა. მისი ბატონი, რა თქმა უნდა, ულაზათოდ არ იცვამდა, მაგრამ არც ამდენი ფულის გადახდის სურვილი ჰქონდა თეთრეულისა და ტანსაცმლის ეშმაკი გამომგონებლებისთვის და არც ასეთი ნივთების მოთხოვნილება. დახვეწილი, ქალაქურად ნაზი, კაცმა არ იცის, რისთვის გამოსადეგი ასეთი ნივთები არც მის ქალბატონს ჰქონდა. ნაბობისადმი უწინდებურმა შიშმა და მოკრძალებამ რახელში კვლავ გაიღვიძა. სოლიმანს კი თავი მოჰქონდა, რადგან შეატყო, რომ მისი ბატონის სიმდიდრემ რახელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გაყოყოჩებულმა ყველაფერი გამოფინა, თან რახელს ამ მოწყობილობების ხმარების საიდუმლოს საგულდაგულოდ უხსნიდა. რახელი დაიღალა. უცებ გაახსენდა, რომ ერთი ხანია დიოთიმას ასეთი ნივთები გაუჩნდა, თუმცა მრავალფეროვნებით აქ ნანახს მაინც

ვერ შეედრებოდა, მაგრამ თუ მათ უწინდელ მონასტრულ სისადავეს შეადარებდით, მაშინ ამ სანახაობასთან მათ უფრო მეტი საერთო ჰქონდა, ვიდრე მკაცრ წარსულთან. იმწუთას რახელი სამარცხვინო ეჭვმა შეიპყრო: მის ქალბატონსა და არნჰაიმს შორის ურთიერთობა, ალბათ, ნაკლებად სულიერი იყო, ვიდრე ეგონა.

რახელი ყურებამდე გაწითლდა.

მას შემდეგ, რაც დიოთიმასთან მსახურობდა, ამ სფეროს ფიქრითაც კი არ შეხებია. თავისი ქალბატონის დიდებულ სხეულს თვალებით ხარბად ჭამდა, როგორც ფხვნილს ქაღალდიანად და ამ დიდებულებას ისეთს არაფერს უკავშირებდა, რაც მას მოიხმარდა. წარჩინებულ ადამიანთა შორის ცხოვრება იმგვარ კმაყოფილებას ჰგვრიდა, რომ მამაკაცებს საპირისპირო სქესის რეალურ არსებებად აღარც აღიქვამდა და მათ რომანტიკულ და რომანულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ კეთილშობილური წარმოდგენების წყალობით იმ ხანას დაუბრუნდა, როცა სქესობრივ მომწიფებას იწყებ და სხვათა დიდებულების ხილვა თავდავიწყებით გიტაცებს. ამით აიხსნებოდა ის თავბრუდამხვევი სისუსტე, რის გამოც სოლიმანის მონაჭორებს ასე დაჰყვა, იმ დროს, როცა სხვა რომელიმე მზარეული გოგო ამ მონაჩმახზე ამრეზით გაიცინებდა. ახლა, როცა რახელი იატაკზე იჯდა და არნჰაიმსა და დიოთიმას შორის ცოლქმრული სარეცლის შემბილწავ კავშირს ასე თვალნათლივ ხედავდა, არაბუნებრივი სულიერი მდგომარეობიდან გამოფხიზლებულს თვალი აეხილა და სამყაროს ხორციელი ბუნების უნდობელი ხასიათი დაინახა.

რომანტიზმი წამში გაქრა. რახელმა ბრაზი იგრძნო, სხეულმა – შეუპოვრობა, რადგან ფიქრობდა, რომ ოდესმე მოახლესაც თავისი წილი უნდა რგებოდა. სოლიმანი რახელის გვერდით გაშლილი ნივთების წინ ჩაცუცქულიყო. შემდეგ ყველაფერი მოაგროვა, რითაც რახელი აღფრთოვანდა და ცდილობდა, მისთვის წინსაფრის ჯიბეში ჩაეტენა საჩუქრად, თუმცა ჯიბე მათ ვერ იტევდა. უცებ წამოხტა და ისევ სცადა ჩემოდნის გაღება, ამჯერად ჯიბის დანით, თან შესთავაზა, ბატონის დაბრუნებამდე გავიქცეთ, საბანკო წიგნაკით იმდენ ფულს ავიღებ, რომ ორივეს გვეყოფაო. ეს სულელი ბიჭი ფულის საკითხში დიდი ადამიანივით ერკვეოდა, მაგრამ ჯერ ის საბუთი უნდა ჩაეგდო ხელში.

რახელი წამოდგა. წინსაფრის ჯიბე შიგ ჩატენილი საჩუქრებისგან გაითავისუფლა და თქვა: – მორჩი ყბედობას! დრო აღარ მაქვს. რომელი საათია?

რახელმა წინსაფარი და ჩაჩი გაისწორა. სოლიმანმა მაშინვე იგრძნო, რომ ის თამაშში აღარ აჰყვებოდა და იმასაც მიხვდა, რომ რახელი მასზე უფროსი იყო. სანამ შეეპასუხებოდა, რახელმა გამომშვიდობების ნიშნად აკოცა და სოლიმანის სახის წვნიან ნაყოფში ტუჩებით ჩაეფლო, რომლებიც უწინდებურად აღარ უთრთოდა; პატარა სოლიმანს თავი უკან გადაუწია და იმდენ ხანს კოცნიდა, რომ კინაღამ დაახრჩო. სოლიმანი ფართხალებდა. როცა რახელმა ხელი გაუშვა, ასე ეგონა, რომ მასზე ძლიერმა ბიჭმა თავი წყალში ჩააყოფინა და სამაგიეროს გადახდა მოუნდა. რახელი კარში გასხლტა და თან ცეცხლმოდებული ისარივით გაავებული მზერა გაიყოლა; შემდეგ კი ცეცხლი რბილ ფერფლად ჩაინავლა. სოლიმანმა იატაკიდან ბატონის ნივთები წამოკრიფა, თავის ადგილზე დააწყო და იმ ახალგაზრდა კაცად გადაიქცა, რომელსაც უნდოდა, რაღაც ისეთისთვის მიეღწია, რაც მიუღწეველი სულაც არ იყო.

105. ამაღლებულ სიყვარულს სიცილისთვის არ სცხელა

მთაში ექსკურსიის შემდეგ არნჰაიმი ჩვეულებრივზე უფრო დიდი ხნით გაემგზავრა. სიტყვა „გაემგზავრას“ ხმარება, ცოტა არ იყოს, უცნაურია. უფრო მართებული იქნებოდა, თუ ვიტყოდით „სახლში გაემგზავრა“. მრავალი არწმუნებდა მიზეზი მას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღების აუცილებლობაში. ცხადში სიზმრები, მისი ფხიზელი გონებისთვის მანამდე უცხო, მუდამ თან სდევდა. ერთი მათგანი შეუპოვრად სულ თვალწინ ედგა, ხედავდა, როგორ იდგნენ ის და დიოთიმა ერთ წამს სამრეკლოს თავზე. ქვემოთ ხასხასა მდელო ბიბინებდა. შემდეგ ხტებოდნენ. საღამოს ცოლ-ქმრის საძინებელში რაინდული რიდის გარეშე შეაღწია და განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი გასროლით მოკლა; ესეც აშკარად ამ ზმანების ნაწილი იყო. დუელშიც შეეძლო გამოეწვია, მაგრამ არნჰაიმს ეს არაბუნებრივად ეჩვენებოდა; ამ წარმოდგენას რეალობის უამრავი წეს-ჩვეულება ამძიმებდა და რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა სინამდვილეს, წინააღმდეგობებიც მით უფრო იზრდებოდა. ბოლოს და ბოლოს, შეეძლო, ტუცისთვის მეუღლის ხელი ღიად ეთხოვა.

ამაზე რაღას იტყოდა ტუცი? ეს ნიშნავდა, რომ თავი სასაცილოდ აეგდო. იმ შემთხვევაში კი, ტუცი რომ ჰუმანურად მოქცეულიყო და სკანდალის ალბათობა მინიმუმამდე შემცირებულიყო ან დავუშვათ, სკანდალი საერთოდ არ მომხდარიყო – რადგან საზოგადოების მაღალი წრეები განქორწინებას თანდათან ეგუებოდა – მაინც ვერ გაექცეოდა იმ ფაქტს, რომ ნაგვიანები ქორწინებით თავს სასაცილოდ გაიხდიდა, სწორედ ისე, ცოლ-ქმარს ვერცხლის ქორწილზე შვილი რომ გაუჩნდეთ. და თუ მაინც ასეთი ნაბიჯი უნდა გადაედგა, საქმისადმი პასუხისმგებლობა მოითხოვდა, მდიდარ ამერიკელ ქვრივზე ან სამეფო კართან დაახლოებულ არისტოკრატზე დაქორწინებულიყო და არა ვინმე ბურჟუა ჩინოვნიკის გაყრილ ცოლზე. ემოციურ საკითხებშიც კი არნჰაიმის ყოველი მოქმედება პასუხისმგებლობით იყო სავსე. ეპოქაში, როცა ადამიანთა ნამოქმედარს თუ ნააზრევს პასუხისმგებლობა ასე ნაკლებად ეტყობა, ამგვარ პრეტენზიებს მისი პიროვნული პატივმოყვარეობა კი არა, ზეპიროვნული მოთხოვნილება ბადებდა: შეეთანხმებინა ხელთ არსებული ძალაუფლება (რომელიც თავდაპირველად ფულისკენ სწრაფვას გაეჩინა, ახლა დამოუკიდებელი არსებობა შეეძინა და არნჰაიმს აღარ ემორჩილებოდა; თავისი ჭკუა და ნება გააჩნდა, გაზრდას და განმტკიცებას ითხოვდა, შეიძლებოდა, სენი შეჰყროდა ან, თუ ცოტათი დაყოვნდებოდა, სულაც ჟანგი მოსდებოდა) ყოფიერების ძალებთან და იერარქიებთან, რაც მას დიოთიმასგან არც არასდროს დაუმალავს. როცა ამხელა ძალაუფლებას ფლობ, უბირზეც შეგიძლია იქორწინო, თხებს რომ მწყემსავს. პიროვნულად, შეგიძლია, თავს ამის უფლება მისცე. ისე კი ასეთი სისუსტის გამოვლენა საქმის ღალატია.

მიუხედავად ყველაფრისა, არნჰაიმმა მაინც სთხოვა დიოთიმას ცოლობა. ასე კი იმიტომ მოიქცა, რომ კეთილსინდისიერი ცხოვრებისათვის შეუფერებელი ცოლქმრული ღალატის თავიდან აცილება უნდოდა. მადლიერების ნიშნად დიოთიმამ ხელი ხელზე იმ ღიმილით მოუჭირა, ხელოვნების ისტორიიდან საუკეთესო ნიმუშებს რომ გაგახსენებდათ და უთხრა: „სინამდვილეში, ვისაც ვეხვევით, ღრმა სიყვარულით სულაც არ გვიყვარს!“. ამ პასუხმა, მკაცრი შროშანის მომნუსხველი ყვითელი გულივით მრავალმნიშვნელოვანმა, არნჰაიმს გაბედულება დაუკარგა და ამ საკითხს აღარც მიბრუნებია. ზოგადი შინაარსის საუბრები კი, სადაც სიტყვები „გაყრა“,

„ქორწინება“, „ღალატი“ ფიგურირებდა, ხშირად ჰქონდათ. არნჰაიმს და დიოთიმას არაერთხელ განუხილავთ ის საკითხი, როგორ აშუქებდა თანამედროვე ლიტერატურა ცოლქმრულ ღალატს. დიოთიმას მიაჩნდა, რომ ეს პრობლემა სენსუალური თვალსაზრისით განიხილებოდა და არა წესიერების, თავდადების, ჰეროიკული ასკეტიზმის უდიადესი აზრის პოზიციებიდან. სამწუხაროდ, ეს მოსაზრება არნჰაიმისას ემთხვეოდა და მასაც ისღა დარჩენოდა, ამ ნათქვამისთვის შემდეგი დაემატებინა: პიროვნების ღრმა ზნეობრივი საიდუმლოს გაგება ჩვენს ეპოქაში თითქმის დაიკარგაო. ეს საიდუმლო კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა თავს ყველაფრის უფლება არ უნდა მისცეს. ეპოქა, როცა ყველაფერი ნებადართულია, ადამიანებს ბედნიერებას აკარგვინებს. წესიერების, თავშეკავების, რაინდობის, მუსიკის, ტრადიციების, ლექსების, ფორმის, აკრძალვის მიზანი ცხოვრებისათვის შეზღუდული და კონკრეტული ფორმის მინიჭებაა. არ არსებობს უსაზღვრო თავისუფლება. არ არსებობს უზენაესი ბედნიერება უზენაესი აკრძალვების გარეშე. საქმეშიც კი, თუ ყველა მოგებას გამოეკიდე, ვერაფერს მიაღწევ. ზღვარი მოვლენის საიდუმლოა, ძალის, ბედნიერების და იმ მოვალეობის საიდუმლოა, რომელიც სამყაროში თავის დამკვიდრებას გულისხმობს. ასე განმარტავდა არნჰაიმი ამ პრობლემას და დიოთიმაც უნდა დასთანხმებოდა. კანონიერების ცნება იმგვარ მნიშვნელობას იძენდა, რაც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუწვდომელი იყო და ამ შეხედულებათა სავალალო შედეგიც სწორედ ეს გახლდათ. დიდ ადამიანს კანონიერების მოთხოვნილება აქვს. ამაღლებულ წუთებში სამყაროს ვერტიკალურ სიმკაცრეს გრძნობ. კომერსანტი, რომელიც სამყაროს ეპატრონება, სამეფო კარს, არისტოკრატიას და სამღვდელოებას, როგორც ირაციონალურობის მატარებლებს, პატივს მიაგებს, რადგან კანონიერება მარტივია, როგორც ყოველივე ამაღლებული, და ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება. ჰომეროსი მარტივი იყო. ქრისტე მარტივი იყო. დიდი მოაზროვნენი ისევ და ისევ უბრუნდებიან იმ მარტივ წესებს, რომ ადამიანს უნდა ეყოს გამბედაობა და ზნეობრივი ბანალურობა აღიაროს. საბოლოო ჯამში არავის ისე არ უჭირს ტრადიციების საწინააღმდეგო მოქმედება, როგორც ჭეშმარიტად თავისუფალ სულს.

ასეთი შეხედულებები, რაც უნდა სწორი იყოს, უცხო ოჯახში

შეჭრის განზრახვას ხელს არ უწყობს. ამიტომ დიოთიმა და არნჰაიმი იმ ადამიანების მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ერთმანეთს ულამაზესი ხიდით რომ უკავშირდებიან, მაგრამ ხიდს შუაში ხვრელი აქვს, ეს კი გადაულახავ წინააღმდეგობას ბადებს, თუმცა ერთმანეთისგან სულ რაღაც რამდენიმე მეტრი აშორებთ. არნჰაიმი გულწრფელად ნანობდა, რომ ის ნაპერწკალი აკლდა, განუსჯელი სიყვარულისა და საქმისკენ რომ უბიძგებს ადამიანს. სინანულმა კი ჟინზე აალაპარაკა. ჟინი – მისი სიტყვებით – ჩვენი ეპოქის კულტურის ნიშანია. არც ერთი სხვა გრძნობა არ არის მასავით მიმართული მიზნისკენ, შორეთისკენ. ის ფრინველების გუნდივით კი არ მიფრინავს, მიზანში გასროლილი ისარივით ერჭობა. ის ისევე აღარიბებს სულს, როგორც ანგარიში, მექანიკა და სისასტიკე. ასე გამკიცხავად ლაპარაკობდა არნჰაიმი და თან იმასაც გრძნობდა, რომ სარდაფში გამომწყვდეულ ბრმა მონასავით ხმაურობდა.

დიოთიმა ცდილობდა, სხვანაირად მოქცეულიყო.

– ჯობს, არაფერი ვთქვათ! სიტყვა დიდი ძალაა, მაგრამ მასზე უფრო დიდიც არსებობს: ორი ადამიანის დამაკავშირებელ ჭეშმარიტებას ენით ვერ გამოთქვამ. როგორც კი ლაპარაკს ვიწყებთ, კარი იკეტება. სიტყვა ყალბ ურთიერთობას ემსახურება. ლაპარაკობენ მაშინ, როცა არ ცხოვრობენ.

არნჰაიმი დაეთანხმა.

– მართალი ხართ! თავდაჯერებული სიტყვა სულის უხილავ მოძრაობას თავნებურ ფორმას ანიჭებს და აღარიბებს.

– ნურაფერს იტყვით! – გაუმეორა დიოთიმამ და ხელი მკლავზე დაადო. – ისეთი გრძნობა მაქვს, როცა ვდუმვართ, ერთმანეთს სიცოცხლის წუთს ვჩუქნით. – ცოტა ხნის შემდეგ ხელი მის მკლავს მოაცილა და ამოიხვნეშა: – არსებობს წუთები, როცა სულის ფარული საუნჯე სააშკარაოზეა გამოფენილი!

– შესაძლოა, დადგეს დრო, როცა სულები ერთმანეთს გრძნობების შუამავლობის გარეშე განჭვრეტენ. ამის ნიშნები უკვე არსებობს. სულები ერთმანეთს მაშინ ერწყმიან, როცა ტუჩები ერთმანეთს შორდებიან! – დაამატა არნჰაიმმა.

დიოთიმამ ტუჩები გამობურცა, თითქოს პეპელა ხორთუმს ყვავილში არჭობსო. დიოთიმას თითქოს სულიერი თრობა მოეძალა. ეს იყო მსუბუქი სიგიჟე, ალბათ ისეთი, ყველა

ამაღლებულ მდგომარეობას რომ ახასიათებს. ყველგან, სადაც სიტყვები ეცემოდა, მრავალმნიშვნელოვანი აზრი ინთებოდა, რომელიც სახეშებურული ღმერთივით ახლოვდებოდა და მერე ისევ სიჩუმეს ერწყმოდა. ეს ფენომენი დიოთიმას მარტოობის ამაღლებულ წუთებშიც განეცადა და მისთვის უცხო არ იყო. სულიერი ბედნიერების ზღვრისთვის კი არასდროს მიუღწევია. ამ მდგომარეობაში იყო რაღაც სიჭარბის ანარქია, ღვთაებრივი სიმსუბუქე, ისეთი, როგორიც ციგურებით ქროლისას შეიძლება განიცადო. რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ გონებას კარგავდა.

არნჰაიმის ხმამაღლა ნათქვამი ფრაზები დიოთიმას აფხიზლებდა და სულის მოთქმის საშუალებას აძლევდა. შემდეგ აზრები თითქოს ბადესავით გადაიჭიმა და მათ ფეხქვეშ ირწეოდა. ბედნიერება კონცენტრაციის უნარს ადუნებდა და მტანჯველ გრძნობას ბადებდა. მოდრეიფე ტალღები წრეებად იშლებოდა და აზრთა მდინარებად ვერ იკვრებოდა. დიოთიმა იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგჯერ გულისხმიერებად მიაჩნდა, ცოლქმრული ღალატი დანგრეული ცხოვრების დრამისთვის ემჯობინებინა. არნჰაიმს კი ასეთი მსხვერპლის მიღება არ სურდა და დიდი ხანია ზნეობრივი გადაწყვეტილება მიეღო – დიოთიმაზე ექორწინა. იცოდნენ, რომ ერთმანეთს ეკუთვნოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, ეს როგორ განეხორციელებინათ. ბედნიერებას ორივე სადღესასწაულო სიმაღლეზე აეტყორცნა. ულამაზო მოქმედება ორივეს აშინებდა სწორედ ისე, როგორც იმას, ვის ფეხთითაც ღრუბლებია.

მათი გონება ყველაფერს ისრუტავდა: მშვენიერებას, დიდებულებას, რასაც ცხოვრება მათ წინაშე ღვრიდა. სურვილებითა და პატივმოყვარეობით პირთამდე სავსე მათი ცხოვრება სადღაც დარჩენილიყო და სიჩუმეს შთაენთქა ისევე, როგორც შორს, დაბლობზე გაშლილი კარ-მიდამო იძირება ხოლმე სიჩუმეში. მხოლოდ დუმილი, სიცარიელე და სიღრმე დარჩენილიყო.

„იქნებ რჩეულები ვართ?“ – ფიქრობდა დიოთიმა და გრძნობათა თავბრუდამხვევი სიმაღლიდან იმზირებოდა. გუმანით რაღაც ისეთსაც გრძნობდა, რაც ვერ წარმოედგინა. მსგავსი გრძნობები, ოღონდ არა ასეთი მძაფრი, სხვა დროსაც განეცადა. მათ შესახებ ნაკლებ საიმედო ნათესავსაც შეეძლო ესაუბრა. ამაზე ბოლო ხანებშიც ბევრი იწერებოდა. და თუ ეს ყველაფერი მართალი იყო, მაშინ ყოველი ათასი წლის შემდეგ დგება ეპოქა, როცა

სული გამოღვიძების პირასაა და, ცალკეული ინდივიდუალობების მეოხებით თითქოს რეალობისთვის დაბადებული, მათ სრულიად სხვა მოვალეობას აკისრებს, ვიდრე კითხვა ან ანგარიშია. უცბად რატომღაც კვლავ დაუპატიჟებელი გენერლის საიდუმლოებით მოცული გამოჩენა გაახსენდა და ხმადაბლა უთხრა მეგობარს, რომელიც ახალ სიტყვებს ეძებდა: – გონება ორ ადამიანს შორის ურთიერთობის ერთადერთი საშუალება სულაც არ არის.

არნჰაიმმა უპასუხა: – დიახ, – მისმა მზერამ დიოთიმა ჩამავალი მზის სხივივით განმსჭვალა. – თქვენ ეს ადრეც გითქვამთ. ორ ადამიანს შორის ჭეშმარიტებას ენით ვერ გამოთქვამ. ნებისმიერი მცდელობა მარცხისთვისაა განწირული!

106. თანამედროვე ადამიანს ღმერთის სწამს თუ კონცერნის ხელმძღვანელის? არნჰაიმის გაუბედაობა

არნჰაიმი მარტოა. სასტუმროს აპარტამენტების ფანჯრიდან ხის გაშიშვლებულ კენწეროს და ერთმანეთში გისოსებივით გადახლართულ ტოტებს გაჰყურებს. ქვემოთ ბრბო ჭრელად ზიმზიმებს. მწარე ღიმილმა არნჰაიმს ტუჩები გაუპო.

აქამდე არასდროს გასჭირვებია იმის დანახვა, რასაც უსულოდ თვლიდა. რას არა აქვს დღეს სული? ცალკეული გამონაკლისების გახსენება ადვილად შეიძლებოდა. მეხსიერებაში კამერული მუსიკის საღამო ამოუტივტივდა. ბრანდენბურგის სასახლეში მის მეგობრებს მოეყარათ თავი. პრუსიული ცაცხვები კეთილსურნელებას აფრქვევდნენ. მისი მეგობრები ახალგაზრდა მუსიკოსები იყვნენ. არც ერთ მათგანს არ ულხინდა, მაგრამ მათმა მუსიკამ იმ საღამოს სულიერება შესძინა. ანდა მეორე შემთხვევა: ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ მხატვარს ფინანსური დახმარება შეუწყვიტა. არნჰაიმი ელოდა, რომ ეს მხატვარი გაუნაწყენდებოდა და თავს განსაცდელში მიტოვებულად იგრძნობდა. ალბათ, მისთვის უნდა ეთქვა, რომ სხვა მხატვრებიც არსებობდნენ, მისი დახმარება რომ სჭირდებოდათ ან რამე მსგავსი, თუმცა ასე არ მოიქცა. ბოლო მოგზაურობის დროს არნჰაიმი ამ მხატვარს შეხვდა. მან თვალებში მტკიცედ ჩახედა, ხელი ხელზე მოჰკიდა და უთხრა: „თქვენ მე რთულ მდგომარეობაში ჩამაყენეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც თქვენ ხართ, სერიოზული მიზეზის გარეშე არაფერს მოიმოქმედებს!“.

ამ ნათქვამში ნამდვილი მამაკაცის სული იგრძნობოდა და არნჰაიმიც აპირებდა, მომავალში მისთვის მსგავსი დახმარება აღმოეჩინა.

ასე რომ, ცალკეულ შემთხვევებში სული დღესაც აშკარად ვლინდება. არნჰაიმს ეს ყოველთვის მნიშვნელოვნად მიაჩნდა, მაგრამ როცა სულთან პირდაპირ და უპირობო კონტაქტს ამყარებ, გულწრფელობას სერიოზული საფრთხე ექმნება. ნუთუ მართლა დადგა დრო, როცა სულები ერთმანეთს გრძნობის გარეშე უკავშირდებიან? არსებობდა კი მიზანი, ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც რეალური მიზნებია, იმაში, რომ არნჰაიმსა და მის მომხიბვლელ მეგობარს ისეთი ურთიერთობა ჰქონოდათ, როგორსაც ამ ბოლო დროს თავიანთი შინაგანი სწრაფვა აიძულებდათ. არნჰაიმის ფხიზელ გონებას ამის ერთი წუთითაც არ სჯეროდა, თუმცა ცხადად ხედავდა, რომ დიოთიმა ასე მისი გავლენით ფიქრობდა.

არნჰაიმს საკუთარ თავთან უცნაური უთანხმოება ჰქონდა. ზნეობრივი სიმდიდრე მატერიალურ სიმდიდრეს ჰგავს. მისთვის ეს სრულიად ნათელი გახლდათ და ძნელი მისახვედრი არ იყო, რატომ იყო ეს ასე. მორალი სულს ლოგიკით ენაცვლება. თუ სულს მორალი აქვს, მაშინ მას მორალური კი არა, მხოლოდ ლოგიკური საკითხები აინტერესებს. ის საკუთარ თავს ეკითხება, ემთხვევა თუ არა ესა თუ ის მოქმედება ამა თუ იმ მცნებას, მისი თვალთახედვა ასე უნდა განიმარტოს თუ ისე და ა. შ. ეს იგივეა, შეტევაზე გადასული ადამიანები დისციპლინირებულ გიმნასტებად რომ აქციო, რომლებიც ბრძანების გაცემისას მარჯვნივ იხრებიან, ხელებს განზე შლიან და ბუქნავენ. ლოგიკა განცდათა განმეორებადობას გულისხმობს. მოვლენები ქარიშხალივით რომ იცვლებოდეს, სადაც არაფერი მეორდება, მაშინ ვერც იმ დიდ აღმოჩენათა ფორმულირებას შევძლებდით, რომ A=A, ან მეტი არ არის ნაკლები, ჩვენ უბრალოდ ოცნებას მივეცემოდით. ეს კი ნებისმიერი მოაზროვნისთვის საძულველი მდგომარეობაა. იგივე ითქმის მორალზეც. რომ არ არსებულიყო ისეთი რამ, რაც მეორდება, საკუთარ თავსაც ვერაფერს დავუწესებდით. ამ შესაძლებლობის გარეშე მორალი იოტისოდენა სიამოვნებასაც კი არ მოგვანიჭებდა. მორალისა და გონებისათვის დამახასიათებელი განმეორებადობის თვისება ფულის თვისებაა. ის სწორედაც რომ ამ თვისებისგან შედგება და სანამ სტაბილური ღირებულება გააჩნია, ამქვეყნად

არსებულ ყველა სიამოვნებას მსყიდველობითი უნარის მქონე პატარ-პატარა კუბურებად შლის, რომლებითაც ყველაფერს ააწყობ, რასაც მოისურვებ. ამიტომაც ფული მორალურიც არის და გონივრულიც. სამაგიეროდ ისიც ხომ ცნობილია, რომ იყო მორალური და გონიერი არ ნიშნავს, გქონდეს ფული. ასე რომ, შეგვიძლია დავასკვნათ: ეს თვისებები ფულის პირველადი მახასიათებელია ან მორალური და გონივრული არსებობის გვირგვინი მაინც.

ცხადია, არნჰაიმი ზუსტად ასე არ ფიქრობდა. არ თვლიდა, რომ განათლება და რელიგია საკუთრების ბუნებრივი შედეგია. მისი ვარაუდით, საკუთრება ადამიანს ავალდებულებს, ერთიც ჰქონდეს და მეორეც. უყვარდა, ხაზი გაესვა იმ ფაქტისთვის, რომ სულიერ ძალებს ყოფიერების მოქმედი ძალების ხშირად საკმარისად არ გაეგებათ და იშვიათად ხდება, რომ ცხოვრებას მთლიანად არ იყვნენ მოწყვეტილნი. ამიტომ ისეთი ფართო თვალთახედვის ადამიანი, როგორიც ის იყო, კიდევ სხვა დასკვნამდეც მიდიოდა. აწონ-დაწონა, გათვალისწინება ანდა გაზომვა იმასაც გულისხმობს, რომ გასაზომი საგანი განსჯის პროცესში არ იცვლება; და თუ ეს მაინც მოხდა, გონება იქით უნდა მივმართოთ, რომ ცვლილებებშიც რამე უცვლელი აღმოვაჩინოთ. ასე რომ, ფული სულიერ ძალებს ენათესავება და სწორედ ამ ნიმუშის მიხედვით მეცნიერები სამყაროს ატომებად, კანონებად, ჰიპოთეზებად და მათემატიკურ ნიშნებად შლიან, ტექნიკოსები კი ამ ფაქტიდან ახალ საგანთა სამყაროს ქმნიან. გიგანტური ინდუსტრიის მფლობელს, ეს ისევე კარგად ესმოდა, როგორც რომანების მკითხველ საშუალო გერმანელს ბიბლიური მორალური ცნებები.

ერთმნიშვნელოვნების, განმეორებადობისა და სიმტკიცის მოთხოვნილება, როგორც აზროვნებისა და დაგეგმვის წარმატების აუცილებელი წინაპირობა, – ფიქრობდა არნჰაიმი და კვლავ ქუჩას გაჰყურებდა, – სულიერ სფეროში მუდამ ძალადობის ფორმით კმაყოფილდება. ვინც ადამიანთან ურთიერთობის აშენებას მტკიცე საფუძველზე აპირებს და არა ქვიშაზე, მდაბალი თვისებებით და ვნებებით უნდა იხელმძღვანელოს, რადგან გამძლე და, ალბათ, მხედველობაში მისაღებიც მხოლოდ ის არის, რაც ეგოიზმთან მჭიდრო კავშირშია. მაღალი მისწრაფებები საიმედო არ არის. ისინი წინააღმდეგობრივი და ქარივით წარმავალია. კაცი, რომელმაც იცოდა, რომ ადრე თუ გვიან იმპერიებიც ქარხნებივით უნდა

ემართა, მოზიმზიმე ბრბოს გადაჰყურებდა და მათ ამაყ, მატლებივით პატარა სახეებს სევდანარევი იქედნური ღიმილით აკვირდებოდა. უდავო იყო: დღეს რომ ღმერთი ჩვენთან საუკუნო სასუფევლის დასამკვიდრებლად დაბრუნებულიყო, ვერც ერთი გამოცდილი და პრაქტიკული ადამიანის ნდობას ვერ მოიპოვებდა მანამ, სანამ განკითხვის დღე საპყრობილეებით, პოლიციით, ჟანდარმერიით, არმიით, სახელმწიფო ღალატის შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის სტატიებით და სახელმწიფო დაწესებულებებით არ აღიჭურვებოდა, რათა სულების გაუთვლელი ქმედება ორი ძირითადი ფაქტით შემოსაზღვრულიყო: მომავალი ზეციური ბინადარი დაშინებით, ჭანჭიკების მოჭერით ან მისი სურვილებისთვის გასაქანის მიცემით, ერთი სიტყვით, „მკაცრი ზომებით“ იმად ქცეულიყო, რაც უნდა ყოფილიყო.

შემდეგ არნჰაიმი ღმერთის წინაშე წარდგებოდა და ეტყოდა: „რატომ, უფალო? ეგოიზმი ხომ ადამიანური ყოფიერების ყველაზე საიმედო თვისებაა! პოლიტიკოსი, ჯარისკაცი და მეფე მისი დახმარებით, ცბიერებით და იძულებით შენს სამყაროს აწესრიგებენ. კაცობრიობის მელოდია სწორედ ესაა; შენ და მე ეს უნდა ვაღიაროთ. იძულების გაუქმება წესრიგის მოშლას ნიშნავს. ადამიანის მიმართვა უმაღლესი იდეალებისაკენ – თუმცა ის მრუშობის ნაყოფია – ჩვენი უმთავრესი ამოცანაა!“. არნჰაიმი უფალს თან მოკრძალებით გაუღიმებდა და მშვიდ პოზას შეინარჩუნებდა, რათა არავის დავიწყებოდა, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეულისთვის უზენაესი საიდუმლოების მორჩილება. შემდეგ კი ისევ განაგრძობდა: „განა ფული ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარების ისეთივე საიმედო მეთოდი არ არის, როგორიც ძალადობაა? განა ფული ნებას არ გვრთავს, უარი ვთქვათ ძალადობის გულუბრყვილო გამოყენებაზე? ფული გასულიერებული ძალადობაა, მისი მოქნილი, მაღალგანვითარებული, შემოქმედებითი, საგანგებო ფორმაა. განა კომერცია ცბიერებას და იძულებას, ჭარბ მოგებას და ექსპლუატაციას არ ეყრდნობა? ოღონდ ეს ყველაფერი ცივილიზებულია, სულიერ პლანშია გადატანილი და თავისუფლებით შემოსილი. კაპიტალიზმი, როგორც ფულის მომპოვებელი, ძალთა იერარქიის შესატყვისი, ეგოისტური ორგანიზაცია, შეიძლება ითქვას, უზენაესი და ყველაზე ჰუმანური წესრიგია, რომლის დამყარებაც შენს სადიდებლად შევძელით. უფრო ზუსტ საზომს კაცობრიობა არც იცნობს!“.

არნჰაიმი ღმერთს ათასწლოვანი სამეფოს კომერციული პრინციპებით აშენებას და მსხვილი კომერციისთვის, რომელსაც, ცხადია, ფილოსოფიური ხედვაც ექნებოდა, მმართველობის გადაცემას ურჩევდა. ბოლოს და ბოლოს, წმინდა რელიგიურობას სატანჯველის მეტი არაფერი მოუტანია, კომერციული მართვა კი ომების ეპოქებში არასაიმედო არსებობასთან შედარებით მას დიდ უპირატესობას მიანიჭებდა.

ასე იტყოდა არნჰაიმი, რადგან ფარული ხმა ცხადად ჩასძახოდა, რომ ფულზე ისევე არ შეიძლება უარის თქმა, როგორც გონებასა და მორალზე. მეორე, ასევე ფარული, ხმა იმასაც ეუბნებოდა სრულიად გარკვევით, რომ გონებაზე, მორალსა და რაციონალურ არსებობაზე ადამიანმა უარი უყოყმანოდ და გაბედულად უნდა თქვას. ამ თავბრუდამხვევ წუთებში, როცა არნჰაიმს მხოლოდ ის სურდა, რომ დიოთიმას მზის ვეებერთელა მასას გზააბნეულ სატელიტად დასცემოდა, ეს ხმა კიდევ უფრო ძლიერდებოდა. აზრების ზრდა ისე უცხოდ და არაორგანულად ეჩვენებოდა, როგორც ფრჩხილების და თმის ზრდა. მორალურ ცხოვრებას, როგორც უსიცოცხლოს, ისე აღიქვამდა და მორალისა და წესრიგისადმი ზიზღისაგან სახე აელეწა. არნჰაიმს სწორედ ის დაემართა, რაც მის ეპოქას: ის თაყვანს სცემს ფულს, წესრიგს, ცოდნას, ანგარიშს, გაზომვას, განსჯას და თან მოთქვამს. ის სამუშაო საათებს ითვლის, სამუშაოს შემდეგ ბავშვების ჯგროსავით იქცევა. მის კითხვას: „ახლა რაღა ვქნათ?“ ძირში სიმწარის გემო დაჰკრავს, ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება, ყველაფრის თავიდან დაწყების სურვილისგან ვერ თავისუფლდება. ის სამუშაოს დაყოფის პრინციპს იყენებს. დრტვინვისა და წინათგრძნობისთვის განსაკუთრებული ინტელექტუალები, მომნანიენი და მონანიების მსმენელნი, ინდულგენციის სპეციალისტები, ლიტერატურული წინასწარმეტყველნი და მახარობლები ჰყავს. და თუ ამ მოვლენებს თვალყურს ვერ ადევნებს, მათი არსებობის შესახებ ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ზნეობრივი გამოსასყიდის დაახლოებით ამგვარ ნაირსახეობას წარმოადგენს ის ფრაზები და ფინანსური საშუალებები, რომელთაც სახელმწიფო ყოველწლიურად სრულიად უნიადაგო კულტურული წამოწყებებისთვის ხარჯავს.

სამუშაოს ამგვარ განაწილებას არნჰაიმთანაც შეხვდებოდით.

როცა საკუთარ კაბინეტში იჯდა და მოგებას ანგარიშობდა, სირცხვილი დაწვავდა, კომერციულად ან ტექნიკურად რომ არ ეფიქრა. როგორც კი ფირმის ფულს საფრთხე აღარ დაემუქრებოდა, ახლა უკვე იმის შერცხვებოდა, რომ საპირისპიროდ არ ეფიქრა და არ მოეთხოვა, ადამიანი ზენა სამყაროს სხვაგვარად უნდა ეზიაროს და არა კანონზომიერების, წესდებებისა და ნორმების მცდარი გზით, რომლის შედეგებიც სრულიად არაორგანული და, საბოლოო ჯამში, არაარსებითიაო. უდავოა, რომ მეორე გზას რელიგიურს უწოდებენ. ამ საკითხებზე ის წიგნებს წერდა. თავის წიგნებში ამას ის მითსაც უწოდებდა, სისადავისკენ, სულის მეუფებისკენ, ეკონომიკის გასულიერებისკენ, მოქმედების არსისკენ მიბრუნებას არქმევდა. მისი ნაწერები მრავალ გვერდს მოიცავდა, უფრო სწორად, ზუსტად იმდენს, რამდენსაც საკუთარ თავში პოულობდა, როცა ამ საქმეს თავდავიწყებით ეძლეოდა იმ ადამიანივით, დიდ ამოცანებს რომ ისახავს. სამუშაოს დანაწილების ეს პრინციპი გადაწყვეტილების მიღების ჟამს ინგრეოდა და მისი ბედისწერაც ეს იყო. იმ მომენტში, როცა საკუთარი გრძნობების ალში გახვევა უნდებოდა, მოთხოვნილება უჩნდებოდა, ისეთივე დიდი და მთლიანი ყოფილიყო, როგორიც წარსულის გმირები, ისეთივე უდარდელი და უზრუნველი, როგორიც ჭეშმარიტი არისტოკრატი, ისეთივე ღრმად რელიგიური, როგორც სიყვარულის არსის წვდომა მოითხოვს. როცა აღარც შარვალზე ფიქრობდა და აღარც მომავალზე და ერთადერთი სურვილი ეუფლებოდა – დიოთიმას ფეხებში ჩავარდნოდა, სწორედ ამ დროს რაღაც ხმა აჩერებდა. ეს იყო უდროოდ გამოფხიზლებული გონების ხმა, წვრილმანი ანგარიშიანობისა და ვაჭრის ხმა – როგორც საკუთარ თავზე იტყოდა ხოლმე ბოღმით – გრძნობის იდუმალებას ყველგან და ყოველთვის რომ უპირისპირდება. არნჰაიმს სძულდა ეს ხმა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ის არ ტყუოდა. დავუშვათ, თაფლობის თვეც ჰქონოდათ. როგორი იქნებოდა მათი ცხოვრება, როცა თაფლობის თვე ჩაივლიდა? არნჰაიმი საქმეს მიუბრუნდებოდა და დიოთიმასთან ერთად ცხოვრებისეულ პრობლემებს დასძლევდა. წელი ფინანსურ ოპერაციებსა და ბუნების წიაღში დასვენებას შორის გაილეოდა. საქმიანობისა და მოცალეობის, ადამიანური მოთხოვნილებებისა და სილამაზის შეთანხმება, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა და სამომავლოდ არნჰაიმი მიზნად ამასაც ისახავდა. ვისაც არ შეეძლო სურვილებისგან

გათავისუფლება, სამყაროსგან სადღაც შორს უბრალოდ ყოფნა, მოდუნება და ჩაღრმავება, არნჰაიმის აზრით, ვერც დიდი ფინანსური ოპერაციებისთვის საჭირო ძალებს შეიძენდა. არნჰაიმში ველური, უხმო დაკმაყოფილება ბობოქრობდა, რადგან ის იმ საწყის და საბოლოო გრძნობებს ეწინააღმდეგებოდა, რომელთაც დიოთიმა ბადებდა მასში. ყოველდღე, როცა ის ამ ანტიკურ ქანდაკებას ხედავდა, რომლის მრგვალი ფორმები უფრო თანამედროვე გემოვნებას პასუხობდა, გრძნობდა, როგორ ელეოდა ძალა, თავგზა ერეოდა და საკუთარ სულიერ სამყაროს ამ გაწონასწორებულ, მშვიდ, საკუთარ წრეზე ჰარმონიულად მბრუნავ არსებას ვერ უთანხმებდა. ეს არ იყო ამაღლებულად ჰუმანური ან უბრალოდ ჰუმანური გრძნობა. ეს მდგომარეობა მარადისობის სიცარიელეს ემსგავსებოდა. თავისი მიჯნურის სილამაზეს იმ ადამიანივით უმზერდა, ათასი წელი რომ დაეძებს სატრფოს და ახლა გახევებული, იდიოტურად გაშტერებული მისჩერებია. გრძნობა ჭარბ მოთხოვნებს პასუხს ვერ სცემდა და მხოლოდ იმ სურვილს შეედრებოდა, როცა გინდა, რომ ზარბაზნის ლულიდან სატრფოსთან ერთად კოსმოსში გაგისროლონ!

დიოთიმას ტაქტი არ ღალატობდა და ამისთვისაც ზუსტი სიტყვები მოძებნა. ერთხელ გაიხსენა, რომ დიდი დოსტოევსკი სიყვარულს, იდიოტიზმსა და შინაგან სიწმინდეს შორის კავშირს ხედავდა. მიუხედავად ამისა, დღევანდელ ადამიანებს, რომელთა ზურგს უკან დოსტოევსკის მორწმუნე რუსეთი არ დგას, ამ აზრის განსახორციელებლად თავდაპირველად ხსნა სჭირდებათ.

ეს ნათქვამი არნჰაიმის გულისნადებს პასუხობდა.

წუთი, როცა დიოთიმამ ეს სიტყვები წარმოთქვა, ერთი ზესუბიექტური და ამასთან ზეობიექტური წუთთაგანი იყო, როცა ამოქოლილი საყვირი ბგერას ვერ გამოსცემს და სისხლი თავში გაწვება. უმნიშვნელო არაფერი იყო, დაწყებული თაროზე პატარა ფინჯნიდან, ოთახში თავს ვანგოგისებურად რომ იმკვიდრებდა, დამთავრებული ადამიანთა სხეულებით, შესიებული და წამახული ფორმებით მის სივრცეს რომ აწვებოდნენ.

დიოთიმამ შეშინებული ხმით თქვა: – ახლა ხუმრობა ყველაფერს სჯობს. იუმორი მშვენიერი რამ არის. ის თავისუფალია ჟინისგან და მოვლენებს ზემოდან დაჰყურებს.

არნჰაიმს გაეღიმა. წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო. „დიოთიმა ნაფლეთებად რომ მექცია, ღრიალი და ცეკვა დამეწყო, ყელში ვწვდომოდი, საკუთარი მკერდიდან გული ამომეგლიჯა და მისთვის მიმეძღვნა, იქნებ სასწაული მომხდარიყო?“.

ეს სცენა თვალწინ კვლავ ცოცხლად წარმოუდგა. ყინულივით მზერა ისევ ქუჩისკენ მიმართა. „ხსნის სასწაული უნდა მოხდეს! – გაიფიქრა არნჰაიმმა. – სანამ ამგვარი რამეების განხორციელებაზე ფიქრს დავიწყებდეთ, დედამიწაზე ჯერ სულ სხვა ადამიანები უნდა დასახლდნენ“. აღარ უცდია იმის ამოხსნა, როგორ და რისგან უნდა გათავისუფლებულიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი სხვანაირი უნდა გამხდარიყო. არნჰაიმი საწერ მაგიდაზე დაწყობილ დეპეშებსა და წერილებს მიუბრუნდა, რომლებიც ნახევარი საათის წინ მიატოვა და სოლიმანს დაურეკა, რათა მას მდივანი გამოეძახა.

სანამ გონებაში ეკონომიკის საკითხებზე პირველ ფრაზას ხვეწდა, ცოტა ხნის წინ განცდილი მომხიბვლელ, მრავალმნიშვნელოვან ზნეობრივ ფორმად გამოკრისტალდა. „ადამიანმა, რომელსაც პასუხისმგებლობა გაცნობიერებული აქვს, მაშინაც კი, როცა სხვას საკუთარ სულს ჩუქნის, მსხვერპლად პროცენტები უნდა გაიღოს და არა კაპიტალი!“ – უთხრა მან საკუთარ თავს დარწმუნებით.

107. გრაფი ლაინსდორფი მოულოდნელ პოლიტიკურ წარმატებას აღწევს

როცა მისი ბრწყინვალება ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახზე ლაპარაკობდა, მხცოვანი იმპერატორ-პატრიარქის გარშემო რომ უნდა დარაზმულიყო, გულის სიღრმეში პრუსიას ყოველთვის გამორიცხავდა. ამ გრძნობამ უწინდელთან შედარებით ახლა უკვე მეტი გულწრფელობა შეიძინა, რადგან დოქტორ პაულ არნჰაიმისგან მიღებული შთაბეჭდილება მეტისმეტად შემაწუხებელი გახდა. რამდენჯერაც თავის მეგობარ დიოთიმას ესტუმრა, იმდენჯერ ან ამ კაცს შეხვდა, ან მის კვალს წააწყდა, და განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის მსგავსად, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ამ დიდებული ადამიანის მიმართ დიოთიმას დამოკიდებულებას მოკრძალება ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ ახლა, როცა მის ხელებსა და კისერზე დაბერილ ძარღვებს, მის ღია თამბაქოსფერ კანს უყურებდა, იმ კაცის

სუნი რომ ასდიოდა, უკვე რომ ბერდება, მისდამი დიოთიმას რიდი ისე იცვლებოდა, როგორც ზაფხულის მზე, რომელსაც ზამთრის მზე ცვლის. გრაფ ლაინსდორფს ფანტაზიორობა არ სჩვეოდა და დიდად არც მუსიკას სწყალობდა, მაგრამ ავსტრიული სამხედრო მარშის დაფდაფებისა და თეფშების სუსტი ხმა უცნაური სიხშირით ჩაესმოდა. თვალს რომ ხუჭავდა, აფრიალებულ შავ-ყვითელ დროშებს ხედავდა. პატრიოტული ხილვები, როგორც ჩანს, ტუცის ოჯახის მეგობრებსაც ეწვეოდათ ხოლმე. გერმანიაზე ყველა პატივისცემით ლაპარაკობდა, მაგრამ როგორც კი გრაფი ლაინსდორფი მათ აგრძნობინებდა, რომ, შესაძლოა, პარალელურ აქციას მოვლენათა განვითარებისას მოძმე იმპერიისათვის მსუბუქად ეჩხვლიტა, გერმანიისადმი მათ პატივისცემას გულწრფელი ღიმილი დაამშვენებდა ხოლმე.

მისი ბრწყინვალება თავის სარბიელზე ერთ მნიშვნელოვან ფენომენს წააწყდა. არსებობს გარკვეული ტიპის ოჯახური გრძნობები, რომლებიც განსაკუთრებული გულმხურვალებით გამოირჩევა. სწორედ ამგვარ გრძნობათა რიგს მიეკუთვნებოდა ომის წინ ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახში გავრცელებული ანტიპათია გერმანიისადმი. გერმანია, ალბათ, ყველაზე ნაკლებად იყო სულიერად ერთიანი, სადაც ყოველ ადამიანს შეეძლო, თავისთვის საძულველი რამ ეპოვა; ეს იყო ქვეყანა, ახალი ეპოქის ბორბლებქვეშ ყველაზე ადრე რომ მოხვედრილიყო და სიყალბისა და კომერციის დიდებულ სიტყვებად დაფლეთილიყო. ის შარიანი, ხარბი, ტრაბახა და აღგზნებულ ბრბოსავით საშიშად შეურაცხადი იყო. ეს ყველაფერი ევროპული იყო და ევროპელს, დიდი-დიდი, ზედმეტად ევროპულად ეჩვენებოდა. ჩანს, რომ არსებობენ ისეთი არსებები, რომლებზეც ზიზღი, უთანხმოება, ის ნამწვი და წიდა ილექება, რასაც ცხოვრება ტოვებს. „შესაძლოა, ასეც იყოს“-დან მონაწილეთა გასაოცრად უეცრად ჩნდება „არის“, ხოლო ის, რაც ამ ქაოსური პროცესიდან ამოვარდება, სწორი არ არის, ზედმეტია და გონებას არ აკმაყოფილებს, თანამედროვე ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ იმ სიძულვილად გადაიქცევა, რომელიც ატმოსფეროში ტრიალებს და ბუნების ყველა ქმნილებას შორის ვიბრირებს. დაკარგული კმაყოფილება, რომელსაც ადამიანს საკუთარი მოქმედება ჰგვრის, ადვილად ხელმისაწვდომი, სხვათა მოქმედებით გამოწვეული უკმაყოფილებით იცვლება. ამ უკმაყოფილების

განსაკუთრებულ არსებებზე თავმოყრის მცდელობა ცხოვრების უძველესი ფსიქოტექნიკური შემადგენელი ნაწილია. ასე იღებდა ჯადოქარი საგულდაგულოდ დამზადებულ ფეტიშს ავადმყოფის სხეულიდან; ასე მიაწერდა კეთილი ქრისტიანი თავის შეცდომებს კეთილ ებრაელს და ამტკიცებდა, რომ რეკლამისკენ, პროცენტებისკენ, გაზეთებისა და მათი მსგავსისკენ სწორედ მან უბიძგა. საუკუნეთა მანძილზე პასუხისმგებლობას აკისრებდნენ ქუხილს, ჯადოქრებს, სოციალისტებს, ინტელექტუალებს, გენერლებს; ბოლო ხანებში, ომის წინ, ამ უცნაურ პროცესში ერთ-ერთ დიდებულ და საყვარელ საშუალებად პრუსიული გერმანია იქცა. სამყარომ მარტო ღმერთი კი არა, ეშმაკიც დაკარგა. ბოროტება არასასურველ სახე-ხატებზე ისევე პროეცირდება, როგორც სიკეთე – სასურველ სახე-ხატებზე, რომლებსაც ადამიანი იმ მიზეზით განადიდებს, რომ ისინი იმას განახორციელებს, რაც თავად არ ძალუძს. როცა სხვას აიძულებ, დაიძაბოს, შენ კი მაყურებელთა დარბაზში მოკალათებული მშვიდად ადევნებ თვალყურს, ეს სპორტია; როცა მეორე ადამიანს უფლებას აძლევ, უკიდურესობაში გადაიჭრას, ეს იდეალიზმია; როცა ბოროტებას ჩამოიფერთხავ და სხვას შეაფერთხავ, ეს არასასურველი სახე-ხატებია. ასე პოულობს სამყაროში ყველა კუთვნილ ადგილს და წესრიგს. თვითგაუცხოებაზე დამყარებული წმინდანთა განდიდებისა და განტევების ვაცის გასუქების ტექნიკა მეტად საშიშია, რადგან სამყარო არშემდგარი შინაგანი ომების დაძაბულობით იმუხტება. ადამიანები ერთმანეთს კლავენ, უძმობილდებიან, შენ კი არ იცი, ეს ყველაფერი სერიოზულად უნდა მიიღო თუ არა, რადგან შენი ნაწილი სადღაც გარეთაა და გეჩვენება, რომ მოვლენები ნახევრად რეალობის წინ და ნახევრად მის მიღმა ისე თამაშდება, როგორც სიძულვილისა და სიყვარულის ანარეკლი. დემონების ძველებური რწმენა, სიკეთისა და ბოროტების გამო პასუხისმგებლობას ზეციურ და ჯოჯოხეთურ სულებს რომ აკისრებდა, უფრო ზუსტი და სუფთა იყო. ნუ დავკარგავთ იმედს, რომ ფსიქოტექნიკის განვითარება ოდესმე კვლავ მისკენ მიგვაბრუნებს.

სასურველი და არასასურველი სახე-ხატებით მოქმედებისთვის კაკანია ყველაზე შესაფერისი ქვეყანა გახლდათ. ცხოვრება იქ ისედაც არარეალური იყო და სულიერი თვალსაზრისით არისტოკრატი კაკანიელები, რომლებსაც ცნობილი კაკანიური

კულტურის (რომელიც ბეთჰოვენით იწყებოდა და ოპერეტით მთავრდებოდა) მემკვიდრეებად და მატარებლებად მიაჩნდათ თავი, თვლიდნენ, რომ სრულიად ბუნებრივი იყო, ყოფილიყვნენ რაიხის გერმანიის გერმანელების მოკავშირეები, ძმები და თან ვერ აეტანათ ისინი. ფიქრობდნენ, რომ გერმანელებს ჭკუის სწავლება არ აწყენდათ და მათ წარმატებაზე ფიქრისას საკუთარი ქვეყნის ბედ-იღბალზე წუხდნენ. ქვეყნის ბედ-იღბალი კი იმაში მდგომარეობდა, რომ კაკანია იყო ქვეყანა, რომელიც თავიდან სხვაზე უარესი არ ყოფილა, ბევრ სხვასაც ჯობდა და საუკუნეთა მანძილზე ხალისი დაკარგვოდა. პარალელური აქციის მოვლენებმა ცხადყო, რომ მსოფლიო ისტორია სხვა დანარჩენ ისტორიათა მსგავსად იქმნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორებს თავში ახალი არაფერი მოსდით. რაც შეეხება ინტრიგებს და იდეებს, ამას ისინი ერთმანეთისგან იწერენ. ერთიც უნდა ვთქვათ, რაც აქამდე არავის უხსენებია – ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ისტორიით მოგვრილი სიხარულია: ავტორებს ღრმად სწამთ, რომ მათი ისტორია კარგია, გრძნობებით ალმურმოდებულებს ყურები უგრძელდებათ და ამ მხურვალებით ყველანაირი კრიტიკა ორთქლდება. გზნება და დარწმუნებულობა არც გრაფ ლაინსდორფს აკლდა. ამას მისი მეგობრების წრეშიც შეხვდებოდით, თუმცა კაკანიაში ეს უკვე დაკარგულიყო და დიდი ხანია, რაღაც შემცვლელს ეძებდნენ. კაკანიის ისტორიის ადგილი ავტორების მიერ დამუშავებულმა, ევროპულ გემოვნებაზე მორგებულმა ერის ისტორიამ დაიკავა, ევროპული გემოვნება კი ისტორიული რომანებით და კოსტიუმირებული დრამით ტკბება. ასე შეიქმნა ის ყურადსაღები და, ალბათ, ჯეროვნად არდაფასებული ვითარება, როცა სრულიად ჩვეულებრივი საკითხების გადაჭრისას, როგორიცაა სკოლის მშენებლობა ან რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელის პოსტზე ახალი კანდიდატურის დამტკიცება, ადამიანები 1600 ან 400 წლის მოვლენებზე ლაპარაკობდნენ და პრეტენდენტების შერჩევის საკითხს ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში ალპების მთისწინეთის კოლონიზაციის პრობლემების შუქზე განიხილავდნენ, კონტრრეფორმაციულ ბრძოლებს ითვალისწინებდნენ და კამათს დიდსულოვნების, სულმდაბლობის, სამშობლოსა და ვაჟკაცობის იმ ცნებებით მუხტავდნენ, რაც ყველგან დაახლოებით ერთნაირად გავრცელებულ ნაკითხი ადამიანის ტიპს შეესაბამება. გრაფი ლაინსდორფი ლიტერატურას

არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და გაოცებას ვერ ფარავდა, როცა გერმანელებით და ჩეხებით დასახლებული ბოჰემიის საკუთარ ადგილ-მამულებში მოგზაურობისას ხედავდა, რა კარგად ცხოვრობდნენ გლეხები, ხელოსნები და ქალაქელები. დროდადრო ერთმანეთისა და ხელისუფლების ბრძნული მმართველობის წინააღმდეგ აზვირთებული უკმაყოფილების მიზეზს განსაკუთრებულ ვირუსს, საძაგელ წამქეზებლობას მიაწერდა და ესეც გაუგებარი იყო, რადგან ამ შემოტევებს შორის დიდ შუალედებში, თუ ადამიანებს იდეალებს არ შეახსენებდით, ადამიანები ყველას მშვიდობიანად ეწყობოდნენ.

ამ პროცესების წინააღმდეგ მიმართული კაკანიის ცნობილი ეროვნული პოლიტიკის ამოსავალი წერტილი შემდეგი გახლდათ: დაახლოებით ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ მთავრობა რომელიმე ურჩ ერს ან სჯიდა, ან ბრძნულად უკან იხევდა სწორედ ისე, როგორც ზიარჭურჭლის შემთხვევაშია, როცა გარკვეული დახრილობის დროს ჭურჭლის ერთ მხარეს სითხე მატულობს, მეორე მხარეს კი კლებულობს. გერმანელი „ეროვნებისადმი“ დამოკიდებულება ამ ცვლილებებს შეესაბამებოდა. კაკანიაში ამ „ეროვნებას“ განსაკუთრებულ როლს ანიჭებდნენ, რადგან მას, არსებითად, ერთადერთი რამ სურდა – სახელმწიფოს ძლიერება. რწმენა იმისა, რომ კაკანიის ისტორიას რაღაც აზრი უნდა ჰქონოდა, ყველაზე ხანგრძლივად მან შემოინახა და თანდათან მიხვდა, რომ კაკანიაში კარიერას სახელმწიფო მოღალატეებად იწყებდნენ და მინისტრობით ამთავრებდნენ ან პირიქით, მინისტრობიდან კარიერას სახელმწიფო მოღალატეებად აგრძელებდნენ. შესაძლოა, ასეთი პროცესები სხვაგანაც ხდებოდა, მაგრამ კაკანიის თავისებურება ის იყო, რომ ამისთვის აქ არც რევოლუციები იყო საჭირო და არც სახელმწიფო გადატრიალებები, რადგან დროთა განმავლობაში ცნებების ბუნდოვანების გამო ყველაფერი ქანქარასავით მშვიდი, ბუნებრივი გზით ვითარდებოდა და საბოლოოდ მხოლოდ ჩაგრული ერები და მჩაგვრელთა მაღალი წრე დარჩა, რომელიც ჩაგრულთაგან თავს გამასხარავებულად და გატანჯულად გრძნობდა. ამ წრის ადამიანები საგონებელში ჩავარდნილიყვნენ, რადგან არაფერი ხდებოდა, ანუ ისტორიის ნაკლებობას განიცდიდნენ, მაგრამ სჯეროდათ, რომ ერთ დღესაც ბოლოს და ბოლოს რაღაც მოხდებოდა. თუ გერმანიას დაუპირისპირდებოდნენ, საითკენაც პარალელური აქცია

იხრებოდა, საქმის ამგვარი შემობრუნება სასურველიც იყო, რადგან, ჯერ ერთი, კაკანიელები მოძმე გერმანელების წინაშე თავს შერცხვენილად გრძნობდნენ, მეორეც, მმართველი წრეები თავს მაინც გერმანელებად მიიჩნევდნენ და კაკანიის მიუკერძოებელი როლის წინ წამოწევას მხოლოდ თავგანწირვით შეძლებდნენ.

თავისთავად ცხადია, ასეთ ვითარებაში მის ბრწყინვალებას აზრადაც არ მოსვლია, რომ საკუთარი წამოწყება პანგერმანულად ჩაეთვალა, მაგრამ მას რომ ასეთი სახელი ჰქონდა, შემდეგი ფაქტიდან გამომდინარეობდა: „ოფიციალურად რეგისტრირებულ ერებს“, რომელთა სურვილებიც პარალელური აქციის კომიტეტებს უნდა გაეთვალისწინებინათ, დროთა განმავლობაში სლავური ტომები გამოეთიშა; უცხოელ ელჩებს არნჰაიმის, განყოფილების ხელმძღვანელ ტუცისა და სლავების წინააღმდეგ გერმანული შეთქმულების შესახებ ისეთი ინფორმაცია მისდიოდათ, რომ ამის შესახებ ხმებმა გრაფი ლაინსდორფის ყურამდეც მიაღწია. მისი ბრწყინვალების შიში გამართლდა. იმ დღეებში, როცა არაფერი ხდება, განსაკუთრებულად რთულ ვითარებაში სწორედ იმის გამო იმყოფები, რომ ბევრი საქმის გაკეთებას ვერ ბედავ. ის რეალისტი პოლიტიკოსი გახლდათ და საპასუხო სვლაც არ დაახანა, რაც, სამწუხაროდ, დასაწყისში სახელმწიფო პოლიტიკის შეცდომად გამოჩნდა. პროპაგანდის კომიტეტის თავმჯდომარე – რომელსაც პარალელური აქციის პოპულარიზაცია ევალებოდა – იმ ხანებში არჩეული არ იყო. გრაფმა ლაინსდორფმა ამ პოსტზე ვისნეჩკის დანიშვნა განიზრახა, რადგან ვისნეჩკი რამდენიმე წლის წინ იმ კაბინეტის მინისტრი იყო, რომელიც გერმანულმა ნაციონალისტურმა პარტიებმა დაშალეს, და ითვლებოდა, რომ იგი შეუნიღბავ ანტიგერმანულ პოლიტიკას ატარებდა. მის ბრწყინვალებას საკუთარი სამოქმედო გეგმა ჰქონდა. პარალელური აქციის დაწყებისთანავე იგი ფიქრობდა, პარალელური აქციის მხარეს გერმანული წარმოშობის კაკანიელების ის ნაწილი გადაებირებინა, ვინც სამშობლოზე მეტად გერმანელი ერის მიმართ იჩენდა ერთგულებას. სხვა „ეთნიკური ჯგუფები“ კაკანიას საპყრობილეს უწოდებდნენ და იტალიის, საფრანგეთისა და რუსეთისადმი სიყვარულს ხმამაღლა, შეუფარავად გამოხატავდნენ, თუმცა მათი

აღფრთოვანება რეალობისგან შორს იყო. და მათ აღფრთოვანებას ვერც ერთი სერიოზული პოლიტიკოსი ვერ დაუყენებდა გვერდით გერმანიის იმპერიით სხვა გერმანელების აღფრთოვანებას. კაკანიას გერმანია გეოგრაფიულად მარწუხებივით გარს ერტყა და სულ რაღაც ერთი თაობის წინ მასთან ერთად ერთ მთლიანობას ქმნიდა. გრაფი ლაინსდორფის ცნობილი გამონათქვამი „თავისით მოვლენ!“ ამ განდგომილ გერმანელებს გულისხმობდა და მათი ხრიკები მის ბრწყინვალებაში მტკივნეულ გრძნობებს იწვევდა, რადგან თავადაც გერმანელი ბრძანდებოდა. ამ გამონათქვამმა ამასობაში პოლიტიკური წინასწარმეტყველების რანგს მიაღწია და სამამულო აქცია მას ეყრდნობოდა. მისი აზრი კი შემდეგში მდგომარეობდა: ჯერ სხვა „ეთნიკური ჯგუფების“ გული უნდა მოეგოთ და თუ ეს მოხერხდებოდა, მაშინ გერმანული წრეებიც იძულებული გახდებოდნენ და მათ შეუერთდებოდნენ, რადგან ცნობილია, რომ გაცილებით რთულია, გამოეთიშო იმ საქმეს, რომელსაც ყველა ერთად აკეთებს, ვიდრე უარი თქვა ამ საქმის დაწყებაზე. ასე რომ, გზა გერმანელებისკენ გერმანელების წინააღმდეგ და სხვა ეროვნებების უპირატესობისკენ იყო მიმართული. გრაფ ლაინსდორფს ეს კარგად ესმოდა და როცა მოქმედების დრო დადგა, ეს განახორციელა კიდეც და პროპაგანდის კომიტეტის სათავეში მისი აღმატებულება ვისნეჩკი ჩააყენა, რომელიც, გრაფი ლაინსდორფის შეხედულებით, წარმოშობით პოლონელი, მაგრამ მრწამსით კაკანიელი იყო.

ძნელი მისახვედრია, აცნობიერებდა თუ არა მისი ბრწყინვალება, რომ ეს არჩევანი გერმანული იდეის წინააღმდეგ იყო მიმართული, როგორც მას მოგვიანებით საყვედურობდნენ. ის, ალბათ, თავის არჩევანში ჭეშმარიტი გერმანული იდეის მსახურებას ხედავდა. შედეგი კი ის გახლდათ, რომ ახლა გერმანული წრეებიც გამოცოცხლდნენ და პარალელური აქციის წინააღმდეგ ამოქმედდნენ. ასე რომ, ერთნი აშკარად უპირისპირდებოდნენ პარალელურ აქციას, რადგან ანტიგერმანულ შეთქმულებად მიაჩნდათ, მეორენი კი ფრთხილობდნენ და ათასნაირი მიზეზით თავს არიდებდნენ, რადგან მას პანგერმანულ შეთქმულებად თვლიდნენ. ესოდენ მოულოდნელი შედეგი არც მის ბრწყინვალებას გამოჰპარვია. საერთოდაც, ეს მოვლენები ირგვლივ სერიოზულ შეშფოთებას ბადებდა. მის ბრწყინვალებას კი ატეხილი განგაში უჩვეულოდ

ამხნევებდა. როცა დიოთიმა და პარალელური აქციის სხვა ხელმძღვანელები, შეშინებულნი, გამოკითხვას დაუწყებდნენ ხოლმე, გრაფი ლაინსდორფი ამ სულმოკლეებს შეუვალ, მაგრამ მოვალეობისადმი ერთგულების გამომხატველ სახეს მიაპყრობდა და პასუხობდა: – ამ ცდამ არ გაამართლა. მაგრამ ვისაც უნდა, რომ რაღაც დიდს მიაღწიოს, წუთიერ წარმატებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, პარალელური აქციისადმი ინტერესი გაიზარდა და, თუ სიმტკიცე არ გვიღალატებს, დანარჩენსაც მოევლება.

108. ერები, რომლებმაც თავი ვერ დაიხსნეს. გენერალ შტუმის აზრები სიტყვა „ხსნასა“ და მის მონათესავე სიტყვებზე

რამდენი სიტყვაც არ უნდა წარმოთქვან ყოველ წუთს დიდი ქალაქის მცხოვრებლებმა ინდივიდუალური სურვილების გამოსახატავად, მათ შორის სიტყვა „ხსნას“ ვერასდროს გაიგებთ. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ყველაზე მგზნებარე, ყველაზე რთული, თვით განსაკუთრებული ურთიერთობების გამომხატველი სიტყვებს და გამოთქმებს ერთდროულად ყვირილით და ჩურჩულით წარმოთქვამენ, მაგალითად: „თქვენ ყველაზე დიდი გარეწარი ხართ, ვინც კი ოდესმე შემხვედრია“, ან: „თქვენებრ წარმტაცი სილამაზის ქალი მეორე არ დადის ამ ქვეყანაზე“. ასე რომ, ღრმად ინდივიდუალური გრძნობები მთელ ქალაქზე გადანაწილებით სტატისტიკური მრუდებით შეგვიძლია გამოვსახოთ. აი ერთი ადამიანი კი მეორეს არასდროს ეტყვის: „შენ შეგიძლია ჩემი ხსნა!“ ან: „იყავი ჩემი მხსნელი!“. ადამიანი შეიძლება ხეზე მიაბა და შიმშილით ტანჯო; სიყვარულის მოსაპოვებლად მისი მრავალთვიანი უშედეგო მცდელობის შემდეგ შეყვარებულთან ერთად უკაცრიელ კუნძულზე გადასვა; შეიძლება, თამასუქი გააყალბებინო ან მოძებნო ვინმე, ვინც მას იხსნის. ამ დროს რა აღარ მოადგება პირზე, მაგრამ სანამ აღელვებულია, ალბათ, არასდროს წამოსცდება სიტყვები „ხსნა“ ან „მხსნელი“, თუმცა, ლინგვისტური თვალსაზრისით, მათი ხმარება სრულიად გამართლებული იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, კაკანიის გვირგვინის ქვეშ გაერთიანებული ხალხები საკუთარ თავს ისეთ ერებს უწოდებდნენ, რომლებსაც თავი ვერ დაეხსნათ.

გენერალი შტუმ ფონ ბორდვერი ფიქრობდა. თავდაცვის

სამინისტროში თავისი პოსტის წყალობით კაკანიისთვის სატანჯველად ქცეული ეროვნული პრობლემების შესახებ იგი საკმარის ინფორმაციას ფლობდა. ბიუჯეტის განხილვისას სამხედროებს მერყევმა, ათას ფაქტორზე დამოკიდებულმა პოლიტიკამ შეახსენა თავი. სულ ცოტა ხნის წინ, მინისტრის სავალალოდ, სამხედროებმა ერთ მნიშვნელოვან პროექტზე თქვეს უარი, რადგან მის განსახორციელებლად საჭირო ხარჯებისთვის თანხმობის განსაცხადებლად იმ ერმა, ვისაც თავი ვერ დაეხსნა, სახელმწიფოსგან ისეთი ნაბიჯის გადადგმა მოითხოვა, რაც სხვა, ხსნას მოწყურებულ ერებს გააღიზიანებდათ. ასე რომ, გარეშე მტრის პირისპირ კაკანია სრულიად დაუცველი დარჩა. სამხედროები არტილერიისთვის დიდ ხარჯებს მოითხოვდნენ, რათა არმიის მოძველებული შეიარაღება განეახლებინათ. სხვა სახელმწიფოთა შორსმსროლელ ქვემეხებთან მათი იარაღი ისე გამოიყურებოდა, როგორც დანა – შუბებთან. პროექტის განხორციელების შემთხვევაში კი პირიქით მოხდებოდა: „დანა – შუბი“ თანაფარდობა „შუბი – დანით“ შეიცვლებოდა. ასე რომ, მათი პროექტი გაურკვეველი ვადით გადაიდო. გენერალი ფონ შტუმი ამის გამო თვითმკვლელობის ხასიათზე არ დამდგარა, მაგრამ ნერვულმა აშლილობამ დასაწყისში, შესაძლოა, ერთი შეხედვით ერთმანეთთან დაუკავშირებელ წვრილმანებში იჩინა თავი. შინააშლილობის წყალობით უიარაღობისა და დაუცველობისათვის განწირული კაკანია იმ გარემოების მიზეზად იქცა, რომ შტუმი ხსნაზე ამდენს ფიქრობდა, მით უმეტეს, რომ დიოთიმასთან ნახევრად საერო მოღვაწეობის დროს სიტყვა „ხსნა“ აუტანლად ხშირად ესმოდა.

გენერლის პირველი მოსაზრება ის იყო, რომ ეს სიტყვა „მაღალფარდოვან სიტყვათა“, ლინგვისტური თვალსაზრისით არასაკმარისად შესწავლილ სიტყვათა, ჯგუფს მიეკუთვნებოდა. ამ მოსაზრებას მას ჯარისკაცული საღი გონება კარნახობდა. მიუხედავად იმისა, რომ დიოთიმამ გონება დაუბინდა – სიტყვა „ხსნა“ ხომ პირველად მის ბაგეთაგან გაიგო, რამაც სრულიად მონუსხა. დღესაც კი, საარტილერიო პროექტის მიუხედავად, ამ სიტყვას ჯადოსნური ხიბლი დაჰკრავდა. ასე რომ, გენერლის ეს პირველი მოსაზრება, არსებითად, მისი ცხოვრების მეორე მოსაზრება გახლდათ! – „მაღალფარდოვნების“ თეორია სხვა თვალსაზრისითაც არასწორად მიაჩნდა: საკმარისი იყო, „ხსნის“ ჯგუფის

სიტყვებიდან რომელიმე ოდნავი არასერიოზულობით შეგეზავებინათ და ენაზე მაშინვე მოგადგებოდათ: „შენ მე მიხსენი“ ან რაღაც ამგვარი: ვის არ შეეძლო ამის თქმა თუნდაც ათწუთიანი მოუთმენელი ლოდინის ან რამე სხვა წვრილმანი უსიამოვნების შემდეგ? გენერლისთვის ცხადი გახდა, რომ საღ აზრს იმდენად ეს სიტყვები კი არ მიაჩნდა დაუშვებლად, რამდენადაც დაურწმუნებლობა, რომელმაც ამ სიტყვის სერიოზულობა უნდა უზრუნველყოს. როცა საკუთარ თავს ეკითხებოდა, დიოთიმასთან გამართული პოლიტიკური პაექრობის გარდა, სხვაგან სად სმენოდა ეს სიტყვა, მაშინვე ეკლესიები, ყავის სახლები, ხელოვნების შესახებ ჟურნალები და არნჰაიმის წიგნები ახსენდებოდა, რომლებსაც ასე აღტაცებით კითხულობდა. ამგვარად, მისთვის ნათელი გახდა, რომ ამ სიტყვით არა უბრალო, ბუნებრივ, ადამიანურ მოვლენას გამოხატავენ, არამედ აბსტრაქტულ, ზოგად სირთულეს. ჩანს, ხსნა და ხსნის ნოსტალგია რაღაც ისეთია, რაც ერთმა ადამიანმა შეიძლება მეორეს განაცდევინოს.

ამ მომხიბლავი აღმოჩენით განცვიფრებული გენერალი თავს აკანტურებდა. თავისი კაბინეტის კარზე დამაგრებულ მრგვალ მინაზე წითელი შუქი ჩართო იმის ნიშნად, რომ მასთან მნიშვნელოვანი სხდომა მიმდინარეობდა: იმ დროს, როცა მისი ოფიცრები საქაღალდეებით ხელში ოხვრით კარის ზღურბლიდან უკან ბრუნდებოდნენ, გენერალი ფიქრს აგრძელებდა. ინტელექტუალები, მოღვაწეობის გზაზე გენერალს ახლა ყველგან რომ ხვდებოდნენ, ვერ კმაყოფილდებოდნენ. ისინი ყველგან და ყველაფერში ნაკლს ხედავდნენ. მათი აზრით, რაღაც ან ზედმეტად მეტი ხდებოდა, ან ზედმეტად ნაკლები. ფიქრობდნენ, რომ არაფერი იყო ისე, როგორც უნდა ყოფილიყო. გენერალს თანდათან ყველამ თავი მოაბეზრა. ისინი იმ საბრალო, მგრძნობიარე ადამიანებს ჰგავდნენ, ყოველთვის იქ რომ სხდებიან, სადაც გამჭოლი ქარი უბერავს. ისინი ლანძღავდნენ მეტისმეტ განსწავლულობას და უვიცობას, უხეშობას და უზომო სინატიფეს, შარიანობას და გულგრილობას. საითაც არ უნდა გაეხედათ, ყველგან პირდაღებულ ნაპრალს ხედავდნენ. ასე მივიდნენ ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე, რომ ეპოქა, რომელშიც ცხოვრება უწევდათ, სულიერად ბერწი იყო და ხსნას მხოლოდ განსაკუთრებული მოვლენისგან ან განსაკუთრებული ადამიანის ხელიდან ელოდნენ. ამგვარად გაუჩნდათ

ინტელექტუალებს განსაკუთრებული სიყვარული სიტყვა „ხსნის“ ჯგუფის მიმართ. დარწმუნებულები იყვნენ, რომ, თუ ქვეყანას მესია არ მოევლინებოდა, მეტს ვეღარ მოითმენდნენ. გარემოებისდა მიხედვით ეს, შეიძლება, მედიცინის მესია ყოფილიყო, რომელსაც ექიმობა მეცნიერული კვლევებისაგან უნდა ეხსნა, რომლის დროსაც ადამიანები ავად ხდებოდნენ და კვდებოდნენ; ან – სიტყვაკაზმული მწერლობის მესია, რომელიც ისეთ დრამას შექმნიდა, მილიონობით ადამიანს თეატრში რომ მიიზიდავდა, თანაც ამ დრამას შეუდარებლად მაღალმხატვრული ღირებულება ექნებოდა. იმ დარწმუნებულობის გარდა, რომ ყოველი ადამიანური საქმიანობა საკუთარ ფესვებს განსაკუთრებული მესიის წყალობით უნდა დაბრუნებოდა, არსებობდა ასევე უბრალო, მაგარი ხელის მესიის ნოსტალგიაც. ეს იყო ჭეშმარიტად მესიანური ეპოქა, დიდ ომამდე ცოტა ხნით ადრე და, თუ ერებსაც სწყუროდათ ხსნა, ამაში არც გასაკვირი იყო რამე და არც უჩვეულო.

გენერალი ფიქრობდა, რომ ეს სიტყვა, როგორც სხვა დანარჩენი, რის შესახებაც ადამიანები ლაპარაკობდნენ, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გაეგო. „დღეს რომ მაცხოვარი მოევლინოს ქვეყნიერებას, მის ძალაუფლებას ისევე დაამხობენ, როგორც სხვა დანარჩენს!“– ფიქრობდა გენერალი. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიზეზად იმას ასახელებდა, რომ ადამიანები მეტისმეტად ბევრ წიგნსა და საგაზეთო სტატიას წერდნენ. „რამდენად ჭკვიანურია სამხედრო წესდება, – ფიქრობდა ის, – რომელიც ოფიცრებს ხელმძღვანელების საგანგებო უფლების გარეშე წიგნების წერას უკრძალავს“. თავისმა ნაფიქრალმა თავადვე შეაკრთო, რადგან ლოიალურობის ასეთი შემოტევა დიდი ხანია აღარ განეცადა. ის ბევრს ფიქრობდა, ამაში ეჭვს ვერ შეიტანდით! ამდენი ფიქრი კი სამოქალაქო ცხოვრებასთან შეხების წყალობით დაიწყო; სამოქალაქო სულმა აშკარად დაკარგა უპირატესობა – ჰქონოდა მტკიცე უპირატესობა. გენერალი ამას მიხვდა და ხსნის თაობაზე ათასნაირ ყბედობას ახლა უკვე სხვა მხრიდანაც უყურებდა. მისი გონება მოგონებებზე გადაერთო. ამ ახალი კავშირების დასადგენად რელიგიისა და ისტორიის გაკვეთილებიდან მიღებული შთაბეჭდილებები გაიხსენა. ძნელი სათქმელია, რას ფიქრობდა ამ დროს, მაგრამ მისთვის აზრები რომ ამოგეცალათ და ნაოჭები საგულდაგულოდ

გაგესწორებინათ, შემდეგ სანახაობას მიიღებდით: თუ რელიგიურ ნაწილს შეეხებოდით მსუბუქად, მაშინ, სანამ რელიგიის სწამდათ, კეთილი ქრისტიანი და ღვთისმოშიში ებრაელი იმედისა და კეთილდღეობის ნებისმიერი სართულიდან შეგეძლოთ გადმოგეყირავებინათ და ისინიც, ასე ვთქვათ, ფეხებით დაეცემოდნენ. ასე კი იმიტომ ხდებოდა, რომ ცხოვრების განმარტებისას ყველა რელიგია იმ ირაციონალურ და გონებისთვის მიუწვდომელ ნარჩენს ჭვრეტდა, რასაც ისინი ღმერთის შეუცნობადობას უწოდებდნენ. თუ მოკვდავი გადაუჭრელ პრობლემას წააწყდებოდა, საკმარისი იყო ამ ნარჩენის გახსენება და მისი სულიც კმაყოფილებით იფშვნეტდა ხელებს. ფეხებით დაცემას და ხელების მოფშვნეტას მსოფლმხედველობა ჰქვია და თანამედროვე ადამიანმა გადაივიწყა, როგორ უნდა ფლობდე მას. ის ან უარს ამბობს, იფიქროს საკუთარ ცხოვრებაზე და ბევრი ასეც იქცევა, ან საკუთარ თავთან რაღაც უცნაურ შინაგან წინააღმდეგობაში მოდის, როცა იძულებულია, იფიქროს, ოღონდ კმაყოფილებას ვერასდროს აღწევს. დროთა მანძილზე ეს გაორება ხშირად სრული ურწმუნოების ან რწმენისადმი სრული დამორჩილების ახლებურ ფორმას იძენდა. ყველაზე გავრცელებული ამჟამინდელი ფორმა კი იმ დარწმუნებულობას ეყრდნობა, რომ სულიერების გარეშე ჭეშმარიტი ადამიანური ცხოვრება ფასს კარგავს, მაგრამ ზედმეტად დიდ სულიერებასაც იმავე შედეგებამდე მივყავართ. სწორედ ამ დარწმუნებულობას ეყრდნობა ჩვენი კულტურა. ის მკაცრად ადევნებს თვალყურს, რომ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებს ფული გამოუყონ, მაგრამ არა იმდენი, რომ სიამოვნების, მანქანებისა და იარაღისათვის დახარჯულ ფულთან პროპორციული თანაფარდობა დაირღვეს. კულტურა გზას უხსნის ნიჭიერ ადამიანს, მაგრამ ფრთხილად იმაზეც ზრუნავს, რომ ის ნიჭიერი საქმოსანიც იყოს. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ ნებისმიერ იდეას აღიარებს, თუმცა შემდეგ თავისთავად საპირისპირო იდეის სასარგებლოდ ვითარდება, რაც უცნაურ სისუსტედ და დაუდევრობად გამოიყურება; მაგრამ ეს, როგორც ჩანს, სრულიად ცნობიერი მცდელობაა, რათა სულიერებას აგრძნობინოს, რომ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის, რადგან ჩვენი ცხოვრების რომელიმე იდეას სერიოზულად თუ მოვეკიდეთ, იმდენად სერიოზულად, რომ საპირისპირო იდეას აღარაფერი დავუტოვეთ, მაშინ ჩვენი კულტურა ჩვენი აღარ იქნება.

გენერალს ბავშვურად მსუქანი, პატარა მუშტი ჰქონდა და სარჩულგამოკრული ხელთათმანები ეცვა. საწერ მაგიდას მუშტი ისე დაჰკრა, თითქოს ძლიერი ხელის აუცილებლობას ამტკიცებდა. მას, როგორც ოფიცერს, მსოფლმხედველობაც ჰქონდა! ამ მსოფლმხედველობაში კი ირაციონალურ ნარჩენს ღირსება, დისციპლინა, უმაღლესი მთავარსარდლობა, სამხედრო წესდების მესამე ნაწილი ერქვა და როგორც ყველა დარწმუნებულობის შედეგი, იმ დარწმუნებულობასაც ეყრდნობოდა, რომ ომი მშვიდობის უფრო ეფექტური საშუალებებით გაგრძელებაა, წესრიგის ენერგიული სახესხვაობა, რის გარეშეც სამყარო არსებობას ვეღარ შეძლებდა. ჟესტი, რითაც გენერალმა მაგიდას მუშტი დასცხო, სასაცილო იქნებოდა, მხოლოდ ათლეტური რომ ყოფილიყო და ცოტაოდენი სულიერებაც არ დაჰყოლოდა, როგორც მისი ერთგვარი დამატება. შტუმ ფონ ბორდვერს საერო ცხოვრება ცოტა არ იყოს ყელში ამოსვლოდა. აღმოაჩინა, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლები ადამიანთა შორის ერთადერთნი იყვნენ, რომელთა წარმოდგენებსაც საერო ცხოვრებაზე შეგეძლოთ ნდობოდით. ჭარბი წესრიგის ის პარადოქსულობაც აღმოაჩინა, რომ მის სრულყოფას მუდამ უსაქმურობა სდევდა თან, როგორც გარდაუვალი შედეგი. იმ განმარტებაში, თუ რატომ არსებობდა არმიაში გვერდიგვერდ დიდი წესრიგი და თავგანწირვისთვის მუდმივი მზადყოფნა, გენერალმა რაღაც უცნაური დაინახა. მიხვდა, რომ ენით გამოუთქმელი კავშირის გამო წესრიგი მკვლელობის მოთხოვნილებას ბადებს. შეშფოთებულმა გაიფიქრა, რომ ამ ტემპით მუშაობის გაგრძელება შეუძლებელი იყო. „რა არის საერთოდ ეს სული?! – ეკითხებოდა საკუთარ თავს გენერალი. – მართლა თეთრ პერანგში გამოწყობილი ხომ არ დაძრწის ღამღამობით?! სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ის წესრიგი, რასაც საკუთარ განცდებსა და შთაბეჭდილებებს ვანიჭებთ?! და თუ ეს ასეა, – დაასკვნა გადაჭრით ამ მიგნებით ფრთაშესხმულმა, – თუ სული სხვა არაფერია, თუ არა მოწესრიგებული განცდა, მაშინ სამყაროში, სადაც წესრიგია, ის სრულებით არ ყოფილა საჭირო“.

შტუმ ფონ ბორდვერმა შვებით ამოისუნთქა, წითელი შუქი გამორთო, სარკესთან მივიდა და თმები გაისწორა, რათა ხელქვეითების მოსვლამდე სულიერი ქარტეხილების ყველა კვალი სრულად წაეშალა.

109. ბონადეა, კაკანია; ბედნიერებისა და წონასწორობის სისტემა

თუ კაკანიაში არსებობდა ვინმე, ვისაც პოლიტიკის არაფერი გაეგებოდა და არც რამის გაგება სურდა, ეს ბონადეა იყო. და მაინც მას და იმ ერებს შორის, თავი რომ ვერ დაეხსნათ, რაღაც კავშირი არსებობდა. ბონადეას (დიოთიმაში არ აგერიოთ; ბონადეა, კეთილი ქალღმერთი, უბიწოების ქალღმერთი, რომლის ტაძარიც ბედისწერის უკუღმართობით გარყვნილების ბუდედ ქცეულიყო, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის თუ ვიღაც მსგავსის ცოლი გახლდათ. ის იყო უიღბლო საყვარელი იმ კაცისა, ვისაც ის დიდად არც სჭირდებოდა და არც მისი ღირსი იყო) სისტემა ჰქონდა, კაკანიაში პოლიტიკას კი მსგავსი არაფერი გააჩნდა.

ბონადეას სისტემა აქამდე ორმაგი ცხოვრება იყო. პატივმოყვარეობას ამაღლებულ, ასე ვთქვათ, ოჯახურ წრეში იკმაყოფილებდა. წარჩინებულ საზოგადოებასთან კავშირი კი დიდად განათლებული და დახვეწილი ქალბატონის რეპუტაციას უქმნიდა. ვნებებს აყოლილი, მიზეზად მოჭარბებულ აღგზნებადობას და გულისთქმას ასახელებდა, სიგიჟისკენ რომ უბიძგებდა. გულისთქმა კი ისევე ღირსეულია, როგორც რომანტიკულ-პოლიტიკური დანაშაული მაშინაც კი, როცა მისი თანამდევი გარემოებანი არც ისე უმწიკვლოა. გული ბონადეას შემთხვევაში ისეთივე როლს თამაშობდა, როგორსაც გენერლის ცხოვრებაში ღირსება, მორჩილება, სამხედრო წესდების მესამე ნაწილი ან ყველა მოწესრიგებულ ცხოვრებაში – ირაციონალური ნარჩენი, რომელსაც საბოლოოდ ყველაფერი წესრიგში მოჰყავს, რის უნარიც გონებას არ შესწევს.

ამ სისტემას ერთი დეფექტი ჰქონდა. ის ბონადეას ცხოვრებას ორ მდგომარეობად ყოფდა და ერთიდან მეორეში გადასვლა მძიმე დანაკარგის ფასად ხდებოდა. რამდენადაც გულდაჯერებით მოქმედებდა ბონადეა მცდარ ნაბიჯამდე, იმდენად გულგატეხილად გამოიყურებოდა იგი შემდეგ; მისი გუნება-განწყობა მრუმე ტალღების მდინარებას ჰგავს და მისი გულიც ამ განწყობილებასა და მანიაკალურ მდგომარეობას შორის ბორგვდა. სისტემა კი მუდამ სისტემად რჩებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არ იყო ნებაზე მიშვებული ინსტინქტების უკონტროლო თამაში, როგორც ოდესღაც ესმოდათ ცხოვრება –

სიამოვნებასა და უსიამოვნებას შორის ბალანსი, სიამოვნების სასარგებლოდ ერთგვარი ნარჩენით. ამ ბალანსის გასაყალბებლად სულიერი დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა.

ყოველ ადამიანს აქვს საკუთარ შთაბეჭდილებათა ბალანსის თავის სასარგებლოდ განმარტების მეთოდი, რაც ჩვეულებრივ სიამოვნების სასიცოცხლოდ აუცილებელ ყოველდღიურ მინიმუმს უზრუნველყოფს. ცხოვრებით მოგვრილი სიამოვნება, შეიძლება, უსიამოვნებისგანაც შედგებოდეს. არსებულ მასალაში ასეთი განსხვავებები არავითარ როლს არ ასრულებს, რადგან, სამგლოვიარო მარშების მსგავსად, ბედნიერი მელანქოლიკებიც ხომ არსებობენ! ისიც ვიცით, რომ სამგლოვიარო მარშები ისეთივე გატაცებით ეძლევიან თავიანთ სტიქიას, როგორითაც ცეკვა – თავისას. ალბათ, პირიქითაც შეგვეძლო გვეთქვა: მხიარული ადამიანები სევდიანებზე ბედნიერნი სულაც არ არიან, რადგან ბედნიერებაც და უბედურებაც ერთნაირ დაძაბვას ითხოვს. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ჰაერზე უფრო მსუბუქად ან უფრო მძიმედ რომ იფრინო. აქ მეორე შენიშვნაც იჩენს თავს. ასეთ შემთხვევაში სწორი ხომ არ არის მდიდართა ძველთაძველი სიბრძნე, იმას რომ ამტკიცებს, ღარიბს მდიდრის არ უნდა შურდეს, რადგან სიმდიდრე ქიმერაა და ბედნიერება არ მოაქვსო. ღარიბს ეს ცხოვრების საკუთარი სისტემის ნაცვლად სხვისი სისტემის შემუშავების აუცილებლობის წინაშე დააყენებდა. ეს სისტემა კი საუკეთესო შემთხვევაში მას ბედნიერების იმ მცირეოდენ მონაგებს დაუტოვებდა, რაც მას უამისოდაც აქვს. თეორიულად ეს შემდეგს ნიშნავს: თუ უსახლკარო ოჯახი ზამთრის ყინვიან ღამეს გადაურჩებოდა, მაშინ მზის პირველ სხივებს ისეთივე ბედნიერი შეეგებებოდა, როგორც მდიდარი, დილით თბილი საწოლიდან რომ დგება. პრაქტიკულად ისე გამოდის, რომ სახედარივით ამტანი ადამიანი იმას ზიდავს, რაც აჰკიდეს, რადგან საკუთარ ტვირთზე ოდნავ ღონიერი ადამიანი ბედნიერია. პირადი ბედნიერების ეს განსაზღვრება სხვა დანარჩენთა შორის ყველაზე საიმედოა მანამ, სანამ ერთ რომელიმე სახედარს ვაკვირდებით. სინამდვილეში პირადი ბედნიერება (წონასწორობა, კმაყოფილება ან კიდევ როგორც უწოდებენ – პიროვნების ავტომატური მიზანი) თავისი თავითაა შემოსაზღვრული, როგორც ქვა – კედელში ან წვეთი – მდინარეში, რომელიც მთელი მდინარის ძალისა და დაძაბულობის გამტარია. საკუთარი წონასწორობით არავინ

ცხოვრობს; ყველა იმ ფენებს ეყრდნობა, რომლებიც მას მოიცავს და ამიტომ სიამოვნების პატარა, პირად ფაბრიკაზე მორალური კრედიტის მეტად რთული სისტემა მოქმედებს, რადგან კოლექტივის ფსიქოლოგიური ბალანსისათვის მისი მნიშვნელობა ინდივიდების ბალანსზე ნაკლები როდია.

მას შემდეგ, რაც ბონადეას მცდელობამ – დაებრუნებინა საყვარელი – მარცხი განიცადა, ის იმ ფიქრს შეეპყრო, რომ ულრიხი დიოთიმას ჭკუამ და ენერგიამ მოსტაცა. ბონადეა უზომოდ ეჭვიანობდა დიოთიმაზე, მაგრამ როგორც ხშირად სუსტ ადამიანებს ემართებათ ხოლმე, მისით აღფრთოვანება დანაკარგს ნაწილობრივ უნაზღაურებდა. ასეთ მდგომარეობაში იყო იგი ერთხანს და პარალელური აქციისთვის მცირე შესაწირის საბაბით დიოთიმას სალონში შეღწევას ახერხებდა, თუმცა ხშირი სტუმარი მაინც ვერ გახდა და ისიც კი ეგონა, რომ ულრიხსა და დიოთიმას შორის ამის თაობაზე რაღაც შეთანხმება არსებობდა. ასე ტანჯავდა ბონადეას მათი სისასტიკე და რადგან ორივე უყვარდა კიდეც, თავისი გრძნობების სისპეტაკესა და თავგანწირვაზე ილუზიები შეექმნა. დილაობით, ქმრის წასვლისთანავე, რასაც ასე მოუთმენლად ელოდა, სარკის წინ იმ ფრინველივით ჩამოჯდებოდა ხოლმე, ფრთებს რომ აფათქუნებს. თმას იმდენ ხანს იწნავდა ან მაშებით იმდენ ხანს იხვევდა, სანამ ვარცხნილობას დიოთიმას ბერძნულ ნასკვს არ დაამსგავსებდა. ივარცხნიდა კულულებს; ეფექტი ცოტა სასაცილო კი გამოსდიოდა, მაგრამ თვითონ ამას ვერ ამჩნევდა, რადგან სარკიდან საკუთარი ანარეკლი უღიმოდა, რომელიც შორეულად ღვთაებრივ დიოთიმას ახსენებდა. სიმტკიცე და მშვენიერება იმ არსებისა, ბონადეას ასე რომ აღაფრთოვანებდა, და მისი ბედნიერება საიდუმლო, მაგრამ ჯერ არც ისე მტკიცე კავშირის პატარა, თბილი ტალღებივით ელამუნებოდა და მთელ მის არსებას ავსებდა, სწორედ ისე, ზღვის ნაპირას რომ ზიხარ და ფეხები წყალში გაქვს ჩაყოფილი. ლამის რელიგიური თაყვანისცემის გამომხატველი მისი ქცევა – რადგან დაწყებული ღვთაებრივი ნიღბებიდან, ადამიანი პირველყოფილ მდგომარეობაში სხეულზე რომ ირგებდა, დამთავრებული ცივილიზაციის ცერემონიით, მთელი სხეულის ბედნიერებით მომცველ ღვთისმოსაურ მიბაძვას თავისი მნიშვნელობა ბოლომდე არ დაუკარგავს – იმითაც მძაფრდებოდა, რომ ტანსაცმელი და გარეგნული სამშვენისები

ბონადეას ისე უყვარდა, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა. ახალ კაბაში გამოწყობილი, სარკის წინ მოკეკლუცე ბონადეა ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ბუფებს, შუბლზე ჩამოყრილ კულულებს და გრძელ განიერ ქვედაბოლოებს მუხლებამდე კაბები და ბიჭური ვარცხნილობა შეცვლიდა. არც იმაში შეგედავებოდათ, რომ ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელი იყო, რადგან მის გონებას ამის წარმოდგენა უბრალოდ არ ძალუძდა. ბონადეა ისე იცვამდა, როგორც არისტოკრატს შეეფერებოდა. ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ ახალ მოდას, როგორც მარადისობას, მოკრძალებით შეჰყურებდა. მოდის წარმავლობა კიდეც რომ ეღიარებინა, მისდამი მოკრძალებას მაინც არაფერი დააკლდებოდა. სამყაროს გარდაუვალ ნებას პირწმინდად ისრუტავდა და ის დრო, როცა სავიზიტო ბარათებს კუთხეებს უკეცავდნენ, მეგობრებს საახალწლო მისალოცებს უგზავნიდნენ ან მეჯლისზე ხელთათმანებს იხდიდნენ, ახლა, როცა ამას აღარ აკეთებდნენ, მისთვის ისეთივე შორეული ხდებოდა, როგორიც სხვებისთვის ასი წლის წინანდელი ეპოქა. ამიტომაც იყო ასე სასაცილო ბონადეას ტანსაცმლის გარეშე ხილვა. იდეალიზმის სამოსისგან განძარცული ბონადეა აუცილებლობის შიშველი მსხვერპლი ხდებოდა, რომელიც არაადამიანური ძალით მიწისძვრის მსგავსად ატყდებოდა თავს.

ნაჭრების უგუნური სამყაროს ცვლილებებში მისი კულტურის პერიოდულ დაღუპვას ახლა წერტილი დაესვა და მას შემდეგ, რაც ბონადეა გასაიდუმლოებული გულმოდგინებით საკუთარ გარეგნობას ზრუნვას არ აკლებდა, თავისი ცხოვრების უკანონო ნაწილში ქვრივივით ცხოვრობდა. საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ქალები, რომლებიც საკუთარ გარეგნობას გადაჭარბებული გულმოდგინებით უვლიან, ზნეობრიობითაც გამოირჩევიან, რადგან საშუალება მიზანს ჩრდილავს, სწორედ ისე, როგორც დიდი სპორტსმენია ხოლმე ცუდი საყვარელი, მრისხანე მეომრის გარეგნობის ოფიცერი – ცუდი ჯარისკაცი, ერთი შეხედვით ჭკვიანი მამაკაცი კი ხშირად – ბრიყვი. ბონადეა ახალ ცხოვრებას გასაოცარი თავდავიწყებით შეუდგა. წარბებს ის მხატვრის გატაცებით იხატავდა, მსუბუქად მომინანქრებულ შუბლს და ლოყებს ნატურალიზმიდან რეალობისგან დაშორებულ და მისგან ამაღლებულ იმ სფეროში მიჰყავდა, რომელიც ასე ორგანულია საკრალური სტილისთვის.

სხეულს რბილი კორსეტით გასაქანს არ აძლევდა, ვეება მკერდი კი, აქამდე ცოტა რომ აცბუნებდა და ხელს უშლიდა, დასავით შეიყვარა. ქმარს, ცოტა არ იყოს, უკვირდა, როცა ბონადეას კისერზე თითით მოუღიტინებდა, ის კი პასუხობდა: „ფრთხილად, ვარცხნილობა არ გამიფუჭო!“, ანდა როცა ქმარი ეკითხებოდა: „არ გინდა, ხელი გამომიწოდო?“, ის პასუხობდა: „კი მაგრამ, ახალი კაბა რომ მაცვია!“. ცოდვის ძალამ სხეულიდან თითქოს ბორკილები შემოხსნა და ისიც, ახალშობილი ვარსკვლავივით, ბონადეას ფერნაცვალ სამყაროში დაეხეტებოდა. ამ უჩვეულო და რბილ სხივებში „მოჭარბებული აღგზნებადობისაგან“ გათავისუფლებული ბონადეა თავს ისე გრძნობდა, თითქოს კანიდან ფუფხი მოეცილებინოს. ცოლქმრობის მანძილზე მისი ქმარი პირველად დაეჭვდა, მათ ოჯახურ სიმშვიდეს ვინმე მესამე ხომ არ არღვევდა.

ის, რაც მოხდა, ცხოვრების სისტემების სფეროს განეკუთვნებოდა. ადამიანის სხეულზე თანამედროვეობის ფლუიდებისაგან გათავისუფლებული ტანსაცმლის შემზარავ ყოფას, როგორც წმინდა ფორმას, რომ დავაკვირდეთ, მისი უჩვეულო მილები და კორძები იმ საზოგადოების საკადრისად მოგვეჩვენება, ნესტოებში ჩხირებს რომ ირჭობს, ტუჩებს კი ბეჭდის გასაყრელად იხვრეტს. მაგრამ რარიგ წარმტაცი ხდება იგი იმ თვისებებთან ერთად, რომელთაც მისი მფლობელი მისგან სესხულობს! ეს სწორედ ისეა, ქაღალდზე ხაზების უცნაური ხვეულები ამაღლებული სიტყვების აზრად რომ გარდაიქმნება. წარმოიდგინეთ, ადამიანს უხილავი სიკეთე და სინატიფე საქოჩრეზე კვერცხისგულისფერ-მოოქროსფრო, სავსე მთვარისხელა შარავანდედად რომ დაადგეს (როგორც ძველი ეპოქის რელიგიურ სურათებზე გამოსახავდნენ ხოლმე), როცა კაცი იტალიური ქალაქების მთავარ ქუჩებში მისეირნობს ან ჩაის სმის დროს თეფშზე ბუტერბროდს იდებს; ეს ჭეშმარიტად უჩვეულო და ამაღელვებელი სანახაობა იქნებოდა. კარგად შეკერილი სამოსი უხილავის ანდა სულაც არარსებულის ხილულად ქცევის ძალას ფლობს, რასაც იგი ყოველდღიურადაც გვიმტკიცებს!

ასეთი საგნები იმ მოვალეებს ჰგავს, ნასესხებ კაპიტალს უზარმაზარი პროცენტებით რომ გვიბრუნებენ და კაცმა რომ თქვას, ამქვეყნად, მოვალე საგნების გარდა, არც არაფერი არსებობს. ტანსაცმლის ამ თვისებას გააჩნია

დარწმუნებულობა, ცრურწმენები, თეორიები, იმედები, რაღაცის რწმენა, აზრები, დიახ, თვით დაუდევრობაც კი. მათგან ნასესხები უნარი, რომელსაც ვალად უკან ვაბრუნებთ, ერთ მიზანს ემსახურება – სამყარო მხოლოდ იმ შუქზე წარმოაჩინოს, რომელსაც ჩვენვე ვასხივებთ და, არსებითად, ეს სხვა არაფერია, თუ არა ის ამოცანა, რომლის გადასაჭრელადაც ყველას საკუთარი სისტემა აქვს. დიდი და მრავალფეროვანი ხელოვნებით თვალებს ვიბრმავებთ, რის წყალობითაც შემზარავი საგნების გვერდით არსებობას ვახერხებთ და თანაც სიმშვიდესაც არ ვკარგავთ, რადგან კოსმოსის ამ გაყინულ გრიმასაში სკამს, ყვირილს, გამოწვდილ ხელს ან შემწვარ ქათამს ვხედავთ. დედამიწაზე, ჩვენ ზემოთ ხახადაფჩენილ ზეციურ უფსკრულსა და ფეხქვეშ ოდნავ პირშეკრულ უფსკრულს შორის, თავს ისე მშვიდად ვგრძნობთ, როგორც ჩაკეტილ ოთახში. ვიცით, რომ ცხოვრება არაადამიანურად გაშლილ სივრცეში ისევე იკარგება, როგორც ატომთა სამყაროს არაადამიანურ სივიწროვეში; მათ შორის ფორმათა ფენებს კი, როგორც სამყაროს საგნებს, ისე აღვიქვამთ და იოტისოდენადაც არ გვაშფოთებს, რომ ეს მხოლოდ იმ შთაბეჭდილებებისათვის უპირატესობის მინიჭებაა, საგნებთან საშუალო მანძილიდან რომ გვექმნება. ასეთი ქცევა ჩვენს გონებას საგრძნობლად ჩამორჩება, მაგრამ ჩვენი გრძნობების განუზომელ მნიშვნელობას სწორედ ეს ამტკიცებს. ფაქტობრივად, კაცობრიობის ინტელექტუალური საზრუნავი სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაა. სამყაროს ვერც ერთი გრძნობა თუ ვნება ვერ შეედრება იმ შემზარავ, თუმცა სრულიად არაცნობიერ მცდელობას, რომელსაც კაცთა მოდგმა ამაღლებული სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად იჩენს. ჩანს, არც ღირს ამაზე ბევრი ლაპარაკი, იმდენად უდრტვინველად მოქმედებს ეს ყოველივე. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ცნობიერების უკიდურესად ხელოვნური მდგომარეობა ადამიანს საშუალებას აძლევს, ცარგვალზე მბრუნავ ვარსკვლავებქვეშ წელში გამართულმა იაროს და იმის ნებასაც რთავს, რომ ამ უნუგეშო სიუცხოვეში სერთუკის მეორე და მესამე ღილებს შორის ხელი ღირსეულად დამალოს. ამ შედეგების მისაღწევად თითოეულს, იდიოტს თუ ბრძენს, საკუთარი ფანდი სჭირდება. ხრიკების პერსონალური სისტემა თავის მხრივ ოსტატურად არის მორგებული მორალურ და ინტელექტუალურ ხრიკებზე, რაც საზოგადოებისა და მთელი სამყაროს წონასწორობას

უზრუნველყოფს; ეს კი იმავე მიზანს ემსახურება, ოღონდ უფრო ფართო მასშტაბით. ეს ურთიერთჩართულობა თავად ბუნების ურთიერთჩართულობას ჰგავს, სადაც კოსმოსის ძალის ველები დედამიწის ძალის ველებზე ზემოქმედებს ისე, რომ ადამიანი ამას ვერ ამჩნევს, რადგან შედეგები სწორედ მიწიერი მოვლენებია. ამგვარად მიღწეული ინტელექტუალური შვება იმდენად დიდია, რომ თვით ბრძენსაც კი ასეთ მშვიდ მდგომარეობაში პატარა უვიც გოგოსავით თავი ჭკვიანად და კეთილად მოაქვს.

დროდადრო კმაყოფილების ამგვარი მდგომარეობის შემდეგ, რასაც გარკვეული თვალსაზრისით გრძნობებისა და ნებელობის აკვიატებული მდგომარეობაც შეგვიძლია ვუწოდოთ, ადამიანს სრულიად საპირისპირო რამ ემართება. დედამიწაზე უცაბედად, ფსიქიატრიის ტერმინებით თუ ვიტყვით, იდეათა გიჟური რბოლა იწყება და ამ პროცესის ჩავლის შემდეგ ადამიანების ცხოვრება ახალი ცენტრებისა და ღერძების გარშემო ლაგდება. ყველა დიდი რევოლუციის ღრმა მიზეზი არაკეთილსასურველი ფაქტორების თავმოყრაში კი არა, იმ სოლიდარობის ცვეთაშია, რომელიც სულის ხელოვნურ კმაყოფილებას ეყრდნობოდა. ყველაზე უკეთ ადრეული ხანის ცნობილი სქოლასტიკოსის გამონათქვამი გამოგვადგებოდა. ლათინურად ის ასე ჟღერს: „Credo, ut intelligam“, რომელიც თანამედროვე ენაზე თავისუფალ თარგმანში, შესაძლოა, შემდეგსაც ნიშნავდეს: „უფალო, უბოძე ჩემს სულს კრედიტი მწარმოებლურობისათვის“, რადგან ყოველგვარი ადამიანური კრედო ზოგადად კრედოს კერძო შემთხვევაა. სიყვარულსა და კომერციაში, მეცნიერებასა და სიგრძეზე ხტომაში ჯერ უნდა ირწმუნო და შემდეგ მიზანსაც მიაღწევ. თუ ეს ასეა, ცხოვრებაში რატომღა უნდა იყოს სხვანაირად?! დასაბუთებულ რწმენას ჩვენი ნებაყოფლობითი რწმენის წილი ურევია. აუხსნელი და არაფრით უზრუნველყოფილი რწმენის ცვეთას მალევე სრული ნგრევა მოჰყვება. იმპერიებისა და ეპოქების ნგრევაც სწორედ ისე ხდება, როგორც კრედიტდაკარგული კომერციისა. და აი მშვენიერი ბონადეას მაგალითზე განხილული სულიერი წონასწორობის პრინციპული ანალიზიდან კაკანიის სევდიან მაგალითს მივადექით. განვითარების ამ სტადიაზე კაკანია პირველი ქვეყანა იყო, რომელსაც ღმერთმა კრედიტი, სიცოცხლის სიყვარული, საკუთარი თავის რწმენა და ყველა კულტურული

სახელმწიფოს უნარი წაართვა – შეექმნა ილუზია, თითქოს რამე ამოცანა ჰქონოდეს. ეს იყო გონიერი ქვეყანა, სადაც კულტურული ადამიანები აფარებდნენ თავს. ამქვეყნად კულტურული ადამიანების მსგავსად, სულიერად მერყევ მდგომარეობაში მყოფნი დიდ მღელვარებათა, ხმაურს, სისწრაფეს, სიახლეს, კონფლიქტთა და იმ სხვა დანარჩენთა შორის ბორგავდნენ, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ოპტიკურ-აკუსტიკური პეიზაჟის ნაწილია. სხვათა მსგავსად, ისინიც კითხულობდნენ და ყოველდღიურად ათობით ისეთ ამბავს ისმენდნენ, რომ თმა ყალყზე უდგებოდათ. მღელვარებისთვის თავადაც მზად მყოფნი, ამ მოვლენებში ჩარევასაც აპირებდნენ, თუმცა საქმე აქამდე არასდროს მიდიოდა, რადგან აღგზნებიდან სულ რაღაც რამდენიმე წუთში მათ ცნობიერებაში ახალი აღმგზნები იჭრებოდა. გრძნობდნენ, რომ გარს მკვლელობა, ვნებათაღელვა, ზვარაკის გაღების სურვილი, დიდებულება ერტყათ. თავად ამ ავანტიურაში არასდროს ებმებოდნენ, რადგან მთელი დღე ბიუროებსა და დაწესებულებებში დატყვევებულნი ისხდნენ. საღამოს პირას, ტყვეობიდან განთავისუფლებულები, დაძაბულობას ვეღარაფერს უხერხებდნენ და განტვირთვას სიამოვნებაში ეძებდნენ, თუმცა ამასაც ვეღარ ახერხებდნენ. თუ თავს ბონადეას მსგავსად სიყვარულს არ უძღვნიდნენ, კულტურულ ადამიანებს კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება აღენიშნებოდათ: ისინი ვეღარც კრედიტის სიკეთით სარგებლობდნენ და აღარც ტყუილის თქმის უნარი ჰქონდათ; არც ის იცოდნენ, სად დაკარგეს ღიმილი, ოხვრა ან აზრი. რატომ ფიქრობდნენ ან იცინოდნენ? მათი თვალთახედვა შემთხვევითობის ნაყოფი იყო, მიდრეკილებები – ჰაერში გამოკიდებული სქემები და რადგან მათი ერთიანობის კანონიც გამქრალიყო, გულით და სულით ვეღარაფერს აკეთებდნენ. ასე და ამრიგად, კულტურული ის ადამიანი იყო, ვინც გრძნობდა, რომ ვალი დღითი დღე იზრდებოდა და მის განაღდებას ვეღარასოდეს შეძლებდა. ეს ისეთი ადამიანი იყო, ვინც გარდაუვალ გაკოტრებას ცხადლივ ხედავდა და ან იმ ეპოქას უჩიოდა, რომელშიც განგებამ არსებობა მიუსაჯა, თუმცა საკუთარ ეპოქაში ისევე სიამოვნებით ცხოვრობდა, როგორც ნებისმიერი სხვა, ან იმ იდეას, ცვლილებას რომ ჰპირდებოდა, იმ ადამიანის გაბედულებით ჩაეჭიდებოდა ხოლმე, რომელსაც არაფერი აქვს დასაკარგი.

ცხადია, ასე იყო ამქვეყნად ყველგან, მაგრამ კაკანიისთვის კრედიტის წართმევით ღმერთმა ერთი განსაკუთრებული საქმეც გააკეთა: მან კაკანიის ხალხებს კულტურის სირთულე აგრძნობინა. ისინი ნიადაგში ბაქტერიებივით ჩამსხდარიყვნენ და არც ის ადარდებდათ, იყო თუ არა ცის თაღი შესაბამისად მომრგვალებული და არც სხვა მსგავსი რამ, მაგრამ მაინც ერთ მშვენიერ დღეს მათთვის ყველაფერი დავიწროვდა. როგორც წესი, ადამიანმა არ იცის, რომ შეძლო, იყო ის, ვინც ხარ, უნდა ირწმუნო, რომ უფრო მეტი ხარ, ვიდრე თავის სინამდვილეში წარმოადგენ. ადამიანმა ეს რაღაცნაირად ან თავის ზემოთ უნდა იგრძნოს, ან თავის გარშემო, ხანდახან კი, შეიძლება, მისი არარსებობაც იგრძნოს. ასეთ დროს მას რაღაც წარმოსახვითი აკლია. კაკანიაში არაფერი ხდებოდა და წინათ იფიქრებდნენ, ძველი, მოკრძალებული კაკანიური კულტურაც სწორედ ეს არისო. ახლა კი ეს „არაფერი“ ისეთივე შემაშფოთებელი გახდა, როგორც ის, როცა ვერ იძინებ ან აღარაფერი გესმის. ამიტომ ინტელექტუალებისთვის ადვილი იყო, მას შემდეგ, რაც თავს შთააგონებდნენ, რომ ეროვნული კულტურის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, ამაში კაკანიელი ხალხებიც დაერწმუნებინათ. ეს რელიგიის ან ვენაში, კეთილი იმპერატორის ერთგვარ შემცვლელად ან იმ აუხსნელი ფაქტის განმარტებად იქცა, რომ კვირაში შვიდი დღეა. ამქვეყნად ხომ უამრავი აუხსნელი რამ არის, მაგრამ როცა ეროვნულ ჰიმნს მღერიან, ეს არ იგრძნობა. რა თქმა უნდა, ეს იყო დრო, როცა კითხვაზე: „ვინ ხარ შენ?“ კეთილი კაკანიელი აღფრთოვანებით გიპასუხებდათ: „არავინ!“, რადგან ეს ნიშნავს რაღაცას, რაც კაკანიელს იმად აქცევდა, რაც ის აქამდე არასდროს ყოფილა! კაკანიელები ჯიუტები არ ყოფილან და ნახევარსაც სჯერდებოდნენ. თითოეული ერი ცდილობდა, მეორისთვის ის გაეკეთებინა, რაც სიკეთედ მიაჩნდა. ცხადია, ამ დროს ძნელია, წარმოიდგინო ის ტკივილი, რომელიც თავად არ განგიცდია. ორიათასწლოვანი ალტრუისტული აღზრდის წყალობით ადამიანები იმდენად თავგანწირულნი გახდნენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა მე ან შენ ხარ ცუდად, უპირატესობას ის ყოველთვის ვიღაც სხვას ანიჭებს. მიუხედავად ამისა, ცნობილ კაკანიურ ნაციონალიზმში ნურაფერს ველურს ნუ წარმოვიდგენთ. ეს უფრო ისტორიული პროცესი იყო და არა რეალური. ადამიანები ერთმანეთისადმი საკმაოდ კეთილგანწყობილნი იყვნენ. მართალია, ერთმანეთს თავსაც უტეხდნენ და სახეშიც აფურთხებდნენ, მაგრამ ამას მაღალი

კულტურიდან გამომდინარე სჩადიოდნენ. ასეც ხომ ხდება: ადამიანი, ჭიანჭველასაც რომ ვერ აწყენინებს, სასამართლო დარბაზში, ჯვარცმის ქვეშ, ვინმეს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს. შეიძლება ითქვას, რომ ყოველ ჯერზე, როცა მათი უზენაესი „მე“ შესვენებას იწყობდა, კაკანიელები შვებით ამოისუნთქავდნენ ხოლმე, საჭმლის მიმღებ ინსტრუმენტებად გადაიქცეოდნენ, რისთვისაც ყველა ადამიანია შექმნილი და უკვირდათ, რომ საკუთარი თავები ისტორიის ინსტრუმენტადაც გამოსცადეს.

110. მოორსბრუგერის რღვევა და შენარჩუნება

მოორსბრუგერი ისევ საპყრობილეში იჯდა და ხელახალ ფსიქიატრიულ შემოწმებას ელოდებოდა. ლოდინი დღეების მდიდარ მასას ქმნიდა. ცხადია, ამ მასას ცალკეული დღეები გამოეყოფოდა ხოლმე, მაგრამ საღამოსთვის ის კვლავ ამ მასაში იძირებოდა. მართალია, მოორსბრუგერს პატიმრებთან, ზედამხედველებთან, დერეფნებთან, ეზოებთან, ცის ნაგლეჯთან, რამდენიმე ღრუბელთან, ცის ნაგლეჯს რომ გადაივლიდნენ ხოლმე, წყალთან და ხანდახან ციხის რომელიმე უფროსთანაც ჰქონდა შეხება, რომელიც მისით ინტერესდებოდა, მაგრამ შთაბეჭდილებები მეტისმეტად სუსტი იყო იმისათვის, რომ თავი დაემკვიდრებინა. მას არც საათი ჰქონდა, არც მზე, არც სამუშაო და არც დრო. მოორსბრუგერს გამუდმებით შიოდა. ის ყოველთვის დაღლილი იყო ექვს კვადრატულ მეტრიან ოთახში წინ და უკან სიარულით, რაც უფრო მეტად დამღლელია, ვიდრე რამდენიმე მილის გავლა. რაც უნდა ეკეთებინა, ისეთი მოწყენილი იყო, თითქოს ქოთანში წებოს ურევდა. როცა ყველაფერზე ფიქრობდა, ეჩვენებოდა, რომ დღე და ღამე, საჭმელი და კვლავ საჭმელი, მონახულებები და კონტროლი უწყვეტად და სწრაფად მიჰყვებოდა ერთმანეთს ზუზუნით. ეს მას ართობდა. ცხოვრების საათი აერია. შეგეძლოთ, საათი უკან ან წინ გადაგეწიათ. შორეული და ახლად მომხდარი ერთმანეთისგან ხელოვნურად აღარ იყო გამიჯნული. თუ ეს ერთი და იგივე იყო, მაშინ ის, რასაც „სხვადასხვა დროს“ უწოდებდნენ, ამას იმ წითელი ძაფივით აღარ ეკვროდა, რომელსაც ერთ ტყუპისცალს მეორისგან განსასხვავებლად ყელზე აბამენ. ის, რაც არაარსებითი იყო, მისი ცხოვრებიდან გაქრა. როცა ის ცხოვრებაზე ფიქრობდა, თავის თავს ნელა ელაპარაკებოდა და

თან პირველ და მეორე მარცვალს ერთნაირი ძალით აწვებოდა. ეს უკვე ცხოვრების სულ სხვა სიმღერა იყო და არა ის, რასაც ყოველდღე ვისმენთ. ხშირად რომელიმე სიტყვასთან ერთხანს ყოვნდებოდა და როცა მას ტოვებდა ისე, რომ ვერც ამჩნევდა, უეცრად იმავე სიტყვას სულ სხვაგან აწყდებოდა. ის სიამოვნებისგან იცინოდა, რადგან არავინ იცოდა, რას ხვდებოდა. ძნელი იყო, სახელი დაგერქმიათ მისი არსების ერთიანობისთვის, რასაც იგი ზოგჯერ აღწევდა. ალბათ, იოლია, წარმოიდგინო, რომ ადამიანის ცხოვრება ნაკადულივით მიედინება. მოძრაობები, მოორსბრუგერი საკუთარ ცხოვრებაში რომ ხედავდა, დიდ დამდგარ წყალში ნაკადულივით მიედინებოდა. წინ სწრაფვისას იმასაც უერთდებოდა, რაც უკან იყო და საკუთრივ ცხოვრების სვლა მასში თითქმის იკარგებოდა. ერთხელ ძილ-ღვიძილში ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ საკუთარ ცხოვრებას ცუდად მორგებული კოსტიუმივით ატარებდა, საიდანაც, თუ ცოტას შეიხსნიდა, სარჩულის ვეებერთელა აბრეშუმის ტალღები იღვრებოდა.

აღარ უნდოდა, სცოდნოდა, გარეთ რა ხდებოდა. სადღაც ომი იყო, სადღაც – დიდი ქორწილი. „ახლა ბელუჯისტანის მეფე ჩამოვა“, – ფიქრობდა ის. ყველგან ჯარების სამწყობრო მომზადება მიმდინარეობდა; მეძავები დაეხეტებოდნენ; დურგლები ნივნივებზე იდგნენ. შტუტგარტის ტრაქტირებში ლუდი ისეთივე მოხრილი ონკანებიდან მოედინებოდა, როგორიდანაც ბელგრადში. როცა დაეხეტები, ჟანდარმები საბუთებს გთხოვენ. საბუთებში ბეჭედს გირტყამენ. ყველგან ან არის ტილები, ან არ არის. სამუშაო ან არის, ან არ არის. დედაკაცები ყველგან ერთნაირები არიან. ექიმები ყველა საავადმყოფოში ერთნაირები არიან. საღამოობით, სამუშაოდან სახლში რომ ბრუნდები, ადამიანები ქუჩებში დაყიალობენ და არაფერს აკეთებენ. ყველგან და ყოველთვის ყველაფერი ერთნაირია. ახალი არავის არაფერი ახსენდება. როცა პირველი აეროპლანი მოორსბრუგერის თავზე ლურჯ ცაში აფრინდა, ლამაზი იყო. მერე ერთი თვითმფრინავი მეორეს მიჰყვა და ყველა ერთმანეთს ჰგავდა. ეს სხვანაირი ერთგვაროვნება იყო, რომელიც მისი აზრების სასწაულისგან განსხვავდებოდა. ვერ ხვდებოდა, ეს როგორ ხდებოდა, მაგრამ ყველაფერი გზაზე ხვდებოდა. „ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია მთელ ამ ქვეყანას!“ – ფიქრობდა იგი. ბარემ მოსულიყო ჯალათი მის წასაყვანად, დასაკარგი ბევრი არაფერი ჰქონდა.

ხანდახან ჩაფიქრებული კარს უახლოვდებოდა და ფრთხილად იმ ადგილს მოსინჯავდა ხოლმე, სადაც კარს გარედან კლიტე უნდა ჰქონოდა დადებული. მაშინ დერეფნიდან სარკმელში ვიღაცის თვალი იყურებოდა და ბრაზიანი ხმა მოორსბრუგერს ტუქსავდა. შეურაცხყოფილი, სწრაფად იხევდა საკანში უკან და მერე თავს დატყვევებულად და გაძარცულად გრძნობდა. ოთხი კედელი და ერთი რკინის კარი. ამაში არაფერია განსაკუთრებული, როცა გასვლის და შემოსვლის უფლება გაქვს. უცხო ფანჯარაზე რკინის გისოსი – ესეც არაფერია. რა მოხდა მერე, თუ საწოლი და ხის მაგიდა იატაკზეა მიმაგრებული. მაგრამ იმწუთას, როცა ამ ყველაფერს ისე ვეღარ ექცევი, როგორც გინდა, სრული უაზრობა ჩნდება. ადამიანის ხელით გაკეთებული ეს ნივთები – მსახურები, მონები, რომლებიც, არც კი იცი, როგორ გამოიყურებიან, თავხედდებიან. ისინი გიბრძანებენ, რომ გაჩერდე. როცა მოორსბრუგერმა შეამჩნია, როგორ მბრძანებლობდნენ ეს საგნები, მათი დალეწვა მოუნდა. ძლივს დაირწმუნა თავი, რომ იუსტიციის ამ მსახურებთან ბრძოლა არ ეკადრებოდა; მაგრამ ხელები ისე ექავებოდა, რომ შეეშინდა, ავად არ გამხდარიყო. სამყაროს სივრციდან ექვსი კვადრატული მეტრი შეურჩიეს და ისიც წინ და უკან დადიოდა. ჯანმრთელი ადამიანების აზრი, რომლებიც ციხეში არ იყვნენ გამომწყვდეულნი, მის აზრებს ჰგავდა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ის ყველას აინტერესებდა, მაგრამ ახლა აღარავის ახსოვდა. ის თავის ადგილზე იმ ლურსმანივით დააბრუნეს, კედელში რომ არჭობენ. როცა კედელში ხარ ჩარჭობილი, უკან აღარავინ ამოგიღებს. რიგში სხვა მოორსბრუგერები იდგნენ; ისინი ის არ იყვნენ, მას არ ჰგავდნენ, მაგრამ ერთსა და იმავეს აკეთებდნენ. იყო რაღაც დანაშაული სექსუალურ ნიადაგზე, ბნელი ისტორია, შემზარავი მკვლელობა, ვიღაც შეშლილის ხელით ჩადენილი დანაშაული, ნახევრად შეურაცხადის დანაშაული, რაღაც შეხვედრა, რომლის დროსაც ფრთხილად უნდა იყო, სისხლის სამართლის სამძებროს და მართლმსაჯულების რაღაც დამაკმაყოფილებელი ჩარევა... მოგონებების ზოგადი, შინაარსობრივად ღარიბი ცნებები პირწმინდად გამოცარიელებულ ინციდენტს რომელიღაც ადგილზე ეკვროდა. მოორსბრუგერის სახელი დაავიწყდათ. ის „ციყვი, კურდღელი ან მელა“ გახდა. ზუსტმა დიფერენციაციამ მნიშვნელობა დაკარგა. საზოგადოების ცნობიერება მის შესახებ რამე კონკრეტულ ცნებებს კი აღარ ინახავდა, არამედ მხოლოდ

ერთმანეთში არეულ-დარეული ზოგადი ცნებების უსიცოცხლო ფართო ველებს, როგორიც ჭოგრიტის მეორე მხრიდან დანახული შორეული ნაცრისფერი სინათლეა. კავშირების სისუსტე, აზროვნების სისასტიკე, რომელიც მისთვის მოსახერხებელ ცნებებს განაგებს, ტანჯვისა და ცხოვრების ის სიმძიმე, გადაწყვეტილების მიღებას რომ ართულებს, კოლექტიური და მოორსბრუგერის სულის საერთო ნიშანი გახლდათ; მაგრამ ის, რაც მის შეშლილ ტვინში ოცნება, ზღაპარი, ცნობიერების სარკის დაზიანებული და განსაკუთრებული ადგილი იყო, რომელიც სამყაროს სურათ-ხატს კი არ აირეკლავდა, არამედ შუქს ატარებდა, კოლექტიურ სულს არ გააჩნდა და მის მცირე ნაწილს აქა-იქ, თითო-ოროლა ადამიანში ან მის უცნაურ მღელვარებაში თუ შეხვდებოდით.

რაც შეეხებოდა კონკრეტულად მოორსბრუგერს, ამ და არა სხვა რომელიმე მოორსბრუგერს, მას, ვინც სამყაროს ექვს კვადრატულ მეტრში მოეთავსებინა, მის კვებას, ზედამხედველობას, მისდამი წესდების შესაბამისად მოპყრობას, ციხეში ცხოვრებისა და სიკვდილისათვის მისი საქმის გამოძიებას – ეს ყველაფერი ადამიანთა შედარებით პატარა ჯგუფისთვის მიენდოთ და ისინიც სხვანაირად იქცეოდნენ. აქ უნდოდ მომზირალი თვალები თავიანთ საქმეს ასრულებდნენ, განაწესის მცირედი დარღვევისთვის ხმები ტუქსავდნენ. საკანში მასთან ორზე ნაკლები ზედამხედველი არასდროს შედიოდა. ხელებზე ბორკილებს ადებდნენ, როცა დერეფნებში მიჰყავდათ. აქ ყველა ფრთხილად და შიშით მოქმედებდა, რაც სამყაროს ამ პატარა ნაწილში კონკრეტულ მოორსბრუგერს უკავშირდებოდა, მაგრამ თან უცნაურ წინააღმდეგობაში მოდიოდა მისდამი იმ მოპყრობასთან, რასაც ის საზოგადოდ აწყდებოდა. ამ სიფრთხილის გამო ის ხშირად ჩიოდა. ზედამხედველი, დირექტორი, ექიმი ან მღვდელი – იმისდა მიხედვით, მის პროტესტს ვინ ისმენდა – შეუვალი სახით პასუხობდა, აქ ყველა ინსტრუქციის შესაბამისად გექცევაო. ინსტრუქციაც სამყაროს დაკარგულ ნაწილად იქცა. მოორსბრუგერი ფიქრობდა: „ყელზე თოკი გაქვს გამობმული, შენ კი ვერ ხედავ, თოკს ვინ ეწევა“. ის სადღაც კუთხეში გარე სამყაროზე იყო მობმული. ადამიანები, მასზე სრულებით რომ არ ფიქრობდნენ და მის შესახებ არაფერი იცოდნენ, ანდა ისინი, ვისთვისაც მას იმაზე მეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაც სოფლის შარაზე ჩვეულებრივ ქათამს ზოოლოგიის

უნივერსიტეტის პროფესორისთვის, ერთად მოქმედებდნენ და მოორსბრუგერს საბედისწერო მომავალს უმზადებდნენ. კანცელარიაში რომელიღაც გოგო მოორსბრუგერის საქმესთან დაკავშირებით რაღაც დამატებას წერდა. რომელიღაც რეგისტრატორი ამ დამატებას მნემონიკური ხერხებით ოსტატურად ამუშავებდა. სამინისტროს რომელიღაც მრჩეველი განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ახალ მითითებებს ამზადებდა. ვიღაც ფსიქიატრებს ეპილეფსიის გარკვეული შემთხვევებისაგან წმინდა ფსიქოპათიური მიდრეკილებების გამიჯვნისა და ავადმყოფობის სხვა სიმპტომებთან მისი შერევის შესახებ პროფესიული კამათი გაემართათ. ვიღაც იურისტები დანაშაულისა და სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებებზე წერდნენ. რომელიღაც ეპისკოპოსი ზნეობის საყოველთაო დაცემაზე ლაპარაკობდა, სამონადირეო ადგილების რომელიღაც მოიჯარე კი ბონადეას სამართლიან ქმართან ტყეში მომრავლებულ მელიებზე წუწუნებდა რამაც მაღალი რანგის ფუნქციონერს სამართლებრივი პრინციპების ურყეობის რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცა.

უპიროვნო მოვლენებიდან პირადი მოვლენები იმგვარად ყალიბდება, რომ მისი აღწერა ჯერჯერობით მეტად ძნელია. მოორსბრუგერის საქმისთვის ინდივიდუალური რომანტიკული საბურველი რომ შემოგეცალათ, რომელიც მხოლოდ მას და მის მიერ მოკლულ რამდენიმე ადამიანს ეხებოდა, მაშინ მისგან იმაზე მეტი არ დარჩებოდა, რაც ულრიხის მამის მიერ შვილისადმი მიწერილ ბოლო წერილს ჰქონდა დართული ციტირებული ნაშრომების ნუსხის სახით. ეს ნუსხა კი შემდეგნაირად გამოიყურება: AH. – AMP. – AAC. – AKA. – AP. – ASZ. – BKL. – BGK. – BUD. – CN. – DTJ. – DJZ. – FBgM. – GA. – GS. – JKV. – KBSA. – MMW. – NG. – PNW. – R. – VSgM. – WMW. – ZGS. – ZMB. – ZP. – ZSS. – ადიკესი, იქვე. – აშაფენბურგი, იქვე. – ბელინგი, იქვე და ა. შ. და ა. შ. – ან სიტყვიერად რომ ვთარგმნოთ: Annales d’Hygiène Publique et de Médicine légale, hgb. v. Brouardel, Paris; Annales Médico-Psychologiques, hgb. v. Ritti... ა. შ. და ა. შ., მაქსიმალური შემოკლებით ერთ გვერდს მოიცავს. საქმე ის არის, ჭეშმარიტება კრისტალი როდია, ჯიბეში რომ ჩაიდო. ჭეშმარიტება უკიდეგანო სითხეა, რომელშიც მთლიანად იძირები. წარმოიდგინეთ თითოეული ამ აბრევიატურის მიღმა ასობით ან ათობით ნაბეჭდი გვერდი, თითოეული ნაბეჭდი

გვერდის მიღმა – ადამიანი თავისი ათი თითით, რომელიც ამას წერს, თითოეული თითის მიღმა – ათი მოწაფე და ათი მოწინააღმდეგე, თითოეული მოწაფისა და მოწინააღმდეგის მიღმა – ათი თითი, თითოეული თითის მიღმა – რომელიღაც პერსონალური იდეის მეათედი ნაწილი და ჭეშმარიტების შესახებ მიახლოებითი წარმოდგენაც შეგვექმნება. ამის გარეშე ბეღურაც კი არ ვარდება სახურავიდან. აქ ის მზემ, ქარმა და საკვებმა მოიყვანა, ავადმყოფობამ, შიმშილმა, სიცივემ ან კატამ კი მოკლა. ეს ყველაფერი ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, მეტეოროლოგიური, ფიზიკური, ქიმიური, სოციალური და ა. შ. კანონების გარეშე არ მოხდებოდა. რარიგ დამამშვიდებელია, როცა უბრალოდ ეძებ ამ კანონებს, ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ეს მორალისა და სამართალმცოდნეობის საკითხებში ხდება, ისინი თავად შექმნა. რაც შეეხება პირადად მოორსბრუგერს, როგორც ცნობილია, ცოდნის მიმართ მას განსაკუთრებული მოწიწება ჰქონდა, თუმცა კი, სამწუხაროდ, მისი ცოდნა ერთობ მწირი იყო. მაგრამ საკუთარ მდგომარეობას, ცოდნა რომ ჰქონოდა კიდეც, მაინც ვერაფერს გაუგებდა. ამის შესახებ მას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. საკუთარი მდგომარეობა არამყარად ეჩვენებოდა. მისი ვეება სხეული ბოლომდე შეკრული არ იყო. ზეცა დროდადრო მის თავის ქალაში იხედებოდა, როგორც მაშინ, როცა ქვეყნიერების ზურგზე დაეხეტებოდა. არასოდეს ტოვებდა საზეიმო განწყობილება (თუმცა ის ახლა ზოგჯერ უსიამოვნოც კი იყო), რომელიც გარე სამყაროდან საპყრობილეში ყოველი მხრიდან აღწევდა. ასე იმყოფებოდა ის ციხეში, როგორც შიშის მომგვრელი მოქმედების ველური, გამოკეტილი შესაძლებლობა, როგორც უკაცრიელი მარჯნის კუნძული, და სტატიების უკიდეგანო ზღვა უხილავად ერტყა გარს.

111. იურისტებისთვის ნახევრად შეშლილი ადამიანები არ არსებობენ

დამნაშავის ცხოვრება, საზოგადოდ, სწავლულის დაძაბულ გონებრივ მუშაობასთან შედარებით, რომელსაც მათ დამნაშავე აიძულებს, მაინც იოლია. ბრალდებული სარგებელს იმითაც ნახულობს, რომ ბუნებაში ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის ზღვარი ბუნდოვანია. ასეთ შემთხვევაში იურისტი იძულებულია, ამტკიცოს, რომ „პიროვნების თავისუფალი ნების გამოხატვის სასარგებლოდ და მის საწინააღმდეგოდ

გამოთქმული მოსაზრებები, ასევე პიროვნების მიერ საკუთარი საქციელის დანაშაულებრივი ხასიათის გაგება ისეა გადაჯაჭვული ერთმანეთზე და ისე აბათილებს ერთმანეთს ორმხრივად, რომ, ლოგიკური კანონის თვალსაზრისით, მეტად ბუნდოვან განსაზღვრებას ვიღებთ“; რადგან ლოგიკურ მოსაზრებათა გამოისობით იურისტი მუდამ მხედველობაში იღებს, რომ „როცა ერთსა და იმავე დანაშაულზეა ლაპარაკი, დაუშვებელია ორი შერეული მდგომარეობის შესაძლებლობის არსებობა“. იურისტს ისიც დაუშვებლად მიაჩნია, რომ „ზნეობრივი თავისუფლების პრინციპის ფიზიკურად განპირობებულ სულიერ მდგომარეობასთან კავშირი ემპირიული აზროვნების ბუნდოვან განუსაზღვრელობაში შთაინთქას“. იგი ცნებებს ბუნებაში კი არ ეძებს, ბუნებას აზროვნების ცეცხლითა და ზნეობრივ კანონთა მახვილით კვეთს. სისხლის სამართლის კოდექსის განახლების მიზნით იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწვეულ კომიტეტში, რომლის წევრი ულრიხის მამაც გახლდათ, ამ საკითხთან დაკავშირებით ცხარე კამათი გაიმართა. საჭირო გახდა ულრიხისთვის შვილის მოვალეობის შეხსენება და გარკვეული დრო, სანამ იგი მამის წერილობით წარმოდგენილ მოსაზრებებში, მთელი თავისი დანართებით, გაერკვეოდა.

მისი „შენი მოსიყვარულე მამა“ – ყველაზე მწარე საყვედურებით სავსე წერილებსაც კი ის ასე ამთავრებდა – ამტკიცებდა და მოითხოვდა, რომ ნაწილობრივ ავადმყოფი პირის უდანაშაულობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ეცნოთ, თუ მის ბოდვით იდეებში ისეთი იდეების არსებობაც დადასტურდებოდა, რომლებიც მის საქციელს გაამართლებდა ან ამ საქციელის დასჯადობას გააუქმებდა. პროფესორი შვუნგი კი, პირიქით – შესაძლოა, იმის გამოც, რომ ის ორმოცი წლის განმავლობაში მისი კოლეგა და მეგობარი იყო და ერთხელაც, ოდესმე, ერთმანეთს უნდა დასჯახებოდნენ – ამტკიცებდა და მოითხოვდა, რომ იმ ინდივიდუუმის შემთხვევაში – როცა შერაცხადობისა და შეურაცხადობის მდგომარეობები ერთმანეთს სწრაფად ენაცვლება, რადგან იურიდიულად მათი გვერდიგვერდ არსებობა შეუძლებელია – უდანაშაულობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ეცნოთ, თუ ცალკეული სურვილის შემთხვევაში დამტკიცდებოდა, რომ სწორედ ამ სურვილის გაჩენის მომენტში ბრალდებული თავს ვერ ფლობდა. ასეთი გახლდათ ამ ორი პოზიციის ამოსავალი წერტილი.

არასპეციალისტი იოლად შეამჩნევს, რომ დანაშაულის ჩადენისას დამნაშავისთვის ისევე ძნელია, არ გამოეპაროს ის წუთი, როცა მას საღად განსჯის უნარი აქვს, როგორც იდეა, რომელმაც, შესაძლოა, მისი დასჯადობა დაასაბუთოს. მართლმსაჯულების ამოცანა ნამდვილად არ მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი აზროვნების აუცილებლობისა და ზნეობრივი ქცევის სირთულისგან გაათავისუფლოს! რადგან ორივე სწავლულს სამართლის ღირსების ერთნაირად სწამდათ, კომიტეტში უმრავლესობის თავისკენ გადაბირება ვერც ერთმა ვერ შეძლო, ამიტომ ერთმანეთს არალოგიკურობას, განზრახ გაუგებრობასა და იდეალების არქონას საყვედურობდნენ. ერთმანეთს ბრალს თავდაპირველად კომიტეტის სხდომებზე სდებდნენ; შემდეგ კი, რადგან სხდომების მუშაობა ფერხდებოდა, რამდენჯერმე გადაიდო კიდეც და ბოლოს მუშაობაც შეწყვიტა, ულრიხის მამამ ორი ბროშურა დაწერა: „სისხლის სამართლის კოდექსის §318 და სამართლის ჭეშმარიტი სული“ და „სისხლის სამართლის კოდექსის §318 და სამართლის მღვრიე წყაროები“, რომლებიც პროფესორმა შვუნგმა ჟურნალ „იურიდიულ სწავლულ სამყაროში“ გააკრიტიკა. დანართში ეს ჟურნალიც იდო და ულრიხი მასაც გაეცნო.

ამ პოლემიკურ სტატიებში უხვად შეხვდებოდით „დას“ და „ანს“, რადგან იმ საკითხის „მოგვარება“ იყო საჭირო, ორივე კონცეფცია ერთმანეთთან „დათი“ დაეკავშირებინათ თუ ერთმანეთისგან „ანით“ გაემიჯნათ. როცა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კომიტეტმა მუშაობა განაახლა, „დას“ და „ანის“ პარტიებს უკვე მოესწროთ ჩამოყალიბება. გარდა ამ ორისა, არსებობდა მესამე პარტიაც, რომელიც სრულიად უბრალო მოსაზრებას უჭერდა მხარს: პასუხისმგებლობისა და შერაცხადობის ზღვარი გაზრდილიყო ან შემცირებულიყო ფსიქიკური ენერგიის ხარჯვის პირდაპირპროპორციულად, რომელიც მოცემულ პათოლოგიურ ვითარებაში საკუთარი თავის მართვის უნარისთვის საკმარისი იქნებოდა. ამ პარტიას მეოთხე პარტია უპირისპირდებოდა, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა პირველ რიგში იმ საკითხის ამომწურავად განხილვას, შერაცხადი იყო თუ არა საერთოდ დამნაშავე; შერაცხადობის შემცირება ხომ ლოგიკურად შერაცხადობის არსებობას გულისხმობს. და თუ დამნაშავე რაღაცნაირად შერაცხადია, მაშინ ის უნდა დაისაჯოს კიდეც, რადგან

სამართლებრივად ამ ნაწილის სხვაგვარად მოხელთების მეთოდი არ არსებობსო. ამ პარტიის წინააღმდეგ ახლა სხვა პარტია გამოდიოდა, რომელიც ამ პრინციპს იზიარებდა, თუმცა იმასაც ხაზს უსვამდა, რომ ბუნება ნახევრად შეშლილებსაც ბადებს, მაგრამ მისთვის ეს, საზოგადოდ, დამახასიათებელი არ არის; ამიტომ სამართლის მადლთან მათი ზიარება მხოლოდ ბრალეულობის შემცირებაზე უარის თქმით არის შესაძლებელი, ოღონდ შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებითო. ასე შეიქმნა შერაცხადობის პარტია და პასუხისმგებლობის პარტია. როცა ისინიც საკმარისად გაემიჯნნენ ერთმანეთს, მაშინღა გამოჩნდა ასპექტები, რომელთა შესახებაც ჯერ კამათი არ დაწყებულიყო. ცხადია, არც ერთი სპეციალისტი არ ხდის სადავო საკითხებს ფილოსოფიისა და თეოლოგიის სადავო საკითხებზე დამოკიდებულს, მაგრამ ეს ორივე მეტოქე, სიბრძნეზე ერთნაირად რომ აცხადებენ პრეტენზიას, პერსპექტივების სახით, ანუ სივრცესავით ცარიელნი და მაინც საგანთა გადამაადგილებელნი, სპეციალისტთა მოსაზრებებში ყოველთვის და ყველგან იჭრება. ასე წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, უნდა მივიჩნიოთ თუ არა თითოეული ადამიანი ზნეობრივად თავისუფლად. ერთი სიტყვით, ნების თავისუფლების კარგად ცნობილი ძველი პრობლემა ყველანაირი განხეთქილების პერსპექტიულ ცენტრად იქცა, თუმცა ეს სპეციალისტთა განსჯის საგანი არ იყო. თუ ადამიანი ზნეობრივად თავისუფალია, მაშინ სასჯელით ჩვენ მას პრაქტიკულად საკუთარ ნებას ვახვევთ თავს. თუ მის ზნეობრივ თავისუფლებას არ ვაღიარებთ, მაშინ სასჯელით დანაშაულის მიმართ მასში ზიზღს კი გამოვიწვევთ, მაგრამ ზნეობრივ დანაშაულს ვერ დავაკისრებთ. ამ საკითხის გამო ისევ ახალი პარტია შეიქმნა, რომელიც დამნაშავის ორ ნაწილად გაყოფის წინადადებით გამოდიოდა: ზოოლოგიურ-ფსიქოლოგიურ და იურიდიულ ნაწილებად. პირველი მათგანი მოსამართლეს არ ეხებოდა, მეორე კი სამართლებრივი თვალსაზრისით თავისუფალი იყო. საბედნიეროდ, ეს საკითხი მხოლოდ თეორიით შემოისაზღვრა.

არ არის ადვილი, სამართლიანად მოექცე სამართლიანობას. კომისია დაახლოებით ოცი სწავლულისაგან შედგებოდა და ძნელი დასათვლელი არ არის, რომ მათ რამდენიმე ათასი პოზიციის გამოხატვა შეეძლოთ. გასაუმჯობესებელი კანონი 1852 წლიდან მოქმედებდა და, რადგან ასეთი ძველი იყო, მისი

ნაჩქარევად შეცვლა დაუშვებელი იქნებოდა. საერთოდაც, მტკიცე სამართლის დადგენისას არ შეიძლება გაბატონებული სულიერი მოდის ყველა ახირებას სდიო – სამართლიანად შენიშნა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა. როგორი კეთილსინდისიერებით უწევდა კომისიას მუშაობა, ყველაზე უკეთ იქიდანაც ჩანს, რომ, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ასიდან დაახლოებით სამოცდაათი დამნაშავე დარწმუნებული იყო, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ხელიდან დაუსხლტებოდა. თავისთავად ცხადია, რომ დაჭერილ დამნაშავეებზე უფრო მეტი ფიქრი მოუწევდათ! ცხადია, მას შემდეგ ეს ყველაფერი ცოტათი გაუმჯობესდა კიდეც. თანაც ამ ანგარიშგების მიზანი ყინულის მოხატულობის დაცინვა არ არის, სამართალდამცავთა თავებში წარმტაც ყვავილებად რომ იფურჩქნება, რაზეც ისინიც ხალისობდნენ, თავებში ლეღმანაკრავი ტვინები რომ უდევთ. პირიქით, მამაკაცური სიმკაცრე, ქედმაღლობა, მორალური ჯანმრთელობა, მიუკარებლობა, სათნოება – მოკლედ, ყველა ის სულიერი თვისება, რომელსაც, იმედია, არასდროს დავკარგავთ – კომისიის წევრებს გონებრივი შესაძლებლობების ცრურწმენის გარეშე გამოყენებაში უშლიდათ ხელს. პატარა ბიჭს, სახელად ადამიანს, მეურვეობის უფლების მქონე სკოლის ზედამხედველივით ექცეოდნენ. ბიჭს კი წარმატების მისაღწევად მორჩილება და ყურადღება მართებს. ეს კი ერთი თაობის წინანდელი, მარტამდელი, რევოლუციური ემოციებით იყო გამოწვეული. უდავოა, რომ ამ იურისტების ფსიქოლოგიური ცოდნა ეპოქას ორმოცდაათი წლით ჩამორჩებოდა; მაგრამ ასეთი რამ ხშირად ხდება, როცა ცოდნის საკუთარ მინდორს მეზობლის სამეურნეო იარაღით ამუშავებ, თუმცა პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში ჩამორჩენას იოლად დაძლევ. ის, რაც ეპოქას მუდამ ჩამორჩება – და თან საკუთარი სიმტკიცით თავი მოაქვს კიდეც – ადამიანის გულია, კერძოდ კი იმ ადამიანისა, საქმის გულდაგულ კეთება რომ სჩვევია. არასდროს არის გონება ისე მშრალი, მტკიცე და იკლიკანტური, როგორც მაშინ, როცა ადამიანი რაღაცის მიმართ პატარა, ძველ სისუსტეს იჩენს!

დაპირისპირებას საბოლოოდ დიდი ქარიშხლები მოჰყვა. ატეხილი დავიდარაბა მუშაობის გაგრძელებას ხელს უშლიდა. მომრავლდა ხმები, რომლებიც მხარეებს ურთიერთშეთანხმებისკენ მოუწოდებდა. შეთანხმება კი

ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც ის ფორმულა, რომელიც განხეთქილების ლამაზი ფრაზით შეწებებას ცდილობს. გამოიკვეთა ტენდენცია, შეთანხმებულიყვნენ შერაცხადობის იმ განსაზღვრებაზე, რომლის თანახმადაც, გარკვეული ინტელექტუალური და ზნეობრივი თვისებების შემთხვევაში დამნაშავეს დანაშაულის ჩადენა შეეძლო. ანუ ამ თვისებების არმქონეთ ეს განსაზღვრება სრულიად გამორიცხავდა. ეს დეფინიცია, თავისთავად უმაგალითო, დამნაშავეს დიდ საქმეს უჩენდა და საპატიმროს ტანსაცმლის დოქტორის წოდებასთან დაკავშირების უფლებას აძლევდა. და აი, მოახლოებულ საიუბილეო წელთან დაკავშირებული სასჯელის შემსუბუქებისა და კვერცხივით მომრგვალებული განსაზღვრების პირისპირ ულრიხის მამამ, ეს თავისკენ ნასროლ ხელყუმბარად რომ აღიქვა, ისეთი რამ მოიმოქმედა, რასაც იგი სოციალური სკოლისადმი სენსაციურ მიმართვად ნათლავდა. სოციალური კონცეფციის თანახმად, „გადაგვარებულ“ დამნაშავეს მორალი კი არ უნდა ვუქადაგოთ, არამედ ის საზოგადოების წინაშე ჩადენილი მავნებლობის პოზიციიდან შევაფასოთ. აქედან გამომდინარეობს, რომ, რაც უფრო შერაცხადია იგი, მით უფრო მავნებელია. თავის მხრივ კი აქედან ლოგიკურად ისიც გამომდინარეობს, რომ თითქოსდა ყველაზე უდანაშაულო დამნაშავე, ანუ სულით ავადმყოფი, რომელიც თავისი ბუნებით სასჯელის გამასწორებელ ზემოქმედებას არ ექვემდებარება, ჯანმრთელზე მეტი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს, რათა დამაშინებელი ძალა ერთსა და მეორე შემთხვევაშიც თანაბრად დიდი აღმოჩნდეს. მოსალოდნელი იყო, რომ სოციალური კონცეფციის წინააღმდეგ კოლეგა შვუნგი ვერანაირ არგუმენტს ვერ მოძებნიდა. ჩანდა, რომ ეს ასეც იყო, მაგრამ, ალბათ, სწორედ ამის გამო შვუნგმა ისეთ ხერხს მიმართა, რაც, თავის მხრივ, ულრიხის მამისთვის იურისპრუდენციის გზიდან გადახვევის საბაბად იქცა, ეს კი კომიტეტში გაუთავებელი კინკლაობის საგანი გახდებოდა. ულრიხს მამამ თხოვნით მიმართა – გამოეყენებინა მაღალი წრის კონტაქტები, რომელიც ულრიხს მისი წყალობით დაემყარებინა, და გავლენიანი ნაცნობობა სიკეთის სამსახურში ჩაეყენებინა.

„ძვირფასო შვილო, – წერდა ულრიხის მამა, – სამართლისმცოდნეობის სოციალური სკოლის იდეის რომანულ და არა პრუსიულ წარმომავლობაზე, ცხადია, მაშინვე

მივუთითე, თუმცა ვეჭვობ, რომ ეს სათანადო ზეგავლენას იქონიებს იმ ცილისმწამებლური დასმენის შემდეგ, ასეთი ბოღმით რომ სპეკულირებს მაღალ ინსტანციაში უდავოდ ზიზღის გამომწვევ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მატერიალიზმისა და პრუსიის ცნებებს ერთმანეთთან იოლად აკავშირებს. ეს უკვე აღარ არის საყვედურები, რომელთაგანაც ადამიანი თავის დაცვას შეძლებს. ეს არაკვალიფიციური ჭორების გავრცელების მცდელობაა, რომელსაც ზედა ინსტანცია არ გადაამოწმებს და ამ საკითხით დაინტერესების აუცილებლობა ისევე გაუტეხს სახელს უდანაშაულო მსხვერპლს, როგორც ნამუსგარეცხილ დამსმენს. მე, რომელსაც მთელი ცხოვრება აკრძალული გზებით სიარული ესოდენ მძაგდა, იძულებული ვარ, მოგიწოდო...“ და ა. შ. ასე მთავრდებოდა ეს წერილი.

112. არნჰაიმს მამამისი სამუელი ღმერთების რანგში აჰყავს და ულრიხის ხელში ჩაგდების გადაწყვეტილებას იღებს. სოლიმანს სურს, მამის მეფური წარმომავლობის შესახებ დაწვრილებით შეიტყოს

არნჰაიმმა სასტუმროს მოსამსახურე გამოიძახა და სოლიმანის მოძებნა დაავალა. მასთან საუბრის მოთხოვნილება, დიდი ხანია, აღარ გასჩენოდა და ეს დაუდგრომელი ბიჭიც იმწუთას, ალბათ, სადღაც სასტუმროში დაყიალობდა.

ულრიხის წინააღმდეგობამ არნჰაიმს თავმოყვარეობა შეულახა.

ბუნებრივია, არნჰაიმს არ გამოჰპარვია, რომ ულრიხი მის წინააღმდეგ მოქმედებდა. ის უანგაროდ მოქმედებდა. ულრიხი ცეცხლზე დასხმული წყალივით, შაქარზე მობნეული მარილივით მოქმედებდა. ცდილობდა, არნჰაიმის გავლენა შეეზღუდა. არნჰაიმი დარწმუნებული იყო, რომ ულრიხი დიოთიმას კეთილგანწყობით ბოროტად სარგებლობდა და მისი თანდასწრებით მას არაკეთილგანწყობით მოიხსენიებდა და დამცინავ შენიშვნებს გამოთქვამდა.

არნჰაიმი თავის თავს გამოუტყდა, რომ ასეთი რამ, დიდი ხანია, აღარ განეცადა. წარმატების მისი ჩვეული მეთოდი ასეთ დროს ფარ-ხმალს ყრიდა, რადგან დიდი და მთლიანი ადამიანის ზემოქმედება სილამაზის ზემოქმედებას ჰგავს: ის ისევე ვერ ეგუება უარყოფას, როგორც საჰაერო ბუშტი ნახვრეტს ან ქანდაკება თავზე ქუდს. ლამაზი ქალი კარგავს სილამაზეს,

როცა ის არ მოსწონთ. დიდი ადამიანი, როცა მას ყურადღებას არ აქცევენ, რაღაც მნიშვნელოვნებას იძენს, მაგრამ დიდი ადამიანი აღარ არის. არნჰაიმი თავს ამაში გამოუტყდა, მაგრამ არა ამ სიტყვებით. ის ასე ფიქრობდა: „წინააღმდეგობას ვერ ვეგუები, რადგან წინააღმდეგობას სარგებლობა მხოლოდ გონებისთვის მოაქვს. მე კი მძულს ის, ვისაც მხოლოდ გონება აქვს!“.

არნჰაიმი ვარაუდობდა, რომ რაღაც მეთოდით მისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო მეტოქის გაუვნებლება. მაგრამ უნდოდა, ულრიხის გული მოეგო, აღეზარდა იგი და მასში აღფრთოვანება გამოეწვია. ეს ამოცანა რომ გაეიოლებინა, თავი დაირწმუნა, რომ ულრიხი ღრმა და წინააღმდეგობრივი სიყვარულით უყვარდა, თუმცა არ იცოდა, ეს როგორ დაესაბუთებინა. ულრიხისგან არაფერს ელოდა და არც მის წინაშე შიში მართებდა. გრაფი ლაინსდორფისა და განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის სახით მეგობრები რომ არ ჰყავდა, თავადაც კარგად იცოდა. მოვლენები ნელა, მაგრამ ისე ვითარდებოდა, როგორც თვითონ სურდა. ულრიხის უკუქმედებას არნჰაიმის ზემოქმედებით ძალა ეკარგებოდა და მას არამიწიერ პროტესტად აქცევდა. ერთადერთი, რაც ულრიხს შეეძლო, ალბათ, ის იყო, რომ დიოთიმას სიმტკიცე მოედუნებინა და ამით ამ დიდებული ქალისთვის გადაწყვეტილების მიღება გადაედებინებინა. არნჰაიმი ამას მიუხვდა და ამაზე მხოლოდ ეღიმებოდა. სევდიანად თუ მზაკვრულად?! ამგვარ შემთხვევებში ასეთ განსხვავებებს მნიშვნელობა არც აქვს. სამართლიანობად მიაჩნდა, რომ მეტოქის რაციონალური კრიტიკა და წინააღმდეგობა მის, არნჰაიმის, სასარგებლოდ მოქმედებდა. თვლიდა, რომ ეს უფრო დიდი საქმის გამარჯვება იყო – ცხოვრების უცნაურად ცხადი სირთულე, რომელიც თავისთავად გადაიჭრება. არნჰაიმი გრძნობდა, რომ ეს ბედისწერის ის მარყუჟი იყო, რომელიც თავისზე ახალგაზრდა კაცთან აკავშირებდა და თან აიძულებდა, შემრიგებლური ნაბიჯი გადაედგა, რასაც ულრიხი ვერ ხვდებოდა. ულრიხი შეუვალი იყო. სოციალურ უპირატესობას რეგვენივით არაფრად აგდებდა და შეთავაზებულ მეგობრობას ან ვერ ამჩნევდა, ან არ აფასებდა.

არსებობდა კიდევ ერთი რამ, რასაც არნჰაიმი ულრიხს გონებამახვილობად უთვლიდა. ნაწილობრივ ამაში ის გონიერი ადამიანის უუნარობას გულისხმობდა, რომელიც ცხოვრების

მიერ შემოთავაზებულ უპირატესობას ვერ ხედავდა და საკუთარ სულს დიდ საგნებსა და შესაძლებლობებს ვერ უსადაგებდა, რაც ულრიხს ღირსებას მიანიჭებდა და მტკიცე პოზიციებს შეუქმნიდა. ულრიხი იმ სასაცილო საპირისპირო მოსაზრებას ავლენდა, რომლის თანახმადაც, სულს თავად უნდა მორგებოდი. არნჰაიმმა ულრიხი თვალნათლივ წარმოიდგინა: მასავით მაღალი, მასზე ახალგაზრდა, იმ რბილი ფორმების გარეშე, რომლის დაფარვაც თვითონ ვერ მოეხერხებინა. სახეზე უპირობო დამოუკიდებლობა აღბეჭდვოდა. ამას არნჰაიმი, არცთუ შურის გარეშე, მის ასკეტ მეცნიერ წინაპრებს მიაწერდა, რადგან ულრიხის წარმომავლობა სწორედ ასეთად წარმოედგინა. ულრიხს სახეზე ფულის მიმართ სრული უდარდელობა ეტყობოდა და არც იმას უწევდა ანგარიშს, რას ფიქრობდნენ მასზე სხვები, რის უფლებასაც ნაგვის გამაკეთილშობილებელ სპეციალისტთა წარმატებული დინასტიის შთამომავლები თავს ვერ მისცემდნენ. მაგრამ ამ სახეს მაინც რაღაც აკლდა. ეს რაღაც ცხოვრება იყო; ცხოვრების კვალი ამ სახეს შემაშფოთებლად აკლდა! იმწუთას, როცა არნჰაიმმა ეს ცხადად დაინახა, ისე აღელდა, რომ მიხვდა, რატომაც არ იყო გულგრილი ულრიხის მიმართ. ამ სახისთვის შეგეძლოთ უბედურება გეწინასწარმეტყველებინათ. მის მიმართ ზრუნვას და შურს ერთდროულად გრძნობდა და ამან კიდევ ერთხელ ჩააფიქრა. ეს იყო რაღაც სევდიანი კმაყოფილება, რომელსაც ის გრძნობს, ვინც სწორედ მშიშარა ხასიათის გამოა უსაფრთხოდ. უეცრად შურის ტალღამ ზედაპირზე ერთი აზრი ამოატივტივა, რომელსაც ის გაუცნობიერებლად ეძებდა და გაურბოდა კიდეც. უცებ გაიფიქრა, რომ თუ გარემოება მოითხოვდა, ულრიხი თავის სულს მსხვერპლად პროცენტებს კი არა, მთელ კაპიტალსაც შესწირავდა! რარიგ უცნაურიც უნდა იყოს, არნჰაიმი ამასაც მის გონებამახვილობას მიაწერდა. იმის წარმოდგენა, რომ საკუთარ ვნებას ადამიანი, შესაძლოა, უჰაერო სივრცეში აეტაცა, გონებამახვილურ ხუმრობად მოეჩვენა!

როცა სოლიმანი ოთახში შემოიპარა და ბატონს ეახლა, არნჰაიმს დავიწყებოდა კიდეც, რატომ დაიბარა. ოთახში ცოცხალი, ერთგული არსების ყოფნამ არნჰაიმს უცნაური სიმშვიდე მოჰგვარა; პირქუში გამომეტყველებით წინ და უკან დადიოდა და შავი სახის დისკოც კვალდაკვალ თვალს ადევნებდა.

– დაჯექი! – უბრძანა არნჰაიმმა, კუთხეში შეჩერდა, შემდეგ ქუსლებზე შემოტრიალდა და დაიწყო: – დიდი გოეთე „ვილჰელმ მაისტერში“ ჩვეული მგზნებარებით სწორი ცხოვრების ასეთ რეცეპტს გვაძლევს: „იაზროვნეთ, რომ იმოქმედოთ და იმოქმედეთ, რომ იაზროვნოთ!“. გესმის? არა, შენ ამას ვერ გაიგებ, – თვითონვე გასცა პასუხი და გაჩუმდა. „ეს რეცეპტი ცხოვრების მთელ სიბრძნეს იტევს, – გაიფიქრა მან. – ის, ვისაც ჩემი მეტოქეობა განუზრახავს, ამ სიბრძნის მხოლოდ ნახევარს იცნობს – აზროვნებას!“. უცებ თავში აზრად მოუვიდა, რომ ესეც „მხოლოდ გონებამახვილობას“ გულისხმობდა. ულრიხის სისუსტე უცებ ამოიცნო. „გონებამახვილობა“ სიტყვა „გონებიდანაა“ ნაწარმოები, გონიერება თავად სიტყვაშია მოცემული და მის ინტელექტუალურ წარმომავლობაზე მიუთითებს და მის მჭვრეტელობით, ემოციურად ღარიბ ბუნებას ამხელს. გონებამახვილს თავი ყოველთვის ჭკვიანად მოაქვს და იმ დადგენილ საზღვრებს სცდება, სადაც გრძნობები ადამიანს აჩერებს. აი ამ შუქზე უყურებდა არნჰაიმი დიოთიმასთან დაკავშირებულ მთელ ისტორიას და სულის კაპიტალს მთლიანობაში. არნჰაიმი სოლიმანს მიუბრუნდა: – ეს რეცეპტი ცხოვრების მთელ სიბრძნეს იტევს. ეს წიგნები შენთვის წამოვიღე. მინდა, რომ მუშაობას მიგაჩვიო!

სოლიმანს პასუხი არ გაუცია და სერიოზული სახე მიიღო.

– მამაჩემი რამდენჯერმე გყავს ნანახი, გახსოვს? – ჰკითხა უცებ არნჰაიმმა.

სოლიმანმა საჭიროდ ჩათვალა, თვალები გადმოეკარკლა. ჩაფიქრებულმა არნჰაიმმა კი თქვა: – იცი, რომ მამაჩემი თითქმის არასდროს კითხულობს წიგნებს? როგორ ფიქრობ, რამდენი წლის იქნება? – პასუხს ისევ არ დაელოდა და განაგრძო: – სამოცდაათ წელს გადასცილდა უკვე, მაგრამ ჩვენი ფირმის ყველა მნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობს!

შემდეგ ჩაფიქრებულმა ისევ წინ და უკან დაიწყო ოთახში სიარული. თავშეუკავებელ მოთხოვნილებას გრძნობდა, მამაზე ელაპარაკა, მაგრამ რასაც ფიქრობდა, ყველაფრის თქმას ვერ ახერხებდა. მასზე უკეთ ვინ იცოდა, რომ ზოგჯერ მამამისსაც არ გამოსდიოდა საქმე. ვინ დაუჯერებდა, რომ ეს ასე იყო, რადგან, როცა ხალხს ნაპოლეონი ჰგონიხარ, წაგებულ ბრძოლებსაც იგებ. მამის გვერდით არნჰაიმს არასდროს მისცემია სხვა საშუალება, თავი დაემკვიდრებინა, გარდა იმისა, რომ

სულიერება, პოლიტიკა და საზოგადოება საქმისთვის გამოეყენებინა. მოხუც არნჰაიმს ეტყობოდა, რომ შვილის განსწავლულობა ახარებდა. როცა რამე მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაეჭრათ და რამდენიმე დღის განმავლობაში მას მწარმოებლური, ფინანსურ-ტექნიკური, იდეური თუ სამეურნეო-პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილავდნენ, არცთუ იშვიათად მამამისი იმის საპირისპირო ბრძანებას იძლეოდა, რასაც ურჩევდნენ, ხოლო საყვედურებს უმწეო, ჯიუტი ღიმილით ისმენდა. ამასთან დაკავშირებით დირექტორებიც კი თავს იქნევდნენ. მერე კი, ადრე თუ გვიან, გამოირკვეოდა, რომ მამამისი თურმე, გინდ ასე თქვი და გინდ ისე, სწორი იყო. ეს იმას ჰგავდა, ძველ მონადირეს ან მთაში მეგზურს მეტეოროლოგების კონფერენციისთვის რომ მოესმინა, მაგრამ საბოლოოდ მაინც საკუთარი რევმატიზმით ეხელმძღვანელა, რადგან ბევრ საკითხში რევმატიზმი მეცნიერებაზე უფრო სანდოა. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ხომ ზუსტი პროგნოზირება არ არის; მოვლენები ხშირად ისე ვითარდება, რომ ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს. მთავარია, ეშმაკურად და შეუპოვრად შეეწყო ცხოვრების სიჯიუტეს. არნჰაიმი ხვდებოდა, რომ ამ პრაქტიკოსმა ბევრი იმდენი რამ იცოდა და შეეძლო, რასაც თეორიულად წინასწარ ვერ განჭვრეტ. მიუხედავად ამისა, მისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ის დღე, როცა აღმოაჩინა, რომ მამამისს ინტუიცია ჰქონდა.

– იცი, რა არის ინტუიცია? – ჰკითხა ფიქრებიდან გამორკვეულმა არნჰაიმმა სოლიმანს და თითქოს მოსინჯა, როგორ გაემართლებინა ლაპარაკის სურვილი. სოლიმანი დაიძაბა და თვალები დაახამხამა, ზუსტად ისე, როცა იმ დავალებაზე დაუწყებდნენ ხოლმე გამოკითხვას, რომელიც დავიწყებოდა. არნჰაიმმა ინტონაცია სწრაფად შეცვალა.

– დღეს ძალიან აღელვებული ვარ, – უთხრა მან. – შენ საიდან გეცოდინება, მაგრამ ყურადღებით მომისმინე, რასაც გეტყვი: ფულის შოვნა ისეთ მდგომარეობაში გვაყენებს, რომელიც სულაც არ არის ლამაზი. ყველაფრის დათვლისა და ყველაფრიდან მოგების ნახვის მარადიული მცდელობა უფრო ბედნიერ ეპოქებში გამომუშავებულ ხელგაშლილი ცხოვრების მანერას ეწინააღმდეგება. მკვლელობისგან სიმამაცის არისტოკრატული სათნოება შექმნეს. ვეჭვობ, ანგარიშს ოდესმე რამე მოუხერხონ; მასში არ არის ჭეშმარიტი სიკეთე, ღირსება,

ღრმა არსი. ფული ყველაფერს ცნებებად გარდაქმნის და უსიამოვნოდ რაციონალურია. ფულს რომ ვხედავ – არ ვიცი, გესმის თუ არა – მაშინვე ყვირილი, საზრიანობა და თითები მახსენდება, უნდობლად ყველაფერს რომ ამოწმებს. ეს ყველაფერი ერთნაირად მძულს.

არნჰაიმი გაჩუმდა და ისევ მარტოობაში ჩაიძირა. გაახსენდა ნათესავები, ბავშვობაში თავზე ხელს რომ უსვამდნენ და ეუბნებოდნენ, ეს თავი ანგარიშისთვის არის შექმნილიო. სძულდა ასეთი მოსაზრებები! ოქროს ბრჭყვიალა მონეტებში მისი ოჯახის საზრიანობა ირეკლებოდა, მაღალი მდგომარეობისთვის რომ მიეღწია! საკუთარი ოჯახის არ რცხვენოდა, პირიქით, მაღალ წრეებში კეთილშობილური მოკრძალებით აღნიშნავდა ხოლმე თავის წარმომავლობას; საკუთარი ოჯახის გონების კი ეშინოდა, თითქოს გონება, ყაყანით ლაპარაკისა და სწრაფი ჟესტიკულაციის მსგავსად, ოჯახური სისუსტე იყო, რაც მას კაცობრიობის მწვერვალზე ყოფნის, უფლებას ართმევდა.

ირაციონალურის მიმართ მისი მოწიწებაც სათავეს სწორედ აქედან იღებდა. არისტოკრატია ირაციონალური იყო – ეს თითქმის არისტოკრატიის ნაკლული გონების დაცინვას ჰგავდა, მაგრამ არნჰაიმმა იცოდა, რასაც გულისხმობდა. გაახსენდა, რომ ის, როგორც ებრაელი, სათადარიგო ოფიცერი ვერ გახდა. უნტერ-ოფიცრის მოკრძალებულ მდგომარეობას კი ის, როგორც არნჰაიმი, ვერ დათანხმდებოდა და ისიც, ბევრი ფიქრის გარეშე, სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად ცნეს. ეს მოგონება იმის მიზეზად იქცა, რომ საუბარი რამდენიმე ფრაზით გაემდიდრებინა.

– შესაძლოა, – განაგრძო არნჰაიმმა ლაპარაკი იმავე ადგილიდან, სადაც შეწყვიტა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მეთოდურობა სძულდა, იგი მაინც ასეთი იყო. – შესაძლოა და, ალბათ, სავარაუდოც, რომ არისტოკრატია ყოველთვის არ ნიშნავდა იმას, რასაც დღეს არისტოკრატულ თვალთახედვას ვუწოდებთ. მიწის ხელში ჩასაგდებად, რაზეც შემდეგ არისტოკრატიზმი დაფუძნდა, ალბათ, ის დღევანდელ კომერსანტზე ანგარიშიანი და გამრჯე უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, კომერსანტის საქმე უფრო ღირსეულადაც კეთდებოდეს, მაგრამ მიწა ძალაა, გესმის? ანუ ძალა თავად ამ მიწის ნაგლეჯში, ნადირობაში, ომში, ზეცისა და

მიწათმოქმედების რწმენაში იყო. ერთი სიტყვით, ამ ადამიანების ფიზიკურ ცხოვრებაში, ტვინზე მეტად ხელ-ფეხის განძრევას რომ ითხოვს, ძალა ბუნებასთან სიახლოვე იყო, რის წყალობითაც ისინი საბოლოოდ ღირსეულ, კეთილშობილ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ, რომელთათვისაც ყოველგვარი ქვენა გრძნობები თუ მოსაზრებები უცხო იყო.

არნჰაიმი ფიქრობდა, იმაზე მეტი ხომ არ ვილაპარაკე, ვიდრე საჭირო იყოო, რადგან თუ მისი ნათქვამის აზრი სოლიმანმა ვერ გაიგო, მაშინ, შესაძლოა, არისტოკრატიის მიმართ მოწიწებაც დაეკარგა. უცებ რაღაც ისეთი მოხდა, რასაც არნჰაიმი არ ელოდა. სოლიმანი სკამზე მოუსვენრად წრიალებდა, მერე ბატონს ლაპარაკი შეაწყვეტინა და ჰკითხა: – მაპატიეთ, მამაჩემი მეფეა?

არნჰაიმი გაოგნებული შეაჩერდა.

– ამის შესახებ არაფერი ვიცი, – უპასუხა მან ხუმრობანარევი სიმკაცრით. სოლიმანის სერიოზულმა, ლამის მრისხანე სახემ არნჰაიმს გული აუჩუყა. „იუმორის გრძნობა საერთოდ არა აქვს, – გაიფიქრა მან. – მის სახეს დიდი ტრაგიზმი ატყვია“. რატომღაც მოეჩვენა, რომ იუმორის არქონა ცხოვრების სისავსისა და სიმძიმის ტოლფასი იყო. არნჰაიმმა სოლიმანს რბილი, დამრიგებლური ტონით უპასუხა: – არა მგონია, რომ მამაშენი მეფეა. მე ხომ შენ ზღვისპირა ქალაქში ჟონგლიორების დასში აღმოგაჩინე.

– ძვირი დაგიჯდათ ჩემი გამოსყიდვა? – შეაწყვეტინა სოლიმანმა და გამომცდელად შეხედა.

– რაღა მახსოვს! არა მგონია. არა, ნამდვილად არა! რაში გაინტერესებს? იმისთვის ვიბადებით, რომ საკუთარი სამეფო ჩვენვე შევქმნათ! მომავალ წელს, ალბათ, კომერციულ სასწავლებელში გაგგზავნი. შემდეგ ჩემს ერთ-ერთ ბიუროში შეგირდად დაიწყებ მუშაობას. შენზეა დამოკიდებული, რას მიაღწევ. მე ყურადღებას არ მოგაკლებ. შეგეძლება, ჩვენი ფირმის ინტერესები იქ დაიცვა, სადაც ფერადკანიანებს უკვე ასე თუ ისე ანგარიშს უწევენ. ფრთხილად უნდა იმოქმედო. იმ ფაქტმა, რომ შავკანიანი ხარ, შეიძლება, რაღაც სარგებლობაც მოგიტანოს. დროთა განმავლობაში მიხვდები, რამდენად სასარგებლო იყო შენთვის ის წლები, რომლებიც ჩემი უშუალო მეთვალყურეობით გაატარე. შენ იმ რასის შვილი ხარ, ბუნების

კეთილშობილება ჯერაც რომ არ დაუკარგავს. შუა საუკუნეების რაინდულ თქმულებებში შავკანიანი მეფეები ყოველთვის ღირსეულ როლს ასრულებდნენ. თუ მოუფრთხილდები საკუთარ სულიერ კეთილშობილებას, სიკეთეს, ღირსებას, გულახდილობას, თუ აღმოგაჩნდება გამბედაობა, იყო მართალი და კიდევ უფრო მეტი გამბედაობა, არ იყო სულმოკლე, ეჭვიანი, არაკეთილისმნდომი, წვრილმან ბოღმას თუ აირიდებ და თუ ამ ყველაფერს შესძლებ, მაშინ კომერციულ კარიერასაც გაიკეთებ; რადგან ჩვენი ამოცანა სამყაროსთვის მხოლოდ პროდუქციის მიწოდება კი არა, ცხოვრების ფორმების ჩვენებაც არის.

დიდი ხანია, არნჰაიმს სოლიმანთან ასე გულახდილად აღარ ულაპარაკია და გრძნობდა, რომ გარეშე მსმენელისთვის სასაცილო იყო, მაგრამ, ჯერ ერთი, ოთახში უცხო არავინ ეგულებოდა და მეორეც, რასაც ის ამბობდა, მისი ბევრად უფრო ღრმა, გაუმხელელი ასოციაციების მხოლოდ ზედაპირი იყო. არისტოკრატიის ჩამოყალიბებასა და მისი აზროვნების წესზე არნჰაიმის მოსაზრებები სიღრმისკენ, მისივე სიტყვების საპირისპირო მხარეს, მიედინებოდა და იქ ახალი აზრი იბადებოდა: სამყაროს გაჩენის დღიდან სულიერ სიწმინდეს და კეთილ ზრახვებს არაფერი შეუქმნია, ყველაფერს მხოლოდ უნამუსობა ბადებს, რომელიც დროთა განმავლობაში მორჯულდება, რქებს მოიტეხს და დიდებული, წმინდა მისწრაფებების სახით გვევლინება. აშკარაა, რომ, – ფიქრობდა იგი, – არისტოკრატული თაობების ჩამოყალიბება, მსოფლიო კონცერნის ნაგვის გადამამუშავებელი წარმოების მსგავსად, იმგვარ ურთიერთობებს არ ემყარება, რომელთა კავშირიც ჰუმანიზმთან უდავოა. და მაინც ერთ შემთხვევაში მე-18 საუკუნის ოქროს ხანა იშვა, მეორე შემთხვევაში კი – არნჰაიმი. ამგვარად, ცხოვრება მის წინაშე არაორაზროვნად სახავდა ამოცანას, რომელიც ღრმად წინააღმდეგობრივ კითხვას ბადებდა: დიადი ზრახვებისთვის უნამუსობის რა დოზაა საჭირო და დასაშვები? აზრთა სხვა ფენაში არნჰაიმი სოლიმანისთვის ინტუიციისა და რაციონალიზმის შესახებ ნათქვამ მოსაზრებებს მიჰყვებოდა. უცბად არნჰაიმს ცხადად გაახსენდა, როგორ აუხსნა მამას პირველად, რომ იგი საქმეს ინტუიციის წყალობით უძღვებოდა. ვინც საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობას გონებას ვერ აკისრებდა, ამ პასუხისმგებლობას ინტუიციას მიაწერდა – მაშინ ეს ასე იყო

მიღებული. ინტუიცია მაშინ ისეთსავე როლს თამაშობდა, როგორსაც დღეს დიდი ტემპის შენარჩუნების უნარი. ყველა შეცდომას თუ დაუმთავრებელ საქმეს იმით ამართლებდნენ, ეს ინტუიციისთვის ან ინტუიციით არის შექმნილიო. ინტუიციას იყენებდნენ სამზარეულოშიც და წიგნების წერის დროსაც. მოხუცმა არნჰაიმმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდა და შვილს გულწრფელად გაოცებულმა შეხედა. ის კი ხარობდა: „ფულის შოვნა, – უთხრა მან უფროს არნჰაიმს, – ჩვენგან ისეთ აზროვნებას ითხოვს, რომელიც ყოველთვის სულაც არ არის კეთილშობილური. ამასთან, ისიც სავარაუდოა, რომ ჩვენ, კომერსანტები, იმისთვის ვიყოთ მოწოდებულნი, ისტორიის შემდგომი ცვლილებისას მასების მართვის სადავეები ხელში ავიღოთ. ჩვენ კი არ ვიცით, ამისთვის სულიერად მზად ვიქნებით თუ არა! თუ რამე მაძლევს ამქვეყნად გამბედაობას, ეს შენ ხარ, რადგან შენ იმგვარ გამჭრიახობას და ნებელობას ფლობ, როგორსაც წარსულის დიდი მეფენი და წინასწარმეტყველნი, უფლის ნება რომ მართავდათ. როგორ იწყებ საქმეს, ნამდვილი საიდუმლოა. იმასაც გეტყვი, ამქვეყნად ყველა საიდუმლო, რომლებიც გამოთვლას არ ექვემდებარება, თანაბარი სიმაღლისაა – გამბედაობის საიდუმლო იქნება ეს, გამოგონების თუ ვარსკვლავების“. მოხუცმა არნჰაიმმა პირველივე ფრაზის შემდეგ შვილს მზერა მოაცილა, გაზეთის კითხვით გაერთო და სანამ არნჰაიმი ინტუიციასა და საქმეზე ლაპარაკობდა, მისკენ ერთხელაც არ გაუხედავს. ეს სცენა არნჰაიმს შეურაცხმყოფელი სიცხადით კიდევ ერთხელ წარმოუდგა თვალწინ. მამა-შვილს შორის ურთიერთობა ყოველთვის ასეთი იყო და აზრთა მესამე ფენაში, მოგონებათა სურათ-ხატების ფერწერულ ტილოზე, არნჰაიმს ეს დღესაც აკონტროლებდა. მამის კომერციულ ტალანტში, მუდამ ასე რომ თრგუნავდა, თავისთვის მიუწვდომელ პირველყოფილ ძალას ხედავდა; თუმცა მამის იდეალს წარმოდგენებიდან განაგდებდა და საკუთარი არისტოკრატული წარმომავლობის სიგელ-გუჯარს იქმნიდა. ფული ზეპიროვნულ, მითურ ძალად იქცა. არნჰაიმს მამა ღმერთების რანგში აჰყავდა, ძველი მეომრების მსგავსად, მითური წინაპრის წინაშე თრთოლვის მიუხედავად, საკუთარ თავთან შედარებით, ალბათ, მაინც ცოტათი პრიმიტიულად რომ მიაჩნიათ. მეოთხე ფენაში არსებული ღიმილის შესახებ კი, რომელიც მესამე ფენას თავს დასტრიალებდა, მან არაფერი იცოდა და კიდევ ერთხელ სერიოზულად უფიქრდებოდა

საკუთარ როლს დედამიწაზე, რომლის შესრულების იმედიც ჰქონდა. აზროვნების პლასტები, ცხადია, სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ, თითქოს სხვადასხვა სიღრმეები და ნიადაგის ფენები ერთიმეორეზე ეწყოს. ეს ძლიერი, წინააღმდეგობრივი გრძნობების გავლენით აზრთა გამტარი ტალღების სხვადასხვა მხარეს მდინარების გამოხატულებაა. მთელი ცხოვრების მანძილზე გონებამახვილობისა და იუმორის მიმართ, მემკვიდრეობით ასე ბლომად რომ ჰქონდა მომადლებული, არნჰაიმი თითქმის ავადმყოფურ ზიზღს განიცდიდა. ამ ორივე თვისებას საკუთარ თავში ახშობდა, რადგან ისინი არაარისტოკრატული, პლებეური ინტელექტუალიზმის კვინტესენციად მიაჩნდა. სწორედ ახლა, როცა მისი გრძნობები ყველაზე არისტოკრატული და ინტელექტუალიზმის მიმართ მტრული იყო, ამ თვისებებმა თავი დიოთიმასთან დამოკიდებულებაში იჩინა. როცა მისი თითქოს თითის წვერებზე შემდგარი გრძნობები განსაკუთრებით ნატიფი ხდებოდა, ამ სიყვარულისგან თავის დახსნის საშუალება ჯოჯოხეთური ძალით იზიდავდა. ეს საშუალება კი სწორედ ის იუმორი იყო, უბირი, უხეში ადამიანებისგან რომ სმენოდა. ამ პლასტებიდან არნჰაიმმა ზედაპირზე ამოაღწია და უეცრად გაოგნებული მიაჩერდა სოლიმანის პირქუშ, კრივის შავი სავარჯიშო მსხლის მსგავს სახეს, თავს დამტყდარი ცხოვრების სიბრძნისაგან რომ გაბრუებულიყო. „რა სასაცილო მდგომარეობაში ვიგდებ თავს!“ – გაიფიქრა არნჰაიმმა.

სოლიმანის თვალგახელილ სხეულს სკამზე ეძინა, როცა მისმა ბატონმა მონოლოგი ჩაამთავრა: სოლიმანი თვალებს ამოძრავებდა, სხეული კი გაუნძრევლად იდო სკამზე, თითქოს იმ სიტყვას ელოდა, რასაც უნდა გამოეღვიძებინა. არნჰაიმმა ზანგის მზერაში ხარბი სურვილი ამოიკითხა – უფრო ზუსტად გაეგო იმ ინტრიგის შესახებ, რომლითაც მეფისწული მსახურად იქცა. სოლიმანის ბრჭყალებივით ბასრმა მზერამ უმცროსი მებაღე გაახსენა, რომელმაც მისი კოლექცია გაძარცვა და საკუთარ თავს ოხვრით გამოუტყდა, რომ უბრალო, მომხვეჭელური ინსტინქტი, ალბათ, ყოველთვის აკლდა. უცბად მოეჩვენა, რომ ეს ვარაუდი დიოთიმასთან მისი დამოკიდებულების დასახასიათებლადაც გამოდგებოდა. მტკივნეულმა მღელვარებამ მოიცვა და იგრძნო, რომ ახლა, როცა თავისი ცხოვრების მწვერვალზე იდგა, ყოველივესგან, რასაც აქამდე შეხებოდა, ცივი ჩრდილი აშორებდა. ეს არ იყო

უბრალო აზრი ადამიანისათვის, ვისაც ახლახან დაედგინა პრინციპი, რომ უნდა იაზროვნო იმისთვის, რომ იმოქმედო; ვინც დიადისკენ ილტვოდა და მის დაუფლებას ცდილობდა; ვინც საკუთარი მნიშვნელობის დამღას ასვამდა იმას, რაც დიადზე პატარა იყო. ჩრდილი კი მისი ნების საწინააღმდეგოდ, რომელიც მას არასდროს აკლდა, მასა და სასურველ საგნებს შორის ჩამდგარიყო. თავისდა გასაოცრად, არნჰაიმმა გაიფიქრა, რომ ეს ჩრდილი სინათლის სხივივით ფაქიზ ჟრჟოლას უკავშირდებოდა, რასაც მისი ყრმობა მოეცვა, და თითქოს არასწორი მოპყრობის გამო ყინულის თხელი ფენა გაჩენილიყო. მაგრამ პასუხი კითხვაზე, ცხოვრების ამაოებისგან განდგომილი დიოთიმას გულის წინაშე ეს ყინული რატომ არ ლღვებოდა, არნჰაიმს არ ჰქონდა. უცაბედად უსიამოვნო ტკივილივით, ხელის შეხებისთანავე რომ იწყებდა, ისევ ულრიხი გაახსენდა. უცებ მიხვდა, ამ ადამიანის ცხოვრებასაც სწორედ ის ჩრდილი ეფინა, რომელიც მის ცხოვრებას, ოღონდ ის იქ სულ სხვა გავლენას ახდენდა. ადამიანურ ვნებებს შორის იმ მამაკაცის ვნებას, რომელსაც მეორე მამაკაცის არსით გამოწვეული ეჭვი აღიზიანებს, სათანადო ადგილი არ აქვს მიკუთვნებული და იმის აღმოჩენა, რომ ულრიხისადმი მისი უმწეო წყენა იმ ორი მტრულად განწყობილი ძმის შეხვედრას ჰგავდა, ერთმანეთი რომ ვერ იცნეს, არნჰაიმისთვის ძლიერ და ამავდროულად სასიამოვნო გრძნობად იქცა. ამ შედარებისას მის და საკუთარ ბუნებას ყურადღებით აკვირდებოდა. მომხვეჭელობის, ცხოვრებისაგან სარგებლობის ნახვის უხეში ინსტინქტი ულრიხს მასზე მეტად აკლდა. მომხვეჭელობის ამაღლებული ინსტინქტი კი, სურვილი, ყოფიერების ღირსებითა და მნიშვნელოვნებით განმსჭვალულიყო, მას აკლდა. ცხოვრების წონადობა და საგნობრიობა ულრიხს არ აინტერესებდა. მისი კონკრეტული გულმოდგინება, რასაც ვერ უარყოფდით, რაიმეს დაუფლებისკენ არ ისწრაფოდა. არნჰაიმს ეს საქმისადმი თავისი თანამშრომლების უანგარო დამოკიდებულებასაც კი გაახსენებდა, ის ქედმაღლობა რომ არა, რაც ულრიხის უანგარობას ეტყობოდა. ულრიხი უფრო შეპყრობილს ჰგავდა, არაფრის დაპყრობას რომ არ ესწრაფვის; ის ნებაყოფლობით ღატაკი მეომრის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისთვის თხემით ტერფამდე „თეორიული“ ადამიანიც შეგეძლოთ გეწოდებინათ, მაგრამ სწორი არც ეს იქნებოდა, რადგან „თეორიული“ ადამიანისა მას იოტისოდენაც არაფერი ეცხო. არნჰაიმს გაახსენდა, როგორ განუცხადა ერთხელ

სრულიად არაორაზროვნად ულრიხს, რომ მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები მისსავე პრაქტიკულ შესაძლებლობებს დიდად ჩამორჩებოდა; და რომ ულრიხი, საერთოდაც, სრულიად არაპრაქტიკული ადამიანი იყო. ასე რომ, უკვე მერამდენეჯერ არნჰაიმს აზრები აქეთ-იქით გაურბოდა და მიუხედავად საკუთარი თავით დაეჭვებისა, რასაც ის დღეს მოეცვა, რომელიმე ცალკეულ საკითხში ულრიხის უპირატესობას მაინც ვერ ცნობდა. არნჰაიმი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მასა და ულრიხს შორის გადამწყვეტ განსხვავებას არსებითად ის შეადგენდა, რომ ულრიხს რაღაც აკლდა. მიუხედავად ამისა, ამ კაცში იყო რაღაც უცვეთი, თავისუფალი. არნჰაიმი ყოყმანით გამოუტყდა თავს, რომ ეს მას „მთელის საიდუმლოს“ ახსენებდა, იმას, რასაც თავად იგი ფლობდა და რასაც ის მეორე, როგორც თვითონ გრძნობდა, ეჭვქვეშ აყენებდა. ეს რომ მხოლოდ გონებისთვის ხელმისაწვდომ საზომს გულისხმობდეს, როგორ შეძლებდა, რეალობისგან ესოდენ დაშორებული კაცის დანახვისას „გონებამახვილობის“ იმავე შემზარავი გრძნობით გამსჭვალულიყო, რომლის შიშიც მამისგან, რეალობის ფუნდამენტური მცოდნისგან, ისწავლა. „მაშასადამე, ამ კაცს მთლიანობაში რაღაც აკლია!“ – გაიფიქრა არნჰაიმმა ისე, თითქოს ეს ამ აზრის მხოლოდ მეორე მხარე ყოფილიყოს და იქვე უნებლიეთ დაამატა: „ამ კაცს სული აქვს!“.

ამ კაცს ჯერაც დაუხარჯავი სული ჰქონდა. რადგან ეს ინტუიციური აზრი იყო, არნჰაიმს გაუჭირდებოდა იმის თქმა, მაინც რას გულისხმობდა. დროთა განმავლობაში ადამიანის სული გონებაში, მორალში, დიდ იდეებში განზავდება. ეს პროცესი შეუქცევადია. მის მტერ-მოყვარე ულრიხთან კი ეს პროცესი ბოლომდე არ განხორციელებულიყო, რაღაც ორაზროვნების ხიბლით მოსილი დარჩენილიყო და განსაზღვრებას არ ექვემდებარებოდა. ეს რაღაც უსულო, რაციონალური და მექანიკური სფეროს ელემენტებს უკავშირდებოდა და მათ კულტურულ ფასეულობებს ვერასდიდებით ვეღარ მიაწერდით. როცა არნჰაიმი ყველაფერ ამაზე ფიქრობდა და საკუთარი ფილოსოფიური ნაშრომების სტილთან მის მისადაგებას ცდილობდა, ერთი წუთითაც არ ჰქონდა დრო, რომ ულრიხის ერთი დამსახურება მაინც ეღიარებინა, იმდენად დიდი იყო ამ აღმოჩენით მიღებული შთაბეჭდილება. ეს ცნებები მან, არნჰაიმმა, თავად შექმნა და

თავი იმ მაესტროდ წარმოედგინა, დაუმუშავებელ ხმაში ბრწყინვალე ვოკალურ შესაძლებლობებს რომ ხედავს. მის აზრთა მხურვალება მხოლოდ სოლიმანის სახეზე გაგრილდა, ის კი, როგორც ჩანს, უკვე დიდი ხანია მიშტერებოდა და გადაეწყვიტა, რომ დამდგარიყო დრო, შეკითხვები გაეგრძელებინა. იმის შეგნებამ, რომ პატარა, მუნჯი ნახევრად ველურის დახმარებით დიდ აღმოჩენებამდე ყველა ვერ მიდიოდა, არნჰაიმს ბედნიერების შეგრძნება გაუმძაფრა. ფიქრობდა, რომ ის ერთადერთი იყო, ვისაც მტრის საიდუმლო ამოეხსნა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო ბუნდოვანი. არნჰაიმი უბრალოდ სიყვარულს გრძნობდა, როგორც მევახშე თავისი მსხვერპლის მიმართ, რომელშიც კაპიტალი დააბანდა. შესაძლოა, სოლიმანის ყურებამ ჩაუნერგა ასე უცაბედად იდეა, რომ ის კაცი, საკუთარი „მეს“ თავგადასავლის განსხეულებად რომ ესახებოდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, თავისკენ გადმოებირებინა, თუნდაც მისი შვილად აყვანის ფასად! საკუთარ ნაჩქარევ გადაწყვეტილებაზე, რომლის ფორმასაც დამწიფება ძლიერ აკლდა, თავადვე გაეცინა. სოლიმანს სახეზე ცნობისმოყვარეობის ტრაგიკული წყურვილი აღბეჭდვოდა. არნჰაიმის ბრძანებამ მას სიტყვა გააწყვეტინა: – კარგი, დღეისთვის კმარა. წადი, ქალბატონ ტუცის წაუღე ყვავილები, მე რომ შევუკვეთე. თუ კიდევ რამე კითხვები გაქვს, სხვა დროს იყოს.

113. ულრიხი გერდას და ჰანსს ზეგონიერებისა და უგუნურების მოსაზღვრე სფეროს შერეულ ენაზე ესაუბრება

ულრიხი ვერ ხვდებოდა, რა მოემოქმედებინა იმისთვის, რომ შეესრულებინა მამის სურვილი, რომელიც სოციალური სკოლით აღფრთოვანებასა და მის ბრწყინვალებასთან სხვა მაღალი თანამდებობის პატრიოტებთან მოლაპარაკების დასაწყებად ნიადაგის მომზადებას სთხოვდა. ამიტომაც ესტუმრა იგი გერდას, რათა ეს ყველაფერი დაევიწყებინა. იქ კი მას ჰანსი დახვდა. ჰანსი მაშინვე შეტევაზე გადავიდა.

– დირექტორ ფიშელს უწევთ მფარველობას, არა?

პასუხისთვის თავის ასარიდებლად ულრიხმა კითხვითვე უპასუხა, ამის შესახებ გერდა მოგიყვათო?

დიახ, გერდა მოუყვა ამის შესახებ.

– მერე, გინდათ, იცოდეთ, რატომ?

– დიდად დამავალებთ! – მოსთხოვა ჰანსმა.

– ეს არც ისე ადვილია, ძვირფასო ჰანს.

– ასე ნუ მომმართავთ.

– მაშინ, ძვირფასო გერდა, – ულრიხი გერდას მიუბრუნდა, – ამის შესახებ იმდენი ვილაპარაკე, მეგონა, ყველაფერს გაიგებდით.

– მესმის, მაგრამ თქვენი არ მჯერა, – უპასუხა გერდამ. ცდილობდა, ისე ელაპარაკა და ისეთი მზერით შეეხედა მისთვის, რომ ჰანსთან მის მოკავშირეობას ულრიხისთვის შემრიგებლური სახე მიეღო.

– ჩვენ არ გვჯერა, – შეაწყვეტინა ჰანსმა ასე თუ ისე სასიამოვნოდ დაწყებული საუბარი, – რომ ასე ფიქრობთ. ვიღაცის აზრს იმეორებთ!

– რა თქვით? იმას გულისხმობთ, რასაც... რაც აზრიანად არ შეიძლება გამოითქვას? – ულრიხი მაშინვე მიხვდა, რომ ჰანსის თავხედური შენიშვნა მის და გერდას პირისპირ საუბარს ეხებოდა.

– არა, რატომ. თუ სერიოზულად გჯერათ ამის, მშვენივრადაც გამოთქვამთ.

– მე კი არ გამომდის, მაგრამ ერთ ამბავს მაინც მოგიყვებით.

– ისევ ამბავი! როგორც ჩანს, ბებერი ჰომეროსივით გაუთავებლად ამბებს ჰყვებით! – წამოიძახა ჰანსმა კიდევ უფრო თავხედურად და თავდაჯერებით. გერდამ მას მუდარით შეხედა. ულრიხმა მის ნათქვამს ყური არ ათხოვა და განაგრძო: – ერთხელ უზომოდ შეყვარებული ვიყავი, დაახლოებით თქვენს ასაკში. მაგრამ უფრო ის სიყვარული, ჩემი შეცვლილი მდგომარეობა მიყვარდა, ვიდრე ის ქალი, ვისაც ეს სიყვარული უკავშირდებოდა. მაშინ მივხვდი ყველაფერ იმას, რისგანაც თქვენ, თქვენი მეგობრები და გერდა საიდუმლოს ქმნით. აი მთელი ისტორია, რის მოყოლაც მინდოდა.

ჰანსი და გერდა გაოგნებულები დარჩნენ, რომ ისტორია ასეთი მოკლე აღმოჩნდა. გერდა შეყოვნდა და მერე ჰკითხა: – შეყვარებული იყავით? – და მაშინვე საკუთარ თავზე გაბრაზდა,

რადგან ჰანსის თანდასწრებით პატარა გოგოს თავშეუკავებელი ცნობისმოყვარეობა ვერ დამალა.

ჰანსმა კი გერდას შეაწყვეტინა: – რისთვის გვჭირდება ეს ლაპარაკი! ჯობია, მოჰყვეთ, რას აკეთებს სულიერი ბანკროტების ხელში ჩავარდნილი თქვენი ნათესავი.

– ეძებს იდეას, რომელიც მთელი მსოფლიოს წინაშე ჩვენს სამშობლოს მთელი თავისი დიდებულებით წარმოაჩენს. რაიმე იდეით ხომ ვერ დაეხმარებოდით? მზად ვარ, შუამავლის როლი ვითამაშო, – უპასუხა ულრიხმა.

ჰანსს დამცინავად გაეღიმა.

– რატომ მოგაქვთ თავი ისე, თითქოს არ იცოდეთ, რომ მთელ ამ წამოწყებას ხელს შევუშლით?

– მაინც რით იწვევს თქვენს გულისწყრომას ეს ყველაფერი?

– იმით, რომ ეს გერმანული სულის წინააღმდეგ მიმართული ყველაზე დიდი საძაგლობაა ამ ქვეყანაში! – უპასუხა ჰანსმა. – ნუთუ მართლა არ იცით, რომ იმედისმომცემი საპასუხო მოძრაობა იწყება? გერმანული ეროვნული კავშირის ყურადღება მაგ თქვენი გრაფი ლაინსდორფის ჩანაფიქრისკენ არის მიპყრობილი. გერმანული სულის შეურაცხყოფის წინააღმდეგ მსუბუქი ათლეტიკის ასოციაციამ უკვე გამოთქვა პროტესტი. მეაბჯრეთა ფედერაცია ამ დღეებში ავსტრიის უმაღლეს სასწავლებლებში თავის პოზიციას გამოხატავს გასლავების წინააღმდეგ, რომელიც აშკარად გვემუქრება. გერმანული ახალგაზრდული კავშირი კი, რომლის წევრი მეც ვარ, ყველაფერს იღონებს, ამისთვის ქუჩაში გამოსვლაც რომ დაგვჭირდეს! – ჰანსი წელში გამართული იჯდა და სიამაყით ჰყვებოდა, მერე დაამატა: – რა თქმა უნდა, არაფერს არა აქვს აზრი! ეს ხალხი ვითარებას სათანადოდ ვერ აფასებს. გადამწყვეტი მაინც ის არის, რომ ამისგან აქ მაინც არაფერი გამოვა!

ულრიხმა მიზეზი იკითხა.

– დიდმა რასებმა საკუთარი მითოლოგია ისტორიის დასაწყისშივე შექმნეს. არსებობს ავსტრიული მითოლოგია? – ჰკითხა ჰანსმა პასუხად. – ავსტრიული პრარელიგია? ეპოსი? აქ არც კათოლიკური რელიგია გაჩენილა და არც ევანგელიკური;

წიგნის ბეჭდვაც და ფერწერული ტრადიციებიც გერმანულია. დინასტიებით შვეიცარია, ესპანეთი და ლუქსემბურგი მარაგდებოდა; ტექნიკა ინგლისიდან და გერმანიიდან შემოდიოდა; ულამაზესი ქალაქები ვენა, პრაღა და ზალცბურგი იტალიელებისა და გერმანელების ხელით აშენდა; სამხედრო საქმე ნაპოლეონისეული ნიმუშით მოეწყო. ასეთმა სახელმწიფომ საკუთარი არაფერი არ უნდა წამოიწყოს. მისთვის ერთადერთი ხსნა გერმანიასთან შეერთებაა. ასე რომ, ყველაფერი გითხარით, რის გაგებაც ჩვენგან გინდოდათ.

გერდამ აღარ იცოდა, ჰანსით უნდა ეამაყა თუ შერცხვენოდა. ულრიხისკენ ლტოლვამ მასში ბოლო დროს ახალი ძალით გამოიღვიძა, თუმცა ადამიანურ სურვილს – რამე როლი შეესრულებინა – მისი ბევრად ახალგაზრდა მეგობარი ბევრად უკეთ აკმაყოფილებდა. უცნაური ის გახლდათ, რომ ამ გოგოს ორი ურთიერთსაპირისპირო ლტოლვა თავგზას უბნევდა – შინაბერად დარჩენილიყო თუ ულრიხს დანებებოდა. მეორე ლტოლვა იმ სიყვარულის ბუნებრივი შედეგი იყო, რასაც იგი წლების მანძილზე განიცდიდა, თუმცა ეს სიყვარული მოგიზგიზე ალად ვერ იქცა და მასში გაუბედავად ღვიოდა; შეგრძნებები კი იმ შეგრძნებებს ჰგავდა, უღირს სიყვარულს რომ სდევს თან, როცა შეურაცხყოფილ სულს ფიზიკური მორჩილებისკენ ამაზრზენი ლტოლვა ტანჯავს. თუმცა გერდას შეგრძნებებში იმის წინათგრძნობაც იყო, რომ არასდროს გათხოვდებოდა და ოცნებებისგან დაცლილს, მარტოხელა, მშვიდი და საქმიანი ცხოვრება ექნებოდა. ეს სურვილი ის არ იყო, რასაც მისი შეხედულებები ბადებდა, რადგან ნათელი წარმოდგენა იმაზე, რაც მას ეხებოდა, გერდას არც ჰქონდა. ეს უფრო მისი ვარაუდი იყო, რომელიც ჩვენს სხეულს ზოგჯერ გონებაზე უფრო ადრე ებადება. ამას ის გავლენაც უკავშირდებოდა, რომელსაც ჰანსი მასზე ახდენდა. ჰანსს ასე სჩვეოდა: ოფლიან ხელებს თმასა და ტანსაცმელზე იმშრალებდა. უღიმღამო გარეგნობა ჰქონდა და ძვალმსხვილი იყო, თუმცა არც სიმაღლით გამოირჩეოდა და არც ძალით. წამდაუწუმ ჯიბის პატარა მრგვალ რკინისჩარჩოიან სარკეში იხედებოდა, რადგან სახის მოუვლელ კანზე ჩირქოვანი გამონაყარი გამუდმებით ტანჯავდა. თუ სარკეს არ მივიღებთ მხედველობაში, ზუსტად ასე წარმოედგინა გერდას პირველი დევნილი რომაელი ქრისტიანები, რომლებიც მიწისქვეშა კატაკომბებში იკრიბებოდნენ. „ზუსტად ასე“ ყველა დეტალში

თანხვედრას ხომ არ ნიშნავდა! ეს, ალბათ, ის თავზარდამცემი შიში იყო, გერდას ქრისტიანულ წარმოდგენებთან რომ აკავშირებდა; წარმართთა დაბანილი, ნელსაცხებლებით მოვლილი სხეულები უფრო მოსწონდა, მაგრამ ქრისტიანობა მისთვის საკუთარი ხასიათისთვის გაღებულ მსხვერპლს ნიშნავდა. ასე რომ, მაღალ მოთხოვნებს შმორის გულისამრევი სუნი დაჰკრავდა, ასე რომ ჰგავდა მისტიკურ განწყობას, რომელსაც გერდა ჰანსმა აზიარა.

ამგვარ განწყობას ულრიხი კარგად იცნობდა. სპირიტულ სეანსებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ტლანქ მოთხოვნებს გარდაცვლილი მზარეული გოგოების სულთა მიერ საიქიოდან მოტანილი თავშესაქცევი პატაკით ვიკმაყოფილებთ, რათა ღმერთი თუ არა, სულები მაინც ამოვხაპოთ იმ საჭმელივით, ხორხის სიბნელეში ყინულივით რომ მისრიალებს. უფრო ძველ დროში ღმერთთან და მის თანამგზავრებთან პირად კონტაქტს, როგორც ამბობენ, ექსტაზის მდგომარეობაში ამყარებდნენ, რომელიც, მეტად ფაქიზი და ნაწილობრივ უჩვეულო გაფორმების მიუხედავად, მაინც უხეში მიწიერი ქცევისა და უკიდურესად უცნაური და გაურკვეველი ინტუიციური განცდის ნარევს ქმნიდა. მეტაფიზიკური ამ მდგომარეობაში ჩაძირულ ფიზიკურ საწყისს წარმოადგენდა, რომელიც მიწიერი სურვილების ანარეკლი იყო, რადგან ეგონათ, რომ მასში იმის დანახვას შეძლებდნენ, რის მოლოდინსაც ეპოქა ასე აქტიურად უღვიძებდათ. მაგრამ სწორედ ინტელექტუალური წარმოდგენები იცვლება და დროთა განმავლობაში არასარწმუნო ხდება. დღეს რომ ვინმეს იმის მოყოლა მოენდომებინა, ღმერთმა მტკივნეულად წამავლო თმაში ხელი და ზევით ამიტაცაო, ან ტკბილი ჟრუანტელივით მკერდში დამიარაო, ამგვარ სამოსში გამოწყობილ სრულიად კონკრეტულ წარმოდგენებს არავინ დაიჯერებდა, პროფესიონალი ღვთისმსახურები ხომ მით უმეტეს, რადგან ისინი, გონიერი ეპოქის შვილები, სრულიად ადამიანურ შიშს შეეპყრო, რომ რელიგიის ისტერიულ და ეგზალტირებულ მიმდევრებს არ გაებიაბურებინათ. ამის შედეგი კი ის გახლავთ, რომ შუა საუკუნეებსა და წარმართულ ანტიკურ ეპოქაში გავრცელებულ და სრულიად ცხადად არსებულ განცდებს ან ფანტომებად და ავადმყოფურ მოვლენად მივიჩნევთ, ან მათში რაღაც ისეთს ვვარაუდობთ, რაც მითური კავშირებისგან სრულიად თავისუფალი იქნებოდა, ანუ განცდათა ბირთვი,

რომელიც მაშინაც კი, თუ მკაცრი ემპირიული კრიტერიუმით მივუდგებოდით, სარწმუნო აღმოჩნდებოდა. თავისთავად ცხადია, რომ ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მანამ, სანამ მეორე კითხვას მივადგებოდით, კერძოდ: იმქვეყნიურ სამყაროსთან ჩვენი დამოკიდებულებიდან რა დასკვნების გამოტანა გვმართებს. იმ დროს, როცა თეოლოგიური გონით მოწესრიგებულ რწმენას დღეს გავრცელებულ ეჭვთან და წინააღმდეგობრიობასთან შეურიგებელი ბრძოლა უწევს, ჩანს, რომ ფაქტობრივად შიშველმა, რწმენის ტრადიციული, ცნებითი გარსისგან შემოძარცულმა, ძველი რელიგიური წარმოდგენებისგან გათავისუფლებულმა მისტიკურმა აღქმამ, რომელსაც, ძნელია, რელიგიური ვუწოდოთ, ყველგან მოიკიდა ფეხი და იმ მრავალსახოვანი ირაციონალური მოძრაობის სულს შეადგენს, რომელიც ჩვენს ეპოქაში დღის შუქზე გზაარეული ღამის ფრინველივით აჩრდილივით დარიალებს.

ამ მრავალსახოვანი მოძრაობის გროტესკული ნაწილი ქარიშხალივით აბობოქრებული ის წრეც გახლდათ, რომელშიც ჰანს ზეპი საკუთარ როლს ასრულებდა. თუ იმ იდეებს ჩამოვთვლით (რაც, ამ საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, დაუშვებლად იყო მიჩნეული, რადგან იდეები რაოდენობითობას და ზომას ვერ ეგუება), ამ საზოგადოებაში ერთიმეორეს რომ ენაცვლებოდნენ, მაშინ, პირველ რიგში, საცდელი, ამხანაგური ქორწინების, პოლიგამიისა და პოლიანდრიის მოკრძალებული და აბსოლუტურად პლატონური მოთხოვნის დასახელება მოგვიწევს; შემდეგი ხელოვნების საკითხებში არაკონკრეტული, საზოგადოდ მიღებულისა და მარადიულისაკენ მიმართული მოსაზრება გახლდათ, რომელიც მაშინ ექსპრესიონიზმის სახელით „უგვანო მატერიალიზმის“ უხეშ გარეგნულ გამოვლინებებს და გარსს ზიზღით ზურგს აქცევდა, რომლის ზუსტ ასახვასაც ერთი თაობის წინ რატომღაც რევოლუციური ერქვა. ამ აბსტრაქტულ ჩანაფიქრს, რომელიც გარეგნულ დეტალებზე არ ზრუნავდა და რომელშიც სულისა და სამყაროს „არსი“ ხატოვნად აისახებოდა, ყველაზე შეზღუდული და ყველაზე კონკრეტული, კერძოდ კი, ეროვნული კულტურა შესანიშნავად ესადაგებოდა, რომლის მოწიწებით მსახურებასაც ახალგაზრდებს გერმანული სული ავალებდა. ქაოსურ სიჭრელეში ეპოქის გზებზე შეგროვებული

წარმტაცი რტოები და ბალახებიც შეგხვდებოდათ, რომლისგან სულს ბუდესაც აუშენებდით. მათ შორის ახალგაზრდების უფლებებზე, მოვალეობებსა და შემოქმედებით ძალებზე მსუყე წარმოდგენები იმდენად დიდ როლს თამაშობდა, რომ ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით მოგვიწევს საუბარი. ითვლებოდა, რომ ეპოქა ახალგაზრდის უფლებებს არ ცნობდა, რადგან სრულწლოვანებამდე მას თითქმის არავითარი უფლება არ ჰქონდა. მამას, დედას, მეურვეს შეუძლია, ბავშვი შემოსოს, თავშესაფარი მისცეს, გამოკვებოს ისე, როგორც მას მოეხასიათება, დასაჯოს და საბოლოოდ გაანადგუროს კიდეც, ოღონდ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ პარაგრაფს არ უნდა გადააჭარბოს, რომელიც ბავშვს, როგორც ცხოველს, ისე იცავსო, მიაჩნდა ჰანს ზეპს. შვილი ისეთივე საკუთრებაა მშობლისა, როგორიც მონა – ბატონის და, მატერიალური დამოკიდებულების თანახმად, კაპიტალიზმის საკუთრებას, მის ობიექტს წარმოადგენსო. „ბავშვის კაპიტალისტური ჩაგვრის“ შესახებ ჰანსს სადღაც წაეკითხა და ეს იდეა შემდეგ თავად განევითარებინა. პირველი, რაც მან თავის გაოცებულ მოწაფეს ასწავლა, რომელიც ამ დღემდე მშობლიურ სახლში უზრუნველად ცხოვრობდა, სწორედ ეს იყო. ქრისტიანობამ უღელი ქალს შეუმსუბუქა და არა ქალიშვილსო. ქალიშვილი უბადრუკი ცხოვრებისგან სულს ღაფავს, რადგან მასზე განხორციელებული ძალადობით ცხოვრებისგან გაუცხოებულიაო. ამგვარი მომზადების შემდეგ იგი გერდას უქადაგებდა, ბავშვმა თავი საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე კანონით უნდა აღიზარდოსო; ბავშვი შემოქმედებითი არსებაა, რადგან საკუთარ თავს თავადვე ქმნის და ზრდისო. ის მეფური არსებაცაა, რადგან სამყაროს საკუთარ წარმოდგენებს, გრძნობებსა და ფანტაზიებს კარნახობსო. შემთხვევითი, მზამზარეული სამყაროს შესახებ გაგონებაც არ უნდა და იდეალების საკუთარ სამყაროს იშენებსო. სექსუალურობაც საკუთარი აქვს და უფროსები ბარბაროსულ ცოდვას სჩადიან, როცა სამყაროს უნგრევენ, რითაც ბავშვის შემოქმედებით უნარს სპობენ, უსიცოცხლო, ტრადიციული ცოდნით სულს უხუთავენ და კონკრეტული, მისთვის სრულიად უცხო მიზნისაკენ მიმართავენო. ბავშვი კი არანაირ მიზანს არ ელტვის, მისი შემოქმედება თამაში და ფაქიზი ზრდააო. თუ ბავშვზე არ ვიძალებთ, მაშინ ის მხოლოდ იმას აღიქვამს, რასაც ჭეშმარიტად შეიმეცნებსო. ყოველი საგანი, რომელსაც ის ეხება, ცოცხალია, ბავშვი თავად არის

სამყარო, კოსმოსი, ის საბოლოოს, აბსოლუტს ჭვრეტს, თუმცა ამის გამოხატვა არ ძალუძსო; მაგრამ ბავშვს ასწავლიან, ესმოდეს, რა არის მიზანი, ამწუთიერზე, წარმავალზე მიაჯაჭვავენ, რასაც სინამდვილეს არქმევენ და ამით მას კლავენო – ასე ფიქრობდა ჰანს ზეპი. როცა ფიშელების სახლში ამ მოძღვრების დანერგვა დაიწყო, მაშინ ის უკვე ოცდაერთი წლის გახლდათ და არც გერდა იყო მასზე უმცროსი. ჰანსს მამა დიდი ხნის წინ გარდაცვლოდა, დედას პატარა დუქანი ჰქონდა და მას და მის და-ძმას ასე არჩენდა. ასე რომ, დათრგუნული, ღარიბი ბავშვების დასაცავად გამოსადეგი ამგვარი ფილოსოფიისათვის უშუალო მიზეზი, კაცმა რომ თქვას, არ არსებობდა.

ჰანსის შეგონებანი გერდამ შეიმეცნა და მომავლის ადამიანის აღზრდის რბილ პედაგოგიურ მეთოდებსა და ლეოსა და კლემენტინესთან მათ საბრძოლო გამოყენებას შორის მერყეობდა. ჰანსი კი საქმეს პრინციპულად უდგებოდა და შემდეგი ლოზუნგი წამოაყენა: „ჩვენ, ყველანი, ბავშვები უნდა ვიყოთ!“. ბავშვის საბრძოლო პოზიციებს ასე ჯიუტად რომ იცავდა, ალბათ, ნაწილობრივ, დამოუკიდებლობისაკენ მისი ნაადრევი სწრაფვით შეიძლებოდა აგვეხსნა. მთავარი ის გახლდათ, რომ მთელ ქვეყანაში გაშლილი ახალგაზრდული მოძრაობის ენა პირველი ენა იყო, რომელიც მის სულს სიტყვით ეხმარებოდა, ერთი სიტყვიდან მეორისკენ მიჰყავდა და ყოველი სიტყვით უფრო მეტს ამბობდა, ვიდრე იცი. ასე რომ, ფრაზა „ჩვენ, ყველანი, ბავშვები უნდა ვიყოთ!“ ერთ მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებას ავითარებდა. იმისთვის, რომ დედა ან მამა გახდეს, ბავშვმა არ უნდა გაიუკუღმართოს და უარყოს საკუთარი არსი. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ „მოქალაქე“ გახდა, სამყაროს მონა, მას მიება და ავტომატურად მოქმედებს. მოქალაქეობა სწორედ ისაა, რაც ბავშვს აბერებს. ბავშვი ამ გარდასახვას ეწინააღმდეგება. მოქალაქედ გარდაქმნა იმ პრობლემასაც აგვარებს, რომ ოცდაერთი წლის ასაკში ბავშვურად ვეღარ მოიქცევი. ეს ბრძოლა ხომ დაბადებიდან იწყება, სიბერემდე გრძელდება და საბოლოოდ მოქალაქეობრივ სამყაროს სიყვარულის სამყარო ანგრევს. ეს, ასე ვთქვათ, ჰანს ზეპის მოძღვრების უმაღლესი საფეხური იყო და ამის შესახებ ულრიხმა დროთა განმავლობაში გერდასგან შეიტყო.

მან, ულრიხმა, აღმოაჩინა კავშირი – როგორც ეს ახალგაზრდები უწოდებდნენ – სიყვარულს, ანუ სხვა სიტყვით რომ ვთქვათ,

თანამეგობრობასა და რაღაც უცნაურ, ველურად რელიგიურ, არამითოლოგიური მითური მდგომარეობის შედეგს, ანდა უბრალოდ სულაც ტრფიალებას შორის, ულრიხს შიგ გულში რომ ხვდებოდა, რის შესახებაც ეს ახალგაზრდები ვერაფერს ხვდებოდნენ, რადგან ულრიხი მხოლოდ იმით იფარგლებოდა, რომ მათში ამ მდგომარეობის ნაკვალევს დასცინოდა. ახლაც ჰანსთან საუბარი იმით დაიწყო, რომ პირდაპირ ჰკითხა, რატომ ამბობდა უარს, გამოეყენებინა პარალელური აქცია „მესგან განდგომილთა თანამეგობრობის“ დასახმარებლად.

– იმიტომ, რომ ეს დაუშვებელია! – უპასუხა ჰანსმა.

საუბარი, რომელიც ამ შეკითხვას მოჰყვა, გარეშე მსმენელზე დამნაშავეთა შორის ჟარგონის ენაზე ლაპარაკთან მსგავსების გამო უცნაურ შთაბეჭდილებას მოახდენდა, თუმცა მათი ჟარგონი სხვა არაფერი იყო, თუ არა საერო და რელიგიური ტრფიალების შერეული ენა. ჯობს, ამ საუბრის ზოგადი შინაარსი გადმოგცეთ და არა სიტყვასიტყვით მოგახსენოთ. „მესგან განდგომილთა თანამეგობრობა“ ჰანსის მოფიქრებული იყო, მაგრამ ასე თუ ისე მაინც გასაგები გახლდათ. რაც უფრო მეტია ადამიანში თავდადება, მით უფრო ნათელია და ძლიერი სამყაროში საგნები; რაც უფრო იმსუბუქებს ადამიანი თავს, მით უფრო ამაღლებული ხდება. ეს მდგომარეობა, ალბათ, ყველასთვის ნაცნობია, მაგრამ ის აღტყინებაში, მხიარულებაში, უდარდელობასა და რაღაც მსგავსში არ უნდა აგვერიოს, რადგან ესენი მხოლოდ ამ მდგომარეობის შემცვლელია მისი მდაბალი და ბიწიერი გამოყენებისთვის. ჭეშმარიტ მდგომარეობას, შესაძლოა, საერთოდაც ამაღლებული კი არ ვუწოდოთ, არამედ ჯავშნის – საკუთარი „მეს“ ჯავშნის – შემოხსნა, განმარტავდა ჰანსი. ადამიანში ციხესიმაგრის ორი მიწაყრილი უნდა განვასხვაოთ. პირველის გადალახვა შესაძლებელია მაშინ, როცა ადამიანი სიკეთეს სჩადის და უანგაროდ იქცევა, მაგრამ ეს მხოლოდ პატარა მიწაყრილია. მეორე, დიდი მიწაყრილი კი თვით ყველაზე თავდადებული ადამიანის ეგოიზმშია, ადამ და ევასდროინდელი ცოდვაა და მეტი არაფერი. ყოველი გრძნობისმიერი შთაბეჭდილება, გრძნობა, თავდადებაც კი ჩვენი შესრულებით ისეთია, რომ უფრო მეტს ვიღებთ, ვიდრე გავცემთ და ანგარებით გაჟღენთილი ჯავშნისგან გათავისუფლება თითქმის შეუძლებელი ხდება. ჰანსმა ჩამოთვალა: ცოდნა – უცხო საგნის მითვისებაა; ამ საგანს ცხოველივით კლავენ, გლეჯენ, ყლაპავენ და ინელებენ. ცნება –

რაღაც ისეთია, რაც მოკლეს და გახევდა. მრწამსი – გაყინული დამოკიდებულებაა, რომელსაც ვეღარ შეცვლი. კვლევა – კონსტატაცია, მტკიცებაა. ხასიათი – სიზანტეა, როცა არ გსურს, რამე შეცვალო. იცოდე ადამიანი იგივეა, მასზე აღარ იღელვო. შეიცნო – ნიშნავს, უბრალოდ შეხედო. ჭეშმარიტება – ობიექტურად და არაადამიანურად ფიქრის წარმატებული მცდელობაა. ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს მკვლელობასთან, სიცივესთან, სულს რომ გითოშავს, საკუთრებისა და გახევების მოთხოვნილებასთან, ანგარებისა და მშიშარა, ვერაგი, ყალბი თავგანწირვის ნარევთან.

– ყოფილა კი ოდესმე სიყვარული იმაზე მეტი, ვიდრე დაუფლების სურვილი ან სანაცვლოდ რამის მიღებისათვის თავდადებაა? – ამბობდა ჰანსი, თუმცა უცოდველი გერდას გარდა სხვა არც არავის იცნობდა.

ულრიხი ფრთხილად დაეთანხმა ამ არცთუ მთლად ერთგვაროვან მტკიცებას, თან კორექტივები შეჰქონდა. ტანჯვას და თავგანწირვას კი ჩვენთვის თითო გროში აქვს შავი დღისთვის გადადებული, უფერული ეგოიზმის გრამატიკული აჩრდილი ყველა მოქმედებაზეა მიკრული, სანამ არ არსებობს შემასმენელი ქვემდებარის გარეშეო, – ამბობდა ულრიხი.

ჰანსი თავგამოდებით უარყოფდა მის ნათქვამს. ის და მისი მეგობრები ხშირად კამათობდნენ, როგორ უნდა ეცხოვრა ადამიანს.

ზოგჯერ მიაჩნდათ, რომ ადამიანმა ჯერ საკუთარი თავისთვის უნდა იცხოვროს და შემდეგ სხვებისთვისო. ხან იმაში იყვნენ დარწმუნებულები, რომ ადამიანს მხოლოდ ერთი მეგობარი შეიძლება ჰყავდეს, იმას კიდევ თავის მხრივ სხვა მეგობარიც სჭირდება. ასე რომ, თანამეგობრობა სულთა წრიულ კავშირად წარმოედგინათ, ფერთა სპექტრის ან ცალკეული რგოლებისაგან აცმული ჯაჭვის მსგავსად. ყველაზე მეტად კი იმის სწამდათ, რომ არსებობდა სულიერი, უბრალოდ ეგოიზმით დაჩრდილული კოლექტივიზმის კანონი, ცხოვრების ჯერაც ხელუხლებელი, უზარმაზარი შინაგანი წყარო, რომელსაც ისინი ფანტასტიკურ შესაძლებლობებს მიაწერდნენ. ტყეში ნალოლიავები, თან თვითდამკვიდრებისათვის მებრძოლი ხეც კი იმაზე არამყარად არ გრძნობს თავს, ვიდრე დღევანდელი მგრძნობიარე ადამიანი, რომელიც მასის ბნელ სითბოს, მის მამოძრავებელ ძალას, მისი

არაცნობიერი ერთსულოვნების უხილავ მოლეკულურ პროცესებს, ყოველი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვისას იმას რომ ახსენებს, რომ არც ყველაზე დიდი და არც ყველაზე პატარა ამქვეყნად მარტო არ არის. ულრიხიც ასე იყო. ისიც ნათლად ხედავდა, რომ ლაგამამოდებული ეგოიზმი, რომლისგანაც ცხოვრება შენდება, მოწესრიგებულ სტრუქტურას ქმნის, იმ დროს, როცა ერთიანობის სუნთქვა ბუნდოვანი კავშირების სიმბოლოდ რჩება. ის თავად განცალკევებას ესწრაფოდა, მაგრამ უცნაურად ხვდებოდა გულზე, როცა გერდას ახალგაზრდა მეგობრები იმ დიდი კედლის არსებობას ამტკიცებდნენ, რომელიც უნდა გადაელახათ.

ჰანსი თვალგაშტერებული იყურებოდა. ის ხან მონოტონურად და ხან ნაწყვეტ-ნაწყვეტ რწმენის დოგმატებზე ლაპარაკობდა. სამყაროს არაბუნებრივი, სიგრძივი ჭრილი გასდევს, მას ვაშლივით შუაზე ყოფს და მის ორივე მხარეს ახმობსო. ხელოვნური, არაბუნებრივი მეთოდებით იმის დაბრუნება მოგვიწევს, რასთან ერთადაც ერთ მთლიანობას ვქმნიდით. ამ ჭრილის გაქრობა შესაძლებელია, თუ როგორღაც ქცევას შევცვლით და თავად გავიხსნებით. რაც უფრო მეტად დავივიწყებთ და ჩავაქრობთ საკუთარ თავს, განვუდგებით საკუთარ „მეს“, მით მეტად გამოთავისუფლდება ჩვენში თანამეგობრობის ძალა, მასთან მიახლოებით კი საკუთარ თავს დავიბრუნებთო. ჰანსს თუ მოუსმენდით, იმასაც შეიტყობდით, რომ ორიგინალობის ხარისხი განკერძოებულობაში კი არ არის, მას თვითგამოვლენა ბადებს. თანამონაწილეობითა და თავდადებით კი „მესგან“ განდგომილთა იმ თანამეგობრობამდე მივალთ, რომლის მიღწევაც მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელიო!

ულრიხს მოუნდა ამ ფრაზებისთვის, თითქოს ვერაფრით რომ ვერ შეავსებდით, რეალური შინაარსი მიენიჭებინა, მაგრამ შემდეგ ცივად ჰკითხა ჰანსს, თვითგამოვლენა და ა. შ. პრაქტიკულად როგორ წარმოედგინა.

ამისთვის კი ჰანს გრანდიოზული სიტყვები აღმოაჩნდა: ტრანსცენდენტური „მე“ გრძნობადის ნაცვლად, გოთიკური „მე“ ნატურალისტურის ნაცვლად, არსის სამეფო მოვლენათა სამყაროს ნაცვლად, აუცილებელი განცდა და სხვა მქუხარედ მჟღერი არსებითი სახელები, რომლებსაც იგი ენით აღუწერელი გამოცდილების კვინტენსაციად მიიჩნევდა. შემდეგ

ამტკიცებდა, იმქვეყნიური დღეს ძნელად მოსახელთებელი, ზეფიზიკური მყისიერად გაელვებული სურათ-ხატებით გაცხადდებაო და ბოლოს სიმბოლოებზე ალაპარაკდა – ეს მისი ცხოვრების გრანდიოზული, ზებუნებრივი გამოვლინებების აღმნიშვნელი საყვარელი სიტყვა გახლდათ – სიმბოლოების შექმნისა და მათი განჭვრეტის გერმანულ უნარზე, მათ რომ აქვთ მომადლებული, რომელთა ძარღვებშიც გერმანული სისხლი ჩქეფს. ამგვარად, ფორმულა „ძველი, კარგი დროის“ დახვეწილი ვარიანტით ჰანსმა მოხერხებულად შეძლო აეხსნა, საგანთა არსის ხანგრძლივად ფლობა თანამედროვეობის მიერ აწ დაკარგული წარსულის პრივილეგიააო და მისი მტკიცება ახალ საკამათო თემად იქცა.

ამ ცრურწმენებით გაჯერებულმა ლაყბობამ ულრიხი გააღიზიანა. დიდი ხანია, ვერ აეხსნა, რა იზიდავდა გერდას ჰანსში. ფერდაკარგული გერდა იჯდა და საუბარში აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა. ჰანს ზეპს სიყვარულის დიდებული თეორია შეეთხზა და გერდაც მასში, ალბათ, საკუთარი არსებობის ღრმა აზრს ხედავდა. ულრიხმა საუბარს ახალი მიმართულება მისცა და ამტკიცებდა, რომ აღმაფრენა, რომელსაც ადამიანი გრძნობს, არც ჩვეულებრივი ეგოისტური ქცევისგან იბადება და არც, როგორც ჰანსის მეგობრები ამტკიცებენ, თვითგამოვლენით და თავგანწირვით „მეს“ გაძლიერებითო. არსებითად, ეს დამდგარი წყალივით მშვიდი მდგომარეობაა, სადაც არასდროს არაფერი იცვლებაო.

გერდა გამოცოცხლდა და ჰკითხა, ამით რის თქმა უნდოდა.

ულრიხმა უპასუხა, ჰანსმა თავისი ნააზრევი ნაწილობრივ ჭირვეულ სამოსში გამოაწყო, მაგრამ რაზეც ის ლაპარაკობს, სხვა არაფერია, თუ არა სიყვარულიო; წმინდანთა, განდეგილთა სიყვარული, სიყვარული, სურვილების ნაპირს რომ გადმოლახავს, რომელიც ყოველთვის აღწერილია, როგორც მოშლა, მოდუნება, საერო ურთიერთობების გაუკუღმართება; ყოველ შემთხვევაში, ეს მხოლოდ გრძნობას კი არ ნიშნავს, არამედ აზროვნებისა და აღქმის ცვლილებასო.

გერდამ ისე შეხედა, თითქოს იმის შემოწმება სურდა, განეცადა თუ არა ულრიხს მსგავსი რამ – ულრიხმა ხომ მასზე ბევრად მეტი იცოდა – თუ ეს კაცი, მალულად რომ უყვარდა და მის გვერდით, ვითომც არაფერი, ისე რომ იჯდა, მისკენ რაღაც ისეთ გზავნილს უშვებდა, ორი არსების სხეულს ერთმანეთთან რომ

აკავშირებს.

ულრიხმა გამომცდელი მზერა იგრძნო. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს უცხო ენაზე უწევდა ლაპარაკი, როცა ამ ენას თავისუფლად კი ფლობ, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, რადგან შინაგანად საკუთარი მეტყველების ფესვებს ვერ გრძნობ.

– ამ მდგომარეობაში, – ამბობდა ის, – როცა საკუთარი ქცევის დადგენილ საზღვარს სცდები, ყველაფერს იგებ, რადგან სული მხოლოდ იმას აღიქვამს, რაც მას ეხება. გარკვეული თვალსაზრისით, მან წინასწარ იცის კიდეც, რაც უნდა გაიგოს. შეყვარებულებს ერთმანეთისთვის ახლის არაფრის თქმა არ ძალუძთ. ისეთი რამ, როგორიც შემეცნებაა, მათთვის არც არსებობს. შეყვარებული იმ ადამიანის შესახებ, რომელიც უყვარს, ვერაფერს შეიტყობს, გარდა იმისა, რომ ის მასში რაღაც უცნაური ძალით შინაგან აქტივობას იწვევს. იმ ადამიანის შეცნობა კი, რომელიც მას არ უყვარს, ნიშნავს, რომ სიყვარულის სფეროში ჩართოს, იმ კედლის მსგავსად, მზე რომ ანათებს. უსულო საგნის შემეცნება იმას კი არ ნიშნავს, რომ მისი თვისებები ერთიმეორის მიყოლებით დაზვერო, არამედ იმას, რომ მას საბურველი ჩამოეხსენება ან ის საზღვარი უქმდება, რომელიც ხილულ სამყაროს არ ეკუთვნის. უსულო საგანი შეყვარებულთა ამხანაგურ კავშირს, თუმცა როგორც უცნობი, მაგრამ სრული ნდობით უერთდება. ბუნება და შეყვარებულთა სულები ერთმანეთს უმზერენ. ეს ერთი და იმავე მოქმედების ორი მიმართულებაა, ორი მიმართულებით მდინარებაა და ორი დაბოლოების წვაა. ადამიანის ან საგნის შეცნობა მასთან დამოკიდებულების გარეშე შეუძლებელია. გაეცნო საგანს – ნიშნავს, მისგან რაღაც აიღო. ამ დროს საგნები ფორმას ინარჩუნებენ, შინაგანად კი იფერფლებიან, მათგან რაღაც მიდის, ორთქლდება და მხოლოდ მათი მუმიები რჩებიან. სწორედ ამიტომ არ არსებობს შეყვარებულთათვის ჭეშმარიტება; ეს იქნებოდა ჩიხი, დასასრული, აზრის კვდომა. სანამ აზრი ცოცხალია, ცეცხლის ენას ჰგავს, სადაც სინათლე და წყვდიადი ერთმანეთს ეკვრის. როგორ შეიძლება ცალკეული რამ გაანათო, როცა ყველაფერი შუქითაა მოფენილი?! რა საჭიროა უსაფრთხოებისა და ერთმნიშვნელოვნების მოწყალება, როცა ირგვლივ ასეთი სიჭარბეა? როგორ შეიძლება გინდოდეს მხოლოდ შენთვის თუნდაც ის, რაც გიყვარს, როცა უკვე იცი, რომ შეყვარებულები საკუთარ თავს არ ეკუთვნიან

და რომ ისინი, ერთ არსებად ქცეულნი, საკუთარ თავს ყოველივეს უნაწილებენ, რაც გზაზე შემოხვდებათ!

თუ ამ ენას ფლობ, მის გამოყენებას სულ იოლად შეძლებ. ისე დადიხარ, თითქოს ხელში სანთელი გეჭიროს, რომლის ნაზი სხივიც ცხოვრების ხან ერთ და ხან მეორე მხარეს ეფინება. ყველაფერი ისე ჩანს, თითქოს საიმედო დღის შუქზე მათი ჩვეულებრივი ფორმები უხეში გაუგებრობა იყოს. მაშინვე წარმოუდგენლად გეჩვენება, მაგალითად, სიტყვა „დაუფლების“ პოზა, თუ მას იმასთან მიმართებაში გამოიყენებ, ვისაც უყვარს. ავლენს კი ეს ნატიფი სურვილები, რომ გინდა, „ფლობდე“ პრინციპებს, აზრებს, საკუთარ თავს? პატივისცემით ეპყრობოდე შვილებს? ზორზოხი ცხოველის უხეში პოზა ნახტომის წინ, ნადავლს სხეულით გასრესას რომ უპირებს, კაპიტალიზმის საყვარელი და ძირითადი გამოხატულებაა. სწორედ ამ პოზაში ჩანს კავშირი ბურჟუაზიული ყოფის მესაკუთრესა და ცოდნისა და ოსტატობის მფლობელს შორის, როგორადაც აქცია მოაზროვნეები და მხატვრები ცხოვრებამ, ხოლო და-ძმად ქცეული ასკეტიზმი და სიყვარული სადღაც გაინაპირა. განა ეს და-ძმა, ერთად მდგომი, ცხოვრების მიზნისგან განსხვავებით, უვარგისი და უმიზნო არ არის? სიტყვა „მიზანი“ კი მსროლელთა ლექსიკიდანაა. იყო „უმიზნო“, ხომ არ ნიშნავს, არ იყო მკვლელი? საკმარისია, ენის კვალს გაჰყვე – უკვე წაშლილ, მაგრამ მოღალატურ კვალს! – და უფრო ფრთხილი, სრულიად დაკარგული კავშირების ადგილზე ჩაჩხერილ უხეშად შეცვლილ აზრს დაინახავ. ეს ის კავშირია, რომელსაც ყველგან იგრძნობ, მაგრამ ვერ მოიხელთებ. ულრიხმა აღარ მოინდომა, განევრცო ეს თემა, ჰანსმა კი მის ნათქვამს დაამატა: – როცა ამ განცდებს მკვლევარივით აკვირდებით, მათში სწორედ იმას დაინახავთ, რასაც ბანკის თანამშრომელი დაინახავდა! ემპირიული განმარტებები მოჩვენებითია და სამყაროს გრძნობადი აღქმის წრიდან ვერ გაგვიყვანს! ცოდნის თქვენეულ წადილს სამყარო ე. წ. ბუნების ძალთა მექანიკურ სიზანტემდე დაჰყავს!

ასეთი იყო ჰანსის პრეტენზიები, რეპლიკები. ხან უხეში იყო და ხან მგზნებარე. გრძნობდა, რომ სათქმელს კარგად ვერ გამოხატავდა და ამაში ულრიხის, ამ უცხო კაცის, იქ ყოფნას ადანაშაულებდა, გერდასთან მარტო დარჩენის საშუალებას რომ არ აძლევდა. გერდასთან პირისპირ მისი სიტყვები მოციმციმე წყალს, ცაში აჭრილ შევარდენს ემსგავსებოდა და

მან ეს იცოდა; იცოდა, რომ დღეს მნიშვნელოვანი დღე ჰქონდა, თან ისიც უკვირდა და აბრაზებდა, როცა უსმენდა, რა იოლად და დაწვრილებით ლაპარაკობდა ულრიხი, რომელსაც ახლა მისი ადგილი დაეკავებინა. ულრიხი სინამდვილეში სულაც არ ლაპარაკობდა მიუკერძოებელი მკვლევარივით; იმაზე მეტი თქვა, ვიდრე შეეძლო, პასუხი ეგო საკუთარ ნათქვამზე, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება მაინც არ შეჰქმნია, რომ თავისი ნათქვამის არ სწამდა. ბოღმა, რომელიც საკუთარ თავში ჩაეხშო, ჰანსს ფრთებს ასხამდა. ასე რომ ილაპარაკო, უცნაურად ამაღლებული განწყობა და მგზნებარე ტემპერამენტი უნდა გქონდეს. ულრიხს კი რაღაც შუალედური განწყობა ჰქონდა ამ მდგომარეობას და იმას შორის, რასაც ჰანსის გაზეპილი თმა, მოუვლელი კანი და მისი უშნო, გულისგამაწყალებელი მოძრაობები, ზვირთებად მომსკდარი სიტყვები იწვევდა. კაცმა რომ თქვას, ულრიხი მთელი ცხოვრების მანძილზე ამ საგნიდან მიღებულ ორ შთაბეჭდილებას შორის იმყოფებოდა. შეეძლო, ისე თავისუფლადაც ელაპარაკა ამის შესახებ, როგორც დღეს და ნაწილობრივ სჯეროდა კიდეც ამისი, თუმცა თავშესაქცევი სიმსუბუქის საზღვრებს არასდროს გასცდენია, რადგან საკუთარი სიტყვების თავადაც არ სწამდა. დღესაც ამ ლაპარაკით მოგვრილი სიამოვნება და უსიამოვნება ერთმანეთს უტოლდებოდა.

ულრიხის დამცინავ პრეტენზიებს, პაროდისტივით რომ ურთავდა საუბარში, გერდა ყურადღებას არ აქცევდა. ის იმ შთაბეჭდილებას მოეცვა, რომ ულრიხი ახლა თავად გაიხსნა. გერდა მას შეშინებული შეჰყურებდა. „ბევრად უფრო რბილია, ვიდრე ავლენს“, – ფიქრობდა ის, როცა ულრიხი ლაპარაკობდა და გრძნობა, რომელიც იმ შემთხვევაში დაეუფლებოდა, ახალშობილი რომ ჰყოლოდა მკერდზე მიკრული, ფარ-ხმალს აყრევინებდა. ულრიხმა მისი მზერა დაიჭირა. თითქმის ყველაფერი იცოდა, რაც მასსა და ჰანსს შორის ხდებოდა, რადგან გერდა დამფრთხალი იყო და თუნდაც ქარაგმებით ულრიხთან გულის მოოხების მოთხოვნილება უჩნდებოდა; დანარჩენს კი მის ნათქვამს ულრიხი ამატებდა. ერთმანეთის დაუფლებაში – რაც ჩვეულებრივ შეყვარებულთა მიზანია – ამაზრზენი სულიერი კაპიტალიზმის საწყისს ხედავდნენ და ფიქრობდნენ, რომ ფიზიკური ვნება სძაგდათ, მაგრამ მათ ამასთან ერთად კეთილგონიერებაც სძაგდათ, რადგან ის, როგორც ბურჟუაზიული იდეალი, საეჭვოდ მიაჩნდათ. ასე

წარმოიშვა არაფიზიკური თუ ნახევრად ფიზიკური ურთიერთშთანთქმა. ცდილობდნენ, ერთმანეთი „დაემოწმებინათ“, როგორც ამბობდნენ ხოლმე და სულთა მთრთოლვარედ ნაზ ერთიანობას გრძნობდნენ, მაშინ რომ იბადება, როცა ორნი ერთმანეთს უმზერენ, ერთმანეთის გულსა და ტვინში უხილავად მოლივლივე ტალღებში აღწევენ და სჯერათ, რომ ერთმანეთის ესმით და გრძნობენ, რომ ერთ სულ და ერთ ხორც იქცნენ. ჩვეულებრივ წუთებში, როცა აღმაფრენა ცხრებოდა, იმას სჯერდებოდნენ, რომ ერთმანეთით დამტკბარიყვნენ. მაშინ ერთმანეთს ცნობილ ნახატებს და სცენებს ახსენებდნენ და როცა ერთმანეთს კოცნიდნენ, უკვირდათ – ერთ სიამაყით ნათქვამ ფრაზას თუ დავესესხებით – რომ ათასწლეულები დაჰყურებდათ. სიყვარულის დროს სხეულში მოკრუნჩხული „მეს“ უხეშ გრძნობას ისევე უღირსად მიიჩნევდნენ, როგორც მუცლის გვრემას. მათი სხეულის ნაწილებს „მეს“ თვალთახედვა არ ადარდებთ და ერთმანეთს ეკვროდნენ. ამის შემდეგ ყოველ ჯერზე ჩანდა, რომ გერდა და ჰანსი შეცბუნებულები იყვნენ. იმის შეგნებას, რომ ახლომახლო არავინ იყო, ბინდბუნდს ოთახში, მიზიდულობის ძალას, წარმოუდგენელი სისწრაფით რომ იზრდებოდა და მათ სხეულებს აახლოებდა, მათი მყიფე ფილოსოფია ვერ უძლებდა. გერდას მაინც – ის ჰანსზე უფროსი იყო – სიახლოვის სურვილი ისეთი ძალით ეუფლებოდა, როგორც ხეს, როცა გაზაფხულზე მის აყვავებას რამე შეაფერხებს. ვითომ ალერსი, ბავშვურად უმარილო და ბებრულად უსაზღვრო, ორივეს ანადგურებდა. ჰანსი ამას უფრო იოლად ეგუებოდა, რადგან თვლიდა, რომ ეს მათი მოსაზრებების გამოცდა იყო. „ჩვენ არ ძალგვიძს დაუფლება, – მოძღვრავდა გერდას. – ჩვენ საფეხურიდან საფეხურზე ამავალი ყარიბები ვართ“. როცა ჰანსი ამჩნევდა, დაუკმაყოფილებლობისგან როგორ უთრთოდა ერთიანად სხეული გერდას, დაუფიქრებლად ამას მის სისუსტეს ან არაგერმანული წარმოშობის რეციდივს მიაწერდა; საკუთარი თავი კი ღვთის მსახურ ადამად წარმოედგენა, რომლის მამაკაცური გულიც რწმენას თავისი ყოფილი ნეკნის წყალობით უნდა განდგომოდა. გერდას ამ დროს ის სძულდა და ალბათ, ამიტომ, ყოველ შემთხვევაში წინათ, ულრიხს ამ ურთიერთობის შესახებ უყვებოდა. როცა გერდას აწყენინებდა, ჰანსი ცრემლით დამბალ სახეს ბავშვივით მის მუხლებში ჩარგავდა ხოლმე და გერდაც გრძნობდა, რომ ვინმე სხვა

მამაკაცი, ჰანსისგან განსხვავებით, ამ დროს ან მეტს იზამდა, ან უფრო ნაკლებს. გერდა ამ გამოცდილებით თან ამაყობდა და თან უკვე მოყირჭებოდა კიდეც; ამიტომაც უმხელდა ულრიხს გულის ნადებს შიშნარევი იმედით, რომ ის თავისი მოსაზრებებით ამ მტკივნეულ სილამაზეს გააცამტვერებდა.

ულრიხი იშვიათად ეუბნებოდა გერდას იმას, რასაც იგი მისგან ელოდა. როგორც წესი, მის იმედებს დამცინავად ცივ წყალს ასხამდა, თუმცა იცოდა, რომ ამით გერდას ნდობას კარგავდა. ულრიხმა ისიც იცოდა, რომ გერდას მისი ერთგულების მოთხოვნილებაც ჰქონდა და მისებურ ძალას გერდას სულზე არავინ ფლობდა; თავს კი იმით იმართლებდა, რომ ნებისმიერი ნამდვილი მამაკაცი ამ ფეთხუმ ჰანსის შემდეგ გერდას მასავით გახსნილად მოევლინებოდა. სანამ ულრიხი ფიქრობდა, ჰანსმა აზრი მოიკრიბა და ეცადა, კიდევ ერთხელ დასხმოდა თავს ულრიხს.

– მოკლედ, – თქვა ჰანსმა, – ჩვენ ყველაზე დიდი შეცდომა დავუშვით, რაც კი შეიძლება კაცს დაემართოს. თქვენ ცდილობთ, ცნებებით გამოხატოთ ის, რაც აზრს დროდადრო ცოტათი მაინც ცნებებზე მაღლა აყენებს. მაგრამ ჩვენსა და სწავლულ ბატონებს შორის განსხვავებაც სწორედ ეს არის. ჯერ, ალბათ, ამით ცხოვრება უნდა ისწავლო და შემდეგ ამაზე ფიქრსაც ისწავლი! – დაამატა ამაყად და როცა შენიშნა, რომ ულრიხს ეღიმებოდა, მეხივით დასჭექა: – თორმეტი წლის ასაკში იესოს ნათელხილვის უნარი ჰქონდა და ამისთვის მეცნიერებათა დოქტორობა სულაც არ სჭირდებოდა!

ჰანსის სიტყვებმა ულრიხი აიძულა, სიჩუმე დაერღვია და მისთვის რჩევა მიეცა, თან ის ინფორმაციაც გაამხილა, რაც შეიძლებოდა მხოლოდ გერდასგან სცოდნოდა.

– არ მესმის, თუ ამით ცხოვრებას აპირებთ, ამ გზას ბოლომდე რატომ არ მისდევთ. მე გერდას გულში ჩავიკრავდი, აზრებს თავიდან მოვიშორებდი და მანამ მეყოლებოდა მკლავებში მომწყვდეული, სანამ ჩვენი სხეულები ან არ დაიფერფლებოდა, ან ცნობიერების მეტამორფოზის კვალდაკვალ საკუთარ არსს არ დაუბრუნდებოდა ისე, როგორც ეს ვერ წარმოგვიდგენია!

ეჭვიანობით გულში ნაჩხვლეტმა ჰანსმა მას კი არა, გერდას შეხედა, მაგრამ ფერი დაკარგა და დაიბნა. სიტყვებმა „გულში ჩავიკრავდი და მკლავებში მომწყვდეული მეყოლებოდა“ მასზე

ფარული შეთანხმების შთაბეჭდილება მოახდინა. იმწამს გერდასთვის სულერთი იყო, ამ „სხვა ცხოვრების“ წარმოდგენას ლოგიკურად როგორ შეძლებდა. ულრიხს რომ მართლა მოენდომებინა, ყველაფერს ისე გააკეთებდა, როგორც საჭირო იყო. გერდას ღალატით განრისხებული ჰანსი ულრიხის მოსაზრებას უარყოფდა. ამისთვის ეს ეპოქა არ გამოდგება, – ამბობდა ის, – და პირველი სულები, პირველი აეროპლანის მსგავსად ცაში მთიდან უნდა აიჭრას და არა ეპოქის დაბლობიდან. იქნებ ჯერ ვინმე უნდა გამოჩნდეს, ვინც დანარჩენებს იხსნის და სწორ გზაზე დააყენებს და კაცობრიობაც დიად მიზანს ამის შემდეგ მიაღწევს! არ გამორიცხავდა, რომ მხსნელი თავადაც ყოფილიყო, მაგრამ ეს რომ მისი საქმე გახლდათ, ამაში დარწმუნებული იყო. საერთოდ კი ეჭვი ეპარებოდა, რომ უბადრუკ აწმყოს ასეთი ინდივიდუალობა ეშვა.

ამაზე ულრიხმა უპასუხა: – დღეს ყველა კლუბის თავკაცი ასეთად მიაჩნიათ? დარწმუნებული ვარ, ქრისტე რომ მოვიდეს, მაშინდელზე უარესი მდგომარეობა დახვდება. მორალის საკითხებზე მიმართული გაზეთები და გამომცემლობები ქრისტეს ტონს არასაკმარისად გულწრფელად ჩათვლიდნენ და დიდი გაზეთები ძნელად გაუღებდნენ მას კარს! შემდეგ ყველაფერი თავიდან განმეორდა და საუბრის პირვანდელ თემას მიუბრუნდნენ. გერდა ფიქრებში ჩაიძირა.

ერთი რამ მაინც შეიცვალა. ულრიხი დაიბნა, თუმცა არ იმჩნევდა. აზრები სიტყვებს ვეღარ მიჰყვებოდა. მან გერდას შეხედა. სხეულის კონტურები თითქოს უფრო გამოკვეთოდა; ულრიხს მოეჩვენა, რომ ფერდაკარგულ გერდას კანი ჩამოსჭკნობოდა. უცბად მასში რაღაც შინაბერული დაინახა, თუმცა სწორედ ეს შინაბერული იყო, რაც ულრიხს მუდამ ბოჭავდა და ამ გოგოსთან, ულრიხი ასე რომ უყვარდა, ფიზიკურ კავშირს არ ანებებდა. თავის მხრივ, ულრიხზე ჰანსიც მოქმედებდა, თანამეგობრობაზე ნახევრად სხეულებრივი წარმოშობის ოცნებებით. მასშიც იყო რაღაც ბერბიჭული. ულრიხს გერდა არ მოეწონა, მაგრამ მასთან საუბრის სურვილს მაინც გრძნობდა. გაახსენდა, რომ გერდა თავისთან მიიწვია. ულრიხმა ვერაფერი შეატყო, გერდას ეს მიპატიჟება დაავიწყდა თუ კიდევ ახსოვდა. თავად კი შესაძლებლობა არ მისცემია, ჰანსისგან ფარულად ეკითხა. ამან სინანულის გრძნობა კი დაუტოვა, მაგრამ თან სიმსუბუქეც იგრძნო, სწორედ ისე,

მაშინღა რომ გააცნობიერებ საფრთხეს, როცა ის უკვე ჩავლილია.

114. სიტუაცია მწვავდება. გენერალ შტუმის მიმართ არნჰაიმი კეთილგანწყობილია. დიოთიმა აპირებს, უსაზღვროებისკენ გაემართოს. ულრიხი ოცნებობს შესაძლებლობაზე, იცხოვრო ისე, როგორც კითხულობ

მისმა ბრწყინვალებამ მოინდომა, დიოთიმას დაუყოვნებლივ მოეძია ინფორმაცია მაკარტის ტრიუმფალური სვლის შესახებ, რომელმაც მეჩვიდმეტე საუკუნეში მთელი ავსტრია გააერთიანა. მას ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა ხალიჩებით გაწყობილი ოთხთვალები, ცხენები მძიმე აღკაზმულობით, მესაყვირეები და სიამაყე, შუა საუკუნეების რეკვიზიტების ხილვა რომ იწვევდა ადამიანებში და მათ ყოველდღიურობას ავიწყებდა. დიოთიმა, არნჰაიმი და ულრიხი სამეფო ბიბლიოთეკიდან გამოვიდნენ, სადაც ისინი ამ მოვლენის შესახებ იმდროინდელ მასალას ეძებდნენ. როგორც დიოთიმამ მის ბრწყინვალებას გაბუტული ტუჩებით უწინასწარმეტყველა, მათი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა; მსგავსი ფსევდოსულიერი ხარახურით ადამიანებისთვის ყოველდღიურობის დავიწყება შეუძლებელი იყო. მშვენიერმა ქალბატონმა თანმხლებლებს განუცხადა, რომ მზიანი დღით და 1914 წლით ტკბობა განეზრახა, რომელიც იმ დამყაყებული ეპოქიდან ძალიან შორს, რამდენიმე კვირის წინ დაწყებულიყო. დიოთიმამ კიბეზე ჩამოსვლისას სურვილი გამოთქვა, სახლში ფეხით დაბრუნებულიყო, მაგრამ გარეთ გამოსვლისთანავე მათ გენერალი შტუმი შეხვდათ, რომელიც ის-ის იყო, ჭიშკარში შესვლას აპირებდა. გენერალი სიამაყით აივსო, სამეცნიერო საქმიანობისას რომ იხილეს და მზადყოფნა გამოთქვა, მობრუნებულიყო და სახლისკენ მიმავალ დიოთიმას ამალას შეერთებოდა. ამიტომ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ დიოთიმამ აღმოაჩინა, რომ დაღლილიყო და ფეხით გასეირნება გადაიფიქრა. თავისუფალი ეკიპაჟი არ ჩანდა და ისინიც ბიბლიოთეკის წინ მართკუთხა ფორმის მოედანზე იდგნენ, რომელსაც სამი მხრიდან ძველებური შენობების დიდებული ფასადები ერტყა, მეოთხე მხრიდან კი გრძელი, დაბალი სასახლის წინ საციგურაო მოედანივით მოციმციმე ასფალტის ქუჩას უერთდებოდა, სადაც მანქანები და ეტლები დაქროდნენ და ჩაძირული გემის სასოწარკვეთილი მგზავრებივით მათ

ყვირილსა და ხელების ქნევას ვერ ამჩნევდნენ. არნჰაიმს წიგნი იღლიაში ამოედო და ეს ჟესტი სიხარულს ანიჭებდა, რადგან სულიერების მიმართ ერთდროულად შემწყნარებლურ დამოკიდებულებასაც ავლენდა და პატივისცემასაც. გენერალს ის ენერგიულად გამოელაპარაკა: – მოხარული ვარ, რომ ბიბლიოთეკის მკითხველთა შორის გხედავთ. ხანდახან სულიერების სახლში სტუმრობა აუცილებელია. მაგრამ მაღალი თანამდებობის პირთა შორის დღეს ასეთ ადამიანს იშვიათად თუ შეხვდებით, – თქვა მან.

გენერალმა შტუმმა უპასუხა, რომ ის ამ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი გახლდათ.

არნჰაიმმა ჩათვალა, რომ სულიერებისადმი გენერლის დამოკიდებულება ქების ღირსი იყო.

– დღეს მხოლოდ მწერლები დარჩნენ და სხვა არავინ, ვინც წიგნებს წაიკითხავდა, – განაგრძო არნჰაიმმა. – ბატონო გენერალო, დაინტერესებულხართ, წელიწადში რამდენი წიგნი იბეჭდება? თუ სწორად მახსოვს, მარტო გერმანიაში ყოველდღე ასზე მეტ წიგნს გამოსცემენ და ყოველწლიურად ათასზე მეტ ჟურნალს აარსებენ! ყველა წერს. თუ სათავისოდ მიიჩნიეს, სხვის აზრებს საკუთარივით იყენებენ, პასუხისმგებლობაზე კი არავინ ფიქრობს! მას შემდეგ, რაც ეკლესიამ გავლენა დაკარგა, ამ ქაოსში ავტორიტეტი აღარ არსებობს. აღარც განათლების მოდელი არსებობს და აღარც საგანმანათლებლო იდეა. ასეთ ვითარებაში, რა გასაკვირია, რომ გრძნობა და მორალი ღუზის გარეშე დრეიფში ექცევა და ყველაზე მტკიცე ადამიანიც კი იწყებს ბარბაცს.

გენერალს პირი გაუშრა. ვერ იტყოდით, რომ დოქტორი არნჰაიმი სწორედ მას ელაპარაკებოდა: უბრალოდ, მოედანზე იდგა ადამიანი და ხმამაღლა ფიქრობდა. გენერალს გაახსენდა, რომ ქუჩაში მიმავალი ადამიანები, სადღაც რომ მიეჩქარებოდათ, თავის თავს ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ ხოლმე; უფრო სწორად, ესენი სამოქალაქო პირები იყვნენ, რადგან ასეთ შემთხვევაში ჯარისკაცებს დააპატიმრებდნენ, ოფიცრებს კი ფსიქიატრიულ კლინიკაში გაამწესებდნენ. არნჰაიმის საჯარო ფილოსოფოსობამ, ასე ვთქვათ, იმპერიის დედაქალაქის შუაგულში შტუმზე უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. მათ გარდა მოედანზე, მზეში, კიდევ ერთი მუნჯი იდგა და ის დიდ ქვაზე მდგარი, ბრინჯაოსგან ჩამოსხმული

ქანდაკება გახლდათ. გენერალს არ ახსოვდა, ვისი ქანდაკება იყო; საერთოდაც, ის პირველად შეამჩნია. ქანდაკებამ არნჰაიმის ყურადღებაც მიიქცია და იკითხა, ვინ არისო. გენერალმა მოიბოდიშა.

– არადა, აქ ხომ იმიტომ დადგეს, რომ პატივი მივაგოთ! – შენიშნა არნჰაიმმა. – როგორც ჩანს, ასეა. ყოველ წუთს დადგენილებების, შეკითხვებისა და მოთხოვნილებების შუაგულში ვტრიალებთ და მხოლოდ მათი ბოლო ნაწილი გვესმის. ასე რომ, აწმყო წარსულს მუდმივად იპყრობს.

დროის სარდაფში თუ მუხლებით ჩაეფალი, მაშინ ის აწმყო გგონია!

არნჰაიმს გაეღიმა. ის გენერალთან მუსაიფობდა. ტუჩები გაუთავებლად უმოძრავებდა, თვალებში კი ნაპერწკლები უკრთოდა, როგორც იმ გემს, სიგნალს რომ იძლევა. შტუმი უცნაურ გუნებაზე დადგა. მრავალრიცხოვან და უჩვეულო თემატურ მოსახვევებში ყურადღების მოკრება სულ უფრო და უფრო უჭირდა, იმ დროს, როცა მუნდირში გამოწყობილი, მოედანზე ყველას დასანახად იდგა. ქვაფენილის ნაპრალებიდან წინა წლის ბალახი ამოზრდილიყო და თოვლში ჩამარხული გვამივით გასაოცრად ქორფად გამოიყურებოდა. საერთოდაც, უცნაური იყო, რომ ბალახმა შეძლო და ქვებს შორის იხარა. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით კი ასფალტდაგებული ქუჩა მანქანების ქროლას გაეპრიალებინა. გენერალს ტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ თუ ამ საუბრის მოსმენა დიდხანს მოუწევდა, ვაითუ მუხლებზე დამხობილიყო და ყველას თვალწინ ბალახი ეკორტნა. ხსნის მოლოდინში თვალებით ულრიხსა და დიოთიმას დაუწყო ძებნა.

მათ კი კედლის კუთხეში თავი ჩრდილისთვის შეეფარებინათ და რაღაცაზე ხმადაბლა კამათობდნენ, სიტყვები გენერლამდე არ აღწევდა.

– ეს მოსაზრება სრულიად უნუგეშოა! – თქვა დიოთიმამ.

– როგორ? – ჰკითხა ულრიხმა უფრო მექანიკურად, ვიდრე ცნობისმოყვარედ.

– ხომ არსებობენ ამქვეყნად ინდივიდუალობები!

ულრიხი შეეცადა, მისთვის გვერდიდან თვალებში ჩაეხედა.

– ღმერთო დიდებულო, – თქვა ულრიხმა, – ამაზე ხომ უკვე ვისაუბრეთ!

– გული არა გაქვთ, თორემ სულ ასე ლაპარაკს ხომ ვერ შეძლებდით! – უპასუხა დიოთიმამ რბილად. გრძელ კაბაში შემალული, ქვეყნიერებისთვის მიუწვდომელი მისი ფეხების აყოლებაზე ფილაქნიდან გახურებული ჰაერის ჭავლი ადიოდა. დიოთიმა ვერაფერს ამჩნევდა. ის ულრიხს მიუბრუნდა და ძლივს უთხრა: – როცა ქალს მოვალეობასა და ვნებას შორის არჩევანის გაკეთება უწევს, რას უნდა დაეყრდნოს, თუ არა თავის ხასიათს?!

– თქვენ ასარჩევი არაფერი გაქვთ! – გააპროტესტა ულრიხმა.

– მეტისმეტად ბევრის უფლებას აძლევთ თავს! საკუთარ თავს არ ვგულისხმობდი! – ჩურჩულით უთხრა დიოთიმამ.

ორივე გაჩუმდა და ერთხანს მოედანს მტრულად გაჰყურებდნენ. შემდეგ დიოთიმამ ჰკითხა: – თვლით თუ არა, რომ ის, რასაც ჩვენ სულს ვუწოდებთ, ჩრდილიდან გამოსვლას შეძლებს, სადაც ის ჩვეულებისამებრ იმყოფება?

ულრიხმა გაოგნებულმა შეხედა.

– განსაკუთრებულ პრივილეგირებულ ადამიანებს ვგულისხმობ, – დაამატა დიოთიმამ.

– ინფორმაციას ეძებთ? – ჰკითხა ულრიხმა სკეპტიკურად. – არნჰაიმს თქვენთვის მედიუმი არ გაუცნია?

დიოთიმა იმედგაცრუებული ჩანდა.

– არ მეგონა, თუ ჩემს ნათქვამს ასე გაიგებდით! – უსაყვედურა მან. – ჩრდილიდან გამოსვლას შეძლებს თუ არა-მეთქი, რომ ვამბობ, რაღაც არაარსებითს, ფარულს ვგულისხმობ, სადაც ხანდახან უჩვეულოს არსებობას ვგრძნობთ. ის ბადესავითაა გაშლილი და გვტანჯავს; ხან გვიჭერს და ხან გვიშვებს. არ გგონიათ, რომ არსებობდა დრო, როცა ეს ყველაფერი სხვაგვარად იყო? სულიერი ცხოვრება მეტი ძალით ვლინდებოდა. ცალკეული ადამიანები შუქმოფენილი, ანუ სხვა სიტყვებით თუ გამოვხატავთ, წმინდა გზით დადიოდნენ. საოცრება რეალობა ხდებოდა, მაგრამ ის სხვა არაფერია, თუ არა რეალობის სხვა სახე.

დიოთიმას გაუკვირდა, ისე დარწმუნებით, ყოველგვარი განსაკუთრებული განწყობის გარეშე წარმოთქვა ეს სიტყვები, თითქოს ფაქტებს ეყრდნობოდა. ულრიხი უკვე ბრაზობდა და თან შეშინებულიც ჩანდა. „სადამდე მივიდა საქმე! ეს გრანდიოზული ქათამი ზუსტად ჩემსავით ლაპარაკობს“, – ფიქრობდა ულრიხი. მერე დიოთიმაც და საკუთარი სულიც ქათმის სახით წარმოიდგინა, რომელიც ნისკარტს პატარა მატლს არჭობდა. ძველისძველმა, ბავშვობისდროინდელმა შიშმა მოიცვა, შიშმა ვეება ქალის წინაშე და ამ შიშს უცნაური გრძნობაც ერია: სიამოვნებდა, რომ სულელური შეთანხმება ადამიანთან, თან ნათესავადაც რომ ერგებოდა, მის სულიერებას ფიტავდა. ეს შეთანხმება, ბუნებრივია, შემთხვევითობად და სისულელედ მიაჩნდა; არც ნათესაობის მაგიის სწამდა და არც იმ შესაძლებლობისა, რომ ნათესავს, თუნდაც სიმთვრალეში, სერიოზულად აღიქვამდა. მაგრამ ბოლო ხანებში მასში რაღაც ცვლილებები ხდებოდა: უფრო ლმობიერი გახდა. მუდამ თავდასხმისთვის მზადმყოფი მისი შინაგანი პოზიცია შესუსტდა და სინაზისკენ, ოცნებისა და ნათესაობისაკენ თუ, ღმერთმა იცის, კიდევ რისკენ მიდრეკილებას ავლენდა. გარეგნულად კი ეს ისე გამოიხატებოდა, რომ საპირისპირო, ლმობიერებასთან მებრძოლი განწყობა, ბოროტი ნება დროდადრო ცამოწმენდილზე იჩენდა ხოლმე თავს.

ამიტომ ულრიხმა დიოთიმას ახლაც დაუწყო დაცინვა.

– ვთვლი, რომ თქვენი მოვალეობაა, ღიად თუ ფარულად, ოღონდ რაც შეიძლება სწრაფად, „სრულად და მთლიანად“ არნჰაიმის სატრფო გახდეთ! – უთხრა დიოთიმას.

– გთხოვთ, გაჩუმდით! ამაზე ლაპარაკის უფლება თქვენთვის არ მომიცია! – შეაწყვეტინა დიოთიმამ.

– ამაზე უნდა ვილაპარაკო! ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ ვერ ვხვდებოდი, თქვენსა და არნჰაიმს შორის რა ურთიერთობა იყო. ახლა კი ვხვდები. თქვენ ის ადამიანი ხართ, რომელიც მთვარეზე სერიოზულად აპირებს გაფრენას. არ მეგონა, თუ ასეთი სიგიჟე შეგეძლოთ.

– ხომ გითხარით, რომ შეიძლება ზომიერება დავკარგო! – დიოთიმა შეეცადა, თამამი გამომეტყველება მიეღო, მაგრამ მზეზე სასაცილოდ მოეჭუტა თვალები.

– ეგ სიყვარულის შიმშილის ბოდვებია, – თქვა ულრიხმა, – რომელიც დანაყრებასთან ერთად გაგივლით. – ულრიხი ფიქრობდა, მაინც რა მიზნები ამოძრავებდა არნჰაიმს. იქნებ, ცოლობა რომ შესთავაზა, იმას ნანობდა; ახლა უკან იხევდა და ამის შეფარვას ფარსით ცდილობდა? თუ ეს ასეა, უფრო იოლი არ იქნებოდა, უბრალოდ წასულიყო და აღარ დაბრუნებულიყო? ადამიანისთვის, მუდამ საქმით რომ არის დაკავებული, ასეთი უცერემონიობა ხომ არც ისე რთული იქნებოდა. გაახსენდა, რომ არნჰაიმს ისეთ ნიშნებს ატყობდა, რაც ამ არცთუ ახალგაზრდა კაცის ვნებაზე მიუთითებდა: სახეზე მონაცრისფრო-მოყვითალო ფერი ედებოდა; მომჩვარული და დაღლილი იმ ოთახს ჰგავდა, სადაც შუადღით საწოლი ჯერაც არ აელაგებინათ. მიხვდა, რომ ეს იმ ნგრევით აიხსნებოდა, რასაც ორი ურთიერთსაპირისპირო, პირველობისთვის უშედეგოდ მებრძოლი თანაბარი ძალა იწვევს. მაგრამ რადგან ულრიხს ვერ წარმოედგინა, ძალაუფლების რა ჟინს შეეპყრო არნჰაიმი, ამიტომ ვერც იმას მიხვდებოდა, სიყვარულის ვნებასთან გამკლავება რა ძალისხმევად უჯდებოდა.

– უცნაური ადამიანი ხართ! – უთხრა დიოთიმამ. – ყოველთვის სხვადასხვანაირი და მოულოდნელი! თქვენ არ იყავით, ანგელოზურ სიყვარულზე რომ მელაპარაკებოდით?

– მართლა გჯერათ, რომ ასე მოქცევა შესაძლებელია? – ჰკითხა დაბნეულმა ულრიხმა.

– ისე, როგორც თქვენ აღმიწერეთ, რა თქმა უნდა, არა!

– ესე იგი არნჰაიმს ანგელოზურად უყვარხართ? – ულრიხს ხმადაბლა ეცინებოდა.

– ნუ იცინით! – გამოსცრა გაბრაზებულმა დიოთიმამ.

– თქვენ ხომ არ იცით, რაზე მეცინება, – მოუბოდიშა დიოთიმას. – ეს, ასე ვთქვათ, მღელვარების სიცილია. თქვენ და არნჰაიმი ფაქიზი ადამიანები ხართ. ლექსები გიყვართ. დარწმუნებული ვარ, რომ ხანდახან რაღაცის მსუბუქ ქროლას გრძნობთ. საკითხავიც სწორედ ეგ არის, მაინც რის ქროლას. ახლა კი იდეალიზმს უკირკიტებთ?!

– განა თქვენ არ ითხოვთ მუდამ სიზუსტეს და საფუძვლიანობას? – გააპროტესტა დიოთიმამ. ულრიხი

ცოტათი შეცბა.

– გიჟი ხართ! მაპატიეთ, მაგრამ გიჟი ხართ! – უთხრა ულრიხმა. – თქვენ კი ამის უფლება არ გაქვთ!

ამასობაში არნჰაიმმა გენერალს გამოუცხადა, სამყარო უკვე ორი თაობის მანძილზე დიდ გარდატეხებს განიცდის: სული დასასრულს უახლოვდებაო.

გენერალს თითქოს უჩხვლიტეს. ღმერთო დიდებულო, ეს რაღაც ახალი იყო! სინამდვილეში ამ წუთამდე, დიოთიმას მიუხედავად, ამ „სულის“ საერთოდ არ სჯეროდა. კადეტთა კორპუსში და პოლკში ამ მონაჩმახს აბა ვინ დაიჯერებდა, მაგრამ ზარბაზნებისა და საჯავშნე ფილების ფაბრიკის მფლობელი უცებ ისე რომ ალაპარაკდა, თითქოს „სულს“ სადღაც იქვე ახლოს ხედავდა, გენერალს თვალები ლამის ბუდიდან გადმოუცვივდა.

არნჰაიმი გენერლის შეკითხვებს არ დალოდებია და ახსნა დაუწყო. ესპანურ ყაიდაზე გაკრეჭილ წვერსა და ულვაშებს შორის გაცრეცილი ვარდისფერი ნაპრალიდან სიტყვები ნიაღვარივით მოედინებოდა. არნჰაიმი ამბობდა, ეკლესიის დაცემის შემდეგ, ანუ ბურჟუაზიული კულტურის დასაწყისიდანვე, სული ხმობისა და დაბერების პროცესს განიცდისო. მან ღმერთიც დაკარგა, მყარი ფასეულობებიც და იდეალებიცო. დღეს კი ადამიანი იქამდე მივიდა, რომ მორალის, პრინციპებისა და, კაცმა რომ თქვას, განცდის გარეშე ცხოვრობსო.

გენერალი კარგად ვერ მიხვდა, რატომ არ შეიძლება რამე განიცადო, თუ მორალი არ გაქვს. არნჰაიმმა ღორის ტყავგადაკრული დიდი წიგნი გადაშალა, რომელიც ხელში ეჭირა. ეს იყო ძვირფასი ხელნაწერი წიგნი. გენერალმა ანგელოზი დაინახა, რომლის ჰორიზონტალურად გაშლილი ფრთები ორ გვერდს მოიცავდა. ანგელოზი შუაში იყო გამოსახული. იქვე მოჩანდა მუქი მიწა, ლურჯი ცა და უცნაური, ღრუბლებივით ფერადი ლაქები. ის ადრეული შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი და დიდებული ნახატის რეპროდუქციას უყურებდა, მაგრამ, რადგან გენერალმა ეს არ იცოდა, სამაგიეროდ კი ფრინველებზე ნადირობასა და მის გამოსახულებებში ჩინებულად ერკვეოდა, ამიტომ მოეჩვენა, რომ ფრთოსანი არსება, თან მაღალი ყელიც

რომ ჰქონდა და არც ადამიანს ჰგავდა და არც ტყის ქათამს, რაღაც ცდომილება უნდა ყოფილიყო, რომლისკენაც მოსაუბრეს მისი ყურადღების მიპყრობა უნდოდა.

არნჰაიმმა ნახატზე მიუთითა და ჩაფიქრებულმა თქვა: – აი, რის დაბრუნება სურს სამყაროსთვის ავსტრიული აქციის შემოქმედს!

– ჰო?! – უპასუხა შტუმმა. აშკარად ჯეროვნად ვერ აფასებდა ამას და ახლა საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ფრთხილად მოუწევდა.

– ეს დიდებულება სრულყოფილ სისადავესთან ერთად, – განაგრძო არნჰაიმმა, – თვალნათლივ გვიჩვენებს, ჩვენმა ეპოქამ რაც დაკარგა. რას წარმოადგენს ამასთან შედარებით ჩვენი მეცნიერება? დომხალს! ჩვენი ხელოვნება? უკიდურესობას შუამავალი სხეულის გარეშე! ჩვენს სულს ერთიანობის საიდუმლო აკლია. ხომ ხედავთ, სწორედ ამიტომ მაღელვებს ავსტრიული წამოწყება, მსოფლიოს უჩვენოს საერთო იდეა, გამაერთიანებელი მაგალითი, თუმცა რეალურად ამის განხორციელების არ მჯერა. მე გერმანელი ვარ. მსოფლიოში დღეს ბევრი ხმაური და უხეშობაა, გერმანიაში კიდევ უფრო მეტი ხმაურია. ხალხი ყველგან იტანჯება, სულერთია, მუშაობენ თუ ერთობიან. ჩვენთან ხალხი ადრე დგება და გვიან წვება. ანგარიშიანობისა და ძალადობის სულმა სამშინველთან კავშირი დაკარგა. გერმანიაში ყველაზე ბევრი კომერსანტი და ყველაზე ძლიერი არმია გვყავს, – არნჰაიმმა აღფრთოვანებით გახედა მოედანს, – ავსტრიას ჯერ კიდევ აკლია განვითარება. წარსულს აქ ჯერ კიდევ შეხვდები და ადამიანებსაც რაღაც აქვთ შემორჩენილი ბუნებრივი ინტუიციისგან. თუ ეს შესაძლებელია, გერმანული რაობის რაციონალიზმისგან გათავისუფლება სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. მაგრამ ვშიშობ, რომ ეს არ მოხდება, – ამოიოხრა არნჰაიმმა. – დიდი იდეა დღეს დიდ წინააღმდეგობებს აწყდება. დიდ იდეებს მხოლოდ იმის უნარიღა შემორჩათ, რომ ერთმანეთი ბოროტად გამოყენებისგან დაიცვან. ჩვენ, ასე ვთქვათ, იდეებით შეიარაღებულ მორალურად მშვიდობიან მდგომარეობაში ვიმყოფებით.

თავის ხუმრობაზე არჰაიმს თვითონვე გაეღიმა. შემდეგ ისევ რაღაც გაახსენდა: – გერმანიას და ავსტრიას შორის განსხვავება, რაზეც ახლახან ვისაუბრეთ, ბილიარდის თამაშს მაგონებს.

ბილიარდის დროსაც ააცდენ მიზანს, თუ გამოთვლებით ისარგებლებ და არა გრძნობით!

გენერალი მიხვდა, რომ სიტყვები „იდეებით შეიარაღებული მორალური მშვიდობა“ კომპლიმენტად უნდა მიეღო და ყურადღების გამოჩენა მოინდომა. ბილიარდში მასაც გაეგებოდა რაღაც.

– მოითმინეთ, – უპასუხა ამიტომ, – კარამბოლს მეც ვთამაშობ, მაგრამ არასდროს გამიგია, რომ თამაშის გერმანულ და ავსტრიულ ტექნიკას შორის განსხვავება არსებობს.

არნჰაიმმა თვალები დახუჭა და ფიქრებს მიეცა.

– მე თვითონ ბილიარდს არ ვთამაშობ, მაგრამ ვიცი, რომ ბურთს კიი ან ზევიდან უნდა ჰკრა, ან – ქვევიდან, ან – მარცხნიდან, ან – მარჯვნიდან; მეორე ბურთს შეიძლება ცენტრში მოარტყა ან გვერდზე გაჰკრა; შეიძლება, ძლიერი დარტყმა აირჩიო ან სუსტი; ალბათ, მრავალი ასეთი შესაძლებლობა არსებობს; და რადგან თითოეულ ამ ელემენტთაგან მრავალი ვარიანტის წარმოდგენა შემიძლია, ამიტომ კომბინაციათა თითქმის უსასრულო რაოდენობას მივიღებთ. მათი თეორიული განსაზღვრა რომ მოვინდომო, მათემატიკური და მყარი სხეულების მექანიკის კანონების გარდა ელასტიკურობის თეორიაც უნდა გავითვალისწინო; უნდა ვიცოდე მასალის კოეფიციენტი; ტემპერატურის გავლენა; ჩემი მოტორული იმპულსებისა და კოორდინაციის გასაზომად უზუსტეს მეთოდს უნდა ვფლობდე; დისტანცია ნონიუსის სიზუსტით უნდა განვსაზღვრო, უნდა მქონდეს კომბინირების უნარი, რომელიც სისწრაფითა და საიმედოობით ლოგარითმულ სახაზავს აღემატება. რომ აღარაფერი ვთქვათ მცდარ გამოანგარიშებებზე, გაფანტულობის ველზე და იმაზე, რომ საკუთრივ მიზანი – ორი ბურთის შეჯახება – არასდროს არის ცალსახა, არამედ ის საშუალო მნიშვნელობის გარშემო განლაგებულ საკმარის პირობათა ჯგუფია.

არნჰაიმი ნელა ლაპარაკობდა, თითქოს საწვეთურიდან ჭიქაში რაღაც წვეთ-წვეთ ჩაედინებოდა. მისი ლაპარაკის მანერა მოსაუბრეს აიძულებდა, ყურადღებით ესმინა და ისიც მას არ ინდობდა და ყოველ წვრილმანს განუმარტავდა.

– როგორც ხედავთ, – განაგრძო მან, – ისეთ თვისებებს უნდა ვფლობდე და ისეთი რამის გაკეთება უნდა შევძლო, რაც

შეუძლებელია მქონდეს და რასაც ვერ გავაკეთებ. ალბათ, საკმარისად ერკვევით მათემატიკაში, რომ მიხვდეთ, რამდენად რთულია, გათვალო თუნდაც უმარტივესი კარამბოლი. გონება, უბრალოდ, ბედის ანაბარა გვტოვებს. მიუხედავად ამისა, ბილიარდის მაგიდას გუნებაში ღიღინ-ღიღინით და სიგარეტით ხელში ვუახლოვდები, ასე ვთქვათ, ქუდსაც კი არ ვიხდი და საიმისოდაც კი არ ვიწუხებ თავს, რომ სიტუაციას დავაკვირდე, შემდეგ კი ბურთს კიის ვკრავ და პრობლემას ვწყვეტ. გენერალო, ცხოვრებაშიც სწორედ ასე ხდება და თანაც უთვალავჯერ! თქვენ მარტო ავსტრიელი კი არა, ოფიცერიც ხართ, ასე რომ ჩემი კარგად უნდა გესმოდეთ. პოლიტიკა, ღირსება, ომი, ხელოვნება, ცხოვრების გადამწყვეტი მოვლენები სწორედ გონების მიღმა ხდება. ადამიანის სიდიადეს ფესვები ირაციონალიზმში აქვს ჩაზრდილი. ჩვენ, კომერსანტები, არ ვითვლით, როგორც, ალბათ, თქვენ ფიქრობთ. ცხადია, წამყვან კომერსანტებს ვგულისხმობ. დაე, პატარებმა გროშები ითვალონ! ჩვენ კი ვსწავლობთ, რომ წარმატებულ იდეებს ისე ვუყუროთ, როგორც საიდუმლოს, რომელიც ყოველგვარ ანგარიშს სასაცილოდ იგდებს. ვისაც არ უყვარს გრძნობა, მორალი, რელიგია, მუსიკა, ლექსი, ფორმა, დისციპლინა, რაინდობა, გულწრფელობა, გულგახსნილობა, მოთმინება, დამიჯერეთ, ის დიდი მასშტაბის კომერსანტი ვერასდროს გახდება. ამიტომაც იწვევს ჩემში სამხედრო წოდება აღფრთოვანებას, განსაკუთრებით კი ავსტრიული, რომელიც ტრადიციებს ემყარება. მიხარია, რომ ქალბატონს გვერდით უდგახართ. ეს მე მამშვიდებს. თქვენი და ჩვენი ახალგაზრდა მეგობრის გავლენა ერთობ მნიშვნელოვანია. ყველა დიდი მოვლენა თუ საგანი ერთსა და იმავე თვისებას ემყარება. დიდი მოვალეობები ღვთის წყალობაა, გენერალო!

არნჰაიმმა გენერალს უნებლიეთ ხელი ჩამოართვა და დაამატა: – ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ჭეშმარიტად დიდი ყოველთვის უსაფუძვლოა; ანუ იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი ძლიერი უბრალოა.

შტუმ ფონ ბორდვერს სუნთქვა შეეკრა. მისი ნათქვამიდან სიტყვაც კი ვერ გაიგო და ბიბლიოთეკაში გავარდნა და წიგნებში ქექვა მოუნდა, რათა იმ იდეების შესახებ, რომელთა განდობითაც ეს დიდი ადამიანი აშკარად ეპირფერებოდა, რამე ამოეკითხა. ბოლოს კი მის თავში დატრიალებული ქარაშოტი განსაცვიფრებელმა სიცხადემ შეცვალა. „ჯანდაბას, ის ხომ

რაღაცას ელის ჩემგან!“ – გაიფიქრა მან. გენერალმა არნჰაიმს ახედა, რომელსაც წიგნი ორივე ხელით ეჭირა და ეკიპაჟის გაჩერებას ახლა უკვე სერიოზულად ცდილობდა. სახე ოდნავ შეფაკვლოდა და გამოცოცხლება ეტყობოდა, როგორც იმ ადამიანს, თავის ნააზრევს ვინმეს რომ გაანდობს. გენერალი კი მოკრძალებით დუმდა, იმ ადამიანივით, რომლის წინაშეც ეს-ესაა დიდებული სიტყვები წარმოთქვეს. თუ არნჰაიმს მისგან რაღაც უნდოდა, ხომ შეიძლებოდა, რომ მასაც მისგან ისეთი რამ ნდომებოდა, რაც იმპერატორის მსახურებას სასიკეთოდ წაადგებოდა. ეს აზრი ისეთ შესაძლებლობას ბადებდა, რომ შტუმმა დაფიქრებაც კი ვერ შეძლო, მართლა ასე იყო თუ არა. ანგელოზს რომ ანაზდეულად მოხატული ფრთები აექნია და ჭკვიანი გენერლისთვის ფრთებქვეშ შეხედვის შესაძლებლობა მიეცა, ამაზე უფრო დაბნეულად და ბედნიერად გენერალი თავს ვერ იგრძნობდა!

ქუჩის კუთხეში მდგომ დიოთიმასა და ულრიხს შორის შემდეგი საუბარი წარიმართა: დიოთიმასავით რთულ მდგომარეობაში მყოფ ქალს ქმრისთვის უნდა ეღალატა თუ მესამე, შუალედური მდგომარეობა აერჩია, ანუ როცა სხეულით ერთს ეკუთვნი, სულით კი – მეორეს, ან როცა სხეულით არც ერთს არ ეკუთვნი. ამ მესამე მდგომარეობის შესახებ, ასე ვთქვათ, არანაირი ტექსტი არ არსებობდა, ის მხოლოდ დიად მუსიკად ჟღერდა. დიოთიმა ისევ მკაცრად აქცევდა ყურადღებას, რომ საკუთარ თავზე კი არა, „ქალზე“ ელაპარაკა; და თუ ულრიხი ამ ორის ერთ მთლიანობად გაერთიანებას ეცდებოდა, დიოთიმა მას მრისხანე მზერით აჩერებდა.

ასე რომ, ულრიხი ქარაგმებით ლაპარაკობდა.

– გინახავთ ოდესმე ძაღლი? – ჰკითხა ულრიხმა. – თქვენ ასე მხოლოდ გგონიათ! თქვენ მხოლოდ ის გყავთ ნანახი, რაც სრულიად სამართლიანად მეტ-ნაკლებად ძაღლად წარმოგიდგენიათ. ამ არსებას ძაღლის ყველა თვისება არ გააჩნია. ის ისეთ პერსონალურ თვისებასაც ფლობს, რაც სხვა ძაღლს არა აქვს. როგორ მოვიქცეთ ცხოვრებაში „სწორად“? ჩვენ მხოლოდ რაღაცის გაკეთება ძალგვიძს, რაც სწორი არასდროს იქნება. სწორი ის მხოლოდ მეტ-ნაკლებად იქნება.

ჩამოვარდნილა ოდესმე სახურავიდან აგური ისე, როგორც კანონითაა განსაზღვრული? არასდროს! თვით ლაბორატორიაშიც კი არ ვლინდება საგნები ისე, როგორც წესი

და რიგია. ისინი ქაოსურად ყველა მიმართულებით არღვევენ ნორმას. გარკვეულწილად ფიქციაა, როცა ეს ცდომილებად მიგვაჩნია და ვვარაუდობთ, რომ ჭეშმარიტი მნიშვნელობა სადღაც შუაშია.

ან, მაგალითად, პოულობენ რაღაც გარკვეულ ქვებს და მათ საერთო თვისებების გამო ალმასად ნათლავენ. მაგრამ თუ ერთი ქვა აფრიკულია, მეორე აზიურია; ერთს ზანგი ამოთხრის მიწიდან, მეორეს კი – აზიელი. იქნებ ეს განსხვავება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას იმის ანულირებაც შეუძლია, რაც მათ შორის საერთოა? განტოლებაში „ალმასი პლუს გარემოებები ჯამში უდრის ალმასს“, ალმასის სახმარი ღირებულება იმდენად დიდია, რომ მის გვერდით გარემოებები ქრება. წარმოვიდგინოთ სულიერი გარემოებები, სადაც ყველაფერი პირიქითაა. ყველაფერი ზოგადის თანაზიარია და თან განსაკუთრებულია; ყველაფერი ჭეშმარიტია და თან უცნაური და შეუდარებელი. ვფიქრობ, ნებისმიერი არსების პერსონალური თვისება სწორედ ისაა, რაც სხვას არაფერს ემთხვევა. ერთხელ, ადრე, ისიც გითხარით, რომ სამყაროში მით უფრო ნაკლებად რჩება ინდივიდუალურობა, რაც უფრო მეტ ჭეშმარიტებას აღმოვაჩენთ, რადგან უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს ბრძოლა ინდივიდუალურობის წინააღმდეგ, და ინდივიდუალურობას ნიადაგი სულ უფრო და უფრო ეცლება. არ ვიცი, საბოლოოდ, როცა ყველაფრის რაციონალიზაცია მოხდება, რა დარჩება ჩვენგან. შესაძლოა, არც არაფერი, მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ მაშინ, როცა ის ყალბი მნიშვნელობა გაქრება, რასაც ინდივიდუალურობას მივაწერთ, ისეთი ენთუზიაზმით შევაბიჯოთ შეფასებათა რაღაც ახალ სისტემაში, როგორც რაღაც დიდებულ ავანტიურაში გადაეშვებიან ხოლმე.

ესე იგი, როგორ აპირებთ გადაწყვიტოთ? „ქალმა“ კანონის თანახმად უნდა იმოქმედოს? მაშინ მან სამოქალაქო კანონზე უნდა აიღოს ორიენტაცია. მორალი აბსოლუტურად მართლზომიერი, საშუალო და კოლექტიური ღირებულებაა, რომელიც სკრუპულოზურად და ყოველგვარი გადახვევების გარეშე უნდა დავიცვათ, თუ მას ვაღიარებთ. ცალკეული შემთხვევები მორალური გზით არ გადაიჭრება. რაც უფრო მეტად არის ისინი სამყაროს ამოუწურავობით განმსჭვალული, მით უფრო ნაკლებად აქვთ მორალი!

– გრძელი სიტყვა წარმოთქვით! – უთხრა დიოთიმამ. მის

წინაშე დაყენებული დიდი მოვალეობების გამო კმაყოფილებას განიცდიდა, თან მოუნდა, საკუთარი უპირატესობა იმით ეჩვენებინა, რომ ულრიხივით უთავბოლოდ არ ეყბედა.

– მაშასადამე, როგორ უნდა მოიქცეს რთულ მდგომარეობაში მყოფი ქალი, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, რეალურ ცხოვრებაში?

– მიანიჭოს თავისუფლება! – მიუგო ულრიხმა.

– ვის?

– ყველაფერს! ქმარს! შეყვარებულს! თავდადებას! ალტერნატივათა ნარევს!

– გესმით, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? – ჰკითხა დიოთიმამ. ამ სიტყვებმა ტკივილით გაახსენა, რომ არნჰაიმზე უარის თქმის მის მზადყოფნას ყოველღამე ის უბრალო ფაქტი ატეხდა ფრთებს, რომ სარეცელს ტუცისთან იზიარებდა. როგორც ჩანს, ულრიხი რაღაცას მიუხვდა და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა: – გინდათ, ჩემთან ერთად სცადოთ?

– თქვენთან ერთად? – ჰკითხა დიოთიმამ, თავის დაცვას უწყინარი დაცინვით ცდილობდა: – იქნებ ისიც აღმიწეროთ, მაინც როგორ წარმოგიდგენიათ ეს?

– თუ ნებას დამრთავთ! – სერიოზულად დაეთანხმა ულრიხი. – თქვენ ბევრს კითხულობთ, ხომ ასეა?

– რა თქმა უნდა!

– როგორ იქცევით ამ დროს? პასუხს მე თვითონ ახლავე გაგცემთ. თქვენი შეხედულება უკუაგდებს იმას, რაც არ აწყობს. ზუსტად ასევე იქცევა ავტორიც. სიზმარშიც და ფანტაზიაშიც რაღაც გამოგრჩებათ ხოლმე. ასე რომ, შემიძლია დავასკვნა: სილამაზე და მღელვარება სამყაროს, როგორც რაღაცის გამოტოვების შედეგი, ისე ევლინება. ჩვენი პოზიცია რეალობაში აშკარად კომპრომისია, რაღაც შუალედური მდგომარეობაა, როცა გრძნობები ერთმანეთს მგზნებარედ განვითარებაში ხელს უშლიან და ცოტათი ნაცრისფერ ერთფეროვნებას ერწყმიან. სწორედ იმიტომ, რომ ბავშვებს ეს პოზიცია არ აქვთ, შეუძლიათ, უფროსებზე ბედნიერები ან უბედურები იყვნენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ სულელებსაც გამორჩებათ ხოლმე რაღაც. სისულელე ადამიანს ბედნიერებას ანიჭებს. ასე რომ, უპირველეს ყოვლისა, გთავაზობთ –

გვიყვარდეს ერთმანეთი, ვითარცა წიგნის პერსონაჟებს, რომლებიც ერთმანეთს წიგნის ფურცლებზე ხვდებიან. ყოველ შემთხვევაში, მოდით, ცხიმის მთელი ის ფენა გამოვტოვოთ, რაც რეალობას ასე მრგვალს ხდის!

დიოთიმას მოუნდა, შეკამათებოდა, დააპირა, საუბარი სხვა მიმართულებით წარემართა, თან იმის ჩვენებაც სურდა, რომ საკითხებში თავადაც ერკვეოდა.

– მშვენიერია, – უპასუხა მან, – მაგრამ როგორც ამტკიცებენ, ხელოვნება სულის მოთქმაა, რეალობისგან დასვენებაა, რომლის მიზანიც ის არის, რომ შემდეგ განახლებული დაუბრუნდეს მას.

– მე კი იმდენად უგუნური ვარ, – უპასუხა ულრიხმა, – რომ ვამტკიცებ, სულის მოთქმა არ უნდა არსებობდეს-მეთქი! ის რა ცხოვრებაა, დროდადრო სულის მოთქმით რომ უნდა გახვრიტო! ნუთუ სურათს იმის გამო გავხვრეტდით, რომ ის მაღალ მოთხოვნებს გვიყენებს? ნუთუ მარადიული ნეტარება არდადეგების რამდენიმე კვირას ითვალისწინებს? გამოგიტყდებით, რომ ზოგჯერ ძილზე ფიქრიც კი არ მსიამოვნებს.

– აი, ხომ ხედავთ, – შეაწყვეტინა დიოთიმამ, რომელმაც ეს მაგალითი აიტაცა, – რა არაბუნებრივად ჟღერს თქვენი ნათქვამი! ადამიანი სულის მოთქმის და დასვენების მოთხოვნილების გარეშე! არც ერთი მაგალითი ისე ნათლად არ ავლენს თქვენსა და არნჰაიმს შორის განსხვავებას, როგორც ეს! ერთი მხრივ, გონი, რომელიც საგანთა ჩრდილებს არ ცნობს, მეორე მხრივ, გონი, რომელიც ჰუმანიზმიდან, ადამიანის ჩრდილოვანი და ნათელი მხარეებიდან ვითარდება!

– ცხადია, ვაჭარბებ! – გამოტყდა ულრიხი აღუშფოთველად. – ამას უფრო ნათლად დაინახავთ, თუ წვრილმანებს შევეხებით. მოდით, დიდი მწერლები გავიხსენოთ. ადამიანმა, შეიძლება, მათით იხელმძღვანელოს, მაგრამ ცხოვრებას მათგან ვერ გამოწურავ. მათ იმას, რაც აღელვებდათ, ისეთი მტკიცე ფორმა მიანიჭეს, რომ, სტრიქონებს შორის შუალედის ჩათვლით, ყველაფერი დაპრესილ ლითონს ემსგავსება. მაინც რა თქვეს მათ? არავინ იცის. ცალსახად ეს თვითონაც არასდროს სცოდნიათ. ისინი იმ მინდორს ჰგვანან, სადაც ფუტკრები ფრენენ. ამასთან, ისინი თავად წარმოადგენენ ფრენას. მათ

აზრებსა და გრძნობებში ჭეშმარიტებებსა და ცდომილებებს (რომლებიც რაღაცნაირად შეგვიძლია აღვნიშნოთ) და იმ ცვალებად არსებებს შორის, თვითნებურად რომ გვიახლოვდებიან ან გვშორდებიან, როგორც კი მათზე დაკვირვებას მოვინდომებთ, გადასვლის ყველა ხარისხია.

შეუძლებელია ფურცლებიდან წიგნის აზრის გამოთავისუფლება. ის იმ ადამიანის სახის მსგავსად, სხვა სახეებთან ერთად რომ ჩაგვივლის და ჩვენ წინაშე სრული მნიშვნელობით მხოლოდ ერთ წამს წარდგება, ნიშანს გვაძლევს. ალბათ, ისევ ცოტათი ვაჭარბებ. ახლა კი მინდა გკითხოთ: რა არ ჰგავს თქვენი ცხოვრებიდან იმას, რაც აღგიწერეთ? არაფერს ვამბობ ზუსტ შთაბეჭდილებებზე, იმათზე, რომელთა გაზომვა და განსაზღვრაც შესაძლებელია. სხვა დანარჩენი ცნებები კი, რომლებსაც ჩვენი ცხოვრება ემყარება, მხოლოდ გაქვავებული მეტაფორებია. რამდენ წარმოდგენას შორის ირხევა და მერყეობს თუნდაც ისეთი მარტივი ცნება, როგორიც სიმამაცეა! ეს რაღაც ორთქლივითაა, ყოველ წამობერვაზე რომ იცვლის ფორმას. მყარი არაფერია: არც შთაბეჭდილება და არც წესრიგი. როგორც უკვე ვთქვით, როცა ლიტერატურაში იმას გამოვტოვებთ, რაც არ მოგვწონს, ამ გზით ცხოვრების პირვანდელ მდგომარეობას აღვადგენთ.

– ძვირფასო მეგობარო, – თქვა დიოთიმამ, – მეჩვენება, რომ თქვენი მოსაზრებები უსაგნოა.

ულრიხი ერთხანს გაჩუმდა და შემდეგ თქვა: – ჰო, ალბათ. იმედია, მეტისმეტად ხმამაღალი ლაპარაკი არ გამომივიდა.

– თქვენ სწრაფად, ხმადაბლა და დიდხანს ლაპარაკობდით, – უთხრა დიოთიმამ ირონიულად, – თუმცა სიტყვაც არ დაგცდენიათ იმაზე, რის თქმაც გინდოდათ. იცით, ახლა რა ამიხსენით? ის, რომ რეალობა უნდა გაუქმდეს. გამოგიტყდებით, როცა თქვენგან ეს შენიშვნა პირველად მოვისმინე, ერთ-ერთი ჩვენი პირველი გასეირნების დროს, დიდხანს ვერ შევძელი მისი დავიწყება. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამას როგორ აპირებთ, სამწუხაროდ, ისევ არ გითქვამთ!

– ასეთ შემთხვევაში სულ მცირე ამდენივე ხანს მომიწევს ლაპარაკი. ნუთუ ელით, რომ ეს ასე მარტივია? თუ არ ვცდები, თქვენ იმაზე ილაპარაკეთ, რომ არნჰაიმთან ერთად რაღაც სიწმინდეში გსურთ გაფრენა. ესე იგი, თქვენ ეს რაღაც მეორე

რეალობად წარმოგიდგენიათ. ის კი, რაზეც მე ვილაპარაკე, იმას ნიშნავს, რომ საჭიროა, ხელახლა დავეუფლოთ არარეალობას. რეალობას აზრი აღარ აქვს!

– აი ამას კი არნჰაიმი არ დათანხმდებოდა! – თქვა დიოთიმამ.

– ბუნებრივია, არ დათანხმდებოდა. ჩვენ შორის დაპირისპირებულობაც ამაშია. ის დიდი არნჰაიმია და იმ ფაქტისთვის, რომ ჭამს და სვამს, სძინავს და არ იცის, თქვენზე იქორწინოს თუ არა, რაღაც აზრის მინიჭება სურს, რისთვისაც მთელი ცხოვრების მანძილზე გონების საგანძურს აგროვებდა! – ულრიხი უეცრად გაჩუმდა, რაც შემდეგ დუმილში გადაიზარდა.

ცოტა ხნის შემდეგ დიოთიმას შეცვლილი ტონით ჰკითხა: – ვერ მეტყვით, რატომ გელაპარაკებით ამაზე სწორედ თქვენ? ამწუთს ჩემი ბავშვობა მახსენდება. არ დამიჯერებთ, მაგრამ კარგი ბავშვი ვიყავი; თბილ მთვარიან ღამეში ჰაერივით რბილი. შემეძლო, უსაზღვროდ მყვარებოდა ძაღლი ან დანა... – ულრიხმა ეს ფრაზაც არ დაამთავრა.

დიოთიმამ მას ეჭვით შეხედა. ისევ გაახსენდა, როგორ იცავდა თავის დროზე ულრიხი მოსაზრებას „გრძნობათა სიზუსტის“ შესახებ. ახლა კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. ერთხელ არნჰაიმს აზრის არასაკმარის სიწმინდესაც საყვედურობდა, ახლა კი მოქმედებებისთვის თავისუფლების მინიჭებაზე ლაპარაკობდა. დიოთიმას აშფოთებდა, რომ ულრიხი „არდადეგების გარეშე გრძნობებს“ უჭერდა მხარს მაშინ, როცა არნჰაიმმა ორაზროვნად განაცხადა, აბსოლუტური სიძულვილი და აბსოლუტური სიყვარული არ შეიძლებაო! ამის გაფიქრებაზე დიოთიმა უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო.

– მართლა გჯერათ, რომ არსებობს შეგრძნებათა უსაზღვროება?

– უსაზღვრო გრძნობა ნამდვილად არსებობს! – უპასუხა დიოთიმამ და ფეხქვეშ კვლავ იგრძნო მყარი ნიადაგი.

– იცით, ამის დიდად არ მჯერა, – დაბნეული სახით უპასუხა ულრიხმა. – უცნაურია, მაგრამ ამის შესახებ ხშირად ვლაპარაკობთ, თუმცა მთელი ცხოვრება მას თავს ვარიდებთ, თითქოს შიგ ჩახრჩობის გვეშინოდეს.

მან შეამჩნია, რომ დიოთიმა აღარ უსმენდა და მოუსვენრად

ადევნებდა თვალს არნჰაიმს, რომელიც ეკიპაჟის გაჩერებას ცდილობდა.

– ვშიშობ, რომ, – თქვა დიოთიმამ, – გენერლისგან მისი ხსნა მოგვიწევს.

– ტაქსის გავაჩერებ და გენერალს ჩემს თავზე ავიღებ, – შესთავაზა ულრიხმა. წასვლა რომ დააპირა, დიოთიმამ მხარზე დაადო ხელი და მის სურვილს საპასუხო კეთილგანწყობა შეაგება: – იმ გრძნობის გარდა, რაც უსაზღვროა, აზრი არაფერს აქვს.

115. შენი ძუძუების კერტები ყაყაჩოს ფურცლებს ჰგავს

რეციდივმა იმ კანონის თანახმად, რომ სტაბილურობას მშფოთვარე ცვლილებები მოსდევს, თავი ბონადეაშიც იჩინა. დიოთიმასთან მისი დაახლოების მცდელობა ამაო აღმოჩნდა, არც მისმა მშვენიერმა ზრახვამ გაამართლა – დამეგობრებოდა მეტოქეს, ჩამოეცილებინა ულრიხი და იგი ამგვარად დაესაჯა. ასეთი იყო ბონადეას ფანტაზია, რასაც იგი ოცნებებში დიდ დროს უძღვნიდა. ის იძულებული გახდა, თავი დაემცირებინა და შეყვარებულის კარზე დაეკაკუნებინა. ულრიხმა კი ისე მოაწყო, რომ მათ საუბარს ყოველ წამს ხელს ვიღაც უშლიდა და ბონადეას სიტყვებიც მის გულგრილ თავაზიანობაში გაიფანტა. მას კი განეზრახა, ულრიხისთვის აეხსნა, რატომაც მოსულიყო, თუმცა იგი ამას არ იმსახურებდა. სურვილი ჰქონდა, ულრიხისთვის საშინელი სცენა გაემართა, თუმცა სათნო პოზა ამის უფლებას არ აძლევდა და ამიტომ დროთა განმავლობაში ნებაყოფლობით დაკისრებული უმწიკვლოება შეიძულა. დაუკმაყოფილებელი ჟინით გამოწვეული თავის ტკივილი ღამღამობით მხრებს ქოქოსის კაკალივით უმძიმებდა, რომლის მაიმუნის ბალნით დაფარული ნაჭუჭიც ბუნების შეცდომით შებრუნებულია და სიღრმეშია ჩაზრდილი. ბოლოს კი უმწეო მრისხანებამ დარია ხელი იმ ლოთივით, ხელიდან სასმელს რომ გამოგლეჯენ. ბონადეა დიოთიმას გულში ლანძღავდა, მატყუარა დედაკაცს უწოდებდა და მისი კეთილშობილური და ქალური დიდებულების მისამართით ღვარძლიან შენიშვნებს არ იშურებდა. ამ ქალისთვის გარეგნობაში მიბაძვა, ასე ბედნიერს რომ ხდიდა, ახლა საპყრობილედ ჰქცეოდა, საიდანაც თავი უნდა დაეხსნა. თმის დასახვევ მაშებს და სარკეს მისგან იდეალური ხატების შექმნის ძალა დაეკარგა და მასთან ერთად

ცნობიერების ის ხელოვნური მდგომარეობაც გაქრა, რომელშიც ბონადეა იმყოფებოდა. ცხოვრებისეულ კონფლიქტებს მისთვის ძილი არასდროს დაურღვევია. ახლა ჩაძინება ცოტა უჭირდა, ეს კი ბონადეასთვის იმდენად უჩვეულო იყო, რომ ამას პათოლოგიურ უძილობად თვლიდა. ამ მდგომარეობაში იმ ადამიანივით გრძნობდა თავს, რომელსაც ავადმყოფობა სერიოზულად დარევს ხელს და ეჩვენება, რომ სული დაჭრილ სხეულს გაურბის და მას განსაცდელში ტოვებს. ცდუნებას აყოლილი ბონადეა თითქოს გავარვარებულ ქვიშაზე იწვა და დიოთიმას ჭკვიანური ლაპარაკი, მასში ასეთ აღფრთოვანებას რომ იწვევდა, საიდანღაც შორიდან ჩაესმოდა. ასეთ წუთებში მას დიოთიმა გულწრფელად სძულდა.

ულრიხთან სტუმრობას ვერ ბედავდა და ამიტომ ბუნებრივი გრძნობებისკენ მის მოსაბრუნებლად ახალი გეგმის შემუშავებას შეუდგა. თავიდან მხოლოდ გეგმის ბოლო ნაწილი ჰქონდა მოფიქრებული: ბონადეა დიოთიმასთან მაშინ უნდა შეჭრილიყო, როცა ულრიხი თავის მაცდუნებელთან იქნებოდა. დიოთიმასთან გამართული დისკუსიები ხომ აშკარად საბაბი იყო იმისთვის, რომ ერთმანეთთან ფლირტი გაებათ, ნაცვლად იმისა, რომ საერთო საქმისთვის ეზრუნათ. ბონადეა კი, პირიქით, საერთო საქმისათვის იზრუნებდა. ასე რომ, გეგმის პირველი ნაწილიც ჩამოყალიბდა: მოორსბრუგერისთვის არავინ ზრუნავდა, ის კი იღუპებოდა იმ დროს, როცა სხვები მხოლოდ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს გაიძახოდნენ! ბონადეას ერთი წუთითაც კი არ გაუკვირდებოდა, რომ მოორსბრუგერი ამ გაჭირვებაში კვლავ მხსნელად მოვლენოდა. რომ დაფიქრებულიყო, ბონადეას ეს კაცი შემაძრწუნებლად მოეჩვენებოდა, მაგრამ ამაზე არ ფიქრობდა. „თუ ულრიხი ასეთ დაინტერესებას იჩენს მოორსბრუგერით, მაშინ ის არც უნდა დაივიწყოს!“. ამ გეგმის შემუშავებისას მისი ყურადღება ორმა დეტალმა მიიქცია: გაახსენდა, რომ ამ მკვლელზე ლაპარაკისას ულრიხი ამტკიცებდა, ადამიანს მეორე სული აქვს, რომელიც ყოველთვის უდანაშაულოა; შერაცხადს სხვაგვარადაც შეუძლია მოიქცეს, შეურაცხადს კი – არაო. ამ ყველაფრიდან ბონადეამ რაღაც დასკვნის მსგავსი გამოიტანა: მასაც უნდოდა, შეურაცხადი ყოფილიყო, რადგან სრულიად უდანაშაულო მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნებოდა და ისიც სურდა, რომ ულრიხსაც, რომელსაც შეურაცხადობა აკლდა, მისსავე საკეთილდღეოდ ასეთი მდგომარეობა შექმნოდა.

საგულდაგულოდ გამოწყობილი ბონადეა, სწორედ ისე, როგორც საზოგადოებაში ჩნდებოდა ხოლმე, ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად საღამოობით დიოთიმას ფანჯრებთან დასეირნობდა, რომლებიც ცოტაოდენი ლოდინის შემდეგ ნათდებოდა იმის ნიშნად, რომ მათ მიღმა აქტიური ცხოვრება ჩქეფდა. ქმარს კი ეუბნებოდა, სტუმრად ვარ მიწვეული და დიდი ხნით არ დავრჩებიო. იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, როცა გამბედაობა არ ჰყოფნიდა, დიოთიმას სახლთან წინ და უკან სიარულმა, სადაც არავინ იწვევდა, და ტყუილმა მასში ახალი იმპულსი დაბადა და ბონადეაც მალე კიბეებს აუყვა. შეიძლებოდა, ნაცნობებს შეემჩნიათ ან ქმარს ჩაევლო შემთხვევით და დაენახა; არც ის იყო გამორიცხული, რომ კარისკაცს მოხვედროდა თვალში ან პოლიციელს მოსვლოდა აზრად რამის კითხვა. რაც უფრო ხშირად მეორდებოდა საღამოს სეირნობები, მით უფრო იზრდებოდა საფრთხე, რომ რაღაც მოხდებოდა, თუ ჩანაფიქრის შესრულებას გააჭიანურებდა. ხშირად ეზოში შეიპარებოდა ხოლმე და ისეთ გზებზეც უწევდა სიარული, სადაც სასურველი არ იყო, რომ დაენახათ, მაგრამ ის აზრი, რომ ამ სახლში უნდა შეეღწია, სადაც არავინ ელოდა და არც ის იცოდა, თავად რა ელოდა, მფარველი ანგელოზივით ეხმარებოდა. თავს იმ ბოროტმოქმედივით გრძნობდა, რომელსაც საქმის ვითარება დასაწყისში კარგად ვერ წარმოუდგენია, მაგრამ გარემოებათა წყალობით ისეთ აღგზნებულ მდგომარეობაში ვარდება, როცა გასროლის ხმა ან ჰაერში ელვასავით გამკრთალი მარილმჟავას წვეთები ბევრს არაფერს ნიშნავს.

ბონადეას მსგავსი არაფერი განეზრახა, მაგრამ დიოთიმას კარზე ლამის გონწართმეულმა დარეკა. პატარა რახელი ულრიხს შეუმჩნევლად მიუახლოვდა და ამცნო, რომ ვიღაც უცნობ ქალბატონს, რომელსაც სახელი არ გაუმხელია და სახეზე ვუალი ჰქონდა ჩამოფარებული, მასთან ლაპარაკი სურდა. როცა რახელმა ულრიხის ზურგს უკან სასტუმრო ოთახის კარი მიხურა, ბონადეამ სახიდან ვუალი აიწია. იმწუთას ღრმად სჯეროდა, რომ მოორსბრუგერის საქმის გადადება აღარ შეიძლებოდა და ულრიხს ეჭვით განაწამები შეყვარებულივით კი არა, მარათონულ რბოლაში ქანცგაწყვეტილი მორბენალივით შეეგება. არც იმის მოტყუება გასჭირვებია, ქმარმა მითხრა, სულ მალე მოორსბრუგერის შველა შეუძლებელი იქნებაო.

– არაფერი ისე არ მძულს, – დაასკვნა ბონადეამ, – როგორც ეს უგვანი მკვლელები, მაგრამ მაინც გავრისკე და დაუპატიჟებლად მოვედი, რადგან დიასახლისთან და მის გავლენიან სტუმრებთან უნდა შებრუნდე და ამ საქმის შესახებ მოუყვე, თუ რამის მიღწევას აპირებ!

ბონადეამ არ იცოდა, რა ელოდა: გულაჩუყებული ულრიხი მადლობას გადაუხდიდა, დიოთიმას გამოიხმობდა და ისინიც რომელიმე განაპირა ოთახში განმარტოვდებოდნენ? შესაძლოა, ხმამაღალ ლაპარაკზე დიოთიმა წინკარში გამოსულიყო და მისთვის აშკარად ეგრძნობინებინა, რომ ულრიხის კეთილშობილურ გრძნობებზე ზრუნვა მისი საქმე სულაც არ იყო! ბონადეას თვალებში ცრემლი უბრწყინავდა, ხელები უკანკალებდა. ის ხმამაღლა ლაპარაკობდა. ულრიხი დაბნეული იდგა და იღიმებოდა. სასოწარკვეთილი მის დამშვიდებას და თან დროის მოგებას ცდილობდა, რათა ბონადეა როგორმე დაერწმუნებინა, რომ იქაურობას რაც შეიძლება მალე გასცლოდა. მდგომარეობა მეტად რთული იყო და შესაძლოა, ყველაფერი ბონადეას ისტერიკით დამთავრებულიყო, ბედად რახელი რომ არ მოვლენოდათ მხსნელად. მთელი ეს დრო სახეგაბრწყინებული, ფართოდ თვალებგახელილი რახელი მათთან ახლოს იდგა. როცა ამ უცნობმა, ლამაზმა ქალბატონმა, მთელი სხეული რომ უთრთოდა, განუცხადა, ულრიხთან ლაპარაკი მინდაო, რახელს მაშინვე რომანტიკული ავანტიურის სუნი ეცა. მან მათი საუბრის დიდ ნაწილს მოჰკრა ყური და სიტყვა „მოორსბრუგერი“ მისთვის თოფის გასროლასავით გაისმა. სევდამ, წადილმა და ეჭვმა, ამ ქალბატონის ხმაში რომ ჟღერდა, რახელის მთელი არსება მოიცვა. თუმცა ამ გრძნობების ბევრი არაფერი გაეგებოდა, მიხვდა, რომ ქალი ულრიხის საყვარელი იყო და მაშინვე გატაცებით შეუყვარდა. გრძნობდა, რომ რაღაც უნდა მოემოქმედებინა. თითქოს გულიდან მუსიკა იღვრებოდა და თვითონაც მას უნდა აჰყოლოდა. თვალებით ანიშნა, ჩუმად ყოფილიყვნენ და ორივე გვერდზე, სტუმრებისგან ერთადერთ თავისუფალ ოთახში, მიიპატიჟა. ეს იყო მისი პირველი მოღალატური საქციელი, რომელიც თავისი ქალბატონის მიმართ ჩაიდინა, რადგან იცოდა, რაც შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. მაგრამ სამყარო ისეთი მშვენიერია, ნეტარი მღელვარება კი ისეთი სუმბურული, რომ რახელს ამაზე არც უფიქრია.

როცა შუქი აინთო და ბონადეამაც სინათლეს თანდათან თვალი

მიაჩვია, ლამის ფეხები მოეკვეთა და ეჭვისგან სახე აელეწა, რადგან მიხვდა, რომ დიოთიმას საძინებელში იმყოფებოდა. ოთახში წინდები, თმის ჯაგრისები და უამრავი სხვა ნივთი მიმოეფანტათ. სწორედ ისე, როცა ქალი ნაჩქარევად სტუმრებისთვის უნდა გამოეწყოს, მოსამსახურეს კი მათ დასალაგებლად დრო აღარ რჩება ან, როგორც ამ შემთხვევაში, ამას იმიტომ არ აკეთებს, რომ მეორე დღეს მაინც მთელი ბინის საფუძვლიანად დალაგება მოუწევს. საზეიმო მიღების დროს საძინებელი ავეჯის საწყობად გადაიქცეოდა ხოლმე, რათა სტუმრებისთვის სხვა დანარჩენი ოთახები დაეცარიელებინათ. ოთახში მჭიდროდ ჩადგმული ავეჯის, საპნისა და ნელსაცხებლის სუნი ტრიალებდა.

– ამ გოგომ სისულელე ჩაიდინა, აქ დიდხანს ვერ დავრჩებით! – უთხრა ულრიხმა სიცილით. – არ უნდა მოსულიყავი, მოორსბრუგერს ხომ მაინც ვერაფრით დავეხმარებით.

– მეუბნები, რომ თავი არ უნდა შემეწუხებინა და არ უნდა მოვსულიყავი? – გაიმეორა ბონადეამ დახშული ხმით. „როგორ მოუვიდოდა მოსამსახურეს თავში აზრად ულრიხის წმიდათაწმიდა ოთახში შეყვანა, ამას მიჩვეული რომ არ იყოს?!“ – ფიქრობდა განაწამები ბონადეა. ამის სათქმელად გამბედაობა არ ეყო და ამიტომ ხმადაბლა უსაყვედურა: – როგორ ახერხებ მშვიდად ძილს, როცა ასეთი უსამართლობა ხდება? ღამეებს თეთრად ვათენებ და ამიტომაც გადავწყვიტე შენი მოძებნა!

ბონადეა ფანჯარასთან იდგა და მინაში არეკლილ სიბნელეს მიშტერებოდა. შეიძლება, ეს ხეების კენწეროები ან ეზოს სიბნელე იყო. ღელავდა, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ოთახის ფანჯარა ქუჩაში არ გადიოდა. სხვა ფანჯრებიდან კი ეს ოთახი მოჩანდა და იმის წარმოდგენამ, რომ ფარდაგადაწეულ ფანჯარასთან, მეტოქის საძინებელში, უცხო მაყურებელთა დარბაზის წინაშე მოღალატე საყვარელთან ერთად იდგა, უკიდურესად ააღელვა. ბონადეამ ქუდი მოიხადა და პალტო შეიხსნა. შუბლით და ძუძუების კერტებით ცივ მინას ედებოდა. ცრემლმა და სინაზემ თვალები დაუნამა; ფანჯარას ნელა მოსცილდა და მეგობრისკენ მიტრიალდა. თვალებში ის რბილი, დამყოლი სიშავე ჩარჩენოდა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ აკვირდებოდა. ამ სიშავეს მის თვალებში ახლა რაღაც არაცნობიერი სიღრმე შეეძინა.

– ულრიხ! – უთხრა მან გამჭოლი ხმით. – ცუდი ადამიანი არ

ხარ, მაგრამ თავს ასეთად გვაჩვენებ. ყველაფერს აკეთებ, რომ ვერ შეძლო – იყო კარგი!

ბონადეასთვის შეუფერებელმა ჭკვიანურმა სიტყვებმა სიტუაცია ხელახლა საშიშად დაძაბა. ამჯერად ეს უკვე სხეულს მთლიანად დამორჩილებული ქალის სასაცილო ნოსტალგია კი არ იყო მანუგეშებელი სულიერი კეთილშობილებისა, არამედ თავად სხეულის სილამაზე აცხადებდა უფლებას ღირსეულ სიყვარულზე. ულრიხი მას მიუახლოვდა, ხელი მხრებზე მოხვია; ისინი ფანჯრისკენ მიბრუნდნენ და სიბნელეს გახედეს. მოჩვენებითად უკიდეგანო წყვდიადში სახლიდან გამოსული შუქი ოდნავ კრთოდა, თითქოს სქელი ნისლის სირბილე ჰაერს ავსებდა. რატომღაც ულრიხს მოეჩვენა, რომ ოქტომბრის ცივი ღამე იდგა, თუმცა უკვე ზამთარი იწურებოდა და ღამე ქალაქს უზარმაზარი შალის საბანივით გადაჰფარებოდა. შემდეგ იმანაც გაუელვა თავში, რომ შალის საბანზეც შეეძლო ეთქვა, ოქტომბრის ღამეს ჰგავსო. სხეულში ჟრუანტელმა დაუარა და ბონადეა თავისკენ მიიზიდა.

– შებრუნდები უკან? – ჰკითხა ბონადეამ.

– და წინ აღვუდგე უსამართლობას, რომელიც მოორსბრუგერს ემუქრება? არა. ისიც კი არ ვიცი, მართლა უსამართლოდ ექცევიან თუ არა! რა ვიცი მის შესახებ! ერთხელ გაკვრით ვნახე, სასამართლოში და კიდევ რაღაც წავიკითხე, რასაც გაზეთებში წერდნენ. რომ დამსიზმრებოდა, თითქოს შენი ძუძუების კერტები ყაყაჩოს ფურცლებს ჰგავს, საკმარისი იქნებოდა, დამეჯერებინა, რომ ეს ასეა?

ულრიხი ჩაფიქრდა. ბონადეაც ჩაფიქრდა. ულრიხი ფიქრობდა: „სინამდვილეში ადამიანს, ფხიზელი თვალითაც რომ შეხედო, მეორე ადამიანისთვის იმაზე მეტი მნიშვნელობა არ აქვს, ვიდრე შედარებებს“. ბონადეა დაფიქრდა და შემდეგ გადაწყვეტილებამდე მივიდა: – მოდი, აქედან წავიდეთ!

– შეუძლებელია, – უპასუხა ულრიხმა, – იკითხავენ, სად დავიკარგე და თუ შენი აქ მოსვლის შესახებ რამემ გაჟონა, ამას არასასურველი ხმაური მოჰყვება.

დუმილმა, ფანჯრიდან ცქერამ, წყვდიადმა, რომელიც შეიძლებოდა ოქტომბრის ან იანვრის ღამე, შალის საბანი ან ტკივილი და ბედნიერება ყოფილიყო, ორივე ისევ გააერთიანა.

– რატომ არასდროს არ აკეთებ იმას, რაც ყველაზე მარტივია? – ჰკითხა ბონადეამ.

უცბად ულრიხს ცოტა ხნის წინ ნანახი სიზმარი გაახსენდა. ის იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, იშვიათად რომ ნახულობენ სიზმრებს ან ვერ იხსენებენ მათ და ახლა უცნაური გრძნობა დაეუფლა, როცა მოგონებებმა კარი გაუღო და შიგ შეუშვა. სიზმარში ბევრჯერ ეცადა, მთის დამრეცი ფერდობი გადაევლო, მაგრამ თავბრუ ეხვეოდა და უკან ვარდებოდა. ზედმეტი ახსნა-განმარტების გარეშე ახლა ხვდებოდა, რომ ეს სიზმარი მოორსბრუგერს ეხებოდა, თუმცა ის სიზმარში არ ფიგურირებდა. სიზმარს ხომ, საერთოდ, მრავალი მნიშვნელობა აქვს და ალბათ, ესეც მისი გონების ფუჭ მცდელობას ფიზიკურ გამოხატულებას ანიჭებდა, რომელიც უგზო-უკვლოდ ხეტიალს ჰგავდა, როცა ერთ კონკრეტულ წერტილს ვერ სცილდები. სიზმარი ამას გულუბრყვილო კონკრეტულობით გამოხატავდა და ულრიხს ეს ღიმილს ჰგვრიდა, სიპი ქვა, ნაშალი მიწა, აქა-იქ თითო-ოროლა ხე, როგორც საყრდენი და მიზანი, და კიდევ მთა, რომელიც სიარულში უფრო და უფრო ციცაბო ხდებოდა. ასვლასაც და ჩამოსვლასაც ერთნაირი წარუმატებლობით ცდილობდა. მერე თავბრუსხვევისგან ცუდად ხდებოდა და ვიღაც, ვინც გვერდით მიჰყვებოდა, ეუბნებოდა: გვეყოფა. ქვემოთ, დაბლობზე, მოხერხებული გზაა, რომლითაც ყველა სარგებლობს! ულრიხს ეჩვენებოდა, რომ ის, ვინც გვერდით მიჰყვებოდა, შესაძლოა, ბონადეაც ყოფილიყო. იქნებ მართლა დაესიზმრა, რომ მისი ძუძუების კერტები ყაყაჩოს ფურცლებს ჰგავდა! სიზმრის ბნელ კუთხეს რაღაც ფართო, კბილანებიანი, მუქი სოსანისფერი თუ მეწამულისფერი, ნისლივით გამოეყო.

იმავე წუთს ცნობიერებას ისეთი შუქი მოეფინა, რომ კულისებში მიმდინარე პროცესებიც განათდა, თუმცა ამ შთაბეჭდილების სიტყვიერად აღწერა შეუძლებელი იყო. სიზმარსა და გამოსახატავ მოვლენას შორის დამოკიდებულებას იგი კარგად იცნობდა, რადგან ის ანალოგიას, მეტაფორას ჰგავდა, რომლითაც ულრიხი ხშირად დაინტერესებულა. მეტაფორა ტყუილსაც შეიცავს და მართალსაც, მათ შორის კავშირი კი მეტად მჭიდროა. თუ ავიღებთ მეტაფორას ისეთს, როგორიც ის არის და მას რეალობის ნიმუშის მიხედვით გრძნობებისთვის ხელმისაწვდომ ფორმას მივანიჭებთ, მაშინ მისგან სიზმარს და ხელოვნებას მივიღებთ; თუმცა მასა და რეალობას – სავსე

ცხოვრებას – მინის კედელი ჰყოფს. თუ მეტაფორას რაციონალურად მივუდგებით და იმას, რაც ზუსტად ემთხვევა, იმისგან გავმიჯნავთ, რაც არ ემთხვევა, მაშინ ჭეშმარიტებას და ცოდნას მივიღებთ, თუმცა ამ დროს გრძნობებს ხელვყოფთ. ბაქტერიების იმ სახეობების მსგავსად, რომლებიც ორგანულ სუბსტანციას ორ ნაწილად ხლეჩს, მეტაფორის თავდაპირველ ყოფიერებასაც ადამიანი რეალობის მყარ მატერიად და ჭეშმარიტებად, ასევე ვარაუდის, რწმენისა და ხელოვნურობის მინისებრ ატმოსფეროდ ხრწნის. ჩანს, რომ, ამ ორის გარდა, მესამე შესაძლებლობა არ არსებობს; მაგრამ თუ ბევრი ფიქრის გარეშე შეუდექი საქმეს, ხშირად გაურკვევლობაც სასურველი შედეგით მთავრდება! ულრიხს ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ქუჩაბანდების ლაბირინთიდან, სადაც აზრები და გრძნობები ასე ხშირად დაატარებდა, თავი დაეხსნა და ახლა იმ მთავარ მოედანზე იდგა, საიდანაც ყველაფერი იღებდა სათავეს. ბონადეას კითხვაზე, რატომ არ აკეთებდა არასდროს იმას, რაც ყველაზე მარტივი იყო, პასუხად რაღაც მსგავსი მოუყვა. ბონადეა აშკარად ვერ მიხვდა, ულრიხი რას გულისხმობდა, მაგრამ ეს დღე მისთვის უდავოდ მნიშვნელოვანი იყო. ერთხანს ჩაფიქრდა, შემდეგ მას მიეკრო და შემაჯამებელი პასუხი გასცა: – სიზმარშიც ხომ არ ფიქრობ. უბრალოდ, ამ დროს რაღაც ამბავი გადაგხდება თავს!

ამ ნათქვამში სიმართლე ერია. ულრიხმა მას ხელი ხელზე მოუჭირა. უცბად ბონადეას ისევ ცრემლები მოადგა და სახეზე ნელა ჩამოუგორდა. ცრემლებით დასველებულ მის კანს სიყვარულის გაურკვეველი არომატი აუვიდა. ულრიხმა ეს სურნელი ღრმად ჩაისუნთქა და თავისუფლებისა და დავიწყების მონატრება იგრძნო; მაგრამ მაშინვე თავს მოერია და ბონადეა კარისკენ ნაზად წაიყვანა.

– ახლა უნდა წახვიდე, – უთხრა ხმადაბლა. – ნუ გამიბრაზდები. არ ვიცი, ერთმანეთის ნახვას როდის მოვახერხებთ. საკუთარ თავთან ბევრი პრობლემა მაქვს!

სასწაული მოხდა. ბონადეას წინააღმდეგობა არ გაუწევია და არც არაფერი უთქვამს. აღარ ეჭვიანობდა. გრძნობდა, რომ თავს რაღაც ამბავი გადახდა. უნდოდა, ულრიხს მოხვეოდა. გრძნობდა, რომ მისი მიწაზე დაბრუნება იყო საჭირო. ყველაზე მეტად კი ის უნდოდა, რომ მისთვის შუბლზე ჯვარი გამოესახა, როგორც საკუთარ შვილებთან იქცეოდა ხოლმე. ეს ისეთ

მშვენიერ იდეად მოეჩვენა, რომ აზრადაც არ მოსვლია, ამ სცენაში მათი ურთიერთობის დასასრული დაენახა. ქუდი დაიხურა და ულრიხს აკოცა. შემდეგ ვუალი ჩამოიფარა და ისევ აკოცა. ვუალის ძაფები გავარვარებული რკინის გისოსებივით მხურვალე იყო.

რახელის დახმარებით, რომელიც მათ კართან მიყურადებული სდარაჯობდა, ბონადეამ სახლიდან შეუმჩნევლად გასვლა შეძლო, თუმცა სტუმრები უკვე წამოშლილიყვნენ. ულრიხმა რახელს ხელში წვრილმანი გასამრჯელო ჩაუდო და გამბედაობისთვის შეაქო. საქებარმა სიტყვებმაც და გასამრჯელომაც რახელი ისე აღაფრთოვანა, რომ ანგარიშმიუცემლად, ფულთან ერთად მისი ხელიც იმდენ ხანს ეჭირა, სანამ ულრიხს არ გაეცინა და მხარზე ალერსიანად არ დაადო ხელი. რახელს სირცხვილისგან სახე შეეფაკლა.

116. ცხოვრების ორი ხე და გენერალი.სამდივნოს მოთხოვნა სიზუსტესა და ფულზე

იმ საღამოს ტუცის სახლში ჩვეულებრივზე ნაკლებ სტუმარს მოეყარა თავი, რადგან პარალელური აქციით დაინტერესებამ საგრძნობლად იკლო. ბოლო წუთს თვით მისი ბრწყინვალების გამოჩენამაც კი – რომელიც, სხვათა შორის, პირქუშ და დადარდიანებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგან მისი წამოწყების წინააღმდეგ მიმართული ნაციონალური ხრიკები, მის ყურამდეც რომ მიეღწია, დიდად აშფოთებდა – ვერ შეაჩერა სტუმრები. ისინი ერთხანს შეყოვნდნენ იმის მოლოდინში, რომ მისი ბრწყინვალების მოსვლა რაღაც სასიკეთოს ნიშნავდა და შეიძლება რამე საგანგებო ინფორმაციაც მოესმინათ, მაგრამ როგორც კი შეამჩნიეს, რომ ეს ასე არ იყო და გრაფიც მათდამი ინტერესს არ იჩენდა, ყველა წავიდა. ამიტომ უკან დაბრუნებულმა ულრიხმა აღმოაჩინა, რომ ოთახები თითქმის დაცარიელებულიყო და მხოლოდ „ვიწრო წრეღა“ დარჩენილიყო, რომელსაც სახლში დაბრუნებული განყოფილების ხელმძღვანელი ტუციც შეუერთდა.

მისმა ბრწყინვალებამ გაიმეორა: – 88 წლის მშვიდობისმყოფელ კაიზერს შეგვიძლია სიმბოლო ვუწოდოთ. ამაში არის რაღაც დიდი აზრი, მაგრამ მას პოლიტიკური შინაარსიც უნდა მივანიჭოთ. იცით, მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. გერმანელი ნაციონალისტები აღშფოთებულები არიან

ვისნეჩკის გამო, რადგან მიაჩნიათ, რომ ის სლავოფილია. სლავებიც აღშფოთებულები არიან და ამბობენ, რომ ვისნეჩკი მინისტრობის დროს ცხვრის ტყავში გახვეული მგლის როლს თამაშობდა. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ის ჭეშმარიტი პარტრიოტია, რომელიც პოლიტიკურ პარტიებზე მაღლა დგას და მე მას ვერ შეველევი! მეორე მხრივ, ჩვენი წამოწყება კულტურულ სფეროში ჩატარებული ღონისძიებებითაც უნდა შევავსოთ, რათა ხალხს რაღაც პოზიტიური მივცეთ. მოსახლეობის დაინტერესებული ფენების სურვილების შემსწავლელი საქმიანობა წინ ნელა მიიწევს. ავსტრიული ან მსოფლიოს წელი შესანიშნავი იდეაა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ სიმბოლო თანდათან რეალობად უნდა იქცეს; ანუ სანამ ის სიმბოლოა, ჩემს სულს აღელვებს და მე ჯერ კიდევ არაფერი ვიცი, შემდეგ კი ჩემი სულის სარკეს ზურგს ვაქცევ და იმას ვაკეთებ, რაც ამასობაში ჩემს მოწონებას იმსახურებს. გასაგებად გამოვხატე ჩემი სათქმელი? ჩვენი ქალბატონი ძალ-ღონეს არ ზოგავს და ყველაფერს აკეთებს. უკვე რამდენი თვეა, რაც აქ ჭეშმარიტად მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინტერესმა მაინც იკლო. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მალე რაღაც გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, თუმცა არ ვიცი – რა. შესაძლოა, ეს იყოს წმინდა სტეფანეს ტაძრისთვის მეორე კოშკის მიშენება ან აფრიკაში საიმპერატორო და სამეფო კოლონიის შექმნა – სულერთია. დარწმუნებული ვარ, ბოლო მომენტში, შესაძლოა, სულ სხვა რამე გამოჩნდეს. მთავარია, რომ მონაწილენი, ასე ვთქვათ, დროულად ჩავაბათ ფერხულში, რათა მათი გამომგონებლური უნარი არ დაიკარგოს.

გრაფ ლაინსდორფს ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ მეტად სასარგებლო სიტყვა წარმოთქვა. შემდეგ კი დანარჩენების სახელით საპასუხო სიტყვით არნჰაიმი გამოვიდა.

– როცა თქვენ განსჯის, თუნდაც დროებით, მოქმედებით გამდიდრების აუცილებლობაზე ლაპარაკობთ, ეს მართლაც სამართლიანია! ამასთან დაკავშირებით ის ფაქტიც იძენს მნიშვნელობას, რომ აქ შეკრებილ ინტელექტუალურ წრეში სულ სხვა განწყობა სუფევს. თვალუწვდენელობა, რომელიც საწყის ეტაპს ახასიათებდა, გაქრა. ახალი წინადადებები არ ჩანს, ძველი კი, თუკი მათ ვინმე ახსენებს, სერიოზული მხარდაჭერით ვერ სარგებლობს. ჩანს, ყველა ხვდება, რომ შეთანხმებას უნდა მიაღწიონ. ასე რომ, მეტ-ნაკლებად მისაღებ

წინადადებას შანსი გაუჩნდა, რომ ის ყველამ მოიწონოს.

– თქვენთან როგორ არის საქმე, ბატონო დოქტორო? – მიმართა მისმა ბრწყინვალებამ ულრიხს, რომელიც მოგვიანებით შეამჩნია. – გაირკვა რამე?

ულრიხმა უარყოფითი პასუხი გასცა. აზრთა წერილობითი გაზიარება უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე – ზეპირი. არც შემოსულ წინადადებათა რიცხვს დასტყობია კლება. ამიტომ ის სხვადასხვა კავშირებს აფუძნებდა და მათ მისი ბრწყინვალების სახელით სხვადასხვა სამინისტროებში აგზავნიდა, თუმცა დახმარებისათვის მათი მზადყოფნა ბოლო დროს საგრძნობლად შემცირდა, – მოახსენა მის ბრწყინვალებას ულრიხმა.

– არც არის გასაკვირი! – თქვა მისმა ბრწყინვალებამ და დამსწრეთ მიმართა: – სახელმწიფოებრივი აზროვნება ჩვენს ხალხში დაუჯერებლად მაღალია. ენციკლოპედიურ განათლებას უნდა ფლობდე, რომ ყველა მიმართულებით მათი დაკმაყოფილება შეძლო. მინისტრებს, უბრალოდ, ძალა აღარ შესწევთ, რაც იმას ამტკიცებს, რომ დადგა დრო, ზემოდან ჩავერიოთ.

– ამასთან დაკავშირებით, – კვლავ სიტყვით გამოვიდა არნჰაიმი, – თქვენს ბრწყინვალებას, ალბათ, საყურადღებოდ მოეჩვენება ის ფაქტი, რომ კრების მონაწილეთა მზარდი ინტერესი ბატონმა გენერალმა ფონ შტუმმა გამოიწვია.

გრაფმა ლაინსდორფმა გენერალს პირველად შეხედა.

– მაინც რით? – იკითხა მან და სრულებით არ უცდია, უდიერი ტონი დაემალა.

– ეს მხოლოდ უხერხულობას მიქმნის. ამაზე არასდროს მიფიქრია! – თავს იცავდა დარცხვენილი შტუმ ფონ ბორდვერი. – საბჭოში ჯარისკაცს მოკრძალებული როლი ეკისრება და მეც ამ წესს ვიცავ. თუ თქვენს ბრწყინვალებას ახსოვს, პირველივე სხდომაზე, ასე ვთქვათ, ჩემი ჯარისკაცული მოვალეობა მოვიხადე და გთხოვეთ, რომ კომიტეტს განსაკუთრებული იდეის შემუშავებისას, თუკი უკეთესს ვერაფერს მოძებნიდა, იმაზე ეფიქრა, რომ ჩვენს არტილერიას თანამედროვე აღჭურვილობა არ გააჩნია, სამხედრო-საზღვაო ძალებს კი – გემები, ანუ იმ რაოდენობის გემები, რომელსაც ჩვენი

ამოცანები, მაგალითად ქვეყნის დაცვა, ითხოვს.

– ესე იგი, როგორ უნდა მოვიქცეთ? – შეაწყვეტინა მისმა ბრწყინვალებამ და გაოცებული მზერა დიოთიმას მიაპყრო, რითაც აშკარად გამოხატა უკმაყოფილება.

დიოთიმამ მომხიბვლელი მხრები აიჩეჩა და შემდეგ მორჩილად ჩამოუშვა. თითქმის მიეჩვია იმას, რომ გენერალი, რაღაც უჩინარი ძალები რომ სწყალობდა, კოშმარივით მაშინვე იქ ჩნდებოდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო.

– და აი, – განაგრძო ნაჩქარევად შტუმ ფონ ბორდვერმა, რათა წარმატების პირისპირ მდგარს, მოკრძალება არ მოსძალებოდა, – ბოლო დროს სულ უფრო ხმამაღლა გაისმის იმათი ხმები, რომლებიც ამ წინადადებას დაუჭერდნენ მხარს. ხომ ამბობდნენ, რომ არმია და ფლოტი საყოველთაო იდეაა და თანაც ისეთი ამაღლებული, რომ მის უდიდებულესობას დიდ სიხარულს განაცდევინებს. პრუსიელებს გაუკვირდებოდათ... ამ გამოთქმისთვის მაპატიოს ბატონმა არნჰაიმმა!

– არა, პრუსიელებს არ გაუკვირდებოდათ, – ღიმილით შეეპასუხა არნჰაიმი. – თავისთავად ცხადია, როცა ავსტრიულ პრობლემებზეა ლაპარაკი, მე არ ვესწრები და დიდი მოკრძალებით ვსარგებლობ იმ უფლებით, რომ რაღაც მაინც მოვისმინო.

– ყოველ შემთხვევაში, – დაასკვნა გენერალმა, – ნამდვილად გაისმა ხმები, რომ უფრო ადვილია, გაუთავებელი კინკლაობის ნაცვლად რომელიმე სამხედრო ღონისძიებაზე შევაჩეროთ ყურადღება. პირადად მე მიმაჩნია, რომ შეგვიძლია ის მეორე, ვთქვათ, რომელიმე დიდ სამოქალაქო იდეას დავუკავშიროთ. ჯარისკაცი, როგორც მოგახსენეთ, საუბარში არ უნდა ჩაერიოს, მაგრამ ხმები იმის შესახებ, რომ სამოქალაქო აზროვნებისგან დიდ სიკეთეს არ უნდა ველოდოთ, სწორედ ინტელექტუალური წრიდან გაისმა.

მის ბრწყინვალებას თვალი გაშტერებოდა და ისე უსმენდა. მის დაძაბულ და უსიამოვნო ფიქრებს მხოლოდ ცერა თითის უნებლიე მოძრაობა ამხელდა.

განყოფილების ხელმძღვანელმა ტუციმ, რომლის მოსმენასაც მიჩვეული არავინ იყო, ხმადაბლა და ნელა ჩაურთო: – არა მგონია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრს რამე საწინააღმდეგო

ჰქონდეს!

– მაშასადამე, უწყებებიც შეთანხმდნენ? – იკითხა გაღიზიანებულმა გრაფმა ლაინსდორფმა ირონიულად. ტუცემ თავაზიანი აღუშფოთველობით მიუგო: – თქვენი ბრწყინვალება უწყებებზე ხუმრობს, მაგრამ სამხედრო სამინისტრო უმალ საყოველთაო განიარაღებას დაუჭერს მხარს, ვიდრე საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მიაღწევს შეთანხმებას! – და შემდეგ ისევ განაგრძო: – თქვენმა ბრწყინვალებამ, ალბათ, იცის, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე გენერალური შტაბის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად საველე სიმაგრეები აშენდა. ამბობენ, რომ ეს სიმაგრეები უნაკლოა და ტექნიკის ბოლო სიტყვითაა აგებული. ცხადია, აღჭურვილია ელექტრო მავთულხლართებით და პროჟექტორებით. დენით მათი მომარაგებისთვის მიწაში ჩაშენებულ დიზელის ძრავებს იყენებენ. ძნელია იმის თქმა, რომ ვინმეს ჩამოვრჩებით. უბედურება ის არის, რომ ძრავები არტილერიის განყოფილებამ შეუკვეთა, საწვავით კი მათ სამხედრო სამინისტროს სამშენებლო განყოფილება ამარაგებს. ასეთია წესები და ამიტომ ეს დანადგარები არ ფუნქციონირებს, რადგან სამხედრო სამინისტროს ორი განყოფილება ვერ შეთანხმდა, ძრავას ასამუშავებლად საჭირო ასანთი, რომლითაც მათ სამშენებლო განყოფილება ამარაგებთ, საწვავ მასალად მიიჩნიონ თუ ძრავას ინვენტარად, რომელიც არტილერიის სფეროს მიეკუთვნება.

– დიდებულია! – თქვა არნჰაიმმა, თუმცა მიხვდა, რომ ტუცი დიზელის ძრავას გაზის ძრავაში ურევდა, თანაც ასანთს, დიდი ხანია, აღარც გაზის ძრავას ასამუშავებლად იყენებდნენ. ეს ერთი იმ ისტორიათაგანი იყო, რომელსაც ჩინოვნიკთა კაბინეტებში ხშირად მოისმენდით და მსუბუქ თვითირონიას გამოხატავდა. განყოფილების ხელმძღვანელმა ტუცემ ეს ისეთი ტონით წარმოთქვა, რომელშიც მარცხით გამოწვეული სიხარული ჟღერდა. ზოგს გაეღიმა, ზოგს გაეცინა. გენერალი შტუმი კი ყველაზე მეტად გამხიარულდა.

– დამნაშავე სამოქალაქო ადმინისტრაციაა, – გამოეპასუხა გენერალი ტუცის ხუმრობას. – საკმარისია, ისეთი რამე შევიძინოთ, რაც ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული და ფინანსთა სამინისტროც მაშინვე გამოგვიცხადებს, მართვის კონსტიტუციურ მეთოდებზე წარმოდგენა არ გაქვთო.

ღმერთმა დაგვიფაროს და საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე ომი რომ დაიწყოს, მობილიზაციის პირველსავე დღეს, სისხამ დილით, ციხესიმაგრის კომენდანტებს ასანთის შესასყიდად უფლებამოსილება უნდა მივანიჭოთ და, თუ მიყრუებულ მთებში ეს ვერ მოახერხეს, სხვა აღარაფერი დარჩებათ, გარდა იმისა, რომ ომი თავიანთი დენშჩიკების ასანთებით აწარმოონ!

გენერალს ხუმრობა გაუგრძელდა. ხუმრობის თხელი ქსოვილიდან უეცრად სიტუაციის ის მრისხანე სერიოზულობა გამოკრთა, რომელიც პარალელური აქციის გარშემო შექმნილიყო. მისი ბრწყინვალება ჩაფიქრდა და თქვა: – დროთა განმავლობაში... – მაგრამ გაახსენდა, რომ რთულ სიტუაციაში ბევრად უფრო გონივრულია, სხვამ ილაპარაკოს და წინადადება აღარ დაუმთავრებია. რამდენიმე წამს ექვსივე დუმდა; თითქოს ჭასთან იდგნენ და სიღრმეში იმზირებოდნენ.

დიოთიმამ თქვა: – არა, ეს შეუძლებელია!

– რა? – იკითხა ყველამ მზერით.

– ეს ნიშნავს, ისე მოვიქცეთ, რის გამოც გერმანიას ვსაყვედურობთ: შევიარაღდეთ! – დაამთავრა დიოთიმამ ფრაზა. როგორც ჩანს, ცოტა ხნის წინ მოყოლილი ანეკდოტები ან ვერ გაიგო, ან დაავიწყდა და ყურადღება მხოლოდ გენერლის წარმატებისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

– მაშ, როგორ მოვიქცეთ? – ჰკითხა მადლიერი და თან შეწუხებული ხმით გრაფმა ლაინსდორფმა. – დროებით მაინც ხომ უნდა მოვძებნოთ რამე!

– გერმანია შედარებით გულუბრყვილო, ძალ-ღონით სავსე ქვეყანაა, – თქვა არნჰაიმმა, თითქოს მეგობრის საყვედურზე ბოდიშს იხდისო. – მას დენთი და არაყი მიუტანეს.

ამ მეტაფორაზე ტუცის გაეღიმა, რადგან ეს თამამ ნათქვამად მოეჩვენა.

– ვერ უარვყოფთ, რომ იმ წრეებში, რომლებიც ჩვენს აქციას უნდა მოეცვა, გერმანია ანტიპათიას იწვევს, – გრაფმა ლაინსდორფმა ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, რომ ეს შენიშვნა ჩაერთო. – სამწუხაროდ, იმ წრეებშიც კი, რომლებიც აქციამ მოიცვა, – დაამატა მან ამოუცნობი ხმით.

გრაფი გაოცებული დარჩა, როცა არნჰაიმმა აუხსნა, ეს არ

მიკვირსო.

– ჩვენ, გერმანელები, – თქვა არნჰაიმმა, – უბედური ხალხი ვართ. ჩვენ არა მარტო ევროპის გულში ვცხოვრობთ, არამედ გულივით ვიტანჯებით კიდეც.

– გული? – ჰკითხა ანგარიშმიუცემლად მისმა ბრწყინვალებამ. გულის ნაცვლად გონებას ელოდა და ამ აზრს დათანხმდებოდა კიდეც. მაგრამ არნჰაიმი სიტყვა „გულს“ დაჟინებით იმეორებდა.

– გახსოვთ? – ჰკითხა არნჰაიმმა. – ცოტა ხნის წინ პრაღის მუნიციპალიტეტმა საფრანგეთს დიდი შეკვეთა მისცა. ბუნებრივია, ჩვენ უკეთესი ხარისხის პროდუქცია უფრო დაბალ ფასში შევთავაზეთ. უბრალოდ, ეს ემოციური ანტიპათიაა. უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის ეს სავსებით გასაგებია.

სანამ არნჰაიმი ლაპარაკს განაგრძობდა, გახარებულმა შტუმ ფონ ბორდვერმა ახსნა დაიწყო: – ადამიანები მთელ დედამიწაზე იტანჯებიან, გერმანიაში კი – ყველაზე მეტად, – თქვა მან. – ადამიანები ყველგან ხმაურობენ, გერმანიაში კი – ყველაზე მეტად. ათასწლოვან კულტურასთან კომერციამ კავშირი ყველგან დაკარგა. რაიხში კი ამ კავშირის გაწყვეტამ ყველაზე სავალალო შედეგი გამოიღო. ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს ყაზარმებში ერეკებიან. გერმანიაში კი ყველაზე მეტი ყაზარმაა, ამიტომ, გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენი ძმური მოვალეობაა, – დაასკვნა მან, – რომ გერმანიას ძალიან არ ჩამოვრჩეთ. ბოდიშს ვითხოვ, თუ ჩემი მსჯელობა პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ რას ვიზამთ, ინტელექტის მსგავს გართულებებს თავიდან ვეღარ ავიცილებთ!

არნჰაიმმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– შესაძლოა, ამერიკა ჩვენზე უარესია, – დაამატა მან, – მაგრამ ის გულუბრყვილო მაინცაა და მისთვის სულიერი გაორებაც უცხოა. ყველა თვალსაზრისით, ჩვენ შუაში მყოფი ხალხი ვართ, სადაც სამყაროს ყველა მოტივი ერთმანეთს კვეთს. სინთეზი – აი, რა გვჭირდება დაუყოვნებლივ და ეს ვიცით კიდეც. ჩვენ საკუთარი ცოდვები გაცნობიერებული გვაქვს. მეორე მხრივ, სამართლიანობა ითხოვს, ისიც ვაღიაროთ, რომ ჩვენ სხვათა გამო ვიტანჯებით, სხვათა შეცდომებს საკუთარ თავზე ვიღებთ, ჩვენ ყველასგან გალანძღული და ყველასთვის

ჯვარცმული ხალხი ვართ, თუ არ ვიცი, კიდევ რა ვუწოდო. გერმანიის ცვლილება, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი რამ იქნებოდა, რაც კი ამქვეყნად შეიძლებოდა მომხდარიყო. მეჩვენება, რომ ჩვენდამი ასეთ გავრცელებულ, და მე ვიტყოდი, მტრულ დამოკიდებულებას, რის შესახებაც ვლაპარაკობდით, ბუნდოვნად ეს შეგრძნებაც ახლავს თან.

ამ დროს ულრიხიც ჩაერია.

– ბატონებო, გერმანიისადმი კეთილგანწყობილ მიმდინარეობებს სათანადოდ ვერ აფასებთ. სანდო წყაროებიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ დღე-დღეზე ჩვენი აქციის წინააღმდეგ დიდი დემონსტრაცია უნდა გაიმართოს, რადგან პარალელურ აქციას ანტიგერმანული სახელი აქვს. თქვენო ბრწყინვალებავ, ვენის ქუჩებში უამრავ ხალხს იხილავთ. გამოსვლები ბარონ ვისნეჩკის დანიშვნის წინააღმდეგაც მოეწყობა. ითვლება, რომ ბატონი ტუცი და ბატონი არნჰაიმი შეთქმულები არიან, მისი ბრწყინვალება კი პარალელურ აქციაზე გერმანულ გავლენას ეწინააღმდეგება.

გრაფ ლაინსდორფს თვალებში ერთდროულად მკვლევარის სიმშვიდე და ხარის მძვინვარება დაეტყო. ტუციმ კეთილგანწყობილი და გაოცებული მზერა არნჰაიმზე შეაჩერა. არნჰაიმს გულწრფელად გაეცინა და წამოდგა. ამ აბსურდის გამო მობოდიშების მიზნით ამჯობინებდა, განყოფილების ხელმძღვანელისთვის თბილი იუმორით შეეხედა, თუმცა მისი მზერა ვერ დაიჭირა და დიოთიმასკენ მიბრუნდა. ტუციმ ამასობაში ულრიხს ხელი დაადო და ჰკითხა, საიდან ჰქონდა ეს ინფორმაცია. ულრიხმა უპასუხა, რომ ეს სულაც არ იყო საიდუმლო და ამ ხმების ყველას სჯეროდა. თვითონ კი ამის შესახებ ერთ-ერთ სახლში ვიზიტის დროს გაიგო. ტუცი ულრიხისკენ გადაიხარა და აიძულა, გვერდზე გამდგარიყვნენ. როგორც კი თავი სხვებისგან მოშორებით დაიგულა, ულრიხს ჩასჩურჩულა: – კიდევ ვერ ხვდებით, არნჰაიმი აქ რატომ არის? ის თავადი მოზჟუტოვის მეგობარი და რუსეთის მეფის persona grata-ა. რუსეთთან აქვს კავშირი და აქაურ აქციაზე პაციფისტური გავლენა უნდა მოახდინოს. ეს ყველაფერი არაოფიციალურადაა, ასე ვთქვათ, რუსეთის მონარქის პირადი ინიციატივაა. იდეოლოგიური ამბავია, სათქვენო საქმეა, ჩემო მეგობარო! – დაასკვნა დამცინავად. – ლაინსდორფს კი წარმოდგენაც არ აქვს!

განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის ეს ინფორმაცია თავისმა ადმინისტრაციულმა აპარატმა მიაწოდა. ამ ინფორმაციის სჯეროდა, რადგან თვლიდა, რომ პაციფისტური მოძრაობა ლამაზი ქალის შეხედულებებს პასუხობდა და დიოთიმას არნჰაიმით გატაცება და მათ სახლში არნჰაიმის ხშირი სტუმრობაც ამით აიხსნებოდა. მანამდე კი ბევრი აღარაფერი უკლდა, რომ ცოლზე ეჭვიანობა დაეწყო. „სულიერ“ მიდრეკილებებს დასაშვებად მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე მიიჩნევდა და მზაკვრული მეთოდებით იმის დადგენას, ეს ზღვარი ხომ არ დარღვეულიყო, უკადრის საქციელად თვლიდა; ამიტომ თავი აიძულა, ცოლისადმი ნდობა არ დაეკარგა. სამაგალითო მამაკაცური ქცევის გრძნობა სექსუალურ გრძნობაზე ძლიერი აღმოჩნდა, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც საკმარის ეჭვებს აღძრავდა იმისთვის, რომ მიმხვდარიყო: კაცი, რომლისთვისაც პროფესია მნიშვნელოვანია, ვერასდროს გამოძებნის დროს, ცოლს უდარაჯოს, თუ ცხოვრებისეული ამოცანების უგულებელყოფა არ განუზრახავს. საკუთარ თავს ეუბნებოდა ხოლმე: თუ მემანქანეს არ აქვს უფლება, ორთქლმავალზე ცოლი თან ახლდეს, იმპერიის მმართველს მით უმეტეს არ აქვს უფლება, ცოლზე იეჭვიანოსო. მეორე მხრივ, არც კეთილშობილური უცოდინარობა ესადაგებოდა დიპლომატიას და მას პროფესიული თავდაჯერების რაღაც ნაწილსაც აკარგვინებდა. ამიტომ, როცა ყველაფერს, რაც მანამდე აშფოთებდა, უწყინარი მიზეზი მოუძებნა, საკუთარი თავის ნდობაც დაუბრუნდა. იმით, რომ თვითონ არნჰაიმის შესახებ ყველაფერი იცოდა, ცოლი კი მასში მხოლოდ ადამიანს ხედავდა და არა რუსეთის მეფის ემისარს, თითქოს ცოლს სჯიდა. რაღაც უმნიშვნელო ინფორმაციის მოპოვება არნჰაიმის შესახებ ცოლს კვლავ დიდი სიამოვნებით სთხოვა და ისიც საქმეს მოწყალედ, თუმცა ცოტა არ იყოს მოუთმენლად შეუდგა. ტუცემ სხვადასხვა, ერთი შეხედვით, უწყინარი კითხვები მოიფიქრა, რათა მათზე გაცემული პასუხებიდან საკუთარი დასკვნები გამოეტანა. ამის თაობაზე „ნათესავს“ ზოგიერთ რამეს სიამოვნებით მოუყვებოდა კიდეც და ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, რომ ცოლისთვის სახელი არ გაეტეხა. სწორედ ამ დროს გრაფმა ლაინსდორფმა საუბარი განაახლა. ის ერთადერთი იყო, რომელიც ფეხზე არ წამომდგარა და ვერავინ ამჩნევდა, მის გულში რა ტრიალებდა მას შემდეგ, რაც აქციის გარშემო შექმნილი ამდენი სირთულე ახსენეს. ჩანდა, რომ საბრძოლო მხნეობა მოიკრიბა, ვალენშტაინის

ულვაშები გადაიგრიხა და ნელა და მტკიცედ განაცხადა: – რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ!

– თქვენო ბრწყინვალებავ, რამე გადაწყვეტილება მიიღეთ? – ჰკითხეს დანარჩენებმა.

– ჯერ არაფერი მახსენდება, მაგრამ რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ! – უპასუხა მან უბრალოდ. გრაფი იმ ადამიანივით იჯდა, რომელიც ფეხის მოცვლას არ აპირებს მანამ, სანამ მისი ნება არ აღსრულდება.

გრაფი ლაინსდორფი რაღაც ძალას ასხივებდა და ყველა გრძნობდა, რომ რაღაცის პოვნის ფუჭი მცდელობა მასში იმ მონეტასავით ყანყალებდა, ყულაბაში რომ ჩარჩება და რაც უნდა ანჯღრიო, ნახვრეტიდან მაინც ვერ გადმოაგდებ.

არნჰაიმმა თქვა: – ამ ინციდენტებით ნუ ვიხელმძღვანელებთ!

ლაინსდორფს პასუხი არ გაუცია.

შემდეგ ისევ დაიწყო იმ წინადადებების განხილვა, რომლებსაც პარალელური აქციისთვის რაღაც მნიშვნელობა უნდა მიენიჭებინა.

გრაფი ლაინსდორფი იმ ქანქარასავით პასუხობდა, მდებარეობას რომ იცვლის, მაგრამ მუდამ ერთსა და იმავე გზას გადის: – ამის უფლება არ გვაქვს, რადგან ეკლესიას უნდა გავუწიოთ ანგარიში. ამის უფლება არ გვაქვს, რადგან ლიბერალებს უნდა გავუწიოთ ანგარიში. ამის წინააღმდეგ არქიტექტორთა ცენტრალური კავშირი გამოვიდა. ამას ფინანსთა სამინისტრო აპროტესტებს. – და ასე გრძელდებოდა უსასრულოდ.

ამ ყველაფერში ულრიხი მონაწილეობას არ იღებდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ხუთივე, ახლა აქ რომ იდგა და ლაპარაკობდა, ახლახან იმ ნალექიდან გამოკრისტალებულიყო, რომელიც მის გრძნობებს უკვე რამდენიმე თვეა მოსდებოდა. საიდან მოუვიდა აზრად, დიოთიმასთვის ეთქვა: არარეალობას უნდა დავეუფლოთ ან რეალობა უნდა გავაუქმოთო?! აი, ის ახლა აქ ზის, ყველა ეს ფრაზა ახსოვს და ვინ იცის, მასზე რას ფიქრობს. ან ის რა იყო, რომ გამოუცხადა: ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, როგორც პერსონაჟმა წიგნის ფურცლებზეო! ულრიხი ვარაუდობდა, რომ დიოთიმამ არნჰაიმს ეს ყველაფერი

უკვე დიდი ხანია უამბო!

ულრიხი იმასაც ფიქრობდა, რომ სხვაზე ნაკლებ როდი იცოდა, რომელი საათი იყო ან ქოლგა რა ღირდა! თუ ახლა, ამწუთს, საკუთარ თავსა და დანარჩენთა შორის შუალედური პოზიცია ეჭირა, ორივე მხრისგან თანაბრად შორს რომ იყო, მის პოზიციას ახირებული ფორმა მაინც არ ჰქონდა, რაც განდგომილ და დახშულ ცნობიერებას ახასიათებს; პირიქით, საკუთარ ცხოვრებაში შემოჭრილ იმგვარ სინათლეს გრძნობდა, რომელიც მანამდე უკვე ბონადეასთან ერთად განეცადა. გაახსენდა, ცოტა ხნის წინ, შემოდგომაზე, ცოლ-ქმარ ტუცებთან ერთად დოღზე რომ იყო, სადაც რაღაც ინციდენტის გამო იმათ, ვინც ცხენებზე ფსონს ჩამოვიდა, დიდი და საეჭვო დანაკლისი განიცადეს. მშვიდობიანი მაყურებელი თვალის დახამხამებაში აღელვებულ ზღვად გადაიქცა და სანამ პოლიციის ჩარევით ადამიანთა მასად არ იქცა, უწყინარი და ჩვეული გართობა რომ სურს, იპოდრომიც დატბორა და სალაროებიც გაძარცვა. ამ მოვლენების პირისპირ სასაცილო იყო, მეტაფორულ და მქრქალ მოსაზღვრე ფორმებზე ეფიქრა, რომლებიც ცხოვრებას შეიძლება მიეღო ან არ მიეღო. ულრიხი მთელი სისავსით გრძნობდა, რომ ცხოვრება უხეში და მძიმეა და რომ ხვალინდელ დღეზე დიდხანს ვერ დაფიქრდები, რადგან დღევანდელი დღეც დიდ თავსატეხს გიჩენს. როგორ შეიძლებოდა იმის არდანახვა, რომ ადამიანთა სამყარო ლივლივს კი არა, ფესვმაგარ სიმტკიცეს ითხოვს, რადგან წესრიგის ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში ის, შესაძლოა, სრულიად მოიშალოს! უფრო მეტიც, როგორ შეიძლებოდა, ფხიზელ დამკვირვებელს არ ეღიარებინა, რომ საზრუნავის, აღტყინებისა და იდეების ნარევი, რისგანაც ცხოვრება შედგება, საკუთარი არსებობის გასამართლებლად იდეებზე ძალმომრეობს, ან მათ აღმგზნებ საშუალებად იყენებს, ამასთან იდეათა მაფორმირებელ ძალადაც გვევლინება და მათ ერთმანეთთან აკავშირებს, ბუნებრივ მოძრაობას ანიჭებს და საზღვარსაც უდგენს! დიახ, ღვინოს ყურძნისგან წურავენ, მაგრამ თუნდაც ღვინის მთელ ტბორთან შედარებით რამდენად მშვენიერია ვენახი, საჭმელად უვარგის, უხეშ მიწასთან და ხისგან გამოთლილი ჭიგოების თვალუწვდენელ რიგებთან ერთად. „ერთი სიტყვით, სამყარო, – ფიქრობდა ულრიხი, – რომელიც თეორიის საამებლად კი არა, არამედ... – უნდოდა, ეთქვა, „რაღაც ძალის გავლენით შეიქმნაო“, მაგრამ ამ დროს მის ცნობიერებაში რაღაც სიტყვა

შეიჭრა და აზრი ამგვარად დაასრულა: – სიყვარულისა და ძალის ზემოქმედებით შეიქმნა და ამ ორს შორის ჩვეული კავშირი ყალბია!“.

იმწუთას სიყვარული და ძალა ულრიხისთვის კვლავ უჩვეულო ცნებებად იქცა. ყველაფერი, რაც მასში ბოროტებისა და სიმკაცრისკენ იყო მიდრეკილი, სიტყვა „ძალაში“ მოქცეულიყო. ეს სიტყვა სკეპტიკური, მიზანშეწონილი და ფხიზელი ქცევის სათავეს ნიშნავდა. პროფესიის არჩევაშიც ხომ რაღაც დაუნდობელი სისასტიკე მონაწილეობდა; არც მათემატიკოსი გამხდარა ამ ზრახვების გარეშე. ეს ყველაფერი ისე იყო დაკავშირებული, როგორც ხის ხშირი ფოთლები ერთმანეთთან, თავად ხის ტანს რომ ფარავენ. როცა სიყვარულზე ლაპარაკის დროს მხოლოდ მის ჩვეულებრივ მნიშვნელობას კი არ გულისხმობ, არამედ ამ სიტყვის წარმოთქმისას იმ მდგომარეობას ელტვი, სხეულის თითოეულ ატომს სულ სხვაგვარად რომ განმსჭვალავს, ვიდრე უსიყვარულობა, როცა იმ შთაბეჭდილების ქვეშ ხარ, რომ სულ ერთი და იგივე ხდება, რადგან ცხოვრება აუტანლად ტრაბახაა და გაუთავებლად თავი მოაქვს თავისი „ახლა“ და „აქ“-ით, საბოლოო ჯამში კი გაურკვეველი და აბსოლუტურად არარეალურია, ათობით კულინარულ ფორმაში იღვრება და ცხოვრებაც სწორედ იმათგან შედგება, რომ ყველა იმ წრეს, რომელშიც ტრიალებ, რაღაც ნაწილი აკლია, ხოლო ჩვენ მიერ აგებულ არც ერთ სისტემას სიმშვიდის იდუმალება არ გააჩნია, მაშინ ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით სხვადასხვა, ერთმანეთს ხის იმ ტოტებივით უკავშირდება, ხის ტანს ყოველი მხრიდან რომ ფარავენ.

მისი ცხოვრება ამ ორივე ხეზე ცალ-ცალკე იზრდებოდა. ვერ გეტყოდათ, როდიდან განაგებდა მის ცხოვრებას ეს ხშირფოთლიანი ხის ნიშანი. ეს ადრე მოხდა, რადგან ჯერ კიდევ მისმა უმწიფარმა, ნაპოლეონისეულმა გეგმებმა ის ადამიანი გამოავლინა, რომელიც ცხოვრებას ისე უყურებს, როგორც ამოცანას, მისიას. მისი სწრაფვა – იერიში მიეტანა ცხოვრებაზე და დაუფლებოდა მას, ყოველთვის საცნაური იყო, იქნებოდა ეს არსებული წესრიგის უარყოფა თუ ახალი წესრიგისკენ ლტოლვა, რაღაც ლოგიკური და მორალური თუ უბრალოდ, სხეულის ათლეტური წვრთნის მოთხოვნილება. ყველაფერს, რასაც ულრიხმა დროთა განმავლობაში, პედანტური სიზუსტისგან განსხვავებით, ესეიზმი და

შესაძლებლობის ფანტასტიკური გრძნობა უწოდა; მის მოთხოვნებს, რომ ადამიანმა ისტორია უნდა გამოიგონოს, იდეათა ისტორიით და არა მსოფლიო ისტორიით იცხოვროს; დაეუფლოს იმას, რის ბოლომდე განხორციელებაც შეუძლებელია, საბოლოოდ კი, ისე იცხოვროს, თითქოს ადამიანი კი არა, წიგნის პერსონაჟი იყოს, და გათავისუფლდეს ყოველგვარი არაარსებითისგან, რათა სხვა დანარჩენი მაგიურად გაერთიანდეს; მის აზრებს, უჩვეულო სიმწვავით რეალობისადმი მტრული ფორმები რომ მიეღო, ერთი საერთო ნიშანი ჰქონდა – დაუცხრომელი, შეუდრეკელი სწრაფვა, რეალობაზე გავლენა მოეხდინა.

მეორე ხეზე კავშირების გარჩევა უფრო ძნელი იყო, რადგან ისინი უფრო აჩრდილსა და ზმანებას მოგაგონებდათ. მის ცხოვრებასაც ამ ხის ხატება მიეღო. ცხოვრებასთან ბავშვურ დამოკიდებულებაზე, თავდადებასა და ერთგულებაზე ადრეული მოგონებები მის საფუძველს ქმნიდა. ეს ცხოვრება იმ წარმოდგენებში აგრძელებდა არსებობას, რომ ოდესღაც ვრცელი დედამიწა გინახავს, რომელიც, ჩვეულებრივ, პატარა ქოთანში ეტევა, საიდანაც მორალის უბადრუკი მორჩი ამოიზრდება. სამწუხაროდ, მაიორის ცოლთან ცოტა არ იყოს სასაცილო ისტორია, უდავოდ განვითარების ერთადერთი მცდელობა იყო, მისი არსების რბილ, ჩრდილოვან მხარეზე რომ გაჩენილიყო. ამასთან ეს იმ დაღმასვლის დასაწყისად იქცა, რომელიც აღარ მთავრდებოდა. მას შემდეგ ამ ხის ფოთლები თუ ტოტები მხოლოდ ზედაპირზე თუ ირხეოდა და მხოლოდ ამით თუ მიხვდებოდით, რომ ხე არსებობას აგრძელებდა, თუმცა თავად ხე გაუჩინარებულიყო. ულრიხის არსების უმოქმედო ნაწილი ყველაზე ცხადად უნებლიე დარწმუნებულობაში ვლინდებოდა, რომ მოქმედი და ენერგიული ნაწილი მხოლოდ დროებით იყო სასარგებლო და ეს მოსაზრება ამ მოქმედ ნაწილს ჩრდილავდა. რაც უნდა მოემოქმედა – ფიზიკური ვნებით იქნებოდა ეს გამოწვეული თუ სულიერით – საბოლოოდ თავს მზადების ტყვედ მიიჩნევდა, ამ ტყვეობას კი დასასრული არ უჩანდა. ამიტომ დროთა განმავლობაში აუცილებლობის გრძნობა მის ცხოვრებაში ისე გამოილია, როგორც ნავთი – ლამპაში. მისი განვითარება აშკარად ორი გზით წარიმართა. ერთი გზა ხილული გახლდათ, მეორე კი ბნელში იმალებოდა, და მორალური სიძაბუნე, რომელიც, ალბათ, იმაზე მეტად

თრგუნავდა, ვიდრე საჭირო იყო, იმას გამოეწვია, რომ ამ ორი გზის გაერთიანება ვერასდროს შეძლო.

გაახსენდა, რომ ამ ორი გზის ვერდაკავშირება ბოლოს ლიტერატურასა და რეალობას, მეტაფორასა და სიმართლეს შორის დაძაბულ ურთიერთობად წარმოუდგა და უეცრად მიხვდა, რომ ამ ყველაფერს გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე უმიზნო გზებივით ჩახლართული საუბრის დროს შემთხვევით აზრს. ასეთ საუბრებს კი ის ბოლო დროს სრულიად შეუსაბამო ადამიანებთან აბამდა. კაცობრიობის ისტორიაში ცხოვრებისადმი ორგვარი დამოკიდებულება შეიმჩნევა: მეტაფორული და ერთმნიშვნელოვანი. ერთმნიშვნელოვნება ფხიზელი აზროვნებისა და მოქმედების კანონია, რომელიც ერთნაირად მოქმედებს უტყუარ ლოგიკურ დასკვნებსა და შანტაჟისტის ტვინში, და მსხვერპლს ნაბიჯ-ნაბიჯ იმწყვდევს კუთხეში. ის ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებიდან იღებს სათავეს, რომელიც დაღუპვის პირამდე მიგვიყვანდა, მოვლენებისთვის ერთმნიშვნელოვანი სახის მინიჭება რომ არ შეიძლებოდეს. მეტაფორა კი, პირიქით, იმ წარმოდგენათა კავშირია, მხოლოდ სიზმარში რომ მეფობს. მეტაფორა სულის ორაზროვანი ლოგიკაა, ხელოვნებასა და რელიგიაში საგანთა ნათესაობის შესატყვისია, მაგრამ ცხოვრებაში არსებულ სიმპათიას და ანტიპათიას, თანხმობას და უარყოფას, აღფრთოვანებას, მორჩილებას, მეთაურობას, მიბაძვას და მათ საპირისპირო გამოვლინებებს, ადამიანის საკუთარ თავთან და ბუნებასთან დამოკიდებულების მრავალსახეობას, რომელიც წმინდად ობიექტური არასდროს ყოფილა და ალბათ, არც არასდროს იქნება, მხოლოდ მეტაფორით თუ გავიგებთ. ჰუმანიზმი სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრების ორი უზარმაზარი ნაწილის – მეტაფორისა და სიმართლის – გამთლიანება, რომელსაც თავიდან ფრთხილად აცალკევებენ. როცა მეტაფორაში ენობრივი ქაფისგან იმ ყველაფერს აცალკევებენ, რაც, შესაძლოა, სიმართლე იყოს, როგორც წესი, ცოტა სიმართლე გვრჩება, მეტაფორის მნიშვნელობა კი სრულიად ნადგურდება. ამიტომ სულიერი განვითარების გზაზე ასეთი გამოყოფა, შესაძლოა, გარდაუვალი იყო, მაგრამ მან ისეთი ზემოქმედება იქონია, როგორიც ნივთიერების ხარშვამ და შესქელებამ, რომლის შინაგანი ძალებიც და წვენიც ამ პროცესის დროს ორთქლად ქცეული ღრუბლებივით მიფრინავს. ძნელია, იმ შთაბეჭდილებას

დააღწიო თავი, რომ მორალური ცხოვრების ცნებები და წესები მხოლოდ გამოხარშული მეტაფორებია, რომლებსაც გარშემო სამზარეულოს აუტანლად ცხიმიანი ორთქლი შემოჯარვია. თუ თემიდან გადახვევა მკრეხელობად არ ჩაითვლება, მაშინ გეტყვით, რომ ამ შთაბეჭდილების შედეგი ისიც გახლავთ, რისთვისაც ჩვენს ეპოქას სახელად სიმდაბლისადმი მოწიწება უნდა დაერქმია. დღეს სისუსტის გამო კი არ ტყუიან, მიზეზი უფრო იმ დარწმუნებულობაშია, რომლის თანახმადაც, ადამიანს, ცხოვრებას ოსტატურად რომ ართმევს თავს, ტყუილის თქმა უნდა შეეძლოს. ადამიანი მოძალადეა, რადგან ხანგრძლივი, ფუჭი ლაყბობის შემდეგ ძალადობის ერთმნიშვნელოვნება ხსნად ევლინება. ისინი ჯგუფებად ერთიანდებიან, რადგან მორჩილება იმის ნებას რთავს, რის ჩადენის უნარიც, საკუთარი მოსაზრებით, დიდი ხანია, აღარ აქვთ; ამ ჯგუფების მტრობა კი მათ სისხლიანი შურისძიების უნარს ანიჭებს, მაშინ, როცა სიყვარულს მალევე ჩაეძინებოდა. კითხვასთან, ადამიანი კეთილია თუ ბოროტი, ამას გაცილებით ნაკლები კავშირი აქვს, ვიდრე იმასთან, რომ ადამიანმა მაღალთან და მდაბალთან კავშირი გაწყვიტა. ამ განხეთქილების წინააღმდეგობრივი შედეგი გადაპრანჭული სულიერი სამკაულიცაა, რითაც სულისადმი უნდობლობაც იკაზმება; საყოველთაო მანია, ყოველი თვალსაზრისი პოზიციად აქციონ და ყოველი პოზიცია თვალსაზრისად; ყველა ჯურის თავგამოდებული ქომაგის მოთხოვნილება, სარკეებიანი დარბაზივით გაამრავლოს ირგვლივ ის ერთადერთი სიბრძნე, წილად რომ ერგო. ყველა ეს საქვეყნოდ გავრცელებული მოვლენა ჰუმანიზმისკენ სწრაფვას კი არა, სწორედ მის კლებას ნიშნავს. საბოლოო ჯამში იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადამიანთა ურთიერთობებიდან, პირველ რიგში, კვლავ სული უნდა განვდევნოთ, რადგან მისი ადგილი იქ არ არის. იმწუთას, როცა ულრიხი ამას ფიქრობდა, იგრძნო, რომ მისი ცხოვრების ერთადერთი აზრი – თუ მას საერთოდ აზრი გააჩნდა – სწორედ ეს იყო; მიხვდა, რომ ადამიანური არსებობის ეს ორივე უმთავრესი სფერო მასში ცალ-ცალკე ვლინდებოდა და ერთმანეთს უპირისპირდებოდა. ასეთი ადამიანები მართლაც იბადებიან დღეს, მაგრამ ისინი ჯერ მარტონი არიან. მას კი არ შეეძლო, მარტოდმარტოს კვლავ აეწყო ის, რაც დაირღვა. საკუთარ აზრთა ექსპერიმენტების ღირებულებასთან დაკავშირებით ილუზიები არ ჰქონდა. თუმცა მათ ლოგიკური თანმიმდევრობის გარეშე აზრი აზრზე არასდროს მოურგიათ,

მაგრამ მაინც ისე ხდებოდა, თითქოს კიბეს კიბეზე ადგამდნენ და კიბის ბოლო ბუნებრივი ცხოვრებისგან სადღაც თვალმიუწვდენელ სიშორეზე ქანაობდა. ულრიხმა ზიზღი იგრძნო.

შესაძლოა, ამის გამო შეხედა უცბად ტუცის. ტუცი ლაპარაკობდა. თითქოს დილის პირველ ხმებს აყურადებსო, ისე მოესმა ის, რაც მან თქვა: – არ გამოვდგები იმის მსაჯულად, არსებობს თუ არა დღეს ადამიანური და შემოქმედებითი დიდი მიღწევები, როგორც თქვენ ბრძანეთ. მაგრამ გავბედავ და ერთს ვიტყვი: საგარეო პოლიტიკა არსად არ არის ისე რთული, როგორც ჩვენთან. გარკვეულწილად შეიძლება იმის განჭვრეტა, რომ საიუბილეო წელსაც ფრანგების პოლიტიკას რევანშისა და კოლონიური მფლობელობის აზრი წარმართავს; ინგლისელებს – მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე თამაში, როგორც მოქმედების მათ მანერას უწოდებენ; გერმანელების პოლიტიკას კი – ის, რასაც ისინი ხშირად ორაზროვნად ცისქვეშეთში საკუთარ ადგილს არქმევენ. ჩვენს ძველ მონარქიას კი მოთხოვნილებები არ აქვს და ამიტომ წინასწარ არავინ იცის, თავს რა კონცეფციას მოგახვევენ.

ჩანდა, რომ ტუცის მათი დამუხრუჭება და გაფრთხილება უნდოდა. ის ირონიული ქვეტექსტის გარეშე ლაპარაკობდა. ირონიის სუნი მხოლოდ მის გულუბრყვილოდ საქმიან ტონს ასდიოდა, რომლის გამომშრალი ქერქითაც ის მსმენელს თავის მოსაზრებას სთავაზობდა იმის შესახებ, რომ მიწიერი მოთხოვნილებების არქონა დიდ საფრთხეს ქმნიდა. ულრიხი გამოფხიზლდა, თითქოს ყავის მარცვალი გაეკვნიტა. ამასობაში ტუცი კიდევ უფრო დარწმუნდა თავისი განზრახვის სისწორეში – გაეფრთხილებინა დანარჩენები და სათქმელი შემდეგნაირად დაასრულა: – ვინ გაბედავდა დღეს, – იკითხა მან, – დიდი პოლიტიკური იდეების განხორციელებას, ბოროტმოქმედისა და გაკოტრებული მევალეს გარდა? თქვენ ხომ ეს არ გინდათ? დიპლომატია სწორედ დასაკონსერვებლად არის საჭირო.

– დაკონსერვება ომამდე მიგვიყვანს, – შეეკამათა არნჰაიმი.

– შესაძლოა, – უპასუხა ტუციმ. – ალბათ, ეს ერთადერთია, რის გაკეთებაც შეგვიძლია: ხელსაყრელი მომენტი შევარჩიოთ და იძულებით ომში ჩავერთოთ! ალექსანდრე II-ის ისტორია ხომ გახსოვთ. მამამისი – ნიკოლოზი – დესპოტი იყო, მაგრამ

ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა; ალექსანდრე კი, პირიქით, დიდსულოვანი მონარქი გახლდათ და მმართველობა ლიბერალური რეფორმების გატარებით დაიწყო. შედეგად რუსული ლიბერალიზმისგან რუსული რადიკალიზმი მივიღეთ, ალექსანდრე კი მასზე თავდასხმის სამი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მეოთხემ იმსხვერპლა.

ულრიხმა დიოთიმას შეხედა. დიდებული და სერიოზული დიოთიმა წელში გამართული იჯდა, ქმარს ყურადღებით უსმენდა და ნათქვამს უდასტურებდა: – სწორია. ინტელექტუალური რადიკალიზმის გამოცდილება მთელი ამ ხნის მანძილზე მეც მივიღე. საკმარისია, მას თითი გაუწოდო და ხელს მოგაჭამს.

ტუცის გაეღიმა. მოეჩვენა, რომ არნჰაიმზე პატარა გამარჯვება მოიპოვა.

არნჰაიმი გაუნძრევლად იჯდა. ტუჩები გამსკდარი კვირტივით გახსნოდა და მშვიდად სუნთქავდა. საკუთარი სხეულის ციხე-დარბაზში შეკეტილი დიოთიმა დაბლობს დაჰყურებდა.

გენერალი რქის ჩარჩოიან სათვალეს წმენდდა.

ულრიხმა ნელა თქვა: – ეს იმიტომ, რომ ყველას მცდელობას, ვინც საკუთარ თავში გრძნობს მოწოდებას, სიცოცხლის აზრი აღადგინოს, ერთი საერთო ნიშანი ახასიათებს: ისინი ამრეზით უყურებენ აზროვნებას მაშინ, როცა პირადი შეხედულების შექმნა კი არა, ჭეშმარიტების მოპოვებაა საჭირო. ამიტომ იქ, სადაც სწორედ შეხედულებათა სიუხვეა საჭირო, ნახევარ სიმართლეს და ნაჩქარევ იდეებს ამჯობინებენ.

პასუხი არავის გაუცია. იყო კი საჭირო პასუხი? ასეთი ლაპარაკი ხომ ლიტონი სიტყვებია. ფაქტი ის გახლდათ, რომ აქ, ამ ოთახში, ექვსი ადამიანი იჯდა და მეტად მნიშვნელოვან თემებზე საუბრობდა. რასაც ისინი ამბობდნენ ან არ ამბობდნენ, მით უმეტეს გრძნობები, ვარაუდები, შესაძლებლობები, თავად ამ ფაქტში იყო მომწყვდეული სწორედ ისე, როგორც თირკმლის ან კუჭის მოძრაობებია ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანში მოქცეული, როცა ის რაღაც მნიშვნელოვან საბუთს აწერს ხელს. ამ სუბორდინაციის დარღვევა არ შეიძლებოდა და სინამდვილეც ეს იყო!

შტუმმა სათვალე გაწმინდა, გაიკეთა და მას შეხედა.

ულრიხი ყოველთვის ფიქრობდა, რომ ამ ადამიანებთან ერთობოდა, მაგრამ ახლა თავი მაინც მარტოსულად იგრძნო. გაახსენდა, რომ რამდენიმე კვირის თუ თვის წინ სწორედ ასეთი გრძნობა დაეუფლა: სამყაროს მსუბუქი ამონასუნთქი წინააღმდეგობას უწევდა მთვარის გაქვავებულ პეიზაჟს, სადაც ულრიხი მოხვედრილიყო. მოეჩვენა, რომ ცხოვრების გადამწყვეტ წუთებში გაოცებისა და მარტოობის შთაბეჭდილება თან სდევდა. ნუთუ ამჯერად შიში იყო, მოსვენებას რომ უკარგავდა? საკუთარ გრძნობებში ვერ გარკვეულიყო. გრძობები გარნახობდა, რომ გადაწყვეტილება ნამდვილად არასდროს მიეღო და ამის დროც მალე უნდა დამდგარიყო. ამაზე არ ფიქრობდა, უბრალოდ გრძნობდა, თითქოს უხილავ ძალას ამ ადამიანებისგან მისი მოშორება, მოგლეჯა უნდოდა. და თუმცა მათ მიმართ გულგრილი იყო, ამ ძალას მისი ნება მაინც შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა.

გრაფ ლაინსდორფს ჩამოწოლილმა სიჩუმემ რეალისტი პოლიტიკოსის მოვალეობა შეახსენა და გამაფრთხილებელი ტონით თქვა: – მოკლედ, როგორ მოვიქცეთ? დროებით მაინც რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, რომ აქციას საფრთხე ავარიდოთ.

ულრიხმა უცნაური ექსპერიმენტი მოინდომა: – თქვენო ბრწყინვალებავ, – თქვა მან, – პარალელური აქციის წინაშე ერთადერთი ამოცანა დგას – სათავე დაედოს სულიერი ქონების გენერალურ ინვენტარიზაციას! დაახლოებით ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც აუცილებელი იქნებოდა, 1918 წელს განკითხვის დღე რომ იწყებოდეს, ძველი მთავრდებოდეს და ახალი, დიდი სულიერების ერა დგებოდეს. დააარსეთ მისი უდიდებულესობის სახელით სიზუსტისა და სულის მიწიერი გენერალური სამდივნო! აქამდე გადაუჭრელი ყველა პრობლემა მოჩვენებითი და ყალბია! – ამ ნათქვამს ულრიხმა ისიც დაამატა, რაზეც ცოტა ხნის წინ განცალკევებით ფიქრობდა.

მოეჩვენა, რომ გაოგნებულ მსმენელებს თვალები შუბლზე აუვიდათ და მათი სხეულებიც სკამს მოსწყდა და ჰაერში აიწია. ელოდნენ, რომ ამ ნათქვამს რაღაც ანეკდოტსაც მოაყოლებდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ულრიხი იმ ბავშვს დაემსგავსა, გადახრილ კოშკებს შორის რომ ზის სათამაშოდ, ეს ადამიანები კი მის მიამიტურ გართობას განაწყენებულები დაჰყურებენ. მხოლოდ გრაფმა ლაინსდორფმა მიიღო თავაზიანი სახე.

– სავსებით სამართლიანია, – თქვა მან გაკვირვებით, – მაგრამ ჩვენი მოვალეობაა, მინიშნებებით ლაპარაკს თავი დავანებოთ და რაღაც ჭეშმარიტი მოვძებნოთ. საკუთრებამ და განათლებამ ბედის ანაბარა მიგვატოვა!

არნჰაიმმა თავი ვალდებულად ჩათვალა, გაეფრთხილებინა ეს არისტოკრატი, რომ ულრიხის ხუმრობა სერიოზულად არ მიეღო.

– ჩვენს მეგობარს ერთი იდეა არ ასვენებს. სჯერა, რომ ნამდვილი ცხოვრების შექმნა სინთეზური გზითაა შესაძლებელი, სინთეზური კაუჩუკის და სინთეზური აზოტის მსგავსად. ადამიანის სული კი, – მიუბრუნდა იგი ულრიხს რაინდული ღიმილით, – შეზღუდულია და საცდელი ვირთხებივით ლაბორატორიაში ვერ მოვაშენებთ. თაგვების რამდენიმე ოჯახსაც კი ძლივს ჰყოფნის ერთი დიდი ბეღელი.

მართალია, არნჰაიმმა ბოდიში მოიხადა ასეთი თამამი შედარებისთვის, მაგრამ ფრიად კმაყოფილიც დარჩა გრაფი ლაინსდორფისთვის შესაფერისი აგრარულ-მემამულური შედარებით, თან უპასუხისმგებლო და პასუხისმგებლობით სავსე მოსაზრებებს შორის სხვაობაც ცხადად გამოხატა.

მისმა ბრწყინვალებამ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი.

– მშვენივრად მესმის დოქტორის, – თქვა მან. – წინათ ადამიანები იმ პირობებზე იყვნენ მორგებულნი, რომელშიც ცხოვრება უწევდათ და ეს საკუთარი თავის დამკვიდრების საიმედო მეთოდიც იყო. დღეს, როცა ყველაფერი არეულ-დარეული და ნიადაგგამოცლილია, რატომ არ უნდა შევცვალოთ, ასე ვთქვათ, სულების შესაქმნელად კუსტარული ხელოსნური შრომა ფაბრიკული ხრიკებით?!

ეს ერთ-ერთი ის ყურადსაღები პასუხი იყო, რომლითაც კეთილშობილი ბატონი დროდადრო მსმენელს აოცებდა ხოლმე. მთელი ამ დროის მანძილზე, სანამ ამას იტყოდა, ულრიხს გაოგნებული მიშტერებოდა.

– რასაც დოქტორი ამბობს, განუხორციელებელია! – განსაკუთრებული შეუპოვრობით დაასკვნა არნჰაიმმა.

– არა, რატომ, სულაც არა! – უპასუხა გრაფმა ლაინსდორფმა მოკლედ და საბრძოლო ჟინით.

დიოთიმა არნჰაიმს გამოექომაგა: – თქვენო ბრწყინვალებავ, – თქვა მან, თითქოს რაღაც ისეთის თხოვნას აპირებდა, რის სათქმელადაც ენა არ მოუტრიალდებოდა (ანუ გრაფისთვის გონიერებისკენ მოეხმო), – ეს ყველაფერი, რასაც ულრიხი ამბობს, დიდი ხნის წინ ვცადეთ! აბა სხვას რას ნიშნავს მთელი ეს დამღლელი, დღევანდელივით ხანგრძლივი სხდომები?

– მართლა? – უპასუხა გაღიზიანებულმა გრაფმა. – თავიდანვე ვიცოდი, რომ ამ ბრძენკაცებს არაფერი გამოუვიდოდათ! ფსიქოანალიზი და ფარდობითობის თეორია, თუ რა ვიცი, კიდევ რას ეძახიან, თავის მოსაწონებლად სჭირდებათ! ყველას თავის ჭკუაზე უნდა ქვეყნიერების გადაკეთება. იცით, რას გეტყვით, ბატონმა დოქტორმა, შესაძლოა, მთლად უნაკლოდ ვერ გამოთქვა სათქმელი, მაგრამ, არსებითად, მართალია! როგორც კი ახალი ეპოქა დგება, რაღაც ახლის კეთებას იწყებენ, მაგრამ სასიკეთო აქედან არაფერი გამოდის.

პარალელური აქციის მარცხმა ყველა დაძაბა. გაღიზიანებული გრაფი ლაინსდორფი ულვაშს აღარ იგრეხდა და ახლა ისე, რომ თვითონაც ვერ ამჩნევდა, ცერა თითს მეორე ცერა თითის გარშემო ატრიალებდა. იქნებ ეს არნჰაიმისადმი ზიზღი იყო. როცა ულრიხმა სულზე დაიწყო ლაპარაკი, გრაფი ლაინსდორფი გაოცებული შეჰყურებდა, შემდეგ მისი აზრები მოეწონა კიდეც. „როცა არნჰაიმისნაირი ადამიანები ამაზე ამდენს ლაპარაკობენ, – ფიქრობდა გრაფი, – სისულელის მეტი არაფერი გამოდის, ამისთვის რელიგია არსებობს“. არნჰაიმს მღელვარებისგან ტუჩებიც კი გაუთეთრდა. აქამდე ამ ტონით გრაფი ლაინსდორფი მხოლოდ გენერალს ელაპარაკებოდა. არნჰაიმი ის ადამიანი არ იყო, ვინც ვინმეს ამის ნებას მისცემდა! გრაფი ლაინსდორფის შეუპოვრობამ, როცა მან ულრიხის მხარე დაიჭირა, მასზე უნებურად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მტკივნეული გრძნობები გამოუღვიძა, რასაც იგი ულრიხის მიმართ განიცდიდა. თავი უხერხულად იგრძნო. უნდოდა, ულრიხთან რაღაც საკითხებზე ემსჯელა. ამის შესაძლებლობა კი აქამდე არ მისცემია და ახლა ყველას თვალწინ წაკინკლავდნენ. სწორედ ამიტომ გრაფი ლაინსდორფისკენ არც გაუხედავს და ულრიხს მიმართა. დაძაბულობა მთელ მის სხეულს ეტყობოდა, რასაც სხვებისგან, საზოგადოდ, საგულდაგულოდ მალავდა ხოლმე.

– ნუთუ მართლა გჯერათ იმის, რაც თქვით? – ჰკითხა მკაცრად

და იოტისოდენადაც არ უცდია, თავაზიანობა შეენარჩუნებინა. – გჯერათ, რომ ამის განხორციელება შესაძლებელია? ფიქრობთ, რომ მხოლოდ „ანალოგიის კანონებით“ ცხოვრება რეალურია? როგორ მოიქცეოდით, მის ბრწყინვალებას თავისუფალი მოქმედების ნება რომ მოეცა? გთხოვთ, მიპასუხოთ!

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. დიოთიმას, თავისდა გასაოცრად, რამდენიმე დღის წინ გაზეთში წაკითხული ისტორია გაახსენდა. ვიღაც ქალს სასტიკი განაჩენი გამოუტანეს, რადგან საყვარელს მოხუცი ქმარი მოაკვლევინა, რომელთანაც ცოლქმრულ სარეცელს, დიდი ხანი იყო, აღარ იზიარებდა, მაგრამ ქმარი განქორწინების უფლებას მაინც არ აძლევდა. ამ შემთხვევამ მისი ყურადღება სამედიცინო დეტალებით და რაღაც ანტაგონისტური მიმზიდველობით მიიპყრო. შექმნილი ვითარება იმდენად გასაგებს ხდიდა ყველაფერს, რომ ამ დრამის მონაწილეებს კი ვერ დაადანაშაულებდით, საკუთარი თავის გადასარჩენად ესოდენ შეზღუდული შესაძლებლობები რომ ჰქონდათ, არამედ იმ არაბუნებრივ სამყაროს, რომელიც ასეთ სიტუაციებს ბადებდა. ვერ ხვდებოდა, ეს ისტორია სწორედ ახლა რატომ გაახსენდა. ისიც გაიფიქრა, რომ ულრიხი ბოლო დროს „მერყევ“ და „საეჭვო“ თემებზე ელაპარაკებოდა და მათ ყოველთვის რაღაც კადნიერს უკავშირებდა. თვითონაც ხომ ამბობდა: რჩეული ადამიანის სულს არაარსებითისგან გამიჯვნის უნარი შესწევს. ალბათ, ამიტომ აკლდა ულრიხს მასავით საკუთარი თავის რწმენა და მისი მგზნებარების მიზეზიც, ალბათ, ეს იყო. მის თავსა და გულში, გრაფ ლაინსდორფთან მეგობრობისთვის ადგილი რომ აღარ მოიძებნებოდა, ეს ყველაფერი განკიცხული ქალის ისტორიას ისე გადაეჯაჭვა, რომ ოდნავ ბაგეშეხსნილი დიოთიმა ისეთი გრძნობით იჯდა, თითქოს რაღაც შემზარავი უნდა მომხდარიყო, სულერთია, არნჰაიმს და ულრიხს ნებაზე მიუშვებდნენ თუ ვინმე ჩაერეოდა.

როცა არნჰაიმი თავს დაესხა, ულრიხი განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის უყურებდა. შავგვრემანი სახის ნაოჭებში ტუცი ცნობისმოყვარეობას ძლივს მალავდა. „ესეც ასე!“ – ფიქრობდა ის. ამ დავიდარაბასაც მის სახლში ბოლო ეღებოდა. არც ულრიხს თანაუგრძნობდა, რადგან მისი აზრები ტუცის ბუნებას სრულიად ეწინააღმდეგებოდა. დარწმუნებული იყო, რომ ადამიანის ღირებულებას მისი ნება და საქმიანობა წარმოადგენს და არა გრძნობები და მოსაზრებები.

მეტაფორებზე ეს სულელური შეხედულებები ხომ, მისი აზრით, უბრალოდ, უზნეობა იყო. იქნებ ულრიხიც გრძნობდა რაღაცას, რადგან გაახსენდა, რომ ერთხელ ტუცის გამოუცხადა, თავს მოვიკლავ, ცხოვრებიდან შვებულებაში გასვლამ უშედეგოდ რომ ჩაიაროსო. ზუსტად ამ სიტყვებით არ უთქვამს, მაგრამ ეს აზრი ცხადად გამოთქვა და ახლა ამის რცხვენოდა. ისევ იმ უსაფუძვლო გრძნობამ მოიცვა, რომ რაღაც გადაწყვეტილების მიღებასთან ახლოს იყო. გერდა ფიშელი გაახსენდა და ის საფრთხეც დაინახა, რომ გერდა მასთან მივიდოდა და ბოლო საუბარს გააგრძელებდნენ. უცბად, ისიც ცხადად დაინახა, რომ ორივენი სიტყვათა იმ მიჯნამდე მისულიყვნენ, საიდანაც მხოლოდ ერთი ნაბიჯი რჩებოდა და შემდეგ ამ გოგოს მერყევ სურვილებს დანებდებოდა, ინტელექტუალურად აღვირს აიხსნიდნენ და „სიმაგრის მეორე ზღუდეს“ გადალახავდნენ. ნამდვილი სიგიჟე იყო. იცოდა, რომ გერდასთან ასე შორს ვერ შეტოპავდა. საერთოდაც, მასთან ურთიერთობის მიზეზი ის იყო, რომ მის გვერდით ფეხქვეშ მყარ ნიადაგს გრძნობდა. გაღიზიანებულს და თან ამაღლებულ განწყობაზე მყოფს, გონების სიფრთხილე ერთხელაც არ მოსდუნებია; არნჰაიმის აღელვებულ სახეს ხედავდა, მისი ხმაც ცხადად ესმოდა, რომელიც „რეალური შეხედულებების“ არქონას საყვედურობდა და ეუბნებოდა, თქვენი უკიდურესი „ან – ან“ ბავშვობაა. ულრიხმა პასუხის გაცემა არ მოინდომა. საათს დახედა, შემრიგებლურად გაიღიმა და განაცხადა, რომ კამათისთვის მეტისმეტად გვიანი იყო.

ასე აღადგინა ამდენი ხნის დუმილის შემდეგ ულრიხმა კონტაქტი დანარჩენებთან. განყოფილების ხელმძღვანელი ტუცი წამოდგა კიდეც, მოსაჩვენებლად რაღაც წამოიწყო და ამით ულრიხის უტაქტობის ოდნავ გამოსწორება შეძლო. ამასობაში გრაფი ლაინსდორფიც დამშვიდდა. დიდად გაიხარებდა, თუ ულრიხი ამ „პრუსიელს“ ხმას ჩააკმენდინებდა, მაგრამ იმითაც კმაყოფილი დარჩა, რომ ასე არ მოხდა. „როცა ვინმე მოგწონს, უბრალოდ მოგწონს და სხვა არაფერი! – ფიქრობდა ის. – ილაპარაკონ სხვებმა ჭკვიანურად, მერე რა!“. გრაფი ულრიხის იმწუთას არცთუ ჭკვიანურ გამომეტყველებას უყურებდა და ფიქრობდა: „სასიამოვნო, სიმპათიური ადამიანი სისულელეს არც იტყვის და არც გააკეთებს“.

სტუმრები სწრაფად წამოიშალნენ. გენერალმა რქის ჩარჩოიან

სათვალეს შარვლის იმ ჯიბეში მიუჩინა ადგილი, სადაც რევოლვერს ინახავდა ხოლმე, რადგან სიბრძნის ამ სამოქალაქო ინსტრუმენტისთვის შესაფერისი ადგილი ვერა და ვერ გამოძებნა.

– იდეების შეიარაღებული ზავი! – კმაყოფილმა თანამზრახველის სახით განუცხადა ტუცის, რითაც საუბრის ნაჩქარევ და მშვიდობიან დასასრულზეც გადაუკრა სიტყვა.

მხოლოდ გრაფი ლაინსდორფი ცდილობდა წამოშლილი სტუმრების შეჩერებას.

– ესე იგი, საბოლოოდ რაზე შევთანხმდით? – იკითხა მან და როცა პასუხი ვერ მიიღო, დამამშვიდებლად დაამატა: – კარგი, ბოლოს და ბოლოს გამოჩნდება!

117. რახელის შავი დღე

მამაკაცური გრძნობების გამოღვიძებამ და გადაწყვეტილებამ, ეცდუნებინა რახელი, სოლიმანი ისეთივე ცივსისხლიანი გახადა, როგორიც მონადირე ხდება ხოლმე, ნადირს რომ ხედავს, ანდა ყასაბი – სასაკლაოზე გარეკილი პირუტყვის დანახვისას. სოლიმანმა არ იცოდა, მიზნისთვის როგორ მიეღწია, როგორ მოქცეულიყო და თავიანთი ერთად ყოფნისთვის აუცილებელი გარემოებანი როგორ შეექმნა. ერთი სიტყვით, მამაკაცურმა ნებამ მას ბიჭის მთელი სისუსტე აგრძნობინა. რახელმაც იცოდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო და ბონადეასთან დაკავშირებული ავანტიურისა და ულრიხის ხელის საკუთარ ხელში დიდი ხნით გაჩერების შემდეგ, ასე ვთქვათ, ეროტიკულ დაბნეულობას შეეპყრო, რომელიც სოლიმანსაც ისე დასდიოდა, როგორც ყვავილებს წვიმა. მაგრამ, გარემოებანი მათ არ სწყალობდათ და ამიტომ მოსახდენიც ჭიანურდებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ მზარეული გოგო ავად გახდა და რახელს დასვენების დღეები მსხვერპლად უნდა გაეღო; თან სტუმრებისთვის გამართული მიღებებიც დიდ საქმეს უჩენდა. მართალია, არნჰაიმი ხშირად სტუმრობდა დიოთიმას, მაგრამ სოლიმანი თან იშვიათად მოჰყავდა, რადგან, როგორც ჩანს, მას და დიოთიმას გადაეწყვიტათ, სოლიმანისა და რახელისთვის მეტი ყურადღება მიექციათ. და თუ სოლიმანი ბატონს თან ახლდა, ის და რახელი მხოლოდ ხუთი წუთით ხვდებოდნენ ერთმანეთს და ისიც თავ-თავიანთი ბატონების თანდასწრებით, რაც აიძულებდათ,

მიამიტი და პირქუში გამომეტყველება მიეღოთ.

ასეთ დროს ერთმანეთზე ბრაზობდნენ, რადგან ერთი მეორეს აგრძნობინებდა, რა სატანჯველია, როცა მეტისმეტად პატარა ჯაჭვით ხარ დაბმული. მოუთმენლობა სოლიმანს ამ ამბის ძალისმიერი მეთოდებით დასრულებისკენ აქეზებდა. გადაწყვიტა, სასტუმროდან ღამით გაპარულიყო და ბატონს რომ არ გაეგო, ზეწარი მოიპარა, დაჭრა, დაგრიხა და მისგან კიბის გაკეთება სცადა. მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და ზეწრის ნახევები კიბის ქვეშ დამალა. ამაოდ იმტვრევდა თავს იმაზე ფიქრით, როგორ გადამძვრალიყო შენობის კედლებზე გამოსახულ ფიგურებსა და შვერილებზე და რახელამდე როგორ მიეღწია. თავისი არქიტექტურით ცნობილ ქალაქში დღისით ხეტიალისას მხოლოდ იმას ამჩნევდა, რამდენად მოხერხებული ან მოუხერხებელი იყო ასაძრომად შენობის კედლები. რახელს, რომელსაც სოლიმანმა თავისი გეგმები და სირთულეები ნაჩქარევად და მალულად გაანდო, ღამღამობით, შუქის ჩაქრობისთანავე გარეთ, კედელთან, მისი სახის შავი ნახევარმთვარე ელანდებოდა, ან ჭრიჭინასებრი ხმები ესმოდა და ოთახის ფანჯრიდან გადაყუდებული, ძახილს მორცხვად ეპასუხებოდა, თუმცა გარეთ ღამის სიცარიელე ეგებებოდა. მაგრამ ახლა რახელი რომანტიკულ დაბრკოლებებზე დიდად აღარ ნაღვლობდა. ის მტანჯველ სევდას მოეცვა. ტანჯვის მიზეზი ულრიხი გახლდათ, სოლიმანი კი ის იყო, ვინც არ უყვართ და მაინც ნებდებიან, რაშიც რახელს ეჭვიც არ ეპარებოდა. ის, რომ ერთმანეთს არ ახვედრებდნენ, ბოლო დროს ერთმანეთის ხმამაღალი სიტყვაც არ გაეგოთ და ბატონების რისხვა თავს დაატყდათ, მათზე ისე მოქმედებდა, როგორც გაურკვეველი, ავბედითი, ოხვრა-კვნესით სავსე ღამე შეყვარებულებზე, მათ მხურვალე წარმოდგენებს შემკრებ ლინზასავით რომ კრებს, რომლის სხივებიც სასიამოვნო სითბოზე მეტად იმას გაგრძნობინებს, რომ მოთმენა მეტად აღარ შეგიძლია.

და აი, რახელმა, რომელსაც თოკის კიბესა და აკრობატულ ქიმერებზე დრო არ დაუკარგავს, სოლიმანზე მეტი პრაქტიკულობა გამოიჩინა. მოტაცების ბუნდოვანი ზმანება მალე იმ ღამედ იქცა, რომელიც უნდა შეარჩიო, ღამე კი – რადგან ის მოუხელთებელია – მალულ თხუთმეტ წუთად. არც დიოთიმას, არც გრაფ ლაინსდორფს და არც არნჰაიმს არ უფიქრიათ – როცა „სამსახური“ აიძულებდათ, ხანგრძლივი და

უნაყოფო შეკრებების შემდეგ შედეგების განსახილველად საათზე მეტ ხანს შეყოვნებულიყვნენ – რომ ერთი საათი ოთხჯერ თხუთმეტი წუთია. რახელმა კი გამოთვალა. მზარეული გოგო ავადმყოფობის შემდეგ თავს უღონოდ გრძნობდა და ქალბატონის ნებართვით ადრე წვებოდა დასაძინებლად, რახელი კი, საბედნიეროდ, საქმეს ვერ აუდიოდა და ამიტომ არავინ იცოდა, რა წუთს სად იყო, თანაც მოახლის მოვალეობისგანაც შეძლებისდაგვარად ათავისუფლებდნენ. საცდელად – უბრალოდ ისე, იმათსავით, თვითმკვლელობისთვის მეტისმეტ სიმხდალეს რომ იჩენენ და მოჩვენებითი მცდელობების შემდეგ შემთხვევით გაუმართლებთ – სოლიმანი სახლში რამდენჯერმე შემოაპარა და მიახვედრა, რომ სახლის გარეთა კედლის გარდა მის ოთახში ეს გზაც მიიყვანდა. შეყვარებული წყვილი მანამ ვერ გასცდა წინკარში ერთად მთქნარებასა და კარზე მიყურადებით სიტუაციის თვალთვალს, სანამ ერთ საღამოს – როცა სასტუმრო ოთახში ხმები ერთმანეთს ისე თანაბრად ენაცვლებოდა, როგორც კალოობის დროს – სოლიმანმა რახელს არ განუცხადა, რომ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო.

რახელის ოთახის კარიც ურდულით სოლიმანმა გადარაზა. შუქის ანთება ვერ გაბედეს და ბრმებივით ერთმანეთის პირისპირ ისე იდგნენ, როგორც ქანდაკებები ბნელ პარკში, თითქოს თვალის ჩინთან ერთად ყველა სხვა გრძნობაც წაერთვათო. სოლიმანმა გაიფიქრა, რომ რახელისთვის ხელი უნდა მოეჭირა ხელზე ან თეძოზე ეჩქმიტა, რათა მას წამოეყვირა, რადგან აქამდე მისი მამაკაცური გამარჯვებები ასეთი იყო. ხმაურის უფლება არ ჰქონდათ და სოლიმანიც თავს უნდა მორეოდა. როცა ბოლოს მოუხეშად რაღაცის გაკეთება სცადა, მხოლოდ რახელის მოუთმენელი გულგრილობა გადმოეღვარა თქრიალით თავზე. რახელმა ბედისწერის ხელი იგრძნო, ხელი, რომელიც მის წელს შეეხო და წინ უბიძგებდა; ცხვირი და შუბლი კი გაეყინა, თითქოს ახლა, ამწუთს, ილუზიებმა მიატოვესო. ბოლო ნერვამდე გახევებული სოლიმანიც ისე იდგა, თითქოს საკუთარმა თავმა მიატოვაო და ძნელი სათქმელი იყო, ბნელში მათი პირისპირ დგომა რით დამთავრდებოდა. ბოლოს კეთილშობილ, თუმცა სოლიმანზე ცოტათი გამოცდილ რახელს მოუწია, მაცდურის როლი ეთამაშა. ამაში ის ბოღმაც ეხმარებოდა, უწინდელი სიყვარულის ნაცვლად რომ გაუჩნდა დიოთიმას მიმართ, რადგან მას შემდეგ,

რაც თავად გააბა რომანი და თავისი ქალბატონით აღფრთოვანება აღარ ჰყოფნიდა, ძალზე შეიცვალა. რახელი არა მარტო ტყუოდა, რომ სოლიმანთან შეხვედრები დაემალა, არამედ დიოთიმას ვარცხნის დროს სავარცხლით თმასაც აწიწკნიდა და, რადგან დიოთიმა მის უბიწოებას ფრთხილად სდარაჯობდა, შურისძიებას ასე ახერხებდა. ყველაზე მეტად ის აბრაზებდა, რაც წინათ ასე ხიბლავდა – დიოთიმას ნაჩუქარი, უკვე გაცვეთილი პერანგები, საცვლები და წინდები. თეთრეულს ერთი მესამედით ავიწროებდა და თარგის გადაკეთებაც უწევდა; ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს საპყრობილეში გამომწყვდეულს კისერზე ზნეობის უღელი დაადგესო. ის აზრიც სწორედ ამან შთააგონა, ამ რთულ სიტუაციაში მისთვის ასეთი აუცილებელი რომ გამხდარიყო. ადრე სოლიმანს იმ ცვლილებების შესახებ მოუყვა, რომელიც დიოთიმას თეთრეულს დასტყობოდა და ახლა საკმარისი იყო, ისინი მისთვის ეჩვენებინა, რომ ამ სიტუაციიდან გამოსავალიც მოეძებნა.

– ამითაც შეატყობ, რა ცუდები არიან, – უთხრა სოლიმანს და სიბნელეში თავისი ქვედა საცვლის ვერცხლისფერი ქობა უჩვენა. – თუ მათ შორის რამეა, რა თქმა უნდა, ბატონს ომის ამბავსაც ატყუებენ, რომელიც ჩვენთან მზადდება.

როცა სოლიმანმა ნაზი და საშიში საცვალი ხელით მოსინჯა, სუნთქვაშეკრულმა რახელმა დაამატა: – დაგენაძლევები, რომ შენი საცვლებიც შენსავით შავია. ასე მეუბნებოდნენ ხოლმე!

განაწყენებულმა სოლიმანმა რახელს ფრჩხილები ბარძაყში ნაზად ჩაარჭო. თავი რომ გაეთავისუფლებინა, რახელი მისკენ მიიწია. მერე რა აღარ უთხრა და როგორ არ მოიქცა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს პატარა წვეტიანი კბილებიც კი მოიშველია და სახე დაუკბინა სოლიმანს, რომელიც ბავშვივით ეკვროდა და ცელქი ბიჭივით მის მოხელთებას ისე ცდილობდა, თითქოს დიდი ვაშლიაო. როცა რახელს დაავიწყდა, რომ ამ მცდელობის უნდა შერცხვენოდა და აღარც სოლიმანს რცხვენოდა საკუთარი მოუქნელობის, სიბნელეში სიყვარულის ქარიშხალიც დატრიალდა.

შეყვარებულები ქარაშოტმა ძირს განართხო და კედლებიდან გაუჩინარდა, სიბნელე კი მათ შორის ნახშირის ნატეხად იქცა და ცოდვილებს შავად მოედო. აღარც ის იცოდნენ, რამდენმა დრომ განვლო და ორივე შიშმა აიტანა. რახელის ბოლო გაუბედავი

კოცნა სოლიმანს მძიმედ დააწვა. უნდოდა, შუქი აენთო და იმ ქურდივით იქცეოდა, ნადავლს რომ ჩაიგდებს ხელში და მერე შეუმჩნევლად გაპარვას ლამობს. დარცხვენილმა რახელმა კაბა გაისწორა და სოლიმანს არაფრისმთქმელი მზერით შეხედა. თვალებზე თმა ჩამოსწეწოდა, მათ სიღრმეში კი აქამდე დავიწყებული პატიოსნების გრანდიოზული ხატება აღბეჭდვოდა. ლამაზ, მდიდარ და ყველასგან განსხვავებულ შეყვარებულზე ოცნებობდა, წინ კი სოლიმანი ედგა – უხეიროდ ჩაცმული, შემაშინებლად უშნო და რახელს მისი ერთი სიტყვისაც კი არ სჯეროდა. იქნებ სიბნელეში ცოტა ხანს კიდევ მიალერსებოდა მის მსხვილნაკვთებიან დაძაბულ სახეს, მაგრამ ახლა, როცა შუქი აინთო, სოლიმანი მისი ახალი საყვარელი იყო და სხვა არავინ, რომელიც ათასი მამაკაციდან ერთ პატარა სასაცილო ბიჭად ქცეულიყო და სხვას ყველას გამორიცხავდა; რახელი კი ისევ ის მოახლე გოგო იყო, თავი რომ აცდუნებინა და ბავშვის ეშინოდა, ამის შემდეგ რომ შეიძლებოდა გაჩენილიყო. ამ გარდასახვის ისე შერცხვა, რომ ამოოხვრაც კი ვერ შეძლო. სოლიმანს ჩაცმაში ეხმარებოდა, რადგან, თავგზააბნეულს, ღილებიანი ვიწრო კიტელი გაეხადა. რახელი მას სინაზის გამო კი არ ეხმარებოდა, არამედ იმიტომ, რომ ორივენი უფრო სწრაფად გაართმევდნენ საქმეს თავს. აუტანლად ეჩვენებოდა, რომ შეიძლება მათი ერთად ყოფნა გამოაშკარავებულიყო. როცა თავი მოიწესრიგეს, სოლიმანი რახელს მიუბრუნდა, გაიკრიჭა და დიდებული თეთრი კბილები შეანათა, რადგან მომხდარი მეტისმეტად ეამაყებოდა. რახელმა ასანთის კოლოფს დასტაცა ხელი, შუქი ჩააქრო, ურდული ფრთხილად გახსნა და კარის გაღებამდე სოლიმანს ჩასჩურჩულა: – ერთხელ კიდევ უნდა მაკოცო!

რადგან ასეთი იყო წესი და რიგი. კოცნამ კი ორივეს ისეთი გემო დაუტოვა, თითქოს ტუჩებზე კბილის პასტა ჰქონდათ წაცხებული.

როცა წინკარში დაბრუნდნენ, ძალიან გაუკვირდათ, რომ ყველაფერი დროულად მოესწროთ და საუბრებიც კარს უკან ისევ გრძელდებოდა. სტუმრები რომ წამოიშალნენ, სოლიმანი გაუჩინარდა. ნახევარი საათის შემდეგ კი რახელი თავის ქალბატონს თითქმის ძველებური მორჩილი სიყვარულით საგულდაგულოდ ვარცხნიდა თმას.

– მიხარია, რომ ჩემმა შეგონებამ შედეგი გამოიღო! – აქებდა

დიოთიმა და მან, ვისაც კმაყოფილება უამრავ სხვა საკითხში ვერ ეპოვა, თავის პატარა მოახლეს ალერსით ხელი ხელზე დაადო.

118. მაშ, მოკალი იგი!

ვალტერმა გამოიცვალა კოსტიუმი, რომლითაც სამსახურში დადიოდა, საგარეოდ გამოეწყო და კლარისას ტუალეტის მაგიდის სარკესთან ჰალსტუხი გაიკეთა. სარკეს, ახლებური გემოვნების მიხედვით, კლაკნილი ჩარჩო ჰქონდა, მაგრამ მის იაფხარისხიან, ალბათ, ბუშტოვან, მინაში არეკლილ გამოსახულებას სიღრმე აკლდა და თანაც მახინჯდებოდა.

– მართალს ამბობენ, – თქვა გაბრაზებულმა ვალტერმა, – ეს ცნობილი აქცია მტკნარი სიცრუეა.

– რა აზრი აქვს, რომ ყვირიან! – თქვა კლარისამ.

– საერთოდ რა აზრი აქვს დღეს სიცოცხლეს! როცა ხალხი ქუჩაში გადის, მსვლელობას მაინც აწყობს! ერთი ადამიანი მეორის სხეულს გრძნობს! არ ფიქრობენ და არც წერენ მაინც: აქედან რამე გამოვა!

– მართლა ფიქრობ, რომ პარალელური აქცია აღშფოთებას იმსახურებს?

ვალტერმა მხრები აიჩეჩა.

– წაიკითხე გაზეთში, გერმანელმა დეპუტატებმა პრემიერ-მინისტრს რეზოლუცია, რომ გადასცეს? გერმანული მოსახლეობის შეურაცხყოფა, დისკრიმინაცია და ასე შემდეგ? ჩეხური კლუბის დამცინავი დადგენილება? ან ის პატარა შეტყობინება, რომ პოლონელი დეპუტატები თავ-თავიანთ საარჩევნო ოლქებში გაემგზავრნენ? სტრიქონებს შორის კითხვა თუ შეგიძლია, ბევრ რამეს მიხვდები: პოლონელები – გადაწყვეტილების მიღება ხომ მუდამ მათზეა დამოკიდებული! – სახელმწიფოს ბედის ანაბარა ტოვებენ! სიტუაცია დაიძაბა. საერთო პატრიოტული აქციით შუღლის გაჩაღების დრო ნამდვილად არ იყო!

– დღეს დილით ქალაქში რომ ვიყავი, ცხენოსანი პოლიციელები დავინახე. მთელი პოლკი. ერთი ქალი მიყვებოდა, რომ ისინი სადღაც ჰყავთ დამალული.

– რა თქმა უნდა. ყაზარმებშიც ჯარი სრულ მზადყოფნაშია.

– როგორ ფიქრობ, მოხდება რამე?

– ვინ იცის!

– ხალხში შეიჭრებიან? ამის წარმოდგენაც კი საშინელებაა.

ვალტერმა ჰალსტუხი შეიხსნა და თავიდან გაიკეთა.

– ოდესმე მიგიღია მონაწილეობა ასეთ რამეში?

– სტუდენტობის დროს.

– მას შემდეგ აღარ?

ვალტერმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

– შენ არ თქვი, რამე რომ მოხდეს, დამნაშავე ულრიხი იქნებაო? – კლარისამ კიდევ ერთხელ სცადა, თავისი ნათქვამის სისწორეში დარწმუნებულიყო.

– მე ეგ არ მითქვამს! – გააპროტესტა ვალტერმა. – პოლიტიკისადმი ის, სამწუხაროდ, გულგრილია. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ შეიძლება ქარაფშუტულად ცუდი რამე გამოიწვიოს. ისეთ ხალხში ტრიალებს, ვისაც დანაშაული მიუძღვის!

– შენთან ერთად მინდა ქალაქში წამოსვლა! – გამოუტყდა კლარისა.

– არავითარ შემთხვევაში. იქ ყოფნა მეტისმეტად აღგაგზნებს! – უპასუხა ვალტერმა გადაჭრით. სამსახურში გაიგო, რასაც ელოდნენ დემონსტრაციისგან და უნდოდა, კლარისა ამ მოვლენებისგან შორს ყოფილიყო. ეს კლარისას საქმე არ იყო – მასების ისტერიკა! კლარისას ისე უნდა მოჰქცეოდა, როგორც ფეხმძიმეს. ვალტერს ეს სიტყვა კინაღამ ყელში გაეჩხირა, რადგან მან სატრფოს გამაღიზიანებელ მიუკარებლობაში, მის ალერსს თავს რომ არიდებდა, მოულოდნელად ფეხმძიმობის სულელური სითბო აგრძნობინა. „ამქვეყნად საგანთა შორის ისეთი კავშირები არსებობს, რომლებიც ჩვეულებრივი ცნებების ფარგლებს სცილდება“, – გაიფიქრა ვალტერმა სიამაყით და კლარისას შესთავაზა: – თუ გინდა, სახლში დავრჩები.

– არა, – უპასუხა კლარისამ, – შენ მაინც წადი.

კლარისას მარტო დარჩენა უნდოდა. როცა ვალტერი დემონსტრაციის შესახებ მოუყვა და მისი მსვლელობა აღუწერა, კლარისას თვალწინ ქერცლით დაფარული გველი წარმოუდგა. ქერცლი სათითაოდ ირხეოდა. ლაპარაკს დემონსტრაციის საკუთარი თვალით ნახვა ერჩივნა.

ვალტერმა ხელი მოხვია.

– დავრჩე სახლში? – გაუმეორა.

კლარისამ მისი ხელი მოიშორა, თაროდან წიგნი ჩამოიღო და ვალტერისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ეს ნიცშე იყო. იმის ნაცვლად, რომ თავი დაენებებინა, ვალტერმა უთხრა: – მაჩვენე ერთი, რამ დაგაინტერესა!

საღამოვდებოდა. ოთახი გაზაფხულის გაურკვეველი წინათგრძნობით გაჟღენთილიყო: თითქოს კედლები და ფანჯრები ფრინველთა ჟღურტულს ახშობდა, ოთახში კი ლაქწასმულ იატაკს, ავეჯის გადასაკრავს და სპილენძის გაწმენდილ სახელურებს ყვავილების მოჩვენებითი სურნელი ასდიოდა. ვალტერმა ხელი წიგნისკენ გაიშვირა. კლარისას წიგნი ორივე ხელით ეჭირა და გადაშლილი გვერდი თითით ჩაენიშნა.

და აი, ერთ-ერთი ის „შემზარავი“ სცენა გათამაშდა, რითაც ასე მდიდარი იყო ეს ქორწინება. ყველა ეს სცენა ერთი ნიმუშის მიხედვით ვითარდებოდა. წარმოიდგინეთ თეატრი ჩაბნელებული სცენით და ორი განათებული, საპირისპირო მხარეებზე განლაგებული ლოჟით. ვალტერი ერთ ლოჟაშია, კლარისა – მეორეში. ქალებისა და კაცების ფონზე მათი ფიგურები მკვეთრად მოჩანს. მათ შორის უხილავი ადამიანებით გამთბარი შავი, ღრმა უფსკრულია. კლარისა პირს აღებს, ვალტერი პასუხობს. ყველა სულგანაბული უგდებს ყურს, რადგან ეს ისეთი სანახაობა და ბგერათა ისეთი თამაშია, რომლის მსგავსიც ადამიანის ყურს ჯერ არ სმენია.

ახლაც სწორედ ასე მოხდა, როცა ვალტერმა მუდარით გაიშვირა ხელი კლარისასკენ, რომელიც მისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით იდგა და თითით წიგნის გვერდი ჰქონდა ჩანიშნული. კლარისას ალალბედზე წიგნი სწორედ იმ მშვენიერ ადგილზე გადაეშალა, სადაც მაესტრო ნებელობის სისუსტით გამოწვეულ გაღარიბებაზე ლაპარაკობს, რომელიც ცხოვრების ყველა ფორმაში მთელის ხარჯზე ცალკეული მოვლენების

გამრავლებით ვლინდება. „ცხოვრება უმცირეს ფორმებშია განდევნილი, დანარჩენი კი სიცოცხლით ღარიბია“. ეს ფრაზა მის მეხსიერებას ჯერ კიდევ ცოცხლად შემოენახა, ფართო კონტექსტის მნიშვნელობა კი, რომელსაც თვალი ზედაპირულად გადაავლო, სანამ ვალტერი შეაწყვეტინებდა, დაახლოებით ესმოდა. ხელისშემშლელი გარემოების მიუხედავად, კლარისა დიდ აღმოჩენამდე მივიდა: ამ ადგილზე მაესტრო ხელოვნების ყველა დარგს, ადამიანური არსებობის ყველა ფორმას გულისხმობდა, მაგრამ მაგალითები ლიტერატურიდან მოჰყავდა; და რადგან კლარისას ზოგადი პრინციპები არ ესმოდა, აღმოაჩინა, რომ ნიცშე საკუთარ შეხედულებებს სათანადოდ ვერ აფასებდა, ვინაიდან ისინი მუსიკასაც ესადაგებოდა! კლარისას ესმოდა, როგორ ავადმყოფურად უკრავდა ქმარი ფორტეპიანოზე; თითქოს მუსიკა იქვე, მის გვერდით, ჟღერდა. ესმოდა ქმრის ემოციური შეფერხება, წაბორძიკება, ტონალობიდან ამოვარდნა, როცა ვალტერი ფიქრებით მასთან იყო და როცა – როგორც მაესტრო ერთგან წერს – „გვერდითი მორალური ტენდენცია“ მასში „ხელოვანს“ თრგუნავდა. კლარისას შეეძლო ამის მოსმენა, როცა ვალტერი მისკენ მდუმარედ ილტვოდა; ხედავდა მუსიკას, როცა ის ვალტერის სახიდან ქრებოდა. ამ დროს ვალტერს მხოლოდ ტუჩები უბრწყინავდა; ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თითი გაიჭრა და ცოტაც და გონებას დაკარგავსო. ახლაც, ნერვიულად მოღიმარს, წიგნისკენ ხელი გაეშვირა და ზუსტად ასეთი გამომეტყველება ჰქონდა. ნიცშეს ყველაფერი საიდან უნდა სცოდნოდა, მაგრამ ისიც ხომ სიმბოლური იყო, რომ კლარისამ შემთხვევით წიგნის სწორედ ის გვერდი გადაშალა, რომელიც ამ ყველაფერს უკავშირდებოდა. და როცა მან ეს ყველაფერი გაიგო, დაინახა და მოისმინა, გონება გაუნათდა და იმ მაღალ მთაზე აღმოჩნდა, რომელსაც სახელად ნიცშე ერქვა. მთას ვალტერი ქვეშ მოექცია, კლარისას კი ფეხისგულებამდე სწვდებოდა! შემოქმედებით შესაძლებლობებსა და სულიერებას მოკლებულ ადამიანთა „გამოყენებითი ფილოსოფია და პოეზია“ ამგვარი გაელვებებისა და პატარა, პერსონალური ცვლილებების დიდ უცხო აზრებთან შერწყმისგან შედგება.

ამასობაში ვალტერი წამოდგა და კლარისას მიუახლოვდა. მან გადაწყვიტა, დემონსტრაციაზე არ წასულიყო და კლარისასთან დარჩენილიყო. კლარისა კედელს მიყრდნობოდა და ვალტერს

ზიზღით უყურებდა. ქალის განგებ მიღებულ ამ პოზას, მამაკაცს ზურგს რომ აქცევს, საუბედუროდ, ვალტერში ზიზღი კი არ გამოუწვევია, ის მამაკაცური გრძნობები გამოუღვიძა, სწორედ ამ ზიზღის მიზეზად რომ შეიძლებოდა ქცეულიყო. მამაკაცს ხომ უნდა შეეძლოს, უბრძანოს, თავს მოახვიოს საკუთარი ნება იმას, ვინც ეწინააღმდეგება. მოთხოვნილება – გამოევლინა თავი, როგორც მამაკაცს, ყმაწვილობის დროინდელი ცრურწმენის ნარჩენთან ბრძოლას უტოლდებოდა; ცრურწმენა კი შთააგონებდა, რაღაც განსაკუთრებული ყოფილიყო. „განსაკუთრებული არ უნდა იყო!“ – ეუბნებოდა ჯიუტად საკუთარ თავს. ილუზიებისაგან თავის დაღწევის უუნარობა სიმხდალედ მიაჩნდა. „საკუთარ თავში ექსცესებს ვატარებთ, – ფიქრობდა აგდებულად. – საკუთარ თავში ავადმყოფურს, მარტოსულს, ავბედითს ვატარებთ. ყოველ ჩვენგანს ის შეუძლია, რაც მხოლოდ მას შეუძლია; ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს!“. წყობიდან გამოჰყავდა ილუზორულ წარმოდგენას – ადამიანმა თავისი არსების უჩვეულო მხარე უნდა განავითაროსო, ნაცვლად იმისა, რომ ეს დამღუპველი ყლორტი შეეჩერებინა, ორგანულად შეეთვისებინა და მისი საშუალებით სიმშვიდისაკენ მეტისმეტად მიდრეკილი ბურჟუაზიული სისხლი გადაეხალისებინა. ასე ფიქრობდა ვალტერი და იმ დღეს ელოდა, როცა მუსიკა და მხატვრობა მისთვის თავის შექცევის კეთილშობილურ საშუალებად იქცეოდა. ახალი ამოცანები შვილსაც გულისხმობდა. ყმაწვილობის დროინდელმა მწველმა სურვილმა – გამხდარიყო ტიტანი და კაცთა მოდგმისთვის ცეცხლის მომტანი, საბოლოოდ იმ რწმენამდე მიიყვანა, რომ ჯერ ყველას უნდა დამსგავსებოდა. მის ამ რწმენას კი გადაჭარბებული ფორმა მიეღო. ახლა რცხვენოდა, რომ შვილი არ ჰყავდა. ხუთ შვილს ნატრობდა, თუ კლარისა და შემოსავალი ხელს შეუწყობდა; უნდოდა, ჩვეულებრიობით იმ დიდი ადამიანური ჩვეულებრიობისათვის გადაეჭარბებინა, რომელსაც ცხოვრება ემყარება და ეს სურვილი არ უნელდებოდა, მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც თავად ეს სურვილი შეიცავდა.

იმის გამო, რომ დიდხანს ფიქრობდა, თუ იმის გამო, რომ დიდხანს ეძინა, სანამ წასასვლელად გამოეწყობოდა და ამ საუბარს წამოიწყებდა, ვალტერს ლოყები უხურდა. გამოირკვა, რომ კლარისა მაშინვე მიხვდა, რატომ უახლოვდებოდა

ვალტერი მის წიგნს. ამ ფაქიზმა ურთიერთთანხმობამ ვალტერის მამაკაცური უხეშობა შეარბილა და მისი უბრალოებაც ნამსხვრევებად აქცია.

– რატომ არ გინდა, მაჩვენო, რას კითხულობ? მოდი, ვილაპარაკოთ! – სთხოვა მორცხვად.

– „ლაპარაკი“ შეუძლებელია! – წაისისინა კლარისამ.

– რა გაღიზიანებული ხარ! – წამოიძახა ვალტერმა. ცდილობდა, მისთვის ხელიდან გადაშლილი წიგნი გამოეგლიჯა, კლარისას კი წიგნი ჯიუტად გულში ჩაეხუტებინა. ცოტა ხნის ძიძგილაობის შემდეგ ვალტერმა გაიფიქრა: „რაში მჭირდება ეს წიგნი?“ და კლარისას თავი დაანება.

ამით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, კლარისა კედელს ისეთი ძალით რომ არ მიყრდნობოდა, თითქოს მის განგრევას და ძალადობისგან თავის დაღწევას ამ გზით აპირებსო. სულს ძლივს ითქვამდა, გაფითრდა და ვალტერს დაუყვირა: – იმის მაგივრად, რომ რამე გააკეთო, შვილში აპირებ შენი არსებობის გაგრძელებას!

კლარისამ ეს სიტყვები ცეცხლივით ამოანთხია. ვალტერმა უნებურად ქოშინით იგივე გაუმეორა: – მოდი, ვილაპარაკოთ!

– არ მინდა ლაპარაკი, მძულხარ! – უპასუხა კლარისამ. ხმა ისე დაიმორჩილა და ისე მიზანმიმართულად მართავდა, თითქოს მათ ფეხებთან ფაიფურის მძიმე ჯამი დავარდა. ვალტერმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. კლარისამ გაოცებული სახით შეხედა.

ეს სიტყვები კლარისას ბოროტი განზრახვით როდი უთქვამს. უბრალოდ ეშინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვალტერს გულკეთილობის ან დაუდევრობის გამო დაუთმობდა და ვალტერიც მაშინვე ბავშვის სახვევებით გასაქანს აღარ მისცემდა. ეს კი არ უნდა დაეშვა, რადგან ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა. სიტუაცია „დაიძაბა“. გონების თვალით ამ სიტყვას ხაზგასმულად ხედავდა. ეს სიტყვა ვალტერმა იმისთვის გამოიყენა, რომ კლარისასთვის ხალხის ქუჩაში გასვლის მიზეზი აეხსნა. ულრიხი, რომელიც ნიცშესთან იმით იყო დაკავშირებული, რომ ეს წიგნი მათ ქორწილში საჩუქრად მიართვა, მეორე მხარეს იდგა, და თუ დავიდარაბა ატყდებოდა, მაშინ „წვეტებიც“ მისკენ

აღმოჩნდებოდა. ნიცშემაც სწორედ ახლა მისცა ნიშანი, და თუ თან საკუთარ თავს „მაღალ მთაზე“ მდგომს ხედავდა, მაშ მთა რაღაა, თუ არა წაწვეტებული დედამიწა? ეს უცნაური კავშირები იყო, რომელთა ახსნაც ვერავინ შეძლო და თვით კლარისასთვისაც ბუნდოვანი იყო. სწორედ ამიტომ უნდოდა, სახლში მარტო დარჩენილიყო და ვალტერი სახლიდან მიებრძანებინა. ველურ ზიზღში, სახეზე ალმურივით რომ მოედო, პიროვნული საწყისი არ იგრძნობოდა. ეს ფიზიკურად თავშეუკავებელი ზიზღი იყო, ვალტერისთვის ჩვეული ერთგვარი საფორტეპიანო „მრისხანება“ და ამიტომ ვალტერი ცოლს ერთხანს გაოგნებული მიაშტერდა, შემდეგ უეცრად გაფითრდა და ცოლის ნათქვამს „მძულხარო“, კბილების ღრჭენით უპასუხა: – გენიოსს უფრთხილდი! სწორედ შენ უნდა იყო ფრთხილად!

ვალტერს გაშმაგება კლარისაზე მეტად დაეტყო. შავბნელი წინასწარმეტყველება სულის სიღრმიდან თავისთავად აღმოხდა; თითქოს ყველაფერს შავად ხედავდა, როგორც მზის დაბნელების დროს.

კლარისაზე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და უცბად გაჩუმდა.

მზის დაბნელებასავით ძლიერი აფექტი მარტივი მოვლენა არ გახლავთ და მასში, სრულიად გაუაზრებლად, ულრიხის მიმართ ეჭვიანობა გაკრთა. რატომ უწოდა ულრიხს გენიოსი? ალბათ, ქედმაღლობას გულისხმობდა, რომელიც ვერ ხვდება, რომ მარცხი კარს მოსდგომია. ვალტერს თვალწინ ძველი სურათ-ხატები ამოუტივტივდა: ფორმაში გამოწყობილი ულრიხი შინ ბრუნდება, ბარბაროსი, რომელსაც თავს რეალურ ქალებთანაც გადახდენია ისტორიები; ვალტერი კი, მასზე უფროსია და ლექსებს ჯერ კიდევ ბაღებში მდგარ ქვის ქანდაკებებს უძღვნის; მოგვიანებით: ულრიხი სიზუსტის, სისწრაფისა და ფოლადის სულზე ლაპარაკობს, ჰუმანისტი ვალტერისთვის კი ეს ბარბაროსთა ურდოების შემოსევას ჰგავს. ახალგაზრდა მეგობართან შედარებით ვალტერს თავი ფიზიკურად სუსტ ადამიანად მიაჩნდა, რომელიც მას მოხერხებულობითაც ჩამორჩებოდა და ამიტომ მის წინაშე ფარულად უხერხულობასაც გრძნობდა, თუმცა საკუთარ თავში სულიერებას ხედავდა, მასში კი – უხეშ ნებას. ურთიერთობა, რომელიც მათ შორის ჩამოყალიბდა, ვალტერს ამ მოსაზრებას

კიდევ უფრო უმყარებდა: მშვენიერებით და სიკეთით შთაგონებული ვალტერი და ულრიხი, რომელიც უარის ნიშნად თავს აქნევს. ასეთი შთაბეჭდილებები დროს უძლებს. ვალტერს რომ მოეხერხებინა და ის ადგილი წაეკითხა, რომელზეც წიგნი იყო გადაშლილი და რის გამოც კლარისასთან ბრძოლა წამოიწყო, იქ აღწერილ ხრწნის პროცესს, ნებელობას მთლიანობიდან კერძო მოვლენებში რომ განდევნის, საკუთარი შემოქმედებითი ფანტაზიორობის გაკიცხვად კი არ მიიღებდა, როგორც ეს კლარისამ გაიგო, არამედ დარწმუნდებოდა, რომ ეს შესანიშნავად აღწერდა მის მეგობარ ულრიხს, დაწყებული კერძო მოვლენების გადაჭარბებული შეფასებით, რაც ასე დამახასიათებელია თანამედროვეობისათვის, რომელსაც გამოცდილების სწამს (ეს კი თავისთავად ცრურწმენაა), დამთავრებული ინდივიდუუმში ბარბაროსული რღვევის პროცესის გაგრძელებით, რასაც ვალტერმა უთვისებო კაცი ან უკაცო თვისებები უწოდა, განდიდების მანიით შეპყრობილიმა ულრიხმა კი ეს განსაზღვრება დიდად მოიწონა. სწორედ ამას გულისხმობდა ვალტერი, როცა „გენიოსი“ სალანძღავ სიტყვასავით წამოისროლა. თუ ვინმეს შეეძლო საკუთარი თავისთვის მარტოსული ინდივიდუუმი ეწოდებინა, ვალტერის აზრით, ეს თავად იყო და მაინც ამ ყოველივეს ზურგი აქცია, ბუნებრივ ადამიანურ მისიას დაუბრუნდა და გრძნობდა, რომ ამით მეგობარი მთელი საუკუნით ჩამოიტოვა. კლარისა მის საძრახის სიტყვას არ გამოპასუხებია და დუმდა. ვალტერი კი ფიქრობდა: „ერთი სიტყვაც რომ წამოსცდეს ულრიხის სასარგებლოდ, ვერ ავიტან“. სიძულვილი მას ისე ანჯღრევდა, თითქოს ულრიხის ხელი ყოფილიყო.

უსაზღვროდ აღელვებულმა ვალტერმა იგრძნო, რომ ქუდს ხელი დასტაცა და ქუჩაში გავარდა. ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. წარმოსახვაში დაინახა, როგორ არხევდა შენობებს ქარი. ნაბიჯი გარკვეული ხნის შემდეგღა შეაჩერა და ხალხს, გზაში რომ ხვდებოდა, სახეში შეხედა. მათი კეთილგანწყობილი სახეები სიმშვიდეს ჰგვრიდა. ცნობიერების იმ ნაწილით, რომელსაც ეს ფანტასტიკური გრძნობა არ შეხებოდა, კლარისასთვის იმის ახსნას ცდილობდა, რასაც გულისხმობდა. სიტყვები ტუჩებზე კი არა, თვალებში უბრწყინავდა. ანდა როგორ აღწერ იმ ბედნიერებას, ადამიანთა და მოძმეთა შორის რომ განიცდი! კლარისა იტყოდა, რომ ვალტერს თვითმყოფადობა აკლდა. მის მოურჯულებელ თავდაჯერებას

რაღაც არაადამიანური ეტყობოდა. აღარც იმ ქედმაღლური მოთხოვნების დაკმაყოფილება სურდა, კლარისა რომ უყენებდა! მტკივნეული მოთხოვნილება, კლარისასთან ერთად რაღაც წესრიგში ჩართულიყო და სიყვარულისა და სულიერი ანარქიის უსასრულო ილუზიებში გზააბნეულს არ ეხეტიალა, სულ უფრო უღრმავდებოდა. „ყველაფერში, რასაც შენ წარმოადგენ და რასაც აკეთებ, მაშინაც კი, როცა სხვებს უპირისპირდები, მათკენ სწრაფვას უნდა გრძნობდე“, – დაახლოებით ასე აპირებდა კლარისასთან შეკამათებას. ადამიანებთან ვალტერს ყოველთვის უმართლებდა; კამათის დროსაც კი მის მიმართ ნდობა უჩნდებოდათ, მას კი – მათ მიმართ და ამიტომ ცოტა არ იყოს ზედაპირული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საზოგადოების წიაღში გამაწონასწორებელი, დამაჯილდოებელი ძალები მყოფობენ და ისინი ბოლოს და ბოლოს თავს იჩენენ, მისი ცხოვრების მტკიცე შეხედულებად იქცა. ფიქრობდა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფრინველებს იზიდავენ და ფრინველებს მათთან მიფრენა უყვარდათ. ასეთ ადამიანთა გამომეტყველებას რაღაც ფრინველისეული ამჩნევია. საერთოდ, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ყველას თავისი ცხოველი ჰყავდა, რომელთანაც უცნაური კავშირი ჰქონდა. ეს თეორია მან ერთხელ მოიგონა. ეს მეცნიერული თეორია არ იყო, მაგრამ მიაჩნდა, რომ მუსიკალური ადამიანი ბევრ ისეთ რამეს გრძნობს, რაც მეცნიერულ საზღვრებს მიღმაა. ჯერ კიდევ ბავშვობაში დაადგინა, რომ მისი ცხოველი თევზი იყო. თევზები უჩვეულო ძალით იზიდავდნენ, თუმცა ამ გრძნობას თან რაღაც შემზარავიც ერია. არდადეგების დაწყებისთანავე შეპყრობილივით მათ სიახლოვეს ტრიალებდა. შეეძლო, საათობით მდგარიყო წყალთან, მშობლიური სტიქიიდან ისინი ანკესით ამოეყვანა და მათი უსულო სხეულები თავის გვერდით, ბალახში დაელაგებინა. შემდეგ კი ეს ყველაფერი ზიზღის გრძნობით მთავრდებოდა, რომელსაც თან რაღაც შემზარავიც ახლდა. თევზები სამზარეულოში მისი ყველაზე ადრინდელი გატაცება იყო. გამოშიგნულ თევზებს ნავივით მოგრძო, ბალახივით და ღრუბელივით მომწვანო-მოთეთროდ მოჭიქულ, ნახევრად წყლიან თასში აწყობდნენ და კულინარიულ სამეფოში გაბატონებული კანონის თანახმად, შიგ იმდენ ხანს ტოვებდნენ, სანამ სადილი მზად არ იქნებოდა, რის შემდეგაც მათ სანარცხე ორმოში მოისროდნენ. ეს ჭურჭელი ბიჭს იდუმალი ძალით იზიდავდა და ხან რა და ხან

რა მიზეზით სამზარეულოში ბრუნდებოდა; თუ ვინმე მიზეზს პირდაპირ ჰკითხავდა, ენა ერთმეოდა. დღეს, ალბათ, უპასუხებდა, თევზის ჯადო იმაში მდგომარეობს, რომ ის ორი სტიქიის ბინადარი კი არა, მთლიანად ერთის საკუთრებაა. ახლაც ისე ცხადად ხედავდა მათ, როგორც მაშინ, როცა ხშირად წყლის სიღრმეში იმზირებოდა. თევზები ისე კი არ მოძრაობდნენ, როგორც ის მიწის ზედაპირზე, მეორე სტიქიას – სიცარიელეს – რომ ესაზღვრებოდა (ჩემი სამკვიდრო არც აქ არის და არც იქ! – გაიფიქრა ვალტერმა და ამ აზრს წაღმა-უკუღმა ატრიალებდა. მიწას ეკუთვნი, თუმცა მასთან მხოლოდ ის პატარა ტერიტორია გაკავშირებს, რაზეც ფეხი გიდგას. ტანი კი ჰაერშია გამოკიდებული, სადაც ჩავარდებოდი და რომელსაც თან ავიწროებ კიდეც), არამედ ისინი საკუთარივე ნიადაგით, ჰაერით, სასმელით, საჭმლით, მტრების შიშით, სიყვარულის აჩრდილისებრი მსვლელობით და საფლავებით არიან გარემოცულნი. ისინი იმაში მოძრაობენ, რაც მათ ამოძრავებთ. ასეთი რამ ადამიანმა, შესაძლოა, სიზმარში განიცადოს, ან დედის სხეულის მზრუნველი სინაზის მწველი მონატრებისას, რომლის რწმენაც მოდაში სწორედ მაშინ შემოდიოდა. მაშ რატომღა კლავდა თევზებს, რატომ დევნიდა მათ წყლიდან? ეს მას ენით უთქმელ, უტკბეს ნეტარებას განაცდევინებდა! რატომ?! მიზეზის ცოდნა არც კი უნდოდა. ის, ვალტერი, ამოუცნობი ადამიანია! კლარისამ რომ ერთხელ თევზებს წყლის ბურჟუები უწოდა?! შეურაცხყოფილი ვალტერი შეკრთა ამ ყველაფერზე. ის წარმოსახვაში ფიქრობდა და სანამ ქუჩაში სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა და ადამიანებს, გზაზე რომ ხვდებოდნენ, სახეებში უმზერდა, მშვენიერი სათევზაო ამინდი გამოვიდა. არ წვიმდა, თუმცა ჰაერში ტენი იგრძნობოდა, ტროტუარებს და ქვაფენილს მუქი ყავისფერი დაედო. ზედ მოსიარულე ადამიანების ტანსაცმელი შავი ჩანდა; თავზე ქუდები ეხურათ, საყელოები კი არ მოუჩანდათ. ვალტერს არ გაკვირვებია. ყოველ შემთხვევაში, ბურჟუები მაინც არ არიანო, გაიფიქრა მან. ყველაფერზე ეტყობოდათ, რომ ფაბრიკიდან მოდიოდნენ, პატარ-პატარა ჯგუფებად მოემართებოდნენ. სხვები კი, რომლებსაც ჯერ სამუშაო არ დაემთავრებინათ, მასავით სწრაფად მიიკვლევდნენ გზას. ვალტერი ბედნიერი იყო, მხოლოდ მათი მოშიშვლებული კისრები ახსენებდა რაღაც ისეთს, რაც არ სიამოვნებდა და ახვედრებდა, რომ რაღაც კარგად არ იყო. უცებ ამ სურათ-ხატიდან წვიმა გადმოედინა. ხალხი გაიფანტა. ჰაერში, თითქოს რაღაც გამოფატრესო, რაღაც

მოთეთროდ ბრწყინავდა; თევზები ცვიოდა. ზემოდან ათრთოლებული, ალერსიანი, მარტოსული, თითქოს იმ გარემოსთვის სრულიად შეუფერებელი ხმა ისმოდა, რომელიც ლეკვს სახელით უხმობდა.

ეს ბოლო ცვლილებები მისგან დამოუკიდებლად მოხდა და ამან ძალზე გააკვირვა. ვერც კი შეამჩნია, რომ ფიქრებმა უჩვეულო სისწრაფით სურათ-ხატებს დააცილა. შეკრთა და თავისი ახალგაზრდა ცოლის ზიზღით არეული სახე დაინახა. გაუბედაობა იგრძნო. ახსოვდა, რომ მისთვის რაღაცის ახსნა უნდოდა. პირი ჯერ კიდევ გაღებული ჰქონდა. არ იცოდა, მას შემდეგ რამდენიმე წუთი გავიდა, წამი თუ წუთის მეათასედი. სიამაყემ სხეული გაუთბო, სწორედ ისე, ყინულივით აბაზანის შემდეგ სიცივისა თუ სითბოს ჟრჟოლა რომ აგიტანს და გინდა თქვა: „შეხედეთ, რა შემიძლია!“. იმავე წუთს მიწისქვეშა ძალების ამოხეთქვის გამო თავი შერცხვენილად იგრძნო. სწორედ ახლა არ აპირებდა იმის თქმას, წესრიგი, საკუთარი თავის ფლობა და საგანთა ფართო წრეში საკუთარი ადგილით კმაყოფილება სულიერი თვალსაზრისით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნორმიდან გადახვევაო? და აი, ფესვებიანად მოგლეჯილი მისი მოსაზრებები ამოყირავებულიყო და ზედ ცხოვრების ვულკანის ლავა მიკრობოდა! ამიტომაც გამოფხიზლებისთანავე ყველაზე ძლიერი გრძნობა, რაც დაეუფლა, შიში იყო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რაღაც შემზარავი ელოდა. ამ შიშს გონივრული შინაარსი არ ჰქონია. ჯერ კიდევ ნახევრად სურათ-ხატებით აზროვნებდა. უბრალოდ წარმოიდგინა, რომ კლარისა და ულრიხი ამ სურათ-ხატებიდან მის ამოგლეჯას ლამობდნენ. აზრი მოიკრიბა და ღვიძილში ძილისგან თავის დაღწევას შეეცადა. უნდოდა, რაღაც ეთქვა, გაშმაგების გამო პარალიზებული საუბრის გონივრულად გაგრძელება რომ მოეხერხებინა. ენაზე რაღაც მოადგა კიდეც, მაგრამ იმ გრძნობამ, რომ მისმა სიტყვებმა დააგვიანა, ამასობაში კი რაღაც სხვა ითქვა და მოხდა კიდეც, შეაჩერა. უცებ, თითქოს გაშვებულ დროს დაეწიაო, კლარისას ხმა ჩაესმა: – თუ ულრიხის მოკვლა გინდა, მაშ, მოკალი იგი! სინდისი მეტისმეტად გაწუხებს. კარგი მუსიკის შექმნას შემოქმედი მხოლოდ სინდისის გარეშე შეძლებს!

ეს ნათქვამი ვალტერს დიდხანს არ ესმოდა. ზოგჯერ ნათქვამს ხომ იმის წყალობით ხვდები, რომ პასუხს სცემ, ის კი პასუხს აყოვნებდა, რათა თავისი იქ არყოფნა არ გაეცა. მიხვდა ან თავი

დაიჯერა, რომ კლარისამ მართლა რაღაც ისეთი თქვა, რამაც აზრები ასე საშიშად დაუფრთხო. კლარისა მართალი იყო, რომ ვალტერი ხშირად სხვას არაფერს ისურვებდა, გარდა იმისა, რომ ულრიხი მკვდარი ენახა. ასეთი რამ მეგობრობაში, რომელიც სიყვარულივით მალე არ ქრება, ხშირად ხდება ხოლმე თუ ის ინდივიდის ღირებულებას ხელყოფს. ღმერთმა იცის, რომ ვალტერს სისხლი არ სწყუროდა. საკმარისი იყო, ულრიხი მკვდარი წარმოედგინა და დაკარგული მეგობრისადმი ყმაწვილობისდროინდელი მეგობრული სიყვარული ნაწილობრივ მაინც მაშინვე თავს იჩენდა. ისევე, როგორც თეატრში, როცა ობივატელური შიში შემზარავი საქციელის წინაშე ხელოვნური გრძნობით ქრება, ვალტერსაც ტრაგიკულ დასასრულზე ფიქრისას ეჩვენებოდა, რომ მას, ვისაც მსხვერპლის როლი ერგო, რაღაც მშვენიერი შეემთხვეოდა. ამაღლებული გრძნობა დაეუფლა, თუმცა მშიშარა იყო და სისხლის დანახვასაც ვერ იტანდა. გულწრფელად სურდა, ულრიხის ამპარტავნობა რამეს გაეტეხა, თუმცა ამისთვის არაფერს მოიმოქმედებდა. რაც უნდა მიაწერონ, აზრებს ხომ თავდაპირველად ლოგიკა არ გააჩნია. ფანტაზიისგან დაცლილი რეალობის წინააღმდეგობა თუ აქცევს იმ დაპირისპირებულობას ყურადღებას, რომელიც პოემა „ადამიანში“ გვხვდება. იქნებ კლარისა მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, ზედმეტი ობივატელური სინდისიერება ხელოვანს ზიანს აყენებსო. ეს ყველაფერი ვალტერშიც იყო და იგი ცოლს გაუბედავად და ჯიუტად მიშტერებოდა.

კლარისამ გაცხარებით გაიმეორა: – თუ გზაზე გეღობება, ჩამოიშორე!

ეტყობოდა, რომ ეს აზრი ხიბლავდა და საინტერესოდ ეჩვენებოდა.

ვალტერს უნდოდა, მისთვის ხელი გაეწვდინა. ხელები თითქოს დაუბორკეს, მაგრამ მიახლოება მაინც მოახერხა.

– ნიცშე და ქრისტე სწორედ სანახევროობამ დაღუპა! – ჩასჩურჩულა კლარისამ ვალტერს.

რა სისულელე იყო ეს ყველაფერი. ქრისტე რაღამ გაახსენა?! ნეტა რას ნიშნავდა, ქრისტე სანახევროობამ დაღუპაო? ასეთი შედარებები უხერხულობის მეტს არაფერს ბადებდა. გრძნობდა, რომ კლარისას ტუჩები რაღაც ავბედითს

წარმოთქვამდა. ტანჯვით მიღებულ გადაწყვეტილებას – შეერთებოდა კაცობრიობის უმრავლეს ნაწილს – აშკარად საკუთარი გამორჩეულობის დათრგუნული, მაგრამ შეუპოვარი სურვილი უპირისპირდებოდა. ვალტერმა კლარისას მკლავში მთელი ძალით წაავლო ხელი და განძრევის საშუალებას არ აძლევდა. კლარისას თვალები რკალებივით მოჩანდა.

– არ ვიცი, საიდან მოგდის ასეთი აზრები! – ერთმანეთის მიყოლებით რამდენჯერმე გაუმეორა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. ვალტერმა კლარისა თავისკენ მიიზიდა. კლარისამ ათივე თითი ფრინველის ბასრი ბრჭყალებივით გაფარჩხა და ვალტერს სახესთან ახლოს მიუტანა. ასე რომ, ვალტერმა მეტად მიახლოება ვეღარ შეძლო. „გიჟია!“ – გაიფიქრა ვალტერმა, მაგრამ ხელს ვერ უშვებდა. კლარისას სახეზე საზიზღარი, ვალტერისთვის აუხსნელი, გამომეტყველება აღბეჭდვოდა. შეშლილი არასდროს ენახა, მაგრამ ფიქრობდა, ალბათ, ასეთი გამომეტყველება აქვსო.

უცებ ვალტერმა ამოიკვნესა: – გიყვარს?

დიდად ორიგინალური ეს შენიშვნა არ ყოფილა. თანაც ამ საკითხზე ცხარედაც არაერთხელ უკამათიათ; მაგრამ ერჩივნა, დაეშვა, რომ კლარისას ულრიხი უყვარდა, ვიდრე მისი ავადმყოფობა დაეჯერებინა. მსხვერპლის გაღების სურვილი, ალბათ, იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ ადრეული რენესანსის ხანის სილამაზის მქონე კლარისას თხელი ტუჩები, მასში მუდამ ასეთ აღფრთოვანებას რომ იწვევდა, სიმახინჯედ პირველად აღიქვა. ეს სიმახინჯე კი თავის მხრივ, ალბათ, იმასთან იყო დაკავშირებული, რომ კლარისას სახეს მისდამი ნაზი სიყვარული კი აღარ იცავდა, არამედ ის მეტოქის უხეშ სიყვარულს გაეშიშვლებინა. ეს ყოველივე უამრავ სირთულეს ბადებდა, რასაც ადგილი გულსა და თვალებს შორის დაეკავებინა და ზოგად შინაარსთან ერთად კერძო ხასიათიც ჰქონდა. მაგრამ სიტყვა „გიყვარს?“ წარმოთქმისას არაადამიანური ოხვრა რომ აღმოხდა, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ კლარისას სიგიჟე მასაც გადაედო და ამან ვალტერი ცოტათი შეაშინა.

კლარისამ ვალტერისგან თავი ფრთხილად გაითავისუფლა, შემდეგ მიუახლოვდა და რამდენჯერმე წამღერებით გასცა პასუხი: – არ მინდა შენგან შვილი; არ მინდა შენგან შვილი! – თან დაუდევრად და ჩქარ-ჩქარა რამდენჯერმე აკოცა.

შემდეგ წავიდა.

სინამდვილეში ეს ხომ არ თქვა: „მას ჩემგან შვილი უნდა“?! დარწმუნებული არ იყო, რომ კლარისამ ასე თქვა, თუმცა მის პასუხში ამ შესაძლებლობას გრძნობდა. ეჭვით შეპყრობილი როიალთან იდგა და გრძნობდა, რომ ცალი მხრიდან ერთდროულად თბილი და ცივი ქარი უბერავდა. რა იყო ეს? გენიალურობის და შეშლილობის ნაკადი? თუ დამთმობლობის და სიძულვილის? შეეძლო, წარმოედგინა, რომ კლარისას გზას გაუხსნიდა და საკუთარ გულს გადაუშლიდა, კლარისას ზედ რომ ევლო. ისიც შეეძლო, წარმოედგინა, რომ დაუნდობელი სიტყვებით მასაც და ულრიხსაც გაანადგურებდა. არ იცოდა, ულრიხთან წასულიყო თუ საკუთარი სიმფონიის წერას შესდგომოდა, რომელიც ამ წუთიდან, შესაძლოა, ცასა და მიწას შორის მარადიულ ბრძოლად ქცეულიყო, ან იქნებ მღელვარება ჯერ ვაგნერის აკრძალული მუსიკის ქალთევზების ტბორში დაეშოშმინებინა. ენით გამოუთქმელი მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფებოდა, თანდათან ამ მოსაზრებებს შეერწყა. ვალტერმა როიალს თავი ახადა, სიგარეტს მოუკიდა. აზრები ფართო წრეებად გაიშალა, მისმა თითებმა კლავიშებზე საქსონელი ჯადოქრის ჟრჟოლის მომგვრელი, სულის და ხორცის გამმსჭვალავი მუსიკა ააჟღერა. ვალტერი თანდათან განიმუხტა. საკუთარი და ცოლის შეურაცხადი მდგომარეობა მისთვის სრულიად ნათელი შეიქნა, მაგრამ მიუხედავად უხერხული შეგრძნებისა, რასაც მასში ეს მდგომარეობა ბადებდა, კარგად იცოდა, რომ კლარისას მოძებნას და მისთვის ამის ახსნას აზრი არ ჰქონდა. უცებ გულმა გარეთ, ადამიანებისკენ გაუწია. ქუდი დაიხურა და თავდაპირველი მიზნის განსახორციელებლად – მონაწილეობა მიეღო საყოველთაო მღელვარებაში, თუ მსგავს რამეს გადაეყრებოდა – ქალაქში გაეშურა. ის შთაბეჭდილება, რომ დემონურ ლაშქარს მიუძღვებოდა, რომელიც მისი წინამძღოლობით დანარჩენთ უნდა შეერთებოდა, ჯერაც არ განელებოდა. ტრამვაიში ჩაჯდომისთანავე ცხოვრებამ ჩვეული იერი დაიბრუნა. ის, რომ ულრიხი მოწინააღმდეგის ბანაკში იმყოფებოდა, გრაფი ლაინსდორფის სასახლეზე, შეიძლება, იერიში მიეტანათ, ულრიხი, ვაი და, ქუჩის ფანარზე ეკიდა, ბრბოს გაეთელა ანდა, პირიქით, შიშით აკანკალებული შეეფარებინა და გადაერჩინა, მყარი ტარიფით, გაჩერებებით და გამაფრთხილებელი ზარების რეკვით მგზავრობის ნათელ მოწესრიგებულობაზე არეკლილ

წამიერ ლანდებად იქცა. ვალტერი მშვიდად სუნთქავდა და ამ წესრიგში რაღაც მშობლიურს გრძნობდა.

119. კონტრმანევრი და ცდუნება

მაშინ ისე ჩანდა, რომ მოვლენები დასასრულისკენ ისწრაფოდა და დირექტორ ლეო ფიშელისთვისაც, რომელიც არნჰაიმთან დაკავშირებით კონტრმანევრს დიდი მოთმინებით ელოდა, კმაყოფილების საათმა ჩამორეკა. სამწუხაროდ, იმწუთას მისი ცოლი კლემენტინე სახლში არ იყო და ლეო იმასღა უნდა დასჯერებოდა, რომ დილის გაზეთით ხელში, საბირჟო საქმეებს, ჩვეულებისამებრ, დეტალურად რომ აღწერდა, თავისი ქალიშვილის გერდას ოთახში შესულიყო. ლეო სკამზე მოხერხებულად დაჯდა, გერდას პატარა სტატიაზე მიუთითა და კმაყოფილებით ჰკითხა: – შვილო, იცი, ეს ღრმააზროვანი ფინანსისტი ჩვენს ქვეყანაში რა მიზნით ჩამოვიდა?

არნჰაიმს სახლში მხოლოდ ასე მოიხსენიებდა, რათა ეჩვენებინა, რომ ის, როგორც სერიოზული და საქმიანი ადამიანი, ამ მდიდარი ყბედით ცოლის აღფრთოვანებას არ იზიარებდა. სიძულვილს ნათელმხილველად არავინ უქცევია, მაგრამ ბირჟაზე მოარული ხმები ხშირად არ ტყუოდა და გაზეთში სანახევროდ ნათქვამი ლეომ სასწრაფოდ დაასრულა: – იცი? – გაუმეორა გერდას და ცდილობდა, შვილის თვალებისთვის საზეიმო მზერის სხივი შეეგებებინა. – უნდა, რომ გალიციური ნავთობწარმოება საკუთარი კონცერნის კონტროლს დაუქვემდებაროს.

ამ სიტყვების თქმისთანავე ფიშელი წამოდგა, გაზეთს ხელი დაავლო, ზუსტად ისე, ძაღლს ქეჩოში რომ წაავლებენ ხელს, და ოთახიდან გავიდა, რადგან აზრად მოუვიდა, ერთი-ორი ადამიანისთვის დაერეკა და საბოლოოდ დარწმუნებულიყო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ყოველთვის ფიქრობდა იმაზე, რაც ახლახან გაზეთში წაიკითხა. აქედან გამომდინარეობს, რომ საბირჟო ინფორმაცია ადამიანზე ისეთსავე ზეგავლენას ახდენს, როგორსაც მხატვრული ლიტერატურა. ამიტომ არნჰაიმით კმაყოფილი დარჩა, თითქოს ასეთი გონიერი ადამიანისგან სხვა არც არაფერი იყო მოსალოდნელი და ერთბაშად დაავიწყდა, აქამდე მას ყბედად რომ თვლიდა. დიდად არ შეუწუხებია თავი, გერდასთვის ნათქვამი განემარტა; თითოეულ ზედმეტ სიტყვას შეეძლო ფაქტების ენა

დაემახინჯებინა. „უნდა, რომ გალიციური ნავთობწარმოება საკუთარი კონცერნის კონტროლს დაუქვემდებაროს!“ – ამ უბრალო წინადადების წონას ენაზე ჯერ კიდევ გრძნობდა და ოთახიდან გასვლისას გაიფიქრა: „ვისაც გამძლეობა ჰყოფნის და მოთმინებით ელის, ყოველთვის იგებს!“ – ეს ძველი საბირჟო კანონი, სხვა დანარჩენ საბირჟო ჭეშმარიტებათა მსგავსად, მარადიული ჭეშმარიტებების უზადო შემავსებელი გახლდათ.

ლეოს გასვლისთანავე გერდამ გრძნობებს გასაქანი მისცა. აქამდე ცდილობდა, მამისთვის სიამოვნება არ მიენიჭებინა და არ ეჩვენებინა, რომ დაბნეული ან თუნდაც გაკვირვებული იყო. ახლა კი სასწრაფოდ კარადა გამოაღო, პალტოს და ქუდს დასტაცა ხელი, სარკესთან თმა და კაბა შეისწორა, სარკის წინ ჩამოჯდა და სასოწარკვეთილი, საკუთარ სახეს დააკვირდა. გადაწყვიტა, ულრიხი სასწრაფოდ მოენახულებინა. გადაწყვეტილება სწორედ იმ წუთს მიიღო, როცა მამამისისგან ამ ინფორმაციის მოსმენისას თავში აზრად მოუვიდა, ეს ამბავი დაუყოვნებლივ ულრიხს უნდა ვაცნობოო. დიოთიმას გარშემო შექმნილი სიტუაციის შესახებ გერდასთვის საკმაოდ კარგად იყო ცნობილი საიმისოდ, რომ ულრიხისთვის ამ ინფორმაციის მნიშვნელოვნებას მიმხვდარიყო. გადაწყვეტილების მიღებისთანავე მოეჩვენა, რომ მასში ამდენ ხანს მიჩუმებულმა გრძნობებმა გამოიღვიძა. აქამდე თავი ისე ეჭირა, თითქოს ულრიხის მიწვევა დავიწყებოდა. საკმარისი იყო, პირველი გრძნობა ამოძრავებულიყო და დანარჩენი, უფრო შორეული, გრძნობებიც თავშეუკავებლად დაიძრნენ ადგილიდან. გადაწყვეტილებამ კი მისგან დამოუკიდებლად მიიღო სახე.

„არ ვუყვარვარ!“ – გაიფიქრა გერდამ. სარკეში მონდომებით აკვირდებოდა საკუთარ სახეს, რომელსაც ბოლო დროს კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრე შეეძინა. „რას ვგავარ, როგორ უნდა ვუყვარდე!“ – გაიფიქრა ღონემიხდილმა. მერე იმავე წუთს ჯიუტად დაამატა: – „არ არის ჩემი ღირსი! ყველაფერი მე მოვიგონე!“.

გერდა საშინელმა სევდამ მოიცვა. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ძალა სრულებით წაართვა. ულრიხთან თავისი დამოკიდებულება ისე წარმოედგინა, თითქოს წლების მანძილზე ორივე საგულდაგულოდ ართულებდა იმას, რაც სრულიად მარტივი იყო. ჰანსი კი თავისი ბავშვური ალერსით

ნერვებს აწყვეტდა. როცა მას უხეშად და ზოგჯერ სიძულვილითაც ექცეოდა, ჰანსი კიდევ უფრო უხეში ხდებოდა, იმ ბიჭივით, რომ იმუქრება, რამეს გატკენო. როცა გერდა მის დამშვიდებას შეეცდებოდა, ჰანსი ისევ ეხვეოდა ხოლმე და ჩრდილივით ეხებოდა, რისგანაც გერდას კანს სინორჩე ეკარგებოდა. გერდამ მთელ ამ ტანჯვას წერტილი დაუსვა, როცა პალტოსა და ქუდის ასაღებად კარადა გამოაღო. სარკის წინ შიში კი იმით დასრულდა, რომ სასწრაფოდ წამოდგა და ქუჩაში გავარდა, თუმცა შიშისგან თავის დახსნა მაინც ვერ შეძლო.

როგორც კი ულრიხმა გერდა დაინახა, მაშინვე ყველაფერს მიხვდა.

გერდას სახეზე ვუალიც ჩამოეფარებინა, როგორც ბონადეას, როცა მასთან სტუმრად მოდიოდა ხოლმე. გერდა მთელი სხეულით კანკალებდა და ამის დასაფარავად ცდილობდა, თავი ბუნებრივად დაეჭირა, რის გამოც გახევებული ჩანდა.

– მამაჩემისგან ერთი მნიშვნელოვანი ამბავი გავიგე და შენთან იმიტომ მოვედი, – უთხრა გერდამ.

„უცნაურია! – ფიქრობდა ულრიხი. – უცბად შენობით არ დამიწყო ლაპარაკი!“. ამ ნაძალადევ „შენ“-ს წყობიდან გამოჰყავდა და გაბრაზება რომ არ შესტყობოდა, ცდილობდა, საკუთარი თავისთვის აეხსნა, გერდას საქციელში გადაჭარბებულობა, ალბათ, იმ სურვილით არის გამოწვეული, საკუთარ სტუმრობას საბედისწერო, განსაკუთრებული მნიშვნელობა დაუკარგოს და მას გონივრული, უბრალოდ, დაგვიანებული მოვლენის სახე მისცეს, საიდანაც სწორედ საპირისპირო გამომდინარეობსო; ასე რომ, გოგოს საქმის ბოლომდე მიყვანა გადაუწყვეტიაო.

– „შენობით“ ფორმაზე ხომ დიდი ხანია გადავედით, სიტყვა „თქვენ“ -ს კი მხოლოდ იმიტომ ვხმარობთ, რომ ერთმანეთს ყოველთვის გავურბოდით! – განუცხადა გერდამ, რომელსაც გზაში სტუმრობის მიზეზი მოეფიქრებინა და იმისთვისაც მზად იყო, რომ ულრიხს მისი ვიზიტი გააკვირვებდა.

ულრიხი დროს არ კარგავდა. გერდას ხელი მხრებზე მოხვია და აკოცა. გერდა ცვილის სანთელივით დაჰყვა. თითქოს გონწართმეული, თითებით ულრიხს ეხებოდა. ულრიხი იმწამს იმ მაცდურივით სასტიკი გახდა, სულის გაუბედაობა რომ

იზიდავს; იმ სულისა, საკუთარ სხეულს ტუსაღივით რომ დაატარებს. ზამთრის დღე იწურებოდა. ჩაბნელებულ ოთახს ფანჯრიდან შემოსული შუქის სუსტი სხივები ზოლებად ეფინებოდა და ერთ-ერთ მათგანში ულრიხი იდგა, რომელსაც გერდა მკლავებში მოექცია. შუქის რბილ ბალიშზე გერდას თავი ყვითლად იკვეთებოდა, სახეზე ზეთისხილისფერი ედო და იმწუთას მიცვალებულს ჰგავდა. ულრიხი მას სხეულის იმ ნაწილებს უკოცნიდა, რომლებიც კაბასა და თმას შორის მოუჩანდა. სანამ მის ტუჩებს მიაღწევდა, ულრიხმა მსუბუქი ზიზღი დაძლია. გერდას ტუჩების მოძრაობამ კი, მის ტუჩებს რომ ეძებდა, ბავშვის სუსტი მკლავები გაახსენა, რომელიც უფროსს კისერზე ეხვევა. ბონადეას ლამაზი სახე გაახსენდა, ვნების მარწუხებში მოქცეული იმ მტრედს რომ ჰგავდა, რომელსაც მტაცებლის ბრჭყალებში ბუმბული გაფხორვია. თვალწინ დიოთიმაც წარმოუდგა, მისი მონუმენტური მშვენიერება, რომლის სიტკბოებაც არ ეგემა. უცნაურია და იმ სილამაზის ნაცვლად, რომლითაც ამ ორ ქალს მისი დასაჩუქრება სურდა, ულრიხი გერდას ვნებისგან არეულ, უმწეოდ მახინჯ სახეს ხედავდა.

ფხიზელი გონწართმეულობის მდგომარეობა გერდას დიდხანს არ გაგრძელებია. მხოლოდ ერთ წამს სურდა თვალების დახუჭვა. როცა ულრიხმა კოცნა დაუწყო, მისთვის ეს სივრცესა და დროში გაფანტული ვარსკვლავების უძრაობას დაემსგავსა. გერდა ამ შეგრძნების ვეღარც ხანგრძლივობას აღიქვამდა და ვეღარც საზღვრებს, მაგრამ როგორც კი ულრიხის მონდომებამ იკლო, მაშინვე გამოფხიზლდა და ფეხზე მყარად დადგა. ნამდვილი და არა გამოგონილი ვნებით პირველად კოცნიდა; ეჩვენებოდა, რომ მასაც ასევე კოცნიდნენ, რასაც მის სხეულში ისეთი გამოძახილი მოჰყვა, თითქოს ქალად იმწუთას ქცეულიყო. ეს პროცესი ძალიან ჰგავს კბილის ამოღებას: სხეულს რაღაც ნაწილი აკლდება, მაგრამ სისავსის გრძნობა გეუფლება, რადგან მღელვარების მიზეზი აღარ არსებობს. როგორც კი გერდას მდგომარეობამ ამ წერტილს მიაღწია, წელში გაიმართა და წამოიძახა: – არც კი გიკითხავს, რის სათქმელად მოვედი!

– იმის სათქმელად, რომ გიყვარვარ! – უპასუხა ულრიხმა ცოტა მოკრძალებით.

– არა, იმიტომ, რომ შენი მეგობარი არნჰაიმი შენს ნათესავს

ატყუებს. შეყვარებულის როლს თამაშობს და ამ დროს სულ სხვა ზრახვები ამოძრავებს, – და გერდამ ულრიხს მამამისის აღმოჩენის შესახებ უამბო.

თავისი უბრალოების მიუხედავად, ამ ინფორმაციამ ულრიხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თავს მოვალედ გრძნობდა, დიოთიმა გაეფრთხილებინა, რომელსაც სულის გაშლილი ფრთები იმედგაცრუებისკენ მიაქროლებდა. ღვარძლიანი კმაყოფილების მიუხედავად, რომლითაც ამ სურათს ხატავდა, მშვენიერ დიოთიმას მაინც თანაუგრძნობდა. თუმცა ლეოსადმი გულწრფელმა მადლიერებამ ეს გრძნობა გადაწონა. ულრიხის საქციელს, შესაძლოა, ლეოსთვის გული ეტკინა, მაგრამ საიმედო, ძველმოდური, მშვენიერი მოსაზრებებით შემკული ლეოს გონება, რომელსაც თანამედროვე აზრის გიგანტის საიდუმლო სრულიად მარტივი გზით ამოეხსნა, მასში გულწრფელ აღფრთოვანებას იწვევდა. ამიტომ ულრიხის განწყობა საგრძნობლად გადაიხარა იმ ნაზი მოთხოვნებისგან, რასაც მას გერდას იქ ყოფნა უყენებდა. უკვირდა, რომ სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ შესაძლებლად მიაჩნდა ამ გოგოსთვის გულის გადაშლა. „სიყვარულით შეპყრობილი ორი ანგელოზის მკრეხელურ იდეას ჰანსი მეორე ზღუდის გადალახვას უწოდებს“, – გაიფიქრა ულრიხმა და თითქოს თითებით იმ ფხიზელი ფორმების უჩვეულოდ გლუვ და მყარ ზედაპირს ეხებოდა, რომელსაც ცხოვრება დღეს ლეო ფიშელისა და მის თანამოაზრეთა მონდომების წყალობით იღებდა. ამიტომ წინადადება „მამაშენი არაჩვეულებრივი ადამიანია!“ მისი ერთადერთი პასუხი გახლდათ.

ამ ინფორმაციის მნიშვნელოვნებით მოცულ გერდას სხვა მოლოდინი ჰქონდა. არ იცოდა, ამ შეტყობინებისგან რა ეფექტს ელოდა, მაგრამ, როგორც მას მოეჩვენა, ულრიხის გულგრილობამ, კვლავ მტკივნეულად შეახსენა, რომ ულრიხის მას ყოველთვის საშუალოს, ჩვეულებრივისა და სიფხიზლის დამცველად ევლინებოდა. ამასობაში თავი კი დაირწმუნა, მხოლოდ სასიყვარულო სიახლოვის ეკლიანი ფორმააო, რის მაგალითად მისივე საკუთარი ქალწულებრივი სულიც გამოდგებოდა, მაგრამ ახლა – „მათ ხომ ერთმანეთი უკვე უყვარდათ“, როგორც მისი, ცოტა არ იყოს, ბავშვური აზროვნება ამ სიტუაციას განმარტავდა – სასოწარკვეთილი, გამაფრთხილებელი გრძნობა კარნახობდა, რომ კაცი, ვისაც იგი სრულიად ნებდებოდა, მას სერიოზულად არ ეკიდებოდა.

საკუთარი თავის რწმენა ნაწილობრივ კვლავ დაკარგა, თუმცა, მეორე მხრივ, „სერიოზულად არმიღება“ უცნაურად სიამოვნებდა; ის ყველა იმ მცდელობისგან ათავისუფლებდა, რაც ჰანსთან ურთიერთობის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა. მართალია, ვერ ხვდებოდა, როგორ შეეძლო ასეთ დროს ულრიხს, მამამისი შეექო, მაგრამ იგრძნო, რომ ის გაურკვეველი წესრიგი აღდგა, რომელიც მან ჰანსის გამო მამის გაბრაზებით დაარღვია. ოჯახის წიაღში ცოტა უცნაურად დაბრუნების სასიამოვნო გრძნობამ, რომელიც მისი წინდაუხედავი ნაბიჯის წყალობით მოხდა, ისე გაიტაცა, რომ ულრიხის ხელს ფრთხილი წინააღმდეგობა გაუწია და უთხრა: – მოდი, ჯერ ადამიანურად გავუგოთ ერთმანეთს და დანარჩენი თავისით მოხდება.

ერთადერთი, რაც გერდას იმწუთას ჰანს ზეპისა და მისი წრისგან შემორჩა, „მოქმედების საზოგადოების“ პროგრამის სიტყვები იყო.

ულრიხმა გერდას მხარზე ხელი მოხვია, რადგან არნჰაიმზე ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ გრძნობდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ელოდა, მაგრამ ჯერ გერდასთან შეხვედრა უნდა დაებოლოებინა. თან ის უსიამოვნო გრძნობაც დაეუფლა, რომ ყველაფერი ისე უნდა შეესრულებინა, როგორც ამას სიტუაცია ითხოვდა. ამიტომ ხელი, რომელიც გერდამ მოიშორა, სასწრაფოდ კვლავ მოხვია, მაგრამ ამჯერად იმ უსიტყვო ენით, რომელიც ძალადობის გარეშე, თუმცა სიტყვაზე მეტი დამაჯერებლობით ცხადყოფს, რომ წინააღმდეგობა ამაოა. გერდა გრძნობდა, როგორ განმსჭვალა მისი ზურგი მამაკაცურმა ძალამ, რომელსაც ულრიხის ხელი გამოსცემდა. თავი დახარა და საკუთარ სხეულს მიაჩერდა, თითქოს წინსაფარში ის აზრები მოეგროვებინა, რომელთა შემწეობითაც ულრიხისთვის „ადამიანურად უნდა გაეგო“ მანამ, სანამ ის მოხდებოდა, რაც ამ ამბავს დააგვირგვინებდა. მოეჩვენა, რომ გამომეტყველება სულელური და ცარიელი უხდებოდა. ბოლოს თავი ასწია ისე, როგორც ცარიელი ნაჭუჭი ამოტივტივდება ხოლმე წყლის ზედაპირზე, და მაცდურს ქვემოდან მზერა შეაგება.

ულრიხი დაიხარა და გერდას აღმგზნები, დაუნდობელი გაცხარებით დაუწყო სხეულის დაკოცნა. ხელ-ფეხწართმეული გერდა ულრიხმა საძინებლისკენ წაიყვანა. საძინებელს სულ რაღაც ათი ნაბიჯი აშორებდათ. გერდა მის მკლავებს მძიმედ

დაჭრილივით თუ ავადმყოფივით ეყრდნობოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფეხები მას არ ეკუთვნოდა, თუმცა ნებაყოფლობით მიაბიჯებდა. მიუხედავად მღელვარებისა, ასეთი სიცარიელე არასდროს განეცადა; ეგონა, ძარღვებში სისხლი გაუშრა, მთელი სხეული ერთიანად გაეთოშა. სარკეს ჩაუარა. მოეჩვენა, რომ საკუთარ ანარეკლს შორიდან ხედავდა, მაგრამ აჭარხლებულ-აფორაჯებული სახის დანახვა მაინც შეძლო. უცბად – როგორც უბედური შემთხვევის დროს ხდება ხოლმე, როცა გაფაქიზებული მზერა ყველა დეტალს ერთდროულად აღიქვამს – მამაკაცის დაკეტილი საძინებელი ოთახი დაინახა. გაიფიქრა, რომ ცოლის სტატუსით აქაურობას, ალბათ, უფრო გონივრულად და ყაირათიანად მოაწყობდა. სიტყვებს ეძებდა იმის სათქმელად, რომ მისგან გამორჩენას არ ელოდა და მხოლოდ საკუთარი თავის ძღვნად მირთმევას აპირებდა. საჭირო სიტყვები ვერ მოძებნა და გაიფიქრა: „ასეა საჭირო!“ – და კაბის საკინძე შეიხსნა.

ულრიხმა გერდას ხელი გაუშვა. თავი ვერ აიძულა, რომ სასიყვარულო ნაზი ალერსით გერდასთვის გაეხადა. გვერდზე გადგა და ტანსაცმლის გახდა დაიწყო. გერდამ მამაკაცის ძლიერი, მოხდენილი სხეული დაინახა, უხეშ ძალასა და სილამაზეს ჰარმონიულად რომ ახამებდა. დამფრთხალმა შეამჩნია – თუმცა საცვლები ჯერ არ გაეხადა – რომ მთელ სხეულზე ხორკლებმა დააყარა. ისევ დაუწყო მხსნელ სიტყვებს ძებნა. ღმერთო, რა საბრალო მდგომარეობაში იმყოფებოდა! სიტყვებს, რომელთა თქმასაც ის აპირებდა, უსასრულო ნეტარებასთან სხეულის შერწყმით ულრიხის სატრფოდ უნდა ექცია. სწორედ ისე, როგორც ოცნებობდა. ამისთვის კი სულაც არ იყო საჭირო, ის გაეკეთებინა, რასაც აპირებდა. ერთდროულად ეს განცდა მშვენიერიც იყო და ბუნდოვანიც. ერთ წამს მოეჩვენა, რომ ულრიხთან ერთად ტრიალ მინდორში იდგა. მინდორში სანთლები იებივით მოფენილიყო და პირველი ნიშნისთანავე მათ ფეხთით აბრიალდებოდა. სიტყვის სათქმელად ძალა არ ჰყოფნიდა. შემცბარი გრძნობდა, რა უშნო და საბრალო იყო. ბოლომდე გახდაც კი ვერ მოახერხა, ხელები ისე უკანაკალებდა. გაცრეცილი ტუჩები მთელი ძალით მოეკუმა.

ულრიხმა იგრძნო მისი ტანჯვა და ის საფრთხეც დაინახა, რომელიც დიდი ომით მოპოვებულს გაქრობას უქადდა. ის გერდას მიუხლოვდა და მხრიდან ბრეტელი ჩამოუწია. გერდა

საწოლში ბიჭივით შეძვრა. ერთ წამს ულრიხი მხოლოდ ახალგაზრდა, შიშველი სხეულის მოძრაობას ხედავდა. სიყვარულთან ამას ისეთივე კავშირი ჰქონდა, როგორიც წყლის ზედაპირზე ამომსხლტარ თევზს. ულრიხი მიხვდა: გერდას გადაეწყვიტა, მოსახდენი მომხდარიყო. ულრიხს არასდროს ასე ცხადად არ უგრძნია, რომ სხვის სხეულში შეღწევა საიდუმლო და აკრძალულ სამალავში მოხვედრის ბავშვობისდროინდელი გატაცების გაგრძელება იყო. იგი გერდას შიშისგან დახორკლილ კანს შეეხო და ლტოლვა კი არა, შიში იგრძნო. ეს სხეული, ჯერაც უმწიფარი და უკვე მომჩვარული, არ მოსწონდა. სრულ უაზრობად ეჩვენებოდა ის, რასაც აკეთებდა. უნდოდა, წამომხტარიყო და გაქცეულიყო. იმისათვის, რომ ასე არ მოქცეულიყო, საჭირო აზრებს თავი გაჭირვებით მოუყარა. აი, რატომ შთააგონებდა თავს სასოწარმკვეთი სისწრაფით იმხანად არსებულ ზოგად შეხედულებებს, რომლებიც არასერიოზული, რწმენისა და სიამოვნების გარეშე თუ უცერემონიოდ მოქმედების ყველანაირ საფუძველს იძლეოდა. სიყვარულს არ შეუპყრია, მაგრამ ამ გრძნობაში რაღაც ისეთი პოვა, სადისტურ მკვლელობას ან, ასეთი რამ თუ არსებობს, ცხოვრების ყველა დეკორაციაში ჩასახლებულ, სიცარიელის დემონებით შეპყრობილ სადისტურ თვითმკვლელობას რომ ჰგავდა.

უეცრად რაღაც ბუნდოვანმა ასოციაციამ ხულიგნებთან ღამის შეტაკება გაახსენა. უნდოდა, ამჯერად უფრო სწრაფად ემოქმედა, მაგრამ სწორედ ამ დროს რაღაც შემზარავი მოხდა. გერდა შეეცადა, ნებისყოფის დაძაბვით მტანჯველი, სამარცხვინო შიში დაეძლია. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სიკვდილით დასჯას უპირებდნენ და იმ წუთას, როცა გვერდით თავისთვის უჩვეულო ულრიხის სიშიშვლე და მისი ხელების შეხება იგრძნო, სხეული მოუდუნდა. გულის სიღრმეში მისდამი ენით უთქმელ სიმპათიას გრძნობდა და მთრთოლვარედ ნაზ სურვილს, ულრიხს მოხვეოდა, მისთვის თმები დაეკოცნა და მის სიტყვებს ტუჩებით გაჰყოლოდა, თავს ვეღარ აღწევდა. ეგონა, ულრიხი მის არსს რომ შეხებოდა, თბილ ხელზე მოხვედრილი თოვლივით დადნებოდა. მაგრამ ეს ის ულრიხი იყო, მისი მშობლიური სახლის ნაცნობ ოთახებში ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილი რომ დადიოდა და არა ის შიშველი მამაკაცი, რომლის მტრული ზრახვებიც ამოიცნო და რომელიც გერდას გაღებულ მსხვერპლს

სერიოზულად არ ეკიდებოდა; და უცებ გერდამ შეამჩნია, რომ ყვიროდა. ყვირილი ჰაერში ღრუბელივით, საპნის ბუშტივით დაეკიდა. ერთს მეორე მოჰყვა. ეს იყო ხმადაბალი, გულის სიღრმიდან აღმომხდარი ყვირილი, რომელიც თითქოს რაღაცას ებრძოდა; ქვითინი, საიდანაც რაღაც ბგერა დამრგვალდა, გამოეყო და „ი-ი-ი“ -დ იქცა. ტუჩები მოეღრიცა და დაენამა, როგორც მომაკვდინებელი, ავხორცული ტკბობის დროს. წამოხტომა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. თვალები აღარ ემორჩილებოდა და ისეთ მოძრაობებს აკეთებდა, რის უფლებასაც თვითონ არასდროს მისცემდა. გერდა შებრალებას ითხოვდა; პატარა ბავშვივით, სასჯელის წინ რომ ტირის ან ექიმთან რომ მიჰყავთ და ნაბიჯს კი ვერ დგამს, რადგან ყვირილისაგან იგრიხება და იკლაკნება. მკერდზე ხელები აიფარა და ულრიხს ფრჩხილებით ემუქრებოდა, მაღალი თეძოები კი ციებცხელებიანივით დაძაბვოდა. ამბოხებული სხეული თავადვე აშინებდა. ეგონა, თეატრში, ჩაბნელებულ მაყურებელთა დარბაზში, ყველასგან მიტოვებული იჯდა და სცენაზე გათამაშებულ თავის ბედისწერას უყურებდა, მსახიობები მგზნებარე შეძახილებით რომ ასრულებდნენ. გერდა სცენის უნებლიე მონაწილედ იქცა და ამის შეჩერებას ვეღარ ახერხებდა.

გერდას დაბინდული თვალების დაპატარავებულ გუგებს, უცნაურად მტკიცე მზერით რომ იყურებოდა, ულრიხი ძრწოლით აკვირდებოდა. ხედავდა მისი სხეულის უცნაურ მოძრაობებს, სადაც სურვილი და აკრძალვა, სული და უსულობა ერთმანეთს გადაჯაჭვოდა. ულრიხმა მის გაცრეცილ თეთრ კანზე შავი ბალანიც დაინახა, რომელსაც იქ, სადაც ხშირ ბუჩქად ამოსულიყო, ჟღალი ფერი დაჰკრავდა. თანდათან მიხვდა, რომ გერდას ყვირილი ისტერიკას ნიშნავდა, მაგრამ როგორ მოქცეულიყო, არ იცოდა და ეშინოდა, რომ მტანჯველი ყვირილი უფრო გაძლიერდებოდა. გაახსენდა, რომ ისტერიის შემოტევის შეჩერება უხეში დაყვირებით ან უეცარი დარტყმით შეიძლებოდა. გარდაუვალობის რაღაც მოუხელთებელმა ელემენტმა, რომელიც ამ შემზარავ ისტერიკას უკავშირდებოდა, აფიქრებინა, რომ მასზე ახალგაზრდა მამაკაცს, შესაძლოა, გერდაზე შეტევა არც კი შეეწყვიტა. „ამ სულელმა ისე ღრმად შეტოპა, რომ იქნებ არც უნდა დავუთმო!“. შეტევა აღარ გაუგრძელებია, მაგრამ ასეთი სინანულის მომგვრელი აზრები აქეთ-იქით გაეფანტა და

უნებლიეთ განუწყვეტლივ ჩასჩურჩულებდა გერდას მანუგეშებელ სიტყვებს. ჰპირდებოდა, რომ არაფერს უზამდა, უხსნიდა, ჯერ არაფერი მოგსვლიაო, პატიებას სთხოვდა, მაგრამ ბზესავით შიშით მოგროვილი სიტყვები იმდენად სასაცილოდ და უღირსად მოეჩვენა, რომ თავს ძლივს იკავებდა, ბალიშისთვის ხელი არ წამოევლო და გერდასთვის პირში არ ჩაეჩარა.

უცებ ისტერიკამ თავისით იკლო და გერდას სხეული დაუმშვიდდა, გოგოს თვალები ცრემლებით აევსო და საწოლში წამოჯდა. პატარა მკერდი სხეულზე, რომელსაც ცნობიერება ჯერ ვერ აკონტროლებდა, ჩვარივით ეკიდა. ულრიხმა ამ არაადამიანური და ხორციელი მოვლენის წინაშე, რომლის გადატანაც მოუხდა, ზიზღი კიდევ ერთხელ იგრძნო. შემდეგ გერდას ცნობიერება დაუბრუნდა; თვალები გაახილა, სწორედ ისე, ჯერ კიდევ რომ არ გამოფხიზლებულხარ და თვალებს კი ახელ. ერთხანს უაზროდ რაღაც წერტილს მიშტერებოდა; შეამჩნია, რომ შიშველი იჯდა, ულრიხს შეხედა და სახეზე სისხლი მოაწვა. ულრიხმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ყურში იმავე სიტყვებს ჩასჩურჩულებდა; შემდეგ მხრებზე ხელი მოხვია, თავისკენ მიიზიდა, გულში ჩაიკრა და ცდილობდა, ნუგეში ეცა. სთხოვდა, რომ მომხდარისთვის ყურადღება არ მიექცია. გერდა ისევ იმ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელშიც ისტერიკა დაეწყო. ყველაფერი უცნაურად ფერმკრთალი და შორეული ეჩვენებოდა: გაშლილი საწოლი, საკუთარი შიშველი სხეული, მამაკაცის მკლავებში მომწყვდეული, რაღაც მგზნებარე სიტყვებს რომ ჩასჩურჩულებდა და გრძნობები, აქ რომ მოიყვანა. ხვდებოდა, რასაც ნიშნავდა ეს ყველაფერი, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ რაღაც საშინელი მოხდა, რასაც იმწუთას ზიზღით ბუნდოვნად იხსენებდა. არც ის გამოჰპრავია, რომ ულრიხის ხმა ნაზად ჟღერდა, რასაც იმას მიაწერდა, რომ მისთვის ის ახლა ავადმყოფი იყო. ავად კი იგი ულრიხმა გახადა, თუმცა უკვე ყველაფერი სულერთი გახდა. ერთადერთი, რაც უნდოდა, ის იყო, რომ აქედან უხმოდ გაუჩინარებულიყო. გერდამ თავი დახარა, ულრიხისგან თავი გაითავისუფლა, ხელის ცეცებით კაბა მოძებნა და პატარა ბავშვივით თუ იმ ადამიანივით, საკუთარ თავს რომ აღარაფრად აგდებს, გადაიცვა. ულრიხი ჩაცმაში ეხმარებოდა, წინდაც კი აუწია, თითქოს ბავშვს აცმევდა. როცა წამოდგა, გერდა წაბორძიკდა. მეხსიერება

კარნახობდა, როგორი გრძნობით დატოვა მშობლიური სახლი, სადაც ახლა ბრუნდებოდა. გრძნობდა, რომ გამოცდას ვერ გაუძლო და თავს ძალზე უბედურად და შერცხვენილად გრძნობდა. ულრიხისთვის სიტყვაც არ უთქვამს. გაახსენდა, ერთხელ ულრიხმა ხუმრობით თქვა, მარტოობა უხამსობისკენ მიბიძგებსო, თუმცა ამ ნათქვამს აქ მომხდართან კავშირი არ ჰქონდა. გერდა ულრიხზე არ ბრაზობდა, უბრალოდ უნდოდა, რომ აღარასდროს ენახა.

ულრიხმა თავი გამოიდო, ეტლს მოვიყვანო. გერდამ უბრალოდ თავი გააქნია, გაწეწილ თმებზე ქუდი დაიხურა და ოთახიდან ისე გავიდა, რომ მისთვის ერთხელაც არ შეუხედავს. ულრიხი უყურებდა, როგორ მიდიოდა გერდა, ოღონდ ვუალი ამჯერად ხელში ეჭირა. თვითონ კი უგერგილო ბიჭივით იდგა. რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობაში მისი გაშვება არ შეიძლებოდა, მაგრამ გერდას შესაჩერებლად ვერაფერი მოიფიქრა. ულრიხი თვითონ ნახევრად შიშველი იყო, რადგან გერდას უნდა მიხმარებოდა, რაც იმ სერიოზულ მდგომარეობას, რომელშიც ულრიხი იმყოფებოდა, რაღაც დაუმთავრებელ სახეს აძლევდა; თითქოს ჯერ უნდა ჩაეცვა და შემდეგ გადაეწყვიტა, რაც თავის პერსონას შეეხებოდა.

120. პარალელური აქცია მღელვარებას იწვევს

როცა ვალტერმა ქალაქის ცენტრამდე მიაღწია, იგრძნო, რომ ჰაერი დამუხტულიყო. ხალხი ჩვეულებრივად მიდი-მოდიოდა, ტრამვაები და ეტლებიც ჩვეულებრივად დადიოდნენ. აქა-იქ უჩვეულო ფუსფუსი იგრძნობოდა, მაგრამ სანამ რამეს გაარკვევდით, ქრებოდა. მიუხედავად ამისა, ყველაფერს რაღაც პატარა განმასხვავებელი ნიშანი ედო, რომელიც გარკვეულ მიმართულებას მიუთითებდა და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ვალტერმა ნიშანი თავადაც იგრძნო. ის ამ მიმართულებას მიჰყვა და ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ხელოვნების დეპარტამენტის მუშაკმა, რომელიც თავად იყო, მებრძოლმა მხატვარმა და მუსიკოსმა და თვით კლარისას განაწამებმა ქმარმაც კი ადგილი ვიღაც სხვას დაუთმო, ვისთვისაც ყველა ეს მდგომარეობა უცხო იყო. ქუჩები თავიანთი დინამიკურობითა და მორთულ-მოკაზმული, თავმომწონე სახლებით მასავით „პირველყოფილ მდგომარეობაში“ იმყოფებოდნენ, როგორც ამას თავისთვის უწოდა. ეს მასზე რაღაც კრისტალური ფორმის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომლის ზედაპირიც სითხედ

გადაქცეულიყო და წინარე მდგომარეობას დაბრუნდებოდა. რამდენადაც კონსერვატიული გახლდათ, როცა საქმე მყოფადი სიახლეების უარყოფას ეხებოდა, იმდენადვე სიამოვნებით ავლენდა მზადყოფნას, განესაჯა აწმყო და წესრიგის მოშლა – რომელსაც გრძნობდა – მასზე კეთილისმყოფელად რომ მოქმედებდა. ადამიანები, რომლებიც დიდი რაოდენობით ხვდებოდნენ, საკუთარ სიზმრებს ახსენებდნენ. მათში დინამიკა და სისწრაფე იგრძნობოდა და გონებით, მორალითა და ჭკვიანური, წინასწარდამცავი ზომებით განმტკიცებული სოლიდარობა მათ თავისუფალ, ლაღ საზოგადოებად ხდიდა. ამან ყვავილების თაიგული გაახსენა, რომლისთვისაც ძაფი შემოეხსნათ და ყვავილები სათითაოდ გაშლილიყო, ოღონდ ისე, რომ არ დაფანტულიყო. კიდევ სხეულიც გაახსენდა, ტანსაცმელი რომ შემოეცალათ და ღიმილის მომგვრელ სიშიშვლეს, თვალწინ რომ ხედავდით, სიტყვა ვერ აღწერდა და არც იყო საჭირო; არც პოლიციის რაზმები ეხამუშა, რომლებსაც სიარულის დროს გადაეყარა, პირიქით, განგაშის მოლოდინში სამხედრო მზადყოფნით ბანაკთან მათი მსგავსების გამო მოიხიბლა კიდეც. მათმა წითელსაყელოიანმა ფორმებმა, ქვეითად მოსიარულე მხედრებმა და ცალკეული რაზმების მოძრაობამ მებრძოლი სულისკვეთებით აავსო.

ამ ალყის მიღმა, რომელიც, მართალია, ჯერ არ შემოერტყათ, ვალტერს მაშინვე პირქუში ქუჩა მოხვდა თვალში. გზაზე ქალები თითქმის არ დაუნახავს, ფერად ფორმებში გამოწყობილი, ზანტად მოსიარულე ოფიცრებიც, რომლებიც, ჩვეულებრივ, ამ პატარა ქუჩებს აცოცხლებდნენ, თითქოს ამ გაურკვევლობას შთაენთქა. ქალაქის ცენტრისკენ მასავით უამრავი ადამიანი მიიჩქაროდა, თუმცა მათი მოძრაობა ამჯერად სულ სხვა შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეს ვალტერს ძლიერი ქარით ჰაერში ატაცებულ ქაღალდის ნაფლეთებს და ნამჯას აგონებდა. მალე ადამიანების ჯგუფიც შემოხვდა. ჩანდა, ისინი მხოლოდ ცნობისმოყვარეობას კი არ გაეერთიანებინა, არამედ იმასაც, რომ ვერ გადაეწყვიტათ, ცდუნებას აჰყოლოდნენ თუ სახლში დაბრუნებულიყვნენ. კითხვებზე ვალტერმა ურთიერთგანსხვავებული პასუხები მიიღო. ერთნი ამბობდნენ, ტახტის ერთგულ ქვეშევრდომთა დიდი დემონსტრაცია იმართებაო, სხვებს კი თითქოს ყური მოეკრათ, დემონსტრაცია მეტისმეტად მონდომებული პატრიოტების წინააღმდეგ არის მიმართულიო. განსხვავებული იყო ასევე

მოსაზრებები იმ საკითხზეც, ყოვლისმომცველი მღელვარება სლავების წამქეზებელი ხელისუფლების დამთმობი პოლიტიკით გამოწვეული გერმანელი ხალხის მღელვარება იყო თუ ხელისუფლებისადმი ნდობით განწყობილი მღელვარება, რომელიც ყველა კეთილგონიერ კაკანიელს გაუთავებელი არეულობის წინააღმდეგ მოუწოდებდა. ყველა მასავით ფეხის ხმას აჰყოლოდა და ვალტერს ისეთი არაფერი შეუტყვია, რაც სამსახურიდან არ იცოდა, მაგრამ ისეთი ძლიერი იყო სურვილი, ელაპარაკა, რომ თავს ვერ ერეოდა და ხან ვის და ხან ვის ეკითხებოდა. მაშინაც, როცა პასუხობდნენ, არ ვიცით, რა ხდებაო, და მაშინაც, როცა საკუთარ ცნობისმოყვარეობას დასცინოდნენ, პირველივე წინადადებას მაშინვე იმას მოაყოლებდნენ, უკვე დრო არის, რაღაც მოხდესო, თუმცა არავის სურდა აეხსნა, რას გულისხმობდა. რაც უფრო წინ მიიწევდა, მით უფრო ხშირად ეტყობოდათ ადამიანებს, რომლებსაც სახეში უმზერდა, თავაწყვეტილი, მოუთოკავი სიშლეგე. მართალია, არავინ იცოდა, რა ხდებოდა იქ, საითაც ასე მიისწრაფოდნენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს რაღაც უჩვეულო უნდა ყოფილიყო, საკმარისი აღმოჩნდა, რომ ყველა კალაპოტიდან ამოეგდო. თუმცა „კალაპოტიდან ამოგდება“ ამ სიტყვის შერბილებული მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, რომელიც სრულიად ჩვეულებრივ მსუბუქ მღელვარებას გამოხატავს, მაგრამ მასში ექსტაზისა და გარდასახვის დიდი ხნის წინ დავიწყებულ მდგომარეობასთან შორეული ნათესაობა და საკუთარ ტყავიდან ამოძრომის არაცნობიერი, უფრო და უფრო მზარდი სურვილი იგრძნობა.

ვალტერი დანარჩენებს შეუერთდა. ისეთ საკითხებზე ლაპარაკობდა და ისეთ ვარაუდებს გამოთქვამდა, რაც ასე უცხო იყო მისი ბუნებისთვის. მომლოდინე, გაუბედავი ნაბიჯებით მოსიარულე ადამიანთა დაქსაქსული ჯგუფები პროცესიად გადაიქცა, მოქმედების სავარაუდო ადგილისკენ დაიძრა და, თუმცა რამე კონკრეტული განზრახვა არ ჰქონდა, შეიკრა და შინაგანი ძალაც შეიძინა. ამ ემოციებში, მშიშარა კურდღლის ქცევაც იგრძნობოდა, სოროს რომ არ შორდება და ნებისმიერ წუთს შიგ შესაძრომად მზად არის, როცა პროცესიის თავიდან, რომელსაც უკან მდგომნი ვერ ხედავდნენ, მის ბოლომდე კონკრეტული შინაარსის მღელვარებამ მიაღწია. ბრბოს „ბრძოლის ველიდან“ დაბრუნებული სტუდენტური ჯგუფები და ახალგაზრდებიც შეუერთდნენ. დამახინჯებულ

ინფორმაციასაც მოჰკრავდით ყურს, რომელსაც თავსა და ბოლოს ვერ გაუგებდით. მღელვარების მდუმარე ტალღა პროცესიის თავიდან ბოლოს გადაეცემოდა და ყველა თავისი ტემპერამენტისა და იმის მიხედვით, ვის ყურამდე რა ინფორმაცია აღწევდა, აღშფოთებას ან შიშს, ჩხუბის ან ზნეობრივი პრინციპებისადმი დამორჩილების სურვილს გამოხატავდა. წინ ყველა გაჭირვებით მიიწევდა და თუმცა ჩვეულებრივი წარმოდგენები, რომლებიც მათ მართავდა, სხვადასხვანაირად გამოიყურებოდა და მათ ცნობიერებაში გაბატონებულ პოზიციას იკავებდა, ისინი მაინც ერთ მთლიან, ცოცხალ ძალად ქცეულიყვნენ, რომელიც გონებაზე უფრო მეტად კუნთებზე ზემოქმედებდა. ეს მუხტი პროცესიის შუაგულში მოხვედრილ ვალტერსაც გადაედო და ბრუჟის მსგავსი მღელვარება და სიცარიელე იგრძნო. არავინ იცის, საიდან ჩნდება ეს ცვლილება, რომელიც ნებელობის მქონეთ გარკვეულ მომენტებში ერთსულოვან მასად გარდაქმნის, სიკეთესა და ბოროტებაშიც უკიდურესობაში რომ ვარდება და დაფიქრების უნარს კარგავს, თუმცა უმრავლესობისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე ზომიერებას და წინდახედულებას არ უღალატია. განმუხტვას მოწყურებული ბრბოს მღელვარება, რომელიც მის გრძნობებში გასაქანს ვერ პოულობს, მზად არის, დაუფიქრებლად ის გზა აირჩიოს, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდება. გზის გამკვლევი და მაგალითის მიმცემი კი, უნდა ვივარაუდოთ, ადვილად აღგზნებადი, მეტად მგრძნობიარე ადამიანები არიან, ისინი, ვისაც წინააღმდეგობის გაწევის უნარი არა აქვს, ანუ ექსტრემისტები, ძალადობაც რომ შეუძლიათ და გულისშემძვრელი დიდსულოვნებაც. მასაში მათ ყველაზე სუსტი წინააღმდეგობის უნარი აქვთ, მაგრამ ყვირილი, რომელიც მათი მეშვეობით გაისმის და არა მათგან, ქვა, რომელიც მათ ხელში აღმოჩნდება, გრძნობა, რომლითაც ისინი იმუხტებიან, დანარჩენთ გზას უთავისუფლებს და ისინიც ამ გზას ანგარიშმიუცემლად აწყდებიან, ერთმანეთის მღელვარებას გაუსაძლისად აძლიერებენ, გარშემომყოფთა ქცევას მასობრივი ქცევის ფორმას ანიჭებენ, რასაც ყველა ნახევრად იძულებად და ნახევრად გათავისუფლებად აღიქვამს.

ამ მღელვარებაში, რომელსაც ასეთივე წარმატებით რომელიმე შეჯიბრის მაყურებლის ან ორატორის მსმენელების

მაგალითებზეც შეგიძლიათ დააკვირდეთ, საინტერესოა არა მათი განტვირთვის ფსიქოლოგია, არამედ საკუთრივ ის მიზეზი, საიდანაც მისთვის მზაობა იბადება. ცხოვრების აზრი გარკვეული რომ იყოს, მაშინ მისი უაზრობაც გარკვეული იქნებოდა და თანმხლები იდიოტური მოვლენებიც აღარ იარსებებდა. ვალტერმა ეს ყველაზე კარგად იცოდა და სიტუაციის გამოსწორების არაერთი ვარიანტიც ჰქონდა. ახლა ისინი ერთდროულად ახსენდებოდა და საყოველთაო ენთუზიაზმს, რომელმაც ისიც ჩაითრია, საზიზღარი გრძნობით ებრძოდა. გონება გაუნათდა, თან კლარისა გაახსენდა. „კარგია, რომ აქ არ არის, – გაიფიქრა, – თორემ ამ ზეწოლას ვერ გაუძლებდა!“. იმავე წუთს მწვავე ტკივილმა აზრი გაუფრთხო და ფიქრი შეაწყვეტინა; ცხადად გაახსენდა ის შთაბეჭდილება, კლარისას სიგიჟემ რომ მოახდინა მასზე. ვალტერმა გაიფიქრა: „იქნებ მე თვითონ ვარ გიჟი, ამდენ ხანს რომ ვერ ვამჩნევდი ამას“. გაიფიქრა: „მასთან ერთად თუ გავაგრძელე ცხოვრება, მალე მეც გავგიჟდები“. გაიფიქრა: „ამის არ მჯერა!“ გაიფიქრა: „ეს ხომ სრულიად ნათელია“. მან გაიფიქრა: „მისი საყვარელი სახე ჩემს ხელისგულებს კარიკატურად შეეყინა!“. მაგრამ წესიერად ამაზე ფიქრი აღარ შეეძლო, რადგან უიმედობამ და სასოწარკვეთილებამ გონება დაუბინდა. იგრძნო, რომ, ტკივილის მიუხედავად, აქ ყოფნას სჯობდა, კლარისა ჰყვარებოდა. ვალტერი საკუთარ შიშს დაემალა და ხალხს შეერია.

ულრიხმა გრაფი ლაინსდორფის სასახლემდე სხვა გზით მიაღწია. ჭიშკარში შესვლისთანავე ეზოში ორი გუშაგი, ეზოს სიღრმეში კი პოლიციელების პიკეტი დაინახა. მისი ბრწყინვალება ულრიხს მშვიდად მიესალმა და ამცნო, რომ ხალხის მღელვარების სამიზნე გამხდარიყო.

– ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს, – თქვა მან. – ერთხელ გითხარით, როცა ხალხი რამეს მხარს უჭერს, აქედან რამე სასიკეთო გამოვა-მეთქი. მაგრამ გამონაკლისებიც არსებობს.

ამასობაში მაჟორდომი ამოვიდა ქვემოდან და ამბავი ამოიტანა, ბრბო სასახლეს უახლოვდებაო და წინდახედული სიფრთხილე შემდეგი კითხვით გამოხატა: კარები და დარაბები ხომ არ ჩავრაზოთო? მისმა ბრწყინვალებამ თავი გააქნია.

– რას ამბობთ! – უპასუხა გრაფმა. – ამით გავახარებთ და სხვა არაფერი. იფიქრებენ, რომ გვეშინია. თანაც პოლიციის

გამოგზავნილი გუშაგებიც ხომ აქ არიან! – მერე ულრიხს მიუბრუნდა და მორალურად შეურაცხყოფილი ადამიანის ტონით დაამატა: – კი, ბატონო, ჩაგვილეწონ ფანჯრები! ხომ გეუბნებოდით, ამ ჭკუის კოლოფებისგან სხვა არც არის მოსალოდნელი-მეთქი!

ეტყობოდა, რომ ბოღმას ძლივს იკავებდა და გარეგნული სიმშვიდიბალა-ჰისარ თა და დარბაისლური ქცევით ნიღბავდა.

ულრიხი ფანჯარასთან მივიდა. სწორედ ამ დროს სასახლეს პროცესია მიუახლოვდა, რომელსაც გვერდზე პოლიცია მიჰყვებოდა და გზიდან დემონსტრანტებს აკიდებულ სეირის მაყურებლებს ყრიდა. აქა-იქ ეკიპაჟებიც მოჩანდა, რომლებიც წინ ვეღარ მიიწევდნენ და მასების შავი ტალღებით გარემოცულთ, გაბრწყინებული სახეები ქაფივით ეშხეფებოდათ. როცა პროცესიის წინა ნაწილი სასახლეს მიუახლოვდა, ალბათ, ვიღაცის ბრძანებას დაემორჩილა და ნაბიჯი შეანელა. ტალღამ უკან დაიხია, უკანა რიგები ერთმანეთში აირ-დაირია და ისეთი სურათი დაიხატა, რომელიც წამიერად შეტევაზე გადასვლის წინ დაბერილ კუნთს გაგახსენებდათ. მომდევნო წამს ჰაერი შეტევამ გაკვეთა, რომელიც ერთობ უცნაურად გამოიყურებოდა, რადგან შეტევა აღშფოთებული ყვირილისგან შედგებოდა და ჯერ ფართოდ გაღებულ პირებს დაინახავდით და ყვირილი მერე მოგესმებოდათ. იმისდა მიხედვით, პროცესიის რომელი ნაწილი ექცეოდა მხედველობის არეში, სახეები რიტმული მონაცვლეობით ჩნდებოდა, და რადგან უკან მდგომთა ხმებს დაწინაურებულთა ხმები ფარავდა, შორს მიმართული მზერისთვის ეს პანტომიმა უწყვეტი ჩანდა.

– ხალხის შურისგება! – თქვა გრაფმა ლაინსდორფმა, რომელიც ულრიხის ზურგს უკან ცოტა ხნით დადგა და სიტყვათა ეს შეთანხმება ისეთი სერიოზულობით წარმოთქვა, თითქოს ჩვეულებრივი რამ ყოფილიყოს, როგორც „პური ჩვენი არსობისა“.

– მაინც რაც ყვირიან? ამ ხმაურში არაფერი მესმის.

ულრიხმა უპასუხა, ძირითადად „ფუის“ ყვირიანო.

– ჰო, მაგრამ თითქოს კიდევ რაღაცაც ისმის!

ულრიხს არ უთქვამს, რომ „ფუის“ შავად აცეკვებული

ბგერების მიღმა გაბმული ყვირილიც „ძირს ლაინსდორფი!“ ისმოდა. მოეჩვენა, რომ რამდენჯერმე „გაუმარჯოს გერმანიას!“, „გაუმარჯოს არნჰაიმს!“-აც მოესმა, თუმცა დარწმუნებული არ იყო, რადგან ფანჯრის სქელი მინები ბგერებს ახშობდა.

გერდას გაქცევისთანავე ულრიხი აქეთ გამოეშურა, რადგან გრძნობდა, რომ მოთხოვნილება ჰქონდა, გრაფი ლაინსდორფისთვის მაინც შეეტყობინებინა არნჰაიმის მამხილებელი ამბავი, რომელსაც მის ყურამდე მიეღწია; თუმცა ამაზე აქამდე სიტყვაც არ დაუძრავს. ულრიხი აზიმზიმებულ ბრბოს გადაჰყურებდა. ოფიცრობის დროინდელი პერიოდი გაახსენდა და ზიზღით გაიფიქრა: „მოედნის გასაწმენდად ჯარისკაცების რამდენიმე ასეულიც საკმარისი იქნებოდა!“. ცხადად ხედავდა, თითქოს მრისხანედ დაღებული პირები ერთ დუჟმომდგარ პირად იქცა, რომლის შემზარავ მოხაზულობაში უცებ შიში გაკრთა; მერე ტუჩის კუთხეები მორბილდა, მომჩვარდა და ნელა დაიხურა. უცბად მისმა წარმოსახვამ აზვირთებული ბრბო ძაღლისგან დამფრთხალ ქათმებად აქცია. ეს ისე მოხდა, თითქოს მთელი ბოროტება მის სულში გამოინასკვა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც ორლესული მახვილივით გრძნობდა ძველ კმაყოფილებას, რომელსაც მაშინ განიცდიდა, როცა მოძალადე, უგრძნობი ადამიანის წინაშე ის იხევდა, ვისაც მორალური იმპულსები ამოძრავებდა.

– რა დაგემართათ? – ჰკითხა გრაფმა ლაინსდორფმა, რომელიც მის ზურგს უკან ბოლთას სცემდა და ულრიხის უცნაურმა მოძრაობამ აფიქრებინა, ბასრი საგნის ჩხვლეტამ რაღაც ატკინაო, თუმცა ირგვლივ ასეთი არაფერი მოჩანდა. პასუხი რომ ვერ მიიღო, შეჩერდა, თავი გაიქნია და თქვა: – ბოლოს და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი უდიდებულესობის გადაწყვეტილება, მიანიჭოს ხალხს თვითგამორკვევის უფლება, არცთუ დიდი ხნისაა და ამიტომაც ვერ ვხედავთ იმ პოლიტიკურ სიმწიფეს, რომელიც, ყველა თვალსაზრისით, ნდობის ღირსი იქნებოდა! ვგონებ, ეს მოსაზრება პირველივე სხდომაზე გამოვთქვი!

ამ სიტყვებმა ულრიხს მისი ბრწყინვალებისთვის ან დიოთიმასთვის არნჰაიმის ხრიკების გამხელის სურვილი დააკარგვინა. მტრობის მიუხედავად, სულიერ სიახლოვეს ყველაზე მეტად მასთან გრძნობდა და ახლაღა მიხვდა, მთელი ამ ხნის მანძილზე როგორ ტანჯავდა მოგონებები, რომ გერდას

თავს ისე დაესხა, როგორც დიდი ქოფაკი პატარა, აწკავწკავებულ ძაღლს, თუმცა დიოთიმასთან მიმართებაში არნჰაიმის უღირსი ზრახვების გახსენებაზე ტანჯვა სიმწვავეს კარგავდა. აყვირებული სხეულის ისტორიისთვის, ორი მოუთმენლად მომლოდინე ადამიანისთვის სპექტაკლი რომ გაემართა, თუ მოინდომებდით, შეგეძლოთ, სასაცილო მხრიდანაც შეგეხედათ; ის ხალხიც, რომელსაც ფანჯარასთან მდგარი ულრიხი მონუსხულივით დაჰყურებდა, გრაფ ლაინსდორფს კი ყურადღებას არ აქცევდა, ნამდვილი კომედიის მონაწილე იყო. მის მზერას სწორედ ეს კომედია ნუსხავდა. ისინი, ცხადია, არც ვინმეზე თავდასხმას აპირებდნენ და არც ვინმეს ნაფლეთებად ქცევას, თუმცა გამომეტყველება ასეთი ჰქონდათ. თავი ისე ეჭირათ, თითქოს სერიოზულ მრისხანებას ძლივს იკავებდნენ, მაგრამ ეს ის სერიოზულობა არ იყო, შაშხანიდან გასროლილ ტყვიას რომ ახლავს თან. ამას მეხანძრის სერიოზულობასაც ვერ დაარქმევდით! „რასაც ესენი სჩადიან, – გაიფიქრა მან, – უფრო საკულტო ქცევას ჰგავს, საწესჩვეულებო თამაშს, რომელსაც ღრმად შეურაცხყოფილი კაცის გრძნობით ასრულებენ; კოლექტიური ქმედების რაღაც ცივილიზებულ-არაცივილიზებულ გადმონაშთს, რომლის ყველა დეტალიც ცალკეული პირისთვის სერიოზულად მისაღები არცაა!“. ულრიხს მათი შეშურდა. „რა სასიამოვნონი არიან მაშინაც კი, როცა ცდილობენ, რომ უსიამოვნონი იყვნენ!“ – გაიფიქრა მან. ბრბო ქვემოდან რაღაც ისეთს ასხივებდა, რაც მარტოობისგან გიცავს და ის ფაქტი, რომ თავად იგი აქ, ზემოთ, დაუცველი იდგა – ეს კი ისე ცხადად იგრძნო, თითქოს ქუჩიდან დაენახოს სახლის კედელში ჩატანებულ მინაში არეკლილი საკუთარი გამოსახულება – ბედისწერის გამოხატულებად აღიქვა. მისი ბედისწერა უკეთესი იქნებოდა, ახლა რომ განრისხებულიყო ან გრაფი ლაინსდორფის სახელით დაცვა საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანა. სამაგიეროდ, მეორე ჯერზე იმავე ადამიანების მიმართ კეთილგანწყობა გამოევლინა და მათგან თავი არ გაემიჯნა; რადგან მას, ვინც თანამედროვეებს ბანქოს ეთამაშება, ევაჭრება, ეკამათება და მათთან ერთად სიამოვნებას იზიარებს, საჭიროების შემთხვევაში იმის უფლებაც აქვს, რომ ბრძანება გასცეს, მათ ესროლონ და ამაში უჩვეულო არაფერი იქნება. არსებობს ცხოვრებასთან იმგვარი მორიგება, რომელიც ნებისმიერს საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედების ნებას რთავს, ოღონდ იმ

პირობით, რომ მისი არსებობა არავის ადარდებს და თავად ცხოვრებაც მასთან სურვილისამებრ მოქცევის უფლებას იტოვებს – აი ამაზე ფიქრობდა ულრიხი. ეს წესი, შესაძლოა, უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ თანდაყოლილ ინსტინქტზე ნაკლებ საიმედო როდია, რადგან მას იღბლის ზუსტი შეგრძნება აქვს; ის კი, ვისაც კომპრომისის უნარი არ შესწევს, მარტოსულია, სერიოზული და ანგარიშს არაფერს უწევს, გარშემომყოფთათვის საშიში თუ არა, მატლივით ზიზღისმომგვრელად შემაწუხებელი ხდება. იმწუთას მარტოსული ადამიანის არაბუნებრიობისა და მისი ინტელექტუალური ექსპერიმენტებისადმი ანტიპათიამ, რასაც ბუნებრივი და ერთიანი გრძნობებით შეპყრობილი აღელვებული მასის ხილვა იწვევს, ულრიხი ძლიერ დათრგუნა.

ამასობაში დემონსტრაცია ძალებს იკრებდა. გრაფი ლაინსდორფი ოთახის სიღრმეში მოუსვენრად წინ და უკან დადიოდა და დროდადრო მეორე ფანჯრიდან იხედებოდა. ჩანდა, რომ ძლიერ იტანჯებოდა, თუმცა არ იმჩნევდა; თვალები ისე გადმოკარკლოდა, თითქოს მის სახეზე რბილ წვერში ორი კენჭი დაგორავსო; ხელები ზურგზე შემოეწყო და ზოგჯერ გაჭიმავდა ხოლმე, თითქოს ტკივილმა შემოუტიაო. უცებ ულრიხი მიხვდა, რომ ხალხს იგი გრაფი ეგონა, რადგან ფანჯარას არ მოსცილებია. ყველას მისი სახე ამოეღო მიზანში და ენერგიულად ჯოხებსაც უღერებდნენ. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, იქ, სადაც ქუჩა თითქოს კულისებში იკარგებოდა, ბევრს გრიმი უკვე ჩამოერეცხა. მაყურებლის გარეშე მუქარას აბა რა აზრი ჰქონდა და სახეებიდანაც მღელვარება ბუნებრივად მაშინვე უქრებოდათ. დიახ, ბევრი იცინოდა კიდეც და ისეთ მხიარულ გუნებაზე დამდგარიყვნენ, თითქოს ექსკურსიაზე ყოფილიყვნენ. ულრიხი ყველაფერ ამას აკვირდებოდა და თავადაც ეცინებოდა. ხალხს კი გაცინებული გრაფის ხილვაზე მრისხანება ემატებოდა და ულრიხს თავშეუკავებელი სიცილი აუტყდა.

მაგრამ უეცრად ზიზღისგან შეკრთა. იმ დროს, როცა მისი მზერა ხან მუქარის გამომხატველ დაღებულ პირებს და ხან მოცინარ სახეებს სწვდებოდა, მისმა სულმა შთაბეჭდილებების მიღება აღარ მოისურვა და ულრიხში უცნაური ცვლილება მოხდა. „ასეთ ცხოვრებაში ვეღარც მონაწილეობას მივიღებ და ვეღარც ავუჯანყდები მას!“ – იგრძნო ულრიხმა. ამასთან, ზურგს უკან ოთახსაც გრძნობდა, კედელზე დაკიდებული დიდი

სურათებით, ამპერის გრძელი საწერი მაგიდით, ვერტიკალურად დაკიდებული, გახევებული, ზარის დასარეკი ზონრებით და ფარდებით. ეს ყველაფერი პატარა სცენას ჰგავდა, თვითონ მის წინ იდგა, გარეთ კი მოვლენები დიდ სცენაზე თამაშდებოდა და ორივე ეს სცენა რაღაც უცნაურად ერთიანდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მათ შორის იდგა. შემდეგ ოთახით მიღებული შთაბეჭდილება შეიკუმშა, უკუღმა პირით გადმოტრიალდა და რაღაც სირბილემ თითქოს მასში თუ მის გვერდით ჩაიარა. „რა უცნაური სივრცითი ინვერსიაა!“ – გაიფიქრა ულრიხმა. ადამიანთა ნაკადი მის უკან მიედინებოდა. მათ სხეულებში გავლით კი თვითონ არყოფნას მიაღწია. იქნებ ნაკადი მის წინ და უკან მიედინებოდა და გარს ისე ეკრა, როგორც ნაკადულის ცვალებადი და თან მუდამ ერთნაირი ტალღები – ქვას. იმას, რაც ხდებოდა, ცნობიერება ნახევრად აღიქვამდა. ის, რაც ულრიხს აოცებდა, მინისებრი, ცარიელი და მშვიდი მდგომარეობა იყო, რომელშიც თავად იმყოფებოდა. „ნუთუ შესაძლებელია, საკუთარი სივრცე დატოვო და მეორე, ფარულ სივრცეში შეხვიდე?!“ – ფიქრობდა იგი და ასე ეგონა, თითქოს შემთხვევითობამ ამ ორი სივრცის დამაკავშირებელ საიდუმლო კარში გაატარა.

ფიქრები სხეულის ისეთი მკვეთრი მოძრაობით განდევნა, რომ გაოცებული გრაფი ლაინსდორფი შეჩერდა.

– დღეს რა დაგემართათ? – ჰკითხა მისმა ბრწყინვალებამ. – ყველაფერი მეტისმეტად ახლოს მიგაქვთ გულთან! მე მაინც იმ აზრის ვარ, რომ რაც უნდა მტკივნეული იყოს, გერმანელები არაგერმანელების მეშვეობით გადმოვიბიროთ.

ულრიხს გრაფის სიტყვებზე გაეღიმა და მისი ბრწყინვალების დანაოჭებულ, ხორკლიან სახეს მადლიერებით შეხედა. თვითმფრინავის მიწაზე დაშვებისას ერთი განსაკუთრებული მომენტი არსებობს: რამდენიმე საათის მანძილზე რუკაზე გამოსახულის მსგავს სიბრტყედ ქცეული დედამიწა ამ სიბრტყეს გამოეყოფა, მრგვალდება, ფუმფულა ხდება და მიწიერი საგნების ძველი მნიშვნელობა ნიადაგიდან კვლავ ამოიზრდება. ულრიხს სწორედ ეს მომენტი გაახსენდა. იმავე წამს რაღაც გაურკვეველი მიზეზის გამო თავში დანაშაულის ჩადენის აზრმა გაუელვა; ან, შესაძლოა, ეს უფორმო აზრი იყო, რადგან კონკრეტული წარმოდგენები მას არ უკავშირდებოდა. იქნებ ეს მოორსბრუგერთანაც იყო დაკავშირებული, რადგან ამ

შეშლილს – რომელსაც ბედისწერამ გადაჰყარა, სწორედ ისე, როგორც ის ორი ადამიანი, პარკში მერხზე ერთმანეთის გვერდით შემთხვევით რომ აღმოჩნდება ხოლმე – სიამოვნებით დაეხმარებოდა. არსებითად, „დანაშაულის ჩადენა“ თამაშიდან ან ცხოვრებიდან გამოთიშვის სურვილი იყო, რომელსაც სხვებთან შეთანხმების საფუძველზე ეწევი. ანტისახელმწიფოებრივ ან მიზანთროპულ მოსაზრებებს, ამ ათასგზის დასაბუთებულ და დამსახურებულ გრძნობას, იმწუთას თავი არ უჩენია, მისი არსებობა არაფრით მტკიცდებოდა, ის უბრალოდ იყო და ულრიხს გაახსენდა, რომ ეს გრძნობა მთელ მის ცხოვრებას თან სდევდა, ოღონდ ასეთი ძლიერი იშვიათად ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ დედამიწაზე რევოლუციური ცვლილებები მუდამ სულიერი ადამიანის საზიანოდ ხდებოდა. ჩვეულებრივ, ისინი ახალი კულტურის შექმნის დაპირებებით იწყება, სულიერ სფეროში ძველ მიღწევებს მტრის ქონებასავით ხელყოფენ და სანამ ისინი თავის დამკვიდრებას მოახერხებდნენ, უკვე ახალი ცვლილებები უსწრებს. ამიტომ ის, რასაც კულტურულ პერიოდებად მოიხსენიებენ, სხვა არაფერია, თუ არა ნიშანთა გრძელი მწკრივი, რომელიც გზის გაგრძელების შეუძლებლობასა და წამოწყებათა მარცხზე მიუთითებს. ამ მწკრივის მიღმა საკუთარი თავის წარმოდგენა ულრიხისთვის ახალი არ ყოფილა! ახალი მხოლოდ გადაწყვეტილების და თვით ქმედების გამაძლიერებელი ნიშნები გახლდათ, რომელიც ის-ის იყო იბადებოდა. ამ იდეისთვის შინაარსის მინიჭებაზე თავს დიდად არ იწუხებდა. მისი არსება ერთ წამს მთლიანად იმ გრძნობამ მოიცვა, რომ რაღაც თეორიულს და ზოგადს კი არ გამოეკიდებოდა, ასე რომ მოებეზრებინა მისთვის თავი, არამედ რაღაც ისეთს მოიმოქმედებდა, რასაც პერსონალური და ქმედითი ხასიათი ექნებოდა და, რაშიც იგი მონაწილეობას მთელი გატაცებით მიიღებდა. იცოდა, რომ „დანაშაულის“ მომენტში, რომელიც მის ცნობიერებას ჯერაც ვერ აღექვა, სამყაროს უშიშრად ვეღარ დაუპირისპირდებოდა და, ღმერთმა უწყის, ეს გრძნობა ასე უჩვეულოდ ფაქიზი რას გაეხადა. ის უცნაური სივრცული შეგრძნებები, როცა ფანჯრის მიღმა და მის ზურგს უკან მომხდარი მოვლენები ერთმანეთს ერწყმოდა და რომლის სუსტი ექოც ულრიხს ნებისმიერ წამს შეეძლო გამოეხმო, სამყაროსთან ბუნდოვან და მღელვარე დამოკიდებულებას შეერია და დასაფიქრებლად დრო რომ ჰქონოდა, ეს გრძნობა ულრიხს ქალღმერთთა სიყვარულის

ძებნაში დამაშვრალი, მათგან შთანთქმული გმირების საარაკო ნეტარებამდე მიიყვანდა.

ამის ნაცვლად კი ფიქრები გრაფმა ლაინსდორფმა შეაწყვეტინა, რომელსაც ამასობაში საკუთარი ომი გამოევლო.

– მე აქ უნდა დავრჩე, რომ ამბოხებას წინააღმდეგობა გავუწიო, – დაიწყო მისმა ბრწყინვალებამ. – თქვენ კი, ძვირფასო მეგობარო, უმჯობესია, თქვენს ნათესავთან მანამ მიხვიდეთ, სანამ ეს მოვლენები შეაშინებდეს ან ჟურნალისტებთან უადგილო განცხადებას გააკეთებდეს! იქნებ უთხრათ, რომ... – კიდევ ერთხელ დაფიქრდა, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, – დიახ, დიახ, ვფიქრობ, ყველაფერს აჯობებს, თუ ეტყვით, რომ ძლიერმოქმედ წამალს ზემოქმედების ძლიერი უნარი აქვს! ისიც უთხარით, რომ ვისაც ცხოვრების გაუმჯობესება განუზრახავს, კრიტიკულ სიტუაციაში არ უნდა შეეშინდეს, რომ დაწვას და გაკვეთოს! – გრაფი კიდევ ერთხელ ჩაფიქრდა, თან შემაშფოთებლად შეუპოვარი ჩანდა; ესპანურ ყაიდაზე შეკრეჭილი წვერი უცანცარებდა და ის-ის იყო, რაღაცის თქმა დააპირა, რომ ისევ ჩაფიქრდა. ბოლოს კი მისმა ბუნებრივმა სიკეთემ ამოხეთქა და განაგრძო: – ისიც აუხსენით, რომ საშიში არაფერია! გაშმაგებული ადამიანის არასდროს უნდა გეშინოდეს. რაც უფრო ძლიერ შმაგდება, მით უფრო სწრაფად ეგუება რეალურ პირობებს, როცა ეს შესაძლებლობა ეძლევა. არ ვიცი, შეგიმჩნევიათ თუ არა, მაგრამ არ არსებობს ოპოზიცია, რომელიც სათავეში მოსვლისთანავე ოპოზიციონერობას არ წყვეტდეს. ეს ისეთი უბრალო რამ კი არ არის, როგორც შეიძლება ფიქრობდნენ, არა, ეს ერთობ მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკაში რეალიზმი, საიმედოობა და თანმიმდევრულობა ემყარება.

121. აზრთა გაზიარება

დიოთიმასთან მისულ ულრიხს რახელმა კარის გაღებისთანავე მოახსენა, ქალბატონი სახლში არ ბრძანდება, დოქტორი არნჰაიმი კი აქ არის და მას ელოდებაო. ულრიხმა დარჩენის სურვილი გამოთქვა და ვერ შეამჩნია, რომ მის პატარა მეგობარს, რომელსაც სახეზე სინანული ეტყობოდა, სიწითლემ გადაჰკრა.

ქუჩაში არეულობა გრძელდებოდა. ფანჯარასთან მდგარი

არნჰაიმი ულრიხისკენ გამოემართა, რათა მისალმებოდა. მოულოდნელმა შეხვედრამ მას სახე გამოუცოცხლა, მაგრამ საუბარი რით დაეწყო, არ იცოდა. ულრიხიც ფრთხილობდა და მისალმებისთანავე გალიციურ ნავთობზე ლაპარაკს თავი აარიდა. ასე რომ, მისალმების შემდეგ ორივე დადუმდა; შემდეგ ფანჯარასთან მივიდნენ და უსიტყვოდ აკვირდებოდნენ მღელვარებას, რომელიც არ ცხრებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ არნჰაიმმა თქვა: – არ მესმის თქვენი. ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანი არ არის, იცხოვროთ, ვიდრე წეროთ?!

– მე არაფერს ვწერ! – გააპროტესტა ულრიხმა მოკლედ.

– და სწორადაც იქცევით! – აუწყო საუბარი ულრიხის პასუხს არნჰაიმმა. – წერა მარგალიტივითაა, ავადმყოფობას ჰგავს. შეხედეთ... – მან თლილი თითებით ქუჩისკენ მიუთითა. სწრაფი მოძრაობის მიუხედავად, ეს ჟესტი პაპის კურთხევას მოგაგონებდათ. – ადამიანები ცალ-ცალკე ან ჯგუფურად დადიან და დროდადრო შიგნიდან რაღაც აიძულებთ, იყვირონ. სხვა დროს იგივე ადამიანი წერას დაიწყებდა. ამაში მართალი ხართ!

– თქვენ ხომ ცნობილი მწერალი ხართ?!

– აჰ, ეს არაფერს ნიშნავს! – არნჰაიმმა პასუხს თავაზიანად აარიდა თავი, ულრიხისკენ მთელი ტანით მიბრუნდა, პირისპირ დაუდგა და უთხრა, თან სიტყვებს შორის პაუზებს წელავდა: – ნება მომეცით, რაღაც გკითხოთ!

ცხადია, უარი შეუძლებელი იყო. ულრიხმა უნებურად უკან დაიხია და ეს რიტორიკული თავაზიანობა მისკენ ხელახლა ნასროლ ქამანდს დაემსგავსა.

– იმედს ვიტოვებ, – დაიწყო არნჰაიმმა, – რომ ჩვენი ბოლო წაკამათების გამო არ მიბრაზდებით და იმ თანაგრძნობასაც მომიტევებთ, რასაც ჩემში თქვენი აზრები იწვევს, რომლებიც არცთუ იშვიათად ჩემი შეხედულებების საპირისპიროა. თუ ეს ასეა, ნება მომეცით, გკითხოთ, მართლა მიგაჩნიათ თუ არა, რომ – ერთგვარი რეზიუმეს სახით ვიტყოდი – ადამიანმა რეალობის შეზღუდული ცნობიერებით უნდა იცხოვროს? სწორად გამოვთქვი სათქმელი?

ღიმილი, რომელიც ულრიხმა მას პასუხად შეაგება, შემდეგს ნიშნავდა: „არ ვიცი, მაგრამ გელოდები, კიდევ რას იტყვი“.

– თქვენ არ ამბობდით, ცხოვრება გაურკვეველია ისევე, როგორც მეტაფორა, რომელიც ორ სამყაროს შორის მონაცვლეობს და ორივეგან თავს შინაურულად გრძნობსო? თქვენს ნათესავთან საუბარშიც ერთობ ყურადსაღები აზრები გამოთქვით. პრუსიელ კომერსანტ-გენერლად თუ მიგაჩნივართ, რომელიც ამგვარ საკითხებში ვერ ერკვევა, ეს გულს დიდად დამწყვეტდა. მაგალითად, თქვენ ამბობთ, რეალობას და ისტორიას მხოლოდ ჩვენი არსების გულგრილი ნაწილი ბადებსო. მე ეს ისე მესმის, რომ საჭიროა მოვლენების ფორმებისა და ტიპების განახლება, მანამდე კი, თვლით, რომ გარკვეულწილად სულერთია, პეტრეს და პავლეს რა მოუვათ?

– ჩემი აზრით, – ფრთხილად და უგულოდ ჩაურთო ულრიხმა, – ეს იმ მატერიას ჰგავს, რომლის ათასობით რულონს ტექნიკური სრულყოფილებით კი აწარმოებენ, მაგრამ ნიმუში მოძველებულია და მის განვითარებაზეც არავინ ზრუნავს.

– ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, – აიტაცა მისი ნათქვამი არნჰაიმმა, – როგორც თქვენი მოსაზრება გავიგე, სამყაროს ამჟამინდელი, უდავოდ არადამაკმაყოფილებელი, მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ ლიდერებს ჰგონიათ, მსოფლიო ისტორია უნდა შევქმნათო, ნაცვლად იმისა, რომ ძალაუფლების სფერო იდეებით განმსჭვალონ და ხალხის ძალაც ამ მიმართულებით წარმართონ! ალბათ, უფრო სწორია, ეს ფაბრიკანტს შევადაროთ, რომელიც თავისთვის ზის, პროდუქციას აწარმოებს და მხოლოდ ხარისხზე ფიქრობს იმის მაგივრად, რომ ბაზრის დარეგულირებაზე იზრუნოს! ხომ ხედავთ, რა ახლობელია ჩემთვის თქვენი აზრები. მით უფრო გასაგები უნდა იყოს თქვენთვის, რომ თქვენი აზრები ჩემზე, იმ ადამიანზე, რომელიც მუდამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების აუცილებლობის წინაშე დგას, რაზეც თავისთავად მსხვილი მრეწველობის განვითარებაა დამოკიდებული, გამაოგნებლად მოქმედებს! მაგალითად, მაშინ, როცა თქვენ ითხოვთ, რომ საკუთარ ქცევებს რეალური მნიშვნელობა ან „დროებით საბოლოო“ ხასიათი არ მივანიჭოთ, როგორც ჩვენმა მეგობარმა გრაფმა ლაინსდორფმა ასე მოხდენილად ბრძანა, თუმცა ამაზე სავსებთ უარის თქმა ნამდვილად არ შეიძლება!

– მე სულაც არ ვითხოვ ამას, – თქვა ულრიხმა.

– ოო, თქვენ, ალბათ, უფრო მეტსაც ითხოვთ! თქვენ ექსპერიმენტულ ცნობიერებას ითხოვთ! – არნჰაიმმა ეს ენერგიული და თბილი ტონით წარმოთქვა. – ლიდერებს უნდა ესმოდეთ, რომ მათი მოვალეობა ისტორიის შექმნა კი არა, ექსპერიმენტის ოქმის შევსებაა, რომელიც მომდევნო ექსპერიმენტის საფუძვლად გამოდგება! ამ აზრით აღფრთოვანებული ვარ. მაგრამ ომებსა და რევოლუციებს რაღა მოვუხერხოთ? ექსპერიმენტის ჩატარებისა და დღის წესრიგიდან მისი მოხსნის შემდეგ შევძლებთ, რომ მკვდრები გავაცოცხლოთ?!

ულრიხი ლაპარაკის ხიბლს დაჰყვა, რომელიც ისევე გაგრძელებინებს საუბარს, როგორც მწეველს სიგარეტი – მოწევას და შეედავა: – ალბათ, ყველაფერს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ, თუ საქმის წინ წაწევა გვინდა, მაშინაც კი, როცა ვიცით, რომ ექსპერიმენტის ჩატარებიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ მასზე დახარჯული ძალა ფუჭი აღმოჩნდება. „პერფორირებულ სერიოზულობაში“ უჩვეულო არაფერია, არაფრის გამო რამდენი რისკავს საკუთარი სიცოცხლით! ფსიქოლოგიურად ექსპერიმენტული ცხოვრება სრულიად გასაგები იქნებოდა; მხოლოდ ნებელობაა საჭირო, რომელსაც განუსაზღვრელი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უნარი აქვს.

– გადამწყვეტი განსხვავებაც ეს არის, – დაასკვნა მან. – წინათ ადამიანები, ასე ვთქვათ, დედუქციურად შეიგრძნობდნენ და ამოსავალი წერტილი ყოველთვის რაღაც კონკრეტული წინაპირობა იყო. ეს დრო წარსულს ჩაბარდა. დღეს ადამიანი წარმმართველი იდეის გარეშე ცხოვრობს და ცნობიერი ინდუქციის მეთოდითაც მაიმუნივით ალალბედზე ცდის.

– დიდებულია! – დაეთანხმა არნჰაიმი. – ნება მომეცით, ბოლო კითხვით მოგმართოთ: როგორც თქვენს ნათესავს ჩემთვის არაერთხელ უთქვამს, თქვენ პათოლოგიურად საშიში ადამიანის მიმართ აქტიურ თანაგრძნობას იჩენთ. სხვათა შორის, ეს კარგად მესმის. ამასთან, ამგვარ ადამიანებთან მოქცევის მეთოდები ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია და საზოგადოების მათთან დამოკიდებულებას სამარცხვინოდ უპასუხისმგებლო ხასიათი აქვს. ერთ-ერთის ამორჩევა რომ შეგეძლოთ: ეს ადამიანი ან მოკლათ, თუმცა უდანაშაულოა, ან

მისცეთ საშუალება და უდანაშაულონი მოაკვლევინოთ, სიკვდილით დასჯის წინა ღამეს დაეხმარებოდით თუ არა გაპარვაში?

– არა! – უპასუხა ულრიხმა.

– არა? ნამდვილად არა? – ჰკითხა უცბად ენერგიულად არნჰაიმმა.

– არ ვიცი, მგონია, რომ არა. თავის გასამართლებლად შემეძლო მეთქვა, რომ არასწორად მოწყობილ სამყაროში ჩემი შეხედულებისამებრ სწორად მოქცევის უფლება არა მაქვს-მეთქი; მაგრამ, გამოგიტყდებით, ნამდვილად არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი.

– უდავოა, რომ ეს ადამიანი უნდა გავაუვნებლოთ, – თქვა შეფიქრიანებულმა არნჰაიმმა. – ავადმყოფობის შემოტევის დროს ეს კაცი დემონური საწყისის მატარებელი ხდება. დიად ეპოქებში ამას ღვთაებრივი საწყისის მონათესავედ მიიჩნევდნენ და თუ ასეთი რამ ვინმეს დაემართებოდა, უდაბნოში უშვებდნენ: დიადი ხილვებით შეპყრობილს, შესაძლოა, მოეკლა კიდეც, როგორც აბრაამმა განიზრახა ისაკის დაკვლა! საქმეც ეს არის. დღეს უკვე აღარ ვიცით, ამას რა მოვუხერხოთ და აღარც გულწრფელი აზრები გაგვაჩნია.

შეიძლება, ბოლო სიტყვებმა არნჰაიმს თავბრუ დაახვია და თავადაც არ იცოდა, რის თქმას აპირებდა. თითქოს მის პატივმოყვარეობას მათრახი გადაჰკრა იმან, რომ ულრიხს საკმარისი „სულიერება და სიშლეგე“ არ აღმოაჩნდა, რათა კითხვაზე – იხსნიდა თუ არა მოორსბრუგერს, უყოყმანოდ „ჰოთი“ ეპასუხა. ულრიხი კი, გააბრაზა არნჰაიმის უხვსიტყვაობამ, რომლითაც ასე შეამკო მოსაზრებები მოორსბრუგერზე, მიუხედავად იმისა, რომ საუბრის ამგვარი განვითარება იმ ნიშნად მიიღო, რამაც მას ლაინსდორფის სასახლეში მიღებული „გადაწყვეტილება“ გაახსენა. გაღიზიანება ძლივს დაფარა და მშრალად, მაგრამ ინტერესით ჰკითხა: – თქვენ გაათავისუფლებდით?

– არა, – ღიმილით მიუგო არნჰაიმმა. – სხვა რამე მინდა შემოგთავაზოთ. – და ისე, რომ წინააღადეგობის გასაწევად დროც არ დაუტოვა, განაგრძო: – დიდი ხანია, თქვენთვის ამ წინადადების შემოთავაზებას ვაპირებდი, რათა თქვენი ჩემდამი უნდობლობა გავაქარვო, რომელიც, გულწრფელად

გითხრათ, ასე მტკენს გულს. ჩემს მხარეზეც კი მინდა, რომ გადმოგიბიროთ! იცით, როგორ გამოიყურება შიგნიდან დიდი კომერციული წარმოება? მას ორი მწვერვალი აქვს: დირექცია და მმართველობა. ამ ორის ზემდგომი ორგანო, ჩვეულებრივ, როგორც თქვენთან უწოდებენ, აღმასრულებელი კომიტეტია, რომელიც დირექციისა და მმართველობის წარმომადგენლებისგან შედგება და ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე იკრიბება. მმართველობა, ცხადია, მსხვილი აქციის მფლობელთა ნდობით აღჭურვილი პირებით კომპლექტდება, – არნჰაიმი, როგორც იქნა, შეჩერდა, თითქოს ამოწმებდა, შეამჩნია თუ არა უკვე რამე ულრიხმა. – როგორც გითხარით, მსხვილი აქციის მფლობელებს მმართველობასა და აღმასრულებელ კომიტეტში საკუთარი ხალხი ჰყავთ, – ისე დაამატა, თითქოს კარნახობდა. – გაქვთ კონკრეტული წარმოდგენა აქციებზე?

ულრიხს ფინანსურ სისტემაზე, ჩინოვნიკებზე, სალაროს სარკმელზე, ძველი სიგელ-გუჯრების მსგავს კუპონებზე რაღაც მიახლოებითი, ზოგადი წარმოდგენა კი ჰქონდა, მაგრამ მისი ცოდნა მხოლოდ ამით შემოიფარგლებოდა. არნჰაიმმა მეორედაც ისე ჰკითხა, თითქოს რაღაცას კარნახობსო: – აგირჩევიათ მმართველი საბჭო ოდესმე? ცხადია, არა, – თავადვე დაამატა მაშინვე. – არც აქვს აზრი ამაზე ფიქრს. რომელიმე საწარმოს მსხვილი აქციების მფლობელი თქვენ ხომ არასდროს გახდებით!

არნჰაიმმა ეს ისე დაჯერებით თქვა, რომ ულრიხს, ალბათ, ასეთი მნიშვნელოვანი თვისების არქონის უნდა შერცხვენოდა. ხელის ერთი მოსმით, ასე მსუბუქად დემონებიდან მმართველობასა და აქციებზე გადასვლა ნამდვილი არნჰაიმისებური საქციელი იყო.

საუბარი მან ღიმილით განაგრძო: – თქვენთვის აქამდე ერთი პერსონა არ დამისახელებია, ის კი, გარკვეულწილად, მეტად მნიშვნელოვანი პირი გახლავთ! მე ვთქვი „მსხვილი აქციის მფლობელები-მეთქი“ და უწყინარი მრავლობითი რიცხვი ვიხმარე. თუმცა ეს ყოველთვის ერთი ადამიანია, უსახელო და ფართო საზოგადოებისთვის უცნობი, ძირითადი პაკეტის მფლობელი, რომელიც თავისი წარმომადგენლის უკან დგას.

ახლა კი მიხვდა ულრიხი, რომ ეს ის საკითხები იყო, რომელთა შესახებაც შეგეძლოთ, გაზეთებში ნებისმიერ დროს წაგეკითხათ. არნჰაიმმა შეძლო და ამ საუბარს საინტერესო

ხასიათი მიანიჭა. ულრიხმა ინტერესით ჰკითხა, ვის ეკუთვნოდა ლოიდ-ბანკის აქციები.

– ეს არავინ იცის, – უპასუხა არნჰაიმმა მშვიდად. – უფრო სწორად, ხელდასხმულთათვის ეს, ბუნებრივია, ცნობილია, მაგრამ ამაზე ლაპარაკი მიღებული არ არის. ნება მომეცით, ამ საკითხის არსს უფრო დაწვრილებით შევეხო. ყველგან, სადაც ეს ორი ძალა არსებობს – ერთი მხრივ, მეპატრონე, მეორე მხრივ კი, ადმინისტრაცია – თავისთავად იქმნება ისეთი ვითარება, რომ მოგების გაზრდა ნებისმიერი საშუალებით შეიძლება, იმისგან დამოუკიდებლად, მორალურია თუ არა. სიტყვა „თავისთავად“ შემთხვევით არ მიხმარია, რადგან ეს პროცესი არავის პირად თვისებებზე არ არის დამოკიდებული. მეპატრონე შემსრულებლებს უშუალოდ არასდროს ეხება, ადმინისტრაციული ორგანოები კი იმით ინიღბებიან, რომ პირადი მოსაზრებით კი არ მოქმედებენ, არამედ – როგორც მოხელეები. ფინანსური სფეროს გარდა ამ სურათს დღეს ყველგან იხილავთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენი მეგობარი ტუცი აუმღვრეველი სინდისით მისცემდა ომის დაწყების ნიშანს, თუმცა თვითონ პირადად ბეხრეკ ძაღლსაც კი ვერ ესვრის. თქვენს მეგობარ მოორსბრუგერსაც ათასობით ადამიანი გაისტუმრებდა იმქვეყნად, რადგან სულ რაღაც სამი ადამიანის მეტს საკუთარი ხელით ამის გაკეთება არავის მოუწევს! ვირტუოზულობამდე აყვანილი ეს „არაპირდაპირობა“ თითოეულს ცალ-ცალკე და საზოგადოებას ერთად სუფთა სინდისის გარანტიას აძლევს. ღილაკი, რომელსაც ხელს აჭერ, მუდამ თეთრი და სუფთაა. აი, ხაზის მეორე ბოლოს რა მოხდება, ეს უკვე სხვების საქმეა. ისინი კი, თავის მხრივ, ისინი არ არიან, რომლებიც ღილაკს აჭერენ ხელს. ფიქრობთ, რომ საზიზღრობაა, არა? მაგრამ, როცა ათასობით ადამიანს სასიკვდილოდ ან უბადრუკი ცხოვრებისთვის ვწირავთ, როცა ცოდვის დღეს დავატრიალებთ, ამით თან რაღაცასაც ვაღწევთ! მინდა, დაგარწმუნოთ, რომ შრომის განაწილების ამგვარ ფორმაში სინდისის ოდინდელი გაორება ვლინდება, თუმცა ამჯერად გრანდიოზული და საშიში სახით.

არნჰაიმის კითხვაზე, საზიზღრობად მიაჩნია თუ არა ეს, ულრიხმა მხრები აიჩეჩა. მორალური ცნობიერების გაორება, რის შესახებაც არნჰაიმი ლაპარაკობდა, ამჟამინდელი ყოფიერების ეს შემზარავი გამოვლინება, ყოველთვის არსებობდა, მაგრამ თავზარდამცემად სუფთა სინდისი მან შრომის საყოველთაო

განაწილების საფუძველზე მოიპოვა და ამიტომაც ატარებს ამ განაწილების დიდებული გარდაუვალობის ნიშანს. ტყუილუბრალოდ აღშფოთება ულრიხს არ სიამოვნებდა და წინააღმდეგობის ჟინი მას იმ უცნაურ და სასიამოვნო გრძნობას აღუძრავდა, ადამიანი საათში ასი კილომეტრით ქროლისას რომ განიცდის, გზაზე კი მტვრიანი მორალისტი დგას და ილანძღება. ამიტომ, როცა არნჰაიმი გაჩუმდა, მან თქვა: – შრომის განაწილების ნებისმიერი ფორმის განვითარება შესაძლებელია. კითხვა, რომლის დასმის სრული უფლებაც გაქვთ, იმაში კი არ მდგომარეობს, რამდენად „საზიზღრობად“ მიმაჩნია ეს, არამედ იმაში, მწამს თუ არა, რომ ღირსეული მდგომარეობის შექმნა წარსულში შესაძლებელი დაბრუნების გარეშეა!

– საქმის განაწილების ორგანიზებას მშვენივრად გავართვით თავი, – ჩაურთო არნჰაიმმა. – მაგრამ მაკოორდინირებელ ინსტანციებზე არ გვიზრუნია. მორალს და სულს ახლებური პატენტებით შეუჩერებლად ვანგრევთ და გვგონია, რომ მათი შენარჩუნება რელიგიური და ფილოსოფიური ტრადიციების ძველი, შინაური ხერხებით არის შესაძლებელი! ამგვარი დაცინვა არ მიყვარს, – შეასწორა მაშინვე, – და საერთოდაც, მახვილსიტყვაობა ძალზე ორაზროვნად მესახება; მაგრამ სულის რეორგანიზების წინადადება, რომელიც გრაფ ლაინსდორფს ჩვენი თანდასწრებით შესთავაზეთ, უბრალო საქმედ არასდროს მიმაჩნდა.

– ეს უბრალოდ ხუმრობა იყო, – უპასუხა ულრიხმა მკვახედ. – ასეთი შესაძლებლობის არ მჯერა. იმას უფრო ვუშვებ, რომ ევროპის მოწყობაში ეშმაკის ხელი ურევია, ღმერთი კი თავის კონკურენტს შესაძლებლობების გამოვლენის უფლებას აძლევს!

– მშვენიერი იდეაა! – თქვა არნჰაიმმა. – მაშ, რატომღა გამიბრაზდით, როცა დათანხმება არ მოვინდომე?

ულრიხს პასუხი არ გაუცია.

– რაც თქვენ ახლა თქვით, იმ შენიშვნასაც ეწინააღმდეგება, რომელიც ცოტა ხნით ადრე სწორ ცხოვრებასთან მიახლოების მეთოდების შესახებ გამოთქვით, – მშვიდად და ჯიუტად აგრძელებდა არნჰაიმი. – იმისგან დამოუკიდებლად, გეთანხმებით თუ არა ცალკეულ საკითხებში, ყველაზე მეტად

ის მაოცებს, თუ როგორაა თქვენში შერეული აქტივობა და გულგრილობა.

როცა ულრიხმა ვერც ამ ნათქვამს უპასუხა შესაბამისად, არნჰაიმმა საუბარი მისი უხეში პასუხის საკადრისი თავაზიანობით გააგრძელა: – აი რაზე მინდოდა თქვენი ყურადღების მიქცევა: როგორ წარმოვიდგინოთ დღეს, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას – რომლებზეც ისედაც თითქოს ყველაფერია დამოკიდებული – მორალური პასუხისმგებლობა და რამდენად საინტერესოა ასეთი გადაწყვეტილებები.

მის ამ მოკრძალებაშიც კი, რომელსაც ჭკუის დამრიგებლური ტონი ჰქონდა, ულრიხის გულის მოგების სურვილი იგრძნობოდა.

– მაპატიეთ, – უპასუხა ულრიხმა, – თქვენმა სიტყვებმა ჩამაფიქრა.

– და თითქოს ფიქრს აგრძელებსო, დაამატა: – სიამოვნებით მოვისმენდი თქვენგან პასუხს შემდეგ კითხვაზე: თუ ქალის სულს მისტიკური გრძნობები ეუფლება, გონივრულობად კი მიაჩნია, რომ საკუთარი სხეული მხოლოდ ქმარს დაუთმოს, ამასაც ჩვენი ეპოქის არაპირდაპირობად და ცნობიერების გაორებად მიიჩნევდით?

ამ სიტყვებზე არნჰაიმს ფერი დაეკარგა, მაგრამ წონასწორობა არ დაუკარგავს და მშვიდად მიუგო: – ვერ ხვდები ზუსტად, რა გაქვთ მხედველობაში. თქვენ რომ იმ ქალზე ლაპარაკობდეთ, რომელიც გიყვართ, ამას ვერ იტყოდით, რადგან რეალობის სახე, პრინციპების კონტურებთან შედარებით, ბევრად მდიდარია.

არნჰაიმი ფანჯარას მოშორდა და ულრიხს სკამი შესთავაზა: – თქვენი აზრების ამოცნობა არც ისე ადვილია! – განაგრძო ისეთი ტონით, რომელშიც შექებაც იგრძნობოდა და სინანულიც. – ვიცი, რომ თქვენთვის მტრული პრინციპების და არა პირადი მტრის მნიშვნელობა მაქვს. ისინი კი, რომლებიც თავიანთი მოსაზრებებით კაპიტალიზმის შეურიგებელ მეტოქეებად გვევლინებიან, ხშირად საქმეში მისი საუკეთესო მსახურები ხდებიან. ცხადია, მათ რიგებს საკუთარ თავსაც მივაწერ. სხვა შემთხვევაში თქვენთვის ამის თქმას ვერ გავბედავდი. თუ უკომპრომისო და ტემპერამენტიანმა ადამიანმა გადაწყვიტა,

რაღაც დათმოს და ამის აუცილებლობა აღიარა, მაშინ იგი მის ყველაზე ნიჭიერ ქომაგად იქცევა. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი განზრახვა ბოლომდე მივიყვანო და გთავაზობთ: იმსახურეთ ჩემს ფირმაში.

ეს წინადადება არნჰაიმმა ულრიხს სასხვათაშორისო ტონით, სრულიად გამიზნულად შესთავაზა და მისი გაოცების შერბილებას – რაც მის სიტყვებს უნდა გამოეწვია და ამაში იგი სავსებით დარწმუნებული იყო – სწრაფი ლაპარაკით შეეცადა. ულრიხის გაოცებული მზერისთვის ყურადღება არ მიუქცევია და ყველა ის დეტალი ჩამოთვალა, რომელთა მოგვარებაც მისი თანხმობის შემთხვევაში იქნებოდა საჭირო, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ულრიხის აზრის გაგება მაშინვე საჭიროდ არ ჩაუთვლია.

– თავიდან, ცხადია, – უთხრა არნჰაიმმა რბილად, – რომელიმე ხელმძღვანელი პოსტის დასაკავებლად არც გამოცდილება გექნებათ და ალბათ, არც სურვილი. ამიტომ შემოგთავაზებდით ადგილს ჩემ გვერდით, რომელსაც თქვენთვის შემოვიღებდით. დავარქვათ ამას გენერალური მდივანი. იმედი მაქვს, ამ წინადადებით არ შეურაცხგყოფთ, რადგან ეს მაღალანაზღაურებად, მომქრთამავ პოსტად არ წარმომიდგენია. მინდა, რომ თქვენმა საქმიანობამ დროთა განმავლობაში ნებისმიერი შემოსავლის შესაძლებლობა მოგცეთ, რასაც ისურვებდით და დარწმუნებული ვარ, რომ წლის ბოლოს ჩემს სურვილებს დღევანდელისგან განსხვავებულად შეხედავთ.

როცა არნჰაიმმა ლაპარაკი დაამთავრა, იგრძნო, რომ აღელვებული იყო. არსებითად, იმწუთას რაც უკვირდა, ის იყო, რომ ულრიხს ეს წინადადება შესთავაზა, რომლის უარყოფის შემთხვევაში არნჰაიმს სახელი გაუტყდებოდა, მიღება კი სასიხარულოს არაფერს ჰპირდებოდა. ის წარმოდგენა, რომ მის წინ მჯდომ კაცს რაღაც ისეთი შეეძლო, რის განხორციელებაც მან ვერ მოახერხა, საუბრის დროს გაეფანტა, ხოლო სურვილი, ეცდუნებინა იგი და თავისი ძალაუფლებისთვის დაემორჩილებინა, ახლა უკვე უაზრობად მიაჩნდა. ისიც არაბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ იმ რაღაცის ეშინოდა, რასაც ულრიხის „გონებამახვილობა“ უწოდა. არნჰაიმი ყოვლისშემძლე ბატონი გახლდათ, ასეთებისთვის კი ცხოვრება მარტივია! ყველაფერ დიდს იმდენად ეწყობა, რამდენადაც ამის

უფლება აქვს, ავანტიურისტივით სამყაროს არ უჯანყდება და არც ეჭვის თვალით უყურებს ყველაფერს, რაც მისი ბუნების საწინააღმდეგოა. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს მშვენიერი და საეჭვო საგნები და გინდა, რომ მათგან იმდენი მიიღო, რამდენიც შესაძლებელია. ეჩვენებოდა, რომ დასავლური კულტურის საიმედოობა, რომელშიც ძალა და ცრურწმენა ასე მომხიბვლელად გადაჯაჭვოდა ერთმანეთს, არასდროს ისე ღრმად არ განეცადა, როგორც იმწუთას. თუ ულრიხს ეს არ ესმოდა, მაშინ ავანტიურისტი ყოფილა და სხვა არაფერი. ხოლო ის, რომ ლამის აფიქრებინა... და არნჰაიმს სიტყვებმა უღალატა, თუმცა ხმამაღლა არ გამოუთქვამს და მხოლოდ გაიფიქრა. იმ აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება ვერ შეძლო, რომ ულრიხის შვილივით დაახლოება განიზრახა. რა მოხდა მერე! ეს აზრიც ხომ ათასობით სხვა დანარჩენს ჰგავდა, თითოეულ მათგანზე პასუხისმგებელი ხომ ვერ იქნები... ან იქნებ ეს აზრი სევდამ შთააგონა, ყველა ქმედითი ცხოვრების ფსკერზე რომ ილექება, რადგან ძნელია, მოძებნო ის, რაც კმაყოფილებას განგაცდევინებს. ალბათ, ამ აზრს სადავო ფორმაც არ ჰქონდა, უბრალოდ იგრძნო რაღაც, რისთვისაც ასეთი ფორმის მინიჭება შეიძლებოდა; მიუხედავად ამისა, ამაზე ფიქრი აღარ სურდა და წარმოუდგენელი სიცხადით გაუელვა თავში, ულრიხის ასაკი ჩემსას რომ გამოვაკლო, სხვაობა ბევრად დიდი არ იქნებაო. ამ აზრის მიღმა, ცხადია, კიდევ ერთი ბუნდოვანი აზრი გაუკრთა: ულრიხს მისთვის დიოთიმასთან დამოკიდებულებაში გამაფრთხილებელი ფუნქცია უნდა შეესრულებინა! არნჰაიმს გაახსენდა, რომ ულრიხი პატარა კრატერს აგონებდა, რომლის მიხედვითაც შეგეძლოთ გემსჯელათ, რა შემზარავი იყო მოვლენები, რომლებიც დიდ კრატერში მზადდებოდა. გარკვეულწილად ისიც აშფოთებდა, რომ ლავამ იხეთქა, სიტყვები ამოიფრქვა და ისინი ცხოვრების გზას თავისით იკაფავდნენ. „ნეტა რა მოხდება, – გაუელვა თავში, – ამ წინადადებას რომ დათანხმდეს?“. ასე უახლოვდებოდა დასასრულს ის დაძაბული წუთები, როცა არნჰაიმი მასზე ახალგაზრდა კაცის გადაწყვეტილებას ელოდა და ვისთვისაც მნიშვნელობა მის ფანტაზიას მიენიჭებინა. ის გაუნძრევლად იჯდა, ტუჩები მტრულად მოეღრიცა და ფიქრობდა: „ალბათ, რამე მოხერხდება, თუ ახლა თავის არიდებას ვერ შევძლებ“.

სანამ გრძნობები და აზრები ამ გზით მიედინებოდა, სიტუაციაც იცვლებოდა და კითხვა-პასუხი ერთმანეთს გამალებით

ენაცვლებოდა.

– რომელ თვისებას უნდა ვუმადლოდე, – ჰკითხა ულრიხმა მშრალად, – ამ წინადადებას, რომელიც კომერციული თვალსაზრისით არცთუ გამართლებულია?

– ისევ ცდებით, – შეეკამათა არნჰაიმი. – ჩემი მდგომარეობის ადამიანი კაპიკ-კაპიკ კომერციულ გამართლებას ნაკლებად ეძებს. ის, რაც შეიძლება დამაკარგვინოთ, წვრილმანია იმ მოგებასთან, რასაც მომიტანთ!

– თქვენ მე ცნობისმოყვარეობას მიღვიძებთ, – უთხრა ულრიხმა. – ჩემთვის იშვიათად უთქვამს ვინმეს, რომ მოგების მოტანა შემიძლია. მეცნიერებისთვის რაღაც კი შემეძლო შემემატებინა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერც აქ გავამართლე!

– თავადაც კარგად იცით, რომ უჩვეულოდ ჭკვიანი ხართ (ის ძველებურად მშვიდი, აუმღვრეველი ტონით ლაპარაკობდა). ამის ახსნა არ გჭირდებათ. შესაძლოა, თქვენზე უფრო გამჭრიახი და სანდო ადამიანებიც გვყავდნენ, მაგრამ ვისურვებდი, რომ თქვენი ხასიათის და თვისებების ადამიანი, გარკვეული მოსაზრების გამო, გვერდით მედგეს.

– ჩემი თვისებები? – ულრიხს გაეცინა. – იცით, რომ მეგობრები უთვისებო კაცს მეძახიან?

არნჰაიმმა უნებლიეთ რაღაც ისეთი მოძრაობა გააკეთა, რითაც მოუთმენლობა გასცა, და რომელიც დაახლოებით ამ შინაარსის იყო: „არ არის საჭირო, მომიყვეთ ის, რაც დიდი ხანია ვიცი“. ჟრჟოლამ, რომელმაც მთელ სახეზე გადაუარა, არნჰაიმის უკმაყოფილება გაამხილა; სიტყვები კი სვლას თავდაპირველი გეგმისა და მიზნის მიხედვით აგრძელებდნენ. ულრიხის მზერას ეს ჟესტი არ გამოჰპარვია და რადგან არნჰაიმს მისი გაღიზიანება სულ მცირე მიზეზითაც შეეძლო, ამიტომ საუბარი გულწრფელად გააგრძელა, რასაც აქამდე თავს არიდებდნენ. ამასობაში ორივე წამოდგა. ულრიხი რამდენიმე ნაბიჯით გვერდით გადგა, რათა უკეთ დაენახა ეფექტი, რომელსაც მისი სიტყვები მოსაუბრეზე მოახდენდა და უთხრა: – იმდენი მნიშვნელოვანი კითხვა დამისვით, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე, მინდა, ზოგი რამ მეც შევიტყო. – და მკაფიოდ და საქმიანად განაგრძო: – მითხრეს, რომ „აქციაში“ თქვენი მონაწილეობა – ქალბატონი ტუცი და ჩემი მოკრძალებული პერსონა მხოლოდ დანამატი ვართ და სხვა არაფერი –

გალიციური ნავთობის დიდი ნაწილის შეძენისკენ არის მიმართული.

არნჰაიმმა ფერი დაკარგა, რამდენადაც ამის დანახვის საშუალებას საღამოს ბინდბუნდი იძლეოდა და ულრიხისკენ ნელა გადადგა ნაბიჯი. ულრიხმა საჭიროდ ჩათვალა, ამ კადნიერი კითხვის გამო რაღაც მოემოქმედა და ნანობდა, რომ წინდაუხედავი პირდაპირობის წყალობით არნჰაიმს შესაძლებლობა მისცა, საუბარის გაგრძელებაზე იმ მომენტში ეთქვა უარი, როცა ის მისთვის უსიამოვნო გახდა, ამიტომ შეძლებისდაგვარად თავაზიანად მიმართა: – ბუნებრივია, არ მინდა გაგანაწყენოთ, მაგრამ თუ ღიად არ ვილაპარაკეთ, ვშიშობ, ჩვენი საუბარი თავის მნიშვნელობას ვერ შეასრულებს.

რამდენიმე სიტყვა და ულრიხისკენ გადადგმული ნაბიჯი საკმარისი აღმოჩნდა, რომ არნჰაიმი თავს მორეოდა და სიმშვიდე დაებრუნებინა.ულრიხს ღიმილით მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და საყვედურით უთხრა: – როგორ შეგიძლიათ, ბირჟის ჭორებს დაუჯეროთ!

– ამ ამბავს ჭორად კი არ მოვკარი ყური, ისეთი ადამიანისგან შევიტყვე, ვინც კარგად არის გათვითცნობიერებული.

– ვიცი, რომ ამას ამბობენ. როგორ დაიჯერეთ! ცხადია, აქ მხოლოდ სიამოვნებისთვის არ ჩამოვსულვარ; სამუშაოს მიტოვების უფლებას, სამწუხაროდ, თავს ვერასდროს ვაძლევ. არც იმას უარვყოფ, რომ ვიღაცეებს ნავთობის საბადოებზე ვესაუბრე, თუმცა გთხოვდით, ამის შესახებ სიტყვა არავისთან დაგცდეთ; მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს!

– ჩემს ნათესავს თქვენს ნავთობზე წარმოდგენაც კი არა აქვს. ქმრისგან დავალება მიიღო, რომ სტუმრობის მიზანი გათქმევინოთ, რადგან რუსეთის მეფის აგენტად გთვლიან. მაგრამ დარწმუნებული ვარ, დიპლომატიურ მისიას ცუდად ასრულებს, რადგან ჰგონია, რომ თქვენი აქ ყოფნის ერთადერთი მიზანი თავადაა.

– ნუ ხართ ასეთი არადელიკატური! – არნჰაიმმა ულრიხს მხარზე ხელი მეგობრულად მსუბუქად დაჰკრა. – გვერდითი მოვლენები, ალბათ, ყველგან და ყველაფერშია. თქვენ კი განზრახ გესლიანი შენიშვნა ცუდად აღზრდილი სკოლის მოწაფის გულახდილობასავით გამოგივიდათ!

არნჰაიმის ხელი, რომელსაც ულრიხი გრძნობდა, მას თავდაჯერებულობას აკარგვინებდა. სასაცილო და უსიამოვნოა, როცა გრძნობ, რომ მხარზე ხელს გხვევენ; უფრო მეტიც, ეს, შესაძლოა, საზიზღარ გრძნობადაც იქცეს. არნჰაიმის ხელს სიამოვნებით მოიშორებდა და უნებლიეთ ამას ცდილობდა კიდეც. არნჰაიმი ვერ ამჩნევდა და ულრიხიც დაიძაბა, რომ არ დასტყობოდა. თავაზიანობის გამო გაირინდა, რადგან არნჰაიმის რთულ მდგომარეობას გრძნობდა და მის შეხებას იტანდა, რომელიც მასზე ისე მოქმედებდა, როგორც მძიმე საგანი ფხვიერ ნაყარზე, ორად რომ ყოფს მას და იძირება. თავისდა უნებურად, ულრიხმა გარშემო მარტოობის მიწაყრილი შემოივლო და აი, რღვეულიდან სიცოცხლე გამოსხლტა, მეორე ადამიანის პულსი, ეს კი სულელური, სასაცილო და ცოტა ამაღელვებელი გრძნობა იყო.

ულრიხი გერდაზე ფიქრობდა. გაახსენდა, როგორ გააღვიძა მისმა ყრმობის მეგობარმა მასში სურვილი, ვინმესთან სრული თანხმობა ეგრძნო, თითქოს ამქვეყნად სიმპათიის ან ანტიპათიის გარდა სხვა განსხვავება აღარ არსებობდა. ახლა, როცა უკვე ძალზე გვიან იყო, ამ სურვილმა კვლავ იჩინა თავი ვერცხლისფერი ტალღებივით, წყლის, ჰაერისა და სინათლის ტალღებივით, მდინარის ფართო კალაპოტში ერთიან ვერცხლისფერ ნაკადად რომ იქცევა. სურვილმა ისე გააბრუა, რომ ამ ორაზროვან მდგომარეობაში მყოფს დიდი ყურადღება მართებდა, რათა რამე გაუგებრობა არ გამოეწვია. როცა კუნთები დაეძაბა, გაახსენდა, ერთხელ ბონადეამ რომ უთხრა: „ულრიხ, შენ ცუდი არა ხარ, უბრალოდ ცდილობ, კარგი არ იყო“! ბონადეამ, რომელიც იმ დღეს გასაოცარ ჭკუას იჩენდა, ისიც უთხრა: „სიზმარშიც ხომ არ ვფიქრობთ, მაგრამ თავს რაღაც მაინც გადაგვხდება!“. მან კი თქვა: „ბავშვობაში მთვარიან ღამეს ჰაერივით რბილი ვიყავი“. ისიც გაახსენდა, რომ ამ დროს თვალწინ სულ სხვა სურათი გაუკრთა: მაგნიუმის ნათება. საკუთარი გული ასეთად წარმოედგინა, ნაპერწკლების მფრქვეველი და სინათლედ გარდაქმნილი. მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო, მაშინ ამ შედარების ხმამაღლა თქმა ვერ გაბედა და სხვა გრძნობებს დანებდა, მაგრამ ამჯერად დიოთიმასთან და არა ბონადეასთან, თუ სწორად ახსოვდა. „ცხოვრებათა შორის განსხვავებები ძირისძირში ერთმანეთთან ახლოსაა“, – გაიფიქრა მან და შეხედა კაცს, რომელიც სრულიად ბუნდოვანი მიზეზების გამო მეგობრობას სთავაზობდა.

არნჰაიმმა ულრიხის მხრიდან ხელი აიღო. ისინი კვლავ ფანჯრის ნიშაში იდგნენ, იქ, სადაც საუბარი დაიწყეს. ქვემოთ, ქუჩაში, მშვიდობიანად ენთო ლამპიონები, თუმცა იგრძნობოდა, რომ მღელვარება არ დამცხრალიყო. დროდადრო ჯგუფ-ჯგუფად მიმავალ, ცხარედ მოსაუბრე ხალხსაც დაინახავდით, ან ვიღაცის შეძახილს გაიგებდით, რომელსაც შემდეგ სიცილი მოჰყვებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ყველა ნახევრად ცნობიერ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ შფოთიანი ქუჩის შუქზე ფარდებს შორის, ოთახის ჩაბნელებულ სურათს ჩარჩოდ რომ შემოვლებოდა, ულრიხი არნჰაიმის ფიგურას ხედავდა და გრძნობდა, როგორ იდგა თვითონაც მის გვერდით, ორივე ნახევრად – განათებულნი, ნახევრად ბნელში და ამ ორმაგი განათებით მათი სხეულები კიდევ უფრო მძაფრად იკვეთებოდა. ულრიხს არნჰაიმის პატივსაცემად „ვაშას“ შეძახილები გაახსენდა, და იყო თუ არ იყო იგი ამ მოვლენებთან დაკავშირებული, ყველას დასანახად ოლიმპიური სიმშვიდით ქუჩაში მომზირალი, ჩაფიქრებული არნჰაიმი მარადისობის მიერ წამიერად დახატულ ამ სურათში მთავარ ფიგურად მოჩანდა. მის გვერდით მიხვდებოდით, რას ნიშნავდა საკუთარი ღირსების გრძნობა. ეს გრძნობა სამყაროს დუღილს ვერ აშოშმინებს, რადგან, რაც უფრო მძაფრია იგი, სამყაროც – დროებით მაინც – მით უფრო უკიდეგანო ჩანს. საკუთარი ღირსების გრძნობა კი სამყაროში რეჟისორივით შეაბიჯებს და მისგან ბედნიერების ხელოვნურ ერთიანობას ქმნის. ულრიხს ამ კაცის ბედნიერების შურდა. არაფერი ისე იოლი არ ეჩვენებოდა იმწუთას, როგორც ამ კაცის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა, რადგან ეს კაცი თავისი ხატოვნებით სცენაზე ძველ ტექსტებს იხმობდა. „აიღე მახვილი, დაე, აღსრულდეს მისი ბედისწერა!“ – საზიზღარი არტისტული ინტონაციით წარმოთქმული ეს სიტყვები ულრიხს სრულიად ცხადად ჩაესმოდა და მაინც სრულიად უნებლიეთ ისე დადგა, რომ თითქმის არნჰაიმის ზურგს უკან აღმოჩნდა. წინ მის ფართო კეფას და მხრებს ხედავდა. განსაკუთრებით კეფა აღიზიანებდა. მარჯვენა ჯიბეში ხელით დასაკეც დანას ეძებდა. თითის წვერებზე შედგა და არნჰაიმის ზურგს უკან მდგომმა, ქუჩას კიდევ ერთხელ გადახედა. იქ, ქვემოთ, ბინდ-ბუნდში ადამიანები ქვიშის ტალღასავით მოედინებოდნენ. რაღაც ხომ უნდა მოჰყოლოდა ამ დემონსტრაციას და აი, მომავალმა წინასწარ ეს ტალღა გამოგზავნა. ადამიანებს თითქოს ზეპიროვნული

შემოქმედებითი შთაგონება სწვეოდათ, მაგრამ ამაშიც, როგორც ყოველთვის, უზუსტობა და დაუდევრობა იგრძნობოდა. დაახლოებით ასე შეიგრძნობდა ულრიხი იმას, რასაც ხედავდა და რაც ერთხანს მის ყურადღებას იპყრობდა; შემდეგ კი დაღლილობის საზიზღარი გრძნობა დაეუფლა და ანალიზიც გულისრევამდე მობეზრდა. ულრიხი ქუსლებზე დაეშვა, შერცხვა წარმოსახვის თამაშის, რომელსაც სერიოზულად არც ეკიდებოდა და ცდუნება იგრძნო, არნჰაიმს მხარზე შეხებოდა და ეთქვა: „მადლობას მოგახსენებთ; კმარა, რაღაც ახალი მინდა მოვსინჯო და თქვენს წინადადებას ვიღებ!“.

რადგან ულრიხი ასე არ მოქცეულა, ამიტომ არნჰაიმის კითხვაზე პასუხს აღარც ერთი არ მიბრუნებია. არნჰაიმმა შეწყვეტილი საუბარი განაგრძო: – ზოგჯერ კინოში თუ დადიხართ? აუცილებლად იარეთ! – თქვა მან. – იმ ფორმით, რომელიც დღეს აქვს, შესაძლოა, დიდი მომავალი არ ჰქონდეს, მაგრამ თუ კომერციულ ინტერესებს დაუკავშირებთ, მაგალითად, ელექტროქიმიას ან საღებავის ინდუსტრიას, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ისეთი განვითარების მომსწრე გახდებით, რომელსაც ვეღარავინ შეაჩერებს. დაიწყება პროცესი და მასში გამრავლებისა და ზრდის ყველა საშუალებას გამოიყენებენ. რაც უნდა იფიქრონ ჩვენმა მწერლებმა და ესთეტებმა, შეიქმნება საყოველთაო ელექტროკომპანიის ან გერმანული საღებავების ინდუსტრიის ხელოვნება. ამაზრზენია! არ წერთ? თუმცა ხომ გკითხეთ უკვე. რატომ არ წერთ? მართალი ხართ, მომავლის მწერალმა და ფილოსოფოსმა ჟურნალისტიკის ხიდი უნდა გადაიაროს. არ შეგიმჩნევიათ, რომ ჩვენი ჟურნალისტები დღითი დღე უკეთესები ხდებიან, მწერლები კი – უფრო და უფრო უარესები? ამგვარი განვითარება, უდავოდ, კანონზომიერია. რაღაც დაიწყო და ზუსტად ვიცი, რაც: დიდი ინდივიდუალობების ეპოქა მთავრდება! – არნჰაიმი წინ გადმოიხარა. – თქვენს გამომეტყველებას ვერ ვარჩევ, ცუდი განათებაა, – და გაიღიმა. – თქვენ სულიერი ღირებულებების საყოველთაო აღწერა მოითხოვეთ. გჯერათ ამის? მართლა გჯერათ, რომ სულიერი საწყისით ცხოვრების მოწესრიგება შესაძლებელია? ცხადია, თქვენ „არა“ თქვით, მაგრამ არ მჯერა. თქვენ ეშმაკსაც კი ჩაიკრავდით გულში, რადგანაც მისი ბადალი არავინაა!

– ეს საიდან არის? – ჰკითხა ულრიხმა.

– „ყაჩაღების“ გამოუქვეყნებელი წინასიტყვაობიდან.

„გამოუქვეყნებლიდან, აბა, ჩვეულებრივიდან ხომ არ იქნება!“ – გაიფიქრა ულრიხმა.

„ადამიანთა სულები, რომელთაც ამაზრზენი ბიწიერება მისთვის ჩვეული დიდებულებით ხიბლავს“. არნჰაიმი გრძნობდა, რომ სიტუაციას კვლავ ის განაგებდა. ულრიხი კი რაღაც მიზეზით დათმობაზე წავიდა; მას მტრული სიმტკიცე დაეკარგა და აღარც იმ შეთავაზებაზე ლაპარაკი იყო საჭირო; ყველაფერმა კარგად ჩაიარა. რინგზე მებრძოლივით, მთელ თავის ძალებს რომ აამოქმედებს, როცა მეტოქის დაღლას გრძნობს, არნჰაიმსაც, ულრიხისთვის ამ წინადადების მნიშვნელოვნების მოუნდა და განაგრძო: – ვფიქრობ, ახლა უკეთ გამიგებთ, ვიდრე დასაწყისში. მოკლედ, გამოგიტყდებით, რომ ზოგჯერ თავს მარტო ვგრძნობ. „ახალი“ ადამიანები კომერციულად აზროვნებენ. კომერსანტების ოჯახში მეორე ან მესამე თაობა ფანტაზიას კარგავს და მათგან მხოლოდ ჩინებულ მმართველებს, სასახლეებისა და ნადირობების ტრფიალთ, ოფიცრებს და არისტოკრატ სიძეებს თუ მიიღებთ. ასეთ ხალხს მთელ მსოფლიოში კარგად ვიცნობ. მათ შორის ჭკვიან და დახვეწილ ადამიანებსაც შეხვდებით, მაგრამ ერთ აზრსაც კი ვერ დაბადებენ, რაღაცით რომ იყოს დაკავშირებული მოუსვენრობის, დამოუკიდებლობის ან უბედურების იმ ბოლო მდგომარეობასთან, რომელიც შილერის ციტატით დავახასიათე.

– სამწუხაროდ, საუბარს ვეღარ გავაგრძელებ. ქალბატონი ტუცი სიტუაციის დამშვიდებას, ალბათ, რომელიმე მეგობართან ელოდება, მე კი უნდა წავიდე. მაშასადამე, თქვენ თვლით, რომ მიუხედავად კომერციაში ჩემი გაუთვითცნობიერებლობისა, ის მოუსვენრობა მაქვს, რომელიც კომერციისთვის სწორედ კომერციული ელემენტის დაკარგვით არის ასე სასარგებლო?

ულრიხმა შუქი აანთო, რათა გამომშვიდობებოდა და პასუხს დაელოდა. არნჰაიმმა მედიდურად და მეგობრულად მხარზე ხელი დაადო – ამ ჟესტს, ჩანდა, ულრიხი უკვე უძლებდა – და თქვა: – მაპატიეთ, თუ იმაზე მეტი ვილაპარაკე, ვიდრე საჭირო იყო. მარტოობის განწყობის გავლენაა! ძალაუფლების სათავეში ეკონომიკა მოდის და ხანდახან საკუთარ თავს ეკითხები: როგორ მოვიქცეთ, რა ვუყოთ ახლა ამ ძალაუფლებას? არ გამიბრაზდეთ!

– რას ამბობთ, პირიქით! – შეეცადა ულრიხი მის დარწმუნებას. – ვაპირებ, თქვენს წინადადებაზე სერიოზულად დავფიქრდე. – ულრიხმა ეს ისე სწრაფად თქვა, შეიძლებოდა, გეფიქრათ, რომ აღელვებული იყო. არნჰაიმი დარჩა, რომ დიოთიმას დალოდებოდა. ცოტათი შემცბარს, ეშინოდა კიდეც, რომ არც ისე იოლი იქნებოდა მართებული მიზეზის მოძებნა, რათა ულრიხის ყურადღება ამ წინადადებიდან სხვა რამეზე გადაეტანა.

122. გზა შინისკენ

ულრიხი სახლისკენ გზას ფეხით გაუდგა. მშვენიერი, მაგრამ უმთვარო ღამე იყო. მაღალი, ერთმანეთის მიყოლებით გამწკრივებული შენობები ქუჩის უცნაურ, ზემოთ გახსნილ სივრცეს ქმნიდა, მის თავზე კი რაღაცის არსებობას იგრძნობდით: წყვდიადის, ქარის თუ ღრუბლების. ქუჩები ისეთი ცარიელი იყო, თითქოს ჩავლილი მღელვარების შემდეგ ყველას თვლემა მორეოდა, თითქოს თითო-ოროლა გამვლელის ფეხის ხმა, რომელთაც ულრიხი გზაში ხვდებოდა, შორიდან რაღაცის სათქმელად უახლოვდებოდა. იმ ღამეს, როგორც თეატრში, იგრძნობდით, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო; იგრძნობდით, რომ სამყაროში რაღაც მოვლენა ხართ, უფრო მნიშვნელოვნად რომ ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია; რაღაც ხმაურიან, განათებულ სიბრტყეს რომ ჩაუვლი და საკუთარი ჩრდილი გაშმაგებით მოცეკვავე მასხარასავით აგეკიდება, რომელიც უცებ წელში გასწორდება, რათა მაშინვე შენ ფერხთით მორჩილად განერთხოს. „რა ბედნიერი შეიძლება იყოს ადამიანი!“ – გაიფიქრა მან.

ულრიხმა თაღოვანი ქვის დერეფანი გაიარა, რომელიც ათი ნაბიჯის მანძილზე მიუყვებოდა ქუჩას და მისგან მხოლოდ მსხვილი კამაროვანი სვეტებით იყო გამოყოფილი. კუთხეებიდან სიბნელე მობობღავდა, ნახევრად განათებულ გასასვლელში რბევა და მკვლელობა ბჟუტავდა. სულს სიძველითა და სისხლიანი ზეიმით სავსე შლეგი ბედნიერება ეუფლებოდა. იქნებ ეს მეტისმეტი იყო. ულრიხმა წარმოიდგინა, არნჰაიმი აქ რა მშვიდად და შინაგანი „რეჟისურით“ ჩაივლიდა. საკუთარი ჩრდილისა და თავისი ნაბიჯების ხმაური აღარ ართობდა და მუსიკაც ზმანებასავით ჩაქრა კედლებში. იცოდა, რომ არნჰაიმის წინადადებას არ მიიღებდა. ახლა კი გალერეაში გზაარეულ ფანტომს ჰგავდა,

შემცბარი, ჩარჩოს რომ ვერ პოულობს შიგ შესასხლტომად. ამ ქუჩამ იგი ნაკლებად დამთრგუნველ ადგილზე გაიყვანა, რომელსაც დიდებულებაც აკლდა და ულრიხს გაუხარდა.

სიბნელეში მის თვალწინ ფართო ქუჩები და მოედნები გადაიშალა და მშვიდობიანად მოკიაფე ვარსკვლავებით განათებულ ჩვეულებრივ სახლებსაც ჯადო დაეკარგათ. ფართო სივრცეში მოხვედრილმა მშვიდობიანი ატმოსფერო იგრძნო და ღმერთმა იცის, რატომ, ბავშვობის რამდენიმე ფოტო გაახსენდა, რომლებიც ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ დაათვალიერა. ფოტოებზე ის ადრე გარდაცვლილი დედის გვერდით იდგა. ულრიხი პატარა ბიჭს, ძველმოდურად ჩაცმულ ლამაზ ქალს ბედნიერი რომ უღიმოდა, უცხოსავით უყურებდა. ბიჭი დამჯერი, საყვარელი და ჭკვიანი იყო, იმედები კი ჯერ კიდევ არ ქცეულიყო მის საკუთარ იმედებად; გაურკვეველი მოლოდინი ღირსეულ, ბრწყინვალე მომავალს ჰპირდებოდა, რომელიც მისკენ ოქროს გაშლილ ბადესავით მოიწევდა. თუმცა ეს ყოველივე თავის დროზე არ ჩანდა, მაგრამ ათეული წლების შემდეგ ძველ ფოტოებზე ამას უკვე სულ ადვილად ამოიკითხავდით. ამ ხილული უხილაობიდან, რომელიც სულ ადვილად შეიძლებოდა ქცეულიყო რეალობად, ულრიხს რბილი, ცარიელი ბავშვური სახე შემოჰყურებდა, შეშინებული გამომეტყველებით. ამ ბავშვის მიმართ არავითარ სიმპათიას არ გრძნობდა, ლამაზ დედას კი სიამაყით უყურებდა. საერთო ჯამში ეს ყველაფერი მასზე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ რაღაც საშინელებას გამოექცა.

ვისთვისაც უცხო არ არის ის გრძნობა, როგორ შემოგყურებს წარსულის თვითკმაყოფილების წუთში გახვეული საკუთარი თავი ძველი ფოტოებიდან, ისე, თითქოს რაღაც მასთან დამაკავშირებელი გამოიფიტა, გახმაო, მაშინ იმ კითხვის მიზეზსაც გაიგებს, რომელსაც ულრიხი საკუთარ თავს უსვამდა: – მაინც რა არის ეს კავშირი, რომელიც სხვებს არ დაუკარგავთ. ულრიხი ერთ-ერთ იმ ბულვარში მოხვდა, რომელიც ალაგ-ალაგ წყდება. წინათ აქ მიწაყრილი იყო. ულრიხს სულ რამდენიმე ნაბიჯით შეეძლო ბულვარის ერთი მონაკვეთის გავლა, მაგრამ ხეების თავზე გადაჭიმულმა ცის ზოლმა გაიტყუა, ბულვარიდან გადაუხვია და მის მიმართულებას მიჰყვა. ცის თაღზე გვირგვინივით შემოვლებული ვარსკვლავები თითქოს ულრიხისთვის ანათებდა. ეჩვენებოდა, რომ მათ უახლოვდებოდა, მაგრამ

ზამთრის ბულვარის კიდეზე მოლივლივე მათი შუქი ზეციურ სიშორეში იკარგებოდა. „ეს გონების პერსპექტივის დაპატარავებასავითაა, – ფიქრობდა იგი. – ყოველ საღამოს დასადგურებული სიმშვიდე, დღიდან დღეს რომ სწვდება, საკუთარ თავთან თანხმობაში მყოფი ცხოვრების გრძნობას ბადებს. ბედნიერების წინაპირობა წინააღმდეგობრიობის შერბილება კი არა, მისი გაქრობაა ისევე, როგორც ხეივანი ავსებს სიცარიელეს, ირგვლივ ხილული კონტექსტი გადანაცვლდება და ისეთი სურათი იხატება, რომელსაც თავად განაგებ. მაშინ ის, რაც ახლოსაა, დიდად გეჩვენება, ხოლო შორს მყოფი, თუნდაც ბუმბერაზი – პატარად; სიცარიელე ივსება და საბოლოოდ ყველაფერი მოწესრიგებულ, გლუვ სიმრგვალეს იძენს. უხილავი კავშირებიც ასეა: გრძნობა და გონება მათ სივრცეში გადაანაცვლებს და არაცნობიერად რაღაც იბადება, და შენც მის ბატონ-პატრონად გრძნობ თავს. ეს არის სწორედ ის, – ფიქრობდა თავისთვის ულრიხი, – რასაც მე ისე არ ვაკეთებ, როგორც ეს სასურველი იქნებოდა“.

ერთ წამს ულრიხი დიდ გუბესთან შეჩერდა, რომელმაც გზა გადაუღობა. გუბისა თუ მის გვერდზე ჩამწკრივებული ცოცხებივით გაშიშვლებული ხეების გამო სოფელი და სოფლის შარაგზა გაახსენდა, ამან კი მასში სურვილის ასრულებასა და ამაოებას შორის გარინდებული სულის მონოტონურობის გრძნობა გააღვიძა, ასე რომ ჰგავს სოფლურ ყოფას; და მერამდენეჯერ, ყმაწვილობის დროინდელი პირველი „მგზავრობა-გაქცევის“ შემდეგ, რაღაც ისევ გაქცევისკენ უხმობდა. „ყველაფერი ისეთი უბრალო ხდება! – იგრძნო ულრიხმა. – გრძნობები თვლემენ, აზრები ავდრის შემდეგ ღრუბლებივით იფანტება და მერე სულიდან უეცრად კამკამა ცის მშვენიერება იბადება! ამ ფონზე, შესაძლოა, შუაგულ გზაზე მხოლოდ ძროხა მოჩანდეს და ეს ისეთი დამაჯერებელი იყოს, თითქოს ამქვეყნად სხვა არაფერი ხდებოდეს. სწორედ ასეთივე შთაბეჭდილება შეიძლება დაბადოს ერთმა ღრუბელმაც, რომელიც ცაზე მიიზლაზნება: ბალახი მუქდება, ცოტა ხნის შემდეგ კი ცვრით ინამება და აციმციმდება. სულ ეს არის, სხვა არაფერი ხდება, მაგრამ ეს ზღვის ერთი ნაპირიდან მეორეზე გამგზავრებას ჰგავს! ვიღაც მოხუცი ბოლო კბილს კარგავს. ეს პატარა მოვლენა მეზობლებისთვის ცხოვრების ერთ ეტაპს ნიშნავს, რომელსაც საკუთარ მოგონებებს დაუკავშირებენ! ასე გალობენ ფრინველები ყოველ საღამოს სოფლის გარშემო და

თან მუდამ ერთნაირად. ჩამავალი მზის მიღმა სიჩუმე ჩნდება, ესეც ყოველდღე მეორდება, მაგრამ თითქმის ყველაფერი თავიდან იწყება, თითქოს სამყაროს შექმნიდან შვიდი დღე ჯერ არ გასულა! სოფლებში ღმერთები ადამიანებს ჯერ კიდევ სტუმრობენ, – ფიქრობდა ულრიხი, – ადამიანი იქ რაღაცას წარმოადგენს და გამოცდილებასაც იძენს, ქალაქში კი, სადაც ათასჯერ მეტი რამ გადაგხდება თავს, ამას საკუთარ თავს ვეღარ უკავშირებ და, ალბათ, ყბადაღებული ცხოვრების აბსტრაქციად გარდაქმნაც ეს არის!“.

ულრიხი ასე ფიქრობდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს ადამიანის ძალას ათასჯერ ზრდის, და თუ ადამიანს ცალკეულ შემთხვევებში ათჯერ ასუსტებს, საბოლოო ჯამში იგი ასჯერ მაინც უფრო ძლიერდება. ასე რომ, წარსულისკენ მიბრუნებაზე ულრიხს არც უფიქრია. და აი, ამ თითქოსდა უადგილო აბსტრაქტულ აზრთა მსვლელობისას, რომელსაც მის ცხოვრებაში ხშირად უშუალო შინაარსი შეუძენია, გაიფიქრა, რომ ამ ცხოვრების და თხრობის კანონი ერთი და იგივეა! იმ უბრალო წესრიგის კანონი, როცა შეგიძლია თქვა: „როცა ეს მოხდა, ეს მოვლენაც მაშინ იყო!“. ეს მარტივი თანმიმდევრობაა, ერთ განზომილებაში ცხოვრების ჭარბი მრავალფეროვნების ანარეკლია, – როგორც მათემატიკოსები იტყოდნენ. აი, ჩვენ რა გვამშვიდებს: სივრცესა და დროში მომხდარის ერთ ძაფზე ასხმა, იმ ცნობილ „თხრობის ძაფზე“ ასხმა, რისგანაც ცხოვრების ძაფი შედგება. ნეტავი იმას, ვისაც შეუძლია თქვას: „როცა“, „სანამ“ და „მას შემდეგ“! თუნდაც თავს უბედურება დაატყდეს ან ტკივილისგან იკრუნჩხებოდეს, როგორც კი მოვლენების დროში თანმიმდევრობის აღდგენის უნარი უბრუნდება, თავს ისე კარგად გრძნობს, თითქოს მზე დაჰნათოდეს. აი, რომანმა თავის სასარგებლოდ, ხელოვნურად, რა გამოიყენა; მგზავრი, შეიძლება, სოფლის შარაზე თავსხმა წვიმაში ცხენს მიაჭენებდეს, ოც გრადუს ყინვაში ფეხქვეშ თოვლი უჭრაჭუნებდეს, მკითხველს კი სიმყუდროვის განცდა ეუფლებოდეს. ამის გაგება ძნელი იქნებოდა, ეპოსის ეს მარადიული ხრიკი, რომლის წყალობითაც ძიძები ბავშვებს ამშვიდებენ – მრავალგზის გამოცდილი და შემოწმებული „გონების პერსპექტივის დაპატარავება“ – თავად ცხოვრების განუყოფელი ნაწილი რომ არ იყოს! ადამიანთა უმრავლესობა საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში მთხრობელია. ლირიკა მათ არ უყვართ, ან თუ უყვართ, მხოლოდ წუთიერად და თუ

ცხოვრების ძაფს მცირეოდენი „რადგან“ და „რათაც“ დაერთო, დიდი ხნით ამაზე ფიქრს იკრძალავენ. მათ თანმიმდევრული ფაქტების წესრიგი ხიბლავთ, რადგან ის აუცილებლობას ჰგავს და იმის წარმოდგენისას, რომ მათ ცხოვრებას „მდინარება“ გააჩნია, ქაოსისგან დაცულად გრძნობენ თავს. ულრიხმა შეამჩნია, რომ სწორედ ეს პრიმიტიული ეპიკურობა დაკარგა, რომელსაც პირადი ცხოვრება ჯერ კიდევ ებღაუჭება, იმ დროს, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებას თხრობითი აღარ გააჩნია და აღარც აღარანაირი „ძაფი“ ახლავს თან; ამიტომაც ყველაფერი უსასრულო ხლართად იშლება.

ულრიხმა გზა განაგრძო და ამ დროს გაახსენდა, რომ გოეთე ხელოვნებაზე ერთ-ერთ სტატიაში წერდა: „ადამიანი არ არის ის, ვინც ასწავლის. ადამიანი ცოცხალი, მოქმედი არსებაა, რომელიც გავლენას ახდენს!“. ულრიხმა მოწიწებით აიჩეჩა მხრები. „მსახიობივით, კულისებს და გრიმს რომ ივიწყებს და ეჩვენება, რომ სინამდვილეში სჩადის რაღაც საქციელს, ადამიანსაც აქვს უფლება, დაივიწყოს ცოდნის ის გაურკვეველი ფონი, რაზეც მთელი მისი საქმიანობაა დამოკიდებული!“ – გაიფიქრა მან. გოეთეზე ფიქრს არნჰაიმზე ფიქრიც შეერია, მის ციტატებს მუდამ ბოროტად რომ იყენებდა, რადგან იმწუთას ულრიხმა ის უცნაური დაურწმუნებლობაც იგრძნო, ამ კაცის ხელმა რომ გამოიწვია, როცა მხარზე დაადო. ამასობაში ულრიხი ხეთა რიგიდან გამოვიდა, ტროტუარზე ავიდა და სახლის გზას დაუწყო ძებნა. მიხვეულ-მოხვეული ქუჩების სახელების კითხვისას ლამის ვიღაცის ჩრდილს დაეჯახა, რომელიც უცებ გაიფანტა. ისიც მაშინვე შეჩერდა, რომ არ წაექცია მეძავი, რომელმაც გზა გადაუღობა. ქალი იდგა და იღიმებოდა, იმის ნაცვლად, რომ გაბრაზებულიყო, რადგან ულრიხი კინაღამ კამეჩივით დაეტაკა. ულრიხმა იგრძნო, რომ მეძავის პროფესიული ღიმილი ცოტაოდენ სითბოსაც ასხივებდა. ქალი რამდენიმე სიტყვით გამოელაპარაკა. გაცვეთილ სიტყვებს მამაკაცებისგან დატოვებული ჭუჭყის ნარჩენი ეტყობოდა. „წამოდი ჩემთან, პატარავ!“ – თუ რაღაც ამის მსგავსი უთხრა. ქალს ბავშვივით ჩამოყრილი მხრები ჰქონდა და ქუდიდან ქერა კულული ჩამოვარდნოდა. ლამპიონის შუქზე ფერმკრთალი სახე და არასწორი ნაკვთები რაღაცნაირად საყვარლად მოუჩანდა. გრიმი, ალბათ, მის ახალგაზრდა, ჭორფლიან კანს ფარავდა. ქალმა ულრიხს ახედა. მასზე დაბალი იყო, თუმცა მაინც ისევ ისე მიმართა და ბგერათა ამ შეთანხმებაში, ერთ

საღამოს ათასჯერ მაინც რომ წარმოთქვამდა, არაბუნებრივი არაფერი უგრძნია.

მისმა სიტყვებმა ულრიხს გული შეუძრა. ქალის თავიდან მოშორებას არ ცდილა. ისევ ისე იდგა და ნათქვამი გაამეორებინა, თითქოს ვერ გაიგო. უცებ მეგობარი გოგოც იპოვა, სულ მცირე საფასურად თავს მთლიანად რომ დაუთმობდა. გოგო შეეცდება, ალერსიანი იყოს, რაც ულრიხს არ მოეწონება, იმას არ გააკეთებს; თანხმობის ნიშანი თუ მისცა, ხელკავს მიმნდობი სინაზითა და მორიდებით გაუკეთებს, როგორც მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ძვირფასი ადამიანები იძულებითი განშორების შემდეგ კვლავ ხვდებიან ერთმანეთს. და თუ რამეს დაჰპირდა და დადგენილ ნიხრზე საგრძნობლად მეტი ფულიც მაგიდაზე მაშინვე დაუდო, რათა გოგომ ფულზე არ იფიქროს, მაშინ ის უდარდელი, სასიამოვნო მდგომარეობაც დაუბრუნდება, საქმეში წარმატების შემდეგ რომ ეუფლება ადამიანს. აღმოჩნდება, რომ სუფთა გულგრილობასაც, სხვა დანარჩენი სუფთა გრძნობების მსგავსად, დიდი უპირატესობა აქვს: პირადი დაინტერესებისგან მათსავით ისიც თავისუფალია და საქმეს ემოციური ამბიციების ფუჭი აურზაურის გარეშე აკეთებს. ამ აზრებმა ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად გაუელვა თავში და გოგოს გაწბილება არ მოუნდა, რომელიც ელოდა, როდის გარიგდებოდნენ. ისიც იგრძნო, რომ მისი კეთილგანწყობა სჭირდებოდა. იმის ნაცვლად, რომ პროფესიულ ენაზე ერთი-ორი სიტყვით გამოლაპარაკებოდა, ჯიბეში ხელი მოუქნელად ჩაიყო, გოგოს ხელში დაახლოებით ერთი ვიზიტის თანხას ჩაუდო, ერთ წუთს ხელში მისი ხელი გაიჩერა, რომელიც მოულოდნელობის გამო უცნაურად ეწინააღმდეგებოდა, გოგოს ერთადერთი ალერსიანი სიტყვა უთხრა და გზა გააგრძელა. ულრიხი დარწმუნებული იყო, რომ მისი წასვლისთანავე გოგო თავის ამფსონებთან მივიდოდა, ალბათ, იქვე, კუთხეში, რომ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, ფულს უჩვენებდა და დამცინავი ხუმრობით თავის გრძნობებსაც მისცემდა გასაქანს, რომლებისთვისაც თავი და ბოლო თავადაც ვერ გაეგო.

ერთწუთიანი ნაზი იდილიის მსგავსად, ამ შეხვედრის შთაბეჭდილება ერთხანს გაჰყვა. თავისი წამიერი მეგობრის უხეშ სიღატაკეს კარგად ხვდებოდა და თავს არ იტყუებდა, მაგრამ იმის წარმოდგენა, როგორ გადაატრიალებდა გოგო თვალებს და გასამრჯელოს მოლოდინში კარგად ნასწავლი,

მსუბუქი ოხვრა აღმოხდებოდა, უხამსი, სრულიად უნიჭო თვალთმაქცობის მიუხედავად – თვითონაც არ იცოდა, რატომ – მაინც გულს უძრავდა. იქნებ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი პროვინციულ სცენაზე დადგმულ ადამიანურ კომედიას ჰგავდა. როცა ამ გოგოს ელაპარაკებოდა, ასოციაციურად მოორსბრუგერი გაახსენდა; მოორსბრუგერი, ავადმყოფი კომედიანტი, მეძავებზე მონადირე და მათი მკვლელი, იმ ღამეს ქუჩას მასავით მიუყვებოდა და როცა ქუჩის კულისებივით მყიფე კედლები ერთხანს დადუმდნენ, უცნობ არსებასაც გადაეყარა, მკვლელობის ღამეს ხიდზე რომ ელოდებოდა. ალბათ, რა დიდებული უნდა ყოფილიყო ამის დანახვა, თხემიდან ტერფამდე ჟრუანტელის მომგვრელი! წამიერად მოეჩვენა, რომ შეეძლო, ეს წარმოედგინა. იგრძნო, რაღაც ძალამ ტალღასავით როგორ აიტაცა ზევით. წონასწორობა დაკარგა, თუმცა არც სჭირდებოდა, რაღაც თავისით ამოძრავებდა. გული შეეკუმშა, წარმოდგენები აირ-დაირია და ღონისგამომცლელ ნეტარებად გარდაისახა. ცდილობდა, გონს მოგებულიყო, ჩანდა, შინაგანი ერთიანობით, დიდი ხანია, აღარ უცხოვრია და ახლა იმ სულით ავადმყოფისაც კი შურდა, აკვიატებულ იდეებს რომ შეეპყრო და საკუთარი როლის გულწრფელად სწამდა. მოორსბრუგერი მარტო მას ხომ არ ხიბლავდა, სხვებსაც იზიდავდა! არნჰაიმის ხმა ჩაესმა, რომელიც ეკითხებოდა: „გაათავისუფლებდით მას?“. ის პასუხობდა: „არა, ალბათ, არა“, „არა და არა“, – დაამატა მან და იგრძნო, როგორ მოსჭრა თვალი მოქმედების სურათ-ხატმა, რომელშიც მდევრისა და დევნილის მოძრაობა ერთურთს შეერწყა და ენით აღუწერელ საერთო მდგომარეობად გარდაისახა და რომელშიც ძალდატანების სიხარულს გარდაუვალობის აზრისგან, გრანდიოზულ აქტივობას ნეტარი პასივობისგან ვეღარ განასხვავებდით. გაკვრით ის მოსაზრებაც გაახსენდა, რომლის თანახმადაც, ამგვარი საბრალო არსებები დათრგუნულ ინსტინქტებს განასახიერებენ და ფანტაზიით ჩადენილი მკვლელობისა და წარმოსახვითი შებილწვის რეალიზაციას წარმოადგენენ. რას იზამ. დაე, მათ ვისაც ამის სჯერა, ამ საქმეს თავისებურად გაართვან თავი და საკუთარი ზნეობრიობის აღსადგენად დასაჯონ იგი, გაძღნენ მისით! მისი განხეთქილება კი სხვაგვარი იყო და საკუთარ თავში სწორედაც რომ არაფერს თრგუნავდა. მკვლელის პორტრეტში ისეთი არაფერი დაუნახავს, რაც მისთვის სამყაროს სხვა სურათებიდან არ იყო ცნობილი, ასე რომ ჰგავდა მის ფოტოებს. ნახევრად

ჩამოყალიბებული აზრი და ნახევრად გადმომჩქეფარე სისულელე! წესრიგს განდგომილი მეტაფორა. აი, მოორსბრუგერი მისთვის რას ნიშნავდა! ულრიხმა თქვა: „ეს ყველაფერი“, – და ხელი ისე აიქნია, თითქოს რაღაცის მოშორება უნდოდა. ეს სიტყვები თავისთვის კი არა, ხმამაღლა წარმოთქვა. შემდეგ ტუჩები მაგრად მოკუმა და ფრაზა უხმოდ დაბოლოვა: – „ეს ყველაფერი უნდა გადაწყდეს!“. აღარ უცდია, დეტალურად გარკვეულიყო, „ეს ყველაფერი“ რას ნიშნავდა. „ეს ყველაფერი“ იყო ის, რაც მის ყურადღებას იპყრობდა, ტანჯავდა და დროდადრო ფრთებს ასხამდა მას შემდეგ, რაც „შვებულება აიღო“ და ბორკილდადებულ მთვარეულად იქცა, რომლისთვისაც ყველაფერი შესაძლებელია, გარდა ერთისა: ადგე და მოქმედება დაიწყო! შინისკენ გზაზე, პირველი დღიდან ბოლო წუთამდე, ამ ყველაფერს იგი „შეუძლებელი რამის“ კეთებამდე მიჰყავდა! ულრიხი გრძნობდა, რომ ბოლოს და ბოლოს ან სხვებივით მიუღწეველი მიზნისთვის უნდა ეცხოვრა, ან ამ „შეუძლებლისთვის“ ხელი სერიოზულად მოეკიდა. უკვე სახლს უახლოვდებოდა და ნაბიჯს აუჩქარა, თან უცნაური გრძნობა დაეუფლა, თითქოს რაღაც ელოდა. ეს გრძნობა ფრთებს ასხამდა, რაღაც მოქმედებისკენ უბიძგებდა, მაგრამ შინაარსი არ ჰქონდა და ამიტომ ისევ თავისუფლების გრძნობად აღიქვამდა.

ეს გრძნობა შეიძლებოდა გამქრალიყო კიდეც, მაგრამ როცა ქუჩაზე შეუხვია, სადაც მისი სახლი იდგა, მოეჩვენა, რომ ფანჯრებიდან შუქი გამოდიოდა. ამაში საბოლოოდ დარწმუნდა, როცა რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ თავისი ბაღის მესერს მიუახლოვდა. მოხუცმა მსახურმა ერთი ღამით ნათესავთან დარჩენის უფლება ითხოვა, რომელიც ქალაქის სხვა უბანში ცხოვრობდა. თვითონ ჯერ კიდევ დღის შუქზე გერდასთან თავს გადახდენილი ამბის შემდეგ სახლში აღარ ყოფილა. მებაღე და მისი ცოლი კი, რომლებსაც პირველ სართულზე გამოუყო ოთახი, ზემოთ არასდროს ადიოდნენ. შუქი ყველგან ენთო, თითქოს მის სახლში ვიღაც უცხოებს, ქურდებს შეეღწიათ და ახლა, სადაც არის, მათ თავზე დაადგებოდა. ულრიხი დაიბნა. არ აპირებდა, ამ უცნაურ გრძნობას გაჰქცეოდა და ამიტომ სახლისკენ უყოყმანოდ გაემართა. არაფერს კონკრეტულს არ ელოდა. ფანჯრებზე ჩრდილი ირეკლებოდა და მიხვდებოდით, რომ ოთახში ერთი ადამიანი იმყოფებოდა. შეიძლება, სხვებიც იყვნენ და ულრიხი

ფიქრობდა, შესვლისთანავე ესროლა მათთვის და საამისოდ მზად ყოფილიყო. შესაძლოა, სხვა მდგომარეობაში პოლიციელისთვის დაეძახა ან გადაწყვეტილების მიღებამდე სიტუაციის გარკვევა ეცადა, მაგრამ მას ამ განცდის პირისპირ მარტო უნდოდა დარჩენა და პისტოლეტიც კი არ ამოუღია, რომელსაც იმ ღამის შემდეგ, ხულიგნები რომ დაესხნენ თავს, ხანდახან თან დაატარებდა. მას უნდოდა... თავადაც არ იცოდა, რა... ეს ყველაფერი უნდა გარკვეულიყო!

როცა კარი შეაღო, აღმოჩნდა, რომ ქურდი, ვისაც ასეთი გაურკვეველი გრძნობით ელოდა, კლარისა იყო.

123. შემობრუნება

შესაძლოა, ულრიხის საქციელს თავიდან ის დარწმუნებულობა ეტყობოდა, რომ ყველაფერი კეთილად გაირკვეოდა, მაგრამ ვესტიბიულში, როცა მოულოდნელად მოხუცი მსახური გამოეგება, კინაღამ დაარტყა და ბოლო წუთსღა მოასწრო თავის შეკავება. მისგან შეიტყო, რომ დეპეშა მოსულიყო და ის კლარისას აეღო.

– ახალგაზრდა ქალბატონი დაახლოებით ერთი საათის წინ მოვიდა, სწორედ მაშინ, წასვლას რომ ვაპირებდი და დარჩენა მოინდომა. ამიტომ მეც აღარ წავედი და თავისუფალ საღამოზე უარი ვთქვი, რადგან, მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ ახალგაზრდა ქალბატონი მეტისმეტად აღელვებული მეჩვენა, – მოახსენა მსახურმა.

ულრიხმა მადლობა გადაუხადა. ოთახში შესულს კლარისა ტახტზე წამოწოლილი დახვდა, გვერდულად იწვა და ფეხები მუცელთან მიეტანა. მისი მოხდენილი სხეული, ბიჭურად შეჭრილი თმები და გრძელი, საყვარელი სახე ძალზე მაცდურად გამოიყურებოდა; თავი ხელზე ჩამოეყრდნო და ულრიხს უყურებდა. ულრიხმა უთხრა, რომ ქურდი ეგონა. კლარისას თვალები ბრაუნინგიდან გადმოფრქვეულ ნაპერწკლებს დაემსგავსა.

– იქნებ ვარ კიდეც! – მიუგო მან. – ამ ბებერ ცუღლუტს, შენს მსახურს, ჩემი აქ დატოვება არ უნდოდა. დასაძინებლად გავუშვი, მაგრამ ვიცი, რომ სადღაც ქვემოთ იმალება. კარგია შენთან! – და ულრიხს დეპეშა გაუწოდა ისე, რომ არც წამომდგარა. – მინდოდა მენახა, როგორ ბრუნდები სახლში,

როცა გგონია, რომ მარტო ხარ, – განაგრძო მან. – ვალტერი კონცერტზეა და გვიან დაბრუნდება. არ მითქვამს, რომ შენთან ვაპირებდი წამოსვლას.

ულრიხმა დეპეშა გახსნა და კითხვა დაიწყო, თან კლარისას ლაპარაკს ცალი ყურით უსმენდა. უცებ გაფითრდა, თვალებს არ უჯერებდა და ეს უცნაური ტექსტი კიდევ ერთხელ წაიკითხა. მამის მრავალრიცხოვანი წერილებისთვის პარალელური აქციისა და შეზღუდული შერაცხადობის თაობაზე პასუხი არ გაუცია და მისგანაც რაღაც დროიდან მოყოლებული გამაფრთხილებელი წერილები აღარ მიუღია, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. და აი ახლა დეპეშა დაწვრილებით, ფარული საყვედურითა და სამგლოვიარო საზეიმო მანერით, რომლის ყოველი დეტალიც მამამისის მიერვე იყო გათვლილი და მოფიქრებული, მშობლის გარდაცვალებას ატყობინებდა. ერთმანეთს დიდად ვერ ეწყობოდნენ და მამაზე ფიქრიც ულრიხს არასდროს სიამოვნებდა, თუმცა ამ სასაცილო და შემზარავი ტექსტის მეორედ წაკითხვისას გაიფიქრა: „ახლა ამქვეყნად სულ მარტო ვარ!“. ამ სიტყვების პირდაპირ მნიშვნელობას კი არ გულისხმობდა, ამწუთას დამთავრებულ ურთიერთობას ასე რომ არ ესადაგებოდა, ულრიხი უფრო უცნაურ გრძნობას მოეცვა: თითქოს ღუზამოგლეჯილი ზემოთ, ჰაერში, აიწია და უცხოობას გრძნობდა იმ სამყაროში, რომელსაც მამის შემწეობით უკავშირდებოდა.

– მამაჩემი გარდაიცვალა, – უთხრა კლარისას და უნებლიეთ საზეიმო ჟესტით დეპეშა ააფრიალა.

– მართლა?! – უპასუხა კლარისამ. – გილოცავ! – და ცოტა ხნის პაუზის შემდეგ დაამატა: – ახლა, ალბათ, გამდიდრდები. – კლარისამ ოთახში ცნობისმოყვარედ მიმოიხედა.

– არ მგონია, რომ ასეთი მდიდარი ყოფილიყო, – უკმაყოფილო ტონით გააპროტესტა ულრიხმა. – მე აქ მისი ფულით არ მიცხოვრია.

კლარისა საყვედურს ღიმილით დაეთანხმა, ღიმილით, რომელიც რევერანსს ჰგავდა. კლარისას მეტყველი მოძრაობები სწრაფი და პატარა სივრცისთვის მეტისმეტად გადაჭარბებული იყო, როგორც ბიჭის სალამი, საზოგადოებას კარგი მანერები რომ უნდა უჩვენოს. ულრიხმა მოუბოდიშა და რამდენიმე

წუთით ოთახიდან გავიდა, რათა გამგზავრებასთან დაკავშირებით მსახურისთვის მითითებები მიეცა. ასე რომ, კლარისა მარტო დარჩა. ვალტერთან ბობოქარი სცენის შემდეგ კლარისა ოთახიდან გავიდა, მაგრამ შორს არ წასულა. სახლის კარს უკან კიბე იყო, რომელსაც იშვიათად იყენებდნენ და კლარისა იმ კიბით სხვენში ავიდა. თავშალში გახვეული იქ იმდენ ხანს იჯდა, სანამ არ გაიგო, როგორ წავიდა ვალტერი სახლიდან. იცოდა, რომ თეატრში, სცენის თავზე, რაღაც სათავსი იყო. იქ, ზევით, საიდანაც, ალბათ, თოკებია ჩამოშვებული, კლარისა იჯდა და ელოდებოდა, სანამ ვალტერი კიბეზე ჩავიდოდა. წარმოიდგინა, რომ სცენაზე გასვლებს შორის მსახიობები, როცა საქმე არა აქვთ, თავშალში გახვეულნი, ასე სხედან სცენის ზემოთ, კოჭებს შორის და ქვემოთ იყურებიან. ახლა თვითონაც ასეთი მსახიობი იყო და მოვლენები ქვემოთ, მისი ფერხთით, ვითარდებოდა. გონებაში ისევ ის ძველი, საყვარელი აზრი ამოუტივტივდა. „ცხოვრება სამსახიობო ამოცანაა. ცხოვრება, ცხადია, გონებით არ უნდა აღიქვა“, – ფიქრობდა ის. რა იცის, საერთოდ, ადამიანმა ცხოვრების შესახებ, თუნდაც იმან, ვისაც მასზე, კლარისაზე, მეტი გაეგება; მაგრამ ალბატროსივით ცხოვრების უტყუარი ალღო კი უნდა გქონდეს! ხელები – ეს კი სიტყვებს, ამბორს, ცრემლებს ნიშნავდა – ფრთებივით უნდა გაშალო! ამ სურათ-ხატში იმის საზღაურს ხედავდა, რომ აღარ შეეძლო, ვალტერის მომავლის ერწმუნა. ზემოდან კიბის დაქანებულ უჯრედს დაჰყურებდა, რომელზეც ვალტერი ჩავიდა, და ხელები გაშალა. ასე ხელებგაშლილი იჯდა იმდენ ხანს, სანამ შეეძლო. ვინ იცის, იქნებ ამით მისი დახმარება შეძლოს. „ციცაბო დაღმართს და აღმართს მტრული, თანაბარი ძალები აქვთ და განუყოფლები არიან“. – ფიქრობდა ის. „მოზეიმე ციცაბო სამყარო“ – ასე დაარქვა ფრთებივით გაშლილ თავის ხელებს და ქვემოთ ყურებას. ქალაქში დემონსტრაციაზე ჩუმად წასვლა გადაიფიქრა. რა ესაქმებოდა „ნახირთან“! ერთადერთი გრანდიოზული დრამა დაიწყო!

ასე რომ, კლარისა ულრიხთან წავიდა. საკმარისი იყო, ის მდგომარეობა, რომელშიც ორივე იმყოფებოდა, კლარისას გადაჭარბებულად შეეფასებინა და ვალტერს ის გიჟი ეგონა. ამის გახსენებაზე კლარისას გზაში დროდადრო ეშმაკურად ეღიმებოდა. ვალტერს ეშინოდა, რომ კლარისა შვილს გააჩენდა და ამას მაინც მოუთმენლად ელოდა. კლარისას კი ვალტერის

შიში სიამოვნებდა. „სიგიჟე“ კლარისას ისე წარმოედგინა, როგორც ციალი ან ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც სხვებს აშინებს. ეს კი ის თვისება იყო, მათი თანაცხოვრებისას ნაბიჯ-ნაბიჯ მისი, კლარისას, უპირატესობის და დომინანტური პოზიციის ზრდასთან ერთად რომ ვითარდებოდა. იცოდა, რომ ზოგჯერ სხვებისთვის გაუგებარი იყო და როცა ულრიხი ოთახში შემობრუნდა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ რაღაც უნდა ეთქვა, როგორც მაშინ ხდება ხოლმე, რაღაც მოვლენა შენს ცხოვრებაში ღრმად რომ შემოიჭრება.

ტახტიდან სწრაფად წამოხტა, ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და შემდეგ თქვა: – მოკლედ, გულწრფელად თანაგიგრძნობ!

ულრიხმა გაკვირვებით შეხედა, თუმცა კარგად იცნობდა მის ამ ტონს, რომელიც ნერვიულობისას დაეტყობოდა ხოლმე. „მაშინ ის ერთბაშად რაღაც სტანდარტული ხდება ხოლმე, – გაიფიქრა მან, – თითქოს წიგნში ფურცელი შეცდომით სხვა წიგნიდან ჩააკრეს“. ეს ფრაზა კლარისამ შესაბამისი გამომეტყველებით კი არ წარმოთქვა, არამედ ისე, გვერდიდან მიაძახა და ამით ეფექტი გააძლიერა: სიყალბე ინტონაციაში კი არა, შეუსაბამო ტექსტში იგრძნობოდა. ულრიხს შემზარავი შთაბეჭდილება ექმნებოდა: კლარისა უამრავი ამგვარი მცდარი ქვეტექსტისგან შედგებოდა. ულრიხმა პასუხი რომ არ გასცა, კლარისა მის წინ შეჩერდა.

– უნდა დაგელაპარაკო!

– ცივ სასმელს შემოგთავაზებდი, – უთხრა ულრიხმა. კლარისამ ხელი ასწია და უარის ნიშნად გააქნია. შემდეგ სათქმელს თავი მოუყარა და დაიწყო: – ვალტერს უნდა, რომ გინდა თუ არა, შვილი გავუჩინო. გესმის? – ჩანდა, რომ პასუხს ელოდა.

რა პასუხი უნდა გაეცა ულრიხს?

– მე კი არ მინდა! – წამოიძახა კლარისამ გაცხარებით.

– მაშინვე ნუ ბრაზდები ხოლმე, – უთხრა ულრიხმა. – შენ თუ არ გინდა, მაინც ვერ მოხდება.

– მაგრამ ეს გაანადგურებს ვალტერს!

– ის, ვინც ყოველ წუთს სიკვდილზე ფიქრობს, დიდხანს

ცოცხლობს! მე და შენ სიბერისგან დავჩიავდებით, ვალტერს კი ჭაღარა თმითაც ისევ ახალგაზრდული იერი ექნება და თავისი არქივის დირექტორიც გახდება.

კლარისა ჩაფიქრდა, ქუსლზე შემოტრიალდა და გვერდზე გადგა. შემდეგ ისევ დაიკავა პოზიცია გარკვეულ დისტანციაზე და ულრიხი „თვალებით მიზანში ამოიღო“.

– იცი, ქოლგას რა ემართება, ჯოხს თუ გამოაცლი? ვალტერი დაინგრევა, რომ გამოვეცალო. მე მისი ჯოხი ვარ, ის... – უნდოდა, ეთქვა, ქოლგააო, მაგრამ მაშინვე სხვა სიტყვა მოუვიდა აზრად: – ის ჩემი ქოლგა-მფარველია, – თქვა მან. – თვლის, რომ უნდა შემიფაროს. ამისთვის კი ჯერ დიდი მუცლით უნდა მიხილოს. მერე შეეცდება, დამარწმუნოს, რომ დედის ბუნებრივი მოვალეობაა, შვილს ძუძუ აწოვოს. შემდეგ მოინდომებს, ბავშვი საკუთარი შეხედულებისამებრ აღზარდოს. შენც ხომ იცი, არა? უბრალოდ, უფლებების მითვისება უნდა და ხმამაღალ სიტყვებს ამოფარებულს სურვილი კლავს, ორივე მეშჩანებად გვაქციოს.

მე თუ უწინდებურად „არას“ ვეტყვი, მაშინ დაიღუპება! მისთვის ყველაფერი ვარ!

მის მრავლისმეტყველ არგუმენტაციას ულრიხმა ღიმილით უპასუხა.

– შენი მოკვლა უნდა! – დაამატა კლარისამ სწრაფად.

– ჰო? მეგონა, ამის გაკეთება შენ ურჩიე.

– შვილი კი მინდა მყავდეს შენგან! – უთხრა კლარისამ.

გაოგნებულმა ულრიხმა კბილებიდან დაუსტვინა.

კლარისას იმ ბიჭივით გაეცინა, უზნეოდ რაღაცას რომ ითხოვს.

– არ მინდა მოვატყუო ადამიანი, რომელსაც ვალტერივით კარგად ვიცნობ. ასეთი საქციელი მძულს, – უთხრა ნელა ულრიხმა.

– ასე, არა? ესე იგი, ძალიან წესიერი ხარ, არა? – როგორც ჩანს, კლარისა ამ ნათქვამს ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა, რასაც ულრიხი ვერ ხვდებოდა. ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე შეტევა ისევ გააგრძელა: – თუ გიყვარს, მაშინ გამოჭერილი ჰყავხარ!

– როგორ?

– გასაგებია, როგორც. უბრალოდ სათანადოდ ვერ გამოვხატავ. იძულებული იქნები, ანგარიში გაუწიო. ორივეს შეგვეცოდება. ცხადია, ისე, უბრალოდ, ვერ მოატყუებ; ეცდები, სანაცვლოდ რაღაც შესთავაზო და ა. შ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ შენ მას აიძულებ, გასცეს ის, რაც მასში ყველაზე ძვირფასია. იმას ხომ მაინც ვერ უარყოფ, რომ საკუთარ თავებში ისე ვართ შემალული, როგორც ქანდაკება – ქვაში. თავი საკუთარი თავიდან უნდა გამოვიქანდაკოთ! უნდა ვაიძულოთ ეს ერთმანეთს!

– კარგი, – უთხრა ულრიხმა, – რაღაც ნაჩქარევად ივარაუდე, რომ ყველაფერი ასე იქნება.

კლარისამ ისევ გაიღიმა.

– შეიძლება, სულსწრაფი ვარ! – თქვა კლარისამ და ხელი ხელზე მეგობრულად მოჰკიდა. ულრიხს ხელი დუნედ ჩამოშვებოდა და კლარისას ხელს სხეულამდე არ უშვებდა. – არ მოგწონვარ? არ გიყვარვარ? – ულრიხი დუმდა, კლარისა ლაპარაკს აგრძელებდა: – ვიცი, რომ მოგწონვარ. საკმაოდ ხშირად შემიმჩნევია, როგორ მიყურებ ხოლმე, როცა ჩვენთან ხარ! გახსოვს, ერთხელ რომ გითხარი, სატანა ხარ-მეთქი? ასე მგონია. სწორად გამიგე. ხომ არ გეუბნები, პატარა ეშმაკუნა ხარ, რომელიც ბოროტებას იმიტომ სჩადის, რომ უკეთესი არაფერი იცის-მეთქი; შენ სატანა ხარ, იცი, რა არის კარგი, მაგრამ იმის საპირისპიროს აკეთებ, რაც სინამდვილეში გინდა! ცხოვრება, რომელიც ჩვენ გვაქვს, გძულს და ამიტომ განგებ ამბობ, რომ ასე უნდა განვაგრძოთ. საშინლად წესიერად ლაპარაკობ: „მეგობრებს არ ვატყუებ!“. ასე კი იმიტომ ამბობ, რომ ათასჯერ გიფიქრია: „მინდა, რომ კლარისა ჩემი იყოს!“. მაგრამ, რადგან სატანა ხარ, ამიტომ შენში ღმერთიცაა, ულო! დიდი ღმერთი, რომელიც ტყუის იმიტომ, რომ არ იცნონ! შენ მე გინდივარ.

კლარისამ ულრიხს ახლა ორივე ხელზე წაავლო ხელი, თავი ასწია და ისე შეჰყურებდა – ყვავილივით, ფურცელზე ოდნავ რომ მოქაჩავ. „ახლა სახე მაშინდელივით აერევა!“ – შეეშინდა ულრიხს. კლარისას სახე არ შეცვლია, ისევ ისეთი ლამაზი იყო. ისე კი არ იღიმებოდა, როგორც სჩვეოდა ხოლმე: პირმოკუმული, ტუჩები ფართოდ გაეხსნა და კბილები ისე მოუჩანდა, თითქოს თავს იცავსო. პირი კი სიყვარულის

ღმერთის მოზიდულ მშვილდს მოგაგონებდათ, რომელიც ამობურცულ შუბლზეც მეორდებოდა და ზემოთ, მზით განათებული თმის ღრუბლებშიც.

– რომ მოინდომო, ისეთად მეჩვენო, როგორიც ხარ, დიდი ხანია, შენი მატყუარა პირით მწვდებოდი! – განაგრძო კლარისამ. ულრიხმა ფრთხილად გაითავისუფლა მისგან თავი. კლარისა ტახტზე ისე დაეშვა, თითქოს ულრიხმა დასვაო და თავისკენ მიიზიდა.

– ნუ აჭარბებ, – უსაყვედურა ულრიხმა.

კლარისამ ხელი გაუშვა. თვალები დახუჭა და თავი ხელებზე ჩამოდო, იდაყვებით კი მუხლებს დაეყრდნო. მისი მეორე შეტევაც მოიგერიეს, ამიტომ ულრიხის დარწმუნებას რკინისებური ლოგიკით შეეცადა.

– სიტყვებს ნუ გამოეკიდები, – უპასუხა კლარისამ. – ამას ისე, უბრალოდ, გეუბნები: ღმერთი, ეშმაკი. როცა მარტო ვარ ხოლმე სახლში, როგორც წესი, მთელი დღე ახლო-მახლო დავეხეტები და ხშირად ვფიქრობ: თუ მარცხნივ წავალ, ღმერთი გამომეცხადება, თუ მარჯვნივ – ეშმაკი. ასეთი გრძნობა ხშირად მეუფლება, როცა რაღაცა ნივთის აღება მინდა და ვფიქრობ, მარჯვენა ხელით ავიღო თუ მარცხენათი. ვალტერს რომ ვუჩვენე, შიშისგან ჯიბეებში ჩაიყო ხელები. ვალტერს ყვავილი ან ლოკოკინაც კი სიხარულს ანიჭებს. მითხარი, განა ის ცხოვრება, ჩვენ რომ გვაქვს, შემზარავად მოსაწყენი არ არის? ღმერთმაც მიგვატოვა და ეშმაკმაც. წლებია უკვე, ასე დავეხეტები. მერე რა მოხდება?! არაფერი, სულ ეს არის. ხელოვნებას თუ შეუძლია სასწაულის ძალით რამე შეცვალოს!

იმწუთას ისეთ ნაზ და სევდიან შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ულრიხმა ცდუნებას ვერ გაუძლო და რბილ თმაზე გადაუსვა ხელი.

– ალბათ, ზოგ რამეში მართალი ხარ, კლარისა, – უთხრა ულრიხმა, – მაგრამ არ მესმის ლოგიკური კავშირები და გადახტომ-გადმოხტომები, როცა დასკვნები გამოგაქვს.

– სულ მარტივია! – უპასუხა კლარისამ, პოზა არ შეუცვლია.

– დროთა განმავლობაში ერთი იდეა დამებადა, მისმინე! – კლარისა წელში გაიმართა და გამოცოცხლდა. – შენ თვითონ არ

მითხარი ერთხელ, მდგომარეობას, რომელშიც ვცხოვრობთ, ნაპრალი აქვს, საიდანაც, ასე ვთქვათ, შეუძლებელი მდგომარეობა იხედებაო. პასუხის გაცემა საჭირო არ არის; დიდი ხანია, მეც კარგად ვიცი. ცხადია, ყველა ადამიანს სურს, ცხოვრება მოიწესრიგოს, მაგრამ ვერავინ ახერხებს! მე მუსიკით ვარ დაკავებული ან მხატვრობით. ეს იგივეა, კედლის ნახვრეტს შირმა რომ ავაფარო. შენ და ვალტერს იდეებიც გაქვთ, რისაც მე ბევრი არ გამეგება, მაგრამ აქაც მთლად წესრიგში არ არის საქმე და შენ არ თქვი, ამ ნახვრეტში სიზანტის ან ჩვევის გამო არ ვიხედებით და სხვა ათასი სისულელით ვცდებითო? შემდეგ უკვე ყველაფერი მარტივადაა: ამ ნახვრეტიდან გამოძრომაა საჭირო. მე ეს შემიძლია! ისეთი დღეებიც მაქვს, როცა საკუთარი თავიდან ამოსხლტომას ვახერხებ. მაშინ – როგორ ვთქვა? – საგნებს შორის კანშემოცლილი დგახარ და ბინძური ქერქი მათაც შემოფცქვნიათ. ანდა ყველაფერს, ამქვეყნად არსებულს, ჰაერის მეშვეობით ტყუპისცალივით შეეზრდები. ენით აღუწერელი დიდებული მდგომარეობაა; ყველაფერი მუსიკად, ფერებად და რიტმებად გარდაიქმნება და მაშინ დიასახლისი კლარისა კი აღარ ვარ, როგორც მომნათლეს, არამედ, ალბათ, მოციმციმე ნამსხვრევი, რაღაც უზარმაზარ ბედნიერებაში შეღწევას რომ ახერხებს. ეს ყველაფერი ხომ შენც იცი! ალბათ, ამას გულისხმობდი, როცა ამბობდი, რეალობა თავის თავში შეუძლებელ მდგომარეობას შეიცავს და მოვლენები საკუთარი თავისკენ კი არ უნდა მივმართოთ და მასში რაღაც პირადი და რეალური დავინახოთ, არამედ ჩვენგან გარეთ – ნახატივით და სიმღერასავით და ა. შ. და ა. შ. სიტყვასიტყვით შემიძლია გაგიმეორო!

კლარისას ჩქარ მეტყველებას ეს „ასე შემდეგ“ უცნაურ რეფრენად გასდევდა, რასაც წინ ყოველთვის შემდეგი მტკიცებულება უსწრებდა: – შენ ამის ძალა გაქვს, მაგრამ არ გინდა. ვიცი, რატომაც არ გინდა, მაგრამ მე შენ შეგანჯღრევ!

ულრიხს კლარისასთვის ლაპარაკი არ შეუწყვეტინებია. ხანდახან უხმოდ უარყოფდა ხოლმე ნათქვამს, როცა კლარისა ისეთ რამეს მიაწერდა, რაც შესაძლებელს სცილდებოდა, თუმცა ძალა არ ჰყოფნიდა, მისი მოსაზრებები გაეპროტესტებინა და ხელი ისევ მის თმაზე ედო. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ თითის წვერებით მისი აზრების პულსაციას გრძნობდა. გზნებამორეული კლარისა არასდროს ენახა და უკვირდა, რომ მის ხელსა და მტკიცე სხეულს ქალური ცეცხლი მოსდებოდა.

თავი იჩინა მარადიულმა გაოცებამ, რომ ქალი, რომელიც ყველასთვის მიუწვდომელია, შენ წინ იხსნება. მისი სიტყვები არ ეუცხოვებოდა, თუმცა გონებას შეურაცხყოფდა და როცა ისინი მის არსამდე, სიღრმეში აღწევდა ან აბსურდულად შორდებოდა, სიტყვათა ასეთი სწრაფი მიმოსვლა სტვენასავით თუ ზუზუნივით ზემოქმედებდა და ძლიერი ვიბრაციის გამო ვერც კეთილხმოვანებას აღიქვამდა და ვერც არაკეთილხმოვანებას. გრძნობდა, რომ კლარისას მოსმენა, ველური მუსიკის მსგავსად, გადაწყვეტილების მიღებას უადვილებდა და მხოლოდ მაშინ, როცა მოეჩვენა, რომ კლარისა საკუთარი სიტყვებიდან გამოსავალს ვერ პოულობდა და ლაპარაკს ვეღარ ასრულებდა, გასაფრთხილებლად თავი მსუბუქად შეუნჯღრია, რათა გონს მოგებულიყო.

ამ დროს სრულიად საპირისპირო რამ მოხდა, ვიდრე ელოდა: კლარისა მოულოდნელად ულრიხს მივარდა. ელვისებურად კისერზე ხელი მოხვია და ტუჩებით ტუჩებზე მიეკრო. გაოგნებულმა ულრიხმა თავის დაცვაც ვერ შეძლო. მერე კლარისამ ფეხები აიკეცა და კალთაში მუხლებით ჩაუჯდა. მხართან ულრიხმა მისი პატარა ბურთივით მკერდი იგრძნო. რაღაცას ებუტბუტებოდა თავის მხსნელ ძალასა და მის, ულრიხის, სიმხდალეზე. მხოლოდ ის გაარკვია, რომ კლარისამ „ბარბაროსი“ უწოდა, და სამყაროს მხსნელის გაჩენას მისგან და არა ვალტერისგან აპირებდა. მისი სიტყვები უფრო ანც თამაშს ჰგავდა, ხმამაღალ ბურტყუნს, თავისი თავით რომ ერთობა და არაფერს იტყობინება. აქა-იქ დროდადრო ამ მორაკრაკე ნაკადულში ცალკეულ სიტყვებს – „მოორსბრუგერს“ ან „ეშმაკის თვალს“ – თუ გაარჩევდა ხოლმე. თავის დასაცავად თავდამსხმელს მკლავში წაავლო ხელი და ტახტზე მიაწვინა. კლარისა ახლა ფეხებით ებრძოდა, თავს სახეზე ადებდა და ცდილობდა, კისერზე შემოხვეოდა.

– თუ არ დამნებდები, იცოდე, მოგკლავ! – უთხრა კლარისამ მჟღერი ხმით, მკაფიოდ. კლარისა ბიჭს ჰგავდა, სინაზე და გაღიზიანება ერთდროულად რომ ეტყობა და აღგზნებული უფრო და უფრო მძვინვარდება. ულრიხი მის მოთოკვას ცდილობდა და ამიტომ კლარისას სხეულში ჩაღვრილ მწველ ვნებას ვეღარ გრძნობდა; თუმცა იმ წუთს, როცა მის ტანს მკლავები შემოაჭდო და დააწვა, მისი სურვილით ანთებული სხეული მთელი ძალით შეიგრძნო. ულრიხი კლარისას, დიდი ხანია, იცნობდა და ხშირად ხუმრობით ერთად აურზაურიც

აუტეხიათ, მაგრამ ამ პატარა, ერთდროულად ნაცნობ და უცნობ სხეულს მთლიანად არასდროს შეხებია. და ახლა, როცა კლარისას მოძრაობები შეურბილდა, ხელ-ფეხი კი მოუდუნდა და გაინაბა, კინაღამ ის მოხდა, რაც ულრიხს არ უნდოდა. იმწუთას გერდა გაახსენდა, თითქოს საკუთარ თავთან დაკავშირებით გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა მიეღო.

– არ მინდა, კლარისა! – უთხრა და ხელი გაუშვა. – მინდა, მარტო დავრჩე. გამგზავრებამდე ბევრი რამე მაქვს მოსაგვარებელი.

როცა ულრიხის უარმა კლარისას გონებამდე მიაღწია, თითქოს ძლიერმა ბიძგმა მის გონებაში ახალი ბორბალი აამოქმედა. ხედავდა, როგორ იდგა ულრიხი მისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ტანჯვისგან შეშლილი სახით და ლაპარაკობდა, თუმცა არაფერი ესმოდა. მისი ტუჩების მოძრაობას აკვირდებოდა და გრძნობდა ზიზღს, რომელიც უფრო და უფრო იზრდებოდა. შემდეგ შეამჩნია, რომ კაბა მუხლებს ზემოთ ასწეოდა და წამოხტა. სანამ გონს მოეგებოდა, წამოდგა, თმები და კაბა ისე შეისწორა, თითქოს ბალახში ეძინა და თქვა: – რა თქმა უნდა, ბარგი უნდა ჩაალაგო. აღარ შეგაყოვნებ!

შემდეგ ჩვეული ღიმილი დაუბრუნდა, დამცინავად და დაბნეულად რომ გამოკრთოდა ტუჩების ჭრილიდან და ბედნიერი მგზავრობა უსურვა.

– რომ დაბრუნდები, ჩვენთან, ალბათ, უკვე მაინგასტი იქნება. შეგვატყობინა, რომ ჩამოდის და კაცმა რომ თქვას, შენთან ამის სათქმელად მოვედი, – დაამატა სასხვათაშორისოდ.

ულრიხმა მისი ხელი ხელში გაიჩერა.

კლარისა ულრიხის თითებს ეთამაშებოდა და ხელისგული გაუფხაჭნა. ისეთი აღელვებული იყო, ალბათ, რა აღარ უთხრა და უნდოდა გაეგო, რა ელაპარაკა! რაც მოხდა, დაახლოებით ხვდებოდა და ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, თუმცა ალღოთი გრძნობდა, რომ თვითონ გაბედულად იქცეოდა და მსხვერპლის გასაღებადაც მზად იყო, ულრიხი კი დაფრთხა. მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა – ამხანაგურად გამომშვიდობებოდა, რომ ულრიხს ეჭვი არ დარჩენოდა, და გაკვრით უთხრა: – ვალტერს ნუ ეტყვი, აქ რომ ვიყავი და ისიც ჩვენ შორის დარჩეს, რაც ვილაპარაკეთ. მომავალ შეხვედრამდე!

ბაღის კართან ხელი ისევ გაუწოდა და გაცილებაზე უარი თქვა.

უკან რომ დაბრუნდა, ულრიხმა თავი უცნაურად იგრძნო. რამდენიმე წერილი ჰქონდა დასაწერი, რათა გრაფ ლაინსდორფს და დიოთიმას გამომშვიდობებოდა და კიდევ ბევრი რამ ჰქონდა მოსაგვარებელი. იცოდა, რომ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საქმეები დიდ დროს წაართმევდა. მსახური დასაძინებლად გაისტუმრა და მის ჩალაგებულ ჩემოდანს რამდენიმე წვრილმანი ნივთი და წიგნი დაუმატა. როცა ყველაფერს მორჩა, იგრძნო, რომ დაწოლა არ უნდოდა. მშფოთვარე დღემ დაღალა, თან უკიდურესად აღგზნებულიც იყო და ეს ორივე მდგომარეობა ერთმანეთს აძლიერებდა, სწორედ ამიტომ ვერ შეძლო დაძინება. არ ფიქრობდა. ხან რა ახსენდებოდა და ხან – რა. ულრიხი თავს გამოუტყდა, რომ კლარისაზე მრავალგზის შექმნილი შთაბეჭდილება, მარტო უცნაური კი არა, სულით ავადმყოფიცაა, ახლა ეჭვს აღარ იწვევდა. და მაინც ამ შეტევისას, თუ რაც შეიძლებოდა კლარისას მდგომარეობისთვის დაგვერქმია, მან ისეთი მოსაზრებები გამოთქვა, რომლებიც გამაოგნებლად ემთხვეოდა მისას. ყოველივეზე, შესაძლოა, საგულდაგულოდ კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყო, მაგრამ იგრძნო, რომ ამაში სასიამოვნო არაფერი იქნებოდა. თან გაახსენდა, რაც ძილბურანში მყოფი ადამიანისთვის ძალზე უცნაური იყო, რომ კიდევ ბევრი საქმე უნდა მოესწრო.

ის დრო – თითქმის ნახევარი წელი – რომელიც საკუთარ თავს მისცა, ისე გავიდა, რომ ჯერ არც ერთი საკითხი არ გადაეწყვიტა. უცებ გაუელვა თავში, როგორ ითხოვდა მისგან გერდა წიგნის დაწერას. ულრიხს კი ისე უნდოდა ეცხოვრა, რეალურ და აჩრდილისებრ ნაწილებად რომ არ გახლეჩილიყო. ის მომენტიც გაახსენდა, როცა ამის შესახებ განყოფილების ხელმძღვანელ ტუცის ელაპარაკა. დაინახა, როგორ იდგნენ ის და ტუცი დიოთიმას სალონში და იგრძნო, რომ ამაში რაღაც დრამატული, რაღაც სცენური იყო. ისიც გაახსენდა, როგორ უთხრა სასხვათაშორისოდ, ან წიგნს დავწერ, ან თავს მოვიკლავო. მაგრამ როცა ახლა, ასე ვთქვათ, ახლო დისტანციიდან აკვირდებოდა, არც სიკვდილზე ფიქრი გამოხატავდა მის მდგომარეობას: რადგან, თუ ამ აზრს დაჰყვებოდა და გამგზავრების ნაცვლად იმ ღამესვე მოიკლავდა თავს, ანუ მაშინ, როცა მამის გარდაცვალების

ამბავი შეიტყო, ეს უადგილო დამთხვევა იქნებოდა! ბურანში მყოფი, წარმოსახვით სურათ-ხატებს ხედავდა და ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. ცეცხლსასროლი იარაღის ლულა წარმოიდგინა და მის სიშავეში იხედებოდა. შიგ წყვდიადის სიღრმიდან არეკლილ შავ სიცარიელეს ხედავდა. იმ უცნაურ მსგავსებას და განსაცვიფრებელ დამთხვევასაც გრძნობდა, რის გამოც ყმაწვილობაში დატენილი იარაღის ხატება მისი ფრენისა და მიზნის მომლოდინე ნებელობის საყვარელ ხატებად ქცეულიყო. უცებ ბევრი ასეთი სურათი დაინახა: საუბრები ტუცისთან; მინდორი სისხამ დილით; მატარებლიდან დანახული, საღამოს ხშირ ნისლში გახვეული ველი, რომელზეც მდინარე მიიკლაკნებოდა; ევროპის მეორე ბოლო, სადაც საყვარელ ქალს დაშორდა. შეყვარებულის სახე დავიწყებოდა, ჭუჭყიანი ქუჩები და ლერწმით გადახურული სახლები კი ისე ცოცხლად ახსოვდა, თითქოს გუშინ ენახა; მეორე შეყვარებულის თმები იღლიის ქვეშ – ერთადერთი, რაც მეხსიერებას მისგან შემორჩენოდა; მელოდიის ცალკეული ადგილები; რომელიღაცა მოძრაობისთვის დამახასიათებელი დეტალი; ყვავილნარის სურნელი, სულის სიღრმიდან აღმომხდარი მღელვარე სიტყვების გამო მაშინ ვერშემჩნეული, დღეს დავიწყებას რომ გადარჩენოდა; ადამიანი უამრავ გზაზე; ლამის მტანჯველი სანახაობა: თავად იგი, რომლისგანაც თითქოს ზამბარაჩაწყვეტილი თოჯინებიღა დარჩენილიყო. ეს სურათები თითქოს გაელვებასავით ხანმოკლე იყო, მაგრამ დგება წამი და მთელი ცხოვრება ამ სურათებად იშლება, ცხოვრების გზაზე მხოლოდ ისინი დგანან და გეჩვენება, რომ მათგან მოდიხარ და მათკენ მიდიხარ. ბედისწერა კი გადაწყვეტილებებსა და იდეებს კი არ უგდებს ყურს, არამედ ამ იდუმალ, ნახევრად უაზრო სურათებს.

მის მცდელობათა სულის ამაფორიაქებელი, ლამის ცრემლების მომგვრელი უაზრო უღონობა უძილობით განაწამებ მდგომარეობად, უფრო სწორად, უცნაურ გრძნობად გარდაისახა. მის მოსვლამდე, სანამ კლარისა მარტო იყო, ყველა ოთახში შუქი აენთო და ახლა კედლებიდან და საგნებიდან გადმოღვრილი შუქის სიჭარბე საგნებს შორის სივრცეს რაღაც ცოცხალით ავსებდა. ალბათ, ეს ის სინაზე იყო (საზოგადოდ, უმტკივნეულო დაღლილობას რომ ახასიათებს), რომელმაც მისი სხეულის ზოგადი შეგრძნება შეცვალა, რადგან სხეულის თვითშეგრძნება, მუდამ არსებული, მაგრამ ვერშემჩნეული,

ისედაც არაზუსტად შემოსაზღვრული, განივრცო და დარბილდა. რაღაც მოეშვა, თითქოს კვანძი გახსნესო. რადგან არც კედლები და არც საგნები არ შეცვლილიყო, ამ ურწმუნოს ოთახში არც ღმერთს შეებიჯებინა, თავად ულრიხი კი ფხიზელ განსჯას ვერ ელეოდა (თუ დაღლილობა არ ატყუებდა), მხოლოდ გარემოსთან მისი დამოკიდებულება შეიძლებოდა ყოფილიყო ის, რაც იცვლებოდა; ოღონდ ამ დამოკიდებულების არა საგნობრივი ნაწილი, გრძნობადი აღქმა და გონება, არამედ სიღრმეში გაჟონილი გრუნტის წყალივით გრძნობა, ჩვეულებრივ, ობიექტური აღქმისა და აზროვნების ბურჯები რომ ეყრდნობა. და ეს ბურჯები ახლა თითქოს ერთმანეთს სცილდებოდა ან ერთდებოდა. ამ განსხვავებამ იმავე წუთს აზრი დაკარგა. „ეს სხვა ქცევაა. მე სხვა ვხდები და ამიტომაც იცვლება ისიც, რაც ჩემთან კავშირშია“, – ფიქრობდა ულრიხი და თვლიდა, რომ საკუთარ თავს კარგად აკონტროლებდა. შეიძლება ითქვას, რომ მისი მარტოობა (მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ მის შიგნით კი არა, მის გარშემოც იყო და ერთს მეორესთან აკავშირებდა) – ამას თავადაც გრძნობდა – სულ უფრო იზრდებოდა და მკვრივდებოდა. მარტოობამ კედლებში გააღწია, ქალაქში ჩაიზარდა და მთელ სამყაროს მოედო. „რომელ სამყაროს? – ფიქრობდა ულრიხი. – არავითარი სამყარო არ არსებობს!“. მოეჩვენა, რომ ამ ცნებამ ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა. ულრიხი თავს საკმარისად აკონტროლებდა და ამიტომ მაღალფარდოვანმა ფრაზამ გულში უსიამოვნოდ გაჰკრა. სხვა სიტყვების ძებნა არ დაუწყია, პირიქით, იმ წუთიდან გონება უფრო და უფრო უფხიზლდებოდა და რამდენიმე წამის შემდეგ წამოხტა. ირიჟრაჟა და მისი სიმქრქალე უეცრად გამკრთალ ებულ ხელოვნურ შუქს შეერია.

ულრიხი წამოხტა და მთელი სხეულით გაიჭიმა. სხეულში მაინც რაღაც დარჩენოდა, რის ჩამოფერთხვაც ვერ შეძლო. თვალები მოიფშვნიტა, თუმცა მის მზერას საგნებთან შეხების ის სირბილე შემორჩენოდა, როცა მათში იძირები. უეცრად მიხვდა, რომ რაღაც უკუიქცა, აღარ შეეძლო, უარეყო ის, რომ იქ იდგა, სადაც ოდესღაც, მრავალი წლის წინ, ერთხელ უკვე იყო. ულრიხს გაეღიმა და თავი გაიქნია. „მაიორის ცოლის შეტევა“ – ასე უწოდა ამ მდგომარეობას დაცინვით. გონება კარნახობდა, რომ საშიშროება აღარ ელოდა, რადგან არავინ ჩანდა ისეთი, ვისთანაც ამ სისულელის გამეორებას შეძლებდა. ულრიხმა

ფანჯარა გამოაღო. გარეთ გულგრილი, ქალაქის ჩვეულებრივი, უფერული ჰაერი დახვდა, რომელსაც დილის ხმაური შერეოდა. საფეთქლებზე დილის სიგრილე მოედო და სენტიმენტალური მეოცნებეობის მიმართ ევროპელის სიძულვილმა სიმტკიცე შესძინა. გადაწყვიტა, თუ ბედისწერას ასე ენება, ეს ისტორია მთელი სიზუსტით მიეღო; და მაინც ფანჯარასთან დიდხანს მდგომს, ფიქრის გარეშე რომ გაჰყურებდა დილის ქალაქს, გრძნობათა მოელვარე სიფარფატიდან რაღაც მაინც შემორჩენოდა.

მის გასაღვიძებლად დილაუთენია ამდგარი ადამიანის საზეიმო გამომეტყველებით შემოსული მსახურის დანახვამ გააოცა. ულრიხმა აბაზანა მიიღო, ნაჩქარევი ვარჯიშით სხეული გამოიცოცხლა და სადგურისკენ გაეშურა.